ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

გიორგი ბალახაძე

შიდა ქართლის ტურისტული პოტენციალის ანალიზი გეოსაინფორმაციო სისტემებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით

საზოგადოებრივი გეოგრაფია

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საზოგადოებრივი გეოგრაფიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: ნინო პავლიაშვილი
ასოცირებული პროფესორი

თბილისი, 2017

ანოტაცია

საქართველოში დღესდღეობით ტურიზმის ინდუსტრია ერთ-ერთ ყველაზე მზარდ და პერსპექტიულ სექტორს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, დღის წესრიგში დგება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის ტურისტული პოტენციალის უკეთ შესწავლა, გაანალიზება და შესაბამისი ქმედებების განხორციელება, რათა მოხდეს ამ მზარდი სექტორის სწორად და ოპტიმალურად განვითარება.

ჩემი ნაშრომის მთავარ მიზანს წარმოადგენს თანამედროვე, გეოსაინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით შიდა ქართლის ტურისტული პოტენციალის გამოკვლევა და მისი რესურსების შეფასება და ახალი მახასიათებლების გამოვლენა.

ნაშრომის მთავარ ამოცანას წარმოადგენს შიდა ქართლის ტურისტული პოტენციალის შემლებისდაგვარად ახლებურად ჩვენება, მისი განვითარების ამჟამინდელი მდგომარეობის დადგენა და სამომავლო პერსპექტიული ტურიზმის სახეობების გამოვლენა.

ანალიზის შედეგად შიდა ქართლში რეგიონში გამოვავლინე რიგი ახალი ტურისტული მიმართულებებისა, რომლებსაც ყველაზე საწყისი პირობები აქვთ სამომავლო განვითარებისთვის და შედეგად რეგიონის ტურისტული როლის ზრდაში წვლილის შეტანისთვის.

აღნიშნული ნაშრომის სიახლე რეგიონის ტურისტული პოტენციალის ანალიზისას გამოყენებულ თანამედროვე ტექნოლოგიებში მდგომარეობს, რაც საშუალებას იძლევა საკვლევი თემის ასპექტების გრაფიკული ანალოგები შეიქმნას და მათზე დაფუძნებით თვისობრივად ახლებური გადაწყვეტილებები იქნას მიღებული.

Annotation

Today in Georgia tourism industry is one of the most fast growing and perspective sector of an economy. Thus, it is extremely needed for our country to do researches about our regions touristic potential and to better and optimally develop the growing tourism industry.

The Thesis "The Analisys of the Touristic Potential of Shida Kartli using Geoinformation Systems and Technologies" (G. Balakhadze) discuses a touristic potential of one the regions of Georgia — Shida Kartli and aims to show the region's current touristic development and its opportunities in the future.

By analyzing the issue using GIS technologies I've found out several new types of tourism that have all preconditions in the region to be fully developed and to strengthen its role as a touristic region.

Novelty of the Thesis is in its analysis methods that have been used and which gives us an opportunity to see graphic aspects of the issue and to develop new ideas based on them.

სარჩევი

ანოტაცია 2

Annotation 3

შესავალი 5

I თავი: შიდა ქართლის ზოგად-გეოგრაფიული დახასიათება და ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები 5

1.1 შიდა ქართლის გეოგრაფიული დახასიათება და ბუნებრივი ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები 5

1.2 შიდა ქართლის ანთროპოგენური ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები 22

1.3 შიდა ქართლის კურორტები და საკურორტო ადგილები 48

1.4 შიდა ქართლის ტურისტულად მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურის ანალიზი 53

II თავი: ტურიზმის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი და განვითარების პოტენციალი შიდა ქართლში 59

2.1 ტურიზმის განვითარების თანამედროვე მდგომარეობა და ტურისტთა დინამიკა შიდა ქართლში 59

2.2 ტურიზმის განვითარების პოტენციალი შიდა ქართლში 64

III თავი: შიდა ქართლის კულტურულ-შემეცნებითი მარშრუტების შედგენა გეოსაინფორმაციო სისტემების გამოყენებით 69

დასკვნა 72

გამოყენებული წყაროები 73

დანართი 75

შესავალი

ტურიზმის ინდუსტრია საქართველოს ყოველწლიური ზრდის ტემპით ხასიათდება. აღნიშნული ფაქტიდან გამომდინარე საქართველოს რეგიონების ტურისტული პოტენციალის კვლევა ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს, რადგან სწორად დაგეგმილი ტურიზმის სექტორი უფრო მეტი განვითარების წინაპირობას ქმნის, ხოლო სხვა შემთხვევაში მალევე განიცდის მარცხს.

ჩემი ნაშრომის უმთავრესი მიზანი არის შიდა ქართლის რეგიონის ტურისტული თვალსაზრისით კვლევა, მისი ბუნებრივი თუ ანთროპოგენური რესურსების გამოვლენა, ტურიზმის ამჟამინდელი მდგომარეობის შეფასება, სამომავლო პოტენციური ტურიზმის სახეობების მიგნება და მათი განვითარების პოტენციალის გაანალიზება.

კვლევის დროს გამოვიყენე გეოსაინფორმაციო სისტემების თანამედროვე ტექნოლოგიები რაც დასმული ამოცანის ახლებური კვლევის საშუალებას იძლეოდა.

კვლევის დროს გამოყენებულ იქნა სხვადასხვა სახის მონაცემი, როგორც საჯარო დაწესებულებებიდან გამოთხოვილი, ისე პირადად ჩემს მიერ შექმნილი და დამუშავებული.

ნაშრომის უმთავრესი განმასხვავებელი ფაქტორი ეს მისი ინოვაციურობა და საკვლევი თემის ახლებური მეთოდებითა და კუთხით განხილვაა.

I თავი: შიდა ქართლის ზოგად-გეოგრაფიული დახასიათება და ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები

1.1 შიდა ქართლის გეოგრაფიული დახასიათება და ბუნებრივი ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები

1.1.1 მდებარეობა და საზღვრები

შიდა ქართლი წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთ ადმინისტრაციულ რეგიონს აღმოსავლეთ საქართველოში.[1] ის მდებარეობს დიდი და მცირე კავკასიონების მთათაშორისი ბარის შუა ნაწილში. მას აღმოსავლეთით ესაზღვრება მცხეთა-მთიანეთის

[1] შიდა ქართლი ასევე წარმოადგენს საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეს, თუმცა ამ ორის საზღვრები ერთმანეთს არ ემთხვევა. ჩემს ნაშრომში შიდა ქართლს განვიხილავ ამჟამინდელი ადმინისტრაციული რეგიონის საზღვრებში.

რეგიონი (საზღვრის სიგრძე 170,30 კმ) სამხრეთით — ქვემო-ქართლის რეგიონი (60,05 კმ), სამხრეთ-დასავლეთით — სამცხე-ჯავახეთი (52,33 კმ), დასავლეთით — იმერეთი (102,48 კმ), ხოლო ჩრდილო-დასავლეთით — რაჭა-ლეჩხუმ და ქვემო სვანეთის რეგიონი (37,72 კმ). რეგიონის ჩრდილოეთ ნაწილში გადის საქართველოს სახელმწიფო საზღვარი რუსეთის ფედერაციასთან (27,48 კმ). (იხ. რუკა N1) (საქართველოს მთავრობა, 2013) რეგიონის აღმოსავლეთ საზღვარი უმეტესად მიუყვება ხარულის ქედსა და მდინარე ქსანს, სამხრეთი საზღვარი გადის თრიალეთის ქედზე, დასავლეთის საზღვარი მიუყვება ლიხისა და რაჭის ქედებს, ხოლო რეგიონის ჩრდილოეთ საზღვარს აყალიბებს კავკასიონის მთავარი ქედი.

მხარის ტერიტორიის ფართობია 5 696,4 კმ², რაც საქართველოს მთლიანი ტერიტორიის 8,6%-ს შეადგენს, აქედან რეგიონის ჩრდილოეთ ნაწილი, 2 347,5 კმ² (41,2%) ფართობით ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის სამხედრო ძალების მიერ.

შიდა ქართლის ადმინისტრაციული ცენტრია ქ. გორი. მანძილი ადმინისტრაციულ ცენტრსა და დედაქალაქ თბილისს შორის შეადგენს 75 კმ-ს. (საქართველოს მთავრობა, 2013)

შიდა ქართლის რეგიონში შედის 7 ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული: ორი თვითმმართველი ქალაქი: გორი და ცხინვალი, და 5 მუნიციპალიტეტი: კასპის, გორის, ქარელის, ხაშურისა და ჯავის. (საქართველოს ადგილობრივ თვითმართველობათა ეროვნული ასოციაცია, 2017) (საქართველოს მთავრობა, 2013)

1.1.2 მოსახლეობა და ადმინისტრაციული მდგომარეობა

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით, შიდა ქართლის არაოკუპირებულ ნაწილში ცხოვრობდა 263 382 ადამიანი, აქედან 105 211 (39,94%) ქალაქად, ხოლო 158 171 (60,06%) სოფლად. მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კმ²-ზე შეადგენდა 79 კაცს და ამ მაჩვენებლით შიდა ქართლის არაოკუპირებული ნაწილი საქართველოს რეგიონებს შორის მე-3 ყველაზე მჭიდროდ დასახლებული მხარეა.[2] (საქსტატი, 2016)

შიდა ქართლის იმ ნაწილში, რომელსაც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ამჟამად აკონტროლებს, 341 მუდმივად დასახლებული პუნქტია, აქედან 4

[2] აჭარისა (115 კ/კმ²) და იმერეთის (82 კ/კმ²) შემდეგ

საქალაქო დასახლებაა (გორი, ხაშური, კასპი, ქარელი), 2 დაბა (სურამი, აგარა) და 335 სოფელი.[3](იხ. რუკა N2)

რუკა N2-ზე ასახულ მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რეგიონის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი მის ცენტრალურ ნაწილშია თავმოყრილი. ყველაზე დიდი საქალაქო და სასოფლო დასახლებები კი — საერთაშორისო და სახელმწიფო მნიშვნელობის გზების გასწვრივ ან მათ სიახლოვეს.

მუნიციპალიტეტებს შორის ყველაზე მჭიდროდ დასახლებული გორის მუნიციპალიტეტია სადაც 1 კმ²-ზე 98,92 კაცი მოდის, მის შემდეგ მომდევნო ადგილებზეა ხაშურის (90,20 კ/კმ²), ქარელის (59,16 კ/კმ²) და კასპის (54,94 კ/კმ²) მუნიციპალიტეტები. (იხ. რუკა N3) რეგიონის უდიდესი ქალაქია სამხარეო ცენტი ქალაქი გორი, სადაც რეგიონის მოსახლეობის თითქმის 1/5 (48 143) ცხოვრობს. (საქსტატი, 2016)

მხარის რუსეთის მიერ ოკუპირებულ ნაწილში მოქცეულია 332 დასახლებული პუნქტი, აქედან 1 ქალაქია (ცხინვალი), 2 დაბა (ჯავა და ყორნისი) და 329 სოფელი.[4] არაოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით 2015 წლისთვის, რეგიონის ოკუპირებული ნაწილის მოსახლეობა 45 000-ს აჭარბებდა, აქედან მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, დაახლოებით 30 000 კაცი, ცხოვრობდა ქალაქ ცხინვალში. (Русская Википедия, 2017)

1.1.3 რელიეფი

შიდა ქართლის რელიეფის ზოგადი სურათი ფორმირებულია რეგიონის შუა ნაწილში წარმოდგენილი ვრცელი შიდა ქართლის ვაკითა და მისი მთაგორიანი განაპირა კიდეებით, რომელთაგან ერთ-ერთი ცენტრალური კავკასიონის სამხრული ფერდობის უკიდურესი პერიფერიაა, ხოლო მეორე — თრიალეთის ქედის ჩრდილო კალთები და განშტოებებია. შიდა ქართლის ძირითად ოროგრაფიულ ერთეულებს წარმოადგენენ: კავკასიონისა და რაჭის ქედების მცირე მონაკვეთები, გერმუხის, ხარულის, კვერნაქის, თრიალეთის, ლიხის ქედები და შიდა ქართლის ვაკე. (სოხაძე, 2008) (იხ. რუკა N4)

კავკასიონის მთავარ ქედს შიდა ქართლის ფარგლებში ზომიერი სიმაღლე აქვს, — არცერთი აქაური მწვერვალი 4 000 მ-ს არ აღწევს, ქედის უნაგირისებული დადაბლებანი კი ზღვის დონიდან 2 700-3 200 მეტრის სიმაღლეზეა. წყალგამყოფ თხემს ზეკარის

[3] გარდა ამ სოფლებისა რეგიონის არაოკუპირებულ ნაწილში 95 გაუკაცრიელებული სოფელია
[4] სოფლების დიდი ნაწილი (განსაკუთრებით მაღალმთიანი) გაუკაცრიელებულია

უღელტეხილიდან (3 184 მ) აღმოსავლეთისკენ თუ გავუყვებით, შიდა ქართლისა და თერგ-არდონის აუზთა საზღვარზე შემდები მთავარი მწვერვალები და უღელტეხილები შეგვხვდება: ბახფანდაგის უღელტეხილი (2 925 მ), მთა ბახფანდაგი[5] (3 019 მ), კუთხის უღელტეხილი (2 681 მ), როკის უღელტეხილი (2 995 მ), მთა კურფუტა (3 264 მ), სბის უღელტეხილი (2 934,4 მ), მთა ვაციკფარსი (3 573 მ), მთა ზილგახოხი[5] (3 856,8 მ), მთა ყადლასანი[5] (3 832 მ), მაღრანდვალეთის უღელტეხილი (3 241,1 მ) და შიდა ქართლის უმაღლესი მწვერვალი ლაღზწითი[5] (3 877,4 მ). (მარუაშვილი, 1970, გვ. 84)

ლიახვის მარჯვენა შემდინარეების — ფაწასა და ჯომაგდონის სათავეებს შორის კავკასიონის მთავარ ქედს გამოეყოფა და სამხრეთისკენ მიემართება ჯავის ქედი, რომლის ჩრდილო ნაწილიც ბურსამძლის მძლავრი მასივით (3 661,8 მ) არის დაგვირგვინებული. ბურსამძლის მთა სიმაღლით შიდა ქართლის ზოგიერთ მწვერვალს ვერ შეედრება, თუმცა სამხრეთიდან, შიდა ქართლის ვაკიდან ყველა აქაურ მთაზე მაღლად და დიადად გამოიყურება. (მარუაშვილი, 1970, გვ. 85)

დიდი ლიახვის გასწვრივ ზემო ხეობის სამხრეთით ამართულია ვრცელი და საკმაოდ მაღალი გერმუხის ქედი, რომელიც დაახლოებით პარალელურია კავკასიონის მთავარი ქედისა. იგი წარმოადგენს მდინარეების დიდი ლიახვისა და გუდისისწყლის წყალგამყოფ ქედს. მთავარი მწვერვალებია: მშირლი (2 429,8 მ), ყურფიდლრაგი (2 852 მ), გერმუხი (3 193,5 მ)

გუდისის ქედი გერმუხის ქედს მთა მანგავცაგთან (3 339,1 მ) გამოეყოფა, ზოგადად სამხრეთ დასავლეთისკენ არის მიმართული და ყოფს დიდი და პატარა ლიახვის ხეობებს. მის თხემზე ვხვდებით მთებს გუდისს (2 945 მ), სიდამონისჯვარს (2 413 მ) და საბოლოკეს (2 122,4 მ). (მარუაშვილი, 1970, გვ. 85-86)

ხარულის ქედი, რომელსაც თითქმის მერიდიანული მიმართულება აქვს, გერმუხის ქედის აღმოსავლურ ბოლოს უკავშირდება ლაღზწითის მწვერვალთან და ყოფს მდინარეების დიდი და პატარა ლიახვების, მეჯუდასა და ლეხურას ხეობებს მდ. არაგვისა და ქსნის ხეობებისაგან. შიდა ქართლის ფარგლებში მის თხემზე ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ განლაგებულია მწვერვალები: ყელი (3 627,2 მ), ქნოღო (3 284 მ),

[5] ოსურიდან: „ბახფანდაგი“ — ცხენის გზა; „ზილგახოხი“ — მბრუნავი მთა; „ყადლასანი“ — ხე-ტყის დასაცურებელი; „ლაღზწითი“ — გლუვი მყინვარი

გალავდური (3 230,8 მ), ძირისი (2 594,6 მ), ცხრაწყარო (2 344,4 მ). (მარუაშვილი, 1970, გვ. 86)

თრიალეთის ქედი შიდა ქართლის ტერიტორიაზე მდინარე კავთურის აუზის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე 1 782 მეტრი სიმაღლის მწვერვალიდან იწყება და დასავლეთის მიმართულება აქვს. მისი მთავარი ქედი მდ. ტანას აუზამდე აყალიბებს შიდა ქართლის რეგიონის სამხრეთის საზღვარს, ხოლო ტანას აუზის ჩრდილო-დასავლეთით მდ. მტკვრამდე საზღვარი მიუყვება მის ერთ-ერთი განშტოებას. შიდა ქართლის ფარგლებში თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობი და მისი ჩრდილო-აღმოსავლეთით მიმართული განშტოებებია მოქცეული. ეს განშტოებები ერთმანეთისგან ყოფენ მდინარეების კავთურის, თეძმის, ტანასა და ძამის ხეობებს. შიდა ქართლის ფარგლებში აღმოსავლეთიდან დასავლეთით თრიალეთის თხემზე განლაგებულია შემდეგი მწვერვალები: შიხანი (1 916,6 მ), ეფრემის კლდე (1 766 მ), კლდეკარი (1 914 მ), იურის ქედი (2 203,8 მ), არჯევანი (2 757,7 მ), ჯამჯამა (2 380,9 მ), მურკნევი (2 341,6 მ), ბარზონჯვარი (2 255,6 მ), შუანა მთა (2 178 მ), დიდი ქართა (2 315,7 მ), ბრაგუნა (1902,8). (მარუაშვილი, 1970, გვ. 287-289)

შიდა ქართლის დასავლეთში მდებარე ლიხის ქედი, მწვერვალ ზვარისთავიდან რაჭის ქედამდე, რეგიონის დასავლეთ საზღვარს აყალიბებს. ლიხის ქედი შიდა ქართლში უმეტესად აღმოსავლეთ ფერდობებითაა წარმოდგენილი, თუმცა მის ჩრდილოეთ ნაწილში მთა რუსთავთან რეგიონის საზღვრებში სამხრეთის ფერდობებიც ექცევიან. ასევე, მთა რუსთავთან ლიხის ქედს გამოეყოფა და სამხრეთ-აღმოსავლეთით ვრცელდება გუგულის ქედი. ლიხის ქედზე ვხვდებით შემდეგ მწვერვალებსა და უღელტეხიებს: მთა ზვარისთავი (1 218,7 მ), რიკოთის უღ. (1 000 მ), მ. ედისჯვარი (1 319,7 მ), კორტოხის უღ. (1 126 მ), მ. ლოხონი (1 925,1 მ) მ. რუსთავი (1 936 მ), მ. ბილურთა (2 165,8 მ).

შიდა ქართლის ტერიტორიაზე, მთა დაღვერილადან ჩრდილო აღმოსავლეთის მიმართულებით რაჭის ქედის უკიდურესი აღმოსავლეთ ნაწილი შემოდის და ზეკარის უღელტეხილთან კავკასიონის მთავარ ქედს უკავშირდება. უნდა აღინიშნოს, რომ რაჭის ქედი შიდა ქართლის ტერიტორიაზე წყვეტილად არის წარმოდგენილი, რადგან მას მდ. ყვირილა ორ ნაწილად ყოფს. დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით რაჭის ქედზე შემდები მწვერვალები და უღელტეხილებია წარმოდგენილი: მ.

დაღვერილა (2 723,7 მ), დაღვერილის უღ. (2 346 მ), მ. ლებეურისმთა (2 862,7), მ. რიბისა (2 470 მ), ალხაშენდის უღ. (2 247 მ), ერწოს უღ. (1 788,6 მ), მ. მაჩხარა (3 007 მ), ლეთის უღ. (2 767 მ), მ. კართათრაგი (3 408 მ). (კარტოგრაფიისა და გეოდეზიის დეპარტამენტი, 1960-იანი წწ.)

შიდა ქართლის ვაკე წარმოდგენილია რეგიონის ცენტრალურ ნაწილში, მას დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ სერავს მდ. მტკვარი, რომელმაც თავისი ხეობა თრიალეთის ქედის ძირთან ახლოს გამოიმუშავა და ამით შექმნა თავის მარცხენა მხარეზე საკმაოდ ვრცელი, კავკასიონის ძირში გადაფენილი ვაკეების ჩამოყალიბების შესაძლებლობა. იგი ბორცვიანი რელიეფით ხასიათდება და 90 კმ სიგრძეზე ვრცელდება. შიდა ქართლის ვაკის ნაწილი მოიცავს ტირიფონის, საამილახვროსა და მუხრან-საგურამოს ვაკეებისა და შუა მტკვრის ხეობის ერთობას. შუა მტკვრის ხეობა ზემო ხსენებული ვაკეებისგან გამოყოფილია კვერნაქის ქედით, ის უმეტესად დატერასებულია. (მარუაშვილი, 1970, გვ. 212-213) (ალფენიძე, 2012, გვ. 145)

NASA-ს ASTER-ის GDEM[6] მონაცემებზე დაყრდნობით[7] შიდა ქართლის რელიეფის საშუალო სიმაღლე 1 307 მეტრს შეადგენს, ხოლო შიდა ქართლის მხოლოდ იმ ნაწილისა, რომელსაც ამჟამად საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება აკონტროლებს — 1 027 მეტრია. მხარის უდაბლესი წერტილი მდებარეობს 473 მეტრზე, კასპის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრისა და ქსნის შესართავთან, სოფ. ხიდისყურიდან დაახლოებით 400 მეტრით სამხრეთ-დასავლეთით. შიდა ქართლის უმაღლესი მწვერვალია — ლაღზწითი (3 877,4 მ), რომელიც შიდა ქართლის ოკუპირებულ ნაწილშია მოქცეული, ხოლო რეგიონის კონტროლირებად ნაწილში უმაღლესი მწვერვალი თრიალეთის ქედზე მდებარე მთა არჯევანია (2 757,7 მ). (იხ. რუკა N4)

შიდა ქართლის სამხარეო ცენტრი ქალაქი გორი გაშენებულია შიდა ქართლის ვაკეზე (იხ. დიაგრამა N1) და ზღვის დონიდან საშუალოდ 600 მეტრზე მდებარეობს. მისი უმაღლესი წერტილი ზღვის დონიდან 717 მეტრზე, ქალაქის უკიდურეს აღმოსავლეთში, სასაფლაოს ტერიტორიაზეა, ხოლო უდაბლესი — 558 მეტზე, ახალი ჭალის დასახლების მიმდებარედ, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირის რიყეზე.

[6] Global Digital Elevation Model - მსოფლიო სიმაღლის ციფრული მოდელი
[7] მონაცემები დამუშავებულია გისში

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ შიდა ქართლის რელიეფური აგებულება მრავალფეროვანია, აქ წარმოდგენილია, როგორც ვრცელი ვაკეები, რომლებიც მოსახლეობის დიდი კონცეტრაციისა და აქტიური სამეურნეო წარმოების კერაა და ასევე აადვილებს კომუნიკაციებისა და ტურისტული სერვისების განვითარებას, ისე მაღალი და საშუალო სიმაღლის მთები, რომლებიც თავისი მდებარეობით, კლიმატით, ხედებით, ბუნებით, პეიზაჟების სილამაზით და ა.შ. ვაკეებისგან განსხვავებულ, თუმცა არანაკლებ ტურისტულ პოტენციალს ატარებენ. იმის მიუხედავად, რომ შიდა ქართლის მთიანი ზონის დიდი ნაწილი ოკუპირებულია, რეგიონის დანარჩენ მთიან ნაწილშიც არის შესაძლებელი ისეთი სამთო-ტურისტული აქტივობების განვითარება, როგორიცაა კლდეებზე ცოცვა, პარაგლიდინგი, ჰაიკინგი, ტრეკინგი, კემპინგი, სამთო ბაიკინგი და სხვა.

1.1.4 კლიმატი

შიდა ქართლის ტერიტორია საკმაოდ მრავალფეროვან კლიმატებს მოიცავს, მის ცენტრალურ ნაწილში შიდა ქართლის ვაკის ტერიტორიაზე წარმოდგენილია ზომიერად ნოტიო კლიმატი, ზომიერად ცივი ზამთრით და თბილი ხანგრძლივი ზაფხულით. გორის შემოგარენიდან მტკვრის ხეობის გასწვრივ (ზ. დ.-დან 600 მ-მდე) აღმოსავლეთით, წარმოდგენილია მშრალ სუბტროპიკულიდან ზომიერად ნოტიო სუბტროპიკულზე გარდამავალი კლიმატი, ზომიერად ცივი ზამთრითა და ცხელი ზაფხულით. შიდა ქართლის დაბლობის ჩრდილოეთით კავკასიონის ქედის სამხრეთ ფერდობებზე (1 100 - 1 900 მ) და სამხრეთით თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობებზე (1 400 - 1 900 მ) ზომიერად ნოტიო კლიმატია გავრცელებული ცივი ზამთრით და ხანგრძლივი ზაფხულით, ხოლო 1 900 მ-დან 2 600 მეტრამდე ზომიერად ნოტიო კლიმატი ცივი ზამთრით და ხანმოკლე ზაფხულით. კავკასიონის ქედის სამხრეთ ფერდობებზე 2 600 მ-დან 3 400 მეტრამდე ნამდვილ ზაფხულს მოკლებული მაღალმთის ზომიერად ნოტიო კლიმატია, ხოლო 3 400 მ-ის ზევით მაღალმთის ზომიერად ნოტიო კლიმატი მუდმივი თოვლით და მყინვარებით. რეგიონის დასავლეთში, ლიხის ქედზე 900 მ-დან ზევით გავრცელებულია ნოტიო ზღვიური კლიმატიდან მთის ზომიერად ნოტიო კონტინენტურზე გარდამავალი მთის კლიმატი. რეგიონის უკიდურეს ჩრდილო დასავლეთში ლიხის ქედის დასავლეთ ფერდობებზე და რაჭის ქედზე წარმოდგენილია

ნოტიო კლიმატი ცივი ზამთრითა და მოკლე ზაფხულით, ხოლო 2 600 მეტრის ზევით ნამდვილ ზაფხულს მოკლებული მაღალმთის ნოტიო კლიმატი. (კორძახია, 1961)(იხ. [რუკა N5](#))

შიდა ქართლის რეგიონის საშუალო წლიური ტემპერატურა 6,5°C-ს შეადგენს, მაქსიმალური წლიური მაჩვენებელი 12,2°C კასპის მუნიციპალიტეტის აღმოსავლეთშია, ხოლო მინიმალური -5,0°C ჯავის მუნიციპალიტეტში, რეგიონის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთში, კავკასიონის ქედზე. ყველაზე მაღალი საშუალო წლიური ტემპერატურა შიდა ქართლის ვაკეზეა და დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით მატულობს 9°C-დან 12,2°C -მდე. (Hijmans, Cameron, Parra, Jones, & Jarvis, 2005)

რეგიონის ყველაზე ცხელი თვე აგვისტოა (18,5°C) და საშუალო თვიური ტემპერატურის მაქსიმუმი 24,4°C-ს აღწევს, ხოლო მინიმუმი 4,5°C -ს. ყველაზე ცივი თვე იანვარია (-2,6°C) და თვის საშუალო ტემპერატურის მინიმუმი -12,6°C -ს აღწევს, ხოლო მაქსიმუმი — 1,6°C-ს. (Fick & Hijmans, 2017)(იხ. [რუკა N6](#))

რუკა N6-ზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რეგიონის ტერიტორიის დიდ ნაწილზე ზომიერი ტემპერატურები წლის განმავლობაში დაახლოებით 5-6 თვის განმავლობაში ნარჩუნდება.

შიდა ქართლის ტერიტორიაზე ნალექების საშუალო წლიური მაჩვენებელი 824 მმ შეადგენს. ნალექების მაქსიმუმი (1 045 მმ) მოდის რეგიონის უკიდურეს ჩრდილოეთში, კავკასიონის მთიანეთში, დიდი ლიახვის ზემო წელში, ხოლო მინიმალური (536 მმ) კასპის მუნიციპალიტეტის აღმოსავლეთში, მტკვრის ხეობის გასწვრივ. ნალექების სიუხვით განსაკუთრებით რეგიონის ჩრდილოეთ ნაწილი გამოირჩევა სადაც მათი წლიური რაოდენობა 800-დან 1 045 მმ-მდე მერყეობს. შიდა ქართლის ვაკეზე წლიური ნალექების რაოდენობა 563-დან 800 მმ-მდე მერყეობს, ხოლო თრიალეთის მთებში — 700-დან 900 მმ-მდე. (Hijmans, Cameron, Parra, Jones, & Jarvis, 2005) (იხ. [რუკა N7](#))

თვეების მიხედვით ნალექების ყველაზე დიდი საშუალო რაოდენობა მაისსა (109 მმ) და ივნისში (105 მმ) მოდის, ხოლო მინიმალური თებერვალში (57 მმ). (Fick & Hijmans, 2017)

ყველაზე ძლიერი ქარები შიდა ქართლის ტერიტორიაზე დეკემბრის და იანვრის თვეებში ქრის, მათი სიმძლავრე საშუალოდ 2,49 მ/წ და 2,35 მ/წ-ს შეადგენს. ყველაზე

სუსტი ქარები რეგიონში ოქტომბერში (1,83 მ/წ) ქრის. ზაფხულის თვეებში ქარის სიმძლავრე საშუალოდ 1,86 მ/წ-დან 1,95 მ/წ-მდე მერყეობს. ქარები განსაკუთრებით ძლიერი კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზეა, ხოლო ყველაზე სუსტი შიდა ქართლის ვაკეზე. (Fick & Hijmans, 2017)

შიდა ქართლის ტერიტორიაზე დღის განმავლობაში 1 მ²-ზე მზის რადიაციის (დასხივების) საშუალო რაოდენობის მაქსიმუმით ივნისის თვე (22 286 კჯ/მ²/დ) გამოირჩევა, ხოლო მინიმალური საშუალო რადიაციით დეკემბერი (5 496 კჯ/მ²/დ). (იხ. რუკა N8) აღსანიშნავია, რომ ზამთრის თვეებში რადიაციის მაქსიმუმი შედარებით მაღალმთიან რაიონებზე მოდის, განსაკუთრებით თრიალეთის ქედზე, ხოლო მინიმუმი კავკასიონის სამხრეთ ფერდობების მთისწინეთზე და ლიხის ქედის ჩრდილოეთ ნაწილზე. ზაფხულის თვეებში კი მზის რადიაციის მაქსიმუმი შიდა ქართლის ვაკეზე, ლიხის ქედის სამხრეთ ნაწილზე და თრიალეთის ქედზე მოდის, ხოლო მინიმუმი — კავკასიონის სამხრეთ მაღალმთიან ფერდობებზე. (Fick & Hijmans, 2017) რეგიონის ტერიტორიაზე მზის ნათების ხანგრძლივობა წალიწადში 2 000 საათია, ხოლო გაშლილი რელიეფური პირობების მქონე ადგილებში 2 200 – 2 300 საათს აღწევს. (დავითაია & გველესიანი, 1979)

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ შიდა ქართლის კლიმატი ხელსაყრელ გარემოს ქმნის აქ ტურისტული საქმიანობის გასავითარებლად. მისთვის უმეტესად დამახასიათებელია ზომიერება, როგორც სიცხეებში და სიცივეებში, ისე ნალექებში. მზიანი რადიაციის საკმაოდ კარგი მაჩვენებელი, განსაკუთრებით ზაფხულის თვეებში საშუალებას იძლევა აქ სხვადასხვა სახის რეკრეაციული მიმართულება განვითარდეს. რეგიონისთვის დამახასიათებელი ქარიანი ამინდები კი თავის დადებით მხარეს ჰაერის მასების ცირკულაციით და ზაფხულის თვეებში სიგრილის გავრცელებით წარმოაჩენს.

1.1.5 შიდა წყლები

შიდა ქართლის რეგიონი საკმაოდ მდიდარია ჰიდროგრაფიული ქსელით. (იხ. რუკა N9) მის მთავარ სამდინარო არტერიას მდ. მტკვარი წარმოადგენს. რეგიონის ყველა მდინარე, ყვირილას გარდა (რეგიონის უკიდურეს ჩრდილო დასავლეთში) მტკვრის აუზს მიეკუთვნება. მტკვრის მთავარი შენაკადებია: მდინარეები ფრონე, ძამა, ლიახვი, ტანა,

ლეხურა, თეძამი და ქსანი. ისინი წვიმის, თოვლისა და მიწისქვეშა წყლებით საზრდოობენ და ხასიათდებიან ზომიერი მდინარეული ჩამონადენით (30-40 ლ/წ).

შიდა ქართლის ტერიტორიაზე 54 სხვადასხვა ზომის ტბა და წყალსაცავია, აქედან 24 რეგიონის ოკუპირებულ ნაწილშია.[7] თავისი ზომით და მნიშვნელობით ტბებიდან და წყალსაცავებიდან აღსანიშნავია კარსტული წარმოშობის ერწოს ტბა, მდ. ძამის ხეობაში მდებარე მეწყრული წარმოშობის ბატეთის ტბა, კვერნაქის ქედის ჩრდილო კალთაზე მცირე სიღრმის (1,5 მ) ნადარბაზევის წყალსაცავი და პატარა ლიახვის ხეობაში მდებარე ზონკარის წყალსაცავი. (პავლიაშვილი & ხარაბაძე, 2009)

ერწოს ტბა (იხ. სურათი N1) მდებარეობს ჯავის მუნიციპალიტეტში, რეგიონის უკიდურეს ჩრდილოთ დასავლეთ ნაწილში, ზღვის დონიდან 1 709,6 მეტრზე. ის შიდა ქართლის უდიდესი ტბაა, სარკის ფართობი 0,41 კმ²-ს შეადგენს.[8] მისი უდიდესი სიღრმე 19 მეტრია, საშუალო სიღრმე 2,1 მ. საზრდოობს წვიმისა და თოვლის წყლით. უდიდესი დონე მაის-ივნისშია, უმცირესი — აგვისტო-სექტემბერში. ზამთარში იყინება. ტბაში არ ბინადრობს თევზი. (აფხაზავა, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, (ტ. 4), 1979) ტბის გარშემო შესაძლებელია საბანაკე ადგილის მოწყობა. ტბაზე მოხვედრა შესაძლებელია აღმოსავლეთის მხრიდან გუფთა-ონის გზით. ამჟამად ტბა ოკუპირებულია რუსეთის სამხედრო ნაწილების მიერ.

ბატეთის ტბა (იხ. სურათი N2) მდებარეობს ქარელის მუნიციპალიტეტში, ქ. ქარელიდან 17,2 კმ-ით სამხრეთ-დასავლეთით, ბატეთისწყლის ხეობაში, ზ. დ.-დან 1 313 მეტრზე. სარკის ფართობი შეადგენს 0,02 კმ²-ს, საშუალო სიღრმე 7 მ-ს, ხოლო მაქსიმალური — 12 მეტრს. (აფხაზავა, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, (ტ. 2), 1977) ტბა გარშემორტყმულია წიწვნარ-წიფლნარი ტყით შემოსილი ფერდობებით. წყალი გამჭვირვალეა და მტკნარი. ტბის საერთო ხედის აღსაქმელად საუკეთესო გზა ჩრდილო ნაპირიდან მისვლაა, სადაც ასევე შესაძლებელია საბანაკე ადგილის მოწყობა. ტბის მოსანახულებლად საუკეთესო პერიოდია შემოდგომის დასაწყისი. ამ პერიოდში ტბა განსაკუთრებით გამჭვირვალეა და გარემოც მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ტბა დეკემბრიდან მარტამდე ყინულითაა დაფარული. ტბაში ბინადრობს საქართველოს

[8] გამოთვლილია გის-ში, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებზე დაყრდნობით

წითელ წიგნში შესული მცირეაზიური ტრიტონი და კალმახი. (ტურიზმის გეოინფორმაციული ცენტრი – TravelGIS, 2017)

ნადარბაზევის წყალსაცავი (იხ. სურათი N3) მდებარეობს გორის მუნიციპალიტეტში, კვერნაქის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, ზ. დ.-დან 855,9 მეტრზე. წყალსაცავის სარკის ფართობი შეადგენს 0,58 კმ²-ს, უდიდესი სიღრმე უდრის 1,8 მ-ს, საშუალო სიღრმეა 1,5 მ. წყალსაცავი შეიქმნა ყოფილი ნადარბაზევის ტბის ადგილას. წყალი იტუმბება მდინარე მტკვრიდან. (აფხაზავა, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, (ტ. 7), 1984) ამჟამად ტბა კერძო საკუთრებაშია გადაცემული. ტბა მდიდარია თევზით. ბინადრობს კარჩხანა, კობრი, თეთრი ამური. ტბა ძალიან პოპულარულია სამოყვარულო და სპორტული თევზჭერის თვალსაზრისით. ნადარბაზევის ტბაზე 2013 წელს პირველად საქართველოში ჩატარდა „საქართველოს თასი ფიდერით სპორტულ თევზჭერაში“. ტბის მიმდებარედ შესაძლებელია საბანაკო ადგილის მოწყობა. (Sportfishing.ge, 2017)

ზონკარის წყალსაცავი კომპლექსური დანიშნულების წყალსაცავია გორის მუნიციპალიტეტში, მდინარე დიდი ლიახვის მარცხენა შენაკადის — პატარა ლიახვის ხეობაში, ზღვის დონიდან 1 217,8 მ სიმაღლეზე. წყალსაცავის სარკის ფართობი 0,98 კმ²-ა.[9] წყალსაცავი გამოიყენება მელიორაციის, ირიგაციისა და რეგიონისთვის სასმელი წყლის მიწოდების მიზნით. (ქართული ვიკიპედია, 2015)

შიდა ქართლის კონტროლირებად ტერიტორიაზე, ცენტრალური მაგისტრალის გასწვრივ წარმოდგენილია 20-მდე მცირე ზომის ხელოვნური თუ ბუნებრივი წყალსატევი, რომელთა დიდი ნაწილი თევზჭერის მიზნით გამოიყენება. (Sportfishing.ge, 2017)

შიდა ქართლი მდიდარია სამკურნალო-მინერალური წყლებით. მის ტერიტორიაზე 26 მინერალური წყლის რესურსია, რომელიც შედარებით კარგადაა შესწავლილი.[10] (იხ. რუკა N9) მინერალური წყლებიდან 6 ჭაბურღილით მოიპოვება, ხოლო დანარჩენი ბუნებრივი წყაროა. წყლის ტიპის მიხედვით ყველაზე მეტად ანიონურ შემადგენლობაში გავრცელებულია ქლორიდული და ჰიდროკარბონატული, ხოლო

[9] გამოთვლილია გის-ში, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებზე დაყრდნობით
[10] აქედან 15 მინერალური წყლის რესურსი რეგიონის ოკუპირებულ ნაწილზეა მოქცეული

კათიუნურ შემადგენლობაში ნატრიუმიანი წყლები. მინერალური წყლების გავრცელების არეალს უმეტესად დიდი ლიახვის ხეობა, მტკვრის ხეობის დასავლეთ ნაწილი და თრიალეთის ქედი წარმოადგენს. წყლის ტემპერატურის მიხედვით რეგიონის ჩრდილოეთში (ანუ ოკუპირებულ ნაწილში) ყველა მინერალური წყალი გარდა ერთისა (ხეითში) ცივია (20°C-მდე), ხოლო ყველა სხვა თბილი (21-35°C-მდე) და ცხელი (36°C და ზევით) მინერალური წყალი რეგიონის სამხრეთ ნაწილშია. რეგიონის კონტროლირებად ტერიტორიაზე მინერალური წყლები წარმოდგენილია შემდეგ დასახლებებში: აგარაში (ცხელი), ბიისში (თბილი; ფთორის მიკროკომპონენტით), გორიჯვარში (თბილი), კავთისხევში (თბილი; ბრომის და იოდის მიკროკომპონენტით), ლოშკინეთში (ცივი), მიწობში (ცხელი; ფთორის მიკროკომპონენტით), ქვიშხეთში (თბილი), სურამში (ცივი; რკინის მიკროკომპონენტით), ტყემლოვანაში (ცივი), ხოვლეში (ცივი) და ხვედურეთში (ცხელი). (ლიპარტელიანი & ნინიკაშვილი, 2014)

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ რეგიონი მდიდარია სამდინარო ქსელით, თუმცა ტბების სიმრავლით არ გამოირჩევა. მდინარეებისა და წყალსატევების დიდი ნაწილი გამოიყენება სამელიორაციო, საირიგაციო, სასმელი წყლის და თევზჭერის დანიშნულებით, თუმცა შესაძლებელია მათი ნაწილის რეკრეაციული დანიშნულებით გამოყენებაც. მთის მდინარეების ნაწილი ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნას გამაგრილებელი, ღია ცის ქვეშ აბაზანების მისაღებად. აგრეთვე, მინერალურ წყაროებზე შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის შემდეგ შეიძლება გამაჯანსაღებელი მიმართულების უკეთ განვითარებაც.

1.1.6 ფლორა და ფაუნა

მცენარეთა ფორმაციებს შორის, უპირველესი და უდიდესი მნიშვნელობით ტყე გამოირჩევა, რომელიც ერთ-ერთ ეროვნულ სიმდიდრედ ითვლება. (კეცხოველი, 1960)

ტყე ამდიდრებს ჰაერს ადამიანისთვის საჭირო ნივთიერებებით. ჟანგბადი ტყის ჰაერში უფრო მეტია, ვიდრე უტყეო ადგილებში. ასევე, ფისოვანი ნივთიერებების სურნელება აღიზიანებს სასუნთქ ორგანოებს, რაც ინტენსიურ სუნთქვას იწვევს. ფიჭვი, მუხა და სხვა მცენარეები გამოყოფს ფოტონციდებს, რომელნიც სხვადასხვა მიკრობებს ანადგურებენ ან ანელებენ მათ განვითარებას; გარდა ამისა, ტყე ხელს უწყობს სხვადასხვა

სამკურნალო წყლების არსებობას და სხვა მრავალი სიკეთეც მოაქვს. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წიწვიან ტყეებს. (კეცხოველი, 1960, გვ. 341)

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებზე დაყრდნობით,[11] შიდა ქართლის ტყის საფარი რეგიონის ტერიტორიის 41,6%-ს (2 368,2 კმ²) მოიცავს, აქედან 19,6% (1 118,4 კმ²) ოკუპირებულ ტერიტორიაზეა. რეგიონში უმეტესად მთის ტყეა წარმოდგენილი. თრიალეთისა და ლიხის ქედებზე ტყე დაახლოებით 800 მეტრიდან და ზევით არის გავრცელებული, ხოლო რეგიონის ჩრდილოეთ ნაწილში — 1 100 მეტრიდან და ზევით. ტყის მცირე მონაკვეთებია წარმოდგენილი შიდა ქართლის ვაკეზე (დაახ. 29 კმ²), კვერნაქის ქედის ფერდობებზე (33 კმ²) და შიდა ქართლის ვაკის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე დაბალმთიანეთზე (47,7 კმ²).

გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დეპარტამენტის 25 000-იანი მასშტაბის გაციფრულებულ ტოპოგრაფიულ რუკაზე დაფუძნებული მონაცემების მიხედვით,[12] რეგიონში ყველაზე მეტად გავრცელებულია ფოთლოვანი ტყეები, შემდეგ შერეული ტყეები, ფოთლოვანი ხეების უმრავლესობით, შემდეგ შერეული ტყეები წიწვოვანი ხეების უმრავლესობით და ბოლო ადგილზე მხოლოდ წიწვოვანი ტყეებია. (იხ. რუკა N10)

შიდა ქართლის კონტროლირებად ტერიტორიაზე წიწვოვანი ტყეების შედარებით ფართო არეალები გავრცელებულია მხოლოდ მდინარეების ტანასა და თეძმის ზედა წელში. უნდა აღინიშნოს, რომ ტანას ხეობაში წიწვნარი განსაკუთრებით გაიჩეხა XIX საუკუნის 80-იან წლებში, როდესაც ხეობის ტყეები მისმა მფლობელებმა გერმანელ მრეწველს ვინმე ზეზემანს მიჰყიდეს, რომელმაც ხეობაში ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა გაიყვანა და ოციოდე წელიწადში ხეობის შესანიშნავი ფიჭვნარები, ნაძვნარები და სოჭნარები პირწმინდად გადაჩეხა. (კეცხოველი, 1960, გვ. 339) თრიალეთის ქედის მდინარეების სხვა ხეობებში ჭარბობს შერეული წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყეები.

შიდა ქართლის მეორე არე სადაც წარმოდგენილია მხოლოდ წიწვოვანი და შერეული, წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყეები მდ. დიდი ლიახვის ზედა წელში (სოფ. პატარა გუფთადან ჩრდილოეთით) და მდ. ქეშელთას აუზშია. რეგიონის დანარჩენ ნაწილში ძირითადად წარმოდგენილია მხოლოდ ფოთლოვანი ტყეები.

---

[11] არასრული მონაცემის გამო, სატელიტურ რუკაზე დაყრდნობით პირადად მომიწია მდ. მეჯუდას ხეობისა და პატარა ლიახვის ხეობის ნაწილის ტყის საფარის ამოხაზვა

[12] მონაცემი აღებულია ტყის საფარით დაფარული 736 წერტილოვანი ლოკაციის აციფრვით

შიდა ქართლის ტყეებში, ხის ჯიშებიდან, გავრცელებით მოწინავე ადგილზეა წიფელი, შემდეგ რცხილა, მუხა, ნაძვი, ფიჭვი, არყი და სოჭი. ძალიან მცირე გავრცელებით წარმოდგენილია ასევე ვერხვი, მურყანი, ჭადარი და ნეკერჩხალიც.

მუხნარი და შერეული მუხნარი ტყეები რეგიონის ტერიტორიაზე უმეტესად წარმოდგენილია მთების ქვედა ზოლში, კერძოდ მდინარეების ძამასა და ტანას შორის, ლიხის ქედის ცენტრალურ ნაწილში, ქ. ცხინვალის გარშემო და მდ. პატარა ლიახვისა და მეჯუდას აუზის მთიან ნაწილში.

ფიჭვნარი და შერეული ფიჭვნარი ტყეები გავრცელებულია ძამის ზედა წელის ხეობის აღმოსავლეთ ნაწილზე, ტანას ზედა წელის ხეობაში, თეძმის ზედა წელის ხეობაში, კავთურის შენაკად გავაზურისწყლის ხეობაში და დიდი ლიახვის ხეობის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში (სოფ. ზღუბირის გარშემო).

ნაძვნარი და შერეული ნაძვნარი ტყეები გავრცელებულია ხაშურის მუნიციპალიტეტის სამხრეთ მთიანეთში, ძამის ზედა წელის აუზში, ტანას სათავეებთან და მისი შუა წელის აუზის აღმოსავლეთ ნაწილში, მცირე არეალები წარმოდგენილია თეძმის, ქეშელთას (აღმოსავლეთ ნაწილზე) და დიდი ლიახვის (ზედა წელი) ხეობებშიც.

სოჭნარი და შერეული სოჭნარი ტყეები რეგიონის მხოლოდ ჩრდილოეთ ნაწილში, დიდი ლიახვის ზემო წელის აუზშია (პატარა გუფთადან ჩრდილოეთით) გავრცელებული.

შიდა ქართლის ტერიტორიაზე 766 დასახლებული პუნქტიდან[13] 573 ტყის საფარით დაფარული არეებიდან 1 კილომეტრით ან უფრო ნაკლებით არის დაშორებული. ასეთ ზონაში განსაკუთრებით დიდ დასახლებებს წარმოადგენენ: ხაშური, სურამი, ხიდისთავი, ტყვიავი, ქვიშხეთი, აღაიანი, ხოვლე.

შიდა ქართლის ფაუნა მრავალფეროვანია, თუმცა ის საკმაოდ გარდაქმნილი (განსაკუთრებით ბარში) და გაღარიბებულია. საგრძნობლად შემცირებულია მაჩვის, მელას, კურდღლის სახეობები. მთის ფაუნა შედარებით კარგადაა შემონახული. აქ ბინადრობს ჯიხვი, არჩვი, კავკასიური შურთხი, ალპური ტოროლა, ორბი და ბატკანძერა, იშვიათად მთის არწივიც. ტყეში ბინადრობს გარეული ღორი, შველი, წავი, ტყისა და თეთრყელა კვერნა, მურა დათვი, მგელი. ფრინველებიდან ტყეში ბუდობს კავკასიური

[13] მათ შორის მიტოვებული სოფლების ჩათვლითაც

როჭო, ჩხიკვი, ოფოფი, კოდალა, შოშია, ქორი, მიმინო, შევარდენი. იხტიოფაუნიდან მდინარეებში ბინადრობს კალმახი, ხრამული, წვერა, ლოქო, მურწა და ღორჯო. მრავლადაა ამფიბიები ტბის ბაყაყი, გომბეშო, ვასაკა, ტრიტონი. (ალფენიძე, 2012, გვ. 145-146)

საერთო ჯამში შიძლება ითქვას, რომ რეგიონის ფლორა და ფაუნა ტურისტულად მიმზიდველია. როგორც ტყის საფარი, ისე ფაუნის წარმომადგენლები შედარებით კარგად შენარჩუნებული უმეტესად მთიან ზონაშია. რეგიონის ფლორისა და ფაუნის რესურსების გამოყენება შესაძლებელია, როგორც რეკრეაციისთვის, ისე ცხოველებზე და ფრინველებზე დაკვირვებისთვის, ფოტო ნადირობისთვის, სპორტული თევზჭერისთვის. დადებით მხარედ შეიძლება ასევე ჩაითვალოს ის, რომ ასეთი არეები ადვილად ხელმისაწვდომია და არც ისე შორ დისტანციაზეა რეგიონის ცენტრალური ნაწილიდან, სადაც თავმოყრილია სხვადასხვა სერვისები და კომუნიკაციური საშუალებები.

1.1.7 დაცული ტერიტორიები და ბუნების ძეგლები

შიდა ქართლის ტერიტორიაზე ორი დაცული ტერიტორიაა წარმოდგენილი — ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მცირე ნაწილი და ლიახვის სახელმწიფო ნაკრძალი. (დაცული ტერიტორიების სააგენტო, 2017) ასევე, Google Map-ის რუკაზე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ განთავსებული მონაცემების მიხედვით, რეგიონის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მონიშნულია თრიალეთის გეგმარებითი ეროვნული პარკის საზღვრები, თუმცა პარკის შესახებ სხვა მონაცემები უცნობია. (Google Maps, 2017)

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი საქართველოს ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს და მისი ტერიტორია 6 მუნიციპალიტეტს (ბორჯომის, ხარაგაულის, ახალციხის, ადიგენის, ხაშურის და ბაღდათის) მოიცავს. ეროვნული პარკის საერთო ფართობი 1 070,83 კმ²-ს შეადგენს, ხოლო შიდა ქართლის ტერიტორიაზე მდებარე ნაწილისა — 17,6 კმ²-ს.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტურისტული მარშრუტების ქსელი ერთი და მრავალდღიანი ლაშქრობების საშუალებას იძლევა. ტურისტული მარშრუტების ქსელი 400 მ-დან 2 642 მ-ს აღწევს. ბილიკები მარკირებული და

კეთილმოწყობილია. ბილიკების გასწვრივ მოწყობილია ტურისტული თავშესაფრები, საპიკნიკე და საკარვე ადგილები. ასევე გამოყოფილია ადგილები ცეცხლის დასანთებად. ეროვნული პარკი ვიზიტორებს სალაშქრო, საცხენოსნო, ველო, კულტურულ და საგანმანათლებლო ტურებს სთავაზობს. ეროვნული პარკის ადმინისტრაციული და ვიზიტორთა ცენტრები განლაგებულია ბორჯომსა და ხარაგაულში. (დაცული ტერიტორიების სააგენტო, 2017)

იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ ეროვნული პარკის ძალიან მცირე ტერიტორია ხვდება შიდა ქართლის ნაწილზე, მის ტერიტორიაზე რაიმე სახის ტურისტული მარშრუტი ამჟამად შემუშავებული არაა, თუმცა სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია „ხელუხლებელი ტყის“ ბილიკის საწყისი ლოკაციის შეცვლა (ან გამრავალფეროვნება) და მარშრუტის ზანავის ნაცვლად ქვიშხეთიდან ან ტაშისკარიდან განხორციელება.

ლიახვის სახელმწიფო ნაკრძალი 1977 წელს შეიქმნა სუბალპური ტყეების დასაცავად, ის გორის მუნიციპალიტეტის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, მდ. პატარა ლიახვის ზემო წელში მდებარეობს. (იხ. სურათი N4) მისი ფართობი 63.9 კმ²-ს შეადგენს.

ლიახვის ნაკრძალში დაცულია აღმოსავლეთ კავკასიონის სამხრეთული კალთებისთვის დამახასიათებელი მთისა და მაღალმთის მცენარეულობა (მუხნარები, წიფლნარები, რცხილნარები). სუბალპური სარტყლის ტყეებში არყი დომინირებს, უფრო მაღლა კი მაღალმთის ბოკვიანები და სუბალპური ბუჩქნარები.

ნაკრძალის მდინარეებში — პატარა ლიახვში და მის შენაკადებში უხვად მოიპოვე კალმახი.

ნაკრძალის ორნითოფაუნა ძალზე მდიდარია. ნაკრძალში ბუდობს იშვიათი მთის არწივი და სხვა მრავალი ფრინველის სახეობა: კაკაჩა, ქორი, მიმინო, ალალი, ტყის ბუ, ჭოტი, ზარნაშო, კოდალა, შაშვი, ბოლოქანქარა, ყორანი და ა.შ.

კურდღელსა და მელას ნაკრძალის ნებისმიერ სიმაღლეზე შევხვდებით, არის მგელიც, კლდის და ტყის კვერნები, სინდიოფალა. ნაკრძალში ასევე ბინადრობს მურა დათვის დიდი და სტაბილური პოპულაცია, რომელთა კვალიც ნაკრძალში შეიძლება ყველგან — ტყეშიც და ალპურ ზონაშიც ნახოთ.

ნაკრძალში ასევე ბინადრობდა კეთილშობილი ირემიც, თუმცა ამ ცხოველის დღევანდელ მდგომარეობაზე ცნობები არ არის. ნაკრძალის ტერიტორიაზე გხვდება გარეული ღორი და შველიც, ხოლო ალპურ ზონაში არჩვები. (ქიქოძე & გოხელაშვილი, 2007)

ამჟამად ნაკრძალი ოკუპირებულია რუსეთის სამხედრო ნაწილების მიერ და იქ რაიმე სახის ტურისტულ-რეკრეაციული საქმიანობის განხორციელება შეზღუდულია.

გარდა ზემოაღნიშნული დაცული ტერიტორიებისა, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) მიერ შემუშავებული „კავკასიის ეკორეგიონის საკონსერვაციო გეგმის“ თანახმად შიდა ქართლის ტერიტორიაზე წარმოდგენილია ველური ბუნების ორი ეკო-კორიდორი და ერთი პრიორიტეტული საკონსერვაციო ზონა კვერნაქის ქედზე.

შიდა ქართლის ეკო-კორიდორებს საკმაოდ ვრცელი ტერიტორია უკავიათ. პირველი მათგანი ველური ბუნების წარმომადგენლების რაჭის გეგმარებითი დაცული ტერიტორიიდან ლიხის ქედის გავლით ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკთან დასაკავშირებლად ვრცელდება, ხოლო მეორე ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის — ალგეთის ეროვნულ პარკთან. (World Wide Fund For Nature, 2012)

კვერნაქის ქედზე მონიშნული პრიორიტეტული საკონსერვაციო ზონა შემუშავებულია ისეთი სახეობების ბუნებრივი გარემოს საკონსერვაციოდ, როგორიც ბეგობის არწივი, ღალღა, ხმელთაშუაზღვიური კუ და მცირე ცხვირნალა ღამურაა. (Ecologic Institute EU, 2005)

ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის და საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს რეკომენდაციულ და საფინანსო დონეზე აქტიური თანამშრომლობიდან გამომდინარე, მომავალში დიდი ალბათობით კვერნაქის პრიორიტეტულ საკონსერვაციო ზონაში გარკვეული სახის დაცული ტერიტორია შეიქმნება. (Ipress.ge, 2016) (იხ. რუკა N11)

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად შიდა ქართლის ერთადერთი ვრცელი დაცული ტერიტორია ტურისტული მიზნით არ/ვერ გამოიყენება, ხოლო ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი ძალიან მცირედ არის წარმოდგენილი, რაც შესაბამისი საქმიანობის განვითარების აზრს კარგავს. თუმცა, რეგიონის მთიანეთის ბუნებრივი სიმდიდრე და ქვეყანაში დაცული ტერიტორიების მუდმივი განვითარების

პროცესი რეგიონს გარკვეულ პერსპექტივას მაინც უსახავს, კერძოდ მომავალში ალგეთის ეროვნული პარკის განვრცობით ან თრიალეთის ეროვნული პარკის შექმნით.

შიდა ქართლი ბუნების ძეგლებით ერთ-ერთი უმდიდრესი რეგიონია. უკიდურეს ჩრდილოეთით ფართოდაა გავრცელებული მყინვარების მიერ გადაადგილებული დიდი ლოდები. ამ მხრივ გამოირჩევა ერმანის რამდენიმე ერატიკული[14] ლოდი, რომლებიც ეფუზიური[15] ქანებისგან შედგება. კვერნაქის ქედზე გვხვდება წვიმისა და ქარის მოქმედების შედეგად წარმოქმნილი რელიეფის ფსევდოკარსტული (ბუნებრივი კამარა, ქვაბისებური ჩაღმავებები) ფორმები. აღსანიშნავია, ცხინვალის მიდამოებში არსებული საბაწმინდის ბუნებრივი საყინულე და დიდი და პატარა ლიახვის აუზებში გავრცელებული ტრავერტინები. (ალფენიძე, 2012, გვ. 146)

1.2 შიდა ქართლის ანთროპოგენური ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები

შიდა ქართლის რეგიონი საკმაოდ მდიდარია სხვადასხვა სახის ანთროპოგენური ტურისტულ-რეკრეაციული რესურსებით რაც ამ რეგიონის მდიდარი კულტურული ისტორიის დამსახურებაა.

რეგიონში ადამიანთა ცხოვრების უძველესი კვალი აღმოჩენილია სოფ. ლამისყანაში და მდინარეების კავთურასა და თეძამს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე, სადაც რამდენიმე ადგილას დადასტურდა პალეოლითური იარაღები. გასული საუკუნის ბოლოს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებით ასევე აღმოჩენილია ადრესამიწათმოქმედო ძეგლები სოფლების ბებნისისა და ხელთუბნის მახლობლად.

შიდა ქართლის ტერიტორია ინტენსიურად იყო დასახლებული ადრინდელი ბრინჯაოს ხანიდან (ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისი). მოსახლეობა ცხოვრობდა „გორებზე (მაგ. ხიზაანთ გორა და ქვაცხელები სოფ. ურბნისსთან).

ადრინდელ ბრინჯაოს ხანაში შიდა ქართლში ყალიბდება „მტკვარ-არაქსის“ კულტურის ორიგინალური ვარიანტი.

გვიანდელ ბრინჯაოს ხანაში შიდა ქართლში ყალიბდება განსხვავებული არქეოლოგიური კულტურა, რომელზეც დიდ გავლენას ახდენს დასავლურ ქართული,

[14] ლათინურიდან: erraticus — მოხეტიალე
[15] ლათინურიდან: effusio — ამონთხევა

კერძოდ კოლხური კულტურა. შიდა ქართლის ტერიტორიაზე ხდებოდა აღმოსავლურ და დასავლურ ქართულ კულტურათა შეხვედრა (გამდლისწყაროსა და რენეს არქეოლოგიური ძეგლები).

ადრინდელი ანტიკური ხანისათვის აღმოსავლეთ საქართველოში შეიქმნა რამდენიმე სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი. ერთ-ერთი მათგანი წარმოიშვა შიდა ქართლშიც (ზენა სოფელი). მისი ცენტრი უფლისციხის მიდამოებში უნდა ყოფილიყო. ძველი ქართული ქრონიკა გარდა უფლისციხისა, შიდა ქართლის ტერიტორიაზე ამავე ხანის მნიშვნელოვან ცენტრად ასახელებს ასევე ურბნისსაც.

რეგიონის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ადრინდელი ელინისტური ხანის ქალაქური ტიპის მნიშვნელოვანი დასახლებები — აღაიანი და ციხიაგორა. ელინისტური ხანის ფენები ასევე გამოვლენილია ურბნისის ნაქალაქარზე და გორის ციხეზე.

შიდა ქართლის ტერიტორიაზე ელინისტური ხანის მრავალრიცხოვანი მონეტების აღმოჩენა მოწმობს იბერიის ინტენსიურ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობას გარე სამყაროსთან. აქ ჭრიდნენ ალექსანდრე მაკედონელის ოქროს მონეტების მინაბაძებს — იბერიულ სტატერებს; აღმოჩენილია ელინისტური ეგვიპტის მმართველის პტოლემე ფილოპატორის სპილენძის, სელევკიდების სირიის მეფეების სპილენძის, სინოპის საქალაქო და გვიანდელი ელინისტური ხანის პართიის მონეტები.

ანტიკური ხანის ავტორთა ცნობები და არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული მასალები მოწმობენ, რომ ანტიკურ ხანაში ინდოეთისა და დასავლეთ ევროპის დამაკავშირებელი სავაჭრო-სატრანზიტო გზის ერთი მონაკვეთი გადიოდა სამხრეთ კავკასიაზე, კერძოდ შიდა ქართლზე. ეს გზა მტკვრის ორივე ნაპირს მიუყვებოდა, თუმცა უპირატესობა ეძლეოდა მარცხენა ნაპირზე გამავალ გზას. იგი გაივლიდა სამთავისს, გორს, ურბნისს, რუისს.

რომაული ხანის შიდა ქართლის არქეოლოგიურ ძეგლთაგან განსაკუთრებით აღსანიშნია სოფელ არადეთთან დედოფლის მინდორზე აღმოჩენილი ძვ. წ. I საუკუნის დიდი სატაძრო კომპლექსი, რომელიც გარკვეული თავლსაზრისით აქემენიდური ხანის სუზის და სელევკიდური ხანის პერსეპოლისის ტაძრების ანალოგიურია, მაგრამ მთელი რიგი თავისებურებებითაც ხასიათდება. (დოლიძე, კინწურაშვილი, სიდამონიძე, & ცქიტიშვილი, 1990, გვ. 12-16)

გაქრისტიანების შემდეგ, საქართველოში ისევე როგორც ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში გავრცელდა საეკლესიო ნაგებობათა ორი უმთავრესი სახეობა: წაგრძელებული უგუმბათო შენობები (ერთნავიანი-დარბაზეული, ბაზილიკა, სამეკლესიიანი ბაზილიკა) და ცენტრალურ-გუმბათოვანი შენობები.

რეგიონში უძველესი ბაზილიკური ეკლესიების ნიმუშებია ურბნისის სიონი (VI ს.), რკონის მონასტრის მთავარი ეკლესია და ატენის ხეობის ვერეს ეკლესია (VII ს.). სამეკლესიანი ბაზილიკა — კატაულას წმ. გიორგის ეკლესია (VIII ს.) შემორჩენილია კავთისხევში.

გუმბათოვან ეკლესიათაგან ერთ-ერთი უძველესია ე.წ. „თავისუფალი ჯვრის“ ტიპის ეკლესიები. რეგიონში აღსანიშნავია იდლეთის ნათლისმცემლის ეკლესია (VI ს.), მეჯვრისხევის ღვთისშობლის ეკლესია, თხოთის წმ. ნინოს ეკლესია (VII-VIII სს.). ასეთი ტიპის სრულყოფილი ნიმუშია სამწვერისის ეკლესია (VII ს.). (დოლიძე, კინწურაშვილი, სიდამონიძე, & ცქიტიშვილი, 1990, გვ. 18)

1.2.1 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის მაისის მონაცემებზე დაყრდნობით შიდა ქართლის ტერიტორიაზე 1 349 უძრავი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია. აქედან 118 ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიისაა.[16]

მუნიციპალიტეტების მიხედვით კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რაოდენობით განსაკუთრებით მდიდარია კასპის (3,5 ძ/10კმ²) მუნიციპალიტეტი, ხოლო მის შემდეგ მოდის გორის (2,9 ძ/10კმ²), ქარელის (1,9 ძ/10კმ²), ჯავის (1,2 ძ/10კმ²) და ხაშურის (0,9 ძ/10კმ²) მუნიციპალიტეტები. თითქმის იგივე თანმიმდევრულობაა დაცული ეროვნული მნიშვნელობის ძეგლების რაოდენობის მხრივაც: კასპის მუნიციპალიტეტი (0,57 ძ/10კმ²), გორის მ. (0,2 ძ/10კმ²), ქარელის მ. (0,18 ძ/10კმ²), ხაშურის მ. (0,1 ძ/10კმ²) და ჯავის მუნიციპალიტეტში არცერთი.[15]

რეგიონის ტერიტორიაზე ძეგლები არათანაბრადაა გადანაწილებული და მათი განლაგება რამდენიმე მჭიდრო ბირთვს ქმნის. (იხ. რუკა N12)

[16] გამოთვლებში შეყვანილია მხოლოდ კოორდინატების მქონე ძეგლები

რუკა N12-ზე ასახული მონაცემების მიხედვით, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მაღალი სიმჭიდროვით გამოირჩევა ქალაქი გორი, სამთავისი-ქვემო ჭალის ზონა, ახალქალაქი-ახალციხის ზონა, კავთისხევი-წინარეხის ზონა, ბალთა-ყორნისი-ქვემო ძაღინას ზონა, ცხინვალი-ქემერტის ზონა, დიცი-მერეთი-ქსუისის ზონა. შედარებით ზომიერი სიმჭიდროვე გხვდება დიდ ატენთან, ქვახვრელთან, ხოვლესთან, რკონთან, დიდი მეჯვრისხევი-არცევი-დიდი ღრომის ზონაში, შინდისსთან, ბელოთთან, ჯავასთან, შუა როკასთან, ედისასთან, ახალისა-თელაგინას ზონაში, ნულთან. საშუალო სიმჭიდროვეა ხაშური-სურამის ზონაში, ზღუდერი-გვერძინეთის, ალი-დიდი ფლევის ზონაში, არადეთთან, რუის-ურბნისის ზონაში, სკრაში, დვალიანთკართან, ინაურთან, ვანელთან. რეგიონის დანარჩენი ზონა ძეგლთა შედარებით დაბალი სიმჭიდროვით ხასიათდება.

აღნიშნული მონაცემი საშუალებს იძლევა განისაზღვროს თუ რომელი მიმართულებები შეიძლება იყოს მნახველებისთვის ყველაზე მრავალფეროვანი და ტერიტორიულ ჭრილში ოპტიმალური.

რეგიონის ტერიტორიაზე არსებული 1 349 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლიდან, რუსეთის მიერ ოკუპირებულ ნაწილზე 551 ძეგლია (40,8%) მოხვედრილი, აქედან 13 ეროვნული მნიშვნელობისაა.[17]

შიდა ქართლის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარე უმნიშვნელოვანესი ძეგლებია: თიღვის სამონასტრო კომპლექსი (1152 წ.), თირის სამონასტრო კომპლექსი (XIII ს.), აჩაბეთის ციხე-დარბაზი, საბაწმინდის მონასტერი, ერედვის წმ. გიორგის ეკლესიის კომპლექსი (X ს.), იკორთის გუმბათოვანი ტაძრის კომპლექსი (1172 წ.), ბიეთის მონასტერი (IX ს.), აწრისხევის ციხე (XVIII ს.), დისევის ძელიცხოვლის ეკლესია (X ს.), ვანათის ციხე (XIV-XV სს.), კეხვის ციხე და დედაღვთისას ეკლესია. (გამყრელიძე, 2013)

შიდა ქართლის კონტროლირებად ტერიტორიაზე წარმოდგენილი ეროვნული მნიშვნელობის ძეგლებიდან განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებენ შემდეგნი:

უფლისციხის კომპლექსი — კლდეში ნაკვეთი ნაქალაქარი, არქიტექტურული, არქეოლოგიური და ისტორიული ძეგლი. კავკასიის ერთ-ერთი უძველესი დასახლება და საქალაქო ცენტრი. მდებარეობს ქ. გორის აღმოსავლეთით მე-10 კმ-ზე, მდინარე მტკვრის

[17] გამოთვლებში შეყვანილია მხოლოდ კოორდინატების მქონე ძეგლები

მარცხენა ნაპირზე. გამოკვეთილია კვერნაქის ქედის სამხრეთ ფერდობებზე. ფართობი შეადგენს 9,5 ჰა-ს. უფლისციხე სამი უბნისაგან შედგება და შეიცავს ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებისა და ანტიკური ხანის შიდა ქალაქისათვის დამახასიათებელ კომპონენტებს: ზღუდეს, თხრილს, რამდენიმე შესასვლელს, გვირაბს, წყალსადენს, წყალსაწრეტი არხების ქსელს.

უფლისციხის შესახებ ცნობები წერილობით წყაროებში პირველად VII საუკუნეში გვხვდება.

უფლისციხისა და მისი გარეუბნის მეურნეობაზე გარკვეულ წარმოდგენებს იძლევა არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილი აგრარული კულტების სალოცავი, კლდეში ნაკვეთი საწნახელები, ვაზის სასხლავი დანები, რკინის სახნისი, კევრები, რიტუალური დანიშნულების ნივთები, ოქროს, ვერცხლის, რკინის, ძვლის, ქვის, თიხის, სამკაულები, ქანდაკებები და სხვა. ხელოსნური ნაწარმის სიმრავლე, მრავალფეროვნება და მხატვრული სინატიფე უფლისციხეს უძველესი დროის ხელოსნური წარმოების მნიშვნელოვან ცენტრად წარმოაჩენს.

პირველი მოსახლეები უფლისციხის კლდეებში ძვ. წ. II და I ათასწლეულების მიჯნაზე გამოჩნდნენ. ძვ. წ. X-VI საუკუნეებში უფლისციხე შიდა ქართლის გაბატონებული თემის საცხოვრისი და სატომო გაერთიანების ბელადის (უფლის) ციხეა, როგორც ვარაუდობენ ძეგლის ამჟამინდელი დასახელებაც სწორედ აქედან წარმოიშვა. ძვ. წ. VI-V საუკუნეებში უფლისციხე უკვე რეგიონის უძლიერესი პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული ცენტრი გახდა და დიდხანს სამეფო ქალაქიც იყო.

მომდევნო საუკუნეებშიც ქალაქი კვლავ განაგრძობდა აქტიურ განვითარებას და რეგიონის ცენტრად ყოფნას.

საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ (IV ს.-ის 30-იანი წლები) უფლისციხეში საქალაქო ცხოვრება დაქვეითდა, მაგრამ ფეოდალურ ხანაში იგი მაინც დარჩა უძლიერეს ციხე-სიმაგრედ.

ნაქალაქარში შემორჩენილია სხვადასხვა დროის კლდეში ნაკვეთი დარბაზები, ტაძრები, სათავსები და ცალკეული ნაგებობები.

ანტიკური ხანის კლდეში ნაკვეთი დარბაზები და ნაგებობები გამოირჩევა დიდი ზომებით, გეგმარებისა და არქიტექტურული ფორმების გეომეტრიული სიზუსტით, მორთულობის მაღალმხატვრული შესრულებით.

უფლისციხეში გარდა კლდეში ნაკვეთი დარბაზებისა შემორჩენილია ჩვეულებრივი წესით ნაშენ ნაგებობათა ნაშთებიც. ანტიკური ხანის შენობები ნაგებია კარგად გათლილი და დამუშავებული კირქვის მოზრდილი კვადრებით. ნაქალაქარის ტერიტორიაზე შემორჩენილია აგურისა და ალიზის შენობებიც. (დოლიძე, კინწურაშვილი, სიდამონიძე, & ცქიტიშვილი, 1990, გვ. 90-92)

უფლისციხის ტერიტორიაზე ასევე მდებარეობს მართლმადიდებლური ეკლესია — არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლი. იგი ქალაქის შუა უბანში, თვალსაჩინო ადგილას, ამაღლებული კლდის მასივზე დგას. თარიღდება ადრინდელი ფეოდალური ხანით. ეკლესია აშენებულია ძველი წარმართული ტაძრის ადგილზე, რაზეც მოწმობს ეკლესიის გარშემო არსებული ანტიკური ნაგებობის ნაშთები. ტაძარი აგურით ნაგები სამეკლესიიანი ბაზილიკაა, რომელიც მრავალჯერ არის გადაკეთებული. (დოლიძე, კინწურაშვილი, სიდამონიძე, & ცქიტიშვილი, 1990, გვ. 105-106)

რკონის კომპლექსი — არქიტექტურული, მონუმენტური ხელოვნების ძეგლი, მდებარეობს ნაწილობრივ კასპის და ნაწილობრივ გორის მუნიციპალიტეტში, ნასოფლარ რკონის ტერიტორიაზე, თეძმის ხეობის ზედა წელში.

რკონის კომპლექსი საუკუნეების მანძილზე მრავალჯერ გადაკეთდა. ძირითადად გამოირჩევა მშენებლობის სამი ფენა: VII ს.-ის II მეოთხედის; XIII-XIV სს.-ის მიჯნა; XVII-XVIII საუკუნეების. კომპლექსში შედის: ღვთისმშობლის ეკლესია, კარიბჭე, ეგვტერი, სამლოცველო, სატრაპეზო, კოშკი, სამრეკლო, ნათლისმცემლის ეკლესია კარიბჭით და ხიდი.

რკონის კომპლექსი გალავნით ორ მონაკვეთად იყო გაყოფილი: პირველ მონაკვეთში იყო ეკლესიები და სამრეკლო, ხოლო მეორეში — სამონასტრო, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები.

ღვთისმშობლის ეკლესია დგას კომპლექსის აღმოსავლეთ მონაკვეთში თარიღდება VII ს.-ის II მეოთხედით. ეკლესია სამნავიანი ბაზილიკაა. ეკლესიის მოხატულობა

სხვადასხვა დროსაა შესრულებული (X; XII; XVII სს.). მოხატულობა დაფრაგმენტებულია, თუმცა საკმაოდ დახვეწილი და მდიდარია.

ეკლესიას კარიბჭე XIII საუკუნის II ნახევარში მიაშენეს. იგი დასავლეთით გახსნილია განიერი თაღით. ინტერიერში კარიბჭის ცენტრალური ნაწილი უკავია გეგმით კვადრატულ, ცილინდრული გადახურვით დაფარულ ეგვტერს. დაახლოებით იმავე პერიოდისაა ეკლესიაზე სამხრეთიდან მიშენებული მცირე მოზის სამლოცველო. სამლოცველოში შემონახულია XIII-XIV საუკუნის ძლიერ დაზიანებული მოხატულობის ფრაგმენტები.

სატრაპეზო დგას ღვთისმშობლის ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით 10 მეტრზე. ძირითადი ნაწილები თარიღდება XIII-XIV საუკუნეებით.

კოშკი დგას სატრაპეზოს სამხრეთ-დასავლეთით, ორმოციოდე მეტრზე და ნაგებია ნატეხი ქვით.

სამრეკლო დგას ღვთისმშობლის ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთით დაახლოებით 2 მეტრზე. იგი თარიღდება XVII-XVIII საუკუნეებით. სამრეკლო მოხატული ყოფილა იმავე პერიოდის მხატვრობით. მოხატულობის ნაწილი ჩამოცვენილია ნაწილი კი გაჭვარტლული.

ნათლისმცემლის ეკლესია ღვთისმშობლის ეკლესიიდან სამხრეთით 7 მ-ზე დგას. თარიღდება XIII-XIV საუკუნეებით. ეკლესია დარბაზეულია. ეკლესიას დასავლეთით მიშენებული აქვს კარიბჭე.

რკონის ხიდი მდებარეობს სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე. გადებულია მდინარე თეძამზე, მასზე გამავალი გზა შიდა ქართლს თრიალეთთან აკავშირებდა. ხიდის აგების თარიღად XII-XIII საუკუნეები მიიჩნევა. ხიდი შემორჩენილია თავდაპირველი სახით და საქართველოს ფეოდალური ხანის ხიდების ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია (იხ. სურათი N5) (დოლიძე, კინწურაშვილი, სიდამონიძე, & ცქიტიშვილი, 1990, გვ. 184-189)

ატენის სიონი — არქიტექტურული, მონუმენტური ხელოვნების ძეგლი, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდ ატენში. ქ. გორიდან 12 კმ-ზე, სოფლიდან მოშორებით, მდ. ტანის მარცხენა ნაპირას, ფრიალო კლდის კიდეზე. თარიღდება VII ს.-ის I ნახევრით.

ტაძარი ჯვარ-გუმბათოვანი, ტეტრაკონქის ტიპის ნაგებობაა. ტაძრის კედლებზე შემორჩენილია სხვადასხვა დროის უნიკალური ასომთავრული წარწერები და მინაწერები, რომლებში მოხსენიებული არიან ისტორიული და სხვა პირები.

ატენის სიონის ინტერიერში, ბათქაშის ჩამოცვენის შედეგად, ქვის ზედაპირზე გამოვლინდა უძველესი დეკორის ფრაგმენტები, რომლებიც არაუგვიანეს VIII ს. I ნახევარს განეკუთვნება.

ტაძრის ინტერიერი მთლიანად მოიხატა XI ს. II ნახევარში, რამდენიმე მხატვრის მიერ. გუმბათის მხატვრობა შემორჩენილია ფრაგმენტულად. ფასადებზე ასევე წარმოდგენილია ბარელიეფური დეკორაციები. (დოლიძე, კინწურაშვილი, სიდამონიძე, & ცქიტიშვილი, 1990, გვ. 55-58)

სამთავისის კომპლექსი — არქიტექტურული, ისტორიული, მონუმენტური ხელოვნების ძეგლი. მდებარეობს კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ სამთავისის ცენტრში, მდ. ლეხურას მარცხენა ნაპირზე. კომპლექსში შედის დიდი ტაძარი, გალავანი, ეპისკოპოსის პალატი, მცირე ეკლესია და სამრეკლო.

გადმოცემის თანახმად სამთავისის ტაძარი თბილისის სიონის, წილკნის, ერთაწმინდისა და მეტეხის ტაძრებთან ერთად აუგია ვახტანგ გორგასალს.

სამთავისის ძველი ეკლესიის აშენების თარიღად 472 წელი მიიჩნევა, თუმცა იმდროინდელი ნაგებობისგან აღარაფერი შემორჩა. სამთავისის ამჟამინდელი ტაძრის აგების ზუსტ თარიღს იუწყება ეკლესიის დასავლეთ კარს ზემოთ, აყვავებული ჯვრის რელიეფური გამოსახულების თავზე ამოკვეთილი ასომთავრული წარწერა. ამ წარწერით ირკვევა, რომ ტაძარი 1030 წელს აუგია სამთავნელ ეპისკოპოსს ილარიონ ვაჩეს ძე ყანჩაელს. მოგვიანებით, 1050 წელს მანვე ააშენა კათედრალისთვის განკუთვნილი მარანი და საწნახელი. გარდა XI საუკუნის წარწერებისა, სამთავისის ტაძრის ფასადებზე შემორჩენილია შედარებით გვიანდელი ხანის ეპიგრაფიული ძეგლები, რომლებიც მნიშვნელოვან ცნობებს იძლევიან ტაძრის ისტორიაზე.

ეკლესიის მხატვრობა გვიანდელია (1679 წ.), მისი რესტავრაცია ასევე ჩატარდა 1964 წელს. ეკლესია განსაკუთრებით მდიდარია ბარელიეფური დეკორაციებით. (იხ. სურათი N6) (დოლიძე, კინწურაშვილი, სიდამონიძე, & ცქიტიშვილი, 1990, გვ. 191-196)

გორის ციხე — არქიტექტურული ძეგლის ქალაქ გორის ცენტრში, კლდოვან ბორცვზე. ფერდობებზე შემორჩენილი ნანგრევები და არქეოლოგიური მონაცემები მოწმობს, რომ აქ ძვ. წ. I ათასწლეულის ბოლო საუკუნეებში ძლიერი სიმაგრე, მის გარშემო კი მოსახლეობა ყოფილა. ციხის მიწისზედა მნიშვნელოვანი ნაწილი განვითარებულ ფეოდალური ხანას განეკუთვნება, ნაწილი კი — XVII საუკუნის შუა პერიოდს.

გორის ციხე პირველად მოხსენიებულია VII საუკუნეში. იგი ნახსენებია ფეოდალური ხანის მრავალ წყაროშიც. ციხე მნიშვნელოვანი სიმაგრე იყო და მისი დაუფლება ნიშნავდა პოლიტიკურ ბატონობას მთელ შიდა ქართლზე. დღევანდელი სახე ციხემ 1774 წელს მიიღო, როცა იგი საფუძვლიანად შეაკეთა მეფე ერეკლე II-მ. ციხის სხეულიდან ყველაზე კარგად შემორჩენილია მისი დასავლეთ ნაწილი „ცხრაკარა“. (იხ. სურათი N7) (დოლიძე, კინწურაშვილი, სიდამონიძე, & ცქიტიშვილი, 1990, გვ. 36-37)

სამწევრისის კომპლექსი — არქიტექტურული ძეგლი, მდებარეობს ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ სამწევრისში. მოიცავს ციხე-დარბაზსა (ეკლესიით, დიდი კოშკით და სასახლით) და წმ. გიორგის ეკლესიას.

სამწევრისის ციხე-დარბაზი მდებარეობს სოფლის დასავლეთით, შემაღლებულ ადგილზე. თარიღდება ფეოდალური ხანით. კომპლექსის საერთო ფართობია 2 000 მ².

წმ. გიორგი ეკლესია მდებარეობს მდ. ძამის მარცხენა ნაპირზე, პატარა ბორცვზე. სტილისტური ნიშნებით თარიღდება VII ს. I მესამედით. ძეგლზე შემორჩენილია 2 წარწერა: პირველი X საუკუნისაა; მეორე XV-XVI საუკუნეების. ეკლესია თავისუფალი ჯვრის ტიპის ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა. (დოლიძე, კინწურაშვილი, სიდამონიძე, & ცქიტიშვილი, 1990, გვ. 389-390)

ურბნისის კომპლექსი — არქიტექტურული ძეგლი, მდებარეობს ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ურბნისის სამხრეთ ნაწილში და მოიცავს ურბნისის სიონსა (V-VI სს.) და სამრეკლოს (1706 წ.).

ურბნისის სიონი სამნავიანი ბაზილიკაა. ეკლესიის ინტერიერში და ფასადებზე ნათლად შეიმჩნევა პირვანდელი (VI-VII სს.-ის) და შემდგომი (IX-X სს.-ის და 1668 წ.-ის) შეკეთება აღდგენის სამშენებლო ფენები.

ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე, შუა ნავის ზედა წელში ერთადერთი დეკორატიული ელემენტია — აგურით გამოყვანილი მარტივი ჯვარი. ასეთივე ჯვარია დასავლეთის ფასადზე. (დოლიძე, კინწურაშვილი, სიდამონიძე, & ცქიტიშვილი, 1990, გვ. 400-401)

ურბნისის სიონი საქართველოს უდიდესი ბაზილიკაა. მასთან დაკავშირებულია ისეთი ცნობილი ისტორიული მოვლენა, როგორიც დავით აღმაშენებლის მიერ რუის-ურბნისის კრების მოწვევაა.

წრომის ტაძარი — არქიტექტურული და მონუმენტური ხელოვნების ძეგლი, ადრეული შუა საუკუნეების ტაძარი ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ წრომში. მდებარეობს რკინიგზის სადგურ გომიდან 3 კმ-ზე, მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, სოფლის შუაგულში. აგებულია 626-635 წლებში ქართლის ერისმთავარ სტეფანოზ II-ის დაკვეთით. წრომის ტაძარი ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა, ნაშენია კარგად გათლილი ქვიშაქვის კვადრებით. ტაძრის საკურთხევლის კონქი შემკულია VII ს.-ის I ნახ.-ის მოზაიკით, რომლის უმეტესი ნაწილი განადგურებულია (გადარჩენილი ფრაგმენტები გადატანილია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში). დღეს საკურთხეველში მხოლოდ მოზაიკის მოსამზადებელი ნახატის კონტურებია დარჩენილი. (იხ. სურათი N8) აქ წარმოდგენილია „ქრისტეს დიდების“ კომპოზიცია, რომელიც მეორე რეგისტრის გამოსახულებების გათვალისწინებით, ამაღლების თემას უკავშირდება. საკურთხევლის სარკმლის თაღში სამი მედალიონია, ცენტრალურ მედალიონში ჯვარია გამოსახული, ხოლო დანარჩენში — მარტვილთა ბიუსტები. მედალიონების ქვემოთ აკანთის ორნამენტის ზოლია. ფრესკის კოლორიტი აგებულია მოცისფრო-ფირუზისფრის, იასამნისფრის, მოყვითალო და მოვარდისფრო ფერების შეხამებაზე. ტაძრის დანარჩენი კედლები და კამარა მოუხატავი იყო.

წრომის ტაძრის არქიტექტურისთვის დამახასიათებელია ჰარმონიული პროპორციები, მასების მკაფიო წონასწორობა, ოსტატურად ნაშენი კედლის სიბრტყე და სხვა. აქ განვითარება ჰპოვა ახალმა ხუროთმოძღვრულმა პრინციპებმა, რომლებმაც ბევრად განსაზღვრეს ფეოდალური ხანის ქართული ხუროთმოძღვრების შემდგომი განვითარება. (დოლიძე, კინწურაშვილი, სიდამონიძე, & ცქიტიშვილი, 1990, გვ. 457-460)

ზემო ნიქოზის ღვთაების ტაძრის კომპლექსი — არქიტექტურული ძეგლი მდებარეობს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ნიქოზის ცენტრში, მდ. ლიახვის მარჯვენა ნაპირზე. კომპლექსში შედის სამი სხვადასხვა დროის ნაგებობა: ღვთაების ეკლესია, სამრეკლო და ეპისკოპოსის სასახლე. შემორჩენილია გალავნის ფრაგმენტებიც.

ღვთაების ეკლესია კომპლექსის ცენტრში დგას. პირველი სამშენებლო ფენა თარიღდება V-VI სს.-ით. მემატიანე ჯუანშერის ცნობით იგი ვახტანგ გორგასლის დაკვეთით აუგიათ. ეკლესია თავდაპირველად სამნავიანი ბაზილიკა იყო, თუმცა ამჟამად ჯვარ-გუმბათოვანია.

სამრეკლო დგას გალავნის ჩრდილო დასავლეთ კუთხეში თარიღდება XVI-XVII სს.-ით. ნაგებობა ორსართულიანია. დასავლეთის კედელზე ჯვრის სამი გამოსახულებაა. ფასადებზე რამდენიმე ძნელად წასაკითხი ასომთავრული წარწერაა.

ეპისკოპოსის სასახლე დგას გალავნის გარეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთით. თარიღდება X-XI სს.-ით. სასახლე გეგმით სწორკუთხაა, ორსართულიანი, ნაგებია რიყის ქვით. (დოლიძე, კინწურაშვილი, სიდამონიძე, & ცქიტიშვილი, 1990, გვ. 68)

ქვათახევის კომპლექსი — არქიტექტურული, ისტორიული, მონუმენტური ძეგლი მდებარეობს კასპის მუნიციპალიტეტში, კავთურის ხეობაში, სოფელ წინარეხიდან 5 კმ-ზე. თარიღდება XII-XIII საუკუნეების მიჯნით. ანსამბლში შედის: ეკლესია, გალავანი, კოშკი, სატრაპეზო, სამრეკლო, საცხოვრებელი სენაკები.

თავდაპირველად ქვათახევში დედათა მონასტერი ყოფილა. შემდეგ ისი მამათა მონასტრად გადაუკეთებიათ.

1854 წელს იოანე თარხან-მოურავმა ქვათახევის ეკლესია კაპიტალურად შეაკეთებინა. 1854-74 წლებში მონასტერი სამეცნიერო-საგანმანათლებო კერას წარმოადგენდა. ეკლესიის გარშემო არსებული მცირე ნაგებობანი სატრაპეზო, სამრეკლო და ბერების საცხოვრებელი სენაკები სწორედ 1854-74 წლებში აშენდა. მომდევნო სარესტავრაციო სამუშაოები კომპლექსზე 1970-75 წლებში ჩატარდა. კომპლექსის მთავარი ნაგებობა — ეკლესია, ჯვარ-გუმბათოვანია. (დოლიძე, კინწურაშვილი, სიდამონიძე, & ცქიტიშვილი, 1990, გვ. 199)

ყინწვისის კომპლექსი — არქიტექტურული, მონუმენტური ხელოვნების ძეგლი მდებარეობს ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ყინწვისის აღმოსავლეთით 2-3 კმ-ზე, ხეობაში.

კომპლექსში შედის: წმ. ნიკოლოზის, ღვთისმშობლისა და მცირე ეკლესიები, გალავანი, კოშკი-სამრეკლო.

წმ. ნიკოლოზის ეკლესია ცენტრალურგუმბათოვანი ნაგებობაა, თარიღდება XII-XIII სს.-ის მიჯნით. სამხრეთის და ჩრდილოეთის კარიბჭეები მიშენებულია XIV საუკუნეში.

ეკლესიის მოხატულობა შესრულებულია XIII ს.-ის დასაწყისში, თამარ მეფის პირველი ვეზირის ანტონ გნოლისთავისძის დაკვეთით. მოხატულობაზე უმეტესად ვხვდებით ქართულ ასომთავრულ წარწერებს და მცირედით ბერძნულს. გუმბათში გამოსახულია ძვირფასი ქვებით შემკული ჯვარი.

ტაძრის მოხატულობაში დიდი ადგილი ეთმობა დეკორატიულ ელემენტებს.

ყინწვისის მოხატულობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული და საერთოდ შუა საუკუნეების მონუმენტური მხატვრობის განვითარების ისტორიისათვის. (დოლიძე, კინწურაშვილი, სიდამონიძე, & ცქიტიშვილი, 1990, გვ. 404-407)

რუისის ტაძრის კომპლექსი — ისტორიული, არქიტექტურული, მონუმენტური ხელოვნების ძეგლი, მდებარეობს ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისის ცენტრში. კომპლექსში შედის: ღვთისმშობლის ეკლესია, კოშკი-სამრეკლო, გალავანი.

გადმოცემით რუისის ტაძარი ვახტანგ გორგასალს აუგია, თუმცა ამ პერიოდის ნაგებობას დღემდე არ მოუღწევია. ეკლესიაზე შეიმჩნევა რამდენიმე სამშენებლო ფენა. უძველესი VIII-IX სს. მიეკუთვნება. X-XI საუკუნეებში ეკლესია საფუძვლიანად შეუკეთებიათ, განუახლებიათ და მდიდრულად მოურთავთ. რაზეც მეტყველებს ეკლესიის ფასადზე არსებული წარწერები. XVI-XVII საუკუნეებში ეკლესია კვლავ აღუდგენიათ და შეუმკიათ. 1920 წელს მომხდარი მიწისძვრის შემდეგ ეკლესიას XX საუკუნეში ორჯერ ჩაუტარდა აღდგენითი სამუშაოები.

ღვთისმშობლის ტაძარი ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა. (დოლიძე, კინწურაშვილი, სიდამონიძე, & ცქიტიშვილი, 1990, გვ. 385-386)

დედოფლის მინდვრის ტაძრის კომპლექსი — არქეოლოგიური, არქიტექტურული ძეგლი მდებარეობს ქარელის მუნიციპალიტეტში, მდინარეების აღმოსავლეთ და დასავლეთ ფრონეებს შორის, სოფელ არადეთიდან დასავლეთით, 3 კმ-ზე. თარიღდება ძვ. წ. I საუკუნით.

სატაძრო კომპლექსში შედის საკულტო ნაგებობათა სისტემა — ტემენოსი, ტაძრის მსახურ-ქურუმთა საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, ტაძრის მონების დასახლებები და სამაროვნები.

ადგილი, სადაც ტემენოსი აღმოჩნდა, წმ. გიორგის ნიშის სახელითაა ცნობილი. აქ გამოვლინდა მთავარი და მცირე ტაძრები, 6 სხვა ტაძარი, კარიბჭეები და რამდენიმე სხვა ნაგებობა.

ძეგლის ტერიტორიაზე მოპოვებულია მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა: თიხის ჭურჭლის ნატეხები, კოლხური ქვევრები, ქვის ნაწარმი, ძლები, კირქვის ბომონის ფრაგმენტი, ბრინჯაოს კოლხური ცული, დოქები, მინის მძივები, ბრინჯაოს სამაჯურები, მოოქრული ქანდაკების ნატეხი, იარაღები და სხვა. (დოლიძე, კინწურაშვილი, სიდამონიძე, & ცქიტიშვილი, 1990, გვ. 363-366)

დრისის ჯავახაანთ ციხის კომპლექსი — არქიტექტურული ძეგლი, მდებარეობს კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭყოპიანის დასავლეთით 400 მ-ზე, მდ. თემმის მარცხენა ნაპირას. კომპლექსში შედის: ციხე-გალავანი; ეკლესია; კოშკი; სასახლე (დანგრეული). თარიღდება განვითარებული ფეოდალური ხანით.

კომპლექსს შემოვლებული აქვს რთული მოხაზულობის გალავანი. მშენებლებმა კლდოვანი კონცხის ყველა ნაწილი გამოიყენეს. ციხე-გალავანი ორიარუსიანია. ზედა იარუსზე, ჩრდილოეთის კოშკი დგას, სამხრეთით — მცირე ეკლესია. ზედა იარუსის კედლებში ვიწრო სათოფურებია. ქვედა იარუსზე სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები იყო. სამხრეთით იდგა ორსართულიანი სასახლე, რომელსაც ჩრდილოეთიდან ეკვროდა სამეურნეო დანიშნულების შენობა. კომპლექსის ეკლესია დარბაზეულია, ნაგებია კარგად გათლილი მწვანე ტუფის კვადრებით. ციხის სამხრეთ ნაწილში დგას ორსართულიანი ძლიერ დაზიანებული კოშკი. (იხ. სურათი N9) (დოლიძე, კინწურაშვილი, სიდამონიძე, & ცქიტიშვილი, 1990, გვ. 219-220)

ორბელიანთა სასახლის კომპლექსი — არქიტექტურული, ისტორიული ძეგლი მდებარეობს კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ლამისყანის ზემოთ, მდ. ქსნის მარჯვენა ნაპირზე, ძნელად მისადგომი მაღალი ბორცვის ფერდობზე, ანტიკური ხანის ნამოსახლარზე. კომპლექსში შედის: ციხე-გალავანი, სასახლე, წმ. გიორგის ეკლესია, მარანი და სხვა. ციხე-გალავანს მოხერხებული მდებარეობა აქვს აქედან კარგად ჩანს ქსნის ხეობის დიდი მონაკვეთი და იქ განლაგებული სოფლები და ციხეები. ჩრდილო-აღმოსავლეთით მოჩანს ქ. ახალგორი. ვარაუდობენ, რომ ციხე-გალავანი ქსნის ერისთავის ან მისი ოჯახის რომელიმე წევრის დაკვეთითაა აგებული. თარიღდება XVIII საუკუნით.

ორბელიანის სასახლე ციხის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს. იგი XIX ს. I ნახევარში მიაშენეს ციხე-გალავანს. სასახლე ორსართულიანია.

ორბელიანის სასახლის ლიტერატურულ სალონში თავს იყრიდნენ ცნობილი მოღვაწენი. აქ ხშირად ჩამოდიოდნენ, დროდადრო ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ვახტანგ ორბელიანი, ივანე ჯავახიშვილი, ცნობილი კრიტიკოსი კიტა აბაშიძე და სხვა. სასახლეში ასევე იყო ორბელინთა მდიდარი საგვარეულო ბიბლიოთეკა. (იხ. სურათი N10) (დოლიძე, კინწურაშვილი, სიდამონიძე, & ცქიტიშვილი, 1990, გვ. 174-175)

ამჟამად სასახლის კომპლექსი მოქმედებს როგორც ჯამბაკურ-ორბელიანთა სასახლე-მუზეუმი. (ბერაია, 2017)

სხვილოს ციხე-დარბაზის კომპლექსი — არქიტექტურული, ისტორიული ძეგლი მდებარეობს კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ჭალის აღმოსავლეთით, სამიოდე კილომეტრზე, მაღალი მთის კალთაზე. სტრატეგიულად ციხე0დარბას მეტად მოხერხებული მდებარეობა აქვს — იგი გაბატონებულია ტირიფონისა და მუხრანის ველების, ლეხურისა და ქსნის ხეობების შემოგარენზე და ათეული კილომეტრის სიშორიდანაც კარგად მოჩანს. კომპლექსში შედის: გალავანი, მთავარი კოშკი, კოშკი, ეკლესია, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, წყალსაცავი.

სხვილოს ციხე პირველად მემატიანეებში X ს.-ში იხსენიება. XIV-XVII საუკუნეებში ციხე ამილახვრების რეზიდენციაა. ციხე საკმაოდ მრავალი ისტორიული მოვლენის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე იყო. (დოლიძე, კინწურაშვილი, სიდამონიძე, & ცქიტიშვილი, 1990, გვ. 207)

ამილახვრების სასახლეები — არქიტექტურული, ისტორიული ძეგლი მდებარეობს სოფელ ქვემო ჭალაში მდ. ლეხურის მარცხენა ნაპირზე. აქ სამი კომპლექსია მთავარი ციხე-დარბაზი (გალავანი კოშკებით, ეკლესია, კოშკი-სამრეკლო, სასახლე), მეორე ციხე-დარბაზი (გალავანი კოშკებით, სასახლის ნანგრევები) და ამირინდო ამილახვრის ციხე-დარბაზი. მთავარი ციხე-დარბაზის ჩრდილო-აღმოსავლეთით აბანოცაა. ნაგებობები თარიღდება XVII-XVIII სს.-ით. ნაშენია ძირითადად რიყის ქვით, გამოყენებულია აგური და თლილი ქვაც. სასახლეები არაერთი ისტორიული მოვლენის მონაწილეები არიან. (დოლიძე, კინწურაშვილი, სიდამონიძე, & ცქიტიშვილი, 1990, გვ. 202)

ხცისის იოანე ნათლისმცემლის ეკლესია — არქიტექტურული ძეგლი ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხცისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 1,5 კილომეტრზე. სამშენებლო წარწერის მიხედვით ეკლესიის მშენებლობა 1002 წელს დაუწყია გურანდუხტ დედოფალთან დაახლოებულ პირს, ძლიერ ფეოდალს ანანია მთავარეპისკოპოსს.

ეკლესია დარბაზეულია, ნაგებია კარგად მოსწორებული მოყვითალო და მონაცრისფრო ქვის კვადრებით.

აღმოსავლეთ ფასადზე სამი თაღია. შუა თაღი ამაღლებულია. ასეთივე თაღებია დას. და ჩრდილოეთ ფასადებზეც. (დოლიძე, კინწურაშვილი, სიდამონიძე, & ცქიტიშვილი, 1990, გვ. 460-461)

იკვის წმ. გიორგის ეკლესია — არქიტექტურული, ისტორიული, მონუმენტური ხელოვნების ძეგლი კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ იკვში, მდ. შაბწყალას მარჯვენა ნაპირას, ტყის დაფარულ მთებში. ეკლესია თარიღდება XI საუკუნის I ნახევით.

ეკლესიის ინტერიერის მოხატულობა XI საუკუნისაა. მოხატულობა დაზიანებულია გარკვეულ მონაკვეთებზე.

ეკლესიის ფასადები მდიდრულადაა მორთული, მორთულობის მთავარ მოტივს დეკორაციული თაღები წარმოადგენს. (დოლიძე, კინწურაშვილი, სიდამონიძე, & ცქიტიშვილი, 1990, გვ. 166-168)

მეტეხის ღვთისმშობლის ტაძარი — არქიტექტურული ძეგლი მდებარეობს კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ მეტეხის ცენტრში. კომპლექსში შედის: ღვთისმშობლის ტაძარი, გალავანი, კოშკები, სამრეკლო. ნაგებობა რამდენჯერმეა შეკეთებული,

უკანასკნელად შეკეთდა 1968 წელს. ეკლესია ჯვარ-გუმბათოვანი, თარიღდება XIII ს.-ით. ნაგებია კარგად დამუშავებული ბაზალტის კვადრებით. ფასადში ჩართულია მწვანე ფერის ქვებიც. ეკლესიის ოთხივე ფასადზე ერთი და იგივე დეკორატიული მოტივი მეორდება: დიდი ჯვარი და სარკმლების მოჩაჩროება, უამრავი მედალიონი. მდიდრულად მორთული სამკუთხა ნიშების დეკორისგან მხოლოდ ზედა თაღოვანი ნაწილებია შემორჩენილი. (დოლიძე, კინწურაშვილი, სიდამონიძე, & ცქიტიშვილი, 1990, გვ. 177-178)

ერთაწმინდის ტაძარი — არქიტექტურული, ისტორიული, მონუმენტური ხელოვნების ძეგლი მდებარეობს კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ერთაწმინდაში. კომპლექსში შედის: ტაძარი, გალავანი, სამრეკლო, სამონასტრო და სამეურნეო ნაგებობების ნაშთები. XVII საუკუნის დამდეგს სოფელი და ტაძარიც თარხნიშვილთა ფეოდალურ საგვარეულოს ეკუთვნოდა. ერთაწმინდის ტაძარში სააკაძეების საძვალეა. აქაა დამარხული გიორგი სააკაძის ვაჟის პაატას მოკვეთილი თავი.

წმ. ესტატეს ჯვარ-გუმბათოვანი ტაძარი კომპლექსის დომინანტი ნაგებობაა. იგი თარიღდება XIII ს. I ნახევრით. XIX საუკუნის II ნახევარში ტაძარი კაპიტალურად შეკეთდა. მას 1951 წელსაც ჩაუტარდა რესტავრაცია. (დოლიძე, კინწურაშვილი, სიდამონიძე, & ცქიტიშვილი, 1990, გვ. 156-157)

ფავნისის წმ. გიორგის ეკლესია — არქიტექტურული, მონუმენტური ხელოვნების ძეგლი კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ გარიყულას მაღალ ბორცვზე, გარეუბნის ძველ სასაფლაოზე. თარიღდება IX-X საუკუნეებით. ეკლესიის კედლები შელესილია გაირჩევა მოხატულობის ორი ფენა. ქვედა ფენა ეკლესიის თანადროულია, ამ ფენიდან შემორჩენია მცირე მონაკვეთები. მეორე ფენა XII ს. II ნახევარს მიეკუთვნება. კამარაში, ეკლესიის ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებზე მოხატულობის დიდი ნაწილი ჩამოცვენილია. შედარებით უკეთესადაა დაცული საკურთხევლისა და დასავლეთ კედლის მოხატულობა. (დოლიძე, კინწურაშვილი, სიდამონიძე, & ცქიტიშვილი, 1990, გვ. 146)

ბრეთის კომპლექსი — კომპლექსი მდებარეობს ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრეთის ცენტრში. კომპლექსის უძველესი ნაგებობა თარიღდება VI საუკუნით. ბრეთში VI ს.-ში მოღვაწეობდა ასურელ მამათაგან ერთ-ერთი — პიროსი. მის მიერ აქ ჩამოყალიბებული სამონასტრო ცენტრი მთელი შუა საუკუნეების მანძილზე

კულტურულ-საგანმანათლებლო, მწიგნობრობის, ხელოსნობის მნიშვნელოვანი კერა იყო. აქ შეიქმნა XI საუკუნის ბრეთის ვერცხლის საომარი წარწერიანი ჯვარი, XIII საუკუნის ბრეთის ტყავის სახარება და სხვა. ბრეთის მონასტერი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა როგორც საკუთრივ სოფლის, ისე ბრეთის ხევის მოსახლეობის კულტურული დაწინაურების საქმეში.

კომპლექსში შედის მამა პიროსის ეგვტერი (VI ს.), წმ. გიორგის ეკლესია (VIII-IX სს.) და სამრეკლო.

წმ. გიორგის ეკლესია დარბაზული ნაგებობაა. მიუხედავად მრავალგზის გადაკეთებისა, უცვლელია ნაგებობის გეგმა, მასები და ცალკეული ფორმები. ეკლესიას სამი შესასვლელი აქვს — ჩრდილოეთით, სამხრეთით და დასავლეთით. (დოლიძე, კინწურაშვილი, სიდამონიძე, & ცქიტიშვილი, 1990, გვ. 360-361)

გარდა ზემოაღნიშნული ეროვნული მნიშვნელობის ძეგლების ნაწილისა, რეგიონის სხვადასხვა მხარეში მრავლადაა არანაკლებ მნიშვნელოვანი და ტურისტულად მიმზიდველი ძეგლები (მაგ. მძოვრეთის კომპლექსი, სარკინეთის ეკლესია, სურამის ციხე და ა.შ.). (იხ. სურათი N11)

1.1.3 მუზეუმები

შიდა ქართლის კონტროლირებად ტერიტორიაზე სხვადასხვა პროფილის 13 მუზეუმია. (საქართველოს მუზეუმების ასოციაცია, 2017)

რეგიონში ამჟამად მოქმედი მუზეუმებია:

სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი — ისტორიული პროფილის მუზეუმი, მდებარეობს ქალაქ გორში, კირიონ II-ის 12 ნომერში. მუზეუმი 1935 წელს, ქართველი მეცნიერების ივანე ჯავახიშვილი, სერგი მაკალათიასა და იოსებ ყიფშიძის ინიციატივითა და ძალისხმევით დაარსდა. მუზეუმის ძირითად ფონდებს საფუძვლად დაედო შიდა ქართლში წარმოებული საველე-საექსპედიციო და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შედეგად მოპოვებული მასალები. აქ დაცული მოძრავი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები მრავალფეროვანია და მოიცავს როგორც საქართველოს, ასევე ახლო აღმოსავლეთისა და წინა აზიის ქვეყნების მატერიალური და სულიერი კულტურის მნიშვნელოვან ძეგლებს.

მუზეუმის ექსპონატების რაოდენობა 90 000-ზე მეტს შეადგენს, აქ ინახება და ექსპოზიციებში წარმოდგენილია მდიდარი, ძვ. წ. IV-III ათასწლეულების არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური კოლექციები; XVIII-XIX სს-ის ეთნოგრაფიული კოლექცია; XVII–XIX სს-ის საბრძოლო იარაღის კოლექცია; გამოყენებითი და სახვითი ხელოვნების ნიმუშები; ქართული და არაბულენოვანი ეპიგრაფიული ძეგლები; ხელნაწერები და პირველნაბეჭდი წიგნები; დოკუმენტები, სიგელ-გუჯრები; ფოტოარქივები, სამეცნიერო ბიბლიოთეკა და პერიოდიკა. (ნონეშვილი & თავართქილაძე, 2012, გვ. 162) (საქართველოს მუზეუმების ასოციაცია, 2017)

მუზეუმის გამოფენებია: „მუზეუმის საგანძური“, „საჭურველი მუზეუმის ფონდებიდან“ და „ძველბეჭდური წიგნები“. (იხ. სურათი N12)

მუზეუმს ყავს გიდები რომლებიც მნახველებს მომსახურებას სამ ენაზე ქართულად, ინგლისურად და რუსულად სთავაზობენ. გიდის მომსახურების ღირებულება შეადგენს 5₾-ს. მუზეუმს ასევე გააჩნია მაღაზია და ოფიციალური „ფეისბუქ“ გვერდი: www.fb.com/GorisIstoriulEtnograpiuliMuzeumi

მუზეუმის მუშაობს ყოველდღე, კვირისა და ორშაბათის გარდა, 9:30 სთ-დან 17: 30 სთ-მდე. მუზეუმში შესასვლელი ბილეთების ფასი უფროსებისათვის 3₾-ა, ბავშვებისათვის 0,50₾, ხოლო სტუდენტებისთვის — 1 ლარი. ტურისტული სააგენტოების მიერ მოყვანილი ჯგუფების შემთხვევაში, თანხის 50% სააგენტოებს უკან დაუბრუნდება. შეღავათიანი მომსახურებაა მეცნიერებისა და კულტურის სფეროს წარმომადგენლების, მეცნიერებათა აკადემიის წევრების და სასულიერო პირების მიმართ, უფასოდ დაიშვებიან მუზეუმის თანამშრომლები, ICOM-ის წევრები, იძულებით გადაადგილებული პირები, ჯარისკაცები, ომის ვეტერანები, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი პირები, I და II ჯგუფის ინვალიდები და მრავალშვილიანი ოჯახები. (საქართველოს მუზეუმების ასოციაცია, 2017)

მუზეუმს ასევე გააჩნია ფილიალები **გორის საბრძოლო დიდების მუზეუმის** სახით, მეორე მსოფლიო ომის თემატიკაზე, **ალექსანდრე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი** სოფელ ძევერაში და **ნიკო ლომოურის სახლ-მუზეუმი** სოფელ არბოში. (საქართველოს მუზეუმების ასოციაცია, 2017)

სტალინის სახლ-მუზეუმი — მემორიალური პროფილის მუზეუმი, მდებარეობს ქ. გორში, სტალინის გამზირის 32 ნომერში. მუზეუმის კომპლექსის შემადგენლობაში შედის მემორიალური სახლი, სადაც დაიბადა სტალინი, აგრეთვე ორსართულიანი საექსპოზიციო შენობა კოშკით და სტალინის პირადი ვაგონი ინტერიერით, რომლითაც მან იმგზავრა თეირანში, იალტასა და პოტსდამში. მუზეუმში დაცულია სტალინის პირადი ნივთები, კრემლის კაბინეტი, ხელნაწერები, საჩუქრები მსოფლოს სხვადასხვა ქვეყნებიდან, ფოტო და კინო დოკუმენტები, სტალინის ნიღაბი და ფერწერული ტილოები.

მემორიალური მუზეუმი ჯერ კიდევ სტალინის სიცოცხლეში 1937 წელს დაარსდა, ხოლო სამუზეუმო კომპლექსი 1957 წელს სტალინის გარდაცვალების შემდეგ გაიხსნა. ამჟამად მუზეუმში 47 445 ექსპონატია დაცული.

მუზეუმის გამოფენებია: „სტალინის ბავშვობა“, „1937 წელი“ და „სტალინური ეპოქა“.

მუზეუმის გიდის მომსახურება შესაძლებელია ხუთ ენაზე: ქართულად, ინგლისურად, ფრანგულად, გერმანულად და რუსულად. მუზეუმს გააჩნია მაღაზია და საკუთარი ვებ-გვერდი: www.stalinmuseum.ge

მუზეუმი მუშაობს ყოველდღე, ზაფხულის პერიოდში 10 სთ-დან 18 სთ-მდე, ზამთრის პერიოდში 10 სთ-დან 17 სთ-მდე.

ბილეთის ღირებულება სამუზეუმო კომპლექსის (მუზეუმის საგამოფენო დარბაზები, სტალინის მემორიალური სახლი და პირადი ვაგონი) დათვალიერებისას გიდის თანხლებით შეადგენს — 15₾-ს, ტურისტულ კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულების შემთხვევაში — 10₾-ს, მუზეუმის საგამოფენო დარბაზების და მემორიალური სახლის დათვალიერებისას — 10₾-ს, სტალინის პირადი ვაგონის დათვალიერებისას — 5₾-ს, სტუდენტებისთვის სამუზეუმო კომპლექსის ბილეთი ღირს 10₾, მოსწავლეებისთვის — 1₾, 6 წლამდე ბავშვებისთვის მუზეუმში შესვლა უფასოა.

შესაბამისი მოწმობის წარდგენით მუზეუმის დათვალიერება უფასოა II მსოფლიო ომის მონაწილეებსა და მათთან გათანაბრებული პირებისათვის, ICOM-ის წევრებისა და საქართველოს მუზეუმების თანამშრომლებისათვის, I და II ჯგუფის ინვალიდებისათვის, მზრუნველობამოკლებული ბავშვებისათვის, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი

პირებისათვის, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის, იძულებით გადაადგილებული და ოკუპირებული ტერიტორიის მოსაზღვრე სოფლებში მცხოვრები პირებისათვის, ჟურნალისტებისათვის და ჯარისკაცებისათვის. (საქართველოს მუზეუმების ასოციაცია, 2017) (სტალინის მუზეუმი, 2017)

იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმი — მემორიალური პროფილის მუზეუმი, მდებარეობს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარიანში. მუზეუმი დაარსდა 1958 წელს. აქ დაცულია საქართველოში მეცნიერული პედაგოგიკისა და საბავშვო ლიტერატურის ფუძემდებლის, პუბლიცისტის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის (1840-1912 წწ.) მემორიალური ნივთები, ყოფითი და ეთნოგრაფიული მასალა, წიგნადი ფონდი; მათ შორის მისი ნაშრომებისა და ლიტერატურული ნაწარმოებების პირველი გამოცემები, ფოტო და დოკუმენტური მასალა, სახვითი ხელოვნების ნიმუშები: ელ. ახვლედიანის, ვ. ჭანკვეტაძის, რ. კეჭაყმაძის და სხვათა ფერწერული ტილოები.

იაკობ გოგებაშვილმა პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის და ქართული ენის ანბანი 1865 წელს შეადგინა, ხოლო 1876 წელს „დედა ენა“ დაწერა, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარებასა და დამკვიდრებაში. იაკობ გოგებაშვილის მუზეუმში დაცულია მემორიალური ნივთები და არქივი; სამუშაო კაბინეტის ავეჯი, მაგიდის ნათურა რომლის შუქზეც გადმოცემის თანახმად „დედა ენა“ დაიწერა და სხვა. იაკობ გოგებაშვილის ხელნაწერი არქივი შეიცავს სხვადასხვა პუბლიცისტურ და პირად წერილს, ასევე, მის ანდერძს ქართველი საზოგადოებისადმი.

მუზეუმში ამჟამად 2 123 ექსპონატია. მუზეუმის გამოფენებია მუდმივმოქმედი ექსპოზიცია და „გამოფენები სკოლებში“. მუზეუმს გააჩნია ოფიციალური „ფეისბუქ“ გვერდი: www.fb.com/iakobige

მუზეუმი მუშაობს ყოველდღე, ორშაბათის გარდა, 10 სთ-დან 18 სთ-მდე. მუზეუმში შესასვლელი ბილეთების ფასი უფროსებისათვის 1₾-ა, ბავშვებისთვის და სტუდენტებისთვის — 0,5₾. უფასოდ დაიშვებიან იძულებით გადაადგილებული პირები, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი პირები, 6 წლამდე ასაკის ბავშვები, სოციალურად დაუცველი მოზარდები, ჯარისკაცები, ICOM-ის წევრები, საქართველოს და უცხოეთის

ქვეყნების მუზეუმების თანამშრომლები. (ნონეშვილი & თავართქილაძე, 2012, გვ. 166) (საქართველოს მუზეუმების ასოციაცია, 2017)

ივანე ჯავახიშვილი სახლ-მუზეუმი — მემორიალური პროფილის მუზეუმი კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლეში. დაარსდა 1969 წელს. მუზეუმში დაცულია ცნობილი ქართველი მეცნიერის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებლის, ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის (1876-1940 წწ.) მემორიალური ნივთები, მდიდარი საბიბლიოთეკო ფონდი, ხოვლე-გორას არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალა, სახვითი ხელოვნების ნიმუშები, ფოტო და დოკუმენტური მასალები. მუზეუმში 485 ექსპონატია.

მუზეუმის გამოფენებია „დიდი მეცნიერი“, „ჯავახიშვილები — თაობები“, „კასპის ისტორიული ძეგლები“ და „სტუმრად მუზეუმში“.

მუზეუმის მუშაობის ყოველდღე, ორშაბათისა და სამშაბათის გარდა, 10 სთ-დან 17 სთ-მდე. შესვლა უფასოა. (საქართველოს მუზეუმების ასოციაცია, 2017) მუზეუმის ადმინისტრაციისგან მიღებული ცნობებით მუზეუმს გააჩნია გიდის მომსახურება ქართულ და რუსულ ენებზე. აქვს ოფიციალური „ფეისბუქ“ გვერდი: www.fb.com/856750631069658

უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი — ისტორიული პროფილის მუზეუმი გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვახვრელთან. დაარსდა 1988 წელს. მუზეუმ-ნაკრძალი მოიცავს: კლდეში ნაკვეთ ქუჩებს და მოედნებს, წარმართულ ტაძრებს, სასახლეებს, სარიტუალო ქვაბულებს, დეკორირებულ კლდოვან დარბაზებს, პურის საცხობებს, საიდუმლო გვირაბს, აგრეთვე უძველესი სამნავიანი ბაზილიკის ფრაგმენტებს, ნაქალაქარის ცენტრალურ ნაწილში, წარმართული ტაძრის ადგილას აღმართულ უფლისწულის ეკლესიას, შუა საუკუნეების სახლებს და დარბაზებს. მუზეუმში წარმოდგენილია უფლისციხის ნაქალაქარსა და მის გარეუბნებში მოპოვებული არქეოლოგიური მასალა: მცირე პლასტიკის უნიკალური ნიმუშები, სამკაულები, საბრძოლო და სამეურნეო იარაღები, საკულტო-სარიტუალო ნივთები. (იხ. სურათი N13) ექსპონატების რაოდენობა შეადგენს 3 300-ს.

ადმინისტრაციის ცნობებზე დაყრდნობით მუზეუმი მუშაობს ყოველდღე, 10 სთ-დან 19 სთ-მდე. მუზეუმ-ნაკრძალში შესასვლელი ბილეთის ფასი უფროსებისათვის 5

ლარია, სასკოლო ასაკის მოზარდებისა და სტუდენტებისათვის — 1₾. გიდის მომსახურება ღირს 25₾. უფასოდ დაიშვებიან 6 წლამდე ბავშვები, სოციალურად დაუცველი მოზარდები, საქართველოს და უცხოეთის ქვეყნების მუზეუმების თანამშრომლები, ICOM-ის და ICOMOS-ის წევრები, I და II კატეგორიის ინვალიდები, ჯარისკაცები, იძულებით გადაადგილებული პირები. (საქართველოს მუზეუმების ასოციაცია, 2017) მუზეუმს გააჩნია ოფიციალური „ფეისბუქ“ გვერდი: www.fb.com/ufliscixe.

ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი — ისტორიული პროფილის მუზეუმი ქ. ხაშურში, მ. კოსტავას ქუჩის 2 ნომერში. დაარსებულია 1959 წელს. მუზეუმში ძირითადად დაცულია არქეოლოგიური მასალა (ქვის ხანიდან ჩვ. წ. აღ. X ს-ის ჩათვლით — საციხურის გორა-ნამოსახლარის, ნაცარგორას გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარის, წაღვლის მრავალფენიანი სამაროვანის, ალის, ახალდაბის მასალები). მათ შორის: გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხური ცულები, ჭვირული ბალთები, აღმოსავლეთ სამხრეთ კავკასიური ცული (ბრინჯაო XV-VII სს), გვიანბრინჯაოს ხანის სამკაულები, ადრებრინჯაოსა და ადრეანტიკური ხანის შავპრიალა კერამიკა, ნუმიზმატიკური მასალები, ეთნოგრაფიული ნივთები, სახვითი ხელოვნების (ლ. გუდიაშვილი, გ. გაბაშვილი, ციმაკურიძე და სხვ.), XVII-XX სს-ის დოკუმენტური მასალები. გაიმართა. მუზეუმის ექსპონატების რაოდენობა 99 572-ს აღწევს. (საქართველოს მუზეუმების ასოციაცია, 2017)

მუზეუმის ფონდებში დაცულ ექსპონატთა ერთი ნაწილი რამდენჯერმე გამოიფინა საზღვარგარეთ. განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა აღმოსავლეთ სამხრეთ კავკასიური ბრინჯაოს კოლხური ცულების და გვიანბრინჯაოს ხანის მცირე ზომის სამკაულების გამოფენად, რომელიც გერმანიაში ქ. ბოხუმში გაიმართა. (ნონეშვილი & თავართქილაძე, 2012, გვ. 170)

მუზეუმი მუშაობს ყოველდღე, ორშაბათის გარდა, 10 სთ-დან 17 სთ-მდე. მუზეუმში შესასვლელი ბილეთების ფასი უფროსებისათვის 1 ლარია, ბავშვებისა და სტუდენტებისათვის — 0,50₾. უბილეთოდ დაიშვებიან 6 წლამდე ბავშვები, სოციალურად დაუცველი მოზარდები, ICOM-ის წევრები, საქართველოს და უცხოეთის

ქვეყნების მუზეუმების თანამშრომლები, I და II კატეგორიის ინვალიდები, იძულებით გადაადგილებული პირები.

მუზეუმში წარმოდგენილი გამოფენებია: ა. ღონღაძის, მ. სალაყაიას, მ. გუდაძის, ხ. ჩიტაძის პერსონალური გამოფენები, თექის სახელოსნოს მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა, მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა, „სამოვრების გამოფენა“. (საქართველოს მუზეუმების ასოციაცია, 2017)

კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი — ისტორიული პროფილის მუზეუმი ქ. კასპში, სტალინის ქუჩის 88 ნომერში. დაარსდა 1960 წელს. მუზეუმში დაცულია კასპის, რენეს, მეტეხის, თეზის ტერიტორიებზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ადრე და შუაბრინჯაოს ხანის მასალები, ყორღანებიდან მოპოვებული ძვ. წ. III-I ათასწლეულით დათარიღებული ნივთები, ძირითადად თრიალეთის კულტურისთვის დამახასიათებელი კერამიკა, გვიანბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭელი, ძვ. წ. XIV-XII სს-ით დათარიღებული სამოსელის დეტალები, ცხენის აღკაზმულობა, სამუშაო და საბრძოლო იარაღი (აღმოსავლეთ ქართული ცულები, სატევრები, შუბისპირები — ძვ. წ. XIII-VII სს), სოფელ სასირეთში შემთხვევით აღმოჩენილი მოოქროვილი ვერცხლის დისკო (ძვ. წ. III ს.), ელინისტური ხანის ბრინჯაოს დიონისეს ქანდაკება (ძვ. წ. III-II სს.) და სამტუჩა სურა-ოინოხოია (ახ. წ. I ს.), შუა საუკუნეების თიხის მოჭიქული ჭურჭელი. მუზეუმში დაცულია 19 082 ექსპონატი.

მუზეუმი მუშაობს ყოველდღე, ორშაბათის გარდა, 10 სთ-დან 17 სთ-მდე. შესვლა უფასოა. მუზეუმის გამოფენებია: ბავშვთა ნახატების გამოფენა, გ. შატბერაშვილის 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილი გამოფენა, კასპელ მხატვართა სამი პერსონალური გამოფენა. (საქართველოს მუზეუმების ასოციაცია, 2017)

გიორგი მაზნიაშვილი მუზეუმი — მემორიალური პროფილის მუზეუმი კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ სასირეთში. მუზეუმი დაფუძნდა 1990 წელს. აქ დაცულია ეროვნული გმირის,[18] გენერალ გიორგი მაზნიაშვილის (1870-1937 წწ.) მემორიალური ნივთები, მის მოღვაწეობასთან დაკავშირებული ფოტო და დოკუმენტური მასალა, ეთნოგრაფიის და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები. ექსპოზიცია ძირითადად

[18] 2013 წელს 26 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მას საქართველოს ეროვნული გმირის წოდება მიანიჭა

აგებულია საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ მოძიებულ საარქივო დოკუმენტებსა და ფოტომასალებზე დაყრდნობით. აღწერილია მაზნიაშვილის გმირული და ამავე დროს ტრაგიკული ბიოგრაფია. ექსპონატების რაოდენობა შეადგენს 122-ს.

მუზეუმი მუშაობის ყოველდღე, ორშაბათისა და სამშაბათის გარდა, 10 სთ-დან 17 სთ-მდე. შესვლა უფასოა. მუზეუმის გააჩნია ერთადერთი გამოფენა — „უკანასკნელი მხედართმთავარი“. (ნონეშვილი & თავართქილაძე, 2012, გვ. 168) (საქართველოს მუზეუმების ასოციაცია, 2017)

ლესია უკრაინკას მუზეუმი — მემორიალური პროფილის მუზეუმი ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამში, დ. გურამიშვილის ქუჩა ნომერ 2-ში. მუზეუმი გიორგი ლეონიძის ინიციატივით 1952 წელს გაიხსნა. იგი განთავსებულია სურამელი აზნაურის, ცნობილი ეთნოგრაფის ნიკოლოზ აბაზაძის XIX საუკუნის სახლში.

ლესია უკრაინკა (1871-1913 წწ.) ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი უკრაინელი პოეტი და წამყვანი მწერალი ქალი უკრაინულ ლიტერატურაში ბავშვობიდან დასნეულებული იყო ძვლის ტვინის ტუბერკულიოზით და მკურნალობას საჭიროებდა. აქედან გამომდინარე მან თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი საქართველოში გაატარა, სადაც 1903 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე პერიოდულად ცხოვრობდა. ლესია უკრაინკა მისი ლიტერატურული ფსევდონიმია, ნამდვილი სახელი და გვარია — ლარისა კოსაჩ-კვიტკა. საქართველოში ყოფნისას ქართველი ინტელიგენციის წყალობით ის ქართულ კულტურასა და ისტორიას გაეცნო და საქართველო მეორე სამშობლოსავით შეიყვარა.

მუზეუმში არის 5 საექსპოზიციო დარბაზი, სადაც გამოფენილია ლესია უკრაინკას ცხოვრება და მოღვაწეობის ამსახველი მდიდარი ეთნოგრაფიული, დოკუმენტური, ფოტო და ნუმიზმატური ექსპონატები, მუზეუმისთვის უკრაინელი ხალხისგან ნაჩუქარი ნივთები. მუზეუმში დაცულია 433 ექსპონატი.

მუზეუმი მუშაობს ყოველდღე, ორშაბათის გარდა, 10 სთ-დან 17 სთ-მდე მუზეუმში შესასვლელი ბილეთების ფასი უფროსებისთვის 1 ლარია, ბავშვებისა და სტუდენტებისათვის — 0,50₾. მუზეუმის გამოფენებია: ახალი მუდმივი ექსპოზიცია (2009 წ.), ნიკოლოზ აბაზაძის ფოტოგამოფენა, „სურამის ძველი და ახალი ხედები“.

(ნონეშვილი & თავართქილაძე, 2012, გვ. 169) (საქართველოს მუზეუმების ასოციაცია, 2017)

ქარელის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი — ისტორიული პროფილის მუზეუმი ქ. ქარელში, ალ. ყაზბეგის ქუჩის 86 ნომერში. დაარსებულია 1973 წელს. მუზეუმში დაცულია ბრინჯაოს და რკინის ხანის მასალები: კაჟის ქვის ნაკეთობები, საბრძოლო და სამეურნეო ნივთები, რკინის ხმლები, ბრინჯაოს ბალთები, შუბისპირები, სამკაული, ნუმიზმატიკა, კერამიკული ნაწარმის ნიმუშები, XIX ს-ის საყოფაცხოვრებო ნივთები, წერილობითი დოკუმენტები და ფოტომასალები. აქ დაცულია 1 235 ექსპონატი.

მუზეუმი მუშაობს ყოველდღე, ორშაბათის გარდა, 10 სთ-დან 18 სთ-მდე. მუზეუმში შესვლა უფასოა. (საქართველოს მუზეუმების ასოციაცია, 2017)

დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმი — მემორიალური პროფილის მუზეუმი ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიშხეთში. დაარსებულია 1990 წელს. მუზეუმი განთავსებულია XIX ს-ის 60-იანი წლების საზოგადო მოღვაწის, პუბლიცისტისა და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, წმინდანად შერაცხული დიმიტრი ყიფიანის (1814-1887 წწ.) მიერ სააგარაკოდ აგებულ სახლში. მუზეუმის ფონდები ძირითადად მოიცავს დიმიტრი ყიფიანის მოღვაწეობასთან დაკავშირებულ დოკუმენტურ მასალას: გამოცემებს, ხელნაწერებს, წერილებს, ფოტომასალას, აგრეთვე ყოფისა და ეთნოგრაფიის, ნუმიზმატიკისა და სახვითი ხელოვნების ნიმუშებს. მუზეუმში 805 ექსპონატია დაცული.

მუზეუმი მუშაობს ყოველდღე, ორშაბათის გარდა, 10 სთ-დან 17 სთ-მდე. მუზეუმში შესასვლელი ბილეთების ფასი უფროსებისათვის: 1 ლარია, ბავშვებისა და სტუდენტებისათვის — 0,50₾. უბილეთოდ დაიშვებიან 6 წლამდე ბავშვები, სოციალურად დაუცველი მოზარდები, ICOM-ის წევრები, საქართველოს და უცხოეთის ქვეყნების მუზეუმების თანამშრომლები, I და II კატეგორიის ინვალიდები, იძულებით გადაადგილებული პირები.

მუზეუმში წარმოდგენილია გამოფენები „დიმიტრი ყიფიანი — შთამომავლები, თანამოაზრენი“ და დიმიტრი ყიფიანის მემორიალური ნივთების გამოფენა (სკოლებში). (საქართველოს მუზეუმების ასოციაცია, 2017)

ომარ კელაპტრიშვილის სახლ-მუზეუმი — მემორიალური პროფილის მუზეუმი კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კავთისხევში. დაარსებულია 1993 წელს. მუზეუმში დაცულია ცნობილი ქართველი მუსიკოსის ომარ კელაპტრიშვილის მემორიალური ნივთები, მდიდარი სანოტო ფონდი, ეთნოგრაფიული, აუდიო, ვიდეო, ფოტო და დოკუმენტური მასალა, სახვითი ხელოვნების ნიმუშები, მუსიკოსისადმი მიძღვნილი საჩუქრები. მუზეუმში დაცულია 1 187 ექსპონატი.

მუზეუმი მუშაობს ყოველდღე, ორშაბათის და სამშაბათის გარდა, 10 სთ-დან 18 სთ-მდე. მუზეუმში შესვლა უფასოა (საქართველოს მუზეუმების ასოციაცია, 2017)

აქ წარმოდგენილი გამოფენებია: „დიდი მუსიკოსი“ და „ქართული მუსიკალური საკრავები“.

ჯამბაკურ-ორბელიანთა სასახლე-მუზეუმი — ისტორიული პროფილის მუზეუმი კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ლამისყანაში. იგი დაარსებულია 1985 წელს. მუზეუმი განთავსებულია ჯამბაკურ-ორბელიანების XVIII-XIX სს.-ის სასახლეში. მუზეუმის კოლექციები ძირითადად მოიცავს XVIII-XIX სს.-ის ეთნოგრაფიულ მასალებს, აგრეთვე ნუმიზმატიკურ, დოკუმენტურ და ფოტო მასალას, სახვითი ხელოვნების ნიმუშებს. მუზეუმში დაცული ექსპონატების რაოდენობა 1 685-ს შეადგენს.

მუზეუმი მუშაობს ყოველდღე, კვირისა და ორშაბათის გარდა, 10 სთ-დან 17 სთ-მდე მუზეუმში შესვლა უფასოა.

აქ წარმოდგენილია გამოფენები: „მუზეუმის ფონდებიდან“ და „ორბელიანთა გენეალოგია“. (საქართველოს მუზეუმების ასოციაცია, 2017)

თავის შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ რეგიონი ანთროპოგენური ტურისტულ-რეკრეაციული რესურსებით უმდიდრესია. აქ ვხვდებით მრავალი ეპოქის, ათასწლეულების განმავლობაში შექმნილ უნიკალურ მოძრავ თუ უძრავ ძეგლებს, რომელთა ნახვა რეგიონის ყველა მხარეშია შესაძლებელი. უნიკალური არქეოლოგიური ნიმუშების სიმრავლეზე და მდიდარ კულტურაზე მეტყველებს ხაშურის, გორისა და კასპის მუნიციპალიტეტების მუზეუმებში დაცული 200 000-სზე მეტი ექსპონატი, რომლებიც თავისი მნიშვნელობით არამარტო რეგიონული, არამედ ზოგადად ეროვნული მნიშვნელობისაა. აგრეთვე, რეგიონში არსებული ასეულობით უძველესი და უმნიშვნელოვანესი სხვადასხვა ტიპის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, რეგიონს

იმის პოტენციალს აძლევს, რომ მათი სათანადო მოვლის და ცნობადობის გაზრდის შემთხვევაში შიდა ქართლმა საგრძნობლად გაზარდოს საკუთარი ტურისტული მიმზიდველობა და რეგიონის უფრო მეტი ნაწილი ჩაერთოს ტურიზმის ინდუსტრიაში.

1.3 შიდა ქართლის კურორტები და საკურორტო ადგილები

სიტყვა „კურორტი“ გერმანული წარმოშობისაა და ორი სიტყვისგან წარმოდგება — „კურარე“ ნიშნავს მკურნალობას, „ორტ“ — ადგილს, „კურორტი“ კი — სამკურნალო ადგილს. თანამედროვე კურორტის ცნებაში მარტო ბუნებრივი საკურორტო ფაქტორები: მინერალური წყალი, კლიმატი, სამკურნალო ტალახი და სხვა არ იგულისხმება. ის უნდა უზრუნველყოფდეს სხვა ხელშემწყობ პირობებსა და საშუალებებს მკურნალობა-დასვენებისა და თანამედროვე საკურორტო მკურნალობის კომპლექსური მეთოდების გამოყენებისთვის.

კურორტული მკურნალობის ეფექტურობას ძირითადად წამყვანი კურორტული ფაქტორი განსაზღვრავს, ეს იქნება მინერალური წყალი, სამკურნალო ტალახი თუ კლიმატი, მაგრამ კურორტოთერაპიის შედეგები განპირობებულია საკურორტო მკურნალობის მთლიანი კომპლექსით. საკურორტო მეურნეობის რთული კომპლექსი შედგება კლიმატური პირობების, ლამაზი ლანდშაფტის, კურორტის კეთილმოწყობის, სანატორიული რეჟიმის, მოწესრიგებული კვების, აქტიური დასვენებისა და კურორტული გართობის პირობების, სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალებებისგან და სხვა. (დგებუაძე, 1994, გვ. 98-99)

კურორტები კლასიფიცირდება კლიმატოთერაპიულ, ბალნეოთერაპიულ და ტალახით სამკურნალო კურორტებად. არსებობს შერეული ტიპის კურორტებიც.

საქართველოს ტერიტორია იყოფა ოთხ საკურორტო და ერთ არასაკურორტო ზონად (ალპინიზმისთვის), აქედან რეგიონის ტერიტორიაზე სამი საკურორტო და ერთი არასაკურორტო ზონაა: დაბალმთიანი საკურორტო ზონა (სიმაღლე 500 - 1 000 მ), საშუალომთიანეთის საკურორტო ზონის ქვედა სარტყელი (1 000 - 1 500 მ), საშუალომთიანეთის საკურორტო ზონის ზედა სარტყელი (1 500 - 2 000 მ) და მაღალმთიანი არასაკურორტო ზონა (2 000 მ და ზევით). (საქართველოს მთავრობა, 2014)

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 ივლისის დადგენილების მიხედვით შიდა ქართლის ტერიტორიაზე მდებარეობს 9 კურორტი და 16 საკურორტო ადგილი.

კურორტებიდან 5 (ნაგუთნი, კოდიბინა, ჯავა, ხოვლე და ბაგიათა) ბალნეოლოგიური, 3 (სურამი, ქვიშხეთი და ბიისი) კლიმატო-ბალნეოლოგიური და ერთი ბალნეო-კლიმატური ტიპისაა. საკურორტე ადგილებიდან 4 (აბანო, ხვედურეთი, ქაშვეთი და ხცისი) ბალნეოლოგიური, 4 (ტყემლოვანა, ედისა, ყემულთა და ქოთანთო) კლიმატო-ბალნეოლოგიური და 8 (ატენი, ფელი, საყავრე, ბატეთი, ბულბულისციხე, ახალქალაქი, გოსტიბე და წრუ) კლიმატური ტიპისაა. (იხ. რუკა N13) (საქართველოს მთავრობა, 2014)

ამჟამად შიდა ქართლის კურორტებიდან და საკურორტო ადგილებიდან საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მხოლოდ 17 მათგანია. ესენია:

დიდი გორიჯვარი — ბალნეო-კლიმატური კურორტი დაბალმთიან საკურორტო ზონაში, შიდა ქართლის ვაკეზე, ზღვის დონიდან 600 მეტრზე. ქალაქ გორიდან სამხრეთ-დასავლეთით მე-2 კმ-ზე. სამხრეთიდან ესაზღვრება თრიალეთის მთები.

კურორტზე დაბალმთის ზომიერად მშრალი კლიმატია. ზამთარი ზომიერად ცივია, მცირეთოვლიანი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა -1,2°C. ზაფხული თბილია, მშრალი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 22,3°C. ნალექების წლიური რაოდენობაა 498 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ტენიანობა — 74%. წელიწადში მზიანი საათების ხანგრძლივობა 2 300 სთ-ს აღწევს. კურორტის ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორია დაბალი მთის ჰავა და სულფიდური, ქლორიდულ-ჰიდროკარბონატული, ნატრიუმიანი მინერალური თბილი წყლები, საერთო მინერალიზაციით 0,9 გ/დმ³.

კურორტზე შეიძლება საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის, პერიფერიული ნერვული სისტემისა და გინეკოლოგიური პროფილის დაავადებების მკურნალობა.

მკურნალობის სახეობებია: მინერალური წყლის აბაზანები და პასიური კლიმატოთერაპია. (ლიპარტელიანი & ნინიკაშვილი, 2014, გვ. 73)

სურამი — კლიმატო-ბალნეოლოგიური კურორტი დაბალმთიან საკურორტო ზონაში, ლიხის ქედის აღმოსავლეთ ფერდობებზე, ზღვის დონიდან 750 მეტრზე, ხაშურის მუნინიციპალიტეტში, ხაშურიდან 7 კმ-ით ჩრდილო-დასავლეთით. სურამი როგორც კურორტი სახელს იხვეჭს XIX საუკუნის ბოლოდან. რუსეთ-თურქეთის ომის დროს აქ სამხედრო ჰოსპიტალი ფუნქციონირებდა. მაშინ აღმოაჩინეს, რომ სურამი

კლიმატი დადებითად მოქმედებდა მალარიით დაავადებულ პაციენტებზე. თანდათან სურამი პოპულარული სააგარაკო ადგილი გახდა.

სურამი მდებარეობს, კლიმატი კურორტზე ზომიერად კონტინენტურია. ზამთარი ცივია, თითქმის უთოვლო. იანვრის საშუალო ტემპერატურა -9°C-ა. ზაფხული თბილია, აგვისტოს საშუალო ტემპერატურა 20,2°C-ა. წლიური ნალექების რაოდენობა 781 მმ-ა. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა — 76%. წელიწადში მზიანი საათების რაოდენობა შეადგენს 2 300 სთ-ს. (ვადაჭკორია, უშვერიძე, & ჯალიაშვილი, 1987)

სურამი საბავშვო პროფილის კურორტია, მის ბუნებრივ სამკურნალო ფაქტორებს წარმოადგენს დაბალი მთის ჰავა, დაბის ირგვლივ 120 ჰა-ზე გაშლილი ფოთლოვანი ტყე, რომელშიც ხელოვნურად გაშენებული წიწვოვანი მასივებია შერეული და სუსტად სულფიდური, ჰიდროკარბონატული, მაგნიუმიან-კალციუმიანი მინერალური ცივი წყლები, საერთო მინერალიზაციით 0,6 გ/დმ³ და 68 მგ/დმ³ კაჟმჟავას შემცველობით.

კურორტზე შეიძლება სახსრების ქრონიკული დაავადებების, პერიფერიული ნერვული სისტემის, კანის, გულ-სისხლძარღვთა და ნერვული სისტემის ფუნქციური დაავადებების მკურნალობა.

მკურნალობის სახეობებია: პასიური კლიმატოთერაპია და მინერალური წყლის აბაზანები. (ლიპარტელიანი & ნინიკაშვილი, 2014, გვ. 71)

ქვიშხეთი — კლიმატო-ბალნეოლოგიური კურორტი დაბალმთიან საკურორტო ზონაში, ზღვის დონიდან 750 მეტრზე, შიდა ქართლის ვაკეზე, ხაშურის მუნიციპალიტეტში, ქ. ხაშურიდან 10 კმ-ით სამხრეთ-დასავლეთით. სამი მხრიდან გარშემორტყმულია საშუალო სიმაღლის (900-1 000 მ-ის) მთებით: ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან ლიხის ქედით, ხოლო სამხრეთიდან მესხეთის ქედით. მიუხედავად იმისა, რომ ქვიშხეთი ადმინისტრაციული ხაშურის მუნიციპალიტეტს ეკუთვნის ის ბორჯომის ჯგუფის კურორტად მოიხსენიება.

კურორტი კლიმატურ-ბალნეოლოგიური ტიპისაა, გარშემორტყმულია წიწვოვან-ნაძვნარითა და შერეული ტყით. ქვიშხეთის ჰავის უნიკალურ სამკურნალო თვისებებს განაპირობებს შავი ზღვიდან წამოსული თბილი ნოტიო ჰაერის მასები, რომლებიც კურორტის ტერიტორიაზე ერწყმის მთების ჰავას. კურორტის ტერიტორიაზე გამოსავალს პოულობს მინერალური წყლები, რომლებიც სხვადასხვა დაავადების

სამკურნალოდ გამოიყენება. ქვიშხეთი განსაკუთრებით სასარგებლოა ბავშვებისთვის, რომლებსაც სასუნთქი გზების დაავადებები აწუხებთ.

კურორტზე ზამთარი ზომიერად ცივი და მცირეთოვლიანია. იანვრის საშუალო ტემპერატურა -1,9°C-ა. ზაფხული თბილია, აგვისტოს საშუალო ტემპერატურა 20,7°C-ა. ნალექების წლიური რაოდენობა 567 მმ-ს შეადგენს, ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა — 70%-ს. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადი 2 100 საათია.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორებია დაბალი მთის სუბტროპიკული ჰავა და სუსტად სულფიდური, კარბონატულ-ნატრიუმიანი მინერალური თბილი წყლები, 0,14 გ/დმ³ საერთო მინერალიზაციით. კურორტზე შესაძლებელია გულ-სისხლძარღვთა, სუნთქვის, საჭმლის მომნელებელი და შარდ-სასქესო სისტემების დაავადებების, რკინადეფიციტური ანემიის, მსუბუქი და საშუალო ხარისხის შაქრიანი დიაბეტის, პოდაგრას და რადიოაქტიური და სხივებით გამოწვეული დაავადებების მკურნალობა. მკურნალობის სახეობებია პასიური კლიმატოთერაპია და მინერალური წყლის აბაზანები. (ლიპარტელიანი & ნინიკაშვილი, 2014, გვ. 70)

ხოვლე — ბალნეოლოგიური კურორტი, დაბალმთიან საკურორტო ზონაში, ზღვის დონიდან 750 მეტრზე. ქ. კასპიდან სამხრეთ-დასავლეთით 26-ე კმ-ზე. კურორტზე დაბალი მთის, ზომიერად მშრალი ჰავაა. ზამთარი ზომიერად ცივია, მცირეთოვლიანი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა -1,2°C. ზაფხულია თბილია, ზომიერად მშრალი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 20,5°C. ნალექების წლიური რაოდენობა შეადგენს 400-600 მმ-ს. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში 2 400 საათია. კურორტის ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორებია დაბალი მთის ჰავა და სუსტად სულფიდური, სულფატ-ჰიდროკარბონატული, ნატრიუმიანი ცივი მინერალური წყლები, 0,8 გ/დმ³ საერთო მინერალიზაციით.

კურორტზე შეიძლება გულ-სისხლძარღვთა, სუნთქვისა და ძვალ-სახსართა სისტემების, გინეკოლოგიური დაავადებების, ნერვული სისტემის ფუნქციური დარღვევების, ცისტიტისა და ქრონიკული პროსტატიტის, ენდოკრინოლოგიური სიმსუქნის მკურნალობა.

ბიისი — კლიმატო-ბალნეოლოგიური კურორტი საშუალომთიანეთის საკურორტო ზონის ქვედა სარტყელში, ზღვის დონიდან 1 030 მეტრზე, გორის

მუნიციპალიტეტში. ქ. გორიდან სამხრეთ-დასავლეთით 24-ე კმ-ზე, მტკვრის შენაკად მდ. ტანის ნაპირებზე.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორებია საშუალომთიანეთის ქვედა სარტყლის ჰავა, წიწვოვანი და შერეული ფოთლოვანი ტყეები და თბილი სულფიდური წყლები 1,3 გ/ლ მინერალიზაციით.

კურორტზე შესაძლებელია ართროლოგიური, პერიფერიული ნერვული სისტემისა და გინეკოლოგიური დაავადებების მკურნალობა. (ლიპარტელიანი & ნინიკაშვილი, 2014)

საკურორტო ადგილები:

ცხრილი N1

დასახელება	ტიპი	მინ. წყლის ძირითადი ტიპი	პროფილი
აბანო	ბალნეოლოგიური	სულფიდური	პროფილაქტიკური, გინეკოლოგიური, ართროლოგიური, ნევროლოგიური (პნს)
ატენი	კლიმატური		პროფილაქტიკური, კარდიოლოგიური
ახალქალაქი	კლიმატური		პროფილაქტიკური
ბატეთი	კლიმატური		პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური, ნევროლოგიური (ცნს)
ბულბულისციხე	კლიმატური		პროფილაქტიკური, კარდიოლოგიური
ფელი	კლიმატური		პროფილაქტიკური
გოსტიბე	კლიმატური		პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური, ნევროლოგიური (ცნს)
ქაშვეთი	ბალნეოლოგიური		პროფილაქტიკური
საყავრე	კლიმატური		პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური, ნევროლოგიური
ტყემლოვანა	კლიმატო-ბალნეოლოგიური	ნახშირმჟავიანი	პროფილაქტიკური, გასტროენტეროლოგიური
ხცისი	ბალნეოლოგიური	სულფიდური	ართროლოგიური, ნევროლოგიური (პნს), გინეკოლოგიური

ხვედურეთი	ბალნეოლოგიური	სულფიდური	ართროლოგიური, ნევროლოგიური (პნს), გინეკოლოგიური

რეგიონის ოკუპირებულ ნაწილზე მოქცეულია შემდეგი კურორტები და საკურორტო ადგილები: ჯავა, ბაგიათა, კოდიბინა, ნაგუთნი, ედისა, ქოთანთო, წრუ და ყემულთა. (საქართველოს მთავრობა, 2014)

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ რეგიონში არსებული კურორტები ამჟამად არც ისე კარგადაა ათვისებული და მათი ნაწილი თითქმის საკურორტო ადგილის დონემდეც კი დაქვეითდა. საჭირო სამუშაოების ჩატარებისა და ინვესტიციების მოზიდვის შემთხვევაში რეგიონში კურორტების და საკურორტო ადგილების არც თუ მცირე რაოდენობა, მათ ხელსაყრელ გეოგრაფიულ მდებარეობასთან ერთად, იძლევა იმის პოტენციალს, რომ რეგიონში აღდგეს ან განვითარდეს ფართო სპექტრის სამკურნალო ტურიზმი.

სამწუხარო რეალობად რჩება რეგიონის ოკუპირებულ ნაწილზე დარჩენილი კურორტებისა და საკურორტო ადგილების ბედი, რადგან ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე მათი ტურისტული ნიშნით განვითარება შეუძლებელია.

1.4 შიდა ქართლის ტურისტულად მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურის ანალიზი

ინფრასტრუქტურა ტურიზმის განვითარების და არსებული ტურისტული რესურსების ათვისების საფუძველია. ტურისტულად მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურაში შეგვიძლია ვიგულისხმოთ ყველა ის მრავალფეროვანი მომსახურება, რომელიც აუცილებელია ტურისტთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად დანიშნულების ადგილზე მათი ყოფნის განმავლობაში. (Sonja & Ivana, 2016)

ამრიგად, შიდა ქართლის ტურისტულად მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურის ანალიზისას შევეხები რეგიონის საგზაო ქსელსა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას განთავსების საშუალებებს, კვების ობიექტებს, ჯანდაცვის, საფინანსო, საინფორმაციო და სხვა სერვისებს.

შიდა ქართლის ტერიტორიაზე სამი საერთაშორისო მნიშვნელობის გზა გადის, რომელიც რეგიონს საქართველოს სხვა კუთხეებთან აკავშირებს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ქვეყნის მთავარი სატრანსპორტო არტერია „თბილისი-სენაკი-ლესელიძის“ (ს1/E60) ავტომაგისტრალი. იგი რეგიონს აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით 102,11 კმ-ზე კვეთს და მხარის ყველა მთავარ საქალაქო დასახლებას აკავშირებს გარე სამყაროსთან.

ამჟამად, აღნიშნულ ავტომაგისტრალზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები რეგიონის ტერიტორიაზე თითქმის დასრულებულია, 102,11 კილომეტრიდან ოთხზოლიანი ავტომაგისტრალი 79,4 კმ-ზეა (77,8%) დაგებული, რაც საგრძნობლად ამცირებს გადაადგილების დროს და ზრდის მგზავრობის კომფორტულობას როგორც რეგიონის შიგნით, ისე დედაქალაქიდან.[19]

მეორე საერთაშორისო მნიშვნელობის გზა „გორი-ცხინვალი-გუფთა-ჯავა-როკი“ (ს 10), გორიდან იწყება და რეგიონს რუსეთის ფედერაციასთან აკავშირებს, მისი სიგრძე 91,5 კმ-ს შეადგენს.[20] დღევანდელი მდგომარეობით, რუსეთის ფედერაციის რეგიონის ოკუპაციის ფონზე აღნიშნული გზა საერთაშორისო გადაადგილებებისთვის არ გამოიყენება.

მესამე საერთაშორისო გზა „ხაშური-ახალციხე-ვალე“ (ს 8), ქალაქ ხაშურიდან იწყება და სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიის გავლით თურქეთის რესპუბლიკას უკავშირდება. შიდა ქართლის ტერიტორიაზე მისი სიგრძე 10,7 კმ-ს შეადგენს.[20]

რეგიონის დასახლებული პუნქტები ერთმანეთთან გზების საკმაოდ მჭიდრო ქსელით არიან დაკავშირებული. რეგიონის ტერიტორიაზე არსებული შიდა მნიშვნელობის გზების საერთო სიგრძე 524,5 კმ-ს შეადგენს, აქედან მოასფალტებული 397,4 კილომეტრია (75,6%).[20]

რეგიონის მთლიანი საგზაო ქსელის სიგრძე, მათ შორის დასახლებების შიდა გზების ჩათვლით, 13 878,9 კმ-ს შეადგენს, აქედან მყარი საფარით 1 444,3 (10,4%) კილომეტრია.[20] მოასფალტებული გზების რაოდენობით ძირითადად შიდა ქართლის

[19] აღნიშნული გამოთვლები დაფუძნებულია საჯარო რეესტრის მონაცემებს და მცირედით განახლებულია ჩემს მიერ სატელიტურ ფოტომასალებზე დაყრდნობით

[20] მონაცემები გამოთვლილია გის-ში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (სრეს) მონაცემების მიხედვით

ვაკეა დაფარული, რეგიონის ხეობებში ყველაზე ღრმად მოასფალტებული გზა მხოლოდ ტანას ხეობაში შედის (სოფ. ბიისამდე), ხოლო ძამის (სოფ. ზღუდერამდე) და თეძმის ხეობებში — ძალიან მცირედით. აღნიშნული ფაქტი ტურიზმის განვითარებისთვის უთუოდ შემაფერხებელი ფაქტორია და აუცილებელ გაუმჯობესებას საჭიროებს. (იხ. [რუკა N14](#))

შიდა ქართლის ტერიტორიაზე ასევე წარმოდგენილია სარკინიგზო ქსელი (151,3 კმ), რომელიც რეგიონის ყველა მუნიციპალურ ცენტრს (ჯავის გამოკლებით) აკავშირებს როგორც ერთმანეთთან, ისე საქართველოს ყველა დიდ დასახლებულ პუნქტთან. შიდა ქართლის ტერიტორიაზე 34 სამგზავრო რკინიგზის სადგურია. რეგიონის მთავარი სარკინიგზო კვანძები ქალაქ ხაშურში და გორშია.[20] მხარეში სარკინიგზო ქსელის არსებობა ტურისტული თვალსაზრისით დადებითი მოვლენაა, რადგან ის ამრავალფეროვნებს სატრანსპორტო ქსელს და ამავდროულად შეღავათიანი ფასებითაც ხასიათდება. (საქართველოს რკინიგზა, 2017)

საერთაშორისო აეროპორტები რეგიონის ტერიტორიაზე არ არის, თუმცა უახლოესი საერთაშორისო აეროპორტი ქალაქ თბილისშია და რეგიონის სამხარეო ცენტრიდან, ქ. გორიდან 100 კმ-ით არის დაშორებული, ხოლო მეორე უახლოესი საერთაშორისო აეროპორტი ქ. ქუთაისში — 175 კმ-ითაა დაშორებული.[21]

რეგიონის ყველა მუნიციპალურ ცენტრში ავტოსადგური მდებარეობს ქალაქის ცენტრალურ ნაწილში ან მისგან 1 კმ-ზე ნაკლები დაშორებით. ავტოსადგურებიდან ავტობუსით ან მიკროავტობუსით შესაძლებელია მუნიციპალიტეტების სხვადასხვა სოფლებში მოხვედრა. რეისები სრულდება ქალაქების მიმართულებითაც. ყველა ავტოსადგურში ასევე შესაძლებელია ტაქსის დაქირავებაც.

რეგიონში სატრანსპორტო მომსახურება მეტნაკლებად კარგ დონეზეა და განვითარებულია, თუმცა საჭიროებს ტექნიკურ განახლებასა და დახვეწას.

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის განთავსების ობიექტების ბაზის 2017 წლის ივნისის თვის მონაცემებით, შიდა ქართლის ტერიტორიაზე 22 განთავსების ობიექტია, რომელთა ოთახების ჯამური რაოდენობა 163-ს, ხოლო საწოლი

[21] მონაცემები გამოთვლილია გის-ში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (სრეს) მონაცემების მიხედვით

ადგილებისა 485-ს შეადგეს. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებითვე, ამჟამად, შიდა ქართლში 6 განთავსების ობიექტის მშენებლობა მიმდინარეობს ჯამურად 86 ოთახითა და 178 საწოლი ადგილით. 2016 წელს, შიდა ქართლის ტერიტორიაზე 2 განთავსების ობიექტი გაიხსნა ჯამურად 33 ოთახითა და 59 საწოლი ადგილით. (საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2017)

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ეროვნული ადმინისტრაციის განთავსების ობიექტების ბაზაში რეგისტრაცია არასავალდებულოა, ეროვნული ადმინისტრაციის აღნიშნული სტატისტიკური მონაცემები ვერ ასახავს რეგიონში განთავსების საშუალებების რეალურ სახეს. თუმცა, ზემოხსენებული მონაცემებით იმ დასკვნის გაკეთება მაინც შეიძლება, რომ შიდა ქართლში განთავსების საშუალებების რაოდენობის ზრდის ტენდენცია მცირედით, მაგრამ მაინც აღინიშნება.

იმისთვის, რომ ჩემს ნაშრომში შიდა ქართლის განთავსების საშუალებების შემლებისდაგვარად სრულყოფილი სახე მეჩვენებინა, მოვიძიე და გავაანალიზე მრავალი წყარო: Tripadvisor, Booking.com, Airbnb.com, OpenStreetMap, Google Maps, HERE Maps და ა.შ.

ჩემს მიერ შეგროვებული მონაცემების მიხედვით, 2017 წლის ივნისის მდგომარეობით შიდა ქართლის ტერიტორიაზე 61 განთავსების საშუალებაა, ამათგან ოთახებისა და საწოლი ადგილების რაოდენობის დადგენა მხოლოდ 53 ობიექტზე მოხერხდა.

განთავსების საშუალებების სახეობის მიხედვით რეგიონში წარმოდგენილია სასტუმროები, საოჯახო სასტუმროები, ჰოსტელები, სასტუმრო სახლები, აპარტამენტი და კოტეჯი. ამ ჩამონათვალიდან ყველაზე მეტად საოჯახო სასტუმროებია (77%) გავრცელებული. (იხ. დიაგრამა N2)

მონაცემების მქონე 53 განთავსების საშუალებების ოთახების საერთო რაოდენობა 253-ს შეადგენს, ხოლო საწოლებისა — 722-ს. ოთახების რაოდენობის მიხედვით ყველაზე მეტი სამოთახიანი განთავსების საშუალებაა (იხ. დიაგრამა N3), ხოლო საწოლების რაოდენობის მიხედვით ექვს, რვა და ცხრა საწოლიანი განთავსების საშუალებები ლიდერობენ (იხ. დიაგრამა N4).

რეგიონში განთავსების საშუალებების რაოდენობის კონცენტრაციის ორი კერაა — ქალაქი გორი (29 ობიექტი) და დაბა სურამი (17 ობიექტი). (იხ. ცხრილი N2)

ცხრილი N2: განთავსების საშუალებები შიდა ქართლში

დასახლება	განთავსების საშუალებები	ოთახების ჯამური რაოდენობა	საწოლების ჯამური რაოდენობა
გორი	29	119	288
სურამი	17	110	369
ხაშური	3	7	16
ცხინვალი	2	-	-
ბობნევი	2	-	-
დიდი ატენი	1	3	7
გარდატენი	1	4	15
ქვიშხეთი	1	7	20
ხიდისთავი	1	3	7
ქვემო ბოშური	1	-	-
ქარელი	1	-	-
რბონა	1	-	-
ითრია	1	-	-

რეგიონის კვების სექტორი საკმაოდ განვითარებულია, ჩემს მიერ მოძიებული მონაცემებით[22] აქ წარმოდგენილია დაახლოებით 118 კვების ობიექტი, რომელთა შორის ყველაზე გავრცელებული სახეობა რესტორანია (48), შემდეგ კაფე (31), სწრაფი კვების ობიექტები (13) და ლუდის ბარი (12).

კვების ობიექტების სიმრავლით განსაკუთრებით გამოირჩევიან შემდეგი დასახლებები: გორი (51), კასპი (14), ხაშური (12) და სოფელი ითრია (10). (იხ. რუკა N15)

[22] Tripadvisor, Booking.com, Airbnb.com, OpenStreetMap, Google Maps, HERE Maps და ა.შ.

კვების ობიექტების უმრავლესობა მუშაობს 9-10 საათიდან 22-23 საათამდე. კვების ობიექტების უდიდეს ნაწილში მომსახურებაზე ფასის გადახდა ხდება ნაღდი ფულით და ძალიან მცირე ნაწილში Visa და MasterCard ბარათებით, ისიც მხოლოდ ქალაქ გორში.

2011 წელს შიდა ქართლში, კერძოდ ქალაქ გორში გაიხსნა რეგიონში პირველი ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი. აღნიშნული საინფორმაციო ცენტრი ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, ტურისტების ერთ-ერთი ყველაზე დიდი თავმოყრის ადგილას, სტალინის სახლ-მუზეუმის სიახლოვეს მდებარეობს და მნახველებს დახმარებას, ინფორმაციას, ბუკლეტებსა თუ რუკებს ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე სთავაზობს. (Geo News, 2011) თუმცა, ბუკლეტებში მოცემული ინფორმაცია რეგიონს მთლიანად არ ფარავს და ძირითადად გორისა და ატენის ხეობის არეალებს მოიცავს.

ქ. გორში ასევე დაიწყო ტურისტული ინფრასტრუქტურის დახვეწა, დაიდგა ღირსშესანიშნაობების მანიშნებელი მიმართულებები, რომლებიც ქართულ და ინგლისურ ენებზეა და მნახველებს ქალაქში ორიენტაციაში ეხმარება. (იხ. სურათი N14) ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის მიმდებარედ გაიხსნა კვების ახლი ობიექტები და სუვენირების მაღაზიები, აღნიშნულ მაღაზიებში სუვენირები როგორც ქალაქისა და რეგიონის, ისე საქართველოს თემატიკითაა.

ქალაქ გორში ისევე როგორც რეგიონის დანარჩენ საქალაქო ცენტრებში ერთ-ერთ პრობლემად კვლავ რჩება საზოგადოებრივი საპირფარეშოების არარსებობა. ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის მიმდებარედ გარკვეული პერიოდი ფუნქციონირებდა ფასიანი საზოგადოებრივი საპირფარეშო, თუმცა 2017 წლის ივლისის მდგომარეობით ის გაუქმებულია.

საფინანსო, ჯანდაცვის, უსაფრთხოების სერვისებს რაც შეეხება, რეგიონის ტერიტორიაზე ისინი უხვადაა წარმოდგენილი. (იხ. რუკა N15)

საბანკო ინსტიტუტები წარმოდგენილია რეგიონის ყველა ქალაქში და დაბაში (სულ 45 ოფისი), ამის გარდა რამდენიმე ATM აპარატია ცენტრალური მაგისტრალის გასწვრივაც. საბანკო ინსტიტუტების სიმრავლე განსაკუთრებით ხელსაყრელია იმ ტურისტებისთვის ვინც ვიზიტის დროს ტრანზაქციების განხორციელებას დააპირებს.

სატელეკომუნიკაციო ოპერატორებიდან რეგიონის ტერიტორიაზე წარმოდგენილია საქართველოს სამივე ოპერატორი, თუმცა ოფისების ჯაჭვით

გამოირჩევა მხოლოდ მაგთი (გორი, ხაშური, კასპი, რუისი, გომი, ტყვიავი, დიდი მეჯვრისხევი და ბერძენაური). ჯეოსელის ოფისები წარმოდგენილია გორში, ხაშურში და კასპში, ხოლო ბილაინისა მხოლოდ გორში. (იხ. [რუკა N15](#))

საყოველთაო წესრიგს რეგიონის ტერიტორიაზე 28 საპატრულო განყოფილება იცავს. განყოფილებები განლაგებულია რეგიონის ყველა ქალაქსა და დაბაში, ასევე განყოფილებების მჭიდრო ქსელია საოკუპაციო ხაზის გასწვრივ.

ჯანდაცვის სერვისებს რეგიონის ტერიტორიაზე 9 კლინიკა და 2 ჰოსპიტალი უზრუნველყოფს. სამედიცინო დაწესებულება ყველა მუნიციპალურ ცენტრშია წარმოდგენილი, თუმცა კლინიკების უმრავლესობა ქალაქ გორშია. (იხ. [რუკა N15](#))

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ რეგიონში ტურისტულად მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურა არაერთფეროვნადაა განვითარებული. შედარებით ყველაზე უკეთ კვების, საფინანსო, ჯანდაცვის, სატელეკომუნიკაციო, უსაფრთხოების სერვისებია უზრუნველყოფილი. განთავსების საშუალებების სექტორი ძალიან დანაწევრებულია და ორ განცალკევებულ ბირთვად იყოფა, აგრეთვე რეგიონში ძალიან მცირეა სასტუმროების წილი რაც დადებით მოვლენად ვერ ჩაითვლება. საგზაო ინფრასტრუქტურა ყველაზე კარგად რეგიონის ცენტრალურ ნაწილშია განვითარებული, ხოლო მთიანი ზონა თავისი ტურისტული პოტენციალის უკეთ ასათვისებლად მეტ ძალისხმევასა და განვითარებას საჭიროებს.

II თავი: ტურიზმის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი და განვითარების პოტენციალი შიდა ქართლში

2.1 ტურიზმის განვითარების თანამედროვე მდგომარეობა და ტურისტთა დინამიკა შიდა ქართლში

შიდა ქართლის რეგიონის ტურისტული პოტენციალის შეძლებისდაგვარად სრული ანალიზისთვის აუცილებელ შემადგენელს წარმოადგენს რეგიონში ტურიზმის თანამდეროვე მდგომარეობის დადგენა და მის შესაბამისად დასკვნების გამოტანა.

ამჟამად, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია არანაირ სტატისტიკურ აღრიცხვას არ აწარმოებს საერთაშორისო ტურისტების მიერ საქართველოს რეგიონების მონახულების შესახებ და აქედან გამომდინარე, შიდა

ქართლის რეგიონში ტურისტული ნაკადების შესახებ ოფიციალური სტატისტიკური მასალის გაანალიზება შეუძლებელია.

იმისთვის, რომ ნაწილობრივ მაინც დამედგინა რეგიონში საერთაშორისო ტურისტების ჩამოსვლის რაოდენობა და ამ მაჩვენებლის დინამიკა, ერთადერთ საშუალებად რეგიონის ერთ-ერთი მთავარი ტურისტული ატრაქციის სტალინის სახლ-მუზეუმის ვიზიტორების რაოდენობის გაანალიზება მივიჩნიე. აღნიშნული ანალიზი არ იქნება რეგიონის დონეზე რელევანტური, თუმცა დინამიკის დადგენისთვის ამჟამად ალტერნატივა არ არსებობს, მითუმეტეს იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ რეგიონის მეორე უმთავრესი ატრაქცია უფლისციხის ნაკრძალ-მუზეუმი სტატისტიკის წარმოებისას დამთვალიერებლების მოქალაქეობის მიხედვით აღრიცხვას არ ახორციელებს.

სტალინის სახლ-მუზეუმის ადმინისტრაციისგან გამოთხოვილი დამთვალიერებლების სტატისტიკური მასალის მიხედვით 2015 წელს მუზეუმს 53 094 მნახველი ყავდა, აქედან უცხოელი დამთვალიერებლების რაოდენობა 48 301 ადამიანს (90,9%) შეადგენდა, 2016 წლის მაჩვენებლებით დამთვალიერებლების საერთო რაოდენობა 74,5%-ით გაიზარდა და 92 693 მნახველი შეადგინა, მათ შორის უცხოელი დამთვალიერებლების ზრდა 76,9%-ით მოხდა და 85 480 მნახველი შეადგინა. 2017 წლის პირველი 5 თვის მონაცემით მუზეუმს უკვე ეწვია 37 173 დამთვალიერებელი, მათ შორის 34 606 (93%) უცხოელი მოქალაქე. 2017 წლის მონაცემებს გასული წლის იმავე პერიოდის მონაცემებს თუ შევადარებთ (18 602) 2017 წელს უცხოელი დამთვალიერებლების რაოდენობა ისევ გაზრდილია, ამჯერად 86%-ით. (იხ. დიაგრამა N5)

თუკი სტალინის სახლ-მუზეუმის სტატისტიკურ მონაცემებს დავეყრდნობით, რეგიონში ისევე როგორც ქვეყანაში (საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2016) საერთაშორისო ტურისტების ნაკადი ყოველწლიურად მატების ტენდეციით ხასიათდება. ამ ფაქტს ასევე ამყარებს უფლისციხის ნაკრძალ-მუზეუმიდან გამოთხოვილი სტატისტიკური მონაცემები, რომელთა მიხედვით 2015 წელს უფლისციხეს 119 141 დამთვალიერებელი ჰყავდა, 2016 წელს — 184 454, ხოლო 2017 წლის პირველ 6 თვეში — 123 272, რაც 2016 წლის იმავე პერიოდთან შედარებით 184,3%-ით მეტია. უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძლის ადმინისტრაციისგან მიღებული ცნობით

დამთვალიერებლების საერთო რაოდენობის დაახლოებით 70%-ს უცხოელი ვიზიტორები შეადგენენ.

შიდა ტურიზმს რაც შეეხება, 2016 წლის მონაცემებით საქართველოს მოქალაქე ვიზიტორების საერთო რაოდენობიდან რეგიონს 8,8% სტუმრობს, აქედან დასვენება/გართობა/რეკრეაციისთვის — საერთო რაოდენობის 3%. შიდა ვიზიტორების რეგიონში დარჩენის საშუალო ხანგრძლივობა 1,1 დღეს შეადგენს. (საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2017)

იმისთვის, რომ რეგინში ტურიზმის განვითარების მდგომარეობა უკეთ წარმოვაჩინო დავეყრდნობი ასისტენტ პროფესორ ვალერი არღუთაშვილის მეირ შიდა ქართლში 2015 წლის ზაფხულის თვეებში ჩატარებულ კვლევას, რომელიც კვლევის მიზნად სწორედ ზემო აღნიშნულ საკითხს ისახავდა. (არღუთაშვილი, 2015)

კვლევის დროს გამოიკითხა როგორც საერთაშორისო და შიდა ტურისტები, ისე ადგილობრივი მოსახლეობა. გამოკითხვა მიმდინარეობდა ანკეტური კითხვარებით და პირდაპირი ინტერვიუს მეთოდით (ადგილობრივ მოსახლეობასთან).

კვლევის დროს გამოიკითხა 180 ტურისტი და 120 ოჯახი. ტურისტების გამოკითხვა ძირითადად ჩატარდა უფლისციხისა და სტალინის სახლ-მუზეუმის დამთვალიერებელ ტურისტებთან, ხოლო ოჯახებისა — ქარელის, კასპისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში.

კვლევის დროს საერთაშორისო ტურისტების აზრი უფრო მნიშვნელოვნად განისაზღვრა და აქედან გამომდინარე გამოკითხულთა 65%-ს უცხოელი ტურისტები, ხოლო 35%-ს ქართველი ტურისტები წარმოადგენდნენ. (იხ. დიაგრამა N6)

გამოკითხულ ტურისტთა ასაკობრივი შემადგენლობა შემდეგნაირი იყო: 20 წლამდე ასაკის — 11%, 20-დან 35 წლამდე — 48%, 35-დან 55 წლამდე — 26% ხოლო 55 წლის ან მეტის — 15%. (იხ. დიაგრამა N7)

კვლევის თანახმად ქ. გორში ჩამოსული ტურისტების უმრავლესობის მიზანს წარმოადგენს ქალაქის ისტორიულ-კულტურული ძეგლების დათვალიერება (40%), შემდეგ ადგილობრივი კულტურის გაცნობა (25%), მუნიციპალიტეტის ბუნებისა და ლანდშაფტის დათვალიერება (11%) და ქართული სამზარეულოს დაგემოვნება (11%). (იხ. დიაგრამა N8)

ტურისტების მიერ გორის მუნიციპალიტეტში ყველაზე მონახულებადი ისტორიულ-კულტურული ძეგლების სია ასე გამოიყურება: სტალინის სახლ-მუზეუმი (40%), უფლისციხე (35%), ატენის ხეობა (14%) და გორის ციხე (9%).

ტურისტების უდიდესი ნაწილი (80%) არაა ინფორმირებული რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტებში მდებარე ღირსშესანიშნაობების შესახებ, თუმცა მზადყოფნას გამოთქვამს მოინახულონ ისინი თუკი საკმარისი ინფორმაცია და ღამისთევისა და კვების საშუალება ექნებათ.

რეგიონში ტურისტების ჩამოსვლა უმეტესად ტურისტული კომპანიების რეკომენდაციით ხდება (72%), შემდეგ მეგობრის რჩევით (14%), პირადი ინიციატივით (8%) და სხვა მიზეზებით (6%). (იხ. დიაგრამა N9)

გამოკითხული ტურისტების უმრავლესობა (87%) გორში მხოლოდ ერთი დღით ჩამოვიდა, 8% 2-3 დღით, ხოლო 5% ერთი კვირით. (იხ. დიაგრამა N10)

ღამის გათენების საშუალების არჩევასთან დაკავშირებით ტურისტების 37%-მა საოჯახო სასტუმროებში დარჩენის სურვილი გამოთქვა, 34%-მა — სასტუმროებში, 16%-მა ღამის თბილისში გათენება არჩია, ხოლო დარჩენილმა 13%-მა კარვებით ბუნებაში გათენება. (იხ. დიაგრამა N11) ამ მხრივ ტურისტები აღნიშნავდნენ, რომ სასტუმროების გარკვეულ ნაწილში არაა შესაბამისი პირობები და ისინი გაუმჯობესებას საჭიროებენ.

აღსანიშნავია, რომ სასტუმროს არჩევისას ტურისტების 38% განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სასტუმროს მომსახურების ხარისხს, 36% — სასტუმროს ნომრის მდგომარეობას, 20% — ფასს, ხოლო დანარჩენი 6% — სასტუმროს კვების სერვისს. (იხ. დიაგრამა N12)

ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით, ტურისტების დიდი ნაწილი (69%) გორის მუნიციპალიტეტში ტურისტულ ინფრასტრუქტურას საშუალო მდგომარეობით აფასებდა. ტურისტების უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ ქალაქში არ არის სპეციალური დაფები რომლებზეც დატანილია ტურისტული და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების მანიშნებლები,[23] აგრეთვე აღნიშნავდნენ, რომ ვიზიტისას მათ ჰქონდათ ენის ბარიერის

[23] 2017 წლის ივლისის მდგომარეობით ეს საკითი აქტუალური აღარაა, რადგან ქალაქში ამ მხრივ სიტუაცია საგრძნობლად გამოსწორებულია. (იხ. სურათი N14)

პრობლემაც. ერთ-ერთ მთავარ პრობლემად ასევე დასახელდა ტურისტული ობიექტების სიახლოვეს საზოგადოებრივი საპირფარეშოების არარსებობა.

გარკვეული ნაკლოვანებების გამოვლენის მიუხედავად, ტურისტთა თითქმის ნახევარი (48%) კვლავ გეგმავდა გორში ჩამოსვლას და დარჩენილი დაუთვალიერებელი ძეგლების მონახულებას, ხოლო ტურისტთა უმრავლესობა (64%) მზადყოფნას გამოთქვამდა გორში ჩამოსვლა მათი ნაცნობებისთვისაც ერჩიათ.

კასპის, ხაშურის და ქარელის მაცხოვრებლების კვლევის ნაწილს რაც შეეხება, აქ უმეტესად გამოკვლეულ იქნა მუნიციპალიტეტების მოსახლეობის მზადყოფნა და სურვილი მათ მხარეში ტურისტული საქმიანობის განვითარებასთან დაკავშირებით.

სამივე მუნიციპალიტეტის გამოკითხული მოსახლეობის უმრავლესობა (კასპი - 90%, ქარელი - 92%, ხაშური - 80%) სურვილს გამოთქვამდა მუნიციპალიტეტების ღირსშესანიშნაობების რეგიონის საექსკურსიო მარშრუტებში ჩართვაზე. აგრეთვე, სამივე მუნიციპალიტეტში მოსახლეობის თითქმის 60%-მა მზადყოფნა განაცხადა 1-3 დღით სტუმრების მიღებაზე, ხოლო დანარჩენმა თავი შეიკავა. (არღუთაშვილი, 2015)

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ რეგიონში ტურიზმის განვითარების თანამედროვე მდგომარეობა არაერთგვაროვანია, ტურისტული თვალსაზრისით შედარებით ყველაზე დაწინაურებული ქ. გორი და გორის მუნიციპალიტეტია, ხოლო დანარჩენ მუნიციპალიტეტებში მოსახლეობის სურვილის მიუხედავად ტურისტული საქმიანობა მცირედ განვითარებულია.

რეგიონის ერთ-ერთ პრობლემად რჩება ასევე ადგილობრივი ტურ-ფირმების და შესაბამისი ტურისტული მარშრუტების არარსებობა. ასევე, არ არსებობს სრულყოფილი საინფორმაციო საშუალება, რომელიც რეგიონის ყველა მთავარი ღირსშესანიშნაობის შესახებ დეტალურ ინფორმაციას მიაწვდიდა ტურისტს. დახვეწას საჭიროებს კვებისა და განთავსების საშუალებების მომსახურებაც.

ზემო აღნიშნული ნაკლოვანებების მიუხედავად, რეგიონში ტურისტების ნაკადი მაინც მზარდია, რაც რეგიონის ბუნებრივი თუ ანთროპოგენური ტურისტული რესურსების სიმრავლე-მნიშვნელობით აიხსნება. შესაბამისი დაგეგმვისა და ხელშეწყობის შემთხვევაში შიდა ქართლის რეგიონს აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთ მთავარ ტურისტულ მიმართულებად ჩამოყალიბება შეუძლია.

2.2 ტურიზმის განვითარების პოტენციალი შიდა ქართლში

შიდა ქართლის ბუნებრივ და ანთროპოგენურ ტურისტულ-რეკრეაციულ რესურსებზე და ასევე რეგიონის მოსახლეობის ეთნოგრაფიულ თავისებურებებზე დაყრდნობით ამ თავში ვეცდები დავახასიათო ყველა იმ არსებული თუ პოტენციური ტურისტული მიმართულების განვითარების შესაძლებლობა, რომელსაც რეგიონის ტერიტორიაზე საუკეთესო წინაპირობები აქვს.

ტურიზმის სახეობებიდან რეგიონის ტერიტორიაზე ერთ-ერთი საუკეთესო პერსპექტივა აქვს **კულტურულ-შემეცნებითი ტურიზმის** განვითარებას. კულტურულ-შემეცნებითი ტურიზმის საფუძველში დევს ტურისტის მოთხოვნა გააფართოვოს საკუთარი კულტურული თვალთახედვა. ტურიზმის ეს სახეობა ადამიანს კულტურულ ღირებულებებს აცნობს, ამასთან, ტურისტი ცოდნას დაძალების გარეშე, საკუთარი სურვილით ღებულობს.

კულტურულ-შემეცნებითი საქმიანობა შეიძლება რამდენიმე ჯგუფად დაიყოს:

1. სხვადასხვა ისტორიული, არქიტექტურული ან კულტურული ეპოქების გაცნობა არქიტექტურის ძეგლების, მუზეუმების, ისტორიული მარშრუტების და ა.შ. მონახულების გზით;
2. კულტურის და ხელოვნების წარმოდგენების: მუსიკალური, კინო ან თეატრის, კონცერტების, გამოფენების მონახულება;
3. ლექციებზე, სემინარებზე, უცხო ენის კურსებზე დასწრება (Артёмова & Козлова, 2005)

აღნიშნული ჩამონათვალიდან შიდა ქართლის ტერიტორიაზე განვითარების ყველაზე მეტი პერსპექტივით პირველი დაჯგუფება უნდა მივიჩნიოთ, რადგან აქ არსებული სხვადასხვა ეპოქის უმდიდრესი კულტურული მემკვიდრეობა მოიცავს ასობით ძეგლს, (იხ. რუკა N12) რამდენიმეს, თუმცა უნიკალური ექსპონატებით უმდიდრეს ეთნოგრაფიულ მუზეუმებს და მათ შორის თავისი თემატიკით მსოფლიოში ერთადერთ სტალინის სახლ-მუზეუმს.

შეგვიძლია თამამად ვივარაუდოთ, რომ თუკი რეგიონში მოხდება ტურისტული, საგზაო და საინფორმაციო ინფრასტრუქტურის დახვეწა შიდა ქართლი მალევე შეძლებს

უფრო მეტი ტურისტის დაინტერესებას და ტურისტთა ნაკადის სულ მცირე, გაორმაგებას.

რეგიონში კიდევ ერთი დიდად პერსპექტიული ტურიზმის სახეობა **სათავგადასავლო ტურიზმია**.

სათავგადასავლო ტურიზმი პირობითად შეიძლება ორ ნაწილად დაიყოს: სათავგადასავლო სპორტი და სათავგადასავლო მოგზაურობა.

სათავგადასავლო სპორტი მოიცავს:

- საჰაერო ბურთებით მოგზაურობას;
- კლდეზე ცოცვას;
- რაფტინგს;
- წყლის თხილამურებს;
- უინდსერფინგს;
- მოტოციკლებით, ცხენებით, ველოსიპედებით, ფეხით მოგზაურობას;
- მთიდან ან ზღვაზე პარაშუტებით დაშვებას;
- წყალქვეშ ცურვას;
- წყლის მოტოციკლებზე ან თოვლმავლებზე გასეირნებას.

სათავგადასავლო მოგზაურობა მოიცავს არამარტო გარკვეული რისკის მქონე სპორტულ საქმიანობას, არამედ, აგრეთვე სხვადასხვა სახის მოგზაურობას რომლის მარშრუტი რთულ გეოგრაფიულ და ბუნებრივ პირობებში გადის (მაგ.: საჰარის უდაბნოზე, ჰიმალაის მთებზე და ა.შ.) (Артёмова & Козлова, 2005)

სათავგადასავლო ტურიზმიდან რეგიონში კონკრეტულად ისეთი მიმართულებების განვითარება შეიძლება, როგორიც კლდეზე ცოცვა, მოტოციკლებით, ცხენებით, ველოსიპედებით ან ფეხით მთებში მოგზაურობა და მთიდან დელტაპლანით დაშვებაა. აღნიშნული საქმიანობებისთვის საუკეთესო პირობებია თრიალეთის მთებზე, რომელზეც გარდა სხვადასხვა სახისა და სირთულის მთის ბილიკებისა მრავლადაა მწვერვალებიც (იხ. რუკა N4) საიდანაც ვრცელი მიდამოები და ულამაზესი პანორამული ხედები იშლება (იხ. სურათი N15).

შიდა ქართლში ასევე დიდი პოტენციალი აქვს **ღვინის ტურიზმის** განვითარებას. რეგიონი წარმოადგენს ქართლის მევენახეობა-მეღვინეობის რეგიონის ნაწილს, რომელიც

თბილისის მისადგომებიდან იწყება და იმერეთამდე გრძელდება. ქართლის მევენახეობა-მეღვინეობის რეგიონი 4 მხარედ იყოფა, აქედან 2 მხარე შიდა ქართლის ტერიტორიაზე მდებარეობს, ესენია: სურამ-ქვიშხეთის ზონა და გორის ზონა. რეგიონის რელიეფის თავისებურების მკაცრი კლიმატის გამო ვაზი ძირითადად მტკვრისა და მისი შენაკადების ხეობებშია გავრცელებული — ფრონე, ძამა, დიდი და მცირე ლიახვი, ტანა, ლეხურა, თეძამი, კავთურა და ქსანი. (ხარბედია, 2016, გვ. 71)

რეგიონში გავრცელებულია შემდეგი ვაზის ჯიშები: თეთრი — ჩინური, გორული მწვანე, ბუდეშური, რქაწითელი; წითელი — თავკვერი, შავკაპიტო და საფერავი. იშვიათი ჯიშებია: ჯვარი, ანდრეული, არაგვისპირეული, ბუზა, დანახარული, გრძელმტევანა, დაკიდულა, მელიკუდა, ჭროღა, ქიშური, ღრუბელა, შაბა, ხარისთვალა, რკო და ძელშავი. (ხარბედია, 2016, გვ. 73)

რეგიონში რთველი ძალაში ოქტომბრიდან შედის პირველად ყურძენი გორის ზონაში მწიფდება, ხოლო შემდეგ სურამ-ქვიშხეთის ზონაში. ამ ზონაში ყურძენი იშვიათად აგროვებს მაღალ შაქრიანობას, ამიტომ ღვინო შედარებით დაბალალკოჰოლიანი და მაღალმჟავიანი დგება. (ხარბედია, 2016, გვ. 73-74)

უკანასკნელი ასწლეულის მანძილზე ქართლური ღვინის სახეს ძირითადად ჩინურის ჯიშიდან დაყენებული ღვინო წარმოადგენს, თუმცა რეგიონის ასევე განთქმულია ცქრიალა ღვინითაც. აქ მოყვანილი გორული მწვანის, ჩინურისა და ფრანგული ჯიშების, პინო ნუარისა და ალიგოტეს ჯიშების ყურძნის დიდი ნაწილი სწორედ ქართული ცქრიალა ღვინის წარმოებაში მიდის. (ხარბედია, 2016, გვ. 74-75)

შიდა ქართლში აყენებენ ელეგანტურ და ხასიათიან წითელ ღვინოებსაც. ყველაზე მეტად გავრცელებულია თავკვერი (კასპისა და გორის მუნიციპალიტეტებში), რომლიდანაც ძალზე გემრიელი ლალისფერი ღვინო მიიღება.

შიდა ქართლში მევენახეობა-მეღვინეობისათვის საუკეთესო მიკროზონებად მიჩნეულია ატენი, ხიდისთავი, თეზი, მეჯვრისხევი და ლამისყანა. (ხარბედია, 2016, გვ. 75)

ქართლში იწარმოება ერთი ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო — ატენი. ატენური ალბათ ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი ქართული ღვინოა. ის ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში იყო ცნობილი და ამ ტიპის ღვინოს ხეობაში დღემდე წურავენ. მეღვინეობის

მნიშვნელობა მდ. ტანას ხეობაში იქიდანაც ჩანს, რომ ერთი საუკუნის წინ სამეურნეო მიწების 75% აქ ვენახს ეკავა.

ატენური ე.წ. მოგუდულ ღვინოდ ითვლება (მას ბუნებრივ ცქრიალა ღვინოსაც უწოდებენ). შაქრისა და ნახშიროჟანგის შენარჩუნების მიზნით ატენის ხეობაში, მაღლობ ადგილას სპეციალურად იყო მოწყობილი ქვევრები, სადაც ბუნებრივ სიცივეს იყენებდნენ. ვახუშტი ბატონიშვილი ახსენებს ე.წ. „საცივის მარანს“,[24] ადგილს რომელიც დღემდე არსებობს. (იხ. სურათი N16)

დღესდღეობით ატენში ყველაზე დიდი რაოდენობით ჩინური მოდის, რასაც გორული მწვანე, ასევე მცირე რაოდენობით ბუდეშური, ალიგოტე და რქაწითელი მოსდევს. გარდა ამისა, აქ საფერავიდან და თავკვერიდან დღესაც საკმაოდ მაღალი ხარისხის მსუბუქი წითელი ღვინოები მიიღება. (ხარბედია, 2016, გვ. 75-76)

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ შიდა ქართლის რეგიონში გარკვეულ ზონებს განსაკუთრებით დიდი პოტენციალი აქვს ღვინის ტურიზმის გასავითარებლად და ამ პოტენციალს ადგილობრივი მოსახლეობა რაც უფრო მალე და უკეთ გამოიყენებს მით უკეთესი იქნება, როგორც მეღვინეებისთვის ისე რეგიონის ტურისტული როლის ზრდისთვის.

რეგიონში შესაძლებელია **სასოფლო ტურიზმის** განვითარებაც, იგი წარმოადგენს ტურიზმის ინდუსტრიის იმ სექტორს, რომელიც ორიენტირებულია სასოფლო ადგილის ბუნებრივი, კულტურულ-ისტორიული და სხვა რესურსების გამოყენებაზე, რათა შექმნას კომპლექსური ტურისტული პროდუქტი.

ტურისტები გარკვეული დროის განმავლობაში სასოფლო ცხოვრებას ეწევიან, ეცნობიან ადგილობრივ კულტურასა და წეს-ჩვეულებებს, მონაწილეობას ღებულობენ ტრადიციულ სასოფლო მეურნეობაში.

სასოფლო ტურიზმის დადებითი სოციალური მხარე სოფლის მოსახლეობის მომსახურების სფეროში სოფლადვე ჩართვაა. ტურიზმის ამ მიმართულებას დეპრესიული სასოფლო რაიონების სოციალური განვითარების ერთ-ერთი გზად მიიჩნევენ, რამეთუ საშუალებას იძლევა სოფლის დეგრადაცია და მოსახლეობისგან მუდმივი დაცლა შეჩერდეს.

[24] „საცივი, ვითარცა მყინვარი, სადაცა დგება ღვინო წარჩინებული“

სასოფლო ტურიზმის პროგრამების მომსახურება ჩვეულებრივ შეიცავს ცხოვრებას გლეხის ან სხვა პირის კარ-მიდამოზე, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტით კვებას, მხარის ისტორიასთან გაცნობას, ლაშქრობებს სოფლის მიდამოებში, ხალხურ დღესასწაულებში მონაწილეობას, ცხენით სეირნობას, ეროვნული სამზარეულოს კურსების მოწყობას და ა.შ. (Русская Википедия, 2016)

ტურიზმის აღნიშნული მიმართულების განვითარება შეიძლება ითქვას აუცილებელიცაა შიდა ქართლში, რადგან როგორც რუკა N2-ზე ჩანს რეგიონის სამხრეთ მთიანი სასოფლო არეების ნაწილი გაუკაცრიელებულია, ხოლო სოფლების დარჩენილი ნაწილი მოსახლეობის გადინებას განიცდის. (საქსტატი, 2016) ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიდამოებში ყველა ბუნებრივი თუ კულტურული პირობაა, რომ ასეთი ტურიზმი განვითარდეს, ხოლო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად და ამ სფეროში ჩართვის მსურველი მოსახლეობის მოსამზადებლად შესაბამისი სამთავრობო ორგანოების აქტიური ძალისხმევაა საჭირო. დღეის მდგომარეობით რეგიონში სოფლის მოსახლეობის მომსახურების სფეროში ჩართვის რამდენიმე მაგალითი უკვე არსებობს (იხ. რუკა N15, ტანას ხეობა) და მეტი ორგანიზების შემთხვევაში ამ მაგალითის სხვა სასოფლო ადგილებზე გავრცელებაც მოხდება.

რეგიონს პოტენციალი აქვს განავითაროს **სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმიც**. ტურიზმის ამ სახეობის არსში დევს სხვადასხვა დაავადების მკურნალობა ან უბრალოდ იმუნიტეტის გაძლიერება.

სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმი ტურიზმის უძველეს სახეობას წარმოადგენს. მინერალური წყლისა და სამკურნალო ტალახის მკურნალობის მიზნით გამოყენება ადამიანებმა ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ისწავლეს. (Бабкин, 2008)

სამკურნალო-გამაჯანსაღებელ ტურიზმს რამდენიმე ნაირსახეობა გააჩნია, რაც განპირობებულია იმ რესურსებით, რომლის მეშვეობითაც ხდება ზეგავლენა ადამიანის ორგანიზმზე. ხშირად მკურნალობისას რამდენიმე სახის ზეგავლენის მეთოდს იყენებენ. (Артёмова & Козлова, 2005)

შიდა ქართლის ტერიტორიაზე წარმოდგენილი ბუნებრივი სამკურნალო-გამაჯანსაღებელი რესურსები (იხ. რუკა N13) იმის საშუალებას იძლევა, რომ რეგიონში ბალნეოთერაპიისა და კლიმატოთერაპიის განვითარება მოხდეს. გარდა ბალნეო და

კლიმატო თერაპიისაა, მზის რადიაცის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი (იხ. რუკა N8) დამატებით იმის საშუალებას იძლევა, რომ აქ ჰელიოთერაპიაც განვითარდეს, მზის სხივების დადებითი ეფექტი გარდა D ვიტამინის გამომუშავებაში მონაწილეობისა, ასევე მდგომარეობს ადამიანის ქსოვილში სისხლმიმოქცევის, კვებისა და ტროფიკის გაუმჯობესებაში, ბაქტერიციდულ მოქმედებაში და სხვა. (დგებუაძე, 1994)

შესაბამისი ინვესტიციების მოზიდვით ყველა კურორტის თუ საკურორტო ადგილის ინფრასტრუქტურული გამართვის შემთხვევაში, რეგიონს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამკურნალო-გამაჯანსაღებელ კერად ქცევის საშუალება აქვს.

III თავი: შიდა ქართლის კულტურულ-შემეცნებითი მარშრუტების შედგენა გეოსაინფორმაციო სისტემების გამოყენებით

ნაშრომში გადმოცემული ინფორმაცია პრაქტიკულ ნაწილში რომ გადამეყვანა, ამისთვის საჭიროდ მივიჩნიე გეოსაინფორმაციო სისტემების დახმარებით შემედგინა ერთ-ერთი ტიპის ტურისტული მარშრუტი, რომელიც ტურისტებს შედარებით უფრო გაუადვილებს შიდა ქართლის ტურისტული მიმზიდველობის აღქმას და შედეგად უფრო მეტ მათგანს გაუჩნდება რეგიონში ჩამოსვლის და დარჩენის სურვილი.

აღნიშნულ თავში მოცემული ინფორმაცია, ტექნიკური თავსებადობის გაუმჯობესების შემდეგ, განთავსდება საჯაროდ, Google My Maps-ის ბაზაზე და ინტერნეტთან წვდომის შემთხვევაში ამ ინფორმაციის გაცნობა ტურისტებისთვის მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან იქნება შესაძლებელი.

პირველი მარშრუტის შედგენა ქალაქ გორის შესახებ გადავწყვიტე, რადგან ტურისტების უმრავლესობა შიდა ქართლში მოგზაურობას სწორედ გორში ჩამოსვლით იწყებს.

ქ. გორის კულტურულ-შემეცნებითი მარშრუტის (იხ. რუკა N16) საწყის წერტილად, ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი მივიჩნიე რადგან ეს ზონა ყველაზე მეტად არის ტურისტული თვალსაზრისით პოპულარული. მარშრუტის პირველი მოსანახულებელი ობიექტი სტალინის სახლ-მუზეუმია, შემდეგ იგი მიემართება ეთნოგრაფიული მუზეუმში, აქედან კირიონ II-ის ქუჩით გადადის ღვთისმშობლის ეკლესიასთან (ყოფილი კათოლიკური ეკლესია), ღვთისმშობლის ეკლესიიდან მარშრუტი აკაკი წერეთლის ქუჩიდან გორის ციხისკენ მიემართება, სადაც მნახველების ქალაქის და მხარის ხედებით ისიამოვნებენ, გორისციხიდან ისევ წერეთლის ქუჩაზე დაბრუნების შემდეგ, მარშრუტი გაივლის მრავალ რესტავრირებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს და გავა ილია ჭავჭავაძის ქუჩაზე, შემდგომ მარშრუტი ამილახვრების

სასახლიდან გაუყვება ქ. გორის ერთ-ერთ უძველეს უმნიშვნელოვანეს სამეფოს ქუჩას, სადაც ასევე მრავალი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი მდებარეობს, მათ შორის აღსანიშნავია სასულიერო სასწავლებელი სადაც სტალინი სწავლობდა, სამეფოს ქუჩის ბოლოს ინახულებენ 1908 წელს აშენებულ, გორის უძველეს ხიდს. ხიდიდან უკან გამობრუნებისას მარშრუტი გადავა თამარ მეფის ქუჩაზე და დაუკავშირდება რუსთაველის ქუჩას, ამ ქუჩის მთავარი ღირშესანიშნაობა „ერეკლეს აბანოა“, აქედან მარშრუტი ისევ ჭავჭავაძის ქუჩაზე გადის და გორის დრამატული თეატრის სკვერს კვეთს, რომლის შემდეგ მარშრუტი ქალაქის მთავარ მოედანზე გადის ამ მიდამოში 4 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, აქედან მარშრუტი მიდის საბრძოლო დიდების მუზეუმთან, მუზეუმიდან იგი სტალინის სახლ-მუზეუმის სკვერს გაივლის ავა სამხატვრო სკოლასთან ჭანტურიას ქუჩით გადავა შარტავას ქუჩაზე გაივლის რამდენიმე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლ საცხოვრებელ სახლს და დაბრუნდება მარშრუტის საწყის წერტილზე.

აღნიშნული მარშრუტი საფეხმავლოა, თუმცა რამდენიმე მონაკვეთის გამოკლებით შესაძლებელია ტრანსპორტის გამოყენებაც. მარშრუტის საერთო სიგრძე დაახლოებით 5 კილომეტრია. თუკი კვლევებით დადგენილ ადამიანის სიარულის საშუალო სისწრაფეს (5 კმ/სთ) გავითვალისწინებთ ტურისტებს დაახლოებით 1 სთ მხოლოდ გადაადგილებაში დაეხარჯებათ, თუმცა იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ დათვალიერების და სხვადასხვა ატრაქციაზე დარჩენის დრო ინდივიდუალურია აღნიშნული მარშრუტი სულ მცირე 3-4 საათი მაინც გასტანს.

მარშრუტი შეიძლება ითქვას ოპტიმალურია და ქალაქ გორის ყველა მთავარ ღირშესანიშნაობას გადის.

რეგიონის სხვა ნაწილებში 14 კულტურულ-შემეცნებითი მარშრუტები შევადგინე. (იხ. რუკა N17) მარშრუტების გაყვანის მთავარი კრიტერიუმი ძეგლების მნიშვნელობა, მათი ისტორია, წლოვანება და ამჟამინდელი ფიზიკური მდგომარეობა იყო.

ჩემს მიერ შედგენილი რეგიონის კულტურულ-შემეცნებითი ტურისტული მარშრუტების სია ასეთია:

მიმართულება	*მოსანახულებელი ძეგლები*	*კომენტარი*
გორი - უფლისციხე - ქვახვრელი - ატენი - გორიჯვარი	უფლისციხის კომპლექსი, ქვახვრელის კომპლექსი, ატენის ციხე, ატენის სიონი, გორიჯვარი	აღნიშნული მარშრუტი დღესდღეობით ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გორი-უფლისციხის ვრცელი სახეობაა
გორი - ვარიანი -ზემო ნიქოზი - არბო - ძევარა	იაკობ გოგებაშვილი სახლ-მუზეუმი, მირზაშვილების	

	ციხე, ნიქოზი ღვთაების ეკლესია, არბოს წმ. გიორგის ეკლესია, ძევერის სამების ეკლესია და ალ. ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი	
გორი - ურბნისი - რუისი	ურბნისის სიონი, რუისის ღვთისმშობლის ეკლესია	
კასპი - ნოსტე - რკონი	მეტეხის ღვთისმშობლის ეკლესია, ნიაბის წმ. გიორგი ეკლესია, ფავნისის წმ. გიორგი ეკლესია, სააკაძეების ნასახლარი ნოსტეში, თარხნიშვილების სასახლე, წმ. ესტატეს ტაძარი ერთაწმინდაში, დრისის ციხე, საორბისის წმ. გიორგის ეკლესია, იკვის წმ. გიორგის ეკლესია, რკონის სამონასტრო კომპლექსი	აღნიშნული მარშრუტის დიდი ნაწილის (სოფ. ერთაწმინდიდან) ასფალტის საფარის გარეშეა ამიტომ საჭიროებს მაღალი გამავლობის ტრანსპორტს
კასპი - ხოვლე	მეტეხის ღვთისმშობლის ეკლესია, ივნახე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი, ხოვლეს აკვედუკი	სოფელ ხოვლეში და მის მიდამოებში ასევე შესაძლებელია მრავალი სხვა ღირსშესანიშნაობის ხილვაც
კასპი - ლავრისხევი - წინარეხი	იდლეთის ეკლესია, ლავრის ეკელსია, ქვახვრელის კომპლექსი	აღნიშნული მარშრუტის დიდი ნაწილი მოასფალტებული არაა ამიტომ საჭიროებს მაღალი გამავლობის ტრანსპორტს
კასპი - სამთავისი - ლამისყანა - ქვემო ჭალა	სამთავისის ტაძრის კომპლექსი, ორბელიანების სასახლე (მუზეუმი), ამილახვრების სასახლე, სხვილოს ციხე	
ქარელი - ორთუბანი	სამწვერისის კომპლექსი, ყინწვისის კომპლექსი, მძოვრეთის ციხე, ციციშვილების აბანო	აღნიშნული მარშრუტის ნახევარი ასფალტის საფარის გარეშეა და საჭიროებს მაღალი გამავლობის ტრანსპორტს

ქარელი - დირბი - დვანი	არადეთის წმ. გიორგი ეკლესია, ბრეთის კომპლექსი, დირბის ციხე, დვანის წმ. გიორგი ეკლესია	
ქარელი - არადეთი - აბისი - ბრეძა	აბისის ციხე, ბრეძის კომპლექსი	
ხაშური - ხცისი - წრომი	ციციშვილის სასახლე, ხცისის ნათლისმცემლის ეკლესია, წრომის ტაძარი	
ხაშური - ვაყა - ნაბახტევი - ალი	ორსართულიანი ეკლესია ვაყაში, ნაბახტევის ღვთისმშობლის ეკლესია, ალის ღვთისმშობლის ეკლესია	
ხაშური - სურამი - იტრია	სურამის ციხე, იტრიის სამონასტრო კომპლექსი	
ხაშური - ქვიშხეთი	დიმიტრი ყიფიანის სასახლე, ქვიშხეთის ციხე	

დასკვნა

ჩემი ნაშრომის წერისას შეგროვებული და დამუშავებული მასალები, რეგიონის ტურისტული პოტენციალის ნათელ სახეს იძლევა, ნაშრომის ღირებულება მით უფრო მატულობს რომ ის დაწერილია თანამედროვე ტექნოლოგიების, გეოსაინფორმაციო სისტემების გამოყენებით და ტურიზმის სექტორის ანალიზის ახლებურ მიდგომას წარმოაჩენს.

ნაშრომში გამოყენებული სხვადასხვა გის მეთოდი ცხადყოფს იმის მაგალითს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია თანამედროვე ტექნოლოგიების როლი რიგი საკითხების ძირეული გაანალიზებისთვის.

ნაშრომში ასახული სხვადასხვა ინფორმაცია მცირედით თუმცა მაინც დაეხმარება რეგიონში ჩამოსვლის მსურველ ტურისტს, ბოლომდე აღიქვას რეგიონის ტურისტული მნიშვნელობა და შედეგად უფრო მეტად დაინტერესდეს აქ დასვენება-განმუხტვით.

გამოყენებული წყაროები

Ecologic Institute EU. (2005). მოპოვებული Ecoregional conservation plan for the Caucasus: http://ecologic.eu/sites/files/download/projekte/1900-1949/1939/ecp_caucasus_05.pdf-დან

Fick, S., & Hijmans, J. R. (2017). Worldclim 2: New 1-km spatial resolution climate surfaces for global land areas.

Google Maps. (2017). მოპოვებული თრიალეთის გეგმარებითი ეროვნული პარკი: https://www.google.ge/maps/@41.7709932,44.292766,11.87z-დან

Hijmans, R., Cameron, S., Parra, J., Jones, P., & Jarvis, A. (2005). Very high resolution interpolated climate surfaces for global land areas.

Ipress.ge. (2016 წლის 12 აპრილი). მოპოვებული რაჭაში და ერუშეთში ახალი დაცული ტერიტორიები დაარსდება: http://www.ipress.ge/new/29288-rachashi-da-erushetshi-akhali-daculi-teritoriebi-daarsdeba-დან

Sportfishing.ge. (2017). მოპოვებული ნადარბაზევის ტბა: https://sportfishing.ge/forum/index.php?/topic/108-ნადარბაზევის-ტბა/-დან

Sportfishing.ge. (2017). მოპოვებული რა ხდება წყალსატევებზე: https://sportfishing.ge/forum/index.php?/forum/65-რა-ხდება-წყალსატევებზე/-დან

World Wide Fund For Nature. (2012 წლის 10 ივნისი). მოპოვებული Ecoregion Conservation Plan for the Caucasus: http://wwf.panda.org/?205437/Ecoregion-Conservation-Plan-for-the-Caucasus-revised#-დან

Русская Википедия. (2017 წლის 22 აპრილი). Население Южной Осетии. მოპოვებული 2017 წლის 2 ივნისს, https://ru.wikipedia.org/wiki/Население_Южной_Осетии-დან

ალფენიძე, მ. (2012). *საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია.* თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

აფხაზავა, ი. (1977). *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, (ტ. 2).* თბილისი.

აფხაზავა, ი. (1979). *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, (ტ. 4).* თბილისი.

აფხაზავა, ი. (1984). *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, (ტ. 7).* თბილისი.

ბერაია, ქ. (2017 წლის 31 მაისი). *საზოგადოებრივი მაუწყებელი.* მოპოვებული 2017 წლის 2 ივლისს, საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებ-გვერდ: http://1tv.ge/ge/news/view/163150.html-დან

გამყრელიძე, გ. (2013). *ქართლის ცხოვრების ტოპონარქეოლოგიური ლექსიკონი* (1-ლი გამ.). თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

დავითაია, თ., & გველესიანი, გ. (1979). *საქართველოს აღმოსავლეთ-სენტრალური ეკონომიკური რაიონი.* თბილისი: მეცნიერება.

დაცული ტერიტორიების სააგენტო. (2017). მოპოვებული დაცული ტერიტორიების რუკა: http://apa.gov.ge/ge/-დან

დაცული ტერიტორიების სააგენტო. (2017). მოპოვებული ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი: http://apa.gov.ge/ge/protected-areas/cattestone/bordjom-xaragaulis-erovnuli-parkis-administracia-დან

დოლიძე, ვ., კინწურაშვილი, ს., სიდამონიძე, უ., & ცქიტიშვილი, გ. (1990). *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა (ტომი V).* თბილისი: ი. ჭავჭავჭაძის სახელობის წიგნის ფაბრიკა.

კარტოგრაფიისა და გეოდეზიის დეპარტამენტი. (1960-იანი წწ.). ტოპოგრაფიული რუკა 25:000 (ციფრული ვერსია).

კეცხოველი, ნ. (1960). *საქართველოს მცენარეული საფარი.* თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

კორძახია, მ. (1961). *საქართველოს ჰავა.* თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.

ლიპარტელიანი, ი., & ნინიკაშვილი, თ. (2014). *საქართველოს 100 კურორტი.* თბილისი: კლიო.

მარუაშვილი, ლ. (1970). *საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია* (პირველი გამ.). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ნონეშვილი, ა., & თავართქილაძე, ა. (2012). *საქართველოს 100 მუზეუმი.* თბილისი: კლიო.

პავლიაშვილი, ნ., & ხარაბაძე, კ. (2009). *საქართველოს გეოგრაფია.* თბილისი: ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი.

საქართველოს ადგილობრივ თვითმართველობათა ეროვნული ასოციაცია. (2017). მოპოვებული 2017 წლის 2 ივნისს, http://nala.ge/self_menage/-დან

საქართველოს მთავრობა. (2013). *შიდა ქართლის რეგიონის განვითრების სტრატეგია 2014-2021.* თბილისი.

საქართველოს მუზეუმების ასოციაცია. (2017). მოპოვებული 2017 წლის 3 ივლისს, Georgian Museums - ი. ბ. სტალინის სახელმწიფო მუზეუმი: http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=8&th_id=208-დან

საქართველოს მუზეუმების ასოციაცია. (2017). მოპოვებული 2017 წლის 3 ივლისს, Georgian Museums - სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი: http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=8&th_id=204-დან

საქართველოს მუზეუმების ასოციაცია. (2017). მოპოვებული 2017 წლის 3 ივლისს, Georgian Museums - ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი: http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=8&th_id=214-დან

საქართველოს მუზეუმების ასოციაცია. (2017). მოპოვებული 2017 წლის 3 ივლისს, Georgian Museums: http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1&sec_id=8-დან

საქართველოს მუზეუმების ასოციაცია. (2017). მოპოვებული 2017 წლის 3 ივლისს, Georgian Museums - იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმი: http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=8&th_id=210-დან

საქსტატი. (2016). მოპოვებული http://census.ge/ge/results/census-დან

სოხაძე, მ. (2008). *საქართველოს ატლასი.* თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

სტალინის მუზეუმი. (2017). მოპოვებული 2017 წლის 3 ივლისს, ი.ბ. სტალინის სახელმწიფო მუზეუმი: http://www.stalinmuseum.ge/geo/about/entrance-fees/-დან

ტურიზმის გეოინფორმაციული ცენტრი – TravelGIS. (2017). მოპოვებული http://travelgis.ge/ka/tours?lang=ka&show=17!114!22!41!42!43!38!39!40!36!35&language=ka&_=1498833562753-დან

ქართული ვიკიპედია. (2015 წლის 31 იანვარი). *ზონკარის წყალსაცავი.* მოპოვებული https://ka.wikipedia.org/wiki/ზონკარის_წყალსაცავი-დან

ქიქოძე, ა., & გოხელაშვილი, რ. (2007). *საქართველოს დაცული ტერიტორიები.* თბილისი: ბუდე.

დანართი

რუკები



რუკა N1: შიდა ქართლის მდებარეობა და საზღვრები

წყარო: პირადი ნამუშევარი; გის გამოთვლები


N
ოკუპირებული ტერიტორია
ცხინვალი
ლეგენდა
მოსახლეობა
1 - 200
201 - 1000
1001 - 2500
2501 - 5000
5001 - 7500
7501 - 10000
10001 - 15000
15001 - 20000
20001 - 25000
25001 - 30000
30001 - 48143
გზები
საერთაშორისო მნიშვნელობის
სახელმწიფო მნიშვნელობის
ადგილობრივი მნიშვნელობის
დასახლებების გზები
დასახლებები
ოკუპირებული ან დაცარიელებული
ფერეიდანი
ფერეთი
ბორბალო
ბაზალეთი
ფერეთეთი
ბელოსტოკი
ბელოსტოკი
ბელოსტოკ



რუკა N3: შიდა ქართლის მუნიციპალიტეტების მოსახლეობის სიმჭიდროვე (კ/კმ²)

წყარო: მოსახლეობის 2014 წლის აღწერა; პირადი ნამუშევარი



რუკა N4: შიდა ქართლის ფიზიკური რუკა

წყარო: NASA ASTER GDEM v2; სრეს; გკდ-ის ტოპოგრაფიული რუკა (25:000); მარუაშვილი, 1970; პირადი ნამუშევარი

შიდა ქართლის კლიმატური რუკა



რუკა N5: შიდა ქართლის კლიმატური რუკა

წყარო: NASA ASTER GDEM v2; პირადი ნამუშევარი; შედგენილია მ. კორძახიას (1961) მიხედვით



რუკა N6: შიდა ქართლის საშუალო ტემპერატურა თვეების მიხედვით

წყარო: WorldClim - Global Climate Data (1990-2000); პირადი ნამუშევარი



რუკა N7: წლიური ნალექების რაოდენობა შიდა ქართლში

წყარო: WorldClim - Global Climate Data (1970-2000); პირადი ნამუშევარი



რუკა N8: შიდა ქართლში მზის რადიაციის განაწილება დეკემბერსა (ყველაზე უმზეო თვე) და ივნისში (ყველაზე მზიანი თვე)

წყარო: WorldClim - Global Climate Data (1970-2000); პირადი ნამუშევარი



რუკა N9: შიდა ქართლში ჰიდროგრაფიული რესურსები

წყარო: სრეს; საქართველოს ეროვნული ატლასი (2012); NASA ASTER GDEM v2; პირადი ნამუშევარი



რუკა N10: შიდა ქართლის ტყის რუკა

წყარო: სრეს; გკდ-ის ტოპოგრაფიული რუკა (25 000); NASA ASTER GDEM v2; პირადი ნამუშევარი



რუკა N11: შიდა ქართლის დაცული ტერიტორიების რუკა

წყარო: სრეს; WWF; NASA ASTER GDEM v2; პირადი ნამუშევარი



რუკა N12: შიდა ქართლის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიმჭიდროვე

წყარო: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო; NASA ASTER GDEM v2; პირადი ნამუშევარი



რუკა N13: შიდა ქართლის კურორტები, საკურორტო ადგილები და საკურორტო ზონები

წყარო: საქართველოს მთავრობა; სრეს; NASA ASTER GDEM v2; პირადი ნამუშევარი



რუკა N14: შიდა ქართლის სატრანსპორტო რუკა გზის საფარის მიხედვით

წყარო: სრეს; Bing Satellite; NASA ASTER GDEM v2; პირადი ნამუშევარი

შიდა ქართლის განთავსების, კვების, საფინანსო, ტელეკომუნიკაციის, უსაფრთხოების და ჯანდაცვის სერვისების რუკა



რუკა N15: შიდა ქართლის განთავსების, კვების, საფინანსო, ტელეკომუნიკაციის, უსაფრთხოების და ჯანდაცვის სერვისების რუკა

წყარო: პირადი ნამუშევარი; Tripadvisor, Booking.com, Airbnb.com, OpenStreetMap, Google Maps, HERE Maps; სრეს; NASA ASTER GDEM v2



რუკა N16: ქ. გორის კულტურულ-შემეცნებითი მარშრუტი

წყარო: პირადი ნამუშევარი; სრეს; კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

კულტურულ-შემეცნებითი მარშრუტები შიდა ქართლში


N
მარშრუტები
გორი - უფლისციხე - ქვახვრელი - ატენი - გორიჯვარი
გორი - ვარიანი - ზემო ნიქოზი - არბო - ძევერა
გორი - ურბნისი - რუისი
კასპი - ნოსტე - რკონი
კასპი - ხოვლე
კასპი - ლავრისხევი - ნინარეხი
კასპი - სამთავისი - ლამისყანა - ქვემო ქალა
ქარელი - ორთუბანი
ქარელი - დირბი - დვანი
ქარელი - არადეთი - აბისი - ბრეეა
ხაშური - ხცისი - წრომი
ხაშური - ვაყა - ნაბახტევი - ალი
ხაშური - სურამი - იტრია
ხაშური - ქვიშხეთი
ლეგენდა
დასახლებები
სამხარეო ცენტრი
თვითმმართველი ქალაქი
მუნიციპალური ცენტრი
დაბა
სოფელი
გზები
ბეტონის საფარიანი ავტობანი
ასფალტის საფარიანი მაგისტრალი
ასფალტის საფარიანი გზა
გრუნტის საფარიანი გზა
დასახლების მთავარი გზა
დასახლების შიდა გზა
რკინიგზა
საზღვრები
ოკუპაციის ხაზი
არეები
ტყიანი არეები
ჰიდროგრაფია
მდინარეები / არხები
ტბები / წყალსაცავები
ეშერა
ეროსა
ქეშელთა
ვანელი
ნრნა
ჭალა
ეროსის ტბა
ეროსის ტბა
ეროსა
ეროსა
ეროს

დიაგრამები



დიაგრამა N1: შიდა ქართლის რელიეფის ჭრილი ქ. გორის ვერტიკალზე

წყარო: NASA ASTER GDEM v2; პირადი ნამუშევარი



დიაგრამა N2: შიდა ქართლის განთავსების საშუალებების სახეობების მიხედვით

წყარო: Tripadvisor, Booking.com, Airbnb.com, OpenStreetMap, Google Maps, HERE Maps; პირადი ნამუშევარი



დიაგრამა N3: შიდა ქართლის განთავსების საშუალებები ოთახების რაოდენობის მიხედვით

წყარო: Tripadvisor, Booking.com, Airbnb.com, OpenStreetMap, Google Maps, HERE Maps; პირადი ნამუშევარი



დიაგრამა N4: შიდა ქართლის განთავსების საშუალებები საწოლების რაოდენობის მიხედვით

წყარო: Tripadvisor, Booking.com, Airbnb.com, OpenStreetMap, Google Maps, HERE Maps; პირადი ნამუშევარი



დიაგრამა N5: სტალინის სახლ-მუზეუმის დამთვალიერებლები წლებისა და თვეების მიხედვით

წყარო: სტალინის სახლ-მუზეუმის ადმინისტრაცია



დიაგრამა N6: გამოკითხულ ტურისტთა შეფარდება მოქალაქეობის მიხედვით

წყარო: (არღუთაშვილი, 2015)



დიაგრამა N7: გამოკითხულ ტურისტთა ასაკობრივი შემადგენლობა

წყარო: (არღუთაშვილი, 2015)



დიაგრამა N8: ქ. გორში ტურისტთა ჩამოსვლის მიზანი

წყარო: (არღუთაშვილი, 2015)



დიაგრამა N9: გორში ჩამოსვლის გადაწყვეტილების მიღება

წყარო: (არღუთაშვილი, 2015)



დიაგრამა N10: გორში ვიზიტის ხანგრძლივობა

წყარო: (არღუთაშვილი, 2015)



დიაგრამა N11: ღამის გასათევი ადგილის არჩევა

წყარო: (არღუთაშვილი, 2015)



დიაგრამა N12: კრიტერიუმი სასტუმროს შერჩევისას

წყარო: (არღუთაშვილი, 2015)

სურათები

სურათი N1: ერწოს ტბა აღმოსავლეთიდან, გუფთა-ონის გზიდან

ავტორი: აცამაზ თეგეევი

სურათი N2: ბატეთის ტბა დრონიდან

ავტორი: ილია ჭკადუა

სურათი N3: ნადარბაზევის წყალსაცავი

ავტორი: წყალსაცავის ადმინისტრაცია

სურათი N4: ლიახვის სახელმწიფო ნაკრძალი

ავტორი: უცნობია

სურათი N5: რკონის ხიდი (XII-XIII სს.)

ავტორი: www.about.ge

სურათი N6: სამთავისის ტაძარი (1030 წ.)

ავტორი: www.saunje.ge



სურათი N7: გორის ციხე

ავტორი: www.georgiaabout.com

სურათი N8: წრომის ტაძრის მოზაიკის კომპოზიციის სქემა (VII ს. I ნახ.)

წყარო: საქართველოს ძეგლთა აღწერილობა. V ტ. თბ. 1990.



სურათი N9: დრისის ციხე

ავტორი: ირაკლი გედენიძე

სურათი N10: ორბელიანთა სასახლე (XIX ს. I ნახ.)

ავტორი: ივანე გოლიაძე

სურათი N11: მძოვრეთის მონასტერი, სარკინეთის კლდეში ნაკვეთი ეკლესია და სურამის ციხე

ავტორები: Dito1993; www.ambioni.ge; www.merve8.wordpress.com

სურათი N12: გორის ეთნოგრაფიული მუზეუმი, გამოფენა „მუზეუმის საგანძური“

ავტორი: www.georgianmuseums.ge

სურათი N13: უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი, საგამოფენო დარბაზი

ავტორი: www.netgazeti.ge

სურათი N14: მნიშვნელოვანი ობიექტების მანიშნებელი მიმართულების დაფა ქ. გორში

ავტორი: პირადი ნამუშევარი



სურათი N15: ხედი და მხედველობის არე (ღია მწვანედ) მთა ღორინამკლიდან

ავტორი: პირადი ნამუშევარი. ფოტოს ავტორი: ჯაბა ლაბაძე



სურათი N16: „საცივის მარანი“ სოფელ დიდი ატენში

ავტორი: ლ. მარკოიშვილი / www.vinoge.com

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Giorgi Balakhadze

The Analisys of the Touristic Potential of Shida Kartli using Geoinformation Systems and Technologies

Human Geography

The Master Thesis is submitted for Human Geography Master Degree

Supervisor: Nino Pavliashvili

Associate Professor

Tbilisi, 2017

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ელისაბედ არჩვაძე

შიდა მიგრაციების სოციალურ-დემოგრაფიული და გეოგრაფიული თავისებურებები საქართველოში (2002-2014 წწ.)

საზოგადოებრივი გეოგრაფიის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საზოგადოებრივი გეოგრაფიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: გიორგი გოგსაძე, პროფესორი, საზოგადოებრივი
გეოგრაფიის მიმართულების ხელმძღვანელი

თბილისი, 2017

სარჩევი

ანოტაცია 4

Annotation 5

შესავალი 6

თავი 1. საქართველოს მიგრაციული პროცესების ისტორიული მიმოხილვა 10

თავი 2. თანამედროვე შიდა მიგრაციის სოციალურ-დემოგრაფიული ასპექტები 21

თავი 3. შიდა მიგრაციის რეგიონული თავისებურებები 27

დასკვნა 41

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა 44

გრაფიკების ჩამონათვალი

გრაფიკი 1: საქართველოს მოსახლეობის შიდა მიგრაცია 1979-1990 წლებში 16

გრაფიკი 2: შიდა მიგრანტების პროცენტული განაწილება ასაკისა და სქესის მიხედვით 23

გრაფიკი 3: უმუშევრობის დონე ქალაქ-სოფლის ჭრილში, % 26

გრაფიკი 4: მოსახლეობის რიცხოვნობა 2002 და 2014 წლებში (ქალაქი/სოფლის ჭრილში), ათასი კაცი 27

გრაფიკი 5: თბილისის მიგრანტების პროცენტული განაწლება წინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, 2014 28

გრაფიკი 6: თბილისის მიგრანტების რაოდენობა თბილისში რაიონების მიხედვით 30

გრაფიკი 7: შიდა მიგრანტების რაოდენობა იმერეთში (პროცენტული მონაცემები) 37

გრაფიკი 8: იმერეთის მიგრანტების პროცენტული განაწლება წინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, 2014 წლის აღწერის შედეგებით 38

გრაფიკი 9: დევნილების რაოდენობა რეგიონებში 39

ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი 1: მიგრაციის შეფარდებითი ინტენსიობის ინდექსები საქართველოს ქალაქებში სოფლებიდან ჩასულ მიგრანტთა ნაკადებში 1979 და 1989 წლებში 17

ცხრილი 2: შიდა მიგრანტების რაოდენობა და პროცენტული განაწილება 23

რუკების ჩამონათვალი

რუკა 1: თბილისის შიდა მიგრანტების გადაადგილება წინა საცხოვრებელი ადგილიდან, 2014.29

რუკა 2: შიდა მიგრანტების განაწილება ამჟამინდელი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, 2014.....31

რუკა 3: შიდა მიგრანტთა განაწილება საქართველოში წინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგიონალურ ჭრილში, 2002.....32

რუკა 4: შიდა მიგრანტთა განაწილება საქართველოში წინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგიონალურ ჭრილში, 2014.....33

რუკა 5: შიდა მიგრანტთა განაწილება საქართველოში ამჟამინდელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგიონალურ ჭრილში, 2002.....35

რუკა 6: შიდა მიგრანტთა განაწილება საქართველოში ამჟამინდელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგიონალურ ჭრილში, 2014.....36

სურათების ჩამონათვალი

სურათი 1: 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის კითხვარი, ფორმა 2.....22

შიდა მიგრაციების სოციალურ-დემოგრაფიული და გეოგრაფიული თავისებურებები საქართველოში (2002-2014 წწ.)

ანოტაცია

წარმოდგენილი ნაშრომი მიმოიხილავს შიდა მიგრაციის ტენდენციებს საქართველოში, სოციალურ-დემოგრაფიულ და გეოგრაფიულ თავისებურებებს, გვაცნობს საქართველოს მიგრაციული პროცესების ისტორიულ მიმოხილვას და შიდა მიგრაციის რეგიონულ თავისებურებებს. ყურადღება ასევე გამახვილებულია ორგანიზებულ მიგრაციაზე, რომელიც ხორციელდებოდა ეკომიგრანტებისა და დევნილთა ჩასასახლებლად.

კვლევის ძირითადი მიგნებები ეხება შიდა მიგრანტების გადაადგილების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრას, შიდა მიგრანტებს შორის ასაკობრივ და გენდერულ სხვაობების, სოფელის და ქალაქის მოსახლეობის დინამიკის ახსნას.

ანალიზი გაკეთებულია 2002-2014 წლებში ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგად მიღებული და მიგრაციის საკითხთა კომისიის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემების ინფორმაციის მიხედვით. ძირითადი სიახლე დაკავშირებულია იმასთან, რომ ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-გეოგრაფიულ კვლევებში ჯერ არ გაკეთებულა ქვეყნის შიდა მიგრაციული პროცესების მიმოხილვა 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერიდან მიღებული ინფორმაციით. კვლევაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შიდა მიგრაციის სოციალურ-დემოგრაფიული თავისებურებების გამოვლენას სამხარეო და მუნიციპალურ ჭრილში. პირველადი სტატისტიკური ინფორმაციის შეკრების და განზოგადების შედეგად გეოინფორმაციული სისტემების გამოყენებით შეიქმნა რუკები, რომლებიც უფრო ადვილად აღსაქმელს ხდის შიდა მიგრაციის სამხარეო და მუნიციპალურ განსხვავებებს და აჩვენებს შიდა მიგრანტების ქცევის თავისებურებებს.

Demographic and Geographic Features of Internal Migrations in Georgia (2002-2014)

Archvadze, E.

Annotation

The following master's thesis gives an overview of the internal migration trends in Georgia, its socio-demographic and geographic features, it reveals the historical processes of Georgia's migration and the regional peculiarities of internal migrations. The focus is also on organized migration, which is connected to the eco-migrants and the IDPs (internally displaced person).

The main findings include the portrayal of the main routes of the migrants, the explanation of the differences between the age-and gender-groups, and the dynamics of the rural-urban distribution of the population.

The analysis has been done according to the statistical data published by the National Statistics Office of Georgia and the State Commission on Migration Issues. The main novelty is that the public-geographical survey of our country has not yet been done about analyzing internal migrations according of the population census of 2014. In addition, the thesis innovatively suggests making maps using the Geographic Information System (GIS), which is the best way to perceive regional differences of internal migration and peculiarities of migrant behavior.

შესავალი

კაცობრიობის არსებობის მანძილზე ადამიანი მუდმივად ცდილობდა გაეუმჯობესებინა საცხოვრებელი, სოციალური თუ ეკონომიკური პირობები, რაც ხშირად საცხოვრებელი ადგილის გამოცვლას უკავშირდებოდა. მოსახლეობა მუდმივად მოძრაობს, საკუთარი ნებით თუ იძულებით, რაც გავლენას ახდენს რაიონების, რეგიონების თუ ქვეყნების დემოგრაფიულ, ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ თუ კულტურულ მდგომარეობაზე.

საქართველოს მოსახლეობის დინამიკა არაერთი მეცნიერის კვლევის საგანია, მათ შორის დიდი ყურადღება ეთმობა მიგრაციას. საქართველოს ეკონომიკურ-პოლიტიკური მდგომარეობის გამო მკვლევართათვის უფრო აქტუალურია ემიგრაციის თემა, მაგრამ არანაკლებ საინტერესოა შიდა მიგრაციის საკითხი. საომარი მოქმედებების, ეკოლოგიური კატასტროფების, უბრანიზაციის დონის ზრდის და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო უამრავი ადამიანი იძულებული გახდა დაეტოვებინა მისთვის ჩვეული საცხოვრებელი გარემო და გადაადგილებულიყო ქალაქებისაკენ. საქართველოს რეალობაში ძალიან თვალშისაცემია შიდა მიგრაციის შედეგები, თუ თვალს გადავავლებთ დაცლილ სოფლებს და უსაშველოდ გაზრდილ დედაქალაქს.

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია საქართველოში შიდა მიგრაციების სოციალურ-დემოგრაფიული და გეოგრაფიული თავისებურებების გამოვლენა.

დასახული მიზნის მისაღწევად მოხდა შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

- საქართველოს მიგრაციული პროცესების ისტორიული მიმოხილვა;
- თანამედროვე შიდა მიგრაციის სოციალურ-დემოგრაფიული ასპექტების განსაზღვრა;
- შიდა მიგრაციის რეგიონული თავისებურებების გამოვლენა.

ნაშრომში მიმოხილულია ის ნაშრომები და სტატიები, რომელშიც შეფასებულია შიდა მიგრაციის როლი საზოგადოებისთვის, მისი სოციალურ-დემოგრაფიული და გეოგრაფიული თავისებურებები, როგორც საქართველოსთვის, ისე ზოგადად მსოფლიოსთვის.

მიგრაციის თემა არაერთი მეცნიერის კვლევის საგანია, რომელთა ნაშრომების ანალიზის შედეგად შევეცადეთ წარმოდგვედგინა პრობლემის არსი. ანალიზისთვის გამოყენებულია სხვადასხვა სპეციალისტთა გაანგარიშებები, რომელთა საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები.

1996 წელს გამოიცა ვახტანგ ჯაოშვილის „საქართველოს მოსახლეობა: ისტორიულ-დემოგრაფიული და ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა, რომელშიც საფუძვლიანადაა გამოკვლეული მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა, სხვადასხვა ფაქტორის გავლენა მოსახლეობის რაოდენობაზე და სტრუქტურაზე, აგრეთვე მიგრაციები, როგორც შიდა ისე გარე. წიგნში დიდი ყურადღება ეთმობა საქართველოს შიდა მიგრაციული პროცესების ისტორიულ მიმოხილვას.

მირიან ტუხაშვილი ნაშრომებში „საქართველოს მოსახლეობის მიგრაცია“ და „საქართველოს შრომითი პოტენციალი“ განიხილავს საქართველოს მოსახლეობის ტერიტორიული მოძრაობის უმთავრეს საკითხებს.

თომა გუგუშვილმა 1998 წელს გამოსცა წიგნი „საქართველოს გარე მიგრაციულ-დემოგრაფიული პრობლემები (1990-1998 წლებში)“, რომელშიც ერთი თავი (ნაწილი II, 1.3. შიდა მიგრაციული პროცესები) ეძღვნება საქართველოს შიდა მიგრაციას და მნიშვნელოვან სტატისტიკურ მონაცემებს და მის საფუძველზე შექმნილ რუკებს შეიცავს.

აკაკი კაცაძე 1983 წელს გამოსცემს წიგნს „მოსახლეობის მიგრაცია და საქართველოს საშუალო ქალაქების სოციალური განვითარების პრობლემები“, რომელიც შეეხება საქართველოს საშუალო სიდიდს ქალაქების მოსახლეობის მიგრაციისა და სოციალური განვითარების თანამედროვე პრობლემებს.

გიორგი მელაძის სახელმძღვანელოში „საქართველო და გლობალური დემოგრაფიული პროცესები“ განხილულია საქართველოში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესები, მათ შორის დიდი ყურადღება ეთმობა მიგრაციებს.

ნაშრომში ასევე გამოყენებულია სახელმწიფო სტურქტურების მიერ გამოშვებული მიგრაციული პროცესების ანალიზი საქართველოში, კერძოდ, 2015 წელს მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის მიერ გამოშვებული „საქართველოს 2015 წლის

მიგრაციის პროფილი“ და „საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია“. ეს გამოცემები ძირითადად ყურადღებას უთმობენ ემიგრაციას, მაგრამ გარკვეული ყურადღება ეთმობა შიდა მიგრაციასაც.

დასახული მიზნის მისაღწევად გამოვიყენეთ სალიტერატურო, სტატისტიკური, ანალიზის და გეოინფორმაციული მონაცემებით რუკების შედგენის მეთოდები.მოხდა პირველადი სტატისტიკური ინფორმაციის შეკრება და განზოგადება.

ნაშრომში გამოყენებული და დამუშავებული სტატისტიკური მონაცემები ძირითადად ეხება საქართველოს მოსახლეობის ქვეყნის შიგნით გადაადგილებას სხვადასხვა წლების მონაცემებით.

გამოყენებული სტატისტიკის მთავარ წყაროს წარმოადგენს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერების შედეგები. კერძოდ, 2002 და 2014 წლების მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგის დამუშვებით მიღებული ცხრილები - მიგრანტების განაწილება წინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილისა და ამჟამად ცხოვრების ტერიტორიის მიხედვით; შიდა მიგრანტების განაწილება ასაკისა და სქესის მიხედვით.

ნაშრომში, აგრეთვე გამოყენებულია საბჭოთა კავშირში ჩატარებული აღწერებიდან მიღებული სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც წარმოდგენილი იყო ვახტანგ ჯაოშვილის ნაშრომში - „საქართველოს მოსახლეობა: ისტორიულ-დემოგრაფიული და ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა“.

გამოვიყენეთ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სტატისტიკური მონაცემები აფხაზეთიდან და ცხინვალის რაიონიდან დევნილთა გადაადგილების შესაფასებლად.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე აგრეთვე გამოვიყენეთ სტატისტიკური მონაცემები ეკომიგრანტების შესახებ, რომელიც მოგვაწოდა მიგრაციის საკითხთა კომისიამ.

მოცემული სტატისტიკის დამუშავების შედეგად მოხდა გრაფიკების და რუკების შედგენა.

წინამდებარე ნაშრომის ძირითადი სიახლე დაკავშირებულია იმასთან, რომ ჩვენ შევეცადეთ მოგვეხდინა საქართველოში მიმდინარე შიდა მიგრაციის მიმოხილვა და ანალიზი 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მდგომარეობის გათვალისწინებით, რაც ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-გეოგრაფიულ კვლევებში ჯერ არ გაკეთებულა. კვლევამ ცხადყო, რომ საქართველოში მიმდინარეობს რთული შიდა მიგრაციული პროცესები, რომელსაც აქვს მკაფიოდ გამოხატული მიმართულება: სოფლიდან-ქალაქში, უპირველეს ყოვლისა კი სასოფლო დასახლებებიდან თბილისში. მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო მოსახლეობა იძულებულია სამუშაო მსხვილ ქალაქში ეძებოს. ნაშრომში წარმოდგენილი სიახლე მოიცავს გეოინფორმაციული სისტემის გამოყენებით შედგენილ რუკებს, რომელიც უფრო ადვილად აღსაქმნელს ხდის შიდა მიგრაციის სამხარეო და მუნიციპალურ განსხვავებებს.

თავი 1. საქართველოს მიგრაციული პროცესების ისტორიული მიმოხილვა

მოსახლეობის მექანიკური მოძრაობა კაცობრიობის ისტორიაში უძველესი საზოგადოებრივ-გეოგრაფიული მოვლენაა. მიგრაცია (Migratio) ლათინური სიტყვაა და ნიშნავს გადასახლებას. ადამიანების ტერიტორიული გადაადგილების მასშტაბების მიხედვით განასხვავებენ შიდა და საგარეო მიგრაციებს. ნაშრომში ძირითადი ყურადღება ეთმობა შიდა მიგრაციებს.

მიგრაციული პროცესები წარმოადგენენ რთულ საზოგადოებრივ მოვლენებს, რის გამოც შეუძლებელია მათი ერთმნიშვნელოვნად დადებითად ან უარყოფითად შეფასება. ძირითადად საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა ადამიანის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ემსახურება, ასევე მთლიანად საზოგადოებისთვისაც დადებით როლს თამაშობს, რადგან ხდება სამუშაო ძალის უკეთესად გამოყენება, ხდება განათლების და კულტურის დონის ამაღლება, ღრმავდება ხალხთა კავშირები, რის შედეგადაც ხდება აკულტურაცია, სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების მასშტაბების ზრდა, ახალი ტერიტორიების ათვისება და ა.შ. ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მიგრაცია საზოგადოების პროგრესს ემსახურება. დადებითად ვერ ჩავთვლით მოსახლეობის იძულებით გადასახლებას, რადგან ის არ ემსახურება მიგრანტთა ინტერესებს.

მიგრაციული პროცესების ერთ-ერთი შედეგია მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაში ცვლილებები. ხშირად მიმართავენ ქვეყნების ხელისუფლებები ორგანიზებულ ჩასახლებას იმ რაიონებში, სადაც სხვა ეთნოსი ჭარბობს, რათა თავიდან აიცილონ გარკვეული პოლიტიკურ-კულტურული პრობლემები.

შიდა მიგრაცია უკავშირდება საცხოვრების ცვლის შემდეგ მიმართულებებს: სოფლიდან-სოფელში, სოფლიდან ქალაქში, მცირე ქალაქიდან- დიდ ქალაქში გადასახლებას. ხშირია მოსახლეობის ტერიტორიული გადაადგილების შემდეგი სქემა: მიგრანტი ჯერ გადადის სოფლიდან პატარა (უახლოეს) ქალაქში, რომელიც ძირითადად წარმოადგენს რაიონულ ცენტრს, შემდეგ კი გადადის დიდ ქალაქში, უმეტეს შემთხვევაში- დედაქალაქში. ამ სქემის მიხედვით დიდი ქალაქი მარაგდება ძირითადად

პატარა ქალაქებიდან მოსულთა ხარჯზე და არა სოფლებიდან. ასეთ მიგრაციას საფეხურეობრივი მიგრაცია ეწოდება.

სოფლის მოსახლეობის მიგრანტთა რაოდენობას შორის განსხვავება მეტწილად დამოკიდებულია ამა თუ იმ რეგიონის სოფლის მეურნობისთვის ვარგისი მიწებით უზრუნველყოფაზე. საქართველოს ტერიტორია გამოირჩევა ბუნებრივ-გეოგრაფიული მრავალფეროვნებით, რაიონები ერთმანეთისგან საგრძნობლად განსხვავდება რელიეფით, ტემპერატურით, ნალექების რაოდენობით და ა.შ. საცხოვრებლად გაცილებით რთული პირობებია მთიან რაიონებში, შესაბამისად, ასეთი ტერიტორიებიდან უფრო ხშირია მოსახლეობის წასვლა.

სოფლიდან სოფელში მიგრაცია ხდება როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური სახით. ჯგუფური, ორგანიზებული მიგრაციის ინციატორი ძირითადად სახელმწიფოა და ის გარკვეულ სოციალურ, პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ მიზანს ემსახურება.

შიდა მიგრაცია შეიძლება იყოს როგორც ნებაყოფლობითი, ისე იძულებითი. იძულებითი შიდა მიგრაცია შეიძლება გამოწვეული იყოს სტიქიური უბედურებებისგან, აგრეთვე პოლიტიკური მდგომარეობიდან. შესაძლებელია ადამიანების მიერ საცხოვრებელი ადგილის დატოვება უკავშირდებოდეს ინდუსტრიული განვითარების პროექტებს, როგორიცაა დიდი ჰესების მშენებლობა. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ 1971 წელს სოფელ ჟინვალის ტერიტორიაზე ჰიდროკომპლექსის მშენებლობა, სოფლის მოსახლეობის ნაწილი კი გადაასახლეს ტერიტორიაზე, რომელიც მდებარეობს სოფლების- არსნისისა და ბიჩიგაურთკარს შორის, მეორე ნაწილი- სოფელ ჩინთის მახლობლად.

სტიქიური უბედურებების გამო იძულებით გადაადგილებულ პირებს ეკოლოგიური მიგრანტები ანუ ეკოემიგრანტები ეწოდებათ. ეკომიგრანტების იძულებითი შიდა მიგრაციის მაგალითი საქართველოში არაერთია და მათ შემდგომში განიხილავთ.

მიგრაციის ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა სწავლის მიზნით წასვლა სხვა დასახლებულ პუნქტში, ძირითადად დიდ ქალაქებში. საქართველოს შემთხვევაში უმაღლესი სასწავლებლები და პროფესიული განათლების ცენტრები უმეტესწილად

თბილისში და რამდენიმე დიდ ქალაქში: ბათუმში, ქუთაისში, გორსა და თელავშია თავმოყრილი და მათ სტუდენტთა დიდ ნაწილს სხვა ადგილიდან მოსული ახალგაზრდები წარმოადგენენ. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიხედვით, ადამიანი, რომელიც 12 თვეზე მეტ ხანს ცხოვრობს ერთ დასახლებაში ითვლება მუდმივად მცხოვრებლად, შესაბამისად ეს ადამიანები, მიუხედავად იმისა, სწავლის დამთავრების შემდეგ დაბრუნდნენ თუ არა საკუთარ საცხოვრებელ გარემოში, ითვლებიან მიგრანტებად. შიდა მიგრანტების რაოდენობაში მნიშვნელოვანი წილი უკავიათ იმ მიგრანტებს, ვისი წინა საცხოვრებელი ადგილსაც წარმოადგენდა თბილისი. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ეს ადამიანი თბილისიდან საცხოვრებლად გადავიდა სხვა რაიონში, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი დედაქალაქში იმყოფებოდა სასწავლებლად და სწავლის დასრულების შემდეგ დაუბრუნდა თავის რაიონს. სტუდენტების გარკვეული ნაწილი სწავლის დამთავრების შემდეგაც რჩება ქალაქში და აღარ უბრუნდება ადრინდელ საცხოვრებელ ადგილს.

შიდა მიგრაციებში ასევე განიხილება მუდმივი, დროებითი და სეზონური მიგრაციები. მუდმივი მიგრაცია გულისხმობს საცხოვრებელი ადგილის გამოცვლას განუსაზღვრელი ვადით. დროებითი მიგრაცია გულისხმობს გარკვეული პერიოდით დატოვებას საცხოვრებელი ადგილის, სასწავლებლად, სამკურნალოდ, სამუშაოდ და სხვა მიზნით, შემდგომში უკან დაბრუნებით. დროებით მიგრაციებს განეკუთვნება სეზონური მიგრაციაც, ასეთი მიგრაციები ძირითადად უკავშირდება სათიბ-საძოვრების გამოყენებასთან და საკურორტო სეზონთან. მაგალითად, თუშეთის მცხოვრებლები წელიწადის ძირითად ნაწილს ახმეტის რაიონში ატარებენ, მაგრამ ზაფხულობით უბრუნდებიან თავიანთ მიწებს მთაში, თუშეთში.

შიდა მიგრაციებზე საუბრისას არ უნდა გამოგვრჩეს მიგრანტების ადაპტაცია. ეს საკმაოდ რთული სოციალურ-ფსიქოლოგიური პრობლემაა. მიგრანტები ხვდებიან მათთვის უჩვეულო, უცხო ადგილში, თუ დიდია სხვაობა ადგილობრივ მოსახლეობისა და ჩასულების ცხოვრების წესს, რელიგიას, ტრადიციებს შორის, მით მეტია პრობლემა. ხშირად ხდება ისე, რომ მიგრანტები უკან უბრუნდებიან თავის საცხოვრებელ ადგილს, რადგან ვერ ახერხებენ შეგუებას და რეალიზაციას. მიგრანტთა ადაპტაციაში დიდი როლი ენიჭება კლიმატურ პირობების განსხვავებას წასვლისა და ჩასახლების რაიონებში

(ტემპერატურა, ატმოსფერული წნევა, ჰაერის ტენიანობა, ზამთარ-ზაფხულის ხანგრძლივობა და ა.შ.). ამ ფაქტორების უარყოფით გავლენა მით უფრო მეტია, რაც უფრო განსხვავებულია კლიმატურად მიგრაციის საწყისი და ბოლო პუნქტები.

კაცობრიობა თავისი არსებობის მანძილზე მუდმივად ცდილობს საცხოვრებელი პირობების და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას. უხსოვარი დროიდან ადამიანები ერთი ტერიტორიიდან მეორეზე გადაადგილდებოდნენ საკვების მოპოვების, საცხოვრებლის პოვნის, დასაქმების, ვაჭრობის, მკურნალობის, განათლების მიღების, ახალი ტერიტორიების ათვისების ან დაპყრობის, სიცოცხლის შენარჩუნების და სხვა მიზნებით.

მიგრაციის მიზეზები და მასშტაბები სხვადასხვა ეპოქაში და ვითარებაში ერთნაირი არ არის. ასევეა საქართველოს შემთხვევაში. უხსოვარი დროიდან ადამიანები იცვლიდნენ საცხოვრებელ ადგილს ქვეყნის მასშტაბის ნებაყოფლობით თუ იძულებით. ნებაყოფლობითი მიგრაცია ძირითადად ინდივიდუალური ხასიათისაა, ხოლო იძულებითი ორგანიზებულ სახეს ატარებს და მართულია სახელმწიფოს მიერ. ჩვენ ამ თავში შევეცდებით განვიხილოთ ის მიგრაციული პროცესები, რომელიც ხორციელდებოდა გასულ საუკუნეში.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს მოსახლეობის მობილურობა. ამ დროს გამოიკვეთა შიდა მიგრაციული სამი მიმართულება: ა) სოფლიდან სოფლად გადასვლა, ბ) სოფლიდან ქალაქად ჩასახლება; გ) მცირე ქალაქებიდან დიდ ქალაქებში ჩასახლება. (ჯაოშვილი, 1996, გვ. 222).

ორგანიზებული ჩასახლების პირველი ტალღა უკავშირდება გერმანელი კოლონისტების გადასახლებას, რის შედეგადაც ქვემო ქართლში და თრიალეთში დაიცალა 12-მდე სოფელი. 1941 წელს ამ სოფლებში ჩაასახლეს ძირითადად რაჭა-ლეჩხუმისა და ზემო იმერეთის მცირემიწიან სოფლებიდან, სულ 2390 ოჯახი. ჩასახლებულთა შორის იყვნენ აგრეთვე სამეგრელოს, ქვემო იმერეთის, დუშეთისა და საგარეჯოს მცხოვრებლებიც. ვახტანგ ჯაოშვილის მიხედვით, მათ საკმაოდ გაუჭირდათ ადაპტაცია, რადგან ოჯახის მეთაური მამაკაცები არმიაში იყვნენ გაწვეული და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების წარმოება ქალებისთვის და მოხუცებისთვის რთული

იყო. რამდენიმე ოჯახმა დატოვა ახალი საცხოვრებელი და მშობლიურ რაიონს დაუბრუნდა.

ჩასახლების მეორე ტალღა უკავშირდება რუსეთ-თურქეთის დაპირისპირებას. თურქეთის მოსაზღვრე ზოგიერთ რაიონში (განსაკუთრებით მესხეთში) მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი არ მალავდა პროთურქულ ორიენტაციას, მაშინდელმა მოსკოვმა ეს სახიფათოდ მიიჩნია და 1944 წელს ადიგენის, ახალციხისა და ასპინძის რაიონებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩაასახლეს 5550 ოჯახი. ახალციხის რაიონში ჩაასახლეს 2150 ოჯახი ბორჯომის, ხარაგაულის, ზესტაფონის, ჭიათურის, ხაშურის და გორის რაიონებიდან, ადიგენის რაიონში ჩასახლდა 2500 ოჯახი ქუთაისის, ბაღდადის, ხონის, ვანის და სამტრედიის რაიონებიდან. ასპინძის რაიონში ჩასახლდა 900 ოჯახი დუშეთისა და თერჯოლის რაიონებიდან. ჩასახლებულთა რაოდენობა დაახლოებით სამჯერ ნაკლები იყო გასახლებული თურქების რაოდენობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ახლად ჩასახლებულებს გაურთულდათ ადაპტაციის ეტაპი, რადგან მათი ჩვევები და ცხოვრების სტილი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის ტრადიციული ცხოვრების წესისგან.

1949 წელს აფხაზეთიდან გაასახლეს ბერძენი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, რომელთა მიწები დაიკავა უმეტესად სამეგრელოდან, რაჭა-ლეჩხუმიდან, იმერეთიდან და სვანეთიდან ჩასულმა მოსახლეობამ. 1946-1950 წლებში აფხაზეთში ჩასახლდა 4200-ზე მეტი ოჯახი. რამაც აფხაზეთის რეგიონის მოსახლეობაში მნიშვნელოვნად გაზარდა ეთნიკურ ქართველთა წილი.

1940-იანი წლების მეორე ნახევარში მარნეულის და გარდაბნის რაიონებში შექმნეს რამდენიმე ახალი სოფელი- წერეთელი, აღმაშენებელი, გამარჯვება და ახალი სამგორი. ამ სოფლებში დამკვიდრდნენ საჩხერიდან, დუშეთიდან და გურჯაანიდან ორგანიზებულად ჩამოსახლებულმა ოჯახებმა. ეს სოფლები ჩაფიქრებული იყო, როგორც მთლიანად ეთნიკურად ქართველებით დასახლებული ადგილების შექმნა, რაც მაშინდელი მთავრობის აზრით, საუკეთესო საშუალება იქნებოდა ეთნიკურ ნიადაგზე გამოწვეული კონფლიქტების თავიდან ასარიდებლად ისეთ რეგიონში, როგორიცაა ქვემო ქართლი.

მეორე მსოფლიო ომის გამო შექმნილმა რთულმა სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ გამოიწვია მოსახლეობის ორგანიზებულად გადაადგილების აუცილებლობა. მცირემიწიანი რაიონებიდან ცხოვრების პირობების გაუმჯობესების გამო 1941-1950 წლებში ქვემო ქართლში, მესხეთსა აფხაზეთში ჩასახლდა 60 ათასზე მეტი ადამიანი. ორგანიზებული ჩასახლებები ხორციელდებოდა ძირითადად იმ რაიონებში, სადაც ეთნიკურად ქართველები უმცირესობაში იყვნენ. ამ პროცესს მოწინააღმდეგეებიც ყავდა, რადგან ჩასახლებულთა ადაპტაცია ხშირ შემთხვევაში საკმაოდ რთულად მიმდინარეობდა, ამას გარდა მაღალმთიან რაიონებში ბევრი სოფელი სრულად დაიცალა.

ორგანიზებული მიგრაციის გარდა მუდმივად ხორციელდებოდა ინდივიდუალური გადასახლებები ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად. მაღალმთიანი ზონიდან მოსახლეობა ნელ-ნელა გადაგის საშუალო და დაბალმთიან ზონაში, რადგან მაღალმთიანი სოფლები წელიწადის საკმაოდ დიდ ნაწილში ბუნებრივი პირობების გამო მოწყვეტილია ბარიდან, არ არის ცხოვრებისთვის აუცილებელი პირობები. საშუალო და დაბალმთიანი სოფლებიდან მოსახლეობა პირობების გასაუმჯობესებლად გადადიოდა ბარში. ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა განათლება, ჯანდაცვა და ა.შ. მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისთვის საკმაოდ რთული მისაღწევი იყო, ამიტომ იძულებულნი ხდებოდნენ დაეტოვებინათ მთა და ჩასულიყვნენ ბარში საცხოვრებლად.

ჯერ კიდევ XIX საუკუნიდან დაიწყო მთიანი რეგიონებიდან ხალხის მასობრივი ნებაყოფლობითი მიგრაცია. ასეთი მიგრაციის შედეგად დაიცალა თუშეთი, მინიმუმამდე შემცირდა მოსახლეობა ფშავ-ხევსურეთში, რაჭა-ლეჩხუმში და შიდა ქართლის ჩრდილოეთ მთიან ზონაში. ახალგორის და ჯავის მთიან რაიონებში 1926 წლიდან 1989 წლამდე დაიცალა 114 სოფელი, ხოლო სოფლის მოსახლეობა შემცირდა 38,8 ათასი კაციდან 14,7 ათასამდე (ჯაოშვილი, 1996, გვ. 230).

XX საუკუნის შუა წლებში განსაკუთრებული მასშტაბი შეიძინა სოფლიდან ქალაქში მიგრირებამ. ეს გამოიწვია ურბანიზაციის დონის ზრდამ, ასევე გაიზარდა წარმოება, შეიქმნა საწარმოები, ქარხნები, გაჩდა ბევრი ადამიანის დასაქმების საშუალება.

შეიცვალა დასაქმების სტრუქტურა, შესაბამისად სოფლებიდან მცირე ქალაქებში, ხოლო მცირე ქალაქებიდან დიდ ქალაქებში მრავალი ინდივიდი თუ ოჯახი გადავიდა.

გრაფიკი 1: საქართველოს მოსახლეობის შიდა მიგრაცია 1979-1990 წლებში



წყარო: ვახტანგ ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა: ისტორ.-დემოგრ. და ეკონ.-გეოგრ. გამოკვლევა

როგორც გრაფიკზე ჩანს სოფლიდან ქალაქში მიგრირებულთა რიცხვი ყოველთვის საგრძნობლად აჭარბებდა ქალაქიდან სოფელში მიგრირებულთა რიცხვს. 90-იანი წლებიდან ცოტათი შემცირდა სოფლიდან ქალაქში მიგრირებულთა რიცხვი, რადგან საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარება შეიქმნა. ძალიან შემცირდა სამუშაო ადგილები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით დასაქმებულთა ძირითადი ნაწილი მოდიოდა სოფლის მეურნეობაში დასაქმებულებზე, შესაბამისად, მოსახლეობა არჩევდა დარჩენილიყვნენ სოფლებში, სადაც საკვები უფრო მარტივად მოსაპოვებელი იყო. ამ პერიოდში შემცირდა შიდა მიგრაცია იმის ფონზე, რომ გაიზარდა ემიგრაცია. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ 90-იანი წლებიდან დაიწყო საქართველოს მოსახლეობის შემცირება და მისი ტერიტორიული განაწილების მნიშვნელოვანი ცვლილება. მატერიალური სიდუხჭირის გამო მოსახლეობა იძულებული შეიქმნა დაეტოვებინა საცხოვრებელი გარემო და გადასულიყო იმ ქალაქებში თუ ქვეყნებში, სადაც რაიმე სახის სამუშოს იშოვიდა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ უამრავმა ადამიანმა დატოვა ქვეყანა და გაემგზავრა ემიგრაციაში.

ცხრილი 1: მიგრაციის შეფარდებითი ინტენსიობის ინდექსები საქართველოს ქალაქებში სოფლებიდან ჩასულ მიგრანტთა ნაკადებში 1979 და 1989 წლებში

ასაკობრივი ჯგუფი, წელი	1979		1989	
	ჩამოსვლის ინდექსი	წასვლის ინდექსი	ჩამოსვლის ინდექსი	წასვლის ინდექსი
0-15	0,321	0,336	0,660	0,500
16-19	2,477	1,560	1,616	1,219
20-24	3,462	3,450	3,197	2,658
25-29	2,332	2,219	2,133	2,202
30-34	1,380	1,300	1,439	1,220
35-39	0,613	0,493	0,840	0,867
40-44	0,428	0,616	0,556	0,688
45-49	0,200	0,523	0,333	0,526
50-54	0,135	0,496	0,317	0,651
55-59	0,225	0,475	0,250	0,673
60-ზე მეტი	0,228	0,465	0,295	0,682

წყარო: ვახტანგ ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა: ისტორ.-დემოგრ. და ეკონ.-გეოგრ. გამოკვლევა, 32გვ

მიგრაციის შეფარდებითი ინდექსი გაიანგარიშება მიგრაციის ნაკადის ასაკობრივ სტრუქტურისა და მიგრაციის რეგიონის მოსახლეობისმოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის თანაფარდობით. (курс демографии,"Финансы и статистика", გვ. 165). როგორც ცხრილში ჩანს, ორივე წლისათვის (1979, 1989) საქართველოს ქალაქებში სოფლებიდან ჩასულ მიგრანტთა ნაკადსა და უკუნაკადში მაღალი ინტენსივობა შეინიშნება 16-29 წლის ადამიანებში, მაქსიმუმს აღწევს 20-24 წლის ასაკში. ზოგადად, ისევე როგორც ახლა, წარსულშიც შიდა მიგრანტთა დიდ წილს შეადგენდა შრომისუნარიან ასაკში მყოფი ადამიანები.

რაც შეეხება გენდერულ სურათს, გასულ საუკუნეშიც ქალები უფრო მეტად მოქნილები იყვნენ საცხოვრებელი ადგილის ცვლისას. ვახტანგ ჯაოშვილის მიხედვით, 1980-1988 წლებში ქალების წილი შეადგენდა 52-55,7%-ს, ხოლო 1992 წელს შეადგინა 68%.

1980-იანი წლების მიწურულს სვანეთში და აჭარაში რამდენიმე სოფელი მნიშვნელოვნად დაიმეწყრა. სტიქიურმა მოვლენებმა ბევრი ადამიანი იმსხვერპლა. 1987-1988 წლების დიდთოვლობამ მიგრაციის ახალი ტალღა გამოიწვია. 1987 წელს უხვთოვლობის გამო სვანეთში დაახლეობით 2000 სახლი ზვავის ქვეშ მოყვა, გარდაიცვალა 85 ადამიანი. განსაკუთრებით დაზარალდა მესტიის და ლენტეხის

რაიონები. რისკის ზონიდან 16 000 ადამიანი იქნა ევაკუირებული. შეიქმა სპეციალური კომისია, რომელმაც მიიღო დადგენილება ქვემო ქართლში (ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს და მარნეულის რაიონებში) და კახეთის ნაწილში (საგარეჯოს რაიონი) მესტიის რაიონიდან 1695 ოჯახის ჩასასახლებლად 9 სოფლის აშენების შესახებ. ლენტეხის რაიონიდან 1270 ოჯახი ჩაასახლეს 8 სოფელში გარდაბნის, თეთრი წყაროს, კასპის, ლანჩხუთის, ოზურგეთის, წყალტუბოსა და ხონის რაიონებში. სოფლებს აშენებდნენ არსებული დასახლებების გვერდით, ჩასახლებულები უფასოდ ღებულობდნენ ბინებს.

1989 წლის აპრილში სტიქიური უბედურება აჭარას დაატყდა თავს. მეწყერმა წალეკა მაღალმთიანი სოფლები, კერძოდ, ხულოს, ქედის და შუახევის მუნიციპალიტეტის სოფლები. სტიქიას მოჰყა ადამიანური მსხვერპლი, ასევე ასობით ჰექტარი მიწა უვარგისი გახდა დამუშავებისთვის. მაღალმთიანი აჭარიდან საქართველოს სხვადასხვა რაიონში 9 ათას ოჯახზე მეტი განასახლეს. განსაკუთრებით დიდი ნაკადი ჩაასახლეს წალკაში, რისი ერთ-ერთი მიზეზიც რაიონის გაქართველება იყო.

1980 წლების ორგანიზებულ ჩასახლებებს გარკვეული მიზეზი ჰქონდა: სტიქიური უბედურებების ზონებიდან მოსახლეობის ორგანიზებული გამოყვანა (აჭარა, სვანეთი); იმ რეგიონების „გაქართველება“, სადაც ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა უმცირესობას წარმოადგენდა; მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო რესურსების მქონე რაიონების ათვისება; დაცლილი დასახლებული პუნქტებისთვის ადრინდელი ეკონომიკური და სოციალური ფუნქციების აღდგენა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში გარდამავალი პერიოდი დადგა და ძველი სისტემის რღვევა დაიწყო. საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს ქართველთა 95% ცხოვრობდა საკუთარ ტერიტორიაზე, ისევე როგორც კავკასიის სხვა ეთნოსები სხვადასხვა საბჭოთა რესპუბლიკებში. მიგრაცია ხდებოდა რესპუბლიკების შიგნით. 1990-იანებისდან მოყოლებული სოციალურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა გამოიწვია უპირველეს ყოვლისა ემიგრანტების უპრეცენდენტოდ დიდი რაოდენობა. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მომხდარ სამოქალაქო ომებს მოჰყვა შიდა და გარე მიგრაციის ტალღები. სამხრეთ ოსეთიდან მიგრაციამ მასიური სახე 1991 წლიდან მიიღო. 1989 წელს

ოსები საქართველოს მოსახლეობის 3%-ს შეადგენდნენ. მიუხედავად სიმცირისა, მათ დაიწყეს ბრძოლა ქართული ჯარის წინააღმდეგ და რუსეთის დახმარებით, 1994 წელს, მაშინ, როდესაც საქართველო დასუსტებული იყო აფხაზეთის ომის შემდეგ შიდა პოლიტიკური პრობლემებისგან, სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა მოითხოვეს. აფხაზეთში, 1989 წელს, საქართველოს მოსახლეობა ეთნიკურად მრავალფეროვანი იყო, საქართველოს მთლიანი მოსახლეობის 1,8 % შეადგენდა, სიდანაც ეთნიკური აფხაზი მხოლოდ 17.8 % იყო. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების შედეგად დაახლოებით მეოთხედი მილიონი ადამიანი გახდა იძულებული დაეტოვებინა საცხოვრებელი და გადაადგილებულიყო საქართველოს ფარგლებში.

საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად შეჩერდა ინდუსტიული წამოება, შესაბამისად უმუშევარი დარჩა უამრავი ადამიანი. 1990-1994 წლებში საქართველოს ეკონომიკა სამჯერ და მეტად შემცირდა. ამ პერიოდში საქართველოს ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია შეიძლება დახასიათდეს, როგორც გეგმიურობიდან ჰიპერინფლაციაზე გადასვლა (1994 წელს ინფლაციის წლიურმა დონემ 7 840 %-ს გადააჭარბა).

1994 წლისთვის ქვეყნის მშპ 72%-ით ნაკლები იყო დამოუკიდებლობის მოპოვებამდე, 1990 წლის მონაცემთან შედარებით. ამის შემდეგ კრიზისული მოვლენები შეჩერდა საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის დახმარებით, ნელ-ნელა დაიწყო სიტუაციის დასტაბილურება და ეკონომიკის ნელი ზრდა. ამ პერიოდში ძალიან დაბალი იყო დასაქმების მაჩვენებელი. დასაქმებულთა უმრავლესობა სოფლის მეურნეობაში იყო ჩართული და ძირითადად, პირადი საჭიროების დასაკმაყოფილებლად შრომობდა.

1996 წელს მშპ 11,4 %-ით, 1997 წელს კი 10,6 %-ით გაიზარდა. თუმცა ქვეყანაში სტაბილურობის შექმნა მაინც ვერ მოხერხდა, წინსვლა მალე შეაფერხა და უმუშევრობის მაჩვენებელი უფრო და უფრო იზრდებოდა რუსული რუბლის კრიზისი და გამეფებული კორუფციის გამო. ეკონომიკური სტაგნაციის პირობებში უცხო ქვეყნებში მიგრაციის სტრატეგია უფრო და უფრო მეტმა საქართველოს მოსახლემ აითვისა. ამგვარმა პოლიტიკურმა, სოციალურმა და ეკონომიკურმა სიტუაციამ გამოიწვია მიგრაციის კიდევ

უფრო გაზრდა. 2000-იანი წლებიდან ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში ნელ-ნელა უმჯობესდებოდა. განხორციელდა მნიშვნელოვანი ინსტიტუციური, ანტიკორუფციული, ლიბელარულ-ეკონომიკური რეფორმები, რომლებმაც ხელი შეუწყო ეკონომიკურ წინსვლას. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში მთლიანი შიდა პროდუქრის ზრდის ტემპით გამორჩეული იყო 2005-2007 წლების პერიოდი. 2005 წელს ეკონომიკა 9,6 პროცენტით გაიზარდა, 2006 წელს- 9,4%-ით და 2007 წელს ზრდის სარეკორდო მაჩვენებელი- 12,6% დაფიქსირდა[1]. გატარებული ეკონომიკური და საკანონმდებლო რეფორმების შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტი 2003 წელს 1207,1 მილიონი ლარიდან გაიზარდა 2012 წელს 7806,8 მილიონამდე.

მიუხედავად ეკონომიკური ზრდისა დასაქმებულთა წილი ისევ ძალიან მცირეა, ამიტომ მოსახლეობა მაინც მუდმივად ცდილობს დიდ ქალაქებში გადავიდეს, იმის გამო, რომ ქვეყანაში წარმოების დონე განვითარებული არ არის, სამუშაო ადგილების დეფიციტია მათ შორის დიდ ქალაქებშიც. ჩასულ მოსახლეობას უჭირს სამუშაოს პოვნა, ძირითადად, ავსებს ქალაქის უმუშევართა რიგებს, რაც უკიდურესად ამძაფრებს ქალაქის პრობლემებს.

შიდა მიგრაციამ მთელი რიგი პრობლემები გამოიწვია გამცემ რაიონებშიც: მოხდა შრომისუნარიანი მოსახლეობის გადინება, სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის დარღვევა, ასაკოვანი მოსახლეობის დრდა საერთო რაოდენობაში და ა.შ.

ამგვარად, გასული საუკუნის შუა წლებიდან დღემდე საქართველოში შიდა მიგრაციის ძირითადი მიმართულებაა სოფლიდან-ქალაქში, უპირველეს ყოვლისა კი თბილისში. საქართველომ გამოიარა შიდა მიგრაციის რამდენიმე მნიშვნელოვანი ტალღა- 1980-იანი წლების ეკომიგრანტები, აფხაზეთის და ცხინვალის შეიარაღებული დაპირისპირების გამო დევნილები.

1 საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; http://www.economy.ge/uploads/ek_seqtorebi/gdp_seqtorebi/gdp_2013_3_geo.pdf

თავი 2. თანამედროვე შიდა მიგრაციის სოციალურ-დემოგრაფიული ასპექტები

მიგრაციული ტალღები კაცობრიობის დასაბამიდან ნებისმიერი საზოგადოებისთვის დამახასიათებელი იყო. ადამიანები სხვადასხვა მიზეზით ტოვებენ საკუთარ საცხოვრებელ ადგილს და გადაადგილდებიან სხვა ტერიტორიებზე. მოსახლეობის მიგრაცია ეს არის დემოგრაფიულ პროცესი, რომელიც პირდაპირ ზემოქმედებას ახდენს მოსახლეობის აღწარმოებაზე, ცვლის მის სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურას, რეპროდუქციურ ქცევას და ა.შ. მას გააჩნია გეოგრაფიული, ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და სხვა ასპექტები, რომლებიც აგრეთვე ახდენს ზეგავლენას დემოგრაფიულ პროცესებზე.

დღეს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნისთვის დამახასიათებელია ურბანიზაციის დონის ზრდა. ეს გულისხმობს იმას, რომ ამ სახელმწიფოებისთვის იზრდება ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წილი მთლიან მოსახლეობაში. შესაბამისად, ადამიანები ტოვებენ პატარა დასახლებებს, ძირითადად სოციალურ-ეკონომიკური მიზეზით და მიემართებიან ქალაქებისკენ, რათა გაიუმჯობესონ ცხოვრების პირობები. მიგრაციული პროცესების მიმდინარეობას ამა თუ იმ ქვეყანაში მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ამ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე, განსაკუთრებით ეს ეხება განვითარებად ქვეყნებს, როგორიცაა საქართველო.

შიდა მიგრაციისთვის დამახასიათებელია სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიული ასპექტი. შეიძლება გამოვყოთ შიდა მიგრაციაში ჩართული ასაკობრივი, სოციალური, გენდერული ჯგუფები, რომელზეც ზემოქმედებს სხვადასხვა ფაქტორი.

შიდა მიგრაცია ძალიან მნიშვნელოვანი სოციალურ-გეოგრაფიული მოვლენაა, ამიტომ მის შესწავლას დიდი ყურადღება ეთმობა. იმისთვის, რომ შეფასდეს ქვეყანაში შიდა მიგრაციული პროცესები, მოსახლეობის საყოველთაო აღწერის კითხვარის მეორე ფორმაში, მერვე კითხვა ეხება ამ საკითხს.

სურათი 1: 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის კითხვარი, ფორმა 2


8. შიდა მიგრაცია

8.1 ოდესმე გიცხოვრიათ თუ არა ქვეყნის ფარგლებში სხვა დასახლებაში 12 თვეზე მეტ ხანს?

☐ დიახ ☐ არა

8.2 წინა საცხოვრებელი ადგილი ქვეყნის ფარგლებში

(მუნიციპალიტეტი, თვითმმართველი ქალაქი)

☐ საქალაქო დასახლება (ქალაქი, დაბა)

☐ სასოფლო დასახლება

8.3 რომელი წლიდან ცხოვრობთ მუდმივად ამ დასახლებაში?

☐☐☐☐

(წელი)

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, http://census.ge/files/pdf/Form%20%232.pdf

აღსანიშნავია ის, რომ აღწერიდან მიღებული მონაცემი სრულ სურათს ვერ მოგვცემს, თუმცა შესაძლებლობას იძლევა შევაფასოთ რამდენი ადამიანია ისეთი, ვინც ერთხელ მაინც რაღაც პერიოდით ან მუდმივად შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი სხვადასხვა მიზეზის გამო, ეს შეიძლება იყოს რაიონებიდან რამდენიმე წლით თბილისში სასწავლებლად ჩამოსვლა და დამთავრების შემდეგ უკან დაბრუნება, სოციალური-ეკონომიკური პირობების გასაუმჯობესებლად სხვა ქალაქში გადასხვლა საცხოვრებლად და ა.შ. ეს კითხვა მოიცავს ყველა იმ ადამიანს, ვისაც ოდესმე უცხოვრია ქვეყნის ფარგლებში სხვა დასახლებაში 12 თვეზე მეტ ხანს.

დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის მანძილზე, ქვეყანაში შიდა მიგრაცია ძირითადად გამოწვეული იყო შეიარაღებული სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით, კონფლიქტებით და ეკოლოგიური პრობლემებითა. შესაბამისად, შიდა მიგრანტები ძირითადად ის ადამიანები არიან, ვინც სამხედრო კონფლიქტების გამო იძულებულები გახდნენ დაეტოვებინათ ოკუპირებული ტერიტორიები, ან ეკოლოგიური საფრთხის გამო მიატოვეს საცხოვრებელი ადგილი (ეკოემიგრანტები) ან სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სოფლიდან დიდ ქალაქებში გადავიდნენ საცხოვრებლად.

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით სულ შიდა მიგრანტების საერთო რაოდენობა შეადგენს 1058227 ადამიანს, რომლის 33.6 % (355 959 ადამიანი) არის კაცი, ხოლო 66.4% (702 268 ადამიანი) არის ქალი.

გრაფიკი 2: შიდა მიგრანტების პროცენტული განაწილება ასაკისა და სქესის მიხედვით (2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებით)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

თუ გადავხედავთ ასაკობრივ კლასიფიკაციას, შესამჩნევია, რომ ყველაზე მეტი შიდა მიგრანტი გვხვდება 15-64 წლის კატეგორიაში, მათზე მოდის მთლიანად მიგრანტების 76,4% (26.3% მამაკაცი, 50.1%-ქალი). 0-დან 14 წლამდე ასაკობრივ კატეგორიაში მთლიანად შიდა მიგრანტების 3,2% მოდის, აქედან 1.7% მამაკაცია, ხოლო 1.5 % ქალი. 65 წელზე მეტ ასაკობრივ კატეგორიაში გადის საქართველოს შიდა მიგრანტების 20.4%, მათ შორის 5.7% მამაკაცია, ხოლო 14.7% ქალი.

ცხრილი 2: შიდა მიგრანტების რაოდენობა და პროცენტული განაწილება

სულ შიდა მიგრანტები	სულ			სულ		
	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი
	1,058,227	**355,959**	**702,268**	**%**		
					33.6	**66.4**
0-14	33,975	17,731	16,244	3.2	1.7	1.5
15-64	808,498	278,031	530,467	76.4	26.3	50.1
65+	215,754	60,197	155,557	20.4	5.7	14.7

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც ცხრილიდან ჩანს, შიდა მიგრანტების ძირითადი ნაწილი მოდის ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაზე, რომლებიც გადიან 15-64 წლის კატეგორიაში. ეს

გამომდინარეობს იქიდან, რომ დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის პირობებში, მოსახლეობის დიდი ნაწილი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით იძულებულია დატოვოს საცხოვრებელი ადგილი და გაემართოს დიდი ქალაქებისკენ (ძირითად შემთხვევაში დედაქალაქში) სამუშაოს საძებნელად. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2016 წლის მონაცემების მიხედვით ოფიციალურად უმუშევრობის დონე 11,8 %-ია. ეს არ ასახავს ნამდვილ ვითარებას, რადგან უმუშევრად არ ითვლებიან მაგალითად, ის ადამიანები, ვინც სოფლის მეურნეობით არიან დაკავებულები. შესაბამისად, სოფლად მაცხოვრებელ მოსახლეობაში ოფიციალურად ნაკლებია უმუშევარი, ვიდრე ქალაქში. მაგრამ რეალობა სხვანაირია. სოფლის და პატარა დასახლებების მოსახლეობა იძულებულია დატოვოს საცხოვრებელი გარემო, რათა დიდ ქალაქებში და მეტწილად დედაქალაქში უფრო მეტი სამუშაო ადგილია. ურბანიზაციის პირობებში შიდა მიგრაციის ზრდა გარდაუვალი პროცესია.

ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 15-64 წლის ასაკობრივ კატეგორიაში მყოფ პირებს შორის არიან ის ადამიანები, რომლებსაც საომარი მოქმედებების და რუსეთის მიერ საქართველოს დიდი ნაწილის ოკუპირების გამო მოუწიათ საცხოვრებელი ადგილის დატოვება და იძულებით გადაადგილდნენ სხვა ტერიტორიაზე. აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა ამ და შემდგომ (65+) ასაკობრივ კატეგორიაშია წარმოდგენილი.

ამავე ასაკობრივ კატეგორიაში შეიძლება მოვიაზროთ ის მოსახლეობაც, რომელთაც გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ეკოლოგიური პრობლემების გამო იძულებით მოუწიათ საცხოვრებელი გარემოს დატოვება. მათ სახელმწიფომ შესთავაზა საცხოვრებლები სხვადასხვა რაიონში.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, შიდა მიგრანტების საერთო რაოდენობაში ქალების პროცენტული მონაცემები აღემატება მამაკაცებისას. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ზოგადად ქალების რიცხოვნობა აჭარბებს კაცებისას და აგრეთვე ის, რომ ტრადიციულად ქალი გათხოვების შემდეგ იცვლის საცხოვრისს და გადადის ქმრის ოჯახში. ბოლო წლებში სოციოლოგები ხშირად საუბრობენ „მიგრაციის ფემინიზაციაზე“, რაც გულისხმობს იმას, რომ როგორც შიდა, ისე საერთაშორისო მიგრაციულ ნაკადებში დიდი წილი ქალებზე მოდის. მიგრაციის ფემინიზაციის მაღალი

მაჩვენებელი სოციალურ-კულტურული ფაქტორებით და შრომით ბაზარზე ქალებზე გაზრდილი მოთხოვნით აიხსნება.

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ შიდა მიგრაციას გააჩნია ეთნიკური და რელიგური მახასიათებელიც. ეთნიკური უმცირესობები ძირითადად სახლდებიან ერთად და ისინი ნაკლებად იცვლიან საცხოვრებელ გარემოს. აგრეთვე იშვიათია ერთი ეთნოსით დასახლებულ ტერიტორიაზე, სხვა ეთნიკური წარმომავლობის ადამიანის მიგრირება. ეს განსაკუთრებით შეეხება ქვემო ქართლს და სამცხე-ჯავახეთს, სადაც თავმოყრილია ძირითადად, ეთნიკური უმცირესობები. ხელოვნური მიგრაციები, როგორიც იყო ეკომიგრანტების ეთნიკურ უმცირესობებით დასახლებულ ტერიტორიებზე ჩასახლება, ძირითადად უარყოფითი შედეგებით დასრულდა, რადგან დიდ ნაწილს ადაპტაცია გაუჭირდა და კონფლიქტების გამო ან უკან დაბრუნდა, ან სხვა რაიონში გადასახლდა.

მნიშვნელოვანი საკითხია შიდა მიგრანტების განათლების დონე. განათლების მიგრაცია დამახასიათებელია თითქმის ყველა ქვეყნისთვის. უმაღლესი და პროფესიული განათლების მისაღებად ადამიანები გარკვეული დროით მიემგაზვრებიან დიდ ქალაქებში. სწავლის დასრულების შემდეგ ან უკან ბრუნდებიან თავიანთ საცხოვრებელ ადგილას, ან ისევ დიდ ქალაქში რჩებიან დასაქმების მიზნით. ქართულ რეალობაში სულ რამდენიმე ქალაქია, სადაც უმაღლესი სასწავლებელია, ამიტომ ხშირ შემთვევაში სწავლის მსურველი ახალგაზრდები თბილისისკენ მოემართებიან და იმის გამო, რომ შემდგომ მიღებული პროფესიით დასაქმება რთულია რეგიონებში, ძირითადად თბილისშივე რჩებიან.

რაც შეეხება შიდა მიგრანტების სოციალურ მდგომარეობას, ის როგორც წესი დაბალია. რადგან ნებაყოფლობითი შიდა მიგრაციის ძირითადი მიზეზი სწორედ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაა, სამსახურის პოვნა და ცხოვრების ხარისხის დონის ზრდა. უმუშევრობა მუდმივი პრობლემაა დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის ისტორიაში. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2016 წლისთვის უმუშევრობის დონე არის 11,8%, მაგრამ ეს რეალობას არ ასახავს, რადგან დასაქმებულთა დიდი ნაწილი, თავს დასაქმებულად არ

მიიჩნევს (მაგალითად, სოფლის მეურნეობაში ჩართული ადამიანები, რომლებიც ოფიციალურად დასაქმებულებად ითვლებიან). დასაქმებულთა რაოდენობა კიდევ უფრო მცირეა სოფლად, ვიდრე ქალაქში, რაც ბუნებრივია, ადამიანებს აიძულებს გადაადგილდნენ სოფლიდან ქალაქში.

გრაფიკი 3: უმუშევრობის დონე ქალაქ-სოფლის ჭრილში, %



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური,

http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/labour/dasaqmeba-umushevroba%202015%20pres-relizi.pdf

ამრიგად, შიდა მიგრაციას ახასიათებს მრავალი ფაქტორი, იგი განსხვავდება სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში, სქესის, სოციალური სტატუსის, განათლების დონის, ეთნიკური თუ რელიგიური კუთხით და ა.შ. მაგრამ ყველა მათგანისთვის (ნებაყოფლობითი მიგრაციის შემთხვევაში) საერთოა ის, რომ საცხოვრებელი ადგილის შეცვლა ემსახურება ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას.

თავი 3. შიდა მიგრაციის რეგიონული თავისებურებები

შიდა მიგრაციის განხილვისას გეოგრაფებისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეგიონულ თავისებურებებს. საქართველოს რეგიონების ბუნებრივი, სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განსხვავებულობის გამო, მოსახლეობის გადაადგილებაც სხვადასხვა მიზეზით და მიმართულებით ხორციელდება.

იმისთვის, რომ შევაფასოთ საქართველოს შიდა მიგრაციის რეგიონული თავისებურებები, ყურადღება უნდა მივაქციოთ საყოველთაო აღწერებიდან მიღებულ შედეგებს. პირველ რიგში განვიხილოთ ის, რაც საერთოა ყველა რეგიონისთვის.

2002-2014 წლების აღწერათაშორის პერიოდში შეიცვალა ქალაქი-სოფლის მოსახლეობის სტურქტურა. სოფლის მოსახლეობის წილი მნიშვნელოვნად შემცირდა, ხოლო ქალაქის მოსახლეობის- მცირედით გაიზარდა. ქალაქის მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის შემცირება შეიძლება დავუკავშიროთ ემიგრაციას, ხოლო სოფლის მოსახლეობის თითქმის ნახევარ მილიონიანი შემცირება დაკავშირებულია როგორც შიდა, ისე გარე მიგრაციასთან.

გრაფიკი 4: მოსახლეობის რიცხოვნობა 2002 და 2014 წლებში (ქალაქი/სოფლის ჭრილში), ათასი კაცი



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით ქალაქის მოსახლეობის წილი წინა აღწერის მონაცემებთან შედარებით 5%-ით გაიზარდა. მოსახლეობის ზრდა ძირითადად გამოწვეულია ქალაქების საზღვრების გაფართოვებით, როგორც მაგალითად, თბილისის (5.2%-იანი ზრდა) და ბათუმის (26.3%-იანი ზრდა) მოსახლეობის

შემთხვევაში. გამონაკლისს წარმოადგენს რუსთავი, რომლის მოსახლეობის შემთხვევაში 7,3%-იანი ზრდა ქალაქის იმავე საზღვრებში აღინიშნა.

2014 წლის აღწერის მიხედვით მთლიანად შიდა მიგრანტების უმრავლესობის (33.1%) ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენს ქალაქი თბილისი. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ თბილისი წარმოადგენს ეკონომიკურად ყველაზე აქტიურ ქალაქს საქართველოში. გარდა ამისა თბილისი წარმოადგენს უმაღლესი განათლების ცენტრსაც, უნივერსიტეტების და პროფესიული განათლების ცენტრების ძირითადი ნაწილი თავმოყრილია დედაქალაქში, შესაბამისად შიდა მიგრანტების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ ის სტუდენტები, რომლებიც უმაღლესი განათლების მისაღებად ჩამოვიდნენ თბილისში.

გრაფიკი 5: თბილისის მიგრანტების პროცენტული განაწლება წინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, 2014 წლის აღწერის შედეგებით



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური[2]

[2] http://geostat.ge/ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. შენიშვნა: აღნიშნული ინფორმაციის გამოთხოვა მოხდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან განცხადების საფუძველზე. შესაბამისად, ელექტრონულად არ არის ხელმისაწვდომი.

როგორც გრაფიკიდან ჩანს, აჟამად თბილისში მცხოვრებ შიდა მიგრანტთა წინა საცხოვრებელ ადგილს უმეტეს შემთხვევაში წარმოადგენდა იმერეთი. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცხოვრების დონე ყველაზე დაბალი იმერეთშია, უბრალოდ იმერეთის მოსახლეობის წილი მთლიანად საქართველოს მოსახლეობაში არის ყველაზე დიდი, შესაბამისად იქიდან მიგრირებული მოსახლეობის რიცხვიც ყველაზე მაღალია.

რუკა 1: თბილისის შიდა მიგრანტების გადაადგილება წინა საცხოვრებელი ადგილიდან, 2014



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური[3]

ასევე მაღალია შიდა მიგრანტთა რაოდენობა, რომელთა წინა საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენდა აფხაზეთი, რაც ბუნებრივია, თუ გავითვალისწინებთ იმას, თუ რამდენი ადამიანი გახდა იძულებული დაეტოვებინა რეგიონი აფხაზეთის ომის შემდგომ. ეს ადამიანები, ძირითადად, თბილისში და სამეგრელოში ცხოვრობენ.

[3] http://geostat.ge/ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. შენიშვნა: აღნიშნული ინფორმაციის გამოთხოვა მოხდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან განცხადების საფუძველზე. შესაბამისად, ელექტრონულად არ არის ხელმისაწვდომი.

საკმაოდ ბევრი შიდა მიგრანტი ჩამოვიდა კახეთიდან თბილისში. კახეთი საკმაოდ მრავალრიცხოვანი მოსახლეობით გამოირჩევა (318 583 კაცი), შესაბამისად მიგრირებულთა რიცხვიც მაღალია.

თბილისის ტერიტორია და მოსახლეობა ყოველწლიურად იზრდება. ქალაქმა შეიერთა ახლომდებარე სოფლები და დასახლებები (მცხეთის და ქვემო ქართლის მიწები). სწორედ ამ ახალ საზღვრებში დაფიქსირდა მოსახლეობის ზრდა უკანასკნელ აღწერაში.

ქალაქ თბილისში შემავალ რაონებში შიდა მიგრანტების რაოდენობა განსხვავებულია. ამის ძირითად მიზეზს წარმოადგენს უძრავი ქონების ფასი სხვადასხვა უბანში, ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოწესრიგებულობა (მეტროს არსებობა) და ა.შ. თბილისში ჩასულ შიდა მიგრანტთა ყველაზე დიდი ნაწილისთვის ახლანდელ საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენს გლდანი (18.5%) და სამგორი (18%). ეს უბნები გამოირჩევიან ტერიტორიის სიდიდით და უძრავი ქონების ფასის სიმცირით.

გრაფიკი 6: თბილისის მიგრანტების რაოდენობა თბილისში რაიონების მიხედვით



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური[4]

რეგიონებიდან ჩამოსული მოსახლეობის დიდი ნაწილი ეკონომიკური პრობლემების გამო იცვლის საცხოვრებელ გარემოს, გასაკვირი არ არის, რომ ისინი

[4] http://geostat.ge/ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. შენიშვნა: აღნიშნული ინფორმაციის გამოთხოვა მოხდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან განცხადების საფუძველზე. შესაბამისად, ელექტრონულად არ არის ხელმისაწვდომი.

ირჩევენ იმ გარე უბნებს, სადაც ბინის ქირაობა თუ ყიდვა გაცილებით იაფი ჯდება, ვიდრე დედაქალაქის ცენტრალურ უბნებში.

ყველაზე ნაკლებად შიდა მიგრანტები სახლდებიან მთაწმინდაზე და კრწანისში. რუკაზე ფერთა გრადაციის შედეგად კარგად ჩანს ამჟამად მცხოვრებ შიდა მიგრანტთა რაოდენობას შორის განსხვავებას, მუქი ფერი აღნიშნავს მეტ მიგრანტს, ხოლო ღია-ნაკლებს.

რუკა 2: შიდა მიგრანტების განაწილება ამჟამინდელი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, 2014



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური[5]

2002 წლის მოსახლობის საყოველთაო აღწერის მიხედვით, შიდა მიგრანტების ძირითადი ტალღა ისევე როგორც 2014 წლის აღწერის მიხედვით მიმართული იყო თბილისისკენ (31.5%). მათში ჭარბობს ის მიგრანტები, რომელთა წინა საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენდა აფხაზეთი (14%) და იმერეთი (9%). ძალიან მაღალია ჩასული

[5] http://geostat.ge/ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. შენიშვნა: აღნიშნული ინფორმაციის გამოთხოვა მოხდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან განცხადების საფუძველზე. შესაბამისად, ელექტრონულად არ არის ხელმისაწვდომი.

მოსახლეობის რიცხოვნობა სამეგრელოსა (13.5%) და იმერეთში (15.4%). სამეგრელოში ეს განპირობებულია აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის ჩასახლების გამო.

რუკა 3: შიდა მიგრანტთა განაწილება საქართველოში წინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგიონალურ ჭრილში, 2002



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური[6]

რუკაზე ფერთა გრადაციის მიხედვით გამოყენებით ნაჩვენებია 2002 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგებით წინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგიონთა განსხვავებულობა. მუქი ფერი აღნიშნავს მეტ შიდა მიგრანტს, ხოლო ღია-ნაკლებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმერეთი ლიდერობს, როგორც წინა საცხოვრებელი ადგილი შიდა მიგრანტებისთვის, რაც გამოწვეულია იმით, რომ იმერეთი რეგიონებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი მოსახლეობით გამოირჩევა (533 906 კაცი). მიგრანტთათვის წინა საცხოვრებელი ადგილს ნაკლებად წარმოადგენდა მცირე

[6] http://geostat.ge/ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. შენიშვნა: აღნიშნული ინფორმაციის გამოთხოვა მოხდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან განცხადების საფუძველზე. შესაბამისად, ელექტრონულად არ არის ხელმისაწვდომი.

მოსახლეობის მქონე რეგიონები, როგორიცაა რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთი, გურია და ა.შ. დაბალია მაჩვენებელი ასევე ქვემო ქართლსა და სამცხე ჯავახეთში, რაც მოსახლეობის რაოდენობით არ არის განპირობებული. ამ რეგიონებში მრავლად ცხოვრობს ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობა (ქვემო ქართლი- 51,25% ქართველი, სამცხე-ჯავახეთი - 48,28% ქართველი), რომლებიც ამჯობინებენ კომპაქტურად ცხოვრებას, ტრადიციულად ეწევიან სოფლის მეურნეობის საქმიანობას, დაბალია უმაღლესი განათლების დონე (ქვემო ქართლი- 16,9%, სამცხე-ჯავახეთში- 15,7%). ზოგადად, ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობები ამჯობინებენ ერთ არელაში ცხოვრებას და ნაკლებად ერთვებიან შიდა მიგრაციის პროცესში.

რუკა 4: შიდა მიგრანტთა განაწილება საქართველოში წინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგიონალურ ჭრილში, 2014



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური[7]

[7] http://geostat.ge/ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. შენიშვნა: აღნიშნული ინფორმაციის გამოთხოვა მოხდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან განცხადების საფუძველზე. შესაბამისად, ელექტრონულად არ არის ხელმისაწვდომი.

რაც შეეხება 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერას, ძირითადი სურათი გავს 2002 წელს ჩატარებული აღწერის შედეგებს, მაგრამ მაინც ვხვდებით მნიშვნელოვან სხვაობებს. წინა საცხოვრებელი ადგილი შიდა მიგრანტთათვის ყველაზე ხშირ შემთვევაში ამჯერადაც იყო იმერეთი, აფხაზეთი, სამეგრელო- ზემო სვანეთი და კახეთი. ხოლო იშვიათ შემთხვევაში მცირე მოსახლეობის მქონე რეგიონები.

რუკაზე მოცემულია შიდა მიგრანტთა განაწილება საქართველოში წინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით 2014 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით. მუქი ფერი აღნიშნავს მეტ შიდა მიგრანტს, ღია-ნაკლებს.

ამ აღწერამ გამოავლინა წინა აღწერასთან შედარებით შიდა მიგრანტების გაზრდილი რაოდენობა ცხინვალის რაიონიდან, მცხეთა-მთაინეთიდან და ქვემო ქართლიდან.

ცხინვალის და მცხეთა-მთაინეთის (ახალგორის რაიონი) რეგიონიდან მიგრირებულთა რიცხვის უპრეცენდენტო ზრდა დაკავშირებულია 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომთან. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიხედვით 2008 წლის კონფლიქტის შედეგად საცხოვრებელი ადგილის დატოვება მოუხდა 22 ათას დევნილს, მათგან 15 912-ს აქვს მინიჭებული დევნილის სტატუსი. ეს ადამიანები არ იყვნენ აღწერილი წინა აღწერისას როგორც მიგრანტები.

რაც შეეხება ქვემო ქართლს და მცხეთა-მთიანეთის გარკვეულ ნაწილს, უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდში თბილისის საზღვრები გაიზარდა და დედაქალაქმა მიიერთა ამ რეგიონების რამდენიმე სოფელი. იგივე მოხდა ბათუმის შემთხვევაშიც, რომელმაც მიიერთა ხელვაჩაურის მიწები.

ორივე აღწერამ აჩვენა რომ შიდა მიგრანტთა საკმაოდ დიდი რაოდენობისთვის (2002 წლის აღწერა-96 911 ადამიანი; 2014 წლის აღწერა- 96 395 ადამიანი) თბილისი წარმოადგენდა წინა საცხოვრებელ ადგილს. ნაკლებად სავარაუდოა, რომ თბილისელები საცხოვრებლად გადავიდნენ სხვა რაიონებში, უფრო მეტად სავარაუდოა, რომ ეს ის ადამიანები არიან ვინც წარსულში სხვადასხვა რაიონიდან გაემართნენ თბილისისკენ

სხვადასხვა მიზნით: სამუშაო, განათლების მიღების და ა.შ., ხოლო რაღაც დროის შემდეგ უკან დაბრუნდნენ საკუთარ რაიონებში.

რაც შეეხება შიდა მიგრანტების ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილს, 2002 წლის აღწერა საშუალებას იძლევა მუნიციპალიტეტების მიხედვით განვიხილოთ. რუკაზე გამოსახულია ფერთა გრადაცია, მუქი ფერი აღნიშნავს იმ რაიონებს, რომლებიც მეტი მიგრანტისთვისაა ამჟამინდელი საცხოვრებელი ადგილი, ღია- ნაკლები.

რუკა 5: შიდა მიგრანტთა განაწილება საქართველოში ამჟამინდელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგიონალურ ჭრილში, 2002



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური[8]

როგორც სავარაუდო იყო, ამ დროსაც შიდა მიგრანტების მთავარი მიმართულება იყო თბილისისკენ. 2002 წლის მონაცემებით 397 423 მიგრანტმა დაასახელა თბილისი

[8] http://geostat.ge/ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. შენიშვნა: აღნიშნული ინფორმაციის გამოთხოვა მოხდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან განცხადების საფუძველზე. შესაბამისად, ელექტრონულად არ არის ხელმისაწვდომი.

ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილად. თბილისს მოჰყვება ზუგდიდი, რომელიც, ძირითადად, აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის ხარჯზეა წინა ადგილებზე.

დაახლოებით იგივე სურათი აჩვენა 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერამ. პირველ ადგილზეა თბილისი (350 013 ადამიანი), რომელსაც მოჰყვება რუსთავი (46 413 ადამიანი), ქუთაისი (42 791 ადამიანი), ბათუმი (39 240 ადამიანი) და ზუგდიდი (28 358 ადამიანი).

რუკა 6: შიდა მიგრანტთა განაწილება საქართველოში ამჟამინდელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგიონალურ ჭრილში, 2014



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური[9]

ღია ფერით აღნიშნულია ის მუნიციპალიტეტები, სადაც ყველაზე ნაკლები შიდა მიგრანტი ჩავიდა, ესენია, ძირითადად, ის რაიონები, რომლებსაც გააჩნიათ რთული გეოგრაფიული მდებარეობა, მცირემიწიანია, მატერიალური სიდუხჭირეა და სწორედ ეს

[9] http://geostat.ge/ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. შენიშვნა: აღნიშნული ინფორმაციის გამოთხოვა მოხდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან განცხადების საფუძველზე. შესაბამისად, ელექტრონულად არ არის ხელმისაწვდომი.

რაიონები წარმოადგენენ შიდა მიგრანტთა „ექსპორტიორ“ მუნიციპალიტეტებს. ესენია მაღალმთიანი აჭარის, სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის და სხვა მაღალმთიანი მუნიციპალიტეტები.

დაახლოებით ერთნაირი ვითარებაა კახეთის მუნიციპალიტეტებში, 8 000- 15 500 შიდა მიგრანტით. ყველაზე მეტი შიდა მიგრანტი ამჟამად ცხოვრობს თელავში (15 500 ადამიანი) და გურჯაანში (15 259 ადამიანი).

თბილისის შემდგომ ახლანდელი საცხოვრებელი ადგილი მთლიანად შიდა მიგრანტების 15.1%-სთვის არის იმერეთი, რომელშიც დიდი წილი მოდის ქუთაისზე (4%). ესეც იმითაა გამოწვეული, რომ ქუთაისი თბილისის შემდეგ ყველაზე დიდი და ეკონომიკურად ყველაზე აქტიური ქალაქია. ქუთაისში პარლამენტის და სხვა სამთავრობო სამსახურების გადატანამ ხელი შეუწყო ქალაქის ფუნქციის ზრდას, გაჩნდა სამუშაო ადგილები, რამაც ასევე გაზარდა შიდა მიგრანტების რაოდენობა.

გრაფიკი 7: შიდა მიგრანტების რაოდენობა იმერეთში (პროცენტული მონაცემები)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური[10]

ცხრილის მიხედვით, იმერეთში მიგრირებულთა 26%-სთვის ახლანდელ საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენს ქუთაისი, დანარჩენ ქალაქებში კი დაახლოებით

[10] http://geostat.ge/ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. შენიშვნა: აღნიშნული ინფორმაციის გამოთხოვა მოხდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან განცხადების საფუძველზე. შესაბამისად, ელექტრონულად არ არის ხელმისაწვდომი.

ერთნაირი სიტუაციაა. მთიანი იმერეთიდან სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გამო მოსახლეობა იძულებულია გადავიდეს დიდ ქალაქებში, ძირითადად ეს ხდება ქუთაისში, სადაც არის შედარებით მეტი სამუშაო ადგილი და განათლების მიღების უკეთესი შესაძლებლობა. 2002 წლის აღწერასთან შედარებით, შემცირებულია მთლიანად იმერეთის მოსახლეობის რაოდენობა, რთულია გამიჯვნა რამდენია ამ რაოდენობაში შიდა მიგრაციის და ემიგრაციის წილი, მაგრამ შესაძლებელია იმის დანახვა, თუ როგორ შეიცვალა იმერეთის მოსახლეობის სტრუქტურა: მოსახლეობის რაოდენობა შემცირებულია, მაგრამ გაზრდილია ქუთაისში მცხოვრები ადამიანების ხვედრითი წილი.

გრაფიკი 8: იმერეთის მიგრანტების პროცენტული განაწლება წინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, 2014 წლის აღწერის შედეგებით



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური[11]

[11] http://geostat.ge/ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. შენიშვნა: აღნიშნული ინფორმაციის გამოთხოვა მოხდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან განცხადების საფუძველზე. შესაბამისად, ელექტრონულად არ არის ხელმისაწვდომი.

როგორც აღინიშნა, იმერეთის შიდა მიგრანტების ძირითადი ნაწილისთვის წინა მუდმივი საცხოვრებელი იყო აგრეთვე იმერეთი. ამის შემდეგ მოდის თბილისი და ბუნებრივია აფხაზეთი. თბილისის შემთხვევაში ეს შეიძლება განვიხილოთ, რომ ძირითად, მოსახლეობის ის ნაწილია, ვინც იმერეთიდან თბილისში გადავიდა სხვადასხვა მიზნით გარკვეული პერიოდით და შემდეგ დაუბრუნდა საკუთარ საცხოვრებელს. რაც შეეხება აფხაზეთს, ყველა რეგიონისთვის საერთოა ის, რომ მისი შიდა მიგრანტების დიდ ნაწილს შეადგენს აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა.

საქართველოს შიდა მიგრაციების პროცესში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ისეთმა მიგრაციულმა ტალღებმა, როგორიცაა 1980-იანი წლების ეკოლოგიური კატასტროფები, 1992-1993 წლების შეიარაღებული კონფლიქტი აფხაზეთში და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი.

რეგიონებში შიდა მიგრაციის ძირითად ფონს ქმნის აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტროს ინფორმაციის ყველაზე მეტი დევნილი ამჟამად ცხოვრობს თბილისსა და სამეგრელოში.

გრაფიკი 9: დევნილების რაოდენობა რეგიონებში



წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, http://www.mra.gov.ge/geo/static/55

როგორც გრაფიკზე ჩანს ყველაზე ნაკლები დევნილი ცხოვრობს გურიაში და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში, რაც განპირობებულია ამ რეგიონების მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით. დევნილები აგრეთვე ნაკლებად დასახლდნენ იმ რაიონებში, სადაც ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობა ჭარბობს (სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლი).

რეგიონული თავისებურებებიდან გამომდინარე შიდა მიგრაციიდან აღსანიშნავია ეკომიგრანტები. 1981-დან 1990 წლამდე ეკომიგრანტების უმრავლესობა ჩაასახლეს საქართველოს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში: სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში, სადაც ჩასახლებულთა რაოდენობამ მთლიანობაში დაახლოებით 3 ათასი ოჯახი შეადგინა. ეს ყოველივე აღნიშნული რეგიონების „გაქართველებას“ ისახავდა მიზნად. ახლად ჩასახლებულ ეკომიგრანტებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის ხშირად უკიდურესად იძაბებოდა ურთიერთობა, რაც არც თუ ისე იშვიათად მიღებული სახლების გაყიდვით ან მიტოვებით და საკუთარ მშობლიურ რეგიონებში დაბრუნებით მთავრდებოდა. 1981 წლიდან 1983 წლამდე აჭარის რეგიონიდან დაახლოებით 1 010 ოჯახი ჩაასახლეს როგორც კახეთის, ასევე სამეგრელოს, სამცხე-ჯავახეთისა და შიდა ქართლის რეგიონებში. 1987 წლის გაუსაძლისი ზამთრის გამო მთიანი სვანეთის რეგიონიდან 16 ათასი ადამინაის ევაკუაცია განხორციელდა, საიდანაც 2500 ადამიანი სხვადასხვა რაიონში იქნა გადაყვანილი.

ამრიგად, რეგიონალურ განსხვავებებს შიდა მიგრაციის პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამა თუ იმ რეგიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური მახასიათებლები განსაზღვრავს მის როლს შიდა მიგრაციის პროცესში. შიდა მიგრანტების მთავარ მიმართულებას წარმოადგენს თბილისი, რომელიც არის ქვეყნის ეკონომიკური ცენტრი.

დასკვნა

ნაშრომში ნაჩვენებია საქართველოში შიდა მიგრაციების სოციალურ-დემოგრაფიული და გეოგრაფიული თავისებურებები. განხილულია შიდა მიგრაციული პროცესები ისტორიულ ჭრილში, თანამედროვე შიდა მიგრაციის სოციალურ-დემოგრაფიული ასპექტები და საქართველოში შიდა მიგრაციის რეგიონული თავისებურებები. თვალსაჩინოებისთვის წარმოდგენილია რუკები, რომელიც შეიქმნა გეოინფორმაციული სისტემების გამოყენებით.

ჩვენმა კვლევამ ცხადყო, რომ საქართველოში მიმდინარეობს რთული შიდა მიგრაციული პროცესები, რომელსაც აქვს მკაფიოდ გამოხატული მიმართულება: სოფლიდან ქალაქში, ძირითად შემთხვევაში თბილისში. უმუშევრობა და საერთოდ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონი მოსახლეობას იძულებულს ხდის დატოვოს საცხოვრებელი გარემო და სამუშაო მსხვილ ქალაქებში ეძებოს.

ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-გეოგრაფიულ კვლევებში ჯერ არ ჩატარებულა შიდა მიგრაციის ანალიზი 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით. ჩვენ შევეცადეთ შეგვეფასებინა უკანასკნელი აღწერის მონაცემები, შეგვედარებინა ის 2002 წელს ჩატარებულ აღწერის შედეგებთან.

კვლევამ გამოავლინა სხვაობები მიგრაციულ ქცევას შორის სხვადასხვა ასაკობრივ და გენდერულ ჯგუფში, ასევე სხვადასხვა სოციალურ დაჯგუფებებში. ასევე ყურადღება გავამახვილეთ რეგიონალურ და მუნიციპალურ სხვაობაზე. რაიონის გეოგრაფიული და ეკონომიკური მდგომარეობა განსაზღვრავს მის როლს შიდა მიგრაციულ პროცესებში.

ყველაზე მეტი შიდა მიგრანტი გვხვდება 15-64 წლის კატეგორიაში, მათზე მოდის მთლიანად მიგრანტების 76,4% (26.3% მამაკაცი, 50.1%-ქალი). 0-დან 14 წლამდე ასაკობრივ კატეგორიაში მთლიანად შიდა მიგრანტების 3,2% მოდის, აქედან 1.7% მამაკაცია, ხოლო 1.5 % ქალი. 65 წელზე მეტ ასაკობრივ კატეგორიაში გადის საქართველოს შიდა მიგრანტების 20.4%, მათ შორის 5.7% მამაკაცია, ხოლო 14.7% ქალი.

2014 წელს 2002 წელთან შედარებით კიდევ უფრო გაიზარდა სხვაობა სოფლის და ქალაქის მოსახლეობის რაოდენობას შორის. ამ 5%-იან სხვაობას განსაზღვრავს, როგორც

ქვეყნის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, ისე ის ფაქტი, რომ მოხდა ქალაქების საზღვრების გაფართოვება (მაგალითად, თბილისი და ბათუმი).

რეგიონალურ განსხვავებებს შიდა მიგრაციის პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამა თუ იმ რეგიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური მახასიათებლები განსაზღვრავს მის როლს შიდა მიგრაციის პროცესში.

ყველაზე მეტი მიგრანტი მიისწრაფვის ბუნებრივია თბილისისკენ, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ ცენტრს. 350 013 შიდა მიგრანტმა დაასახელა თბილისი ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილად 2014 წლის აღწერისას. მათი უმეტესობა სამუშაოს საძებნელად და განათლების მისაღებად გადმოვიდა თბილისში საცხოვრებლად. შიდა მიგრანტები სახლდებიან, ძირითადად, თბილისის იმ რაიონებში, სადაც უძრავი ქონების ფასი დაბალია, მაგალითად, სამგორის და გლდანის რაიონები.

შიდა მიგრანტების ყველაზე დიდი წილი მოდის იმ მიგრანტებზე, რომელთა წინა საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენდა იმერეთი და აფხაზეთი. აფხაზეთის ომის შემდეგ უამრავ ადამიანს იძულებით დაატოვებინეს საცხოვრებელი ადგილი. მათგან უმეტესობის ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილს წარმოაგენს თბილისი და სამეგრელო.

ყურადღებას იმსახურებს იმერეთი. ამ რეგიონიდან ყველაზე მეტი მიგრანტია გადანაწილებული სხვადასხვა რაიონში, რაც განპირობებულია იმით, რომ ზოგადად იმერეთის მოსახლეობის წილი ყველაზე მაღალია რეგიონებს შორის.

მთიანი რაიონების გეოგრაფიული, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გამო, მოსახლეობა გადაადგილდება ბარში. მათი წილი შიდა მიგრანტებში დიდი არ არის, მაგრამ ეს განპირობებულია იმით, რომ თვითონ მოსახლეობის რაოდენობა არის მცირე ასეთ რაიონებში.

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერამ გამოავლინა მნიშვნელოვანი ცვლილება 2002 წლის აღწერის მონაცემებთან შედარებით, რაც გამოწვეულია 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომით. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან

იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიხედვით 2008 წლის კონფლიქტის შედეგად საცხოვრებელი ადგილის დატოვება მოუხდა 22 ათას დევნილს. ქ. ცხინვალის და მისი მიმდებარე სოფლების, ასევე ყორნისის და ახალგორის რაიონებიდან დევნილი უამრავი ადამიანი ჩაასახლეს მათთვის აშენებულ სოფლებში.

შიდა მიგრაციის პროცესში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ეკომიგრანტებმა. გასული საუკუნის 80-იან წლებში აჭარისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონიდან ათასობით ადამიანი ჩაასახლეს როგორც კახეთის, ასევე სამეგრელოს, სამცხე-ჯავახეთისა და შიდა ქართლის რეგიონებში.

ზოგადად, მიგრაცია დადებითი ხასიათისაა, რადგან ხდება სამუშაო ძალის უკეთესად გამოყენება, ხდება განათლების და კულტურის დონის ამაღლება, ღრმავდება ხალხთა კავშირები, რის შედეგადაც ხდება აკულტურაცია, სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების მასშტაბების ზრდა, ახალი ტერიტორიების ათვისება და ა.შ. მაგრამ საქართველოს შემთხვევაში შიდა მიგრაციამ მთელი რიგი პრობლემები გამოიწვია გამცემ რაიონებში: მოხდა შრომისუნარიანი მოსახლეობის გადინება, სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის დარღვევა, ასაკოვანი მოსახლეობის ზრდა საერთო რაოდენობაში და ა.შ.

ამრიგად, საქართველოს შიდა მიგრაციას აქვს მკვეთრად გამოხატული სახე: სოფლიდან-ქალაქში. ეს ქალაქი, მეტ წილად, თბილისია. ამ რთულმა პროცესმა მასობრივი სახე მიიღო გასული საუკუნის შუა წლებიდან და დღემდე გრძელდება.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

1. გოგსაძე, გ. (2008), *მოსახლეობის გეოგრაფია,* თბილისი: საარი
2. გუგუშვილი, თ. (1998), *საქართველოს გარე მიგრაციულ-დემოგრაფიული პრობლემები,* 145 გვ.
3. კაცაძე, ა. (1983), *მოსახლეობის მიგრაცია და საქართველოს საშუალო ქალაქების სოციალური განვითარების პრობლემები,* თბილისი: 1983
4. მელაძე, გ. (2013), *საქართველო და გლობალური დემოგრაფიული პროცესები,* თბილისი: უნივერსალი, 232 გვ.
5. ტუხაშვილი, მ. (1996), *საქართველოს მოსახლეობის მიგრაცია,* თბილისი: ლამპარი, 59 გვ.
6. ტუხაშვილი, მ. (1996), *საქართველოს შრომითი პოტენციალი,* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 84 გვ.
7. ჯაოშვილი, ვ. (1996), *საქართველოს მოსახლეობა:* ისტორიულ-დემოგრაფიული და ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა, თბილისი: მეცნიერება, 431 გვ.
8. Afsar R. (2003), *Internal migration and the development nexus*, Dhaka, pp. 17
9. Fan C. (1996), *Economic Opportunities an Internal Migration*, pp. 28-45
10. Lucas, R. (1997) *Internal Migration in Developing Countries,* pp. 798
11. Lucas, R., *Internal Migration in Developing Economies An overview,* 2015, pp. 30
12. Migration in Georgia: A Country Profile 2008, IOM
13. Salukvadze J., Meladze G. (2014), *Discovering migration between visegrad countries and eastern Europe*, Budapest, pp. 150-169
14. United Nations (1970), *Methods of Measuring Internal Migration*, New York
15. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, http://www.migration.commission.ge/ [წანახია: 11/06/2017]
16. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტრო, http://www.mra.gov.ge/ [წანახია: 20/05/2017]
17. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მიგრაცია www.geostat.ge [წანახია: 14/05/2017]

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Elisabed Archvadze

Demographic and Geographic Features of Internal Migrations in Georgia (2002-2014)

Human Geography

The work has been accomplished to obtain the Master's academic degree in Human Geography

Supervisor: Giorgi Gogsadze

Tbilisi, 2017

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ანა ჯანჯღავა

საქართველოს რეგიონული განვითარების გეოგრაფიული ასპექტები

საზოგადოებრივი გეოგრაფიის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საზოგადოებრივი გეოგრაფიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ვალერიან მელიქიძე

თბილისი, 2017

საქართველოს რეგიონული განვითარების გეოგრაფიული ასპექტები

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომის **მიზანია** საქართველოს რეგიონული განვითარების პოლიტიკის რეალიზაციის სივრცითი შედეგების ანალიზი. მიგვაჩნია, რომ თემა საკმაოდ **აქტუალურია**, რადგან წარმოუდგენელია მთლიანი ქვეყნის წინსვლა მისი ცალკეული ნაწილების განვითარებისა და გონივრული რეგიონული პოლიტიკის გატარების გარეშე. ზოგადად, რეგიონული განვითარება ნიშნავს ისეთ ღონისძიებების გატარებას, რომლებიც მიმართული იქნება რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის ცხოვრების დონისა და კეთილდღეობის ამაღლებისკენ, და ხელს შეუწყობს რეგიონების კონკურენტუნარიანობის ზრდას სოციალურ-ეკონომიკურ სფეროებში.

ნაშრომის უმთავრესი **ამოცანაა** იმის შესწავლა, თუ როგორ ხდება ქვეყანაში რეგიონული პოლიტიკის ფორმირება „ზევიდან ქვევით“ პროექტების რეალიზაციის დონეზე, ვინ არის პასუხისმგებელი მათ განხორციელებაზე, რა წყაროებით ხდება მათი დაფინანსება და რა შედეგებს ახდენენ აღნიშნული პროექტები ქვეყნის რეგიონულ განვითარებაზე. განხილულია, ასევე, „ქვევიდან-ზევით“ პროექტების მოთხოვნის და შემდგომი რეალიზაციის თანმხლები პროცედურები. ამას გარდა, ნაშრომის ამოცანებია ქვეყნის რეგიონული განვითარების პროცესზე მოქმედი პოლიტიკის სტრატეგიული დოკუმენტების ანალიზი და თვითმმართველობის რეფორმების კავშირის დადგენა საქართველოს რეგიონული განვითარების პროცესთან.

Geographical aspects of regional development of Georgia

Janjgava, A.

Annotation

The goal of the Master's thesis is to analyze the spatial consequences of realization of Georgia's regional development policy. In our opinion the topic is quite relevant, since the progress of the entire country is impossible without the development of its separate parts and carrying out the reasonable regional policy. In general, the regional development means taking measures aimed at raising the living standards and welfare of the population living in the regions and it contributes to the growth of the competitiveness of the regions in socio-economic spheres.

The main objective of the work is to find out how regional policies are actually formed and developed in the country at the level of implementation of "from top to bottom" projects and who is responsible for their implementation, what their sources of financing are and what the consequences of these projects are on the regional development of the country. The accompanying procedures of "from bottom to top" projects' demands and their further implementation are also discussed in the work. In addition, the work objectives are to analyze the strategic documents of the policy influencing the country's regional development process and to identify the correlation of self-government reforms with the regional development process of Georgia.

სარჩევი

შესავალი 8

თემის აქტუალობა 8

ნაშრომის მიზანი და ამოცანები. 9

ნაშრომის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები. 10

თავი 1. რა არის რეგიონული პოლიტიკა. 18

1.1 რეგიონული პოლიტიკის არსი 18

1.2 რეგიონული პოლიტიკის სახეობები 19

1.3 რეგიონული პოლიტიკა ევროკავშირის ქვეყნებში 22

თავი 2. საქართველოს რეგიონული განვითარების პოლიტიკა 28

2.1 თვითმმართველობის სისტემის ჩამოყალიბების მოკლე ისტორიული ექსკურსი 28

2.2 რეგიონული პოლიტიკის განმახორციელებელი უწყებები 38

2.3 რეგიონული განვითარების სტრატეგიული დოკუმენტები 44

2.4 საქართველოს რეგიონული პოლიტიკის სივრცითი შედეგები 51

2.5 საერთაშორისო ხელშეკრულებები და დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტები 62

2.5.1 ევროკავშირი (EU) 62

2.5.2 ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB) 66

2.5.3 ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) 66

2.5.4 მსოფლიო ბანკი 70

2.5.5 აზიის განვითარების ბანკი (ADB) 79

2.5.6 გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW) 84

თავი 3. ქვემო ქართლის მაგალითზე „ქვევიდან ზევით“ პროექტების მოთხოვნა-განხორციელების პროცესი 90

დასკვნა 99

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა 103

დანართი 107

დოკუმენტი 1. 107

რუკების ჩამონათვალი

რუკა 1. საქართველოს თვითმმართველი ქალაქები 110

რუკა 2. 2013-2016 წლებში რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ საქართველოში განხორციელებული საგზაო და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების შედარება ღირებულების მიხედვით (მლნ ლარი) . 111

რუკა 3. 2013-2016 წლებში რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ საქართველოში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების მთლიანი ღირებულება რეგიონების მიხედვით (მლნ ლარი) 112

რუკა 4. 2013-2016 წლებში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინსიტროს მიერ საქართველოში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების ღირებულება წლების მიხედვით (მლნ ლარი) 113

რუკა 5. 2013-2016 წლებში ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებში „რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ განხორციელებული პროექტების ჯამური ღირებულება მუნიციპალიტეტების მიხედვით 114

რუკა 6. 2013-2016 წლებში ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებში „რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ განხორციელებული პროექტების ჯამური ღირებულება წლების მიხედვით. 115

ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი 1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მიერ 2013-2017 წლებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების ღირებულება ფუნქციონალურ ჭრილში (მლნ ლარი) 116

ცხრილი 2. ევროპის საინვესტიციო ბანკის დაფინანსებით, საქართველოში განხორციელებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები 117

ცხრილი 3. ქვემო ქართლის რეგიონის მუნიციპალიტეტების ადგილობრივი ბიუჯეტები 2015-2017 წლებში 118

გრაფიკების ჩამონათვალი

გრაფიკი 1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2013-2017 წლების ბიუჯეტი (მლნ ლარი) 119

გრაფიკი 2. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ 2013-2017 წლებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების ღირებულება ფუნქციონალურ ჭრილში (მლნ ლარი) 120

გრაფიკი 3. 2013-2017 წლებში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ საბიუჯეტო სახსრებით განხორციელებული პროექტების ჯამური ღირებულება (მლნ ლარი) 121

გრაფიკი 4. საქართველოს ბიუჯეტიდან "რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდში" გადარიცხული თანხა წლების მიხედვით (მლნ ლარი) 122

გრაფიკი 5. 2013-2017 წლებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადარიცხული თანხები საქართველოს ბიუჯეტიდან (მლნ ლარი) 123

გრაფიკი 6. "რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისთვის" ბიუჯეტიდან გადარიცხულ თანხებსა და ფონდის ფარგლებში განხორციელებული პროექტების საერთო ღირებულებას შორის სხვაობა 2013-2016 წლებში (მლნ ლარი)..... 124

გრაფიკი 7. 2013-2016 წლებში რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ საქართველოში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების მთლიანი ღირებულება რეგიონების მიხედვით (მლნ ლარი)..... 125

გრაფიკი 8. 2013-2016 წლებში რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ საქართველოში განხორციელებული საგზაო და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების შედარება ღირებულების მიხედვით (მლნ ლარი) . 126

გრაფიკი 9. 2013-2017 წლებში რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ საქართველოში განხორციელებული საგზაო ინფრასტრუქტურის პროექტების ღირებულება რეგიონების მიხედვით (მლნ ლარი) 127

გრაფიკი 10. 2013-2016 წლებში რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ საქართველოში განხორციელებული წყალმომარაგებისა და წყალარინების პროექტების ღირებულება რეგიონების მიხედვით (მლნ ლარი)..... 128

გრაფიკი 11. 2013-2016 წლებში რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ საქართველოში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების ღირებულება საგზაო პროექტების გამოკლებით (მლნ ლარი)..... 129

გრაფიკი 12. 2013-2017 წლებში საქართველოს რეგიონებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების რაოდენობა რეგიონების მიხედვით 130

გრაფიკი 13. 2013-2017 წლებში საქართველოში ინფრასტრუქტურულ პროექტებზე დახარჯული თანხების რაოდენობა წლების და რეგიონების მიხედვით (მლნ ლარი) .. 131

გრაფიკი 14. 2013-2016 წლებში იმერეთის რეგიონში განხორციელებული ყველაზე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების ღირებულება (მლნ ლარი)..... 132

გრაფიკი 15. 2013-2016 წლებში სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ინფრასტრუქტურული პროექტების პრიორიტეტული სექტორების საერთო ღირებულება და რაოდენობა (მლნ ლარი) 133

გრაფიკი 16. 2013-2016 წლებში სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ინფრასტრუქტურული პროექტების პრიორიტეტული სექტორების საერთო ღირებულება და რაოდენობა (მლნ ლარი) 134

გრაფიკი 17. სახელმწიფო ბიუჯეტში ასახული დონორი ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერის წილი (2017 წლის მდგომარეობით) 135

გრაფიკი 18. სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი გრანტები საქართველოსთვის ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად (მლნ ლარი) 136

გრაფიკი 19. ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი თანხა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად (მლნ ლარი) 137

გრაფიკი 20. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ განხორციელებული პროექტები სექტორების მიხედვით: 138

გრაფიკი 21. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი თანხა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად (მლნ ლარი) 139

გრაფიკი 22. მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოში განხორციელებული პროექტების საერთო ღირებულება (მლნ აშშ დოლარი) და რაოდენობა (ერთეული) წლების მიხედვით 140

გრაფიკი 23. მსოფლიო ბანკის (WB) მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი თანხა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად (მლნ ლარი) 141

გრაფიკი 24. აზიის განვითარების ბანკის მიერ (ADB) საქართველოსთვის გამოყოფილი თანხა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად (მლნ ლარი) 142

გრაფიკი 25. გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი თანხა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად (მლნ ლარი) 143

გრაფიკი 26. ქვემო ქართლის რეგიონის მუნიციპალიტეტების 2015-2017 წლების ადგილობრივი ბიუჯეტები (მლნ ლარი) 144

გრაფიკი 27. 2013-2016 წლებში ქვემო ქართლში „რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტების ღირებულება (მლნ ლარი) და რაოდენობა 145

გრაფიკი 28. 2013-2016 წლებში ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების ღირებულება (მლნ ლარი) 146

გრაფიკი 29. 2013-2016 წლებში ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების რაოდენობა 147

შესავალი

<u>**თემის აქტუალობა.**</u> ქვეყნის რეგიონული განვითარების პოლიტიკა, როგორც წესი, წარმოადგენს განვითარების პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს. ზოგადად, ცნება „განვითარება“, გულისხმობს პროგრესულ ცვლილებებს, უპირველეს ყოვლისა ეკონომიკის სფეროში. იმისათვის, რომ ქვეყანა არ იყოს სტაგნაციის მდგომარეობაში და მუდმივად პოზიტიურ სიახლეებს განიცდიდეს, აუცილებელია მისი განვითარების ხელშეწყობა. სახელმწიფომ კი, თავის მხრივ, უნდა შეიმუშაოს ქვეყნის რეგიონული განვითარების პოლიტიკასთან თანხვედრაში მყოფი სტრატეგიული განვითარების მიზნები.

მთელი განვითარებული სამყარო გადადის ცენტრალიზებული მმართველობიდან დეცენტრალიზაციისკენ და ადგილობრივი ხელისუფლებების დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლებისკენ. ეს არის აბსოლუტურად რეალური ტენდენცია, იმიტომ რომ „ზევიდან ქვევით“ მართვა, თან ხისტი, უმეტეს შემთხვევაში არ ამართლებს. საქართველოც არ არის აქედან გამონაკლისი და ჩვენც მივყვებით იმ ტენდეციას, რომელიც ძირითადად ევროპისთვის არის დამახასიათებელი. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, სადაც ნათლად არის ჩამოყალიბებული რეგიონული განვითარება და მისი ხელშეწყობა, საქართველოსათვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა რეგიონული განვითარება და მასზე დამყარებული, ხელისუფლების მიერ შემუშავებული პოლიტიკის განხორციელება. რეგიონული განვითარების პოლიტიკის შემუშავების მთავარი უპირატესობაა, რომ ის იძლევა ამა თუ იმ რეგიონის სტრუქტურული სპეციფიკის შესწავლის საშუალებას და მის დიფერენცირებას რესურსებისა და განვითარების შესაძლებლობების მიხედვით. ცალკეული რეგიონების სპეციფიკის ეფექტიანი გამოყენება ემსახურება არა მხოლოდ კონკრეტული რეგიონის მოსახლეობის ინტერესებს, არამედ საერთო ეროვნულ ინტერესს და მთელი ქვეყნის რეგიონული განვითარების პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს მიზანს.

საქართველოში უკანასკნელ წლებში განხორციელდა ცვლილებები, რომლებმაც საფუძველი დაუდო რეგიონული განვითარების მიმართულებით მიმდინარე ღონისძიებებს. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ განხორციელდა რეფორმების რამდენიმე ტალღა, რომლებსაც თან ახლდა, როგორც ქვეყნის დეცენტრალიზაციის პროცესის გაძლიერება, ასევე პირიქით, დასახული მიზნისგან დაშორება. ამ მხრივ მნიშვნელოვანია 2004 წელს საქართველოს „ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპის ქარტიასთან" მიერთება, რომლის შედეგად 2005 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ". მთავრობის მიერ ინიცირებული ახალი დეცენტრალიზაციის რეფორმა მიზნად ისახავდა რესურსების განთავსებაში ადგილობრივი თვითმმართველობების აქტიურ ჩართვას და ადგილობრივი საჯარო მომსახურების ეფექტიანობის ზრდას. მნიშვნელოვანია 2013 წელს ქვეყნის სათავეში ახალი სახელისუფლებო ძალების მოსვლის შედეგად განხორციელებული თვითმმართველობის რეფორმა და 2014 წელს პარლამენტის მიერ დამტკიცებული „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", რომელიც ორდონიანი თვითმმართველობის სისტემის შექმნას გულისხმობს.

<u>ნაშრომის მიზანი და ამოცანები.</u> ნაშრომის მიზანია საქართველოს მიერ გატარებული რეგიონული პოლიტიკის შედეგების სივრცობრივი ანალიზი. ნაშრომი შემოიფარგლება ძირითადად 2013-2017 წლების პერიოდში განხორციელებული და, ასევე, მიმდინარე და დაგეგმილი პროექტებით. შესაბამისად, ნაშრომის ამოცანაა გაანალიზოს ინფრასტრუქტურული პროექტების რეალიზაცია, მათ განხორციელებასთან დაკავშირებული პოლიტიკა საქართველოში და მისი შედეგები რეგიონულ დონეზე. რადგანაც ნაშრომი ეხება რეგიონულ განვითარებას, ის გვერდს უვლის ქალაქ თბილისში განხორციელებულ და დაგეგმილ პროექტებს და, ასევე, ნაკლებად ეხება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში წარმოებულ რეგიონულ პოლიტიკას, რადგან ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის ფარგლებში, იქ სხვა რეგიონებისგან ცოტა განსხვავებული პროცესები მიმდინარეობს და პოლიტიკის შემუშავებასაც, შესაბამისად, სხვა სპეციფიკა გააჩნია.

ინფრასტრუქტურულ პროექტებს რაც შეეხება, აქ მოიაზრება გზების წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების, სახლების, საბავშვო ბაღების (აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტი ვალდებულია მხოლოდ სკოლამდელი დაწესებულებების კეთილმოწყობაზე, სკოლებს და სხვა დანარჩენ სასწავლო დაწესებულებები უკვე უშუალოდ განათლების სამინისტროს კომპეტენციაში შედის) მშენებლობა/რეაბილიტაცია და ა.შ. ხაზი უნდა გაესვას, რომ ნაშრომი მიზანმიმართულად უვლის გვერდს ენერგეტიკის სფეროში განხორციელებულ პროექტებს, რადგან ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, როგორც წესი, გავლენას არ ახდენს რეგიონის განვითარებაზე, თუ მაინცდამაინც ადგილობრივ მოხმარებაზე არ არის გათვლილი. გავლენას კი არ ახდენს იმ პირობების გათვალისწინებით, რომ ენერგია მაინც მიდის ცენტრალურ სისტემაში და შემდგომ მიდის ცენტრიდან მისი რეგიონებისთვის განაწილება.

ნაშრომში გამოყენებულია ტერმინი „რეგიონული“ (განვითარება, პოლიტიკა) და არა „რეგიონალური“, რადგან საქართველოში არსებულ ყველა ოფიციალურ დოკუმენტში იხმარება ტერმინი „რეგიონული“.

<u>ნაშრომის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები.</u> წინამდებარე ნაშრომში გამოყენებულია სტატისტიკური მასალა, რომელიც ღია სარგებლობაშია და ხელმისაწვდომია ელექტრონულად ამა თუ იმ უწყების საიტზე. ამას გარდა კვლევა დაყრდნობილია იმ მასალებზე, რომლებიც მოპოვებულია ოფიციალურად საქართველოს სახელისუფლებო ორგანოებიდან, და იმ სიღრმისეული ინტერვიუების შედეგებზე, რომლებიც ჩატარდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში, საქართველოს პარლამენტის „რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტში“, ქვემო ქართლის გუბერნიაში და ქალაქ რუსთავის მერიაში.

ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს საკანონმდებლო აქტები, რომლებიც დაკავშირებულია რეგიონული განვითარების საკითხებთან. აღნიშნული საკანონმდებლო დოკუმენტები ღია სარგებლობაშია და მათი მოძიება შესაძლებელია ვებ-გვერდზე

https://matsne.gov.ge/. გაანალიზებულ დოკუმენტებს შორის გამოიყოფა „თვითმმართველობის კოდექსი“, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს ქვეყნის რეგიონულ განვითარებაზე.

ამას გარდა გამოყენებულია საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემული დებულებები და ბრძანებულებები, მათ შორის:

1. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება #161, ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრის, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის, შექმნის შესახებ
2. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის ბრძანება #18/ნ
3. საქართველოს მთავრობის დადგენილება #172

მნიშვნელოვანია, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების დოკუმენტის ანალიზი, რომელშიც ცალკე გამოყოფილია რეგიონული განვითარების ხელშეწყობის თავი (კარი VI, თავი 21).

გაანალიზებულია რეგიონული პოლიტიკის სფეროში ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტები, ესენია:

1. საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგია
2. 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა
3. საქართველოს რეგიონების განვითარების სტრატეგიები 2014-2021

მნიშვნელოვანი ინფორმაციის წყარო გახდა სხვადასხვა უწყებების ვებ-გვერდები, სადაც ჩამოყალიბებულია მათი ხედვები და ამოცანები. ერთ-ერთი ასეთია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის ვებ-გვერდი http://mrdi.gov.ge/, რომელიც ამჟამად სატესტო რეჟიმში მუშაობს და არასრულ ინფორმაციას მოიცავს, თუმცა არსებული წყაროებითაც შესაძლებელია, როგორც რეგიონული განვითარების დოკუმენტების, ასევე სამინისტროს მიერ მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების მოძიება.

ამავე ვებ-გვერდიდან შესაძლებელია სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებების ვებ-გვერდებზე გადასვლა:

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი http://mdf.org.ge/
2. შპს „მყარი ნარჩენების მართვის კომპანია http://waste.gov.ge/ge/
3. საავტომობილო გზების დეპარტამენტი http://www.georoad.ge/
4. ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი http://www.trrc.ge/worldbank/geo/home.html
5. საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია http://water.gov.ge/
6. სახელმწიფო სამშენებლო კომპანია http://scc.ge/
7. ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის ცენტრი http://www.lsg.gov.ge/

გარდა დოკუმენტების ანალიზისა, ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილი მოიცავს სტატისტიკური მასალის რაოდენობრივ ანალიზს. ღია ხელმისაწვდომობაში არსებულ სტატისტიკური ინფორმაციის ძირითადი წყაროა სხვადასხვა ვებ-გვერდები:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://geostat.ge/, სადაც ცალკე გამოყოფილია რეგიონული სტატისტიკა და შესაძლებელია საქართველოს ამა თუ იმ რეგიონის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მოძიება
2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო http://www.mof.ge/. აქ ცალკე გრაფაში გამოყოფილია საქართველოს ბიუჯეტი, სადაც შესაძლებელია საქართველოს ბიუჯეტის მონაცემების შესწავლა წლების მიხედვით. ნაშრომში ძირითადად გამოყენებულია 2013-2016 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებული წლიური ანგარიშები.

   ამავე ვერ-გვერდზე, ველში - სახელმწიფო ვალი, მითითებული დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტები და დახარჯული თანხები 2017 წლის 30 აპრილის მდგომარეობით.

3. დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტების ანალიზის დროს მნიშვნელოვანია თვითონ ამ ორგანიზაციების ვებ-გვერდები, სადაც გამოყოფილია განხორციელებული პროექტები ქვეყნების მიხედვით. მაგალითისთვის, აზიის განვითარების ბანკის შემთხვევაში ვერ-გვერდზე https://www.adb.org/countries/georgia/main - შესაძლებელია ბანკის მიერ, საქართველოში განხორციელებული პროექტების მოძიება წლების მიხედვით.

ღია სარგებლობაში არსებული ინფორმაციის გარდა, მნიშვნელოვანია, სახელმწიფო უწყებებიდან გამოთხოვილი ინფორმაცია, რომელიც არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი. ასეთი ინფორმაციის მოპოვება მოხდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან, და მიღებული მასალა შეეხება 2013-2017 წლებში საქართველოში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს რეგიონების, ღირებულების, განმახორციელებელი უწყებების და წლების მიხედვით. მოხდა, ასევე, ქვემო ქართლის გუბერნიიდან სტატისტიკური ინფორმაციის მიღება ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტებიდან განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ.

წარმოდგენილი სტატისტიკური მასალების გაანალიზების შედეგად მოხდა ცხრილების, დიაგრამების და რუკების აგება, რაც ნაშრომში წამოჭრილი თემების ვიზუალიზაციის საშუალებას იძლევა.

ამას გარდა, ნაშრომში გამოყენებული იქნა თვისებრივი კვლევის ერთ-ერთი ტექნიკა, კერძოდ კი, სიღრმისეული ინტერვიუები საჯარო მოხელეებთან, რომლებიც ჩართული არიან საკვლევი საკითხების თემატიკაში და ფლობენ ფაქტობრივ ინფორმაციას. სიღრმისეული ინტერვიუ, თავის მხრივ, არის ტექნიკა, რომლის დახმარებითაც უნდა მოხდეს მასში მონაწილე რესპონდენტის შეხედულებების დადგენა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით (Mack et al., 2005). აღნიშნულმა მეთოდმა საშუალება მომცა საკვლევი საკითხის შესახებ დეტალური ინფორმაცია პირველწყაროდან მიმეღო.

ინტერვიუებისთვის რესპონდენტები შერჩეულ იქნა კვლევის მიზნებიდან გამომდინარე. შერჩევის მთავარი კრიტერიუმი იყო მათ მიერ დაკავებული თანამდებობა და მოცემული საკითხების ცოდნა. რელევანტურობის მთავარი ინდიკატორი იყო რესპოდენტების პროფესიები და საქმიანობის სფერო. სელექციის პროცესში არ იყო გამოყენებული სხვა სოციოდემოგრაფიული ინდიკატორი (ასაკი, სქესი, შემოსავალი და ა.შ), შესაბამისად შერჩეულ იქნა ადამიანთა მცირე ჯგუფი სპეციფიკური მახასიათებლებითა და გამოცდილების მიხედვით. ჯამში შერჩეულ იქნა სულ 4 ადამიანი.

სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარდა ერთი ინტერვიუერის მიერ. თითოეულ ინტერვიუს ხანგრძლივობა ვარირებს ნახევარი საათიდან- ერთი საათის ინტერვალში. ყველა ინტერვიუ ჩატარდა რესპონდენტების სამუშაო ადგილზე.

ინტერვიუების ანალიზი ეყრდნობა აღწერით მეთოდს, თუმცა გამოყენებული იყო ინტერპრეტაციისა და კონცეპტუალიზაციის მეთოდებიც.

სიღრმისეული ინტერვიუების საფუძველი გახდა სადისკუსიო გეგმა, რომელიც დგინდებოდა იმის მიხედვით, თუ რომელ უწყებაში უნდა ჩატარებულიყო ინტერვიუ და რა ინფორმაციის მოწოდება შეეძლო კონკრეტულ რესპონდენტს. სადისკუსიო გეგმა მოიცავდა რამდენიმე კითხვას, თუმცა ეს კითხვები მკაცრად რეგლამენტირებული არ ყოფილა და იცვლებოდა ინტერვიუს მსვლელობისას. რესპონდენტები ყვებოდნენ თავიანთი უწყებების მუშაობის სპეციფიკაზე. რამდენიმე სიღრმისეული ინტერვიუს ჩატარებისას, რესპონდენტის თანხმობით მოხერხდა აუდიოჩანაწერის გაკეთება. თუკი რესპონდენტს სურდა ანონიმურობის შენარჩუნება, შესაბამისად ხდებოდა ინტერვიუს მნიშვნელოვანი მომენტების აღბეჭდვა ჩანაწერის სახით ფურცელზე. რამდენიმე რესპონდენტმა ინტერვიუს გარდა, მომაწოდა საკმაოდ მნიშვნელოვანი მასალები და სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც ელექტრონულად არ არის ხელმისაწვდომი.

შევეცდები ჩამოვაყალიბო ის ძირითადი სადისკუსიო გეგმა, რომლითაც ინტერვიუები წარიმართებოდა.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში ვესაუბრე თვითმმართველობის განვითარებისა და რეგიონული პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს. ინტერვიუს ჩატარებამდე, სადისკუსიო გეგმის სახით, ჩამოვწერე რამდენიმე კითხვა, რომელიც რესპონდენტისთვის უნდა დამესვა. დისკუსიის მსვლელობისას გამოიკვეთა რამდენიმე საკითხი, რომლებიც კითხვის სახით ჩამოყალიბებული არ ყოფილა, თუმცა ძალიან ინფორმაციული გამოდგა კონკრეტული თემის დაუფლებისთვის.

ქვემოთ ჩამოთვლილია იმ ძირითადი კითხვების ნუსხა, რომლებიც გამოყენებულ იქნა სიღრმისეული ინტერვიუს ჩატარებისას:

1. არის თუ არა საქართველოს რეგიონული პოლიტიკა ჩამოყალიბებული და თუ არსებობს ამის ამსახველი ოფიციალური დოკუმენტი?
2. რომელი ოფიციალური დოკუმენტი არეგულირებს სამინისტროს ფუნქციონირებას? კანონის გარდა, არსებობს თუ არა რაიმე დოკუმენტი, სადაც ჩამოყალიბებულია სამინისტროს მისია და ხედვა?
3. არის თუ არა სპეციალური პროგრამები (თუ არსებობს, რა პროგრამებია?), რომლითაც ხორციელდება რეგიონული პოლიტიკა საქართველოში?
4. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გარდა რომელი სამინსიტრო ან სახელმწიფო სახელისუფლებო ორგანო მონაწილეობს ზემოთაღნიშნული პროგრამების განხორციელებაში?
5. 2013 წლიდან დღემდე თუ არსებობს რაიმე ინფორმაცია იმ პროცესებზე, რომლებიც განახორციელა სამინისტრომ და რის განხორციელებას აპირებს მომავალში?
6. რაში იხარჯება ძირითადად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ კონკრეტული სამინისტროსთვის გამოყოფილი ყოველწლიური ფულადი თანხები და რა არის მისთვის პრიორიტეტული თანხების ხარჯვისას?
7. რა კავშირში არიან ადგილობრივი ხელისუფლებები ამ სამინისტროსთან და ჩართული არიან თუ არა ისინი პროექტების განხორციელების პროცესში?

8. ხდება თუ არა პროექტების მოთხოვნა „ქვევიდან-ზევით“ პრინციპით? თუ კი, რა კონკრეტული მაგალითები არსებობს?
9. თუ კი პროექტი ხორციელდება „ზევიდან-ქვევით“, ვინ იღებს გადაწყვეტილებას პროექტის განხორციელების შესახებ?

ქვემო ქართლის გუბერნიაში სიღრმისეული ინტერვიუ განხორციელდა ქვემო ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის წევრთან. ინტერვიუ მიმდინარეობდა ძირითადად სადისკუსიო თემის ირგვლივ, რომელიც შეეხებოდა შემდეგ საკითხებს:

1. რა კონკრეტული პროექტები ხორციელდება რეგიონში?
2. ხდება თუ არა „ქვევიდან-ზევით“ პროექტების მოთხოვნა? თუ კი რა დოკუმენტებით რეგულირდება პროექტის მოთხოვნის და დამტკიცების პროცესი?
3. რა კრიტერიუმებით ფასდება კონკრეტული პროექტი, რომ მოწონებული გახდეს?

ინტერვიუს გარდა, მოხდა 2013-2017 წლებში ქვემო ქართლში განხორციელებული პროექტების ნუსხის გამოთხოვა, რომლებიც არ არის ხელმწისაწვდომი ელექტრონულად. მოცემული ნუსხა მოიცავს ინფორმაციას პროექტების დასახელების, განხორციელების ადგილის და პერიოდის შესახებ.

ამას გარდა, განხორციელდა ინტერვიუ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, მშენებლობის და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოადგილესთან. ამ ინტერვიუში გამოყენებული იყო ძირითადად იგივე თემატიკა, რაც ქვემო ქართლის გუბერნიის შემთხვევაში, ოღონდ ქალაქ რუსთავის მაგალითზე. აქაც მოხდა ქალაქ რუსთავში განხორციელებული პროექტების შესახებ საჭირო ინფორმაციის გამოთხოვა ბროშურებისა და სხვა საინფორმაციო წყაროების სახით.

და ბოლოს, ჩატარდა ინტერვიუ საქართველოს პარლამენტის, რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის აპარატის თანამშრომელთან. სადისკუსიო გეგმა აგებული იყო შემდეგ კითხვებზე:

1. როგორ ხდება რეგიონული პოლიტიკის ჩამოყალიბება პარლამენტში?
2. როგორ ხდება რეგიონული პოლიტიკის რეალიზაცია პარლამენტის საშუალებით?
3. როგორ ხდება კანონმდებლობის ჩამოყალიბება?
4. როგორ ფასდება დღეს თვითმმართველობის კანონმდებლობა და სჭირდება თუ არა მას გადახედვა?

ინტერვიუს მსვლელობისას საუბარი იყო ბევრ საინტერესო თემაზე, მათ შორის საქართველოში განხორციელებულ თვითმმართველობის რეფორმებზე და სამომავლო პერსპექტივებზე.

თავი 1. რა არის რეგიონული პოლიტიკა.

1.1 რეგიონული პოლიტიკის არსი

სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკა- არის ქვეყნის სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების მართვის მოქმედების სფერო სივრცობრივ და რეგიონულ ასპექტში, რომელიც ასახავს ერთის მხრივ სახელმწიფოსა და რეგიონებს შორის, და მეორეს მხრივ თვითონ რეგიონებს შორის ურთიერთდამოკიდებულებას. ლიტერატურაში ტერმინი "რეგიონული პოლიტიკა" და "რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა" ხშირად გამოიყენება როგორც სინონიმები, თუმცა მათი სრული გაიგივება არ არის სწორი, რადგან, ისევე, როგორც ეკონომიკა არის ადამიანის საქმიანობის (რომელიც შეიცავს საზოგადოებრივი წარმოების, გაცვლის, განაწილების და მატერიალური და სულიერი სიმდიდრეების მოხმარების პროცესებს) მხოლოდ ერთი სფერო, რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკაც არ მოიცავს ქვეყნის მმართველობითი საქმიანობის შესაძლებლობების ყველა სპექტრს.

რეგიონული პოლიტიკა, როგორც წესი არის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეროვნული სტრატეგიის შემადგენელი ნაწილი და, როგორც ასეთი, გამომდინარეობს მთლიანად ხელისუფლების ფილოსოფიური კონცეფციებიდან.

რეგიონულ პოლიტიკასთან მჭიდრო კავშირშია ისეთი ცნებები, როგორც: "რეგიონული ეკონომიკა", "რეგიონული განვითარება", "რეგიონული დაგეგმარება", "რეგიონული მოდელირება", "რეგიონალიზაცია" და სხვ. რეგიონული ეკონომიკა იკვლევს ეკონომიკური და სოციალური ფაქტორებისა და მოვლენების ერთობლიობას, რომლებიც განაპირობებს კონკრეტული რეგიონების ფარგლებში მწარმოებლური ძალებისა და სოციალური პროცესების ფორმირებას და განვითარებას.

რეგიონული განვითარება გულისხმობს რეგიონის შიდა სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის ცვლილებას.

რეგიონული დაგეგმარება, რომელიც ხშირ შემთხვევაში ასოცირდება რეგიონულ პროგრამირებასთან, წარმოადენს ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ერთ-ერთ ფორმას, რომელიც მიზნად ისახავს მკვეთრი რეგიონული კონტრასტებისა და სოციალური წინააღმდეგობების შემსუბუქებას. საუბარია ცალკეული რაიონების განვითარების სპეციალური პროგრამების შემუშავებასა და რეალიზაციაზე.

და ბოლოს, რეგიონული მოდელირების ქვეშ იგულისხმება რეგიონის არსებული ან მოსალოდნელი სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის ეკონომიკური კონსტრუირება ამ რეგიონის ოპტიმიზაციის მიზნით (Экономическая теория. Основные понятия, цели и задачи региональной политики, 2017).

1.2 **რეგიონული პოლიტიკის სახეობები**

რეგიონული პოლიტიკის ძირითადი მიზანია- სახელმწიფოს მმართველობის ეკონომიკური მიზნებისა და ამოცანების რეალიზაცია, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც საუბარია არაეკონომიკურ სფეროზე, მაგალითად, აუცილებელი სოციალური ან ეკონომიკური სტანდარტების უზრუნველყოფის მექანიზმი აუცილებლად კავშირშია ფინანსურ-ეკონომიკურ ბერკეტებთან. ამდენად, რეგიონული პოლიტიკის ქვემოთ ჩამოთვლილი სტრუქტურირება, მისი მიმართულების თვალსაზრისით გარკვეულწილად ატარებს პირობით ხასიათს.

-ეკონომიკური პოლიტიკა. რეგიონში ეკონომიკური დისპროპორციების შემცირების, ხოლო რიგ შემთხვევებში- რეგიონული ეკონომიკური ბალანსის მიღწევის აუცილებლობა დამახასიათებელია ყველა ქვეყნისთვის, როგორც განვითარებული, ასევე გაეროს ცნობილ "ნაკლებად განვითარებული ქვეყნების" სიაში შემავალი ქვეყნებისთვისაც.

-სოციალური პოლიტიკა. აქ მოიაზრება საზოგადოებრივი წარმოების ორგანიზების პროცესები და ფორმები, სამუშაო პირობების, დასვენების და ზოგადად პიროვნების განვითარების თვალსაზრისით. მსოფლიოს სახელწმიფოების უმეტეს ნაწილში შეინიშნება მოსახლეობის ცხოვრების დონეებს შორის სოციალური განსხვავებები და დისპროპორცია. აქედან გამომდინარე რეგიონული სოციალური პოლიტიკის მთავარი არსი წარმოადგენს

სხვადასხვა რეგიონებსა და დასახლებებს (განსაკუთრებით ქალაქებსა და სოფლებს) შორს ცხოვრების დონის გათანაბრება და ასევე სოციალური გარემოს ხარისხის გაუმჯობესება.

-დემოგრაფიული პოლიტიკა. იგულისხმება, სახელმწიფოს აქტიური ჩარევა მოსახლეობის, როგორც ბუნებრივ, ასევე მექანიკურ მოძრაობაში, კონკრეტული მიზნების მისაღწევად ამა თუ იმ რეგიონებში.

ფედერაციულ და მრავალეთნიკურ სახელმწიფოებში დემოგრაფიული პოლიტიკა ხშირ შემთხვევაში დუალისტურ მნიშვნელობას ატარებს: ის მიმართულია ზოგიერთ რეგიონში შობადობის და ბუნებრივი მატების გაზრდაზე, ხოლო ზოგში შობადობის და ბუნებრივი მატების შეზღუდვაზე. რეგიონული დემოგრაფიული პოლიტიკის რეალიზაცია "მრავალვექტორული" მიმართულებით მრავალეთნიკური ქვეყნების ფარგლებში დიდი რისკების მომცველია ეთნოსთაშორისი და კონფესიათაშორისი კონფლიქტების გაღვივების მხრივ და დაკავშირებულია მრავალ სირთულესთან.

-ეკისტიკური პოლიტიკა. როგორც ცნობილია, ეკისტიკა ეწოდება გეოგრაფიული დაგეგმარების თეორიულ ნაწილს. გეოგრაფიული დაგეგმარება კი, თავის მხრივ, არის მეცნიერება კონკრეტული რეგიონის ტერიტორიის (ტერიტორიული რესურსების) ეფექტიან გამოყენებაზე, წარმოების, კომუნიკაციის, განსახლების ადგილების ოპტიმალურად განთავსების გზით, ბუნებრივი, ეკონომიკური, არქიტექტურული და საინჟინრო-ტექნიკური ფაქტორების და პირობების გათვალისწინებით. ბევრი დასავლეთ ევროპის ქვეყნების ტერიტორიალური შეზღუდულობა აიძულებს ამ სახელმწიფოების მთავრობებს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, მეტი ყურადღება მიაქციონ მიწის ნაკვეთების რაციონალურად გამოყენების საკითხებს, როგორც ქალაქებში, ასევე სოფლადაც. ფართოდ გამოიყენება ფინანსურ-ეკონომიკური ბერკეტები და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სანქციები.

-ეკოლოგიური პოლიტიკა. წარმოების მზარდმა კონცენტრაციამ, რომელიც ნაკარნახევია მისი განვითარების ობიექტური მოთხოვნებით, ურბანიზაციამ და მოსახლეობის სიმჭიდროვემ და სხვა მრავალმა ფაქტორმა გამოიწვია გარემომცველი ბუნების მზარდი

განადგურება. ენერგიის ნაკადების და ბუნებრივი მიმოქცევის სახიფათო დარღვევამ ბიოსფეროში, და ასევე მისი რეგენერაციული მექანიზმების დაზიანებამ, კაცობრიობა ფაქტობრივად გლობალური კატასტროფის წინაშე დააყენა. ამასთან ნათელი ხდება, რომ ძველი ბუნების დამცველი ქმედებები უკვე ვერ უმკლავდება ამ სიტუციებს და საჭიროა პრინციპულად ახალი მიდგომები, დაფუძნებული მეცნიერებისა და პრაქტიკის მჭიდრო კავშირზე.

გასაგებია, რომ დეტერიორაცია[1] ატარებს მკვეთრად გამოხატულ რეგიონულ ხასიათს, რაც დაკავშირებულია, როგორც ქვეყნებსა და რეგიონებს შორის სამეურნეო სპეციალიზაციის განსხვავებულობასთან, ასევე ქვეყნების არათანაბარ შესაძლებლობებთან დაარეგულირონ ბუნებრივი გარემოს ხარისხი. ამიტომაც, აუცილებელია მიზანმიმართული რეგიონული პოლიტიკის გატარება ამ საკითხთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლად.

რეგიონული პოლიტიკის კლასიფიკაცია სახეობების მიხედვით:

1. მიზნის (რეგიონების განვითარების დონის გათანაბრების პოლიტიკა, ადგილობრივი რესურსების მაქსიმალურად გამოყენება და სხვ.);

2. მექანიზმის (ავტომატური, ანუ ფორმულის მიხედვით; პრობლემური, ანუ სპეციალური პროგრამების მიხედვით; მიზნობრივი, ანუ კონკრეტული რეგიონებით მიხედვით განაწილება);

3. სახსრების (ფინანსური- დახმარებები, შეღავათები, ჯარიმები და სხვ.,; ადმინისტრაციული - ნებართვები და აკრძალვები; ინფრასტრუქტურული - საგზაო ნაგებობები, ხიდები და ა.შ.);

4. მიმღების (რეგიონული ხელისუფლებები, ფირმები, ორგანიზაციები, ცალკეული მოქალაქეები) და ა.შ. (Виды региональной политики, 2017).

[1] გარემოს გაუარესება, დეგრადაცია

1.3 რეგიონული პოლიტიკა ევროკავშირის ქვეყნებში

მთელს ევროპაში რეგიონული პოლიტიკა მის ყველა ფორმასა და გამოვლინებაში, ხორციელდება თანმიმდევრულად და აქტიურად. პირველ რიგში ეს ეხება ევროკავშირის 15 "ძველ" სახელმწიფოების ინტეგრაციულ დაჯგუფებას.

მიუხედავად ევროკავშირის ქვეყნების უმეტესი ნაწილის მაღალი განვითარების დონისა, საკმაოდ მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური განსხვავებები მათ შორის ყოველთვის იყო და დღემდეც არსებობს. ამიტომაც ყოფენ ამ ქვეყნებს ორ დიდ ჯგუფად: "მდიდარი" ჩრდილოეთი (დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, ბენილუქსის ქვეყნები, შვედეთი, ავსტრია, იტალიის ჩრდილოეთი ნაწილი) და "ღარიბი" სამხრეთი (ესპანეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, იტალიის სამხრეთი ნაწილი), და ასევე გამოყოფენ ამ ქვეყნებს შორის შუალედური პოზიციის მქონე ირლანდიას და ფინეთს. ბოლო დროის განმავლობაში ევროკავშირის ქვეყნების მიმართ უფრო ხშირად გამოიყენება ცნება "ცენტრი" (ბირთვი) და "პერიფერია". ასეთი დიფერენციაციის შემთხვევაში ინგლისს, ბელგიას, ნიდერლანდებს, ლუქსემბურგს, საფრანგეთისა და გერმანიის უდიდეს ნაწილს, ავსტრიას, ჩრდილოეთ იტალიას მიაკუთვნებენ "ცენტრს", ხოლო "პერიფერიას"- ირლანდიას, ჩრდილოეთ ირლანდიას (ოლსტერს), შოტლანდიას, უელსს, საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს, ესპანეთის, პორტუგალიის, იტალიის და საბერძნეთის უპირატესად აგრარულ რაიონებს, ასევე შვედეთისა და ფინეთის ნაკლებად დასახლებულ ნაწილებს.

მაგრამ ეს არის, ასე ვთქვათ, უფრო ფართომასშტაბიანი მიდგომა ევროკავშირის რეგიონული პოლიტიკის ტერიტორიულ ასპექტებისადმი. როგორც წესი, თვითონ ევროკავშირში ოპერირებენ რეგიონების გაცილებით უფრო დანაწევრებული ბადით, რაც თავისთავად ნიშნავს პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის უმაღლეს ფორმაზე გადასვლას- ევროპის რეგიონების შექმნას. ზუსტად ეს მიდგომა ასახავს ყველაზე უკეთ 15 ქვეყნის ერთიანი პოლიტიკური, ეკონომიკური, ფინანსური და სოციალური სივრცის შექმნის ევოლუციურ გადასვლას. ევროკავშირის ქვეყნების რეგიონული პოლიტიკის უმეტეს ოფიციალურ დოკუმენტში სპეციალურად ესმება ხაზი განსაკუთრებულ როლს, რომელიც

უნდა ითამაშონ ინტეგრაციულ პროცესებში არა მხოლოდ ცალკეულმა ქვეყნებმა, არამედ უფრო მეტად მათ შემადგენლობაში შემავალმა რეგიონებმა (რაიონებმა). ამ რეგიონების უმეტესობა კი უშუალო კონტაქტებს ამყარებს ევროკავშირის უმაღლეს ორგანოებთან, თავიანთი ცენტრალური ხელისუფლებების გვერდის ავლით.

რაც შეეხება კონკრეტული რეგიონების გამოყოფას, ეს პროცესი უფრო რთული გამოდგა. თუ ევროკავშირის ქვეყნების ახლანდელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით ვიხელმძღვანელებთ, მაშინ, სულ, 15 ქვეყანაში არის 200 ადმინისტრაციული ერთეული, რომელთაც რეგიონის სტატუსი გააჩნიათ. მათი უმეტესობა განთავსებულია დიდ ბრიტანეთში (34), საფრანგეთში (26), შვედეთში (24) და იტალიაში (20), ხოლო ყველაზე ნაკლები- ბელგიაში (3), დანიაში (4) და პორტუგალიაში (7). თუმცა თავისი აღრიცხვის მიზნებისთვის ევროკავშირის სტატისტიკური ბიურო (ევროსტატი) იყენებს ტერიტორიული დაყოფის უფრო დანაწევრებულ ბადეს.

ევროსტატის გამოყოფს ტერიტორიული ერთეულების ხუთ დონეს, რომლებსაც NUTS ეწოდება. NUTS-1 კატეგორიას მიეკუთვნებიან მსხვილი რეგიონები, რომელთა საერთო რაოდენობა 77 შეადგენს. საშუალოდ ასეთი რეგიონის მოსახლეობა შეადგენს 4,2 მილიონს. NUTS-1 რეგიონების უმეტესობა ისეთ ქვეყნებშია, როგორებიცაა გერმანია (16), დიდი ბრიტანეთი და იტალია (11), საფრანგეთი (9), მაშინ, როდესაც დანია, შვედეთი, ირლანდია და ლუქსემბურგი ფიგურირებენ, როგორც ერთი ასეთი რეგიონი. NUTS-2 მიაკუთვნებენ უმეტესწილად ადმინისტრაციულ პროვინციებს, დეპარტამენტებს, ოლქებს, რომელთა საერთო რაოდენობაა 200. საშუალოდ ასეთი რეგიონის მოსახლეობაა 1,8 მილიონი. ყველაზე მეტი ასეთი რეგიონია გერმანიაში (38), დიდი ბრიტანეთში (35), საფრანგეთში (26), იტალიაში (20) და ესპანეთში (17). NUTS-3 კატეგორიაში შედის 1031 რეგიონი საშუალოდ 41 ათასი მოსახლეობით. ეს უმეტესწილად საგრაფოების და პრეფექტურების რანგია. NUTS-4 კატეგორიას ევროსტატი მიაკუთვნებს 1074 რეგიონს, ხოლო NUTS-5- 98 ათასიან მოსახლეობას (ძირითადად კომუნები, ოლქები და მუნიციპალიტეტები) (დაწვრილებითი ინფორმაცია NUTS რეგიონების კლასიფიკაციის შესახებ ევროსაბჭოს ვებ-გვერდზე http://ec.europa.eu/eurostat/web/nuts).

მიუხედავად ასეთი დაყოფისა, ევროკავშირის რეგიონული პოლიტიკის ძირითადი მიზანი ფაქტობრივად ერთიანია NUTS-ის ყველა კატეგორიისთვის. ის ეფუძნება ეროვნული ეკონომიკების გაერთიანებას ცალკეულ რეგიონებს შორის განვითარების დონეების უფსკრულის შემცირების გზით. ერთიან ევროპულ აქტში არის სპეციალური განყოფილება V, რომელსაც "ეკონომიკური და სოციალური ერთიანობა" ეწოდება. მასში საუბარია იმაზე, რომ " გაერთიანება განსაკუთრებულად ცდილობს შეამციროს უფსკრული სხვადასხვა რეგიონებს შორის და იმ რეგიონების ჩამორჩენილობა, რომლებიც ყველაზე ნაკლებად ხელსაყრელ პირობებში იმყოფებიან" (Single European Act, TITLE V, ECONOMIC AND SOCIAL COHESION, p. 12).

ამ ძირითადი მიზნის შესაბამისად ევროკავშირის დოკუმენტებში ფორმულირებულია ევროკავშირის რეგიონული პოლიტიკის უფრო კონკრეტული მიზნებიც. სულ ასეთი მიზანი ექვსია:

1. სტრუქტურული გარდაქმნისა და ჩამორჩენილი რაიონების განვითარების ხელშეწყობა;

2. მაღალი უმუშევრობისა და წარმოების დაბალი დონის მქონე სამრეწველო დეპრესიული რაიონების განვითარებისა და გარდაქმნის ხელშეწყობა;

3. გრძელვადიან უმუშევრობასთან ბრძოლა;

4. ახალგაზრდობის სამუშაო ცხოვრებაში ჩართვის ხელშეწყობა;

5. აგრარული პოლიტიკის ხელშეწყობა, რომელიც მოიცავს, როგორც სასოფლო-სამეურნეო რაიონების, ასევე სოფლის მეურნეობისთვის მომსახურე საწარმოების განვითარებას;

6. ევროკავშირის ძალიან დაბალი სიმჭიდროვის მქონე რეგიონების განვითარება. (Single European Act).

რეგიონული პოლიტიკის ჩამოთვლილი მიზნებიდან თითოეული ორიენტირებულია NUTS-ის გარკვეულ დონეზე. ასე, პირველი მიზანი ეხება უპირველეს ყოვლისა უფრო მსხვილ რეგიონებს, რომლებიც ჩამორჩებიან განვითარებაში და რომელთა მშპ-ს რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე 75%-ით ნაკლებია ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელზე. მეორე მიზანი

უმეტესწილად ეხება ძველ სამრეწველო რაიონებს, რომელთა უმეტესობა სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის დროს გადაიქცა ნამდვილ სიღარიბის ზონებად და რომლებსაც ეკონომიკის სერიოზული სტრუქტურული გარდაქმნა ესაჭიროებათ. მეხუთე მიზანი ეხება ევროკავშირის ქვეყნების ჩამორჩენილ აგრარულ ქვეყნებს, ხოლო მეექვსე- 1 კმ^2-ზე 8 კაცზე ნაკლები სიმჭიდროვის მქონე ჩრდილოეთის ქვეყნებს. საერთო მიზნების ნუსხას ის მოგვიანებით დაემატა, ევროკავშირში შვედეთისა და ფინეთის გაწევრიანების შემდეგ.

ზემოთ ჩამოთვლილი ყველა მიზნის განსახორციელებლად ევროკავშირის სისტემაში შექმნილია ზეეროვნული ინსტიტუტები, პირველ რიგში- რეგიონული პოლიტიკის გენერალური დირექტორატი ევროპის სამოქალაქო კომისიის სისტემაში და შესაბამისი კომისია ევროპარლამენტში. 1993 წელს შეიქმნა რეგიონების კომიტეტი, რომელშიც შედის რეგიონული და ადგილობრივი ადმინისტრაციების 200-ზე მეტი წარმომადგენელი. მოგვიანებით შეიქმნა ევროპული რეგიონების ასოციაცია. დიდი მნიშვნელობა აქვთ ასევე ევროკავშირის ფინანსურ ინსტიტუტებს, რომელთაგან მთავარი შეიქმნა 1975 წელს და რომელსაც რეგიონული განვითარების ევროპული ფონდი ეწოდება. ასეთ განვითარებაზე ფინანსურ სახსრებს გამოყოფს ევროპის საინვესტიციო ბანკიც. შედეგად 1990-იანი წლების ბოლოს რეგიონული პოლიტიკის განხორციელებაზე მოდიოდა ევროკავშირის მთლიანი ბიუჯეტის 1/3-ზე მეტი.

რეგიონული პოლიტიკის კონკრეტული რეალიზაციისთვის იქმნება სპეციალური სამიზნე პროგრამები, ქვეპროგრამები და პროექტები. მათ შორის ძირითადებია ცალკეული საქალაქო რაიონების რეკონსტრუქციის პროგრამა, ქვანახშირის მოპოვების, მეტალურგიული, გემთმშენებელი, საფეიქრო, აგრარული რაიონების განვითარების პროგრამები, თავდაცვითი საწარმოების კონვერსიის ხელშეწყობის პროგრამები. არსებობს ასევე პროფესიული სწავლების, ქალების, ახალგაზრდების გადამზადების, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის პროგრამები.

მიუხედავად საერთო მიზნებისა და, შესაბამისად, ევროკავშირის ყველა ქვეყნისთვის საერთო პროგრამების არსებობისა, ყველა სახელმწიფოს შეუძლია ჰქონდეს რეგიონული

პოლიტიკის "საკუთარი მიმართულებები". ასე, დიდი ბრიტანეთისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია უმუშევრობის, საცხოვრებლის, მსხვილი საქალაქო კონურბაციების, ჭარბმოსახლეობის და განსაკუთრებით- დეპრესიული რაონების აღორძინების პრობლემები. ესენია პირველ რიგში დასავლეთ მიდლენდი, ლანკშირი, სამხრეთ უელსი, ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი. გერმანიისთვის ასევე აქტუალურია ყოფილი სამრეწველო, ახლა უკვე დეპრესიული რაიონების (რურის, საარი და სხვ.) აღდგენის პრობლემა, ხოლო 1990 წლიდან- ქვეყნის დასავლეთი და აღმოსავლეთი მიწების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეების გათანაბრება: რადგან მათი გაერთიანების შემდეგ მშპ ერთ სულ მოსახლეზე ყოფილ გდრ-ში აღმოჩნდა ევროკავშირში ყველაზე დაბალი (ევროკავშირის საშუალო მაჩვენებლის 45%). საფრანგეთში რეგიონული პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები ემსახურება პარიზის სადედაქალაქო რაიონის სხვა რაიონებთან შედარებით გადაჭარბებული უპირატესობის შემცირება რეგიონული განვითარების ცენტრების შექმნის, ჩამორჩენილი აგრარული სამხრეთ-დასავლეთის გაძლიერების შედეგად. იტალიაში- ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის სოციალურ-ეკონომიკური დისპროპორციის შერბილება. ესპანეთში- კასტილიის, გალისიის, ასტურიის, ესტრემადურის ცენტრალური ნაწილების დაჩქარებული განვითარება. ნიდერლანდებში- სამხრეთ ლიმბურგის რეკონსტრუქცია, ჩრდილოეთ რაიონების მხარდაჭერა, რანშტადის აგლომერაციის განვითარების მოწესრიგება. პორტუგალიაში რეგიონული პოლიტიკის ძირითადი ძალისხმევა მიმართულია სამხრეთი ნაწილის, ავსტრიაში- ბურგენლანდის, შვედეთსა და ფინეთში- ამ ქვეყნების ჩრდილოეთი ნაწილების გაძლიერებისკენ. (Европейский Союз. Региональная политика, 2009)

საერთო წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორ ხდება ევროკავშირის ზეეროვნული ორგანოების ფინანსურ-ეკონომიკური მხარდაჭერა რეგიონული პოლიტიკის სფეროში, ასახულია სურათში 1.

სურათი 1. ევროკავშირის რეგიონები, რომლებიც დახმარებას იღებენ

თავი 2. საქართველოს რეგიონული განვითარების პოლიტიკა

სანამ რეგიონული განვითარების პოლიტიკაზე დავიწყებთ საუბარს, აუცილებელია თვითონ რეგიონის ცნება იქნეს განსაზღვრული. რეგიონის ცნება, თანამედროვე მნიშვნელობით, პირველად ანტიკურ რომში გხვდება და მას იყენებენ სახელმწიფოს ტერიტორიული ერთეულის მნიშვნელობით.

საქართველოში მოქმედ არც ერთ ოფიციალურ დოკუმენტში 2009 წლამდე არ იყო განსაზღვრული რეგიონის ცნება. დღესდღეობით, ერთადერთი სამთავრობო დოკუმენტი, სადაც განმარტებულია „რეგიონი“ და „რეგიონული პოლიტიკა“, არის „საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგია“, სადაც „რეგიონი“ განიმარტება, როგორც ფუნქციურ - დაგეგმარებითი ერთეული, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ - ტერიტორიული ერთეულების ერთობლიობას და, როგორც წესი, ემთხვევა საქართველოს სახელმწიფო რწმუნებულების - გუბერნატორების სამოქმედო ტერიტორიას (საქართველოს მთავრობის დადგენილება #172, 2010 წლის 25 ივნისი, საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცებისა და საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ).

2.1 თვითმმართველობის სისტემის ჩამოყალიბების მოკლე ისტორიული ექსკურსი

რეგიონული განვითარების გზაზე ქვეყნის რეგიონების ეფექტური მართვისთვის საუკეთესო გზაა ცენტრალიზებული მმართველობიდან დეცენტრალიზაციისკენ გადასვლა და ადგილობრივი ხელისუფლების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. ამ მხრივ საქართველო ბოლო ათწლეულების მანძილზე მნიშვნელოვან ცვლილებებს განახორციელებს. 1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მრავალი ნაბიჯი გადაიდგა ქვეყნის დეცენტრალიზაციისკენ, თუმცა ამას მუდმივად აფერხებდა ქვეყანაში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური მდგომარეობა. ამ მხრივ მნიშვნელოვანი იყო 1997 წელს მიღებული „ადგილობრივი მმართველობისა და

თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონი და 1998 წელს ჩატარებული მუნიციპალური არჩევნები. ამ სისტემის ნაკლი გამოიხატებოდა მის ცენტრალიზებულ ხასიათში, რაც ნიშნავდა იმას, რომ აღმასრულებელი შტოების ხელმძღვანელები ცენტრიდან ინიშნებოდნენ. თვითმმართველობებს ფორმალური უფლებები გააჩნდათ, რომლებიც ფინანსური დამოუკიდებლობით არ იყო უზრუნველყოფილი.

2001 წელს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები, რომლებიც ითვალისწინებდა ადგილობრივი თვითმმართველობების ტერიტორიულ გაფართოებას და მათ შემადგენლობაში რაიონის რიგებში არშემავალი ქალაქების შესვლას. და ასევე, ქალაქში 5000-ზე მეტი ამომრჩევლის არსებობის შემთხვევაში, მოსახლეობას შეეძლო პირდაპირი წესით აერჩია როგორც ქალაქის მერი, ასევე წარმომადგენლობითი ორგანო.

2002 წელს კი, კანონმდებლობაში მოხდა ცვლილება, რომელიც აფერხებდა ქვეყნის დეცენტრალიზაციას. ცვლილება მდგომარეობდა იმაში, რომ პირდაპირი წესით არჩეული საკრებულოს მაგიერ, არჩეულ იქნებოდა ასოცირებული საკრებულო, რომელიც შედგებოდა რაიონში შემავალი თვითმმართველი ერთეულის საკრებულოების თავმჯომარეებისგან. რაიონული საკრებულოების უფლებები მნიშვნელოვნად შეიზღუდა. რაიონის აღმასრულებელი ორგანო გახდა გამგეობა, რომლის შექმნის პროცესში მონაწილეობის მიღების უფლება აღარ ეძლეოდა საკრებულოს.

2002 წლის 23 მაისს ხელი მოეწერა „ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპულ ქარტიას“, რომლის რატიფიცირება საქართველოს მთვარობამ 2004 წლის 26 ოქტომბერს მოახდინა. ამ დოკუმენტის ხელმოწერით ხელისუფლება ვალდებული გახდა ევროპის საბჭოს წინაშე, მოეხდინა მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაცია და ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის გატარება. სწორედ ამ დოკუმენტის დამტკიცების შედეგად მოხდა საქართველოს კანონმდებლობის ადგილობრივი თვითმმართველობის ზოგად პრინციპებთან და ევროპის საბჭოს მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა 2005-2007 წლებში.

„ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის“ რატიფიცირების შემდეგ 2005 წლის ბოლოს, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, რომელიც დეცენტრალიზებული მმართველობის სისტემის ჩამოყალიბების გზაზე წარმოადგენდა მნიშვნელოვან ფორმალურ საფუძველს. ამ კანონში არსებული პუნქტების მიხედვით ქალაქის გამგებელი ირჩეოდა საკრებულოს მიერ კონკურსის საფუძველზე, გამგეობა წარმოადგენდა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელ ორგანოს და საკრებულოს თავმჯომარეს არ გააჩნდა აღმასრულებელი ფუნქციები.

2009 წლის 27 მარტს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ შეტანილ იქნა ცვლილება, რომელმაც 2013 წლამდე იარსება. ამ ცვლილების მიხედვით თვითმმართველობას შეეძლო საკუთარი სახსრებით დაეფინანსებინა ხელისუფლების ფუნქციები, თუკი ამას ცენტრი ითხოვდა.

საბოლოო ჯამში, გამოცდილებამ აჩვენა რომ 2002-2013 წლებში არსებულმა სახელმწიფოს დეცენტრალიზაციის სისტემამ სათანადოდ ვერ იმუშავა და ვერ მოახერხა ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. არსებულ სისტემას უამრავი ხარვეზი გააჩნდა, რომელთა აღმოფხვრა გარდაუვალი იყო ქვეყნის განვითარებისთვის. ამგვარად, 2013 წელს ქვეყნის სათავეში მოსულმა ახალმა სახელისუფლებო ძალებმა მიზნად დაისახეს თვითმმართველობის სისტემის განახლება და გაუმჯობესება.

საარჩევნო ბლოკ „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამაშიც ხშირად არის იმდროინდელი თვითმმართველობის სისტემა და ჩამოყალიბებულია ახალი ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ სისტემის მოდერნიზება. პროგრამაში აღნიშნულია, რომ:

- თვითმმართველობის ორგანოებს უნდა გადაეცეთ ექსკლუზიური უფლებამოსილება, ფინანსები და საკუთრება, მათ უნდა ჰყავდეთ არჩევითი წარმომადგენლობით და აღმასრულებელი ორგანოები. მოქალაქეებს უშუალოდ მიიღებენ მონაწილეობას

თავიანთი თემისა თუ ქალაქის ბიუჯეტის დაგეგმვაში, ასევე მიიღებენ ადეკვატურ მომსახურებას მაქსიმალურად ახლოს მდგომი ხელისუფლებისგან;

- რამდენჯერმე უნდა გაიზარდოს თვითმმართველობის საბიუჯეტო შემოსავლები. უნდა მოხდეს ფისკალური დეცენტრალიზაცია;
- თვითმმართველ ერთეულებს უნდა გადაეცეთ საკუთრებაში ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო ქონება: არაპრივატიზებული, როგორც სასოფლო-სამეურნეო, ასევე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, მიწის რესურსების დიდი ნაწილი;
- პირველ ეტაპზე მოხდება ყოველი დასახლების განსაზღვრება (სოფლის, დაბის, ქალაქის), როგორც იურიდიული პირის. მათ საკუთრებაში უნდა გადაეცეთ არსებობისა და განვითარებისთვის აუცილებელი მიწა, წყალი, უძრავი ქონება. ადგილობრივ მოსახლეობასთან თანამშრომლობით უნდა მოხდეს რესურსულად მეტ-ნაკლებად თვითკმარი თემების შექმნა. ქალაქებში უნდა შეიქმნას ადგილობრივი თვითმმართველობა პირდაპირი წესით არჩეული საკრებულოებისა და მერების/გამგებლების სახით. ყოველმა სოფელმა თავად უნდა აირჩიოს მამასახლისი;
- უნდა შეიქმნას პირობები სამხარეო თვითმმართველობების ჩამოყალიბებისთვის. გუბერნატორის ინტიტუტი უნდა იქნას ჩანაცვლებული ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებზე დაფუძნებული ქმედითი სამხარეო ხელისუფლების სისტემით. რეგიონს მიენიჭება ტერიტორიული ერთეულის სტატუსი და უზრუნველყოფილი იქნება სტაბილური საბიუჯეტო შემოსავლებითა და უფლებამოსილებით;
- უნდა მოხდეს თვითმმართველობის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება და მათი უწყვეტი მომზადება, გადამზადება;
- საქართველოს მაღალმთიანი ზონის განვითარებისთვის უნდა დაწესდეს ფინანსური სტიმულირების სისტემა (საარჩევნო ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“, საარჩევნო პროგრამა, 2012).

დეცენტრალიზაციის ახალ პროგრამას, ისევე როგორც მომხრეები, გამოუჩნდა ბევრი მოწინააღმდეგეც. ზოგი თვლიდა, რომ აღნიშნული ტერიტორიების ავტონომიურ, თვითრეგულირებად, ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად ჩამოყალიბება, შეიცავდა საქართველოს ფედერალიზაციის და სხვა არასასურველი მოვლენების გამოწვევის საფრთხეს. თუმცა, 2013 წელს მაინც დაიწყო თვითმმართველობის ახალი რეფორმის საკანონმდებლო ბაზის მომზადება. ასევე, შეიქმნა საქართველოს მთავრობის კანცელარიის რეგიონებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი, რომელმაც საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან ერთად, საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტთან კოორდინაციით, დაიწყო მუშაობა ადგილობრივი თვითმმართველობის მარეგულირებელი კანონის შესაქმნელად.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის ბრძანებით შეიქმნა თვითმმართველობის განვითარებისა და რეგიონული პოლიტიკის საკითხებში მრჩეველთა საბჭო. ის შეიქმნა დეცენტრალიზაციის პროცესის განხორციელების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონული პოლიტიკის საკითხებზე რეკომენდაციების შემუშავების, ამ სფეროში რეფორმების დაგეგმვის, მათი მიმდინარეობის პროცესის მხარდაჭერისა და მონიტორინგის მიზნით (საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მრჩეველთა საბჭოს დებულება, მუხლი 1, გვ.1).

მოგვიანებით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ წარადგინა მთავრობის წინაშე „საქართველოს მთავრობის დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების სტრატეგიის ძირითადი პრინციპები 2013-2014 წლებისთვის“.

ჩამოყალიბდა რეფორმების უმთავრესი მიმართულებები:

- სრულყოფილი და ეფექტური თვითმმართველობის განსახორციელებლად უნდა მომხდარიყო:

- საზოგადოებრივი თვითმმართველობის ფორმირება თითოეულ დასახლებაში;
- მუნიციპალური თვითმმართველობის ტერიტორიული ოპტიმიზაცია და გაძლიერება;
- სამხარეო ხელისუფლებაში თვითმმართველობის ელემენტების დამკვიდრება;
- სახელმწიფო ზედამხედველობის ეფექტური მექანიზმების შექმნა;
- რეფორმირების პროცესის სამართლებრივი, ტექნიკური და რესურსული უზრუნველყოფა (საქართველოს მთავრობის განკარგულება #223, 2013 წლის 1 მარტი, საქართველოს მთავრობის დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების სტრატეგიის ძირითადი პრინციპები 2013-2014 წლებისთვის).

2013 წლის 31 ოქტომბერს კი მთავრობის სხდომაზე მოწონებული იქნა საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის კანონპროექტი, რომელიც საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ, მასთან არსებული თვითმმართველობის განვითარებისა და რეგიონული პოლიტიკის საკითხებში მრჩეველთა საბჭოსა და საბჭოს ჯგუფებში ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით შეიმუშავა.

საბოლოოდ, 2014 წლის 5 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით დაამტკიცა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, რომლის მეშვეობით მოხდა ერთ ორგანულ კანონში თვითმმართველი მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტების გაერთიანება. ახალი კოდექსის შემოტანით გარვეული ცვლილებები განხორციელდა ადგილობრივი თვითმმართველობის არსებულ სისტემაში.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის მხრივ ცვლილებებს რაც შეეხება, არსებულ ხუთ თვითმმართველ ქალაქს დაემატა კიდევ შვიდი, ასევე გაიზარდა მუნიციპალიტეტების რიცხვიც. ჯამში, დღეს საქართველო აერთიანებს 2 ავტონომიურ რესპუბლიკას და 9 მხარეს, რომელშიც 71 მუნიციპალიტეტი შედის, აქედან 59 სასოფლო, ანუ თვითმმართველი თემი და 12 საქალაქო, ანუ თვითმმართველი ქალაქი. თვითმმართველი ქალაქების რიგებში შედიან: ამბროლაური, ახალციხე, ბათუმი, გორი, ზუგდიდი, თბილისი, თელავი, მცხეთა,

ოზურგეთი, რუსთავი, ფოთი, ქუთაისი (იხ. დანართი, რუკა 1) (ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 151).

თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს და უმაღლეს თანამდებობის პირს წარმოადგენს გამგებელი თვითმმართველ თემში და მერი თვითმმართველ ქალაქში, განსხვავებით ძველი კანონმდებლობისგან, რომლის მიხედვით თვითმმართველობის უმაღლეს თანამდებობის პირს წარმოადგენდა საკრებულოს თავმჯდომარე. გამგებელს/მერს შეუძლია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში დანიშნოს გამგებლის/მერის წარმომადგენელი, რომლის უფლებამოსილება განისაზღვრება გამგეობის/მერიის დებულებით (ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 48., მუხლი 54).

გამგებლის (მერის) არჩევა უნდა მოხდეს პირდაპირი წესით თავად ამომრჩევლების მიერ. პირველ ეტაპზე გამგებელი (მერი) სამი წლის ვადით ირჩევა, ხოლო 2017 წლიდან კანონში ამოქმედდება ცვლილება, რომლის თანახმად გამგებლის (მერის) უფლებამოსილების ვადა ოთხ წლამდე იქნება გაზრდილი (ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 49).

პირდაპირი წესით არჩეული გამგებელი/მერი შესაძლოა გადაყენებული იქნეს თანამდებობიდან უნდობლობის გამოცხადების შემთხვევაში. უნდობლობის გამოცხადება შეუძლია საკრებულოს, თუკი მის წევრთა ორი მესამედის მიერ იქნება მხარდაჭერილი გამგებლისთვის (მერისთვის) უნდობლობის გამოცხადების წინადადება. ასევე უნდობლობის გამოცხადება შეუძლიათ თვითონ ამომრჩევლებს, იმ შემთხვევაში, თუ საკითხს დააყენებს ამომრჩეველთა მინიმუმ 20 პროცენტი (ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 51).

საქართველოს პრეზიდენტს მთავრობის წარდგინებით და პარლამენტის თანხმობით შეუძლია გამოსცეს ბრძანებულება საკრებულოს დათხოვნის ან მისი საქმიანობის შეჩერების შესახებ, თუ წარმომადგენლობითი ორგანო საფრთხეს უქმნის ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციური

უფლებამოსილებების განხორციელებას. საქართველოს მთავრობას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის შემოღების შესახებ, რომელსაც ახორციელებს საქართველოს მთავრობის მიერ დანიშნული მთვარობის რწმუნებული, კოლეგიური ორგანო - საგანგებო ადმინისტრაცია, ან ამ კანონის შესაბამისად უფლებამოსილი თანამდებობის პირი (ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 141, მუხლი 143).

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის სამართლებრივ ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. ძველი კანონმდებლობით ამას სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი ახორციელებდა (ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 130).

სახელმწიფო რწმუნებულთან - გუბერნატორთან შეიქმნა სამხარეო საკონსულტაციო საბჭო, რომელიც წარმოადგენს არსებულ მუნიციპალიტეტთა საკონსულტაციო ორგანოს. მისი მიზანია უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის ინტერესების წარმოდგენა და გათვალიწინება. სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობაში შედიან სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი და ყველა შესაბამისი მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი, საკრებულოს თავმჯდომარე და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე. საბჭო უნდა შეიკრიბოს მინიმუმ სამ თვეში ერთხელ.

სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს უფლებამოსილებებში შედის:

- სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის წარდგინებით შესაბამის ტერიტორიაზე სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელი პროექტების, პროგრამებისა და მათი ხარჯთაღრიცხვის განხილვა;
- სახელწმიფო რწმუნებულის - გუბერნატორის უფლებამოსილების განხორციელების ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის განხილვა;
- სახელმწიფო რწმუნებულისთვის - გუბერნატორისთვის რეკომენდაციების შემუშავება შესაბამისი ტერიტორიის განვითარების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში (ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 146-149).

ცვლილებები შევიდა მუნიციპალიტეტების ბიუჯეტშიც. თუ ადრე მოქმედი ორგანული კანონის თანახმად ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარ შემოსულობებში შედიოდა მხოლოდ ქონების გადასახადი, ადგილობრივი მოსაკრებელი და გამოთანაბრებითი ტრანსფერი, თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით მუნიციპალიტეტების ბიუჯეტი სპეციალურ, მიზნობრივ და კაპიტალურ ტრანსფერებსაც მიიღებენ. აგრეთვე გაიზარდა თვითმმართველობის ფინანსური რესურსები წილობრივი გადასახადის ხარჯზე, რაც ნიშნავს, რომ თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე რეგისტრირებული დასაქმებული პირის მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადის ნაწილი იმავე თვითმმართველ ერთეულში დარჩება (ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, თავი XII).

გამგეობის/მერიის და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საერთო რაოდენობას რაც შეეხება, ის განისაზღვრა მინიმუმ 30 საშტატო ერთეულის ოდენობით, რომელსაც ემატება 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებისათვის დადგენილი მაჟორიტარული ოლქების რაოდენობის 2.3 კოეფიციენტზე ნამრავლისა და თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ ყოველ 500 ამომრჩეველზე 1 საშტატო ერთეულის საერთო ჯამი. ასევე, გამგეობის/მერიის და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების 25%-ს. ამას გარდა, დაუშვებელია მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთათვის ხარჯების ანაზღაურება პრემიებისა და დანამატების სახით (ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 156, მუხლი 41).

- კოდექსის მიხედვით მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებებს დაემატა: წყალმომარაგების (მათ შორის, ტექნიკური წყლით მომარაგების) და წყალარინების უზრუნველყოფა და ადგილობრივი მნიშვნელობის სამელიორაციო სისტემის განვითარება;
- შინაური ცხოველების ყოლის წესების დადგენა და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა;

- ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტებზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის, ბავშვებისა და მოხუცებისთვის სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის, საჯარო თავშეყრის ადგილებისა და მუნიციპალური ტრანსპორტის სათანადოდ ადაპტირებისა და აღჭურვის უზრუნველყოფა. (ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 16, „თ“, „რ“, „უ“ ქვეპუნქტები)

ჩამოთვლილი ნუსხა წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის დამტკიცებით შემოტანილ ცვლილებებს, რომლებიც არ იყო ასახული მანამდე არსებულ ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“.

როგორც უკვე აღვნიშნე, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ქვეყანაში 5-ჯერ განხორციელდა დეცენტრალიზაციის რეფორმა. ზოგი წარმატებული იყო, ზოგი, პირიქით, ქვეყნის ცენტრალიზაციის პროცესს აძლიერებდა. მიუხედავად ბოლო 2012-2014 წლების რეფორმისა, რომელიც ყველაზე მეტად არის მიმართული ქვეყნის დეცენტრალიზაციისკენ და თვითმმართველობების მაქსიმალური ფინანსური დამოუკიდებლობისკენ, მასაც გააჩნია მთელი რიგი ხარვეზები, რომლებიც სისტემის მუშაობის პროცესში გამოჩნდა. თვითმმართველობებს არ გააჩნიათ საკმარისი ფინანსური სახსრები, რომ დამოუკიდებლად განახორციელონ განვითარების ხელშემწყობი პოლიტიკა. ისინი მაინც დამოკიდებულები არიან სახელმწიფო ბიუჯეტზე, შესაბამისად, სახელმწიფო ვერტიკალზე. თვითმმართველ ერთეულებში დასაქმებულ საჯარო მოხელეებს არ გააჩნიათ საკმარისი კვალიფიკაცია, რათა „ფეხი აუწყონ“ თვითმმართველობის იმ სტანდარტებს, რომლებიც კანონმდებლობაშია მოცემული. კვალიფიკაციისა და არაეფექტურობის შემთხვევაში სახელმწიფოს მცირე ბერკეტები აქვს პირდაპირი წესით არჩეულ მერებსა და გამგებლებზე ზემოქმედებისათვის, რადგან სახელმწიფო ხელისუფლების მთავარ თანამდებობის პირს არ შეუძლია ხალხის მიერ არჩეულ აღმასრულებელ ორგანოთა ხელმძღვანელების მოხსნა თანამდებობიდან.

ამჟამად მიმდინარეობს აქტიური განხილვა თვითმმართველობის კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომელიც გულისხმობს თორმეტი თვითმმართველი ქალაქიდან შვიდისთვის სტატუსის გაუქმებას და მათ გაერთიანებას მუნიციპალურ თემებთან.

ბუნებრივია, თავად მუნიციპალური ქალაქებისთვის აღნიშნული ცვლილებები დიდი უკმაყოფილების საგანია, ამიტომაც სახელმწიფომ ძალიან ფრთხილად უნდა იმოქმედოს აღნიშნული თემის გადასაწყვეტად, რომ არც ერთი მხარის ინტერესები არ იქნას შელახული.

2.2 **რეგიონული პოლიტიკის განმახორციელებელი უწყებები**

რეგიონული განვითარება ემსახურება ადამიანების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას და ყოველდღიურ ცხოვრებაში კეთილდღეობის ამაღლებას. რადგანაც რეგიონული განვითარება საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილია, ის მოითხოვს მულტისექტორულ მიდგომას, რაც ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ ერთი კონკრეტული უწყების საქმე კი არ უნდა იყოს რეგიონული პოლიტიკის წარმოება, არამედ ყველა სამინისტროსი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებს. შესაბამისად, რეგიონული პოლიტიკის წარმოებაში და განვითარებაში მონაწილეობას იღებს ყველა სამინისტრო დაწყებული სოფლის მეურნეობის და დამთავრებული თავდაცვის სამინისტროთი. თუმცა ერთი სამინისტრო, რომლის უშუალო კომპეტენციაში შედის ეფექტიანი რეგიონული პოლიტიკის გატარება და ამისათვის, როგორც შესაბამისი რეფორმების პროცესის დაგეგმვა, ასევე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, არის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, რომელიც 2009 წელს შეიქმნა. იგი წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად, მისთვის მინდობილ სფეროში ახორციელებს სახელწიფო მმართველობას.

საკანონმდებლო ორგანოს რაც შეეხება, რეგიონული პოლიტიკის შემუშავების საკითხებზე მუშაობს საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტი, რომლის კომპეტენციაში შედის უშუალოდ კანონების შექმნა, რომელსაც შემდეგ აღმასრულებელი ორგანოები მოიყვანენ სისრულეში.

კომიტეტის საქმიანობის სფეროს განეკუთვნება საკანონმდებლო საქმიანობა ადგილობრივი თვითმმართველობის, რეგიონული პოლიტიკის, მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების საკითხებზე. ასევე, აღნიშნულ საკითხებზე მიღებული საკანონმდებლო აქტების, დადგენილებებისა და სხვა გადაწყვეტილებების

შესრულებაზე საპარლამენტო კონტროლი და სავალდებულო მონაწილეობა თავისი გამგებლობის სფეროში კანონით განსაზღვრულ პირთა თანამდებობაზე არჩევისა და დანიშვნაზე თანხმობის მიცემის საკითხების განხილვაში. (საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის და თვითმმართველობის კომიტეტის დებულება, 2016 წლის 21 ნოემბერი #1/21)

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, კი, თავის მხრივ, ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობის წინაშე და ასრულებს კანონით გათვალისწინებულ ან მთავრობისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ დაკისრებულ ამოცანებს.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის ფუნქციებს განეკუთვნება:

- რეგიონული განვითარებისა და მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციის პოლიტიკის შემუშავება და განხორციელების კოორდინაცია;
- საქართველოს წყლით უზრუნველყოფისა და მოსახლეობის წყლით მომარაგებისთვის აუცილებელი ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა;
- ინფრასტრუქტურული პროექტების, საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ქსელის განვითარების, დაპროექტებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის საკითხებში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;
- არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების მოწყობა, მართვა და დახურვა, ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მოწყობა და მართვა (საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, სამინისტროს საქმიანობის სფერო და ამოცანები, 2017).

სამინისტროს ფუნქციონირებას არეგულირებს მთავრობის დადგენილება სამინისტროს დებულების შესახებ და ამ დებულებაში არის გაწერილი კონკრეტული ფუნქციები, რომლის შესრულებაც ამ უწყებას ევალება. ბოლო დებულება გამოვიდა 2016 წლის დეკემბერში.

სამინისტროს დაქვემდებარებაშია რამდენიმე საქვეუწყებო დაწესებულება, რომლებიც, რეალურად, წარმოადგენენ სამინისტროს მთავარ მხარჯავ დაწესებულებებს. თუმცა

პოლიტიკის შემუშავება ევალება უშუალოდ სამინისტროს, რომელიც ადგენს, თუ რა მიმართულებით უნდა იმუშაონ დაქვემდებარებულმა უწყებებმა. ერთ-ერთი ასეთი უწყებაა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, რომელიც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კოორდინაციით ახორციელებს საქართველოს საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ძირითად პროექტებსა და მოვლა-შენახვის ღონისძიებებს საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზებზე. დეპარტამენტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს ევროკავშირის საგზაო სტანდარტებთან ეტაპობრივი ინტეგრაცია. დღეისათვის, დეპარტამენტს 1455 კმ საერთაშორისო მნიშვნელობის და 6943 კმ შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზაზე აქვს განხორციელებული სარემონტო სამუშაოები (საავტომობილო გზების დეპარტამენტი, დეპარტამენტის შესახებ, 2017).

ამას გარდა, სამინისტროს სახელმწიფო კონტროლის დაქვემდებარებაშია რამდენიმე სსიპ და შპს, ესენია:

- *„საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი“,* რომლის მიზანია საქართველოში მოქმედ მსოფლიოს მსხვილ საინვესტიციო ბანკებთან და ფინანსურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობით ხელი შეუწყოს ადგილობრივი თვითმმართველობების ინსტიტუციონალური და ფინანსური შესაძლებლობების გაძლიერებას, ადგილობრივ საინვესტიციო პროექტებში სახსრების ინვესტირებას, ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას, იძულებით გადაადგილებული პირების ფინანსურ დახმარებას, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საქართველოს იურიდიულ და ფიზიკურ პირთათვის შეღავათიანი სესხების გაცემის უზრუნველყოფას და ა.შ. (საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, ფონდის შესახებ, 2017).
- *შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“,* რომელიც 2012 წელს შეიქმნა და რომლის 100%-იანი წილის მფლობელი სახელმწიფოა. კომპანია მყარი საყოფაცხოვრებო გადანაყრების პოლიგონების მართვას ახორციელებს მთელი

საქართველოს მასშტაბით, ქ. თბილისისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარდა. კომპანიის მიზნებს შორის არის:

- ნარჩენების განთავსების და გადამუშავების შედეგად გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება;
- არსებული პოლიგონების რაოდენობის შემცირება და ეტაპობრივად ყველა პოლიგონის დახურვა, რომელიც არ შეესაბამება ევროკავშირის სტანდარტებს;
- პოლიგონებზე სეპარაციისა და გადამუშავებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა;
- ევროკომისიის დირექტივების დაცვა მყარი ნარჩენების მართვის სფეროში და ა.შ. (შპს "საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია", კომპანიის მიზნები, 2017).

- *„ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი“*, რომელიც წარმოადგენს ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის განვითარების ხელშეწყობისთვის შექმნილ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციით, მოქმედი კანონმდებლობითა და დებულებით. (საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება #161, 2000 წლის 21 აპრილი, ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრის, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის, შექმნის შესახებ).
- *შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“,* რომელიც დაარსდა 2010 წელს და რომლის 100%-იანი წილის მფლობელი სახელმწიფოა. კომპანია ახორციელებს წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელით მომსახურებას მთელი საქართველოს მასშტაბით, ურბანული ტიპის დასახლებებისთვის, ქ, თბილისის, ქ. მცხეთის, ქ. რუსთავის, გარდაბნის მუნიციპალიტეტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარდა. კომპანიის ძირითადი საქმიანობის სფეროს განეკუთვნება: წყლის მოპოვება, გაწმენდა და მიწოდება; წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელების პროექტირება, მშენებლობა, ექსპლუატაცია და ოპერირება. კომპანია ემსახურება 306.000-ზე მეტ საყოფაცხოვრებო და 19.000-მდე

არასაყოფაცხოვრებო აბონენტს (შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია", კომპანიის მისია, 2017).

- *შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“,* რომელიც 2006 წელს შეიქმნა და რომლიც 100 %-იანი წილის მფლობელია სახელმწიფო. კომპანიის საქმიანობაში შედის სხვადასხვა ტიპის სამშენებლო პროექტების განხორციელება, ასევე:
    - საავტომობილო გზების, ხიდებისა და გვირაბების რეაბილიტაცია, მოდერნიზაცია და რეკონსტრუქცია და სხვა საგზაო-სამშენებლო სამუშაოების შესრულება;
    - წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია;
    - სხვადასხვა სპეცტექნიკით მომსახურება და მასალების წარმოება ("სახელმწიფო სამშენებლო კომპანია", სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის საქმიანობა, 2017).
- *„ეფექტიანი მმართველობის სისტემისა და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი“*, რომელიც შეიქმნა 2015 წელს და რომლის მიზანია მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციისა და დეკონცენტრაციის, აგრეთვე, ქვეყნის რეგიონული და მუნიციპალური განვითარების ხელშეწყობა (საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის ბრძანება #18/ნ, 2015 წლის 16 აპრილი, მუხლი 1).

სამინისტროსთვის ყოველწლიურად გამოიყოფა თანხა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, სადაც არსებობს ორგანიზაციული კოდი „რეგიონული განვითარება და ინფრასტრუქტურა“. შემდეგ ამ კოდში ხდება განხორციელებული პროექტების ფუნქციონალური კლასიფიკაცია. სამინსიტროს საბიუჯეტო კოდში, პირველ რიგში, აღნიშნულია თავად სამინისტროს ბიუჯეტი, რაშიც შედის სამინისტროს თანამშრომლების შრომის ანაზღაურება, მივლინების ხარჯები, ადმინისტრაციული ხარჯები და ა.შ. შემდეგ კი მოდის ხარჯების ძირითადი ნაწილი, რომელიც უკავშირდება სამინისტროს საქვეუწყებო ორგანიზაციებს; ანუ, თვითონ სამინისტრო, მისთვის გამოყოფილი ყოველწლიური ბიუჯეტიდან ახდენს თანხების განაწილებას საქვეუწყებო დაწესებულებებისთვის საჭიროების მიხედვით. ბიუჯეტის

ყველაზე დიდი ნაწილი მოდის, ბუნებრივია, საგზაო დეპარტამენტზე (დაახლოებით 400-500 მილიონი ლარი ყოველწლიურად), რომელიც ყველაზე მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებს ახორციელებს. შემდეგ მოდის წყალმომარაგების კომპანია, მუნიციპალური განვითარების ფონდი, მყარი ნარჩენების მართვის კომპანია, სამშენებლო კომპანია და ა.შ. (იხ. დანართი, გრაფიკი 1; 2; 3, ცხრილი 1).

რეალურად, სამინისტრო წარმოადგენს იმ უწყებას, რომელიც კოორდინაციას უწევს ადგილობრივ თვითმმართველობებს, თუკი მათ კონკრეტული საკითხების გატანა და დაყენება სურთ სახელმწიფოს წინაშე. მოკლედ რომ ვთქვათ, სწორედ ეს უწყება არის ერთადერთი, რომელიც შუამდგომლობს ადგილობრივ თვითმმართველობებს საქართველოს მთავრობასთან. გარდა ამისა სამინისტრო ატარებს სწორედ იმ პოლიტიკას, რომელიც ხელს უწყობს თვითმმართველობის გაძლიერებას და დეცენტრალიზაციის პროცესს.

სახელმწიფო ბიუჯეტში არის განსაზღვრული „რეგიონებში განსახორციელები პროექტების ფონდი“, რომელიც წარმოადგენს არა სტრუქტურულ, არამედ საბიუჯეტო ფონდს. ამ ფონდიდან საქართველოს მთავრობის განკარგულებით ყოველწლიურად გამოეყოფა თანხა მხარჯავ უწყებებს, ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს და ავტონომიურ რესპუბლიკებს. რეგიონებს შეუძლიათ მოითხოვონ პროექტის განხორციელება რეგიონებში განსახორციელებელი ფონდის დაფინანსებით (იხ. დანართი, გრაფიკი 4).

2014 წლამდე ფონდიდან თანხების გახარჯვა ხდებოდა შემდეგნაირად: ტარდებოდა ფორმალური შეხვედრები რეგიონის ხელმძღვანელებთან, გუბერნატორებთან და რეგიონებისთვის თანხის გადაცემის პროცესი მეტად სუბიექტურ ხასიათს ატარებდა. 2014 წლიდან საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ დაიწყო ამ სისტემაში ცვლილების შეტანა, კერძოდ, სტრატეგიული დოკუმენტების მომზადებით ხელი შეუწყო იმას, რომ პროექტების დაგეგმვა დაკავშირებული იყოს არამხოლოდ „ზევიდან ქვევით“ დაგეგმვის პრინციპთან, არამედ ხდებოდეს „ქვევიდან ზევით“ დაგეგმვაც. სწორედ ამისთვის შეიქმნა ცალკეული რეგიონების რეგიონული

განვითარების სტრატეგიები და, ასევე, მუშავდება მათი საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები. სტრატეგიები, როგორც წესი, არის შვიდ წლიანი, ხოლო სამოქმედო გეგმები- სამ წლიანი. ამ სამოქმედო გეგმებში აისახება, თავის მხრივ, მუნიციპალიტეტების საკუთარი ბიუჯეტიდან, საკუთარი სახსრებით დაფინანსებული ისეთი პროექტები, რომლებიც, ამავე დროს, შეესაბამებიან კონკრეტული რეგიონის სტრატეგიის მიზნებს და ამოცანებს ან 2015-2017 წლების რეგიონული განვითარების სახელმწიფო პროგრამას. სწორედ ასეთი ტიპის პროექტები, რომლებიც რეგიონების საკუთარი რესურსებით ფინანსდება არის ასახული ამ სამოქმედო გეგმებში.

2.3 რეგიონული განვითარების სტრატეგიული დოკუმენტები

რეგიონული განვითარების მიმართულებით ჯერ კიდევ 2010 წელს შემუშავდა საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წლების სახელმწიფო სტრატეგია. ეს არის ამ სფეროში სახელწიფო პოლიტიკის ყველაზე ზემდგომი დოკუმენტი. შემდგომში უკვე განსაზღვრული არის ცალკეული რეგიონების, რეგიონული განვითარების სტრატეგიები. ამ მიმართულებით სამინისტრომ ძალიან აქტიურად დაიწყო მუშაობა 2013 წლიდან, როდესაც შეიქმნა მეთოდოლოგია, თვითონ ამ რეგიონული განვითარების სტრატეგიების შემუშავების თვალსაზრისით. დაიწერა თითოეული რეგიონისთვის განვითარების დოკუმენტები, რომლებიც ასევე მთავრობის მიერ იქნა დამტკიცებული. სწორედ ისინი წარმოადგენენ ძირითად მარეგულირებელ საბუთებს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს 2015 წელს შექმნილი რეგიონული განვითარების სახელმწიფო პროგრამა. 2010-2017 წლების სტრატეგია ძირითადად მოიცავს სტრატეგიული მიზნებს, ხედვებს, განსახორციელებელ აქტივობებს და არის უფრო ზოგადი ჩარჩო-დოკუმენტი. ამისგან განსხვავებით, თვითონ რეგიონული განვითარების სახელმწიფო პროგრამაში ასახულია ძირითადად სახელმწიფო უწყებების მიერ განსახორციელებელი კონკრეტული ამოცანები და ღონისძიებები, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს მთლიანად საქართვლოში რეგიონულ განვითარებას.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ მომზადებული საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წლების სახელწმიფო სტრატეგია, 2010 წლის ივნისში დამტკიცდა საქართველოს მთავრობის მიერ. ეს არის ერთადერთი ოფიციალური დოკუმენტი, სადაც განმარტებულია ცნება რეგიონი და განსაზღვრულია რეგიონული პოლიტიკის არსი. ეს სტრატეგია წარმოადგენს საშუალოვადიან დოკუმენტს, რომელიც ადგენს საქართველოს რეგიონული განვითარების პოლიტიკის ძირითად პრინციპებს, მიზნებს და ამოცანებს. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონული განვითარების სახელწმიფო სტრატეგია უფრო ადრეა მიღებული, ის ასოცირების ხელშეკრულების პრინციპებშიც ჯდება.

სტრატეგია დაფუძნებულია სამ ძირითად პრინციპზე:

- სინქრონულობის და სინერგიის პრინციპი, რაც გულისხმობს რეგიონული პოლიტიკის განხორციელებისას სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებული ღონისძიებების სინქრონიზაციას და „ზევიდან ქვევით“ და „ქვევიდან ზევით“ მიდგომების გამყარებას.
- სუბსიდიარობის პრინციპი- სტრატეგიის ძალიან მნიშვნელოვანი პრინციპი, რომელიც გულისხმობს უფლებამოსილებათა დეკონცენტრაციას და დეცენტრალიზაციას. ანიჭებს უფლებამოსილებას მმართველობის ქვედა დონეს, რომელიც უფრო ახლოს დგას ხალხთან და უშუალო კავშირშია მათთან, კარგად იცნობს მათ ადგილობრივ მოთხოვნებს და საჭიროებებს.
- მონაწილეობის პრინციპი გულისხმობს, რომ მოქალაქეებს, დაინტერესებული მხარეებს, სხვადასხვა სოციალურს ჯგუფებს უნდა ეძლეოდეთ საშუალება მიიღონ უშუალო მონაწილეობა სტრატეგიის დაგეგმვაში, განხორციელების და მონიტორინგის პროცესში. ანუ პროცესი მაქსიმალურად გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი უნდა იყოს. (საქართველოს მთავრობის დადგენილება #172, 2010 წლის 25 ივნისი, თავი I).

შემდგომში, დოკუმენტში განხილულია რეგიონული განვითარების ოთხი ძირითადი და აქტუალური საკითხი:

- ეფექტიანი მართვის უზრუნველყოფა მდგრადი რეგიონული განვითარებისათვის
- მუნიციპალური მომსახურებისა და ინფრასტრუქტურის განვითარება
- ინოვაციების, ახალი ტექნოლოგიებისა და მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა
- სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის განვითარება და გარემოს დაცვის უზრუნველყოფა (საქართველოს მთავრობის დადგენილება #172, 2010 წლის 25 ივნისი, თავი II-IV).

სტრატეგიაში აღწერილია თითოეული სფეროს მნიშვნელობა ქვეყნისთვის, და რატომ არის მათი განვითარება პრიორიტეტული. ჩამოწერილია ასევე კონკრეტული გეგმები, რომლებიც ზოგადად უნდა განხორციელდეს მიზნის მისაღწევად, თუმცა მათი უმეტესობა ბუნდოვანია, ხოლო მათი განხორციელება პრაქტიკულად შეუძლებელი არსებული რეალობის ფარგლებში.

სტრატეგიის ვადა წელს იწურება და მისი წარუმატებლობის მიზეზი სწორედ ის გახდა, რომ მას არ გააჩნია სამოქმედო გეგმა და მის განსახორციელებლად არ ყოფილა დამტკიცებული ბიუჯეტი. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ სტრატეგიული დოკუმენტის დამტკიცება მოხდა ერთი ხელისუფლების ფარგლებში, ხოლო შემდგომ მოხდა ამ სახელისფულებო ძალების ჩანაცვლება მეორეთი. როგორც გამოჩნდა, ახალმა ხელისუფლებამ არ ისურვა არსებული გეგმის გაგრძელება და რეგიონული განვითარების ხელშეწყობაში რადიკალური ცვლილებები განახორციელა, რაც თვითმმართველობის ახალ რეფორმაში გამოიხატა.

ახალი მთავრობის ფარგლებში შეიქმნა კიდევ ერთი საშუალოვადიანი სამთავრობო დოკუმენტი, რომელსაც ეწოდება 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა. დოკუმენტი ადგენს საქართველოს რეგიონული პოლიტიკის მიზნებს და ამოცანებს. პროგრამა მომზადებული იქნა ევროკავშირის მხარდაჭერით, რომელმაც 30 მილიონი ევრო გამოყო საქართველოს რეგიონული განვითარების ხელშეწყობისთვის. პროგრამა პირდაპირ პასუხობს საქართველოსა და ევროკავშირს შორის

ხელმოწერილი ასოცირების ხელშეკრულების პუნქტებს რეგიონული განვითარების შესახებ (2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა, 2017).

პირველ თავში ხდება საქართველოში არსებული მდგომარეობის ზოგადი მიმოხილვა, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განსაზღვრა. შემდეგ შედგენილია ქვეყნის რეგიონული განვითარების ფაქტორული (SWOT) ანალიზი, სადაც გამოვლენილია ძლიერი და სუსტი მხარეები, ასევე განვითარების შესაძლებლობები და საფრთხეები. უნდა ითქვას, რომ ზოგი პუნქტი ამ ანალიზში საკამათოა და არ მოიცავს არსებული რეალობის ამსახველ მთლიან სურათს.

დოკუმენტში, ასევე განსაზღვრულია პროგრამის მიზნები და პრიორიტეტები, რომლებიც მოიცავს:

- ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას და ბუნების დაცვას
- მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას
- სოფლის მეურნეობის განვითარებას
- ადამიანური კაპიტალის გაუმჯობესების და პროფესიული განათლების ინსტიტუციონალური შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობას ეროვნულ და სუბნაციონალურ დონეებზე

ასევე პროგრამაში გაწერილია ის ღონისძიებები, რომლებიც უნდა განხორციელდეს მთავრობის გეგმის მიხედვით, განსაზღვრული პრიორიტეტებისა და ამოცანების შესაბამისად. ღონისძიებებს თან ერთვის ინდიკატური ბიუჯეტი, რომლის ფარგლებშიც მოხდება პროექტების განხორციელება, და ასევე განსაზღვრულია პროექტების შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყება.

ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და ბუნების დაცვის პრიორიტეტულ ღონისძიებებს შორის არის:

- საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზები
- მყარი ნარჩენების მართვა

- წყალმომარაგება, საკანალიზაციო და წყალარინების სისტემები
- ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება და ძველი სამრეწველო ობიექტების დაბინძურებული ობიექტების მართვა
- საქართველოს ტყის ინვენტარიზაცია და მდგრადი სატყეო სტრატეგიის განხორციელება (2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა, 2017).

არსებობს კიდევ ერთი სამთავრობო დოკუმენტების სერია, საქართველოს რეგიონების განვითარების სტრატეგიები 2014-2021, რომლებიც შექმნილია ინდივიდუალურად ყოველი ცხრა რეგიონისთვის. აღნიშნული დოკუმენტების მომზადებაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტმა და საბოლოოდ დამტკიცებული იქნა მთავრობის მეირ. დოკუმენტები მომზადებულია გაეროს განვითარების პროგრამის რეგიონული და ადგილობრივი განვითარების პროექტის ფარგლებში და განხორციელებულია შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს და ავსტრიის განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით (ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021).

პირველი და უმთავრესი შენიშვნა, რომელიც დოკუმენტის წაკითხვისას ჩნდება, არის ის, რომ არ არის განმარტებული არც „რეგიონული პოლიტიკის“ არსი და არც ცნება „რეგიონი“. დოკუმენტი პირდაპირ იწყება რეგიონის ზოგადი დახასიათებით, შემდეგ ხდება რეგიონის სოციალური, ეკონომიკური განვითარების, ინფრასტრუქტურის და საზოგადოებრივი მომსახურებების აღწერა, გარემოს დაცვის საკითხების და რეგიონის ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების მიმოხილვა. აღნიშნულ ნაწილებში მოცემულია ბევრი სტატისტიკური მასალა, რომელიც გაუგებარია რომელი კვლევის საფუძველზე არის მოპოვებული, რადგან არანაირი წყაროები არ აქვს დართული თან.

შემდეგ, დოკუმენტში მოდის რეგიონის დარგობრივი ფაქტორული ანალიზი (SWOT), რომელიც ყველაზე მეტ კითხვას აჩენს სტრატეგიის შესწავლისას. SWOT-ანალიზში თითოეული დარგი მიმოხილულია ორი კუთხით- თუ რა რესურსები გააჩნია კონკრეტულ რეგიონს და მეორე, როგორია საქართველოს მთავრობის ხედვა ამ რესურსების

გამოყენებაში. თითოეული რეგიონის SWOT-ანალიზში ხშირია ერთი და იგივე ფაქტორების გამეორება, როგორც ძლიერ, ასევე სუსტ მხარეებში (მაგალითად, გურიის რეგიონის სოციალური განვითარების, ინფრასტრუქტურის და საზოგადოებრივი მომსახურების ფაქტორულ ანალიზში ძლიერ მხარეებში წერია გარე განათებით დასახლებების დიდი ნაწილის უზრუნველყოფა, ხოლო სუსტ მხარეებში - დასახლებების დიდ ნაწილში გარე განათების არარსებობა. ასეთი უზუსტობები ბევრგან მეორდება). ამას გარდა ანალიზში შეტანილია ისეთი ფაქტორები, რომლებსაც არანაირი საერთო არ აქვთ კონკრეტულ დარგთან (მაგალითად, კახეთის რეგიონის ტურიზმის საფრთხეებში განხილულია „საქონლის გასაღების ბაზრების შემცირება“).

SWOT-ანალიზში ბევრგან მიზნები არეულია ფაქტორებთან. მაგალითისთვის, რამდენიმე რეგიონის ტურისტულ ანალიზში შესაძლებლობებში მითითებულია თავად ტურისტების რაოდენობის ზრდა, არადა ანალიზის მიხედვით შესაძლებლობებში უნდა იყოს მითითებული რეგიონის ის რესურსი, რომელიც ხელს შეუწყობს ტურისტების ნაკადის ზრდას და საფრთხეებში ის ხელის შემშლელი ფაქტორები, რომლებიც ამ ნაკადს დაბრკოლებას შეუქმნის. გურიის რეგიონის სოციალური განვითარების, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურებების ანალიზში შესაძლებლობებში აღნიშნულია მხოლოდ ეკონომიკური განვითარების მაღალი დინამიკა და საფრთხეებში მხოლოდ ბუნებრივი კატასტროფები და ეპიდემიების გავრცელება. ნაშრომის ავტორის აზრით, ეს სოციალური განვითარება, ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება იმდენად ფართო და მრავლისმომცველი დარგებია, რომ შესაძლებლობებში მხოლოდ ეკონომიკური განვითარების მაღალი დინამიკის აღნიშვნა არასაკმარის ინფორმაციას წარმოადგენს. ასევეა საფრთხეების შემთხვევაშიც.

დოკუმენტის ბოლო თავი ეთმობა რეგიონის განვითარების ხედვას, სტრატეგიულ მიზნებს, ამოცანებს და წინადადებებს, რომელიც დაფუძნებულია სწორედ ზემოთ განხილული რეგიონის დარგობრივი ფაქტორული ანალიზის (SWOT) შედეგებზე.

ყოველი რეგიონის სტრატეგიულ დოკუმენტს ბოლოში ერთვის ხედვა, რომელიც გურიის მაგალითზე 2021 წლისთვის ისახავს: ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად ზრდადი ეკონომიკის შექმნას (თითქმის ყველა რეგიონის ხედვას იგივე პუნქტი ერთვის), ასევე ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის სექტორების განვითარებას, მიკრო და მცირე ბიზნესისთვის მიმზიდველი საინვესტიციო კლიმატისა და ინფრასტრუქტურის შექმნას, რომელიც გაზრდის რეგიონის შესაძლებლობებს და შემოსავლებს, და ხელს შეუწყობს ცხოვრების საერთო დონის მნიშვნელოვან ამაღლებას. თითქმის მსგავსი ხედვა აქვს ქვემო ქართლის რეგიონის სტრატეგიასაც. შემდეგ მოცემულია ის მიზნები და ამოცანები, რომლებიც პრიორიტეტულია რეგიონისთვის. აღწერილი მიზნები და ამოცანები, ხშირ შემთხვევაში, ზოგადია და მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიის მოქმედების ვადის ნახევარი უკვე ამოწურულია, ამოცანების უმეტესი ნაწილი კიდევ არ არის მიღწეული. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ თავიდანვე, სტრატეგიის შემუშავებისას არ არის გათვალისწინებული ქვეყნის ფინანსური შესაძლებლობები და ნაკლებად არის ასახული რეალური სურათი. საერთოდ, ქვეყნის რეგიონული სტრატეგიების დოკუმენტების გაცნობისას, მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს აღებულია უბრალოდ სხვადასხვა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების დასკვნები საქართველოს შესახებ და პირდაპირ გადმოტანილია ამ დოკუმენტებში.

ქვეყნის რეგიონული განვითარების პოლიტიკის უმთავრესი პრობლემაა, რომ არ არსებობს საკანონმდებლო დონეზე არანაირი დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს რეგიონულ პოლიტიკას თვითმმართველობის კოდექსის გარდა. ამ სფეროში ყველაზე ზემდგომ დოკუმენტებს წარმოადგენს რეგიონული სტრატეგიები, რომლებიც პრინციპში, არ წარმოადგეს რაიმე ხელმოსაჭიდ სახელმძღვანელო დოკუმენტებს. სახელმწიფოს უმთავრესი მიზანია განსაზღვროს ერთი და ძირითადი დოკუმენტი, რომლის მიხედვით მოხდება ქვეყნის რეგიონული განვითარების კურსის დასახვა.

2.4 საქართველოს რეგიონული პოლიტიკის სივრცითი შედეგები

რეგიონული განვითარების პოლიტიკის შედეგები კარგად ჩანს რეგიონებში განხორციელებული პროექტების მაგალითზე. საქართველოში არსებობს რამდენიმე წყარო რეგიონებში ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებისა. ერთ-ერთია „რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი“, რომელიც 2014 წელს მთავრობის დადგენილებაში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, პროექტების რეალიზაციას არეგულირებს „ქვევიდან ზევით“ სისტემითაც. საქართველოს ნებისმიერი მუნიციპალიტეტის მოსახლეს შეუძლია მოითხოვოს კონკრეტული პროექტის განხორციელება (თუ ის რეგიონის სტრატეგიულ გეგმაში ჯდება), რაც შემდეგ, გარკვეული პროცედურების გავლის შემდეგ შესაძლებელია რეალიზებული იქნას (დაწვრილებითი ინფორმაციისთვის იხ. თავი 3). ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფონდია, იმდენად, რამდენადაც ხელს უწყობს ადგილობრივ მოსახლეობას, მონაწილეობა მიიღოს პროექტების დაგეგმვის პროცესში. 2007 წლიდან 2016 წლამდე ფონდისგან დამოუკიდებლად ხორციელდებოდა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“, რომლითაც უზრუნველყოფილი იყო სოფლის მოსახლეობის ჩართულობა პრიორიტეტების შერჩევის პროცესში. თუმცა, 2017 წელს აღნიშნული პროექტი გაუქმდა, უფრო სწორად, როგორც მთავრობის წევრები აცხადებენ, „რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდს“ შეუერთდა და სოფლის მოსახლეობას, პროექტის მოთხოვნის შემთხვევაში, შეეძლება თავისი მუნიციპალიტეტის გამგეობას მიმართოს. აღნიშნულმა ცვლილებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, როგორც ადგილობრივ მთავრობას, ასევე სოფლის მოსახლეობას შორის, რადგან არსებობს ვარაუდი, რომ მათი ინტერესები აღარ იქნება გათვალისწინებული პრიორიტეტული პროექტების შერჩევისას და კომუნიკაცია ცენტრალურ მთავრობასთან უფრო შესუსტდება.

მიუხედავად იმისა, რომ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ შეუერთდა „რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდს“, ამ უკანასკნელის ბიუჯეტი 2017 წელს კიდევ შემცირდა 50 მილიონი ლარით, რაც აბსოლუტურად გაუგებარია. გრაფიკზე კარგად ჩანს (იხ. დანართი, გრაფიკი 4), რომ მთლიანი სახელმწიფოს ბიუჯეტიდან, აღნიშნულ ფონდზე

2014-2017 წლებში გამოყოფილი თანხა შეადგენს საშუალოდ 200 მილიონ ლარს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ქვეყნის მთლიანი ბიუჯეტი დაახლოებით 9 მილიარდ ლარს შეადგენს, რეგიონებში განსახორციელებელ ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის 200 მილიონი ლარი ძალიან მცირე თანხაა, იმის გათვალისწინებით, რომ ინფრასტრუქტურული პროექტები ძალიან დიდ ფინანსურ დანახარჯებს მოითხოვს. გრაფიკზე ასევე ჩანს, რამდენად არის შემცირებული ფონდის დაფინანსება 2017 წელს. ამას გარდა, 2016-2017 წლებში აღნიშნული ფონდიდან აღარ არის გამოყოფილი თანხა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისთვის.

რაც შეეხება ფონდიდან თანხების განაწილებას რეგიონების მიხედვით, გრაფიკზე კარგად ჩანს (იხ. დანართი, გრაფიკი 5), თუ რა წილი მოდის თითოეულ რეგიონზე აღნიშნული ფონდიდან.

ყველაზე დიდი თანხა ხმარდება იმერეთს, შემდეგ მოდის სამეგრელო-ზემო სვანეთი და შემდეგ დანარჩენი რეგიონები, თითქმის თანაბრად. ფონდის ფარგლებში ხდება ძირითადად შიდარეგიონული ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარება, რომლებშიც შედის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების, შიდარეგიონული გზების რეაბილიტაცია, ნაპირსამაგრი სამუშაოები და ა.შ. გრაფიკზე კარგად ჩანს, რომ რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონზე მოდის ყველაზე ნაკლები თანხის განაწილება, ხოლო იმერეთზე ყველაზე მეტი. თუ ამას დავიანგარიშებთ პროექტიდან ერთ მოსახლეზე მიღებული სარგებელის მიხედვით მივიღებთ შემდეგ მონაცემებს: 2016 წლის მონაცემებით რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის მოსახლეობა შეადგენს 31,5 ათას კაცს (საქსტატი, 2016), ხოლო 2016 წელს „რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ ამავე რეგიონზე გამოიყო დაახლოებით 10,8 მილიონი ლარი, რის შედეგად გამოდის, რომ ერთ მოსახლეს ამ ფონდიდან 343 ლარი ერგება. იმერეთის შემთხვევას თუ განვიხილავთ, აქ მოსახლეობა 532,9 ათას კაცს (საქსტატი, 2016) შეადგენს, ხოლო ფონდიდან დახარჯული თანხა 50,7 მილიონ ლარს. აქედან გამომდინარეობს, რომ ფონდიდან 95 ლარი ხმარდება თითო მოსახლეს.

ფონდიდან განხორციელებული პროექტების შესახებ ინფორმაცია 2013-2016 წლების მიხედვით ხელმისაწვდომია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ვებ-გვერდზე. მოპოვებული ინფორმაციის შედეგად აღმოჩნდა, რომ განხორციელებულ პროექტებზე დახარჯული თანხა არ ემთხვევა საქართველოს ბიუჯეტის ანგარიშებში ამავე ფონდზე გამოყოფილი თანხების რაოდენობას. გრაფიკზე ჩანს (იხ. დანართი, გრაფიკი 6), რომ განხორციელებულ პროექტებზე დახარჯული ფულადი სახსრები კიდევ უფრო ნაკლებია, ვიდრე ბიუჯეტიდან გათვალისწინებული თანხა. ერთადერთი რეგიონი, რომელსაც ზუსტად ემთხვევა ორივე მაჩვენებლები არის ქვემო ქართლი. დანარჩენ შემთხვევაში ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა აღემატება განხორციელებული პროექტების ღირებულებას. პრობლემა იმაშია, რომ თუ პროექტის დაფინანსების წყაროს კვალდაკვალ გავყვებით, მაინც ვერ ვიღებთ ამომწურავ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ სად ჩაიდო რეალურად ფული და რომელ რეგიონს მოხმარდა.

იმის გამო, რომ „რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის“ ბიუჯეტი ძალიან შეზღუდულია, ხდება მხოლოდ იმ პროექტების დაფინანსება, რომლებიც აუცილებლობას მოითხოვს. აქედან გამომდინარე, ფონდი ყველაზე მეტად არის მიმართული რეგიონული განვითარებისკენ და რეგიონებში არსებული პრობლემების აღმოფხვრისკენ. აღნიშნული ფონდით დაფინანსებული პროექტები გვიჩვენებს იმის რეალურ სურათს, თუ რა ხდება რეგიონებში განვითარების მხრივ. ამჟამად კი ძალიან ბევრი რეგიონული პრობლემა მოუგვარებელია, და მოსახლეობის უმეტესობას ელემენტარული საჭიროებების დასაკმაყოფილებელი პირობებიც კი არ გააჩნია. სახელმწიფომ აუცილებლად უნდა იზრუნოს ფონდის მეტად გააქტიურებისკენ და მეტი ფულადი სახსრები მოახმაროს ამ ფონდიდან განხორციელებულ პროექტებს.

როგორც უკვე აღვნიშნე, „რეგიონებში განსახორციელებელი ფონდის“ გარდა სახელწმიფო ბიუჯეტიდან რეგიონებში ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად თანხა გამოეყოფა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინსიტროს. გამოყოფილი თანხა 2013-2016 წლებში შეადგენდა საშუალოდ 900 მილიონ ლარს, თუმცა

2017 წელს დაფინანსება გაიზარდა და 1,2 მილიარდ ლარსაც კი გადააჭარბა (იხ. დანართი, გრაფიკი 1).

ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ თანხა უნაწილდება სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებებს, რომლებიც არიან პასუხისმგებელნი რეგიონებში პროექტების განხორციელებაზე (დაწვრილებითი ინფორმაციისთვის იხ. თავი 2.2). სამინისტროს მიერ რეგიონებში შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები ბევრად უფრო მასშტაბურია, ვიდრე „რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ დაფინანსებული პროექტები, თუმცა სამინისტროს შემთხვევაში ხშირად ხდება მთლიანი ქვეყნის სტრატეგიის და რეგიონული სტრატეგიის ერთმანეთში აღრევა, რის ხარჯზეც ხდება რეგიონული განვითარების შესახებ არავალიდური მონაცემების მიღება.

მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროს ბიუჯეტი მილიარდ ლარამდე ადის, ის ვერ უზრუნველყოფს ყველა მსხვილი პროექტის საკუთარი სახსრებით დაფინანსებას, ამიტომ დიდად არის დამოკიდებული დონორი ორგანიზაციების ფინანსურ დახმარებებზე.

საქართველოს, როგორც რეგიონულ, ასევე მთლიანი ქვეყნის განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს საერთაშორისო მხარდაჭერა, რაშიც ფინანსური ნაწილიც იგულისხმება. სწორედ იმის გამო, რომ სახელმწიფოს არ გააჩნია საკუთარი რესურსები, რათა ყველა აუცილებელი ინფრასტრუქტურული პროექტი იქნას დაფინანსებული, სახელმწიფო მოლაპარაკებების დონეზე ხდება ქვეყნისთვის ფინანსური დახმარების გამოყოფა დონორი ორგანიზაციების მიერ. ეს დახმარება შეიძლება ითვალისწინებდეს, როგორც გრანტებს, ასევე შეღავათიან და სხვა სახის კრედიტებსაც. მაგალითისთვის მოვიყვანოთ რომელიმე ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება. თავდაპირველად, სახელწმიფოსა და დონორ ორგანიზაციას შორის ხდება მოლაპარაკებების წარმოება. ამ მოლაპარაკებების პერიოდში საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ ხდება ქვეყნის განვითარების ზრდის შესაძლებლობების შესწავლა, იმის დადგენა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის კონკრეტული პროექტი, ქვეყნის გადამხდელუნარიანობის ანალიზი და შემდეგ, თუკი დონორი ორგანიზაცია იწონებს ქვეყნის მიერ წარმოდგენილ პროექტს, ხდება რაღაც მოცულობის საკრედიტო

ხაზის გამოყოფა. მხოლოდ ამის შემდგომ იწყებს სახელმწიფო კონკრეტული პროექტების შემუშავებას, იმის მიხედვით, თუ რა მიზანი უნდა იქნას მიღწეული გამოყოფილი თანხის შედეგად. ეს შეიძლება იყოს საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების უზრუნველყოფა და ა.შ. ამის შემდეგ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს (თუ ეს ეხება ინფრასტრუქტურულ პროექტებს) დაქვემდებარებაში არსებული დეპარტამენტები: წყალმომარაგების კომპანია, ნარჩენების მართვის კომპანია, საგზაო დეპარტამენტი და სხვა, ახორციელებენ კონკრეტული პროექტების შემუშავებას და საკრედიტო რესურსის გამოყენებას (ამაში იგულისხმება, შემდგომში ტენდერების გამოცხადება და სხვა ღონისძიებები). პროექტები, ბუნებრივია, შესაბამისობაში უნდა იყოს იმ სტანდარტებთან, რომელიც გაწერილია სახელმწიფოსა და დონორ ორგანიზაციას შორის ხელშეკრულებაში. თუკი გამოყოფილი თანხა არამიზნობრივად იქნება დახარჯული ან პროექტის ჩარჩოებში არსებულ აქტივობებს სცილდება თანხის გამოყენება, ბუნებრივია, ამოქმედდება სადამსჯელო სანქციები დამფინანსებელი უწყების მიერ. პროექტის მსვლელობისას, დონორი ორგანიზაციები ახდენენ პროექტის მიმდინარეობის მონიტორინგს და სახელმწიფოც, შესაბამისად, აბარებს მას შესრულებული სამუშაოების ანგარიშებს.

დონორი ორგანიზაციების მიერ ხდება ძირითადად უმსხვილესი და ფართომასშტაბიანი პროექტების დაფინანსება. საერთაშორისო დონორების მიერ, უმთავრესად ფინანსდება საგზაო პროექტები, რადგან აღნიშნული ინფრასტრუქტურული ღონისძიებები დიდ ფინანსურ დანახარჯებს მოითხოვს, რომლის რესურსიც ქვეყანას არ გააჩნია. თუმცა, საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ დაფინანსებულ პროექტებში, უმეტეს შემთხვევაში, საქართველოც შედის ფინანსური თანამონაწილეობით. თანამონაწილეობის ოდენობა განისაზღვრება თავად პროექტის ბიუჯეტით და სახელმწიფოს ბიუჯეტის შესაძლებლობების მიხედვით.

საქართველოს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ადგილმდებარეობა გააჩნია რეგიონში. თუ ქვეყანას სურს ამ უპირატესობის თავის სასიკეთოდ გამოყენება, ეკონომიკის ხელშეწყობა და მოსახლეობის ჩართვა ეკონომიკურ აქტივობაში, შესაბამისად, ხელი უნდა შეუწყოს

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას. რადგანაც საქართველოს არ გააჩნია საკმარისი რესურსები, ის იძიებს საერთაშორისო დონორების ფინანსურ დახმარებას, რომლებიც მზად არიან გრანტის, თუ შეღავათიანი სესხის სახით, ქვეყანას ფულადი სახსრები გამოუყონ.

მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ამჟამად მიმდინარეობს „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების პროექტი“, რომელიც არის სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის, რადგან ტვირთბრუნვის ზრდისა და კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბების საშუალებას იძლევა. მაგისტრალის მშენებლობის შედეგად შესაძლებელი გახდება როგორც აღმოსავლეთით და დასავლეთით, ასევე ჩრდილოეთით და სამხრეთით მდებარე ქვეყნების ერთმანეთთან უმოკლესი გზით დაკავშირება, რაც მნიშვნელოვან ფინანსურ მოგებას მოუტანს ქვეყანას.

თუმცა, ეს პროექტი არის მთლიანი ქვეყნის სტრატეგიული გეგმის ნაწილი და არა ცალკეული რეგიონების განვითარების. არასწორია, როდესაც მთელი ქვეყნის სტრატეგიული გეგმის განხორციელებაში დახარჯული თანხა, ცალკეული რეგიონების განვითარების სურათზე აისახება, იმის გამო, რომ უბრალოდ ამ მაგისტრალის მონაკვეთი ამ რეგიონზე გადის.

2013-2016 წლების ინტერვალში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას ყველაზე მეტი ფული დაიხარჯა იმერეთის რეგიონზე - დაახლოებით 496 მილიონი ლარი, მეორე ადგილზეა სამეგრელო-ზემო სვანეთი - 263 მილიონი ლარი, ხოლო მესამეზეა შიდა ქართლი - 162 მილიონი ლარი (იხ. დანართი, გრაფიკი 7). თუ ამ მონაცემებს დარგების მიხედვით დავშლით (იხ. დანართი, რუკა 2; გრაფიკი 8) დავინახავთ, რომ მხოლოდ საგზაო პროექტებზე დახარჯულ თანხებსა და ყველა დანარჩენ ინფრასტრუქტურულ პროექტების საერთო ღირებულებას შორის დიდი სხვაობაა. საგზაო პროექტები ბევრად აჭარბებს ან ტოლია სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების ღირებულებას, მიუხედავად იმისა, რომ წყალმომარაგებისა და წყალარინების პროექტები, რომლებიც სხვა დანარჩენ

ინფრასტრუქტურულ პროექტებში შედის, საკმაოდ დიდ დანახარჯებს მოითხოვს. მხოლოდ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების ღირებულება აჭარბებს საგზაო პროექტების ღირებულებას, ისიც სამეგრელოს რეგიონში წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა/რეაბილიტაციასთან დაკავშირებული სამუშაოების ხარჯზე (იხ. დანართი, გრაფიკები 9; 10; 11).

ამიტომ გაუგებარია, რატომ არის მოხვედრილი რეგიონული განვითარების საერთო მაჩვენებელში მთლიანად ქვეყნის განვითარების მაჩვენებლები. სხვათა შორის, ეკოლოგიური თვალსაზრისით თუ შევხედავთ ასეთ მასშტაბურ საგზაო პროექტებს, ისინი საზიანოც კი არის იმ რეგიონებისთვის, რომლებზეც უშუალოდ გადის ეს მაგისტრალი. დიდი რაოდენობით სატვირთო ავტომანქანების განუწყვეტელი მოძრაობის შედეგად ხდება გარემოზე დატვირთვის ზრდა. ფაქტობრივად, მაგისტრალიდან უახლოეს რადიუსში მიმდებარე ტერიტორიები ეკოლოგიურად საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება ავტომანქანების მიერ წარმოქმნილი გამონაბოლქვის გამო. გასაგებია, რომ ამ ადგილებში სახიფათო გახდება, როგორც დასახლება, ასევე სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება. ამიტომ, სახელმწიფომ აუცილებლად უნდა იზრუნოს ამ პრობლემაზეც და ეძებოს გამოსავალი, რომ რაც შეიძლება ნაკლები ზიანი იქნას მიყენებული ქვეყნის ეკოლოგიური მდგომარეობისთვის და განტვირთოს შექმნილი დაწოლა გარემოზე.

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების გარდა ქვეყნისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია წყალმომარაგებისა და წყალარინების პროექტები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია რეგიონულ განვითარებასთან. წყალმომარაგების გამართული სისტემა ხელს უწყობს როგორც რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, ასევე სოფლის მეურნეობის და ტურიზმის განვითარებას. ტურიზმის მხრივ წყალმომარაგების და საკანალიზაციო ქსელის მოწესრიგება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნის შავიზღვისპირეთის საკურორტო ქალაქებისთვის, რადგან ინფრასტრუქტურულად გაუმართავი კურორტები, ნაკლები პოპულარობით სარგებლობს კომფორტის მოყვარულ ტურისტებს შორის.

ამ თვალსაზრისით, ძალიან სავალალო მდგომარეობა იყო ქვეყნის მთავარ კურორტულ ქალაქ ბათუმში, სადაც ჩამდინარე წყლები პირდაპირ ზღვაში ჩაედინებოდა, რაც საფრთხეს უქმნიდა, როგორც გარემოს დაბინძურებას, ასევე ადამიანების ჯანმრთელობას. გარდა იმისა, რომ ბათუმის სანაპირო ზოლი პორტისგან გამოწვეული დაბინძურების გამო დიდი პოპულარობით ვერ სარგებლობს, ამას კიდევ ჩამდინარე წყლების პრობლემაც ემატებოდა. ამას გარდა, ხდებოდა სასმელი წყლის არასაკმარისი მიწოდება მოსახლეობისთვის. ამიტომაც, გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის მიერ, მოხდა საკრედიტო ხაზის გამოყოფა ქვეყნისთვის, რომელიც ითვალისწინებს სასმელი წყლით მომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაციას ბათუმსა და მის შემოგარენში. პროექტის ერთ-ერთ ფაზაში მოხდა ადლიის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის - ერთ-ერთი ურთულესი და მასშტაბური ობიექტის მშენებლობა, რომელსაც ეკოლოგიური თვალსაზრისით ანალოგი არ ჰყავს რეგიონში. აღნიშნული ნაგებობა 2012 წლიდან სრული დატვირთვით მოქმედებს და ძალიან დიდ გავლენას ახდენს რეგიონის ეკოლოგიურ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

ეკოლოგიური თვალსაზრისით არანაკლებ მნიშვნელოვანია მყარი ნარჩენების გადამუშავების საკითხი, რომელსაც ბოლო დროს მეტი ყურადღება ექცევა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ევროკავშირი-საქართველოს ასოცირებული შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს ნარჩენების მართვის კომპლექსური სისტემის დანერგვას და ნაგავსაყრელების სტანდარტების შემოღებას და მათი რაოდენობის შემცირებას. დაგეგმილია, ასევე, იმერეთში ახალი თანამედროვე რეგიონული სანიტარული ნაგავსაყრელის მშენებლობა, რომელიც იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მოსახლეობას მოხმარდება. იგივე აქტივობის განხორციელება დაგეგმილია ქვემო ქართლის რეგიონშიც.

საბოლოო ჯამში, რუკას თუ გადავხედავთ (იხ. დანართი, რუკა 3; 4; გრაფიკი 12; 13), ნათლად ჩანს, რომ რეგიონული განვითარების პროექტების განხორციელების მხრივ თვალსაჩინო დისპროპორცია შეინიშნება საქართველოს რეგიონებში. სწორედ იმ რეგიონებზე მოდის

ყველაზე დიდი დაფინანსება, რომლებზეც აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალი გადის.

იმერეთი პირველ ადგილზეა, როგორც განხორციელებული პროექტების რაოდენობით, ასევე პროექტების საერთო ღირებულებითაც. 2013-2016 წლებში განხორციელებულ ყველაზე მსხვილ პროექტებს განეკუთვნება:

- აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის, სამტრედია-გრიგოლეთის მონაკვეთის მშენებლობა, რომელზეც დაახლოებით 154 მილიონი ლარი დაიხარჯა;
- ქუთაისის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაცია - 87 მილიონი ლარი;
- შიდარეგიონული გზების რეაბილიტაცია, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების რეაბილიტაცია და ა.შ.

გრაფიკზე ჩანს, რომ იმერეთში პრიორიტეტულია ძირითადად საგზაო პროექტები (იხ. დანართი, გრაფიკი 14).

სამეგრელო-ზემო სვანეთში განხორციელებულ მასშტაბურ პროექტებს შორის აღსანიშნავია:

- წყალმომარაგებისა და წყალარინების სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლებიც განხორციელდა ანაკლიაში, ფოთში, მესტიაში, აბაშაში და სენაკში - 93,5 მილიონი ლარი;
- შიდარეგიონული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზები - 46 მილიონი ლარი;
- ზუგდიდსა და ფოთში იძულებით გადაადგილებულ პირთათვის სახლების მშენებლობა - 26 მილიონი ლარი

პროექტების ყველაზე დიდი წილი მოდის ზუგდიდის მუნიციპალიტეტზე (იხ. დანართი, გრაფიკი 15).

შიდა ქართლში განხორციელებული ყველაზე მასშტაბური პროექტი არის 105 მილიონი ლარის ღირებულების, აგარა-ზემო ოსიაურის გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია. ძირითად პროექტებს შორის გამოირჩევა შიდარეგიონული და სახელმწიფოებრივი გზების

მშენებლობა და შემდეგ წყალმომარაგებისა და წყალარინების რეაბილიტაციის პროექტები გორში, კასპში და ქარელში 10 მილიონი ლარის საერთო ღირებულებით.

მცხეთა-მთიანეთში 2013-2016 წლებში დახარჯული 140 მილიონი ლარიდან 128 მილიონი მოდის საგზაო პროექტებზე, დანარჩენი ნაწილდება წყალმომარაგებაზე, კულტურის ობიექტების რეაბილიტაციაზე, დასუფთავებაზე და ა.შ.

კახეთში ყველაზე დიდი ინფრასტრუქტურული სამუშაოები განხორციელდა წყალმომარაგების სექტორში, რამაც 34 მილიონი ლარი შეადგინა. სამუშაოები განხორციელდა სიღნაღში, ლაგოდეხში, გურჯაანში და ახმეტაში. 54,5 მილიონი ლარით მოხდა საგზაო პროექტების განხორციელება.

ქვემო ქართლი - 92 მილიონი ლარის საგზაო პროექტები განხორციელდა, რომელთაგან მნიშვნელოვანია რუსთავი-თბილისის გზატკეცილის მშენებლობის პროექტი. მნიშვნელოვანია ბოლნისის, წალკის და თეთრიწყაროს წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია.

ყველაზე ნაკლები პროექტების რაოდენობა და, შესაბამისად, დახარჯული თანხების მოცულობაც მოდის გურიაზე, სამცხე-ჯავახეთზე და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთზე.

გურია ერთადერთი რეგიონია, სადაც წყალმომარაგებაზე დახარჯული თანხები აჭარბებს საგზაო ინფრასტრუქტურაზე დახარჯულ თანხას, თანაც ორჯერ.

სამცხე-ჯავახეთის მშენებლობა-რეაბილიტაციაზე მოდის 30 მილიონი ლარი, ხოლო წყლამომარაგებაზე, დასუფთავებაზე და შენობების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე 12 მილიონი ლარი ერთად.

რაჭა-ლეჩხუმში-ქვემო სვანეთში 2013-2016 წლებში განხორციელებულ პროექტებს შორის ყველაზე მსხვილია ქუთაისი-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლასდილის გზის რეაბილიტაცია, რომელიც თითქმის 7 მილიონი ლარის ღირებულების იყო. წყალმომარაგების, დასუფთავების და ნაპირსამაგრის სამუშაოები ჯამში 3 მილიონი ლარის ოდენობით შემოიფარგლება.

ამგვარად, ეს მოკლე აღწერა გვიჩვენებს იმ საერთო სურათს, რომელიც ამჟამად რეგიონული განვითარების მხრივ შეინიშნება საქართველოში. სახეზეა დეპრესიული რეგიონების არსებობა, რომელთა განვითარებაზე აუცილებლად უნდა იზრუნოს სახელმწიფომ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2017 წლის დასაწყისში, მთავრობის მიერ წარდგენილი იქნა სივრცითი დაგეგმარების ოთხპუნქტიანი გეგმა, რომელიც 2017-2020 წლების დიაპაზონზე ვრცელდება. გეგმის მიხედვით საქართველოში მოხდება 9 მილიარდი ლარის ოდენობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. გასაგებია, რომ საქართველოს ბიუჯეტიდან 9 მილიარდი მხოლოდ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, ფიზიკურად ვერ დაიხარჯება, ამიტომ დაგეგმილია დონორი ორგანიზაციების დაფინანსებების მოპოვება. დაგეგმილ პროექტებს შორის არის:

1000 კმ-მდე 3,5 მილიარდი დოლარის ღირებულების საავტომობილო გზების მშენებლობა-რეკონსტრუქცია, რომელშიც იგულისხმება აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის მშენებლობის გაგრძელება. ამას გარდა დაგეგმილია ხიდების, გვირაბების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა. დაგეგმილია 24-საათიანი წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა, რომელიც 1.5 მილიონ ადამიანს მოემსახურება მთელი საქართველოს მასშტაბით, და 7 ახალი ევროსტანდარტების შესაბამისი რეგიონული ნაგავსაყრელების მშენებლობა.

თუ ამ პროექტის ყველა პუნქტი გეგმის მიხედვით შესრულდება, ის საგრძნობლად აამაღლებს რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობას. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ არ მოხდეს ამ სარეაბილიტაციო სამუშაოების მხოლოდ რამდენიმე რეგიონში კონცენტრირება და საქართველოს ყველა რეგიონი თანაბრად იქნას განვითარებული.

ქვემოთ შევეცდები დეტალურად განვიხილო თითოეული მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელიც უახლოეს პერიოდში განხორციელდა, ხორცილდება ან უბრალოდ დაგეგმილია. ასევე, მიმოხილულია საქართველოს მნიშვნელოვანი პარტნიორები და

დონორი ორგანიზაციები, რომლებიც თანამშრომლობენ ქვეყანასთან რეგიონული განვითარების საკითხებში და მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ მას.

2.5 საერთაშორისო ხელშეკრულებები და დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტები

ქვემოთ აღწერილია ის ძირითადი დონორი ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოსთან მჭიდროდ თანამშრომლობენ და ხელს უწყობენ საქართველოს რეგიონულ განვითარებას. ჩამოთვლილია ის უმსხვილესი ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც ბოლო წლების განმავლობაში განხორციელდა ან ჯერ კიდევ მიმდინარეობს, საერთაშორისო ინსტიტუტების ფინანსური დახმარებების ხარჯზე (იხ. დანართი, გრაფიკი 17).

2.5.1 ევროკავშირი (EU)

საქართველო-ევროკავშირის საქმიანი ურთიერთობა დაიწყო 1995, როდესაც თბილისში გაიხსნა ევროკომისიის წარმომადგენლობა. 2007-2013 წლებში საქართველოსთვის ევროკავშირის მიერ გამოიყო 452 მილიონი ევროს ოდენობის დახმარება (2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა, 2017, გვ. 47).

2.5.1.1 საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმება

ევროკავშირთან ურთიერთობაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თარიღია 2014 წლის 27 ივნისი, როდესაც ერთის მხრივ, ევროკავშირსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის ხელმოწერილ იქნა ასოცირების ხელშეკრულება და, ასევე, ხელშეკრულება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ზონის შესახებ (DCFTA).

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებაში მნიშვნელოვანია - კარი VI, თავი 21 (იხ. დანართი 1), რეგიონული განვითარება, თანამშრომლობა

საზღვრისპირა და რეგიონულ დონეზე, სადაც არაერთხელ ესმება ხაზი ქვეყანაში ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერებას და მმართველობის დეცენტრალიზაციის ხელშეწყობას. მნიშვნელოვანია თვითმმართველობებმა მეტი ფინანსური დამოუკიდებლობა მოიპოვონ, შეძლონ დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება და გათავისუფლდნენ ცენტრის „მარწუხებისგან“.

ამ ამოცანების და მიზნების შესასრულებლად 2014 წელს საქართველოს მთავრობამ შექმნა რეგიონული განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის კომისია, რომლის ფუნქციაა, შემუშავებული სტრატეგიის განხორციელების კოორდინაცია. აღნიშნული კომისიის კომპეტენციაში შედის:

- საქართველოს რეგიონული განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობა;
- საქართველოს რეგიონული განვითარების კონცეფციის შემუშავება და შესრულების კოორდინაცია;
- საქართველოს რეგიონული განვითარების პროცესის უწყებათაშორისი კოორდინაცია;
- ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების მიზნით, ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის დაგეგმვისა და განხორციელების ხელშეწყობა;
- წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება მართვის სისტემის ოპტიმიზაციის, ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებათა გამიჯვნისა და გადანაწილების, ამ მიმართულებით ადგილობრივ სოციალურ და საფინანსო-ეკონომიკურ სფეროებში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. (საქართველოს მთვარობის დადგენილება #604, 2014 წლის 30 ოქტომბერი, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ).

ევროკავშირთან ასოცირების ფარგლებში საქართველომ უნდა გააძლიეროს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში არსებული კურსი. ქვეყანამ უნდა შექმნას ერთმანეთთან თანხვედრაში მყოფი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული განვითარების სტრატეგიები და პროგრამები, რომლებიც მხოლოდ ფორმალურ ხასიათის მატარებლები არ იქნება. უნდა შეიქმნას მუნიციპალური მომსახურების სტანდარტები და გაიზარდოს ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსური შესაძლებლობები, რომლებიც ადეკვატური იქნება საკუთარი ფუნქციების შესრულებასთან. ამას გარდა, აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზება ევროკავშირის კანონმდებლობასთან, აუცილებელია, მოხდეს დარგობრივი კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა ახალ რეალობასთან.

ინსტიტუციურად რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო წარმოადგენს რეგიონული განვითარების სტრატეგიაზე ევროკავშირთან პარტნიორს.

ევროკავშირი აქტიურად უწევს დახმარებას საქართველოს სამეზობლო ინვესტირების ფონდიდან (NIF). აღნიშნული ფონდი წარმოადგენს ფინანსურ მექანიზმს, რომელიც ახორციელებს მსხვილ, დიდი კაპიტალდაბანდების მომთხოვნი ინფრასტრუქტურულ პროექტებს. ეს მექანიზმი გამოიყენება ევროკავშირის პარტნიორ ქვეყნებში, რომლებიც წარმოადგენენ ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ნაწილს.

დახმარების მექანიზმი მოიცავს:

- ევროკომისიის და ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ გაცემულ გრანტებს;
- ევროპული საჯარო საფინანსო ინსტიტუტების მიერ გაცემულ სესხებს
- უშუალოდ პარტნიორი ქვეყნების ფინანსურ მონაწილეობას (ევროკავშირი-საქართველო: მოკლე მიმოხილვა).

ევროკავშირის სამეზობლო ინვესტირების ფონდის დახმარებით განხორციელებული და მიმდინარე უმსხვილესი ინფრასტრუქტურული პროექტები საქართველოში (2010 წლიდან დღემდე): (იხ. დანართი, გრაფიკი 18)

1. *წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი:*

პროექტი მიმართულია წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემების რიგ საინვესტიციო სქემებზე. ის უფრო კონკრეტულად განიხილავს სოციალურ და ეკოლოგიურ მიზნებს უსაფრთხო წყლის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებით და გარემოს დაცვის ხელშეწყობით.

EU-NIF-ის ფარგლებში გამოყოფილი გრანტი:

პროექტი I – 4 მილიონი ევრო

პროექტი II – 8 მილიონი ევრო

2. *ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია - ფაზა III (წყლის მიწოდება და წყალარინება ბათუმსა და მის მიმდებარე სოფლებში):*

პროექტის მიზანია ბათუმსა და მის მიმდებარე სოფლებში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია ჩამდინარე წყლების გასუფთავების, წყალმომარაგების, საკანალიზაციო სისტემების გაუმჯობესების მიზნით.

EU-NIF-ის ფარგლებში გამოყოფილი გრანტი:

4,2 მილიონი ევრო + 4 მილიონი ევრო

3. *მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვა სამხრეთ კავკასიაში*

პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს მყარი ნარჩენების სწორ მართვას, რომელიც ზიანს არ მიაყენებს გარემოს. საქართველოში გათვალისწინებულია ნაგვის გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობა ქუთაისში და არსებული ნაგავსაყრელის დახურვა.

EU-NIF-ის ფარგლებში გამოყოფილი გრანტი:

6 მილიონი ევრო

4. *აღმოსავლეთ-დასავლეთის გზატკეცილის, სამტრედია-გრიგოლეთი-ქობულეთის მონაკვეთის მშენებლობა*

საგზაო ქსელის გაუმჯობესება გავლენას ახდენს მეზობელ ქვეყნებთან ვაჭრობაზე და ტურიზმის განვითარებაზე, რაც, თავის მხრივ, პირდაპირ აისახება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. ამიტომაც, ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია აღმოსავლეთ-დასავლეთის გზატკეცილის მშენებლობა და ჩრდილოეთ-სამხრეთის გზის გაუმჯობესება. რადგანაც, სახელმწიფოს არ გააჩნია საკმარისი რესურსები ამ ფართომასშტაბიანი პროექტის განსახორციელებლად, სხვადასხვა საერთაშირისო ინსტიტუტები ხელს უწყობენ მას ფინანსური დახმარებების სახით.

EU-NIF-ის ფარგლებში გამოყოფილი გრანტი:

20 მილიონი ევრო

2.5.2 ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB) (იხ. დანართი, გრაფიკი 19).

ევროპის საინვესტიციო ბანკმა საქართველოში ინფრასტრუქტურული და სხვა სახის პროექტების განხორციელება დაიწყო 2010 წლიდან და, დღეისთვის, ბანკის საერთო დახმარება საქართველოსთვის დაახლოებით 500 მილიონ ევროს შეადგენს. დახმარება ითვალისწინებს, როგორც გრანტებს, ასევე შეღავათიან სესხებს.

განხორციელებული პროექტები და მიმდინარე პროექტები (იხ. დანართი, ცხრილი 2)

2.5.3 ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი მნიშვნელოვანი პარტნიორია საქართველოსთვის და აფინანსებს როგორც საჯარო სექტორის, ასევე კერძო სექტორების

პროექტებს. დღეის მდგომარეობით ბანკმა განახორციელა 205 პროექტი საქართველოში 2.9 მილიარდ ევროზე მეტი ინვესტიციით. (იხ. დანართი, გრაფიკი 20)

განხორციელებული პროექტები:[2] (იხ. დანართი, გრაფიკი 21)

1. *საქართველოს მყარი ნარჩენების პროექტი*

2016 წელს საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმად ბანკი მყარი ნარჩენების პროექტის განსახორციელებლად გამოყოფს 10 მილიონი ევროს ოდენობის სუვერენულ სესხს და 2 მილიონ ევროს გრანტის სახით. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია მყარი ნარჩენების შემგროვებელი მანქანებისა და კონტეინერების შეძენა ქვეყნის 64 მუნიციპალიტეტისთვის. პროექტის ჯამური ღირებულება შეადგენს 18.6 მილიონ ევროს, აქედან 5 მილიონი ევრო საერთაშირისო დონორი სააგენტოების მიერ გამოყოფილი საგრანტო თანადაფინანსება და 3.6 მილიონი ევრო - საქართველოს მთავრობის თანამონაწილეობა პროექტში.

2. *ქობულეთის წყალარინების პროექტი*

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა გამოყო 1,5 მილიონი ევრო, რომელიც მიმართულია ქობულეთის საკანალიზაციო, ჩამდინარე წყლების ნაგებობის სრულყოფილად ფუნქციონირებისთვის საჭირო ღონისძიებების დაფინანსებისთვის. პროექტი 2008 წელს დაიწყო და მისი დასრულება 2018 წელს არის დაგეგმილი. EBRD-ის გარდა პროექტში წვლილი შეიტანა 1,8 მილიონი ევროს ოდენობის გრანტის სახით ჰოლანდიის მთავრობამ (ORET), რომელიც მოხმარდება შექმნილი ნაგებობის დიზაინს, მოწყობილობების შეძენას და მათ მონტაჟს.

ისეთი ტურისტულად მნიშვნელოვანი ქალაქებისთვის, როგორც ქობულეთია, აუცილებელია ასეთი ტიპის ინფრასტრუქტურული პროექტების მოწყობა, რომელიც არამარტო ადგილობრივი მოსახლეობისთვის იქნება სასარგებლო, არამედ მეტი ტურისტის

[2] მთლიანი ინფორმაცია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ მიღებულია ორგანიზაციის ვებ-გვერდიდან: The EBRD in Georgia http://www.ebrd.com/georgia.html

მოზიდვის საშუალებასაც შექმნის. გასაგებია, რომ ინფრასტრუქტურულად გაუმართავი კურორტები, ნაკლები პოპულარობით სარგებლობს კომფორტის მოყვარულ ტურისტებს შორის.

3. აჭარის მყარი ნარჩენების პროექტი

აჭარის მყარი ნარჩენების მართვის პროექტი ხორციელდება შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ. პროექტის მიზანია აჭარაში, კერძოდ ქობულეთში, სოფელ ცეცხლაურთან, შექმნას თანამედროვე ტიპის ნაგავსაყრელი და შემდეგ დახუროს ბათუმის არსებული ნაგავსაყრელი. პროექტი მნიშვნელოვანია როგორც ეკოლოგიური, ასევე სოციალური და ტურისტული თვალსაზრისითაც.

თუმცა, მიუხედავად იმისა რომ პროექტს 2015 წელს მოეწერა ხელი და უკვე მიმდინარე ფაზაში უნდა იყოს, პროექტი კიდევ არ არის დაწყებული. 2017 წლის თებერვალში გამოცხადდა ტენდერი, თუმცა შემდეგ არანაირი ნაბიჯები არ განხორციელებულა და საერთოდაც აჭარის ეკონომიკის სამინისტროს მიერ შექმნილ შპს-ს რომელიც ამ პროექტს კურირებდა, აბრალებენ თანხების მითვისებაში. პროექტით უკმაყოფილო ადგილობრივი მოსახლეობაც არის, რომელთა საცხოვრებელი ტერიტორიები მოექცა სწორედ ნაგავსაყრელის განთავსების ადგილზე. ამიტომაც მოსახლეობა დაუყოვნებლივ ითხოვს პროექტის გაუქმებას ან სხვა ადგილზე გადატანას.

ბუნებრივია, მსგავსი პროექტების განხორცილება აუცილებელია რეგიონული განვითარებისათვის, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს რეგიონში მაცხოვრებელი მოსახლეობის ინტერესების უგულვებელყოფით.

4. ქვემო ქართლის მყარი ნარჩენების პროექტი

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ქვემო ქართლის რეგიონში, კერძოდ მარნეულში, თანამედროვე სტანდარტების ნაგავსაყრელის მშენებლობა, რომელიც პროექტში მონაწილე

5 მუნიციპალიტეტს მოემსახურება. ესენია: მარნეული, ბოლნისი, დმანისი, წალკა, თეთრიწყარო. მოხდება ასევე ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ტექნიკის შეძენა, მაგალითად, მანქანა-დანადგარების, ნაგვის კონტეინერების და ა.შ. პროექტის განსახორციელებლად ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი გამოყოფს 7 მილიონი ევროს ოდენობის სახელმწიფო სესხს საქართველოსთვის, რომელსაც სახელმწიფო შემდგომ გადაანაწილებს პროექტში მონაწილე 5 მუნიციპალიტეტსა და შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“-ს შორის. ამას გარდა, აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (SIDA) გამოყოფს გრანტის სახით 3 მილიონ ევროს. საბოლოოდ, ნაგავსაყრელის გარდა, აღნიშნული მუნიციპალიტეტები მიიღებენ სპეციალიზირებულ მანქანებს, კონტეინერებსა და სხვა აღჭურვილობას. პროექტი მიმდინარეა და მისი დასრულება 2018 წელს არის დაგეგმილი.

5. მდინარე დებედაზე ხიდის მშენებლობის პროექტი

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი გამოყოფს სესხს, რათა დაიწყოს სამშენებლო აქტივობები საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკის საზღვარზე არსებული სადახლო-ბაგრატაშენის ახალი ხიდის მშენებლობისთვის. ქვეყნებს შორის არსებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და გამშვები პუნქტების მდგომარეობა სერიოზულ ბარიერს უქმნის რეგიონულ მიმოსვლას.

ხელშეკრულების მიხედვით, EBRD-ის მიერ გამოყოფილი თანხა სომხეთის რესპუბლიკისთვის შეადგენს 10,3 მილიონ ევროს, ხოლო საქართველოს სამთავრობო სესხი- 6 მილიონ ევროს. პროექტი ითვალისწინებს თანამონაწილეობას.

ქვეყნებს შორის არსებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა ამჟამად და გამშვები პუნქტების მდგომარეობა სერიოზულ ბარიერს უქმნის რეგიონულ მიმოსვლას. ამ პროექტის განხორციელება კი მისცემს საშუალებას მოსახლეობას, რომ გადაადგილდეს თავისუფლად კომფოტული და თანამედროვე ხიდის მეშვეობით. ეს, ბუნებრივია, ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის როგორც სავაჭრო ურთიერთობების გამყარებას, ასევე ტურისტული და სხვა სახის მიმოსვლების მეტად გააქტიურებას.

2.5.4 მსოფლიო ბანკი

1995 წლიდან მსოფლიო ბანკი წარმოადგენს საქართველოსთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პარტნიორს განვითარების მხრივ. თანამშრომლობის დაწყებიდან მსოფლიო ბანკის საქართველოში მიერ განხორციელდა დაახლოებით 96 პროექტი, რომელთა საერთო ღირებულება დაახლოებით 2 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს (იხ. დანართი, გრაფიკი 22).

ყველაზე მსხვილი განხორციელებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები მსოფლიო ბანკის დაფინანსებით:[3] (იხ. დანართი, გრაფიკი 23)

1. *აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალის გაუმჯობესების პროექტი*

პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს საგზაო ტრასპორტირების ხარჯების შემცირებას და წვდომის გაუმჯობესებას, ასევე, ტრანზიტის გაიოლებას და უსაფრთხოებას ზრდას საქართველოს აღმოსავლეთ-დასავლეთის დერეფნის ცენტრალური ნაწილის გასწვრივ. (მსოფლიო ბანკისა და საქართველოს თანამშრომლობის მოკლე მიმოხილვა, 2012).

პროექტი 2006 წელს დაიწყო და ჯერ კიდევ მიმდინარეობის პროცესშია. მისი საერთო ღირებულება შეადგენს დაახლოებით 507 მილიონ აშშ დოლარს, ხოლო მსოფლიო ბანკის მიერ გაცემული შეღავათიანი სესხის ოდენობა - 369 მილიონ აშშ დოლარს. საქართველოც, თავის მხრივ, შედის გარკვეული ფინანსური თანამონაწილეობით ამ პროექტში და, ამას გარდა, ხდება დონორი ორგანიზაციების მიერ სხვადასხვა ოდენობის გრანტების გამოყოფა.

განმახორციელებელი უწყებები:

პროექტის პოლიტიკის განსაზღვრებას ახდენს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო. პროექტის უშუალოდ განხორციელება ევალება

[3] მთლიანი ინფორმაცია მსოფლიო ბანკის მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ მიღებულია ვებ-გვერდიდან: The World Bank, Projects & Operations
http://projects.worldbank.org/search?lang=en&searchTerm=georgia

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებას - საავტომობილო გზების დეპარტამენტს, ხოლო პროექტის ფინანსური მართვისა და დაფინანსების გამოყოფის ფუნქცია აკისრია ტრანსპორტის რეფორმის და რეაბილიტაციის ცენტრს (TRRC).

პროექტის ძირითადი პარტნიორები:

- იაპონიის თანამშრომლობის სააგენტო (JICA)
- აზიის განვითარების ბანკი (ADB)
- რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD)
- ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია (MCC)
- ქუვეითის ფონდი (Kuwait Fund)
- ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)

აღნიშნული საერთაშორისო ორგანიზაციები გრანტების სახით გამოყოფენ ფინანსურ დახმარებას საქართველოს საგზაო ქსელის განვითარებისთვის. (მსოფლიო ბანკისა და საქართველოს თანამშრომლობის მოკლე მიმოხილვა, 2012).

- აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალის გაუმჯობესების პირველი პროექტი

პროექტის ფარგლებში მოხდა აღაიანიდან იგოეთამდე E60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (კმ43 - კმ80) 13 კილომეტრიანი ორზოლიანი მონაკვეთის ოთხზოლიანად გარდაქმნა და რეაბილიტაცია. აღნიშნული პროექტის საერთო ღირებულებამ შეადგინა 65 მილიონი აშშ დოლარი, ხოლო მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილმა სესხმა - 48 მილიონი აშშ დოლარი. 2009 წელს პროექტის ფარგლებში გამოიყო დამატებითი დაფინანსება რიკოთის გვირაბის რეაბილიტაციის საწყისი პროექტის და შემოვლითი გზის შესაკეთებლად. საქართველოს თანამონაწილეობა შეადგენს 9 მილიონ აშშ დოლარზე მეტს. პროექტი 2006 წელს დაიწყო და 2013-ში დასრულდა.

- აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალის გაუმჯობესების მეორე პროექტი

ეს პროექტიც მიმართული იყო აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის გაუმჯობესებაზე, კერძოდ თბილისი-რიკოთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციაზე. 2007 წელს მსოფლიო ბანკა საქართველოს გამოუყო 35 მილიონი აშშ დოლარის სესხი, ხოლო 2008 წელს მოხდა დამატებითი დაფინანსება, რომელიც 20 მილიონ აშშ დოლარის ოდენობის სესხს ითვალისწინებდა. საბოლოო ჯამში პროექტის ღირებულებამ 110 მილიონი დოლარი შეადგინა და 2012 წელს იქნა დასრულებული.

- აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალის გაუმჯობესების მესამე პროექტი

აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს E60 ჩქაროსნული მაგისტრალის სვენეთი-რიკოთის მონაკვეთის მოდერნიზაცია-მშენებლობას. პროექტის განხორციელება დაიწყო 2009 წელს და მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილმა შეღავათიანმა სესხმა შეადგინა 147 მილიონი აშშ დოლარი. 2012 წელს დამატებით დაფინანსების სახით მსოფლიო ბანკმა ქვეყანას კიდევ 43 მილიონი აშშ დოლარი გამოუყო. 2016 წელს დასრულებულმა ამ პროექტმა დაახლოებით 240 აშშ დოლარი შეადგინა.

- აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტი

ეს არის მიმდინარე პროექტი, რომლის დასრულება 2018 წელს არის დაგეგმილი. პროექტის ფარგლებში უნდა განხორციელდეს:

  - აგარა-ზემო ოსიაურის 12 კილომეტრიან მონაკვეთზე ავტომაგისტრალის მშენებლობა; (2017 წლის 12 ივლისს სრულდება)
  - დაახლოებით 3,4 კმ სიგრძის ნაპირსამაგრი ნაგებობის მშენებლობა;
  - რიკოთი-ზესტაფონის მონაკვეთზე ახალი ავტომაგისტრალის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა (მათ შორის რიკოთის მეორე გვირაბი).

პროექტი 2013 წელს დასრულდა და მის განსახორციელებლად 75 მილიონი აშშ დოლარია გამოყოფილი მსოფლიო ბანკის მიერ. საერთო ხარჯები კი დაახლოებით 94 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს.

- აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის დერეფნის გაუმჯობესების პროექტი (ზემო ოსიაური-რიკოთი)

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია:

- ❖ ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის დაახლეობით 14,1 კილომეტრიან მონაკვეთზე ავტომაგისტრალის მშენებლობა
- ❖ საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინსტიტუციონალური განვითარება
- ❖ საქართველოს ეკონომიკისა და მდგარი განვითარების სამინისტროსათვის ტექნიკური დახმარების გაწევა ლოგისტიკური ცენტრების იდენტიფიკაციის მიზნით ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის მომზადებასთან დაკავშირებით
- ❖ საგზაო ქსელების განვითარების მიზნით მომავალი საინვესტიციო პროექტების დეტალური ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მომზადება (სახელმწიფო ბიუჯეტში ასახული დონორების მხარდაჭერით დაფინანსებული პროგრამები და პროექტები 2017 წლის 30 აპრილის მდგომარეობით).

პროექტი დაიწყო 2016 წელს და 2020 წელს იგეგმება მისი დასრულება. მსოფლიო ბანკმა პროექტის განსახორციელებლად გამოყო 140 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სესხი. ასევე ევროპის საინვესტიციო ბანკმა საქართველოს გაუწია ფინანსური დახმარება 49,450 მილიონი ევროს ოდენობით. საქართველოს თანამონაწილეობამ 37 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა და ჯამში პროექტზე დაიხარჯება 184 მილიონი აშშ დოლარი.

2. შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტი

აღნიშნულ პროექტს ხელი მოეწერა 2016 წელს და ამჟამად მიმდინარეობს მისი დაგეგმვა და სატენდერო პროცედურები. პროექტის ფარგლებში მსოფლიო ბანკის მიერ გამოიყო 40 მილიონი აშშ დოლარის სესხი, რომელიც მოხმარდება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში

შიდასახელმწიფოებრივი გზების რეაბილიტაციას, მშენებლობას და მოვლა/შენახვის პროცედურებს. აღნიშნული პროექტის ფარგლებში უნდა მოხდეს გურიის, მცხეთა-მთიანეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და შიდა ქართლის რეგიონების შიდასახელმწიფოებრივი გზების მონაკვეთების რეაბილიტაცია.

პროექტი დასრულდება 2021 წელს და მისი ჯამური ღირებულება 48 მილიონ აშშ დოლარს მოიცავს.

ძირითადი პარტნიორები:

- იაპონიის თანამშრომლობის სააგენტო (JICA)
- აზიის განვითარების ბანკი (ADB)
- რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD)
- ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია (MCC)
- ქუვეითის ფონდი (Kuwait Fund)
- ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)

აღნიშნული პროექტის მიზანია ტრანსპორტირების შესაძლებლობის გაუმჯობესება და მგზავრობის დროის შემცირება შიდასახელმწიფოებრივ და ადგილობრივ გზებზე, რაც გამოიწვევს სატრანსპორტო ხარჯების შემცირებას. შედეგად შემცირდება სოფლის მეურნეობის პროდუქტების ღირებულება და იზრდება მისი კონკურენტუნარიანობა. ასევე, გაიზრდება ტურისტების ნაკადიც, რადგან ქვეყნის ერთი ნაწილიდან მეორეში მოკლე ვადაში და მოწესრიგებულ გზაზე გადაადგილება ბევრად მოსახერხებელია, როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი ტურისტისთვის. ამგვარად, აღნიშნული პროექტი ხელს უწყობს როგორც სოფლის მეურნეობის განვითარებას, ასევე ტურიზმის სფეროს.

- შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მეორე პროექტი

მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი 70 მილიონიანი (აშშ დოლარი) პროექტის ფარგლებში დაგეგმილია საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, დაახლოებით 225 კმ სიგრძის,

შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების რეაბილიტაცია. პროექტი უკვე მიმდინარეობს და დასრულება დაგეგმილია 2019 წლისთვის. გამოყოფილი სესხიდან IDA-ს კრედიტი შეადგენს 40 მილიონ აშშ დოლარს, ხოლო IBRD-ის სესხი - 30 მილიონ აშშ დოლარს. საქართველოს მთავრობის თანამონაწილეობა17,5 მილიონი აშშ დოლარით განისაზღვრება.

- შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტი

აღნიშნული პროექტის ფარგლებში იგეგმება საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, დაახლოებით 200 კმ სიგრძის, შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების რეაბილიტაცია. პროექტი 2014 წელს დაიწყო და 2018 წლამდე გაგრძელდება. მსოფლიო ბანკის სესხი საქართველოსთვის შეადგენს 75 მილიონ აშშ დოლარს.

ამას გარდა, მსოფლიო ბანკმა 2009 წელს, შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების ორივე პროექტზე გამოყო დამატებითი დაფინანსება 70 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით, რის შედეგად მსოფლიო ბანკის მიერ ამ პროექტისთვის გამოყოფილმა სესხმა ჯამურად 215 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

3. რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი

პროექტის მიზანია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში უზრუნველყოს მცირე ზომის ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც ეხება გზების, წყალსადენის, კანალიზაციის სისტემების და ქუჩების რეაბილიტაციას. ასევე პროექტით დაგეგმილია საქართველოში კონფლიქტების შედეგად დაზარალებული ადამიანებისთვის ინფრასტრუქტურის, მომსახურების და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.

პროექტის ძირითადი პარტნიორები, რომლებიც აფინანსებენ ან ტექნიკურ დახმარებას უწევენ საქართველოს მუნიციპალურ სექტორს:

- აზიის განვითარების ბანკი (ADB)
- ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)
- ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)

- აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID)
- ქალაქთა თანამშრომლობის პროგრამა
- UNCHR
- GIZ
- KfW

მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილმა სესხმა შეადგინა 40 მილიონი აშშ დოლარი, ხოლო საქართველოს თანამონაწილეობა აღნიშნულ პროექტში 25 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ პროექტი 2014 წლიდან დასრულებულად ითვლება, არანაირი ანგარიში მის შესრულებაზე ინტერნეტ სივრცეში არ მოიპოვება.

- რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტი

რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტი 2014 წელს დაიწყო და 2019 წელს გაგრძელდება. მსოფლიო ბანკმა მისთვის 30 მილიონი აშშ დოლარი გამოყო.

4. *რეგიონული განვითარების პროექტი I ნაწილი (კახეთი)*

პროექტი დაწყებულია 2012 წელს და სრულდება 2017 წლის 31 დეკემბერს. მსოფლიო ბანკმა საქართველოს 60 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის კრედიტი გამოუყო 25 წლის ვადით, რომელიც კახეთის რეგიონულ განვითარებას ხმარდება. საქართველოს თანამონაწილეობა შეადგენს 15 მილიონ აშშ დოლარს.

უკვე განხორციელებულ და მიმდინარე აქტივობებს შორის არის:

1) თელავში, ყვარელში და ახმეტაში მუნიციპალური და კომუნალური ინფრასტრუქტურის და ისტორიული უბნების რეაბილიტაცია
2) კახეთის მასშტაბით კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კეთილმოწყობა
3) კერძო სექტორის ხელშეწყობა ტურიზმის და სოფლის მეურნეობის სექტორში (დასრულდა) (სახელმწიფო ბიუჯეტში ასახული დონორების მხარდაჭერით

დაფინანსებული პროგრამები და პროექტები 2017 წლის 30 აპრილის მდგომარეობით).

ძირითადი პარტნიორები:

- აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID)
- ევროკავშირი (EU)
- შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SIDA)
- შვეიცარიის თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტო (SDC)
- GIZ

შედეგად, მოხდება საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის ხარისხის გაუმჯობესება, რეგიონში კერძო ინვესტიციების მოცულობის გაზრდა და აღდგენილი კულტურული ძეგლების ადგილებში სავაჭრო ობიექტების რაოდენობის ზრდა. ეს ყველაფერი, ბუნებრივია, სარგებელს მოუტანს, როგორც კახეთის ადგილობრივ მოსახლეობას, ასევე ტურისტებს. ყველაფერი ზემოაღნიშნული კი პოზიტიურ გავლენას იქონიებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე.

- რეგიონული განვითარების პროექტი II ნაწილი (იმერეთი)

აღნიშნული პროექტის მეორე ნაწილის მიზანია:

1) იმერეთის რეგიონში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კეთილმოწყობა;
2) იმერეთში, კერძოდ წყალტუბოში, ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია

პროექტისთვის გამოყოფილი იქნა 30 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სესხი, ხოლო მოგვიანებით, 2016 წელს, პროექტს კიდევ დაემატა 9 მილიონი აშშ დოლარით დაფინანსება.

- რეგიონული განვითარების პროექტი III ნაწილი (მცხეთა-მთიანეთი და სამცხე ჯავახეთი)

პროექტის ამ ნაწილის მიზანია მცხეთა-მთიანეთში და სამცხე ჯავახეთში ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების

მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა. პროექტის სტატუსი - მიმდინარე, დასრულების ვადა - 2019 წელი, მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი სესხი - 60 მილიონი აშშ დოლარი, პროექტის საერთო ღირებულება - 75 მილიონი აშშ დოლარი.

5. *კახეთის რეგიონული გზების კეთილმოწყობის პროექტი*

პროექტის მიზანია კახეთის გზებზე ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების გაზრდა, ტრანსპორტით გადაადგილების ხარჯების შემცირება და წვდომის გაუმჯობესება.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა:

1) ვაზიანი-გომბორი-თელავის 65 კმ-იანი გზის რეაბილიტაცია;
2) ვაზიანი-საგარეჯო-ბაკურციხე-გურჯაანი-თელავის გზაზე ტრანსპორტის გადაადგილების უსაფრთხოების ასამაღლებელი ღონისძიებები;
3) საგარეჯოს რეგიონული ოფისის გზების დეპარტამენტის რეგიონული ოფისის საოპერაციო ეფექტიანობის გაძლიერება.

ამ პროექტით, გზების აღნიშნულ მონაკვეთებზე მგზავრობისთვის საჭირო დროის შემცირება მოხდა 120-დან 55 წუთამდე, რამაც სატრანსპორტო საშუალებების ხარჯები დაახლოებით 30%-ით და საგზაო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემების შემცირება გამოიწვია.

მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი სესხი შეადგენს 30 მილიონ აშშ დოლარს, ხოლო საქართველოს მთავრობის თანამონაწილეობა 7,5 მილიონ აშშ დოლარს.

ასევე პროექტის პარტნიორები არიან:

- იაპონიის თანამშრომლობის სააგენტო (JICA)
- აზიის განვითარების ბანკი (ADB)
- რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD)
- ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია (MCC)
- ქუვეითის ფონდი (Kuwait Fund)
- ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)

2.5.5 აზიის განვითარების ბანკი (ADB)

ADB საქართველოს ერთ-ერთი მრავალმხრივი და უმსხვილესი პარტნიორია, რომელსაც 2007 წლიდან 2.1 მილიარდ დოლარზე მეტი აქვს დამტკიცებული განვითარების ხელშეწყობისთვის.

საქართველოში განვითარების მთავარი პრიორიტეტები ADB-ისათვის არის ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სიღარიბის დაჩქარებული ტემპებით შემცირება და რეგიონული კავშირების ზრდა. ქვეყანასთან თანამშრომლობის სტრატეგიიდან გამომდინარე, საქართველოსთვის პრიორიტეტული მნიშვნელობის დარგები მოიცავს ტრანსპორტს, წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემებს, ენერგეტიკას, საჯარო სექტორის მართვასა და ფინანსებს.

აზიის განვითარების ბანკი (ADB) საქართველოს მთავრობას 2007 წლიდან ეხმარება და საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი მრავალმხრივი პარტნიორია. საქართველოსთვის გამოყოფილი სუვერენული სესხების საერთო მოცულობა $1.6 მილიარდს შეადგენს- $850 მილიონი აზიის განვითარების შეღავათიანი ფონდიდან (ADF), ხოლო $736 მილიონი - ჩვეულებრივი კაპიტალური რესურსებიდან (OCR). არა-სუვერენული სესხების ოდენობა $330 მილიონს შეადენს.

OCR-ის და ADF-ის სახსრებიდან საქართველოს მიერ სესხების სახით ათვისებული კუმულატიური თანხების ოდენობამ შეადგინა $976.7 მილიონი.

ADB-ის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტები და პროგრამები

ADB-ის დახმარება საქართველოსადმი გაძლიერდა 2008 წლის გლობალური ეკონომიკური კრიზისის შემდეგ. 2008-2015 წლებში ADB-მა გააფართოვა მთავრობისადმი საბიუჯეტო დახმარება $400 მლნ საერთო ღირებულების ხუთი პროგრამული სესხის მეშვეობით (აზიის განვითარების ბანკი, ფაქტობრივი ინფორმაცია, 2017).

ADB-ის მიერ საქართველოში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები: (იხ. დანართი, გრაფიკი 24)

1. *მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტი*

ორი ეტაპისაგან შემდგარი მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტი აზიის განვითარების შეღავათიანი ფონდიდან გამოყოფილი 40 მილიონი აშშ დოლარით დაფინანსდა და ხელი შეუწყო მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას - ქვეყნის მასშტაბით გზების, წყალმომარაგების და წყალარინების სისტემების 100-ზე მეტი ქვეპროექტის განხორციელებას- რამაც უზრუნველყო დასახლებულ პუნქტებამდე სასმელი წყლის მიყვანა და გზების გაუმჯობესება მთელი საქართველოს მასშტაბით. პროექტი 2013 წელს დასრულდა და საქართველოს თანამონაწილეობამ მასში 23 მილიონი აშშ დოლარზე მეტი შეადგინა (Asian Development Bank. Georgia: Municipal Services Development Project (Project Data Sheet), 2017).

- *მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტი (II ფაზა)*

პროექტის მეორე ფაზაზე აზიის განვითარების ბანკმა 30 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სესხი გასცა, ხოლო საქართველოს თანამონაწილეობამ 11,5 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. პროექტი 2014 წელს დასრულდა (Asian Development Bank. Georgia: Municipal Services Development Project – Phase 2 (Project Data Sheet), 2017).

2. *ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა MFF (მრავალტრანშიანი დაფინანსების ინსტრუმენტი)*

2011 წელს საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის ხელი მოეწერა (ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამას“. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია აზიის განვითარების მიერ 500 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სესხის გამოყოფა საქართველოსთვის და ითვალისწინებს წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემების გაუმჯობესებას ქვეყნის 7 ტურისტულ ცენტრსა და მსხვილ ურბანულ დასახლებებში, ესენია: ანაკლია, ზუგდიდი, მარნეული, მესტია, ურეკი, ფოთი, ქუთაისი). პროექტი ძალიან მასშტაბურია და პირდაპირ კავშირშია ქვეყნის რეგიონულ განვითარებასთან.

პროექტი დაყოფილია 6 ტრანშად და საბოლოოდ მისი დასრულება დაგეგმილია 2019 წელს. თანამონაწილეობა 125 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს.

ტრანშების მიხედვით დაგეგმილი ღონისძიებები:

I - მესტიაში და ანაკლიაში წყალმომარაგების მთავარი ნაგებობების მშენებლობა;

II - ანაკლიასა და მესტიაში წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემის რეკონსტრუქცია;

III - ქალაქ ქუთაისში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია და ურეკში წყლისა და კანალიზაციის სისტემების მშენებლობა;

IV - ქალაქ ზუგდიდში წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა და ფოთში კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია და გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა;

V - ქალაქ ზუგდიდში კანალიზაციის სისტემის სამშენებლო სამუშაოები და მესტიაში კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა;

VI - მარნეულში, ბოლნისში და ჭიათურაში წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მშენებლობა (Asian Development Bank. Georgia: MFF- Urban Services Improvement Investment Project (Project Data Sheet), 2017).

3. *აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი ავტომაგისტრალის (ხევი-უბისას მონაკვეთის) გაუმჯობესების პროექტი*

სივრცითი მოწყობის ამ უმნიშვნელოვანესი პროექტის მიზანია ხევი-უბისას მონაკვეთის, ასევე საგზაო ქსელის ექსპლუატაციის, ტექნიკური მომსახურებისა და საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესება. პროექტის დიზაინში გათვალისწინებული უნდა იქნას ქვეყნის კლიმატური პირობები, რაც ხელს შეუწყობს მდგრადი საგზაო ქსელის დანერგვას.

პროექტი ჯერ არ დაწყებულა, ის მხოლოდ შემოთავაზებულია და ითვალისწინებს 200 მილიონი ევროს ოდენობის სესხის გაცემას აზიის განვითარების ბანკის მიერ (Asian

Development Bank. Georgia: East-West Highway (Khevi-Ubisa Section) Improvement Project (Project Data Sheet), 2017).

4. *მეორადი მნიშვნელობის გზების გაუმჯობესების პროექტი*

ტექნიკური ხელშეწყობა აუცილებელია ხელმისაწვდომი ბიუჯეტისა და დროის გათვალისწინებით გზის სწრაფი გაუმჯობესების შესაძლებლობის, ასევე პროექტის სოციო-ეკონომიკური და გარემოსდაცვითი სარგებლობის განსაზღვრის მიზნით. პროექტს ექნება სამი შედეგი: ძირულასა და ჩუმათელეთის გზების დაახლოებით 50 კმ-იანი მონაკვეთის გაუმჯობესება; გაუმჯობესებული გზის მიმდებარე რკინიგზის სადგურების ხელმისაწვდომობის ზრდა; და გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის შექმნა. პროექტის დაწყება 2017 წელს არის დაგეგმილი და 2020 წელს დასრულება. აზიის განვითარების ბანკის მიერ გამოყოფილი სესხი 80 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს (Asian Development Bank. Georgia: Secondary Road Improvement Project (Project Data Sheet), 2017).

5. *მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამა*

400 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის 10-წლიანი მრავალტრანშიანი პროექტი მოქმედებს 2020 წლამდე საკვანძო ქალაქებში საზოგადოებრივი სატრანსპორტო ქსელის აღდგენისა და ეფექტური სატრანსპორტო სისტემების შექმნის მიზნით. 300 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის აზიის განვითარების ბანკის სესხი მოხმარდება ოთხი პროგრამული ტრანშის ფარგლებში მასობრივი სატრანზიტო გადაზიდვების, სასიცოცხლო მნიშვნელობის საგზაო კვანძების და სანაპირო დაცვა მშენებლობა/გაუმჯობესებას.

ტრანშების მიხედვით დაგეგმილი ღონისძიებები:

I - ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, ანაკლიას სანაპირო ზოლის გაუმჯობესება და თბილისის მეტროს ხაზის გაფართოება;

II - თბილისი-რუსთავის საავტომობილო გზის და მცხეთის ხიდის მოდერნიზაცია;

III - თბილისი-რუსთავის საავტომობილო გზის მეორე მონაკვეთის მოდერნიზაცია (საპროექტო ღირებულება 65,5 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს), ანაკლიის ნაპირდამცავი სამუშაოების მეორე ფაზა (7,5 მილიონი აშშ დოლარი), ქალაქ ქუთაისში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია და ურეკში წყლის და კანალიზაციის სისტემების მშენებლობა;

IV - ქალაქ ბათუმის სანაპირო ზოლის 5 კილომეტრიანი მონაკვეთის გამაგრება (20 მილიონი აშშ დოლარი) (Asian Development Bank. Georgia: Sustainable Urban Transport Investment Project (Project Data Sheet), 2017).

6. MFF - საგზაო დერეფნის საინვესტიციო პროგრამა

500 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის 10-წლიანი მრავალტრანშიანი საფინანსო ინსტრუმენტი (MFF), მოქმედებს 2019 წლამდე ვაჭრობის ხელშეწყობისა და რეგიონული სატრანსპორტო კავშირების განვითარების მიზნით. იგი მოიცავს ქობულეთის 33.6-კილომეტრიან შემოვლითი გზის მშენებლობას, რომლის მეშვეობითაც მძიმე ტრანსპორტის მოძრაობა პოპულარული ტურისტული ქალაქის- ქობულეთის შემოვლით მოხდება, რაც ქალაქის ბიზნეს და გასართობ გარემოს გააუმჯობესებს.

ტრანშების მიხედვით დაგეგმილი ღონისძიებები:

I - ქობულეთის შემოვლითი ორზოლიანი გზის 28 კილომეტრის სიგრძის მონაკვეთის მშენებლობა და ქობულეთისა და ბათუმის დამაკავშირებელი ორზოლიანი გზა გაფართოვება ოთხზოლიანამდე (აღნიშნული აქტივობა გააძლიერებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის აქტივების მართვის შესაძლებლობას და გააუმჯობესებს საგზაო უსაფრთხოებას) (Asian Development Bank. Georgia: Road Corridor Investment Program (Project Data Sheet), 2017).

II - პროექტის თანახმად აშენდება 14,3 კილომეტრის სიგრძის ორზოლიანი ასფალტ-ბეტონის შემოვლითი გზა, რომელიც იწყება სენაკი-ფოტი-სარფის საავტომობილო გზიდან და სრულდება ბათუმი-ახალციხის არსებული გზის გასაყართან. ეს გზაც, შესაბამისად, აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი ავტომაგისტრალის შემადგენელ ნაწილს

წარმოადგენს და, ბუნებრივია, მნიშვნელოვანი ფუნქცია გააჩნია ქვეყნის ეკონომიკური და რეგიონული განვითარების მდგომარეობის გაუმჯობესების მხრივ. პროექტი ხელს შეუწყობს ქვეყნის რეგიონულ სატრანსპორტო და ლოგისტიკურ ცენტრად ჩამოყალიბებაში და უზრუნველყოს რეგიონული კავშირებისა და ტრანსპორტის ეფექტურობის გაუმჯობესებას. ამ მიზნებისთვის აზიის განვითარების ბანკმა საქართველოს დაუმტკიცა 114 მილიონი დოლარის ოდენობის სესხი. პროექტის სამშენებლო სამუშაო ვადა განისაზღვრება 2017-2020 წლებით. პროექტში თანამონაწილეობა 87,2 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს (Asian Development Bank. Georgia: Batumi Bypass Road Project (Project Data Sheet), 2017).

2.5.6 გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW)

გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი საქართველოსთან თანამშრომლობს 1993 წლიდან და მნიშვნელოვან პარტნიორს წარმოადგენს ქვეყნის განვითარებისთვის. KfW-ს არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განუხორციელებია საქართველოში და რამდენიმე პროექტი ახლაც მიმდინარე რეჟიმშია.

რეგიონული განვითარებისთვის მნიშვნელოვანი პროექტები: (იხ. დანართი, გრაფიკი 25)

1. *სასმელი წყლით მომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია ბათუმსა და მის შემოგარენში*

ეს არის ყველაზე დიდი მუნიციპალური პროექტი საქართველოში, რომლის შედეგად, დაახლოებით 180.000 ადამიანისთვის მოხდება სასმელი წყლის გაუმჯობესებული მიწოდება. პროექტი 4 ფაზად არის დაყოფილი და მისი მიზანია:

- ბათუმისთვის და მის მიმდებარე სოფლებში ევროკავშირის სტანდარტის სასმელი წყლის მიწოდება 24 საათის განმავლობაში
- ახალი, დაბალი ენერგიის კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია:

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა/ რეაბილიტაცია ჰიგიენურად სუფთა წყალმომარაგებისა და ნარჩენი წყლების ეკოლოგიურად უსაფრთხოდ გადინების უზრუნველყოფა
- დაბალ ენერგომოხმარებაზე და ბუნებრივი რესურსების ეფექტურ გამოყენებაზე ფოკუსირება
- მიმდებარე ნახევრად ურბანული და სასოფლო დასახლებების კავშირის ახალი სისტემის შექმნა
- ისეთი კომუნალური მომსახურების შექმნა, რომელიც ეფექტურად მუშაობს და თავის საექსპლუატაციო ხარჯებს ფარავს

პროექტი ითვალისწინებს შეღავათიანი სესხის (დაახლ. 120 მილიონი EUR) და ინსტიტუციური მხარდაჭერის (დაახლ. 3.5 მილიონი EUR გრანტები) უზრუნველყოფას; ასევე, მოხდება დამატებითი მხარდაჭერა EU-NIF-ის ფარგლებში (ჯამში 8.5 მილიონი EUR) და შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკისგან (BSTDB); ამას გარდა, გათვალისწინებულია დამატებითი შეღავათიანი სესხის უზრუნველყოფა (დაახლ. 30 მილიონი EUR)

პროექტი 2007 წლიდან მიმდინარეობს და მისი მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე განხორციელებულია. პროექტის დასრულება იგეგმება 2019 წელს.

პროექტის ფაზები:

I - ძველ ბათუმში წყალსადენისა და წყალარინების სისტემების რეაბილიტაცია. აღნიშნული ფაზა დასრულებულია, ის 2007 წლიდან 2012-მდე მიმდინარეობდა და მის განსახორციელებლად დაიხარჯა 18.5 მილიონი ევრო.

II – 2009-დან 2013 წლამდე აღნიშნული ფაზის ფარგლებში ხდებოდა ბათუმის დანარჩენ ნაწილებში და მის სამხრეთით მიმდებარე სანაპირო სოფლებში წყალარინების სისტემების რეაბილიტაცია. ჯამში ხარჯებმა შეადგინა 47 მილიონი ევრო.

ამავე ფაზაში მოხდა ადლიის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა, რომელზეც საუბარი უკვე იყო მაღლა.

III - აღნიშნული ფაზა არის მიმდინარე და მისი დასრულება დაგეგმილია 2018 წელს. მიმდინარე და დასრულებულ ღონისძიებებს შორის გამოიყოფა: ჩაქვი-მწვანე კონცხი-მახინჯაურის და გონიოს წყალარინების სისტემის მოწესრიგება; ჩაისუბნის მაგისტრალური და სამომხმარებლო ქსელის რეაბილიტაცია; ანგისის დასახლების წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები; თამარის დასახლებისა და ბონი-გოროდოკის დასახლების წყლისა და წყალარინების სისტემის რეაბილიტაცია. აღნიშნული ფაზის ბიუჯეტი შეადგენს დაახლოებით 43.5 მილიონ ევროს.

IV - ამჟამად მიმდინარეობს მეოთხე ფაზის საპროექტო სამუშაოები, რომლის დასრულების შემდეგ გამოცხადდება საერთაშორისო ტენდერი. სამუშაოები მესამე ფაზის პარალელურად განხორციელდება და სავარაუდოდ 2019 წელს დასრულდება. გამოყოფილია 30 მილიონი ლარი, რომლის ფარგლებში უნდა მოხდეს: წყლარაინების სისტემის რეაბილიტაცია „სტეფანოვკის“, ლუდის ქარხნის და ანგისის დასახლებაში (Rehabilitation of the Municipal Infrastructure of Batumi: Project Factshteet, 2017).

2. *სასმელი წყლით მომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია აჭარის რეგიონში*

აჭარის რეგიონში სასმელი წყლის არასაკმარისმა მიწოდებამ, სუსტად გამართულმა წყლამომარგების სისტემამ, რომელიც კერძო ჭაბურღილების გამოყენებაშია და არსებული წყალარინების სისტემის ზღვაში ჩადინებამ გამოიწვია არსებული რეალობის გამოსწორების აუცილებლობა და აღნიშნული პროექტის დაგეგმვა, რომლის ფარგლებში დაიგეგმა:

- ცენტრალიზებული და დეზენტრალიზებული ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაცია, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ჰიგიენურად სუფთა წყალმომარაგებისა და ნარჩენი წყლების ეკოლოგიურად უსაფრთხოდ გადინება
- წყალმომარაგების ადგილობრივი ასოციაციის შექმნა წყალმომარაგების სისტემის მუშაობის მასშტაბებში ეკონომიის უზრუნველსაყოფად

- ადგილობრივ მოსახლეობაში ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების შემუშავება

შედეგად მოხდება:

- სასმელი წყლის მიწოდების გაუმჯობესება
- წვლილის შეტანა გარემოს დაცვის გაძლიერებაში და წყლის რესურსების შენახვაში
- გაუმჯობესებულ სოციალურ-ეკონომიკური და ჯანმრთელობის მდგომარეობა ნახევრად ურბანული და სოფლის მოსახლეობისთვის

პროექტის მიზანშეწონილობის შესწავლა დაფინანსებულია გერმანიის BMZ-ს სპეციალური ფონდის მიერ. KfW მზად არის უზრუნველყოს სესხი ინვესტიციების დაფინანსებისთვის (დაახლ. 20 მილიონი EUR) და ინსტიტუციური მხარდაჭერა (დაახლ. 2 მილიონი EUR გრანტები), თუმცა საქართველოც შევა ამ პროექტი ფინანსური თანამონაწილეობით. მოხდება ასევე EU-NIF-ის საგრანტო დაფინანსების გამოყენება (KfW's activities in Georgia. E5P Seminar: "Investment Opportunities for Georgian Municipalities within the framework of E5P", 2017, გვ. 6)

3. ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტი

გერმანიის განვითარების ბანკის 20 მილიონი ევროს ოდენობის სესხით, საქართველოში დაგეგმილია ქუთაისის ნარჩენების მართვისა და სანიტარული ნაგავსაყრელის მოწყობის პროექტი. ასევე, სამეზობლო ინვესტირების ფონდის ფარგლებში (NIF), ევროკავშირი პროექტის განხორციელების ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის მიზნით, გამოყოფს გრანტს 2 მილიონი ევროს ოდენობით. საქართველოს მთავრობის ადგილობრივი კონტრიბუცია კი 4 მილიონ ევროს შეადგენს. რადაგანაც, პროექტი ევროპული ინსტიტუტების დაფინანსებით ხორციელდება, შესაბამისად, სამშენებლო, საპროექტო და საექსპლუატაციო სამუშაოებისას უნდა იქნას გათვალისწინებული, როგორც საქართველოს საკანონმდებლო მოთხოვნები, ასევე ევროპის საერთაშორისო სტანდარტები და გამოცდილება.

პროექტს ხელი 2015 წელს მოეწერა და მისი დასრულება 2018 წელს არის დაგეგმილი. პროექტით გათვალისწინებულია ქუთაისში ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობა და ნიკეას არსებული ნაგავსაყრელის დახურვა. ახალი ნაგავსაყრელი მოხმარდება იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებს, კერძოდ კი, 700.000 მოსახლეს (KfW's activities in Georgia. E5P Seminar: "Investment Opportunities for Georgian Municipalities within the framework of E5P", 2017, გვ. 8)

4. კახეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონების ახალი საერთაშორისო სტანდარტების რეგიონული ნაგავსაყრელის მშენებლობა

აღნიშნულ რეგიონებში იმის გამო, რომ ნარჩენების უტილიზაცია ხდება საქალაქო აგლომერაციებში და უკონტროლო ნაგავსაყრელებს უზარმაზარი უარყოფითი გავლენა აქვთ გარემოზე და შესაბამისად ადამიანების ჯანმრთელობაზე, 2014 წელს, ერთის მხრივ, „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასა" და, მეორეს მხრივ, გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის ფარგლებში KfW უზრუნველყოფს საქართველოსთვის 30 მილიონ ევროზე მეტი ოდენობის შეღავათიან სესხს და ასევე ინსტიტუციურ მხარდაჭერას შემდეგი ღონისძიებების განსახორციელებლად:

- ევროკავშირის სტანდარტებზე დაფუძნებული ახალი სანიტარული ნაგავსაყრელის მშენებლობა
- ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების საშუალებების გაუმჯობესება შეგროვების სპეციალური საშუალებების უზრუნველყოფით და ლოგისტიკური მოდელის განვითარებით
- ნარჩენების მინიმიზაცია მეორადი გამოყენებისა და გადამუშავების დანერგვის გზით

პროექტის პარტნიორები და თანადამფინანსებლები არიან: BMZ, E5P. პროექტის დასრულება 2018 წელს არის დაგეგმილი.

აღნიშნული პროექტი გავლენას იქონიებს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური და გარემოსდაცვითი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, თანამედროვე, ეკოლოგიურად სუფთა

და ინტეგრირებული მყარი ნარჩენების მართვის სისტემის შექმნის გზით (KfW's activities in Georgia. E5P Seminar: "Investment Opportunities for Georgian Municipalities within the framework of E5P", გვ. 9).

თავი 3. ქვემო ქართლის მაგალითზე „ქვევიდან ზევით“ პროექტების მოთხოვნა-განხორციელების პროცესი

ქვემო ქართლი არის საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე რეგიონი, რომლის ფართობია 6,5 ათასი კვ.კმ. მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 426,4 ათას ადამიანს. რეგიონში შედის 347 დასახლებული პუნქტი, აქედან: 7 ქალაქი, 6 დაბა და 334 სოფელი. ქვემო ქართლში მოქმედებს 7 თვითმმართველი ერთეული: რუსთავს გააჩნია თვითმმართველი ქალაქის სტატუსი, ხოლო წალკა, დმანისის, ბოლნისი, თეთრიწყარო, მარნეული და გარდაბანი მუნიციპალიტეტებს წარმოადგნენ. ქვემო ქართლი საქართველოს ეთნიკურად ერთ-ერთი ყველაზე ჭრელი რეგიონია: მოსახლეობის 44,7% ეთნიკურად ქართველია, 45,1%- აზერბაიჯანელი, 6,4%- სომეხი, ხოლო 3,8%- აფხაზი, ოსი, რუსი, ბერძენი, უკრაინელი და ქურთი. ამასთან, რუსთავსა და თეთრიწყაროში ჭარბობს ეთნიკურად ქართული, წალკაში- სომხური და ბერძნული, ხოლო გარდაბანში, მარნეულში, ბოლნისსა და დმანისში- აზერბაიჯანული მოსახლეობა (ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021, გვ.4).

ქვემო ქართლის შვიდივე მუნიციპალიტეტს გააჩნია ადგილობრივი ბიუჯეტი (იხ. დანართი, ცხრილი 3; გრაფიკი 26), რომელიც შედგება მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსულობებისა და ტრანსფერებისაგან ცენტრალური ბიუჯეტიდან. ადგილობრივ ბიუჯეტში არსებული დანაკლისი იფარება გამოთანაბრებით ტრანსფერით, რომელიც, 2017 წლის მონაცემებით 805 ათას ლარს შეადგენს და გადაეცემა მხოლოდ რუსთავს და ბოლნისს (იხ. ცხრილი 3). 2013 წელს გამოთანაბრებით ტრანსფერს არ იღებდნენ, მხოლოდ დმანისი და ბოლნისი. რუსთავისთვის გადაცემული გამოთანაბრებითი ტრანსფერი დაახლოებით 10,3 მილიონ ლარს შეადგენდა, ხოლო მთლიანად რეგიონის- 25,9 მილიონ ლარს. [4]

[4] თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს, დადგენილება #181, 2012 წლის 18 დეკემბერი https://matsne.gov.ge/ka/document/view/1796732

საკუთარ შემოსულობებში იგულისხმება თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული მიწა, ქონება, გადასახადები, მოსაკრებელი და ა.შ. ეს გადასახადები შედის არა ცენტრალურ, არამედ თვითმმართველი ერთეულის ადგილობრივ ბიუჯეტში, ამიტომ მუნიციპალიტეტს შეუძლია თავისი სახსრებით დააფინანსოს პროექტი, რომლის განხორციელების აუცილებლობასაც ხედავს.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტებში ხდება მცირემასშტაბიანი პროექტების დაფინანსება და, საჭიროების შემთხვევაში, თანამონაწილეობით შესვლა უფრო მსხვილი პროექტების ბიუჯეტებში, რომლებსაც სახელმწიფო ან დონორი ორგანიზაციები ახორციელებენ.

ქალაქ რუსთავში, მაგალითად, რომლის ბიუჯეტი აღემატება რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებს, აქტიურად ახორციელებს სხვადასხვა სახის პროექტებს. ინფრასტრუქტურული სამუშაოები ყოველ წელს არის ძირითადად ერთმანეთის მსგავსი, ესენია: გზების რეაბილიტაცია, ფასადების კეთილმოწყობა, პანდუსების დამონტაჟება შშმ პირებისთვის, სკვერების კეთილმოწყობა, სახლების და საბავშვო ბაღების მშენებლობა/რეაბილიტაცია და ა.შ.

რუსთავი დაყოფილია ათ ზონად, რომლებსაც ჰყავთ თავისი წარმომადგენლები. ათივე ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენლები ასრულებენ შუამავლის როლს მერსა და მოსახლეობას შორის. მათ ევალებათ მუდმივი კომუნიკაცია აწარმოონ თავის დაქვემდებარებაში მყოფი ტერიტორიის მოსახლეობასთან და შესაბამის სამსახურამდე მიიტანონ ქალაქში არსებული პრობლემები.

ინფრასტრუქტურული პროექტები ხორციელდება, როგორც ადგილობრივი, ასევე ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებითაც. ყველაზე მსხვილი, ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტი, რომელიც უკვე დაწყებულია, არის თოდრიის ქუჩის რეაბილიტაცია. პროექტის ჯამური ღირებულება დაახლოებით 1,3 მილიონ ლარს შეადგენს. ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა, როდესაც რუსთავში, ასეთი მასშტაბის პროექტი ხორციელდება ცენტრალური ბიუჯეტის ჩარევის გარეშე. 2017 წლის მდგომარეობისათვის,

დაახლოებით 27 პროექტია მიმდინარე სტადიაში, ან დადებულია ხელშეკრულება და მალე დაიწყება განხორციელება.

რაც შეეხება რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდს, ამ ფონდიდან 2017 წელს 8 პროექტია დაგეგმილი რუსთავში, მათ შორის: საბავშვო ბაღების მშენებლობა, შიდა ეზოების ასფალტით მოწყობა, გადახურვის სამუშაოები, ტროტუარების მოწყობა და ა.შ. თუმცა აქაც რუსთავის მუნიციპალიტეტი დაახლოებით 15%-იანი თანამონაწილეობით შედის.

მთლიანად ქვემო ქართლის რეგიონში განხორციელებულ ყველაზე მსხვილ პროექტებს შორის აღსანიშნავია ქვემო ქართლის მყარი ნარჩენების პროექტი, რომელიც EBRD-ის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარეობს. მნიშვნელოვანია ასევე საგზაო პროექტებიც, მათ შორის, რუსთავი-თბილისის ავტომაგისტრალის მშენებლობა, რომელიც აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით ხორციელდება. აღნიშნული პროექტის მშენებლობა 2012 წელს დაიწყო და სამ ქვეპროექტად არის დაყოფილი. პროექტის პირველი და მესამე მონაკვეთების მშენებლობა უკვე დასრულებულია, ხოლო მეორე მონაკვეთის მშენებლობა ამჟამად მიმდინარეობს და მისი დასრულება 2019 წელს არის დაგეგმილი. ჯამში პროექტის ბიუჯეტი დაახლოებით 119 მილიონ ლარს შეადგენს.

მსგავსი ტიპის საგზაო პროექტები ხელს უწყობს ქვემო ქართლის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, რადგან რეგიონის ადმინისტრაციულ ცენტრს აძლევს საშუალებას უმოკლესი დროში დაუკავშირდეს ქვეყნის დედაქალაქს. უარყოფითი ფაქტორს წარმოადგენს აღნიშნულ გზის მონაკვეთზე სატრანსპორტო საშუალებების გზას, რომელიც პირდაპირპროპორციულად აძლიერებს გარემოზე უარყოფით ზემოქმედებას. განსაკუთრებით ეს პრობლემატურია ფონიჭალის დასახლებაში, სადაც საკმაოდ ვიწრო გზაზე ძალიან დიდი ინტენსივობით გადაადგილდებიან, როგორც მსუბუქი, ასევე სატვირთო მანქანები. აღნიშნული პრობლემის შესამსუბუქებლად კარგი იქნება სარკინიგზო ქსელის განვითარება, რომელიც მცირე დროში დაფარავს ორ ქალაქს შორის მანძილს და

შეამსუბუქებს ქანქრისებრ მიგრანტთა გადაადგილებას საავტომობილო გზაზე, რომლებსაც ყოველდღიურად ათობით სამარშრუტო ტაქსები ემსახურებიან.

გარდა ამისა რეგიონში ყოველწლიურად ხორციელდება მცირემასშტაბიანი პროექტები, როგორც ადგილობრივი, ასევე ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებით. მიმდინარეობს შვიდივე თვითმმართველ ერთეულში სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელიც ეხება წყალმომარაგების და წყალარინების სისტემების რეაბილიტაციას, შიდა გზების მოვლა/შენახვის და მშენებლობის სამუშაოებს, სახლების, საბავშვო ბაღების რეაბილიტაციას და ა.შ. (იხ. დანართი, რუკა. 5; 6; გრაფიკი 27; 28; 29).

საინტერესოა, თუ როგორ ხდება აღნიშნული რეგიონის მაგალითზე, საქართველოს ყველა რეგიონში „ქვევიდან ზევით“ პროექტის მოთხოვნის და განხორციელების პროცესი და რა ეტაპებს გადის ინფრასტრუქტურული პროექტი, სანამ დაფინანსდება.

რეგიონში ყოველი მუნიციპალიტეტი თვითონ განსაზღვრავს, თუ რა საჭიროებები არსებობს და რომელი პროექტის განხორციელება არის აუცილებელი. ამის განსაზღვრა ხდება, ძირითადად, ხელმძღვანელი პირების აქტიურ რეჟიმში შეხვედრებით ადგილობრივ მოქალაქეებთან, რომლებიც განაცხადის სახით მიმართავენ მუნიციპალიტეტს, ამა თუ იმ პროექტის განხორციელების მოთხოვნით. შემდეგ, მუნიციპალიტეტი ფილტრაციის გზით არჩევს უფრო მეტად პრიორიტეტულ მოთხოვნებს და იწყებს კონკრეტული პროექტის შემუშავებას.

ახლახან დაინერგა ახალი სისტემა ქვემო ქართლში, რომლის მიხედვით შექმნილია ორგანიზაცია, რომელიც ამ პრიორიტეტულ პროექტებს კიდევ უკეთებს ანალიზს: ანუ გადის ხალხში, გამოკითხვას ატარებს, და ადგენს თუ რამდენად სურს მოსახლეობას კონკრეტული პროექტის განხორციელება. თუ ქალაქის ხელმძღვანელობის და გუბერნიის გეგმა ემთხვევა მოსახლეობის ინტერესს, ხდება პროექტის შემდეგ საფეხურზე გადაყვანა.

პროექტის შემუშავებისას მუნიციპალიტეტი ანგარიშობს, დაახლოებით რა დაჯდება მისი განხორციელება, და შესაძლებელი იქნება თუ არა მისი ხარჯების ადგილობრივი ბიუჯეტით დაფარვა. თუკი ადგილობრივ ბიუჯეტს არ გააჩნია საკმარისი რესურსები, ამ შემთხვევაში

მუნიციპალიტეტს შეუძლია მოითხოვოს კონკრეტული პროექტისთვის დაფინანსება „რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (თუკი ეს პროექტი ემსახურება სახელმწიფოს რეგიონული განვითარების გეგმას). ამ თვალსაზრისით, მუნიციპალიტეტი შეიმუშავებს საპროექტო წინადადებას იმის თაობაზე, თუ რა პროექტის განხორციელება სურს მას, რატომ არის ამ პროექტის განხორციელება მნიშვნელოვანი და აუცილებელი, რა შედეგები შეიძლება გამოიღოს და ა.შ. განსაზღვრულია ამ პროექტების შემუშავების სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც მთავრობის განკარგულებით არის მოწონებული. არსებობს საპროექტო წინადადების განაცხადის ფორმა, რომელიც უნდა შეავსოს თვითონ მუნიციპალიტეტმა და შემდეგ, თავისი საპროექტო გეგმა წარუდგინოს ჯერ საკრებულოს, სადაც მან მოწონება უნდა დაიმსახუროს. დადებითი პასუხის შემთხვევაში პროცესში ერთვება გუბერნია, სადაც შედგება საკონსულტაციო საბჭო, რომელიც შექმნილია სახელწმიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციასთან და დაკომპლექტებულია: გუბერნატორით, გუბერნატორის მოადგილეებით და სამსახურის უფროსებით, საკრებულოს თავმჯდომარეებით, მოადგილეებით და გუბერნიაში არსებული ყველა მუნიციპალიტეტის პირველი პირებით. სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს, თავის მხრივ, შექმნილი აქვს ხუთი თემატური სამუშაო ჯგუფი, რომლებიც განიხილავენ ამ წარმოდგენილ საპროექტო წინადადებებს და ხდება შესაბამისი ფილტრაციის მეშვეობით მათთვის ქულების მინიჭება.

პირველი დონის ფილტრი:

- წარმოდგენილი პროექტი აუცილებლად უნდა ექცეოდეს ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი უფლებამოსილების სფეროში;
- აუცილებლად უნდა ემსახურებოდეს რეგიონული განვითარების სტრატეგიის კონკრეტულ მიზანსა და ამოცანას;
- მისი ღირებულება არ უნდა იყოს 50 000 ლარზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 5 მილიონ ლარს;
- განხორციელების პერიოდი არ უნდა იყოს 3 წელზე მეტი ხნის ვადით განსაზღვრული;

- პროექტი არ უნდა ახდენდეს უარყოფით გავლენას გარემოზე და არ უნდა ახდენდეს გენდერულ ბალანსზე უარყოფით გავლენას და ა.შ.

ეს არის პირველი ფილტრი, რომლის შემდგომ ხდება უკვე მეორე ფილტრით რანგირება. თუ პროექტი მოცემულ პირველ ფილტრს ვერ აკმაყოფილებს ბუნებრივია ის შემდგომ ეტაპზე ვერ გადადის და აღარ განიხილება.

მეორე ეტაპზე ხდება ქულების მინიჭება. დადგენილი არის 7 კრიტერიუმი, მაქსიმალური ქულა არის 5 ქულა, მინიმალური 1 ქულა. კრიტერიუმები მოიცავს სხვადასხვა მახასიათებლებს, მაგალითისთვის: განისაზღვრება, თუ რამდენ ბენეფიციარზეა გათვლილი კონკრეტული პროექტი. თუ, მაგალითად, პროექტი გათვლილია 5000-მდე მოსახლეზე, მაშინ გაცილებით ნაკლები ქულა ენიჭება, თუ არის 5000-ზე მეტი მოსახლეზე, შესაბამისად, ქულაც უფრო მაღალი მიენიჭება. საბოლოო ჯამში, ის პროექტი, რომელსაც ყველაზე მაღალი ქულა მიენიჭება, აისახება რეგიონული განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში, როგორც პრიორიტეტული, პირველი რიგის განსახორციელებელი პროექტი.

საბოლოო ჯამში, ეს სამუშაო ჯგუფები ამ პროექტების რანგირებას ახდენენ და შემდეგ სამოქმედო გეგმის პროექტს წარუდგენენ სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს. სამხარეო საკონსულტაციო საბჭო განიხილავს ამ გეგმას და შემდეგ, ხმათა უმრავლესობით ხდება პროექტის მოწონება. საბოლოო ჯამში, გუბერნიაშიც თუ გაივლის პროექტი/პროექტები ზემოთ აღწერილ პროცედურებს და მოწონებული იქნება საკონსულტაციო საბჭოს მიერ, შემდეგ პროექტი ეგზავნება რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, სადაც შექმნილია სპეციალური კომისია, რომელიც შედგება სამინისტროს შესაბამისი თანამდებობის პირებით და სხვადასხვა სამინისტროების წარმომადგენელი კომპეტენტური პირებისგან და აქაც ხმათა უმრავლესობით ხდება პროექტის მოწონება/არმოწონების საკითხის გადაწყვეტა, რომელი პროექტია უფრო პრიორიტეტული და რა თანხით უნდა დაფინანსდეს. უნდა აღინიშნოს, რომ განხილული შეიძლება იყოს, როგორც ერთი, ასევე რამდენიმე პროექტი ერთად. მაშ ასე, თუ რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ შემდარ კომისიაზე ყველა წევრმა დადებითი

პოზიცია დააფიქსირა, მაშინ სამინისტრო ამზადებს განკარგულების პროექტს, გადის შესაბამისი მოხსენებით მთავრობის სხდომაზე და, საბოლოოდ, მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას კონკრეტული პროექტების რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხების გამოყოფის თაობაზე. გამოიცემა განკარგულება, რომელსაც პრემიერ-მინისტრი აწერს ხელს და ეს განკარგულება უკვე მუნიციპალიტეტისთვის სავალდებულოდ შესასრულებლად ითვლება. აღნიშნული განკარგულება, შემდეგ, ეგზავნება გუბერნიას და შესაბამის მუნიციპალიტეტს. როგორც წესი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან პროექტზე გამოიყოფა მთლიანი ღირებულების 90-95%, დანარჩენი 5-10%-ით თავად თვითმმართველობა შედის თანამონაწილეობით. შესაბამისად, საკრებულოზე გატანის გზით, მუნიციპალიტეტი ახდენს ამ თანამონაწილეობის ასახვას სახელმწიფო ბიუჯეტში. შემდეგ, შესყიდვების სამსახურს და კომისიას ევალება გამოაცხადოს ტენდერი კონკრეტული პროექტის შესრულებაზე, რომელიც თავსდება ვებ-გვერდზე www.spa.ge , სადაც მითითებულია სატენდერო წინადადების ფასი. ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან ფორმდება ხელშეკრულება და იწყება კონკრეტული სამუშაოების შესრულება. ხელშეკრულებით განსაზღვრულია პირგასამტეხლო, რომლის გადახდა უწევს კომპანიას ნებისმიერი დარღვევის შემთხვევაში, მაგალითისთვის, ეს შეიძლება იყოს პროექტის დასრულების ვადის გადაცილება. პროექტის შესრულების შემდეგ დგება ფორმა 2, რომელზეც ხელს აწერს ორივე მხარე, მუნიციპალიტეტიც და შემსრულებელი კომპანიაც, რომ პროექტი ნამდვილად დასრულებულია. თუმცა კომპანიასთან ანგარიშსწორება არავითარ შემთხვევაში არ ხდება, სანამ ის არ წარადგენს ექსპერტის დასკვნას პროექტის შესრულების შესახებ. ეს ნიშნავს, რომ სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ უნდა ჩატარდეს ექსპერტიზა და დაიდოს ოფიციალური დასკვნა იმის შესახებ, რომ კომპანიის მიერ შესრულებული სამუშაოები შეესაბამება ხარისხის იმ ნორმას, რომელიც კანონმდებლობით არის გათვალისწინებული. თუ ეს დასკვნა მისაღებია მუნიციპალიტეტისთვის, ის ახდენს შესაბამის ანგარიშსწორებას კომპანიასთან და პროექტი შესრულებულად ითვლება. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ხელშეკრულების მიხედვით, ნებისმიერ პროექტს გააჩნია საგარანტიო ვადა, რომლის

ფარგლებშიც კომპანია ვალდებულია, თუკი რამე ტექნიკური დაზიანება მოხდა, თავისივე ხარჯებით უზრუნველყოს შესაკეთებელი სამუშაოები.

მნიშვნელოვანია კიდევ ერთი მომენტი: არსებობს პროექტები, რომლებიც ერთ წელში ან რამდენიმე თვეში სრულდება, და არსებობს კიდევ პროექტები, რომლებიც რთული და გრძელვადიანი სამუშაოების გამო რამდენიმე წელიწადზეა გათვლილი- ასეთ პროექტებს გარდამავალი ეწოდება. ასეთ შემთხვევაში ხდება პროექტის მთლიანი ღირებულების განსაზღვრა, მაგრამ ეს თანხა იყოფა წლების მიხედვით. მაგალითად, თუ პროექტზე ჯამში გამოყოფილია 6 მილიონი ლარი, ერთ წელს პროექტს მოხმარდება 3 მილიონი, ხოლო მეორეს წელს კიდევ 3. მაგრამ საყურადღებოა ის მომენტი, რომ დაფინანსების შემდეგი ნაწილის მოსაპოვებლად, პროექტი თავიდან გადის მთელს პროცედურას, ანუ კიდევ ხდება პროექტის გადახედვა და მისი მიმდინარეობის განხილვა.

პროექტის დამტკიცების სქემა საფეხურების მიხედვით:



ბუნებრივია, პროცესი ისეა აწყობილი, რომ პროექტი ვერ დაფინანსდება ფონდიდან, თუ ის არ არის ასახული რეგიონული განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში. აღნიშნულ პროცესს გააჩნია როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეებიც. დადებითში შეიძლება ის ჩაითვალოს, რომ კარგად არის განაწილებული თითოეული უწყების ფუნქციები. ყოველმა

მუნიციპალიტეტმა ინდივიდუალურად რომ არ მიმართოს მთავრობას პროექტის განხორციელების თაობაზე და ქაოტური სიტუაცია რომ არ შეიქმნას, ხდება ქვედა დონეზევე ამ პროექტების გაფილტვრა და პრიორიტეტების მინიჭება, და ბოლოს უკვე, ფაქტობრივად გამზადებული და კარგად განხილული საპროექტო წინადადების წარდგენა მთავრობის სხდომაზე.

ნაკლოვანებებს რაც შეეხება, პროცედურა დროშია გაწელილი. საკამოდ დიდი დრო სჭირდება პროექტების შედგენას, ყოველ უწყებაში წარდგენას, განხილვას, პრიორიტეტების მინიჭებას და ბოლოს უკვე დამტკიცებას. არსებობს პროექტები, რომლებიც დაუყოვნებლივ რეაგირებას საჭიროებს, მაგრამ მათი განხორციელება არ შეიძლება, სანამ ყველა ამ ფორმალურ პროცედურებს არ გაივლის. კიდევ ერთი დაბრკოლებაა ის, რომ პროექტი აუცილებლად უნდა ექცეოდეს რეგიონის განვითარების გეგმის ფარგლებში. აღნიშნული სტრატეგიული დოკუმენტები სამი წლის ვადით მტკიცდება, მაგრამ ცვალებადია და ყოველ წელს შეიძლება შესწორებები შევიდეს ახალი პროექტების დამატებით. მაგალითად, თუ პროექტი გამორჩენილია და არ წერია სტრატეგიულ დოკუმენტში, მაგრამ აუცილებლობა მოითხოვს მის შესრულებას, ხდება მისი დამატება ამ განვითარების გეგმაში. გეგმაში ცვლილებები წელიწადში ერთხელ შედის, ამიტომ ხდება პროექტის შეყოვნება, სანამ აღნიშნული პროცედურა არ შესრულდება.

მუნიციპალიტეტს მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეიძლება არ მოუწიოს ამ პროცედურების გავლა: თუკი პროექტის საბიუჯეტო მოცულობა ორ მილიონზე მეტი არ არის და მისი განხორციელება ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებითაც არის შესაძლებელი. ამ შემთხვევაში მუნიციპალიტეტს მხოლოდ საკრებულოს თანხმობა სჭირდება პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით და ის აღარ აგრძელებს რუტინული პროცესის გრძელ ჯაჭვს. მიუხედავად იმისა, რომ ამ პროექტის დაგეგმვაში ცენტრალური ხელისუფლება არ მონაწილეობს, მუნიციპალიტეტს არ აქვს უფლება სტრატეგიული გეგმიდან ამოვარდნილი პროექტი განახორციელოს. პროექტი აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს რეგიონის მიერ დასახულ შესაბამისი წლების სტრატეგიას და სამოქმედო გეგმას.

დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში საკითხის შესწავლისა და კვლევის შედეგად გამოიკვეთა ის პრობლემები, რომლებიც თან ახლავს **საქართველოს რეგიონული განვითარების პოლიტიკის განხორციელების პროცესს.** ნაშრომში ნაჩვენებია, თუ რამდენჯერ იქნა აღნიშნული პოლიტიკის კურსის ცვლილება განხორციელებული, სანამ იმ სახით ჩამოყალიბდებოდა, რომელიც დღეს არსებობს. პრობლემას წარმოადგენს ის საკითხი, რომ ქვეყნის სათავეში მოსულ არც ერთ ახალ სახელისუფლებო ძალას არ სურს მისი წინამორბედის მემკვიდრეობის ჩაბარება და იწყებს რადიკალური ცვლილებების განხორციელებას. რეგიონული პოლიტიკა კი საკმაოდ სენსიტიურ თემას წარმოადგენს და ნებისმიერი ნაჩქარევი და გაუაზრებელი ნაბიჯის გადადგმა შეიძლება სავალალო შედეგის მომტანი იყოს. როგორც, 2014 წელს მიღებული „თვითმმართველობის კოდექსის“ მოქმედების სამწლიანი პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, ამ კანონის ცხოვრებაში გატარება ცოტა გართულებულია. ამიტომაც, ამჟამად ხელისუფლების გეგმას წარმოადგენს მისი ნორმების ცვლილება, იმის გამო, რომ არ სრულდება საკითხები კანონით განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით.

აუცილებლად უნდა მოხდეს საბოლოო სახით კანონის ჩამოყალიბება, რომელიც დაარეგულირებს ამ ეტაპზე ტერიტორიულ ოპტიმიზაციამდე დაყვანილ ქვეყნის დეცენტრალიზაციის საკითხს. უნდა შეიქმნას მთავარი **საკანონმდებლო დოკუმენტი,** რომელიც დაარეგულირებს ქვეყნის რეგიონულ პოლიტიკას. ახლა მოქმედი რეგიონული განვითარების სტრატეგიები არც შეიძლება, რომ ყველაზე ზემდგომ დოკუმენტებს წარმოადგენდნენ ამ სფეროში და საერთოდ სტრატეგიულ დოკუმენტებად იწოდებოდნენ, რადგან მათი მოქმედება მცირე პერიოდზეა გათვლილი, ხოლო ამ პერიოდში თვითმმართველობის სფეროში რაიმე არსებითი და ამბიციური ცვლილებების დასახვა უშედეგოა. სხვა საკითხია კიდევ ამ დოკუმენტებში არსებული პუნქტები და მათი მთლიანი შინაარსი, რომელიც ცალკე განსჯის საგანს წარმოადგენს.

სადავოა, ასევე **სახელმწიფოს სუბსიდიარობის პოლიტიკა**, რომლის მიხედვით ხდება გამოთანაბრებითი ტრანსფერის გადაცემა იმ რეგიონებისთვის, რომლებსაც დანაკლისი აქვთ ბიუჯეტში. ამ სისტემის მიხედვით, თუ თვითმმართველობამ საკუთარი შემოსავლები გაზარდა, მას აკლდება გამოთანაბრებითი ტრანსფერი, შესაბამისად რაც მეტია დანაკლისი ბიუჯეტში, მით მეტია აღნიშნული სახის ტრანსფერი. ესეც გარკვეულ კითხვებს ბადებს: ხომ არ არის ეს საფინანსო პოლიტიკა უსაქმურობის წამახალისებელი რეგიონებისთვის?

ნაშრომის ძირითადი ნაწილი, რომელიც შეეხებოდა ქვეყანაში განხორციელებული **ინფრასტრუქტურული პროექტების ანალიზს,** გვიჩვენებს, რომ ყველაზე დიდი თანხები ქვეყანაში იდება საგზაო პროექტებზე. ბოლო წლებში განხორციელებული ყველაზე მასშტაბური პროექტი არის „აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობის პროექტი“. აქედან გამომდინარეობს, რომ რეგიონული განვითარების ხელშესაწყობად განხორციელებული პროექტებით და დახარჯული თანხებით ლიდერობენ ის რეგიონები, რომლებზეც უშუალოდ გადის ეს ავტომაგისტრალი. ყურადღების მიღმა რჩება ის საკითხი, რომ აღნიშნული საგზაო პროექტი არის მთელი ქვეყნის უზარმაზარი სტრატეგიული გეგმის ნაწილი და მიმართულია მთლიანად საქართველოს, და არა რომელიმე ცალკე აღებული რეგიონის განვითარებისკენ. ამიტომ, გაუგებარია, თუ რატომ მოიაზრება აღნიშნული პროექტი რეგიონული განვითარების ნაწილში და რატომ ხდება მთლიანი სახელმწიფოს სტრატეგიის შემადგენელ პროექტებზე დახარჯული თანხების რაოდენობით კონკრეტული რეგიონის განვითარების შეფასება. სახელმწიფომ უნდა გამიჯნოს, ერთის მხრივ, სახელმწიფოებრივი სტრატეგიის და, მეორეს მხრივ, შიდარეგიონული განვითარების ნაწილებში შემავალი პროექტები და არ ეცადოს „გააბევროს“ კონკრეტულ რეგიონზე დახარჯული თანხები სახელმწიფო მნიშვნელობის პროექტებით. ფაქტია, რომ თუ ამგვარი პროექტების ნაწილს ამოვიღებთ და სხვა დანარჩენ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მოვახდენთ ფოკუსირებას, დაგვრჩება რეგიონებში დახარჯული თანხებისა და განხორციელებული პროექტების რაოდენობის ძალიან მიზერული რაოდენობა, რაც გვიჩვენებს რეგიონული განვითარების დაფინანსებისა და ორგანიზაციის რეალურ მაჩვენებელს.

სხვა საკითხია ის ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც კონკრეტული რეგიონის განვითარებაზეა მიმართული. ასეთ პროექტებს შორის ყველაზე მასშტაბურებს წარმოადგენენ წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემებისა, და მყარი ნარჩენების მართვის პროექტები, რომლებიც ხორციელდება ევროპული სტანდარტების გათვალისწინებით, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ხელმოწერილი იქნა ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების ხელშეკრულება. შემდეგ მოდის ყველა დანარჩენი ინფრასტრუქტურული პროექტები (სახლების, საბავშვო ბაღების მშენებლობა/რეაბილიტაცია, სკვერების მოწყობა, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების რეაბილიტაცია და ა.შ.), რომლებიც, როგორც წესი, არ საჭიროებს კოლოსალურ დანახარჯებს და მსგავსი ტიპის პროექტების განხორციელება ხშირ შემთხვევაში მუნიციპალიტეტების ადგილობრივი ბიუჯეტებიდანაც არის შესაძლებელი. მხოლოდ ეს პროექტები (შიდარეგიონული გზების ჩათვლით), რომლებიც კეთდება უშუალოდ ერთ რეგიონში და გათვალისწინებულია მისი მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებისთვის, გვიჩვენებს რეალურ სურათს, თუ რა ხდება ამ კონკრეტულ რეგიონში და როგორ მიმდინარეობს მისი განვითარების ხელშეწყობა.

პრობლემას წარმოადგენს ის საკითხიც, რომ გართულებულია რეალური **ინფორმაციის ხელმისაწვდომობა** იმის თაობაზე, თუ რომელ რეგიონში რამდენი პროექტი ხორციელდება, რა თანხები იხარჯება, ვისი დაფინანსებით ხორციელდება და ა.შ. უმეტესწილად, სამინისტროდან გამოთხოვილი ინფორმაცია პროექტების შესახებ არ ემთხვევა საჯაროდ ხელმისაწვდომ ინფორმაციას, რადგან ეს უკანასკნელი არ არის სრულად წარმოდგენილი კონკრეტული უწყებების ვებ-გვერდებზე.

ბუნებრივია, ქვეყნისათვის საკეთილდღეო რეგიონული განვითარების პოლიტიკის წარმოებისთვის, აუცილებელია არსებობდეს რეალური სურათი იმისა, თუ რა ხდება ქვეყანაში. მკაფიოდ უნდა გამოიხატებოდეს, რომელ რეგიონზე რა რესურსი იდება და რომელ რეგიონს სჭირდება მეტი ფულადი დახმარება. ნათლად უნდა ჩანდეს **დონორი ორგანიზაციების დახმარების წილი:** რომელ რეგიონებზე მოდის ყველაზე მეტი ფინანსური დახმარება და რის განვითარებას ემსახურება. ამჟამად ამ ინფორმაციის მხოლოდ

ნაწილობრივ მიღება შეიძლება, ისიც თავად საერთაშორისო ინსტიტუტების ვებ-გვერდებზე. ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე არსებობს საჯარო ინფორმაცია დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით მიმდინარე პროექტების და საგარეო ვალის ოდენობის შესახებ, თუმცა შემდგომ არ არის ჩაშლილი ეს ინფორმაცია ყოველ რეგიონზე მოსული წილის მიხედვით.

ამგვარად, რეგიონული განვითარების ხელშეწყობისთვის სახელმწიფომ აუცილებლად უნდა მოაგვაროს ყველა ის სისტემური ხარვეზი, რომელიც ამ პოლიტიკის განხორციელებისას იკვეთება. ამისათვის კი, პირველ რიგში უნდა მოგვარდეს თვითმმართველობის კანონთან დაკავშირებული ორაზროვნებები, რომლებიც ხელს უშლის ხელისუფლებას კონცენტრაცია მოახდინოს რეგიონული პოლიტიკის განხორციელებაზე.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

"სახელმწიფო სამშენებლო კომპანია", სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის საქმიანობა. (2017). Retrieved from http://scc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=97

2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა. (2017). Retrieved from 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა

Asian Development Bank. Georgia: Batumi Bypass Road Project (Project Data Sheet). (2017). Retrieved from https://www.adb.org/projects/50064-001/main#project-pds

Asian Development Bank. Georgia: East-West Highway (Khevi-Ubisa Section) Improvement Project (Project Data Sheet). (2017). Retrieved from Asian Development Bank. Georgia: East-West Highway (Khevi-Ubisa Section) Improvement Project (Project Data Sheet)

Asian Development Bank. Georgia: MFF- Urban Services Improvement Investment Project (Project Data Sheet). (2017). Retrieved from https://www.adb.org/projects/43405-013/main#project-pds

Asian Development Bank. Georgia: Municipal Services Development Project – Phase 2 (Project Data Sheet). (2017). Retrieved from https://www.adb.org/projects/43171-013/main

Asian Development Bank. Georgia: Municipal Services Development Project (Project Data Sheet). (2017). Retrieved from https://www.adb.org/projects/41198-013/main

Asian Development Bank. Georgia: Road Corridor Investment Program (Project Data Sheet). (2017). Retrieved from https://www.adb.org/projects/41122-013/main#project-pds

Asian Development Bank. Georgia: Secondary Road Improvement Project (Project Data Sheet). (2017). Retrieved from https://www.adb.org/projects/documents/secondary-road-improvement-project-pptar

Asian Development Bank. Georgia: Sustainable Urban Transport Investment Project (Project Data Sheet). (2017). Retrieved from https://www.adb.org/projects/42414-044/main#project-pds

Georgia Solid Waste Management Project. (2017). Retrieved from European Bank for Reconstruction and Development: http://www.ebrd.com/work-with-us/projects/psd/georgia-solid-waste-management-project.html

KfW's activities in Georgia. E5P Seminar: "Investment Opportunities for Georgian Municipalities within the framework of E5P". (n.d.). Retrieved from http://georgia.e5p.eu/wp-content/uploads/2015/04/7.-E5P-KfW-Activities-in-Georgia-Tbilisi-March-2015.pdf

KfW's activities in Georgia. E5P Seminar: "Investment Opportunities for Georgian Municipalities within the framework of E5P". (2017). Retrieved from http://georgia.e5p.eu/wp-content/uploads/2015/04/7.-E5P-KfW-Activities-in-Georgia-Tbilisi-March-2015.pdf

KfW's activities in Georgia. E5P Seminar: "Investment Opportunities for Georgian Municipalities within the framework of E5P". (2017). Retrieved from http://georgia.e5p.eu/wp-content/uploads/2015/04/7.-E5P-KfW-Activities-in-Georgia-Tbilisi-March-2015.pdf

Nuts classification, 2013. (n.d.). Retrieved from http://ec.europa.eu/eurostat/web/nuts

Rehabilitation of the Municipal Infrastructure of Batumi: Project Factshteet. (2017). Retrieved from http://www.tiflis.diplo.de/contentblob/4192616/Daten/4267203/DD_KfW_Factsheet_Wasser_Batumi.pdf

Виды региональной политики. (2017). Retrieved from http://textbooks.studio/uchebnik-geopolitika/vidyi-regionalnoy-politiki.html

Г. Яровой, Е. Б. (n.d.). *Европейский Союз для регионов, Глава 2. Региональная политика Европейского союза.* Retrieved from http://www.eupress.ru/uploads/files/EU-131_pages.pdf

Европейский Союз. Региональная политика. (2009). Retrieved from http://ec.europa.eu/regional_policy/sources/docgener/presenta/international/external_ru.pdf

Экономическая теория. Основные понятия, цели и задачи региональной политики. (2017). Retrieved from http://www.bibliotekar.ru/economicheskaya-teoriya/73.htm

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, თავი XII. (n.d.). Retrieved from https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 130. (n.d.). Retrieved from https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 141, მუხლი 143. (n.d.). Retrieved from https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 146-149. (n.d.). Retrieved from https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 146-149. (n.d.). Retrieved from https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 151. (n.d.). Retrieved from https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 156, მუხლი 41. (n.d.). Retrieved from https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 16, „თ“, „რ“, „უ“ ქვეპუნქტები. (n.d.). Retrieved from https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 48., მუხლი 54. (n.d.). Retrieved from https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 49. (n.d.). Retrieved from https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 51. (n.d.). Retrieved from https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429

აზიის განვითარების ბანკი, ფაქტობრივი ინფორმაცია. (2017). Retrieved from https://www.adb.org/ka/publications/georgia-fact-sheet

დაწვრილებითი ინფორმაცია NUTS რეგიონების კლასიფიკაციის შესახებ ევროსაბჭოს ვებ-გვერდზე http://ec.europa.eu/eurostat/web/nuts. (n.d.). Retrieved from http://www.eupress.ru/uploads/files/EU-131_pages.pdf

დებულება, ს. პ. (2016 წლის 21 11). *http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/50988/10.*

ევროკავშირი-საქართველო: მოკლე მიმოხილვა. (n.d.). Retrieved from https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/eu_georgia_nif_ka.pdf

საავტომობილო გზების დეპარტამენტი, დეპარტამენტის შესახებ. (2017). Retrieved from http://www.georoad.ge/?lang=geo&act=pages&func=menu&pid=1384436889

საარჩევნო ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება", საარჩევნო პროგრამა, 2012. (n.d.). Retrieved from ƷttP://www.ivote.ge/images/doc/pdfs/ocnebis%20saarchevno%20programa.pdf

სამინისტროს საქმიანობის სფერო და ამოცანები. (n.d.). Retrieved from საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო,: http://mrdi.gov.ge/

საქართველოს მთავრობის განკარგულება #223, 2013 წლის 1 მარტი, საქართველოს მთავრობის დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების სტრატეგიის ძირითადი პრინციპები 2013-2014 წლებისთვის. (n.d.). Retrieved from https://matsne.gov.ge/ka/document/view/2209502

საქართველოს მთავრობის დადგენილება #172, 2010 წლის 25 ივნისი, თავი I. (n.d.). Retrieved from https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1025719

საქართველოს მთავრობის დადგენილება #172, 2010 წლის 25 ივნისი, თავი II-IV. (n.d.). Retrieved from https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1025719

საქართველოს მთავრობის დადგენილება #172, 2010 წლის 25 ივნისი, საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცებისა და საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ. (n.d.). Retrieved from https://matsne.gov.ge/ka/document/view/3560309

საქართველოს მთვარობის დადგენილება #604, 2014 წლის 30 ოქტომბერი, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ. (n.d.). Retrieved from https://matsne.gov.ge/ka/document/view/2560070

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, ფონდის შესახებ. (2017). Retrieved from http://mdf.org.ge/?site-lang=ka&site-path=fund/about/

საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის და თვითმმართველობის კომიტეტის დებულება, 2016 წლის 21 ნოემბერი #1/21. (n.d.). Retrieved from http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/50988/10

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება #161, 2000 წლის 21 აპრილი, ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრის, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის, შექმნის შესახებ. (n.d.). Retrieved from https://matsne.gov.ge/ka/document/view/113794

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის ბრძანება #18/ნ, 2015 წლის 16 აპრილი, მუხლი 1. (n.d.). Retrieved from https://matsne.gov.ge/ka/document/view/2810425

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, სამინისტროს საქმიანობის სფერო და ამოცანები. (2017). Retrieved from http://mrdi.gov.ge/

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მრჩეველთა საბჭოს დებულება, მუხლი 1, გვ.1. (n.d.). Retrieved from http://mrdi.gov.ge/sites/default/files/tvitmmartvelobis_ganvitarebisa_da_regionuli_politikis_sakitxebshi_mrchevelta_sabchos_debuleba_1.pdf

საქსტატი, 2016. (n.d.). Retrieved from საქართველოს ბიუჯეტიდან "რეგიონებში განსახორციელებელი პრექტების ფონდში" გადარიცხული თანხა წლების მიხედვით

საქსტატი, 2016. (n.d.). Retrieved from http://geostat.ge/regions/

სახელმწიფო ბიუჯეტში ასახული დონორების მხარდაჭერით დაფინანსებული პროგრამები და პროექტები 2017 წლის 30 აპრილის მდგომარეობით. (n.d.). Retrieved from http://www.mof.ge/4784

ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021. (n.d.). Retrieved from http://www.mrdi.gov.ge/sites/default/files/kvemo_kartlis_regionis_ganvitarebis_strategia_2014-2021_clebistvis.pdf

შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია", კომპანიის მისია. (2017). Retrieved from http://water.gov.ge/page/full/3

შპს "საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია", კომპანიის მიზნები. (2017). Retrieved from http://waste.gov.ge/ge/?page_id=51

დანართი

დოკუმენტი 1.

ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის

კარი VI

თავი 21

რეგიონული განვითარება, თანამშრომლობა საზღვრისპირა და რეგიონულ დონეზე.

მუხლი 372:

1. მხარეები ხელს შეუწყობენ ორმხრივ თანამშრომლობას რეგიონული განვითარების პოლიტიკის სფეროში და მრავალდონიანი მმართველობისა და პარტნიორობის ჩამოყალიბებას, სადაც განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება ღარიბი რაიონების განვითარებაზე.
2. მხარეები განსაკუთრებთ ითანამშრომლებენ, რათა საქართველოში მოხდეს:
    - მრავალდონიანი მმართველობის გაძლიერება;
    - რეგიონული განვითარების პროცესში ჩართულ მხარეებს შორის პარტნიორობის კონსოლიდაცია;
    - თანადაფინანსება, რეგიონული განვითარების პროგრამებისა და პროექტების განხორციელების პროცესში ჩართული სუბიექტების მიერ ფინანსური წვლილის შეტანით

მუხლი 373:

1. მხარეები დაეხმარებიან და განამტკიცებენ ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობას რეგიონული პოლიტიკის თანამშრომლობაში, გააღრმავებენ

თანამშრომლობას ურთიერთხელსაყრელი საკანონმდებლო ჩარჩოს ჩამოყალიბებით, განამტკიცებენ და განავითარებენ ინსტიტუციური შესაძლებლობების ამაღლების საშუალებებს და ხელს შეუწყობენ რეგიონული ეკონომიკური და ბიზნეს კავშირების გაძლიერებას.

2. მხარეები ითანამშრომლებენ რეგიონული განვითარებისა და მიწის გამოყენების დაგეგმარების სფეროებში საქართველოს ინსტიტუტების ინსტიტუციური და საოპერაციო შესაძლებლობების კონსოლიდაციის მიმართულებით.

მუხლი 374:

1. მხარეები გააძლიერებენ და ხელს შეუწყობენ საზღვრისპირა თანამშრომლობის განვითარებას სხვა სფეროებშიც, მაგალითად, ტრანსპორტის, ენერგეტიკის, საკომუნიკაციო ქსელების, კულტურის, განათლების, ტურიზმისა და ჯანდაცვის სფეროებში.
2. მხარეები უფრო ინტენსიურად ითანამშრომლებენ ტრანსნაციონალური და რეგიონებს შორის არსებული პროგრამების მეშვეობით. ამით მოხდება საქართველოს რეგიონები ევროპის რეგიონულ სტრუქტურებსა და ორგანიზაციებში ჩართულობის დონის ამაღლება და საერთო ინტერესების საფუძველზე შემუშავებული პროექტების განხორციელებით, მათი ეკონომიკური და ინსტიტუციური განვითარების განმტკიცება.
3. ამ ნაბიჯების გადადგმა მოხდება:
    - ტერიტორიული თანამშრომლობის გაგრძელებით ევროპის რეგიონებთან
    - აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში ევროკავშირის ორგანოებთან თანამშრომლობით, მათ შორის, რეგიონების კომიტეტთან და ევროპის სხვადასხვა რეგიონულ პროექტებსა და ინიციატივებში მონაწილეობით
    - ევროპის ეკონომიკურ და სოციალურ კომიტეტთან და ევროპის სივრცითი დაგეგმვის დამკვირვებელ ქსელთან თანამშრომლობით

მუხლი 375:

გაიმართება რეგულარული დიალოგები წინამდებარე თავში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით.[5]

[5] ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის

რუკა 1. საქართველოს თვითმმართველი ქალაქები

შენიშვნა: რუკა შექმნილია ნაშრომის ავტორის მიერ QGIS პროგრამაში

რუკა 2. 2013-2016 წლებში რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ საქართველოში განხორციელებული საგზაო და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების შედარება ღირებულების მიხედვით (მლნ ლარი)



შენიშვნა: რუკა შექმნილია ნაშრომის ავტორის მიერ QGIS პროგრამაში

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურისა და მასზე დაქვემდებარებული უწყებების მიერ განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა მოხდა ამავე სამინისტროდან, შესაბამისად, ელექტრონულად არ არის ხელმისაწვდომი.

რუკა 3. 2013-2016 წლებში რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ საქართველოში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების მთლიანი ღირებულება რეგიონების მიხედვით (მლნ ლარი)



შენიშვნა: რუკა შექმნილია ნაშრომის ავტორის მიერ QGIS პროგრამაში

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურისა და მასზე დაქვემდებარებული უწყებების მიერ განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა მოხდა ამავე სამინისტროდან, შესაბამისად, ელექტრონულად არ არის ხელმისაწვდომი.

რუკა 4. 2013-2016 წლებში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ საქართველოში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების ღირებულება წლების მიხედვით (მლნ ლარი)



შენიშვნა: რუკა შექმნილია ნაშრომის ავტორის მიერ QGIS პროგრამაში

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურისა და მასზე დაქვემდებარებული უწყებების მიერ განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა მოხდა ამავე სამინისტროდან, შესაბამისად, ელექტრონულად არ არის ხელმისაწვდომი.

რუკა 5. 2013-2016 წლებში ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებში „რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ განხორციელებული პროექტების ჯამური ღირებულება მუნიციპალიტეტების მიხედვით



შენიშვნა: რუკა შექმნილია ნაშრომის ავტორის მიერ QGIS პროგრამაში

რუკა 6. 2013-2016 წლებში ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებში „რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ განხორციელებული პროექტების ჯამური ღირებულება წლების მიხედვით.



შენიშვნა: რუკა შექმნილია ნაშრომის ავტორის მიერ QGIS პროგრამაში

ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა მოხდა ქვემო ქართლის გუბერნიიდან, შესაბამისად, ელექტრონულად არ არის ხელმისაწვდომი.

ცხრილი 1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მიერ 2013-2017 წლებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების ღირებულება ფუნქციონალურ ჭრილში (მლნ ლარი)

	2013	2014	2015	2016	2017
საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები	501 740 000	501 720 000	645 200 000	526 580 000	849 177 000
გზების მშენებლობა და მოვლა შენახვა	206 220 000	214 320 000	271 200 000	245 230 000	416 285 000
ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობა	290 250 000	281 500 000	367 500 000	275 000 000	426 880 000
რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	181 937 000	187 075 000	225 700 000	246 200 000	176 190 000
წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია	130 663 000	130 980 000	119 200 000	170 550 000	183 950 000
მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა	12 000 000	-	-	-	43 850 000

წყარო: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ვებ-გვერდი, ფინანსური ინფორმაცია http://mrdi.gov.ge/ge/page/%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%AF%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98

ცხრილი 2. ევროპის საინვესტიციო ბანკის დაფინანსებით, საქართველოში განხორციელებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები

დასახელება	სექტორი	ხელმოწერის თარიღი	თანხა (ევრო)
პრიორიტეტული გზების განახლებისა და ახალი მშენებლობის პროექტი	ტრანსპორტი	09/12/2016	250,000,000
მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განახლება-რეაბილიტაცია	ურბანული განვითარება	09/12/2016	100,000,000
საქართველოს ურბანული რეკონსტრუქციისა და განვითარების პროექტი	ურბანული ინფრასტრუქტურა	11/02/2016	100,000,000
საქართველოს აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალი II პროექტი - ზემო ოსიაური - ჩუმათელეთის მონაკვეთის ჩქაროსნული მაგისტრალის მშენებლობა	ტრანსპორტი	11/02/2016	49,450,000
ქუთაისში ნარჩენი წყლების გადამუშავების პროექტი	წყალი, კანალიზაცია	15/10/2015	100,000,000
საქართველოს აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალი - გრიგოლეთი-სამტრედიის გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია	ტრანსპორტი	28/11/2013	30,000,000
წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი II	წყალი, კანალიზაცია	20/08/2013	40,000,000
საქართველოს აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალი - სამტრედია-გრიგოლეთი-ჩოლოქის საერთაშორისო მნიშვნელობის გზის მშენებლობა	ტრანსპორტი	11/05/2012	170,000,000
წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი	წყალი, კანალიზაცია	15/09/2010	40,000,000
		ჯამი	879,450,000

წყარო: ევროპის საინვესტიციო ბანკი

http://www.eib.org/projects/loan/list/?region=4&country=GE

ცხრილი 3. ქვემო ქართლის რეგიონის მუნიციპალიტეტების ადგილობრივი ბიუჯეტები 2015-2017 წლებში

დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა		
			სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტი
ქ. რუსთავი	43,701.2	38,646.5	29,998.7	29,498.7	500.0
გარდაბანი	19412,8	26702,8	22660,0		
ბოლნისი	20,087.9	22,061.4	18,321.0	18,016.0	305.0
მარნეული	22249.1	22732.1	17806.7	17806.7	0.0
თეთრიწყარო	8,501.1	11,268.0	7,204.0	7,204.0	0.0
დმანისი	8,009.1	8,260.9	4,979.3	4,979.3	0.0
წალკა	5 516,4	8 493,3	4 542,4	4 542,4	0.0

წყარო:

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება #181, 2016 წლის 22 დეკემბერი

https://matsne.gov.ge/ka/document/view/3495787

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება #35, 2016 წლის 23 დეკემბერი

https://matsne.gov.ge/ka/document/view/3500263

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება #50, 2016 წლის 26 დეკემბერი

https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3505824

მარნეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება #1, 2017 წლის 10 იანვარი

https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3543388

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება #171, 2017 წლის 24 თებერვალი

https://matsne.gov.ge/ka/document/view/3591229

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება #22, 2016 წლის 22 დეკემბერი

https://matsne.gov.ge/ka/document/view/3498945

გრაფიკი 1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2013-2017 წლების ბიუჯეტი (მლნ ლარი)



წყარო: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ვებ-გვერდი, ფინანსური ინფორმაცია http://mrdi.gov.ge/ge/page/%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%AF%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98

გრაფიკი 2. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ 2013-2017 წლებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების ღირებულება ფუნქციონალურ ჭრილში (მლნ ლარი)



წყარო: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ვებ-გვერდი, ფინანსური ინფორმაცია

http://mrdi.gov.ge/ge/page/%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%AF%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98

გრაფიკი 3. 2013-2017 წლებში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ საბიუჯეტო სახსრებით განხორციელებული პროექტების ჯამური ღირებულება (მლნ ლარი)



წყარო: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ვებ-გვერდი, ფინანსური ინფორმაცია http://mrdi.gov.ge/ge/page/%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%AF%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98

გრაფიკი 4. საქართველოს ბიუჯეტიდან "რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდში" გადარიცხული თანხა წლების მიხედვით (მლნ ლარი)



წყარო: 2013-2017 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნენები

შენიშვნა: გრაფიკი შედგება 2013-2017 წლებში საქართველოს ბიუჯეტიდან „რეგიონებში განსახორციელები პროექტების ფონდში“ გადარიცხული თანხისგან.

ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია და მისი ელექტრონული ვერსიის ნახვა შესაძლებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე საქართველოს ბიუჯეტის შესაბამისი წლების ანგარიშების III თავში - „სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნენები“.

www.mof.ge

გრაფიკი 5. 2013-2017 წლებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადარიცხული თანხები საქართველოს ბიუჯეტიდან (მლნ ლარი)



წყარო: 2013-2017 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნენები

შენიშვნა: გრაფიკი შედგება 2013-2017 წლებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადარიცხული თანხებისგან საქართველოს ბიუჯეტიდან.

ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია და მისი ელექტრონული ვერსიის ნახვა შესაძლებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე საქართველოს ბიუჯეტის შესაბამისი წლების ანგარიშების III თავში - „სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნენები“.

www.mof.ge

გრაფიკი 6. "რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისთვის" ბიუჯეტიდან გადარიცხულ თანხებსა და ფონდის ფარგლებში განხორციელებული პროექტების საერთო ღირებულებას შორის სხვაობა 2013-2016 წლებში (მლნ ლარი)



წყარო: 2013-2016 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნენები

საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო

შენიშვნა: გრაფიკი მოიცავს ინფორმაციას 2013-2016 წლებში საქართველოს ბიუჯეტიდან „რეგიონებში განსახორციელები პროექტების ფონდში“ გადარიცხული თანხის შესახებ.

ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია და მისი ელექტრონული ვერსიის ნახვა შესაძლებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე საქართველოს ბიუჯეტის შესაბამისი წლების ანგარიშების III თავში - „სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნენები“.

www.mof.ge

ასევე, გრაფიკი შეიცავს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებულ ინფორმაციას „რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ დაფინანსებული პროექტების შესახებ.

www.mrdi.gov.ge

გრაფიკი 7. 2013-2016 წლებში რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ საქართველოში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების მთლიანი ღირებულება რეგიონების მიხედვით (მლნ ლარი)



წყარო: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

შენიშვნა: ცხრილი მოიცავს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და მასზე დაქვემდებარებული უწყებების მიერ 2013-2016 წლებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების ჯამურ ღირებულებას.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურისა და მასზე დაქვემდებარებული უწყებების მიერ განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა მოხდა ამავე სამინისტროდან, შესაბამისად, ელექტრონულად არ არის ხელმისაწვდომი.

გრაფიკი 8. 2013-2016 წლებში რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ საქართველოში განხორციელებული საგზაო და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების შედარება ღირებულების მიხედვით (მლნ ლარი)



წყარო: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

შენიშვნა: ცხრილი მოიცავს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და მასზე დაქვემდებარებული უწყებების მიერ 2013-2016 წლებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების ღირებულებას.

სხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებში იგულისხმება წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მშენებლობა/რეაბილიტაცია, ნაპირსამაგრი სამუშაოები, ხიდების მშენებლობა, დასუფთავება, გარე განათება კულტურის ობიექტების რეაბილიტაცია, რეკრეაციული ზონების მოწყობა და სხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოები.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურისა და მასზე დაქვემდებარებული უწყებების მიერ განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა მოხდა ამავე სამინისტროდან, შესაბამისად, ელექტრონულად არ არის ხელმისაწვდომი.

გრაფიკი 9. 2013-2017 წლებში რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ საქართველოში განხორციელებული საგზაო ინფრასტრუქტურის პროექტების ღირებულება რეგიონების მიხედვით (მლნ ლარი)



წყარო: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

შენიშვნა: ცხრილი მოიცავს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და მასზე დაქვემდებარებული უწყებების მიერ 2013-2017 წლებში განხორციელებული საგზაო ინფრასტრუქტურის პროექტების საერთო ღირებულებას.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურისა და მასზე დაქვემდებარებული უწყებების მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა მოხდა ამავე სამინისტროდან, შესაბამისად, ელექტრონულად არ არის ხელმისაწვდომი.

გრაფიკი 10. 2013-2016 წლებში რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ საქართველოში განხორციელებული წყალმომარაგებისა და წყალარინების პროექტების ღირებულება რეგიონების მიხედვით (მლნ ლარი)



წყარო: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

შენიშვნა: ცხრილი მოიცავს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და მასზე დაქვემდებარებული უწყებების მიერ 2013-2017 წლებში განხორციელებული წყალმომარაგებისა და წყალარინების პროექტების ჯამურ ღირებულებას.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურისა და მასზე დაქვემდებარებული უწყებების მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა მოხდა ამავე სამინისტროდან, შესაბამისად, ელექტრონულად არ არის ხელმისაწვდომი.

გრაფიკი 11. 2013-2016 წლებში რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ საქართველოში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების ღირებულება საგზაო პროექტების გამოკლებით (მლნ ლარი)



წყარო: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

შენიშვნა: ცხრილი მოიცავს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და მასზე დაქვემდებარებული უწყებების მიერ 2013-2016 წლებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების ღირებულებას საგზაო პროექტების გარეშე.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურისა და მასზე დაქვემდებარებული უწყებების მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა მოხდა ამავე სამინისტროდან, შესაბამისად, ელექტრონულად არ არის ხელმისაწვდომი.

გრაფიკი 12. 2013-2017 წლებში საქართველოს რეგიონებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების რაოდენობა რეგიონების მიხედვით



წყარო: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

შენიშვნა: ცხრილი შედგება 2013-2016 წლებში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და მასზე დაქვემდებარებული უწყებების მიერ, და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2013-2016 წლებში განხორციელებული პროექტების ჯამური რაოდენობისგან.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და მასზე დაქვემდებარებული უწყებების მიერ განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა მოხდა ამავე სამინისტროდან, შესაბამისად, ელექტრონულად არ არის ხელმისაწვდომი.

რაც შეეხება რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში განხორციელებულ პროექტების შესახებ ინფორმაციას, ის ხელმისაწვდომია ელექტრონულად საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ვებ-გვერდზე www.mrdi.gov.ge

გრაფიკი 13. 2013-2017 წლებში საქართველოში ინფრასტრუქტურულ პროექტებზე დახარჯული თანხების რაოდენობა წლების და რეგიონების მიხედვით (მლნ ლარი)



წყარო: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

შენიშვნა: ცხრილი შედგება 2013-2017 წლებში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და მასზე დაქვემდებარებული უწყებების მიერ, და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2013-2017 წლებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების ჯამური ღირებულებისგან.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და მასზე დაქვემდებარებული უწყებების მიერ განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების ღირებულების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა მოხდა ამავე სამინისტროდან, შესაბამისად, ელექტრონულად არ არის ხელმისაწვდომი.

რაც შეეხება რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში განხორციელებულ პროექტების ღირებულების შესახებ ინფორმაციას, ის ხელმისაწვდომია ელექტრონულად საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ვებ-გვერდზე www.mrdi.gov.ge

გრაფიკი 14. 2013-2016 წლებში იმერეთის რეგიონში განხორციელებული ყველაზე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების ღირებულება (მლნ ლარი)



წყარო: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

შენიშვნა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და მასზე დაქვემდებარებული უწყებების მიერ განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების ღირებულების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა მოხდა ამავე სამინისტროდან, შესაბამისად, ელექტრონულად არ არის ხელმისაწვდომი.

გრაფიკი 15. 2013-2016 წლებში სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ინფრასტრუქტურული პროექტების პრიორიტეტული სექტორების საერთო ღირებულება და რაოდენობა (მლნ ლარი)



წყარო: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

შენიშვნა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და მასზე დაქვემდებარებული უწყებების მიერ განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების ღირებულების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა მოხდა ამავე სამინისტროდან, შესაბამისად, ელექტრონულად არ არის ხელმისაწვდომი.

გრაფიკი 16. 2013-2016 წლებში სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ინფრასტრუქტურული პროექტების პრიორიტეტული სექტორების საერთო ღირებულება და რაოდენობა (მლნ ლარი)



წყარო: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

შენიშვნა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და მასზე დაქვემდებარებული უწყებების მიერ განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების ღირებულების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა მოხდა ამავე სამინისტროდან, შესაბამისად, ელექტრონულად არ არის ხელმისაწვდომი.

გრაფიკი 17. სახელმწიფო ბიუჯეტში ასახული დონორი ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერის წილი (2017 წლის მდგომარეობით)



წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტში ასახული დონორების მხარდაჭერით დაფინანსებული პროგრამები და პროექტები (2017 წლის 30 აპრილის მდგომარეობით). ინფორმაცია ხელმისაწვდომია ელექტრონულად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე

შენიშვნა: გრაფიკში ნაჩვენებია, როგორც 2017 წლის მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტში ასახული დონორების მხარდაჭერით დაფინანსებული პროგრამები და პროექტები. ფულადი დახმარება ითვალისწინებს ქვეყნისთვის გაცემულ შეღავათიან სესხებს კონკრეტული ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად. დონორ ორგანიზაციებში შედის: აზიის განვითარების ბანკი (ADB), მსოფლიო ბანკი (WB), ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB), გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW), იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაცია (JICA), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) და ქუვეითის ფონდი (Kuwait Fund). პროექტები მიმდინარეობს მთელი საქართველოს მასშტაბით და ეხება როგორც საგზაო, წყლის, ასევე ურბანული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარებას. პროექტების ღირებულება გაანგარიშებულია დოლარში.

გრაფიკი 18. სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი გრანტები საქართველოსთვის ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად (მლნ ლარი)



წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტში ასახული დონორების მხარდაჭერით დაფინანსებული პროგრამები და პროექტები (2017 წლის 30 აპრილის მდგომარეობით). ინფორმაცია ხელმისაწვდომია ელექტრონულად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე

საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია პროექტების შესახებ:

https://eeas.europa.eu/delegations/georgia/7587/evrokavshiris-proektebi-sakartveloshi_ka

შენიშვნა: გრაფიკში ნაჩვენებია, როგორც 2011-2016 წლების პერიოდში განხორციელებული და დასრულებული პროექტები, ასევე მიმდინარე და აქტიური პროექტები. დონორ ორგანიზაციებში შედის ევროკავშირის სამეზობლო ინვესტირების ფონდი (EU-NIF), ასევე შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (SIDA) და ნიდერლანდების სამეფოს მთავრობა (წარმოდგენილი ORET-ი სახით). თანხაში იგულისხმება საქართველოსთვის გამოყოფილი გრანტები ამა თუ იმ ინფრასტრუქტურული პროექტის განსახორციელებლად. პროექტები მიმდინარეობს მთელი საქართველოს მასშტაბით და ეხება როგორც წყლის, ასევე ურბანული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარებას.

გრაფიკი 19. ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი თანხა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად (მლნ ლარი)



წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტში ასახული დონორების მხარდაჭერით დაფინანსებული პროგრამები და პროექტები (2017 წლის 30 აპრილის მდგომარეობით). ინფორმაცია ხელმისაწვდომია ელექტრონულად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე

ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) ვებ-გვერდზე განთავსებული პროექტების ნუსხა ქვეყნების მიხედვით http://www.eib.org/projects/loan/list/?region=4&country=GE

შენიშვნა: გრაფიკში ნაჩვენებია, როგორც 2010-2016 წლების პერიოდში განხორციელებული და დასრულებული პროექტები, ასევე მიმდინარე და აქტიური პროექტები. თანხაში იგულისხმება საქართველოსთვის გამოყოფილი სესხი ამა თუ იმ ინფრასტრუქტურული პროექტის განსახორციელებლად. პროექტები მიმდინარეობს მთელი საქართველოს მასშტაბით და ეხება როგორც საგზაო, წყლის, ასევე ურბანული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარებას.

გრაფიკი 20. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ განხორციელებული პროექტები სექტორების მიხედვით:



წყარო: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ვებ-გვერდი

http://www.ebrd.com/georgia-data.html

გრაფიკი 21. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი თანხა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად (მლნ ლარი)



წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტში ასახული დონორების მხარდაჭერით დაფინანსებული პროგრამები და პროექტები (2017 წლის 30 აპრილის მდგომარეობით). ინფორმაცია ხელმისაწვდომია ელექტრონულად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ვებ-გვერდზე განთავსებული პროექტების ნუსხა ქვეყნების მიხედვით http://www.ebrd.com/georgia.html

შენიშვნა: გრაფიკში ნაჩვენებია, როგორც 2008-2016 წლების პერიოდში განხორციელებული და დასრულებული პროექტები, ასევე მიმდინარე და კონცეპტუალური მიმოხილვის ფაზაში მყოფი პროექტები. თანხაში იგულისხმება საქართველოსთვის გამოყოფილი სესხის და გრანტების ოდენობა, ამა თუ იმ ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად. პროექტები მიმდინარეობს მთელი საქართველოს მასშტაბით და ეხება როგორც საგზაო, წყლის, ასევე ურბანული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარებას.

გრაფიკი 22. მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოში განხორციელებული პროექტების საერთო ღირებულება (მლნ აშშ დოლარი) და რაოდენობა (ერთეული) წლების მიხედვით



წყარო: მსოფლიო ბანკი

http://data.worldbank.org/country/georgia

გრაფიკი 23. მსოფლიო ბანკის (WB) მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი თანხა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად (მლნ ლარი)



წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტში ასახული დონორების მხარდაჭერით დაფინანსებული პროგრამები და პროექტები (2017 წლის 30 აპრილის მდგომარეობით). ინფორმაცია ხელმისაწვდომია ელექტრონულად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე

მსოფლიო ბანკის ვებ-გვერდზე განთავსებული პროექტების ნუსხა ქვეყნების მიხედვით http://projects.worldbank.org

შენიშვნა: გრაფიკში ნაჩვენებია, როგორც 2006-2016 წლების პერიოდში განხორციელებული და დასრულებული პროექტები, ასევე მიმდინარე და აქტიური პროექტები. თანხაში იგულისხმება საქართველოსთვის გამოყოფილი სესხი ამა თუ იმ ინფრასტრუქტურული პროექტის განსახორციელებლად. პროექტები მიმდინარეობს მთელი საქართველოს მასშტაბით და ეხება როგორც საგზაო, ასევე ურბანული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარებას.

გრაფიკი 24. აზიის განვითარების ბანკის მიერ (ADB) საქართველოსთვის გამოყოფილი თანხა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად (მლნ ლარი)



წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტში ასახული დონორების მხარდაჭერით დაფინანსებული პროგრამები და პროექტები (2017 წლის 30 აპრილის მდგომარეობით). ინფორმაცია ხელმისაწვდომია ელექტრონულად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე

აზიის განვითარების ბანკის ვებ-გვერდზე განთავსებული პროექტების ნუსხა ქვეყნების მიხედვით https://www.adb.org/countries/georgia/main

შენიშვნა: გრაფიკში ნაჩვენებია, როგორც 2008-2016 წლების პერიოდში განხორციელებული და დასრულებული პროექტები, ასევე მიმდინარე და დამტკიცებული პროექტები. თანხაში იგულისხმება საქართველოსთვის გამოყოფილი სესხი ამა თუ იმ ინფრასტრუქტურული პროექტის განსახორციელებლად. პროექტები მიმდინარეობს მთელი საქართველოს მასშტაბით და ეხება როგორც საგზაო, წყლის, ასევე ურბანული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარებას.

გრაფიკი 25. გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი თანხა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად (მლნ ლარი)



წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტში ასახული დონორების მხარდაჭერით დაფინანსებული პროგრამები და პროექტები (2017 წლის 30 აპრილის მდგომარეობით). ინფორმაცია ხელმისაწვდომია ელექტრონულად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე

გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) საინფორმაციო ბროშურებიდან მიღებული ინფორმაცია, რომლებიც ელექტრონულად ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ გვერდზე:

https://www.kfw-entwicklungsbank.de/International-financing/KfW-Development-Bank/Local-presence/Europe/Georgia/

შენიშვნა: გრაფიკში ნაჩვენებია, როგორც 2007-2016 წლების პერიოდში განხორციელებული და დასრულებული პროექტები, ასევე მიმდინარე და აქტიური პროექტები. თანხაში იგულისხმება საქართველოსთვის გამოყოფილი სესხი ამა თუ იმ ინფრასტრუქტურული პროექტის განსახორციელებლად. პროექტები მიმდინარეობს მთელი საქართველოს მასშტაბით და ეხება როგორც წყლის, ასევე ურბანული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარებას.

გრაფიკი 26. ქვემო ქართლის რეგიონის მუნიციპალიტეტების 2015-2017 წლების ადგილობრივი ბიუჯეტები (მლნ ლარი)



წყარო:

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება #181, 2016 წლის 22 დეკემბერი

https://matsne.gov.ge/ka/document/view/3495787

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება #35, 2016 წლის 23 დეკემბერი

https://matsne.gov.ge/ka/document/view/3500263

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება #50, 2016 წლის 26 დეკემბერი

https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3505824

მარნეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება #1, 2017 წლის 10 იანვარი

https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3543388

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება #171, 2017 წლის 24 თებერვალი

https://matsne.gov.ge/ka/document/view/3591229

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება #22, 2016 წლის 22 დეკემბერი

https://matsne.gov.ge/ka/document/view/3498945

გრაფიკი 27. 2013-2016 წლებში ქვემო ქართლში „რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტების ღირებულება (მლნ ლარი) და რაოდენობა



წყარო: ქვემო ქართლის გუბერნია

შენიშვნა: რეგიონში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა მოხდა ქვემო ქართლის გუბერნიიდან, შესაბამისად, ელექტრონულად არ არის ხელმისაწვდომი.

გრაფიკი 28. 2013-2016 წლებში ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების ღირებულება (მლნ ლარი)



წყარო: ქვემო ქართლის გუბერნია

შენიშვნა: ქვემო ქართლის რეგიონის მუნიციპალიტეტებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა მოხდა ქვემო ქართლის გუბერნიიდან, შესაბამისად, ელექტრონულად არ არის ხელმისაწვდომი.

გრაფიკი 29. 2013-2016 წლებში ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების რაოდენობა



წყარო: ქვემო ქართლის გუბერნია

შენიშვნა: ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა მოხდა ქვემო ქართლის გუბერნიიდან, შესაბამისად, ელექტრონულად არ არის ხელმისაწვდომი.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Ana Janjgava

Geographical aspects of regional development of Georgia

Human Geography

The work has been accomplished to obtain the Master's academic degree in Human Geography

Supervisor: Prof. Valerian Melikidze

Tbilisi, 2017

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტი

მარიამ შარია

საქართველოს სომხების ეთნო-კულტურული იდენტობის გამოხატვის სივრცითი თავისებურებები თბილისისა და ახალქალაქის მაგალითზე

სამაგისტრო პროგრამა - საზოგადოებრივი გეოგრაფია

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საზოგადოებრივი
გეოგრაფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: ია იაშვილი, საზოგადოებრივი
გეოგრაფიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

თბილისი, 2017

ანოტაცია

საქართველოსთვის, როგორც ეთნო-კულტურული თუ რელიგიური მრავალფეროვნებით გამორჩეული ქვეყნისთვის, ეთნო-კულტურული საკითხები აქტუალურია. მოცემული სამაგისტრო ნაშრომი - „საქართველოს სომხების ეთნო-კულტურული იდენტობის გამოხატვის სივრცითი თავისებურებები თბილისისა და ახალქალაქის მაგალითზე“ მიზნად ისახავს დაადგინოს, თუ რა სახის სივრცითი თავისებურებები არსებობს თბილისისა და ახალქალაქის სომხებისთვის საკუთარი ეთნო-კულტურული იდენტობის გამოხატვის პროცესში.

მიზნის მისაღწევად შესრულდა ამოცანები: ეთნო-კულტურულ იდენტობასთან დაკავშირებული ტერმინების გაცნობა; მოკლე ისტორიული მიმოხილვა საქართველოს სომხების შესახებ; ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული საკანონმდებლო სისტემისა და სტატისტიკის მიმოხილვა; ექსპერტებთან გასაუბრება; თვისებრივი კვლევის ფარგლებში, სომხური მოსახლეობის გამოკითხვა თბილისსა და ახალქალაქში.

თვისებრივი კვლევის სამიზნე ჯგუფები იყვნენ თბილისსა და ახალქალაქში მცხოვრები სომხები.

ნაშრომის ძირითადი მიგნებაა - სომხების ეთნო-კულტურული იდენტობის გამოხატვის პროცესში ახალქალაქსა და თბილისს შორის სივრცითი სხვაობები დაფიქსირდა ენასთან, რელიგიურ ცხოვრებასთან, სამზარეულოსთან, სასკოლო განათლებასა და მიგრაციულ განწყობებთან მიმართებით.

Annotation

Ethno-cultural issues are important for Georgia, as far as it is characterized by ethno-cultural and religious diversity. This Master thesis – "Spatial characteristics of the expression of ethno-cultural identity of Armenians on the example of Tbilisi and Akhalkalaki" by Mariam Sharia (M. Sharia) – aims to reveal what kind of spatial characteristics exist for Armenian from Tbilisi and Akhalkalaki during expressing their ethno-cultural identity.

In order to achieve the goal these tasks were accomplished: introducing the terms related to ethno-cultural identity; a brief historical overview about the Armenians of Georgia; Overview of the legislative system and statistics related to ethnic minorities; interviewing experts; within the qualitative research, interviewing Armenian population in Tbilisi and Akhalkalaki.

The target groups of the qualitative research were Armenians living in Tbilisi and Akhalkalaki.

The main finding of this thesis is – during expressing Armenians ethno-cultural identity, spatial differences between Akhalkalaki and Tbilisi were revealed which are related to the language, religion life, cuisine, school education and migration attitudes.

სარჩევი

ანოტაცია 2

Annotation 3

შესავალი 5

თავი 1. მეთოდოლოგია 10

თავი 2. ცნებების მიმოხილვა 12

§ 2.1 კულტურა და კულტურული იდენტობა 12

§ 2.2 ეთნოსი და ეთნო-კულტურა 17

თავი 3. სომხები საქართველოში - ისტორიული მიმოხილვა 20

თავი 4. საქართველოს ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული კანონმდებლობა 25

თავი 5. სტატისტიკური მონაცემები 31

თავი 6. ორგანიზაციები და მედია 38

თავი 7. თვისებრივი კვლევა 48

§ 7.1 თვისებრივი კვლევის შედეგები 48

§ 7.2 თვისებრივი კვლევის ანალიზი 62

თავი 8. დასკვნა 66

ბიბლიოგრაფია 69

დანართი 73

შესავალი

თემის აქტუალობა - საქართველო ეთნო-კულტურული მრავალფეროვნებით გამორჩეული ქვეყანაა. 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით, სომხები საქართველოს მესამე მსხვილ ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენენ (მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 4.5%) (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური), რომელთაც ახასიათებთ როგორც დისპერისული, ასევე კომპაქტური განსახლების ფორმები.

ერთი მხრივ, სახელმწიფოს არარაციონალური და არაეფექტიანი მართვის პირობებში, ეთნო-კულტურულ სხვადახვაობას თან სდევს მთელი რიგი სირთულეები, მეორე მხრივ კი იქმნება უნიკალური კულტურული მრავალფეროვნება, რაც იმავე სახელმწიფოს სიმდიდრეა. შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის წარმატების ერთ-ერთი განმსაზღვრელია მისი მოქალაქეების მიერ საკუთარი ეთნო-კულტურული იდენტობის გამოხატვის თავისუფლება და განსხვავებული კულტურის მატარებელ თანამოქალაქეებთან ჰარმონიული თანაცხოვრება. ერთმანეთის კულტურის გაცნობა, გააზრება და პატივისცემა კი არის სირთულეების გადალახვის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობა.

საქართველოს სომხების კულტურულ იდენტობასთან დაკავშირებით გამოვყოფ შემდეგ გასათვალისწინებელ გარემოებებს: ა) საქართველოსა და სომხეთის გეოგრაფიული

სიახლოვე (ერთ რეგიონში არსებობა, ისტორიული და თანამედროვე მეზობლობა), რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია თაობათა შორის კულტურის გადაცემის პროცესში; ბ) საქართველოში სომხური მოსახლეობის დასახლების პერიოდულობა (ყოველი მომოდევნო ახალმოსხლე, ეთნო-კულტურული თვალსაზრისით, თამაშობდა განმაახლებელ როლს ძველი თაობის დიასპორისთვის); გ) სომხური მოსახლეობის განსახლების ნაირგვარობა, იქნება ეს დედაქალაქი, რეგიონული ქალაქი თუ სოფელი, კომპაქტური თუ გაფანტული/დისპერსიული დასახლებები; დ) თაობათა რიგითობა; ე) შერეული ქორწინებების არსებობა; ვ) განათლებასთან დაკავშირებული საკითხები და სხვა. თითოეული ამ ფაქტორის სინთეზით ყალიბდება და ნარჩუნდება პიროვნების ეთნო-კულტურული იდენტობა. ჩემი კვლევის მთავარი კითხვაა, თუ რამდენად დიდია წმინდა გეოგრაფიული ფაქტორის - ადგილის - გავლენა (დედაქალაქი-ქალაქი-სოფელი) ამ პროცესებში. „ადგილის“ სხვადასხვაობა ხომ მხოლოდ ფიზიკურ მოცემულობებს არ გულისხმობს, ეს არის ამ თუ იმ მომსახურების თავმოყრა ან ნაკლებობა, განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური კავშირები, მიმოსვლის განსხვავებული საშუალებები და სხვა.

მიზანი და ამოცანები - მოცემული ნაშრომის მიზანია გამოავლინოს არსებობს თუ არა (თუ არსებობს, რა სახის) საქართველოს სომხების ეთნო-კულტურული იდენტობის

გამოხატვის პროცესში სივრცითი თავისებურებები თბილისსა და ახალქალაქის მაგალითზე.

დასახული მიზნის მისაღწევად საჭიროა შემდეგი ამოცანების შესრულება:

- ეთნო-კულტურული იდენტობის არსის გაცნობა;
- სომხების საქართველოში დასახლების ისტორიის მოკლე მიმოხილვა;
- საქართველოს ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული კანონმდებლობის მიმოხილვა;
- საქართველოს სომხებთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების მიმოხილვა;
- საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით, საქართველოში არსებული სომხური ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრა;
- ექსპერტებთან და მოსახლეობასთან სიღრმისეული ინტერვიუების ჩატარება თბილისსა და ახალქალაქში;
- მოპოვებული ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი.

ნაშრომის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები - ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული ემპირიული კვლევისას გამოვიყენე თვისებრივი კვლევის მეთოდი - სიღრმისეული ინტერვიუ, ხოლო ინფორმაციის გასაანალიზებლად: კოდირება, კონტენტ ანალიზი და დისკურსის ანალიზი.

იმედანად, რამდენადაც „ეთნო-კულტურული იდენტობა“ მრავალი დისციპლინის შესწავლის საგანია, ჩემ მიერ

გამოყენებული თეორიული მასალებიც მრავალდისციპლინარულია. თუმცა, ნაშრომი ძირითადად ეყრდნობა გეოგრაფიული პოსიბილიზმის თეორიას. პოსიბილიზმის განვითარება უკავშირდება პოლ ვიდალ დე ლა ბლაშის (Paul Vidal de la Blanche) (საფრანგეთი), ისაია ბოუმენის (Isaiah Bowman) და კარლ ზაუერის (Carl Sauer) (აშშ) ნაშრომებს. ისინი არ უარყოფენ გარემოს (გეოგრაფიული ფაქტორების) შემზღუდველ როლს, მაგრამ ყურადღებას ამახვილებენ არა იმ შეზღუდვებზე, რომელსაც ბუნებრივი პირობები ქმნის, არამედ ადამიანების შესაძლებლობებზე მოცემულ გარემოში (Fred E. Dohrs, Lawrence M. Sommers, 1967. Pg. 131).

საკითხის სამეცნიერო შესწავლის დონე - საქართველოში ეთნიკური უმცირესობების მიმართ დაინტერესება ახალი არ არის, შესაბამისად, ხელმისაწვდომია საკითხთან დაკავშირებული კვლევებიც, მაგალითად: გ.გოგსაძე, ი. კაჭკაჭიშვილი, ლ. ბაშელეიშვილი-„უმცირესობათა ინტეგრაცია საქართველოში: ძირითადი გამოწვევები და შესაძლებლობები (ჯავახეთის მაგალითი)“ (2014 წელი), ზ. აბაშიძე -„ეთნიკური უმცირესობები და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხი საქართველოში“ (2011 წელი), ა. დვალი, ე. ბადასიანი - „ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში არსებული პრობლემები და ადგილობრივი მოსხლეობის საგარეო პოლიტიკური პრეფერენციები“ (2014 წელი), J. Hin - “Ethnic and Civic identity: Incompatible loyalties? The case of Armenians in post-Soviet Georgia” (2003 წელი), თ. მაქაცარია - „Linguistic diversity in Georgia: A

comparative analysis of the language policies in the period 1991-2012" (2013 წელი), G. Thus - „Capabilities, Language proficiency and civic integration: Assessing capabilities related to civic integration by means of state language proficiency among ethnic minorities in Southern Georgia" (2016 წელი) და სხვები. აღნიშნული კვლევების უმრავლესობა ძირითადად ინტეგრაციასა და მასთან დაკავშირებულ პრობლემების ეხება, თუმცა, პირდაპირ თუ ირიბად მოიცავს კულტურული იდენტობის საკითხებსაც. ასევე მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელია სახალხო დამცველისა და სახელმწიფოს სხვა სტრუქტურების ანგარიშები.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე - ნაშრომის მეცნიერული სიახლეა ეთნო-კულტურული იდენტობის ჩამოყალიბებაში სივრცითი ფაქტორის როლის წარმოჩენა და გავლენის კვლევა ორი კონკრეტული რეგიონის ქალაქების - თბილისისა და ახალქალაქის მაგალითზე.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშნელობა - მოცემული ნაშრომი დაგვეხმარება როგორც მთლიანად საქართველოს სომხების ეთნო-კულტურის გაცნობაში, ასევე, ცენტრი-პერიფერიის ფაქტორით გამოწვეული სპეციფიკურობის აღქმაში თბილისისა და ახალქალაქის მაგალითზე. ამ სპეციფიკურობის გააზრება ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს სახელმწიფო მოხელეების მხრიდან სწორი პოლიტიკის გატარებას, ხოლო მეორე მხრივ - წამოჭრის სხვა საკვლევ თემებს სამეცნიერო წრეებისათვის, ასევე, გაზრდის საზოგადოების ინფორმირებულობას მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

თავი 1. მეთოდოლოგია

ნაშრომში გამოყენებულია ტრიანგულაციის მეთოდი, კერძოდ ორი მეთოდის კომბინირება - თვისებრივი კვლევის მეთოდი და მეორადი მონაცემების ანალიზი. თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩავატარე ნახევრად სტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუები.

კულტურის კვლევების მეთოდოლოგიური მიდგომებიდან გამოვიყენე ემიკური ხედვა, რომელიც სწავლობს მხოლოდ ერთ კულტურას სისტემის შიგნით და შემუშავებული კრიტერიუმები შეესაბამება მოცემული კულტურის შიდა მახასიათებლებს.

სიღრმისეული ინტერვიუების მიზნობრივ ჯგუფებს წარმოადგენდნენ თბილისსა და ახალქალაქში მცხოვრები სრულწლოვანი ეთნიკურად სომეხი საქართველოს მოქალაქეები. რესპონდენტების შერჩევის მეთოდად გამოვიყენე თოვლის გუნდის პრინციპი. სულ გამოიკითხა 21 რესპონდენტი, 11 ახალქალაქიდან, 9 თბილისიდან და 1 რუთსავიდან.[1] ინტერვიუების ჩატარების პერიოდია 2017 წლის მაის-ივნისი. რესპონდენტების უმრავლესობა გამოიკითხა პირისპირ, ნაწილი კი დისტანციურად (სატელეფონო და ინტერნეტ გასაუბრება).

[1] მიუხედავად იმისა, რომ რუსთავი არ შედიოდა მიზნობრივ ქალაქში, კონკრეტული რესპონდენტის სწავლა, საქმიანობა და ყოვედღიური მოღვაწეობა თბილისში მიმდინარეობდა, ამიტომ, მიზანშეწონილად ჩავთვალე მისი გამოკითხვაც.

ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს გზამკვლევი შევადგინე 2016 წელს ჩემ მიერ ჩატარებული კვლევის (“Armenians motivations related to choosing schools and religion life during expressing their cultural identity in post-Soviet Georgia”) საფუძელზე. აღნიშნული კვლევის ფარგლებში გამოვლენილი ნაკლოვანებებისა და მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით მოხდა კვლევის ინსტრუმენტის მოდიფიცირება.

კვლევის ფარგლებში შევხვდი შემდეგი ორგანიზაციების ექსპერტებს: „სამხრეთის კარიბჭე“, „საქართველოს სომეხთა სათვისტომო“, „ჰაიარტუნ“, „ალიქ მედია“.

მოპოვებული ინფორმაციის დამუშავებისა და გაანალიზების მეთოდებია კონტენტ და დისკურს ანალიზი. მონაცემების კოდირებისას გამოვიყენე ინდუქციური კოდირების პრინციპი.

კვლევის შეზღუდვები - შეზღუდვები დაკავშირებულია ორ მთავარ გარემოებასთან: იმდენად, რამდენადაც გამოყენებეულია თვისებრივი კვლევის მეთოდი და მცირეა რესპონდენტთა რაოდენობა, არ შეგვიძლია შედეგების განზოგადება საქართველოს სომხების რეპრეზენტატულ ერთობაზე; ინტერვიუების ჩატარების ენობრივი მხარე - ახალქალაქში რესპონდენტების უმრავლესობა გამოიკითხა თარჯიმანის მეშვეობით (სომხურ-ქართული), რაც გარკვეულწლად ამახინჯებს შინაარსს, თუმცა ძირითადი გზავნილები უცვლელი რჩება.

თავი 2. ცნებების მიმოხილვა

§ 2.1 კულტურა და კულტურული იდენტობა

ვიდრე ნაშრომის ემპირიული ნაწილის განხილვაზე გადავალ, აუცილებელია ცნებების განმარტება, განსაკუთრებით ისეთი ცნებების, როგორებიცაა: კულტურა, კულტურული იდენტობა, ეთნოსი, ეთნო-კულტურა.

ტერმინი „კულტურა“ პირველად 1920-იან წლებში გამოჩნდა ინგლისურ ლექსიკონში. იქამდე კი, 1871 წელს, თავის შრომებში პირველად გამოიყენა ინგლისელმა ანთროპოლოგმა ედვარდ ტაილორმა (Edward Burnett Tylor), რომელმაც კულტურა განმარტა შემდეგნაირად: მთლიანი კომპლექსი, რომელიც მოიცავს, ცოდნას, რწმენებს, ხელოვნებას, მორალს, კანონებს, ჩვევებსა და სხვა მახასიათებლებს, რომელიც შეიძინა ადამიანმა, როგორც საზოგადოების წევრმა (John W. Berry, Ype H. Poortinga, Marshal H. Segall, Pierre R. Dasen, 2002. Pg. 225-226). მოცემულ განმარტებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის სოციალურ ბუნებას. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ადამიანი თავისი არსით „სოციალური ცხოველია“ (Elliot Aronson), კულტურის მნიშვნელობა უფრო გაფართოვდება და ყოვლისმომცველი გახდება.

კულტურის მრავალი მნიშვნელობიდან, მეცნიერები განსხვავებულ აქცენტებს სვამენ საკუთარი დისციპლინის პრიორიტეტებიდან გამომდინარე. ანთროპოლოგების ნაწილი

ყურადღებას ამახვილებს „კულტურულ ბირთვზე“, რომელიც მოიცავს ტრადიციულ (ე.ი. ისტორიულად წარმოქმნილ და შერჩეულ) იდეებსა და მასთან ასოცირებულ ღირებულებებს. ერთი მხრივ, კულტურული სისტემა შეიძლება გავიგოთ, როგორც მოქმედების პროდუქტი, მეორე მხრივ კი - მოცემული ელემენტები მომავალი მოქმედებისთვის (A. L. Kroeber, Clyde Cluckhohn, 1952. Pg. 181).

კულტურის ორსახოვნებაზე მიუთითებს კორს-კულტურული ფსიქოლოგიის მიდგომებიც. კროს-კულტურული ფსიქოლოგიის გადმოსახედიდან, კულტურა ეს არის ადამიანის წარსული მოქმედებების პროდუქტი და მომავალი მოქმედებების განმაპირობებელი. შესაბამისად, ერთდროულად ადამიანი არის კულტურის შემქმნელიც და ასევე, განიცდის მის გავლენას (John W. Berry, Ype H. Poortinga, Marshal H. Segall, Pierre R. Dasen, 2002. Pg. 229).

ედუარდ კოდუა მიუთითებს, რომ კულტურის ცნებას ორი მნიშვნელობა აქვს: ერთ შემთხვევაში ის გულისხმობს სოციალურ ჯგუფთა კოლექტიურ ჩვევებს, მეორე შემთხვევაში კი კულტურას განიხილავენ, როგორც ბუნებასთან დაპირისპირებულს (კოდუა, 2001. გვ. 92). კულტურის გეოგრაფიაში გვხვდება ორივე მნიშვნელობის შემსწავლელი თეორეტიკოსები.

ანთროპოლოგი ალფრედ კროებერი (Alfred L. Kroeber) თვლის, რომ კულტურა არის კოლექტიური ფენომენი. ის არის

„სუპერორგანული“ (super-organic), სადაც „სუპერ“ ნიშნავს აღმატებულს, „ორგანული“ კი მიემართება მის ინდივიდუალურ ბიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ საფუძვლებს. საკუთარი აზრის გასამტკიცებლად მას მოჰყავს ორი არგუმენტი: 1. ინდივიდები მოდიან და მიდიან, კულტურა კი რჩება მეტ-ნაკლებად უცვლელი, მყარი. შესაბამისად, კულტურის არსებობა არ არის დამოკიდებული კონკრეტულ პიროვნებებზე, მას აქვს საკუთარი „ცხოვრება“ ჯგუფის კოლექტიურ დონეზე. 2. არც ერთი ინდივიდი არ „ფლობს“ იმ ჯგუფის კულტურას მთლიანად/სავსებით, რომელ ჯგუფსაც ის მიეკუთვნება. კულტურის, როგორც ერთი მთელის მატარებელია მხოლოდ მთლიანი საზოგადოება (John W. Berry, Ype H. Poortinga, Marshal H. Segall, Pierre R. Dasen, 2002. Pg. 230). სოციალური ფსიქოლოგი ჰოფსტედე (Geert Hofstede) კი მიუთითებს თითოეული ინდივიდის მიერ შექმნილ მრავალფეროვნებაზე და მიიჩნევს, რომ ინდივიდუალურ დონეზე ყოველი ადამიანის განსხვავებულობა განაპირობებს სხვადასხვა მოქმედებებს, თუნდაც ერთი კოლექტიური კულტურის ფარგლებში. თუმცა, რთულია მკვეთრი საზღვარი გაავლო ინდივიდუალურ/პიროვნულ და კოლექტიურ კულტურას შორის, ან ინდივიდუალური განსაკუთრებულობა გამოყო მისი კულტურული სისტემისგან. ის მიიჩნევს, რომ ადამიანის გონების ჩამოყალიბება (mental programming) სამ დონეზე ხდება, უნივერსალურ, კოლექტიურ და ინდივიდუალურ დონეზე. აზროვნების ფორმირება „კოლექტიურ საფეხურზე“ გულისხმობს სოციალიზაციის მეშვეობით საზოგადოებაში

გავრცელებული წეს-ჩვეულებების დასწავლას (Hofstede, 1984. Pg. 16). შესაბამისად, ინდივიდუალური განსხვავებულობის მიუხედავად, საზოგადოების თითოეული წევრი გადის ერთსა და იმავე დასწავლის პროცესს იმდენად, რამდენადაც სოციალიზაციის არხები მეტ-ნაკლებად სტანდარტულია ერთი სოციუმის ფარგლებში.

კულტურასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ენობრივი ასპექტები. ჰოფსტედეს მიხედვით, ენა არის კულტურის ყველაზე ადვილად საცნობი ელემენტი, რომელიც ნამდვილად დასწავლილია და არა თანდაყოლილი. ენობრივი კატეგორიები და ლექსიკური მარაგი გავლენას ახდენს ადამიანის აზროვნებაზე (Hofstede, 1984. Pg. 27). იგივე შინაარსის გამტარებელია ბენჟამინ უორფი (Benjamin Le Whorf), რომელიც თვლის, რომ ენობრივი სისტემის საფუძველი, იგივე გრამატიკა, წარმოქმნის ინსტრუმენტს არა მხოლოდ იდეათა გაჟღერებისთვის, არამედ აყალიბებს თავად იდეებსაც, აპროგრამებს ინდივიდის გონებრივ აქტივობებს (John W. Berry, Ype H. Poortinga, Marshal H. Segall, Pierre R. Dasen, 2002. Pg. 149). სწორედ ამიტომ, ჩემს კვლევაშიც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ენობრივ ასპექტებს.

რაც შეეხება „კულტურულ იდენტობას“, ეს არის რწმენების, შეხედულებებისა და დამოკიდებულებების ნაკრები, რომლებიც პიროვნებას აქვს საკუთარი თავის მიმართ და რომლებიც დაკავშირებულია (მის) კულტურული ჯგუფის წევრობასთან. როგორც წესი, „კულტურული იდენტობა“ წინა პლანზე

გადმოდის მაშინ, როდესაც ინდივიდებს ურთიერთობა აქვთ სხვა კულტურასთან და არა მაშინ, როცა მხოლოდ ერთი კულტურის წიაღში ცხოვრობენ (John W. Berry, Ype H. Poortinga, Marshal H. Segall, Pierre R. Dasen, 2002. Pg. 357). რაკი საქართველოს მოსახლეობა კულტურულად მრავალფეროვანი საზოგადოებაა, რომელშიც განსხვავებული კულტურული ჯგუფების წარმომადგენლები ერთად ცხოვრობენ და იზიარებენ საერთო სახელმწიფოებრივ სოციალურ და პოლიტიკურ „ჩარჩოს“/“სისტემას“, უნდა ვივარაუდოთ, რომ თითოეული კულტურული ჯგუფის იდენტობის აღქმა გამძაფრებულია. კულტურათშორისი ურთიერთობების გასაგებად ხშირად იყენებენ ტერმინს „სოციალური იდენტობა“, რაც „კულტურული იდენტობის“ ანალოგია.

როგორც ვხედავთ, კულტურის კონკრეტული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული და უნივერსალური გაგება არ არსებობს. მას ძირითადად უკავშირებენ აზროვნებისა და ცხოვრების წესს, ტრადიციებსა და ადამიანური მოღვაწეობის მატერიალურ შედეგებს.

ჩემი კვლევის ფარგლებში ამ ზოგადი კატეგორიებიდან გამოვყავი კონკრეტული ელემენტები, ესენია: ენობრივი ასპექტები, ხელოვნება, რელიგია და სამზარეულო. ყურადღება გავამახვილე სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებზეც, როგორც კულტურული იდენტობის გამოხატვისთვის მოცემულ რეალობაზე.

§ 2.2 ეთნოსი და ეთნო-კულტურა

ეთნოსი არსებითად სოციალური და კულტურული ერთობაა. ენტონი სმითის (Anthony D. Smith) მიხედვით, ეთნოსის წევრებისთვის დამახასიათებელია კულტურული უნიკალურობისა და ინდივიდუალურობის აღქმა, რომელიც გამოყოფს საზოგადოებებს ერთმანეთისგან და რომელიც კონკრეტულ საზოგადოებას სძენს გარკვეულ იდენტობას როგორც წევრების, ასევე არაწევრების თვალში. ავტორი გვთავაზობს ეთნოსის ექვს ძირითად მახასიათებელს: 1. საერთო სახელი - ისტორიულ ჩანაწერებში ეთნოსის მაიდენტიფიცირებელი ნიშანი. რაც უფრო ძველია სახელწოდება, მით უფრო „დიდი ძალა აქვს“ მას; 2. საერთო მითები და წარმოშობა - მითების მთავარი ამოცანაა პასუხი გასცეს შემდეგ კითხვებს: რატომ ვართ ჩვენ ყველანი მსგავსი? რატომ ვართ ერთი თემი/საზოგადოება? პასუხი კი ასეთია - იმიტომ რომ, ჩვენ გვყავდა საერთო წინაპრები, მოვდივართ ერთი ადგილიდან და პერიოდიდან, ჩვენ აუცილებლად უნდა ვეკუთნოდეთ ერთმანეთს და ვიზიარებდეთ საერთო ღირებულებებს; 3. საერთო ისტორია - ეთნოსი არის ისტორიული ერთობა, რომელიც ჩამოყალიბდა გაზიარებული/საერთო მახსოვრობის საფუძველზე; 4. საერთო კულტურა - გარდა მითებისა და ისტორიისა, ეთნოსები ერთმანეთისგან განსხვავდებიან კულტურის ერთი ან რამდენიმე ელემენტით, რომელიც აერთიანებს ეთნოსის წევრებს და გამოყოფს მათ სხვა ჯგუფებისგან. ეთნოსის წევრებს შორის

კულტურის ყველზე ხშირად გაზიარებული საერთო ელემენტებია ენა, რელიგია. ასევე, ეთნოსის უნიკალურობა შეიძლება გააძლიეროს ტრადიციებმა, წეს-ჩვეულებებმა, ინსტიტუტებმა, კანონებმა, ფოლკლორმა, არქიტექტურამ, ჩაცმულობამ, სამზარეულომ, მუსიკამ, ხელოვნებამ და სხვა. 5. კონკრეტულ ტერიტორიასთან ასოცირება - ეთნოსებს ყოველთვის აქვთ კავშირი განსაკუთრებულ კერასთან, ტერიტორიასთან, რომელსაც აღიქვამენ თავისად. ისინი შეიძლება ფლობდნენ ამ ტერიტორიას ან ასოცირდებოდეს მათ მეხსიერებაში. აუცილებელი არ არის ტერიტორიის ფაქტობრივი ფლობა, მთავარია, რომ მას აქვს სიმბოლური მნიშვნელობა, წარმოადგენს ეთნოსის სიმბოლურ გეოგრაფიულ ცენტრს, „წმინდა ადგილს“. 6. სოლიდარობის განცდა - ეთნიკური ჯგუფის წევრებს აქვთ განსაზღვრული იდენტობის განცდა და ერთმენეთის მიმართ სოლიდარობა.

თუკი ამ ნიშნებს გავაერთიანებთ, მივიღებთ ეთნიკური ჯგუფის განმარტებას - ხალხთა ერთობა, რომლებსაც აქვთ საერთო თვით-სახელი, მითები და საერთო წარმოშობა (რეალური ან წარმოსახვითი), გაზიარებული ისტორია, კულტურა და ერთმანეთისადმი სოლიდარობის განცდა, ასევე, ასოცირებულნი არიან კონკრეტულ ტერიტორიასთან. (Smith, 1988. Pg. 22-29).

საზოგადოების შემსწავლელი მეცნიერებებისთვის აქტუალურია „უმცირესობათა ჯგუფები“/„ეთნიკური უმცირესობები“, რასაც იმაზე მეტი დატვირთვა აქვს, ვიდრე უბრალოდ რიცხობრივი განზომილება. ხშირად უმცირესობათა ჯგუფები,

უმრავლესობასთან შედარებით, არახელსაყრელ მდგომარეობაში არიან. ეს გარემოება აძლიერებს მათ შორის სოლიდარობის განცდას. კულტურული განსხვავებულობის შენარჩუნების მიზნით, ეთნიკური უმცირესობების წევრები ზოგჯერ ახალისებენ ენდოგამიას და უარს ამბობენ შერეულ ქორწინებებზე (Anthony Giddens, Simon Griffiths, 2006. Pg. 489).

ეთნიკურ იდენტობასთან დაკავშირებით უნდა გავითვალისწინოთ, რომ იდენტიფიკაციის პროცესი მრავალგანზომილებიანია და - ადამიანები სხვადასხვა გზებით ახდენენ საკუთარი თავის იდენტიფიცირებას რომელიმე ჯგუფთან. პინეი (Phinney) (1990) გვთავაზობს 4 განზომილებას: 1. ეთნოსების მიერ საკუთარი თავის განსაზღვრა, თვით-კატეგორიზაცია (self-categorization); 2. ეთნო-კულტურულ ჯგუფთან კავშირი; 3. ეთნიკური ჯგუფის შეფასება (პოზიტიური ან ნეგატიური შიდა ჯგუფური დამოკიდებულებები); 4. ჯგუფისა და მისი კულტურის, წეს-ჩვეულებების მიღება, მონაწილეობა (Duckitt. Pg. 152).

როგორც ვხედავთ, „კულტურის“ ცნების განმარტების დროს ხშირად ფიგურირებს ეთნიკური ერთობები, „ეთნოსის“ გაგება კი მჭიდროდ არის დაკავშირებული კულტურულ ელემენტებთან. უფრო მეტიც, ეთნიკური ჯგუფები ადვილად საცნობნი ხდებიან სწორედ კულტურის ელემენტების მეშვეობით, იქნება ეს ენა, რელიგია თუ ტრადიციები. შესაბამისად, ეთნო-კულტურა შეგვიძლია განვმარტოთ როგორც კონკრეტული ეთნიკური ჯგუფისთვის დამახასიათებელი კულტურა.

თავი 3. სომხები საქართველოში - ისტორიული მიმოხილვა

გავრცელებული პრაქტიკაა მოსახლეობის გადაადგილება მეზობელ ქვეყნებს შორის. ასევე იყო საქართველოსა და სომხეთის შემთხვევაშიც, მათ ერთმანეთთან ხანგრძლივი ურთიერთობა აკავშირებთ, როგორც პოლიტიკურ-კულტურულ-ეკონომიკურ დონეზე, ასევე ხალხთა მიგრაციების კუთხითაც. ისტორიული თვალსაზრისით, რთული დასადგენია კონკრეტული თარიღების, რაოდენობისა და ადგილების განსაზღვრა იმდენად, რამდენადაც სხვადასხვა წყარო განსხვავებულ მონაცემებს გვთავაზობს. თუმცა, ჩემი ნაშრომის მიზანი არ არის ისტორიული ჭეშმარიტების დადგენა, ამასთანავე, აუცილებელია ისტორიული ფონის გააზრება.

ვარაუდობენ, რომ საქართველოში სომხური მოსახლეობის პირველი დასახლებები გაჩნდა ძვ. წ. II საუკუნეში. მას შემდეგ მიმოსვლა არ შემწყდარა, თუმცა, გარკვეულ პერიოდებში განსაკუთრებით ინტენსიური იყო სომხების მიგრაცია საქართველოში. როგორც წესი, ეს პერიოდები მნიშვნელოვან ისტორიულ თარიღებს უკავშირდებოდა. სომხური მოსახლეობით დასახლებულ ტერიტორიებში შექმნილი არეულობების შემდეგ, დევნილი ხალხის ძირითადი თავშესაფარი მათ ჩრდილოეთით მეზობლად მდებარე სახელმწიფო იყო. აღსანიშნავია მიზანმიმართული ჩამოსახლების შემთხვევებიც, ჯერ საქართველოს მეფეების,

შემდეგ კი რუსეთის იმპერიის მხრიდან. ქრონოლოგიურად მიგრაციული ტალღების ძირითადი ნაკადები ასე იყოფა:

1. VII საუკუნე - საეკლესიო განხეთქილების შედეგად გამოწვეული მიგრაცია;

2. XII საუკუნე - დავით აღმაშენებლის მიერ სომხების ჩამოსახლება, ძირითადად გორში;

3. XV საუკუნე - ოსმალეთიდან დევნილი სომხების დასახლება. იმ პერიოდში მტრის შემოსევებისგან გაუკაცრიელებული იყო აღმოსავლეთ საქართველოს სოფლები და მათი კვლავ განსახლება ქართველ მმართველებსაც აწყობდათ;

4. XVIII საუკუნის მეორე ნახევარი - ერეკლე II-ის მეფობის პერიოდს ემთხვევა. გადასახლდნენ ძირითადად ერევანსა და ყარაბაღში მცხოვრებნი;

5. XIX საუკუნე - 1804 წელს, ჯერ გენერალ ციციანოვის, შემდეგ კი გენერალ პასკევიჩის დროს ათასობით სომეხი დაასახლეს საქართველოში. ირანიდან შემოსული სომხები ქვემო ქართლში სახლდებოდნენ, ხოლო თურქეთიდან შემოსულები - სამცხე-ჯავახეთში. იმავე საუკუნეში რამდენჯერმე განმეორდა მსხვილი მიგრაციული ტალღები: 1828-1829, 1877-1889 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომების შემდეგ, 1895-1896 წლებში ოსმალეთში სომხების მიმართ განხორციელებული დევნის შემდეგ. ოსმალეთიდან მიგრაცია გაგრძელდა შემდეგ საუკუნეშიც, განსაკუთრებით

კი 1915 წლის ტრაგიკული ამბების მერე (კომახია, 2008. გვ. 90-92).

ეთნო-კულტურული იდენტობის ჩამოყალიბება-შენარჩუნების პროცესის თავისებურების გასაანალიზებლად ეს ფაქტები საყურადღებოა მრავალმხირვ. პირველ რიგში, საუკუნეების განმავლობაში პერიოდული მიგრაცია განაპირობებს ძველი თაობის დიასპორის კულტურული იდენტობის განახლებას. როგორც წესი, მულტიკულტურულ საზოგადოებაში, ეთნიკური უმცირესობების ყოველი მომდევნო თაობისთვის უფრო რთულდება საკუთარი ეთნო-კულტურის პირვლანდელი სახით შენარჩუნება. სომხების პერიოდული მიგრაცია კი განაპირობებდა მუდამ ახალი თაობის არსებობას. მეორე რიგში, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ სხვადასხვა ტერიტორიაზე მცხოვრები სომხების ეთნო-კულტურა იმ ტერიტორიებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკით იქნებოდა გაჯერებული, იქნებოდა ეს სომხეთის, ოსმალეთის იმპერიისა თუ ირანის ტერიტორიები. ამასთანავე, გავლენა აქვს იმას თუ საქართველოს რომელ რეგიონში დასახლდნენ, განსახლების როგორი ფორმა შექმნეს (სასოფლო-საქალაქო, კომპაქტური-დისპერსიული).

საქართველოში მცხოვრები სომხების კულტურული იდენტობის გამოხატვისთვის შექმნილი ფონის შესახებ მეტ-ნაკლებ წარმოდგენას გვაძლევს სომხურენოვანი გამოცემების შესახებ სტატისტიკა. მაგალითად, 1846-1871 წლებში სომხურ ენაზე თბილისში გამოიცემოდა 7 ჟურნალ-გაზეთი, რომელთა

რაოდენობაც შემდეგ გაიზრდა. 1913 წლისთვის უკვე 20-მდე დასახელების ჟურნალ-გაზეთი გვხვდება, რომელთა საერთო ტირაჟი 20 ათასს აღწევდა. იმავე წელს, თბილისში სომხურ ენაზე გამოიცა 241 წიგნი და/ან სახელმძღვანელო. 1899-1917 წლებში კი დაიბეჭდა 12 ტომიანი „სომხეთის ისტორიის დივანი“ (მაისურაძე, 2008, გვ. 112).

საინტერესოა საქართველოს მოსახლეობის დინამიკა საბჭოთა პერიოდშიც. 1939 წლის აღწერის მიხედვით საქართველოს მოსახლეობა შეადგენდა 3540023 ადამიანს, აქედან კი 415013 (11.7%) ეთნიკურად სომეხი იყო. 1959 წელს საქართველოს საერთო მოსახლეობის (4044045) დაახლოებით 10.9%-ს (442916) შეადგენდნენ სომხები. 1970 წლის მონაცემები ასეთია - მთლიანი მოსახლეობაა 4686358 ადამიანი, ეთნიკური სომხები კი - 452309 (9.65%). 1979 წლის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობა მცირედით იზრდება და აღწევს 4993182 ადამიანს, ეთნიკურად სომხების რაოდენობა კი იკლებს და შეადგენს საერთო რაოდენობის დაახლოებით 9%-ს (448000). საბჭოთა კავშირში ბოლო 1989 წლის აღწერის შედეგების მიხედვით, საქართველოს მოსახლოება შეადგენს 5400841 ადამიანის, მათ შორის სომხები - 437211 (8%) (Приложение Справочник: Демоскоп Weekly, n.d.) (იხ. დანართი, გრაფიკი 1).

როგორც ვხედავთ, 1939-1970 პერიოდში სომხების აბსოლუტური რაოდენობა იზრდება, თუმცა პროცენტული მაჩვენებელი იკლებს საერთო მოსახლეობის გაზრდის გამო. 1979-1989 წლებში

საერთო მოსახლეობის გაზრდასთან ერთად, ეთნიკურად სომხების აბსოლუტური მაჩენებლებიც იკლებს.

2002 წლის საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით, ორივე მაჩვენებლის შემცირება გრძელდება, საერთო მოსახლეობა შეადგენს 4371535 ადამიანს, ეთნიკურად სომხები კი 248929 (5.7%) ადამიანს. იმ დროისთვის თბილისში ცხოვრობდა 1081679 ადამიანი, რომელთა 7.6% (82586) ეთნიკურად სომეხი იყო. სამცხე-ჯავახეთის ანალოგიური მაჩვენებლებია: საერთო მოსხლეობა - 207598, სომხები - 113347 (54%), მათგან ახალქალაქის მუნიციპალიტეტში სულ ცხოვრობდა - 60975 ადამიანი, რომელთა 94% (57516) სომეხია (მოსახლეობის აღწერა 2002, ძირითადი შედეგები: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსხური, n.d.). მოსხლეობის რაოდენობისა და შემადგენლობის თანამედროვე მდგომარეობას სხვა თავში განვიხილავ.

თავი 4. საქართველოს ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული კანონმდებლობა

საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზება მეტწილად არის დამოკიდებული საკანონმდებლო უზრუნველყოფაზე. ქვეყნის კონსტიტუცია და სხვა მარეგულირებელი აქტები ერთი მხრივ გამოხატავენ სახელმწიფოს ღირებულებებს, მეორე მხრივ კი ქმნიან სამოქმედო სივრცეს. რაც უფრო გამართული და სრულყოფილია ქვეყნის კანონმდებლობა და აღსრულების მექანიზმები, სახელმწიფოც მით უფრო ეფექტიანად ფუნქციონირებს. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი საქართველოს ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული კანონმდებლობის მიმოხილვა.

საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებულ კონსტიტუციაში დაფიქსირებულია ადამიანების კანონის წინაშე თანასწორობა მიუხედავად მათი რასისა, კანის ფერისა, რელიგიისა, ენისა, სქესისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, წარმოშობისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა (მუხლი 14).

კონსტიტუციის მეცხრამეტე მუხლი ეხება სიტყვის, აზრის, სინდიდის, რწმენის, აღმსარებლობის თავისუფლებას და

დაუშვებლად მიიჩნევს ადამიანების დევნას განსხვავებულობის გამო.

ოცდამეექვსე მუხლის მიხედვით, დაუშვებელია ისეთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანების შექმნა, რომელიც აღვივებს შუღლს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ ნიადაგზე.

კონსტიტუციის ოცდამეთოთხმეტე მუხლი კულტურის შესახებაა, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო ხელს უწყობს მოქალაქეთა კულტურული თვითმყოფადობის გამოვლინებას და მათ შეუზღუდავ მონაწილეობას კულტურულ ცხოვრებაში.

სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა თანასწორობას (ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური, ენობრივი კუთვნილების მიუხედავად) ეხება ოცდამეთვრამეტე მუხლი (საქართველოს კონსტიტუცია: საქართველოს პარლამენტი. გვ. 5, 6, 8, 10, 11).

2005 წლის 13 ოქტომბრის N 1938-IIს დადგენილებით, საქართველოს პარლამენტმა მოახდინა „უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ევროპული ჩარჩო კონვენციის რატიფიცირება (ევროსაბჭოს დოკუმენტი, რომელსაც ხელი მეოწერა 1995 წლის 1 თებერვალს), რომელიც ამოქმედდა 2006 წლის 1 აპრილიდან (ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ: საქართველოს პარლამენტი).

სხვა მნიშვნელოვანი საერთაშორისო სამართლებლივი ჩარჩოა „რეგიონული ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტია“, რომელიც ევროსაბჭოს წევრმა სახელმწიფოებმა მიიღეს 1992 წლის 5 ნოემბერს. დოკუმენტის მიზანია რეგიონული ან უმცირესობათა ენების აღიარება კულტურული სიმდიდრის გამოხატულებად, მათი პატივისცემა, დაცვა, გამოყენების ხელშეწყობა (მუხლი 7). მხარეების მიერ განათლებასთან დაკავშირებული ვალდებულებები ძირითადად ეხება საგანმანათლებლო სისტემის ყველა საფეხურზე რეგიონულ ენაზე განათლების მიწოდების სრულად ან ნაწილობრივ უზრუნველყოფას (მუხლი 8). მხარეების ვალდებულებაში შედის, საჭიროების შემთხვევაში, სამართლებრივი პროცესების წარმართვა და დკუმენტების მიღებ-გაცემა უმცირესობების ენაზე ან თარგმანის პარალელურად (მუხლი 9). სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ საჯარო სამსახურების ღიაობა და მათ მიერ გამოცემული ფართოდ გავრცელებული დოკუმენტების ხელმისაწვდომობა ეთნიკური უმცირესობებისთვის რეგიონულ ენებზეც (მუხლი 10). სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ან წაახალისოს სულ მცირე ერთი რადიო სადგურისა და ტელევიზიის მაუწყებლობას რეგიონულ ენაზე, შესაბამის ტერიტორიაზე. ასევე, არ შეზღუდოს მეზობელი ქვეყნებიდან იმ მედია-პროგრამების მიღება, რომლებიც რეგიონული ენის იდენტურ ენაზე გადმოიცემა (მუხლი 11). კულტურულ პროცესებთან დაკავშირებით, სახელმწიფო ვალდებულია მხარი დუჭიროს რეგიონულ ენაზე შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის გავრცელებასა და სხვა ენებზე შექმნილის

თარგმანს (მუხლი 12). ქარტიის ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებასთან დაკავშირებული პუნქტები კრძალავს რეგიონული ენის საფუძველზე რაიმე სახის დისკრიმინაციასა და შეზღუდვებს (მუხლი 13) (ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობათა ენების შესახებ: ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში).

საქართველო არ შეერთებია აღნიშნულ ქარტიას, თუმცა მასში ჩამოთვლილი ვალდებულებების უმრავლესობა პრაქტიკულად სრულდება (ენების ევროპული ქარტია - მთავრობის ევროპული თავსატეხი, 2014). ამიტომ, განსახილველია, რამდენად რეალურია ქარტიასთან დაკავშირებული სკეპტიკური მოსაზრებები, რომლებიც დოკუმენტს მიიჩნევენ სახელმწიფოებრიობისთვის პოტენციურ საფრთხედ.

2009 წელს საქართველომ შეიმუშავა კომპლექსური სტრატეგია ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით. გეგმა ძირითადად ითვალისწინებდა განათლების სფეროში ცვლილებებსა და შრომის ბაზარზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. აღნიშნული სტრატეგია განახლდა 2015 წელს, ეთნიკურ უმცირესობებთან კონსულტაციების შემდეგ და დაისახა სამოქმედო გეგმა 2015-2020 წლებისთვის.

იმისთვის, რომ 2015-2020 წლის სტრატეგია შესრულდეს, სხვადასხვა სამინისტროები განსხვავებულ პასუხისმგებლობას იღებენ. განათლებისა და მეცნიებერის სამინისტროს მიზანია

შექმნას თანამედროვე და ინოვაციური სამეცნიერო-საგანმანათლებლო გარემო სამოქალაქო საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობით. 2016 წელს სამინისტრომ შეიმუშავა ეროვნული პოლიტიკა „საგანმანათლებლო სისტემა სოცილაური ინტეგრაციისთვის“. ამ პოლიტიკის ძირითადი მიზნებია: ეთნიკური უმცირესობებისთვის ხარისხიან განათლებაზე წვდომის უზრუნველყოფა; განათლების გაგრძელების შესაძლებლობის შექმნა/უზრუნველყოფა; ოფიციალური სახელმწიფო ენის სწავლა-სწავლების ხარიხის გაუმჯობესება; ეთნიკური ენის სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება იმისთვის, რომ დაცულ იქნას ეთნიკური იდენტობა; დასაქმებისა და წარმატებული ინტეგრაციის ხელის შეწყობა; ორმხრივი პატივისცემისა და მრავალფეროვნებისადმი ტოლერანტური კულტურის ჩამოყალიბება (Thus, 2016. Pg. 27-28).

2014 წელს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო ანტიდისკრიმინაციული კანონი. იმავე წელს, სახალხო დამცველის აპარატს დაემატა თანასწორობის დეპარტამენტი. მნიშვნელოვანი საჯარო უწყებაა „შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი“, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ინკლუზიური მიდგომა ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებით (2015 წლის 17 ივნისის მეორე პერიოდული ანგარიში საქართველოს შესახებ, 2016).

საბოლოო ჯამში, საქართველოს კანონმდებლობა უზრუნველყოფს ეთნიკური უმცირესობების ეთნო-კულტურული იდენტობის გამოხატვისთვის შესაფერისი გარემოს შექმნას. სხვა საკითხია, რამდენად ეფექტიანად ხდება კანონების დაცვა-აღსრულება.

თავი 5. სტატისტიკური მონაცემები

2014 წლის საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის თანახმად, საქართველოს მოსახლეობა 2002 წელთან შედარებით 15%-ით შემცირდა (2002 – 4371535; 2014 – 3713804). ანალოგიური ტენდენცია დაფიქსირდა ეთნიკურად სომეხ მოქალაქეებშიც. 2014 წლის მონაცემებით, ეთნიკურად სომხების რაოდენობაა 168102 (საერთო მოსახლეობის 4.5%). მათ შორის, თბილისში ცხოვრობს 53409 ადამიანი (თბილისის მოსხლეობის 4.8%), სამცხე-ჯავახეთში - 81089 (რეგიონის მოსახლეობის 50.5%).

იმავე წლის აღწერის მიხედვით, მშობლიურ ენად სომხური დაასახელა 144812-მა ადამიანმა, რაც საქართველოს მთლიანი მოსახლოების 3.89%-ია, ხოლო ეთნიკურად სომხური მოსახლეობის 86%. თბილისის მოსახლეობაში იგივე მაჩვენებელია 37500 (თბილისის საერთო მოსახლოების 3.38%, თბილისის სომხური მოსახლეობის - 70.2%), სამცხე-ჯავახეთში კი - 79878 (სამცხე-ჯავახეთის საერთო მოსახლეობის 49.76%, რეგიონის სომხური მოსახლეობის - 98.5%) (იხ. დანართი, გრაფიკი 2).

ქვეყნის მასშტაბით, 57316 ადამიანი, რომელმაც სომხური დააფიქსირა მშობლიურ ენად, თავისუფლად ფლობს ქართულ ენას, რაც სომხური მოსახლეობის 34.09%-ია. თბილისის მასშტაბით, 29584 ადამიანი, რომელმაც სომხური დააფიქსირა მშობლიურ ენად, თავისუფლად ფლობს ქართულ ენას (თბილისის სომხური მოსახლეობის 55.39%), ხოლო სამცხე-

ჯავახეთში ანალოგიური მაჩვენებელია 16676 ადამიანი (რეგიონის სომხური მოსახლეობის 20.56%).

აღმსარებლობის თვალსაზრისით, სომხურ-სამოციქულო ეკლესიას მიაკუთვნებს თავს 109041 ადამიანი, რაც საქართველოს სომხური მოსახლეობის 64.86%-ია. მათგან თბილისის სომხური მოსახლეობიდან 29368 ადამიანია (ქალაქის სომხური თემის 54.98%), ხოლო სამცხე-ჯავახეთიდან 64115 ადამიანი (რეგიონის სომხური მოსახლეობის 79.06%) (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური) (იხ. დანართი, გრაფიკი 3).

კულტურის ორ ელემენტს - ენასა და რელიგიას - სომხებთან განსაკუთრებული მნიშნელობა აქვს. როგორც სტატისტიკიდან ჩანს, საქართველოს სომხებს შორის სომხურ ენას შედარებით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სომხურ-სამოციქულო ეკლესიას. ეთნიკურ სომხებში მშობლიურ ენად სომხურის დასახელების პროცენტული მაჩვენებელი აღემატება სომხურ-სამოციქულო ეკლესიის აღმსარებლების ანალოგიურ მაჩვენებელს როგორც მთლიანად ქვეყნის მასშტაბით, ასევე თბილისსა და სამცხე-ჯავახეთში. ამ სურათის შექმნაზე იმოქმედებდა ის ფაქტი, რომ სამცხე-ჯავახეთის სომხების გარკვეული ნაწილი კათოლიკური ეკლესიის მიმდევარია, თბილისში კი - მართლმადიდებლურის.

თბილისსა და სამცხე-ჯავახეთს შორის სივრცობრივი განსხვავება ჩანს ენის ფლობის მიხედვით. თბილისელი

სომხების უმრავლესობა - 70.2% - ასახელებს მშობლიურ ენად სომხურს, ხოლო სამცხე-ჯავახეთში აბსოლუტური უმრავლესობა, რეგიონის სომხების 98.5%. ასევე, თბილისელი სომხების უმრავლესობა (55.39%) თავისუფლად ფლობს ქართულ ენას, სამცხე-ჯავახეთში კი ეს მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია - 20.56%.

ეთნიკურად სომეხი მოსახლეობის რაოდენობის კლების კვალდაკვალ, ქვეყანაში დაიკლო შესაბამისი სკოლების რაოდენობამაც. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება დღევანდელი ვითარება შევადაროთ 1978 წლის მდგომარეობას.

1978 წლის პირველი სექტემბრის მდგომარეობით, ახალქალაქის რაიონში იყო: 5 ქართული სკოლა, 1 რუსული, 57 სომხური, 1 ქართულ-სომხური, 1 სომხურ ქართული. თბილისში იყო: 74 ქართული სკოლა, 43 რუსული, 7 სომხური, 20 ქართულ-რუსული, 9 რუსულ-ქართული, 6 რუსულ-სომხური (იხ. დანართი, გრაფიკი 4).

იმავე პერიოდში, მთლიანად ქვეყნის მასშტაბით, სწავლების ენის მიხედვით სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების რაოდენობა შემდეგნაირად იყო განაწილებული: 2753 ქართული, 257 რუსული, 197 სომხური, 97 ქართულ-რუსული, 10 ქართულ-სომხური, 32 რუსულ-ქართული, 7 რუსულ-სომხური, 3 სომხურ-რუსული, 2 რუსულ-ქართულ-სომხური (საქართველოს სსრ

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქსელი და კონტიგენტი (1978 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით), 1980. გვ. 10,12,18) (იხ. დანართი, გრაფიკი 5).

ამჟამად თბილისში 3 სომხურენოვანი სკოლაა, რომელთაგანაც ორი ქართულ-სომხურია, ერთი კი მთლიანად სომხური. რუსულენოვანი სკოლების რაოდენობა 24-ია, ამათგან 21 შერეული სექტორის სკოლაა, 3 კი მთლიანად რუსული (იხ. დანართი, გრაფიკი 6).

მიმდინარე მდგომარეობით, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში 55 სომხურენოვანი სკოლაა, აქედან 53 მთლიანად სომხურია, დანარჩენი ორი კი შერეული. მუნიციპალიტეტში მხოლოდ ერთი მთლიანად რუსულენოვანი სკოლაა (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო) (იხ. დანართი, გრაფიკი 7).

1978 წლის სტატისტიკა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც გამოხატავს საბჭოთა საქართველოში არსებულ სიტუაციას და რესპონდენტების სასკოლო ასაკის პერიოდის მდგომარეობას ასახავს, რის საფუძველზეც შეგვიძლია გავაანალიზოთ, ჰქონდათ თუ არა მათ სკოლის არჩევის შესაძლებლობა. რუსულენოვანი სკოლების გათვალისწინება კი მნიშვნელოვანია როგორც ისტორიული ფაქტორიდან, ასევე თანამედროვე რეალობიდან გამომდინარე.

საზოგადოებრივი გეოგრაფიის გადმოსახედიდან, საინტერესოა მიგრაციული განწყობებიც. 2002 წლის აღწერის მიხედვით,

თბილისიდან 5718 ეთნიკურად სომეხი იყო წასული საზღვარგარეთ, რაც თბილისელი სომხების 2.29%-ს შეადგენდა. სამცხე-ჯავახეთიდან 4898 სომეხი (რეგიონის სომხების 4.32%). ახალქალაქის მუნიციპალიტეტიდან - 2787 (მუნიციპალიტეტის სომხური თემის 4.84%) (იხ. დანართი, გრაფიკი 8, რუკა 1, რუკა 2).

2014 წლის აღწერის მონაცემებით, თბილისელი სომხებიდან 1920 ადამიანია წასული (თბილისის სომხების 3.59%). ამათგან რუსეთშია წასული 602 ადამიანი (თბილისელი სომეხი ემიგრანტების 31.35%), სომხეთში - 143 (7.44%), საბერძნეთში - 170 (8.85%), უკრაინაში - 161 (8.38%), აშშ-ში - 145 (7.55%), გერმანიაში - 127 (6.61%), თურქეთში - 96 (5%), საფრანგეთში - 129 (6.71%), იტალიაში - 58 (3%), ესპანეთში - 35 (1.82%), სხვა ქვეყნებში - 25 (1.3%).

სამცხე-ჯავახეთიდან 1809 სომეხია ემიგრირებული (რეგიონის სომხების 2.23%). ამათგან რუსეთშია წასული 758 (რეგიონის სომეხი ემიგრანტების 41.9%), სომხეთში - 945 (52.23%), უკრაინაში - 17 (0.93%), გერმანიაში - 11 (0.6%), სხვა ქვეყნებში - 25 (1.38%) (იხ. დანართი, გრაფიკი 9, გრაფიკი 10).

ახალქალაქის მუნიციპალიტეტიდან 764 სომეხი ემიგრანტია, რომელთაგანაც 350 რუსეთშია (45.8%), სომხეთში - 392 (51.3%) (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური).

2002 და 2014 წლის აღწერებს შორის ვხედავთ, რომ თბილისელი სომეხი ემიგრანტების ხვედრითი წილი გაიზარდა, სამცხე-ჯავახეთიდან კი შემცირდა.

რეგიონსა და დედაქალაქს შორის სივრცობრივ განსხვავებას აჩვენებს მიგრაციული განწყობებიც. თბილისიდან მიგრაციული ნაკადების გეოგრაფია ბევრად უფრო დივერსიფიცირებულია. მიმღებ ქვეყნებს შორის ლიდერობს რუსეთი, რომელსაც თან მოჰყვება საბერძნეთი, უკრაინა, აშშ, სომხეთი (მეხუთე ადგილზეა), საფრანგეთი, გერმანია, თურქეთი, იტალია და ესპანეთი. სამცხე-ჯავახეთიდან ემიგრანტების უმრავლესობა წასულია სომხეთში, დიდი ნაწილი მოდის რუსეთზეც, უმნიშნელო რაოდენობაა უკრაინასა და გერმანიაში. ახალქალაქის მუნიციპალიტეტისთვის, მიგრაციული კუთხით, მნიშვნელოვანია მხოლოდ ორი ქვეყანა (სომხეთი, რუსეთი) და განაწილების თვალსაზრისით იმეორებს რეგიონის ტენდენციას.

საინტერესოა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებული ან მხარდაჭერილი პროექტებიც. მოთხოვნილი ინფორმაციის თანახმად, 2011-2016 წლებში საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პროექტების/ღონისძიებების სია, რომელიც ეთნიკურ სომხებს უკავშირდება, ასეთია: ნორაშენისა და სურბნიშანის ტაძრების (ქ. თბილისი) რეაბილიტაციისთვის საპროექტო დოკუმენტაციების მომზადება (2011 წელი); სომხურენოვანი გაზეთის - „ვრასტანი“ - ხელშეწყობა; ჩატარდა ნინოწმინდისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტებში

არსებული სომხური კულტურის ძეგლების პასპორტიზაცია და მომზადდა კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების შესახებ სააღრიცხვო ბარათები (2012 წელი); მომზადდა შამქორელთა ღვთისმშობლის (კარმირ ავეტარანი) ეკლესიის (თბილისი) რეაბილიტაციის პროექტი (2013 წელი); შ.პ.ს. „აკასტუდიოს“ მიერ ორგანიზებული მეგა-თამაშის - „ერთიანი საქართველო“ - ხელშეწყობა, რომელიც მიმდინარეობდა ქართულ-სომხურ და ქართულ-აზერბაიჯანულ ენებზე (2013 წელი); „ერთი ცის ქვეშ“ ფესტივალის ხელშეწყობა, სადაც მონაწილეობას იღებდნენ სომეხი და აზერბაიჯანელი მოსწავლეები (2013 წელი); სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ვიზიტის ფარგლებში, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გასამართი საიათ-ნოვას 300 წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტის დაფინანსება (2014 წელი); სურბნიშანის ტაძრის ეტაპობრივი საერაბილიტაციო სამუშაოები (2012 და 2014 წლებში); ნორაშენის ტაძრის კორექტირებული სარეაბილიტაციო პროექტის მომზადება (2015 წელი); „სერგო ფარაჯანოვი - XXI საუკუნის სიზმარი“ გამოფენის ხელშეწყობა (2015 წელი); პროექტების - „ყველა კულტურა განსხვავებული, მაგრამ თანასწორია“, „მრავალეროვანი საქართველო აფიშებში“, კლასიკური მუსიკის საღამო „მრავალფეროვნების დღესასწაული“, მუსიკალური ფესტივალი „One Caucasus” - მხარდაჭერა (2016 წელი) (საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო).

თავი 6. ორგანიზაციები და მედია

საზოგადოების ეთნო-კულტურის დაცვა-რეალიზებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებს. საქართველოს სომხების შემთხვევაში დიდია სომხური-სამოციქულო ეკლესიის როლიც. ასევე, მნიშნელოვანია ისეთი საინფორმაციო პორტალების არსებობა, რომლებიც ეთნიკური უმცირესობებისთვის გასაგებ ენაზე იფუნქციონირებს. ამ თავში მიმოვიხილავ რამდენიმე ორგანიზაციასა და მედია-პორტალს.

გაზეთი „სამხრეთის კარიბჭე“ გამოდის 2004 წლიდან, ქართულად და სომხურად (ქართული მასალები ითარგმნება სომხურად). გაზეთის წარმომადგენელთან ინტერვიუს მეშვეობით გავეცანი მათ საქმიანობასა და გამოწვევებს. „სამხრეთის კარიბჭეს“ ადრე ახალქალაქშიც ჰქონდა ოფისი, მაგრამ დაიხურა და ახლა მხოლოდ ახალციხეშია.

ამჟამად, გაზეთი ორივე ენაზე კვირაში ერთხელ იბეჭდება და უფასოდ არიგებენ, თუმცა ტირაჟი დიდი არ არის. ყველა მსურველს შეუძლია მათი ოფისიდან ან ჯიხურებიდან წაიღოს გაზეთი. „სამხრეთის კარიბჭეს“ ბოლოდროინდელი სიახლეა ის, რომ რადიო-მაუწყებლობაზეც გადავიდა.

„რადიო სომხურ კონტენტზეცაა გათვლილი. ყოველ დღე, დღეში ორჯერ გადის საინფორმაციო გამოშვება სომხურ ენაზე. შემდეგ ვებ გვერდზეც იტვირთება აუდიო ვერსია და იქაც შეუძლიათ მოსმენა. რადიოს დაფარვის ზონა რეგიონია, სამცხე-ჯავახეთი.

ნაკლებად იჭერს ბორჯომსა და ნინოწმინდაში, მაგრამ ჩვენი რადიო-სიუჟეტები სომხურ ენაზე გადის სომხურენოვან რადიოზეც ნინოწმინდაში, რადიო „ნორი“, ასე ჰქვია“ (ფეიქრიშვილი, 2017).

რადიოს, საინფორმაციოს გარდა, აქვს რუბრიკა „ხმა სოფლიდან“ და სომხურ ენაზე მომზადებულ სიუჟეტებს უშვებს, რომლებიც ეთნიკურად სომეხი მოსახლეობისა და მათი პრობლემების შესახებაა. აღსანიშნავია, რომ რადიოს მსმენელების ნახევარი სომხური მოსახლეობაა და მათგან დადებითი უკუკავშირიც აქვთ, ხშირად ამბობენ, რომ ძალიან კარგია, როდესაც საკუთარ ენაზე უსმენ ამბებს.

წარმომადგენელი აღნიშნიშნავს, რომ ეთნიკურად სომეხი მოსახლეობის შესახებ სიუჟეტების მომზადების დროს ხშირად პრობლემები ყოფილა, რადგან ისინი ჩაკეტილები არიან და საკუთარი აზრის დაფიქსირებაზე უარს ამბობენ, ფიქრობენ, რომ შეიძლება ამით პრობლემა შეექმნათ. გაზეთის გამოწვევა კი ისაა, რომ ამ ადამიანებამდე მიიტანონ ინფორმაცია. თუმცა, როგორც ჩანს, ბოლო პერიოდში მოსახლეობის მხრიდან სიფრთხილის ეტაპი ნელ-ნელა გადაილახება. *„მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია რელიგიური დღესასწაულები, რასაც ხშირად ვაშუქებთ და უკვე შეგვეჩვნიენ, რომ ამაში ცუდი არაფერია, თუ ისაუბრებენ ჩვენთან. შიშის ეტაპი გადავიარეთ“* (ფეიქრიშვილი, 2017).

რაც შეეხება კონკურენციას, ფიქრობენ, რომ ადგილზე ან მსხვილ მედია საშუალებებთან კონკურენცია ძალიან უმნიშვნელოა. *„იმიტომ რომ, რეგიონში „სამხრეთის კარიბჭე“ ერთადერთია, რომელიც სამ პლატფორმაზე მუშაობს: ვები, გაზეთი და რადიო. რაც შეეხება, ინფორმაციის თვალსაზრისით, ცენტრალური მედია კარგ კონკურენციას ვერ გაგიწევს იმიტომ, რომ ამბავი შენს რეგიონში ხდება და პირიქით, ჩვენგან მიაქვთ ინფორმაცია“* (ფეიქრიშვილი, 2017).

საინტერესოა, რომ „სამხრეთის კარიბჭე“ მუშაობს მოქალაქე ჟურნალისტების მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზეც. მოქალაქე ჟურნალისტები არიან უბრალოდ მოხალისეები, რომლებიც იღებენ ფოტოებს, ვიდეოებს და აგზავნიან, რადგან უნდათ, რომ მნიშვნელოვანი ფაქტები არ გამოეპაროს გაზეთს. ხშირად არა, მაგრამ იყო შემთხვევები, როდესაც ასეთი ადამიანები ეთნიკურად სომხები ყოფლან.

„სამხრეთის კარიბჭე“ არსებობს დონორი ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერით. *„რეგიონში დაფინანსება დიდი არ არის, მაგრამ დონორი ორგანიზაციები ყოველთვის თანხმდებიან და მოსწონთ, როცა რაღაცას აკეთებ ისე, რომ მთელ შენს აუდიტორიას აკმაყოფილებ. ამ შემთხვევაში ვგულისხმობ როგორც ქართველ, ასევე სომეხ მაცხოვრებლებს“* (ფეიქრიშვილი, 2017).

მედია-პლატფორმისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა დაკავშირებულია სომხური შინაარსის შექმნასთან, შესაბამისად,

ადამიანებთან, რომლებიც თარგმნიან ყველაფერს. *„გაზეთისთვის კიდევ პრობლემას არ წარმოადგენს ეს, მაგრამ რადიოში ცოტა რთულადაა საქმე. იმიტომ, რომ საჭიროა არა მარტო სალიტერატურო სომხურით თარგმნა, არამედ გამართული სომხური მეტყველებაც, რადგან რადიოში აუდიო ხმა უნდა გავიდეს“* (ფეიქრიშვილი, 2017). წარმომადგენელი მიუთითებს კვალიფიციური სომხურ-ქართულენოვანი ჟურნალისტების ნაკლებობაზე.

საყურადღებოა, რომ „სახრეთის კარიბჭე“ სპეციალური გაზეთის ნომრებს ბეჭდავს სომხურ ენაზე, საარჩევნო მასალებით, არჩევნების პერიოდში, რათა უზრუნველყოს სომხური მოსახლეობის ინფორმირებულობა მიმდინარე ამბების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ „სამხრეთის კარიბჭე“ კარგად მუშაობს, მისი არსებობა არ არის საკმარისი რამდენიმე მიზეზის გამო: 1. გაზეთის ტირაჟის სიმცირე; 2. მხოლოდ ახალციხის ოფისზე დამოკიდებულება. გარდა ამისა, საინტერესოა, რამდენად გასაგებია სალიტერატურო სომხურით დაწერილ-გადაცემული სიუჟეტები რეგიონის სომხური მოსახლეობისთვის, რომელთა სალაპარაკო ენა გარკვეულწილად განსხვავდება სალიტერატურო სომხურისგან.

შემდეგი ორგანიზია არის „საქართველოს სომეხთა სათვისტომო“, რომლის ოფისიც თბილისშია. ორგანიზაციას აქვს სამი ძირითადი ქვე-სტრუქტურა: „მოზარდთა კავშირი“,

„სტუდენტთა კავშირი“ და გაზეთი „მიუთიუნი“. პირველი ორი შეიქმნა 2009 წელს, გაზეთი კი - 2010 წელს.

ორგანიზაციის ძირითადი მიზანია, საქართველოში მცხოვრებ სომხებს შორის სომხური კულტურის გადაცემა და შენარჩუნება. ორგანიზაცია უფასოდ ასწავლის მთელ რიგ პროგრამებს, როგორც მოზარდებს (18 წლამდე), ასევე სტუდენტებს. ეს კულტურულ-საგანმანათებლო პროგრამებია: სომხური ენა, სომხური ხალხურ-პატრიოტული სიმღერები, სომეხი ერის ისტორია, სამოქალაქო განათლება, სომხური ცეკვები. ასევე, ორგანიზაცია რეგულარულად აწყობს ლაშქრობებსა და ექსკურსიებს საქართველოსა და სომხეთის ისტორიული ძეგლების მოსანახულებლად.

„სტუდენტთა კავშირს“ ურთიერთობა აქვს როგორც ქვეყნის შიგნით ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან, ასევე, სომხეთის, მთიანი ყარაბაღისა და სხვა ქვეყნებში მცხოვრები დიასპორის სტუდენტებთან.

ორგანიზაციის ვებ-გვერდზე გაზეთ „მიუთიუნის“ სიახლეები ქვეყნდება სამ ენაზე (ქართული, სომხური, რუსული).

ორგანიზაციის წარმომადგენლის თქმით, მათ სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობასთანაც აქვთ კავშირი. მათთვის მანძილი პრობლემას არ წარმოადგენს, არ არის ისე შორს და არ არის დაკავშირებულ იმ რაოდენობის თანხასთან, რაც ორგანიზაციისთვის დამაბრკოლებელი იქნება. ამასთანავე, აღნიშნავს, რომ რეგიონის ახალგაზრდები მეტწილად თავად

მიდიან მათთან, თბილისში. *„ძირითადად კი ისე ხდება, რომ თავად ჩამოდიან ჩვენთან, რადგან როგორც კი სტუდენტები გახდებიან, მაინც თბილისში ცხოვრობენ. ორგანიზაციას კი აქვს „სტუდენტთა კავშირი“. ძირითადად ამ გზით ხდება ჯავახეთის მოსახლეობასთან კომუნიკაცია“* (ოჰანიანი, 2017).

სხვა დიდი და აქტიური ორგანიზაციაა საქართველოს სომეხთა ეპარქიის კულტურულ-საგანმანათლებლო და ახალგაზრდული ცენტრი „ჰაიარტუნი“, რომელიც დაარსდა 2011 წელს, თბილისში. მათი საქმიანობა ემსახურება სომხური ენის შენარჩუნებას საქართველოში, სომხური ეროვნული ტრადიციებისა და ჩვეულებების აღდგენასა და სომხურ-ქართული კულტურული კავშირების გამყარებას.

„ჰაიარტუნსაც“ აქვს რამდენიმე უფასო წრე, მეტწილად ბავშვებისთვის (7-დან 17 წლის ჩათვლით), ეს წრეებია: სიმღერის საბავშვო გუნდი, სამოყვარულო ახალგაზრდული ქორეოგრაფიული ანსამბლი, დოლისა და დუდუკის კლასები, ვოკალ-ინსტრუმენტალური საესტრადო ანსამბლი, ესთეტიკური აღზრდის ჯგუფი. გარდა ამისა, ორგანიზაციასთან არსებობს საბავშვი ბაღი, ერთდღიანი (შაბათი) სკოლა და საკვირაო სკოლა.

„ჰაიარტუნი“ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ეთნიკურად სომხებით დასახლებულ სხვა რეგიონებსაც და მათთვისაც ხშირად აწყობს ღონისძიებებს (ჰაიარტუნის წარმომადგენელი, 2017).

მორიგი მნიშვნელოვანი ორგანიზაციაა „ალიქ მედია“, რომელსაც ძირითადად საინფორმაციო პროფილი აქვს. მის წარმომადგენელთან საუბრის შემდეგ უკეთ გავეცანი ორგანიზაციის მიზნებსა და საქმიანობას. „ალიქ მედია“ არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა 2016 წლის თებერვალში, თუმცა იქამდე, 2015 წლის აპრილიდან მუშაობდა მოხალისეობრივი რესურსების საფუძველზე.

„ორგანიზაციის მიზანია: მრავალპროფილური მედია-პლატფორმის მეშვეობით, საქართველოს პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში ეთნიკური სომხების ინტეგრაციის მხარდაჭერა, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებს შორის (მაგალითად, სამცხე-ჯავახეთი) მზარდი იზოლაციისა და დისტანციურობის დაძლევა. უფრო ხანგრძლივვადიანი მიზანია - საქართველოში რუსული რბილი ძალის წინააღმდეგ ბრძოლა და საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების გაძლიერება“ (ხარატიანი, 2017).

„ალიქ მედია“ არის საქართველოში სომხურენოვანი შინაარსის შემქმნელი უდიდესი ორგანიზაცია. ყოველდღიური სტატიები, რომლებიც საქართველოსა და სომხეთში მიმდინარე მოვლენების შესახებაა, უნიკლაური წყაროა საქართველოში მცხოვრები სომხებისთვის. 2016 წლიდან ორგანიზაცია ქართულ ენაზეც წერს/თარგმნის იგივე სტატიებს ქართულენოვანი სომხებისთვისაც.

ორგანიზაცია მაუწყებლობს „ონლაინ“, აქვს ვებ-გვერდი და გვერდები სოციალურ ქსელებში (Facebook, Odnoklassniki, Twitter). ასევე, ყოვედღიურ რადიო-გადაცემებს უშვებენ soundcloud.com-ზე.

„ალიქ მედია“ თავად არ უწევს ორგანიზებას კულტურულ აქტივობებს, მაგრამ მასპინძლობს სხვადასხვა ღონისძიებებს (მაგალითად, ინტელექტუალური თამაშები ახალგაზრდებისთვის, საგანმანათლებლო შეხვედრები და სხვა).

წარმომადგენელის თქმით, მათი საქმიანობა სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობისთვისაც ხელმისაწვდომია და სწორედ მათი ინფორმირებულობისა და ცნობიერების ამაღლებაა ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი.

რაც შეეხება გამოწვევებს - *„ჩვენი მთავარი გამოწვევაა კვალიფიციური პერსონალის ნაკლებობა და არასტაბილური დაფინანსება“* (ხარატიანი, 2017).

სხვა კულტურულ-საზოგადოებრივი ორგანიზაციებია: საქართველოს სომეხ მწერალთა კავშირი „ვერნატუნ“, „საქართველოს სომეხი ინტელიგენციის კავშირი“, „საქართველოს სომეხ მხატვართა კავშირი“, „გარი დავთიან“ თოჯინების კულტურის სახლი, საქართველოს სომეხ ქალთა კავშირი „შუშანიკ“, ნინოწმინდის საგანმანათლებლო-კულტურული ცენტრი „რაფაელ ჯავახ“, ბათუმის საგანმანათლებლო, კულტუტული და ახალგაზრდული ცენტრი „მანთაშევ“ ("ჰაიარტუნ" ცენტრი: სომეხთა სამოციქულო

მართლმადიდებელი წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქია). კულტურული თვალსაზრისით, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს თბილისში არსებულ „პეტროს ადამიანის სახელობის სახელმწიფო სომხურ დრამატულ თეატრს“.

საინფორმაციო პორტალებიდან აღსანიშნავია: „ჯავახ მედია“ - საინფორმაციო საიტი სამცხე-ჯავახეთის რეგიონისთვის, რომელიც მუშაობს 4 ენაზე (ქართული, სომხური, ინგლისური, რუსული) (Javakhk Media, n.d.); „სამცხე-ჯავახეთის მედია ცენტრი“ - არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც 2002 წლიდან მუშაობს ეთნიკური სომხებით დასახლებულ რეგიონებში. გარდა ჟურნალისტური საქმიანობისა, ორგანიზაცია უძღვება არაფორმალურ განათლებასა და ადვოკატირების კამპანიებს. მათი ვებ-გვერდი მუშაობს სამ ენაზე (ქართული, ინგლისური, რუსული) (ჩვენ შესახებ: სამცხე-ჯავახეთის მედია ცენტრი, თ. გ.); პოლიტიკურ-საზოგადოებრივი გაზეთი „ვრასტანი“ და რადიო „ვრასტან FM“, რომლებიც მხოლოდ სომხურად ფუნქციონირებენ (vrastan, თ. გ.) და სხვა.

როგორც ვხედავთ, საქართველოში არის ისეთი სომხური ორგანიზაციები, რომლებსაც შეუძლიათ კულტურული იდენტობის გამოხატვისთვის შესაბამისი გარემოს შექმნა. ეს ორგანიზაციები მრავალფეროვანია და მოიცავს სოციალურ, კულტურულ, საგანმანათლებლო, რელიგიურ თუ საინფორმაციო გაერთიანებებს. მათი გეოგრაფიული განაწილებაც მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია თბილისსა და

სამცხე-ჯავახეთში. ამასთანავე, საყურადღებოა, რომ თბილისში არსებულ ორგანიზაციებს აქვთ სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობასთანაც კავშირი.

მიუხედავად ამისა, არსებული ინფორმაცია არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ დავასკვნათ, თუ რამდენად საკმარისი და ყოვლისმომცველია მათი საქმიანობა. რადგან ძირითადი ინფორმაციის გავრცელება ინტერნეტის საშუალებით ხდება, საინტერესოა, რამდენად ხელმისაწვდომია ის სასოფლო დასახლებებში მცხოვრებთათვის. ზოგადად კი, საქართველოში ეთნიკური სომხებისთვის თითქმის ყოველგვარი ორგანიზაციის პოვნა შეიძლება, რომლებიც მათ დაეხმარება ეთნო-კულტურული იდენტობის გამოხატვაში.

თავი 7. თვისებრივი კვლევა

§ 7.1 თვისებრივი კვლევის შედეგები

თვისებრივი კვლევის ფარგლებში სულ გამოიკითხა 21 ადამიანი, 11 ახალქალაქიდან 10 თბილისიდან (9 თბილისი, 1 რუსთავი-თბილისი), ამათგან 6 მამაკაცია, 15 - ქალი. რესპონდენტები სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიიდან იყვნენ, 18 წლიდან 70 წლამდე.

ყველა რესპონდენტი ახალქალაქსა და თბილისში ცხოვრობს დაბადებიდან. მათი უმრავლესობის წინაპრები საქართველოში დასახლდნენ მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში, რამდენიმე სახლობს შუა საუკუნეებიდან და მეცხრამეტე საუკუნიდან.

პასუხი კითხვაზე, თუ რომელია ოჯახში პირველი და მეორე სალაპარაკო ენები, თბილისის რესპონდენტებს შორის ჭარბობდა ქართულ-სომხური ვარიანტი, დაასახელეს ასევე მხოლოდ სომხური, მხოლოდ რუსული და ქართულ-რუსული. *„რთულია ასე განსაზღვრა, იმიტომ რომ მამაჩემი არ საუბრობს სომხურად, მამა ქართულენოვანია, შესაბამისად, მასთან ძირითადად ქართულად ვსაუბრობთ. თუმცა, არის შემთხვევები, ვიწყებთ ქართულად, ვაგრძელებთ რუსულად და ვამთავრებთ სომხურად“*(ქალი, 28 წლის, თბილისი-რუსთავი).

ახალქალაქის რესპონდენტები ოჯახში ძირითადად მხოლოდ სომხურად საუბრობენ ან სომხურ-რუსულად.

სამსახურში ძირითადი სალაპარაკო ენები არის ან იყო (პენსიონერების შემთხვევაში) - თბილისიდან რესპონდენტების უმრავლესობითვის მხოლოდ ქართული, ასევე, ქართულ-ინგლისური. *„მე სულ ქართულ წრეებში ვიყავი, სამსახური, მეგობრობა, ახლობლები. რომ ვთქვა, სომხური მე არც წერა ვიცი, არც კითხვა. როცა სომხეთში არ ცხოვრობ, სომხური ენა ნუ... რისთვის გჭირდება?“* (ქალი, 70 წლის, თბილისი)

ახალქალაქელი რესპონდენტები სამსახურში თითქმის მხოლოდ სომხურად ან სომხურ-რუსულად საუბრობენ, გარდა ერთისა, რომელიც სომხურ-ქართულად საუბრობს. ქართული ენის გამოჩენა დამოკიდებულია დამსაქმებელ სტრუქტურაზე, იქნება ეს საჯარო თუ კერძო სექტორი.

ახალქალაქში იგივე სიტუაციაა სანაცნობო წრეში გამოყენებულ პირველ და მეორე ენებთან დაკავშირებით. თბილისში კი ქართულ-რუსული და ქართულ-ინგლისური ვარიანტი ჭარბობს, ასევე, ენათა ჩამონათვალი უფრო მრავალფეროვანი ხდება.

რაც შეეხება ინფორმაციის მიღების საშუალებებს, პასუხები დამოკიდებულია უფრო მეტად რესპონდენტის ასაკზე, ვიდრე მის საცხოვრებელ გარემოზე თბილისსა და ახალქალაქში. 60 წლის ზევით რესპონდენტებისთვის ინფორმაციის მიღების ძირითადი წყაროა მხოლოდ ტელევიზორი, ახალგაზრდებისთვის - ძირითადად ინტერნეტი, შუახნის ასაკისთვის კი ტელევიზორიც და ინტერნეტიც თანაბრად.

ინფორმაციის ენა განსხვავდება, ახლქალაქში ძირითადად არის სომხური და რუსული. *„ადრე ჩვენთან იჭერდა ქართულ არხებს და ვრთავდი ხოლმე, რომ ყური მიმეჩვია ენისთვის, ახლა აღარ იჭირეს, მარტო რუსული და სომხური არხებია. ახალქალაქში უმრავლესობასთან იგივე სიტუაციაა, ზოგთან უჩვენებს, ზოგთან არა. ქართული არხი რომ დავიჭიროთ, სპეციალური რაღაცაა საჭირო და თანხა გადასახდელი“* (კაცი, 18 წლის, ახალქალაქი).

თბილისიდან რესპონდენტებს შორის დომინირებს ქართული ენა, შემდეგ რუსული და მერე ინგლისური. *„ძირითადად? სამწუხაროდ, რუსულ ენაზე... ინფორმაციას გააჩნია, თუ რაღაც საერთაშორისო დონის ინფორმაციაა, ინგლისურად. ძირითადად, სამსახურიდან გამომდინარე, სულ ქართულთან მაქვს ურთიერთობა. მარტივად, ქართული უფრო ჭარბობს, ვიდრე სხვა ენა. ისე, ვთქვათ, როცა ევრონიუსს ვკითხულობ, ხან რუსულად, ხან ინგლისურად“*(კაცი, 51 წლის, თბილისი).

ყველა რესპონდენტს სკოლის არჩევის მინიმუმ ორი ვარიანტი მაინც ჰქონდა. არც ერთ მათგანს, არც ახალქალაქში და არც თბილისში, არ დაუმთავრებია ქართულენოვანი სკოლა. ახალქალაქიდან ყველას სომხურენოვანი სკოლა აქვს დამთავრებული და მოტივაცია ძირითადად დაფუძნებულია მათ ეთნიკურ წარმომავლობაზე *„რადგან სომეხი ვარ, მაგიტომ შემიყვანეს სომხურენოვან სკოლაში“* (კაცი, 24 წლის, ახალქალაქი).

თბილისში მხოლოდ რამდენიმემ დაამთავრა სომხურენოვანი, დანარჩენებმა კი - რუსულენოვანი სკოლა. *„ჩემ დროს ქართველებიც სულ გარუსებულები იყვნენ. სულ რუსული სკოლები, რუსული განათლება. აქ რომ სკოლა დაემთავრებინათ ქართულად, მერე მიდიოდნენ მოსკოვში და რუსულ სექტორზე აბარებდნენ უმაღლესში“* (ქალი, 70 წლის, თბილისი).

„სომხურენოვანი სკოლა კი იყო, მაგრამ ასე გადაწყვიტეს მშობლებმა. იმდენად ძლიერი იყო რუსიფიკაცია, ყველა ასე აზროვნებდა - როგორ იმუშავებ, ყველგან რუსულია საჭირო. მშობლები ფიქრობდნენ, რომ რუსული განათლებით უფრო ადვილი იქნებოდა ყველაფერი“ (ქალი, 48 წლის, თბილისი).

რესპონდენტების ნაწილი, გადატვირთული გრაფიკისა და მოუცლელობის გამო, ვერ ახერხებს წიგნების კითხვას. თბილისში კითხულობენ ძირითადად ქართულად, რუსულად, ქართულ-რუსულად. მხოლოდ ერთმა რესპონდენტმა, რომელსაც სომხურენოვანი სკოლა აქვს დამთავრებული, თქვა, რომ წიგნებს სომხურ ენაზე კითხულობს.

ახალქალაქში ორმა რესპონდენტმა წიგნების ენად სომხურთან ერთად ქართულიც დაასახელა, დანარჩენი კი სომხურად და რუსულად კითხულობს. *„ყველაფერს თითქმის რუსულად ვკითხულობ, იმიტომ რომ მომწონს, როგორც წერია. უფრო ხარისხიანია, მხატვრულიც და სამეცნიერო ლიტერატურაც“* (კაცი, 18 წლის, ახალქალაქი).

თბილისშიც და ახალქალაქშიც ფილმების ენა ძირითადად არის რუსული და თვლიან, რომ რუსული თარგმანი უფრო მისაღებია მათთვის.

სომხური კულტურის წარმომადგენლებიდან რესპონდენტებმა დაასახელეს: ჰოვანეს თუმანიანი, ვაჰან ტერიანი, ავეტიკ ისააკიანი, ეღიშე ჩარენცი, ხაჩატურ აბოვიანი, რაფფი, ფარაჯანოვი, ვარუმი, გიგა ხანიანი, ხაჩატურიანი, სუნდუკიანი, ნარეკასი, საიათ-ნოვა, სილვა კაპუტიკიანი, პარუირ სევაკი, ჰოვანეს შირაზი, უილიამ საროიანი, ნარ-დოსი, მესროპ მაშტოცი, აივაზოვსკი, მუსიკალური ჯგუფი "System Of A Down" და სხვა. ამათგან, თითქმის ყველამ დაასახელა თუმანიანი, შემდეგ აბოვიანი, ფარაჯანოვი, ხაჩატურიანი და ჩარენცი. *„ძალიან ბევრია ლიტერატურაში, სამწუხაროდ, მე არ წამიკითხავს, როცა მამაჩემი კითხულობდა, ეგ მახსოვს, ჰოვანეს თუმანიანი. მე არ წამიკითხავს და ვაღიარებ ჩემს მინუსს. იქნებ მივიდე იმ ეტაპამდე, რომ რუსულად მაინც წავიკითხო და გავიგო, რაზე წერდნენ"* (ქალი, 48 წლის, თბილისი).

სომხური კულტურის სიმბოლოდ დაასახელეს: ენა და ანბანი; სომხური ბორჯღალო; რელიგია; დროშის ფერი (ნარინჯისფერი), რომელიც, რესპონდენტის აზრით, აღნიშნავს შრომისმოყვარეობას; ბროწეული; ეროვნული ცეკვა; ეროვნული სამოსი; მუსიკა, კლარნეტი, დოლი, დუდუკი. *„მე ვფიქრობ, ენა და ანბანი ყველაზე კარგად გამოხატავს კულტურას, განსაკუთრებით სომხური კულტურის შემთხვევაში"* (კაცი, 18 წლის, ახალქალაქი).

მაინტერესებდა, ერევნელი სომხები რას დაასახელებდნენ სომხური კულტურის სიმბოლოდ, ამიტომ იგივე კითხვით მივმართე მათ (სულ 5 რესპონდენტი). ჩამონათვალი ასეთია: სამზარეულო; ეროვნული ცეკვა; დღესასწაულები; სასმელი წყაროები, რომლებსაც, რესპონდენტის თქმით, თითქმის ყველგან შეხვდები; რელიგია; ისტორიული სომხეთი; მთა არარატი; ხორ-ვირაპი[2] (იხ. დანართი, სურათი 4); ფერები; ეროვნული სამოსი; გარგარი; ჯვარი; დუდუკი.

რესპონდენტებიდან არც ერთს არ უვლია სომხური კულტურის, ფოლკლორის შემსწავლელ წრეებზე, თუმცა დიდმა ნაწილმა მშობლებისგან გადმოცემით იცის სომხური სიმღერები და ცეკვები სამოყვარულო დონეზე. *„სომხურში ერთადერთი რაზეც ვიარე არის - სომხურ თეატრში ჰქონდათ სამსახიობო წრე. ანუ, თავიანთი სტუდია ჰქონდათ, სადაც მსახიობებს ამზადებდნენ სომხური თეატრისთვის, სრული კურსი გავიარე. ეგ იყო და ეგ ჩემი შეხება თბილისურ სომხურ ელიტასთან“* (ქალი, 28 წლის, თბილისი-რუსთავი).

საქართველოში არსებული სომხური ორგანიზაციებიდან, თბილისის რესპონდენტებს შორის ყველაზე პოპულარულია „ჰაიარტუნი“, შემდეგ „საქართველოს სომეხთა სათვისტომო“. ნაწილი იშვიათად ახერხებს მათ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობას. რამდენიმე მათგანი კი, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებულია ან დაკავშირებული

[2] მონასტერი თურქეთის საზღვართან, არარატის მთის ძირში.

იყო სომხურ ორგანიზაციებთან, უფრო აქტიურია ამ კუთხით. თბილისის სომხურ თეატრთან დაკავშირებით, რამდენიმემ აღნიშნა და გაიხსენა ბავშვობის გამოცდილება და თქვეს, რომ სპექტაკლის ენა (სომხური) მათთვის იმდენად გაუგებარი იყო, სახლში, მშობლების მონაყოლის მერე მიხვდნენ, თუ რა ნახეს თეატრში.

ახალქალაქში ადგილობრივ ორგანიზაციებზე მიუთითებდნენ, თუმცა სახელდებით ვერ იხსენებდნენ ზუსტ სახელწოდებას. ორივე ქალაქში ხაზს უსვამდნენ ეკლესიის როლსა და მის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებებს. ახალქალაქში ეკლესიასა და გამგეობას ასახელებდნენ, როგორც სომხური კულტურული დღეების მთავარ ორგანიზატორებს. ახალგაზრდა რესპონდენტებმა გაიხსენეს სომხური ეკლესიის მიერ უზრუნველყოფილი საზაფხულო ბანაკები, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ადგილობრივი და სომხეთიდან ჩამოყვანილი ბავშვები. ანალოგიური ბანაკის ფარგლებში, ახალქალაქელი ახალგაზრდები მიჰყავთ სომხეთში, ძირითადად ერევანში.

კითხვაზე თუ რომელი ქვეყანაა მათი სამშობლო, თბილისის რესპონდენტებმა დაასახელეს საქართველო, გარდა ორისა, რომლებიც საკუთარ სამშობლოდ მიიჩნევენ სომხეთს. *„ინტრიგანული კითხვაა. საქართველოში ვცხოვრობ და სამშობლო სომხეთია, მაგრამ არა ამჟამინდელ მდოგმარეობაში, თავის კუთვნილ ტერიტორიებიანად, ისტორიული სომხეთი არის ჩემი სამშობლო“* (კაცი, 33 წლის, თბილისი).

ამ კითხვაზე პასუხი საკმაოდ განსხვავდება თბილისსა და ახალქალაქში. თბილისში ერთი რომელიმე ქვეყანა დაასახელეს, ახალქალაქში კი გაორებული პასუხები დომინირებდა და სამშობლოდ მიიჩნევდნენ სომხეთსაც და საქართველოსაც. *„ორი სამშობლო მაქვს, ერთი საქართველო და მეორე ისტორიული სამშობლო - სომხეთი“* (ქალი, 64 წლის, ახალქალაქი). ერთმა მათგანმა დაასახელა მხოლოდ სომხეთი, ორმა კი მხოლოდ საქართველო. *„მე ვარ ახალქალაქიდან, დავიბადე და გავიზრდე აქ და რაკი ახალქალაქი საქართველოშია, ჩემი სამშობლოც საქართველოა“*(კაცი, 18 წლის, ახალქალაქი).

კითხვაზე პასუხი - თუ რა ფიზიკურ-ემოციური დამოკიდებულება აქვთ საქართველოსთან, სომხეთთან და რუსეთთან - ახალქალაქის რესპონდენტებს შორის მსგავსი იყო და ძირითადად იმ აზრს ატარებდა, რომ სამივე ქვეყნის მიმართ დადებითად არიან განწყობილნი, რადგან ნათესავები ან ახლობლები ყველგან ჰყავთ. ფიზიკური კავშირი კი სომხეთთან უფრო აქვთ, ვიდრე რუსეთთან.

დაახლოებით იგივე სიტუაცია იყო თბილისშიც, პასუხებს შორის ჭარბობდა სამივე ქვეყნის მიმართ დადებითი დამოკიდებულება. „სამივე ძალაინ ახლობელია. აი რუსეთი, პოლიტიკა სხვაა, მათი პოლიტიკა მე არ მომწონს, მაგრამ ხალხი სხვაა. მე მინდა, რომ ყველა კარგად იყოს. აქვე ყურის ძირშია რუსეთი და რაში უნდა მჭირდებოდეს ვიზა?“ (ქალი, 48 წლის, თბილისი)

თუმცა, დაფიქსირდა განსხვავებული მოსაზრებებიც:

„რატომ მარტო ეს სამი ქვეყანა? რეგიონში კიდევ სამია. ნუ, საქართველოში ვცხოვრობ, სომხეთი სამშობლოა. აზერბაიჯანთან არ მაქვს სიძულვილის ან რამე ეგეთი დამოკიდებულება, ირანთან უფრო დადებითი. თურქეთთან მაქვს მარტო უარყოფითი დამოკიდებულება და რუსეთთან რა გითხრა, სომხეთი მჭიდრო კავშირშია, მაგრამ გვახსოვს, რა პოზიციებს იკავებს რუსეთი რიგ საკითხებში, ამიტომ ფრთხილი დამოკიდებულება მაქვს“ (კაცი, 33 წლის, თბილისი).

„ვერ ვიგებ საერთოდ რა კავშირშია ამ ჩამონათვალში რუსეთი, რადგან ვარ საქართველოში დაბადებული და გაზრდილი, მაგრამ ეროვნებით სომეხი და რუსეთი საერთოდ მეზედმეტება ამ ჩამონათვალში. რაც შეეხება საქართველო-სომხეთის მიმართ ჩემს დამოკიდებულებას, ვთვლი, რომ საქართველოს ნაწილს ვეკუთვნი მე და სომხეთია საქართველოს მეზობელი ქვეყანა“ (კაცი, 23 წლის, თბილისი).

ახალქალაქელი რესპონდენტების პასუხი კითხვაზე, თუ რამდენად კომფორტულია (რთულია-ადვილია) მათთვის საქართველოში ცოხვრება, დაკავშირებულია სირთულეებთან - ძირითადად სახელმწიფო ენის არ ცოდნასა და ქვეყნის ზოგად სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან, უმუშევრობასთან. *„ენის არ ცოდნის გამო ცოტა რთულია. ადრე, საბჭოთა კავშირის დროს არ იყო ქართული ენის საჭიროება და არ გვისწავლია. ახლა სკოლაში რომ ვმუშაობ, რაღაცები არის ხოლმე შესავსები,*

ქართული ბლანკებია. კი ვაკეთებთ, მაგრამ ენა რომ არ იცი, რთულია“ (ქალი, 64 წლის, ახალქალაქი). რესპონდენტების მცირე ნაწილის აზრით, ენობრივი ბარიერი კი არის, მაგრამ ეს ხელს არ უშლის მოქალაქეს საჭირო სერვისების მიღებაში. *„ენა რომ არ ვიცი, ცუდია, მაგრამ რამე თუ დაგჭირდა, შეიძლება გააგებინო ყველას. თუნდაც თბილისში რომ წახვიდე, რუსული იციან, მე ქართული მესმის, გავიგებ, რომ მითხრან, იმათ კი რუსული ესმით და გაიგებენ ჩემს საუბარს. ამიტომ, რაც უნდა დაგჭირდეს, მაინც მოაგვარებ“*(ქალი, 38 წლის, ახალქალაქი).

ახალქალაქელი რესპონდეტების უმრავლესობა ამბობს, რომ ეთნიკურ ნიადაგზე დისკრიმინირებულად უგრძვნიათ თავი, დანარჩენ ნაწილს კი საკუთარ თავზე არა, მაგრამ ახლობლების შესახებ სმენიათ.

ამ კითხვებზე უფრო გახსნილად პასუხობდნენ თბილისელი რესპონდენტები და ძრითადად მიუთითებდნენ სომხების მიმართ აგრესიაზე, რაც ქმნის სირთულეებს. *„ზოგადად ცხოვრება ძალიან რთულია, ყოველთვის იბრძვი, რომ საკუთარი ადგილი დაიმკვიდრო, ხომ? მაგრამ, როდესაც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ხარ, ალბათ მით უფრო რთულია. იმიტომ რომ, გარდა იმისა, რომ იბრძვი შენი ადგილის დასაკავებლად, ყოველთვის იბრძვი იმისთვის, რომ ვიღაცებს დაუმტკიცო - თანასწორი ხარ. ამის დამტკიცება გიწევს ყოველთვის, ყველგან, ყველგან აბსოლუტურად“* (ქალი, 28 წლის, თბილისი-რუსთავი). რესპონდენტების ნაწილი დისკრიმინაციის მაგალითად თვლის გვარების შეცვლის

ფენომენს, რადგან სმენიათ, რომ სომხური გვარით სამსახურში დაწინაურების პრობლემა ბევრს შექმნია. დაფიქსირდა განსხვავებული აზრიც - *„მათ, ვინც ამბობს, რომ დისკრიმინირებულად გრძნობენ თავს, ვეუბნები - იქნებ თქვენგან მოდის აგრესია? ქართველი ხომ ვერ მოგეფერება, თუ შენგან მოდის აგრესია. მახსოვს, ბავშვობაში მეზობელი მარგო ყვიროდა „ნუ ლაპარაკობ ძაღლურ ენაზეო“ (იგულისხმება ქართული ენა). ბავშვი ვიყავი და მე არ მომეწონა. მითხარი, რომელ ქართველს მოეწონებოდა? შენ თუ პატივს არ სცემ იმ მიწას, სადაც გაიზარდე, ვის წყალსაც სვამ, რა ადამიანი ხარ? და რატომ ელოდები, რომ ქართველი აგიყვანს და ხელის გულზე გატარებს“* (ქალი, 48 წლის, თბილისი).

რაც შეეხება აღმსარებლობას, ორივე ქალაქის რესპონდენტებმა სომხურ მართლმადიდებლურ სამოციქულო ეკლესიას მიაკუთვნეს თავი, გარდა ერთისა, რომელმაც თქვა, რომ ათეისტია. ახალქალაქის რესპონდენტები რეგულარულად დადიან ეკლესიაში და ესწრებიან საეკლესიო რიტუალებს. მსახურების ენა უმრავლესობას ესმის, ძირითადი ნაწილი მაინც. მხოლოდ ერთ რესპონდენტს ესმოდა სრულად, რომელმაც სომხური ფილოლოგია ერევანში შეისწავლა, შესამაბისად, მისთვის კლასიკური სომხურის გაგება პრობლემა არ არის.

თბილისის რესპონდენტები იშვიათად ახერხებენ საეკლესიო რიტუალებზე დასწრებას. ზოგიერთ მათგანს ნაწილობრივ ესმის მსახურების ენა, ან შეუძლიათ მიხვდნენ ტექსტის შინაარს, ნაწილს კი არ ესმის. – *„იშვიათად დავდივარ ხოლმე. ძალიან*

ცუდი გრაფიკი მაქვს მაგ კუთხით და კიდევ - უბრალოდ გახვიდე, დადგე და მოუსმინო იმის გამო, რომ პლუს ჩაგეწეროს და არაფერი არ გაიგო, არ არის კარგი. არ მესმის მსახურების ენა. ძალიან განსხვავდება თბილისის სომხების ენა და ნამდვილი სომხური ენა. ჩვენ ვლაპარაკობთ... არ ვიცი მე, რა ენაა ეს, რუსულ-ქართულ-აზერბაიჯანული სიტყვების ნარევი“ (ქალი, 48 წლის, თბილისი).

მიგრაციულ პროცესებს რაც შეეხება, მხოლოდ რამდენიმე რესპონდენტის ოჯახის წევრია (ნათესავი არ ითვლება) საზღვარგარეთ წასული. უმრავლესობა თავად არ გეგმავს საზღვარგარეთ საცხოვრებლად გადასვლას. წასვლის სურვილი მხოლოდ ერთს ჰქონდა, თბილისიდან, სასურველ ქვეყნებად კი ესპანეთი და იტალია დაასახელა. ახალქალაქში ერთმა რესპონდეტმა გამოთქვა გერმანიაში სასწავლებლად წასვლის სურვილი.

კითხვები ეხებოდა სამზარეულოს, როგორც კულტურის ერთ-ერთ ნაწილს. ამ კუთხით, ახალქალაქსა და თბილის შორის მკვეთრი განსხვავებაა. ახალქალაქელი რესპონდეტები ხშირად ამზადებენ სომხურ კერძებს ოჯახში, არა მხოლოდ დღესასწაულების დროს. თბილისელი რესპონდენტების ოჯახში კი ძირითადად უნივერსალური კერძები მზადდება, გამონაკლისია ეთნო-რელიგიური დღესასწაულები. სომხურ კერძებს არ/ვერ მიირთმევენ ოჯახის გარეთაც. *„თბილისში ამდენი სომეხი ცხოვრობს და ერთი სომხური რესტორანი არ არის. ერევანში ცოტა ქართველია და 10 ქართული რესტორანია -*

პარადოქსია. აქ ვერ ხსნიან, ზევიდან არის „რჩევა“, რომ ბიზნესმენებმა არ გახსნან სომხური რესტორანი“ (კაცი, 33 წლის, თბილისი). საინტერესოა სხვა რესპონდენტის მოსაზრებაც - *„ერევანში ხსნიან ქართულ რესტორნებს და ჩვენ სომხურ რესტორნებში ვიაროთ? ანუ, რისი თქმა მინდა, ქართული ძალიან გემრიელია, გაცილებით გემრიელი, ვიდრე სომხური. სომხურსაც თავისი თავისებურება აქვს, მაგრამ რა ვიცი, იშვიათად ამზადებს დედა. დღესასწაულებზე ერთი ოთხი წელია დაიწყო მზადება“* (ქალი, 28 წლის, თბილისი-რუსთავი).

შერეული ქორწინებების მიმართ რესპონდენტების დამოკიდებულება, თბილისშიც და ახალქალაქშიც, ძირითადად დადებითია. თუმცა, მიუთითებენ შერეული ქორწინების თანმხვედრ სირთულეებზეც:

„მთვარია, უყვარდეთ ერთმანეთი, მე მგონია ასე, მაგრამ სხვადასხვა მენტალიტეტი (გაზრდა, აღზრდა) შეიძლება როდისმე გამოჩნდეს. ღმერთმა ქნას, რომ მთელი ცხოვრება უყვარდეთ, მაგრამ მერე დაიწყება „მე ეგრე არ გამზარდეს“... თუ ახერხებენ, უგებენ და უყვართ, რატომაც არა“ (ქალი, 48 წლის, თბილისი).

„ზოგადად შერეული ქორწინებები არაა პრობლემა, მთავარია მეორე მხარე თურქი არ იყოს“ (ქალი, 24 წლის, ახალქალაქი).

„თავიდან ძალიან ნეგატიური იყო ჩემი დამოკიდებულება. სომხების მიმართ აგრესიული დამოკიდებულების გამო ვფიქრობდი, რომ ოჯახი ვერ შეიქმნებოდა აგრესიის ფონზე...

ახლა, გულის სიღრმეში მწამს, რომ რაც უფრო შერეულია ოჯახი, მით უფრო მდიდარია. ჩემს თავზე რომ ვილაპარაკო, მაგალითად, ორი კულტურის სინთეზია ჩემში და ვფიქრობ, რომ რაღაცით უფრო, აი კულტურულად, ჩემი "background" უფრო მდიდარია, ვიდრე ადამიანის, რომელიც მონოეთნიკურ გარემოშია გაზრდილი. თუნდაც ის, რომ ამდენ ენაზე ვსაუბრობ, ამდენი კულტურის წარმომადგენელს ვიცნობ. ეს თითქოს ძალიან პატარა დეტალებია, მაგრამ საბოლოო ჯამში ძალიან დიდ სხვაობას გაძლევს ღირებულებებში. ანუ, შერეულ ქორწინებასთან ზოგადად არ მაქვს პრობლემა, მაგრამ თუ შენ გულისხმობ ქართულ და სომხურ ოჯახებს, აქ უკვე პრობლემა იქმნება" (ქალი, 28 წლის, თბილისი-რუსთავი).

კითხვაზე, თუ რა შენიშვნა-კომენატი ექნებოდათ ცენტრალურ და/ან ადგილობრივ მთავრობასთან კულტურული იდენტობის საკითხთან დაკავშირებით, პასუხები ასეთია: სამართლიანობის აღდგენის თვალსაზრისით, მოგვარდეს სადაო ეკლესიებისა თუ შენობების პრობლემა, სამცხე-ჯავახეთის მცხოვრებ მოსახლეობაში უზრუნველყონ სახელმწიფო ენის ცოდნა, გაუფრთხილდნენ უკვე არსებულ კულტურას, როგორც სომხურს, ასევე ქართულს. *„მე მინდა, რომ ქართული ნაციონალური არ დაიკარგოს. მე მგონი, რომ ქართულიც იკარგება. რატომ ვამბობ... სუხიშვილების ცეკვას ვუყურებდი და რაღაც პროტესტი გამიჩნდა, ვერ მივიღე. არ დაკარგოთ და ეს თუ არ დაიკარგება, სომხურიც იქნება და ყველა"* (ქალი, 48 წლის, თბილისი).

„შევინარჩუნოთ და გავუფრთხილდეთ იმას, რაც გვაქვს. აი, აქვე რომ პარკია და წერეთლის ძეგლი დგას (იგულისხმება, ავლაბართან), ლეონოვი, კიკაბიძე, მკრტიჩიანია - სომეხიც არის, რუსიც არის, ქართველიც არის, მიყვარს ეგ ძეგლი“ (ქალი, 70 წლის, თბილისი) (იხ. დანართი, სურათი 1, სურათი 2).

§ 7.2 თვისებრივი კვლევის ანალიზი

კვლევამ აჩვენა, რომ გარკვეულ საკითხებთან მიმართებით, რესპონდენტების პასუხებს შორის სივრცითი განსხვავება ჩანს, დანარჩენი ნაწილი კი არ არის დამოკიდებული გეოგრაფიულ ფაქტორებზე.

ენობრივ ასპექტებთან დაკავშირებით, გამოიკვეთა, რომ სამუშაო, საყოფაცხოვრებო თუ კულტურული ენები ახალქალაქში უფრო მეტად არის სომხურ-რუსული, თბილისში კი - ქართულ-რუსული. ამ შემთხვევაში რუსული ენის უნივერსალურობა მიგვანიშნებს საბჭოური ისტორიული გამოცდილების ძლიერ გავლენზე. ზოგადად კი, მრავალენოვანება დამახასიათებელია საქართელოს ეთნიკური სომხებსთვის.

მეცნიერები თვილიან, რომ ბილინგუალიზმი/ორენოვანება (ასევე მრავალენოვანება) უფრო ნორმაა, ვიდრე გამონაკლისი. ბილინგუალიზმით იქმნება „უნიკალური და სპეციფიკური ლინგვისტური კონფიგურაცია“ ორენოვან ადამიანს აქვს განსხვავებული ცოდნა/კომპეტენციები ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. თუმცა, ბილინგუალიზმს შეიძლება ჰქონდეს

უარყოფითი მხარეც - „ორმაგი ნახევარ-ენოვანება“ (“double semi-lingual) იმ შემთხვევაში, როცა ვერც ერთი ენა ვერ არის სრულად ათვისებული (John W. Berry, Ype H. Poortinga, Marshal H. Segall, Pierre R. Dasen, 2002. Pg. 168-169). მრავალენოვანების როგორც დადებით, ასევე უარყოფით მხარეებზე საუბრობდნენ ჩემი რესპონდენტებიც.

სკოლების არჩევასთან დაკავშირებით, ჩანს ისტორიული და გეოგრაფიული ფაქტორების თითქმის თანაბარი გავლენა. ისტორიულ გავლენაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ თბილისში სკოლადამთავრებული რესპონდენტებიდან არც ერთს არ აურჩევია ქართულენოვანი, მიუხედავად იმისა, რომ სკოლების ფართო არჩევანი იყო (სომხური, ქართული, რუსული და სკოლები შერეული სექტორებით). მეტიც, მათი არჩევანი უფრო მეტად იხრებოდა რუსულენოვანი სკოლებისკენ, ვიდრე სომხურენოვანისკენ. სწორედ აქ ჩანს გეოგრაფიული ფაქტორის გავლენა (განსხვავებული სივრცე და კომპაქტური დასახლება). ამ მდგომარეობის საპირისპიროდ, ახალქალაქის რესპონდენტების უმრავლესობამ რუსულენოვანის ნაცვლად სომხურენოვანი სკოლა აირჩია. გასათვალისწინებელია, რომ ახალქალაქში სომხურენოვანი სკოლების რაოდენობა ბევრად აღემატებოდა/აღემატება რუსულენოვანი სკოლების რაოდენობას, მაგრამ ეს გარემოებაც სწორედ ადგილის სპეციფიკურობით არის გამოწვეული.

სივრცითი განსხვავებულობა ჩანს რელიგურ ცხოვრებასა და სამზარეულოსთან დაკავშირებითაც. მიუხედავად იმისა, რომ

თითქმის ყველა რესპონდენტმა (ერთის გარდა) სომხურ ეკლესიას მიაკუთვნა თავი, თბილისელი რესპონდენტები უფრო იშვიათად ახერხებენ ეკლესიაში სიარულს და მით უფრო იშვიათად - რელიგიურ რიტუალებზე დასწრებას. ახალქალაქში კი საეკლესიო რიტუალებზე დასწრებას ყოველკვირეული ხასიათი აქვს.

თბილისის რესპონდენტები ძირითადად მხოლოდ დღესასწაულებზე მიირთმევენ სომხურ კერძებს, ახალქალაქში კი - თითქმის ყოველდღიურად.

ინფორმაციის მიღების საშუალებები დამოკიდებულია უფრო მეტად ასაკზე. თუმცა, ტელევიზიის შემთხვევაში, კონკრეტულენოვანის არხების ყურებას განაპირობებს ადგილთა სხვადასხვაობა - ახალქალაქში ძირითადად მხოლოდ სომხური და რუსული არხების მაუწყებლობა.

სომხურ კულტურულ ღონისძიებებში ჩართულობა დამოკიდებულია ასაკსა და რესპონდენტის მოცალეობაზე. გასათვალისწინებელი ის გარემოებაც, რომ საქართველოში მოქმედი სომხური ორგანიზაციები ძირითადად ახალგაზრდებზე მუშაობენ, შესაბამისად, უფრო აქტიურებიც ისინი არიან.

შერეული ქორწინებების მიმართ დამოკიდებულების დროს ქალ რესპონდენტებმა უფრო მეტი სიფრთხილე გამოიჩინეს, ვიდრე კაცებმა.

შედეგები გვიჩვენებს რომ გეოგრაფიული ფაქტორების გავლენა არ ვრცელდება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე, მაგრამ გარკვეულ მათგანს ნაწილობრივ განაპირობებს. სწორედ ეს აზრია გეოგრაფიული პოსიბილიზმის მთავარი იდეა, რომელსაც ეყრდნობა ჩემი ნაშრომი.

თავი 8. დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია საქართველოს სომხების ეთნო-კულტურასთან დაკავშირებული საკითხები. საერთო ჯამში, ეთნიკური სომხების კულტურული იდენტობის გამოხატვისთვის შესაფერისი გარემოა შექმნილი საქართველოში, როგორც საკანონმდებლო დონეზე, ასევე სომხური ორგანიზაციების მოქმედების თვალსაზრისითაც. თუმცა, კვლევის შედეგების მიხედვით, გამოიკვეთა სხვა ეთნიკური ჯგუფების მხირდან ეთნიკური სომხებისადმი არატოლერანტული დამოკიდებულებისა და დისკრიმინაციის პრობლემა. ეს ფაქტი კი მიუთითებს კანონის აღსრულების ნაკლოვანებებზე.

ნაშრომის სიახლეა ეთნო-კულტურული იდენტობის გამოხატვის პროცესში სივრცითი ფაქტორების როლის წარმოჩენა. თბილისსა და ახალქალაქს შორის სივრცითი სხვაობები დაფიქსირდა შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

ენობრივი ასპექტები - ახალქალაქში უფრო მეტად სომხურ-რუსულის დომინირება, თბილისში კი - ქართულ-რუსულის. ენობრივ სხვაობებს ადასტურების საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიც, რომლის მიხედვითაც სამცხე-ჯავახეთის სომხებს შორის წილობრივად უფრო მეტი ასახელებს სომხურ ენას მშობლიურ ენად, ვიდრე თბილისის სომხები. ასევე, ქართული ენის ფლობის პროცენტული მაჩვენებელი

უფრო დაბალია სამცხე-ჯავახეთის სომხებში, ვიდრე თბილისელ სომხებს შორის.

რელიგიური ცხოვრება - იგივე სტატისტიკის მიხედვით, სამცხე-ჯავახეთის სომხების მოსახლეობის უფრო მაღალი პროცენტი მიიჩვევს თავს სომხური სამოციქულო ეკლესიის წევრად, ვიდრე თბილისელი სომხებისა. თვისებრივმა კვლევა კი აჩვენა, რომ ახალქალაქელი რესპონდენტები, თბილისელებთან შედარებით, გაცილებით ხშირად მონაწილეობენ საეკლესიო რიტუალებში.

სასკოლო განათლება - თბილისელი რესპონდენტების არჩევანი რუსულენოვან სკოლებთან დაკავშირებით, ახალქალაქელი რესპონდენტების არჩევანი - სომხურენოვან სკოლებზე.

სამზარეულო - სომხური კერძების მომზადების სიხშირე ახალქალქში და იშვიათობა - თბილისში.

მიგრაციული განწყობები - სტატისტიკის მიხედვით, თბილისელი სომეხი ემიგრანტების დანიშნულების ქვეყნების მრავალფეროვნება და მათ შორის რუსეთის ლიდერობა; ახალქალაქელი სომეხი ემიგრანტების დანიშნულების ქვეყნების სიმცირე და მათ შორის სომხეთის ლიდერობა.

საქართველოში არსებულ მრავალენოვან მედია-პორტალებთან დაკავშირებით, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ეთნიკური სომხების ინფორმირებულობა, გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: ძირითადად **"online" მაუწყებლობა** - რის გამოც, ინფორმაცია შეიძლება ვერ იყოს ხელმისაწვდომი საჭირო

ტექნიკით არაუზრუნველყოფილი ან ასაკოვანი მოსახლეობისთვის; **კვალიფიციური მრავალენოვანი ჟურნალისტების ნაკლებობა** და **ფინანსურად დონორებზე დამოკიდებულება.**

როგორც ვხედავთ, სივრცითი სხვაობები დაფიქსირდა კულტურის ისეთ მნიშვნელოვან ელემენტებთან დაკავშრებით, როგორებიცაა ენა, რელიგია, განათლება, სამზარეულო. შესაბამისად, ავტორის მიერ დასახული მიზანი - გამოევლინა საქართველოს სომხების ეთნო-კულტურული იდენტობის გამოხატვის პროცესში სივრცითი თავისებურებები თბილისისა და ახალქალაქის მაგალითზე - შესრულებულია.

ბიბლიოგრაფია

ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობათა ენების შესახებ: ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში. (თ. გ.). მოპოვებული 2017 წლის 7 June, ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში: https://rm.coe.int/168070aafc-დან

ენების ევროპული ქარტია - მთავრობის ევროპული თავსატეხი. (2014 წლის 21 October). მოპოვებული 2017 წლის 7 June, http://eugeorgia.info/ka/article/152/enebis-evropuli-qartia--mtavrobis-evropuli-tavsatexi/-დან

ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ: საქართველოს პარლამენტი. (თ. გ.). მოპოვებული 2017 წლის 4 June, საქართველოს პარლამენტი: http://www.parliament.ge/files/1359_21958_116145_erovnulumciresobaTadacvisSesaxeb.pdf-დან

(თ. გ.). მოპოვებული 2017 წლის 20 აპრილი, vrastan: http://www.vrastan.ge/-დან

(თ. გ.). მოპოვებული 2017 წლის 20 აპრილი, Javakh Media: http://javakhkmedia.com/en/-დან

(თ.გ.). *"ჰაიარტუნ" ცენტრი: სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქია.* მოპოვებული 2017 წლის 20 აპრილი, სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქია: http://armenianchurch.ge/ka/the-diocese/hayartun-center-დან

კოდუა, ე. (2001). *კულტურის სოციოლოგია.* თბილისი: ნეკერი.

კომახია, მ. (2008). სომხები. *ეთნოსები საქართველოში* (გვ. 90-110).-ში თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა.

მაისურაძე, გ. (2008). *ქართულ-სომხური ურთიერთობების ისტორიოგრაფიიდან.* თბილისი: კავკასიური სახლი.

მოსახლეობის აღწერა 2002, ძირითადი შედეგები: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსხური. (თ. გ.). მოპოვებული 2017 წლის 1 May, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსხური: http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/census/2002/I%20tomi%20-%20saqarTvelos%20mosaxleobis%202002%20wlis%20pirveli%20erovnuli%20sayovelTao%20aRweris%20Sedegebi.pdf-დან

ოჰანიანი, ა. (2017 წლის 3 მაისი). ორგანიზაცია საქართველოს სომეხთა სათვისტომო. (მ. შარია, ინტერვიუერი)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

საქართველოს კონსტიტუცია: საქართველოს პარლამენტი. (თ. გ.). მოპოვებული 2017 წლის 3 June, საქართველოს პარლამენტი: http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68-დან

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

(1980). *საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქსელი და კონტიგენტი (1978 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით).* თბილისი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო.

ფეიქრიშვილი, თ. (2017 წლის 30 აპრილი). გაზეთი სამხრეთის კარიბჭე. (მ. შარია, ინტერვიუერი)

ჩვენ შესახებ: სამცხე-ჯავახეთის მედია ცენტრი. (თ. გ.). მოპოვებული 2017 წლის 20 აპრილი, სამცხე-ჯავახეთის მედია ცენტრი: http://mediacentri.ge/?page_id=374&lang=ka-დან

ხარატიანი, ა. (2017 წლის 7 ივლისი). "ალიქ მედია". (მ. შარია, ინტერვიუერი)

(2016). *2015 წლის 17 ივნისის მეორე პერიოდული ანგარიში საქართველოს შესახებ.* Council of Europe, ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტი, სტრასბურგი. მოპოვებული 2017 წლის 8 June, http://smr.gov.ge/Uploads/__3deea82e.pdf-დან

A. L. Kroeber, Clyde Cluckhohn. (1952). *Culture: A critical review of concepts and definitions.* The Museum (The Harvard University).

Anthony Giddens, Simon Griffiths. (2006). *Sociology* (5th გამ.). Cambridge: Polity Press.

Duckitt, J. (თ. გ.). Ethnocultural group and identification and attitudes to ethnic outgroups. მოპოვებული 2017 წლის 29 June, https://www.researchgate.net/publication/253974038_ETHNOCULTURAL_GROUP_IDENTIFICATION_AND_ATTITUDES_TO_ETHNIC_OUTGROUPS-დან

Fred E. Dohrs, Lawrence M. Sommers. (1967). The rise of Possibilism. *Introduction to Geography: Selected Readings.*-ში New-York: Thomas Y. Crowell Company.

Goeff Eley, R. G. (რედ.). (1996). *Becoming national, a reader.* New-York: Oxford University Press.

Hofstede, G. (1984). *Culture's consequences: international differences in work-related values.* Newbury Park, Londond, New Delhi: SAGE publications.

Smith, A. D. (1988). *The ethnic origins of nations.* USA: Blackwell.

Thus, G. (2016). *Capabilities, language proficiency and civic integration: Assessing capabilities related to civic integration by means of state language proficiency among ethnic minorities in Southern Georgia.*

Приложение Справочник: Демоскоп Weekly. (თ. გ.). მოპოვებული 2017 წლის 1 May, Демоскоп Weekly: http://demoscope.ru/weekly/ssp/sng_nac_39.php?reg=4-დან

Приложение Справочник: Демоскоп Weekly. (თ. გ.). მოპოვებული 2017 წლის 1 May, Демоскоп Weekly: http://demoscope.ru/weekly/ssp/sng_nac_79.php?reg=6-დან

Приложение Справочник: Демоскоп Weekly. (თ. გ.). მოპოვებული 2017 წლის 1 May, Демоскоп Weekly: http://demoscope.ru/weekly/ssp/sng_nac_70.php?reg=6-დან

Приложение Справочник: Демоскоп Weekly. (თ. გ.). მოპოვებული 2017 წლის 1 May, Демоскоп Weekly: http://demoscope.ru/weekly/ssp/sng_nac_59.php?reg=8-დან

Приложение Справочник: Демоскоп Weekly. (თ. გ.). მოპოვებული 2017 წლის 1 May, Демоскоп Weekly: http://demoscope.ru/weekly/ssp/sng_nac_89.php?reg=6-დან

დანართი



გრაფიკი 1. მოსახლეობის რაოდენობის დინამიკა საბჭოთა საქართველოში, 1939-1989 წლები

წყარო: Демоскоп Weekly



გრაფიკი 2. სომხური, როგორც მშობლიური ენა თბილისსა და სამცხე-ჯავახეთში, 2014 წელი

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური



გრაფიკი 3. სომხურ-სამოციქულო ეკლესიის აღმსარებლები თბილისსა და სამცხე-ჯავახეთში, 2014 წელი

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური



გრაფიკი 4. საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქსელი სწავლების ენის მიხედვით თბილისსა და ახალქალაქში, 1978 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით

წყარო: გრაფიკი აგებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის ბაზაზე



გრაფიკი 5. საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რაოდენობა სწავლების ენის მიხედვით, საქართველოს მასშტაბით. 1978 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით

წყარო: გრაფიკი აგებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის ბაზაზე



გრაფიკი 6. რუსულ და სომხურენოვანის სკოლების რაოდენობა თბილისის უბნების მიხედვით, 2017 წელი

წყარო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო



გრაფიკი 7. რუსულ და სომხურენოვანი სკოლების რაოდენობა სამცხე-ჯავახეთში მუნიციპალიტეტების მიხედვით, 2017 წელი

წყარო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო



გრაფიკი 8. სომეხი ემიგრანტების რაოდენობა თბილისიდან და სამცხე-ჯავახეთის მუნიციპალიტეტებიდან, 2002 წელი

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური



გრაფიკი 9. სომხების ემიგრაციული ნაკადების მიმართულებები თბილისიდან და სამცხე-ჯავახეთიდან, 2014 წელი

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური



გრაფიკი 10. სომხების ემიგრაციული ნაკადების მიმართულებები ქ. ახალციხიდან და სამცხე-ჯავახეთის მუნიციპალიტეტებიდან, 2014 წელი

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სურათი 1. „მიმინოს გმირები ავლაბარში“. თბილისი, 08.06.2017.

შენიშვნა: ფოტო გადაღებულია ავტორის მიერ

სურათი 2. „მიმინოს გმირები დილიჟანში“. სომხეთი, 20.06.2017.

შენიშვნა: ფოტო გადაღებულია ავტორის მიერ

სურათი 3. „სურბ ხაჩის ეკლესია ახალქალაქში“. თავისუფლების ქ. 55, 06.05.2017.

შენიშვნა: ფოტო გადაღებულია ავტორის მიერ

სურათი 4. „ხორ-ვირაპის მონასტერი“. სომხეთი. 14.07.2017

შენიშვნა: ფოტო გადაღებულია ავტორის მიერ



რუკა 1. სომეხი ემიგრანტების რაოდენობა სამცხე-ჯავახეთიდან და თბილისიდან, 2002 წელი

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

შენიშვნა: რუკა შექმნილია QGIS 2.18-ში ავტორის მიერ



რუკა 2. სომეხი ემიგრანტების რაოდენობა სამცხე-ჯავახეთის მუნიციპალიტეტებიდან, 2002 წელი

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

შენიშვნა: რუკა შექმნილია QGIS 2.18-ში ავტორის მიერ

სიღრმისეული ინტერვიუს გზამკვლევი

დემოგრაფიული ბლოკი

1. სქესი
2. ასაკი
3. განათლება
4. საქმიანობა
5. ოჯახური მდგომარეობა
6. რომელი წლიდან ცხოვრობთ თბილისში/ახალქალაქში?
7. თქვენი წინაპრები რომელი წლიდან ცხოვრობდნენ საქართველოში?

ენობრივი ასპექტი და ინფორმაცია

8. რომელია თქვენი ძირითადი სალაპარაკო ენები (პირველი და მეორე) ოჯახში?
9. რომელია თქვენი ძირითადი სალაპარაკო ენები (პირველი და მეორე) სანაცნობო წრეში?
10. რომელია თქვენი ძირითადი სალაპარაკო ენები (პირველი და მეორე) სამსახურში?
11. რომელ ენოვანი სკოლა დაამთავრეთ?
12. რა იყო ამ სკოლის არჩევის მოტივაცია?

13. სად მიიღეთ უმაღლესი განათლება (ასეთის არსებობის შემთხვევაში)?

14. ძირითადად რომელ ენაზე/ენებზე ეცნობით ინფორმაციას?

15. ძირითადად რა საშუალებებით იღებთ ინფორმაციას? დაასახელეთ

კულტურა

16. ძირითადად რომელ ენაზე/ენებზე კითხულობთ წიგნებს?

17. ძირითადად რომელ ენაზე/ენებზე უყურებთ ფილმებს?

18. დაასახელეთ სომეხი კულტურის წარმომადგენლები, რომელთა შემოქმედებასაც იცნობთ:

19. თუ დადიოდით სომხური ფოლკლორის შემსწავლელ წრეებში (ცეკვა, მუსიკა...)?

20. რას დაასახელებთ სომხური კულტურის სიმბოლოდ?

21. თუ იცით საქართველოში არსებული სომხური კულტურული/რელიგიური/საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესახებ? დაასახელეთ

22. თქვენს ქალაქში თუ იმართება სომხური კულტურული ღონისძიებები? თუ კი, რა სიხშირით, ვის მიერ არის ორგანიზებული?

23. იღებთ თუ არა ამ ღონისძიებებში მონაწილეობას? რომლებში? რა სტატუსით (მონაწილე თუ მაყურებელი)?

სოციალურ-პოლიტიკური განწყობები

24. რომელ ქვეყანას მიიჩნევთ თქვენს სამშობლოდ?

25. საქართველო, სომხეთი, რუსეთი - როგორია თქვენი მიმართება (ფიზიკური, ემოციური) ამ ქვეყნებთან?

26. რამდენად კომფორტულია თქვენთვის საქართველოში ცხოვრება?

27. რა არის ყველაზე პრობლემური თქვენთვის საქართველოში ცხოვრებასთან დაკავშირებით?

28. იყო თუ არა პერიოდი, როცა გიგრძვნიათ თავი დისკრიმინაციულად ეთნიკურ ნიადაგზე?

რელიგიური ცხოვრება

29. რომელ აღმსარებლობას მიაკუთვნებთ თავს?

30. რა სიხშირით დადიხართ ეკლესიაში?

31. თუ ესწრებით საეკლესიო რიტუალებს?

32. გესმით თუ არა ეკლესიური მსახურების ენა?

მიგრაციული განწყობები

33. თქვენი ოჯახის რომელიმე წევრი თუ არის საზღვარგარეთ წასული? რომელ ქვეყანაში?

34. პირადად თქვენ თუ გეგმავთ საზღვარგარეთ წასვლას? რომელ ქვეყანაში?

სამზარეულო

35. რომელი სომხური კერძები მზადდება თქვენს ოჯახში?

36. რა სიხშირით ამზადებთ/მიირთმევთ სომხურ კერძებს?

სხვა

37. როგორია თქვენი დამოკიდებულება ეროვნული ნიშნით შერეული ქორწინების მიმართ?

38. ადგილობრივი ან/და ცენტრალური ხელისუფლების მიმართ თუ გაქვთ რაიმე სათქმელი ან შენიშვნები თქვენი კულტურული იდენტობის გამოხატვის საკითხთან დაკავშირებით?

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Social and Political Science

Mariam Sharia

Spatial characteristics of the expression of ethno-cultural identity of Armenians on the example of Tbilisi and Akhalkalaki

Human Geography

The master thesis is accomplished to obtain the Master's academic degree in Human Geography

Supervisor: Ia Iashvili, PhD of Human Geography,

Associate Professor

Tbilisi, 2017

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნიკოლოზი ხუროშვილი

შიდა ქართლის მეხილეობის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა და განვითარების სტრატეგიები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საზოგადოებრივი გეოგრაფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: **დავით სიჭინავა**

ასისტენტ- პროფესორი

თბილისი 2017

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომი ეხება შიდა ქართლის მეხილეობის ისტორიულ- გეოგრაფიულ მიმოხილვას და განვითარების სტრატეგიებს.ნაშრომის მთავარი მიზანია შიდა ქართლის რეგიონში მეხილეობის გეოგრაფიის თავისებურებების გამოვლენა.

მეხილეობა შიდა ქართლის სოფლის მეურნეობის უძველესი და ძირითადი დარგია.რეგიონის მნიშვნელობა საქართველოს მასშტაბით განსაკუთრებით გამორჩეულია მეხილეობის თვალსაზრისით. ხილის უმეტესი სახეების წარმოების მიხედვით, შიდა ქართლის რეგიონი პირველ ადგილზეა ქვეყანაში.უნიკალური და უძველესი ქართული ხილის ჯიშები გამოირჩევა შესანიშნავი გემური თვისებებით.იგი ქვეყნის უნიკალური ჯიშობრივი გენოფონდის ფასდაუდებელი სიმდიდრეა,რომელიც ჩვენმა წინაპრებმა მრავალსაუკუნოვანი მუხლჩაუხრელი შრომით შექმნეს და შემოგვინახეს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომინარე მიმაჩნია, რომ ეს თემა საკმაოდ აქტუალურია და დიდი მნიშვნელობა აქვს რეგიონის და ქვეყნის განვითარებისთვის. ნაშრომის მთავარი ამოცანაა გამოიკვეთოს რეგიონის პოტენციალი მეხილეობის დარგთან დაკავშირებით და ის გარემოებები, რომელიც მის შემდგომ განვითარებას შეუწყობს ხელს. ნაშრომში განხილულია თუ რა წინააღმდეგობებს აწყდება სოფლის მეურნეობის ეს დარგი და რატომ ვერ ახერხებს შიდა ქართლის ხილი გახდეს წარმატებული საბაზრო პროდუქტი, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ?!

მოცემული ნაშრომი დაეხმარება ყველას ვისაც აინტერესებს შიდა ქართლის მეხილეობის წარმოების თავისებურებები,ხილის გავრცელების არეები და განვითარების პერსპექტივები.ნაშრომი იძლევა დეტალურ ინფორმაციას,თუ რა სიტუაციაა ამჟამად შიდა ქართლის მეხილეობაში და რა სამომავლო გეგმებია დარგის განვითარებისთვის.

ANNOTATION

The present work is about historical-geographical strategies of fruit-growing in Shida Kartli. The main reason of this work is to show the originality of fruit-growing in Shida kartli region. This part of Georgia is well-known for its oldest agricultural traditions. The local climate stimulates lots of kinds of fruits to grow and thats why Shida Kartli is the main producer of fruit-growing in Country. The oldest and unique species of fruits are favoured of their taste, they're main richness which are saved because of our ancestors hardwork.

Based on I mentioned above I think that this issue is very actual and is very important for developing region and country. The main purpose of this work is to show the potential of Shida Kartli region about fruit-growing , which will help it to grow production and develop. Here are discussed the difficulties why Shida Kartli's presented fruit couldn't be successful market product mostly in Georgia and abroad.

I hope my work will help that people whom are interested in Shida Kartli's agricultural and fruit-growing originalities, show fruit spread areas and developing perspectives. Here are information in details about the situation of fruit-growing in Shida Kartli and what is planned to develop this sphere.

სარჩევი

ანოტაცია.....2-3

შესავალი.....5-6

თავი I ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათება

რეგიონის ზოგადი გეოგრაფიული დახასიათება.....7

ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები მეხილეობის განვითარებისთვის.....7

ლიტერატურული მიმოხილვა…….....8-10

ხილეულობები და მათი წარმოშობის ისტორია.....10-14

მეხილეობის დარგის პერიოდიზაცია……14-16

თავი II დარგის ამჟამინდელი მდგომარეობა

რეგიონში ამჟამად გავრცელებული ხეხილოვანი კულტურები ……. 16-20

ხეხილის სანერგეები.....20-22

სამაცივრე მეურნეობები.....22-23

მელიორაცია.....23-25

გადამამუშავებელი საწარმოები და გასაღების ბაზარი/.....25-26

თავიIII მეხილეობის დარგის განვითარების პერსპექტივები

სახელმწიფო,კერძო,არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობა დარგის განვითარების სფეროში 26-30

სტატისტიკური ინფორმაცია 30-31

რეგიონში არსებული პრობლემები მეხილეობისდარგის განვითარების კუთხით 31-33

SWOT ანალიზი 33-34

დასკვნა და რეკომენდაციები.....34-37

გამოყენებული ლიტერატურა.....

შესავალი

საქართველო ოდითგანვე აგრარული ქვეყანა იყო. მოსახლეობის კეთილდღეობა განისაზღვრება ამ სფეროდან მიღებული შედეგებით. მიუხედავად მდიდარი ბუნებრივ-კლიმატური პირობებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების დიდი მეცნიერული და პრაქტიკული გამოცდილებისა, დღეს მოსახლეობის ადგილობრივი წარმოების მაღალი ხარისხის პროდუქციით უზრუნველყოფა ჭირს. მდგომარეობა გაამწვავა ძველი სოციალისტური სისტემის კერძო სისტემით შეცვლის პროცესში დაშვებულმა შეცდომებმა. განადგურდა საზოგადოებრივ სექტორში არსებული ბაღ-ვენახები, ქარსაცავი ზოლები, საირიგაციო ნაგებობები და მთლიანად ინფრასტრუქტურა., აგრეთვე წლების განმავლობაში სახალხო მეურნეობის ეს მეტად მნიშვნელოვანი დარგი მიტოვებული იყო უყურადღებოდ.

საქართველოს მეხილეობის გეოგრაფიაში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია შიდა ქართლის რეგიონს. მეხილეობა შიდა ქართლის სოფლის მეურნეობის უძველესი და ძირითადი დარგია.რეგიონის მნიშვნელობა საქართველოს მასშტაბით განსაკუთრებით გამორჩეულია მეხილეობის თვალსაზრისით. ხილის უმეტესი სახეების წარმოების მიხედვით, შიდა ქართლის რეგიონი პირველ ადგილზეა ქვეყანაში.ჩემი საკვლევი რეგიონი ყოველთვის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ვაშლის,მსხლის,ქლიავის,ბლის,ალუბლის,ატმის წარმოების მიხედვით.

შიდა ქართლში შრომისუნარიანი მოსახლეობის დაახლოებით 70% სოფლის მეურნეობითაა დაკავებული. აქედან გამომდინარე მიმაჩნია რომ მეხილოების განვითარება რეგიონში ძალზედ აქტუალური საკითხია და დგას დღის წესრიგში.

შემი თემა სწორედ ამ საკითხს ეხება რადგან ეს დარგი მაინტერესებს დიდი ხანია. მაქვს არც ისე ცოტა პრაქტიკული და თეორიული გამოცდილება მეხილეობასთან დაკავშირებით.ნაშრომში შევეცდები გამოვიყენო ყველა საშუალება,ცოდნა და გამოცდილება,რათა მოვახდინო მეხილეობის დარგის სრული წარმოჩენა.

ნაშრომის მიზანია აღწეროს შიდა ქართლის პოტენციალი მეხილეობის განვითარებისთვის. წარმოაჩინოს პრობლემები, რომელთა წინაშეც რეგიონი დგას და

რის გამოც ვერ ახერხებს აღნიშნული სამეურნეო დარგის განვითარებას; შეისწავლოს არსებული სტატისტიკური მონაცემები; გააანალიზოს პრობლემების გამომწვევი მიზეზები; იმსჯელოს პრობლემების მოგვარების გზებზე და ისაუბროს დარგის განვითარების პერსპექტივებზე.

შიდა ქართლის მეხილეობამ გასული საუკუნის 80იან წლებთან შედარებით მკვეთრი რეგრესი განიცადა,როგორც ხეხილის ნარგავების ფართობის მხრივ ასევე წარმოებული მოსავლიანობის თვალსაზრისით.აქედან გამომდინარე ისმევა საკვლევი კითხვა;რა ხელისშემშლელი ფაქტორები განაპირობებს დარგის გაუარესების ტენდენციას,და განვითარების რა პერსპექტივები გააჩნია მას რეგიონში?

კვლევისთვის გავეცანი სხვადასხვა წყაროებს ინტერნეტ სივრცეში,ლიტერატურულ ნაშრომებს,მოვიძიე სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს გვერდიდან, მივმართე სოფლის მეურნეობის სამინისტროს შიდა ქართლის რეგიონალურ სამმართველოს,მრავალპროფილური საწარმო „კულას“ კონცენტრატის საწარმოები: „სამეგობრო“; „ჯეოფრუტი“.შევხვდი და გავესაუბრე ამ სფეროში მოღვაწე სპეციალისტებს, მეწარმეებს, აგრონომებს, სანერგე მეურნეობის ხელმძღვანელებს,გამოცდილ და კვალიფიციურ მებაღეებს, რომლებმაც ძალზედ საინტერესო ინფორმაციები მომაწოდეს.

ნაშრომში წარმოვადგინე დარგის განვითარების SWOT ანალიზი,რომელიც საშუალებას გვაძლევს ნათლად დავინახოთ დარგის განვითარების ძლიერი და სუსტი მხარეები.

ასევე წარმოდგენილი მაქვს დარგის განვითარების პერიოდიზაცია მე19 საუკუნიდან დღემდე, სამომავლო ხედვა.ნაშრომში შევეცდები ვაჩვენო ის დადებითი და უარყოფითი გარემოებები,ასევე ხელისშემშლელი ფაქტორები, რაც ამ დარგთანაა დაკავშირებული.მიმოვიხილავ ლიტერატურას-თუ რას წერენ მკვლევარები ამ საკითხთან დაკავშირებით.ასევე განვიხილავ სახელმწიფო,კერძო,არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობის პერსპექტივებს დარგის განვითარების სფეროში.

რეგიონის ზოგადი გეოგრაფიული დახასიათება[1]

შიდა ქართლის რეგიონი აღმოსავლეთ საქართველოში, დიდი და მცირე კავკასიონების მთათაშორისი ბარის შუა ნაწილში მდებარეობს.ტერიტორიის ფართობი _ 6200 კვ.კმ (მათ შორის ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის ქვეშაა(3428,3 კვ.კმ)

მას საქართველოს ტერიტორიის 9.2% უკავია და თავს უყრის მოსახლეობის 7%. შიდა ქართლის რეგიონს აღმოსავლეთით ესაზღვრება მცხეთა-მთიანეთის, სამხეთ-აღმოსავლეთით - ქვემო-ქართლის, სამხრეთ- დასავლეთით - სამცხე-ჯავახეთის, დასავლეთით - იმერეთის, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით - რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონები. ჩრდილოეთი საზღვარი კი რეგიონს რუსეთის ფედერაციასთან აქვს.მხარის ჩრდილოეთი ნაწილი მოიცავს ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის დიდ ნაწილს, რომლის ავტონომიის სტატუსი გაუქმებულ იქნა საქართველოს სსრ კავშირიდან გამოსვლის შემდეგ, რასაც კონფლიქტი და მთავრობის მიერ ამ რეგიონზე კონტროლის დაკარგვა მოჰყვა. ამჟამად ისტორიული შიდა ქართლის ჩრდილოეთი ნაწილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს ეკუთვნის.

შიდა ქართლის მხარეში შედის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შემდეგი ადმინისტრაციულ–ტერიტორიული ერთეულები: 1 ქალაქი - გორი , 4 მუნიციპალიტეტი - გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის. რომლებიც მოიცავს 372 დასახლებულ პუნქტს.

შიდა ქართლის რეგიონის მოსახლეობა 2016 წლის მონაცემებით 263,008 კაცია,[2] რომელთაგან თითქმის ნახევარი (46 %) გორის მუნიციპალიტეტის მკვიდრია. დანარჩენი სამი მუნიციპალიტეტის მოსახლეობა თითქმის თანაბრად არის განაწილებული: ხაშურში მოსახლეობის 20 %, ხოლო ქარელსა და კასპში - 17 -17% ცხოვრობს.

---

[1] https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90_%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94

[2] http://geostat.ge/regions/

ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები მეხილეობის განვითარებისთვის[3]

რეგიონის ბუნებრივი პირობები საკმაოდ ხელსაყრელია დარგის განვითარებისთვის: კლიმატი – მხარის კლიმატი კონტინენტურია, საშუალო წლიური ტემპერატურაა დაახლოებით 11 C^0, შესაძლებელი მაქსიმუმია 42 C^0, ხოლო შესაძლებელი მინიმუმი - 32 C^0. ქარის ენერგეტიკული რესურსი (1000 კვტ/სთ 1 კმ2-ზე) _ 1000-1500. ნალექების რაოდენობა წელიწადში საშუალოდ 500 მმ-ია, მაქსიმუმი – 760 მმ, მინიმუმი 330 მმ.წყლის ძირითადი არტერიები - მხარის ტერიტორიაზე მიედინება მდინარეები: მტკვარი დიდი და პატარა ლიახვი,მეჯუდა,ტანა,ქსანი,თორთლა,თეძამი და სხვა.

როგორც აღინიშნა კლიმატი ზომიერად კონტინენტურია, ზომიერად თბილი ჰავითა და ზომიერი ტენიანიანობით, რაც სასურველ პირობებს ქმნის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებისა და სამეურნეო საქმიანობისათვის. რეგიონში წარმოდგენილი ხშირი ჰიდროქსელი მდინარე მტკვრის აუზს ეკუთვნის, ეს უკანასკნელი კი რეგიონის მთავარი საწყლოსნო არტერიაა. რეგიონის ტერიტორიაზე განლაგებულია ზომიერი სარტყლისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი ზონები, ვერტიკალური ზონალობის ჩათვლით, რომელიც ხასიათდება მრავალფეროვანი ნიადაგებით.

[3] https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90_%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%98

ლიტერატურული მიმოხილვა[4]

ხილი ადამიანის ისეთი საკვებს წარმოადგენს,რომელსაც კაცობრიობა ნანადირევთან ერთად უძველესი დროიდანვე ძირითად საარსებო საშუალებად იყენებდა.

მეხილეობის ისტორია იწყება იმ მომენტიდან,როცა ადამიანი ჩაება ბუნებრივი ევოლუციის მსვლელობაში და ბუნება პირადი ინტერესებისა და საჭიროების სამსახურში ჩააყენა.ჯერ კიდევ გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ძეგლები აღმ.საქართველოში მეტყველებენ მეურნეობის ამ დარგის განვითარებაზე.

ძველ საქართველოში მეხილეობის განვითარების შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული,როგორც საისტორიო წყაროებში ,ისე სხვადასხვა დროის უცხოურ და რუსულ ლიტერეტურაში.ისტორიულ დოკუმენტებთან ერთად საყურადღებოა მხატვრული ლიტერატურის ძეგლები და ფოლკლორი,სადაც ეს საკითხი თავისებურადაა ასახული.

როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს,“ჯერჯერობით მხოლოდ მე-6 საუკუნიდან მოყოლებული მოგვეპოვება ძეგლები,რომლებშიც მტილ-სამოთხეთა ვითარების გასათვალისწინებლად კონკრეტული ცნობებია დაცული.

საქართველოს მებაღეობა-მეხილეობის დიდ კულტურაზე ცნობებს მერმინდელი ხანის ისტორიკოს-გეოგრაფთა ნაწერებშიც ვხვდებით,რომელთაგან აღსანიშნავია ისტაჰრი-ს ცნობები რომ თბილისი იმდროისთვის მეტად აყვავებული ხილ-ბოსტნებით მდიდარი ქალაქი იყო.

მე-12 საუკუნისათვის საქართველოს ძლიერების ეპოქაში მეხილეობის კულტურა განვითარების შედარებით მაღალ სტადიაზე დადგა ვიდრე უწინ იყო. შემდგომი პერიოდისთვის,საქართველოს ნაყოფიერების და ყვავილ მცენარეულობით ზოგად

[4] მეხილეობა აღმოსავლეთ საქართველოში- დ.პავლიაშვილი
(თბილისი 1962)

დახასიათებასთან ერთად,სხვა ქალაქების გვარად ვახუშტი ბატონიშვილი წალკოტთა და ყვავილ-ხილეულით მდიდარ ქალაქად წარმოგვიდგენს ქ.გორსაც.

ვახუშტი ბატონიშვილის აღწერით თუ ვიმსჯელებთ მას მთელი იმდროინდელი საქართველო წარმოდგენილი აქვს ვენახ-ხილიანად,დაწყებული ველებიდან 1000-1200 მეტრის სიმაღლემდე.

ევროპისა და საერთოდ უცხო ქვეყნების მეხილეობა ინტენსიურად XIX ს.შემოიჭრა ჯერ რუსეთში,სახელობრ ყირიმში,და აქედან სულ მოკლე ხანში XIX ს. პირველ ნახევრის ბოლოს და მეორე ნახევრის დასაწყისში შემოდის საქართველოშიც,სადაც უცხო ჯიშების ინტროდუქცია ხდება.აგრეთვე უშუალო ევროპიდანაც-შავი ზღვის გზით.სწორედ ეს ხანა საქართველოს მეხილეობის გარდატეხისა და სამრეწველო მეხილეობის დასაწყისად უნდა ჩაითვალოს.

ევროპული ჯიშები პირველად ინერგება ქართლში,რომლის პიონერებად ითვლებიან ნიკო ზაქარიას ძე კეცხოველი,ისაია ფურცელაძე-სოფ.მერეთში,ს.ხეთაგური სოფ.ნიქოზში.ხოლო ევროპული ჯიშების პირველი მთლიანი ნარგავები გაშენდა სოფ.კარალეთში ,რომელთაც ყავდათ საფრანგეთიდან მოწვეული მებაღეები.

თუ წინათ ბაღების დიდ მასივებზე გაშენება თითქმის შეუძლებელიც კი იყო,საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როცა შეიქმნა გეგმაზომიერი განვითარება სოფლის მეურნეობის ყველა დარგში,შესაძლებელი გახდა ბაღების გასაშნებლად დიდი კაპიტალის დაბანდება.ამჟამად ეს საკითხი მეცნიერების მიღწევებით და პრაქტიკოს მებაღეთა გამოცდილებით გადაწყვეთილია.

მეხილეობიდან კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის თვალსაზრისით განსაკუთრებული ინტერესის შემცველია ხილის პროდუქტების მოხმარების საკითხი. გარდა ამისა,რომ ხილი ნედლი და ხმელი სახით იხმარებოდა,მისგან და მისი პროდუქტების დახმარებით საქართველოში ძველთაგანვე მზადდებოდა საგანგებო საჭმელ-სასმელები, სამკურნალო წამლები და ქიმიური საღებავები.სამეურნეო მნიშვნელობასთან ერთად,როგორც ხეხილის მასალას,ისე ნაყოფს ფართოდ იყენებნენ სხვადასხვა სარიტუალო ცერემონიალის შესრულებისას და სხვა.

ხილეულობები და მათი წარმოშობის ისტორია[5]

ვაშლი.ყველა სხვა საკვებ ხილეულობებთან შედარებით განსაკუთრებულად ფართოდ არის გავრცელებული ვაშლი.ვაშლის ხეს ევროპაში უძველესი დროიდანვე აშენებდნენ,რაც ნათლად ჩანს საბერძნეთისა და რომის მწერლობაში.

ვაშლის სიუხვეზე და მრავალჯიშიანობაზე მიუთითებს ვახუშტი ბატონიშვილი,რომელიც ხილეულის ჩამოთვლისას აღნიშნავს:'ვაშლი მრავალგვარიო"ამასვე აღნიშნავს იოანე ბატონიშვილი:"ვაშლნი სხვადასხვა გვარნი"-ო. და ასშ. რაც აშკარად მეთყველებს ძველ საართველოში ვაშლის ჯიშობრივ სიჭრელეზე.

მეცხრამეტე საუკუნის მიწურულისათვის ამ დარგის სპეციალისტები უკვე ექვსასამდე სხვადასხვა ჯიშს ითვლიდნენ.

ბოტანიკოს-სპეციალისტების მიერ დამტკიცებულია,რომ ვაშლის წინაპარი არის ტყის გარეული წვრილი ვაშლი,ე.წ მაჟალო,რომელიც კავკასიასა და კერძოდ საქართველოს ტყეებში ძველთაგანვე ფართოდ ყოფილა გავრცელებული.

აღმოსავლეთ საქართველოში ვაშლის გამოყენების უამრავი წესები მოწმდება.ვაშლის ნაყოფისგან ძირითადად ამზადებენ:ჩირს,ტყლაპს,ტკბილ წვენს,ხდიდნენ არაყს,დებდნენ წნილად,იყენებენ ხალხურ მედიცინაში.

გარდა იმისა,რომ ვაშლი ქართული სუფრის მშვენება და ლაზათი იყო,მას ქართველი ხალხი ღვინის სმასთან დაკავშირებით გარკვეულ მიზმითაც იყენებდა.

აღმ.საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული ვაშლის ერთ-ერთიჯიში"ღვთის ვაშლი"საფიქრებელია ზემოთ აღნიშნული რწმენა-წარმოდგენების ნიადაგზე წარმოშობილ ტერმინად იყოს მიჩნეული.

სპეციალისტებთა გამოკვლევებით და დღევანდელი ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე დამოწმებულია ვაშლის შემდეგი ადგილობრივი ჯიშები ქართლისათვის:აბილაური,ბორა,თეთრი ადრეულა,ქართული სინაპი,გოგიაანთ

[5] მეხილეობა აღმოსავლეთ საქართველოში დ.პავლიაშვილი

კიტრა,კიტრა,ძუძუ ქალა,ზერტულა,კეხურა,ხანდაკურა,თურაშაული,გორული სინაპი,მერეთულა,წითელი ვაშლი,ყრუალა.

მსხალი.ისევე როგორც ვაშლი ძველ საქართველოში მსხალი საუცხოო ხილად იყო მიჩნეული.ა.გროსჰეიმი მსხლის სამშობლოდ აზერბაიჯანსა და სომხეთთან ერთად საქართველოსაც მიიჩნევს,მისი მტკიცებით კავკასიაში გავრცელებულ 27 სახეობიდან საქართველოში 15-ია.

XIX საუკუნის მიწურულისთვის,ნ.სპეშნევს მარტო გორის მაზრაში აღწერილი აქვს მსხლის 12 ჯიში,რომელთაგან ყველაზე ძალიან გავრცელებული ყოფილა:გულაბი,ხეჭეჭური,თავრიზული,გვერწითელი,მილახული,შავი მსხალი,თაფლმსხალი,ბორბალა,კალოს მსხალი და სხვა.

აღსანიშნავია, რომ მსხალს უყვარს ვაშლთან შედარებით ნესტიანი ადგილი და შესაძლებელია მისი ფართოდ გამრავლება დას.საქართველოში ამითაც იყოს გამოწვეული.

ცნობილია,რომ ვაშლის შემდეგ,როგორც გამრავლების ისე ჯიშთა სიმრავლით მეორე ადგილზე მსხლის კულტურაა.ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულის ცნობებით მსხლის 40-ზე მეტ სხვადასხვა სახეობას ითვლიდნენ.

როგორც მსხლის ხე,ისე მისი ნაყოფი განსაკუთრებული მრავალფეროვნებითაა გამოყენებული.პანტისგან ხდიან ცნობილ „პანტის არაყს“,ახმობენ ჩირს,მსხლის ნაყოფისგან ამზადებენ ჯემს,სდებენ წნილად,დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სარუტუალო დანიშნულებისთვის.

კომში.საქართველოში ფართოდ გავრცელებული ხილია.ველური სახით გვხვება ჭალებსა და ვაკის ტყეებში, რომელიც 1200მ სიმაღლეზე ხარობს.კომშს უყვარს ცხელი ქვეყნები მისი პირველი დაწინაურების ქვეყნად პ.ჟუკოვსკი საქართველოს მიიჩნევს საიდანაც სხვა ქვეყნებში იქნა გადატანილი.

აღმოსავლეთ საქარტველოში კომშს ორი სახელწოდებით იხსენიებენ,ტყეში ველურად მდგარს ,ბიას უწოდებენ,ხოლო მოშინაურებულს-ბაღურს.ჩვენმიერ დამოწმებულია

კომშის შემდეგი ჯიშები: ნაბადა,მალაჩინა,ქართული,ვირკომშა,მახჩობელა,ზაფხულის,ვაშლაკომშა,მურაბის კომში,ღობის კომში და სხვა.

კომში იზრდება როგორც ბუჩქად ,ისე დიდრონ ხედ,რომელსაც ლეღვის მსგავსად განსაკუთრებით უყვარს ნაცრით გაპატივება.

კომშს ნაყოფთა თვისებების მიხედვით,ყოფაში ძირითადად არჩევენ სამი სახისას: მჟავე,მალა და ტკბილი.მჟავე კომშს განსაკუთრებით იყენებენ სამკურნალო დანიშნულებით,რომელიც მთხრობელთა თქმით“შემწვარი უებარიწამალია ხველებისა და ყელის ტკივილების დროს“.ტკბილა კომშს კი იყენებენ შემოდგომა-ზამთარში საკვებად რადგან იგი დიდხანს ვერ ძლებს.

ლეღვი.ლეღვი საქართველოში ფართოდ გავრცელებული მცენარეა,იგი განსაკუთრებით ფართოდ გვხვდება აღმ.საქართველოს სანახებში.ლეღვს უყვარს თბილი ქვეყნები,რის გამოც მისიწარმოშობის კერებად შუა და მცირე აზიას მიიჩნევენ აკადემიკოს ნ.კეცხოველის აზრით“საქართველოში გავრცელებული ზოგიერთი ლეღვის ჯიში თავის სათავეს უეჭველად ჩვენში გაველურებული ჯიშებიდან იღებს“.

ძველად საქართველოში, ივ.ჯავახიშვილის მტკიცებით,ლეღვი ადრეული ჯიშს „ლეღვსთუაიდი“ეწოდებოდა.ფიქრობენ, რომ ადრეულ ლეღვად წვრილი ზამთრის ლეღვი უნდა ყოფილიყო მიჩნეული,რომელიც ზაფხულში დამწიფრბას ვერ ასწრებდა და მეორე გაზაფხულზე ადრე მწიფდებოდა.

ლეღვის ზოგიერთი ჯიში,მთხრობელთა გადმოცემით,ნაყოფს წელიწადში ორჯერ „იღებს.“პირველ ნაყოფს თიბათვე-მკათათვეში,ხოლო მეორე ნაყოფს შემოდგომაზე ისხამს.

ლეღვს მრავალი დანიშნულებით იყენებენ.მისგან აკეთებენ ჯემს,მურაბას,ხდიან არაყს,ახმობენ ჩირს და სხვა.

ატამი. საქართველოში გარეული სახით არ არის ცნობილი და სპეციალისტების აზრით უცხო ქვეყნიდან უნდა იყოს შემოტანილი,მებაღე დარეჯანაშვილის ცნობით,იგი ასამდე

სხვადასხვა ჯიშისაა,რომელნიც ირჩევიან ნაყოფით,ფერით,გემოვნებით,სიმსხოთი,სიმწიფის დროით,საპობია თუ სახრავი,ფოთლებით,თვით მვენარის გარეგნულობით და სხვა.ატამს უყვარს ცხელი ადგილები და თითქმის ყველა ნიადაგზე ხარობს.რის გამოც ატამმა ჩვენში მეორე სამშობლო ჰპოვა,მეტიც „საერთოდ,ქართული ატმის ჯიშები მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო ჯიშებად ითვლება“.

სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისგან შესწავლილი,რომ უხსოვარი დროიდან საქართველოში გადმონერგილი კულტურები,რომელთა გარეული სახეობანი და მათი ფორმათა სიუხვე ჩვენში არ გვხვდება,მაგრამ მათი გადმოტანის შემდეგ ჩვენში წარმოიშვა მრავალი კულტურული ადგილობრივი ჯიში, მათ შორის:ატამი,გარგარი და სხვა.

ატამს ამრავლებენ თესლით-კურკით,რომელსაც შემდეგში ამყნობენ.კურკაზე ამოსული ჯობს განსაკუთრებით ცივ ამინდებში,რადგანგადარგულ ნამყენთან შედარებით ეს ღრმად იდგამს ფესვებს და კარგად იტანს სიცივეს.

ქლიავი. ქლიავი საქართველოს ტერიტორიაზე უამრავი ჯიშის გვხვდება,მათ შორის ბევრია როგორც გარეული ისე კულტურული ჯიშები.პ.ჟუკოვსკი კულტურულ ქლიავის სამშობლოდ კავკასიას მიიჩნევს.

შიდა ქართლში გავრცელებული ქლიავის სახეებიდან აღსანიშნავია: ღორქლიავა,ყვითელი ქლიავი,შავი ქლიავი,თეთრი ქლიავი,ერევნის ქლიავი,ჭანჭურა ქლიავი,ლენკროტი და სხვა.

ქლიავის ნაწარმი,მათ შორის კურკაც,ფართოდ გამოიყენება როგორც სამზარეულო,ისე სამკურნალო მნიშვნელობით.

ქლიავის წინაპარი თვით გარეული ქლიავია,რომელიც გავრცელებულია საქართველოს ტყეებში. თუმცა ზოგიერთი ქლიავის ჯგუფში შემავალი ხილი თავისი ფორმითაც განსხვავებულია და თავისი წარმოშობის გზა აქვს გავლილი.

ბალი და ალუბალი.ბალი და ალუბალი ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფაში ძველთაგანვე საკმაოდ გავრცელებული იყო,რადგანაც წვრილხილთა შორის ყველაზე ხელმისაწვდომია,როგორც გამრავლებით,ისე ყოველწლიური მოსავლიანობის მხრივ.გარდა ამისა მას მიწების განსაკუთრებული ადგილები არ უნდა როგორც ვაშლისა და მსხალის ხეს.

შიდა ქართლში ბალი ფართოდაა გავრცელებული,რომელიც გარეული სახით „ბალამწარის“სახელწოდებით გვხვდება.როგორც ყოფაშია დამოწმებული,მას ბალამწარს იმისთვის უწოდებებ რომ ის ძირითადად მწარე გემოსია.

შიდა ქართლში გავრცელებული ბლის ჯიშებია:გოგრა ბალი,შავი ბალი,მაისის ბალი, ადრეულა,გვიანა,ალუბალი,ჟაღლა ბალი,ბალდუნჭი ანუ ბალღიჯი,თეთრი ბალი და სხვა.

საქართველოში ბლის კულტურა რომ ძველთაგანვე ცნობილი იყო კარგად ჩანს,როგორც გეოგრაფიული სახელწოდებებიდან,ისე რიგ ტერმინოლოგიიდან,მაგ:“ახალბალობა“ ხეხილის პირველად შემოსვლის დროის აღმნიშვნელი ტერმინი ყოფილა და ასშ.

ბლის ჯიშებიდან ყოფაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ალუბლის გამოყენებას.ალუბალი თავის მხრივ მისი გემოვნებისა და შეხედულების წყალობით იყოფა რამდენიმე ჯგუფად,რომელსაც გამოცდილი მებაღეები ამჩნევენ.

მეხილეობის დარგის პერიოდიზაცია[6]

ნაშრომში მეხილოების დარგის განვითარება შევეცადე დამეყო სამ პერიოდად,იმისთვის რომ წარმოდგენა შევიქმნათ დროის სხვადასხვა პერიოდში რა ვითარება იყო რეგიონში.პირველ პერიოდად ავიღე უძველესი დროიდან მე-20 საუკუნემდე დარგის მდგომარეობა,მეორე-საბჭოთა კავშირის პერიოდი,მესამე-საბჭოთა კავშირის დაშლის შემდდომი პერიოდი.

[6] მეხილეობა აღმოსავლეთ საქართველოში დ.პავლიაშვილი

XIX საუკუნემდე მეხილეობა საქართველოში ეკონომიკურად დიდ მნიშვნელოვან დარგს არ წარმოადგენდა. XIX საუკუნის II ნახევრიდან იწყება ევროპიდან ხეხილის ძვირფასი ჯიშების შემოტანა. აქედან ეყრება საფუძველი სამრეწველო მეხილეობის განვითარებას და დარგი ქვეყნის ეკონომიკაში იკავებს მნიშვნელოვან ადგილს. მე-19 საუკუნის 80-90-იან წლებში საქართველოში დაარსდა სანიმუშო ხეხილის ბაღები და სანერგეები: კეცხოველის მიერ - ტყვიავში, ისაია ფურცელაძის მიერ - მერეთში, ხეთაგურის მიერ - კასპში, ფრიდონოვების და ავსარქისოვების მიერ - სკრაში. ამ სანერგეებს გამოჰყავდათ ხეხილის ნერგები და ამარაგებდნენ მოსახლეობას.

საბჭოთა კავშირის პერიოდში რკინიგზის ტრანსპორტის განვითარებასთან ერთად, საქართველოში გაიზარდა ხილის ექსპორტის მოცულობაც. ხეხილის ბაღები მასიურად გაშენდა მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში. 1970-იანი წლების დასასრულისათვის, ხეხილის ფართობებმა მიაღწია 154,6 ათას ჰექტარს, ხოლო ხილის წარმოებამ - 433 000 ტონას. 80-იანი წლებიდან იწყება მეხილეობის გადასვლა ექსტენსიურიდან ინტენსიურ რელსებზე. უპირატესობა მიენიჭა ახალი, მაღალმოსავლიანი, მსხმოიარობაში ადრე შემსვლელი, საშუალო და სუსტი ზრდის საძირეებზე დამყნილი ჯიშებით ინტენსიური ბაღების გაშენებას, რომელთა საჰექტარო მოსავლიანობა 250-300 ცენტნერს აღემატება. დარგის განვითარებას ხელი შეუწყო სახელმწიფო სანერგე მეურნეობების მოწყობამ ქიწნისში, ბრეთში, ქვეშში, სკრაში. ისინი სრულად აკმაყოფილებდნენ ქვეყნის მოთხოვნას სარგავ მასალაზე.

გასული საუკუნის 90-იან წლებში მომხდარმა პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა უარყოფითი დაღი დაასვა მეხილეობის დარგს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ საზოგადოებრივ სექტორში არსებული ბაღების პრივატიზაცია მოხდა, დაქუცმაცდა მასივები, გაიჩეხა ბაღები და ქარსაცავი ზოლები, მოიშალა ინფრასტრუქტურა, სარწყავი არხები, შედეგად, მკვეთრად დაეცა ხილის წარმოების დონე.

ხეხილის ბაღების უმეტესი ნაწილი ექსტენსიურია, რადგან სახელმწიფო სანერგეების დაშლის შემდეგ, ხეხილის ნერგს ძირითადად, აწარმოებდნენ კერძო

პირები და საძირედ იყენებდნენ თესლნერგებს, თუმცა, უკანასკნელ პერიოდში, მოწინავე მეხილე-ფერმერებმა საზღვარგარეთიდან შემოტანილი სარგავი მასალით გააშენეს ინტენსიური ბაღები: რეხაში, კვარხეთში, ძევერაში, ნიქოზში, კარალეთში, გარეჯვარში.

თავი III

დარგის ამჟამინდელი მდგომარეობა

რეგიონში ამჟამად გავრცელებული ხეხილოვანი კულტურები [7]

ვაშლი. ხეხილოვან კულტურათა შორის ყველაზე ფართოდ წარმოდგენილია ვაშლის კულტურა. რეგიონი ყოველთვის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ვაშლის წარმოების მიხედვით. მიუხედავად ვაშლის მოსავლის შემცირებისა 2007 წელთან შედარებით, და სხვადასხვა წლებში მოსავლიანობის მკვეთრი ფლუქტუაციისა, რეგიონი მაინც სრულად დომინირებს ქვეყნის მასშტაბით. მისი ფართოდ გავრცელება განაპირობა ხელსაყრელმა ბუნებრივ-კლიმატურმა პირობებმა, ნაყოფის მაღალმა კვებითმა ღირებულებამ, განუმეორებელმა ქიმიურ-ტექნოლოგიურმა მახასიათებლებმა და ბოლოს, დარგის მაღალმა სამეურნეო მაჩვენებლებმა. ათეულობით წლების განმავლობაში, ვაშლის ნაყოფი წარმოადგენდა ძირითად საექსპორტო ნედლეულს რუსეთის ბაზარზე. მომავალშიც, სოფლის მეურნეობის საექსპორტო პროდუქციაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს ვაშლმა.

სადღეისოდ არსებულ ბაღებში ვხვდებით ადგილობრივ და წლების განმავლობაში არსებულ ინტროდუცირებულ ჯიშებს: კეხურას, ზამთრის ბანანს, შამპანურ რენეტს, სინაფებს, რომლებიც ძირითადად ძლიერი ზრდის (თესლნერგებზე) საძირებზე გამოყვანილი ნერგითაა გაშენებული (ექსტენსიური ბაღები). საჭიროა ამ ნარგაობის თანდათანობით ინტენსიურით ჩანაცვლება.

[7] http://gov.ge/files/275_38364_967251_136417.09.13–1.pdf

ამჟამად ვაშლის ბაღები შენდება საშუალო და სუსტი ზრდის ვეგეტატიურ საძირეებზე დამყნობილი ნერგით. უპირატესობა ენიჭება შპალერული, ვერტიკალური კორდონის ტიპის ნარგაობას, პილარს. მოცულობითვარჯიან ნარგაობაში მეჩხერსართულიანს და თითისტარისებურ ფორმებს, შემცირებულია კვების არეები, რიგთაშორის მანძილი მერყეობს 4-5 მ-ს შორის, ხოლო რიგში მცენარეთაშორის მანძილი 1-2 მეტრის ფარგლებში. შესაბამისად, ძირთა დგომა გაზრდილია,რაც იძლევა ბაღისთვის განკუთვნილი ფართობის სწრაფად ათვისებას და დარგვიდან მეორე წელს უკვე მნიშვნელოვანი მოსავლის მიღების საშუალებას. იცვლება ჯიშთა სორტიმენტიც. კარგად იკიდებს ფეხს ვაშლის მსოფლიოში ცნობილი ჯიშები: გოლდენ დელიშესი, აიდარედი, გოლდენ ბი, ჯონაგოლდი, გალა, მუცუ, ფუჯი, გოლდ-რაბი, ბრაბერნი, გრანი სმიტი და სხვა.

აღნიშნული ჯიშებიდან, სათანადო აგროტექნიკური ფონის შექმნის შემთხვევაში, მიიღება მაღალი სასაქონლო ღირსებების მქონე ნაყოფები, რომლებიც სერთიფიკაციის გავლის შემდეგ, თამამად შეაბიჯებენ ევროკავშირის ქვეყნების ბაზარზე. საძირეებად გამოიყენება საშუალო და სუსტი ზრდის საძირეები: M-9, MM-106, MM-111.

მსხალი.მსხლის წარმოების მიხედვით, 2011 წელს შიდა ქართლმა გაასწრო ტრადიციულ ლიდერს - სამეგრელოს, რომელსაც 2006-2010 წლებში წამყვანი ადგილი ეკავა და 2011 წლის მონაცემებით, შიდა ქართლის რეგიონი უკვე პირველ ადგილს იკავებს ქვეყნის მასშტაბით. მსხლის კულტურას ნარგაობაში არც ისე დიდი ადილი უკავია. იგი ძირითადად გვხვდება ერთეული ხეების სახით ძლიერ საძირეზე დამყნობილი. ხეების დიდი ზომის გამო გაძნელებულია მცენარის მოვლის ღონისძიებები და ნაყოფების კრეფა. ნარგაობაში ვხვდებით ჯიშებს-ბერებოსკას, გულაბებს, ჟოზეფინას, კალოს მსხალს, ვილიამსს. ახალი ბაღები უნდა გაშენდეს სუსტი ზრდის საძირეებზე დამყნობილი ნერგით. არსებული მაღალი ღირებულების ჯიშებს უნდა დაემატოს ახალი ჯიშები: აბატი ფეტელი, კონფერენცია, კაიზერი და სხვა,რითაც გაიზრდება მსხლის ნაყოფებით მოსახლეობის უზრუნველყოფის

პერიოდი. მსხლის საძირეებად გამოიყენება პანტა, კომში, პერსპექტიული საძირეებია: BA-29; EMC; EMA; FOX11; FAROLD-87.

კომში. კომშის კულტურა მცირე მოცულობით არის წარმოდგენილი. ნარგაობაში ერთეული ხეების სახით არის წარმოდგენილი ყოფილ საკარმიდამო ნაკვეთებში. გვხვდება ჯიშები: მალაჩინა, ქართული მჟავე. საკომპოტე ნაყოფს მაღალი ტექნოლოგიური მახასიათებლები აქვს, რის გამოც, სასურველია, მისი ნარგაობების გაზრდა.

ატამი. კურკოვანი კულტურებიდან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყველაზე ფართოდ წარმოდგენილია ატამი და ქლიავი.

2009 წლის შემდეგ შიდა ქართლი ატმის წარმოებით ქვეყნის მასშტაბით სტაბილურად იკავებს მე-2 ადგილს და ის მხოლოდ კახეთს ჩამოუვარდება. მისი ნაყოფი ხასიათდება მაღალი ქიმიურ-ტექნოლოგიური მახასიათებლებით. მოიხმარება როგორც ნედლი, ისე გადამუშავებული სახით. მისგან მზადდება მაღალხარისხიანი კომპოტი, ჯემი, ხილფაფა, წვენები. ჩვენს მოსახლეობაში სარგებლობს დიდი მოთხოვნით. მისი მოხმარების პერიოდი ხანგრძლივია და გრძელდება ივნისიდან ოქტომბრამდე. სამაცივრე მეურნეობა კიდევ ზრდის მისი მოხმარების ხანგრძლივობას.

ატმის საძირედ გამოიყენება ატმის თესლნერგი, ტყემალი და ნუში, რაც იძლევა მისი ფართოდ გავრცელების საშუალებას. ტყემლის საძირეზე დამყნობილი ნერგი ეგუება მძიმე მექანიკური შედგენილობის ნიადაგებს, ნუშზე დამყნობილი ნერგი იტანს წყლით ნაკლებად უზრუნველყოფილ ნიადაგებს, რაც შეეხება საკუთარ საძირეზე დამყნობილ ნერგიდან მიღებულ ნაყოფებს, გამოირჩევა განსაკუთრებული არომატით. ძალიან ფართოა ჯიშთა სორტიმენტი, ვხვდებით ჯიშებს: ხიდისთაურ თეთრს, ხიდისთაურ ვარდისფერს, კრიმჩაკს, ელბერტას, ვაჟურს, ნექტარინებს, სასურველია დაემატოს ახალი ჯიშები - ო ჰენრი, ფაირტაიმი და სხვა.

ატმის პერსპექტიული საძირეებია: კადმანი, ჯულიორი, იშტარა, პენტა, ბარიერი.

ქლიავი.ქლიავის წარმოების მიხედვით შიდა ქართლის რეგიონი ასევე სტაბილურად ინარჩუნებს ქვეყანაში პირველ ადგილს, მიუხედავად იმისა, რომ 2006 წლის მაჩვენებლებთან შედარებით წარმოების მოცულობა შემცირებულია . მისი ნაყოფები მოიხმარება როგორც ნედლი, ისე გადამუშავებული სახით. ფართოა არსებული ჯიშთა სორტიმენტი. ძველ ბაღებში ვხვდებით ჯიშებს:ატმისებურს, ალტანის რენკლოდს, იტალიურ უნგრულას, მწვანე რენკლოდს, სტენლის. პერსპექტიული ჯიშებია: პრეზიდენტი, ემპრესი, ფრიარი, ანჯელენო. უკანასკნელ ხანს გაიზარდა ინტერესი საჩირე შავი ქლიავებისადმი.

ტრადიციულად, ქლიავის საძირედ გამოიყენებოდა ტყემალი, რომელზეც დამყნილი ხე ძლიერი ზრდითა და მსხმოიარობაში გვიან შესვლით ხასიათდებოდა. ქლიავისთვის პერსპექტიულ საძირეებად ითვლება მირობოლანო, მარიანა, ჯასპი, ჯულიორი, იშტარა.

გარგარი ძალზედ მაღალხარისხიანი ნაყოფების მომცემი კულტურაა. განსაკუთრებით დიდი მოწონებით სარგებლობს მისი ჩირი, რომელიც უებარია გულ-სისხლძარღვთა დაავადების დროს, მაგრამ მისი ხვედრითი წილი მუნიციპალიტეტის მეხილეობაში უმნიშვნელოა და შეადგენს 0,37%-ს. მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ გარგრის კულტურა ადრე ყვავილობს სხვა კულტურებთან შედარებით, რასაც უსწრებს გვიან გაზაფხულის წაყინვები და ხშირად მოსავალი იღუპება. საჭიროა სელექციური მუშაობა და გვიან მოყვავილე ჯიშების შემოტანა. ამჟამად დარაიონებულია ადგილობრივი ჯიში ალიპრიალა, შალახი, აღჯანაბადი. პერსპექტიული ჯიშებია: პინკოტი, ფარბელი, ფარდაო, ლეიდი როუზი.

გარგრის საძირეებად გამოყენებული იყო ჭერმისა და ტყემლის თესლნერგები, რომლებზეც დამყნობილი მცენარეები ხასიათდებოდა ძლიერი ზრდით. პერსპექტიული საძირეებია: ჯულიარი, ტორინელი, ვავიტი.

ტყემალი. მიუხედავად იმისა, რომ ტყემლის კულტურას საზოგადოებრივი მეურნეობების ბაღებში დიდი ადგილი ეკავა, ამჟამად მისი რაოდენობა შემცირებულია. მას ძირითადად სამრეწველო გადამუშავებისათვის იყენებენ,

წვენებისა და საწებლების დასამზადებლად. ამჟამად ტყემლის წმინდა ნარგაობა თითქმის აღარ გვხვდება. იგი ძირითადად, საკარმიდამო ნაკვეთებშია წარმოდგენილი ერთეული ხეების სახით. გვხვდება ჯიშები: წითელი დროშა, გაზაფხულის მერცხალი, გულდიდავა, რიონი, ადგილობრივი ჯიშური ფორმები. მის საძირედ გამოიყენება ტყემლის თესლნერგები. პერსპექტივაში გამოყენებული უნდა იქნას სუსტი ზრდის საძირე იშტარა.

ბალი და ალუბალი.შიდა ქართლის რეგიონი ბლისა და ალუბლის წარმოების მიხედვით 2008 წლის შემდეგ ქვეყანაში სტაბილურად იკავებს ასევე პირველ ადგილს მათი ნაყოფები ხასიათდება მაღალი კვებითი ღირებულებით, მოიხმარებიან როგორც ნედლი, ისე გადამუშავებული სახით. მაღალი ღირსებით ხასიათდება ბლისა და ალუბლის მურაბები, კომპოტები, წვენები. ეს კულტურებიც ძირითადად თავმოყრილია საკარმიდამო ნაკვეთებში, გვხვდება საადრეო, საგვიანო და საშუალო სიმწიფის ჯიშები. მწიფობის პერიოდი გრძელდება მაისიდან ივლისამდე. ძირითადი ჯიშებია: დროგანა ყვითელი, ხარისგულა, ყირიმის შავი, ჭოპორტულა. პერსპექტიული ჯიშებია: ბიგარო ბურლატი, მორო, ლაპინსი, კორდია, ცელესტე, სვიტ ჰარტლი, რეჯინა.

საძირეებად გამოიყენება ბალღოჯი და ბალამწარა. ბალღოჯზე დამყნილი ხე საშუალო ზრდით ხასიათდება და ეგუება კარბონატულ ნიადაგებს. ბალამწარაზე დამყნობილი ხეები ძლიერი ზრდით ხასიათდება. პერსპექტიული საძირეებია: კოლტი, გიზელა 5 და ვიქტორი.

ალუბლის კულტურა, ბალთან შედარებით, მცირე მასშტაბით არის წარმოდგენილი. ძირითადი ჯიშებია: ქართული ალუბალი, პოდბელსკი, ვლადიმირსკაია, პერსპექტიულია - კარნეოლი. ქართული ალუბალი საკონსერვო წარმოებისათვის ძვირფას ნედლეულს წარმოადგენს. იგი მრავლდება ფესვიდან ამონაყრებით, თესლნერგებით და მყნობით. სუსტი ზრდის საძირეებიდან პერსპექტიულია კოლტი.

სტატისტიკური ინფორმაცია [8]

2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით, შიდა ქართლის რეგიონში ხეხილის ნარგავების საერთო ფართობი შეადგენდა 12 735 ჰექტარს, თუ როგორ გადანაწილდა ეს მმონაცემები მუნიციპალიტეტების მიხედვით ამას ცხრილი გვიჩვენებს.ასევე ცხრილში აღწერილია ხეხილის ძირთა რაოდენობა მუნიციპალიტეტების მიხედვით.

2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით.

მუნიციპალიტეტები	ხეხილის ნარგავების ფართობი ჰა	ხეხილის ძირთა რაოდენობას ბაღებში(ათასი ძირი)
ქ.გორი	33	9,8
გორი	9 062	2761,2
კასპი	1247	434,9
ქარელი	2315	683,4
ხაშური	77	24,6
სულ	12 735	3 913 900

[8] http://census.ge/files/results/agriculture/Agricultural_Census_2014.pdf

შემდეგ ცხრილში ასახულია ბაღში მდგომი ხეხილის ძირების რაოდენობა რეგიონშიმუნიციპალიტეტების მიხედვით.

ბაღში მდგომი ხილის ძირების რაოდენობა მუნიციპალიტეტები	ვაშლი 1000 ძირი	მსხალი	ატამი	ვაშლატამა	ქლიავი, ღოღნოშო	ბალი და ალუბალი	გარგარი
ქ.გორი	7,0	0,3	1,1	0.0	0,6	0.3	0,1
გორი	1877,4,	81,4	405,4	32.8	207.0	76,5	8,3
კასპი	271,6	9,6	53,1	6,7	28.0	19.1	5,1
ქარელი	576,6	9,1	23,1	1,3	29,9	24,4	1,8
ხაშური	9,1	0,7	0,5	0,1	5,2	1.0	0.1
სულ	2,741,6	1 01,0	483,1	40,9	270,6	121,3	15,5

აღწერის მიხედვით ქვეყნის მასშტაბით ხეხილის ბაღები მეურნეობების სარგებლობაში 59.4 ათასი ჰექტარია. მეურნეობების სარგებლობაში არსებული ხეხილის ბაღების საშუალო ფართობი 0.4 ჰექტარია. მეურნეობების 94.0%-ს სარგებლობაში აქვს 1 ჰა-ზე ნაკლები ფართობის ხეხილის ბაღი. 9.4 ათას მეურნეობას სარგებლობაში აქვს 1 ჰა და მეტი ფართობის ხეხილის ბაღი, ხოლო 0.7 ათასს - 3 ჰა და მეტი. შიდა ქართლში 2014 წლის აღწერის მიხედვით ფიქსირდება - 12.7 ათასი ჰა ხეხილის ბაღის ფართობი.რაც იმაზე მეტყველებს რომ გასულ საუკუნის 80 იან წლებთან შედარებით მკვეთრად შემცირებულია.

ხეხილის სანერგეები[9]

ხეხილის ბაღებისაგან განსხვავებით სანერგეები შედგება უფრო რთული ორგანიზაციული სტურქტურისაგან-სპეციალური საკალმე სადედები, საძირეების მინდვრები და გამრავლების განყოფილება, რომელიც მოიცავს მინდორთბრუნვის სისტემას.როგორც სანერგე მეურნეობის ფერმერები აღნიშნავენ ზოგიერთი სანერგე შესაძლებელია აღჭურვილი იყოს სათბურებით საკალმეების დასაფესვიანებლად, ხოლო ზოგიერთი სანერგეებში შესაძლებელია იყოს ლაბორატოეიები საწყისი უვირუსო მასალის მისაღებად და ვირუსებზე ტესტირებისათვის.

გორის მუნიციპალიტეტის მენერგე ფერმერები ძირითადად აწარმოებენ ექსტენსიური ტიპის ბაღებისათვის სარგავ მასალას, მათ უმარვლესობას არ აქვთ ჩამოყალიბებული სტრუქტურა, საძირეთა სადედეები და საკვირტე-საკალმე დანიშნულების ბაღები. საძირეების მიღებას ახდენენ ხეხილის თესლისა და კურკის თესვით, კვირტსა და კალამს იღებენ სხვადასხვა ფერმერების ბაღებიდან, ხშირად ჯიშის სახელწოდებაც კი არ არის ცნობილი და თვითონ არქმევენ პირობით სახლებს. ფერმერები არ ითვალისწინებენ დარგში არსებულ მდგომარეობას და ამრავლებენ არაპერსპექტიული ჯიშებს.

გორელ ფერემერებს კულტურულ ნათესარზე ყოველწლიურად გამოჰყავთ 300 000 ცალი ხეხილის ნერგი, საიდანაც 200 000 ცალი თესლოვანი ხილისაა, 100 000 ცალი კურკოვანის.[10]

მეხილეობის დარგის აღორძინებისათვის ძირითადი პირიორიტეტი-მაღალხარისხოვანი, ჯიშურად გარანტირებული ინტენსიური ტიპის სარგავი მასალის წარმოებაა, საშუალო და სუსტი ზრდის საძირეებზე შპალერული ტიპის მაღალპროდუქტიული, ადრემსხმოიარე ბაღების გაშენებაა.

[9] http://agronews.ge/khekhilis-sanerge-meurneobis-motsqhoba-rekomendatsiebi/

[10] სოფლის მეურნეობის სამინისტროს შიდა ქართლის რეგიონალური სამმართველო

უკანასკნელ წლებში ინტენსიური ტიპის სანერგეების მოწყობის მიზნით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა შიდა ქართლში, მათ შორის გორის მუნიციპალიტეტში. შიდა ქართლში წარმატებულად მუშაობს საქართველო-ახალი ეკონომიკური შესაძლებლობის ინიციატივა (ნეო), რომელმაც განახორციელა თანამედროვე სანერგეების მოწყობის პროექტი გორსა და ქარელის მუნიციპალიტეტებში.

პროექტის ფარგლებში სანერგეები მოეწყო სოფლებში: ძევერაში (ლევან კეჩხუაშვილი), შინდისში (ნუკრი პაპუნაშვილი) და კვარხეთში (ვალერი მუნჯიშვილი) საძირეთა სადედეები დაკომპლექტებულია – ვაშლის, მსხლის ბლისა და ქლიავის თანამედროვე საძირეებით, საკვირტე-საკალმე დანიშნულების ბაღები კი უახლოესი კონკურენტუნარიანი ჯიშებით. მათ შეეძლებათ ყოველწლიურად აწარმოონ 100 000 ცალი ინტენსიური ტიპის სარგავი მასალა.

ამავე პროგრამით სოფელ სათემოში მოეწყო კენკროვანების სანერგე მეუნროება, სადაც ყოველწლიურად შესაძლებელი იქნება 50 000 ცალი ჟოლოს, მაყვლის და მარწყვის ნერგების წარმოება/

შედარებით დიდი მოცულობის სანერგე მეურნეობა მოეწყო სოფელ გარეჯვარში, სადაც გათვალისწინებულია 200 000 ცალი თანამედროვე ტიპის ნერგის წარმოება, 30 000 ცალი ნერგის წარმოების პოტენციალი აქვს სოფ. სკრაში ვანო კაკაშვილის მიერ მოწყობილ მეურნეობას.

მაღალხარისხოვანი ნერგის გარეშე კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება პრაქტიკულად შეუძლებელია, ამიტომაც ნერგის წარმოება უზრუნველყოფილი უნდა იქნეს კანონის საფუძველზე, რომელიც აკრძალავს სერტიფიკატის არმქონე ნერგით ნაკვეთების გაშენებას და აუცილებელი ინქება სანერგეების ლიცენზირება.

სამაცივრე მეურნეობები[11]

სოფლის მეურნეობაში წარმოებულმა პროდუქციამ მომხმარებლამდე პირვანდელი სახით რომ მიაღწიოს, ერთ–ერთი ძირითადი პირობაა მისი სათანადო შენახვა თანამედროვე დანადგარებით აღჭურვილ სამაცივრე სასაწყობე მეურნეობებში. სამაცივრე მეურნეობების განვითარება საშუალებას მოგვცემს მთელი წლის განმავლობაში უზრუნველყოფილი იყოს ბაზარი სტაბილური და ხარისხიანი პროდუქციის მიწოდებით. ამასთან ხელს შეუწყობს მეწარმეს , სეზონზე დაბალი ფასების არსებობის მიუხედავად დაასაწყობოს ზედმეტი პროდუქტი და მოახდინოს მისი თანაბარი რეალიზაცია წლის განმავლობაში.

საქართველოში ამჟამად 40 000 ტონის ტევადობის სამაცივრე მეურნეობაა.[12] დღითი დღე მატულობს მათი რაოდენობა და ეს ტენდენცია საგრძნობლად შეინიშნება გორის რ–შიც. ბოლო დროს სამაციცრე მეურნეობებზე მოთხოვნის ზრდა რამდენიმე ფაქტორითაა გამოწვეული: პირველი ის ,რომ ფერმერი ვერ ახერხებს მოწეული პროდუქციის სწრაფ რეალიზაციას და მეორეც, მოსავლის აღების დროს პროდუქტზე დაბალი ფასები. ამით კი ზარალდება მეწარმე ,რადგან უწევთ მოყვანილი მოსავლის თვითღირებულებაზე დაბალ ფასში გაყიდვა.

დღეის მდგომარეობით გორის მუნიციპალიტეტში მოქმედებს 13 სამაცივრე მეურნეობა, რომელთა ტევადობა 2130 ტ. ეს რაოდენობა დღევანდელ საბაზრო მოთხოვნილებისათვის ძალიან მცირეა. ამიტომ მუნიციპალიტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე საჭიროა ამ დარგის განვითარებას მეტი ყურადღება მიექცეს. რაც კიდევ უდრო ხელს შეუწყობს ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლებას და დაასაქმებს კიდევ უფრო მეტ ადამიანს. გარდა ამისა სამაცივრე მეურნეობა, როგორც ბიზნესი, დღეს საკმაოდ მომგებიანი საქმეა. თუმცა მოთხოვნის გასაზრდელად ამ ბიზნესს სახელმწიფო მხრიდან ხელშეწყობა სჭირდება, რაც უფრო გაიზრდება ამ სფეროში კონკურენცია მით უფრო გაიაფდება სამაცივრე მეურნეობებში

[11] http://eugeorgia.info/ka/article/369/gadamamushavebeli-da-shemnaxveli-sawarmoebis-tanadafinansebis-programis--samacivre-meurneobebis-komponenti-tvis-bolomde-amoqmeddeba/

[12] http://eugeorgia.info/ka/article/465/samacivre-meurneobebi-sezonurad-da-nawilobrivi-datvirtvit-mushaoben/

პროდუქციის შენახვა და გლეხიც მისთვის ხელსაყრელ დროს შეძლებს უფრო ძვირად გაყიდოს პროდუქტი.

მელიორაცია

ხეხილისი გასაშენებლად საჭიროა მოწესრიგებული სარწყავი სისტემები.ამის გარეშე მისი ზრდა განვთარება წარმოუდგენელია,ამიტომ მივმართე შპს“ საქართველოს მელიორაციის“ ადგილობრივ სამსახურს და გავეცანი ამ მხრივ რეგიონში არსებულ მდგომარეობას.მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შიდა ქართლის რეგიონს სარწყავი წყლით ძირითადად, უზრუნველყოფს ტირიფონის, „დოეს-გრაკალის“ და ტაშისკარი-სალთვისის სისტემური სამმართველოები. ტირიფონის სარწყავი სისტემის მეშვეობით ირწყვება გორის მუნიციპალიტეტის შემდეგი სოფლები: ტირძნისი, ბროწლეთი, მეღვრეკისი, ერგნეთი, თერგვისი, ტყვიავი, მარანა, ქერე, ფლავი, ფლავისმანი, ახალუბანი, აძვი, ჯარიაშენი, ახრისი, ციცაგიაანთკარი, ქვეში, ქვ. არცევი, მუმლაანთკარი, მეჯვრისხევი, მეჯვრისხევის ფაბრიკა, ზერტი, კვარხეთი, თორტიზა, ხელთუბანი, კარბი, ზეღდულეთი, ახალსოფელი, ქვ. სობისი, ზემო სობისი, ბერშუეთი, კირბალი, სათემო, ქიწნისი, კარალეთი, დიდი გარეჯვარი და პატარა გარეჯვარი. ბოლო ორი წლის მანძილზე ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, დამატებით გასარწყავებული იქნა 1 580 ჰა.

შ.პ.ს. „საქართველოს მელიორაციის“ მიერ ჩატარებული სამუშაოების შედეგად რეგიონში არსებული სარწყავი ფართობი 11,000 ჰა.-დან გაიზარდა 18,700 ჰა.-მდე. ასევე დაგეგმილია და მიმდინარეობს სარწყავი სისტემების სარეგბილიტაციო პროექტები, რომელიც 4,700 ჰა.-ზე გააუმჯობესებს საირიგაციო წყლით უზრუნველყოფას, სარეაბილიტაციო პროექტების ჯამური ღირებულებაა 18,000,000 ლარი.

2014,2015,2016 წლის ივნისი,ივლისის თვეში ხურვალეთის სატუმბი სადგურის მეშვეობით, ნადარბაზევის ტბის ნაწილობრივ შევსების შედეგად, ივლისის ბოლოს და აგვისტოს თვეში, წყალი ნაწილობრივ მიეწოდათ სოფ. ხურვალეთსა და სოფ. ნადარბაზევს. 2014 წელს გორის მუნიციპალიტეტმა მელიორაციის კომპანიას გადასცა ორი სატუმბი სადგური, არბო-დიცი და ერგნეთის სატუმბი სადგურები. აღდგენითი სამუშაოების ჩატარების შემდეგ, აღსდგა სარწყავი წყლით მომარაგება აღნიშნულ სატუმბ სადგურებზე დამოკიდებულ სოფლებში.

აგვისტოს თვეში, მდინარეებში, დიდი და პატარა ლიახვი, წყლის დებეტის სიმცირის გამო, შეუძლებელია სარწყავი წყლის მიწოდება შემდეგ სოფლებში: ზეღდულეთი, ახალსოფელი, ქვ. სობისი, ზემო სობისი, ბერშუეთი, სულ 2 169 ჰა.

სადღეისოდ, მწყობრიდან არის გამოსული ნადარბაზევის ტბის სარწყავი სისტემა, რომლის საპროექტო სიმძლავრე 5 700 ჰა-ს წყლით უზრუნველყოფას გულისხმობდა. სისტემას 90-იანი წლების შემდეგ არ უმუშავია. რეაბილიტაციას მოითხოვს სატუმბო სადგური, აგრეთვე სადაწნეო მილსადენი და შიდა არხები. ამჟამად მიმდინარეობს რეაბილიტაციის საპროექტო სამუშაოები. სისტემის აღდგენა მნიშვნელოვნად შეცვლის შავშვების საკრებულოში, აგრეთვე, კასპისა და ახალგორის მუნიციპალიტეტის გარკვეული სოფლების სოციალურ-ეკონომიკურ და ეკოლოგიურ პირობებს. პრობლემას ართულებს ისიც, რომ ტირიფონის არხი, საიდანაც წყალს ზამთრის პერიოდში ღებულობდა ნადარბაზევის ტბა, სათავეს იღებს ზონკარის წყალსაცავიდან, რომელიც ამჯამად ოკუპირებულია.

გადამამუშავებელი საწარმოები და გასაღების ბაზარი

ხილ-კენკროვანი კულტურების ნაყოფები მალფუჭადია, ამიტომ მათი შენახვა და გადამუშავება პრობლემატური საკითხია. მეწარმეები ძირითადად ნედლ ხილს ადგილობრივ ბაზარზე და თბილისში ყიდიან. მოსახლეობის ნედლი ხილით უზრუნველყოფის გახანგრძლივება მოითხოვს სპეციალურ სასაწყობე და სამაცივრე

მეურნეობის მოწყობას. აგრეთვე ნატურალური წვენების, საკონსერვო ქარხნების და საშრობი საამქროების შეუფერხებელ მუშაობას. უკანასკნელ პერიოდში გაიზარდა მოთხოვნილება მშრალი პროდუქტების მიმართ.

ძალიან დიდია მოთხოვნილება ხილის ნატურალურ წვენებზე, განსაკუთრებით ვაშლის კონცენტრატზე. იგი წარმოადგენს სასტარტო პროდუქციას. ამ პროდუქტში მაღალი პროცენტული შემცველობით შენარჩუებულია ის მდიდარი ქიმიური შემადგენლობა, რაც არსებობს ვაშლის ნაყოფში. თანაც ამ პროდუქტის დამზადება ხდება არასტანდარტული ნაყოფებისაგან, რომლებიც გადაუმუშავებლობის შემთხვევაში განწირულია გასაფუჭებლად.

რაც შეეხება საკონსერვო წარმოებას, იგი ტრადიციული და ნაცადი სფეროა ხილ-კენკროვანი კონსერვების დამზადების სფეროში. კომპოტი, მურაბა, ჯემი, ხილფაფა, ნატურალური წვენები, ბოსტნეულის კონსერვები, მწნილები ერთ-ერთ და შეუცვლელ წყაროს წარმოადგენენ ხილ-ბოსტნეულით ზამთრის სეზონში მოსახლეობის უზრუნველსაყოფად.

გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ერთი საკონსერვო და შვიდი წვენების ქარხანა. გორის ყოფილ საკონსერვო ქარხნის ბაზაზე მუშაობს შპს „კულა“, რომელიც ფართო პროფილიანი საწარმოა. ამზადებს კომპოტებს, მურაბებს, ჯემებს, ხილფაფას, ვაშლის კონცენტრატს, წვენებს. აქ დასაქმებულია 280-მდე თანამშრომელი და ამუშავებს 20 000 ტ ნედლეულს.[13] რაც შეეხება წვენების ქარხანას „სამეგობრო“ , „ბიოჯუსი“, „ნატურალ-7“-ის ორი ქარხანა სრულად ითვისებენ არა მარტო გორის მუნიციპალიტეტში მოსულ სამრეწველო ვაშლის ოდენობას, არამედ , კასპის, ქარელის და ხაშურის არასტანდარტულ ხილსაც. 2014 წელს შპს „სამეგობრო“-ში ამოქმედდა ჩირის საშრობი საამქრო, სადაც დამზადდა ვაშლისა და შავი ქლიავის ჩირი. განსაკუთრებით დიდი მოწონება დაიმსახურა შავი ქლიავიას ჩირმა. მასზე დიდი მოთხოვნა იყო.

[13] „გორის საკონსერვო ქარხანა კულა“

როგორც ადგილობრივი მეწარმეები ამბობენ, საჭიროება მოითხოვს სოფლებში შეიქმნას ხილ-ბოსტნეულის შემფუთავ-დამხარისხებელი პუნქტები რათა მოხდეს ნაყოფის გადარჩევა ხარისხის მიხედვით.ეს კი მოსავლის რეალიზაციას შეუწყობს ხელს.რეგიონში არსებული გადამამუშავებელი საწარმოებიდან ასევე აღსანიშნავია ისეთი საწარმოები როგორებიცაა: „სამეგობრო"; „ჯეოფრუტი"; „ჯეოკონცენტრატი", „ბიუჯუსი"; „ნატურალ 7";აგარის შაქრის კომბინატი; გომისა და კასპის სპირტის ქარხნები;ღვინის ქარხნები: ატენსა და გორში;

თავი IV

მეხილეობის დარგის განვითარების პერსპექტივები

სახელმწიფო,კერძო,არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობა დარგის განვითარების სფეროში

როგორც უკვე აღვნიშნე მეხილეობა რეგიონის წამყვანი, მაპროფილებელი დარგია. რესპუბლიკის ხეხილის ბაღების უდიდესი ნაწილი თავმოყრილია ქართლში, სადაც უფრო მეტად ძლიერი ზრდის საძირეებზეა გაშენებული. რაიონში მეხილეობის დარგის უკეთ განვითარებისათვის საჭიროა თანამედროვე ინტენსიური ბაღების გაშენება.

სოფლის მეურნეობის განვითარება შეუძლებელია კვალიფიციური კადრებისა და სათანადო ცოდნის გარეშე.რეგიონში შეინიშნება კვალიფიციური აგრონომიული კადრების დეფიციტი.

სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ფერმერების ცოდნის ამაღლება. ამ მიზნით USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით, ხორციელდება პროექტი - ექსტენციისა და საკონსულტაციო მომსახურების გაძლიერება საქართველოში[14].

[14] http://moa.gov.ge/Ge/News/22

მუნიციპალიტეტებში შეიქმნა საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები, რომლებიც დაკომპლექტდა გამოცდილი კადრებით.

რეგიონში ჩამოყალიბდა სოფლის მეურნეობის შიდა ქართლის რეგიონალური სამმართველო რომელსაც რეგიონის ოთხივე ქალაქში გააჩნია საინფორმაციო ცენტრი . სამმართველო ახდენს სოფლის მეურნეობაში არსებული მდგომარეობის დეტალურ შესწავლას და პერსპექტიულ მიმართულებებს განსაზღვრავს, გრძელ და მოკლევადიან სწავლებას, ტრეინინგების ჩატარებას, საცდელ-სადემონსტრაციო მეურნეობის მოწყობას, რეგიონალურ და საერთაშორისო თანამშრომლობას, კონტაქტების დამყარებას, რეგიონის მასშტაბით სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული ორგანიზაციების კოორდინირებულ მუშაობას.

სოფლის მეურნეობის შიდა ქართლის რეგიონალური სამმართველო ასრულებს, როგორც საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის(გორის მასშტაბით) ფუნქციებს, ასევე კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტების საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურებს და სოფლის მეურნეობის სამინისტრო უწყებაში შემავალ მუნიციპალურ და რეგიონალურ სამსახურებს.

შიდა ქართლის რეგიონალურ სამმართველოს მჭიდრო კავშირი აქვს პროექტების მართვის სააგენტოსთან, კოოპერატივების განვითარების სააგენტოსთან და სამეცნიერო კვლევით ცენტრთან.

რეგიონალური სამმართველო ახორციელებს გასვლით შეხვედრებს რეგიონის სოფლებში ფერმერებთან, რომლებსაც მიმდინარე სახელწიფო პროგრამებს დაინტერესების შემთხვევაში უწევენ კონსულტაციებს მათივე მოთხოვნილ თემებზე.

სამმართველოდან მოპოვებული ინფორმაციაზე დაყრდნობით,მის საქმიანობაში შედის:

- სტიქიური მოვლენების შედეგების ანალიზი, შეფასება, კომისიებში და სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობა.

- რეგიონში ს/ს კოოპერაციის ხელისშეწყობა, ფერმერთათვის კოოპერატივების შექმნაში დახმარება, საგრანტო პროგრამებისა და საგადასახადო შეღავათების გაცნობა.
- სხვადასხვა ტრეინინგებისა და შეხვედრების ორგანიზება.

შიდა ქართლის რეგიონალური სამმართველოსა და მუნიციპალიტეტების საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის თანამშრომლები იყვნენ ჩართულნი 2013,2014, 2015, 2016 წლებში სეტყვით მიყენებული ზარალის აღწერის პროცესში, მუნიციპალიტეტის გამგეობების თანამშრომლებთან ერთად ადგენდნენ დაზარალებულ ფერმერთა სახელობით სიებს და აწვდიდნენ სოფლის მეურნეობის სამინისტროს შემდგომი რეაგირებისათვის.[15]

საერთაშორისო ორგანიზაცია „IFAD"-ი გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტირძნისში იწყებს პატარა ლიახვის ნაპირსამაგრ სამუშაოებს, რაც საკმაოდ დიდი დახმარება იქნება ზემოდ ხსენებული სოფლისათვის.

შიდა ქართლში მიმდინარე და განხორციელებული პროექტები სახელმწიფოს მიერ:[16]

- მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროგრამა
- შეღავათიანი აგრო კრედიტის პროექტი
- აგრო დაზღვევა
- დანერგე მომავალი
- აწარმოე საქართველოში
- გადამამუშავებელი შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი
- სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის პროექტი
- არასტანდარტული ვაშლის რეალიზაციის ხელშეწყობის პროგრამა

[15] შიდა ქართლის რეგიონალური სამმართველო
[16] გორის მუნიციპალიტეტი (სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი და განვითარების გეგმა)

„მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელისშეწყობის პროექტის“ ფარგლებში 2016 წელს 62,969 ბენეფიციარისთვის შიდა ქართლში გამოყოფილია 6,338,849 ლარის ღირებულების სარგებელი. 6.07.2016 მდგომარეობით შიდა ქართლში მოიხნა 22,183 ჰა მიწის ფართობი. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე გადაცვლილია 4,228,164 ლარის ღირებულების აგრო-ქულა

2016 წლის მაისში მოსული სეტყვის შედეგად გორისა და ქარელის მუნიციპალიტეტების 18178 ფერმერს, რომლებსაც ჯამში სეტყვამ დაუზიანა 10330 ჰა. ხეხილის ბაღი სეტყვის შემდგომი პროფილაქტიკური შეწამვლის ჩასატარებლად 1 ჰა ხეხილის ბაღზე დაერცხა 180 აგრო-ქულა, რაც ჯამურად შეადგენს 1,859,350 ლარის დახმარებას.

„სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოთა თანადაფინანსების პროექტის“ ფარგლებში ქარელსა და გორში დაფინანსდა 3 საწარმო ჯამური ღირებულებით1,445,800 ა.შ.შ. დოლარი. აქედან სახელმწიფო თანადაფინანსებაა 597,000 ა.შ.შ. დოლარი. პროექტ დანერგე მომავლის ფარგლებში 1100 ჰა. ინტენსიური და ნახევრად ინტენსიური ხეხილის ბაღები გაშენდა.[17]

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები

შიდა ქართლში ფუნქციონირებს 119 სხვადასხვა მიმართულების სასოფლო სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივი. რეგიონში დარეგისტრირებულმა 58 კოოპრატივმა კოოპერატივების განვითარების სააგენტოსაგან თანადაფინანსებით მიიღო 142 მოტობლოკი. სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის(„ENPARD“)-ის ფარგლებში რეგიონის 18-მა კოოპერატივმა მიიღო გრანტი მათი საქმიანობის მიხედვით რომელიც ჯამში შეადგენს მილიონ ლარზე მეტს.

[17] შიდა ქართლის რეგიონალური სამმართველო

რეგიონში არსებული პრობლემები მეხილეობის განვითარების კუთხით

იმისთვის რომ გამერკვია სოფლებში რა მდგომარეობა იყო მოვინახულე რამოდენიმე სოფელი გორის,კასპის და ქარელის რაიონებში.გავესაუბრე გლეხებს რომლებიც წლებია მეხილოებას მისდევენ.მათი უმრავლესობა საუბრობს არსებულ პრობლემებზე როგორიცაა სარწყავი სისტემების გაუმართავობა,მცენარეთა დაცვის საშუალებების სიძვირე,მოსავლის რეალიზაციის პრობლემებზე,სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარების არარსებობაზე.

როგორც დარგის სპეციალისტი ვანო ვარდანაშვილი განმარტავს ჩემთან საუბრისას ,შიდა ქართლში სამრეწველო მეხილეობის განვითარება დაკავშირებულია გასული საუკუნის 60-70-ისან წლებთან,როდესაც შიდა ქართლის (გორი,კასპი,ხაშური,ქარელი)სამაჩაბლოს(ცხინვალი,ზნაური)რაიონებში 50 000 ჰა ხეხილის ბაღების მაღალმოსავლიანი ნარგავები გაშენდა.აღსანიშნავია რომ მაშინდელი ბაღების ნაწილი დღემდე შემორჩენილია და მოქცეულია კერძო სექტორში.არსებული ბაღების მდგომარეობა საკმაოდ სავალალოა,რადგან დაბალმოსავლიანია,მეჩხერია,წარმოებული პროდუქცია კონკურენტუუნაროა როგორც ფასით ისე ხარისხით.უკანასკნელ წლებში ხილის სამრეწველო ბაღების ფართობები შიდა ქართლში შემცირდა 50 000 ჰა დან 30 000ჰა მდე,ხოლო ხილის წარმოება 250 000ტონიდან 150 000 ტონამდე.

ჩემს მიერ დასმულ კითხვაზე თუ რამ განაპირობა ადგილობრივ ხილზე მოთხოვნის შემცირება გამოცდილი აგრონომი იოსებ ხუროშვილი პასუხობს, რომ უკანასკნელ წლებში საქართველოში იმპორტირებულ ხილზე მზარდი მოთხოვნაა.რამაც ქართველი მეხილეები ახალი გამოწვევის წინაშე დააყენა.საჭირო შეიქმნა მეხილეობაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვა,რაც წინაპირობაა კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების და ადგილობრივ ბაზარზე იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლების.

წინა საუკუნეში რეგიონისათვის მონოკულტურა ვაშლი იყო.დღეს ასეთი პრინციპით დარგის განვითარება შეუძლებელია.უნდა გათვალისწინებული იყოს საექსპორტო

ბაზრის მოთხოვნები ,ამიტომ საჭიროა ვაშლთან ერთად გაშენდეს ატმის, მსხლის ,ქლიავის, ბლის, გარგარის საუკეთესო ჯიშები.

დარგის სპეციალისტი ვანო ვარდანაშვილი აღნიშნავს რომ შიდა ქართლში ამჟამად მინდინარეობს მსოფლიოში წამყვანი ჯიშების გაშენება.როგორიცაა ვაშლის ჯიშები:გოლდენ დელიშესი,რედ დელიშესი,ფუჯი,ჯონაგოლდი,გალა,აიდარიდი,.. ქლიავის საუკეთესო ჯიშები: იტალიური,უნგრული,პრეზიდენტი,ოტო ჯაინელო,ანჯელუნა. ყოველწლიურად შიდა ქართლში 1200-1500 ჰა ახალი თესლოვანი და კურკოვანი ბაღი შენდება.თანამედროვე ხეხილის ბაღების გაშენება შეუძლებელია სანერგე მეურნეობების აღორძინების გარეშე.

SWOT ანალიზი

ჩატარებული კვლევის,არსებული მასალების გაცნობის,რეგიონში არსებული ვითარების გაცნობის საფუძველზე შემიძლია ვთქვა, რომ მეხილეობას რეგიონში აქვს როგორც ძლიერი, ასევე სუსტი მხარეები. **ძლიერ მხარეებად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი:**

- რაიონის მდებარეობა, სიახლოვე ყველაზე დიდ ბაზართან - დედაქალაქთან;
- ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები;
- ნაყოფიერი ნიადაგები და მდიდარი წყლის რესურსები;
- აგროწარმოების, მეხილეობის მდიდარი ტრადიციები; იაფი მუშახელი;
- ეროვნული და რეგიონული მნიშვნელობის საგზაო ინფრასტრუქტურის არსებობა.

სუსტ მხარეებად შეიძლება მივიჩნიოთ:

- ადგილობრივი პროდუქციის სტანდარტებთან შეუსაბამიბა, სასურსათო უვნებლობის მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, მიწოდების სეზონურობა;
- აგრარული განათლების სიმწირე, კვალიფიციური სპეციალისტების ნაკლებობა;
- ფერმერთა შორის კოოპერატივების მოთხოვნის არარსებობა,
- მცირე მიწიანობა, კრედიტებზე ხელმიუწვდომლობა;
- სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე ლიზინგის სერვისის განუვითარებლობა;
- ნაკვეთებთან მისასვლელი შიდა გზების მოუწესრიგებლობა;
- პროდუქტების გადამამუშავებელი მრეწველობის განუვითარებლობა;

- კონფლიქტი და ოკუპირებული ტერიტორია;
- სარწყავი სისტემის გაუმართავობა.

საფრთხეები

- ადგილობრივი ფინანსური რესურსების სიმწირე;
- მოსახლეობის მსყიდველუნარიანობის დაბალი დონე;
- პოლიტიკური არასტაბილურობის გამო ინვესტიციების მოზიდვასთან დაბრკოლების შექმნა;
- საწარმოს გახსნისათვის არასაკმარისი თანხა;
- კატასტროფები (სეტყვა, გვალვა, ქარიშხალი და ა.შ);
- სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე კონკურენციის გამძაფრება რეგიონის სხვა ქვეყნების მხრიდან.

შესაძლებლობები

- აგროსაწარმოო ინფრასტრუქტურისა და სერვისების განვითარება;
- იმპორტის ჩანაცვლება ადგილობრივი წარმოებით;
- ფერმერთა ცოდნის ამაღლება;
- ბიოლოგიურად სუფთა აგრო წარმოების განვითარება;
- გრძელვადიანი და იაფი საკრედიტო რესურსების ხელმისაწვდომობა;
- სადაზღვევო სისტემის ამოქმედება;
- სარწყავი სისტემების რეაბილიტაცია და რწყვის ახალი მეთოდების დანერგვა;
- სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა.

დასკვნა და რეკომენდაციები

მეხილეობა შიდა ქართლის სოფლის მეურნეობის უძველესი და ძირითადი დარგია.რეგიონის მნიშვნელობა საქართველოს მასშტაბით განსაკუთრებით გამორჩეულია მეხილეობის თვალსაზრისით. ხილის უმეტესი სახეების წარმოების მიხედვით, შიდა ქართლის რეგიონი პირველ ადგილზეა ქვეყანაში.

შეიძლება ითქვას,რომ რეგიონში არსებობს უამრავი პრობლემა რაც ხელს უშლის დარგის განვითარებას.არსებული ვითარების გაცნობის შედეგად შესაძლებელია რომ გამოვყოთ ძირითადი მიზეზები თუ რატომ ვერ ხერხდება მეხილეობის აღორძინება რეგიონში და გავცეთ საკვლევ კითხვას პასუხი.ეს პრობლემები მდგომარეობს შემდეგში:

ფერმერთა განათლების დაბალი დონე; მეხილეობის დარგის სპეციალისტების ნაკლებობა; მცირეკონტურიანი და დანაწევრებული მიწის ნაკვეთები, დაურეგისტრირებელი ს/ს ნაკვეთები; საირიგაციო წყლის არარაციონალურად გამოყენება და სარწყავი სისტემის გაუმართავობა;სასოფლო სამეურნეო ინფრასტრუქტურის არარსებობა/გაუმართავობა;მცირე გადამამუშავებელი საწარმოების ნაკლებობა; ტექნიკის ნაკლებობა; სამაცივრე და შესანახი მეურნეობების ნაკლებობა; სეტყვისაგან სასოფლო სამეურნეო კულტურების დაცვის სისტემებისა და საშუალებების არარსებობა;სასოფლო სამეურნეო სავარგულების ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიისაგან დაცვის საშუალებების ნაკლებობა;სათესლე და სარგავ მასალაზე,პესტიციდებზე, სასუქებზე ხარისხის კონტროლის ნაკლებობა;ხარვეზები აგროდაზღვევის პროგრამის განხორციელებაში;აგროკრედიტის საბრუნავ საშუალებებზე გაცემის შეჩერება;

იმისთვის რომ,მოხდეს რეგიონში არსებული პრობლემების მოგვარება საჭიროა მოხდეს სახელმწიფოს აქტიური ჩარევა. კვლევამ აჩვენა დარგის განვითარებისთვის გადასადგმელი ნაბიჯები.ასე, რომ შესაძლებელია გამოვყოთ მეხილეობის დარგის განვითარებისთვის საჭირო ქმედებები რაც დღეისთვის აუცილებლობას წარმოადგენს.

მიმაჩნია, რომ პირველ რიგში უნდა მოხდეს შემდეგი რეფორმები დარგის განვითარებისთვის:

- ფერმერთა ცოდნის ამაღლება, ტრეინინგების ჩატარების გზით ინტენსიური ტექნოლოგიების და პრაქტიკული უნარჩვევების გაუმჯობესება;
- სოფლის მეურნეობს კვალიფიციური სპეციალისტების აღზრდა, ექსტენციის კიდევ უფრო განვითარება;
- სოფლების მიხედვით ბუნებრივ-კლიმატური პირობების და ფერმერთა გამოცდილების გათვალისწინებით კონკრეტულ სოფლებში პერსპექტიული დარგების განვითარების ხელისშეწყობა-სუბსიდირება;
- სახელმწიფოს დახმარება მიწის რეგისტრაციის კიდევ უფრო გამარტივებაში;

- მაგისტრალური და შიდა საირიგაციო ქსელების მოწესრიგება, ფერმერთათვის საირიგაციო სისტემების მოწყობაში დახმარება(თანადაფინანსება);
- სისტემის რეაბილიტაციისათვის საჭიროა ხურვალეთის სატუმბი სადგურის მოდერნიზაცია, სატუმბი სადგურიდან ნადარბაზევის ტბამდე მაგისტრალის შეცვლა, შიდა არხების აღდგენა და ტბაში წყლის გადაქაჩვა.
- სასოფლო სამეურნეო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, შიდა გზების მოწყობა.
- სახელმწიფოს მხრიდან მცირე გადამამუშავებელ საწარმოების შექმნა/გადაიარაღებაში ხელშეწყობა;
- ფერმერთათვის და იურიდიული პირებისათვის ტრაქტორების და ს/ს ტექნიკის ლიზინგით, უზურფუქტით და თანადაფინანსებით გადაცემა.
- „გადამამუშავებელ და სამაცივრე საწარმოთა თანადაფინანსების პროექტში ცვლილებების შეტანა“, მინიმალური სავალდებულო მოცულობის დაწევა
- აგროტურიზმისათვის ინფრასტრუქტურის შექმნა;
- სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების დამონტაჟება, ინტენსიურ ბაღებში სეტყვისაგან დამცავი ბადეების მოწყობაში დახმარება
- ქარსაცავი და ნაპირსამაგრი ინფრასტრუქტურის შექმნა;
- პესტიციდებზე, მინერალურ სასუქებზე, სარგავ და სათესლე მასალის ხარისხზე კონტროლის გამკაცრება;
- აგროდაზღვევის პროექტში დაზიანებული ხილის ხარისხის დაზღვევის გათვალისწინება;

ყოველწლიურად შიდა ქართლში ახალი თესლოვანი და კურკოვანი ბაღი შენდება.თანამედროვე ხეხილის ბაღების გაშენება შეუძლებელია სანერგე მეურნეობების აღორძინების გარეშე.ბოლო პერიოდში ამ მიმართულებით სოფლის

მეურნეობის სამინისტროს მიერგადადგმულია გარკვეული ნაბიჯები,შექმნილია სანერგე მეურნეობები,რომლებიც ხარისხიანი ნერგებით ამარაგებენ მოსახლეობას და ფერმერებს.მიმდინარეობს მეხილეობაში პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვა,მოწინავეთა გამოცდილების გაზიარება,ფერმერთა სწავლება, კონსულტაციები,ტრენინგები.ფერმერები და მოსახლეობა ითვისებს ხეხლილის სხვლა-ფორმირებას,ნიადაგის დამუშავების და მცენარეთა დაცვის მეთოდებს.

მნიშვნელოვანია, არსებული საირიგაციო სისტემების ნაცვლად, დაინერგოს თანამედროვე, ეკონომიური სარწყავი სისტემები, რომლებიც წარმატებით გამოიყენება ინტენსიურ სოფლის მეურნეობაში მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში და ერთეულ ქართულ ფერმერულ მეურნეობებში. ისინი, იმავდროულად, სისტემაში მოხმარებული რესურსების დაზოგვისა და მათი ეფექტურად გამოყენების საშუალებას მოგვცემენ. არსებული საირიგაციო სისტემების უდიდესი ნაწილი მწყობრიდანაა გამოსული, მათი აღდგენა კი ძვირი ჯდება და თანაც, ხშირად, ექსპლუატაციის სიძვირის გამო, ვეღარ აკმაყოფილებს საბაზრო წარმოების პირობებს. სიტუაციას ამძაფრებს კონფლიქტის რეგიონიდან წყლის მიწოდებასთან შექმნილი სირთულეებიც.

წინა საუკუნეში ხილის მოსავლის რაოდენობას რადგან მთლიანი მოსავლის რეალიზაცია შეუფერხებლად მიმდინარეობდა რუსეთის ბაზარზე და საკონსერვო მრეწველობაში,ამჟამად ყურადღება ექცევა ხარისხს,რადგან უხარისხო ხილის გასაღება ჭირს როგორც შიდა ბაზარზე ისე საექსპორტოდ.

შიდა ქართლის მეხილეობას დიდი ისტორია გააჩნია და დარგის განვითარებისთვის ყოველივე ზემოთ აღნიშნულს დიდი მნიშვნელობა აქვს.

გამოყენებული ლიტერატურა

1) https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90_%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94

2)˜ http://geostat.ge/regions/

3) მეხილეობა აღმოსავლეთ საქართველოში- დ.პავლიაშვილი
(თბილისი 1962)

4) http://gov.ge/files/275_38364_967251_136417.09.13–1.pdf

5) [1] http://census.ge/files/results/agriculture/Agricultural_Census_2014.pdf

6) სოფლის მეურნეობის შიდა ქართლის რეგიონალური სამმართველო

7)გორის მუნიციპალიტეტი (სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი და განვითარების გეგმა)2011

დანართი

შიდა ქართლის რუკები

ჯავა
ქერთა
ჯანელი
ხაშური
გორი
ჯასპი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გიორგი ქოთოლაშვილი

თბილისის შიდასაქალაქო ტრანსპორტის შექმნისა და განვითარების ეკონომიკურ-გეოგრაფიული თავისებურებანი

საზოგადოებრივი გეოგრაფია

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საზოგადოებრივი გეოგრაფიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: **მარინე ბოკერია**
ასოცირებული პროფესორი, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი 2017

ანოტაცია

საქართველოს დედაქალაქი-თბილისი ეკონომიკურ-გეოგრაფიული შესწავლის მეტად საინტერესო და რთული ობიექტია. ქალაქი თავისებური ცოცხალი ორგანიზმია და მისი ცხოვრების სხვადასხვა მხარე მჭიდრო ურთიერთაკვშირშია ერთმანეთთან. უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე არსებითი ცვლილებები მოხდა თბილისის ზრდა-განვითარებაში. ცვლილებები შეეხო, პირველ ყოვლისა მოსახლეობის რაოდენობას, ტერიტორიულ გაფართოებას და განსაკუთრებით შიდასაქალაქო ტრანსპორტს, რომელიც საქალაქო ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ელემენტია.

ნაშრომის მთავარი **მიზანია** შესწავლილ იქნას 1. შიდასაქალაქო ტრანსპორტის როლი ქალაქის ცხოვრების ნორმალურ ფუნქციონირებაში, რადგან ტრანსპორტის ცუდი ორგანიზება და ექსპლოატაცია უარყოფითად მოქმედებს ადამიანთა საერთო საქმიანობაზე. 2. თბილისის შიდასაქალაქო ტრანსპორტის განვითარების ისტორიული მიმოხილვა. 3. ქალაქის შიდაკავშირების დამყარებაში მონაწილე სხვადასხვა სახეობის სატრანსპორტო საშუალებების ურთიერთქმედება და თითოეული მათგანის როლი თბილისში მგზავრთა გადაყვანაში. 4. არსებული პრობლემები, რომლებიც დგას თბილისის შიდატრანსპორტის წინაშე: განსაკუთრებით მწვავედ დგას სატრანსპორტო ნაკადების რეგულირების საკითხი ქალაქის ცენტრალურ უბნებში, სადაც მოძრაობის ინტენსიურმა ზრდამ შესაძლოა მისი პარალიზება გამოიწვიოს. 4. თბილისის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმით გათვალისწინებული შიდასატრანსპორტო მომსახურების და ორგანიზაციის სრულყოფის პერსპექტიული განვითარების პროგრამების და პროექტების გაცნობა.

თემის აქტუალობა - თბილისი თავისი ადგილმდებარეობით და საერთოდ, ბუნებრივ გეოგრაფიული პირობებით ტრანსპორტისთვის „მოუხერხებელი“ ქალაქია. რაც დრო გადის, მით უფრო მეტი სიძნელეები იქმნება ქალაქის სატრანსპორტო მომსახურებაში. თბილისის ქუჩების ნაწილი თანამედროვე ტრანსპორტისთვის ვიწრო და შეუფერებელი

ხდება. აქედან გამომდინარე, ქუჩებისა და საგზაო ქსელის დაპროექტება-მშენებლობა და ტრანსპორტის განვითარება თბილისისთვის მეტად აქტუალურია.

კვლევის ობიექტია საქართველოს დედაქალაქი - თბილისი.

კვლევის საგანია - შიდასაქალაქო ტრანსპორტის როლი ქალაქის ფუნქციონირებაში. **კვლევის ამოცანაა** - გამოიკვეთოს თბილისის საქალაქო ტრანსპორტის არსებული მდგომარეობა, გამოვლინდეს მთავარი პრობლემები, რომლებიც აფერხებს ქალაქის ნორმალურ განვითარებას და იწვევს ეკოლოგიური პირობების გაუარესებას. არსებული მასალებისა და კვლევების საფუძველზე დაისახოს მათი მოგვარების პერსპექტივები.

Giorgi Kotolashvili

"Economic and Geographic Trends of Foundation and Development of Tbilisi City Public Transport"

Annotation

The capital of Georgia – Tbilisi is a very interesting and difficult object of economic-geographical study. The city itself is a living organism and various parts of its life have close relationship to one another. In recent decades, substantial changes have been occurred for growth and development of Tbilisi. First of all, the changes have referred to the number of population, territory expansion and especially internal transport, that is an important element for urban life.

The main purpose of this Master thesis – "Economic and Geographic Trends of Foundation and Development of Tbilisi City Public Transport" by Giorgi Kotolashvili (G. Kotolashvili) is to study: 1. The role of internal transport in the normal functioning of the city's life, as bad organization and exploitation of transport negatively affect general activities of human beings. 2. Historical review of internal transport development in Tbilisi. 3. Interaction of different types of vehicles participating for establishment of interconnections in the city and the role of each of them for passengers' transportation in Tbilisi. 4. Current problems facing to internal transport of Tbilisi: the most problematic issue is regulating of traffic flow in the central districts of the city where the intensive growth of traffic movement may cause paralyzing of it. 5. Introduction of promotional development programs and projects for improvement of internal transport services and organization of the Tbilisi economic and social development plan. Service of internal transportation and introduction of projects and perspective development of programs for improvement of organization envisaged through the economic and social development plan of Tbilisi.

Theme actuality - Tbilisi is a "inconvenient" city for transport with its location and natural geographical conditions. As time passes, the more difficulties arise in the city transportation service. Part of Tbilisi streets are narrow and inappropriate for modern transport. Consequently,

the design and construction of streets and road networks, also development of transport is very important for Tbilisi.

The object of research is a capital of Georgia – Tbilisi.

The subject of research - he role of dinternal transport in city functioning.

The task of research – to underline current circumstance of urban transport in Tbilisi, to reveal main problems, that hinder the normal development of the city and cause to deterioration ecological conditions. Based on existing materials and researches, the prospects of their solution will be defined.

სარჩევი

შესავალი.....7

თავი 1. ისტორიული მიმოხილვა.....9

თავი 2. მეტროპოლიტენი.....15

2.1. არსებული მდგომარეობა და პოტენციალი.....15

2.2. მეტროპოლიტენში მგზავრნაკადების მოზიდვის სტრატეგია.....21

2.3. მეტროპოლიტენის ქსელის სივრცითი განვითარება.....26

2.4. მეტროპოლიტენში კომფორტის დონის ამაღლება.....34

თავი 3. ტრანსპორტის სხვა სახეობები.....42

3.1. მუნიციპალური ავტობუსები.....42

3.2. ტროლეიბუსი და ტრამვაი.....46

3.3. საბაგიროები.....54

3.4. ველოტრანსპორტი..... 57

თავი 4. საგზაო ინფრასტრუქტურა.....60

დასკვნა.....65

გამოყენებული ლიტერატურა.....68

დანართი.....72

შესავალი

საქართველოს დედაქალაქი-თბილისი ეკონომიკურ-გეოგრაფიული შესწავლის მეტად საინტერესო და რთული ობიექტია. ქალაქი თავისებური ცოცხალი ორგანიზმია და მისი ცხოვრების სხვადასხვა მხარე მჭიდრო ურთიერთაკვშირშია ერთმანეთთან. უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე არსებითი ცვლილებები მოხდა თბილისის ზრდა-განვითარებაში. ცვლილებები შეეხო, პირველ ყოვლისა მოსახლეობის რაოდენობას, ტერიტორიულ გაფართოებას და განსაკუთრებით შიდასაქალაქო ტრანსპორტს, რომელიც საქალაქო ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ელემენტია.

ნაშრომის მთავარი **მიზანია** შიდასაქალაქო ტრანსპორტის როლის შესწავლა ქალაქის ცხოვრების ნორმალურ ფუნქციონირებაში, რადგან ტრანსპორტის ცუდი ორგანიზება და ექსპლოატაცია უარყოფითად მოქმედებს ადამიანთა საერთო საქმიანობაზე. საინტერესოა ასევე თბილისის შიდასაქალაქო ტრანსპორტის განვითარების ისტორიაც. მნიშვნელოვანია ქალაქის შიდაკავშირებში ტრანსპორტის როლის კვლევა და სხვადასხვა სახეობის ტრანსპორტის ურთიერთავსებადობა. საინტერესოა ისეთი პრობლემების კვლევაც, როგორიცაა სატრანსპორტო ნაკადების რეგულირების საკითხი ქალაქის ცენტრალურ უბნებში, სადაც მოძრაობის ინტენსიურმა ზრდამ შესაძლოა მისი პარალიზება გამოიწვიოს. ნაშრომის კიდევ ერთი მიზანია იმ პროექტების და გეგმების გაცნობა, რაც ხორციელდება, მომავალშია დაგეგმილი, ან პოტენციურად შეიძლება რომ როდესმე განხორციელდეს ტრანსპორტის სფეროს გაუმჯობესებისა და სრულყოფისთვის.

ტრანსპორტი თითოეული ჩვენგანის ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია, შესაბამისად **თემა საკმაოდ აქტუალურია**. თბილისი თავისი ადგილმდებარეობით და საერთოდ, ბუნებრივ გეოგრაფიული პირობებით ტრანსპორტისთვის „მოუხერხებელი“ ქალაქია. დროთა განმავლობაში სულ უფრო მეტი სიძნელე იქმნება ქალაქის სატრანსპორტო მომსახურებაში. თბილისის ქუჩების ნაწილი თანამედროვე ტრანსპორტისთვის ვიწრო და შეუფერებელი ხდება. აქედან გამომდინარე, ქუჩებისა და საგზაო ქსელის დაპროექტება-მშენებლობა და ტრანსპორტის განვითარება თბილისისთვის მეტად აქტუალურია. **კვლევის**

ობიექტია საქართველოს დედაქალაქი - თბილისი. **კვლევის საგანია** - შიდასაქალაქო ტრანსპორტის როლი ქალაქის ფუნქციონირებაში. **კვლევის ამოცანაა** - გამოიკვეთოს თბილისის საქალაქო ტრანსპორტის არსებული მდგომარეობა, გამოვლინდეს მთავარი პრობლემები, რომლებიც აფერხებს ქალაქის ნორმალურ განვითარებას და იწვევს ეკოლოგიური პირობების გაუარესებას. არსებული მასალებისა და კვლევების საფუძველზე დაისახოს მათი მოგვარების პერსპექტივები.

ამასთან, ტექსტს თან ახლავს საინტერესო სტატისტიკური და საილუსტრაციო მასალა, რაც უფრო მრავალფეროვანს ხდის ნაშრომს. ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოვიყენე კვლევის რამდენიმე მეთოდი. კერძოდ, ნაშრომის ძირითად წყაროდ გამოყენებულია თბილისის სატრანსპორტო კომპანიის, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების მიერ მომზადებული ანგარიშები და დოკუმენტები, შესაბამისად, გამოვიყენე *სალიტერატურო მეთოდი.* ნაშრომში წარმოდგენილია მდიდარი სტატისტიკური მასალა, ამიტომ გამოვიყენე *სტატისტიკური მეთოდი.* ასევე, ნაშრომში წარმოდგენილი რამდენიმე რუკა შექმნილია პროგრამა გის-ში (გეოინფორმაციული სისტემები), აქედან გამომდინარე, გამოვიყენე *კარტოგრაფიული მეთოდი.*

რაც შეეხება სიახლეს, მიგვაჩნია, რომ მსგავსი ტიპის კვლევა, სადაც კომპლექსურად იქ-ნებოდა განხილული და გაანალიზებული თბილისის შიდასაქალაქო ტრანსპორტის ყველა სახეობის არსებული მდგომარეობა, პრობლემები და პერსპექტივები, აქამდე არ შექმნილა (სამთავრობო და სხვა დოკუმენტები, რომლებიც ძირითად წყაროდ მაქვს გამოყენებული ნაშრომში, მხოლოდ აღწერილობითი ხასიათისაა). ამიტომ აღნიშნული ნაშრომი შეიძლება საინტერესო წყარო გახდეს მომავალში თბილისის ტრანსპორტის კვლევით დაინტერესებული პირებისთვის.

სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა შედგება ანოტაციის (ქართულ და ინგლისურ ენებ-ზე), შესავლის, 4 თავის, 8 ქვეთავისა და დასკვნისგან, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალით და დანართით 76 გვერდზე.

თავი 1. ისტორიული მიმოხილვა

თბილისი საქართველოს დედაქალაქი და ყველაზე დიდი ქალაქია. 1922–1936 წლებში ასევე იყო ამიერკავკასიის სფსრ დედაქალაქი; მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისის ქვაბულში, მდინარე მტკვრის ორივე სანაპიროზე, ზღვის დონიდან 380–600 მ სიმაღლეზე, ჩრდილოეთით ესაზღვრება საგურამოს ქედის სამხრეთი მთისწინეთი, აღმოსავლეთით — ივრის ზეგნის ჩრდილო-დასავლეთი მონაკვეთი, დასავლეთით და სამხრეთით კი — თრიალეთის ქედის განშტოებები. ქალაქს 720 კმ² ფართობი უჭირავს და 1 108 717 (2014) მცხოვრები ჰყავს.

თბილისი კავკასიის რეგიონის მნიშვნელოვანი ინდუსტრიული, სოციალური და კულტურული ცენტრია და ბოლო დროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო კვანძი ხდება გლობალური ენერგომატარებლებისა და სავაჭრო პროექტებისთვის (მაგ: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი და ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი). ქალაქი ისტორიული აბრეშუმის დიდი გზის ერთ-ერთ მარშრუტზე მდებარეობს და მნიშვნელოვანი სავაჭრო-სატრანზიტო ცენტრის პოზიცია უჭირავს რუსეთის ჩრდილო კავკასიას, თურქეთსა და სამხრეთ კავკასიურ სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების გადაკვეთაზე სტრატეგიული მდებარეობით. ამ თავში მოკლედ განვიხილავ თბილისის შიდასაქალაქო ტრანსპორტის განვითარების ისტორიას.

მე-19 საუკუნის პირველ ნახევრამდე თბილისში გადასაადგილებლად და ტვირთის გადასატანად სხვადასხვა საშუალებებს იყენებდნენ, ადამიანის ძალით დაწყებული და მდინარით დამთავრებული. ვინაიდან ქალაქი დიდი ხნის განმავლობაში, მხოლოდ საკუთარი გალავნის ფარგლებში ვითარდებოდა, არ იყო დიდი და მასიური ტრანსპორტის არსებობის საჭიროება. **ურემი, ჩარდახი, სახედარი, ცხენი და აქლემების ქარავანი** წარმოადგენდა ძირითად შიდა და გარე ტრანსპორტს. მტკვარზე ხშირად ხილით დატვირთული **ტივები** ცურავდა, მათ საგანგებო სადგომები ქონდათ, ე.წ. სატივოები.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან თბილისში მგზავრთა გადაყვანა ძირითადად **ეტლებით** ხდებოდა და მათში ყველაზე გამორჩეული იყო **„დროშკა“**. ბარონი ტორნაუ წერდა "დროშკები გამწკრივებულნი იდგნენ შუა ბაზარში, მადათოვის მოედანზე. ტფილისის მედროშკენი ისე დააქროლებდნენ თავიანთ ცხენებს, რომ გამვლელებს შიშის ზარს სცემდნენ". 1870 წლისთვის 439 ორცხენიანი და 117 ერთცხენიანი ეტლი და 672 საზიდარი მოძრაობდა ქალაქში.

თბილისის ფართობისა და მოსახლეობის ზრდასთან ერთად ქალაქის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ თბილისში შექმნილიყო საცხენოსნო რკინიგზა, ანუ ე.წ. **კონკა**.

პიველი კონკა ქალაქში 1883 წლის 10 მარტს გამოჩნდა და მან, დავით აღმაშენებლის გამზირის (მაშინდელი მიხეილის ქუჩის) გავლით, რკინიგზის სადგური და დღევანდელი ზაარბრიუკენის მოედანი დააკავშირა ერთმანეთთან. შემდგომში მარშრუტი გაგრძელდა დღევანდელ თავისუფლების მოედნამდე, მოგვიანებით კი რუსთაველის გამზირი და ვერის ნაწილი მოიცვა, საიდანაც ვერის ხიდის გავლით მარჯანიშვილის ქუჩაზე მიდიოდა. ვინაიდან იმ დროს საგანგებო გაჩერებები დაწესებული არ იყო, თითოეულ ვაგონს დაჰყვებოდა კონდუქტორი, რომელიც მგზავრების მოთხოვნით აჩერებდა ვაგონს. 1899 წელს თბილისში კონკის 22,4 კილომეტრი ლიანდაგი იყო გაყვანილი. კონკამ 1910 წლამდე იარსება.

თბილისი ვითარდებოდა, ცხოვრების ტემპიც მატულობდა, შესაბამისად ქალაქის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა ცხენის ძალა ელექტროენერგიით ჩაენაცვლებინა და ტრამვაის მოდერნიზება მომხდარიყო.

1904 წელს დაიწყო **ელექტრო ტრამვაის** მშენებლობა, რომელიც ბელგიურმა კომპანიამ განახორციელა და გარკვეული პერიოდით ტრამვაის ექსპლოატაციაც მათი მოვალეობა იყო. 1904 წლის 25 დეკემბერს ამოქმედდა ელექტრო ტრამვაი, რომლის ლიანდაგის სიგანე 1000 მილიმეტრი იყო. 1910 წელს კი „კონკამ", რომლის ლიანდაგის სიგანე 914 მმ. იყო, ფუნქციონირება შეწყვიტა.

ტრამვაის როლი საქალაქო გადაადგილებაში განსაკუთრებით გაიზარდა საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ. 1930 - იან წლებში თბილისის ცენტრი მის ახლად გაშენებულ რაიონებს ტრამვაითაც დაუკავშირდა. მნიშვნელოვანია, რომ 1940 წელს თბილისში ტრამვაიმ რეკორდული რაოდენობის მგზავრი გადაიყვანა - 194 მილიონი. მოგვიანებით ტრამვაის როლი საქალაქო ტრანსპორტში დაკნინდა, რაც ახალი ტიპის ტრანპორტის დანერგვით იყო განპირობებული. მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირის არსებობამდე მას მეტნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა და წლიურად მინიმუმ 50 მილიონი მგზავრი მაინც გადაჰყავდა. 1985 წლისათვის ქალაქის ტრამვაის ქსელი 100 კილომეტრსაც კი აჭარბებდა. ტრამვაის გაუფასურება 1990-იანი წლებიდან იწყება და საბოლოოდ 2006 წელს მისი გაუქმებით დამთავრდა.

1933 წელს თბილისის საზოგადოებრივ სატრანსპორტო სისტემას **ავტობუსიც** დაემატა. მიუხედავად იმისა, რომ საწყის ეტაპზე, დღეში ხაზზე მხოლოდ 5 ავტობუსი მოძრაობდა და მისი სიგრძე დაახლოებით 10 კილომეტრი იყო, პირველივე წელს მგზავრთა რაოდენობამ 1 200 000-ს მიაღწია. მომდევნო წლებში ქსელის სრულყოფასთან ერთად იზრდებოდა მგზავრთა რაოდენობაც - 1970 წელს მათთმა რიცხვმა 125 მილიონს გადააჭარბა, მომდევნო ათ წელიწადში კი თითქმის 100 მილიონით გაიზარდა. ამ ყველაფრის მიზეზი კი დინამიურად მზარდი თბილისის მოსახლეობა და ფართობი იყო. თუ 1933 წელს თბილისის მოსახლეობა მხოლოდ 314 000 ადამიანს შეადგენდა 1980 წელს მათმა რიცხვმა 1 მილიონს გადააჭარბა. ***(იხ. დანართი. სურათი №1)***

ტროლეიბუსი თბილისში 1937 წლიდან გამოჩნდა, მისი ამოქმედებისა და მარშრუტების დასახვის შესახებ გადაწყვეტილება კი ჯერ კიდევ 1934 წელს იყო მიღებული, თბილისის პირველი გენერალური გეგმის შედგენასთან ერთად. ტროლეიბუსის ხაზის სიგრძე მისი გახსნის წელს 15-მდე კილომეტერს შეადგენდა და 80-იანი წლების ბოლოსთვის 95-მდე გაიზარდა. ამას რა თქმა უნდა ტროლეიბუსთა რიცხვის ზრდაც მოჰყვა. ტროლეიბუსის საერთო წილი მგზავრთა გადაყვანაში თითქმის არასოდეს არ ყოფილა 20%-ზე მეტი. უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე დიდი კონკურენცია მას, მაინც ტრამვაისთან ჰქონდა, რის

შედეგადაც, მან შეძლო ცენტრალური ქუჩებიდან ტრამვაის განდევნა. აღსანიშნავია, რომ 90-იან წლებში მეტროსთან ერთად, ტროლეიბუსი ერთადერთი რეალურად მოქმედი საზოგადოებრივი ტრანსპორტი იყო. ტროლეიბუსებმა არსებობა 2006 წელს შეწყვიტეს.

თბილისი თავისი მდებარეობით, რელიეფითა და ფორმით, არ იძლევა იმის საშუალებას, რომ სატრანსპორტო კომუნიკაციების დიდი ნაწილი მიწის ზემოთ განლაგდეს. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რამაც თბილისში **მეტროპოლიტენის** იდეის განხორციელებას შეუწყო ხელი. 1951 წლის 29 სექტემბერს, ყოფილი საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით მიღებული იქნა გადაწყვეტილება თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობის შესახებ.

1952 წელს ჩამოყალიბდა თბილისის მეტრომშენის სამმართველო. 1953 წელს დაიწყო გადასარბენი გვირაბებისა და პირველი შახტების მშენებლობა. მშენებლობას სათავეში ჩაუდგა მოსკოვის მეტროს ერთ-ერთი მშენებელი, ინჟინერი **შალვა დანელია.**

პირველი **საბაგირო გზა** თბილისში 1957 წელს შეიქმნა და მან რუსთაველის გამზირი მთაწმინდის პარკთან დააკავშირა. საბაგირო გზის სიგრძე 906 მეტრს შეადგენდა, რომელზეც ორი, 25 ადგილიანი ვაგონი, 6 მეტრ/წამის სიჩქარით მოძრაობდა. 1966 წელს გაიხსნა 1140 მეტრიანი საბაგირო გზა ვაკესა და კუს ტბას შორის. ვახუშტის ხიდის გახსნამდე საბაგირო მიმოსვლა ასევე ფუნქციონირებდა დიდუბესა და საბურთალოს შორის.

სულ 90-იანი წლების დასაწყისამდე თბილისში 5 ფუნქციონირებადი საბაგირო გზა არსებობდა, რომელთაგანაც ბოლო სამგორსა და ვაზის უბანს შორის გაიხსნა 1986 წელს. საბაგირო მიმოსვლა ასევე იყო საბურთალო (ნუცუბიძის ქუჩა) - ლისის ტბასა და უნივერსიტეტის მაღლივ კორპოსსა და ბაგების საერთო საცხოვრებელს შორის.

მეტრო ოფიციალურად **1966 წლის 11 იანვარს** გაიხსნა და 6 სადგურისაგან შედგებოდა ("დიდუბე", "ელექტროდეპო", "ოქტომბერი" (შემდგომში "ნაძალადევი"), "ვაგზლის მოედანი", "მარჯანიშვილი" და "რუსთაველი"), ხოლო მისი სიგრძე 6.5 კილომტრს

შეადგენდა. მეტროპოლიტენის ამოქმედება მართლაც მნიშნველოვანი მოვლენა იყო არა მარტო ქალაქის ადმინისტრაციისათვის, არამედ მისი მოსახელობისთვისაც.

1967 წლის 7 ნოემბერს გაიხსნა მეტროპოლიტენის სამი სადგური: სად. „თავისუფლების მოედანი" (ძველი "ლენინის მოედანი"), სად. „ავლაბარი" (ძველი "26 კომისარი") და სად. "300 არაგველი". 1971 წლის 10 მაისს გაიხსნა მეტროპოლიტენის კიდევ ორი სადგური: სად. „ისანი" და სად. „სამგორი".

1979 წლის სექტემბერში ექსპლუატაციაში შევიდა მეტროპოლიტენის მეორე ხაზი 5,8 კილომეტრი სიგრძით რომელმაც სადგურის მოედანი საბურთალოს რაიონთან დააკავშირა.

1985 წლის 7 ნოემბერს გაიხსნა: სად. ”ღრმაღელე” და სად. ”გურამიშვილი” (ყოფილი „თემქა“). 1985 წლის 9 დეკემბერს გაიხსნა სად. „ვარკეთილი“. 1989 წლის 15 იანვარს თბილისის მეტროპოლიტენს კიდევ ორი სადგური შეემატა: სად. ”სარაჯიშვილი” და სად. ”ახმეტელის თეატრი”. დამოუკიდებლობის აღდგენისა და 90-იანი წლების მოვლენების შემდეგ მეტროს მძიმე დრო დაუდგა, თუმცა მიუხედავად ამისა, 2000 წლის 3 აპრილს გაიხსნა სადგური „ვაჟა-ფშაველა". ეს იყო პირველი შემთხვევა დამოუკიდებელ საქართველოში. ამის შემდეგ მნიშვნელოვანი ეტაპი იყო 2005 წელი, როდესაც დაიწყო მეტროს ვაგონების სრული განახლება. ახალი ვაგონები თითქმის სრულად შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს, გაზრდილია მგზავრთა კომფორტი და უსაფრთხოება.

2006 წელს კაპიტალურად გარემონტდა და განახლდა ოთხი მეტროსადგური: „თავისუფლების მოედანი“, „ავლაბარი“, „ისანი“ და „წერეთელი“. 2007 წელს კაპიტალურად გარემონტდა და განახლდა კიდევ სამი სადგური: „ახმეტელის თეატრი“, „ნაძალადევი“ და „ვარკეთილი“.

2009 წელს მოხდა მნიშვნელოვანი მოვლენა თბილისის ტრანსპორტის ისტორიაში. შპს „თბილისის მეტრო“-ს, რომელიც 1966 წლიდან, მეტროპოლიტენის პირველი მონაკვეთის გახსნის დღიდან ოპერირებს და რომლის 100%-იანი წილის მფლობელიც თბილისის მერიაა, საკუთრებაში გადაეცა მუნიციპალური ავტობუსები და მასთან დაკავშირებული

უძრავი ქონება-სამი ავტოპარკი. გაერთიანებულ კომპანიას კი **„თბილისის სატრანსპორტო კომპანია“** ეწოდა.

2010 წელს კაპიტალურად გარემონტდა და განახლდა კიდევ ერთი მეტროსადგური- „დიდუბე“

2011 წელს თბილისის მერიამ ავტობუსების გაჩერებებზე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ელექტრონული მაჩვენებლების მონტაჟი დაიწყო. პირველ ეტაპზე ქალაქში 20 მაჩვენებელი დამონტაჟდა. აგვისტოს ბოლომდე კი მგზავრებით ყველაზე მეტად დატვირთულ 450 გაჩერებაზე მოსახლეობას შესაძლებლობა ჰქონდა ზუსტად განესაზღვრა სასურველი მარშრუტი და გაეგო ავტობუსის მოსვლის დრო. ელექტრონული ტაბლოები ონლაინ რეჟიმში მუშაობენ და მგზავრებს აბსოლიტური სიზუსტით აწვდიან ინფორმაციას, თუ რამდენ წუთში მოვა მათთვის სასურველი ავტობუსი.

2012 წლის 26 ივნისიდან, ქალაქის საზოგადოებრივ ტრანსპორტს რიყის პარკისა და ნარიყალას ციხესიმაგრის ერთმანეთთან დამაკავშირებელი საბაგირო გზა შეემატა, რომელიც აღნიშნულ ტერიტორიებს ერთმანეთთან უმოკლეს დროში აკავშირებს. საბაგიროს გახსნით „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“-ს ტრანსპორტის ახალი სახეობა შეემატა, მეტროსა და ავტობუსების შემდეგ. საბაგირო საერთაშორისო სტანდარტების დაცვით აშენდა და სრულად აკმაყოფილებს უსაფრთხოების ევროპულ ნორმებს. რიყე-ნარიყალას საბაგირო გზის სიგრძე 500 მეტრია და ის 7 გონდოლას მოიცავს. თითოეული მათგანი შემინულია, ხოლო ერთ-ერთი სრულიად გამჭირვალეა, რაც მას ორიგინალობას მატებს. საბაგირო ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოთხოვნებისთვის.[1]

[1] თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ოფიციალური ვებ-გვერდი
ბმული: http://ttc.com.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=56#

თავი 2. მეტროპოლიტენი

ამ თავში ვისაუბრებ თბილისის მეტროპოლიტენის შესახებ: როგორია არსებული მდგომარეობა, რა პროექტები მიმდინარეობს ამჟამად, კიდევ რისი გაკეთება იგეგმება და რისი გაკეთებაა შესაძლებელი იმისთვის, რომ გაიზარდოს მეტროს პოპულარიზაცია და მგზავრნაკადები მიწისზედა ტრანსპორტიდან მეტროსკენ გადმოერთოს, რათა მიწისზედა ტრანსპორტი შედარებით გამოთავისუფლდეს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია თბილისის სატრანსპორტო სისტემისთვის.

2.1 არსებული მდგომარეობა და პოტენციალი

თბილისის მეტროპოლიტენი გაიხსნა 1966 წელს. დღეს მისი ქსელი ორი ხაზისაგან შედგება, რომელთაგან პირველზე განლაგებულია 16, მეორეზე კი (საბურთალოს ხაზზე) – 6 სადგური. 2017 წლის ზაფხულში იგეგმება საბურთალოს ხაზზე მეშვიდე სადგურის გახსნა, რის შემდეგაც ორივე ხაზის საექსპლუატაციო სიგრძე მიაღწევს 28 კმ-ს. მეტროპოლიტენის 100% წილი თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია და მის მენეჯმენტს ახორციელებს თბილისის სატრანსპორტო კომპანია.

ამჟამად, სხვადასხვა წყაროების მიხედვით, მეტროპოლიტენს თბილისის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანაში 19-დან 29 პროცენტამდე[2] წილი უჭირავს. ემსახურება რა საშუალოდ 289 ათას მგზავრს, ყოველდღიურად, გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობით მეტროპოლიტენი იკავებს მესამე ადგილს სამარშრუტო ტაქსებისა და მუნიციპალური ავტობუსების შემდეგ, თბილისის საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემაში. ***(იხ. დანართი. სურათი №2)***

[2]ქ. თბილისისი შინდამეურნეობებს სატრანსპორტო კვლევის განხორციელების საკონსულტაციო მომსახურება, საპრეზენტაციო მასალა, SYSTRA, თბილისი, 28 სექტემბერი, 2016 და თბილისი მდგრადი ურბანული ტრანსპორტის სტრატეგია – დეკემბერი 2015.

2009 წლიდან მეტროპოლიტენით გადაყვანილ მგზავრთა საშუალო წლიური რაოდენობა წელიწადში საშუალოდ 5%-ით იზრდება. ამავდროულად, 1988 წლიდან 2016 წლამდე მეტროპოლიტენის მიერ გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა შემცირებულია 54 % ით (447-დან 289 მლნ. მგზავრობამდე დღეში), იმ დროს, როდესაც დაახლოებით იმავე პერიოდში, 1989-დან 2016 წლამდე, თბილისის მოსახლეობა შემცირდა მხოლოდ 14 % ით (1.26 მლნ-დან[3] 1.11 მლნ. ადამიანამდე[4]). ***(იხ. დანართი. სურათი №3)***

1989 წელთან შედარებით, მოსახლეობის რაოდენობასთან მეტროპოლიტენით მგზავრობების შეფარდება 36 % ით დაბალია. შესაბამისად, მეტროპოლიტენის მოხმარება შემცირებულია არა მხოლოდ მოსახლეობის შემცირების, არამედ მგზავრობების სხვა სატრანსპორტო საშუალებებზე (ძირითადად, კერძო ავტომობილებზე და მიკროავტობუსებზე) გადანაწილების შედეგად. შიდასაქალაქო მგზავრთა მობილობის სისტემაში მეტროპოლიტენის წილის 1989 წლის მიღწევის შემთხვევაში, მეტროპოლიტენით საშუალოდ დღეში განხორციელდებოდა დაახლოებით 105 ათასი დამატებითი მგზავრობა, რაც შეამცირებდა მიწისზედა ტრანსპორტზე მოთხოვნას.

ამჟამად, მეტროპოლიტენის ტექნიკური შესაძლებლობები საშუალებას იძლევა, რომ დღიური მგზავრგამტარუნარიანობა დაახლოებით 520 ათასამდე გაიზარდოს, არსებული სავაგონო პარკის პირობებში, რაც 160 ათასით აღემატება ამჟამინდელ მაჩვენებელს პიკურ დღეებში. მოცემული მგზავრობების მოზიდვა სხვა შიდასაქალაქო სატრანპორტო საშუალებებიდან გამოიწვევდა საცობების შემცირებას, გააუმჯობესებდა მდგომარეობას საგზაო უსაფრთხოებისა და ეკოლოგიის კუთხით, შეამცირებდა მუნიციპალური ავტობუსების გარბენს და შედეგად შეამცირებდა დოტაციურ დანახარჯებს თითოეულ მგზავრზე.

---

[3] საბჭოთა კავშირის მოსახლეობის 1989 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები, **ბმული:** http://demoscope.ru/weekly/ssp/sng89_reg2.php

[4] მოსახლეობის 2014 წლისსაყოველთაო აღწერის შედეგები, საქსტატი, 2016.

საავტომობილო მოძრაობის განტვირთვა. ქუჩების გადატვირთულობა საავტომობილო ტრანსპორტით და საცობებით დღეს თბილისში მობილობის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა. სატრანსპორტო საშუალების საშუალო დატვირთვისას (მაქსიმალური შესაძლო დატვირთვის 50% პროცენტი), მსუბუქი ავტომობილით გადაადგილებისას, ერთი მგზავრი იყენებს 6.5-ჯერ მეტ, ხოლო სამარშრუტო ტაქსით გადაადგილებისას – 2.1-ჯერ მეტ ფართობს გზაზე, ვიდრე ავტობუსით გადაადგილებისას. ***(იხ. დანართი. სურათი №4)***

შიდასაქალაქო გადაადგილებებში მეტროპოლიტენის წილის ზრდა ხელს შეუწყობდა დამატებითი ფართობის გამოთავისუფლებას და გზების განტვირთვას.

საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესება. შსს-ს მონაცემებით[5], 2015 წელს თბილისში დაფიქსირდა 2995 ავტოსაგზაო შემთხვევა, დაშავდა 3834 და გარდაიცვალა 90 ადამიანი. საქართველოს მასშტაბით თბილისი ლიდერია რეგიონებს შორის ავტოსაგზაო შემთხვევათა როგორც აბსოლუტური, ასევე ფარდობითი მაჩვენებლით თითო მოსახლეზე.

საავტომობილო ტრანსპორტისგან განსხვავებით, მეტროპოლიტენი შიდასაქალაქო ტრასნპორტის ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხო საშუალებაა. თბილისის მეტროპოლიტენში გამოყენებული მოძრაობის უსაფრთხოების სისტემა ასს-სარ[6] გამორიცხავს მატარებლების ერთმანეთთან სახიფათო მანძილზე მიახლოებას და შეჯახებას. მემანქანის მიერ კონტროლის დაკარგვის შემთხვევაში სისტემა ავტომატურად აჩერებს შემადგენლობას, რაც არ ხდება საავტომობილო ტრანსპორტის შემთხვევაში.

დღეს მეტროპოლიტენში უბედური შემთხვევების მთავარი მიზეზი თავად მგზავრების გაუფრთხილებლობა ან სუიციდია. ამავე დროს, 2015 წელს მეტროპოლიტენში ადგილი არ ჰქონია უბედურ შემთხვევას მსხვერპლით, ხოლო 2016 წელს დაიღუპა ერთი ადამიანი.

---

[5] საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები საქართველოში, 2008-2015, შსს საინფორმაციო–ანალიტიკური დეპარტამენტი საინფორმაციო ცენტრი, **ბმული**: http://police.ge/

[6] ავტომატური სალოკომოტივო სიგნალიზაცია სიჩქარის ავტომატური რეგულირებით.

მეტროპოლიტენში მგზავრების საავტომობილო ტრანსპორტიდან მოზიდვა შეამცირებს ავტოსაგზაო შემთხვევებში დაზარალებულთა რაოდენობას როგორც ავტომობილების, ასევე ადამიანთა რაოდენობის შემცირების გზით, რომლებიც ავტოტრანსპორტით გადაადგილდებიან.

ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება. ავტოტრანსპორტი, მათ შორის, მიკროავტობუსები და მუნიციპალური ავტობუსები, წარმოადგენს თბილისში ატმოსფერული დაბინძურების 90%[7]. ამასთანავე, ავტოპარკი ყოველწლიურად იზრდება. შსს-ს მონაცემებით 2015 წელს საქართველოში 1.04 მილიონი ავტომობილი ირიცხებოდა, რაც წინა წელთან შედარებით, 8.2%-ით მეტია. ავტომობილების მფლობელების 36.8% თბილისში იყო დარეგისტრირებული. საქართველოს ავტოპარკის 91% 2006 წლამდეა ნაწარმოები.[8]

თბილისის მერიის მიერ მომზადებული **„თბილისის გარემოსდაცვითი სტრატეგია 2015-2020“** მიზნად ისახავს თბილისის მუნიციპალიტეტის ფარგლებში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისადმი მიმართული ნაბიჯების განსაზღვრას, რომელთა შორისაა ავტომობილების რაოდენობის შემცირების მიზნით, საზოგადოებრივი ტრანსპორტის, მათ შორის ელექტროტრანსპორტის ინფრასტრუქტურის განვითარება.

ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისკენაა მიმართული ასევე **„მერების შეთანხმება“**,[9] რომლის მონაწილეა თბილისის მერიაც. მოცემული შეთანხმების თანახმად, 2020 წლისთვის თბილისში CO2-ის ემისია 2007 წელთან შედარებით 20 პროცენტით უნდა შემცირდეს, „მერების შეთანხმება“ მოუწოდებს მონაწილე მუნიციპალიტეტების მთავრობებს, ხელი შეუწყონ ტრანსპორტის მიერ ენერგიის მოხმარების შემცირებასაც.

---

[7] თბილისის გარემოსდაცვითი სტრატეგია 2015-2020 **ბმული:** http://liberali.ge/news/view/17935/tbilisis-meriis-garemosdatsviti-strategia-20152020--sruli-teqsti

[8] **ბმული:** http://police.ge/files/pdf/statistika%20da%20kvlevebi/geo/sxvadasxva%20statistika/autoparki%202015.pdf

[9] **ბმული:** http://www.qaghaqapeteridashnagir.eu/IMG/pdf/KA_CoM_official_text_Georgian.pdf

ეკოლოგიურად სუფთა, ეფექტური და უსაფრთხო სატრანსპორტო სისტემების განვითარებას მოითხოვს **საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებაც**[10].

მოიხმარს რა ელექტროენერგიას, როგორც ენერგიის ძირითად წყაროს, მეტროპოლიტენი და საბაგირო გზები ეკოლოგიურად ყველაზე სუფთა ტრანსპორტია დღეს თბილისის შიდასაქალაქო საზოგადოებრივ ტრანსპორტში. მეტროპოლიტენის წილის ზრდა შიდასაქალაქო გადაყვანებში, ბუნებრივ აირზე მომუშავე ავტობუსების რაოდენობის ზრდის პარალელურად, შეამცირებს CO2-ის ემისიას. ამასთანავე, მეტროპოლიტენის მიერ დახარჯული ენერგიის გადასახადი, ძირითადად, რჩება საქართველოში, ხოლო საავტომობილო ტრანსპორტის საწვავი მთლიანად იმპორტირებულია.

დოტაციური ხარჯების შემცირება. ისევე, როგორც მსოფლიოში მუნიციპალური სატრანსპორტო საწარმოების უმეტესობის შემთხვევებში, „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ ბიუჯეტი დოტაციურია. ამჟამად, როგორც მეტროპოლიტენით, ასევე მუნიციპალური ავტობუსებით მგზავრობის ღირებულება შეადგენს 0.50 ლარს, ხოლო მომდევნო 1.5 საათის განმავლობაში – უფასოა. 2015 წლის მონაცემით მეტროპოლიტენით ერთი მგზავრის გადაყვანის თვითღირებულება 0.55 ლარს[11], ხოლო ავტობუსით – 0.63 ლარს შეადგენდა, შესაბამისად, საათ-ნახევრის განმავლობაში ერთი მგზავრობის შემთხვევაში, მუნიციპალური ავტობუსებით თითოეულ გადაყვანილ მგზავრზე დოტაცია 0.08 ლარით აღემატება მეტროპოლიტენით ერთი მგზავრის გადაყვანაზე დოტაციას (შეღავათით მოსარგებლე მგზავრების გაუთვალისწინებლად).

საზოგადოებრივი ტრანსპორტის მგზავრების ნაწილი იყენებს გადაჯდომას დანიშნულების ადგილზე მისასვლელად: მეტროდან ავტობუსზე ან პირიქით, ან ერთი ავტობუსიდან მეორე ავტობუსზე, გადაჯდომების საშუალო მაჩვენებელი კი 1.2-ს

[10] ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმება,მუხლი 293 ა.

[11] მოცემული ღირებულების გამოთვლისას იგულისხმება მეტროპოლიტენის, როგორც ერთი ხაზის, ასევე ორივე ხაზის ფარგლებში მგზავრობა.

შეადგენს[12]. იმ შემთხვევაში, როდესაც მგზავრი აკეთებს ერთ გადაჯდომას საათ-ნახევრის განმავლობაში და ჯამში იხდის 0.5 ლარს, დოტაცია ასევე 0.08 ლარით ნაკლებია, როდესაც ერთ-ერთი მგზავრობა მეტროთი ხორციელდება, იმ შემთხვევასთან შედარებით, როდესაც მგზავრი ორივე მგზავრობას ავტობუსით ახორციელებს. ***(იხ. დანართი. სურათი №5)***

რამდენადაც დოტაციის ზომა ავტობუსით მგზავრობისას, აღემატება მეტროპოლიტენის მგზავრობას, მუნიციპალური ბიუჯეტის უფრო ეფექტურად განკარგვისთვის, სასურველია, მეტროპოლიტენის ხვედრითი წილის ზრდა ავტობუსების წილის ხარჯზე. ავტობუსიდან მეტროპოლიტენში გადასული თითეული მგზავრი მუნიციპალიტეტს საშუალოდ 0.08 ლარის ეკონომიას აძლევს.

მეტროპოლიტენით გადაყვანილი მგზავრების წილის ზრდა:

- **განტვირთავს მოძრაობას**
- **შეამცირებს მუნიციპალური დოტაციის ზომას საზოგადოებრივ ტრანსპორტზე**
- **შეამცირებს ავტოსაგზაო შემთხვევებისა და დაზარალებულების რაოდენობას**
- **ხელს შეუწყობს ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესებას**
- **ხელს შეუწყობს ქვეყნის მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას**

[12] ქ. თბილისის შინამეურნეობების სატრანსპორტო კვლევის განხორციელების საკონსულტაციო მომსახურება, საპრეზენტაციო მასალა, SYSTRA, 2016

2.2 მეტროპოლიტენში მგზავრნაკადების მოზიდვის სტრატეგია

მეტროპოლიტენის როლის ზრდა შიდასაქალაქო გადაყვანებში დადებითად აისახება გზების განტვირთვაზე, დოტაციური დანახარჯების შემცირებაზე, უსაფრთხოებასა და ეკოლოგიაზე. მეტროპოლიტენს აქვს ტენიკური რეზერვი დამატებითი მგზავრნაკადის მომსახურებისთვის. **ინტერვალების შემცირების გზით, არსებული სავაგონო პარკის პირობებში, მეტროპოლიტენს აქვს დღიური მგზავრგამტარუნარიანობის 520 ათასამდე, ხოლო სავაგონო პარკის გაზრდის შემთხვევაში 1.3 მლნ. მგზავრობამდე გაზრდის რეზერვი.** ამ ქვეთავში განვიხილავ, თუ რა მეთოდები შეუწყობს ხელს მეტროპოლიტენში დამატებითი მგზავრების მოზიდვას სხვა სატრანსპორტო საშუალებებიდან.

პირველ ეტაპზე საჭირო იქნება მგზავრთა მობილობის სისტემის შესწავლა, რომლის საფუძველზეც მოხდება ავტობუსების ქსელის ოპტიმიზაცია მისი მეტროპოლიტენთან უკეთ ინტეგრაციის მიზნით და ინტერმოდალური სატრანსპორტო კვანძების ორგანიზება, მათ შორის, Park & Ride სისტემების ჩათვლით.

ასევე, დამატებით მგზავრებს მოიზიდავს მეტროპოლიტენში კომფორტის დონის ამაღლება, ადაპტირება შშმ პირებზე და მეტროპოლიტენის ქსელის სივრცითი განვითარება.

მგზავრნაკადების ანალიზი. სატრანსპორტო სისტემის ეფექტურად ორგანიზება მოითხოვს არსებული ჯამური და ვექტორული მგზავრნაკადების ანალიზს. საჭიროა შესწავლილ იქნას შემდეგი პარამეტრები:

- მგზავრთა გადადგილების ძირითადი კორიდორები და მათზე მგზავრნაკადების მოცულობები მობილობის საშუალებების მიხედვით;
- თითოეულ კორიდორზე მგზავრნაკადის განაწილების თავისებურებები: ვარიაცია დროითი მონაკვეთების მიხედვით, ჩასხდომებისა და

სატრანსპორტო საშუალებებდან ჩამოსვლების სიხშირეები გაჩერებების მიხედვით, გადაადგილების საშუალო მანძილები.

- გადაადგილებაზე დახარჯული დროითი და ფინანსური რესურები.

აღნიშნული მონაცემების ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელი იქნება მოძრაობის გრაფიკისა და მარშრუტების ოპტიმიზაცია მგზავრნაკადში მეტროპოლიტენით მგზავრობების წილის ზრდის, მოსალოდნელი ხარჯების შეფასებისა და მადუბლირებელი მარშრუტების მინიმიზაციის მიზნით.

ავტობუსების ქსელის ინტეგრაცია მეტროპოლიტენთან. ამჟამად, თბილისში მუნიციპალური ავტობუსის 98 მარშრუტია ***(იხ. დანართი. რუკა №1)***, რომელზეც 600-მდე ავტობუსი მოძრაობს და დღეში საშუალოდ 332 ათასი მგზავრი გადაჰყავთ, რაც მეტროპოტენით გადაყვანილ მგზავრებთან შედარებით 15%-ით მეტია. მარშრუტების ნაწილი ადუბლირებს მეტროპოლიტენს, მაგალითად მონაკვეთი სადგური ვარკეთილიდან ავლაბრამდე დუბლირდება №39 ავტობუსის მარშრუტის მიერ. ამავე მარშრუტის მონაკვეთი ისნიდან ავლაბრამდე დუბლირდება №2, 37 და 43 მარშრუტების მიერ. ასეთი დუბლირებები იწვევს მოცემულ მონაკვეთებზე ავტობუსისა და მეტროპოლიტენის მგზავრგამტარუნარიანობის არასრულად გამოყენებას. დუბლირებების შემცირება მგზავრების ნაწილის მეტოპოლიტენში გადანაწილების მიზნით, შეამცირებს ავტობუსების რაოდენობას და შესაბამისად, გზების გადატვირთულობას. ასევე ავტობუსებიდან მეტროპოლიტენის სასარგებლოდ გადანაწილებულ თითოეულ მგზავრზე, შესაძლებელია, საბიუჯეტო სახსრებიდან საშუალოდ 8 თეთრის ეკონომია.

დუბლირებების შემცირებისას, გასათვალისწინებელია ის უპირატესობებიც, რომლებიც ავტობუსებს აქვს მეტროპოლიტენთან მიმართებაში. ეს უპირატესობებია:

- ავტობუსების მარშრუტები ფარავს უბნებს, სადაც არ მიდის მეტროპოლიტენის ხაზი

- ავტობუსით მგზავრობა მოკლე მანძილებზე (დაახლოებით 2-3 მეტროსადგურის მანძილზე) ნაკლებ დროს მოითხოვს, ვიდრე მეტროპოლიტენით მგზავრობა იმავე მანძილზე, სადგურებზე ჩასვლის და ამოსვლის დროის ხარჯზე
- ავტობუსის გაჩერებებს შორის მანძილი, როგორც წესი, შეადგენს, 250-დან 400 მეტრამდე, ხოლო მეტროპოლიტენის გადასარბენების საშუალო სიგრძე 1.4 კმ-ია

მეტროპოლიტენისა და ავტობუსების უპირატესობების სრულად გამოყენების მიზნით ინტეგრირებული სატრანსპორტო სისტემა უნდა იყენებდეს და ინარჩუნებდეს ავტობუსებს იმ მიმართულებებზე, სადაც მათი უპირატესობები მეტროპოლიტენთან შედარებით სრულად იქნება ათვისებული, ხოლო მიმართულებებზე, სადაც მეტროპოლიტენს აქვს უპირატესობა (მგზავრების დიდი რაოდენობის სწრაფი გადაყვანა დიდ მანძილებზე), ხელს უნდა უწყობდეს მგზავრების გადანაწილებას ავტობუსებიდან მეტროპოლიტენში.

ავტობუსების და მეტროპოლიტენის ინტეგრაციის სტრატეგია უნდა დაეფუძნოს მგზავრთა ვექტორული ნაკადების შესწავლას და მგზავრთა ნაკადის თითოეულ ვექტორზე მეტროპოლიტენისა და მიწისზედა ტრანსპორტის სხვადასხვა მოდალობების არსებული და ზღვრული მგზავრგამტარუნარიანობის ანალიზს თითოეულ მგზავრზე საბიუჯეტო დანახარჯის გათვალისწინებით. არსებული ანალიზის საფუძველზე, ჩამოყალიბებული სამარშრუტო გეგმაში ავტობუსების ქსელის მთავარი ფუნქციები იქნება:

1. მეტროსადგურებთან იმ უბნების დაკავშირება, რომლებშიც არ მიდის მეტროპოლიტენის ხაზი, ან დასახლებები, რომლებიც მეტროპოლიტენის სადგურიდან ფეხით სავალ მანძილზე (300 მ) მეტად არის დაშორებული: ვაკე, ბაგები, დიღომი, დიდი დიღომი, გლდანი, თემქის, ვარკეთილის, მუხიანის მიკრორაიონები, ავჭალა, ზაჰესი, ვაზისუბანი, ორთაჭალა, ფონიჭალა, მოსკოვის გამზირი, მეტრომშენი-ელია, თბილისთან მიერთებული სოფლები და ა.შ. შესაბამისად, ავტობუსების მარშრუტები დამოკლდება ამ უბნებიდან მეტროსაგურებამდე. მაგალითად №39 დამოკლდება ვარკეთილის მეტრომდე.

2. ავტობუსების მარშრუტების დამოკლებისას შესაძლებელი იქნება როგორც ავტობუსების რაოდენობის, ასევე მოცემულ მარშრუტზე ინტერვალების შემცირება. მარშრუტების ნაწილზე გამოთავისუფლებული ავტობუსები გადანაწილდება უფრო დატვირთულ მარშრუტებზე.
3. შესაძლებელია იმ მარშრუტების შენარჩუნება, რომლებიც ერთიდან სამამდე მეტროსადგურის გავლით აკავშირებს მეტროპოლიტენით დაუფარავ უბნებს, მაგალითად, №102 მარშრუტი ვარკეთილის მიკრორაიონებიდან ფონიჭალა-კრწანისამდე.
4. მეტროპოლიტენის იმ სადგურებთან, რომლებიდანაც გავა ავტობუსების დიდი რაოდენობით მარშრუტები, გადასაჯდომი ჰაბების მოწყობა. ეს სადგურები შეიძლება იყოს ვარკეთილი (ვარკეთლის მიკროარიონები და მესამე მასივის მიმართულება), სამგორი (ვაზისუბნის მიმართულება), ისანი (მოსკოვის გამზირი, ფონიჭალა-კრწანისის მიმართულება), დიდუბე (დიღომი და დიდი დიღომი), ახმეტელი (გლდანისა და თემქის მიკრორაიონები, მუხიანი, პერსპექტივაში დიდი დიღომი მეორე ამოსასვლელიდან), სახელმწიფო უნივერსიტეტი, ვაჟა-ფშაველა ან დელისი (ნუცუბიძის კვარტლები) ავტობუსების გაჩერების ტევადობა გაიზრდება, რათა მოემხახუროს ერთდროულად რამდენიმე მარშრუტს მაქსიმალური კომფორტით მგზავრებისთვის და არ შექმნას საცობი.
5. მეტროპოლიტენის სადგურების გაყოლებაზე ავტობუსების ისეთი მარშრუტების დანიშვნა, რომელიც უზრუნველყოფს მეტროპოლიტენის 3-4 სადგურს შორის არსებული გაჩერებების ხელმისაწვდომობას და მოემსახურება მგზავრებს, რომლებიც გადაადგილდებიან მცირე მანძილზე.
6. იმ მიმართულებებზე, სადაც მოცემულ ეტაპზე ვერ ხერხდება მეტროპოლიტენის მგზავრგამტარუნარიანობის ზრდა, შორ მანძილზე მიმავალი მგზავრნაკადის სრულად დასაფარად, ავტობუსების მარშრუტების შენარჩუნება გრაფიკის შესაბამისი კორექტირებით.

7. მიმართულებებზე, რომელზეც მგზავრების ძირითადი ნაწილი გადაადგილდება კონცენტრირებულად მეტროპოლიტენის ქსელიდან მოშორებულ ერთ პუნქტს და ქალაქის ცენტრს შორის (მაგალითად №37 მარშრუტი), ავტობუსის მარშრუტის ექსპრეს მარშრუტად გადაკეთება, რომელიც გააჩერებს მხოლოდ რამდენიმე გაჩერებაზე.

ავტობუსების ქსელის ოპტიმიზაციის შედეგად, ავტობუსებიდან მეტროპოლიტენზე გადანაწილდება მგზავრნაკადის ნაწილი, რომელიც გრძელ მანძილებზე მგზავრობს. მეტროპოლიტენი შეასრულებს ქალაქის მთავარი სატრანსპორტო არტერიის ფუნქციას, ხოლო ავტობუსების მარშრუტების ფუნქცია იქნება მგზავრების მეტროსადგურებამდე მიყვანა და მოკლე მანძილებზე გადაყვანა, რომლებზეც მეტროპოლიტენის გამოყენება დახარჯული დროის მხრივ არ არის მიზანშეწონილი. შედეგად, შემცირდება საგზაო მოძრაობის ინტენსიურობა მეტროპოლიტენით დაფარულ უბნებში ავტობუსების რაოდენობის შემცირების შედაგად და შემცირდება ბიუჯეტიდან დოტაციური დანახარჯები ტრანსპორტზე, რამდენადაც მეტროპოლიტენით ერთი მგზავრის გადაყვანის თვითღირებულება საშუალოდ 8 თეთრით ნაკლებია ავტობუსით გადაყვანილი ერთი მგზავრის გადაყვანის თვითღირებულებაზე.

Park & Ride სისტემების მოწყობა მეტროსადგურებთან. პერსპექტივაში მეტროპოლიტენში შესაძლებელია კერძო ავტომობილით გადაადგილებული მგზავრების ნაწილის მოზიდვა Park & Ride სისტემის განვითარების გზით. ამ მიზნით, პერიფერიულ მეტროსადგურებთან მოეწყობა მიწისზედა, მრავალსართულიანი ან მიწისქვეშა ტევადი პარკინგები, სადაც გარეუბნებიდან ან სატელიტური ქალაქებიდან (რუსთავი, მცხეთა, ნაწილობრივ გორი, მარნეული და გარდაბანი) თბილისში ავტომობილით მოძრავი მგზავრები დატოვებენ ავტომობილს პარკინგზე და გადაადგილდებიან საზოგადოებრივი ტრანსპორტით. შედეგად, შემცირდება შიდასაქალაქო საავტომობილო მოძრაობის ინტენსიურობა,

გაუმჯობესდება ეკოლოგიური მდგომარეობა და შემცირდება ავტოსაგზაო შემთხვევების ალბათობა.

2.3 მეტროპოლიტენის ქსელის სივრცითი განვითარება

დღეს თბილისის მეტროპოლიტენში 22 სადგურია, რომლებიც მდებარეობს სამგორის, ისნის, მთაწმინდის, ჩუღურეთის, ნაძალადევის, დიდუბის, გლდანის და საბურთალოს რაიონებში ***(იხ. დანართი. რუკა №2).*** 2017 წლის სექტემბერში იგეგმება 23-ე მეტროსადგურის ამოქმედება ვაჟა-ფშაველას გამზირის ბოლოში, რის შემდეგაც მეტროპოლიტენის სადგურების ამოსასვლელებიდან ქვეითად მიწვდომადობის არეალში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 355 ათას ადამიანს (თბილისის მოსახლეობის 32%-ს[13]).

მიხედავად იმისა, რომ მეტროპოლიტენის ქსელი სივრცით კარგად არის განვითარებული და აერთიანებს ქალაქის სხვადასხვა ბოლოებს, მისი დაგეგმილი განვითარება სამი ხაზით და 43 სადგურით საბჭოთა პერიოდში ვერ მოესწრო. შედეგად, დღეს ცალკეული მჭიდროდ დასახლებული და საქმიანი რაიონები და უბნები მოწყვეტილია მეტროპოლიტენის ქსელისგან, მაგალითად: ვაკე, კრწანისი, დიღმის მასივი და დიდი დიღომი, მუხიანი, ვაზისუბანი, მოსკოვის გამზირის მიმდებარე ტერიტორია და სხვა.

ამჟამინელი მდგომარეობით, სადგურ „სახელმწიფო უნივერსიტეტის“ დასრულების გარდა, მეტროპოლიტენის სივრცითი განვითარება ახლო მომავალში არ იგეგმება. ამის მიზეზი მეტროპოლიტენის მშენებლობის მაღალი ღირებულებაა: ერთი კილომეტრი

[13] 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების 500 მეტრის რადიუსის სივრცითი პროეცირების საფუძველზე.

სიგრძის ღრმა ჩაწოლის 5.6 მეტრიანი დიამეტრის ორმაგი გვირაბის მშენებლობის საშუალო ღირებულება 80 მლნ, ხოლო სადგურების ჩათვლით – 110 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. მოცემული ღირებულება მიიღწევა მეტროპოლიტენის რეგულარული მშენებლობისას პერსონალისა და ტექნიკის მუდმივი დასაქმების პირობებში, ხოლო არარეგულარული და შედარებით მცირე მასშტაბიანი მშენებელობის პირობებში, შესაძლოა, ღირებულება 20–30%-ით გაძვირდეს. იმის გათვალისწინებით, რომ საშუალო მანძილი თბილისის მეტროპოლიტენში სადგურებს შორის შეადგენს 1.4 კმ-ს, ყოველი ახალი ღრმა ჩაწოლის სადგურის მშენებლობის ღირებულება გადასარბენების ჩათვლით, საორიენტაციოდ 350 მლნ. აშშ დოლარამდე აღწევს.

იმ პირობებში, როდესაც მსგავსი თანხების მობილიზება საქართველოს ბიუჯეტისთვის სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს, თბილისის სატრანსპორტო სისტემის განვითარებისთვის ახლო მომავალში უფრო პერსპექტიული ჩანს ტრამვაის ხაზის მშენებლობა იმ უბნებში, რომლებიც არ არის მეტროპოლიტენის ქსელით დაფარული. ტრამვაის 1 კმ. ორლიანდაგიანი ხაზის მშენებლობის ღირებულება 8-15 მლნ აშშ დოლარს შეადგენს (მეტროპოლიტენის მშენებლობის ღირებულების დაახლოებით 10%), ხოლო მგზავრგამტარუნარიანობა მეტროპოლიტენის მგზავრგამტარუნარიანობის 15-20%-ს შეიძლება აღწევდეს. არსებობს კომანია Systra-ს მიერ შედგენილი ტრამვაის ხაზის პროექტი უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსიდან ორთაჭალამდე, რომელიც მაღალი მგზავრგამტარუნარიანობის მქონე სატრანსპორტო სისტემით დააკავშირებდა ვაკისა და კრწანისის რაიონებს ***(იხ. დანართი. რუკა №5)***. ასევე, შესაძლებელია, ტრამვაის ხაზის მეშვეობით დიღმის მასივისა და დიდი დიღმის დაკავშირება მეტროპოლიტენის ქსელთან.

რაც შეეხება მეტროპოლიტენის ქსელს, განვითარების რესურსი, უპირველეს ყოვლისა, შესაძლოა, რეალიზებული იყოს საბჭოთა პერიოდში დაწყებული მშენებლობების დასრულებაში და არსებული სადგურებისთვის მეორე ამოსასვლელების დამატებაში. არსებულ სიტუაციაში, თბილისის მეტროპოლიტენის ქსელის განვითარების მთავარი

მიმართულება უნდა იყოს შემდეგი ობიექტების გახსნა: სადგურ „ახმეტელის თეატრის“, „მარჯანიშვილის“, „თავისუფლების მოედნის“ და „ავლაბრის“ მეორე ამოსასვლელები და სადგური ,,ვაზისუბანი“. მოცემული ობიექტები ნაწილობრივ დაპროექტებულია, ხოლო მათი ნაწილი შესრულებულია კონსტრუქციებში. მათი ამოქმედება შექმნის მიწისზედა და მიწისქვეშა ტრანსპორტის მოსახერხებელ ინტერმოდალურ წერტილებს და მოიზიდავს დამატებით მგზავრებს მეტროპოლიტენში.

„ახმეტელის თეატრის“ მეორე ამოსასვლელი. აღნიშნული ამოსასვლელი მდებარეობს შეშელიძის ქუჩაზე, გლდანი-მუხიანის დამაკავშირებელი ახალი გზის დასაწყისიდან 150 მეტრში. მისი მშენებლობა დაიწყო 1980-იანი წლების მიწურულს და შეწყდა 1993 წელს ფინანსების უკმარისობის გამო. ამჟამად, მეორე ამოსასვლელი მთლიანად კონსტრუირებულია საპროექტო სიღრმემდე და კონსერვირებულია. მისი დასრულებისთვის საჭიროა სადგურ „ახმეტელის თეატრის“ ცენტრალურ დარბაზთან შეერთება, დამჭიმი კამერის დასრულება, ესკალატორების მონტაჟი და სამანქანო დარბაზის მოწყობა, ზედა ვესტიბიულის მოწყობა სამომსახურეო სათავსოებით და სავენტილაციო სისტემით, ტექნიკური აღჭურვა (ტურნიკეტები, სალაროები და საესკალატორო დაღმართის მოპირკეთება. საპროექტო ხარჯების მინიმიზირება შესაძლებელია თავდაპირველი საპროექტო დოკუმენტაციის შესაძლებლობის ფარგლებში, მაქსიმალურად გამოყენების გზით.

მეორე ამოსასვლელის ამოქმედება მნიშვნელოვნად განტვირთავდა სადგურ „ახმეტელის თეატრის“ მიმდებარე სატრანსპორტო კვანძს. აღნიშნული სადგური ერთ-ერთი ყველაზე დატვირთული სადგურია თბილისის მეტროპოლიტენში მასზე გამავალი მგზავრნაკადის მხრივ. იგი ემსახურება გლდანის, გლდანულას დასახლების, მუხიანის და ნაწილობრივ თემქის მიკრორაიონების მოსახლეობას. სადგურის ამოსასვლელთან განლაგებულია, როგორც აღნიშნული მიმართულებების მომსახურე ავტობუსებისა და სამარშრუტო ტაქსების გაჩერებები, ასევე სავაჭრო ცენტრები და სხვა კომერციული ობიექტები, რაც

იწვევს ავტოტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა მაღალ კონცენტრაციას, აძნელებს მოძრაობას და ზრდის ავტოსაგზაო შემთხვევების რისკს. სადგურ „ახმეტელის თეატრის“ მეორე ამოსასვლელის გახსნა შექმნიდა მუხიანისა და გლდანის მგზავრნაკადების ორ ამოსასვლელს შორის უფრო თანაბრად გადანაწილების შესაძლებლობას. მეორე ამოსასვლელთან შესაძლებელი იქნებოდა დიდი დიღმისა და თემქის ქედა მიკრორაიონებისკენ მიმავალი ავტობუსებისა და სამარშრუტო ტაქსების გაჩერების მოწყობაც. გარდა ამისა, მეორე ამოსასვლელისა და მუხიანის ახალი გზის მიმდებარე ტერიტორია უფრო მიმზიდველი გახდებოდა ინვესტორებისთვის და ხელს შეუწყობდა ახალი ბიზნესებისა და შესაბამისად, სამუშაო ადგილების გაჩენას. მუხიანისკენ მიმავალ ახალ გზაზე უკვე განთავსებულია სუპერმარკეტი „კარფური“, რომლისკენ მიმავალი ნაკადისთვის „ახმეტელის თეატრის“ მეორე ამოსასვლელი განსაკუთრებით მიმზიდველი იქნებოდა.

აღნიშნული ამოსასვლელის დამთავრებას, წინასწარი შეფასებით დასჭირდება არა უმეტეს 15-20 მილიონი ლარისა, რაც შეიძლება ეტაპობრივად გაიწეროს თბილისის ბიუჯეტში მომავალი 2-3 წლის განმავლობაში. გარდა ამისა, ბიზნესის პოტენციური ინტერესიდან გამომდინარე, შესაძლებელია, თანაინვესტირების შესაძლებლობის გამოყენება, როდესაც ინვესტორმა შეიძლება ააშენოს კომერციული ობიექტი აღნიშნული ამოსასვლელის თავზე, სადაც მეტროპოლიტენიდან მგზავრებს შესაძლებლობა ექნებათ მოხვდნენ უშუალოდ სავაჭრო ობიექტში, სანაცვლოდ კი მიიღოს ფინანსური თანამონაწილოება ობიექტის დასრულებაში.

ამისთვის საჭირო იქნება მეორე ამოსასვლელის მიმდებარე პრივატიზებული მიწის ნაკვეთების გამოსყიდვა ან მათ მფლობელებთან და პოტენციურ ინვესტორებთან მოლაპარაკება მიწის ნაკვეთების სავაჭრო ცენტრის წილის სანაცვლოდ ინვესტორისთვის გადაცემის თაობაზე.

„მარჯანიშვილის“ მეორე ამოსასვლელი. სადგურ „მარჯანიშვილის“ მეორე ამოსასვლელი მდებარეობს მარჯანიშვილისა და უზნაძის ქუჩების კუთხეში, მაღალსართულიანი კორპუსის ეზოში. საესკალატორო გვირაბი ჩასულია საპროექტო სიღრმეზე, შემდეგ უხვევს მარჯვნივ. გვირაბი უნდა გამოსულიყო სადგური მარჯანიშვილის II ლიანდაგის კედლიდან და კიბის მეშვეობით დაკავშირებოდა სადგურის ქვედა ვესტიბიულს.

ამჟამად, გვირაბი, თითქმის, მიყვანილია სადგურის კედელთან, მაგრამ შეერთება გაჭრილი არაა. გვირაბში დამონტაჟებულია ჰერმეტული კარი, ასევე დასრულებულია ტექნიკური დანიშნულების მქონე დარბაზი. დასამთავრებელია ზედა ვესტიბიული და მასში ქუჩიდან ჩასასვლელები, დასამონტაჟებელია ესკალატორი, შეცვლას ან კაპიტალურ რემონტს საჭიროებს ჰერმეტული კარის მამოძრავებელი კოროზირებული მექანიზმი. სამუშაოები შეჩერებულია, გვირაბიდან მიმდინარეობს წყლის ამოტუმბვა. იგეგმება მისი გადახურვა და საჭიროების შემთხვევაში მშენებლობის გაგრძელება.

აღნიშნული ამოსასვლელის გახსნის მნიშვნელობას განაპირობებს ის, რომ სადგურ ,,მარჯანიშვილის“ პირველ ამოსასვლელში დამონტაჟებულია თბილისის მეტროპოლიტენში ყველაზე ძველი, 1958 წელს გამოშვებული ЭМ-4 მოდელის ესკალატორები, რომელთა მომსახურება ყოველწლიურად სულ უფრო რთულდება. აღნიშნული ესკალატორების კაპიტალურ რემონტზე გადაყვანის ან გამოცვლის აუცილებლობის შემთხვევაში სადგური „მარჯანიშვილი“ დაიკეტება, რაც გამოიწვევს სატრანსპორტო კოლაფსს აღმაშენებლის გამზირსა და მიმდებარე ქუჩებზე.

„მარჯანიშვილის“ მეორე ამოსასვლელის მოწყობა შესაძლებელია მიმდებარე კორპუსის სარდაფში განთავსებული კომერციული ფართის (ღამის კლუბის) გამოსყიდვის ხარჯზე. ამ შემთხევაში, მოცემულ კლუბში ფართო ჩასასვლელი კიბე სრულიად შეესაბამება მეტროპოლიტენის ნაკადს, მის ტერიტორიას მგზავრები გაივლიან კორიდორის მეშვეობით და მოხვდებიან კორპუსის ეზოს ქვეშ მდებარე ზედა ვესტიბიულში, რომელიც

გადაიხურება, ხოლო ეზოში მოეწყობა ზედა ვესტბიულის სავენტილაციო შახტა და ესკალატორის სადემონტაჟო შახტები.

„თავისუფლების მოედნის“ მეორე ამოსასვლელი ბარათაშვილის მოედანზე. აღნიშნული ამოსასვლელის გაყვანას აადვილებს ის ფაქტი, რომ სადგურ ,,თავისუფლების მოედანზე“ უკვე არსებობს მეორე ამოსასვლელისკენ მიმავალი კიბეები, რომლებიც გადადის სადგურის ცენტრალური დარბაზის ბოლოდან ხელმარცხნივ, I ლიანდაგის თავზე და მიმართულია ბარათაშვილის ქუჩისკენ. თავად ბარათაშვილის ქუჩაზე მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელი გათვალისწინებულია მეტროპოლიტენის მაღალ მგზავრნაკადზე, შესაბამისად, აღჭურვილია ოთხი ამოსასვლელით: ორი ბარათაშვილის ქუჩაზე (მათგან ერთი თავის მხრივ, იყოფა ბარათაშვილისა და პუშკინის ქუჩების მიმართულებით), თაბუკაშვილის ქუჩასა და ორბელიანის მოედანზე მდებარე პარკში.

მშენებლობის პროცესში არ იქნება სადგური „თავისუფლების მოედნის“ დაკეტვის საჭიროება და არ იქნება აუცილებელი მოძრაობის შეწყვეტა. სამშენებლო მოედანი შესაძლოა მოეწყოს ორბელიანის მოედანზე მდებარე პარკში, სადაც დამონტაჟდება პანდუსი ტექნიკის შესაყვანად მიწისქვეშა გადასასვლელში, ხოლო გადასასვლელის დაკეტვის პერიოდში, მოეწყობა დროებითი მიწისზედა გადასასვლელი ბარათაშვილის ქუჩაზე.

სადგურ ,,თავისუფლების მოედნიდან“ გამომავალი მეორე ამოსასვლელის კორიდორისა და ბარათაშვილის ქუჩაზე არსებული მიწისქვეშა გადასასვლელის დონეებს შორის მანძილი 220 მეტრს, სიმაღლის სხვაობა კი დაახლოებით 25-30 მეტრს შეადგენს. შესაბამისად, მეორე ამოსასვლელი უნდა შედგებოდეს ჰორიზინტალური და დახრილი გვირაბისგან. შესაძლოა, ჰორიზონტალურ გვირაბში ტრავოლატორის მოწყობა, ხოლო დახრილ გვირაბში მოეწყობა ესკალატორი, რომელიც სასურველია განთავსდეს მიწისქვეშა გადასასვლელის სიახლოვეს მისი მომსახურების გასაადვილებლად, ხოლო სადემონტაჟო შახტა შესაძლოა, მოეწყოს ორბელიანის მოედანზე. მიწისქვეშა გადასასვლელის

კორიდორის მიმდებარედ, იმავე დონეზე ზედაპირიდან დახურული წესით გაითხრება სივრცე ზედა ვესტიბიულისთვის, რის შემდეგაც განთავსდება დახრილი გვირაბი.

არსებულ სიტუაციაში, საჭიროა აღნიშნული პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრების შესწავლა, ტექნიკური დავალების შედგენა, გეოლოგიური დაზვერვის ჩატარება და პროექტის ღირებულების შეფასება.

„ავლაბრის“ მეორე ამოსასვლელი. საბჭოთა პერიოდში იგეგმებოდა სადგურ ,,ავლაბრის“ მეორე ამოსასვლელის აშენება გორგასლის ქუჩაზე ბალნეოლოგურ კურორტთან. მეორე ამოსასვლელი სადგურს შესაძლოა შეუერთდეს II ლიანდაგზე გადამავალი კიბის სახით, რომლის შემდეგ 280 მეტრის სიგრძის მქონე ჰორიზონტალური გვირაბით, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ტრავოლატორის მოწყობა, გაივლის მტკვრის ქვეშ და საესკალატორო გვირაბით ამოვა ზედაპირზე.

,,ავლაბრის“ მეორე ამოსასვლელი დააკავშირებდა კრწანისის რაიონს მეტროპოლიტენის ქსელთან და იგი მოსახერხებელი იქნებოდა ტურისტებისთვისაც, რამდენადაც აღნიშნული რაიონი თბილისის ერთ-ერთი უმთავრესი ტურისტული და გასართობის ცენტრია. სამშენებლო მოედნად შესაძლებელია ბალნეოლოგიური კურორტის მიმდებარე ტერიტორიის გამოყენება.

,,ვაზისუბანი“ – „300 არაგველი“-1980-იანი წლების მეორე ნახევარში დაიწყო თბილისის მეტროპოლიტენის მესამე ხაზის პირველი რიგის მშენებლობა საექსპლუატაციო სიგრძით 5730 მ, რომელიც მოიცავდა 5 სადგურს: რუსთაველი-2, საარბიუკენის მოედანი, ქვემო ელია, ზემო ელია (ალტერნატიული სახელწოდება: მეტრომშენის მოედანი) და ვაზისუბანი. 1993 წელს თანხების უკმარისობის გამო მშენებლობა შეწყდა და უკვე აშენებული ობიექტები დაკონსერვდა. დღეს არსებული მდგომარეობით, ობიექტების ნაწილი უკვე ლიკვიდირებულია (მაგალითად, საარბრუკენის მოედანზე არსებული დახრილი გვირაბი), ნაწილი კი დღემდე შენარჩუნდა სხვადასხვა მდგომარეობაში.

მესამე ხაზის იმ ობექტებიდან. რომელთა მშენებლობაც დაწყებულ იქნა, დღეს ყველაზე აქტუალური სადგურ „ვაზისუბნის“ დასრულებაა, რომლის შედეგად ვაზისუბნის მიკრორაიონები მეტროპოლიტენის ქსელით დაუკავშირდება თბილისის სხვა რაიონებს. პროექტის ატქტუალურობას განაპირობებს ის გარემოებაც, რომ მესამე ხაზზე დაწყებული ობიექტებიდან ყველაზე მასშტაბური სამუშაოები გაწეული იქნა სადგურ „ვაზისუბნის“ მონაკვეთზე და სწორედ ეს მონაკვეთია ყველაზე ახლოს დასრულებასთან.

აღნიშნულ მონაკვეთზე 1993 წლამდე შესრულდა 280 მეტრი სიგრძის პირველი და 50 მეტრი სიგრძის მეორე ლიანდაგის გადასარბენი გვირაბები სადგურ ,,ვაზისუბანსა“ და ,,ზემო ელიას“ შორის მდებარე #67 შახტიდან, ხოლო ვაზისუბანში მდებარე #68 შახტიდან დაიწყო ზედაპირიდან 63 მეტრის სიღრმეზე განთავსებული ერთთაღოვანი სადგურის მშენებლობა. მშენებლობის შეწყვეტამდე სადგურ ,,ვაზისუბნის“ სამშენებლო მოედანზე თითქმის დასრულდა საესკალატორო დახრილი გვირაბის, სავენტილაციო წოლხვრელის და წყალშემკრები კამერის აგება და დაიწყო სადგურის საყრდენი კედლების ჩამოსასხმელი წოლხვრელების გაყვანა. საესკალატორო გვირაბი ამჟამად დატბორილია, ხოლო სასადგურო გამომუშავებები იმყოფება მშრალ კონსერვაციაზე.

ვაზისუბნის სადგურის დასრულება შესაძლებელია მესამე ხაზის პირველი რიგის პროექტის შემდეგი კომპონენტების აგებით:

- 1413 მეტრი სიგრძის ერთლიანდაგიანი სამომსახურეო-შემაერთებელი ხაზი სადგურ ,,300 არაგველის“ ჩიხებიდან ,,ზემო ელიამდე“
- 1187 მეტრი სიგრძის ერთი გადასარბენი გვირაბი სადგურ ,,ზემო ელიადან“ ,,ვაზისუბნამდე“
- სადგური ,,ვაზისუბნის“ სასადგურე კომპლექსი მოსაბრუნებელი ჩიხის გარეშე.

პროქტის ამ ფორმით განხორციელება შესაძლებლობას მოგვცემს დროებით ქანქარისებური მოძრაობის მეშვეობით დავაკავშიროთ სადგურები „ვაზისუბანი“ და „300

არაგველი“. აღნიშნულ მონაკვეთზე შესაძლებელი იქნება საათში 12 ათასამდე მგზავრის გადაყვანა 7,5 წთ მინიმალური ინტერვალით. ამასთანავე, შენარჩუნდება მესამე ხაზის მშენებლობის გაგრძელება და მასზე სრულფასოვანი ერთმიმართულებიანი მოძრაობის გახსნის პერსპექტივა, რამდენადაც ყველა შესრულებული კომპონენტი გამოყენებული იქნება მომავალი მესამე ხაზის ფუქნციონირებისას და არ მივიღებთ შემდგომში უფუნქციო ან მშენებლობის გაგრძელების ხელშემშლელ ობიექტებს.

2.4 მეტროპოლიტენში კომფორტის დონის ამაღლება

კომფორტის დონის ამაღლება უფრო სასიამოვნოს გახდის მეტროპოლიტენით მგზავრობას და ხელს შეუწყოს მეტროპოლიტენში მგზავრების მოზიდვას მიწისზედა ტრანსპორტიდან. კომფორტის ზრდა მეტროპოლიტენში შესაძლებელია შემდეგი ღონისძიებების გამოყენებით:

- მოძრავი შემადგენლობის განახლება უფრო კომფორტული ვაგონებით
- ინტერვალების შემცირება ვაგონებში მგზავრთა სიმჭიდროვის შესამცირებლად
- ვაგონებში მგზავრების ჩასხდომა-ჩამოსვლის გამარტივება სპეციალური დახაზვის მეშვეობით
- მეტროპოლიტენში მგზავრების ორიენტაციის გამარტივება საინფორმაციო პოსტერების და სტენდების გაუმჯობესებით
- მგზავრებისთვის მიმზიდველი დამატებითი სერვისების შეთავაზება, მაგალითად, მობილურების დამტენები სადგურებში
- ადაპტაცია შშმ პირებზე

ინტერვალების შემცირება დაკავშირებულია მგზავრგამტარუნარიანობის ზრდასთან და ვაგონებში მგზავრების სიმჭიდროვის შემცირებასთან, ხოლო მოძრავი შემადგენლობის განახლება შედარებით შორი და ძვირადღირებული პერსპექტივაა და ამ ეტაპზე უფრო

მიზანშეწონილია არსებული სავაგონო პარკის მოდერნიზაციის დასრულება. ამ ნაწილში განვიხილავ მეტროპოლიტენის მიმზიდველობის ზრდისკენ მიმართულ იმ პროექტებს, რომელთა განხორციელება არ არის დაკავშირებული მაღალ ხარჯებთან და შესაძლებელია განხორციელდეს ახლო მომავალში: ჩასხდომა-გადმოსხდომის გამამარტივებელი დახაზვა, საინფორმაციო სტენდები, მობილურის დამტენები და ადაპტაცია შშმ პირებზე.

მგზავრების ჩასხდომა-ჩამოსვლის გამარტივება. ერთ-ერთ პრობლემას თბილისის მეტროპოლიტენში წარმოადგენს დისკომფორტი მატარებლის ვაგონში შესვლისა და გამოსვლის დროს. ხშირია შემთხვევები, როდესაც მგზავრების მატარებელში ჩასხდომა-გამოსვლა ხდება პარალელურ რეჟიმში და მატარებლის ვაგონიდან გამოსვლისას, მგზავრს კარებთან ხდება შემხვედრ მგზავრთა ნაკადი. აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტას წარმოადგენს სპეციალური დახაზვა მეტროსადგურის ბაქანზე იმ ადგილებზე, სადაც ჩერდება შემადგენლობის კარები. კარების გაჩერების ადგილები აღინიშნება ხაზებით და მიმართულების აღმნიშვნელი ისრებით. ხაზების გადაკვეთა ეკრძალება მატარებელში შემოსასვლელ მგზავრებს, სანამ უკანასკნელი მგზავრი არ გამოვა ვაგონიდან. შედეგად, კეთდება ერთგვარი კორიდორი ჩამომსვლელი მგზავრებისთვის. მეტროს ბოლო სადგურებზე დახაზვა არ იქნება საჭირო.

აღნიშნული ცვლილების მოსალოდნელი შედეგებია:

- დროის დაზოგვა მგზავრთა ჩასხდომისა და ჩამოსვლის პროცესის უკეთ ორგანიზების შედეგად. შესაბამისად, შემცირდება მგზავრების მიერ მატარებლის კარის დაბლოკვის მიზეზით მოძრაობის გრაფიკის დარღვევის შემთხვევები და შესაძლებელი იქნება ინტერვალების შემცირება გაჩერებებზე გამოყოფილი დროის შემცირების შედეგად
- გაიზრდება მგზავრთა უსაფრთხოების დონე ვაგონში შესვლა-გამოსვლისას, შემხვედრი ნაკადების არიდების შედეგად. შემცირდება ტრავმების მიღების

ალბათობა, განსაკუთრებით ისეთი მოწყვლადი ჯგუფებისთვის, როგორიცაა ბავშვები და მოხუცები

დახაზვისშემოღებას თან უნდა ახლდეს შესაბამისი საინფორმაციო კამპანია, რომელიც შეიძლება განხორციელდეს სოციალურ ქსელებში, შესაბამისი პლაკატების გაკვრით ვაგონებსა და სადგურებზე, ხოლო მეტროპოლიტენის სადგურებში განაწილებულ პატრულის თანაშრომლებს დაევალოს წესების დაცვის უზრუნველყოფა *(იხ. დანართი. სურათი №6).*

საინფორმაციო სტენდები. მეტროპოლიტენში ორიენტაციის გამარტივების მიზნით, საჭიროა სატრანსპორტო ქსელის რუკების განთავსება მეტროპოლიტენის სადგურებზე. ვაგონებში განთავსებული რუკებისგან განსხვავებით, რომელთა მიზანია მგზავრმა მინიმალურ დროში შეძლოს მისთვის საჭირო ინფორმაციის ადვილად პოვნა და წაკითხვა, სადგურზე განთავსებული რუკები უნდა იყოს უფრო დეტალიზებული, რამდგან მგზავრებს მეტი დრო აქვთ გაეცნონ მათ. ასეთი სტენდები უნდა ასახავდეს როგორც მეტროპოლიტენის სქემას, ქალაქის რუკაზე, ასევე ავტობუსებისა და მიკროავტობუსების მარშრუტებს, სავაჭრო ცენტრებს, საზოგადოებრივი კვების და სხვა მნიშვნელოვან ობიექტებს.

სადგურის ბაქანზე რუკები უნდა განთავსდეს სპეციალურ საინფორმაციო სტენდებზე, რომლებიც ჩაანაცვლებს არსებულ სტენდებს. ამჟამად განთავსებული საინფორმაციო სტენდები წარმოადგენს ბაქანზე პერპენდიკულარულად განთავსებულ „ლაითბოქსებს“, რაც პრობლემას წარმოადგენს მგზავრთა ნაკადების ისეთი ინტენსიური გადაადგილების ადგილებზე, როგორიც მეტროპოლიტენის ბაქანია. გარდა მგზავრთა ნაკადის შეფერხებისა, სადგურის გარდიგარდმო განთავსებული „ლაითბოქსები“ წარმოადგენენ პრობლემას უსაფრთხოების კუთხითაც, რამდენადაც ხელს უშლიან მგზავრების სწრაფ ევაკუაციას სადგურიდან აუცილებლობის შემთხვევებში და ასევე ქმნიან კამერებისთვის და საპატრულო პოლიციის თანამშრომლებისთვის ბრმა წერტილებს სადგურებზე. გარდა

ამისა, არსებული ბანერები, მასშტაბიდან გამომდინარე, შედარებით ძვირი და რთულად სარემონტოა საჭიროების დროს. როგორც პრაქტიკამ აჩვენა, ისინი არც სარეკლამოდ გამოიყენება ფართოდ.

უკეთესი იქნება, არსებული ბანერები შეიცვალოს ბაქნის პარალელურად განთავსებული მსუბუქი და შედარებით კომპაქტური კონსტრუქციებით. ასეთი კონსტრუქციები ხელს არ უშლის მგზავრების მოძრაობას, ფაქტობრივად არ ქმნის ბრმა წერტილებს სადგურებზე, შესაძლებელია მოდალური კონსტრუქციების გამოყენებით მათი გაგრძელება ბოქსების დამატების საჭიროების შემთხვევაში, ხოლო მსუბუქი წონიდან და გაბარიტებიდან გამომდინარე, მათი შეკეთება და მომსახურება მსხვილი გაბარიტის მქონე არსებულ „ლაითბოქსებთან“ შედარებით, უფრო ადვილი და იაფია *(იხ. დანართი. სურათი №7).*

გარდა დეტალიზებული რუკებისა აღნიშნული სტენდები შესაძლებელია გამოვიყენოთ საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად, მათზე მგზავრთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შინაარსის მქონე ინფოგრაკიების განთავსებით. მაგალითად, პოსტერებზე შეიძლება იყოს დატანილი ინფორმაცია, როგორ უნდა მოიქცეს მგზავრი, თუ ჩავარდა მატარებლის ლიანდაგზე, ცეცხლი გაჩნდა მატარებლის შემადგენლობაში, ჩანთა დავარდა ლიანდაგზე და ასე შემდეგ. ასევე სტენდებზე შესაძლებელია რეკლამის განთავსება, მათ შორის, სოციალური რეკლამის, რომელიც მოუწოდებს მგზავრებს დაიცვან ქცევის წესები და ეთიკა საზოგადოებრივ ტრანსპორტში.

შესაძლებელია, სტენდებზე მონიტორების განთავსება ჰერმეტულად დახურულ გამჭვირვალე მინის ქვეშ, რაც დაიცავს მათ ნესტისგან დაზიანებისგან. როგორც პრაქტიკამ აჩვენა, სადგურებზე დამონტაჟებული მონიტორები ხშირად მწყობრიდან გამოდის სადგურებზე არსებული ნესტიანი ჰაერის ზემოქმედების შედეგად. სტენდებზე გათავსებული მონიტორი შესაძლებელია მოთავსდეს ჰერმეტულად დახურვად ბოქსში, რაც უფრო რთულია სადგურის თაღზე და კედლებზე, სიმაღლეზე დაფიქსირებული მონიტორების შემთხვევაში.

მობილურის დამტენები. მგზავრის საჭიროებებზე მეტროპოლიტენის უკეთ მორგების კიდევ ერთ საშუალებას წარმოადგენს მობილური ტელეფონის დამტენი USB-პორტები, განთავსება. ამჟამად, თბილისის მეტროპოლიტენის ვაგონების მოდერნიზაციისა და კაპიტალური რემონტის დროს გათვალისწინებულია მათში დამტენი პორტების განთავსება, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ მგზავრი ვაგონში შედარებით მცრე დროს ატარებს და თანაც ვაგონების დატვრთვის შემთხვევაში პორტის განთავსების ადგილამდე (ვაგონის კართან) მისვლა ყოველთვის არ იქნება შესაძლებელი, სადგურზე განთავსებული პორტების საჭიროება მაინც რჩება. ასეთი პორტები შესაძლებელია განთავსდეს სადგურზე არსებულ საინფორმაციო სტენდებზე. ასეთ შემთხვევაში კაბელის მიყვანა დამტეანმდე შესაძლებელი იქნება პლატფორმის ქვეშ არსებული ტექნიკური კოლექტორიდან და სადენები არ დაამახინჯებს სადგურის ინტერიერს.

ადაპტაცია შშმ პირებზე. ღრმა ჩაწოლის მქონე სადგურების ადაპტაცია შშმ პირებზე, როგორც წესი ხორციელდება ვერტიკალური საშახტე ლიფტების მეშვეობით, რომლითაც ლიფტებით მგზავრი ზედაპირიდან პირდაპირ ჩადის სადგურის პლატფორმაზე. ასეთი ლიფტები, როგორც წესი გათვალისწინებულია სადგურის პროექტირების ეტაპზე, ხოლო უკვე არსებული სადგურების შემთხვევაში, როგორც თბილისის მეტროპოლიტენშია, მსგავსი ლიფტების მოწყობა, როგორც წესი, ან ძალიან ძვირია, ან ტექნიკურად შეუძლებელი, რადგანაც ხშირად სადგურები განთავსებული მჭიდროდ განაშენიანებული ტერიტორიების ქვეშ.

თბილისის მეტროპოლიტენის შემთხვევაში, დანახარჯი-შედეგის თვალსაზრისით, ოპტიმალური იქნებოდა გადატანადი სპეციალური პლატფორმების შეძენა საესკალატორო დაღმართით აღჭურვილ სადგურებზე. ასეთი პლატფორმა შეიძლება ინახებოდეს დაკეცილ მდგომარეობაში, ისე რომ არ შეუშალოს ხელი მგზავრების მოძრაობას. საჭიროების შემთხვევაში, სპციალურად დატრენინგებული პერსონალი გაშლის პლატფორმას, რომელზეც განთავსდება შშმ ეტლი და მიაგორებს ესკალატორამდე, სადაც ხდება

პლატფორმის დამუხრუჭება და უსაფრთხოდ ფიქსაცია ესკალატორზე *(იხ. დანართი. სურათი №8).*

თითოეულ საესკალატორო დაღმართთან საჭიროა განთავსდეს ორი პლატფორმა, ერთი სადგურის პლატფორმაზე, მეორე კი, ზედა ვესტიბილში. მგზავრის გადაადგილების შემდეგ უნდა მოხდეს ცარიელი პლატფორმის დაბრუნება თავდაპირველ ადგილზე. სადგურ „სახელმწიფო უნივერსიტეტის“ გახსნის შემდეგ თბილისის მეტროპოლიტენში სულ 19 საესკალატორო დაღმართი იქნება, პლუს ერთი ესკალატორი სამედიცინო უნივერსიტეტზე, შესაბამისად, საჭირო იქნება 40 პლატფორმის შეძენა.

მცირე ჩაწოლის სადგურებზე, სადაც მგზავრთა ჩასვლა-ამოსვლა მხოლოდ კიბეებით ხდება, შესაძლებელია, კიბის პარალელურად კედელზე დამონტაჟებული დიაგონალური ლიფტების განთავსება, როგორც მიწისქვეშა გადასასვლელებშია. ასეთივე ლიფტები უნდა განთავსდეს იმ ღრმა სადგურების ჩასასვლელებთანაც, სადაც ზედა ვესტიბიული მიწისქვეშ მდებარეობს და მასში ჩასვლა კიბეებით ხდება: ვარკეთილი, სადგურის მოედნის მეორე და მესამე ამოსასვლელები, ღრმაღელე, გურამიშვილი, სარაჯიშვილი, ახმეტელის თეატრი, წერეთელი, ტექნიკური უნივერსიტეტი, სახელმწიფო უნივერსიტეტი.

გადახდის სისტემის ოპტიმიზაცია. დღეს თბილისის მეტროთი და ავტობუსით მგზავრობის სტანდარტული ტარიფი შეადგენს 50 თეთრს, ხოლო საბაგიროთი – 2 ლარს. ასევე მოქმედებს შეღავათიანი ტარიფიც, რომელიც სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისთვის განისაზღვრება შემდეგნაირად: უფასო, 10 თეთრი, 20 თეთრი და 50 თეთრი (საბაგიროს შემთხვევაში).

სატრანსპორტო კომპანიის შემოსავლებს გაზრდიდა დღევანდელთან შედარებით უფრო მოქნილი სატარიფო სისტემა, რაც მრავალ ქვეყანაში მოქმედებს წარმატებით. სისტემა გულისხმობს კლასიფიცირებული სამგზავრო ბარათების შემოღებას, როგორებიცაა:

- თვიური აბონემენტი

- კვირეული აბონემენტი
- დღიური აბონემენტი
- ერთჯერადი სამგზავრო ბილეთი
- გადასაჯდომი ბილეთი
- ჯგუფური ბილეთი

ამ აბონემენტებს დაემატება უკვე არსებული ბარათები, როგორებიცაა მოსწავლის ბარათი, სტუდენტური ბარათი, პენსიონერის ბარათი და ა.შ. განვიხილოთ თითოეული ბარათის ფასი და უპირატესობები:

თვიური აბონემენტი ოპტიმალურია მგზავრებისთვის, რომლებიც სამუშაო დღეებში მინიმუმ ორჯერ სარგებლობენ საზოგადოებრივი ტრანსპორტით. ამას შეგვიძლია დავამატოთ ორი მგზავრობა ერთ უქმე დღეს. შედეგად, თვეში მგზავრი საშუალოდ 48 ჯერ მგზავრობს საზოგადოებრივი ტრანსპორტით, რაც 24 ლარის ტოლფასია. აქედან გამომდინარე, ყოველთვიური აბონემენტის ფასი შეიძლება უდრიდეს 24 ლარს. თვიური აბონემენტის შესყიდვა უნდა იყოს შესაძლებელი ნებისმიერი თვის არჩევით და მოქმედი უნდა იყოს თვის პირველი რიცხვიდან, იგივე თვის ბოლო რიცხვამდე. ეს უფრო კომფორტული იქნება მგზავრებისთვის და უფრო მარტივს გახდის მზადებას შემდეგი თვისთვის და შეამცირებს უბილეთო მგზავრების რაოდენობას. აქედან გამომდინარე, მგზავრი მგზავრობის საფასურს იხდის მხოლოდ თვეში ერთხელ.

კვირეული აბონემენტი გათვლილი არის იმ მგზავრებზე, რომლებიც არ აპირებენ დიდხანს ქალაქში დარჩენას, ან უბრალოდ მუნიციპალური ტრანსპორტის გამოყენებას. ერთ კვირიანი აბონემენტის ფასმა შესაძლოა შეადგინოს 10 ლარი, რაც თვიურ აბონემენტზე 3-ჯერ ნაკლებია, ხოლო დღევანდელი ტარიფის მიხედვით, უფრო ძვირი.

დღიური აბონემენტი გულისხმობს ერთი დღის ბილეთს და მორგებულია ქალაქის ვიზიტორებზე, რომლებიც მოკლე პერიოდით სტუმრობენ ქალაქს. ანუ მფლობელს

შეუძლია გადაადგილდეს ერთი კონკრეტული დღის განმავლობაში ნებისმიერი მიმართულებით. ასეთი ბილეთის ფასმა შესაძლოა შეადგინოს 5 ლარი.

ერთჯერადი სამგზავრო ბილეთი გულისხმობს მხოლოდ ერთი მგზავრობისთვის გადახდილ თანხას. გადაჯდომის შემთხვევაში ბილეთი აღარ მოქმედებს და საჭირო ხდება ავიღოთ ახალი ბილეთი. ამ შემთხვევაში ბილეთის ფასმა შეიძლება შეადგინოს 1 ლარი.

გადასაჯდომი ბილეთი გულისხმობს ერთ მიმართულებით ორი (ან მეტი) ტრანსპორტის გამოყენებას და შესაძლოა მოქმედი იყოს საათ-ნახევარი. ამ დროს მგზავრი თავისუფლად მოასწრებს დანიშნულების პუნქტში მისვლას. ასეთი ბილეთის ფასმა შესაძლოა შეადგინოს 1.5 ლარი.

ზემოთმოყვანილი აბონემენტების შემოღებით საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის ღირებულება არ იზრდება რეგულარული მგზავრებისთივს, რომლებიც შეიძენენ გრძელვადიან აბონემენტს. ამასთანავე, ასეთი სისტემა თბილისის სატრანსპორტო კომპანიას საშუალებას აძლევს, მიიღოს მეტი შემოსავალი იმ მგზავრებისგან, რომლებიც არარეგულარულად იყენებენ საზოგადოებრივ ტრანსპორტს. შედეგად, შემცირდება საბიუჯეტო დოტაციის ზომა და გამოთავისუფლდება რესურსები სატრანსპორტო სისტემის მოდერნიზაციისთვის.

თავი 3. ტრანსპორტის სხვა სახეობები

თბილისის შიდასაქალაქო ტრანსპორტის ყველაზე დიდი ღირსშესანიშნაობა და მონაპოვარია თბილისის მეტროპოლიტენი. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, რომ ჩემი ნაშრომის ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი ნაწილი მისთვის დამეთმო. თუმცა ამ თავში მინდა ვისაუბრო თბილისში ამჟამად არსებულ თუ წარსულში ფუნქციონირებად და შესაძლოა მომავალში აღდგენად სატრანსპორტო სახეობებზე.

3.1 მუნიციპალური ავტობუსები

თბილისის მუნიციპალური ავტობუსები უკვე არაერთხელ ვახსენე ისტორიული მიმოხილვის ნაწილში თუ მეტროპოლიტენთან უკეთესი ინტეგრაციის შესახებ საუბრისას, თუმცა ამ თავში მაინც მინდა შევეხო რამდენიმე საკითხს და ვისაუბრო იმ ცვლილებებზე, რაც ავტობუსების სისტემაში ხორციელდება და რაც ხელს შეუწყობს ამ სახეობის კიდევ უფრო განვითარებას.

როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, ამჟამად ავტობუსით მეტი ადამიანი მგზავრობს, ვიდრე მეტროთი *(იხ. დანართი. სურათი №2)*, ეს ნორმალური მდგომარეობა არ არის და ჩემი აზრით, უკეთესი იქნება თუ ქალაქის მთავარ სატრანსპორტო ხერხემლად მეტრო გადაიქცევა. (რატომ და როგორ ამაზე წინა თავში ვისაუბრე) მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ავტობუსები საჭირო არ არის და ამ სისტემის განვითარებაზე არ უნდა ვიზრუნოთ.

არსებული მდგომარეობა და პოტენციალი. თბილისის ავტობუსების სისტემის განახლება (ფაქტიურად თავიდან შექმნა) 2004 წლიდან დაიწყო, როდესაც პირველი ჰოლანდიური DAF-ის მეორადი მოხმარების ავტობუსების პარტია ჩამოვიდა. შემდეგ იყო უკრაინული Bogdan A092-ების მცირე პარტია. 2006 წელს კი ქალაქის მერიამ ჰოლანდიური ავტობუსების მეორე პარტია მიიღო.

2007 წელს მერიამ გამოაცხადა ტენდერი 510 ახალი ავტობუსის შეძენაზე (360 პატარა 150 დიდი). ტენდერში კორპორაცია ბოგდანმა გაიმარჯვა და თბილისის მერიას 360 Bogdan A092 და 150 Bogdan A144.5 მიაწოდა.

2010 წელს თბილსში 6 წლიანი მოღვაწეობის შემდეგ DAF-ების ერა დასრულდა. უმრავლესობა ჩამოიწერა ნაწილი თავდაცვის სამინისტროს გადასცეს. მანამდეც ჩამოიწერა გარკვეული რაოდენობა, ზოგი დაიწვა, ზოგს ავარია მოუვიდა და ა.შ. 2010 წელსვე მოხდა მაშრუტების დიდი ნაწილის შემოკლება და რამდენიმე მარშრუტი საერთოდ გაუქმდა.

2011 წლის სიახლე არის გაჩერებებზე ტაბლოების დამონტაჟება. სულ მთელ თბილისში ასეთი 450 ტაბლო დამონტაჟდა. ტაბლოები მგზავრებს აწვდის იმფორმაციას ამათუიმ მარშრუტზე მოძრავი ავტობუსის გაჩერებაზე მოსვლის სავარაუდო დროისა და მარშრუტის დეტალების შესახებ.

ყველა ავტობუსი აღჭურვილია GPS სისტემებით, რომელიც მათ ადგილმდებარეობას განსაზღვრავს. ინფორმაცია გადაეცემა სერვერს, რომელიც ამუშავებს მას და იმის მიხედვით, თუ როგორია მარშრუტი და საშუალო მოძრაობის სიჩქარე, ითვლის დროს, როცა ავტობუსი გაჩერებას მიაღწევს. დროის განსაზღვრა ხდება ავტობუსის მიერ გადაცემული ინფორმაცის მიხედვით, სად იმყოფება იმ მომენტში და რა მანძილი დარჩა გასავლელი. დავუშვათ, მოცემული ინფორმაციით ავტობუსი ერთ–ერთ გაჩერებაზე უნდა მივიდეს 15 წუთში. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქალაქში 60–წამიანი შუქნიშნები გვაქვს და თანაც საკმაოდ დიდი რაოდენობით *(იხ. დანართი. რუკა №3),* რომელიც ადვილი შესაძლებელია დაკეტილი დახვდეს ავტობუსს, ის უკვე ვეღარ შეძლებს ზუსტად 15 წუთში დანიშნულების ადგილზე მისვლას. თუმცა გამოცდილება აჩვენებს, რომ ავტობუსის მოძრაობის საშუალო სიჩქარე ზოგადად ემთხვევა ნაკადის საშუალო სიჩქარეს და ძალიან დიდი ცდომილებას, რაც ადამიანების სერიოზულ უკმაყოფილებას გამოიწვევდა, ჯერჯერობით ადგილი არ ქონია.

რაც შეეხება ხარვეზებს, ეს უფრო ადრე იყო, როცა საცდელი 20 ტაბლო გაეშვა. ბევრი რამის შეცვლა და გათვალისწინება გახდა საჭირო, რაც მანამდე არ იგეგმებოდა. მაგალითად, ავტობუსი საწყისი პუნქტიდან გასვლას აგვიანებს, შესაბამისად შუალედურ გაჩერებაზე მისვლის დრო იცვლება; ან ქალაქში საცობია, რაც მოძრაობას აფერხებს. ამგვარი შემთხვევებისთვის საჭირო გახდა ალგორითმების შექმნა, რომელიც მსგავსი სიტუაციებიდან გამოსავალს იძლევა.

2012 წელს დაინერგა SMS სერვისი, რომელიც მგზავრებს საშუალებას აძლევს გაიგონ მარშრუტის მოსვლის ფაქტიური დრო ნებისმიერ გაჩერებაზე (მათ შორის სადაც ტაბლო არ არის დამონტაჟებული). სერვისი კომფორტულია იმ კუთხითაც, რომ გაჩერების ნომრის ცოდნის შემთხვევაში, მოსვლის დროის გაგება შეიძლება გაჩერებაზე მისვლამდეც, სახლიდან გაუსვლელად.

ასევე შეიქმნა სატრანსპორტო აპლიკაციია მობილური ტელეფონებისთვის, რომელიც მომხმარებელს აძლევს შესაძლებლობას მობილური ტელეფონიდან გამოიყენოს ყველა ის სერვისი, რომლის მიღებაც შესაძლებელია კომპანიის ვებგვერდიდან: მგზავრობის დაგეგმვა, ავტობუსი რეალურ დროში, ინფორმაცია გაჩერებების შესახებ, მარშრუტების მოსვლის რეალური დრო, განრიგები და ა.შ.

ასევე მოხდა თბილისის ავტობუსის მარშრუტების, გაჩერებების და განრიგების ინფორმაციის ინტეგრაცია Google-ს სისტემაში (Google Transit), რომლის შედეგადაც შესაძლებელი გახდა მგზავრობის დაგეგმვა და მარშუტების და გაჩერებების შესახებ ინფორმაციის მიღება Google-ს რუკაზე (Google Map). ეს მნიშვნელოვანია როგორც ადგილობრივი მგზავრებისთვის, ასევე ქალაქის სტუმრებისა და ტურისტებისთვის.

ბოლო დროის ყველაზე სასიამოვნო სიახლე, თბილისის ავტობუსების სისტემაში, არის ახალი, თანამედროვე და კომფორტული ავტობუსების გამოჩენა. თუმცა ამას წინ თავისი სირთულეები და პრობლემები უძღოდა. 2013 წლის შემოდგომაზე, თბილისის მერიამ

დედაქალაქში ახალი თანამედროვე ტიპის ავტობუსების შესაძენად ტენდერი გამოაცხადა, მაგრამ ტენდერის შედეგები ბათილად იქნა ცნობილი. ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტებმა ვერ წარმოადგინეს ტექნიკური დოკუმენტაცია და ტენდერს გამოეთიშნენ. საპასუხოდ მათ გაასაჩივრეს შედეგები. საბოლოოდ მერიამ, საკრებულოს ზეწოლით, ტენდერი გააუქმა.

2015 წელს **EBRD**-მა (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვიტარების ბანკი) გამოაცხადა ახალი ტენდერი 150 ავტობუსის შესაძენად: 12 მეტრიანი, 100% დაბალ იატაკიანი, ბუნებრივ აირზე მომუშავე ძრავით. ტენდერში გერმანულმა კომპანია MAN-მა გაიმარჯვა და ავტობუსების ეტაპობრივი შემოყვანაც დაიწყო. ამჟამად შემოყვანილია 143 ავტობუსი, თუმცა ავტოპარკის განახლება კვლავ არის დაგეგმილი, დანარჩენი ავტობუსების ჩასანაცვლებლად.[14]

MAN-ს მეორე ეტაპზე კონკურენციას IVECO და Solaris-ი უწევდა. MAN-ის ავტობუსები სრულად CNG საწვავზე მუშაობს, ისინი ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაშია (Euro 6 სტანდარტი, ეკოლოგიურად სუფთა) და ასევე მორგებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებებს.

აღსანიშნავია, რომ გერმანული კომპანია MAN-ლიდერია ამ სეგმენტში, მისი წარმოებული სატვირთო ავტომობილები და ავტობუსები მთელ მსოფლიოში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს.

ავტობუსების შესაძენად თბილისის მერიას დაფინანსება ევრობანკმა გამოუყო. 27 მლნ ევროს ოდენობით სესხის სახით, დამატებით 7 მილიონის გრანტი EBRD-ის მართვის ქვეშ არსებულმა ფონდმა E5P გამოყო.

[14] ჟურნალი ლიბერალი (2016 წელი) „თბილისში 143 ახალი ავტობუსი შემოვა“. თბილისი
ბმული: http://liberali.ge/news/view/24472/tbilisshi-143-akhali-avtobusi-shemova

ახალი ავტობუსების შეძენასთან ერთად, გაჩნდა ახალი მოთხოვნები და სამუშაო ადგილები. მძღოლებს დასჭირდათ სპეციალური გადამზადება, რათა ახალი ავტობუსების ტექნიკურ მახასიათებლებს და შესაძლებლობებს გაცნობოდნენ. ასევე გაჩნდა ახალი საავტობუსო ბაზის მშენებლობის საჭიროება. ახალი ბაზის მშენებლობა დიდი დიღომის ტერიტორიაზე გადაწყდა და მშენებლობის დასრულება 2017 წლის ზაფხულში იგეგმება.[15] ავტობაზა 377 ავტობუსის პარკირების შესაძლებლობას იძლევა და შესაძლებელია ყველა სახის მომსახურების გაწევა, ყოველდღიური საჭიროებებიდან დაწყებული, კაპიტალური რემონტით დამთავრებული.

ერთი სიტყვით, ავტობუსების სისტემა ნამდვილად ვითარდება. სასიამოვნოა ისეთი სიახლეებიც, როგორიცაა ახალ ავტობუსებში ელექტრონული სალაროები, რომელიც ბილეთს არ ბეჭდავს და საკმაოდ კომფორტული და ეკოლოგიურად გამართლებულია. ასევე კარგი სიახლეა ახალი გაჩერებებისა და გაცერებებზე საინფორმაციო რუკების მონტაჟი. თუმცა საჭიროა კიდევ უფრო მაღალი ტემპებით განვითარება: ავტოპარკის მთლიანად ახალი, თანამედროვე ავტობუსებით ჩანაცვლება, მათ შორის არამხოლოდ 12 მეტრიანი, არამედ შედარებით მცირე ზომის ავტობუსებისაც, რომლებიც შედარებით ძველ უბნებში და ვიწრო ქუჩებში მოძრაობენ; ახალი სალაროების მონტაჟი; ყველა გაჩერების განახლება და საინფორმაციო რუკების მონტაჟი და რაც მთავარია, მარშრუტების ოპტიმიზაცია და ინტეგრაცია მეტროპოლიტენთან და სხვა სახეობებთან.

3.2 ტროლეიბუსი და ტრამვაი

ტროლეიბუსი და ტრამვაი თბილისის ტრანსპორტის ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილია. **ტროლეიბუსი** თბილისში 1937 წლიდან გამოჩნდა. მისი ამოქმედებისა და

[15] ინტერნეტ გამოცემა Guardian.ge (2017 წელი) „თბილისში, დიდ დიღომში ავტობაზის მშენებლობა მიმდინარეობს“. თბილისი
ბმული: http://guardian.ge/22222-thbilisshi-did-dighomshi-avtobazis-mshenebloba-mimdinareobs.html

მარშრუტების დასახვის შესახებ გადაწყვეტილება კი ჯერ კიდევ 1934 წელს იყო მიღებული, თბილისის პირველი გენერალური გეგმის შედგენასთან ერთად. ტროლეიბუსის ხაზის სიგრძე მისი გახსნის წელს 15-მდე კილომეტერს შეაგდენდა და 80-იანი წლების შუაში 95 კილომეტრს მიაღწია. ამას რა თქმა უნდა ტროლეიბუსთა რიცხვის ზრდაც მოჰყვა. ტროლეიბუსის საერთო წილი მგზავრთა გადაყვანაში თითქმის არასოდეს არ ყოფილა 20%-ზე მეტი. უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე დიდი კონკურენცია მას მაინც ტრამვაისთან ჰქონდა, რის შედეგადაც მან შეძლო ცენტრალური ქუჩებიდან ტრამვაის განდევნა.

1983–87 წლებში თბილისში მთლიანად განახლდა ტროლეიბუსების პარკი და 1987 წლიდან მხოლოდ Škoda 14tr მოდელის ტროლეიბუსები მოძრაობდა. 1991 წლიდან თბილისში დაიწყო ტროლეიბუსის ხაზების შეკვეცა, ხოლო 1992–95 წლებში მოძრავი შემადგენლობის მნიშვნეოვანი ნაწილი განადგურდა. აღსანიშნავია, რომ 90-იან წლებში მეტროსთან ერთად, ტროლეიბუსი ერთადერთი რეალურად მოქმედი საზოგადოებრივი ტრანსპორტი იყო. თბილისის ტროლეიბუსებმა არსებობა 2006 წელს შეწყვიტეს.

ტროლეიბუსების სისტემამ მაქსიმალურ ზომას მიაღწია 1986 წელს ***(იხ. დანართი. რუკა №4)***. ამ მომენტისთვის ქალაქში მოქმედებდა ტროლეიბუსის 21 ხაზი, სიგრძით 95 კმ და 225 ტროლეიბუსით. 1999 წლიდან თბილისმა ათენიდან მიიღო 37 მეორადი ტროლეიბუსი ЗиУ-9. თბილისის ტროლეიბუსის უკანასკნელი 4 მარშრუტი ლიკვიდირებულ იქნა 2006 წლის 4 დეკემბერს.

მიუხედავად იმისა, რომ ტროლეიბუსი ერთ-ერთი იაფი და ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტია, ის მაინც არ სარგებლობს დიდი პოპულარობით და წარსულის სახეობად ითვლება. საკმაოდ მოუხერხებელი და ულამაზოა მისთვის საჭირო ინფრასტრუქტურაც, ქუჩებში გაბმული დენის სადენების სახით, რომელიც ძალიან აუშნოვებს ქალაქის იერსახეს. ტროლეიბუსი რომ წარსულია, ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ არათუ რაიმე პროექტი და გეგმა, არამედ საუბარიც კი არ არის მისი რაიმე სახით აღდგენაზე. ამიტომ უნდა ვივარაუდოდ, რომ ტროლეიბუსი თბილისს სამუდამოდ დაემშვიდობა.

ტროლეიბუსისაგან განსხვავებული მდგომარეობაა **ტრამვაისთან** მიმართებაში. ტრამვაის ამჟამად არ არსებობას, თბილისელების უმრავლესობა უარყოფითად აფასებს და სულ უფრო ხშირია საუბრები მისი თანამედროვე სახით აღდგენაზე და ჩქაროსნული და კომფორტული ტრამვაის ქსელის შექმნაზე.

არსებობს ფრანგული კომპანია „Systra"-ს მიერ შექმნილი პროექტიც, რომელიც თბილისში ტრამვაის შესაძლო მშენებლობის გეგმას წარმოადგენს. გეგმის მიხედვიტ ხაზი რუსთაველზე და სხვა ცენტრალურ გამზირებზე გაივლის და ქალაქის ცენტრს გარეუბნებთან დააკავშირებს. ფრანგულმა კომპანიამ თბილისში ჩატარებული ერთწლიანი სამუშაოს შედეგები 2012 წლის 6 აპრილს გამოაქვეყნა და ტრამვაის პირველი ხაზის მარშრუტის პრეზენტაცია მოაწყო. ტრამვაის მარშრუტი უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსიდან იწყება და ორთაჭალის ავტოსადგურთან მთავრდება. ამ პროექტის მიხედვით, თბილისის ტრამვაის პირველი ხაზის სიგრძე 14 კილომეტრი იქნება. ტრამვაის ლიანდაგები უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსიდან დაიწყება, იქვე აშენდება დეპოც. მომდევნო კვანძი მეტრო დელისი იქნება, საიდანაც ტრამვაის ხაზი ვაკის პარკს დაუკავშირდება და ჭავჭავაძის გამზირზე გაივლის. მთლიანად ტრამვაის დაეთმობა ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქუჩა, შემდეგ, რუსთაველის გამზირის გავლით, ტრამვაი ასევე ავტომობილებისთვის გადაკეტილ კოტე აბხაზის (ყოფილ ლესელიძის) ქუჩაზე მოხვდება. ტრამვაი გაივლის „მეიდანზეც" და გორგასლის ქუჩით ორთაჭალის ავტოსადგურს დაუკავშირდება. თბილისის ტრამვაის პირველ ხაზზე მოეწყობა 23 გაჩერება და ტრამვაის შემადგენლობა პიკის საათში 4 წუთიანი ინტერვალით იმოძრავებს ***(იხ. დანართი. რუკა №5).***

მიუხედავად დიდი მხარდაჭერისა, ზოგიერთი მაინც სკეპტიკურად უყურებს ტრამვაის მშენებლობას. ქვემოთ შევეცდები ვუპასუხო იმ ძირითად კითხვებს, რაც ტრამვაის შესაძლო აღდგენასთან დაკავშირებით ხშირად ისმის:

რატომ არის საჭირო ტრამვაი - ავტომობილების რაოდენობისა და მგზავრთა ნაკადების ინტენსიური მატების გამო თბილისს აქვს სატრანსპორტო პრობლემები, რომელთა გადაწყვეტისათვის საჭიროა საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება. ტრამვაის შექმნა იქნებოდა შესანიშნავი ვარიანტი ამ პრობლემების გადასაჭრელად, რადგან ტრამვაი შესაძლოა გახდეს მეტროპოლიტენის ერთგვარი გაგრძელება და გაყვანილ იქნას ისეთ უბნებში, სადაც მეტრო არ მიდის.

ტრამვაის გააჩნია რიგი უპირატესობები სხვა სახეობის ტრანსპორტთან შედარებით:

- მაღალი გამტარუნარიანობა;
- ეკოლოგიურობა;
- ეკონომიურობა;
- უსაფრთხოება;
- მოხერხებულობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის.

ტრამვაის დიდი ტევადობის მოძრავი შემადგენლობის მეშვეობით შეუძლია მეტი მგზავრის გადაყვანა და ავტომობილთან შედარებით ის გზის ფართს რვაჯერ უფრო ეფექტურად იყენებს. ასევე, განცალკევებული ზოლის მეშვეობით ტრამვაის შეუძლია გვერდი აუაროს ავტომობილთა საცობებს.

ევროპის მერების კონვენციის თანახმად 2020 წლამდე თბილისში CO2–ის ემისია 20%–ით უნდა შემცირდეს. ტრამვაი მოიხმარს ელექტრო ენერგიას და არ აბინძურებს ჰაერს.

ტრამვაი უფრო ეკონომიური ტრანსპორტია. ელექტრო ძრავის მარგი ქმედების კოეფიციენტი 2,3–ჯერ აღემატება დიზელის ძრავისას, ხოლო სარელსო ტრანსპორტის წინაღობა გზის მიმართ გაცილებით ნაკლებია საბურავებიანი ტრანსპორტის წინაღობაზე.

ტრამვაი მკაცრადაა დაფიქსირებული სავალ ნაწილზე, ამიტომ იგი ყველაზე უსაფრთხო ტრანსპორტია და მას შეუძლია მაქსიმალური სიჩქარით იმოძრაოს ხიდებზე, გვირაბებსა და ვიწრო გასასვლელებში.

ტრამვაის დაბალიატაკიან ვაგონებში არ არის კიბეები და მისი იატაკი ბაქნის სიმაღლეზეა. მისი მოხერხებული სალონი მნიშვნელოვნად უადვილებს გადაადგილებას მოხუცებსა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს.

აღნიშნული უპირატესობებიდან გამომდინარე თბილისისათვის აუცილებელია ტრამვაის სისტემის შექმნა.

რატომ გააუქმეს ტრამვაის ძველი სისტემა - ძველი სისტემა სრულიად ამორტიზირებული იყო და მისი ექსპლუატაციის გაგრძელება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ მასშტაბური ინვესტიციის პირობებში, რაც ახალი სისტემის მშენებლობის ხარჯებს უტოლდება.

რამდენადაა შესაძლებელი და გამართლებული თბილისის ვიწრო ქუჩებისა და დიდი რაოდენობით ავტომობილების პირობებში ტრამვაის მშენებლობა - ტრამვაის ფართის გამოყენების ეფექტურობის კოეფიციენტი საშუალოდ 8-ჯერ აღემატება ავტომობილის ამავე მაჩვენებელს. ანუ, სამი ავტომობილის ფართის გამოყენებით ტრამვაის გადაყავს 23 ავტომობილის ტევადობის მგზავრი. თუ გავითვალისწინებთ რომ თბილისში პიკის საათებში ავტომობილთა 80 %–ით მგზავრობს მხოლოდ ერთი კაცი, აქედან გამომდინარე ტრამვაის ფართის გამოყენების ეფექტურობის კოეფიციენტი ავტომობილისაზე 26-ჯერ მეტი გამოდის. სხვა სიტყვებით, მგზავრები ტრამვაით მგზავრობისას მოცემულ ქუჩაზე 26-ჯერ უფრო ნაკლებ ფართს იკავებენ, ვიდრე ამავე რაოდენობის მგზავრი დაიკავებდა ავტომობილით გადაადგილებისას. შესაბამისად, ვიწრო ქუჩების შემთხვევაში ტრამვაი კიდევ უფრო მეტადაა საჭირო, ვიდრე ფართოქუჩებიან ქალაქებში.

ტრამვაი ავტობუსზე ვიწროა და არ იკავებს რამდენიმე ზოლს ეთდროულად, როგორც შეიძლება მოხდეს ავტობუსის ან ავტომობილის შემთხევავში. ევროპის მრავალ ქალაქში ქუჩების უმრავლესობა ვიწროა, მაგრამ ეს ხელს არ უშლის ტრამვაის მოძრაობას.

ტრამვაი მოემსახურება მოსახლეობის უფრო მეტ ნაწილს ვიდრე, ავტომობილები, შესაბამისად, საზოგადოებრივ ტრანსპორტს უნდა მიენიჭოს უპირატესობა და ავტომობილების შეზღუდვა არ უნდა ჩაითვალოს ტრამვაის საწინააღმდეგო არგუმენტად.

იწვევს თუ არა ტრამვაი საცობებს - ტრამვაი ერთადერთი მიწისზედა მუნიციპალური ტრანსპორტია, რომელიც არ იკავებს ერთზე მეტ ზოლს და არ გადადის ზოლებს შორის. შესაბამისად იგი არ აფერხებს სხვა ტრანსპორტს. ავტობუსისგან განსხვავებით ტრამვაის არ შეუძლია ერთმანეთის გადასწრება. იგი ფიქსირებულია სავალ ნაწილზე და ავტომობილის მძღოლებმა ზუსტად იციან რა კორიდორი სჭირდება ტრამვაის, რისი პროგნოზირებაც ძნელია ავტობუსის და ტროლეიბუსის შემთხვევაში. ტროლეიბუსი, ავტობუსი, ტაქსი და სამარშრუტო ტაქსი თავისი მანევრირებით ქმნიან გაცილებით მეტ საცობებს და ამავდროულად სხვა მაჩვენებლებით ნაკლებად ეფექტურად ახდენენ მაგზავრთა ნაკადის მომსახურებას. თუ ტრამვაი ჩაანაცვლებს სხვა სახეობის ტრანსპორტს, პირიქით, იგი შეამცირებს საცობებს.

იწვევს თუ არა ტრამვაი ხმაურს და ვიბრაციას - ათწლეულების განმავლობაში ტრამვაის სისტემა იყო ამორტიზირებული, რამაც ტრამვაის შეუქმნა ძველი, არაკომფორტული, ხმაურიანი და ჩამორჩენილი ტრანპორტის იმიჯი. თანამედროვე ტრამვაი ბევრად უფრო ნაკლებ ხმაურს და ვიბრაციას იწვევს, ვიდრე ულტრათანამედროვე ავტობუსი.

მოძრაობის სიჩქარე - თანამედროვე ტრამვაის მოდელების მაქსიმალური სიჩქარე 70-120 კმ/საათია, რაც სრულიად საკმარისია ქალაქში გადაადგილებისთვის.

საჭირო ხარჯების რაოდენობა - ტრამვაის საწყისი ინვესტიცია დიდია, მაგრამ სამაგიეროდ მისი საექსპლუატაციო ხარჯები (საწვავი, მომსახურება) ავტობუსზე გაცილებით ნაკლებია. ასევე ტრამვაის ვაგონის რესურსი (საექსპლუატაციო ვადა) ბევრად აღემატება ავტობუსისას.

ამასთანავე ავტობუსი მოიხმარს იმპორტირებულ საწვავს, რომლის შესყიდვის თანხები მთლიანად საზღვარგარეთ გაედინება, ხოლო ტრამვაი მოიხმარს ადგილობრივი წარმოების ელექტროენერგიას. შესაბამისად ტრამვაის საწვავის ხარჯებზე გაღებული თანხები მთლიანად საქართველოში დარჩება და ტრამვაი ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის გაუმჯობესებას.

ტრამვაის ხაზის განლაგება ქუჩებში - ყველა ქუჩა განსხვავდება თავისი სპეციფიკით. შესაბამისად ტრამვაის ხაზი ყველგან ერთნაირი ვერ იქნება. ტრამვაის ხაზები არსებობს: შეთავსებული (საავტომობილო ქუჩებზე) და განცალკევებული (მხოლოდ ტრამვაისთვის გამოყოფილი ხაზი), გზის შუაში, გზის ნაპირას (ზაგრების და გლდანის მსგავსად), აუთვისებელ ტერიტორიებზე (მაგ. პრაღა-ბარანდოვო, კიევი-პუშევოდიცე).

ყოველ მეთოდს აქვს თავისი ნაკლი და უპირატესობა და შესაბამისად უნდა შეირჩეს ყველა ქუჩისთვის ცალკეული მათგანი, აღნიშნული ქუჩის თავისებურებებისა და პრობლემების გათვალისწინებით.

რამდენად დააზიანებს ასფალტის საფარს ტრამვაის მშენებლობა - თბილისში დაგებული ასფალტის გზების საექსპლუატაციო ვადა უმეტესად 3–5 წელია. ასევე არსებობს ლიანდაგის ტექნოლოგიები, რომელიც არ მოითხოვს გზების მთლიანად ათხრას და 5 საათში 100 მეტრი ლიანდაგის დაგების საშუალებას იძლევა.

ტრამვაი თუ ტროლეიბუსი - ტროლეიბუსი არის მხოლოდ და მხოლოდ ავტობუსის ეკოლოგიური ალტერნატივა, რომელსაც აქვს ფართო კორპუსი, გადადის ზოლიდან ზოლში, იწვევს საცობებს და სიჩქარის ზრდასთან ერთად მოითხოვს უფრო ფართო ზოლს და გზის ნაპირზე 2–3 მეტრს გამოუყენებელს ტოვებს. შესაბამისად ის გზის ფართს ნაკლებ ეფექტურად იყენებს. ავტობუსის მსგავსად ტროლეიბუსს აქვს საბურავები, რის გამოც შეუძლებელია მისი გამოყოფა ავტომობილებისგან. აქედან გამომდინარე ტროლეიბუსისთვის ტექნიკურად შეუძლებელია განცალკევებული ზოლის მოწყობა. მისგან განსხვავებით ტრამვაის აქვს საბურავებისგან განსხვავებული სავალი ნაწილი და განცალკევებული ზოლის მოწყობის შემთხვევაში ტრამვაის შეუძლია გვერდი აუაროს ავტომობილთა საცობებს, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ტრამვაის სიჩქარეს. შესაბამისად ტრამვაი ბევრად უფრო სწრაფი და მოხერხებული ტრანსპორტია, ვიდრე ავტობუსი და ტროლეიბუსი. სწორედ ამ უპირატესობის გამო ევროპის მრავალი ქალაქის მცხოვრები ავტომობილს სახლში ტოვებს და ტრამვაით მგზავრობს.

გარდა ამისა ტრამვაის წინაღობა ლიანდაგის მიმართ ნაკლებია, ხოლო ტროლეიბუსს აქვს საბურავის მაღალი წინაღობა გზის მიმართ. შესაბამისად ტრამვაი ნაკლებ დენს წვავს და ტროლეიბუსზე ეკონომიურია.

ტრამვაი თუ სამარშრუტო ტაქსი - სამარშრუტო ტაქსი არის არაეკოლოგიური, ხმაურიანი, ქაოსურად მოძრავი, არა უსაფრთხო, დაბალი გამტარუნარიანობის და ზედმეტად მანევრული ტრანსპორტი, რომელიც საცობებს იწვევს. მას აქვს მოუხერხებელი სალონი და არაკომფორტულია.

ტრამვაი თუ ელექტრო ავტობუსი - ელექტრო ავტობუსი არის იგივე ავტობუსი და მისი ექსპლოატაცია დაკავშირებულია იგივე სახის პრობლემებთან, როგორიც ჩვეულებრივი ავტობუსების ექსპლოატაციისას. ელექტრო და თუნდაც წყალბადის ავტობუსები არის იგივე საწვავზე მომუშავე ავტობუსის ეკოლოგიურად სუფთა ალტერნატივა და არა

ტრამვაის. ტრამვაი არის ტრანსპორტი რომელიც შენდება მაღალი გამტარუნარიანობისთვის და დიდი რაოდენობის მგზავრების გადასაყვანად.[16]

ამ ყველაფრიდან გამომდინარე ნამდვილად ღირს ტრამვაის მშენებლობაზე ფიქრი და კარგია, რომ ამ მიმართულებით მცირე სასიკეთო ძვრები მაინცაა, თუმდაც საუბრების დონეზე და უბრალოდ ნახაზების შექმნით.

3.3 საბაგიროები

ისეთი რთული რელიეფის მქონე ქალაქისთვის, როგორიც თბილისია, მეტად მოსახერხებელია საბაგირო ტრანსპორტის განვითარება. როგორც ისტორიული მიმოხილვის ნაწილშიც ვახსენე, მე-20 საუკუნეში თბილისში რამდენიმე საბაგირო ფუნქციონირებდა, რომელთაგან დღეს უმრავლესობა უფუნქციო და ზოგი საერთოდ აღარ არსებობს. თუმცა არის სასიხარულო მაგალითებიც. ერთ ერთი მათგანია რიყე-ნარიყალას ციხესიმაგრის საბაგირო, რომელიც 2012 წელს გაიხსნა. ეს საბაგირო ტურისტებით გადატვირთულ ნაწილში მდებარეობს და თბილისის ერთგავრ სიმბოლოდაც იქცა.

2016 წლის შემოდგომაზე, 7 წლიანი პაუზის შემდეგ გაიხსნა კუს ტბის საბაგირო, რომელიც ჭავჭავაძის გამზირიდან კუს ტბაზე მოხვედრას 6 წუთში ხდის შესაძლებელს. საბაგიროს სადგურები და კაბინები სრულად აღადგინეს, თუმცა შეუნარჩუნდა თავდაპირველი იერსახე. აღსანიშნავია, რომ საბაგირო ადაპტირებულია შშმ პირებისთვის და კაბინებზე გარედან განთავსებულია ველოსიპედის სამაგრები. ამ საბაგიროს განახლებას ძალიან დიდი მნიშვნელობა ქონდა, რადგან მგზავრთა ნაკადის ნაწილი, რომელიც საკუთარი ავტომობილებით მოძრაობდა კუს ტბის მიმართულებით და უკან,

[16] ვებგვერდი tramvai.ge (2010 წელი) „ხშირად დასმული კითხვები“. თბილისი
ბმული: http://www.tramvai.ge/ხშირა-დასმული-კითხვები/

საბაგიროზე გადმოერთო და შესაბამისად ტბისკენ მიმავალი გზა და პარკინგის ადგილები შედარებით გამოთავისუფლდა.

ჯერჯერობით თბილისში მხოლოდ ნარიყალასა და კუს ტბის საბაგიროები ფუნქციონირებს. ორივე მათგანის ოპერირებას „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ ახორციელებს. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ საბაგიროებით ყოველდღიურად დაახლოებით 7-8 ათასი მგზავრი სარგებლობს.

ამჟამად მიმდინარეობს კიდევ ორი საბაგიროს აღდგენა. ესენია მაღლივი-ბაგებისა და რუსთაველი-მთაწმინდის დამაკავშირებელი საბაგიროები.

უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსისა და ბაგების სტუდქალაქის დამაკავშირებელი საბაგირო მნიშვნელოვანია სტუდქალაქის, მთლიანად ბაგების და ნაწილობრივ წყნეთის მცხოვრებთათვისაც. მეტროსადგურ „სახელმწიფო უნივერსიტეტის“ გახსნასთან ერთად, ამ საბაგიროს მნიშვნელობაც იზრდება, რადგან მეტროსადგურიდან საბაგირომდე დაახლოებით 650 მეტრია. ამ მანძილის გავლა ფეხითაც არ არის რთული და შეიძლება ითქვას, რომ ბაგების დასახლებაც ინტეგრირებული ხდება მეტროპოლიტენთან. წყნეთის მაცხოვრებლებისთვის კი იმიტომაა კარგი, რომ მათაც შეუძლიათ ბაგების სტუდქალაქამდე მეტროს და საბაგიროს გავლით მივიდნენ, შემდეგ კი ავტობუსით გააგრძელონ გზა. ამის შედეგად განიმუხტება წყნეთის გზატკეცილის გადატვირთული მონაკვეთი ბაგებში. საბაგიროს გახსნა შემოდგომაზე იგეგმება, მომავალში კი არც ბაგები-წყნეთის ახალი საბაგიროს მშენებლობაა გამორიცხული, რომელიც წყნეთში მიმოსვლას კიდევ უფრო მარტივს გახდიდა და გადატვირთულ გზას განმუხტავდა.

რაც შეეხება რუსთაველი-მთაწმინდის საბაგიროს, ის მრავალი წლის მანძილზე იყო თბილისის სიმბოლო და უამრავ ადამიანს ემსახურებოდა მანამ, სანამ 1990 წელს ტრაგედია არ დატრიალდა. ბაგირის გაწყვეტის გამო 19 ადამიანი გარდაიცვალა, 42 კი დაშავდა. მას შემდეგ საბაგირო აღარ ფუნქციონირებს.

2014 წელს იგეგმებოდა საბაგიროს აღდგენა გადანაცვლებული ქვედა სადგურით ვარდების მოედანზე, სასტუმრო „რედისონის“ წინ. საბაგირო იქნებოდა რევერსიული გონდოლებიანი ტიპის 21 გონდოლით. განხორციელდა ზედა, ძველი სადგურის დემონტაჟი, რომლის ადგილასაც ახლის განთავსება იგეგმებოდა. ძველი საბაგიროს ორივე საყრდენი ანძაც გადაიჭრა. გონდოლებიანი საბაგიროს მშენებლობა ითვალისწინებდა გამომავალი ანძის დადგმას ვარდების მოედანზე ასევე ანძებს გრიბოედოვისა და ჭონქაძის ქუჩებზე, რაც ისედაც ვიწრო ქუჩებს უფრო ტვირთავდა და ავიწროებდა. საბაგიროს ამ სახით მშენებლობას საზოგადოების უმეტესი ნაწილი წინ აღუდგა, ასევე შეცვლილი მუნიციპალური ხელისუფლების პირობებში მისი მშენებლობა შეჩერდა მანამ, სანამ არ მიიღებოდა გადაწყვეტილება, აშენდებოდა თუ არა საბაგირო ამ ფორმით, თუ აღდგებოდა ძველი სადგურიდან, ამ უკანასკნელ ვარიანტს მოსახლეობაც ემხრობოდა.

2017 წლის თებერვლიდან საბაგიროს რეკონსტრუქცია დაიწყო ძველი ტრასირებით, ქვედა სადგური იგივე შენობაში რჩება, ზედა სადგური კი ახალი აშენდება ასევე ძველის ადგილას, რადგან ძველი ზედა სადგური 2014 წელს დაანგრიეს. დანარჩენი ინფრასტრუქტურა სრულიად ახალი იქნება გონდოლების ჩათვლით. რეკონსტრუქციას „დოპელმაირ გარავენტას ჯგუფი“ ჩაატარებს და საბაგიროს გახსნა 2017 წლის შემოდგომაზე იგეგმება.

საბაგიროს გახსნის შემდეგ ბევრად კომფორტულად და სწრაფად იქნება შესაძლებელი მთაწმინდის პარკში მოხვედრა. ისიც აღსანიშნავია, რომ საბაგიროს ქვედა სადგური ძალიან ახლოს მდებარეობს მეტრუსადგურ „რუსთაველთან“, რაც საბაგიროს ინტეგრაციისა და დატვირთულობის გარანტიას იძლევა.

კარგი იქნებოდა ვაზისუბნისა და ლისის საბაგირო გზების აღდგენაც, თუმცა ამ ეტაპზე მათი აღდგენა დაგეგმილი არ არის. ლისის ტბის საბაგიროს თავდაპირველი სახით აღდგენა უკვე ფაქტიურად შეუძლებელია, რადგან ქვედა სადგური აღარ არსებობს და მიმდებარე ტერიტორიაზე მაღალსართულიანი შენობებია აშენებული. შედარებით უკეთაა შემონახული ინფრასტრუქტურა ვაზისუბნის საბაგიროზე, თუმცა ალბათ აღდგენის შემთხვევაში იქაც შესაცვლელი იქნება ინფრასტრუქტურის უმრავლესობა.

მოკლედ თბილისს საბაგიროების განვითარების კარგი პოტენციალი აქვს და მომავალში შესაძლებელია კიდევ უფრო მეტი საბაგიროს აშენება. მაგალითად კარგი იქნებოდა ვაჟა-ფშაველას გამზირის ან ნუცუბიძის ქუჩის დაკავშირება ნუცუბიძის ფერდობის მჭიდროდ დასახლებულ კვარტლებთან.

3.4 ველოტრანსპორტი

როგორც მსოფლიო პრაქტიკამ აჩვენა, საავტომობილო საცობების შემცირების ყველაზე ეფექტური საშუალება გადაადგილების ალტერნატიული საშუალებების პოპულარიზებაა. საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიმზიდველობის ზრდასთან ერთად, **ველოსიპედით** გადაადგილების პოპულარიზება დადებითად აისახება ქუჩების გადატვირთულობასა და ეკოლოგიურ მდგომარეობაზე ქალაქში.

სამწუხაროდ, თბილისი არასდროს ყოფილა ველოსიპედისტებისთვის მეგობრული ქალაქი. ერთის მხრივ, მისი რთული რელიეფიდან და გრძივი განლაგების სპეციფიკიდან, მეორეს მხრივ კი, ქალაქის განაშენიანების პროცესში ველოსიპედისტების იგნორირებიდან გამომდინარე. საავტომობილო გზების, ტროტუარების, პარკების, ქუჩებზე გადასასვლელების და საზოგადოებრივი ტრანსპორტის პროექტირებისას, ველოსიპედით გადაადგილების შესაძლებლობას, როგორც წესი, პრაქტიკულად არანაირი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა. შესაბამისად, თბილისში დღემდე ველოსიპედი, ძირითადად, უფრო გასართობ, ვიდრე სატრანსპორტო საშუალებად აღიქმება და მას ყოველდღიური გადაადგილებისთვის მხოლოდ მცირერიცხოვანი ენთუზიასტები იყენებენ. არსებული სიტუაცია აისახება მძღოლების ნაწილის დამოკიდებულებაზე ველოსიპედისტის მიმართ, სადაც ეს უკანასკნელი ხშირად არ აღიქმება საგზაო მოძრაობის სრულფასოვან მონაწილედ და იწვევს დამცინავ და ზოგჯერ აგრესიულ დამოკიდებულებას. გავრცელებულია მოსაზრება, რომ რელიეფიდან გამომდინარე, ველოსიპედი ვერასდროს გახდება

გადაადგილების პოპულარული საშუალება ჩვენს დედაქალაქში. ამის მიუხედავად, არსებობენ ველოსიპედისტები, რომლებიც რეგულარულად მოძრაობენ ამ ტრანსპორტით თბილისში. შესაბამისად, არსებობს შესაძლებლობა, რომ კიდევ უფრო მეტმა ადამიანმა იმოძრაოს ქალაქში ველოსიპედით და თბილისის არასაველოსიპედო ქალაქის მითი დაიმსხვრეს! ამ მხრივ, სამი ძირითადი მიმართულებით არის სამუშაო:

- ინფრასტრუქტურის მიმართულებით (ველობილიკები, ველოსადგომები, სპეციალური სამაგრები ავტობუსებზე, მეტროპოლიტენში ველოსიპედის გადატანის გამარტივება)
- საკანონმდებლო მიმართულებით (კორექტივები საგზაო მოძრაობის და პარკირების წესებში)
- საგანმანათლებლო მიმართულებით (კამპანიების ჩატარება ველოკულტურის პოპულარიზების მიზნით და ავტომოყვარულებს შორის იმ პრინციპის განმტკიცება, რომ ველოსიპედისტი საგზაო მოძრაობის სრულფასოვანი წევრია)

სამივე მიმართულებით, წინ კოლოსალური სამუშაოა ჩასატარებელი. საჭიროა ბევრი ობიექტური და სუბიექტური გარემოებებით შექმნილი სირთულეების გადალახვა. სავარაუდოდ, ეს არც სრულიად უმტკივნეულო პროცესი იქნება, რადგან შეეხება მძღოლებსაც, ფეხით მოსიარულეებსაც, პარკირებას და ა.შ.

თბილისისაგან განსხვავებით ველოტრანსპორტი საკმაოდ პოპულარულია ბათუმში და ველობილიკებიც წლებია წარმატებით ეწყობა და ფუნქციონირებს. ქალაქის მასშტაბით გამოყოფილია 23 ადგილი, სადაც ველოსიპედებია განლაგებული და საიდანაც მისი გამოყვანა ნებისმიერ მსურველს შეუძლია.[17] აქედან გამომდინარე შესაძლებელია ბათუმის გამოცდილების გაზიარებაც. აღსანიშნავია, რომ ბათუმს თბილისისაგან განსხვავებით, ერთგვაროვანი და მოსახერხებელი რელიეფი აქვს ველოტრანსპორტის განვითარებისთვის,

[17] გაზეთი ბათუმელები (2014 წელი) „ბათუმში ველოტრანსპორტის პუნქტები გაიზრდება“. ბათუმი **ბმული:** http://batumelebi.netgazeti.ge/news/7546/

მაგრამ რელიეფის პრობლემა არ უნდა გახდეს გადამწყვეტი დაბრკოლება ველოტრანსპორტის განვითარებისთვის.

საჭიროა კვლევების ჩატარება, საპილოტე მარშრუტების შერჩევა, ინფრასტრუქტურის მოწყობა და მიღებული შედეგების გათვალისწინება შემდგომში ველოტრასების ფართო ქსელის მოსაწყობად. სირთულეების მიუხედავად იმედი მაქვს, რომ ერთ დღეს „საველოსიპედო“ ქალაქების რიცხვს თბილისიც შეემატება.

თავი 4. საგზაო ინფრასტრუქტურა

საქალაქო ტრანსპორტზე საუბრისას არ შეიძლება არ შევეხოთ ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიცაა ზოგადად ქალაქის საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობა.

ამ თავში ვისაუბრებ თბილისის გზებისა და იმ პრობლემების შესახებ, რასაც მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა ქმნის.

თბილისის ტრანსპორტის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა ის, რომ თბილისს არ გააჩნია მაღალი გამტარუნარიანობის ე.წ. გამჭოლი გზები. ქალაქში შემავალი მთავარი მაგისტრალიდან რაღაც მომენტში გიწევს პირდაპირ შედარებით ვიწრო და გადატვირთულ ქუჩებში მოძრაობა ***(იხ. დანართი. რუკა №6)***. მაგალითად თბილისში აღმოსავლეთიდან შემოსვლისას, **კახეთის გზატკეცილიდან** პირდაპირ გიწევს ისნის ან ავლაბრის ვიწრო ქუჩებში მოძრაობა, რადგან მაგისტრალი წინ უბრალოდ აღარ გრძელდება. ასევე წლების განმავლობაში გადატვირთული და პრობლემური იყო **რუსთავთან დამაკავშირებელი მაგისტრალი**. სასიამოვნო სიახლეა, რომ ამ გზის პირველი და მესამე მონაკვეთები უკვე აშენებულია და მიმდინარეობს შუა, მეორე მონაკვეთის მშენებლობაც.[18] ძველი ორ ზოლიანი გზისაგან განსხვავებით, ახალი მაგისტრალი 4-6 ზოლიანია და გამტარუნარიანობა გაზრდილია. ასევე ამ გზასთანაა კავშირში მტკვარზე ახალი ხიდის აშენება დირსის მახლობლად. აღნიშნული ხიდის აშენება შესაძლებლობას მისცემდა რუსთავიდან აეროპორტის მიმართულებით და პირიქით მოძრავ ტრანსპორტს თავი აერიდებინათ ცენტრში გავლისთვის, რაც განტვირთავდა ორთაჭალას, ავლაბარს და სხვა ადგილებს მოძრაობისგან.

ხიდის მშენებლობის კიდევ ერთი კარგი იდეაა **სამტრედიის ქუჩისა** და **„ვეფხი და მოყმის“** ძეგლის დამაკავშირებელი ხიდის მშენებლობა. ამ ხიდის აშენება განტვირთავდა

[18] Georgian Business Consalting (2016 წელი) „თბილისი-რუსთავის ავტობანის ყველაზე რთული მონაკვეთის მშენებლობა იწყება“. თბილისი
ბმული: http://gbc.ge/index.php?newsid=90607

მარშალ გელოვანის გამზირისა და გაგარინის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიებს, ასევე სანაპიროებს. დიდუბის ხიდიდან ვახუშტის ხიდამდე საკმაოდ დიდი მონაკვეთია და ეს ადგილი ზუსტად ამ მონაკვეთის შუაში მდებარეობს, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ თბილისს ამ ადგილას ხიდი „აკლია“, თუმცა აღსანიშნავია, რომ გაზრდილმა ნაკადმა შესაძლოა პრობლემები შექმნას სამტრედიის ქუჩისა და წერეთლის გამზირის მიმართულებით. აღნიშნული ხიდის მშენებლობა რამდენიმე წლის წინ იგეგმებოდა და გარკვეული პროექტიც არსებობდა. ამჟამად მიმდინარეობს კონცეფციის შემუშავება თუ როგორ და რა ფორმით უნდა მოხდეს ამ პროექტის განხორციელება. საუბარია აღნიშნული ხიდისა და **ვაშლიჯვრის ახალი მაგისტრალის** დამაკავშირებელი მონაკვეთის მშენებლობაზეც.[19]

თბილისის სატრანსპორტო ქსელის გაუმჯობესებისთვის ძალიან კარგი იქნებოდა **თბილისის შემოვლითი რკინიგზის** პროექტის დასრულება და ქალაქის ცენტრში ტერიტორიის გამოთავისუფლება. ამ პროექტის დასრულების შემთხვევაში რკინიგზისაგან გამოთავისუფლებულ ადგილას შესაძლებელი გახდება ახალი, მაღალი გამტარუნარიანობის მქონე ავტომაგისტრალის მშენებლობა. ეს მაგისტრალი შესაძლოა კახეთის გზატკეცილის გაგრძელება გახდეს და აღმოსავლეთიდან ქალაქში სემოსვლისას ისანსა და ავლაბარში ჩახვევაც აღარ იქნება აუცილებელი. გარდა ამისა, ახალი მაგისტრალი საგრძნობლად განტვირთავდა მტკვრის სანაპიროებს, რომელიც დღეს მთავარი გამჭოლი მაგისტრალების ფუნქციას ასრულებს, თუმცა ძალიანაა გადატვირთული, განსაკუთრებით პიკის საათებში. შემოვლითი რკინიგზის მშენებლობა ამჟამად შეჩერებულია, თუმცა გადაწყვეტილება პროექტის გაგრძელების შესახებ მიღებულია და უახლოეს მომავალში სამუშაოების დაწყებაც იგეგმება.[20]

---

[19] ბანკები და ფინანსები (2017 წელი) „ვეფხი და მოყმის ძეგლის მიმდებარედ ხიდის მშენებლობაზე კონცეფცია 2-3 თვეში ჩამოყალიბდება“. თბილისი
ბმული: http://bfm.ge/?p=28471
[20] Allnews.ge (2017 წელი) „თბილისის შემოვლითი რკინიგზის მსენებლობა მიმდინარე წელს დაიწყება“
ბმული: https://www.allnews.ge/sazogadoeba/153779.html

მტკვრის **სანაპიროებზე** საცობების ერთ ერთი მთავარი მიზეზი ხიდების ქვეშ გამტარების ვიწრო და არასაკმარისი პარამეტრებია. თბილისის ხიდების უმრავლესობა ისეთ დროსაა აშენებული, როცა ქალაქში ძალიან მცირე მოძრაობა იყო და შესაბამისად არ არის გათვლილი დიდ ნაკადებზე. სანაპიროზე არსებული სამი მოძრაობის ზოლი ხშირად ხიდების ქვეშ ორ ან ერთ ზოლში გადადის და ამის გამო იქმნება საცობები. ამის გამოსასწორებლად საჭიროა ახალი გვირაბების გაჭრა ხიდების ქვეშ და ერთი მიმართულებით მოძრაობის ამ გვირაბებში გადატანა. ამის მაგალითია გალაქტიონის ხიდის მიმდებარე ტერიტორია მარჯვენა სანაპიროზე.

თბილისის ზომის ქალაქებს ძირითადად გააჩნიათ **წრიული შემოვლითი გზა**, რაც ძალიან მოსახერხებელია და დიდწილად უწყობს ხელს ქალაქის შიგნით მოძრაობის განტვირთვას. სამწუხაროდ თბილისის რელიეფი ამის საშუალებას არ იძლევა და თბილისს შემოვლითი გზა მხოლოდ დასავლეთიდან აქვს. ისიც ქალაქიდან საკმაოდ მოშორებული და ერთი უბნიდან მეორე უბანში მისასვლელად ნაკლებად გამოიყენება. თბილისს ძალიან გამოადგებოდა შემოვლითი მაგისტრალი დასავლეთი მხრიდან, სადაც ისეთი დასახლებული უბნებია, როგორიცაა კრწანისი, სოლოლაკი, მთაწმინდა, ვერა, ვაკე და საბურთალო. პიკის საათებში სწორედ ამ უბნებში შესვლა-გასვლა იწვევს საცობებს, რადგან უმრავლესობას ერთი მისასვლელი აქვს. დასავლეთის მხრიდან კი მთებითაა შემოსაზღვრული და ფაქტიურად ჩიხია. მაგისტრალის არსებობის შემთხვევაში კი ამ უბნებში შესვლა და გამოსვლა ბევრად გამარტივდებოდა. თეორიულად შესაძლებელია მაგისტრალის გაყვანა გვირაბების სისტემის შექმნით, მაგრამ ეს ძალიან ძვირადღირებული პროექტი იქნებოდა და ამის საშუალება თბილისს უახლოესი წლების განმავლობაში ალბათ ვერ ექნება.

პრობლემებია ბოლო პერიოდში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებითაც. მაგალითად **გმირთა მოედნის ესტაკადები**. ამ ესტაკადების მშენებლობამ მოძრაობა შედარებით ნამდვილად განმუხტა, მაგრამ მისი ყველა ნაწილი სწორად

ნამდვილად არაა დაგეგმილი, რადგან არ შეესაბამება სატრანსპორტო ნაკადების მოთხოვნებს და კვლავ საცობებს იწვევს. საჭიროა ზოგიერთი პანდუსის გაგანიერება და ასევე გზის გაგანიერება „ლაგუნა ვერეს“ მიმდებარე ტერიტორიაზე.

საცობების წარმოქმნას იწვევს თბილისში მრავალი მოუწესრიგებელი გზაჯვარედინი და დიდი რაოდენობით შუქნიშნებიც *(იხ. დანართი. რუკა №3)*. რათქმაუნდა შუქნიშანს თავისი დანიშნულება აქვს და მათი სრულად გაუქმება წარმოუდგენელია, თუმცა არსებობს ადგილები, სადაც შუქნიშნის გაუქმება და გზაჯვარედინის ესტაკადებით მოწყობაა შესაძლებელი. მაგალითად **თამარაშვილისა** და **უნივერსიტეტის** ქუჩების კვეთაზე შუქნიშნის გამო თითქმის მუდმივად საცობია. არადა საკმარისად დიდი ტერიტორიაა, რომ ესტაკადა მოეწყოს და ერთმა გზამ მეორის ზემოთ გადაიაროს. შუქნიშნით რეგულირებაც აღარ იქნებოდა საჭირო.

უკანასკნელ წლებში განხორციელებული პროექტებიდან ყველაზე წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს **ვაკე-საბურთალოს ახალი მაგისტრალის** (ჭაბუა ამირეჯიბის გამზირი) მშენებლობა. აღნიშნულმა გზამ ნამდვილად დიდი წვლილი შეიტანა ვაკისა და საბურთალოს ქუჩების განტვირთვაში და გაადვილა ამ ორ უბანს შორის მიმოსვლა. დღეს არსებული ავტოპარკის რაოდენობისა და ნაკადების პირობებში, ამ გზის არ არსებობის შემთხვევაში ალბათ მოძრაობის პარალიზება მოხდებოდა. თუმცა 2015 წლის 13 ივნისს დატრიალებულმა ტრაგედიამ დაგვანახა, რომ პრობლემები ამ გზასაც აქვს და უკეთესი იქნებოდა მისი სხვაგვარად დაგეგმვა და მშენებლობა, მაგალითად გზის მაღლა აწევა და ხიმინჯებზე განლაგება.

2017 წლის ზაფხულში დაიწყო **პეკინის გამზირის** რეაბილიტაცია, რის გამოც საჭირო გახდა მისი ნახევრად დაკეტვა და გაცალმხრივება. აღნიშნულმა შესაბამისად გამოიწვია კოსტავასა და შარტავას ქუჩების გაცალმხრივებაც და შემუშავდა სრულიად ახალი სამოძრაო სქემა. ამ ცვლილებებმა პირველ დღეებში საკმაო არეულობა გამოიწვია მიმდებარე ქუჩებზე, რადგან მძღოლები ჯერ გარკვეული და მიჩვეულნი არ იყვნენ

მოძრაობის ამგვარად ორგანიზებას. თუმცა შემდეგმა პერიოდმა აჩვენა, რომ ეს სქემა მუშაობს და საკმაოდ წარმატებითაც. ამის სემდეგ გაჩნდა იდეა, რომ შესაძლოა მოძრაობის ეს სქემა რეაბილიტაციის დასრულების შემდეგაც შენარჩუნდეს.[21] ამ იდეას მეც ვემხრობი და მიმაჩნია, რომ ეს გადაწყვეტილება განტვირთავს საბურთალოს მიმდებარე ქუჩებს და გაამარტივებს გადაადგილებას როგორც ავტომობილების, ასევე ქვეითად მოსიარულეებისთვისაც.

თბილისის გზებზე კიდევ ბევრი საუბარი შეიძლება და კიდევ მრავალი განუხორციელებელი პროექტი და იდეა არსებობს. მაგრამ, სამწუხაროდ ყველაფერს ამ ნაშრომში ვერ შევეხებით. ეს იყო მხოლოდ ის ძირითადი პრობლემები და საკითხები, რაზეც გზებთან მიმართებაში მინდოდა რომ მესაუბრა.

[21] საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი (2017 წელი) „პეკინის ქუჩა რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ შესაძლოა ცალმხრივი გახდეს“.თბილისი
ბმული: http://1tv.ge/ge/news/view/166093.html

დასკვნა

თბილისი საქართველოს დედაქალაქი და მთლიანად სამხრეთ კავკასიის რეგიონის უმნიშვნელოვანესი ქალაქია. ტრანსპორტი კი მისი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. თბილისის შიდასაქალაქო ტრანსპორტს გააჩნია საკმაოდ დიდი ისტორია, აქ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის დასაწყისიდან ვითარდებოდა ფაქტიურად ყველა სახის ტრანსპორტი. თუმცა ამჟამად ტრანსპორტის სფეროს მნიშვნელოვანი პრობლემები აწუხებს.

როგორც სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოიკვეთა, მეტროპოლიტენის პოპულარობა შემცირებულია და მგზავრების დიდი ნაწილი უპირატესობას მიწისზედა ტრანსპორტის სახეობებს ანიჭებს. ეს კი ქალაქის ქუჩების გადატვირთვას და მოძრაობის პარალიზებას იწვევს. ამიტომ საჭიროა მეტროს პოტენციალის სრულად გამოყენება, მგზავრნაკადების მოზიდვის სტრატეგიის შემუშავება, არსებული რესურსებისა და შესაძლებლობების ფარგლებში მეტროპოლიტენის ქსელის სივრცითი განვითარება და მგზავრების კომფორტზე ზრუნვა და დონის ამაღლება.

პრობლემების გარდა არის პოზიტიური სიახლეებიც. მაგალითად ახალი 23-ე სადგურ „სახელმწიფო უნივერსიტეტის“ მშენებლობა, ვაგონებისა და მეტროსადგურების განახლება და სხვა.

რაც შეეხება მუნიციპალურ ავტობუსებს, აქ ძირითადი პრობლემა მოძველებული ავტოპარკია. პრობლემაა ასევე მარშრუტების ოპტიმიზაცია და მეტროსთან მაქსიმალური ინტეგრაცია. მარშრუტების მოუწესრიგებლობა და გადაფარვები იწვევს ქუჩების გადატვირთვას და საცობებს.

სასიამოვნო სიახლე ავტობუსებთან დაკავშირებით არის ახალი, გერმანული წარმოების, თანამედროვე და კომფორტული ავტობუსების შემოყვანა რომლებიც უკვე მოძრაობენ

დედაქალაქის ქუჩებში, თუმცა ეს ავტობუსები მტელი ავტოპარკის დაახლოებით 20-25%-ს შეადგენს, რაც რა თქმა უნდა საკმარისი არაა და საჭიროა ავტოპარკის სრულად განახლება. სასიამოვნო სიახლეა ასევე მოსაცდელების განახლება და საინფორმაციო რუკებით აღჭურვა, საინფორმაციო ტაბლოები, ვებ და სატელეფონო აპლიკაციები, ავტობუსებში ელექტრონული სალაროების დამონტაჟება და სხვა.

თბილისის ერთ-ერთი დიდი პრობლემაა ეკოლოგიურად მძიმე მდგომარეობა. ამას კი ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის ნაკლებობაც ემატება. ქალაქში აღარ არსებობს ისეთი ეკოლოგიურად სუფთა და მაღალი გამტარუნარიანობის მქონე ტრანსპორტი, როგორიცაა ტრამვაი. თუმცა აღსანიშნავია რომ ამ მხრივ სასიკეთო ძვრებია და გარკვეული წინასწარი პროექტებიც კი არსებობს.

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას გამოიკვეთა შემდეგი ფაქტიც, რომ უახლოეს წარსულში, ჩვენს დედაქალაქში უფრო მეტი საბაგირო ფუნქციონირებდა, ვიდრე დღესაა. არადა თბილისის მსგავსი რელიეფის მქონე ქალაქებისთვის საბაგირო ტრანსპორტი ერთ-ერთი ყველაზე მოსახერხებელი და პოპულარულია. კარგია, ის რომ ქალაქში მიმდინარეობს რამდენიმე საბაგიროს აღდგენა და იგეგმება ახლების მსენებლობაც.

თბილისისთვის დიდი პრობლემაა ველოტრანსპორტის ინფრასტრუქტურის არარსებობაც. ველოტრანსპორტი ეკოლოგიურად ყველაზე სუფთაა და ხელს უწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას. ასევე ამცირებს ქუჩების დატვირთვას და ხელს უწყობს საცობების შემცირებას. ამიტომ ვფიქრობ, რომ ამ პრობლემის მოგვარება და ველობილიკებისა და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა სასიცოცხლოდ აუცილებელია ჩვენი დედაქალაქისთვის.

ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა კი თბილისის სატრანსპორტო სისტემისთვის მოუწესრიგებელი საგზაო ინფრასტრუქტურა და არასწორად ორგანიზებული მოძრაობაა. ამ მიმართულებით ყველაზე მეტი სამუშაოებია ჩასატარებელი და საჭიროა ახალი

მაგისტრალების, ხიდების, სატრანსპორტო კვანძებისა სხვა ინფრასტრუქტურის მშენებლობა. ასევე მოძრაობის ოპტიმალურად ორგანიზება. ახლო წარსულში მრავალი მეტ-ნაკლებად წარმატებული ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა და ბევრი პროექტი ახლაც მიმდინარეობს, თუმცა საჭიროა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ზომების მიღება და საგზაო ქსელის მნიშვნელოვნად მოწესრიგება.

საბოლოოდ, მოკლე შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ თბილისის დიდი ისტორიის მქონე სატრანსპორტო სისტემა გააჩნია, რომელიც დღეს მნიშვნელოვანი პრობლემების წინაშე დგას. თუმცა არსებობს იმის პოტენციალი, რომ ეს პრობლემები თანდათანობით გადაიჭრას სწორი ანალიზის, დაგეგმვისა და წარმატებული პროექტების განხორციელებით. წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი კი ამ მიმართულებით გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია და შესაძლოა პერსპექტიული იყოს თბილისის ტრანსპორტის პრობლემებით დაინტერესებული ადამიანებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

- საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი. (1989 წელი) „თბილისი, ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა“. თბილისი. გვ. 168-191.

- ურბანული კვლევების ლაბორატორია. (2017 წელი). „თბილისის მეტროპოლიტენი: გამოწვევები, შესაძლებლობები და პერსპექტივები“. თბილისი. გვ. 2-28.

- თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ოფიციალური ვებ-გვერდი.
  ბმულები: http://ttc.com.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=56
  http://ttc.com.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=35

- ჟან-მანუელ ჟილი. (2015 წელი). „თბილისი-მდგრადი ურბანული ტრანსპორტის სტრატეგია“. თბილისი. გვ. 11-22.
  ბმული:http://mdf.org.ge/storage/assets/file/documents%202016/murtazi/Strategic%20Paper%20Report%20PDF%20Geo(18_03_2016)/Strategic%20Paper%20Report%20PDF%20Geo.pdf

- თბილისის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდი.
  ბმული: http://tbilisi.gov.ge/news
- სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2016 წელი). „მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები“. თბილისი. გვ. 3.
  ბმული:
  http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/population/Census%20Release_GEO_2016.pdf

დ ა ნ ა რ თ ი

სურათი №1. თბილისის მოსახლეობა 1897-2014 წლებში

წყარო: საქსტატი. (2016 წელი). „მოსახლეობის 2014 წლის აღწერის ძირითადი შედეგები“. თბილისი. გვ. 3.

ბმული: http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/population/Census%20Release_GEO_2016.pdf

სურათი №2. მგზავრობების საშუალო დღიური რაოდენობა (ათასი)



წყარო: ურბანული კვლევების ლაბორატორია. (2017 წელი). „თბილისის მეტროპოლიტენი: გამოწვევები, შესაძლებლობები და პერსპექტივები. თბილისი. გვ. 2.

სურათი №3. თბილისის მოსახლეობისა და მეტროპოლიტენით მგზავრობის დინამიკა 1988-2016 წლებში



წყარო: ურბანული კვლევების ლაბორატორია. (2017 წელი). „თბილისის მეტროპოლიტენი: გამოწვევები, შესაძლებლობები და პერსპექტივები. თბილისი. გვ. 3.

სურათი №4. ერთი მგზავრის მიერ გამოყენებული გზის ფართი, კვ. მ.

(სატრანსპორტო საშუალების 50% დატვირთვისას)



წყარო: ურბანული კვლევების ლაბორატორია. (2017 წელი). „თბილისის მეტროპოლიტენი: გამოწვევები, შესაძლებლობები და პერსპექტივები. თბილისი. გვ. 4.

სურათი №5. ერთი მგზავრის გადაყვანის ღირებულება 1.5 საათის განმავლობაში (ლარი)



წყარო: ურბანული კვლევების ლაბორატორია. (2017 წელი). „თბილისის მეტროპოლიტენი: გამოწვევები, შესაძლებლობები და პერსპექტივები. თბილისი. გვ. 6.

რუკა №1. თბილისის მუნიციპალური ავტობუსების სამარშრუტო სქემა



წყარო: თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ოფიციალური ვებ-გვერდი
ბმული: http://ttc.com.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=143

რუკა №2. თბილისის მეტროპოლიტენი

წყარო: თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ოფიციალური ვებ-გვერდი

სურათი №6. საორიენტაციო დახაზვა სინგაპურის მეტროპოლიტენის ბაქანზე

წყარო: google-ის საძიებო სისტემა

სურათი №7. საინფორმაციო სტენდი, მიუნხენის მეტროპოლიტენი

წყარო: google-ს საძიებო სისტემა

სურათი №8. ეტლის გადასატანი პორტატული პლატფორმა, ალმა-ატის მეტროპოლიტენი

წყარო: google-ს საძიებო სისტემა

რუკა №3. თბილისის შუქნიშნები



წყარო: რუკა აგებულია პროგრამა გის-ში (გეოინფორმაციული სისტემები) ავტორის მიერ.

რუკა №4. ელექტრო ტრანსპორტის ქსელი თბილისში 1986 წელს



წყარო: რუკა აგებულია პროგრამა გის-ში (გეოინფორმაციული სისტემები) ავტორის მიერ.

რუკა №5. კომპანია “Systras”-ს მიერ მომზადებული ტრამვაის გეგმა

წყარო: ტრამვაის მშენებლობის საინიციატივო ჯგუფის ვებ-გვერდი

ბმული: http://www.tramvai.ge/wp-content/uploads/2012/09/Slide7.jpg

რუკა №6. თბილისის საგზაო სქემა



წყარო: რუკა აგებულია პროგრამა გის-ში (გეოინფორმაციული სისტემები) ავტორის მიერ.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Giorgi Kotolashvili

Economic and Geographic Trends of Foundation and Development of Tbilisi City Public Transport

Human Geography

Thesis submitted to the faculty of the Human Geography in partial fulfillment of the requirements for the degree of master of science

Supervisor: **Marine Bokeria**

Associate Professor, Doctor of Geographical Sciences

Tbilisi 2017

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გიორგი შუბითიძე

მეღვინეობის გეოგრაფიის თავისებურებები

იმერეთის რეგიონში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საზოგადოებრივი გეოგრაფიის

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: თამარ დოლბაია

ასოცირებული პროფესორი, გეოგრაფიის აკადემიური დოქტორი

თბილისი 2017 ©

ანოტაცია

ნაშრომის მთავარი მიზანია იმერეთის რეგიონში მეღვინეობის თავისებურებების გამოვლენა. მეღვინეობა თავის მხრივ დაკავშირებულია მევენახეობასთან, რადგან სწორედ მევენახეობის განვითარებაა მეღვინეობის განვითარების წინაპირობა. ჩემს ნაშრომში ნაჩვენებია, თუ რატომ არის მევენახეობა კონკრეტულად ამ რეგიონში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგი. მიმაჩნია, რომ ეს თემა საკმაოდ აქტუალურია და დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის განვითარებისთვის. მეღვინეობა ოდითგანვე ითვლებოდა საქართველოს სავიზიტო ბარათად.

ნაშრომში შევეცდები ვაჩვენო ის დადებითი და უარყოფითი გარემოებები, რაც ამ დარგთანაა დაკავშირებული, ასევე ის ტენდენციები, რომელიც ბოლო წლებში ფიქსირდება.

ნაშრომში შედარებული მაქვს 2004 და 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის სტატისტიკური მონაცემები, ვენახების საერთო ფართობები იმერეთის რეგიონში და ის ჯიშები, რომლებიც ამ ტერიტორიაზე მოდის. ეს ყველაფერი უფრო მკაფიოდ გვაჩვენებს იმ რეალობასა და ტენდენციებს, რომელიც ამ 10 წლის ინტერვალში დაფიქსირდა.

ნაშრომის მთავარი ამოცანაა გამოიკვეთოს იმერეთის რეგიონის პოტენციალი მეღვინეობასთან დაკავშირებით და ის გარემოებები, რომელიც მის შემდგომ განვითარებას შეუწყობს ხელს. ნაშრომში განხილულია თუ რატომ ვერ ახერხებს იმერული ღვინო გახდეს წარმატებული საბაზრო პროდუქტი და რატომ ვერ ხვდება ის საერთაშორისო ბაზრებზე, როგორც მნიშვნელოვანი ბრენდი. ნაშრომის შექმნის დროს გამოვიყენე კვლევის თვისობრივი მეთოდი, რათა მომეხდინა მოპოვებული მასალების დამუშავება და ანალიზი. მოცემული ნაშრომი დაეხმარება ყველას, ვისაც გადაწყვეტილი აქვს გაეცნოს იმერეთში მეღვინეობის განვითარებას და არსებულ მდომარეობას, იგი იძლევა დეტალურ ინფორმაციას იმის შესახებ თუ რა სიტუაცია არსებობს იმერეთის მეღვინეობის დარგში.

Giorgi Shubitidze

Winemaking geography in Imereti region

Annotation

The purpose of this thesis is to determine the characteristics of winemaking in Imereti region. Winemaking itself is interconnected with viticulture since the growth of the latter is considered as a prerequisite for the development of winemaking.

This paper examines the reasons of viticulture being one of the leading sectors of agriculture in this particular region since it has a great importance in the economic development of Georgia.

In this work I demonstrate both, positive and negative outcomes of winemaking, as well as the tendencies that have been typical for the field in recent years.

In order to achieve above-mentioned objectives, I compared statistical information of the census of agriculture in 2004 and 2014 years, total vineyard surface areas and grape varieties growing in Imereti region.

This paper aims to show the potential of Imereti region in winemaking and highlight those conditions that contribute to further development. Furthermore, it discusses the barriers that prevent Imeretian wine to become a successful trading product and get an important place in international wine markets.

To research the aspects of winemaking and analyze obtained information, qualitative research methods were used.

This thesis will be helpful for those willing to get familiar with the current situation and further development of winemaking in Imereti region as it provides detailed information on these issues.

სარჩევი

1. შესავალი.....5
2. თეორიული მიდგომა.....8
3. ლიტერატურის მიმოხილვა.....10
4. რეგიონის ზოგადი გეოგრაფიული დახასიათება.....12
5. ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები მევენახეობის განვითარებისთვის.....13
6. ქართული ვაზის ისტორია.....19
7. იმერეთში გავრცელებული ვაზის ჯიშები.....21
8. 2004 და 2014 წლების სასოფლო-სამურნეო აღწერების სტატისტიკური ინფორმაცია იმერეთის რეგიონში მევენახეობის შესახებ.....27
9. 2004 და 2014 წლების სასოფლო-სამეურნეო აღწერის სტატისტიკური მონაცემების შედარება.....31
10. სტატისტიკური მონაცემები ყურძნის მოსავლის შესახებ.....34
11. ღვინის კომპანიები და მარნები.....35
12. ყურძნისა და ღვინის წარმოების ჯაჭვი.....36
13. ღვინის ფასები.....38
14. ყურძნის წარმოების განაწილება რეგიონების მიხედვით.....41
15. ღვინის ექსპორტი.....43
16. პროდუქციის რეალიზება.....47
17. დასკვნა.....49
18. ბიბლიოგრადია.....52
19. დანართი.....54

1. შესავალი

მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის უძველესი და მნიშვნელოვანი დარგია. ვაზის კულტურის ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული ქართველი ერის ისტორიასთან. ჩვენი ერის შემოქმედებითი ბუნება და განსაკუთრებული სიყვარული ვაზისა და ღვინისადმი გამოიხატა ქართულ კულტურაში, ტრადიციულ წეს-ჩვეულებებში, არქიტექტურაში, ორნამენტში, ჭედურობაში, მხატვრობაში, პოეზიაში, სიმღერასა და ხელოვნების სხვა დარგებში. (საქართველოს მევენახეობა და მეღვინეობა)

საქართველო ითვლება მევენახეობა-მეღვინეობის ერთ-ერთ უძველეს კერად და მაღალ ხარისხოვანი ღვინოების წარმოების ზონად მსოფლიოში, რასაც ადასტურებს, გარეული და კულტურული აბორიგენული ვაზის ჯიშების მრავალფეროვნება, აგრეთვე ისტორიული, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ფილოლოგიური, ლინგვისტიკური და სხვა მეცნიერული გამოკვლევები, როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მკვლევრებისა.

ვაზი საქართველოში ფართოდ გამოიყენება. იყენებენ ყურძნისგან დაწურულ წვენს, ამზადებენ ბადაგს, თათარას და ჩურჩხელას, გამოიყენება საჩამიჩედ, არსებობს დეკორატიული ჯიშები. იყენებენ სამკურნალოდ: გულსისხლძარღვთა დაავადებისა და სისხლის ნაკლებობის დროს.

საქართველოს ეკონომიკის განვითარების საწყის ეტაპზე, განსაკუთრებით სასოფლო მეურნეობაში, მევენახეობა-მეღვინეობას განაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ამ დარგის მნიშვნელობა ქართველი ერის ყოფაცხოვრებისა და ქონებრივი კეთილდღეობისათვის იმ საგულისხმო გარემოებიდანაც ჩანს, რომ მთად და ბარად გაყოფა სწორედ მევენახეობის გავრცელების თვალსაზრისზე იყო დამყარებული. სადამდეც მევენახეობა შესაძლებელი იყო, იმ ადგილამდე ქვეყანა ბარად ითვლებოდა, საიდანაც ვაზის მოყვანა უკვე შეუძლებელი იყო, ის ადგილი მთად იყო მიჩნეული.

გარდა ამისა, მევენახეობა-მეღვინეობას საქართველოს საგარეო ვაჭრობაშიც დიდი ადგილი ეკავა. ქართული ღვინო უძველესი დროიდან საექსპორტო საგანს შეადგენდა.

ეს გარემოება საქართველოს მტრებმაც კარგად იცოდნენ და ამ დარგისთვის არაერთხელ მიუყენებიათ ზიანი.

საქართველოს მეღვინეობის ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია იმერეთის რეგიონს, რაზეც მეტყველებს რეგიონის განსაკუთრებული მეღვინეობის კულტურა და ფაქტი, რომ მე-19 საუკუნეში იმერეთის რეგიონში უფრო მეტი ღვინო იწარმოებოდა, ვიდრე კახეთის რეგიონში (გელაშვილი, 1961). ჩემს საკვლევ რეგიონში გავრცელებულია ისეთი განსაკუთრებული ვაზის ჯიშები, როგორებიცაა ძველშავი, ოცხანური, ციცქა, ცოლიკაური, კრახუნა და ა.შ.

დღევანდელი მდგომარეობით კი სიტუაცია რადიკალურად შეცვლილია, კერძოდ, საქართველოს ღვინის წარმოებაში იმერეთის წვლილი მხოლოდ და მხოლოდ 17 %-ს შეადგენს (Economist.ge Web Site). გავრცელებული ჯიშებისგან დამზადებული ღვინის მაღალი ხარისხის მიუხედავად, იმერეთში წარმოებული ღვინო მხოლოდ ადგილობრივი მოხმარებისთვის გამოიყენება და ექსპორტზე ვერ გადის. ნაკლებია ამ ღვინის პოპულარობა ქვეყნის შიგნითაც.

ღვინოს საქართველოს ექსპორტში მეხუთე ადგილი უკავია (იხილეთ დანართში ცხრილი N3). ქვეყანა განვითარების გზას ადგას და ერთ-ერთ გზად არჩეული აქვს ექსპორტის გაზრდა. გარდა ამისა, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, საქართველოს ისტორია და კულტურა მჭიდროდაა დაკავშირებული ვაზის კულტთან. ეს ფაქტორები განაპირობებს ჩემს მიერ საკითხის არჩევას, ხოლო კონკრეტულად იმერეთის რეგიონის არჩევის მიზეზია ის გამოუყენებელი პოტენციალი, რომელიც ამ კუთხეს გააჩნია ღვინის წარმოებაში.

ნაშრომის მიზანია აღწეროს იმერეთის შესაძლებლობები მეღვინეობაში; წარმოაჩინოს პრობლემები, რომლის წინაშეც რეგიონი დგას და რის გამოც ვერ ახერხებს აღნიშნული სამეურნეო დარგის განვითარებას; შეისწავლოს არსებული სტატისტიკური მონაცემები; გააანალიზოს პრობლემების გამომწვევი მიზეზები; იმსჯელოს მისი მოგვარების გზებზე და ისაუბროს დარგის განვითარების პერსპექტივებზე.

როგორც უკვე აღინიშნა, იმერეთის მეღვინეობის მდგომარეობა თანდათანობით უარესდება, მცირდება, როგორც ვენახების ფართობი, ასევე წარმოებული იმერული ღვინო. აქედან გამიმდინარე, ნაშრომი საკვლევ კითხვად სვამს: რა ფაქტორები განაპირობებს იმერეთის მეღვინეობის გაუარესების ტენდენციას და განვითარების შემთხვევაში, რა პერსპექტივები გააჩნია მას?

კვლევისთვის გამოვიყენებ თვისებრივი კვლევის მეთოდებს, რომლის მიხედვითაც არ არსებობს ერთი ობიექტური რეალობა. კვლევა სუბიექტურია და დამოკიდებულია მკვლევრის მსოფლმხედველობაზე. თვისებრივი კვლევისთვის არ არსებობს ერთი აღიარებული ჭეშმარიტება, რაც დამახასიათებელია რაოდენობრივი კვლევისთვის. საკვლევი კითხვიდან გამომდინარე, კვლევის პროცესში შესაძლებელია რამდენიმე ფაქტორის გამოკვეთა და მკვლევრის აღქმიდან სხვადასხვა პერსპექტივის ფორმულირება, თუმცა რა თქმა უნდა, ეს არ იქნება აბსოლუტურად ობიექტური ჭეშმარიტება.

კვლევისთვის გავეცანი არსებულ ლიტერატურას, რაც მოვიძიე ბიბლიოთეკებში და ინტერნეტ სივრცეში. მივმართე შესაბამის უწყებებს - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტო, ღვინის ეროვნული სააგენტო, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

ლიტერატურის მიმოხილვამ (მომდევნო თავი) დამანახა, რომ არ არსებობს არც ერთი ნაშრომი, რომელიც ერთიანობაში ისაუბრებს იმერეთის მეღვინეობის პრობლემების მიზეზებზე. აღნიშნული ნაშრომი შეავსებს ლიტერატურის ამ ხარვეზს და კომპლექსურად შეისწავლის საკვლევ საკითხს.

2. თეორიული მიდგომა

საბაზრო ჩავარდნა როგორც კონცეპტი ვიქტორიანული ეპოქის ბრიტანელი ფილოსოფოსის ჰენრი სიდგვიქის მიერ იყო შემოთავაზებული. ეკონომიკაში, საბაზრო ჩავარდნა არის სიტუაცია, როდესაც ნაწარმის და მომსახურების წარმოება არაეფექტური ხდება. საბაზრო ჩავარდნები შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ცალკეული პიროვნებების მიერ საკუთარი კერძო სურვილების მიდევნება, რასაც მივყავართ არაეფექტურობასთან, ასეთი სიტუაციის გაუმჯობესების გზა კი არის საზოგადოებრივი ხედვის ჩამოყალიბება. (STUDIES IN ECONOMICS AND BUSINESS (Markets and Market Failure))

საბაზრო ჩავარდნები ხშირად დაკავშირებულია დროთა შეუთავსებელ პრეფერენციებთან, არაკონკურენტულ ბაზრებთან, ძირითადი აგენტის პრობლემებთან, გარე ფაქტორებთან ან საზოგადოებრივ საქონელთან, ამიტომ საბაზრო ჩავარდნების არსებობა ხშირად გამოწვეულია თვითრეგულირების ორგანიზაციების, მთავრობების, ეროვნული ინსტიტუტების ჩართვისას კონკრეტულ ბაზარზე. ეკონომისტები, განსაკუთრებით მიკროეკონომისტები, ხშირად ინტერსდებიან საბაზრო ჩავარდნის მიზეზებით და კორექციის შესაძლო საშუალებებით. ასეთი ანალიზი მნიშვნელოვან როლს ასრულებს სხვადასხვა ტიპის საჯარო პოლიტიკას გადაწყვეტილებებში და კვლევებში. თუმცა, სახელმწიფო პოლიტიკის ჩარევას, როგორიცაა გადასახადები, სუბსიდიები, ფულადი სახსრები და ფასიანი ქაღალდების კონტროლი და რეგულაციები, (მათ შორის, ცუდად განხორციელებული მცდელობები ბაზრის ჩავარდნის გამოსასწორებლად) შეიძლება გამოიწვიოს რესურსების არაეფექტიანი განაწილება.

იმ სიტუაციის გათვალისწინებით არსებობს კავშირი, ერთის მხრივ, საბაზრო ჩავარდნით გამოწვეულ საზოგადოების ხარჯებსა და, მეორე მხრივ, პოტენციალს შორის, რომელიც ცდილობს ამ ხარჯების შემცირებას, რის შედეგადაც შეიძლება გამოწვეულ იქნას უფრო დიდი პრობლემა ,,ხელისუფლების ჩავარდნა''. საბაზრო ჩავარდნის ეს თეორია ეხება მთლიან ბაზარს და ეს ყველაფერი მთლიანად გაიარა საქართველომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, დაწყებულმა ეკონომიკურმა

აღდგენამ დაიწყო ცალკეული დარგების ცალკეულად აღდგენა, სადაც წინასწარ განუსაზღვრელი გადარჩევის შედეგად, განვითარდა ეკონომიკის ის დარგები, რომლებიც მეტად კონკურენუნარიანი აღმოჩდნენ საქართველოს რეალობისთვის, შეიძლება ითქვას, რომ მათ შორის ვერ მოხვდა იმერული ღვინო და მისი წარმოება, როგორც მასობრივი ინდუსტრიული პროდუქტი და ის კახურ ღვინოსთან ერთად ვერ იქცა ქვეყნის სავიზიტო ბარათად.

იმერულმა ღვინომ და იმერეთში ღვინის წარმოებამ განიცადა ყველა სახის გავლენა, რომელსაც შეიძლებოდა გამოეწვია მისი როგორც პროდუქტის საბაზრო ჩავარდნა, ის ვერ გახდა რჩეული იმ დროს როდესაც საქართველოში ღვინის წარმოების სტიმულირება დაიწყო, არ მოხდა მისი ინფორმაციულ ველში გატანა, ანუ მარკეტინგული ხელშეწყობა, იმერული ღვინისთვის ასევე პრობლემად იქცა საკუთარი თავის როგორც მნიშვნელოვანი პროდუქტის წარმოჩენა, მიუხედავად იმისა, რომ გემოვნური თვისებებით ის არ ჩამოუვარდება კახურს, რაც იმის ბრალი იყო, რომ საბჭოთა კავშირის დროსაც მას შედარებით ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ასე, რომ იმერული ღვინო სხვადასხვა ფაქტორების გამო ვერ იქცა საბაზრო პროდუქტად და იმერეთი ვერ გახდა ცნობილი, როგორც ღვინის მწარმოებელი მხარე. სიტუაციის გამოსწორება კი იმით, შეიძლება, რომ იმერული ღვინო მოექცეს პირველ რიგში სახელმწიფო ყურადღების ქვეშ, მოხდეს ისეთი ჩარევა, რომ მან სტიმულირება გაუკეთოს ამ დარგში ინვესტირებას და განვითარებას, გაჩნდეს სპეციალური რეგულაციები, რაც ამ რეგიონში ღვინის წარმოებით დაინტერესებულ პირებს შეუქმნის მარტივ პირობებს მის განსავითარებლად.

3. ლიტერატურის მიმოხილვა

ლიტერატურა აღნიშნული თემის გარშემო არც თუ ისე მოცულობითია. სტატიები და ნაშრომები, რომლებსაც გავეცანი, პირობითად, სამ ჯგუფად შემიძლია დავყო. პირველ ჯგუფს წარმოადგენენ ავტორები, რომლებიც თავიანთ ნაშრომებში საუბრობენ იმერეთში მეღვინეობის, ყველაზე გავრცელებული ვაზის ჯიშებისა და მათი ხარისხის შესახებ. მეორე ჯგუფს განეკუთვნება, ის სტატიები და მასალები, რომლებიც ინტერნეტში მოვიძიე. მესამე თემატურ ჯგუფს კი მივაკუთვნე ის სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან და ღვინის ეროვნული სააგენტოდან მოვიპოვე.

პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ ამ საკითხზე ინფორმაციული მასალა საკმაოდ მცირეა. არ არსებობს კონკრეტულად იმერული ღვინის შესახებ სტატისტიკური მონაცემები. ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ გავრცელებული ინფორმაცია ღვინის მოსავლის შესახებ მხოლოდ საფერავს, რქაწითელს და სხვა ჯიშებს მოიცავს, არაფერია ნათქვამი თუ რა რაოდენობით იწარმოება იმერული ღვინო.

მთავარი წყარო, რომელიც ნაშრომში გამოვიყენე არის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები N4 (83), ტომი XIII, მასში ასე თუ ისე განხილულია იმერული ჯიშის ღვინოები, მისი დადებითი თვისებები, ის რაიონები სადაც კონკრეტულად ესა თუ ის ჯიშის ღვინოა გავრცელებული, ასევე ის ბუნებრივი პირობები, რომელიც მევენახეობის განვითარებისთვისაა ხელსაყრელი.

ასევე დიდი დახმარება გამიწია ივანე ჯავახიშვილის წიგნმა - ,,თხზულებანი თორმეტ ტომად'', ტომი V, თბილისი 1986, მასში მოცემულია ყურძნის თეთრი და წითელი ჯიშები, ღვინის დაყენების ტექნიკა, დამწიფების პერიოდულობა და ა.შ.

საკმაოდ ბევრი ინფორმაცია ავიღე ჟურნალ ,,ეკონომისტის'' სტატიიდან - ,,სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულებათა ჯაჭვი იმერეთისა და რაჭის რეგიონებში,'' სადაც მოცემულია იმერული ღვინის ფასები, ის ქვეყნები, სადაც ქართული ღვინო გადის, ყურძნის წარმოება საქართველოს რეგიონების მიხედვით და სხვა სტატისტიკური მონაცემები.

ისეთი სტატისტიკური მონაცემები, როგორიცაა ვენახების საერთო ფართობი, ვაზის ძირთა რაოდენობა, იმერეთში გავრცელებული ვაზის ჯიშები, მათი მოსავლიანობა, 2015, 2016 და 2017 წლის პირველ კვარტალში ექსპორტზე გასული ქართული ღვინის რაოდენობა, ავიღე საქართველოს სტატისტიკის ეროვნული და ღვინის ეროვნული სააგენტოდან.

4. რეგიონის ზოგადი გეოგრაფიული დახასიათება

იმერეთი — დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე, ამჟამად იმერეთის მხარის ნაწილი. ვრცელი მნიშვნელობით იგი დასავლეთ საქართველოს ისტორიული სახელწოდებაა, ისევე როგორც ძველი კოლხეთი, ეგრისი, აფხაზეთი.

საკუთრივ იმერეთი შემოსაზღვრულია აღმოსავლეთით ლიხის ქედით, დასავლეთით ცხენისწყლით, ჩრდილოეთით კავკასიონის ქედით და სამხრეთით ფერსათის, ანუ მესხეთის მთებით. სახელწოდება დაკავშირებულია ამ მხარის მდებარეობასთან, იმერეთი, ანუ ლიხს იქითა მხარე.

იმერეთი იყოფა ორ ნაწილად: ზემო და ქვემო იმერეთად. იმერეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები ადასტურებს, რომ ამ მხარეში ადამიანს ცხოვრება, ჯერ კიდევ, ქვედა პალეოლითის ხანაში დაუწყია. მათ შორისაა საკაჟიის და ჭახათის (მდ. წყალწითელას ნაპირზე), დევისხვრელის (მდ. ჩხერიმელას ნაპირზე) გამოქვაბულები, სათაფლიის მიდამოები და სხვა. საქალაქო ცხოვრების უძველესი პერიოდის არქეოლოგიური ძეგლები
ნაპოვნია ქუთაისში, ვანში, ვარციხეში (როდოპოლისი), შორაპანში და სხვა. მხარის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო ამ ქალაქებს ოდითგანვე დიდი სტრატეგიული, ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა.

იმერეთის რეგიონი მოიცავს 12 მუნიციპალიტეტს: საჩხერის, ჭიათურის, ტყიბულის, ხონის, ხარაგაულის, ბაღდათის, ზესტაფონის, ქუთაისის, წყალტუბოს, სამტრედიის, ბაღდათისა და ვანის მუნიციპალიტეტებს. მხარის ფართობი შეადგებს 6552.3 კმ^2-ს, მოსახლეობა კი დაახლოებით 700 ათასს. მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კმ^2–ზე 108 კაცია. მხარის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ქუთაისი. მხარეში 542 დასახლებული პუნქტია, მათ შორის 529 სოფელი.

5. ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები მევენახეობის განვითარებისთვის

იმერეთი საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის უძველესი და ერთ-ერთი უმთავრესი რეგიონია, პროდუქციის როგორც რაოდენობის, ისე ხარისხის მხრივ. იგი იყოფა სამ ზონად: ზემო, შუა და ქვემო იმერეთი. ვენახები გაშენებულია მდინარეების - რიონის, ყვირილას, ჩხერიმელას, ძირულას და მათი შენაკადების ხეობებში, ზღვის დონიდან 50-500 მეტრ სიმაღლემდე. ჰავა საკმაოდ ნოტიოა, ზომიერად ცივი, თოვლიანი ზამთრითა და მშრალი, ზოგჯერ გვალვიანი, ცხელი ზაფხულით. საშუალოდ წელიწადში აქტიური ტემპერატურის ჯამი 3200-41000–ს შორის მერყეობს, ატმოსფერული ნალექების ჯამი 1200-1500 მმ ფარგლებში, მზის ნათების ხანგრძივობა კი 1200-2100 საათს შეადგენს.

იმერეთის მევენახეობა-მეღვინეობა ხასიათდება ვაზის აბორიგენული ჯიშებისა და მათგან წარმოებული მაღალხარისხოვანი სუფრის ღვინოების მრავალფეროვნებით. (ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები N4 (83), ტომი XIII, თბილისი 1960, გვ:171, 1960)

ზემო იმერეთში უმთავრესად მზადდება ნაზი, ხალისიანი ცქრიალა ტიპის ღვინომასალები, აგრეთვე მსუბუქი ევროპული ტიპის თეთრი და წითელი სუფრის ღვინოები, ადგილობრივი ვაზის: ციცქას, ცოლიკაურის, კრახუნას, ძველშავისა და სხვა ჯიშების ყურძნისაგან.

ზემო იმერეთი მდებარეობს იმერეთის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, კოლხეთის დაბლობის გაგრძელებაზე. იგი წარმოადგენს პლატოს, ძირითადად, 500 მ აბსოლუტურ სიმაღლეებზე. ძირულა-ყვირილას შუამდინარეთში მისი სიმაღლე კლებულობს ჩრდილო-დასავლური მიმართულებით.

ზემო იმერეთის პლატო არაერთგვაროვანია და მასზე წარმოდგენილია რელიეფის ორი, გენეტიკურად და მორფოლოგიურად განსხვავებული ტიპი.

ზემო იმერეთის პლატოს ჰიდროგრაფიული ქსელი წარმოდგენილია მდ.ყვირილას განტოტვილი სისტემით. რეგიონის ძირითად ნაწილს რწყავენ: ყვირილა, ძირულა და

ჩხერიმელა, მათი მრავალი შემდინარით, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია - მდ. საძალიხევი, გეზრულა, დუმალა და სხვ. რაჭის ქედიდან ჩამომდინარე ძუსა, ბუჯა, კაცხურა, ჯრუჭულა და ლიხის ქედიდან - ღვიგზა, რიკოთულა და სხვ.

რეგიონის ოროგრაფიული თავისებურება განსაზღვრავს ამ კლიმატურ პირობებს. აქ მზის ნათების ხანგრძლივობა საკმაოდ მაღალია და საშუალო წლიური სიდიდე ტერიტორიულად იცვლება 2100 – 2300 საათს შორის.

რეგიონში მოსული ატმოსფერული ნალექების ჯამი შეადგენს 900-1500 მმ-ს. განსაკუთრებით მცირე რაოდენობის ნალექები მოდის მდ.ყვირილას ხეობაში, ჭიათურა-სხვიტორის მონაკვეთში (900-1200 მმ). ეს ადგილი, დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით, ყველაზე უფრო მშრალია.

მევენახეობა - ზემო იმერეთის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უძველესო და ტრადიციული დარგია. აქ გავრცელებულ ვაზის ჯიშებს შორის აღსანიშნავია: ცოლიკაური, ციცქა, ძველშავი, გორული მწვანე (ქვიშხური), ალიგოტე, პინო და სხვა. ცქრიალა ღვინოებისთვის აქ ძირითადად იყენებენ ადგილობრივ ჯიშებიდან: ციცქას, ძველშავს და გორულ მწვანეს (ქვიშხური); შემოტანილი ჯიშებიდან: ალიგოტეს, პინოს (შავი, თეთრი) და შარდონეს.

ზემო იმერეთში მაღალხარისხოვანი პროდუქციის მიღებას ძირითადად განაპირობებს ნიადაგურ-კლიმატური პირობების თავისებურება; მათ შორის, შედარებით გრილი და ზომიერად ნოტიო ამინდის პირობები. ცოლიკაურის, ციცქასა და გორულ მწვანესგან მზადდება მაღალხარისხოვანი ევროპული ტიპის სუფრის ღვინოები: შედარებით ამაღლებულ ზონაში კი იმავე ჯიშებიდან (ცოლიკაურის გარდა) ბუნებრივად ცქრიალა ღვინოები იწარმოება.

ზემო და შუა იმერეთში, ისევე როგორც დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებში, ყურძნის შაქრიანობა სიმაღლის მატებით განსაზღვრულ სიდიდემდე ჯერ მატულობს, შემდეგ კი თანდათან მცირდება.

შიდა ქართლიდან ზემო იმერეთში შემოტანილი გორული მწვანესგან იწარმოება ევროპული ტიპის სუფრისა და ცქრიალასათვის საუკეთესო ღვინომასალა. ეს ჯიში პერსპექტიულია ზემო იმერეთის ზომიერი ტემპერატურის პირობებში. სამეურნეო მნიშვნელობით მისი გავრცელება დასაშვებია 750 – 800 მ სიმაღლემდე, სადაც ეს ჯიში 18-17 %-მდე შაქარს აგროვებს, 400 მ სიმაღლეზე გავრცელებული აღნიშნული ჯიში 24%-მდე, 600 მ-ზე კი შესაბამისად 21,5% შაქარს აგროვებს. გორული მწვანესგან ევროპული ტიპის სუფრის ღვინოების მისაღებად ხელსაყრელია 400-550 მ სიმაღლის ადგილები, 550 მ-ზე ზევით კი მისგან ცქრიალასათვის კონდიციური ღვინომასალა იწარმოება. ზემო იმერეთში, ციცქასა და გორული მწვანეს გარდა, გავრცელებულია ცქრიალასათვის მაღალხარისხოვანი პროდუქციის მომცემი ადგილობრიცი ძველშავი, საფრანგეთიდან შემოტანილი ალიგოტე, პინო და შარდონე. აქედან გამომდინარე ზემო იმერეთს გააჩნია სათანადო კლიმატური ნიადაგური შესაძლებლობები, რომ შიდა ქართლთან ერთად, ჩვენი ქვეყნისთვის ცქრიალა ღვინომასალის წარმოების სანედლეულო ბაზად იქცეს.

შუა იმერეთი მევენახეობა-მეღვინეობის ძირითად ზონად ითვლება დასავლეთ საქართველოში. ვენახები ამ მიკრორაიონში გაშენებულია ზღვის დონიდან 140-470 მეტრის სიმაღლეზე. ადგილობრივი ვაზის: ციცქას, ცოლიკაურის, ალადასტურის, კრახუნას, ძველშავისა და სხვა ჯიშების ყურძნისაგან მზადდება წარმოშობის ადგილის და ჯიშობრივი დასახელების, უმაღლესი ხარისხის, ორიგინალური, სუფრის თეთრი, წითელი და ვარდისფერი ღვინოები.

იმერეთში მრავალ საუკუნოვანი ხალხური ტრადიციების საფუძველზე შექმნილია იმერული ტიპის ღვინის დაყენების ორიგინალური ტექნოლოგია, რომლის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ყურძნის ტკბილის ალკოჰოლური დუღილი წარმოებს მიწაში ჩაფლულ ჭურებში დურდოზე (ჭაჭა – კლერტის გარეშე), რომელიც მთელი მადუღარი მასის 4-6%-ს შეადგენს. დადუღების შემდეგ ღვინომასალას ჭურში აყოვნებენ 1,5-2 თვით, შემდეგ ხსნიან დურდოდან, გადააქვთ კასრებში და შემდგომი მოვლა-დამუშავება არსებული ინსტრუქციით გრძელდება. ასეთი წესით დაყენებული ღვინო ევროპული ტიპის ღვინოსთან შედარებით უფრო ექსტრაქტული და სხეულიანია,

ამავე დროს მსუბუქია, ჰარმონიული და ხასიათდება სასიამოვნო გემოთი და ყურძნის ჯიშური არომატით.

ქვემო იმერეთი მოქცეულია იმერეთის დასავლეთ ნაწილში, მდინარე რიონის აუზში. აქ ვენახები გაშენებულია ზღვის დონიდან 40-420 მეტრის სიმაღლეზე. მეღვინეობის თვალსაზრისით ეს ზონა ორდინალური ღვინოების ზონაა, სადაც ცალკეულ უბნებში მზადდება ხარისხოვანი ღვინოები ადგილობრივი ვაზის ჯიშებისაგან.

მევენახეობა ქვემო იმერეთში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი და შემოსავლიანი დარგია. მას ძირითადად მეღვინეობის მიმართულება აქვს. მევენახეობის ბაზაზე საკვლევ რაიონში აგებულია ღვინის პირველადი გადამამუშავებელი 13 ქარხანა (ქუთაისში, ვარციხეში, ვანში და სხვ.).

რევოლუციამდელ პერიოდში მევენახეობა ქვემო იმერეთში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, მეტად მძიმე მდგომარეობაში იყო. ვენახების აღდგენა საქართველოში დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. 1937 წელს ვენახების ფართობმა ქვემო იმერეთში 7971 ჰექტარს მიაღწია და შემდეგშიც თანდათანობით იზრდებოდა. 1937-1940 წლებში ვენახების ფართობი ქვემო იმერეთში გაიზარდა 20.2%-ით.

მევენახეობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში. ბაღდათის, თერჯოლისა და ვანის რაიონებში მევენახეობა სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგია და შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენს. ეს სამი რაიონი მაღალი ხარისხის სუფრის ღვინოსა და შამპანურის მასალის ზონაა. ქუთაისისა და ნაწილობრივ ტყიბულის რაიონებში მევენახეობა საუკეთესო სუფრის ღვინის ნედლეულს იძლევა, ხოლო ქვემო იმერეთის დანარჩენ რაიონებში - ორდინარული ღვინის ნედლეულს.

ვენახების ჯიშობრივი შემადგენლობა ქვემო იმერეთში მეტად მრავალფეროვანია, მაგრამ ფართო გავრცელება და სამრეწველო მნიშვნელობა რამდენიმე ჯიშს აქვს. ყველაზე გავრცელებული ვაზის ჯიშია ცოლიკაური, შემდეგ ციცქა. დანარჩენი ჯიშებიდან აღსანიშნავია: დონდღლაბი, ძველშავი, მგალობლიშვილი, ალექსანდროული, კრახუნა, გორული მწვანე, ოცხანური საფერე, რქაწითელი, ოჯალეში და სხვ. ეს ჯიშები მაღალხარისხოვან ევროპული ტიპის იმერულ სუფრის ღვინოებს

იძლევიან. ცოლიკოური გამოირჩევა მაღალი მოსავლიანობით, პროდუქციის კარგი ხარისხით, სოკოვან დაავადებათა და მავნებლების მიმართ შედარებით უფრო მეტი გამძლეობით. ამით აიხსნება მისი ფართო გავრცელება.

მევენახეობის აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსში ერთ-ერთ მძლავრ ფაქტორს მოსავლიანობის გაზრდისთვის მინერალური და ადგილობრივი სასუქების სწორად გამოყენება წარმოადგენს. ქვემო იმერეთში ნიადაგების მეტი ნაწილი ღარიბია ორგანული და მინერალური ნივთიერებებით და საჭიროებს ორგანო-მინერალური სასუქების შეტანას.

რაიონებს შორის ვენახის ფართობი ყველაზე მეტი ბაღდათის რაიონშია. აქ ვენახები გვხვდება როგორც ვაკე, ასევე მთის ფერდობებზე. გავრცელებული ჯიშებია: ცოლიკაური, ციცქა, ძველშავი, კრახუნა, ოცხანური საფერე, დონდღლაბი და სხვ. ამ ჯიშებს შორის ყველაზე მეტი ფართობი ცოლიკაურს უჭირავს (80%-ზე მეტი), შემდეგ ძველშავს და ციცქას. ციცქა მეტ შემოსავალს იძლევა, მაღალი ხარისხის ჯიშია, განვითარების პერსპექტივაც აქვს, მაგრამ ის უფრო ნაზი ვაზია, მეტ მოვლას მოითხოვს და ამის გამო არ არის ფართოდ გავრცელებული.

ღვინის ხარისხით უკეთესი მაჩვენებელი იმ ვენახებს აქვს, რომლებიც მთის ფერდობებზე მდებარეობენ, მოსავლიანობით კი ვაკე ადგილებში განლაგებული ვენახები გამოირჩევიან.

მევენახეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თერჯოლისა და ვანის რაიონებს. თერჯოლის რაიონში ვენახები განლაგებულია ძირითადად სხვადასხვა სახის ნეშომპალა-კარბონატულ ნიადაგებზე, ვანის რაიონში კი ტყის ყომრალ ნიადაგებზე.

თერჯოლის რაიონი შამპანურის მევენახეობის ზონად ითვლება. აქ ვენახების მთელი ფართობის 60%-ზე მეტი ციცქაზე მოდის, ცოლიკოურსაც საკმაოდ დიდი ფართობი უკავია. ვანის რაიონში, პირიქით, ცოლიკოურის ჯიშის ვენახები უფრო გავრცელებულია. ყურძნის საშუალო საჰექტრო მოსავლიანობა უფრო მაღალია, ვიდრე ქვემო იმერეთის სხვა რაიონებში.

ქუთაისის რაიონში ვენახები განლაგებულია ყვითელმიწა და ტყის ყომრალნიადაგებზე. აქ მევენახეობას სამრეწველო მნიშვნელობა აქვს მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.

ტყიბულის, სამტრედიის, ხონის და წყალტუბოს რაიონებში ვენახები გაცილებით უფრო ნაკლები რაოდენობით გვხვდება. აქ ყურძნის მოსავლიანობაც დაბალია და ღვინოც შედარებით დაბალი ხარისხის დგება.

6. ქართული ვაზის ისტორია

საქართველო ითვლება ვაზის წარმოშობის ერთ–ერთ პირველ ცენტრად. სავარაუდოდ, ძვ. წ. აღ. 6000–4000 წლებიდან მომდინარეობს ვაზის სელექცია. აქედან, კულტურული ვაზი გავრცელდა ხმელთაშუა ზღვის აუზში, ახლო აღმოსავლეთში და ბოლოს ამერიკაში. ყურძნის წიპწები აღმოჩენილია ირანში, თურქეთში, სირიაში, ლიბანსა და იორდანიაში. თუმცა, ქართული მასალების ასაკი და სახეობათა სრულყოფილება ნათლად მოწმობს, რომ საქართველოში ვაზის მოშენებისა და ღვინის დამზადება ჩვენს წელთაღრიცხვამდე 7000 წლის წინ ან უფრო ადრე იყო. საქართველოში ვაზის ხანგრძლივი კულტივარების დამადასტურებელ ფაქტს წარმოადგენს თესლების არქეოლოგიური ნარჩენები. 1965 წელს სიმონ ჯანაშიას ისტორიის სახელმწიფო მუზეუმისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივმა ექსპედიაციამ შულავერის მდელოზე (ქვემო ქართლი) აღმოაჩინა უძველესი დასახლება და მისი ნანგრევები, სადაც დიდი ოდენობით ბოტანიკური მასალა იპოვნეს. აღმოჩენილ მასალებს შორის განსაკუთრებით საყურადღებო იყო ყურძნის წიპწა. ანალიზის შემდეგ, მორფოლოგიური და ამპლეომეტრული მონაცემების მიხედვით ქართველმა და უცხოელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ის არის მოშინაურებელი ყურძნის ნაირსახეობის წიპწა. ნახშირწყლების ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ წიპწები თარიღდება ჩვ. წ-მდე 5000-7000 წლებით და არის უძველესი არამარტო საქართველოში, არამედ მთელს მსოფლიოში. გვიანი ქვის ხანის, ნეოლითის მონაცემების მიხედვით, კაცობრიობის კულტურულ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ღვინის კულტურა სწორედ საქართველოდან მკვიდრდება. შულავერში აღმოჩენელი უძველესი მოშინაურებული ყურძნის წიპწები ადასტურებს, რომ იმ დროისთვის მტკვრის ხეობაში, სამხრეთ და ცენტრალურ საქართველოში უკვე არსებობდა კარგად განვითარებული მეღვინეობის კულტურა. ლეგენდის მიხედვით, როდესაც წმინდა ნინო საქართველოში შემოვიდა, მას ხელში ეჭირა ვაზისგან დამზადებული, საკუთარი თმით შეკრული ჯვარი. ასევე, ქართული ეკლესიის კარები ხშირად ვაზის ფიცრებისაგან კეთდებოდა. გავრცელებული იყო ვაზის ჩუქურთმის გამოყენება ტაძარ–მონასტრების მშენებლობის დროს. ქართველი ხალხი შორეულ წარსულში ვაზს წმინდა მცენარედ თვლიდა. ძველ დროში, საქართველოს ეკონომიკის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი

საფუძველი მევენახეობა იყო. საქართველოდან ღვინის ექსპორტს აწარმოებდნენ მეზობელი ქვეყნები. დამპყრობლების მხრიდან (თემურ–ლენგი, შაჰ–აბასი), ვენახების გაჩეხვის მიზანს წარმოადგენდა ქვეყნის ეკონომიკურად დაქვეითება და შემოსავლის შემცირება. (საქართველოს მევენახეობა და მეღვინეობა)

ქართული მევენახეობის მწვერვალი მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში იყო. ქართული მეღვინეობის განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანა თავადმა ალექსანდრე ჭავჭავაძემ, რომელიც ფლობდა თელიანის მამულს. სწორედ იქ დაიწყო ადგილობრივი, სხვადასხვა სახის ღვინოების (რქაწითელი, მწვანე, საფერავი) დამზადება.

7. იმერეთში გავრცელებული ვაზის ჯიშები

ამჟამად მსოფლიოში 4 ათასამდე ვაზის ჯიშია, მათ შორის 500-მდე - ქართული. საქართველოს ვაზის სტანდარტულ ასორტიმენტში შეტანილია 41 ჯიში, აქედან 27 ტექნიკური (საღვინე) ჯიშია, 14 - სუფრის. გადასამუშავებლად იყენებენ მთელი ფართობიდან მიღებული მოსავლის 96-97%-ს: ხოლო სასუფრედ - 3-4%-ს. საქართველოში ვაზის ჯიშებიდან უფრო გავრცელებულია რქაწითელი - 55%, ცოლიკაური - 10,2%, ჩინური - 7%, საფერავი - 4%, კახური მწვანე - 3,3%, გორული მწვანე - 2,1%. დანარჩენი ჯიშები შედარებით მცირე ფართობზეა. ივანე ჯავახიშვილს თავის წიგნში „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ ვაზის 413 ჯიში აქვს აღნიშნული. (სასოფლო სამეურნეო წარმოების ჯაჭვი იმერეთში (მევენახეობა-მეღვინეობა))

იმერეთი საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის უძველესი და ერთ-ერთი უმთავრესი რეგიონია, პროდუქციის როგორც რაოდენობის ისე ხარისხის მხრივ. იგი იყოფა სამ ზონად: ზემო, შუა და ქვემო იმერეთი. ვენახები გაშენებულია მდინარეების რიონის, ყვირილას, ჩხერიმელას, ძირულას და მათი შენაკადების ხეობებში, ზღვის დონიდან 50-500 მეტრ სიმაღლემდე. რეგიონში ყველაზე გავრცელებული და პოპულარული ვაზის ჯიშებია:

ციცქა - ადგილობრივი მაღალხარისხოვანი თეთრყურძნიანი, საგვიანო სიმწიფის, საღვინე ვაზის ჯიშია, მიეკუთვნება იმერეთის ვაზის ჯიშთა ჯგუფს. მკვლევართა აზრით, მისი წარმოშობის მხარედ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფ. ციცქიური ითვლება. მისი კვირტის გაშლა აპრილის მეორე დეკადის დასაწყისში, ჰაერის საშუალო დღეღამური ტემპერატურის 12^{0}C-ზე მდგრადი გადასვლიდან, აღინიშნება; ყვავილობა - მაისის ბოლო რიცხვებში. ყურძენი სიმწიფეს აგვისტოს მეორე ნახევარში, აქტიურ ტემპერატურათა ჯამის 2800^{0}C დაგროვებისას იწყებს. ტერიტორიის დაბლობ ნაწილში, 450 მ სიმაღლემდე, სადაც აქტიურ ტემპერატურათა ჯამი ოქტომბრის პირველ დეკადაში 3800^{0}C-მდე გროვდება, ყურძენი სრულ სიმწიფეში შედის. ამ დროს მისი შაქრიანობა აღწევს 21,5 %-ს, მჟავიანობა კი - 8,4 გ/დმ^3-ს.

ციცქა ერთ-ერთი გამორჩეული ჯიშია საქართველოში მაღალი ხარისხის ცქრიალა ღვინოების დასამზადებლად. იმერეთის რაიონებში ყურძენი სრულ სიმწიფეში შედის ოქტომბრის მეორე ნახევრიდან. ყურძნის წვენში შაქარი შეადგენს 18,0-25,0%-ს, ხოლო მჟავიანობა - 6,9-10,5 გ/ლ-ს. ციცქასგან ცოლიკაურთან ერთად მზადდება ადგილწარმოშობის დასახელების კონტროლირებადი უმაღლესი ხარისხის თეთრი მშრალი ღვინო „სვირი“.

ცოლიკაური - ქართული აბორიგენული თეთრყურძნიანი ვაზის ჯიშია. მიეკუთვნება იმერეთის ვაზის ჯიშთა ჯგუფს. იმერეთის გარდა გავრცელებულია რაჭა-ლეჩხუმში, გურიაში, სამეგრელოში, აჭარასა და აფხაზეთში. ფართობის მიხედვით რქაწითელის შემდეგ მეორე ადგილი უკავია საქართველოში. გამორჩევა მაღალი სამეურნეო-ტექნოლოგიური მახასიათებლებით. მისგან მზადდება ევროპული და იმერული ტრადიციული წესით დაყენებული მაღალხარისხიანი სუფრისა და ბუნებრივად ნახევრად ტკბილი ღვინოები, რომელთაც ახასიათებს ღია ჩალისფერი შეფერვა, დიდი სხეული, ალკოჰოლისა და მჟავიანობის ნორმალური შემცველობა, სიხალისე და მაღალი გემური მაჩვენებლები, ჯიში საგვიანო სიმწიფის პერიოდისაა, ყურძენი ოქტომბრის მეორე ნახევრიდან მწიფდება. ყურძნის წვენში შაქარი შეადგენს 20,0-25,0%-ს, ხოლო მჟავიანობა - 7,5-9,5 გ/ლ-ს. ცოლიკოურისაგან მზადდება ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოები „სვირი“ (ციცქასთან ერთად) და „ტვიში“.

კრახუნა - ქართული აბორიგენული თეთრყურძნიანი ვაზის ჯიშია. მიეკუთვნება იმერეთის ვაზის ჯიშთა ჯგუფს. ჯიში გამოიყენება ევროპული და იმერული ტრადიციული ღვინოების, ასევე მაგარი და სადესერტო ღვინოების დასამზადებლად. ევროპული წესით დაყენებული ღვინო მოყვითალო-ჩალისფერია, ხასიათდება სისრულით, ენერგიითა და სასიამოვნო გემოთი. იმერული წესით დაყენებული კრახუნას ღვინო ხასიათდება ლამაზი შეფერილობით, ალკოჰოლის ნორმალური შემცველობით, დიდი სხეულითა და ჰარმონიით, კარგი გემოთი. დაძველებისას კრახუნას ღვინო საგრძნობლად უმჯობესდება. იგი ლამაზ მოოქროსფრო ყვითელ ფერს იღებს და ივითარებს ძლიერ ჯიშურ ბუკეტს. ყურძნის დაგვიანებით დაკრეფისას კრახუნასგან შეიძლება დამზადდეს განსაკუთრებული მაღალი ხარისხის შემაგრებული

და სადესერტო ღვინო, რომელიც ხასიათდება მდიდარი ჯიშური არომატითა და ხალისიანი მჟავიანობით. ჯიში საშუალოზე საგვიანო სიმწიფის პერიოდისაა, ზესტაფონში ყურძენი მწიფდება სექტემბრის ბოლოს და ოქტომბრის დასაწყისში. ყურძნის წვენში შაქარი შეადგენს 21,0-23,0 %-ს, ხოლო მჟავიანობა - 7,5-8,5 გ/ლ-ს.

დონდღლაბი - ქართული თეთრყურძნიანი ვაზის ჯიშია იმერეთიდან. დონდღლაბის რამდენიმე ვარიაციაა ცნობილი: მწვანე დონდღლაბი, თავწითელა დონდღლაბი და მჭკნარა დონდღლაბი. ჩამოთვლილი ვარიაციებიდან პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლებით გამოირჩევა მჭკნარა დონდღლაბი. მჭკნარა დონდღლაბი საღვინე ვაზის ჯიშია. ცალკე დაყენებული მისი ღვინო ღია მოყვითალო ფერისაა, საკმაოდ ექსტრაქტული და ჰარმონიულია. მისი გამოყენება შეიძლება ციცქასა და ცოლიკოურთან ერთად კუპაჟში, საკმაოდ ხარისხიანი ადგილობრივი მოხმარების ღვინოების დასამზადებლად, ხოლო ცალკე - ყურძნის წვენისა და საბრენდე ღვინომასალის დასამზადებლად. ჯიში საშუალოზე საგვიანო სიმწიფის პერიოდისაა, იმერეთის ზონაში ყურძენი მწიფდება სექტემბრის ბოლოს და ოქტომბრის დასაწყისში. ყურძნის წვენში შაქარი შეადგენს 20,0-22,0%-ს, ხოლო მჟავიანობა - 7,6-9,3გ/ლ-ს.

ყურძნის შაქარ-მჟავიანობაზე, ვაზის ჯიშების თავისებურებასთან ერთად, დიდ გავლენას ახდენს ადგილმდებარეობის რელიეფური (ჰიფსომეტრია, ფერდობის ექსპოზიცია, დახრილობა), კლიმატური და ნიადაგური პირობები.

მევენახეობა ქვემო იმერეთში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი და შემოსავლიანი დარგია. მას ძირითადად მეღვინეობის მიმართულება აქვს. მევენახეობის ბაზაზე საკვლევ რაიონში აგებულია ღვინის პირველადი გადამამუშავებელი 13 ქარხანა (ქუთაისში, ვარციხეში, ვანში და სხვ.).

თეთრი ყურძნის ჯიშები/ღვინოები

ცოლიკაური - უმაღლესი ხარისხის თეთრი ნახევრად ტკბილი ღვინოა. იგი მზადდება ცოლიკოურის ჯიშის ყურძნისაგან, ტკბილის არასრული დადუღებით. ის ხასიათდება ღია ჩალისფერი შეფერვით, გამოხატულია ტროპიკული ხილის არომატით. ნატიფი და არომატული სიტკბო, შეზავებული მსუბუქ მჟავიანობასთან განაპირობებს ხანგრძლივ და გაწონასწორებულ დაბოლოებას. (ჯავახიშვილი, 1986)

ციცქა - ვაზის ჯიში მიეკუთვნება იმერეთის აბორიგენულ ვაზის ჯიშთა ჯგუფს და დგება ღია ჩალისფერი ღვინო მომწვანო ელფერით, ახასიათებს მცენარეული ტონები და გამოირჩევა მსხლის, ლიმნის, თაფლის, ნესვის არომატებით. ციცქა მაღალმჟავიანი, ხალისიანი და ენერგიული ღვინოა.

კრახუნა - ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და ხასიათიანი იმერული თეთრი ღვინოა. რომელიც მზადდება ამავე სახელწოდების ყურძნის ჯიშისგან - კრახუნასგან. ის ძირითადად გავრცელებულია იმერეთის რეგიონში და გამოირჩევა ალკოჰოლის შედარებით მაღალი შემცველობით. კრახუნას ახასიათებს განსაკუთრებული თვისება, ერთნაირად კარგად შეუძლია თავი წარმოაჩინოს როგორც ახალგაზრდა ტიპის (თავის ცინცხალი ყვავილოვანი არომატებითა და მადისაღმძვრელი მჟავიანობით), ასევე განუმეორებელია დაძველებული ტიპის ღვინის ამპლუაში. ღვინო კრახუნა არის ღია ჩალისფერი, ახასიათებს სასიამოვნო არომატი, რომელშიც ჭარბობს ყვითელი ხილის სურნელი და აქვს მკვეთრად გამყოლი გემო. ღვინის მოყვარულები ყოველთვი საღნიშნავენ, რომ სხვ აიმერულ თეთრ ღვინოებთან შედარებით, კრახუნასაგან დაყენებული ღვინო, სხეულიანობით, ოქროსფერი შეფერილობითა და განსაკუთრებული ენერგიულობით გამოირჩევა.[7]

სვირი - იმერეთში ერთ-ერთი ცნობილი ადგილწარმოშობის დასახელების, თეთრი მშრალი ღვინო, რომელიც იწარმოება ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფელ სვირის მიკროზონაში. აღნიშნული მიკროზონა მდებარეობს მდინარე ყვირილას მარცხენა სანაპიროზე. ღვინო მზადდება ცოლიკოურისა და ციცქას ჯიშის ყურძნისგან, აგრეთვე

რეკომენდირებულია კრახუნას ჯიშის ყურძნის გამოყენებაც და ხასიათდება მუქი ჩალისფერი მოყვითალო ელფერით, ხილისტონებით, განვითარებული ბუკეტით, ექსტრაქტიულობითა და ჰარმონიულობით.

კუნძა- იმერეთის ყურძნის ჯიშთა სიაში უცნობ ავტორს აქვს მოხსენიებული, მაგრამ სახელის მეტი მის ნაშრომში ამ ჯიშზე თითქმის არაფერია ნათქვამი, გარდა იმისა, რომ ვიწროდ შემოფარგლულ არეზეა გავრცელებული. ამ ავტორის დახასიათებით კუნძას ვაზი დიდი ტანისაა, აქვს მსხვილი მარცვალი, სქელკანიანია და წვენი თეთრი აქვს.

მწვანე - ქუთაისის ტერიტორიაზეა გავრცელებული, განსაკუთრებით დაბლარ ადგილებში.

იმერეთის თეთრი ყურძნის ჯიშთა სიაში კიდევ გვხვდება რამდენიმე სახელი, რომელთაგან აღსანიშნავია: კვირტისთავა, ხარისთვალა, ყურ-წითელა, ნაცარა, სადადეგო, სამჭაჭა, სათიბა, მაღლარი, კაპისტონი, თეთრი ბუდეშური, განჯის ყურძენი, წინწკვა, მაისა, ქართულა, თუმცა ეს ჯიშები ფართოდ გავრცელებული არაა და მეტი ინფორმაცია მათ შესახებ არ მოიპოვება.

წითელი და შავი ყურძნის ჯიშები/ღვინოები

ოცხანური - ოცხანური არის უნიკალური ჯიში, რომელიც იმერეთში ხარობს, თერჯოლის რაიონის ზედა, შედარებით მაღლობ ზონაში. ჯიში არის საკმაოდ გამძლე გარემო პირობების მიმართ, ნაყოფი დიდხანს არ ფუჭდება მოუკრეფაობის შემთხვევაში. ამასთან, შედარებით გვიან მოკრეფის შემთვევაში კიდევ უფრო უკეთესი ხდება, რადგან შედარებით დაბალი ჰაერის ტემპერატურის დროს იზრდება ყურძნის შაქრიანობა.

ძველშავი - ზესტაფონის ტერიტორიაზეა გავრცელებული, მისი ლერწი წაბლისფერია, მოგრძო მტევანი და მსხვილი მარცვალი აქვს, არის თხელკანიანი, ყურძენი ტკბილია.

აკიდო - ეს ყურძნის ჯიში უცნობ ავტორს აქვს მოხსენიებული, რომლის გადმოცემითაც ეს ჯიში იმერეთის სამხრეთ ნაწილში ცხენისწყლის მიდამოებში ყოფილა გავრცელებული. აკიდოსგან წითელი ღვინო მზადდება.

დონდღლაბი - შავი ყურძნის ჯიშის სახელია. ამ ჯიშს კვირტი მოთეთრო-მოვარდისფრო აქვს, ხოლო მტევანი მსხვილი. ადრე მას ხარისთვალა, საკუჭალა და მაჭანაურიც კი ეწოდებოდა.

იმერეთის წითელი და შავი ყურძნის ჯიშთა სიაში, კიდევ გვხვდება რამდენიმე სახელი, რომელთა შესახებაც არც თუ ისე ბევრი ინფორმაცია მოიპოვება და მხოლოდ ცალკეულ ავტორებს აქვთ აღწერილი. ეს ჯიშებია: მელისკუდა, ტრედისფეხა, ბჟღია, შავი ბუდეშური, ადანასური, წველოური, არაბოული, რცხილათუბანი, ჯანი. (ჯავახიშვილი, 1986)

იმერეთში გავრცელებული ყურძნის ჯიშების კლასიფიკაცია სამეურნეო დანიშნულების მიხედვით

საჭმელი ყურძნის ჯიშები - დონდღლაბი, კრახუნა, მელისკუდა, ჯანი სავი.

სამაჭრე ჯიშები - სადადეგო თეთრი, სამაჭრე, წინწკვა თეთრი.

ყურძნის საღვინე ჯიშები - აკიდო, კამური შავი და თეთრი, კაპისტონი, კრახუნა, კუნძა თეთრი, მაისა თეთრი, მწვანე, რკო, რცხილათობანი შავი, საფერავი შავი, ციცქა თეთრი, ცოლიკაური, ჯანი შავი.

საჭაჭე ჯიშები - სამჭაჭა.

ყურძნის ადრეული ჯიშები - ბჟღია, კაპისტონი. (ჯავახიშვილი, 1986)

8. 2004 და 2014 წლების სასოფლო-სამეურნეო აღწერების სტატისტიკური ინფორმაცია იმერეთის რეგიონში მევენახეობის შესახებ

2004 წლის სასოფლო სამეურნეო აღწერის მიხედვით, იმერეთის რეგიონში ვენახების საერთო ფართობი შეადგენდა 8584 ჰექტარს (იხილეთ დანართში ცხრილი N1), ხოლო რეგიონების მიხედვით ის შემდეგნაირად იყო განაწილებული: ტყიბულის რაიონი - 179 ჰა, წყალტუბოს რაიონი - 179 ჰა, ჭიათურის რაიონი - 599 ჰა, ბაღდათის რაიონი - 1367 ჰა, ვანის რაიონი - 1098 ჰა, ზესტაფონის რაიონი - 2229 ჰა, თერჯოლის რაიონი - 1363 ჰა, სამტრედიის რაიონი - 130 ჰა, საჩხერის რაიონი - 843 ჰა, ხარაგაულის რაიონი - 514 ჰა და ხონის რაიონი - 84 ჰა.

რაც შეეხება ვენახებში ვაზის ძირთა რაოდენობას, 2004 წელს ის იმერეთის რეგიონში29 573 693-ს შეადგენდა. ხოლო რეგიონების მიხედვით ასე იყო გადანაწილებული: ტყიბულის რაიონი - 888 946 ძირი, წყალტუბოს რაიონი - 942 940, ჭიათურის რაიონი - 2 963 088, ბაღდათის რაიონი -3 534 492, ვანის რაიონი -2 614 650, ზესტაფონის რაიონი - 7 066 025, თერჯოლის რაიონი - 6 140 188, სამტრედიის რაიონი - 249 708, საჩხერის რაიონი - 3 230 028, ხარაგაულის რაიონი - 1 563 456 და ხონის რაიონი - 380 172 ძირი. (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტი)

იმერეთის რეგიონში ვაზის ჯიშებიდან ყველაზე მეტად გავრცელებულია **ციცქასა** და **ცოლიკაურის** ჯიშები. 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემებით, **ციცქას** ჯიშის ვენახების საერთო ფართობი 2 783 ჰექტარს, ხოლო ძირთა რაოდენობა ვენახებში 10 348 548-ს შეადგენდა. რაიონების მიხედვით მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურებოდა: ტყიბულის რაიონი - 25 ჰა (126 116 ძირი), წყალტუბოს რაიონი - 7 ჰა (37 012 ძირი), ჭიათურის რაიონი - 103 ჰა (446 553 ძირი), ბაღდათის რაიონი - 48 ჰა (134 631 ძირი), ვანის რაიონი - 6 ჰა (14 490 ძირი), ზესტაფონის რაიონი - 1217 ჰა (3 925 958 ძირი), თერჯოლის რაიონი - 964 ჰა (4 314 021 ძირი), სამტრედიის რაიონი - 1 ჰა (2060 ძირი), საჩხერის რაიონი - 100 ჰა (397 385 ძირი), ხარაგაულის რაიონი - 310 ჰა (940 992

ძირი) და ხონის რაიონი - 2 ჰა (9 330 ძირი). (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტი)

რაც შეეხება **ცოლიკაურის** ჯიშს, იმერეთის რეგიონში 2004 წელს მისი საერთო ფართობი 4 530 ჰექტარს შეადგენდა, ხოლო ძირთა რაოდენობა ვენახებში 14 212 692 იყო. რეგიონების მიხედვით მონაცემები შემდეგნაირად იყო განაწილებული: ტყიბულის რაიონი - 129 ჰა (634 194 ძირი), წყალტუბოს რაიონი - 155 ჰა (828 941 ძირი), ჭიათურის რაიონი - 164 ჰა (817 065 ძირი), ბაღდათის რაიონი - 1 126 ჰა (2 880 614 ძირი), ვანის რაიონი - 1 034 ჰა (2 481 102 ძირი), ზესტაფონის რაიონი - 94 ჰა (2 936 328 ძირი), თერჯოლის რაიონი - 361 ჰა (1 647 116 ძირი), სამტრედიის რაიონი - 128 ჰა (245 783 ძირი), საჩხერის რაიონი - 261 ჰა (934 202 ძირი), ხარაგაულის რაიონი - 152 ჰა (456 899 ძირი) და ხონის რაიონი - 76 ჰა (350 448 ძირი).

გარდა ციცქასა და ცოლიკაურისა, რომელიც ყველაზე გავრცელებულია იმერეთის რეგიონში, ასევე გვხვდება ვაზის სხვა ჯიშებიც, თუმცა არც თუ ისე დიდი მასშტაბით.

2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით, იმერეთის რეგიონში **ალადასტურის** ჯიშის ვენახების საერთო ფართობი 23 ჰექტარს, ხოლო ძირთა რაოდენობა ვენახებში 59 076-ს შეადგენდა. აქედან უდიდესი ნაწილი სამ მუნიციპალიტეტზე ნაწილდებოდა. ესენია: ბაღდათის რაიონი - 13 ჰა (32 893 ძირი), ვანის რაიონი - 6 ჰა (15 013 ძირი) და ზესტაფონის რაიონი - 3 ჰა (5 101 ძირი).

რაც შეეხება **კრახუნას** ჯიშის ვაზს, მისი საერთო ფართობი 2004 წელს 36 ჰექტარი, ხოლო ძირთა რაოდენობა ვენახებში 122 799 იყო. უდიდესი ნაწილი აქაც სამ მუნიციპალიტეტზე მოდიოდა: ბაღდათის რაიონი - 13 ჰა (43 647 ძირი), ზესტაფონის რაიონი - 20 ჰა (66 657 ძირი) და თერჯოლის რაიონი - 2 ჰა (9 046 ძირი).

იმერეთში ასევე მოდის შიდა ქართლში გავრცელებული ვაზის ჯიში, **გორული მწვანე**, რომლის საერთო ფართობი 2004 წელს 69 ჰექტარი, ხოლო ძირთა რაოდენობა ვენახებში 240 627 იყო. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია საჩხერის რაიონი, 69 ჰექტრიდან 67 სწორედ ამ მუნიციპალიტეტშია გავრცელებული, ხოლო ძირთა რაოდენობა 232 262-ს შეადგენდა.

ოჯალეშის ჯიშის ვაზი იმერეთის რეგიონში 65 ჰექტარს, ხოლო ძირთა რაოდენობა ვენახებში 189 331-ს შეადგენდა, საიდანაც 57 ჰექტარი (155 693 ძირი) ბაღდათის მუნიციპალიტეტზე მოდიოდა.

ციცქასა და ცოლიკაურის შემდეგ, იმერეთის რეგიონში ყველაზე გავრცელებული ვაზის ჯიში **ძველშავია**. 2004 წლის მონაცემებით, მისი ფართობი 541 ჰექტარს, ხოლო ძირთა რაოდენობა ვენახებში 2 262 633-ს შეადგენდა. რეგიონების მიხედვით მონაცემები შემდეგნაირად იყო განაწილებული: ტყიბულის რაიონი - 1 ჰა (3 170 ძირი), წყალტუბოს რაიონი - 3 ჰა (16 247 ძირი), ჭიათურის რაიონი - 180 ჰა (939 883 ძირი), ბაღდათის რაიონი - 46 ჰა (121 902 ძირი), ვანის რაიონი - 3 ჰა (3 357 ძირი), ზესტაფონის რაიონი - 2 ჰა (6500 ძირი), თერჯოლის რაიონი - 5 ჰა (22 370 ძირი), საჩხერის რაიონი - 300 ჰა (1 145 989 ძირი).

იმერეთის რეგიონში ასევე მოდის შავი და თეთრი ჯიშის **იზაბელა (ადესა)**. 2004 წელს შავი იზაბელას (ადესა) საერთო ფართობი 169 ჰექტარი, ხოლო ძირთა რაოდენობა ვენახებში 506 667 იყო. რაც შეეხება თეთრ იზაბელას (ადესა), მისი ფართობი 90 ჰექტარს, ხოლო ძირთა რაოდენობა 361 994-ს შეადგენდა.

ცნობილ ჯიშებთან ერთად, იმერეთის რეგიონში მოდის ისეთი ვაზის ჯიშებიც, რომლებიც **არაიდენტიფიცირებულია**. 2004 წელს ასეთი ჯიშების საერთო ფართობი 90 ჰექტარს, ხოლო ძირთა რაოდენობა ვენახებში 477 377-ს შეადგენდა.

2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით, იმერეთის რეგიონში ვენახების საერთო ფართობი შეადგენდა 4 981 ჰექტარს (იხილეთ დანართში ცხრილი N2), ხოლო რეგიონების მიხედვით ის შემდეგნაირად იყო განაწილებული: ქ. ქუთაისი - 11 ჰა, ბაღდათის რაიონი - 751 ჰა, ვანის რაიონი - 490 ჰა, ზესტაფონის რაიონი - 1 302 ჰა, თერჯოლის რაიონი - 940 ჰა, სამტრედიის რაიონი - 65 ჰა, საჩხერის რაიონი - 577 ჰა, ტყიბულის რაიონი - 84 ჰა, წყალტუბოს რაიონი - 162 ჰა, ჭიათურის რაიონი - 297 ჰა, ხარაგაულის რაიონი - 246 ჰა, ხონის რაიონი - 58 ჰა . (census.ge)

რაც შეეხება ვაზის ძირთა რაოდენობას ვენახებში, 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით, იმერეთის რეგიონში სულ 15 174 000 ძირი ვაზი იყო, ხოლო მუნიციპალიტეტების მიხედვით მონაცემები ასე გადანაწილდა: ქ. ქუთაისი - 34 000 ძირი ვაზი, ბაღდათის რაიონი - 1 747 000, ვანის რაიონი - 936 000, ზესტაფონის რაიონი - 4 258 000, თერჯოლის რაიონი - 3 695 000, სამტრედიის რაიონი - 140 000, საჩხერის რაიონი - 1 764 000, ტყიბულის რაიონი - 394 000, წყალტუბოს რაიონი - 461 000, ჭიათურის რაიონი - 1 050 000, ხარაგაულის რაიონი - 564 000 და ხონის რაიონი - 131 000 ძირი ვაზი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმერეთის რეგიონში ყველაზე გავრცელებული ვაზის ჯიშები ციცქა და ცოლიკაურია. 2014 წლის მონაცემებით, **ციცქას** ჯიშის ვაზის რაოდენობა ვენახებში 5 425 000 ძირს შეადგენდა, ხოლო მუნიციპალიტეტების მიხედვით ის შემდეგნაირად იყო განაწილებული: ქ. ქუთაისი - 6 000 ძირი, ბაღდათის რაიონი - 61 000, ვანის რაიონი - 21 000, ზესტაფონის რაიონი - 2 222 000, თერჯოლის რაიონი - 2 337 000, სამტრედიის რაიონი - 3 000, საჩხერის რაიონი - 196 000, ტყიბულის რაიონი - 73 000, წყალტუბოს რაიონი - 32 000, ჭიათურის რაიონი - 179 000, ხარაგაულის რაიონი - 293 000 და ხონის რაიონი - 4 000 ძირი.

რაც შეეხება **ცოლიკაურის** ჯიშის ვაზს, მისი ძირთა რაოდენობა ვენახებში 2014 წელს 6 990 000-ს შეადგენდა, ხოლო მუნიციპალიტეტების მიხედვით ასე იყო განაწილებული: ქ. ქუთაისი - 19 000 ძირი, ბაღდათის რაიონი - 1 404 000, ვანის რაიონი - 838 000, ზესტაფონის რაიონი - 1 709 000, თერჯოლის რაიონი - 1 146 000, სამტრედიის რაიონი - 120 000, საჩხერის რაიონი - 551 000, ტყიბულის რაიონი - 243 000, წყალტუბოს რაიონი - 376 000, ჭიათურის რაიონი - 314 000, ხარაგაულის რაიონი - 156 000 და ხონის რაიონი - 114 000 ძირი.

9. 2004 და 2014 წლების სასოფლო-სამეურნეო აღწერის სტატისტიკური მონაცემების შედარება



2014 და 2014 წლის მონაცემების შედარებით ცალსახაა, რომ იმერეთის რეგიონში ვენახების საერთო ფართობი მკვეთრად შემცირებულია. 2014 წელს ვენახების ფართობი 4 981 ჰექტარი იყო, მაშინ როდესაც 2004 წელს იგივე მაჩვენებელი 8 584 ჰექტარს შეადგენდა, ანუ 3 603 ჰექტრით შემცირდა.



2014 წლის აღწერის მონაცემებით, ასევე კარგად ჩანს თუ როგორ არის შემცირებული ვენახებში დარგული ვაზის ძირების რაოდენობა. თუ 2004 წელს ვაზის ძირთა რაოდენობა 29 573 693 იყო, 2014 წელს ეს მაჩვენებელი 15 174 000 ძირამდე შემცირდა, ანუ თითქმის განახევრდა.

იმერეთში ყველაზე პოპულარული და გავრცელებული ვაზის ჯიშების - ციცქასა და ცოლიკაურის რაოდენობაც საგანგაშოდაა შემცირებული. 10 წლიან ინტერვალში ამ ჯიშთა რაოდენობაც თითქმის განახევრებულია, რაც სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, 2006 წელს რუსული ბაზრის დახურვამაც გამოიწვია. იმერეთის რეგიონში არ არის საკმარისი რაოდენობის ქარხნები, რათა გლეხმა ყურძენი ნორმალურ ფასად ჩააბაროს, ამის გათვალისწინებით მოსახლეობას ურჩევნია სხვა პროდუქტი მოიყვანოს, რომელიც შედარებით ნაკლები თანხა დაუჯდება და ადვილად გაიტანს ბაზარზე.

იმერეთში მეღვინეობა ყოველთვის იყო სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგი და მთლიანად ქვეყნის მეღვინეობის განვითარებაშიც დიდი როლი ეკავა, თუმცა 2014 წლის აღწერების შედეგების მიხედვით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის ამ როლს ნელ-ნელა კარგავს.

ასეთი ტენდენციის გაგრძელების შემთხვევაში, საფრთე შეექმნება არამარტო იმერული ჯიშის ვაზებს, არამედ ცუდათ იმოქმედებს ზოგადად ქართულ მეღვინეობაზე, რადგან საქართველოში იმერეთი ყოველთვის იყო ერთ-ერთი მოწინავე რეგიონი ღვინის წარმოებით.

10. სტატისტიკური მონაცემები ყურძნის მოსავლის შესახებ

ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, საქართველოში 2016 წელს დაიკრიფა 117 777 ტონა ყურძენი, რაც 100 497 345 ლარის ღირებულებისაა. აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი ჩამოუვარდება 2015 წლის მონაცემებს, მაშინ სულ დაიკრიფა 148 358 ტონა ყურძენი, რომლის ღირებულებამაც 104 419 852 ლარი შეადგინა. რაც შეეხება 2014 წელს, 2015 წელთან შედარებით ნაკლები ყურძენი მოვიდა, თუმცა ღირებულება გაცილებით დიდი იყო - 122 920 ტონა, 169 075 526 ლარის ღირებულება. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 2014 წელს ყურძნის ფასი გაცილებით ძვირი იყო და ბოლო წლებში ადგილი აქვს მის გაუფასურებას. (სტატისტიკა)

რაც შეეხება იმერეთის რეგიონს, ღვინის წარმოების მხრივ მთავარ მუნიციპალიტეტებში ასეთი მდგომარეობაა: ბაღდათის მუნიციპალიტეტში 2016 წელს 340 ტონა ყურძენი დაიკრიფა, რაც 480 649 ლარის ღირებულებისაა, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში 246 ტონა ყურძენი მოვიდა, რომლის ღირებულებამაც 370 588 ლარი შეადგინა, სამტრედიის მუნიციპალიტეტი - 3 ტონა (27 359 ლარი), თერჯოლის მუნიციპალიტეტი - 2 ტონა (2 392 ლარი).

11. ღვინის კომპანიები და მარნები

ამჟამად იმერეთის რეგიონში ღვინის ათი ქარხანა ფუნქციონირებს. ესენია: ,,ამირან ვეფხვაძის მარანი'' (ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელი კლდეეთი), ,,გაიოზ სოფრომაძის მარანი'' (ბაღდათი, რუსთაველის მესამე ჩიხი 8), ,,იმერული ღვინის კომპანია'' (ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელი მეორე სვირი), ,,შპს ნიკოლაძეების მარანი'' (თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნახშირღელე), ,,რაიონის ველის ვენახები'' (ქუთაისი, ჯავახიშვილის 2), ,,არჩილ გუნიავას მარანი'' (ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელი კვალითი), ,,ზურაბ ღვალაძის მარანი'' (ბაღდათის მუნიციპალიტეტი, სოფელი მეორე ობჩა), ,,სიმონ ჩხეიძის მარანი'' (ბაღდათის მუნიციპალიტეტი, სოფელი მეორე ობჩა), ,,რესტორანი ქალაქური'' (წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვილიშორი), ,,მეღვინეობა ხარება-იმერეთი'' (თერჯოლის მუნიციპალიტეტი). (georgianwine.gov.ge)

არანაირი სტატისტიკური ინფორმაცია არ არსებობს თუ რა რაოდენობით ყურძენს იბარებენ აღნიშნული ქარხნები. ასევე არ არის ინფორმაცია ღვინის წარმოებასთან დაკავშირებით.

12. ყურძნისა და ღვინის წარმოების ჯაჭვი

იმერეთის რეგიონში, სოფლად მცხოვრები საოჯახო მეურნეობების თითქმის 100% ტრადიციულად ეწევა მევენახეობა-მეღვინეობას. თითქმის ყველა საოჯახო მეურნეობას აქვს 200-დან 1000-მდე ძირი ვაზი, საიდანაც მიღებული მოსავლის ძირითადი ნაწილი გამოიყენება საკუთარი მოხმარებისათვის. თუმცა, ნამეტი პროდუქტი, დაახლოებით 40%-ის ოდენობით გადის ბაზარზე გასაყიდად ყურძნის ან ღვინის სახით. საოჯახო მეურნეობები ღვინოს ტრადიციული მეთოდებით ამზადებენ. ტრადიციული მეღვინეობა აქაც ისევე როგორც სხვა რეგიონებში ქვევრს გულისხმობს, რომელსაც იმერეთში ჭურს უწოდებენ. განსხვავებით კახური ტრადიციული ღვინისგან აქ ტკბილას უმატებენ კლერტგაცლილ ჭაჭას. დადუღების შემდეგ ღვინოს ჭურშიაყოვნებენ და ახლოებით 2 თვის მანძილზე და შემდეგ ხსნიან დურდოდან, გადააქვთ კასრებში და ამუშავებენ. იმერული ტიპის ღვინო ყვითელი ფერისაა, იგი სრული, შინაარსიანი, საკმაოდ ჰარმონიული და ხალისიანია. იმერეთი განთქმულია სვირული კრახუნათი, ობჩური ცოლიკოურით და კვალითური ციცქათი. (სასოფლო სამეურნეო წარმოების ჯაჭვი იმერეთში (მევენახეობა-მეღვინეობა))

გარდა საოჯახო მეურნეობებისა, რეგიონში არის ღვინის რამდენიმე ქარხანა, რომლებიც სხვადასხვა დასახელების ღვინოს აწარმოებენ ადგილობრივი ჯიშის ყურძნისაგან. ქარხნების გარკვეულ ნაწილს აქვს საკუთარი მეურნეობებიც, თუმცა საკუთარი ყურძნის რაოდენობა არასაკმარისია, რის გამოც ასევე ახდენენ ყურძნის შესყიდვას საოჯახო მეურნეობებისაგან. წარმოებულ პროდუქციას აფასოებენ ძირითადად მინის 750 მლ–იან ბოთლებში და ყიდიან როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ასევე გააქვთ ექსპორტზე.

ვაზი დარგვიდან 4-5 წელიწადში იწყებს მოსავლის მოცემას და დაახლოებით 10 წლის ასაკში აღწევს სრულ მწარმოებლურობას, რომელიც გრძელდებ ადაახლოებით 40-45 წელი. ვაზის ყოველწლიური მოვლა საკმაოდ შრომატევადია და საჭიროებს სხვადასხვა შესაწამლი საშუალებების, ასევე მექანიზაციის გამოყენებას. 1 ჰა ვენახის მოვლის ხარჯი შრომითი ხარჯების გარეშე შეადგენს დაახლოებით 1000-1500 ლარს. შესაწამლად იყენებენ ძირითადად კირსა და შაბიამანს, აგრეთვე დაწყებული აქვთ ბიოპრეპარატ „ორგანიკით“ შეწამვლა, თუმცა ასევე იყენებენ სხვადასხვა ქიმიურ პრეპარატებსაც.

მექანიზაციის საშუალებებიდან საოჯახო მეურნეობები ძირითადად იყენებენ ხელის მინიტრაქტორებს, ხოლო საშუალო და მსხვილი ფერმერული მეურნეობები ძირითადად ვენახებს აშენებენ ისე რომ, შესაძლებელი იყოს შედარებით მაღალი წარმადობის და დიდი გაბარიტების ტრაქტორების გამოყენება.

13. ღვინის ფასები

საოჯახო პირობებში წარმოებული ჩამოსასხმელი ღვინის სარეალიზაციო ფასი მნიშვნელოვნად იცვლება წლის განმავლობაში, კერძოდ ის აგვისტო-სექტემბერში 50-70%-ით უფრო მაღალია, ვიდრე იმავე ღვინის ფასი დეკემბერ-იანვარში. შემოდგომით ბაზარზე იგრძნობა პროდუქციის სიჭარბე, ხოლო აგვისტოში მარაგების შემცირების შედეგად ხდება ფასის ზრდა. (Economist.ge Web Site)

ღვინის დასახელება	1 ლიტრის საშუალო ფასი
ციცქა	4-5 ლარი
ცოლიკაური	4-5 ლარი
კრახუნა	6 ლარი
ოცხანური	13-15 ლარი

ღვინის ქარხნების მიერ წარმოებული პროდუქციის ფასზე სეზონურობა არ ზემოქმედებს და ის ოჯახური მეურნეობის ღვინის ფასებზე გაცილებით მაღალია. ამასთან, ქარხნების მიერ წარმოებული ღვინოები არის ჩამოსხმული მინის ტარაში, გააჩნია საბრენდო დასახელება და სათანადო ეტიკეტირება. დამატებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ საწარმოების პროდუქციის უმეტესი ნაწილი საექსპორტოდ მზადდება. კონკრეტული ღვინის სახეობის მიხედვით საექსპორტო ფასების შესახებ ინფორმაცია არაა ხელმისაწვდომი. თუმცა გაერთიანებული სტატისტიკური მაჩვენებლების თანახმად, 2013 წელს სულ ექსპორტირებულ იქნა 35,91 მლნ ლიტრა ღვინო, ჯამური ღირებულებით - 129,51 მილიონი აშშ დოლარით. შესაბამისად საშუალო საექსპორტო ფასი 1 ლიტრ ღვინოზე 3,6 აშშ დოლარი, დაახლოებით 6 ლარი გამოდის. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს რომ ეს საშუალო ფასია და შედარებით მაღალი კატეგორიის 1 ბოთლი (0,75) ღვინოების ფასი 15 აშშ დოლარიდან იწყება.

ღვინის სპეციალიზირებულ მაღაზიებსა და დიდი სუპერმარკეტების ქსელში ღვინის ფასები ოდნავ განსხვავდება წარმოების წლისა და მწარმოებელი კომპანიის მიხედვით, თუმცა ძირითადად მსგავსია კონკრეტული სახეობებისათვის. იმერეთში გავრცელებული ყურძნის ჯიშებიდან ქარხნული წესით წარმოებული ღვინოების საშუალო ფასები 0,75 ბოთლისათვის ასეთია:

ღვინის დასახელება	1 ბოთლის (0.75) საშუალო ფასი
ციცქა	21 ლარი
ცოლიკაური	17 ლარი
კრახუნა	21 ლარი
ოცხანური	30 ლარი

საოჯახო მეურნეობაში და ქარხნული წესით წარმოებული კონკრეტული დასახელების ღვინის ფასში კარდინალურად დიდია სხვაობა. ეს ძირითადად განპირობებულია იმით, რომ ოჯახები არ იხდიან სახელმწიფო გადასახადებს, არ აქვთ ავტომატიზირებული სისტემები, არ ახდენენ ღვინის ჩამოსხმასა და შესაბამის ეტიკეტირებას. თუმცა, შედეგად საექსპორტო ბაზრები მათი მიერ წარმოებული პროდუქციისათვის არაა ხელმისაწვდომი. (Economist.ge Web Site)

ღვინის დასახელება	საოჯახო მეურნეობა 0.75 ლ. საშუალო ფასი	ღვინის ქარხანა 0.75 ლ. საშუალო ფასი	%-ული სხვაობა ფასში
ციცქა	3.8	21	560%
ცოლიკაური	3.8	17	453%
კრახუნა	4.5	21	467%
ოცხანური	11.3	30	267%

14. ყურძნის წარმოების განაწილება რეგიონების მიხედვით



მევენახეობის პროდუქცია გამოიყენება 4 საწარმოო მიმართულებით:

- სუფრის ყურძნის წარმოება;
- საქიშმიშე ყურძნის წარმოება;
- სხვადასხვა ტიპის ღვინის, კონიაკისა და შამპანურის წარმოება;
- საკონსერვო ნედლეულის - ყურძნის წვენის, ბადაგის, კომპოტის, მურაბის, მარინადისა და სხვა უალკოჰოლო პროდუქტების წარმოება. (Economist.ge Web Site)

მსოფლიო ვენახების ფართობების 0,8% საქართველოზე მოდის. 2004 წლის აღწერის მონაცემებით, ვენახის საერთო ფართობმა საქართველოში 48,0 ათასი ჰექტარი შეადგინა. 1960 წელს ეს მაჩვენებელი 77,9 ათასი ჰექტარი იყო, 1970 წელს - 66,8 ათასი, ხოლო 1984 წელს 87,9 ათასი ჰექტარი.


ვენახების საერთო ფართობი
წლების მიხედვით
77900
66800
87900
48000
1960 წელი
1970 წელი
1984 წელი
2004 წელი

15. ღვინის ექსპორტი

სოფლის მეურნეობის პროდუქტებიდან ღვინო არის ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ ექსპორტირებადი პროდუქტი (იხილეთ დანართში ცხრილი N3). ქართული ღვინო ქვეყნის გარეთ ჯერ კიდევ ათწლეულების წინ გახდა პოპულარული, თუმცა ის ძირითადად ორიენტირებული იყო რუსეთის ბაზარზე, რომლის დახურვის შედეგად (2006 წელი) მნიშვნელოვნად შეიცვალა ექპორტის გეოგრაფია. რუსეთში ექსპორტის აკრძალვამ პირველ ეტაპზე გარკვეულწილად შეაფერხა დარგის განვითარება, თუმცა მეორე მხრივ ამან უბიძგა მწარმოებლებს მოეძებნათ ალტერნატიული, უფრო სტაბილური ბაზრები, რაც 2013 წელს რუსეთის ბაზრის კვლავ გახსნის შემდეგაც იქნა შენარჩუნებული. (Economist.ge Web Site)

რუსეთის ბაზრის გახსნამ, გარკვეულწილად შეცვალა ექსპორტის გეოგრაფიული სტრუქტურა, კერძოდ 2012 წლის უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნების ხუთეული იყო უკრაინა, ყაზახეთი, ბელორუსი, ჩინეთი და პოლონეთი. ლიდერი ქვეყანა უკრაინაა, სადაც მთლიანი ექსპორტის 47,3% განხორციელდა. მას მოსდევს ყაზახეთი, სადაც ექსპორტირებული ღვინო, მთლიანი მაჩვენებელის 18,9%-ს შეადგენს ხოლო ბელორუსია 6,9%-ს. 2013 წლის მონაცემებით კი ქართული ღვინის საექსპორტო ბაზრების პირველი ხუთეული შემდეგნაირად გამოიყურება: რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი, ბელორუსი და პოლონეთი, სადაც რუსეთი ლიდერობს 40%-ით.

საინტერესოა ღვინის მოხმარების მონაცემებიც. 2012 წელს მსოფლიოში მოხმარებული ღვინის ყველაზე მეტი წილი - 13% აშშ-ზე მოდის, მეორე ადგილზეა საფრანგეთი 11,62%-ით. საქართველო, მიუხედავად მოსახლეობის დაბალი რიცხოვნობისა, შედარებით მაღალი მოხმარებით გამოირჩევა, მასზე მოდის მსოფლიო მოხმარების 0,3% და მე-40 ადგილს იკავებს.

ღვინისა და ბრენდის ექსპორტის 2015 წლის მონაცემები

ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2015 წლის განმავლობაში, საქართველოდან მსოფლიოს 46 ქვეყანაში ექსპორტირებულია 36 071 399 ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც თანხობრივად 98 102 614 აშშ დოლარს შეადგენს. წლის დასაწყისში დაფიქსირებული ექსპორტის მკვეთრი მატება შენარჩუნდა წლის ბოლომდე ერთ-ერთ სტრატეგიულ ბაზარზე - ჩინეთში, სადაც ქართული ღვინის ექსპორტის ზრდამ 122%-ს მიაღწია. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სულ 12 თვეში ექსპორტირებულია 2 672 154 ბოთლი. ჩინეთმა ქართული ღვინის ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულში მეოთხე ადგილი დაიმკვიდრა რუსეთის, ყაზახეთისა და უკრაინის შემდეგ. ექსპორტის ზრდა ფიქსირდება ევროკავშირის მთელრიგ ქვეყნებში: პოლონეთი 3% (1 600 302 ბოთლი), რომელიც ქართული ღვინის სტაბილურ, მზარდ ბაზარს წარმოადგენს. ასევე, ლიტვა - 4% (658 666), ესტონეთი - 54% (506 124), ნიდერლანდები - 58% (51 432), საფრანგეთი - 190% (37 956), დანია - 100% (34 840) და სხვა. ასევე აღსანიშნავია ექსპორტის ზრდა ისეთ სტრატეგიულ ბაზრებზე, როგორიცაა აშშ - 31% (248 075), კანადა - 48% (157 836), იაპონია - 5% (138 290), ექსპორტი აგრეთვე გაიზრდა ყირგიზეთში - 79% (185 514), ისრაელში - 48% (35 820), კორეაში - 37% (24 054) და სხვა. ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეული ასე გამოიყურება: რუსეთი - 18 308 177, ყაზახეთი - 5 195 949, უკრაინა - 3 412 453, ჩინეთი - 2 672 154 და პოლონეთი - 1 600 302 ბოთლი (იხილეთ დანართში ცხრილი N4). მთელრიგ ქვეყნებში ექსპორტის ზრდის მიუხედავად, რეგიონში არსებული ცნობილი პოლიტიკურ-ეკონომიკური მოვლენების გამო, 2 უმსხვილეს ექსპორტიორ ქვეყანაში - რუსეთსა (-51%) და უკრაინაში (-56%) ექსპორტის მკვეთრი კლება აისახა წლიური ექსპორტის ჯამურ მაჩვენებელზე, რომელიც 2014 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 39%-ითაა შემცირებული. აღსანიშნავია, რომ ექსპორტის საერთო მაჩვენებელი შემცირებულია მხოლოდ 2014 და 2013 წლებთან შედარებით, როდესაც რამდენიმე წლიანი ემბარგოს შემდეგ გაიხსნა რუსეთის ბაზარი და ამქვეყანაში ექსპორტმა პიკს მიაღწია. მაგალითისთვის, 2012 წელს ექსპორტირებული იყო მხოლოდ 23,3 მილიონი ბოთლი ღვინო, 2011 – 19,0 მლნ ბოთლი, 2010 – 14,8 მლნ ბოთლი, 2009 – 10,9 მლნ ბოთლი. ამასთან ერთად, 2015 წელს საქართველოდან 21 ქვეყანაში

ექსპორტირებულია 7 266 755 ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც თანხაში 18,6 მლნ აშშ დოლარს აღწევს. საქართველოდან მსოფლიოს 7 ქვეყანაში ექსპორტირებულია 8,9 მლნ ლიტრი საბრენდე სპირტი, რაც თანხაში 26,5 მლნ აშშ დოლარია. გასულ წელს მსოფლიოს 21 ქვეყანაში ექსპორტირებულია ასევე 118 890 ბოთლი (0,5 ლ) ჭაჭა. ეს კი თანხაში 466,3 ათასი აშშ დოლარია. მთლიანობაში ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინო მასალის, ჩამოსასხმელი ბრენდისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა 2015 წელს 146,5 მლნ აშშ დოლარს მიაღწია. (ღვინისა და ბრენდის ექსპორტის 2015 წლის მონაცემები)

ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების ექსპორტის 2016 წლის მონაცემები

2016 წლის მონაცემებით, საქართველოდან მსოფლიოს 53 ქვეყანაში ექსპორტირებულია 50 მლნ-მდე ბოთლი (0,75ლ) ღვინო, რაც 38%-ით აღემატება 2015 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. საანგარიშო პერიოდში ექსპორტირებულია 113.8 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ღვინო, რაც 16%-ით მეტია 2015 წლის მაჩვენებელზე. ექსპორტის მატება აღსანიშნავია ევროკავშირის, ჩინეთის, აშშ-ს და სხვა ტრადიციული ბაზრების მიმართულებით: ჩინეთში ღვინის ექსპორტის ზრდამ 2015 წელთან შედარებით შეადგინა - 98% (5 299 149 ბოთლი), უკრაინა - 70% (5 811 050), რუსეთი - 49% (27 222 076), პოლონეთი - 46% (2 329 820), კანადა - 34% (210 936), ბელარუსი - 30% (1 174 362), დიდი ბრიტანეთი - 28% (97 226), ესტონეთი - 25% (631 632), ყირგიზეთი - 24% (230 776), აშშ - 19% (294 382), ლატვია - 19% (1 258 632), იაპონია - 15% (159 654), გერმანია - 6% (292 454), ჩეხეთი - 353% (119 648) და სხვა (იხილეთ დანართში ცხრილი N7). ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეული ასე გამოიყურება: რუსეთი (27 222 076 ბოთლი), უკრაინა (5 811 050), ჩინეთი (5 299 149), ყაზახეთი (3 393 435) და პოლონეთი (2 329 820). ამასთან, 2016 წელს მსოფლიოს 17 ქვეყანაში ექსპორტირებულია 10 367 886 ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც 43%-ით აღემატება 2015 წლის მაჩვენებელს. სულ ექსპორტირებულია 23,12 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ბრენდი - ზრდამ 2015 წლის ანალოგიურ პერიოდთან

შედარებით 24% შეადგინა. ექსპორტირებულ ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოებს შორის პირველ ადგილს იკავებს „ქინძმარაული“ – 7 417 333 ბოთლი, შემდეგ ხუთეულში მოდის „მუკუზანი“ – 2 568 547, „წინანდალი“ – 2 023 915, „ახაშენი“ – 923 780 და „ხვანჭკარა“ – 413 823 ბოთლი. მთლიანობაში, ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინო მასალის, ჩამოსასხმელი ბრენდისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა საანგარიშო პერიოდში 194,3 მლნ აშშ დოლარს მიაღწია. 2015 წელს ეს მაჩვენებელი 146,5 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა - ზრდამ 32% შეადგინა. (ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების ექსპორტის 2016 წლის მონაცემები)

ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების ექსპორტის 2017 წლის პირველი კვარტლის მონაცემები

ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2017 წლის იანვარ-მარტში საქართველოდან მსოფლიოს 38 ქვეყანაში ექსპორტირებულია 14 199 018 ბოთლი ღვინო, რაც 85%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მონაცემებს. საანგარიშო პერიოდში ექსპორტირებულია 32,2 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ღვინო, რაც 77%- ით აღემატება გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს. ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეულია: რუსეთი - 8 987 745, ჩინეთი - 1 794 200, უკრაინა - 1 305 508, პოლონეთი - 561 294 და ყაზახეთი - 473 515 ბოთლი (იხილეთ დანართში ცხრილი N6). პირველ კვარტალში ექსპორტირებულია 46 990 ბოთლი (0,5 ლ) ჭაჭა, ზრდამ 142% შეადგინა. ჭაჭის ექსპორტით მიღებული შემოსავლები 137 ათას აშშ დოლარს შეადგენს, ზრდამ გასული წლის საანგარიშო პერიოდთან შედარებით 114%-ს მიაღწია. სააგენტოს ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მთლიანობაში, ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინო მასალის, ჩამოსასხმელი ბრენდისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა საანგარიშო პერიოდში 58,5 მლნ აშშდოლარს გადააჭარბა - ზრდამ 2016 წლისპირველ კვარტალთან შედარებით 76% შეადგინა. (ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების ექსპორტის პირველი კვარტლის)

16. პროდუქციის რეალიზება

იმერეთის რეგიონში საოჯახო მეურნეობებს ძირითადად აქვს 200-დან 1000-მდე ძირი ვაზი, საიდანაც მიღებული მოსავლის დიდი ნაწილი, დაახლოებით 70% გადამუშავდება საოჯახო მეურნეობაში, ხოლო დანარჩენი ყურძნის სახით იყიდება. ამასთან, მაღალფასიანი ჯიშის ყურძენი, როგორიცაა ალექსანდროული და მუჯურეთული თითქმის სრულად შეისყიდება ღვინის ქარხნების მიერ, ხოლო შედარებით დაბალფასიანი ჯიშის ყურძენი, მაგალითად ციცქა, ცოლიკაური და ა.შ. შეისყიდება კერძო პირების მიერ, რომლებიც საკუთარი მოხმარებისათვის აწარმოებენ ღვინოს. კერძო პირებზე ყურძნის რეალიზაცია ხდება პირადი კონტაქტების და ურთიერთობის ხარჯზე და მას ძირითადად ყიდულობენ უახლოესი ქალაქების მცხოვრებლები უშუალოდ მწარმოებლებთან. (სასოფლო სამეურნეო წარმოების ჯაჭვი იმერეთში (მევენახეობა-მეღვინეობა))

ყურძნის მწარმოებელთა მიერ დაყენებული ღვინის დაახლოებით 50% გამოიყენება საოჯახო მოხმარებისათვის, ხოლო დანარჩენი სარეალიზაციოდ. ამასთან, იმერეთის რეგიონში მხოლოდ რამდენიმე საოჯახო მეურნეობაა, რომლებიც ახდენენ წარმოებული ღვინის ჩამოსხმას ბოთლებში (750 მლ) და ეტიკეტირებას, ისიც კუსტარული ტექნოლოგიების გამოყენებით. საოჯახო მეურნეობების უდიდესი ნაწილი კი არ ახდენს მის დაფასოებას და საშუალო მოცულობის პარტიებად (100-300 ლიტრი) ყიდის მას უშუალო მომხმარებლებზე საკუთარი მეურნეობებიდან.

იმერეთის რეგიონში ამჟამად ფუქნციონირებს 10-მდე მცირე და საშუალო ღვინის ქარხანა, რომელთა უმეტესობას აქვს საკუთარი ზვრები, თუმცა როგორც წესი საკუთარი წარმოების ყურძენი სრულად ვერ აკმაყოფილებს მათ საჭროებას, ამიტომ ახდენენ დამატებითი ნედლეულის შეძენას საოჯახო მეურნეობებიდან. არსებული ღვინის ქარხნების უმეტესობას აქვს საკმაოდ კარგად გამართული ავტომატიზირებული საწარმოო ხაზი, რომელიც ხარისხიანი ყურძნის მიწოდების შემთხვევაში იძლევა შესაძლებლობას წარმოებული იქნას მაღალი ხარისხის ღვინო, დამატებითი პროდუქტის სახით კი ყურძნის არაყი. მსხვილ ღვინის ქარხნებს, როგორც წესი აქვთ საკუთარი საფირმო მაღაზიები, რომლებშიც ასევე არის შესაძლებელი ღვინის

დაგემოვნება. ისინი წარმოებული ღვინის დაფასოებას თავადვე ახდენენ სხვადასხვა ზომის ჭურჭელში. კერძოდ, გავრცელებულია მინისა და პოლიეთილენის ტარა. მინის ტარაში როგორც წესი ისხმება ძვირადღირებული ღვინო და მისი დიდი ნაწილი განკუთვნილია საექსპორტოდ, ხოლო შედარებით დაბალფასიანი ღვინო ისხმება პოლიეთილენის 3, 5 და 10 ლიტრიან ჭურჭელში და ძირითადად გათვალისწინებულია ადგილობრივი ბაზრისათვის. ასეთი ტიპის შეფუთვა ითვლება უფრო ეკონომიურად და შესაბამისად მისი ფასიც ნაკლებია. თუმცა, ღვინის მოყვარულები ამ ღვინოს ნაკლებად მოიხმარენ და ძირითადად უპირატესობას საოჯახო პირობებში წარმოებულს ანიჭებენ.

17. დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესმა დამარწმუნდა, რომ იმერეთის რეგიონში მეღვინეობის მხრივ ძალიან რთული მდგომარეობაა. ფაქტობრივად ეს დარგი განადგურების პირასაა, რასაც მოწმობს უახლესი სტატისტიკური აღწერები. ბოლო წლებში ძალიან დიდი რაოდენობითაა შემცირებული როგორც ვენახების საერთო ფართობი, ასევე ვაზის ძირთა რაოდენობა.

რადიკალურად განსხვავებული სიტუაცია იყო მე-19 საუკუნეში, როდესაც იმერეთის რეგიონში უფრო მეტი ღვინო იწარმოებოდა, ვიდრე კახეთის რეგიონში.

დღევანდელი მდგომარეობით, ქვეყნის მასშტაბით ღვინის წარმოებაში იმერეთის წვლილი მხოლოდ და მხოლოდ 17%-ს შეადგენს. გავრცელებული ჯიშებისგან დამზადებული ღვინის მაღალი ხარისხის მიუხედავად, იმერეთში წარმოებული ღვინო მხოლოდ ადგილობრივი მოხმარებისთვის გამოიყენება და ექსპორტზე ვერ გადის.

ჩემი აზრით იმერულმა ღვინომ და იმერეთში ღვინის წარმოებამ ვერ მოახდინა მომხმარებლის დაინტერესება, რამაც გამოიწვია მისი, როგორც პროდუქტის საბაზრო ჩავარდნა, ის ვერ გახდა რჩეული იმ დროს როდესაც საქართველოში ღვინის წარმოების სტიმულირება დაიწყო, არ მოხდა მისი ინფორმაციულ ველში გატანა, ანუ მარკეტინგული ხელშეწყობა, იმერული ღვინისთვის ასევე პრობლემად იქცა საკუთარი თავის, როგორც მნიშვნელოვანი პროდუქტის წარმოჩენა, მიუხედავად იმისა, რომ გემოვნური თვისებებით ის არ ჩამოუვარდება კახურს, რაც იმის ბრალი იყო, რომ საბჭოთა კავშირის დროსაც მას შედარებით ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ასე, რომ იმერული ღვინო სხვადასხვა ფაქტორების გამო ვერ იქცა საბაზრო პროდუქტად და იმერეთი ვერ გახდა ცნობილი, როგორც ღვინის მწარმოებელი მხარე.

სტატისტიკური მონაცემებიდანაც კარგად ჩანს, თუ როგორი საგანგაშო მდგომარეობაა იმერეთში მეღვინეობის განვითარების კუთხით. 2014 წელს ვენახების ფართობი 4 981 ჰექტარი იყო, მაშინ როდესაც 2004 წელს იგივე მაჩვენებელი 8 584 ჰექტარს შეადგენდა, ანუ 3 603 ჰექტრით შემცირდა.

2014 წლის აღწერის მონაცემებით, ასევე კარგად ჩანს თუ როგორ არის შემცირებული ვენახებში დარგული ვაზის ძირების რაოდენობა. თუ 2004 წელს ვაზის ძირთა რაოდენობა 29 573 693 იყო, 2014 წელს ეს მაჩვენებელი 15 174 000 ძირამდე შემცირდა, ანუ თითქმის განახევრდა.

იმერეთში ყველაზე პოპულარული და გავრცელებული ვაზის ჯიშების - ციცქასა და ცოლიკაურის რაოდენობაც საგანგაშოდაა შემცირებული. 10 წლიან ინტერვალში ამ ჯიშთა რაოდენობაც თითქმის განახევრებულია, რაც სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, 2006 წელს რუსული ბაზრის დახურვამაც გამოიწვია. იმერეთის რეგიონში არ არის საკმარისი რაოდენობის ქარხნები, რათა გლეხმა ყურძენი ნორმალურ ფასად ჩააბაროს, ამის გათვალისწინებით მოსახლეობას ურჩევნია სხვა პროდუქტი მოიყვანოს, რომელიც შედარებით ნაკლები თანხა დაუჯდება და ადვილად გაიტანს ბაზარზე.

იმერეთში მეღვინეობა ყოველთვის იყო სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგი და მთლიანად ქვეყნის მეღვინეობის განვითარებაშიც დიდი როლი ეკავა, თუმცა 2014 წლის აღწერების შედეგების მიხედვით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის ამ როლს ნელ-ნელა კარგავს.

ასეთი ტენდენციის გაგრძელების შემთხვევაში, საფრთხე შეექმნება არამარტო იმერული ჯიშის ვაზებს, არამედ ცუდათ იმოქმედებს ზოგადად ქართულ მეღვინეობაზე, რადგან საქართველოში იმერეთი ყოველთვის იყო ერთ-ერთი მოწინავე რეგიონი ღვინის წარმოებით.

სხვა ბევრ პრობლემასთან ერთად, ერთ-ერთია სტატისტიკური ინფორმაციის და ზოგადად ნებისმიერი სახის ინფორმაციის სიმწირე იმერული მეღვინეობის შესახებ. ამის გამომწვევი მრავალი ფაქტორი არსებობს, ერთ-ერთი კი ისაა, რომ ქვეყნის შიგნითაც არაა იმერეთში წარმოებული ღვინო პოპულარული, რომ არაფერი ვთქვათ საზღვარგარეთის მასშტაბებზე. ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ გავრცელებული ინფორმაცია ღვინის მოსავლის შესახებ, მხოლოდ საფერავს, რქაწითელს და სხვა ჯიშებს მოიცავს, არაფერია ნათქვამი თუ რა რაოდენობით იწარმოება იმერული ღვინო.

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პერიოდში ვესაუბრე ახალაგაზრდა მეღვინეს - ბაია აბულაძეს, რომელმაც ცოტა ხნის წინ დაიწყო იმერული ღვინის წარმოება. მისი განცხადებით მთავარი პრობლემა მცირე მიწიანობა და მისი არასათანადოდ გამოყენებაა, ის ასევე აღნიშნავს, რომ რეგიონში არასაკმარისი რაოდენობის ღვინის ქარხანაა და გლეხს ესეც უქმნის პრობლემას. რაც შეეხება ექსპორტს, აბულაძის თქმით თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება ზოგადად ღვინის ხაზზე კარგად აისახება, თუმცა ეს უფრო დიდ მწარმოებლებს ეხებათ, რომლებსაც საკუთარი ნიშა უკვე გააჩნიათ. მისი განცხადებით, ამ ეტაპზე ჯერ-ჯერობით ექსპორტზე გასვლა ვერ ხერხდება, თუმცა ყველა უცხოურ გამოფენაში აქტიურად მონაწილეობენ და ამით ეწევიან იმერული ღვინის პოპულარიზაციას.

როგორც უკვე აღინიშნა, ღვინოს საქართველოს ექსპორტში მეხუთე ადგილი უკავია 5,4%-ით, რომლის ძირითადი ნაწილიც კახეთის რეგიონზე მოდის. რა თქმა უნდა კახურ ღვინოსაც სჭირდება სათანადო ყურადღება, თუმცა ეს არ უნდა მოხდეს სხვა კუთხეების დაჩაგვრის ხარჯზე. საქართველოს არ აქვს იმის ფუფუნება, რომ გამოუყენებელი დარჩეს ის პოტენციალი, რომელიც იმერეთს გააჩნია ღვინის წარმოებაში.

ჩემი აზრით სიტუაციის გამოსწორება ჯერ კიდევ შესაძლებელია. ამისთვის საჭიროა, რომ იმერული ღვინო მოექცეს პირველ რიგში სახელმწიფოს ყურადღების ქვეშ, მოხდეს ისეთი ჩარევა, რომ მან სტიმულირება გაუკეთოს ამ დარგში ინვესტიციების ჩადებას და განვითარებას, გაჩნდეს სპეციალური რეგულაციები, რაც ამ რეგიონში ღვინის წარმოებით დაინტერესებულ პირებს შეუქმნის მარტივ პირობებს მის განსავითარებლად. შეღავათიან ფასებში უნდა მიეცეთ გლეხებს შესაწამლი და ვაზის მოვლის სხვა აუცილებელი საშუალებები. როდესაც გლეხი დაინახავს, რომ სახელმწიფო ზრუნავს ამ დარგის განვითარებაზე, მას აღარ გაუჩნდება ვენახის მიტოვების სურვილი და დროთა განმავლობაში გაიზრდება როგორც ვენახების საერთო ფართობი, ასევე ვაზის ძირთა რაოდენობა.

18. ბიბლიოგრაფია

(თ. გ.). დაბრუნებული 2017 წლის 6 ივლისი, Economist.ge Web Site: http://www.economists.ge/storage/uploads/publication/1509081140364a47.pdf-დან

(n.d.). Retrieved from census.ge: http://census.ge/ge/results/agro-census/meurneobebis-ganatsileba-sargeblobashi-arsebuli-mitsis-fartobis-mikhedvit

(თ. გ.). დაბრუნებული georgianwine.gov.ge: http://georgianwine.gov.ge/upload/file/1486986379-SOS%20Komp.pdf-დან

ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები N4 (83), ტომი XIII, თბილისი 1960, გვ:171. (1960). თბილისი.

STUDIES IN ECONOMICS AND BUSINESS (Markets and Market Failure). (n.d.). Retrieved from books.google.ge: https://books.google.ge/books?id=VS0qRpZYxhMC&printsec=frontcover&dq=Market+failure&hl=ka&sa=X&redir_esc=y#v=onepage&q&f=false

გელაშვილი, ნ. (1961). *მეღვინეობა.* თბილისი.

სასოფლო სამეურნეო წარმოების ჯაჭვი იმერეთში (მევენახეობა-მეღვინეობა). (თ. გ.). დაბრუნებული enpard.ge: http://enpard.ge/ge/wp-content/uploads/2015/05/Market-Assessment-Report-Wine-Geo.pdf-დან

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულებათა ჯაჭვი. (თ. გ.). *Assosiation of Young Economists of Georgia*, 9.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულებათა ჯაჭვი იმერეთისა და რაჭის რეგიონებში (მევენახეობა-მეღვინეობა). (თ. გ.). დაბრუნებული economists.ge: http://www.economists.ge/storage/uploads/publication/1509081140364a47.pdf-დან

საქართველოს მევენახეობა და მეღვინეობა. (თ. გ.). დაბრუნებული wikipedia.org: https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1_%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90_%E1%83%93%E1%83%90_%E1%83-დან

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტი. (თ. გ.). დაბრუნებული geostat.ge: http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/agriculture/census/ganyofileba5.pdf-დან

სტატისტიკა. (თ. გ.). დაბრუნებული georgianwine.gov.ge: http://georgianwine.gov.ge/geo/text/133/-დან

ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების ექსპორტის 2016 წლის მონაცემები. (თ. გ.). დაბრუნებული georgianwine.gov.ge: http://georgianwine.gov.ge/upload/file/1483517495-Exp16.pdf-დან

ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების ექსპორტის 2016 წლის მონაცემები. (თ. გ.). დაბრუნებული georgianwine.gov.ge: http://georgianwine.gov.ge/upload/file/1483517495-Exp16.pdf-დან

ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების ექსპორტის პირველი კვარტლის. (თ. გ.). დაბრუნებული georgianwine.gov.ge: http://georgianwine.gov.ge/upload/file/1491570923-i%20kv.pdf-დან

ღვინისა და ბრენდის ექსპორტის 2015 წლის მონაცემები. (თ. გ.). დაბრუნებული georgianwine.gov.ge: http://georgianwine.gov.ge/upload/file/1451973647-Exporti%20-%202015.pdf-დან

ჯავახიშვილი, ი. (1986). *ივანე ჯავახიშვილი - თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი V, თბილისი 1986, გვ: 448, 449, 450, 451, 452, 453, 454, 601, 602, 603, 604, 605, 627, 641, 666.* თბილისი.

19. დანართი

იმერეთის რეგიონის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა

იმერეთის მხარე

ცხრილი N1


იმერეთის რეგიონის რაიონები ვენახების ფართობის მიხედვით (2004 წ)
გულრიფში
მესტია
ოჩამჩირე
ლენტეხი
ონი
ყაზბეგი
ცაგერი
ამბროლაური
ჯავა
ბაღდათი
ზესტაფონი
ხარაგაული
ხაშური
ქარელი
გორი
ახალგორი
ლაგოდეხი
ალაზანი
ბორჯომი
ახალციხე
ასპინძა
ახალქალაქი
ნინოწმინდა
დმანისი
ბოლნისი
მარნეული
1:1,300,000

ცხრილი N2


იმერეთის რეგიონის რაიონები ვენახების ფართობის მიხედვით (2014 წ)
გულრიფში
მესტია
ოზურგეთი
ლენტეხი
ონი
ყაზბეგი
ფოთი
ბაღდათი
ხარაგაული
ხაშური
ჭიათურა
ტყიბული
ზესტაფონი
ვანი
ჩოხატაური
ადიგენი
ახალციხე
ასპინძა
ახალქალაქი
ნინოწმინდა
დმანისი
ბოლნისი
მარნეული
1:1,300,300

ცხრილი N3


სპილენძის მადნები
14.7
თხილი
8.5
ფეროშენადნობები
8.0
მსუბუქი
ავტომობილები
7.9
ღვინო
5.4
სამკურნალო
საშუალებები
5.1
სპირტიანი
სასმელები
4.3
ოქრო
3.8
მინერალური
წყლები
3.8
აზოტოვანი სასუქები
3.1
დანარჩენი საქონელი
35.4

ცხრილი N4


2015 წელს ექსპორტიორი ქვეყნების
პირველი ხუთეული
18308177
5195949
3412453
2672154
1600302
რუსეთი
ყაზახეთი
უკრაინა
ჩინეთი
პოლონეთი

ცხრილი N5



აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში ქართული ღვინის პოპულარობა იზრდება მსოფლიო მასშტაბით, რაც ექსპორტზეც აისახება. 2015 წელს ექსპორტირებული იყო 36 071 399 მილიონი ბოთლი ღვინო, ხოლო 2016 წელს ეს მაჩვენებელი 50 000 000 მილიონამდე გაიზარდა, რაც 38%-ით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს. 2017 წლის პირველ კვარტალში კი 14 199 018 ბოთლი ღვინო იქნა ექსპორტირებული, რაც 85%-ით მეტია 2016 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე.

ცხრილი N6


2017 წლის პირველ კვარტალში ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეული
8987745
1794200
1305508
561294
473515
რუსეთი
ჩინეთი
უკრაინა
პოლონეთი
ყაზახეთი

ცხრილი 7


2016 წელს ღვინის ექსპორტის პროცენტული მატება
2015 წელთან შედარებით
ჩეხეთი
353%
გერმანია
5%
იაპონია
15%
ლატვია
19%
აშშ
19%
ყირგიზეთი
24%
ესტონეთი
25%
დიდი ბრიტანეთი
28%
ბელორუსი
30%
კანადა
34%
პოლონეთი
46%
რუსეთი
49%
უკრაინა
70%
ჩინეთი
98%
0%
50%
100%
150%
200%
250%
300%
350%
400%

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Giorgi Shubitidze

Winemaking geography in Imereti region

Human Geography

Thesis submitted to the faculty of the Human Geography in partial fulfillment of the requirements for the degree of master of science

Supervisor: Tamar Dolbaia

Associate Professor, Academic doctor of geography

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბექა ჭეხაშვილი

მეღვინეობის გეოგრაფიის თავისებურებები

კახეთის რეგიონში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საზოგადოებრივი გეოგრაფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: **თამარ დოლბაია**

ასოცირებული პროფესორი, გეოგრაფიის აკადემიური დოქტორი

თბილისი 2017

ანოტაცია

ჩემი ნაშრომის მთავარი მიზანია კახეთის რეგიონში მეღვინეობისა და მევენახეობის თავისებურებების გამოვლენა. იმის ჩვენება, თუ რატომ არის მევენახეობა კონკრეტულად ამ რეგიონში სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგი. მიმაჩნია, რომ ეს თემა საკმაოდ აქტუალურია და დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის განვითარებისთვის. მეღვინეობა ოდითგანვე ითვლებოდა საქართველოს სავიზიტო ბარათად. მეღვინეობის განხილვისას აუცილებელია ასევე მევენახეობის განხილვაც, რადგან სწორედ მევენახეობის განვითარებაა მეღვინეობის განვითარების წინაპირობა, ამიტომ ჩემს ნაშრომში განხილული იქნება კახეთის რეგიონის მევენახეობაც. ნაშრომში შევეცდები, ვაჩვენო ამ დარგთან დაკავშირებული დადებითი და უარყოფითი გარემოებები, ასევე ის ტენდენციები, რომლებიც ბოლო წლებში ფიქსირდება. ნაშრომში შედარებული მაქვს 2004 და 2014 წლის სტატისტიკური მონაცემები, რაც უფრო მკაფიოდ გვაჩვენებს იმ რეალობასა და ტენდენციებს, რომლებიც ამ 10 წლის განმავლობაში დაფიქსირდა დარგის განვითარებაში. ნაშრომის მთავარი ამოცანაა, გამოიკვეთოს კახეთის რეგიონის პოტენციალი მეღვინეობასთან დაკავშირებით და ის გარემოებები, რომლებიც მის შემდგომ განვითარებას შეუწყობს ხელს. ნაშრომში ასევე განვიხილავ, თუ რა პოზიცია უკავია კახეთში წარმოებულ ღვინოს ქართულ თუ საერთაშორისო ბაზარზე, თუ რატომ არის კახური ღვინო ძვირი და რატომ ვერ ხერხდება, რომ ის გახდეს უფრო მასობრივად წარმოებადი პროდუქტი, რომელიც შეძლებდა შედარებით იაფი ყოფილიყო. კახური ღვინის ფასწარმოქმნის პროცესის გასაანალიზებლად გამოვიყენე ჰეკშერ - ოლინის თეორია, რომელიც განიხილავს პროდუქტზე ფასწარმოქმნის პროცესს სამი ძირითადი ფაქტორის გათვალისწინებით, როგორიც არის შრომის ანაზღაურება, პროცენტი კაპიტალზე და სარენტო შემოსავლები მიწაზე. სამაგისტრო ნაშრომის შესრულების დროს, გამოვიყენე თვისობრივი კვლევის მეთოდი, რათა დამემუშავებინა ის მასალა, რომელიც მოვიპოვე სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას. წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი დიდ დახმარებას გაუწევს იმ ადამიანებს, რომლებიც დაინტერესებული არიან კახეთის რეგიონში მეღვიონეობის მდგომარეობოთა და მისი განვითარებით.

Beka Tchekhashvili

„Winemaking geography in Kakheti region"

Annotation

The purpose of this thesis was to examine the characteristics of winemaking and viticulture in Kakheti region and show the reasons of the latter being the leading sector of agriculture in this particular region since it has a great importance in the economic development of Georgia.

As the growth of viticulture is a prerequisite for the development of winemaking, it is necessary to discuss them both equally. For this very reason I reviewed viticulture as well as winemaking in the following thesis.

In this paper I tried to show both, positive and negative outcomes of winemaking, as well as the tendencies that have been typical for the field by comparing the statistical data of 2004 and 2014 years.

It was also aimed to demonstrate the potential of Kakheti region in winemaking and highlight those conditions that contribute to further development.

This paper discusses the position of Kakhetian wine in the local and the international wine markets, the reasons of it being represented in the higher price segment and the barriers that prevent the above-mentioned wine to be more widely produced and therefore to get its place in the lower price segment.

To analyze the price determination process of Kakhetian wine, I used Heckscher-Ohlin model which studies the price determination by considering three main factors, such as labor, capital and land.

In order to achieve all the above-mentioned objectives and research the aspects of winemaking and viticulture, qualitative research methods were used.

Finally, my work will be useful for those interested in the current situation and further development of winemaking in Kakheti region.

სარჩევი

შესავალი.....5

თეორიული მიდგომა.....9

თავი 1: რეგიონის ზოგადი გეოგრაფიული დახასიათება.....11

თავი 2: ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები მევენახეობის განვითარებისათვის.....13

თავი 3: კახეთის რეგიონში გავრცელებული ვაზის ჯიშები და მიკროზონები.....17

თავი 4: 2004 და 2014 წლების სასოფლო-სამეურნეო აღწერების სტატისტიკური ინფორმაცია კახეთის რეგიონში მევენახეობის შესახებ.....25

4.1: 2004 და 2014 წლების სასოფლო სამეურნეო აღწერის სტატისტიკური მონაცემების შედარება.....29

თავი 5: სტატისტიკური მონაცემები ყურძნის მოსავლის შესახებ (რთველი 2016).....30

თავი 6: კახეთის რეგიონში არსებული ყურძნის გადამამუშავებელი კომპანიები და ქართული ღვინის ფასი.....32

თავი 7: ქართული ღვინის ექსპორტი.....38

თავი 8: მეღვინეობის დარგის განვითარების დადებითი და უარყოფითი გარემოებები.....43

დასკვნა.....45

ბიბლიოგრაფია.....49

დანართი.....50

შესავალი

საქართველო ვაზისა და ღვინის ტრადიციული ქვეყანაა. ამის დამადასტურებელი ბევრი გარემოება არსებობს, მაგალითად, მეოცე საუკუნის 50-იან წლებში გათხრების დროს არქეოლოგებმა კახეთში მოღუნული ბრინჯაოს დანები იპოვეს, რომლის დანიშნულების ამოცნობა მაინცადამაინც არ გასჭირვებიათ, რადგან ასეთ რკინის დანებს კახელი მევენახეები უკანასკნელ ხანებამდე ინახავდნენ. ჟანგმოდებული ბრინჯაოს სასხლავის ხნოვანება, დაახლოებით, სამი ათასი წლით განისაზღვრა. სამი ათასი წელი ის ქრონოლოგიური მიჯნაა, სადამდეც მივყავართ მევენახეთა თაობების უტყუარ ნაკვალევს, თუმცა საკმაოდ ბევრია გათხრების შედეგად მოპოვებული უფრო ძველი მონაპოვარი, რომლებიც ღვინის კულტურას უკავშირდება.

გამოჩენილმა შვეიცარიელმა ბოტანიკოსმა დეკანდოლმა მცირე აზიასთან ერთად საქართველოც მოაქცია იმ არეალში, სადაც ვაზის კულტურა თავდაპირველად ჩაისახა. ცნობილ გერმანელ მკვლევარ ჰენსს „ვენახის ჭეშმარიტი სამშობლო“ ეგულებოდა კახეთისა და სამეგრელოს მიწა-წყალზე. ზოგადად, მკვლევრების აზრით, სამხრეთ კავკასია, საქართველო იყო უმთავრესი კერა, სადაც პირველად მოაშინაურეს ველური ვაზი და ყურძნის წვენისაგან ღვინო დააყენეს. (ლეკიაშვილი, 1972)

არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, უკვე ენეოლითიდან, (ძვ.წ.3800-3000წწ.) საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ტომები ეწეოდნენ ბინადარ ცხოვრებას და ჰქონდათ საკმაოდ დაწინაურებული სოფლის მეურნეობა. ამ დროის მყარი ცნობები მევენახეობა-მეღვინეობის შესახებ შეიძლება არ არსებობს, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოს ტყეებში უხვად გაბნეული ვაზის ნაყოფით ენეოლითელი ადამიანი უკვე სარგებლობდა, ხოლო თრიალეთის ყორღანში აღმოჩენილი ნივთები კი უკვე ამტკიცებს შუა ბრინჯაოს ხანაში მეღვინეობა-მევენახეობის განვითარების ტრადიციებს.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მევენახეობა, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში, მეურნეობის უძველესი დარგია. ბევრგან წიპწებიც კია ნაპოვნი, რომელთაგან უძველესი, დაახლოებით, სამი ათასი წლისაა. წიპწები აღმოჩნდა

კახეთშიც - რეგიონში, რომელიც დღეს საქართველოს მეღვინეობაში პირველ ადგილს იკავებს.

უძველესი წერილობითი ცნობებიც ადასტურებენ არქეოლოგთა აღმოჩენების სიზუსტეს. მაგ. ჰომეროსის პოემა „ოდისეაში“ ნახსენებია, როგორ უმასპინძლდება აიეტის (კოლხეთის მეფის) და ოდისევსს ლალისფერი ცქრიალა ღვინით. აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ არგონავტებმა აიაში (ქუთაისში) მრავალი საოცრება იხილეს და მათ შორის ვაზის ტალავერი, რომლის ქვეშაც ღვინის დაუშრეტელი შადრევანი მოჩუხჩებდა. ქსენოფონტე თავის ისტორიულ თხზულება „ანაბაზისში“ აღნიშნავს, როგორ გაიარა ბერძენთა ლაშქარმა ოცდახუთი საუკუნის წინ ჭანების უშუალო წინაპართა სოფლებში, სადაც სხვა პროდუქტებთან ერთად დიდი რაოდენობის ღვინოც დაუხვდათ. მრავლად ჩანს ვაზისა და ღვინის ნაკვალევი მცხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილ მარნებშიც.

ვახუშტი ბაგრატიონი თავის წიგნში საქართველოს გეოგრაფიულ თავისებურებებთან ერთად საგულისხმო ცნობებს გვაწვდის მევენახეობა-მეღვინეობაზეც, ვახუშტისათვის მთისა და ბარის განმასხვავებელი ვაზია. იქ, სადაც ვაზი ხარობს, ბარია, სადაც არ ხარობს, მთა.ვახუშტი ეხება იმასაც, რომელ რეგიონში როგორი ღვინოა და ზოგჯერ მეღვინეობით განთქმულ პუნქტებსაც მიუთითებს. მაგალითად, კახეთის ღვინო არის, ვახუშტის დახასიათებით, „კეთილი და კარგი“. კონდოლის ღვინო - „წარჩინებული“, ახმეტისა და მანავის -„კეთილი“. ქართლში ღვინო „თხელია და მომჟავო“, თუმცა სასმელად „საამო“, ზოგან აქაც იცის „კეთილი“ ღვინო, ხოლო ატენის ღვინო „უმეტესია ყოველთა საქართველოს ღვინოთა“, და ა. შ. ახასიათებს სხვა კუთხის ღვინოებსაც. (ლეკიაშვილი, 1972)

ღვინო რომ ქართული სუფრის განუყრელი ნაწილი და ყოველდღიური სასმელია კარგად ჩანს იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებაშიც“ - პურობის სცენა.

კიდევ მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება საქართველოში ღვინის კულტურის სიძველის დასამტკიცებლად, მაგრამ, მე ვფიქრობ, რომ ზემოთ მოყვანილიც საკმარისია ამის დასადასტურებლად.

საქართველოში ღვინის ხსენებაზე, როგორც წესი, პირველი ასოციაცია კახეთთან ჩნდება. რითია გამორჩეული კახეთის რეგიონი? საქართველოს 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემებით, კახეთში ვენახების ფართობი შეადგენს 23 877 ჰექტარს, რითაც რეგიონი პირველ ადგილზეა საქართველოს დანარჩენ რეგიონთა შორის. რეგიონში იწარმოება ისეთი ცნობილი და ხარისხიანი ღვინოები, როგორებიცაა საფერავი, რქაწითელი, კახური მწვანე და ა.შ. კახურ ღვინოს საქართველოს ღვინის ექსპორტშიც პირველი ადგილი უკავია. ადგილობრივი ჯიშების გარდა, კახეთის რეგიონის ბუნებრივ-კლიმატური პირობები იძლევა უცხოური ჯიშების გახარების საშუალებასაც. კახეთის რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში მევენახეობა მთავარი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაა.

კახეთის რეგიონის ყველა უპირატესობასთან ერთად იკვეთება პრობლემებიც. იმის მიუხედავად, რომ საქართველოდან ყველაზე მეტი ექსპორტირებული ღვინო სწორედ კახურია, გასული ნაწარმის რაოდენობა მაინც მცირეა. კახური ღვინის ხარისხიც მაღალია, თუმცა ის ევროპის ბაზარზე კონკურენციას ვერ უწევს, თუნდაც, ფრანგულ ღვინოს. კახეთი დგას ინფრასტრუქტურული პრობლემების წინაშეც. რეგიონში, ძირითადად, ძველი, საბჭოთა კავშირის დროინდელი, ღვინის ქარხნებია, რომელთა დანიშნულებაც მოსავლის გადამუშავება და წარმოებაა.

კახურ მეღვინეობაზე ცუდად აისახება მეტეოროლოგიური პირობებიც. ყოველწლიურად ვენახები ისეტყვება და მოსავალი უფუჭდება მეწარმეს.

ნაშრომის მიზანია აღწეროს კახეთის ღვინის წარმოების თავისებურებები, ისაუბროს არსებულ პრობლემებზე და იმსჯელოს გზებზე, რომლებიც კახურ ღვინოს უფრო ცნობადს გახდის უცხოურ ბაზარზე.

გამომდინარე იქიდან, რომ კახური მეღვინეობა პრობლემების წინაშე დგას, ნაშრომის საკვლევი კითხვაა: „რა პერსპექტივები გააჩნია კახურ მევენახეობა-მეღვინეობას?“.

კვლევისთვის გამოვიყენებ თვისებრივ მეთოდს, რომელიც საკითხს შეისწავლის არსებული ლიტერატურისა და მონაცემების დეტალური, სიღრმისეული ანალიზით. უნდა აღინიშნოს, რომ თვისებრივი კვლევის გამოყენებისას არ არსებობს ერთი

ობიექტური რეალობა და მკვლევარს გამოაქვს მეტ-ნაკლებად სუბიექტური დასკვნები ობიექტურ ფაქტებზე დაყრდნობით. საკითხის შესასწავლად გავეცნობი არსებულ ლიტერატურას, როგორც ბიბლიოთეკებში, ასევე, ინტერნეტსივრცეში. გამოვითხოვ ინფორმაციას შესაბამისი უწყებებიდან.

თეორიული მიდგომა

ვინაიდან კახური ღვინის გასაყიდი ფასი საზღვარგარეთ გაცილებით მაღალია, ვიდრე იმავე კლასის სხვა ქვეყნების წარმოებული ღვინოები, ვეცადე მეკვლია ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ კახეთსა და უცხოეთში ღვინის ფასის ჩამოყალიბებაზე , აქ მე გამოვიყენე ჰეკშერ - ოლინის თეორია, ჰეკშერ–ოლინის მოდელი წარმოადგენს საერთაშორისო ვაჭრობის ზოგადი წონასწორობის/თანაფარდობის მათემატიკურ მოდელს, რომელიც სტოკჰოლმის ეკონომიკის სკოლაში განავითარეს ელი ჰეკშერმა და ბერტილ ოლინმა. აღნიშნული მოდელი ემყარება დავიდ რიკარდოს შეფარდებითი უპირატესობის თეორიას. ჰეკშერ–ოლინის მოდელის მიხედვით, ქვეყნებს საექსპორტოდ გააქვთ ის პროდუქცია, რომელთა საწარმოებლად გააჩნიათ დიდი რაოდენობის და, შესაბამისად, იაფი რესურსი, ხოლო ახორციელებენ იმ პროდუქციის იმპორტს, რომლის საწარმოებლადაც საკმარის რესურსს არ ფლობენ. მართლაც საქართველოსთვის და კახეთის რეგიონისთვის ღვინო და ყურძნის პროდუქტების წარმოება წარმოადგენს იმ სფეროს, სადაც ქვეყანას გააჩნია უპირატესობა ზოგიერთ სხვა ქვეყანასთან შედარებით, აქ შევეცადე შემედარებინა კახეთში წარმოებული ღვინისა და ევროპის ბაზარზე გაყიდვაში არსებული სამხრეთამერიკული და სამხრეთაფრიკული ღვინოების ფასები. ჰეკშერ - ოლინის თეორიის მიხედვით, პროდუქციის ფასი განპირობებეულია სამი ძირითადი ფაქტორით, ეს არის შრომის ანაზღაურება, პროცენტი კაპიტალზე და სარენტო შემოსავლები მიწაზე, კახეთში ღვინის წარმოებას ორი ფაქტორი განაპირობებს, რომლებიც ძლიერ უწყობს ხელს მის კონკურენტუნარიანობას, ეს არის შედარებით იაფი მუშახელი და მიწაზე შედარებით დაბალი გადასახადი, მაგრამ საქართველოში მაღალია პროცენტი კაპიტალზე, რაც ქართული ღვინის წარმოებას ხელს უშლის, უფრო მეტად განვითარდეს და ეს ერთ - ერთი განმაპირობებლი ფაქტორია იმისა, რომ ქართული ღვინო ევროპის ბაზარზე უფრო ძვირი ღირს, ზოგადად, ვიდრე სამხეთაფრიკული თუ ამერიკული, სამხრეთ აფრიკასა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებს, ამ კერძო შემთხვევაში ჩილეს, აქვთ უპირატესობა კაპიტალზე დაბალი განაკვეთების მხრივ, თუმცა ამ ქვეყნებში შრომის ანაზღაურება გაცილებით მაღალია და ასევე მიწაზე არსებული გადასახადიც.

ჰეკშერ - ოლინის მოდელი არ განიხილავს ქვეყნებს შორის ტექნოლოგიურ სხვაობას, შესაბამისად, თუმცა ჩნდება ცვალებადი კაპიტალი, რაც ენდოგენურად ქვეყნის შიგნით წარმოქმნის შრომითი პროდუქტიულობის სხვადასხვაობას, (Blaug, 1997) სწორედ ეს ფაქტორი შეგვიძლია განვიხილოთ იმის მიზეზად, თუ რატომ ვერ ახერხებს ქართული ღვინო დაბალ საფასო სეგმენტში გასვლას, სამხრეთ აფრიკელ და ჩილელ მეღვინეებს შეუძლიათ ღვინის წარმოებისას ჰქონდეთ ნაკლებად რისკის შემცველი იაფი სესხების მიღების შესაძლებლობა, რაც განაპირობებს მათი მეურნეობის სტაბილურობას და მდგრადობას გრძელვადიან პერიოდში, ქართველი მეღვინისათვის კი ეს სირთულეს წარმოადგენს, ვინაიდან მიღებულ კაპიტალზე არსებული საპროცენტო განაკვეთის სიდიდე მას საშუალებას არ აძლევს, რომ მოუსავლიანობის შემთხვევაშიც შეძლოს საკუთარი მეურნეობის გადარჩენა. ასეთი დიდი რისკის გამო კი უწევთ წარმოებულ პროდუქციაზე მაღალი ფასი ჰქონდეთ, რაც მის კონკურენტუნარიანობას ამცირებს, შესაბამისად ქართულ ღვინოს უწევს დაგეგმოს ისეთი მარკეტინგული კამპანიები, რომლებიც ხაზს უსვამს მის განსაკუთრებულობას, ასევე კაპიტალზე წვდომა ხელს უშლის მეღვინოების გამსხვილებას და მასობრივი წარმოების განვითარებას, რის შედეგადაც ქართველ მეღვინეებს უწევთ, რომ ნედლეულის მოპოვების დროს ითანამშრომლონ ქართველ გელეხებთან, რაც პროდუქციის ფასწარმოქმნის დამატებითი ფაქტორია.

თავი I: რეგიონის ზოგადი გეოგრაფიული დახასიათება

კახეთი აღმოსავლეთ საქართველოს საზღვრისპირა რეგიონს წარმოადგენს. მას ჩრდილოეთიდან რუსეთის ფედერაცია ესაზღვრება, აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან აზერბაიჯანი.

ფართობი11 310 ათასი კვ. კმ-ია, რაც საქართველოს ტერიტორიის 17,5%-ს შეადგენს. მოსახლეობა დაახლოებით 407 ათასამდე მცხოვრებია.

კახეთი 8 ადმინისტრაციული ერთეულისგან შედგება.**(იხ. დანართი, რუკა N1)** მათი უმეტესობა (ახმეტის, თელავის, ყვარლის, გურჯაანის, ლაგოდეხის) შიდა კახეთში მდებარეობს, საგარეჯოს რაიონი და გურჯაანის რაიონის ნაწილი გარე კახეთს მიეკუთვნება. სიღნაღისა და დედოფლისწყაროს რაიონები კახეთის ცალკე კუთხეს - ქიზიყს შეადგენს. კახეთის ნაწილი იყო დღეს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარე ზაქათალის, ბელაქანისა და კახის რაიონები, რომლებიც ლაგოდეხთან ერთად ისტორიულ ჰერეთს(საინგილოს) წარმოადგენენ. (elitetravel.ge, თ. გ.)

კახეთი საქართველოს ერთ-ერთი უმშვენიერესი და მრავალფეროვანი მხარეა. აქ ერთმანეთის გვერდიგვერდაა კავკასიონის მთავარი ქედის თოვლიანი მთები (3300 მ-ის და 4500 მ-ის მწვერვალებითა და უღელტეხილებით), ბარაქიანი ვაკეები და ველ-მინდვრები და ასევე ნახევრად უდაბნოები (დედოფლისწყაროსა და საგარეჯოს რაიონებში).

კახეთის გეოგრაფია საკმაოდ მრავალფეროვანია, თავისი მთებით, ვაკეებითა და ველ-მინდვრებით. გამოიყოფა სამი აგროკლიმატური ზონა: სუბტროპიკული, თბილი და ზომიერად თბილი. კლიმატის სიმკვეთრის მაჩვენებლის მიხედვით მხარე იყოფა თხუთმეტ ქვეზონად. ალაზნის ველზე ზომიერად ტენიანი სუბტროპიკული ჰავაა. აქ ზამთარში საშუალოდ 0 გრადუსია, ზაფხულში კი საშუალოდ +23-25 გრადუსი ცელსიუსია. ალაზნის ველზე ნალექების რაოდენობა წლის განმავლობაში 600-დან 1000 მმ-მდე მერყეობს. რაც შეეხება გარე კახეთს (მოიცავს ივრის ზეგანს, გომბორისა და იალნოს ქედების წინა მთებს), აქ მშრალი სუბტროპიკული ჰავაა. მდებარეობს ზღ. დ.-დან 500-900 მეტრზე. აქ ზამთრის საშუალო ტემპერატურაა -1^{0}C-2^{0}C, ზაფხულის კი

+23^{0}C;+25^{0}C. ნალექების რაოდენობა ივრის ზეგანზე, დაახლოებით, 400-600 მმ-ია. განსხვავებული, შედარებით ცივი ჰავაა ცივგომბორის ქედზე, რაც სიმაღლის მომატებასთანაა დაკავშირებული (ცივგომბორი ზღ. დ. 1800-2000 მ-ზე მდებარეობს).

საქართველოს ტყეების ფართობის 11-12% კახეთის რეგიონშია, კახეთის ტერიტორიის 30 % ტყით არის დაფარული და ამ მაჩვენებლით იგი მესამე ადგილზეა საქართველოს რეგიონებში. რეგიონის ტყეების 90% მთის ტყეების კატეგორიას მიეკუთვნება, რომელთაც უდიდესი ეკოლოგიური და ეკონომიკური მნიშვნელობა აქვთ.

კახეთის რეგიონი მოიცავს 9 მუნიციპალიტეტს: ახმეტის მუნიციპალიტეტს, გურჯაანის მუნიციპალიტეტს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს, თელავის მუნიციპალიტეტს, საგარეჯოს, სიღნაღის, ლაგოდეხის, ყვარლის მუნიციპალიტეტებს და ქალაქ თელავს. კახეთის მხარის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი თელავი. კახეთის მხარეში 285 დასახლებული პუნქტია, მათ შორის 9 ქალაქი, ხოლო 276 სოფელი. (elitetravel.ge, თ. გ.)

თავი 2: ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები მევენახეობის განვითარებისთვის

ქართული ღვინოების მრავალფეროვნება მნიშნელოვნად განპირობებულია ქვეყნის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების სპეციფიკურობით.

კვლევის, რომელიც ეხებოდა მდინარე დურუჯის ჩამონატანი თიხა-ფიქლების მნიშვნელობის დადგენას ღვინის ხარისხისთვის, ობიექტი იყო შიგნიკახეთის ვაკე და მთისწინეთი, რომელიც მოიცავს ზღვის დონიდან 300-600 მ. სიმაღლის ზონას და სადაც ბუნებრივად არსებობს ხელსაყრელი აგროეკოლოგიური პირობები მაღალხარისხოვანი ყურძნის საწარმოებლად. („გეოგრაფიის და ანთროპოლოგიის თანამედროვეობა“. საერთაშორისო კონფერენციის მასალები, მიძღვნილი აკად. ალ. ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლისთავისადმი. გვ. 208, 209, 210, 211, 212.)

მოცემულ ტერიტორიაზე არსებობს ქინძმარაულის, ყვარლისა და ნაფარეულის უნიკალური მიკროზონები, სადაც იწარმოება საუცხოო ხარისხის ღვინომასალა. აქაურ უნიკალურ აგროეკოლოგიურ პირობებს ქმნის მდინარე დურუჯის მიერ ჩამონაზიდი მასალა. ქინძმარაულის, ყვარლისა და ნაფარეულის ვენახების მიკროზონები სწორედ მდ. დურუჯის გამოზიდვის კონუსებს მოიცავს, მდინარის ნაშალი მასალა ბუნებრივად მოფენილია ამ მიდამოების ნიადაგებზე, რაც ქმნის განსაკუთრებულ მიკროზონებს.

შიგნიკახეთი მდებარეობს კავკასიონსა, გომბორის ქედსა და ივრის ზეგანს შორის. იგი გრძელდება აზერბაიჯანის ფარგლებში აგრიჩაის ველის სახით. აღმოსავლეთ საქართველოში სხვაგან არსად არ გხვდება მსგავსი ნაზი და რბილი კლიმატი. ეს ბუნებრივი თავისებურება კი კახეთის მეურნეობის დოვლათიანობის მტკიცე საფუძველია.

შიგნიკახეთის კლიმატი თავისი ბუნებრივი პირობების გამო, მნიშვნელოვნად განსხვავდება აღმოსავლეთ საქართველოს სხვა, იმავე სიმაღლეზე მდებარე ადგილების კლიმატისაგან. იგი ხასიათდება ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული კლიმატით, ცხელი ზაფხულითა და ზომიერად ცივი ზამთრით. აქაური კლიმატი და ნიადაგი ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის, კერძოდ, მევენახეობის განვითარებას.

მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში 2300 საათს აჭარბებს. მზის რადიაცია მდ. ალაზნის მარცხენა მხარეს უფრო ნაკლებია და შეადგენს 110-120 კკალ/სმ², ხოლო მარჯვენა მხარეს 120-139 კკალ/სმ².ატმოსფერული ნალექების წლიური ჯამი 1070 მმ-ს შეადგენს. ნალექების მინიმალური რაოდენობა- 40 მმ. მოდის ზამთარში (იანვარში), მაქსიმალური 181 მმ. (მაისში). ცივ პერიოდში მოდის 265 მმ, ხოლო თბილ პეიროდში 805 მმ. ნალექიან დღეთა რიცხვი წელიწადში 132 დღეა. სეტყვიან დღეთა რიცხვი 2,1-ს უდრის. იგი ყველაზე ხშირად მაისში (0,9 დღე) მოდის. სავეგეტაციო პერიოდის დანარჩენ თვეებში 0,1-0,3 დღის ფარგლებშია. საშუალო წლიური შეფარდებითი სინოტივე 72%-ია, ყველაზე მშრალი თვის (აგვისტო) 64%-ს შეადგენს.

შიგნიკახეთის ქარები, ძირითადად, ალაზნის ხეობის გასწვრივ ქრის. წლის ცივ პერიოდში უმეტესად აღინიშნება აღმოსავლეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის, ხოლო ზაფხულობით დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის ქარები. ზაფხულის ქარებს სამხრეთიდან შემოაქვს დამატებითი სითბო, რაც კიდევს უფრო ამაღლებს რეგიონის სითბურ რეჟიმს. ქარის საშუალო წლიური სიჩქარე დიდი არ არის, საშუალოდ 1,2 მ/წმ.

ვაზი მიეკუთვნება სასოფლო- სამეურნეო კულტურათა იმ მცირე ჯგუფს, რომლისგანაც მიღებული ღვინო მგრძნობიარეა გარემო პირობების ცვლილებების მიმართ. ღვინოში აისახება ჯიში და მისი მოყვანის ადგილი. კახეთში მიღებული საფერავის ღვინო სრულად არ ჰგავს ყირიმში იმავე ჯიშისგან წარმოებულ ღვინოს.

კლიმატურ პირობებთან ერთად, ნიადაგი განსაზღვრავს წარმოებული ღვინის ხარისხს. ნიადაგი არა მარტო ამარაგებს ვაზს აუცილებელი საკვები ნივთიერებებით, არამედ გავლენას ახდენს მოწეული ყურძნისგან დამზადებული ღვინის არომატულ და გემურ თვისებებზეც. შიგნიკახეთში ნიადაგები (ალუვიური უკარბონატო, ხირხატიანი, კარბონატულ თიხნარი, ტყის ყავისფერი და ყომრალი, მდელოს რუხი-ყავისფერი ნიადაგი) ხელსაყრელია უნიკალური ვაზის ჯიშების საწარმოებლად. კერძოდ, გაღმამხარში, კავკასიონის ქედის სამხრეთ მთისწინებზე და, განსაკუთრებით, მდინარეთა გამოზიდვის კონუსებზე მოწეული ყურძნისაგან საუკეთესო ხარისხის არომატული ღვინოები იწარმოება.

მდინარე დურუჯის გამოზიდვის კონუსები მოიცავს ქინძმარაულის, ყვარლისა და ნაფარეულის მევენახეობის მიკროზონებს, სადაც ჩამონაზიდი მასალა ქმნის უნიკალურ პირობებს მაღალხარისხოვანი ღვინოების მისაღებად.

მდ. დურუჯის ჩამონატანი, მოშავო ფერის ფიქლებით დაფარული გამოზიდვის კონუსი დღის განმავლობაში მზის ენერგიით მნიშვნელოვნად ხურდება, ამის გამო მიკროზონაში ნიადაგისა და ჰაერის მიწისპირა ფენის ტემპერატურა, მიმდებარე ადგილებთან შედარებით, 2-3^{0}C-თაა მომატებული. ზღვის დონიდან 350 – 450 მ. სიმაღლის ფარგლებში არსებულ ფართობებზე აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 4050-დან 3850^{0}C-მდე იცვლება. ბუნებრივად ნახევრადტკბილი ღვინოებისთვის საკმაო 4000^{0}C სითბოს დაგროვება დადაბლებულ ადგილებში უზრუნველყოფილი იქნება, დაახლოებით, 50% (ყოველ 2 წელიწადში ერთხელ).

ღვინო ნაფარეულის მევენახეობის მიკროზონა მოქცეულია მდ. ალაზნის მარცხენა სანაპიროსა და კახეთის კავკასიონის ქედის სამხრეთული დაქანებების 350-500 მ. სიმაღლის საზღვრებში. აქ აქტიურ ტემპერატურათა ჯამი საშუალოდ 3980-3780^{0}C-ის ფარგლებში მერყეობს. 300 მ. სიმაღლის მიკროზონაში, სადაც აქტიურ ტემპერატურათა ჯამი საშუალოდ 4250 გრადუსი ცელსიუსი გროვდება, საფერავისაგან ბუნებრივად ნახევრადტკბილი ღვინომასალა მიიღება.

ქინძმარაულის მევენახეობის მიკროზონა მდებარეობს მდ. ალაზანის მარცხენა შენაკადის, მდ. დურუჯის ხეობაში. მიკროზონაში ნიადაგისა და ჰაერის მიწისპირა ფენის ტემპერატურა მიმდებარე ადგილებთან შედარებით 2-3 გრადუსი ცელსიუსითაა მომატებული. ქინძმარაულის მიკროზონის ბუნებრივი თავისებურება, აქაური კლიმატი და ნიადაგი განაპირობებს ცნობილი ღვინო „ქინძმარაულის“ წარმოებას. „ქინძმარაულის“ მარკა შექმნილია 1942 წელს.

ყვარლის მევენახეობის მიკროზონა მდ. ალაზნის მარცხენა მხარესაა, ნაფარეულის აღმოსავლეთით 28-20 კმ-ზე. აქ ნალექი შედარებით მომატებულია, ვიდრე ნაფარეულის მიკროზონაში. ამასთან, მომატებული ღრუბლიანობა, მზის ნათების ნაკლები

ხანგრძლივობა და სხვა აგროკლიმატური მაჩვენებლები განაპირობებს ღვინომასალების სინაზეს.

ნაფარეულის, ყვარლისა და ქინძმარაულის მიკროზონებიდან მიღებული ღვინოების მაღალხარისხოვნება, უმეტესწილად, განპირობებულია დურუჯის ნაშალი მასალით. ამის დასასაბუთებლად 2010 წელს ჩატარდა ექსპერიმენტი, თელავში ერთ-ერთ ვენახში შეიტანეს მდ. დურუჯის ჩამონაზიდი ნაშალი მასალა. შედეგად ნიადაგის ტემპერატურამ იმატა საშუალოდ 3-4 გრადუსით, სითბოს მომატება სავეგეტაციო პერიოდში იწვევს ყურძნის შაქრიანობის მომატებას, რაც მიღებული ღვინის ხარისხს საგრძნობლად აუმჯობესებს. მდ. დურუჯის ჩამოტანილ ნაშალ მასალაში არის ჰუმუსი და მცენარისათვის საჭირო საკვები ელემენტები - აზოტი, ფოსფორი, კალიუმი. ამიტომ მისი შეტანა ვენახში დადებითი შედეგების მომცემია. (,,გეოგრაფიის და ანთროპოლოგიის თანამედროვეობა“. საერთაშორისო კონფერენციის მასალები, მიძღვნილი აკად. ალ. ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლისთავისადმი. გვ. 208, 209, 210, 211, 212.)

თავი 3: კახეთის რეგიონში გავრცელებული ვაზის ჯიშები და მიკროზონები

კახეთის რეგიონში მრავალგვარი ვაზის ჯიშია გავრცელებული, გვხვდება როგორც თეთრყურძნიანი, ასევე წითელყურძნიანი ვაზის ჯიშები. მათგან უფრო გავრცელებულ და ცნობილ ჯიშებს გამოვყოფ.

თეთრყურძნიანი ჯიშები

რქაწითელი. აქაურ ბუნებრივ პირობებში ეს ჯიში თავის ინდივიდუალურ თვისებებს მაქსიმალურად ივითარებს და იძლევა მაღალხარისხოვან სუფრის ღვინოს, ამის გამო მას დამსახურებული რეპუტაცია აქვს მოპოვებული. მთელი რიგი დადებითი თვისებების გამო ის გამოიყენება აგრეთვე სუფრის ყურძნადაც. გარემო პირობებისადმი შედარებით კარგად შეგუების გამო მას დიდი გავრცელების არეალი აქვს და წარმატებით ვრცელდება მევენახეობის სხვა რაიონებშიც. (გელაშვილი, 1961)

კახური მწვანე მეორე მეტად მნიშვნელოვანი თეთრი საღვინე ჯიშია. სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ სუსტი გამძლეობის გამო მისი გავრცელება შეზღუდულია. ევროპული წესით მისი ყურძნიდან მიიღება მეტად მაღალი ღირსების ნაზი, იდეალური ჰარმონიის პროდუქტი, რომელიც სიძველეში ძლიერ შინაარსიანს, ძვირფასსა და ფაქიზ ბუკეტს ივითარებს. ამის გამო ამ ვაზის ჯიშიდან მიღებულ ღვინოებს რქაწითელის გამაკეთილშობილებლადაც კი იყენებენ.

ხიხვი, ცნობილია აგრეთვე ჯანანურას სახელწოდებით. ეს ჯიში ძველად კახეთში საკმაოდ ყოფილა გავრცელებული; მას ამჟამად ვხვდებით, ძირითადად, კარდანახის მიკრორაიონში. იგი იძლევა თავისებური სპეციფიკური გემოსი და არომატის მქონე მაღალხარისხოვან ღვინოს. აღნიშნულ მიკრორაიონში ის შაქრის დიდ რაოდენობას აგროვებს. ამ თვისებათა გამო, – აღნიშნავს პროფ. კ. მოდებაძე, – ხიხვი სჯობს გამოყენებულ იქნას ტოკაის ტიპის ტკბილი ღვინის მისაღებად, დამახასიათებელი ძვირფასი ბუკეტით, სპეციფიკური გემოთი და მეტად სასიამოვნო სირბილით.

ქისი, ქართული თეთრყურძნიანი ვაზის ჯიში, გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში. საშუალო პერიოდისაა. რამდენიმე წლის წინ ჯიშს გადაშენება ემუქრებოდა, ხოლო ამჟამინდელი მდგომარეობით იგი უკვე იქცა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ყურძნის ჯიშად. საუკეთესო მიკროზონებია: თელავის, ყვარლისა და ახმეტის რაიონი.

წითელყურძნიანი ჯიშები

საფერავი. წითელი ღვინის დასაყენებლად საფერავი საუკეთესო ვაზის ჯიშად ითვლება. იგი მაღალხარისხოვანი საღვინე ვაზის ჯიშია, რომლის მეტოქე წითელყურძნიან ვაზის ჯიშებში ძლიერ იშვიათია. საფერავი საბჭოთა კავშირის მევენახეობის თითქმის ყველა რაიონში გვხვდება, მაგრამ არსად ისეთი მაღალი ღირსების პროდუქტს არ იძლევა, როგორსაც თავის ნამდვილ სამშობლოში – კახეთში. რკინით მდიდარი გამოღმა კახეთის ნიადაგები, ნალექების შედარებით მცირე რაოდენობა, მზის სხივების სიუხვე და სხვ. ოპტიმალურ პირობებს უქმნის მას, მეტადრე ქვემო მხარის მიკრორაიონებში პიგმენტისა და ექსტრაქტის მაქსიმალურად დაგროვებისათვის. (გელაშვილი, 1961)

კახეთში,ზემოაღნიშნულის გარდა, გვხვდება მრავალი სხვა ადგილობრივი ვაზის ჯიში ერთეული ძირების სახით, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ არასაკმარისი გავრცელებისა და სათანადო შეუსწავლელობის გამო სამეურნეო თვალსაზრისით ინტერესმოკლებულნი არიან.

შემოტანილი თეთრყურძნიანი ჯიშებიდან კახეთში აქა-იქ გვხვდება **რისლინგი, ალიგოტე** და **პინო**, უმთავრესად, საბჭოთა მეურნეობებში, მაგრამ აქაურ პირობებში ვერ გამოამჟღავნეს თავიანთი სპეციფიკური თვისებები, რომლებიც მათ შეეძლოთ მოეცათ მათთვის ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებში.

გამონაკლისს შეადგენს წითელყურძნიანი ვაზის ჯიში **კაბერნე**, რომელმაც წინანდალში, თელიანის მიკროუბანში თავისი მეორე სამშობლო ჰპოვა. კაბერნედან მიღებული ღვინო მაღალხარისხოვანია, რომელიც სიძველეში სპეციფიკურ, მეტად სასიამოვნო თვისებებს ამჟღავნებს, რამაც მას სახელი გაუთქვა მომხმარებელთა შორის.

3.1: მიკროზონები

კახეთს ცივგომბორის მთა ყოფს ორ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ ნაწილად:

შიგა კახეთად(ალაზნის ხეობა) და გარე კახეთად (ივრის ხეობა). (გელაშვილი, 1961)

შიგა კახეთი: მდებარეობს ალაზნის ხეობაში. იგი ჩრდილოეთიდან, ჩრდილოეთ-დასავლეთიდან და სამხრეთ-დასავლეთის მხარეებიდან შემორკალულია კავკასიონისა და ცივგომბორის მთებით, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით ის გაშლილია. მთებისაგან წარმოქმნილი რკალი მდ. ალაზნის ქვემო წელში თანდათან შორდება ერთიმეორეს და ამის შედეგად შიგა კახეთი კონფიგურაციით მოგვაგონებს სამკუთხედს, რომლის წვერი მიმართულია ჩრდილოეთისაკენ და ფუძე სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. ამ სამკუთხედის სიმაღლე 110 კილომეტრია, ხოლო სიგანე ფუძესთან – დაახლოებით 40 კილომეტრი. საერთოდ, შიგა კახეთი წარმოადგენს კავკასიონისა და ცივგომბორის მთების დაქანებას, რომელიც თანდათან ვაკდება და დასერილია ხევებით. შიგა კახეთის მთიანი ნაწილი უკავია ალპურ მდელოებს, რომლებიც თანდათან იცვლება ტყის ზონით. ამ უკანასკნელს მოსდევს მცირე ფერდობები, სადაც უმთავრესად განლაგებულია მაღალხარისხოვანი ღვინოების მომცემი ვენახები.

ფერდობების ზონის შემდეგ ვაკე ადგილებია, სადაც მეტწილად დგება ორდინარული ღვინოები. ვაკის უდიდესი ნაწილი დაკავებულია მარცვლეული კულტურითა და სათიბებით.

კახეთს მეღვინეობის თვალსაზრისით სამ მხარედ ყოფენ: **1. ზემო მხარე** – ახმეტიდან მუკუზნამდე, **2. ქვემო მხარე** – მუკუზნიდან ხირსამდე და **3. გაღმა მხარე** – პანკისის ხეობიდან კაბალამდე. თითოეული მხარე იყოფა მიკრორაიონებად.

ზემო მხარეში შედის ოთხი მიკრორაიონი:

1) **ახმეტის მიკრორაიონი** მდებარეობს კახეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. აქ ვენახები მეტწილად გაშენებულია 350-650 მ. სიმაღლეზე ზღვის დონიდან. ამ მიკრორაიონის შუა ზონაში (450-540 მ. ზღვის დონიდან) ღებულობენ მაღალი ხარისხის კახური ტიპის ღვინოებს.

ზედა ზონაში (560-650 მ. ზღვის დონიდან) სოფლებში: **მიტანი, მარელისი** და სხვ. მიიღება ხარისხოვანი ღვინომასალა ევროპული ტიპის სუფრის თეთრი ღვინოებისათვის.

ქვედა ზონაში (350-360 მ. ზღვის დონიდან) მეტწილად მიიღება ორდინარული ღვინომასალები.

2) იყალთოს მიკრორაიონი - რომელიც მდინარე ახშნისა და თურდოს შორისაა მოქცეული, მდებარეობს ახმეტის მიკრორაიონის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

ამ მიკრორაიონში შემავალი სოფლებია: **ახშანი, ახშანის ველები, ხორხელი, ალავერდი, ჩაბინანი, არაშენდა, ოჟიო, კოღოთო, ზემო ხოდაშენი, ჩარექაული, აწყური, იყალთო** და **რუისპირი.** მიღებული პროდუქციის შინაარსის მიხედვით მიკრორაიონს ყოფენ ზედა, შუა და ქვედა ზონებად.

ზედა ზონაში (600-780 მ. ზღვის დონიდან) მიიღება საკმაოდ მაღალხარისხოვანი ღვინომასალები ევროპული ტიპის სუფრის თეთრი ღვინოებისა და შამპანურის დასამზადებლად.

შუა ზონაში (400- 600 მ. ზღვის დონიდან) მიიღება როგორც ხარისხოვანი ევროპული და კახური ტიპის, ასევე შამპანურის ღვინომასალები.

ქვედა ზონაში (350-450 მ. ზღვის დონიდან) მიიღება ხარისხოვანი კახური და ევროპული ტიპის ღვინომასალები. ზოგიერთ უბანში აქ შეიძლება შამპანურის ღვინომასალების დამზადებაც. (გელაშვილი, 1961).

3) კურდღელაურის მიკრორაიონი - მდებარეობს მდინარე თურდოსა და კისისხევს შორის, იყალთოს რაიონის სამხრეთ-აღმოსავლეთით. აქ ვენახები, ძირითადად, გაშენებულია ცივგომბორის მთის კალთებზე (400-780 მ. ზღვის დონიდან).

ამ მიკრორაიონში მიიღება მაღალხარისხოვანი ღვინომასალები ევროპული ტიპის სუფრის თეთრი და წითელი ღვინოების დასამზადებლად. აქვე შეიძლება დამზადდეს კახური ტიპის მსუბუქი ღვინოებიც. კურდღელაურის მიკროზონა იყოფა ზედა, შუა და ქვედა ზონებად.

ზედა ზონაში (580-780 მ. ზღვის დონიდან) მიიღება ევროპული ტიპის ხარისხოვანი ღვინოები. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა კურდღელაურის, შალაურის და ვარდისუბნის ღვინოები.

შუა ზონაში (540-580 მ. ზღვის დონიდან) მიიღება საკმაოდ მაღალი ღირსების ევროპული და კახური ტიპის სუფრის ღვინოები.

ქვედა ზონა (400-450 მ. ზღვის დონიდან) ძირითადად იძლევა მასობრივი მოხმარების სუფრის ღვინოებს.

4) წინანდლის მიკრორაიონი - მდებარეობს მდინარე კისისხევსა და წილიანახევს შორის. ამ მიკრორაიონში შემავალი სოფლებია: **წინანდალი, ქვემო ხოდაშენი, ბუშატი, ვანთა, აკურა, შრომა** და **კალაური.** წინანდლის მიკრორაიონიც სამ ზონად იყოფა.

ზედა ზონაში (500-630 მ. ზღვის დონიდან), რომელიც მდებარეობს ცივგომბორის მთების სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობებზე, ამზადებენ მაღალხარისხოვან ევროპული ტიპის სუფრის სამარკო ღვინოებს.

შუა ზონაში (500-530 მ. ზღვის დონიდან) ღებულობენ საკმაოდ მაღალხარისხოვან ევროპული და კახური ტიპის სუფრის ღვინოებს.

ქვედა ზონა კი განკუთვნილია, ძირითადად, მასობრივი მოხმარების ღვინოების დასამზადებლად. (გელაშვილი, 1961).

ქვემო მხარე მოიცავს 4 მიკრორაიონს:

1) მუკუზნის მიკრორაიონში – ვენახები მეტწილად გაშენებულია 400-650 მ. სიმაღლეზე ზღვის დონიდან. მიკრორაიონში მიიღება ხარისხოვანი კახური და ევროპული ტიპის ღვინოები. ამ მხრივ გამოირჩევა **დედოფლის ზვრის, ფაფრის მინდვრების, დამარჩინეს** და სხვა მიდამოები.

2) გურჯაანის მიკრორაიონი მდებარეობს 250-700 მ. ზღვის დონიდან და იძლევა საუკეთესო ღვინომასალებს კახური ტიპის თეთრი და წითელი ღვინოების დასაყენებლად.

ზედა ზონაში (450-700 მ. ზღვის დონიდან) ღებულობენ ევროპული ტიპის სუფრის თეთრ ღვინომასალებს.

შუა ზონა (350-450 მ. ზღვის დონიდან) ცნობილია ხარისხოვანი კახური ტიპის ღვინოების მომცემი უბნებით.

ქვედა ზონაში (250-350 მ. ზღვის დონიდან) ღებულობენ ხარისხოვან მასალებს კახური ტიპის სუფრის და სადესერტო ღვინოებისათვის.

3) კარდანახის მიკრორაიონში ვენახები გაშენებულია 350-750 მ. სიმაღლეზე ზღვის დონიდან. ეს მიკრორაიონი იწყება **სოფ. ბაკურციხიდან** და გრძელდება **სოფ. ვაქირამდე.** აქ ღებულობენ მეტად ძვირფას მასალას კახური ტიპის თეთრი და წითელი ღვინოების დასაყენებლად. ამ მხრივ მნიშვნელოვანია **წარაფის, ახოების, ძოღალებისა** და **გულისწარაფის** მიდამოები. ამავე მიკრორაიონში მზადდება მაღალხარისხოვანი ტკბილი და მაგარი ღვინოები – **ხიხვი, საამო** და **კარდანახი**, რომლებიც საკმაო კარგი რეპუტაციით სარგებლობენ მომხმარებელთა შორის. (გელაშვილი, 1961).

4) ანაგა-ტიბაანის მიკრორაიონი - მდებარეობს 300-500 მ. სიმაღლეზე ზღვის დონიდან. მას უკავია კახეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი. ამ მიკრორაიონში შედის სოფლები: **საქობო, ვაქირი, მაშრაანი, ბოდბისხევი, წნორი, ტიბაანი, ძველი ანაგა, მირზაანი** და **გუმბათა**.

გაღმა მხარეში შედის **ყვარლისა** და **ლაგოდეხის** ადმინისტრაციული რაიონები და **თელავის** რაიონის ნაწილი. ვენახები, ძირითადად, გაშენებულია კავკასიონის ქედის კალთებზე და მის დავაკებულ ადგილებზე 300-600 მეტრზე ზღვის დონიდან.

2) გარე კახეთი. შიდა კახეთიდან გარე კახეთი გამოყოფილია ცივგომბორის მთით. აღმოსავლეთით მას აკრავს ცივ-გომბორის მთა, ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით ქართლის მთები, დანარჩენი მიმართულებით კი ის გაშლილია.

გარე კახეთის ტერიტორია წარმოადგენს ბრტყელ მთაგორიან ადგილს. მისი უმეტესი ნაწილი იორის ხეობაშია მოქცეული. შიგა კახეთისაგან განსხვავებით კლიმატი აქ მეტი კონტინენტურობით ხასიათდება, აქ წლიური ნალექების რაოდენობა 640 მმ-ს უდრის, ჰაერის წლიური საშუალო დღე-ღამის ტემპერატურა უდრის 11,4 გრადუს ცელსიუსს, ზამთრის თვეებში შესამჩნევია დაბალი აბსოლუტური მინიმუმი (-17,1°-18,1°-მდე). (გელაშვილი, 1961).

გარე კახეთში ვენახები გაშენებულია, ძირითადად, მდ. ივრის ხეობის შუა წელში, და უმთავრესად მარჯვენა მხარეზე ვიწრო ზოლით სართიჭალიდან კაკაბეთამდე. მარცხენა მხრიდან კი იწყება სადგურ იორიდან და ცივ-გომბორის მთის კალთებამდე აღწევს.

მევენახეობის ზონის მარჯვენა მხარეზე ალუვიური ნიადაგებია 1,8%-დან 3,7%-მდე ჰუმუსის შემცველობით და 0,8%-დან 34,2%-მდე კალციუმის კარბონატებით, რომელსაც აკუთვნებენ მძიმე თიხნარ და თიხნარ ნიადაგებს. ამ ზონის ქვედა ნაწილში კი მუქ-წაბლა ნიადაგებია უფრო მეტი ჰუმუსით (2,75%-დან 4,7%-მდე) და ნაკლები კალციუმის კარბონატებით (7,8%-მდე). საგარეჯოს მიდამოებში გვხვდება ალუვიურ-კარბონატული ნიადაგები თიხის ქვედა შრეებით, ზოგან კი საკმაოდ ჩონჩხიანი; ისინი მსუბუქ თიხიან ან ქვიშიან ნიადაგებს წარმოადგენენ. ნეშომპალა კარბონატული ნიადაგები გვხვდება

ცივგომბორის მთის სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ კალთებზე. მდინარის ნაპირებთან ახლოს ნიადაგების დაჭაობებასაც აქვს ადგილი.

მევენახეობა-მეღვინეობის მხრივ გარე კახეთი მნიშვნელოვნად ჩამორჩება შიგა კახეთს, როგორც ვაზის ნარგაობით, ისე მიღებული ღვინის ღირსებით. აქ ვენახების დიდი ნაწილი ირწყვება, ზოგჯერ გადიდებული ნორმებით და არასასურველ დროში, რაც პროდუქციაზე უარყოფითად მოქმედებს.

ამრიგად, საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ გარე კახეთი იძლევა უმთავრესად მასობრივი მოხმარების კახური და ევროპული ტიპის სუფრის ღვინოებს, მაგრამ აქაც გამოირჩევა ზოგიერთი მიკრორაიონი, სადაც სათანადო აგროტექნიკური ღონისძიებების გატარებით შესაძლებელია მივიღოთ საკმაოდ მაღალხარისხოვანი ღვინოები, როგორიცაა, მაგალითად: **მანავი, ჩაილური, კაკაბეთი, ხაშმი** და სხვ. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია **მანავი,** თავისი ისტორიულად ცნობილი **დედოფლის** და **ბერების ზვრებით,** სადაც ძლიერ ნაზი და არაჩვეულებრივად სასიამოვნო არომატის მქონე ევროპული ტიპის ღვინო დგება კახური მწვანედან. (გელაშვილი, 1961)

ამ უკანასკნელ ხანებში გარე კახეთში მოსახლეობამ ფართოდ მოჰკიდა ხელი ვენახების გაშენებას. აქ კიდევ უფრო მეტი პერსპექტივებია ვენახების ფართობის ზრდისათვის სამგორის სარწყავი ქსელის გაყვანასთან დაკავშირებით და განსაკუთრებით ამ რაიონში ბრწყინვალე მომავალია დასახული სუფრის ყურძნის წარმოებისათვის.

თავი 4: 2004 და 2014 წლების სასოფლო-სამეურნეო აღწერების სტატისტიკური ინფორმაცია კახეთის რეგიონში მევენახეობის შესახებ

2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა: 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემების მიხედვით, კახეთის რეგიონში ვენახების საერთო ფართობი შეადგენს 22 227 ჰა-ს. რაიონების მიხედვით ფართობები შემდეგნაირად ნაწილდება; (იხ. დანართი, რუკა N:2) ახმეტის რაიონში ვენახების ფართობი 1043 ჰექტარია, გურჯაანის რაიონში - 5991 ჰა, დედოფლისწყაროს რაიონში ვენახის ფართობი 1339 ჰექტარია, თელავის რაიონში - 3854 ჰა, ლაგოდეხის რაიონში ვენახის საერთო ფართობი 1108 ჰა-ა, საგარეჯოს რაიონში 2643 ჰა-ს შეადგენს, 2589 ჰექტარია სიღნაღის რაიონში, ყვარლის რაიონში კი ვენახების საერთო ფართობი 3660 ჰა-ს შეადგენს. (geostat.ge) (იხ. დანართი, დიაგრამა N:1)

რაც შეეხება ვენახის ფართობებზე ვაზის ძირთა რაოდენობის სტატისტიკურ მონაცემებს, 2004 წლის აღწერის მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება: მთლიანად კახეთში არსებული ვენახების ფართობზე ვაზის ძირთა რაოდენობა შეადგენს 62 368 660 ძირ ვაზს. რაიონების მიხედვით კი მონაცემები ასე გამოიყურება: ახმეტის რაიონში ძირთა რაოდენობა შეადგენს 2 637 401-ს, გურჯაანის რაიონში 17 239 202 ვაზის ძირია, დედოფლისწყაროს რაიონში - 2 104 357, თელავის რაიონში არსებული ვენახების საერთო ფართობზე ძირთა რაოდენობა 10 772 034-ს შეადგენს, ლაგოდეხის რაიონში - 3 085 503-ს, საგარეჯოს რაიონში ვაზის ძირთა რაოდენობა 6 635 319-ს შეადგენს, სიღნაღის რაიონში არსებულ ფართობებზე 9 800 068 ვაზის ძირია დარგული, ხოლო ყვარლის რაიონში - 10 094 776 ვაზის ძირი. (იხ. დანართი, დიაგრამა N:2)

კახეთში ვაზის ჯიშებიდან ყველაზე მეტად გავრცელებულია რქაწითელი და საფერავი, 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით, სტატისტიკური ინფორმაცია ამ

ვაზის ჯიშების რაოდენობის შესახებ კახეთის რეგიონში შემდეგნაირად გამოიყურება: რქაწითელის ვენახების საერთო ფართობი კახეთის რეგიონში 17 776 ჰექტარია, ამ ფართობზე რქაწითელის ვაზის რაოდენობა 50 352 218 ძირია. რაიონების მიხედვით რქაწითელის ვაზის რაოდენობა ასე გამოიყურება: ახმეტის რაიონში 872 ჰექტარზე 2 221 969 რქაწითელია დარგული, გურჯაანის რაიონში 4888 ჰექტარზე 13 706 931 რქაწითელის ჯიშის ვაზის ძირია დარგული, დედოფლისწყაროს რაიონში 1008 ჰა-ზე 1 676 737 რქაწითელია, თელავის რაიონში 2730 ჰექტარზე 7 745 238 რქაწითელის ძირია დარგული, ლაგოდეხში - 1065 ჰა-ზე 2 967 866 რქაწითელის ძირია, საგარეჯოს რაიონში 2 174 ჰა-ზე 5 469 221 რქაწითელია, სიღანღის რაიონში ეს მაჩვენებელი 2408 ჰა-ზე 9 083 330-ია, ხოლო ყვარლის რაიონში 2631 ჰექტარზე 7 480 926 რქაწითელის ძირია დარგული.

რაც შეეხება საფერავის ჯიშის ვაზის ძირების რაოდენობას და ფართობებს, სტატისტიკური მონაცემები ასე გამოიყურება: მთლიანად კახეთის რეგიონში საფერავის ჯიშის ვენახების საერთო ფართობი 3322 ჰა-ია, სადაც დარგულია 8 897 264 ძირი საფერავი. რაიონების მიხედვით კი მონაცემები ასეა გადანაწილებული: ახმეტის რაიონში 63 ჰექტარზე 142 447 საფერავია დარგული, გურჯაანის რაიონში 836 ჰექტარზე 2 578 857 საფერავის ძირია დარგული, დედოფლისწყაროს რაიონში 317 ჰა-ზე 400 349 ძირი საფერავია, თელავის რაიონში 768 ჰა-ზე 2 227 647 ძირი საფერავია, ლაგოდეხის რაიონში კი 22 ჰა-ზე 63 392 ძირი საფერავი, საგარეჯოს რაიონში 297 ჰა-ზე 836 380 ძირი საფერავის ჯიშის ვაზია, სიღნაღის რაიონში 180 ჰა-ზე 714 978-ია, ყვარლის რაიონში კი 838 ჰა-ზე 1 933 214 საფერავის ჯიშის ვაზის ძირია დარგული.

გარდა საფერავისა და რქაწითლის ვაზის ჯიშებისა, რომლებიც კახეთის რეგიონში ყველაზე გავრცელებულია, არის ვაზის სხვა ჯიშებიც, მაგალითად, იმერეთის რეგიონში ყველაზე მეტად გავრცელებული ჯიშები - ციცქა და ცოლიკაური კახეთის რეგიონშიც გხვდება, თუმცა არა იმ მასშტაბებით, როგორითაც რქაწითელი ან საფერავი. კახეთის რეგიონში 3763 ძირი ციცქას ჯიშის ვაზია დარგული, 2004 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ცოლიკაურის ჯიშის კი - 6185 ძირი. ცოლიკაური, ძირითადად, გავრცელებულია ახმეტისა და გურჯაანის რაიონში, ხოლო

ციცქა, ძირითადად, გვხვდება დედოფლისწყაროს რაიონში, გარდა ამისა, ეს ჯიში ასევე ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონებშიც (გარდა მცირე რაოდენობით კახეთის რეგიონის სხვა რაიონებისა) გვხვდება. კახეთში ასევე გვხვდება ალადასტურის ჯიშის ვაზი, სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, რეგიონში 3470 ძირი ალადასტურია. რეგიონში ასევე 8110 ავასირხვის ჯიშის ვაზია გავრცელებული. თავკვერის ჯიშის ვაზი კახეთის რეგონში, 2004 წლის მონაცემებით, 6750 ძირია დარგული. ერთ-ერთი გავრცელებული ჯიში კახეთში არის კახური მწვანე. კახური მწვანის 483 909 ძირია დარგული, ასევე გავრცელებულია კაბერნეს ჯიში, რომელიც რეგიონში 332 757 ძირს შეადგენს. კაბერნეს ჯიშის ვაზი თითქმის ყველა რაიონში არის გავრცელებული, თუმცა ყველაზე მეტი რაოდენობით გვხვდება თელავის რაიონში (296 393), კახური მწვანე კი ყველაზე მეტი რაოდენობით ახმეტის (178 180) და საგარეჯოს (241 606) რაიონებში გვხვდება. უსახელაურის ჯიშის ვაზი რეგიონში 178 679 ძირს შეადგენს. კახეთის რეგიონში ასევე ერთ-ერთი გავრცელებული ჯიშია იზაბელა (იგივე ადესა), რომელიც არსებობს როგორც შავი, ასევე თეთრი, შავი ,,ადესა“ რეგიონში 204 187 ძირი გხვდება, თეთრი ,,ადესა“ კი - 35 046 ძირი.

2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა: 2014 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, კახეთის რეგიონში ვენახების საერთო ფართობი შეადგენს 23 877 ჰექტარს, რაიონების მიხედვით ვენახების ფართობები შემდეგნაირად ნაწილდება: ახმეტის რაიონში ვენახების საერთო ფართობი 1061 ჰა-ს შეადგენს, გურჯაანის რაიონში - 5839 ჰა-ს, დედოფლისწყაროს რაიონში ეს მაჩვენებელი 1338 ჰა-ია, თელავის რაიონში ვენახების საერთო ფართობი 4644 ჰა-ს შეადგენს, ლაგოდეხის რაიონში ფართობი 1307 ჰა-ია, საგარეჯოს რაიონში - 3025 ჰა, სიღნაღის რაიონში - 2101 ჰა, ხოლო ყვარლის რაიონში ვენახების საერთო ფართობი 4502 ჰა-ს შეადგენს, ასევე 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემებში 2004 წლის მონაცემებთან შედარებით შეტანილია ასევე ქალაქ თელავის, კახეთის რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრის, ვენახების საერთო ფართობი, რომელიც შეადგენს 59 ჰა-ს. (geostat.ge) (იხ. დანართი, დიაგრამა N:1)

რაც შეეხება ვენახების ფართობებზე ვაზის ძირთა რაოდენობას, 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ეს მაჩვენებლები ასე

გამოიყურება: მთლიანად კახეთის რეგიონში 67 005 000 ძირი ვაზია დარგული, რაიონების მიხედვით კი მონაცემები შემდეგნაირად ნაწილდება: ახმეტის რაიონში ეს მაჩვენებელი 2 947 000 ძირს შეადგენს, გურჯაანის რაიონში - 17 486 000-ს, დედოფლისწყაროში - 2 562 000 ვაზი, თელავის რაიონში ვაზის ძირთა საერთო რაოდენობა 13 015 000 ძირს შეადგენს, ლაგოდეხის რაიონში ეს მაჩვენებელი 4 050 000 ძირია, საგარეჯოს რაიონში - 7 909 000, სიღნაღის რაიონში - 5 706 000, ყვარლის რაიონში კი ვაზის ძირთა საერთო რაოდენობა 13 256 000-ს შეადგენს, რაც შეეხება ქალაქ თელავს, აქ ეს მაჩვენებელი 75 000 ძირს შეადგენს. (იხ. დანართი, დიაგრამა N:2)

კახეთის რეგიონში ყველაზე გავრცელებული ყურძნის ჯიშები რქაწითელი და საფერავია, 2014 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, რეგიონში სულ 47 781 000 ძირი რქაწითელია და 14 840 000 ძირი საფერავი. რაიონების მიხედვით მონაცემები ასე გამოიყურება: ახმეტის რაიონში 2 046 000 ძირი რქაწითელია, ხოლო 592 000 საფერავი, გურჯაანის რაიონში - 13 550 000 რქაწითელია და 2 992 000 საფერავი, დედოფლისწყაროს რაიონში 1 737 000 ძირი რქაწითელია და 762 000 საფერავი, თელავის რაიონში 7 395 000 რქაწითელი და 4 617 000 საფერავია, ლაგოდეხის რაიონში 3 886 000 რქაწითელის ჯიშის ვაზია და 135 000 საფერავის ჯიშის ვაზი, საგარეჯოს რაიონში 5 820 000 რქაწითელია, ხოლო 1 429 000 საფერავი, სიღნაღის რაიონში 5 065 000 რქაწითელია დარგული და 459 000 საფერავი, ყვარლის რაიონში კი 8 223 000 რქაწითელია და 3 842 000 საფერავი, რაც შეეხება ქალაქ თელავს, აქ 50 000 რქაწითელია და 12 000 საფერავი. როგორც სტატისტიკური ინფორმაციიდან ჩანს, კახეთის რეგიონში საფერავზე მეტად გავრცელებულია რქაწითელის ჯიშის ვაზი, ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2004 წლის მონაცემებთან შედარებით 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემებში გაზრდილია როგორც ვენახების ფართობები რეგიონში, ასევე ვაზის ძირთა რაოდენობაც, რაც, რასაკვირველია, კარგია მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარებისათვის. (geostat.ge)

4.1: 2004 და 2014 წლების სასოფლო სამეურნეო აღწერის სტატისტიკური მონაცემების შედარება.

2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერისა და 2004 წლის აღწერის მონაცემების შედარებით ჩანს, რომ 10-წლიან ინტერვალში კახეთის რეგიონში ვენახების საერთო ფართობი 1650 ჰექტარითაა მომატებული, რაც მნიშვნელოვანია რეგიონის მეღვინეობის განვითარებისათვის, ვენახების ფართობის ზრდა და არა შემცირება იმის მაჩვენებელია, რომ რეგიონში მევენახეობა-მეღვინეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგია. კახეთში მეღვინეობა ყოველთვის მნიშვნელოვან დარგად ითვლებოდა და მთლიანად ქვეყნის მეღვინეობის განვითარებაში დიდი როლი ეკავა და დღესაც უკავია, ამიტომ სოფლის მეურნეობის აღწერებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კახეთის რეგიონი კვლავაც მოწინავე პოზიციას იკავებს ამ დარგის მიხედვით. (geostat.ge) (იხ. დანართი, რუკა N:3)

აღწერების სტატისტიკურ მონაცემებში ასევე თვალნათლივ ჩანს, თუ როგორ არის გაზრდილი დარგული ვაზის რაოდენობაც. 2004 წლის აღწერის მიხედვით, კახეთის რეგიონში სულ დარგული იყო 62 368 660 ძირი ვაზი, 2014 წელს კი ეს მონაცემი 67 005 000 ძირს უდრის, ანუ 2014 წელს 2004 წელთან შედარებით დარგული ვაზის რაოდენობა 4 636 340 ძირითაა გაზრდილი. რაიონების მიხედვით 2014 წელს 2004 წელთან შედარებით ვენახების საერთო ფართობები, ძირითადად, მომატებულია, თუმცა ზოგიერთ რაიონში, მაგალითად, დედოფლისწყაროსა და გურჯაანში 2014 წელს 2004 წელთან შედარებით შემცირებულია ვენახების საერთო ფართობი.

რაც შეეხება კახეთის რეგიონში ყველაზე მეტად გავრცელებული ყურძნის ჯიშების - რქაწითელისა და საფერავის მონაცემების შედარებას, აღწერებიდან ჩანს, რომ 2004 წელს რქაწითელის რაოდენობა სულ 50 352 218 ძირს შეადგენდა, ხოლო 2014 წელს - 47 781 000 ძირს, ანუ შემცირდა 2 571 218 ძირით, სამაგიეროდ, გაზრდილია საფერავის ჯიშის ვაზის რაოდენობა, 2004 წელს 8 897 264 ძირი იყო, ხოლო 2014 წელს 14 840 000 ძირი, მოიმატა 5 942 736 ძირით. ჩემი აზრით, ეს შედეგი საფერავზე მოთხოვნის ზრდამ გამოიწვია. მოთხოვნა გაიზარდა და რეგიონშიც უფრო მეტად დაიწყეს საფერავის მოშენება, ვიდრე ეს 2004 წლამდე ხდებოდა.

თავი 5: სტატისტიკური მონაცემები ყურძნის მოსავლის შესახებ. (რთველი 2016)

2016 წლის რთვლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, რომელიც ღვინის ეროვნული სააგენტოს ვებმისამართზეა განთავსებული, საქართველოში მთლიანად დაიკრიფა 117 777 ტონა ყურძენი. ვებმისამართზე ასევე განთავსებულია საქართველოში ყველაზე გავრცელებული ყურძნის ზოგიერთი ჯიშის დაკრეფილი რაოდენობა, მაგალითად, რქაწითელი 2016 წელს დაიკრიფა 65 088 ტონა, მისმა ღირებულებამ 51,498,487 ლარი შეადგინა , საფერავი - 42545 ტონა - 38 222 199 ლარი, კახური მწვანე - 3159 ტონა - 2 586 808 ლარი, ალექსანდრიულ- მუჯურეთული ვაზის ჯიშის ყურძენი დაიკრიფა 503 ტონა, რომლის ღირებულებამაც შეადგინა 2 491 895 ლარი, რაც შეეხება სხვა ჯიშებს, სტატისტიკური მონაცემებით, 6484 ტონა დაიკრიფა,რომლის ღირებულებამაც 5 697 957 ლარი შეადგინა. (http://georgianwine.gov.ge, თ. გ.)

რაც შეეხება მხოლოდ კახეთის რეგიონში 2016 წლის რთვლის მოსავლის რაოდენობას რაიონების მიხედვით, სტატისტიკური მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება: ახმეტის რაიონში სულ 5274 ტონა ყურძენი დაიკრიფა, რომლის ღირებულებამაც შეადგინა 4 766 404 ლარი. რაიონში დაიკრიფა 2583 ტონა რქაწითელი, 1862 ტონა საფერავი, 467 ტონა კახური მწვანე და 515 ტონა სხვა ჯიშის ყურძენი.

გურჯაანის რაიონში 2016 წლის რთველში ყურძნის საერთო რაოდენობამ შეადგინა 36090 ტონა, რომლის ღირებულებამ შეადგინა 31 351 069 ლარი. რაიონში დაიკრიფა 22927 ტონა რქაწითელი, 11809 ტონა საფერავი, 304 ტონა კახური მწვანე და სხვა ჯიშის 1204 ტონა ყურძენი.

დედოფლისწყაროს რაიონში ჯამში დაიკრიფა 1979 ტონა ყურძენი, რომლის ღირებულება შეადგენდა 1 770 406 ლარს, რაიონში რქაწითელის რაოდენობამ 1145 ტონა შეადგინა, 792 ტონა დაიკრიფა საფერავი, სხვა ჯიშის ყურძნის რაოდენობამ კი 196 ტონას მიაღწია.

თელავის რაიონში დაიკრიფა სულ 30078 ტონა ყურძენი, რომლის ღირებულებამ შეადგინა 25 546 259 ლარი, რაიონში დაიკრიფა 14666 ტონა რქაწითელი, 12028 ტონა საფერავი, 1094 ტონა კახური მწვანე და სხვა ჯიშის 2315 ტონა ყურძენი.

ლაგოდეხის რაონში სულ მოიკრიფა 2849 ტონა ყურძენი, მისი საერთო ღირებულება შეადგენდა 2 325 146 ლარს, ლაგოდეხის რაიონში რქაწითელის რაოდენობამ შეადგინა 2538 ტონა, საფერავი - 273 ტონა, სხვა ჯიშის ყურძენმა კი 191 ტონა.

საგარეჯოს რაიონში 2016 წელს მოიკრიფა სულ 9867 ტონა ყურძენი, რომლის საერთო ღირებულება შეადგენდა 9605 016 ლარს, რაიონში დაკრეფილი რქაწითელის რაოდენობამ შეადგინა 4387 ტონა, საფერავმა - 4324 ტონა, კახურმა მწვანემ - 906 ტონა, ხოლო სხვა ჯიშების ყურძენმა - 403 ტონა. (http://georgianwine.gov.ge, თ. გ.)

სიღნაღის რაიონში დაიკრიფა 7138 ტონა ყურძენი (6 044 009 ლარი). რაიონში დაიკრიფა 5417 ტონა რქაწითელი, 1684 ტონა საფერავი, 29 ტონა კახური მწვანე და 161 ტონა სხვა ჯიშის ყურძენი.

ყვარლის რაიონში 2016 წლის რთველში სულ დაიკრიფა 22 320 ტონა ყურძენი, რომლის საერთო ღირებულებამაც შედგინა 18 685 966 ლარი, რაიონში 11 415 ტონა რქაწითელი დაიკრიფა, 9777 ტონა საფერავი, 361 ტონა კახური მწვანე და 897 ტონა სხვა ჯიშის ყურძენი. (http://georgianwine.gov.ge, თ. გ.)

თავი 6: კახეთის რეგიონში არსებული ყურძნის გადამამუშავებელი კომპანიები და ქართული ღვინის ფასი

კახეთის რეგიონში ღვინის კომპანიები, რომლებიც ყურძნის ჩაბარებაზე და გადამუშავებზე არიან ორიენტირებულნი, რაიონების მიხედვით ასე ნაწილდება:

ახმეტის რაიონი: 1. ღვინის კომპანია შპს **„ბადაგონი“**, (www.nplg.gov.ge, თ. გ.) უახლესი მანქანა-დანადგარებით აღჭურვილი ქართულ-იტალიური მარანი, საშუალო წარმადობითა და საკუთარი ვენახებით. კომპანია "ბადაგონი" დაარსდა 2006 წელს. ქარხანა მდებარეობს მევენახეობის ძირითად რეგიონში, კერძოდ, კახეთში, სოფელ ზემო ხოდაშენში. წლებია უკვე კომპანია წარმატებით ოპერირებს როგორც ქართულ, ისე უცხოურ ბაზრებზე. თანამშრომლობს მსოფლიოში ყველაზე მოწინავე მეღვინეებთან და ლაბორატორიებთან.

დღეს ეს არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი საწარმო არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთლიანად კავკასიის რეგიონში. "ბადაგონი" დაჯილდოებულია საპატიო დიპლომებითა და მედლებით სხვადასხვა ეროვნულ და საერთაშორისო ფესტივალებზე.

2. ალავერდის მონასტრის მარანი, შპს ,,ბადაგონის“ დაფინანსებით აღორძინებული მონასტრის მარანი. **"ბერების ღვინო since 1011-დან"** ალავერდის მონასტრის მარნის ათასწლოვანი ბრენდია, რომელსაც მონასტრის ძმობა XI საუკუნის მარანში, კახური ენდემური ვაზის ჯიშებისაგან თიხის უნიკალურ ჭურჭელში- ქვევრში აყენებს. ალავერდის სამეფო მონასტერი ქვევრ-მარნით ოდითგანაა ცნობილი.

ალავერდის მონასტრის ისტორია VI საუკუნიდან იწყება. მონასტერი კახეთში, კავკასიონის ბუმბერაზი მთების ძირში, მდინარე ალაზნის დასავლეთით, ნაყოფიერ ველზე მდებარეობს, რომელიც კახეთ-ჰერეთის მეფეთა სალოცავი, წმინდანთა და მონაზონთა სამოღვაწეო და საცხოვრებელი ადგილია.

2006 წელს დაიწყო ამ უძველესი მარნის არქეოლოგიური შესწავლა, რომელმაც 60 ტონა ღვინის ტევადობის ორმოცდაათამდე ქვევრი გამოავლინა. აქ აღმოჩენილი ქვევრები ნატიფი მოყვანილობით და მიწაში ჩაფვლის განსაკუთრებული წესით გამოირჩევა.

XI საუკუნის მარნის აღდგენითი სამუშაოები კომპანია “ბადაგონის” ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა. განახლებული მარანი 2006 წლიდან ამოქმედდა. ღვინის კულტურის ეს უძველესი კერა ტრადიციული კახური ტექნოლოგიით დაყენებული ქვევრის ღვინის “ოქროს საბადოდ” იქცა, რომელიც XXI საუკუნეში ახალი სიცოცხლით გაბრწყინდა.

ქვევრში ღვინის დამზადება უძველესი ქართული ტრადიციაა. იგი საუკუნეების განმავლობაში თაობიდან თაობას გადაეცემოდა.ისტორიული ტრადიციისა და ტექნოლოგიის დაცვით, ალავერდის მონასტრის მარანში აღდგა და აღორძინდა ქვევრში კახური ტიპის ღვინის წარმოება. მასში ამ ადგილისათვის დამახასიათებელი კლიმატის, ჰაერისა და მიწის სურნელია მოქცეული. რაც ღვინის განსაკუთრებულ არომატს, გემოს ხავერდოვნებას, მაღალ ანტიოქსიდანტურ და სხვა სამკურნალო თვისებებს განაპირობებს.

3. შპს „ფალავანი“ ხარისხიანი თეთრი ყურძნის ზონაში მდებარე, მოძველებული, მაგრამ მუშა მდგომარეობაში მყოფი დანადგარებით.

4. სს „ახმეტის ღვინის სახლი“ (ახმეტის ქარხანა), დიდი ზომის, მაგრამ მოძველებული ქარხანა.

გურჯაანის რაიონი:

გურჯაანის რაიონი გამოირჩევა დიდი ზომის ღვინის საწარმოებით, რომლებშიც ძირითადად მოძველებული დანადგარებია.

1. გურჯაანის ღვინის ქარხანა;

2. შპს მუკუზანის ღვინის ქარხანა;

3. შპს ზეგაანის ღვინის ქარხანა;

4. შპს ვაჩნაძიანის ღვინის მარანი;

5. შპს ალავერდი;

6. კარდენახის ღვინის ქარხანა;

7. შპს ,,გუნა“.

დედოფლისწყაროს რაიონი:

1. შპს ,,მშვიდობა“;

2. ,,თუშიშვილის ღვინის სორტები;

3. ,,გონაშვილის მარანი“.

თელავის რაიონი:

თელავის რაიონში, ძირითადად, კონცენტრირებულია ღვინის ცნობილი კომპანიების მარნები, გლეხის მარნიდან დაწყებული საშუალო და უდიდესი მწარმოებელი კომპანიებით დამთავრებული.

1. შპს ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია (GWC), ერთ-ერთი პირველი და ხარისხიანი ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიაა. წარმოადგენს ჯგუფ **„Pernod Ricard Europe”**-ის ფილიალს საქართველოში;

2. შპს ,,თელავის ღვინის მარანი“;

3. ს/ს ,,თელიანი ველი“. სააქციო საზოგადოება “თელიანი ველი” დაარსდა 1997 წელს “თელიანის სამარკო ღვინოების მარნის” ბაზაზე, რომელიც ჯერ კიდევ XIX საუკუნეში აშენდა წინანდალში თელიანის ვენახების მახლობლად. განსაკუთრებული ნიადაგისა და მიკროკლიმატის გამო წინანდალი მუდამ ქართული მეღვინეობის ცენტრს წარმოადგენდა. ,,თელიანი ველი” ღვინის წარმოების ქართულ ტრადიციებს მისდევს და ამავდროულად იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს, მოტივირებული ახალგაზრდა პროფესიონალების ცოდნას. 2004 წლის მაისში ,,თელიანი ველმა“ დაამყარა სტრატეგიული ურთიერთობა ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკთან. ამ უკანასკნელმა შეიძინა “თელიანი ველის” აქციები. ამ ინვესტიციამ კომპანიას

საშუალება მისცა, აეშენებინა ახალი ღვინის საწარმო, საქართველოს საუკეთესო მიკროზონებში გაეშენებინა ახალი ვენახები, გაეუმჯობესებინა მარკეტინგული ინიციატივები და გაეზარდა უმაღლესი ხარისხის ღვინის გაყიდვები ადგილობრივ და საექსპორტო ბაზრებზე, ნაწილობრივ განეახლებინა არსებული საწარმოო დანადგარები და გაეზარდა წარმადობა. კომპანიამ საკმაოდ მცირე დროში შეცვალა მოძველებული საწარმოო ხაზი დასავლური ანალოგიით და დაამონტაჟა თანამედროვე იტალიური ყურძნის გადამამუშავებელი დანადგარი. (www.nplg.gov.ge, თ. გ.)

2005 წლის მაისში ,,თელიანი ველმა“ გახსნა სომელიეების პირველი სკოლა საქართველოში.

4. შპს ,,ნაფარეული“;

5. შპს ,,წინანდლის ღვინის ქარხანა“;

ლაგოდეხის რაიონი:

1. ,,ბაისუბნის ღვინის ქარხანა“.

საგარეჯოს რაიონი:

1. ხაშმის ქარხანა.

3. შპს ,,მანავის ღვინის მარანი“;

4. ს/ს ,,მანავი“;

5. ს/ს ,,ბადიაური“,

6. შპს ,,კახური ტრადიციული მეღვინეობა“. (www.nplg.gov.ge, თ. გ.)

ყვარლის რაიონი:

1. ს/ს ,კორპორაცია ქინძმარაული“; 2. შპს ,,ქინძმარაულის მარანი“; 3. შპს ,,საქართველოს მარანი“; 4. შპს ,,პეტერ მერტეს საქართველო“

სიღნაღის რაიონი:

1. შპს ,,ანგა“; 2. შპს ,,ტიბაანი“; 3. ს/ს ,,ხირსის ქარხანა“.

ასევე მინდოდა მეჩვენებინა ის სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც შეეხება ღვინის ქარხნების მიერ ყურძნის გადამუშავებას, რამდენი ადამიანია დასაქმებული ამ სფეროში, თუმცა მონაცემების სიმწირის გამო აღნიშნული ინფორმაცია ვერ მოვიპოვე.

რაც შეეხება უკვე წარმოებულ ღვინის ფასებს, ძალიან განსხვავებულია ფასები ადგილობრივსა და საზღვარგარეთის ბაზრებზე, ოჯახური წარმოების 10-წლიანი დაძველების 1 ლიტრი საფერავის ფასი კახეთში 10 ლარია, ქარხნის მიერ ჩამოსხმული ღვინო კი 17 ლარი ღირს, საზღვარგარეთ ესპორტირებული ღვინის ფასი კი 14-დან 24 $-მდე მერყეობს, ასეთი გასხვავება განპირობებულია იმით, რომ საქართველოში ოჯახში წარმოებული ღვინის ფასის წარმოქმნა განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით: მუშახელის ფასი, მიწის გადასახადი, შხამ-ქიმიკატების ფასი, რომელიც ვაზის შესაწამლადაა საჭირო. ამ გარემოებების გათვალისწინებით ოჯახში ღვინის ფასი შედარებით დაბალია და განპირობებულია მოთხოვნა-მიწოდების მიერ. ფასების რეგულაცია ხდება მყიდველისა და გამყიდველის შეთანხმების საფუძველზე.

რაც შეეხება საქრთველოს ბაზარზე ქარხნის მიერ ჩამოსხმული ღვინის ფასს, აქ სხვა ფაქტორები მოქმედებს. როგორიცაა ჩასაბარებელი ყურძნის ფასი, დაქირავებული მუშახელის ხელფასი, ქარხნის მოგების გადასახადი, ქარხნის საექსპლოატაციო ხარჯები, პროდუქციის რეკლამირებისა და ტრანსპორტირების ხარჯები და ბოლოს მაღაზიის მოგებისთვის დამატებული ღირებულება. ყველა ეს ფაქტორი საბოლოოდ მოქმედებს იმაზე, რომ საოჯახო წარმოების ღვინოსთან შედარებით ფასი თითქმის ორჯერ მეტია.

საზღვარგარეთ გატანილი ღვინის ფასი ბევრად მეტია ადგილობრივ ბაზრის ფასთან შედარებით, ეს განპირობებულია როგორც წარმოების პროცესში გაწეულ დანახარჯებზე, ასევე ამას დამატებულ ტრანსპორტირების ხარჯებზე საქართველოდან უცხოეთში, საქართველოდან ევროპაში ტრანსპორტირება უფრო ძვირია, ვიდრე ჩინეთიდან ან სამხრეთ აფრიკიდან. ერთი კონტეინერის ტრანსპორტირება საქართველოდან 3-4-ჯერ უფრო მეტი ღირს, ვიდრე ჩინეთიდან, იმიტომ რომ საქართველოდან მიწოდება ნაკლებია და თან შიდა გადაზიდვა ძალიან ძვირია: კახეთიდან ფოთამდე ტრანსპორტირება უფრო ძვირია, ვიდრე მთლიანი კონტეინერის გადაზიდვა სამხრეთ აფრიკიდან ჰოლანდიამდე. (ფაცურია, 2014) ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოში არსებობს მონოპოლია გადამზიდ კომპანიებზე, შესაბამისად გადაზიდვის ფასი მაღალი იქნება. ასევე ქართული ღვინის მაღალ ფასს განაპირობებს ისიც, რომ საქართველოში ღვინის პროდუქციის მასობრივი წარმოება არ ხდება, მაგალითად, ჩილეში ღვინის მასობრივი წარმოების გამო ღვინის ფასი 4-5 დოლარამდე მერყეობს (www.edeka24.de, თ. გ.) ევროპულ ბაზარზე. რაც განპირობებულია იმით, რომ ღვინს წარმოება არის მასობრივი, საწარმოო ხარჯები არის დაბალი, პროდუქციის ტრანსპორტირებაც დაბალია, რაც, რა თქმა უნდა, საბოლოოდ განაპირობებს პროდუქციის დაბალ ფასს ბაზარზე.

2016 წელს ჩილედან ჩინეთის ბაზარზე ექსპორტით 195 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ღვინო გავიდა, ამერიკის შეერთებული შტატების ბაზარზე კი - 183 მილიონის ღირებულები პროდუქცია, ხოლო დიდი ბრიტანეთის ბაზარზე ჩილედან 148 მილიონის ღირებულების ღვინის პროდუქცია გაუშვეს ექსპორტზე. (decanterchina, თ. გ.) ჩილეს მთლიანი ღვინის ექსპორტი დღეს შეადგენს 1,256 მილიარდ აშშ დოლარს. (Chilean Wine History, თ. გ.) რა თქმა უნდა, ჩილეს და საქართველოს ღვინის წარმოების მასშტაბები საკმაოდ განსხვავებულია, თუმცა, თუკი საქართველოშიც მოხდება ღვინის მწარმოებელი ქარხნების მოდერნიზაცია და თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისება, ამასთან კიდევ უფრო მეტად განვითარდება მევენახეობა, საქართველოს შეუძლია გახდეს კიდევ უფრო ძლიერი და წარმატებული მეღვინეობის კუთხით.

თავი 7: ქართული ღვინის ექსპორტი

2015 წელი

ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2015 წლის განმავლობაში, საქართველოდან მსოფლიოს 46 ქვეყანაში ექსპორტირებულია 36 071 399 ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც თანხობრივად 98 102 614 აშშ დოლარს შეადგენს. წლის დასაწყისში დაფიქსირებული ექსპორტის მკვეთრი მატება შენარჩუნდა წლის ბოლომდე ერთ-ერთ სტრატეგიულ ბაზარზე - ჩინეთში, სადაც ქართული ღვინის ექსპორტის ზრდამ 122%-ს მიაღწია. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სულ 12 თვეში ექსპორტირებულია 2 672 154 ბოთლი. ჩინეთმა ქართული ღვინის ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულში მეოთხე ადგილი დაიმკვიდრა რუსეთის, ყაზახეთისა და უკრაინის შემდეგ. ექსპორტის ზრდა ფიქსირდება ევროკავშირის მთელ რიგ ქვეყნებში: პოლონეთი 3% (1 600 302 ბოთლი), რომელიც ქართული ღვინის სტაბილურ, მზარდ ბაზარს წარმოადგენს. ასევე, ლიტვა - 4% (658 666), ესტონეთი - 54% (506 124), ნიდერლანდები - 58% (51 432), საფრანგეთი - 190% (37 956), დანია - 100% (34 840) და სხვა. ასევე აღსანიშნავია ექსპორტის ზრდა ისეთ სტრატეგიულ ბაზრებზე, როგორიცაა აშშ - 31% (248 075), კანადა - 48% (157 836), იაპონია - 5% (138 290), ექსპორტი აგრეთვე გაიზრდა ყირგიზეთში - 79% (185 514), ისრაელში - 48% (35 820), კორეაში - 37% (24 054) და სხვა. ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეული ასე გამოიყურება: რუსეთი - 18 308 177, ყაზახეთი - 5 195 949, უკრაინა - 3 412 453, ჩინეთი - 2 672 154 და პოლონეთი - 1 600 302 ბოთლი.(იხ დანართი დიაგრამა N:4) მთელ რიგ ქვეყნებში ექსპორტის ზრდის მიუხედავად, რეგიონში არსებული ცნობილი პოლიტიკურ-ეკონომიკური მოვლენების გამო, 2 უმსხვილეს ექსპორტიორ ქვეყანაში - რუსეთსა (-51%) და უკრაინაში (-56%) ექსპორტის მკვეთრი კლება აისახა წლიური ექსპორტის ჯამურ მაჩვენებელზე, რომელიც 2014 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 39%-ითაა შემცირებული. აღსანიშნავია, რომ ექსპორტის საერთო მაჩვენებელი შემცირებულია მხოლოდ 2014 და 2013 წლებთან შედარებით, როდესაც რამდენიმეწლიანი ემბარგოს შემდეგ გაიხსნა რუსეთის ბაზარი და ამ ქვეყანაში ექსპორტმა პიკს მიაღწია. მაგალითისთვის, 2012 წელს ექსპორტირებული იყო მხოლოდ 23,3 მლნ ბოთლი ღვინო, 2011 – 19,0 მლნ ბოთლი, 2010

– 14,8 მლნ ბოთლი, 2009 – 10,9 მლნ ბოთლი. ამასთან ერთად, 2015 წელს საქართველოდან 21 ქვეყანაში ექსპორტირებულია 7 266 755 ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც თანხაში 18,6 მლნ აშშ დოლარს აღწევს. საქართველოდან მსოფლიოს 7 ქვეყანაში ექსპორტირებულია 8,9 მლნ ლიტრი საბრენდე სპირტი, რაც თანხაში 26,5 მლნ აშშ დოლარია. გასულ წელს მსოფლიოს 21 ქვეყანაში ექსპორტირებულია ასევე 118 890 ბოთლი (0,5 ლ) ჭაჭა. ეს კი თანხაში 466,3 ათასი აშშ დოლარია. მთლიანობაში ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინომასალის, ჩამოსასხმელი ბრენდისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა 2015 წელს 146,5 მლნ აშშ დოლარს მიაღწია.(იხ. დანართი დიაგრამა N:3) (ღვინის ეროვნული სააგენტო, 2015)

2016 წელი

2016 წლის მონაცემებით, საქართველოდან მსოფლიოს 53 ქვეყანაში ექსპორტირებულია 50 მლნ-მდე ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 38%-ით აღემატება 2015 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. საანგარიშო პერიოდში ექსპორტირებულია 113.8 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ღვინო, რაც 16%-ით მეტია 2015 წლის მაჩვენებელზე. ექსპორტის მატება აღსანიშნავია ევროკავშირის, ჩინეთის, აშშ-ს და სხვა ტრადიციული ბაზრების მიმართულებით: ჩინეთში ღვინის ექსპორტის ზრდამ 2015 წელთან შედარებით შეადგინა- 98% (5 299 149 ბოთლი), უკრაინა - 70% (5 811 050), რუსეთი - 49% (27 222 076), პოლონეთი - 46% (2 329 820), კანადა - 34% (210 936), ბელარუსი - 30% (1 174 362), დიდი ბრიტანეთი - 28% (97 226), ესტონეთი - 25% (631 632), ყირგიზეთი - 24% (230 776), აშშ - 19% (294 382), ლატვია - 19% (1 258 632), იაპონია - 15% (159 654), გერმანია - 6% (292 454), ჩეხეთი - 353% (119 648) და სხვა. ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეული ასე გამოიყურება: რუსეთი (27 222 076 ბოთლი), უკრაინა (5 811 050), ჩინეთი (5 299 149), ყაზახეთი (3 393 435) და პოლონეთი (2 329 820). (იხ. დანართი, დიაგამა N:5) ამასთან, 2016 წელს მსოფლიოს 17 ქვეყანაში ექსპორტირებულია 10 367 886 ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც 43%-ით აღემატება 2015 წლის მაჩვენებელს. სულ ექსპორტირებულია 23,12 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ბრენდი - ზრდამ 2015 წლის ანალოგიურ

პერიოდთან შედარებით 24% შეადგინა. ექსპორტირებულ ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოებს შორის პირველ ადგილს იკავებს „ქინძმარაული“ – 7 417 333 ბოთლი, შემდეგ ხუთეულში მოდის „მუკუზანი“ – 2 568 547, „წინანდალი“ – 2 023 915, „ახაშენი“ – 923 780 და „ხვანჭკარა“ – 413 823 ბოთლი. მთლიანობაში, ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინომასალის, ჩამოსასხმელი ბრენდისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა საანგარიშო პერიოდში 194,3 მლნ აშშ დოლარს მიაღწია.(იხ. დანართი დიაგრამა N:3) 2015 წელს ეს მაჩვენებელი 146,5 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა - ზრდამ 32% შეადგინა. (ღვინის ეროვნული სააგენტო, 2016)

2017 წლის პირველი კვარტლის მონაცემები

ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2017 წლის იანვარ-მარტში საქართველოდან მსოფლიოს 38 ქვეყანაში ექსპორტირებულია 14 199 018 ბოთლი ღვინო, რაც 85%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მონაცემებს. საანგარიშო პერიოდში ექსპორტირებულია 32,2 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ღვინო, რაც 77%- ით აღემატება გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს. ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი სამანიშვილი აღნიშნავს, რომ „პირველი კვარტლის მონაცემებით, ღვინისა და სხვა ალკოჰოლიანი სასმელების ექსპორტი გასულ წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად გაზრდილია, რაც უმთავრესად განპირობებულია ღვინის ეროვნული სააგენტოსა და მეღვინეობის დარგის შეთანხმებული და თანმიმდევრული მუშაობით. ექსპორტი გაზრდილია ევროკავშირის, ჩინეთის, აშშ-ს და ასევე ტრადიციული ბაზრების მიმართულებით, გაზრდილია ექსპორტის გეოგრაფიაც. 2017 წელი აქტიურად დაიწყო და იმედია, რომ ექსპორტის ზრდის ტენდენცია წლის ბოლომდე შენარჩუნდება“. ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეულია: რუსეთი -8 987 745, ჩინეთი -1 794 200, უკრაინა - 1 305 508, პოლონეთი - 561 294 და ყაზახეთი - 473 515 ბოთლი.(იხ. დანართი, დიაგრამა N:6) გიორგი სამანიშვილის განცხადებით, ექსპორტის მატება აღსანიშნავია შემდეგ ქვეყნებში: ჩინეთი - 383% (1 794 200), ისრაელი - 333% (42 570), რუსეთი - 120% (8 987 745), კანადა - 55% (34 650), პოლონეთი - 27% (561 294), გერმანია - 22% (98 926), უკრაინა - 20% (1 305 508), აშშ - 7%

(66 714), ლატვია - 5% (255 896). ამასთან, მსოფლიოს 13 ქვეყანაში ექსპორტირებულია 3 302 962 ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც 51%-ით აღემატება 2016 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს. სულ ექსპორტირებულია 8,7 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ბრენდი - მატება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 71%-ს აღწევს. პირველ კვარტალში ექსპორტირებულია 46 990 ბოთლი (0,5 ლ) ჭაჭა, ზრდამ 142% შეადგინა. ჭაჭის ექსპორტით მიღებული შემოსავლები 137 ათას აშშ დოლარს შეადგენს, ზრდამ გასული წლის საანგარიშო პერიოდთან შედარებით 114%-ს მიაღწია. სააგენტოს ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მთლიანობაში, ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინომასალის, ჩამოსასხმელი ბრენდისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა საანგარიშო პერიოდში 58,5 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა(იხ. დანართი დიაგრამა N:3) - ზრდამ 2016 წლის პირველ კვარტალთან შედარებით 76% შეადგინა.

ამ სამი წლის ექსპორტის მაჩვენებლებს თუ დავაკვირდებით, ნათლად ჩანს, რომ საქართველოდან ღვინის ექსპორტი წლიდან წლამდე უმჯობესდება, თუკი 2015 წელს ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი 98 102 614 აშშ დოლარს შეადგენდა, 2016 წელს ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო გაიზარდა და 113.8 მლნ აშშ დოლარს შეადგენა, რაც 38%-ით მეტია წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით. 2017 წლის პირველი კვარტლის მონაცემის მიხედვით, ექსპორტიდან მიღებულმა შემოსავალმა 32.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 77%-ით მეტია 2016 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

საექსპორტო ქვეყნების ხუთეული ამ სამი წლის განმავლობაში უცვლელია: რუსეთი, პოლონეთი, უკრაინა, ყაზახეთი და ჩინეთი, თუმცა საგულისხმოა ის, თუ როგორ არიან ისინი განაწილებული რიგითობის მიხედვით, პირველ ადგილზე სამივე წელს რუსეთია, 2015 წელს მეორე ადგილზე ყაზახეთი იყო, მესამეზე - უკრაინა, შემდეგ კი ჩინეთი და პოლონეთი, 2016 წელს ეს მონაცემები შეცვლილია, პირველზე კვლავ რუსეთია, ხოლო მეორე და მესამე ადგილზე უკრაინა და ჩინეთი არიან, შემდეგ მოსდევს ყაზახეთი და ბოლოს კვლავ პოლონეთი, 2017 წლის პირველ კვარტალში პირველ ადგილზე ისევ რუსეთია, მეორე ადგილზე ჩინეთია, მესამეზე უკრაინა, პოლონეთმა მეოთხე ადგილზე გადაიწია, ხოლო ყაზახეთმა მეხუთე ადგილი დაიკავა.

ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ ჩინეთის ბაზარზე ქართული ღვინო უფრო მეტად პოპულალური ხდება და შესაძლებელია, რუსეთის ბაზარს გადაასწროს კიდეც.

გარდა ამ ხუთეულის ქვეყნებისა, ქართული ღვინო თითქმის მთელი მსოფლიოს მასშტაბით არის ექსპორტირებული, ღვინო ექსპორტირებულია ბრიტანეთში, იაპონიაში, აშშ-ში, კანადაში და სხვა. მართალია ეს ბაზრები ჯერ სათანადოდ არაა ათვისებული და ექსპორტზე ღვინო ჯერ მცირე რაოდენობით გადის, თუმცა სავარაუდოა, რომ ეს მაჩვენებლები ახლო მომავალში მოიმატებს, კარგი ხარისხითა და სათანადო რეკლამირებით ქართულ ღვინოს ნამდვილად შესწევს ძალა, რომ დაიკავოს მოწინავე პოზიციები ბაზარზე.

თავი:8 მეღვინეობის დარგის განვითარების დადებითი და უარყოფითი გარემოებები

მეღვინეობის განვითარებისთვის კახეთის რეგიონს დიდი პოტენციალი გააჩნია, ამაზე წინა თავებშიც ვილაპარაკე, რეგიონს აქვს გამორჩეული ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები, რაც ხელს უწყობს ვაზის ჯიშების ზრდა-განვითარებას და ასევე უკეთესი ხარისხის პროდუქციის მიღებას, ვიდრე იმავე ჯიშის სხვა ტერიტორიაზე, განსხვავებულ ბუნებრივ პირობებში მოყვანილი პროდუქტია.

ასევე კახეთის რეგიონში გვხვდება ისეთი მიკროზონები, რომლებიც ამა თუ იმ ჯიშის ყურძნისთვის იდეალურია, ნიადაგის მხრივ თუ კლიმატური პირობების გათვალისწინებით, ეს ყველაფერი კი ხელს უწყობ ხარისხიანი პროდუქციის მიღებას. მე უკვე ვისაუბრე იმის შესახებ, რომ კახეთის რეგიონში გვხვდება როგორც თეთრყურძნიანი, ასევე წითელყურძნიანი ვაზის ჯიშები, რქაწითელი და საფერავი კახეთის რეგიონის სავიზიტო ბარათია.

მეღვინეობის განვითარებას კახეთში ხელს უწყობს ასევე ის ფაქტი, რომ რეგიონს აქვს ვენახების გაშენების შესაძლებლობები, სხვა რეგიონებთან შედარებით მას ტერიტორიებიც მეტი აქვს და ბუნებრივი პირობებიც შესანიშნავ შესაძლებლობას იძლევა მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებისათვის. რეგიონი პირველ ადგილზეა ვენახების საერთო ფართობის მიხედვით საქართველოში და ასევე აქვს პოტენციალი, კიდევ უფრო მეტად გაზარდოს ეს მაჩვენენებელი.

დადებით მხარეებზე საუბართან ერთად აუცილებელია ვახსენოთ ის უარყოფითი გარემოებები, რომლებიც ხელს უშლის რეგიონში მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარებას, პირველ რიგში, ზემოთაც აღვნიშნე და კვლავ გავიმეორებ, ესაა სტიქიური მოვლენებისაგან დაუცველობა, სეტყვის მოსვლის შემთხვევაში არ არის დაცული ვენახები, რისკები კი ამ რეგიონში ყოველთვის დიდი იყო. ამ მოკლე ხანში უკვე რამდენჯერმე დაისეტყვა კახეთის სხვადასხვა რეგიონის ვენახები, სეტყვისაგან თავის დაცვის საშუალებები არსებობს, თუმცა რატომღაც საქართველოში და, მათ შორის, კახეთის რეგიონშიც, ეს საშუალებები არ გამოიყენება, სეტყვის ღრუბლების დამშლელი რაკეტები, მართალია, შემდეგ უარყოფითად მოქმედებს მოსავალზე, რადგან

იგი ტყვიას შეიცავს და გასროლილი და აფეთქებული რაკეტიდან გამოსული ტყვია ჰაერიდან ისევ მიწაში ხვდება, თუმცა, თუკი ალტერნატიული საშუალება არ არსებობს, ვენახების დასეტყვას ისევ ამ ხერხის გამოყენება სჯობს, ალტერნატიული და ყველაზე უსაფრთხო მეთოდი არის ვენახების გადახურვა ბადეებით, რაც დააკავებს სეტყვას და არ დაზიანდება ვენახი არც სეტყვისგან, არც შემდგომ ქიმიური დაბინძურებით, ამ მეთოდს იყენებენ ევროპის განვითარებული ქვეყნები: ესპანეთი, საფრანგეთი და ა.შ თუკი ეს პრობლემა კიდევ მოუგვარებელი იქნება, რა თქმა უნდა, რეგიონში მევენახეობის განვითარებას სერიოზული პრობლემები შეექმნება, რადგან მევენეხეები სერიოზულ ზარალს ნახულობენ სტიქიური მოვლენების შემდეგ.

ასევე აღსანიშნავია კახეთის რეგიონში ყურძნის გადამამუშავებელი ქარხნების სიძველე, იმ ქარხნების უმეტესობა, რომლებიც მე ზემოთ ვახსენე, საბჭოთა დროინდელია, შესაბამისად, თუ გვინდა, რომ კახეთში მოყვანილმა და დამზადებულმა ღვინომ ევროპის ბაზარზე მყარად დაიმკვიდროს ადგილი და კონკურენცია გაუწიოს ფრანგულ და ესპანურ ღვინოებს, მაშინ აუცილებელია ათვისებულ იქნას ის ინოვაციური მიდგომები და ტექნოლოგიები, რომლებიც დღეს მსოფლიოს მეღვინეობაში გამოიყენება.

მეღვინეობის სექტორის განვითარებისათვის ასევე ხელშემშლელი ფაქტორია ის, რომ გლეხს, რომელსაც მოჰყავს ყურძენი, არ აქვს სადაზღვევო სისტემა, რომლითაც სტიქიური მოვლენების შემთხვევაში დაცულად იგრძნობს თავს,

აღსანიშნავია მსოფლიო მასშტაბით ცნობადობის ნაკლებობაც, სათანადო რეკლამირების გარეშე ევროპისა და სხვა ქვეყნების ბაზრებზე დამკვიდრება ძალიან ძნელია, ამიტომ აუცილებელია, ამ კუთხით მეტი გაკეთდეს, რადგან საქართველოს ნამდვილად აქვს პოტენციალი, რომ თავისი ადგილი დაიმკვიდროს მსოფლიოში მეღვინეობის კუთხით.

აუცილებელია საზღვარგარეთის ბაზრების ათვისებასთან ერთად შიდა ბაზრის განვითარება და ათვისება, ღვინის ფასს დიდი მნიშვნელობა აქვს მისი მომგებიანობის თვალსაზრისით, გადამეტებული სიძვირე, როგორი ხარისხისაც არ უნდა იყოს პროდუქტი, მოგებას ვერანაირად ვერ მოიტანს.

დასკვნა

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კახეთი უძველესი დროიდან დღემდე ვენახისა და ღვინის ფლამანგია საქართველოში. იგი პირველია ყველა კომპონენტის მიხედვით: პირველია რეგიონებში ყურძნის წარმოების მიხედვით, წარმოებული ყურძნის 49 პროცენტი კახეთზე მოდის; პირველია ვენახის ფართობების მიხედვით - საქართველოს ვენახის ფართობების 68% კახეთს უკავია; შესაბამისად, პირველია ღვინის წარმოებისა და ღვინის ექსპორტის მიხედვითაც.

როგორც ვნახეთ, მევენახეობა-მეღვინეობა კახეთის რეგიონის მთავარი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაა, თუმცა სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში თვალნათლივ დავინახე, რომ მასალა ქართული მეღვინეობის შესახებ საკმაოდ მწირია, ძირითადად, საბჭოთა პერიოდში გამოშვებული ლიტერატურა ეხება მევენახეობა-მეღვინეობას. სტატისტიკური ინფორმაციები, რომლებიც საჭიროა სხვადასხვა ანალიზის გასაკეთებლად, ასევე მწირი რაოდენობითაა.

ნაშრომი კახეთის რეგიონში მეღვინეობის გეოგრაფიას ეხება, შემლებისდაგვარად შევეცადე აღმეწერა ყველა ის დადებითი თუ უარყოფითი გარემოება, რომლებიც მეღვინეობაზე ახდენს გავლენას. მეღვინეობაზე საუბრისას აუცილებელია მევენახეობის განხილვაც, რადგან იგი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა მეღვინეობის განვითარებისათვის.

დადებითი გარემოებებიდან, რომლებიც მოქმედებენ მეღვინეობის გეოგრაფიაზე, პირველ რიგში, აღსანიშნავია ის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები, რომლებიც დიდ ზეგავლენას ახდენს კახეთის რეგიონში მევენახეობის და მეღვინეობის განვითარებაზე. ამ საკითხზე მუშაობისას დავინახე, თუ რატომ გამოირჩევა კონრეტულად კახეთის რეგიონში მოყვანილი მოსავალი ხარისხით სხვა ტერიტორიაზე მოყვანილ იმავე ჯიშის მოსავალთან შედარებით. კახეთის რეგონის აქვს შესაძლებლობა, როგორც ტერიტიტორიის მხრივ, ასევე ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების გათვალისწინებით, რომ გახდეს კიდევ უფრო ძლიერი ამ დარგში.

2004 და 2014 წლის სასოფლო- სამეურნეო აღწერების მონაცემების დამუშავებისას გამოჩნდა, რომ კახეთში მევენახეობა კიდევ უფრო განვითრებულია , შესადარებლად 10-წლიანი ინტერვალი გამოვიყენე, თუკი 2004 წელს კახეთის ვენახების საერთო ფართობი 22 227 ათას ჰა-ს შეადგენდა, 2014 წელს ეს მონაცემი - 23 877 ჰა-ს შეადგენს, ანუ კახეთის რეგიონში ვენახების ფართობი 1650 ჰა-ით გაიზარდა, ასევე აღსანიშნავია, რომ რეგიონის ყველა რაიონში მისდევენ მევენახეობას, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს კახეთის რეგიონის პოტენცილს მევენახეობა-მეღვინეობის კუთხით.

იმისათვის, რომ დარგში ძლიერი გახდეს რეგიონი, აუცილებელია მოგვარდეს ის პრობლემები, რომლებიც დღეს არსებობს ამ მიმართულებით, პრობლემები კი ბევრია, მაგალითად, როგორც უკვე ვისაუბრე ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა სტიქიური მოვლენებისაგან თავდაცვის არ არსებობა, მართალია, გამოიყენება სეტყვის ღრუბლების გამფანტავი რაკეტები, თუმცა მისი გამოყენება, როგორც ზემოთ ვთქვი, შემდეგ გარემოსა და ნიადაგს აბინძურებს, ამიტომ საჭიროა ალტერნატიული გზების მონახვა ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად.

ამ დარგის განვითარებისათვის მოყვანილი მოსავლის გადამუშავებაც ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა, ის ქარხნები, რომლებიც დღეს რეგიონში ემსახურება მიღებული მოსავლის გადამუშავებას, საკმაოდ მოძველებულია, ძირითადად, საბჭოთა პერიოდშია აშენებული. რეგიონში არის თანამდეროვე ქარხნებიც, მაგალითად, იგივე ბადაგონი, რომელიც თანამდეროვე ტექნოლოგიებს იყენებს ღვინის დასაყენებლად, თუმცა მხოლოდ რამდენიმე ასეთი ქარხანა საკმარისი არაა იმისათვის, რომ რეგიონში მეღვინეობა კიდევ უფრო განვითარდეს. ამისათვის საჭიროა მასობრივად მოხდეს ქარხნების მოდერნიზაცია, ან სულაც თავიდან აშენდეს და ღვინის დამზადდეს იმ ტექნოლოგიების გამოყენებით, რასაც სხვა განვითარებულ ქვეყნებში იყენებენ.

ჩემს ნაშრომში შევეხე ღვინის ფასებს, ექსპორტს და იმ პრობლემებს, რაც ღვინის გასაღებას უშლის ხელს, ექსპორტირების პრობლემა, როგორც აღვნიშნე, არსებობს, რადგან 3-4 - ჯერ უფრო ძვირი ჯდება საქართველოდან პროდუქციის ექსპორტირება ევროპის ბაზარზე, ვიდრე ჩინეთიდან, ასევე ევროპის ბაზარზე ფეხის მოკიდებისათვის აუცილებელია სათანადო რეკლამირება, როდესაც ბაზარზე კახეთში წარმოებული

საფერავი დაახლოებით 30 დოლარამდე ღირს და, მაგალითად, ჩილეს წარმოებული წითელი ღვინო 4-5 დოლარი, სათანადო რეკლამირების გარეშე მყიდველი ყოველთვის შედარებით იაფ პროდუქციას მიანიჭებს უპირატესობას, რეკლამირებამ უნდა დაანახოს მომხმარებელს ის სასარგებლო თვისებები და ხარისხი, რაც კახურ ღვინოს გააჩნია. თუმცა ასეთ ფასში გაყიდვა ქართული ღვინისათვის მაინც რთულია, რადგან იგი ევროპის ბაზარზე კონკურენციას ვერ უწევს ფრანგულ, ესპანურ და იტალიურ ღვინოებს, ეს კი გამოწვეულია იმით, რომ ადგილობრივ ბაზარზე ამ ქვეყნების პროდუქცია დომინირებს და საქართველოდან ექსპორტირებულ ღვინოს მომხმარებელი მაინც ადგილობრივ ღვინოს ამჯობინებს, ეს ქვეყნები ასევე დიდ ყურადღებას აქცევენ პიარს, რეკლამირებას, რაც შესაბამისად მათი პროდუქციის გაყიდვას ზრდის.

საქართველოს მეღვინეობის განვითრებისათვის აუცილებელია რუსეთის ბაზრის გახსნა ქართული პროდუქციისათვის, რადგან საბჭოთა პერიდოდიდან მოყოლებული რუსეთში ქართულ ღვინოს დიდი ადგილი ეჭირა ბაზარზე, შესაბამისად, ცნობადობა რუსეთში და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში უფრო მაღალია, ვიდრე ევროპისა და ამერიკის ბაზრებზე, ამიტომ თუკი მოხერხდება და ქართული ღვინო კვლავ გავა რუსეთის ბაზარზე (მხედველობაში მაქვს დიდი რაოდენობით ღვინის ექსპორტი, თორემ იმ ქვეყნების ხუთეულში, სადაც ქართული ღვინის ექსპორტი მეტ-ნაკლებად წარმატებულია, რუსეთს პირველი ადგილი უკავია), ეს ხელს შეუწყობს საქართველოში, კონკრეტულ შემთხვევაში, კახეთის რეგიონში, მეღვინეობის კიდევ უფრო განვითარებას.

საბოლოო ჯამში, მეღვინეობის განვითრებისათვის აუცილებელია სახელმწიფოს ჩარევა ამ სექტორში და ხელშეწყობა, რაც მეღვინეებისა და მევენახეების მიმართ რეგულაციების გამარტივებაში უნდა გამოიხატოს. უნდა შეიქმნას სადაზღვევო სისტემა, რომელიც გლეხს და მეღვინეს შესთვაზებს ხელმისაწვდომ სადაზღვევო პაკეტებს, დარგის განვითრებისათვის აუცილებელია კაპიტალის მოზიდვაც.

რაც შეეხება ღვინის პროდუქციის გასაღებას, აუცილებელია გაიზარდოს და გაძლიერდეს მარკეტინგული ღონისძიებები, როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ისე საზღვარგარეთ.

მთლიანად საქართველოს და საკუთრივ კახეთის რეგიონს ნამდვილად შესწევს ძალა, გახდეს ერთ-ერთი ლიდერი მევენახეობა- მეღვინეობის კუთხით.

ბიბლიოგრაფია

,,გეოგრაფიის და ანთროპოლოგიის თანამედროვეობა“. საერთაშორისო კონფერენციის მასალები, მიძღვნილი აკად. ალ. ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლისთავისადმი. გვ. 208, 209, 210, 211, 212. . (თ. გ.).

Blaug, M. (1997). *The Methodology of Economics: Or, How Economists Explain.* Cambridge: Press syndicate of the university of cambridge.

elitetravel.ge. (თ. გ.). მოპოვებული http://elitetravel.ge/ge/საქართველოს-გალერეა/კახეთი-დან

geostat.ge. (თ. გ.). მოპოვებული სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტი: geostat.ge: http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/agriculture/census/ganyofileba5.pdf-დან

http://georgianwine.gov.ge. (n.d.). Retrieved from ღვინის ეროვნული სააგენტო: http://georgianwine.gov.ge/statistic/

www.edeka24.de. (n.d.). Retrieved from https://www.edeka24.de/index.php?cl=search&searchparam=wein&p=reload&0=&order=price+ASC

www.nplg.gov.ge. (თ. გ.). მოპოვებული http://www.nplg.gov.ge/gsdl/collect/ekonomik/index/assoc/HASH0196.dir/kaxregganvstr8.jpg-დან

გელაშვილი, ნ. (1961). *მეღვინეობა.* თბილისი.

ფაცურია, ნ. (2014 წლის 16 04). *bpn.ge*. მოპოვებული businesspressnews: https://bpn.ge/analizi/3828-fasi-qarthul-ghvinis-problema.html?lang=ka-GE-დან

დანართი

რუკა N:1 კახეთის რეგიონის ადმინისტრაციული დაყოფა



დიაგრამა N:1



დიაგრამა N:2



დიაგრამა N:3 ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი



დიაგრამა N:4

რუკა N2. რუკა შესრულებულია Arc GIS-ში ავტორის მიერ



დიაგრამა N: 5



დიაგრამა N: 6



რუკა N:3 რუკა შესრულებული AecGIS-ში ავტორის მიერ

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Beka Tchekhashvili

Winemaking geography in Kakheti region

Human Geography

Thesis submitted to the faculty of the Human Geography in partial fulfillment of the requirements for the degree of master of science

Supervisor: **Tamar Dolbaia**

Associate Professor, Academic doctor of geography

Tbilisi 2017

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

ეკატერინე წერეთელი

თბილისის გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება პარამეტრული ანალიზის საფუძველზე (უბნების მიხედვით)

საზოგადოებრივი გეოგრაფიის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო პროგრამა შესრულებულია საზოგადოებრივი გეოგრაფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: გეოგრაფიის დოქტორი, პროფესორი იოსებ სალუქვაძე

თბილისი, 2017

თბილისის გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება პარამეტრული ანალიზის საფუძველზე (უბნების მიხედვით)

ანოტაცია

თანამედროვე ქალაქებში გარემოს დაცვასა და ურბანიზაციის დონეს შორის წონასწორობის შენარჩუნება მეტად აქტუალური პრობლემაა. სწორედ ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია საკითხის კომპლექსური შეფასება და ანალიზი. ქალაქის განვითარება, უსაფრთხოება და ცხოვრების ხარისხი უშუალოდაა დაკავშირებული მისი ეკოლოგიური გარემოს ხარისხზე, აქედან გამომდინარე აუცილებელია ყველა იმ პრობლემის შესწავლა და გააზრება, რომელიც უკავშირდება თანამედროვე ქალაქის ეკოლოგიურ მდგომარეობას.

ნაშრომში წარმოდგენილია ქალაქ თბილისის ეკოლოგიური მდგომარეობის ანალიზი. კვლევა ჩატარდა სითი ინსტიტუტი საქართველოს საპროექტო და ეკოლოგიური ჯგუფების მონაწილეობით. იგი მოისაზრება 2017 წლის თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებითი სამუშაოების ნაწილად.

კვლევა მიზნად ისახავს ქალაქ თბილისის ეკოლოგიური ასპექტებისა და თავისებურებების განსაზღვრას. ხსენებული მიზნის მისაღწევად გამოყენებული იქნა პარამეტრული ანალიზის მეთოდი. თბილისის უბნების კვლევის წარმოებისათვის სამუშაოთა ფარგლებში ორი ძირითადი ამოცანა გამოიკვეთა:

- ეკოლოგიური პრობლემების იდენტიფიცირება, მათი გადაჭრის მეთოდებისა და არსებული საერთაშორისო გამოცდილებების შესწავლა;
- ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის ანალიტიკური შეფასება და მთავარი პრობლემების წარმოჩენა.

კვლევის საგანს წარმოადგენს თბილისის ეკოლოგიურ მდგომარეობასთან დაკავშირებული ძირითადი საფრთხეების, რისკებისა და შესაბამისი ურბანული ოპტიმიზაციის გზების

კვლევა. ასევე უკანასკნელი პერიოდის პროცესთან დადებითი და უარყოფითი მხარეების შეფასება.

კვლევის მეცნიერულ სიახლე: ხაზი გაესვა ეკოლოგიის როლს საქალაქო გარემოში. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში პირველად მოხდა თბილისის უბნების მიხედვით გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის წარმოჩენა პარამეტრული ანალიზით.

წარმოდგენილმა **კვლევამ მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანოს** თბილისის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებაში. დოკუმენტი მნიშვნელოვანია სამეცნიერო და პრაქტიკული გამოყენებისთვის. შედეგებისა და რეკომენდაციების გამოყენება და დანერგვა შესაძლებელია უშუალოდ გენერალური გეგმისა თუ არქიტექტორულ გეგმარებით გადაწყვეტილებებში.

Annotation

Maintaining balance between the environmental and urbanization levels in modern cities is a pressing issue. Hence it is very important to evaluate and analyze the problem. The city's development, safety and quality of life are directly related to the quality of its ecological environment, therefore it is necessary to study and understand all the problems associated with the ecological condition of the modern city.

The paper presents an analysis of the ecological condition of the city of Tbilisi. The research was conducted by the City Institute Georgia with participation of Project and Ecological groups. It is considered as part of activities for updating the General Plan for Land Use of Tbilisi in 2017.

The research aims to determine the ecological aspects and characteristics of the city. To achieve this purpose Parametric method of data analysis has been applied. There are two main tasks within the scope of the works for the research of Tbilisi districts:

• Identification of ecological problems, study of methods of their solution and existing international experience;

• Analytical assessment of the ecological situation of the city and identification of prominent issues.

The subject of the research is research of the main threats, risks and relevant urban optimization paths related to the ecological situation of Tbilisi, as well as assessing the positive and negative aspects of the last period.

Research News: The role of ecology in the urban environment was emphasized. For the first time within the past 5 years, the environmental situation of the environment was demonstrated through the parametric analysis of Tbilisi environment.

The presented research should play a significant role in improving the ecological condition of Tbilisi. The document is important for scientific and practical application. The results and

recommendations can be utilized and implemented directly in the decisions of the General Plan or Architecture.

სარჩევი

შესავალი 8

თავი 1. ქალაქის ეკოლოგიის შესწავლის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები..... 12

1.1 ძირითადი ცნებები და განმარტება 12

1.2 სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა: 18

თავი 2. თბილისის ეკოლოგიური მდგომარეობის კვლევა 23

2.1 რეკრეაციულ სივრცეებთან მიწვდომადობის კვლევის სტრუქტურა, მეთოდოლოგია და უცხოური გამოცდილება..... 23

2.2 კვლევის მონაცემთა ბაზა და ინფორმაციის წყაროები 36

2.3 კვლევის შედეგები: მონაცემთა შეფასება და სისტემატიზაცია..... 44

თავი 3. თბილისის ატმოსფერული ჰაერის კვლევა, შეფასება და ანალიზი 46

3.1 ჰაერის დაბინძურების ხარისხის კვლევა 46

3.2 ხმაურით დაბინძურების ხარისხის კვლევა..... 61

დასკვნა: 64

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა:..... 67

დანართი:..... 68

რუკების ჩამონათვალი: 81

რუკა 1. სარეკრეაციო სივრცეების ტიპები (2017 წ.) 81

რუკა 2: ურბანული მწვანე სივრცეების დაფარვა. იერარქიის მიხედვით (2017 წ.) 82

რუკა 3: უბნების მიწვდომადობა 2 ჰექტარი ფართობის მქონე მწვანე სივრცეებთან 500 მეტრის მანძილზე. (2017 წ) 83

რუკა 4: საცხოვრებლის განაშენებული ნაწილის მიწვდომადობა 2 ჰექტარზე დიდ მწვანე სივრცეებთან 500 მეტრის მანძილზე. (2017 წ) 84

რუკა 5: საცხოვრებლის განაშენებულ ნაწილში 2 ჰა ფართობის მქონე მწვანე სივრცეებთან 300 მეტრის მანძილზე მიწვდომადობა. (2017 წ) 85

ცხრილების ჩამონათვალი: 86

ცხრილი 1: უცხოეთის სხვადასხვა ქალაქის/ორგანიზაციის მიერ დაწესებული სტანდარტები.....86

ცხრილი 2: ერთ სულ მოსახლეზე არსებული ურბანული მწვანე სივრცეები უცხოეთის სხვადასხვა ქალაქებში.....86

ცხრილი 3: ევროპის ურბანული მწვანე სივრცეების მონაცემები 87

ცხრილი 4: უცხოეთის სხვადასხვა ქალაქის/ორგანიზაციის მიერ დაწესებული სტანდარტები.....88

ცხრილი 5: ყველა ურბანული მწვანე სივრცის ფართობი ერთ სულ მოსახლეზე.....89

ცხრილი 6: მხოლოდ ნაშენ ნახილში არსებული ურბანული მწვანე სივრცე ერთ სულ მოსახლეზე 90

ცხრილი 7: ყველა 0.5 ჰექტარზე დიდი ურბანული მწვანე სივრცე 91

ცხრილი 8: საცხოვრებელი ბინების წვდომადობა UGS-სთან ფართობისა და მანძილის მიხედვით (დაფარვა %) (0.5 ჰა-ზე დიდ UGS-თან 500 მ-ში).....92

ცხრილი 9: საცხოვრებელი ბინების წვდომადობა UGS-სთან ფართობისა და მანძილის მიხედვით (დაფარვა %) (2ჰა-ზე დიდ UGS-თან 500 მ-ში) 93

ცხრილი 10: საცხოვრებელი ბინების წვდომადობა UGS-სთან ფართობისა და მანძილის მიხედვით (დაფარვა %) (2 ჰა ზე დიდ UGS -თან 300 მ-ში).....94

ცხრილი 11: საცხოვრებელი ბინების წვდომადობა UGS-სთან დართობისა და მანძილის მიხედვით (დაფარვა %) (20-60 ჰა UGS-თან 1200 მ-ში) 96

ცხრილი 12: საცხოვრებელი ბინების წვდომადობა UGS-სთან, ფართობის და მანძილის მიხედვით (დაფარვა %)60+ ჰა UGS-თან 3200 მ მდე ბუფერში 97

ცხრილი 13: ნაშენ ნაწილში უბნის დაფარვა უბანული მწვანე სივრცით. 98

ცხრილი 14: ნაშენი ნაწილის უბნების დაფარვის % , 2 ჰა + ყველა მწვანე სივრცის, 500 მ ბუფერში99

ცხრილი 15: კარგი მიწვდომადობის მქონე თბილისის უბნები 101

ცხრილი 16: ცუდი მიწვდომადობის მქონე თბილისის უბნები.....101

შესავალი

თემის აქტუალობა. უკანასკნელი საუკუნის მანძილზე ქალაქების ზრდის ტემპისა და გარემოზე ანთროპოგენული ზეგავლენის მატება მრავალი დისკუსიისა და შესწავლის საგანი გახდა. ეკოლოგიური პრობლემების დროული გამოვლენა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება ქალაქგეგმარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად გამოიკვეთა. ურბანული პროცესების ტემპის ზრდის საპასუხოდ, უკანასკნელ წლებში, მრავალი თეორია შემუშავდა. შეიქმნა ასევე მრავალი სამეცნიერო ნაშრომი, სადაც ქალაქის მწვანე ურბანული გეგმარების მნიშვნელობა განიხილება.

დღესდღეობით თბილისში მწვავედ დგას ეკოლოგიური გარემოს გაუარესების საკითხი. ქალაქის ზრდასთან ერთად მატულობს დამაბინძურებელთა ოდენობა. აღნიშნულის გამო, ძალიან მნიშვნელოვანია მონიტორინგის გამართული სისტემის არსებობა, რათა მუდმივად მოხდეს მიმდინარე პროცესების თანადროული გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება და ანალიზი.

ასევე საკითხის აქტუალობა ხაზგასმულია საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებით. უკანასკნელ პერიოდში საზოგადოებაში გაიზარდა რეკრეაციული სივრცეების დაცვისა და განვითარების მოთხოვნა. შესაბამისად გენერალური გეგმის დამუშავებისათვის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად განისაზღვრა რეკრეაციული და ლანდშაფტური სიბრტყეებისადმი ქალაქის მიდგომის განსაზღვრა და ხსენებულ სივრცესა და ქალაქის ურბანულ ნაწილს შორის არსებული ბალანსის ოპტიმიზირება. ამ გეგმარებითი მიზნების განხორციელებისათვის უმნიშვნელოვანესია არსებული რეალობის სწორი შეფასება, რასაც ემსახურება მოცემული დოკუმენტი.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანია თბილისში არსებული ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება მისი ურბანული ერთეულების მიმართ და საფუძვლის შექმნა ქალაქის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ამაღლებაზე ორიენტირებული გეგმარებითი სამუშაოების წარმოებისათვის. ამისათვის საჭიროა შემდეგი ეტაპობრივი ამოცანების განხორციელება:

1) თბილისის რეალობაზე მორგებული და ხელმისაწვდომი მყარი დოკუმენტური მონაცემებით განხორციელებადი ანალიტიკური მეთოდის შემუშავება;

2) საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილებების ანალიზი, ანალიტიკური და გეგმარებითი მეთოდების სრულყოფის მიზნით;

3) შემუშავებული მეთოდის საფუძველზე ქალაქის არსებული ეკოლოგიური მდგომარეობის ანალიზი;

4) კვლევითი სამუშაოების შედეგად მიღებული შედეგების უკვე არსებულ კვლევებთან შეჯამება;

5) ქალაქის ტერიტორიაზე არსებული მთავარი დამაბინძურებლების გამოვლენა;

6) თბილისში არსებული ეკოლოგიური საფრთხეები და მათი ზემოქმედების მასშტაბების აღწერა;

კვლევის საგანი: ანალიტიკური კვლევის საგანს წარმოადგენს თბილისის ეკოლოგიურ მდგომარეობასთან დაკავშირებული ძირითადი საფრთხეები, რისკები და შესაბამისი ურბანული ოპტიმიზაციის გზები. ასევე უკანასკნელი პერიოდის პროცესთან დადებითი და უარყოფითი მხარეების შეფასება.

ნაშრომის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები: მეთოდი ეფუძნება გეოგრაფიულ და ეკოლოგიურ ანალიტიკურ მიდგომებს. რომლის ფარგლებშიც, მოხდა არსებული გეოგრაფიული და ეკოლოგიური მონაცემების თავმოყრა ერთიან ანალიტიკურ ბაზაში, ცხრილებისა და არსებულ ხელმისაწვდომ მონაცემებზე დაყრდნობით შემუშავებული გრაფიკული და კარტოგრაფიული მასალის სახით. შემდგომ, შედარებითი ანალიზის მეთოდის გამოყენებით, გამოვლინდა სენსიტიური არეალები და განისაზღვრა მათი ძირითადი მახასიათებლები. მიღებული შედეგები დაჯგუფდა განზოგადოებითი მიდგომებისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით.

ნაშრომში ყურადღება დაეთმო:

- ისტორიულად ქალაქების დაგეგმარებაში ეკოლოგიური როლის წარმოჩენას;
- თბილისის უბნების ინდივიდუალურ და უნიკალურ მახასიათებლებს;
- თბილისის ურბანული ერთეულების გეოგრაფიულ მახასიათებლებს;
- ეკოლოგიური მდგომარეობის მიხედვით თბილისის ცალკეული უბნების შედარებით შეფასებას.

ნაშრომის სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა: მოცემული ნაშრომის სამეცნიერო ღირებულებას განსაზღვრავს მისი მნიშვნელობა შემდგომი კვლევითი და ანალიტიკური სამუშაოების წარმოებისათვის. ამავდროულად ის გამოავლენს არსებული სტრუქტურული მიდგომების ნაკლოვანებებს და ხაზს უსვამს იმ ლიმიტაციებს, რომლებიც შექმნილია კონკრეტული სააღრიცხვო და კვლევითი მასალებისა თუ სისტემური მიდგომების ნაკლებობით. მოცემული გარემოების გათვალისწინებით დოკუმენტი გათვლითი ანალიტიკური მიდგომების საფუძველზე ქმნის ერთიან საყრდენ ბაზას, როგორც უშუალოდ დარგში, ასევე მომიჯნავე დისციპლინებში საორიენტაციო გადაწყვეტების შემუშავებისათვის.

დოკუმენტის პრაქტიკული მნიშვნელობა განისაზღვრება მისი საშუალებით შესთავაზოს ერთიანი დარგობრივი საფუძველი როგორც უშუალოდ გენერალური გეგმის გადაწყვეტებს ასევე იმ არქიტექტორულ გეგმარებით გადაწყვეტებს, რომლებიც მიღებული იქნება მასზე დაყრდნობით თუ მასთან მიმართებაში. განსაზღვრავს ქალაქის სხვადასხვა უბნებისათვის ეკოლოგიურ მახასიათებლებს, რომლებიც აწესებენ ერთგვარ საზღვარს მიმდინარე ურბანული პროცესებისათვის. ამ გზით ის ქმნის წარმოდგენას ქალაქის სხვადასხვა ურბანული ერთეულისათვის განვითარების ზოგად პოტენციალზე.

კვლევის მოსალოდნელი შედეგები. წარმოდგენილმა კვლევამ მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანოს თბილისის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებაში. როგორც ზემოთ აღინიშნა, კვლევა გაკეთდა თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის

ეკლოგიური ნაწილის ფარგლებში და შესაბამისად მისი გამოყენება პრაქტიკაშიც განხორციელდება.

კვლევამ მოსალოდნელია ასახოს ქალაქის ცენტრალური უბნების ურბანული გადატვირთულობა და გამოავლინოს გარეუბნების ეკოლოგიური უპირატესობა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმ არეალებში, სადაც ქალაქის ცენტრიდან მოშორებით ჩამოყალიბდა მონოფუნქციური ხასიათის ურბანული ერთეულები, ასევე მოსალოდნელია მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობის არსებობა. ეს რეალობა უფრო იმ რეკრეაციული და ლანდშაფტური სივრცეების ხარისხით არის განპირობებული, რომლებიც ასეთ არეალებში გვხვდება, ვიდრე მათი რაოდენობრივი ნაკლებობით, შესაბამისად მოცემული სცდება, როგორც კონკრეტული კვლევის ასევე გენერალური გეგმის კვლევით და გადაწყვეტით ჩარჩოს.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე: სამაგისტრო ნაშრომში ყურადღება დაეთმო თანამედროვე თეორიებს ქალაქმშენებლობაში. მოხდა ეკოლოგიის როლის წარმოჩენა საქალაქო გარემოში. ხაზი გაესვა ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის როლს. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში პირველად მოხდა თბილისის უბნების მიხედვით გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის წარმოჩენა პარამეტრული ანალიზით. გამოკვლეული იქნა 33 უბანი როგორც სარეკრეაციო, ისე ჰაერისა და ხმაურით დაბინძურების კუთხით. თბილისის ეკოლოგიური მდგომარეობის კომლექსური შეფასებისას შეიქმნა უახლესი რუკებიც.

თავი 1. ქალაქის ეკოლოგიის შესწავლის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები.

1.1 ძირითადი ცნებები და განმარტება

აღნიშნულ თავში მოყვანილი ტერმინების განმარტება მეტად მნიშვნელოვანია მკითხველისთვის, რადგან მათი უმეტესობა ჯერ კიდევ არ არის დანერგილი ქართულ ქალაქმშენებლობით სამეცნიერო ლიტერატურაში. სწორედ ამიტომ, ნაშრომის ადეკვატურად გაგების მიზნით უნდა განვმარტოთ:

მწვანე ღია სივრცეების ცნება ფართოდ გამოიყენება საერთაშორისო პრაქტიკაში. მწვანე ღია სივრცეებში მოიაზრება ყველა სივრცე ბუნებრივი ლანდშაფტებიდან, დეკორატიულ, მცირე ურბანულ პარკებამდე. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მწვანე ღია სივრცეების განსაზღვრება, კლასიფიკაცია და იერარქია არ არის საერთო ყველა ქვეყნისა თუ ქალაქისათვის. როგორც წესი, ყოველივე ეს განისაზღვრება იმ ძირითადი მიდგომებიდან და სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, რომელთაც ესა თუ ის საზოგადოება ისახავს.

მიუხედავად ამისა, ყველა ამ მიდგომას აერთიანებს ძირითადი ამოსავალი დებულებები: მწვანე, ღია სივრცეები არის სივრცეები ღია ცის ქვეშ და თავისუფალია შენობა-ნაგებობებისაგან, ისინი ფიზიკურად მიწვდომადია ყოველი ადამიანისთვის, სრულად ბუნებრივია (მცენარეულობით, წყლით ან გრუნტით დაფარული), ან მნიშვნელოვნად შეიცავს ბუნებრივი გარემოს ელემენტებს (ხე-მცენარეებს, ბალახს და ა.შ).

მწვანე ღია სივრცეების კლასიფიკაცია

ევროკავშირის ქვეყნების „ურბანული ატლასის“ (Urban atlass) ძირითად მსხვილ მწვანე ელემენტებს წარმოადგენს: წყალი, ტყეები, წყალჭარბი ჰაბიტატები, ნახევრად-ბუნებრივი სივრცეები და აგრო-კულტურული სავარგულები, ურბანული გამწვანება. აღნიშნული კლასიფიკაცია შესაბამისობაში მოდის თბილისის საჭიროებებთან, რადგან აქ მოცემული ყველა ელემენტი წარმოდგენილია ქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში. ესენია:

- წყალჭარბი ჰაბიტატები, ნახევრად-ბუნებრივი ან ბუნებრივი სივრცეები მდინარისპირა ჭალები ტბისპირა ჭაობები, მცენარეულობით ნაკლებ დაფარული კლდოვანი ფერდობები, მდელოები და ა.შ.

- აგრო-კულტურული სავარგულები - სასოფლო სამეურნეო სავარგულები ქალაქის ნაშენი ტერიტორიის გარეთ, სათიბ-საძოვრები.

- ტყეები - ის ბუნებრივი ან ხელოვნურად გაშენებული ტყის მასივები, რომლებიც გარს ერტყმიან თბილისის ნაშენ ნაწილს, ადმინისტრაციულ საზღვრებში.

შენიშვნა: აღნიშნული სივრცეების ძირითად მიზანს წარმოადგენს გარემოს დაცვა და გარემოს სერვისებით მდგრადი სარგებლობა (მაგ. ტყით სარგებლობა, ძოვება, სოფლის მეურნეობის პროდუქტის მოყვანა და ა.შ). ხოლო სარეკრეაციო დატვირთვა მათი მეორადი ფუნქციაა, რომელიც ძირითადი ფუნქციითაა შეზღუდული.

- წყალი - მდინარეების, ტბების, არხებისა და წყალსაცავების ერთობლიობა, კანონით განსაზღვრული გარემოსდაცვითი რეჟიმებით და მათი დაცულობის გათვალისწინებით.

- **ურბანული მწვანე, ღია სივრცეები** - პარკები, სკვერები და ა.შ. მათი ძირითადი დატვირთვა რეკრეაცია და საქალაქო ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაა, თუმცა ტერიტორიების გარემოსდაცვითი რეჟიმები გათვალისწინებულია საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი შეზღუდვების სახით. (ამასთან, ურბანული მწვანე ღია სივრცეები წარმოადგენს იმ სივრცეთა ძირითად ერთობლიობას, რომელთა საშუალებითაც ფასდება ერთ მოსახლეზე სარეკრეაციო სივრცეების ფართობი თუ სარეკრეაციო სივრცეებთან მიწვდომადობა).

ურბანული მწვანე სივრცეები - გამოიყოფა ორი ტიპის ურბანული სარეკრეაციო სივრცეები:

ფორმალური ურბანული მწვანე სარეკრეაციო სივრცე - ძირითადად, დეკორატიული, წინასწარ განსაზღვრული ფუნქციების მქონე სივრცე, როგორც სივრცობრივად, ასევე ფუნქციურად (ბილიკები სასეირნოდ, ზოგ შემთხვევაში, მათი გვერდის ავლის

შეზღუდვით, დეკორატიული ყვავილნარები და ფორმირებული ბუჩქები, დასასხდომად გამოყოფილი ადგილები, დეკორატიული ჩანჩქერები ან შადრევნები და ა.შ.)

ფორმალური მწვანე სივრცეებია:

- პარკი, სკვერი და ბაღი. თბილისში ასეთი სივრცეების მაგალითებია: ვაკის პარკი, რიყის პარკი, ბუკიას ბაღი და ა.შ;
- პლაჟი;
- გოლფის კორტები.

ბუნებრივი ურბანული სარეკრეაციო სივრცე - ბუნებრივი გარემოს ელემენტებით წარმოდგენილი მწვანე, სარეკრეაციო დანიშნულების სივრცე. მდინარის ჭალებისა თუ ბუნებრივი გუბურების, მინდვრებისა და ტყის კორომების სახით, ქალაქის ნაშენ ნაწილში.

ბუნებრივი ურბანული მწვანე სივრცეების ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფა განისაზღვრება მხოლოდ ადამიანისა და გარემოს დაცულობისა და უსაფრთხოებისათვის აუცილებელი მინიმუმით.

ბუნებრივი ურბანული მწვანე სივრცის მაგალითებია:

- ტყე-პარკი - მწვანე ღია სივრცე, სადაც ტყის საფარით დაფარულია 30%-ზე მეტი ტერიტორია
- ლანდშაფტური პარკი - მწვანე, სარეკრეაციო ღია სივრცე, სადაც ტერიტორიის 70%-ზე მეტი უკავია ტყით დაუფარავ ბუნებრივ ან ნახევრადბუნებრივ ლანდშაფტურ სივრცეებს.
- მდინარისპირა პარკი - პარკი, რომელიც მდებარეობს უშუალოდ მდინარის სანაპიროზე და სადაც უზრუნველყოფილია მდინარის სანაპიროსთან მისვლა დასვენებისა და რეკრეაციის მიზნით.
- ხაზოვანი სისტემები - წარმოადგენენ მნიშვნელოვან სარეკრეაციო მარშრუტებს, რომლებიც თავისთავად, გამოიყენება სასეირნოდ, სავარჯიშოდ, და გადასაადგილებლად,

ასევე ცხოველების გასეირნებისათვის. ხაზოვანი სისტემების ძირითადი ფუნქციაა დააკავშირონ ერთმანეთთან სხვადასხვა ტიპის ღია სივრცეები. იდეალურ ვარიანტში, ხაზოვანი სისტემები ეფუძნებიან ბუნებრივ-ლანდშაფტურ სისტემებს (მაგ. მდინარეთა ხეობების გასწვრივ).

ხაზოვანი სისტემებია: საფეხმავლო და სარბენი ბილიკები, საველოსიპედო გზები და ა.შ.

შენიშვნა: ხაზოვანი მწვანე სივრცეები განკუთვნილია მხოლოდ არამოტორიზებული ტრანსპორტით მოსარგებლეთათვის, გარდა სპეციალური საჭიროების მქონე პირთა გადაადგილების სპეციალური საშულებებისა.

გარდა ქვემოთ მოყვანილი სახეობრივი განსხვავებისა, მწვანე ღია სივრცეები განსხვავდება ფართობით, რაც შესაბამისად მოქმედებს მათი მნიშვნელობის მასშტაბებზე: რაც უფრო დიდია პარკი, მით მრავალფეროვანია მისი ფუნქცია და მით მეტია მისი მიზიდულობის ძალა. ამ პრინციპით, გამწვანებული ღია სივრცეები, დავყავით სამეზობლო, საუბნო, რაიონული, საქალაქო და აგლომერაციული მნიშვნელობის სივრცეებად. სხვადასხვა ქალაქებში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ექცევა როგორც ფართობის, ასევე ღია სარეკრეაციო სივრცის ფორმისა და რელიეფის თავისებურებებსაც კი.[1] და ა.შ. (თბილისის მწვანე სისტემების იერარქია უნდა დადგინდეს არსებული საკანონმდებლო რეგულაციებისა გათვალისწინებისა და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით).

რეკრეაციულ სივრეებთან მიწვდომადობა: ის უმოკლესი მანძილი, რომელიც მაცხოვრებლებმა უნდა გაიარონ ფეხით საკუთარი სახლიდან რეკრეაციულ სივრცემდე. (ქალაქის მწვანე-სარეკრეაციო სივრცეები უნდა იყოს ადვილად მისაწვდომი, ფეხით მოსიარულეთათვის, მათ შორის, გადაადგილების სირთულის ან სპეციალური საჭიროებების მქონე პირთათვის. შესაბამისად, ამ სისტემაში ვერ მოიაზრება რელიეფურად

[1] Open space strategy London; Open Space & Recreation Needs Study City of Sydney

გამოყოფილ და მაღალი დახრილობის ფერდობებზე განთავსებული სარეკრეაციო სივრცეები.)

ურბანული ეკოლოგია: მეცნიერება, რომელიც სწავლობს განაშენიანებულ, ბუნებრივ გარემოსა და ცოცხალი ორგანიზმების ურთიერთქმედებას ქალაქებსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე.

ურბანული ეკოსისტემა: ქალაქები განიხილება, როგორც ეკოსისტემა, რომელიც იყენებს და გარემოში გამოყოფს მატერიასა და ენერგიას.

ურბანული ლანდშაფტი: ქალაქის გეოგრაფიული გარემოს ტიპი და სტრუქტურა, რაც მოიცავს მის ბიოლოგიურ შემადგენლობას, ფიზიკურ გარემოსა და სოციალურ ტიპს.

ანთროპოგენური ეფექტები: პროცესები, ობიექტები, ან მასალები რომლებიც წარმოადგენენ ადამიანის აქტივობის შედეგს; განსხვავებით, ბუნებრივი, ადამიანის ზემოქმედების გარეშე განვითარებული ამავე ტიპის პროცესებისა და საგნებისგან.

არაგანახლებადი რესურსები: ბუნებრივი რესურსები, რომელთა რაოდენობა შეზღუდულია და განახლებას/აღწარმოებას არ ექვემდებარება, მაგ., ნავთობი, ქვანახშირი, ან ბუნებრივი აირი.

ბრაუნფილდი (Brownfield): ყოფილი ან არაეფექტურად გამოყენებადი, ხშირ შემთხვევაში საწარმოო ტერიტორიები, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია ხელმეორედ.

ჰაერის დაბინძურება: ჰაერში არსებული, ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედი ნივთიერებები.

მყარი ნაწილაკები: ის რასაც ხშირად მტვერს უწოდებენ, ჰაერში სხვადასხვა პროცესის შედეგად ხვდება, როგორიცაა საწვავის (ნახშირი და ნავთობპროდუქტები) წვა და ცემენტის წარმოება;

ნახშირჟანგი: არასრული წვის შედეგად მიღებული პროდუქტი. მთავარი წყაროებია ავტომანქანების გამონაბოლქვი (რომელიც წარმოიქმნება არასრული წვის შედეგად

არასაკმარისი ტემპერატურის გამო, ან შიგაწვის ძრავაში ჰაერის მიწოდების სისტემის გაუმართაობის გამო).

აზოტის ორჟანგი და ერთჟანგი: წარმოიქმნება საწვავის წვის შედეგად ძალიან მაღალ ტემპერატურაზე ჭარბი ჟანგბადის პირობებში. თბილისის შემთხვევაში, მთავარი წყაროა ავტომანქანების გამონაბოლქვი.

მიწისპირა ოზონი: წარმოიქმნება ნახშირწყლების, აზოტის ოქსიდებსა და ჟანგბადს შორის მიმდინარე ფოტოქიმიური რეაქციის შედეგად. იგი არის სმოგის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი, რაც ყველა დიდი ქალაქისთვის უზარმაზარ პრობლემას წარმოადგენს.

1.2 სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა:

გარემოს დაბინძურებას პოსტინდუსტრიულ მოვლენად მიიჩნევენ, თუმცა ეკოლოგიური პრობლემები არც ანტიკური საბერძნეთისთვისა და ძველი რომისთვის ყოფილა უცხო.

გარემოზე უარყოფითი ანთროპოგენული ზემოქმედების შედეგებს ჯერ კიდევ ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი აღწერდა (427-347 წ.წჩვ.აღ-მდე). უძველესი ქალაქები: ალექსანდრია, ბაბილონი, ნინევია და სხვანი თითქმის იგივე პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ რა პრობლემებიც დღევანდელი, ოცდამეერთე საუკუნის ქალაქებისთვის არის დამახასიათებელი.

რესპუბლიკური რომის პერიოდში კი მდიდარი მოქალაქეების ცენტრიდან პერიფერიებისკენ გადინების ტენდენცია შეიმჩნევა, რაც სავარაუდოა, ქალაქებში არსებულმა ცუდმა ეკოლოგიურმა პირობებმა გამოიწვია. ანალოგიური პრობლემები დამახასიათებელი იყო ანტიკური საბერძნეთის ქალაქებისთვისაც. ურბანიზაციის ნეგატიური შედეგები იყო: ჰაერისა და წყლის დაბინძურება, ბუნებრივი ლანდშაფტების გარდაქმნა, ცუდი სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა და სხვა.

საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ცვლილებამ, კულტურის ტრანსფორმაციამ, სახელმწიფო სტრუქტურების გაძლიერებამ უძველესი სამყაროს ურბანულ რევოლუციას მისცა დასაბამი.[2]

შუასაუკუნეებში მრავალ ქალაქს არ ჰქონდა გამწვანება. მხოლოდ XVIII-ს-ის პარიზში ჩნდება პირველი ხეივნები, შეკრეჭილი გაზონები, რომლებიც კერძო საკუთრებას-სასახლეების საპარკო ზონას წარმოადგენდნენ.

ეკოლოგიური მიდგომები სულ უფრო და უფრო იკიდებდა ფეხს XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის ქალაქმშენებლობაში. სწორედ ამ პერიოდში გაჩნდა ''იდეალური ქალაქების'' ცნებაც, რომელთაგანაც გამორჩეულია ებენეზერ ჰოვარდის ''ქალაქი-ბაღის'' კონცეფცია. ჰოვარდი მიიჩნევდა, რომ ქალაქი ეკონომიკური ზრდის ნაყოფი იყო, თუმცა საცხოვრებლად უვარგისი. რაც შეეხება სოფლებს, აქ პირიქით, შეზღუდული ეკოლოგიური

[2] Саваренская Т. „Западноевропейское градостроительство XVII-XIX веков“. – Москва. Строийздат 1987, 186 стр.

შესაძლებლობები, მაგრამ კარგი ეკოლოგიური პირობები გვხვდებოდა.[3] მისი ''ქალაქი-ბაღის'' იდეა პრაქტიკაში მეოცე საუკუნის პირველივე ნახევარში განხორციელდა. ამ იდეის პრინციპების გამოყენება ამერიკაში კი რედბორნში (Redburn – 1928), ნიუ-იორკის მახლობლად მოხდა.

XX ს-ის პირველ ნახევარში, აშშ-ში, ჩიკაგოს უნივერსიტეტში მუშავდება ორი კონცეფცია: ეკოლოგიური მიდგომები ქალაქების ანალიზის პროცესში და ურბანიზმი, როგორც ცხოვრების ფორმა. „ჩიკაგოს სკოლა" – სწორედ ამ სახელითაა ცნობილი მკვლევართა ის ჯგუფი, რომელმაც ქალაქებში მიმდინარე პროცესების შესწავლასა და ანალიზს უამრავი საინტერესო და მნიშვნელოვანი სამეცნიერო კვლევა მიუძღვნა.

1970-იანი წლების ბოლოს, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში თითქმის ერთდროულად ჩნდება ეკოლოგიური ქალაქის - ეკოპოლისის (Ecopolis) იდეა.[4] ეკოპოლისი ყველაზე მნიშვნელოვანი ევოლუციური საფეხურია ურბანიზმის, როგორც ქალაქმშენებლობის მიმართულების განვითარებისთვის. იგი გულისხმობს ქალაქების მშენებლობას გარემოსთან დაპირისპირების (კონფლიქტის) გარეშე და უზრუნველყოფს ჰაერის, წყლის, ნიადაგის და ბიოლოგიური ორგანიზმების სწორი ბალანსის შენარჩუნებას. ეკოპოლისის მიზანია მინიმუმამდე შეამციროს გარემოზე ადამიანის უარყოფითი ზემოქმედება, რათა შესაძლებელი გახადოს დედამიწაზე სოცოცხლის შენარჩუნება.

დღესდღეისობით სულ უფრო პოპულარული ხდება ტერმინ „livable City (საცხოვრებლად ვარგისი) ქალაქი", რომელიც ქალაქმგეგმარებლების მიერ უკვე ათწლეულების განმავლობაში გამოიყენებოდა. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ტოპ საცხოვრებლად ვარგისი ქალაქი ვანკუვერია. თუმცა ქალაქების უმეტესობა დიდი ეკოლოგიური პრობლემების წინაშე დგას. განვითარებული და განვითარებადი მსოფლიო, ამ მხრივ, განსხვავებულ სირთულეებს აწყდება: ასე, მაგალითად, განვითარებული ქვეყნების ქალაქებში მთავარ პრობლემას დაბინძურებული ჰაერი, რეკრეაციული ზონების ნაკლებობა და

[3] Giddens, Anthony

[4] Гутнов А, Глазычев В. „Мир Архитектуры. Лицо Города".

საზოგადოებრივი ტრანსპორტის პრობლემები წარმოადგენს, განვითარებადი ქვეყნების უპირველესი საზრუნავი კი არადამაკმაყოფილებელი სანიტარული პირობები და წყლის რესურსების ნაკლებად ხელმისაწვდომობაა.

2009 წლის თებერვლიდან აგვისტოს ჩათვლით, კომპანია „სიმენსმა" [5](„Siemens") და დამოუკიდებელმა კვლევითმა და საკონსულტაციო ფირმა „The Economist Intelligence Unit (EIU)"-მა შეისწავლა 30 ევროპული ქალაქი, რომელთა შორის უმეტესობა დედაქალაქი იყო. გარემოსა და კლიმატის დაცვის კუთხით განხორციელებული სამუშაოების შესაფასებლად გამოყენებული 30 ინდიკატორი დაიყო 8 ძირითად ჯგუფად: CO_2-ის ემისია, ენერგია, შენობები, ტრანსპორტი, წყალი, ჰაერი, ნარჩენების/მიწის გამოყენება და გარემოს ეკოლოგიური მართვა. კვლევის მეთოდოლოგია შემუშავებულ იქნა EIU-მის მიერ, დამოუკიდებელ ექსპერტებსა და „სიმენსთან" ერთად. შედეგად, ჩამოყალიბდა, ე.წ. მწვანე ქალაქების ინდექსი (**Green City Index**) – ქალაქების ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასების სისტემა, რომელმაც გამოავლინა თითოეული ქალაქის ძლიერი და სუსტი მხარეები. ამ პროექტის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი კი ის იყო, რომ ქალაქებს მიეცათ ერთმანეთის ცოდნისა და მიღწევების გაზიარების საშუალება.

ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ ვენაში ყველაზე კარგი გამწვანებაა, ლუბლიანაში ნარჩენების გადამუშავების საუკეთესო სისტემაა, დანიის ქალაქები ყველაზე ხშირად იყენებენ ქარის ენერგიას, პარიზში შესაძლებელია ველოსიპედებით უფასოდ სარგებლობა, სტამბულში დანერგილია ნაგავსაყრელებიდან მეთანის მიღების პროცესი, ტალინში კი ავტობუსები აღჭურვილნი არიან სპეცილური სისტემით, რომელიც შუქნიშნების მუშაობას მწვანე ტალღის პრინციპით უზრუნველყოფს.

ამგვარი კვლევები ჩატარდა მსოფლიოს ყველა კონტინენტზე, მათ შორის, აშშ-ისა და კანადის 27 ქალაქში, აგრეთვე, აფრიკასა და აზიაში. მწვანე ქალაქების ინდექსი ზომავს თითოეული ქალაქის, როგორც არსებულ ეკოლოგიურ სიტუაციას, ასევე ამ ქალაქების მზაობას, შემდგომშიც განახორციელონ გარემოს დაცვითი პროექტები. შერჩეული 30

[5] A summary of the Green City Index research series

ინდიკატორიდან 16 წარმოადგენს რაოდენობრივ მაჩვენებელს და ზომავს ქალაქში არსებულ ეკოლოგიურ სიტუაციას. ინდიკატორების მაგალითებია: CO2-ისემისია, ენერგიის მოხმარება, ნარჩენების რაოდენობა და ჰაერის დაბინძურება. დარჩენილი 14 ინდიკატორი წარმოადგენს ხარისხობრივ მაჩვენებელს, მაგალითად, – იღებს თუ არა ქალაქი ვალდებულებას გამოიყენოს უფრო მეტი განახლებადი ენერგია, გააუმჯობესოს შენობების ენერგოეფექტურობა, შეამციროს ნარჩენების წარმოება, მოახდინოს მათი გადამუშავება და ა.შ.

ინდექსი წარმოადგენს ყველა ინდიკატორის მიხედვით მინიჭებული ქულების ერთობლიობას. თითოეულ ინდიკატორს მიენიჭა სხვადასხვა წონა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ინდიკატორების უმეტესობას ერთნაირი წონა (მნიშვნელობა) აქვთ. 8 ძირითადი კატეგორიის ინდექსი შეფასდა 10-ქულიანი სისტემით (0-დან 10-მდე). საერთო ინდექსი წარმოადგენს ამ კატეგორიების ინდექსების ჯამს, სადაც ყველა კატეგორიის ინდექსს ერთნაირი მნიშვნელობა აქვს. მაქსიმალური საერთო ინდექსი შესაძლოა იყოს 100.

აღნიშნულმა კვლევამ გამოავლინა ლიდერი ქალაქები. კერძოდ, საერთო მაჩვენებლების ჯამით – საუკეთესო აღმოჩნდა კოპენჰაგენი.

აღნიშნულმა კვლევამ გამოავლინა ლიდერი ქალაქები. კერძოდ, საერთო მაჩვენებლების ჯამით – საუკეთესო აღმოჩნდა კოპენჰაგენი.

კოპენჰაგენმა ჯერ კიდევ 1960 წელს დაიწყო თავის ურბანულ ცენტრში მანქანების შემცირება. იგი ყოველწლიურად 2-3%-ით ზრდის ფეხით მოსიარულეთა გზებს. ავტოპარკინგი ჩაანაცვლა 18 სკვერმა, რომელთა საერთო ფართობი 100 000 $მ^2$. აქ ბევრი საჯარო დაწესებულება ქალაქის ცენტრშია და იქ მისვლა მხოლოდ ფეხით შეიძლება. ქალაქებში საფეხმავლო გზების გაფართოებამ ცენტრებში მნიშვნელოვანი მოგება ნახა ეკონომიკური და საცხოვრისის ვარგისიანობის კუთხით. თითოეულ ქალაქს თავისი ისტორია აქვს, რაც მათ უნიკალურობას სძენს და კარგია ფეხით სასიარულოდ. ამ ყველაფერს ხელს უწყობს კარგი საზოგადოებრივი ღონისძიებები.

ენერგიის რაციონალურად გამოყენებისა და სათბურის გაზების ემისიების შემცირების კუთხით ქალაქი ოსლო ლიდერობს, მისი ახალი საერთაშორისო აეროპორტი ხისა და ბიოენერგიის საუბნო სისტემის მეშვეობით თბება. სატრანსპორტო პრობლემების გადაჭრის კუთხით – ქალაქი სტოკჰოლმი; შენობების ენერგოეფექტურობის კუთხით – ქალაქი ბერლინი; წყლის რაციონალურად გამოყენებისა და ნარჩენების მენეჯმენტის კუთხით – ქალაქი ამსტერდამი, ჰაერის ხარისხის კუთხით – ქალაქი ვილნიუსი; გარემოს ეკოლოგიური მართვის კუთხით – ბრიუსელი. ამავე დროს, მიღებული შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ უპირობო ლიდერები გარემოს მდგომარეობის ხარისხის მიხედვით, ჩრდილოევროპული ქალაქებია: კოპენჰაგენი, ოსლო და სტოკჰოლმი. გამოიკვეთა მეტად სანდო კორელაცია მოსახლეობის ცხოვრების დონესა და ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის ხარისხს შორის. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ევროპის ქალაქთა პირველი ათეულიდან ცხრაში, მშპ-ის მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე 31 ათას ევროზე მაღალია.

გამორჩეულია ქალაქი ბრისტოლი რომელიც „2015 წლის ევროპის მწვანე დედაქალაქად'' იქნა აღიარებული. იგი ინგლისის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს. ბრისტოლში გაეშვა საპილოტე პროექტი, რომელიც კრძალავს ბავშვიანი ოჯახებისათვის პოპულარულ ადგილებში მოწევას. ეს ინიციატივა ორგანიზაცია „მოწევისგან თავისუფალი სამხრეთ-დასავლეთის" წევრებმა წამოიწყეს. მათ მიაჩნიათ, რომ ამით მოსახლეობას ეკოლოგიურად მისაღებ საცხოვრებელ პირობებს შეუქმნიან.

როგორც ჩანს, მდიდარი ქალაქები ბევრად უფრო მეტ ინვესტიციებს დებენ ენერგოეფექტურ ტექნოლოგიებში, ინფრასტრუქტურის განვითარებასა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოზიდვაში ეკოლოგიური პრობლემების გადასაჭრელად.

თავი 2. თბილისის ეკოლოგიური მდგომარეობის კვლევა

2.1 რეკრეაციულ სივრცეებთან მიწვდომადობის კვლევის სტრუქტურა, მეთოდოლოგია და უცხოური გამოცდილება

გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასების წინამდებარე ნაშრომი განიხილავს 2016 წლის თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ფარგლებში ურბანულ მწვანე სივრცეებთან მიწვდომადობას, ჰაერისა და ხმაურით დაბინძურების ხარისხს.

რეკრეაციულ სივრცეებთან წვდომადობის მდგომარეობის შეფასების პირველ ეტაპზე შესრულდა არსებული დოკუმენტირებული და ხელმისაწვდომი მასალების ანალიზი. მოხდა თბილისის ურბანული ტერიტორიის ეკოლოგიური შეფასება 33 ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის დონეზე. მოპოვებული იქნა მონაცემები მთლიანად უბნების სრულ ფართობზე, ურბანული ნაშენი ნაწილისა და სასოფლო ნაწილების ფართობებზე. ასევე ინფორმაცია სასოფლო ურბანული ნაწილისა და ურბანული საცხოვრებელი სახლებით დაფარული ნაწილების შესახებ, მოსახლეობის რაოდენობა უბნების მიხედვით და ერთ სულ მოსახლეზე ფართობი. უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს ურბანული მწვანე სივრცეების წვდომადობის ერთი კონკრეტული პარამეტრი, რომელიც გამოიყენება ყველა ქალაქში. სწორედ ამიტომ, კვლევისთვის ავირჩიეთ ის პარამეტრები, რომლებიც ზოგადად მიღებულია მსოფლიოს ცნობილ და სარეკრეაციო კუთხით კარგი მდგომარეობის მქონე ქალაქებში.

კვლევებისა და საექსპერტო ცოდნის საფუძველზე შემუშავებული იქნა თბილისის ეკოლოგიური ხარისხის რუკა. გამოვლინდა როგორც მაღალი, ისე დაბალი წვდომადობის მქონე უბნები.

შეფასებითი სამუშაოების შესრულებამდე, გაკეთდა აუცილებელი **გათვლითი დაშვებები**, ხოლო სამუშაოთა დასასრულს შეჯერდა დოკუმენტის დასკვნითი დებულებები.

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კარგი წვდომადობა ყველა პარამეტრით მხოლოდ რამდენიმე უბანს ექნება; ერთ სულ მოსახლეზე არსებული სარეკრეაციო სივრცეების

ფართობის რიცხვი ძირითადად თბილისის გარეთ მდებარე უბნებში არსებული სარეკრეაციო სივრცეების წყალობით გაიზრდება, რადგან ურბანული მწვანე სივრცეების საერთო ფართობის უდიდესი ნაწილი ზუსტად ამ რელიეფს მოწყვეტილ სარეკრეაციო სივრცეებზე მოდის (დენდროპარკი, ლისი, კუს ტბა, მთაწმინდის პარკი, ბოტანიკური ეთნოგრაფიული და ა.შ) - ხოლო ნაშენ ნაწილში მსხვილი სარეკრეაციო სივრცეები საერთოდ არ გვაქვს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მწვანე ღია სივრცეებში მოიაზრება ყველა სივრცე ბუნებრივი ლანდშაფტებიდან, დეკორატიულ და მცირე ურბანულ პარკებამდე. ამასთანავე, მწვანე ღია სივრცეების განსაზღვრება, კლასიფიკაცია და იერარქია განსხვავებულია ყველა ქვეყნისა თუ ქალაქისათვის. როგორც წესი, ყოველივე ეს განისაზღვრება იმ ძირითადი მიდგომებიდან, პრინციპებიდან და სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, რომელთაც კონკრეტული საზოგადოება ისახავს და სივრცე განაპირობებს. საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია დადგინდეს ის ძირითადი საეტაპო სამიზნე კრიტერიუმები, რომელთა დაკმაყოფილებაც, თბილისმა 2030 წლისთვის უნდა უზრუნველყოს.

- სარეკრეაციო სივრცეები უნდა უზრუნველყოფდნენ რეკრეაციისა და გართობისა თუ გამაჯანსაღებელი აქტივობების შესაძლებლობათა მრავალფეროვნებას.
- ქალაქის მწვანე-სარეკრეაციო სივრცეები უნდა იყოს ადვილად მისაწვდომი, ფეხით მოსიარულეთათვის, მათ შორის, გადაადგილების სირთულის ან სპეციალური საჭიროებების მქონე პირთათვის.
- მწვანე სივრცეების გადანაწილება უნდა იყოს თანაბარი, ქალაქის ნაშენი ტერიტორიის მთელ სივრცეზე და უნდა აკმაყოფილებდეს მოქალაქეთა საჭიროებებს არა მხოლოდ საქალაქო დონეზე, არამედ, ყველა უბნისათვის და თითოეული საცხოვრებელი ერთეულისათვის ცალ-ცალკე. სწორედ ამიტომ, კონტინენტური ევროპის ქალაქებში ერთ მოსახლეზე მწვანე სივრცეებთან წვდომადობის ერთ-ერთ ძირითად კრიტერიუმს სულ მცირე 2 ჰა ფართობის ღია სივრცესთან საცხოვრებლის

დაშორება წარმოადგენს.[6] და ა.შ. მაგალითად, ბერლინის უწყვეტად განაშენიანებული ნაწილის 2.2 მილიონ მოსახლეს (დაახლოვებით 60%) აქვს წვდომა მწვანე სარეკრეაციო სივრცესთან 500 მ მანძილზე[7].

აღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ კრიტერიუმები:

- ერთ სულ მოსახლეზე ქალაქის მასშტაბით მწვანე ღია სივრცეების მინიმალური ფართობი;
- თითოეული საცხოვრებლიდან, ფეხით სავალ მანძილზე (300-500 მ) მიწვდომადი მინიმალური ღია სარეკრეაციო სივრცის ფართობი;
- მწვანე ხაზოვან სისტემების ან მათში ჩართულ სარეკრეაციო სივრცეების სიახლოვე საცხოვრებლებთან;
- ბუნებრივი მწვანე სივრცეების წილი სარეკრეაციო სივრცეების საერთო ფართობში.

სხვადასხვა კატეგორიის მწვანე ღია სივრცეები განსხვავდება ფართობით, რაც შესაბამისად მოქმედებს მათი მნიშვნელობის მასშტაბებზე: რაც უფრო დიდია პარკი, მით მრავალფეროვანია მისი ფუნქცია და მით მეტია მისი მიზიდულობის ძალა. ამ პრინციპით, გამწვანებული ღია სივრცეები, დავყავით სამეზობლო, საუბნო, რაიონული, საქალაქო და აგლომერაციული მნიშვნელობის სივრცეებად. ლონდონის ღია სივრცეების სტრატეგიის კრიტერიუმები ასეთია.

---

[6] (Wu¨stemann, et.al, 2016); (Green Surge, "A TYPOLOGY OF URBAN GREEN SPACES, ECOSYSTEM SERVICES PROVISIONING SERVICES AND DEMANDS")

[7] (Urban Development Concept Berlin 2030)

ზონირებაში ასახვადობა	მიწვდომადობა საცხოვრებელი ადგილიდან	ფართობი	დონე და განმარტება
მოითხოვს ცალკე ზონას. შესაძლებელი ზონებია: ლანდშაფტური, სარეკრეაციო.	3.2-დან 8 კმ-ს მანძილზე	400 ჰა	ფართო ტერიტორიები, დერეფნები ან ღია სივრცის ქსელი, რომელთა უმრავლესობა საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდება და უზრუნველყოფს რეკრეარიულ, ეკოლოგიურ, ლანდშაფტის, კულტურულ და მწვანე ინფრასტრუქტურის სარგებელს. ობიექტებისა და თვისებების კომბინაციის შეთავაზება ლონდონში არის ადვილად ხელმისაწვდომი საზოგადოებრივი ტრანსპორტით და შეძლებენ დააკმაყოფილონ საუკეთესო პრაქტიკის ხარისხის სტანდარტებს.
მოითხოვს ცალკე ზონას. შესაძლებელი ზონებია: ლანდშაფტური, სარეკრეაციო.	3.2 კმ	60 ჰა	მეტროპოლიური (აგლომერაციული) მნიშვნელობის მწვან სივრცე, ფართო სარეკრეაციო, გარემოსდაცვითი, აქტიური და პასიური დასვენების თუ სპორტული აქტივობების სივრცე, საკემპინგე არეალებითა, ცხოველთა გასასეირნებელი

			სივრცეებით და ბუნებრივ გარემოზე დაკვირვების შესაძლებლობებით, დაცული ბუნებრივი ლანდშაფტებით.
მოითხოვს ცალკე ზონას. შესაძლებელი ზონებია: ლანდშაფტური, სარეკრეაციო.	1.2 კმ	20 ჰა	საქალაქო მნიშვნელობის მწვანე სივრცე - ლანდშაფტური ღირებულების, სივრცეების მიმდებარედ. (მდინარისპირები, ტყის კორომები და ა.შ) მრავალფეროვანი სპორტული აქტივობების, აქტიური და პასიური დასვენების სივრცეებით, ცხოველთა გასასეირნებელი სივრცეებით.
მოითხოვს ცალკე ზონას. შესაძლებელი ზონებია: ლანდშაფტური, სარეკრეაციო.	400 მ-ს მანძილზე	2 ჰა	სარაიონო მნიშვნელობის მწვანე სივრცე, აქტიური და პასიური დასვენების, სათამაშო მოედნებისა და სპორტული აქტივობებისათვის უზრუნველყოფით, ცხოველთა გასასეირნებელი სივრცეებით. სარეკრეაციო სივრცის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, აქ არ მოიაზრება ვიწრო და გრძელი სივრცეები, გარდა მდინარისპირა პარკის შემთხვევისა (აქაც, სულ მცირე, პარკის სიგანე არ უნდა იყოს 40 მ-ზე ნაკლები.

მოითხოვს ცალკე ზონას. შესაძლებელი ზონებია: ლანდშაფტური, სარეკრეაციო.	400 მ-ზე ნაკლები	2 ჰა	საუბნო მნიშვნელობის მწვანე სივრცე აქტიური და პასიური დასვენების, სათამაშო მოედნებისა და სპორტული აქტივობებისათვის უზრუნველყოფით, ცხოველთა გასასეირნებელი სივრცეებით.
არ მოითხოვს ცალკე ზონის სახით გამოყოფას და ინტეგრირებულია სხვა ზონებში დაშვებული მიწათსარგებლობის სახით. ასეთი ზონებია: საცხოვრებელი, საზოგადოებრივ-საქმიანი, შერეული ზონა	400 მ-ზე ნაკლები მანძილი	0.4 ჰა-მდე	სამეზობლო მნიშვნელობის მწვანე სივრცე ფორმალური ან არაფორმალური მცირე პარკი ან სკვერი, ხანმოკლე, პასიური დასვენებებისთვის, წახემსებისთვის და ა.შ. ცხოველების გასასეირნებელი არეალების წვდომადობის ხარვეზები, მაქსიმუმ 300 მ მანძილზე საცხოვრებლიდან, ''ივსება'' სამეზობლო მნიშვნელობის მწვანე სივრცეებზე ტერიტორიების გამოყოფით.
არ მოითხოვს ცალკე ზონის სახით გამოყოფას და ინტეგრირებულია სხვა ზონებში დაშვებული მიწათსარგებლობის სახით. ასეთი ზონებია: საცხოვრებელი	რამდენიც შესაძლებელია	ცვალებადი	ხაზოვანი მწვანე სისტემა - საფეხმავლო-საველოსიპედო ბილიკების ქსელი, იდეალურ ვარიანტში, მწვანე, ლანდშაფტური სივრცეების, მდინარეთა სანაპიროების გასწვრივ ან გზისპირას, ხე-მცენარეების ჩრდილით უზრუნველყოფილი.

საზოგადოებრივ-საქმიანი, შერეული ზონა, სპეციალური, ინდუსტრიული			

[8]

რეკრეაციულ სივრცეებზე საუბრისას აგრეთვე უნდა აღინიშნოს ის დაშვებაც, რომ ძველი საწარმოების ტერიტორიაზე, ე.წ ბრაუნფილდების მიმდებარედ, ნაკლები გამწვანება იქნება ისევე, როგორც პოლიცენტრულ სივრცეებში, რადგან ეს ძირითადად ადგილები საქმიანი ცენტრებით არის დატვირთული. მწვანე სივრცეების ნაკლებობა იქნება სასაფლაოების სიახლოვესაც. ეს ადგილები რეალურად რეკრეაციულ სივრცეებს წარმოადგენდნენ, თუმცა ახლა ამ ტერიტორიებზე მწვანე სივრცეების ნაკლებობა აღინიშნება.

მნიშვნელოვანია დავაკვირდეთ უბნებში დიდი და პატარა სკვერების თანაარსებობას. სავარაუდოდ, ადგილობრივი მცხოვრებლები პატარა პარკებში გასეირნებას დიდ პარკებში დროის გატარებას არჩევენ. მსგავს შემთხვევაში გამოდის, რომ დიდი პარკების თანაასებობა პატარა სკვერებთან ამ უკანასკელს უკარგავს ფუნქციას.

აუცილებელია ვახსენოთ ლანდშაფტებთან სიახლოვეც. ლეგიტიმური იქნებოდა დაშვება იმის შესახებ, რომ ლურჯი ლანდშაფტების მიმდებარედ შედარებით უკეთესი ეკოლოგიური მდგომარეობა იქნება.

უცხოური გამოცდილება

ურბანული მწვანე სივრცეების (UGS) წვდომადობა მწვანე ფართობების მნიშვნელობის გამო დაგეგმვისა და კვლევის უფრო მნიშვნელოვანი ასპექტი გახდა ქალაქის მაცხოვრებელთათვის. თუმცა მიხედავად იმისა, რომ UGS ხელმისაწვდომობა ურბანულ

[8] Best Open Space Strategies. Mayor of London. Commission for Architecture and the Built Environment, 2009. გვ. 22-25;

დაგეგმარებაში ადამიანის ჯანმრთელობისა და კეთილდღეებისთვის არის მნიშვნელოვანი ინდიკატორი, ქალაქების ფარგლებში რთული სოციალურ-ეკოლოგიური ურთიერთქმედების მხოლოდ ერთი-ერთი კომპონენტია.

მწვანე ფართობების არსებობა ურბანული მაცხოვრებლებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. პარკებს, ურბანულ რეკონსტრუქციებს, ბაღებსა და სხვა ღია სივრცეებს თავიანთი ყოველდღიური დასვენების, საჭიროებებისა და მრავალი სხვა მომსახურებისთვის იყენებენ. დღესდღეისობით სიახლეს არ წარმოადგენს ის, რომ ურბანული მწვანე სივრცეები (UGS) აუცილებელია ქალაქების დასახლებისა და მისი კარგად ფუნქციონირებისთვის. ისინი: (1) თამაშობენ დიდ როლს დასვენებასა და ჯანმრთელობაში, ყოველდღიური ცხოვრების ხელშეწყობაში; (2) წვლილი მიუძღვით ბიომრავალფეროვნების კონსერვაციაში; (3) ხელს უწყობენ ქალაქის კულტურულ თვითმყოფადობას; (4) გთავაზობენ ადგილებს ბუნებაში გამოცდილების მიღებისთვის; (5) ხელს უწყობს და აუმჯობესებს ქალაქის გარემოსდაცვით ხარისხს; და (6) გვეხმარებიან ქალაქის ტექნიკური პრობლემების ბუნების გზით (დახმარებით) გადაჭრაში.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამაა ცნობილი ქალაქებში UGS- ის დადებითი მხარეების შესახებ, მათი განვითარება, მენეჯმენტი და შენარჩუნება კვლავაც რჩება გამოწვევად. ეს გამოწვევა რამდენიმე მიზეზითაა: (1) UGS, როგორც ეროვნულ, ასევე ადგილობრივ დონეზე, ბევრ ქვეყანაში დაბალი პრიორიტეტი აქვს მინიჭებული და მათთვის გამოყოფილი ბიუჯეტი შეზღუდულია (2) მზარდი აქცენტი ორიენტირებულია უფრო ინტენსიური განვითარების საჭიროებაზე - ყურადღება გამახვილებულია მაღალი სიმკვრივის "კომპაქტ ქალაქის" კონცეფციაზე, როგორც ევროპის მომავალი ქალაქების მოდელი და რომელიც ნაკლებად სვამს კითხვას იმაზე თუ როგორ და სად უნდა იქნას მწვანე ფართები ამ მოდულში; და (3) აქცენტირებულია ასევე ბრაუნფილდების განვითარებაზე და აღიარებენ, რომ უფრო ინტენსიური ურბანული განვითარება შესაძლოა ხანდახან მოიცავდეს არსებული UGS-ს შემცირებას.

თბილისის ეკოლოგიური მდგომარეობის უშუალო ანალიზის დაწყებამდე მნიშვნელოვანია, გავეცნოთ საერთაშორისო გამოცდილებებს.

ურბანულ სივრცეებთან წვდომადობაზე საუბრისას, უმთავრესად უნდა აღინიშნოს ის, რომ **არ არსებობს ერთი რომელიმე, კონკრეტული სრულყოფილი ინდიკატორი.** მოძიებული ლიტერატურის მიხედვითაც, რომლებიც ევროპული ქალაქების შესახებ მოიცავს ინფორმაციას, საუკეთესო მიწვდომადობა ჯერ-ჯერობით არ გამოვლენილა. ყველა ქვეყანა იყენებს სხვადასხვა ინდიკატორს. კვლევების მიხედვით მრავალფეროვანი სურათი გამოიკვეთა ევროკავშირის მასშტაბით. სამხრეთ ევროპულ ქალაქებში გვხვდება საშუალო მიწვდომადობა, რაც ახსნილია ცოტა ტყისა და ნაკლები ხეების რაოდენობით, ასევე ქალაქების ისტორიებით. თუმცა, ჩრდილოეთ ევროპის ქალაქებში საშუალო ხელმისაწვდომობის მაჩვენებლები მხოლოდ ბიოფიზიკური პირობებისა და ზოგადად მდიდარი ტყის არსებობის შედეგი არ არის. ეს ასევე განაპირობა ურბანული ცხოვრების ჩრდილოეთ ევროპულმა მიდგომამ, რაშიც მოიაზრება არსებულ ტყეებთან ახლოს ცხოვრება.

UGS-ს უკეთესი და უფრო მკაფიო მენეჯმენტისათვის, მდგრადობისა და ადამიანისთვის კეთილდღეობის მქონე ქალაქების განმაპირობებელი მიზნების მისაღწევად, ზოგიერთი ქალაქი უზრუნველყოფს UGS- ს ერთ სულ მოსახლეზე ბარიერის მნიშვნელობას, ანუ UGS-ის მინიმალურ "მიწვდომოდობას".

ევროპული ქალაქებში UGS-ს მიწვდომადობის შესაფასებლად, იყენებენ GIS- ის ანალიზში არსებული მიწათსარგებლობისა (შემდგომში მიწის ნაკვეთზე) და კონცენტრაციის მონაცემები. მიწის საფარის მონაცემები მოწოდებულია ევროპის გარემოს დაცვის სააგენტოს მიერ [9] და ასევე გვაქვს ევროპული ურბანული ატლასის მიწის ნაკვეთის მონაცემებით. ურბანული ატლასის მონაცემები ითვალისწინებს 27 ქვეყნის 299 დიდ ურბანულ ზონას (მათ შორის ქალაქების გარშემო მგზავრობის ზონებს). ხორვატია,

[9] EEA, http://www.eea.europa.eu/data-and-maps/data/urban-atlas)

ევროკავშირში გაწევრიანებული ბოლო წევრი, არ შედის ამ კვლევაში. ურბანული ატლასის მონაცემები დაფუძნებულია სატელიტიდან გადაღებულ გამოსახულებაზე 2.5-მეტრიანი სივრცული რეზოლუციით, რაც მოიცავს ყველა ევროპულ ძირითად ქალაქსა და 100 000-ზე მეტი მაცხოვრებლის მქონე უფრო ფართო ურბანული ზონებისთვის შესაფერის მონაცემებს. მაგალითად, ბერლინის უწყვეტად განაშენიანებული ნაწილის 2.2 მილიონ მოსახლეს (დაახლოებით 60%) აქვს წვდომა მწვანე სარეკრეაციო სივრცესთან 500 მ მანძილზე[10].

საუკეთესო წვდომადობაზე საუბრისას უნდა ვახსენოთ ვანკუვერი, რომელიც შედის ტოპ საცხოვრებელ ქალაქებში. ამ ქალაქში მიღებულია, რომ ურბანულ მწვანე სივრცესთან მიწვდომადობა უნდა იყოს 5 წუთის სავალზე. ნეიჩერალ ინგლენდის, ისევე როგორც ამერიკის გარემოს დაცვის სააგენტოს რეკომენდაციით ეს დრო 5 წუთს უტოლდება (Pickard et al., 2015). ხოლო ევროპული ინდიკატორის მიხედვით მაქსიმალური დრო 15 წუთია. **(ცხრილი 1)**

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) მოწოდებით, ერთ სულ ადამიანზე ყველა ქალაქში უნდა იყოს 9 $მ^2$ მწვანე სივრცე. ბუეოს-აირესში ეს ციფრი 1.9$მ^2$-ს უტოლდება , ტოკიოში - 3$მ^2$, სტამბულში - 6.4 $მ^2$, სინგაპურში - 66 $მ^2$, ვენაში - 120 $მ^2$, ლონდონში - 27 $მ^2$, ამსტერდამში - 45.5 $მ^2$, სტოკჰოლმში 87.5 $მ^2$. [11](**(ცხრილი 2)**

ქალაქი ბერლინი, მიზნად ისახავს სულ მცირე 6 $მ^2$ UGS-ს ერთ სულ მოსახლეზე[12] ხოლო გერმანიის სხვა ქალაქის, ლაიფციგის მიზანია უზრუნველყოს 10 $მ^2$ UGS ერთ სულზე (ქალაქი Lieipzig, 2003.) აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ეს ციფრი არის ის მინიმუმი, რომელიც ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ უბანშიც კი უნდა მივიღოთ ერთ სულ მოსახლეზე რეკრეაციული სივრცეების ფართობის გამოთვლის შემდეგ.

---

[10] (Urban Development Concept Berlin 2030).

[11] TOP livable cities

[12] Senatsverwaltungfür Stadtentwicklung und Umwelt, 2013

მწვანე სივრცეების ტიპოლოგია, ეკოსისტემების რეზერვების მომსახურება და მოთხოვნები გვიჩვენებს ევროპული ქალაქების შესახებ მონაცემებს. მონაცემები გვაქვს როგორც ერთ სულ მოსახლეზე გათვლილ მწვანე სივრცეებზე, ასევე მწვანე სივრცეებს + ტყეებზე. ირკვევა, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ერთ სულ მოსახლეზე 27.25 $მ^2$ ურბანული მწვანე სივრცეა. სამხრეთ ევროპაში ეს რიცხვი 10.97$მ^2$-ს უტოლდება. თითქმის, მიახლოებულია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სტატისტიკაც 13.71$მ^2$, ხოლო ყველაზე მაღალი ეს რიცხვი ჩრდილო ევროპის ქვეყნებშია 32.95 $მ^2$ [13]**(ცხრილი 3)**

მოპოვებული ინფორმაციით, საჯარო მწვანე სივრცეების (პარკები და ბაღები) პროცენტული რაოდენობა მსოფლიოში ასე გამოიყურება: მოსკოვი 54.00% (Department of natural resources, 2013), სინგაპური 47.00% (National Parks Board, 2011), სიდნეი 46.00% (New South Wales Department of Planning, 2010), ვენა 45.50% (Vienna Annual Statistics 2014), მადრიდი 35.00% (Archivo del Ã• rea de Gobierno de Las Artes, Deportes y Turismo. Ayuntamiento de Madrid, 2014), ჰონგ კონგი 40% (Agriculture, Fisheries and Conservation Department, 2015), ლონდონი 33% (Greenspace Information for Greater London CIC, 2013), რაც შეეხება ამსტერდამს 13% (Statistics Netherlands/TNO, 2015), და ბერლინს 14.40% (Berlin.de, 2011).

ცუდი მდგომარეობაა დუბაიში 2% (Dubai Culture and Arts Authority, 2015), სტამბულში 2.20% (Istanbul Metropolitan Municipality, 2015), მუმბაიში 2.5% (Tata Institute of Social Sciences, 2011), შანხაიში 2.8% (Shanghai Theatre Academy, 2014), ტაიპეი 3.60% (Parks and Street Lights Office, Taipei City, 2014). რაც შეეხება საქართველოს, თბილისის მონაცემი 7.2 $მ^2$-ია. **(ცხრილი 4)**

ფულერისა და გასტონის (2009) მიერ იდენტიფიცირებულია ის, რომ UGS-ის უფრო მაღალი წილი შეიძლება მოიძებნოს ჩრდილოეთ და ცენტრალურ ევროპულ ქალაქებში (20-40%), ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქალაქებში UGS- სთან წვდომა 10% -ზე ნაკლებია.

[13] Typology of urban green spaces

გამოქვეყნებული იქნა ევროპაში UGS- ის პროპორციული დაფარვისა და პროპორციული ღირებულებების განაწილება სადაც დასკვნის სახით ითქვა, რომ UGS უფრო უკავშირდება ქალაქის არეალს, ვიდრე მოსახლეობის რაოდენობას. კომპაქტური ქალაქები მაღალი მოსახლეობის სიმჭიდროვე აჩვენებენ, რაც იწვევს ერთ სულ მოსახლეზე მწვანე სივრცეების საკმაოდ დაბალ მაჩვენებელს, ეს კი სამხრეთ ევროპის ქალაქებში გხვდება.

საფრანგეთის ქალაქ ნანტში (Nantes), იმ მოქალაქეების პროცენტულობა 100%-ს უტოლდება. ვინც 300მ-ის დაშორებით ცხოვრობს მწვანე სივრცესთან. ჯერ კიდევ 1999 წლიდან.[14] სკანდინავისა და დასავლეთ ევროპულ ქვეყნებში, როგორიცაა ავსტრია და ჩრდილო-დასავლეთ გერმანია, მცხოვრები მოსახლეობის ორ მესამედს მწვანე სივრცეებთან წვდომადობა აქვთ 500-მეტრი მანძილის ფარგლებში. გარდა ამისა, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, პოლონეთი, სლოვაკეთი და ჩეხეთის რესპუბლიკას მაღალი სტანდარტი აქვთ. პირიქით, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქალაქებში შედარებით დაბალი მოთხოვნებია. უნგრეთში, ბულგარეთსა და რუმინეთში მთელ რიგ ქალაქებში, მოსახლეობის 40% -ზე ნაკლებია 500-მ-ის დაშორება 2-ჰა-მინიმუმ UGS- დან. ეს ასევე ეხება სამხრეთ ევროკავშირის ქალაქებს, განსაკუთრებით საბერძნეთსა და ზოგიერთ ქალაქს იტალიასა და ესპანეთში. რაც შეეხება 2-ჰა-მდე მინიმალური UGS- ს 300 მ-ში მცხოვრებ მოსახლეობას, სკანდინავიის ქალაქების გარდა, 80% -ზე მეტს მაღალი მაჩვენებლები აქვთ. ქალაქებში, როგორიცაა Umeå და Göteborg შვედეთი, თითქმის მთელი მოსახლეობა ცხოვრობს UGS- თან ახლოს.

ბერლინის ურბანული კეთილდღეობისა და გარემოს დეპარტამენტი რეკომენდაციას იძლევა, რომ ყველა მაცხოვრებელს უნდა ჰქონდეს UGS- ის მისაწვდომობა მინიმუმ 0.5 ჰექტარზე 500 მეტრის დაშორებით. დიდ ბრიტანეთის რჩევით, ქალაქის მაცხოვრებლებმა უნდა მიიღონ ბუნებრივი მწვანე ფართობი მინიმუმ 2 ჰექტარზე, 300 მეტრის დაშორებით სახლისგან (ჰენლი და სხვები. , 2003). ჰოლანდიური "მწვანე ქალაქის სახელმძღვანელო" პროექტი გულისხმობს, რომ ყველა საცხოვრებელი სახლი უნდა იყოს 500 მეტრში მწვანე

[14] world cities culture forum

ქსელის ნაწილიდან (Roo, 2011). საბოლოო ჯამში, ევროპის გარემოსდაცვითი სააგენტო (EEA) რეკომენდაციას იძლევა, რომ ადამიანებს უნდა ჰქონდეთ 15 წუთიანი დაშორება მწვანე სივრციდან, რაც დაახლოებით 900-1000 მ-ია.(Stanners and Bourdeau, 1995). მსგავსი სტრატეგია არსებობს მსოფლიოს სხვა ნაწილში ქალაქებში, როგორიცაა ჩრდილოეთ ამერიკაში, სადაც აქცენტი გაკეთებულია ხეებზე.

2.2 კვლევის მონაცემთა ბაზა და ინფორმაციის წყაროები

თბილისის ტერიტორიაზე სარეკრეაციო სივრცეების მდგომარეობის შესასწავლად მნიშვნელოვანია ვიკვლიოთ სამი ასპექტი:

1) მწვანე სარეკრეაციო სივრცეებთან მარტივი მიწვდომადობა (საცხოვრებლიდან ადეკვატური დაშორება, ასევე ქალაქის ურბანულ ნაწილში თანაბარი განაწილება);

2) მწვანე სარეკრეაციო სივრცეების ადეკვატური ფართობი ერთ სულ მოსახლეზე;

3) მწვანე სარეკრეაციო სივრცეების მრავალფეროვნება (იერარქია);

სანამ უშუალოდ თბილისის შედეგებზე ვისაუბრებთ, აუცილებელია, აღინიშნოს რა გაკეთდა ანალიზისთვის. თბილისი დაყოფილია 33 უბნად. კვლევისათვის საჭირო იყო ზუსტად გვქონოდა მონაცემები როგორც უშუალოდ უბნების, ასევე ურბანული ნაშენი და სასოფლო ნაშენი ნაწილების ფართობებზე. გვქონოდა ინფორმაცია როგორც ურბანული საცხოვრებელი სახლებით დაფარული ნაწილების, ასევე უბნების მიხედვით მოსახლეობის რაოდენობის შესახებ. ეს მონაცემები საჭირო იყო იმისთვის, რომ უბნების მიხედვით დაგვედგინა:

- ყველა ურბანულ მწვანე სივრცესთან წვდომადობა 0.5 ჰა-ზე მეტი სივრცით;
- ყველა ურბანული მწვანე სივრცე ერთ სულ მოსახლეზე;
- მხოლოდ ნაშენ ნაწილში არსებული ურბანული მწვანე სივრცე 1 სულ მოსახლეზე;
- საცხოვრებელი ბინების წვდომადობა UGS-თან ფართობისა და მანძილის მიხედვით (დაფარვა %). (საცხოვრებლის რა % არის მოქცეული როგორც 0.5 ჰა-ზე დიდ UGS-თან 500მ-ში, ასევე 2 ჰა-ზე დიდ UGS-თან 300 მ-ში. ასევე გამოვითვალეთ საცხოვრებლის რა %-ია 20-60 ჰა UGS-თან 1200მ-ში.), და გამოთვლილი იქნა ნაშენ ნაწილში უბნის დაფარვა ურბანული მწვანე სივრცით.

მოცემული გამოთვლების შემდეგ დავაჯგუფეთ უბნები მაღალი და დაბალი მონაცემების მიხედვით და საბოლოოდ გამოვავლინეთ როგორც კარგი, ასევე ცუდი მიწვდომადობის მქონე უბნები.

დასაწყისისთვის უნდა აღინიშნოს, რომ კვლევაში არ მიმოვიხილავთ გარე ლანდშაფტს. გენ-გეგმის მასშტაბებიდან გამომდინარე არსებული მასალებით მაღალი სიზუსტის ინფორმაციად შეიძლება ჩავთვალოთ 0.5 ჰექტარზე დიდი სარეკრეაციო სივრცეების შესახებ ინფორმაცია - ვიკვლევთ მინიმუმ 0.5 ჰექტრიდან პარკებისა და სკვერების მაგალითს. ანალოგიურად ვითვლით ერთ სულ მოსახლეზე სივრცესაც და სხვა პარამეტრებსაც.

რუკებში შეტანილია შემდეგი სივრცეები:

1) **საერთო სარგებლობის სარეკრეაციო სივრცეები** (ყველა ის მწვანე, რაც ეკუთვნის სახელმწიფოს-მუნიციპალიტეტს და არის უფასო) - მასალა მოწოდებულია მერიის მიერ, თუმცა ეს არის სამუშაო ვერსია და ინვენტარიზაციის მონაცემების არარსებობის გამო შესაძლოა აკლდეს გარკვეული სივრცეები, სწორედ ამიტომ, ცდომილებების გამოსარიცხად არ ვითვლით 0.5 ჰა-ზე მცირე პარკებს;
2) **სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები და მუზეუმები მწვანე სარეკრეაციო ტერიტორიებით** (ზოოპარკი, დენდროპარკი, ეთნოგრაფიული მუზეუმი, ბოტანიკური ბაღი) - შეზღუდული წვდომით - **რადგან ვიზიტისთვის საჭიროა თანხის გადახდა;**
3) **კერძო ტერიტორიები,** რომლებსაც გააჩნიათ მნიშვნელოვანი სარეკრეაციო ფუნქცია და აქტიურად გამოიყენებიან. (იპოდრომი, კუს ტბა, ლისის ტბა, გლდანის ტბა);

თბილისში არის **33 უბანი**. ქალაქი რთული რელიეფით გამოირჩევა, მისი განაშენიანება მოქცეულია სწორედ ყველაზე ადვილად ხელმისაწვდომ ტერიტორიებზე და აღნიშნული რესურსის უდიდესი ნაწილი უკვე ათვისებული აქვს, ხოლო განაშენიანების გარე კონტური ცალკეული გამონაკლისების გარდა, სწორედ რთული და შედარებით რბილი რელიეფის „გადასვლის“ ხაზია (ნაშენი-უშენის რუკა). რა თქმა უნდა, ქალაქის უბნებში მცხოვრები

მოსახლეობის რაოდენობა განსხვავებულია, ისევე როგორც საერთო მწვანე სივრცეების რაოდენობა, სწორედ ამიტომ, უბნების მიხედვით მივიღებთ განსხვავებულ შედეგებს.

რთული რელიეფიდან გამომდინარე სარეკრეაციო სივრცეების წვდომადობა შეზღუდულია, მათ შორის, უშუალოდ გარე ლანდშაფტთან საცხოვრებლის სიახლოვე არ ნიშნავს, რომ მწვანე სარეკრეაციო სივრცეებია ხელმისაწვდომია (მაგ.სოლოლაკი, მთაწმინდის ფერდობები ან ყეენის და ლისის მთების ძირი და ა.შ).

შესაბამისად, მნიშვნელოვანია ცალკე ვიკვლიოთ რამდენად მრავალფეროვანი და თანაბრად განაწილებულია ქალაქის სარეკრეაციო სისტემა ნაშენ ნაწილში შიდა პარკებითა და სკვერებით.

მეთოდოლოგია

დავითვალეთ

1) სარეკრეაციო სივრცეების მთლიანი ფართობი ერთ სულ მოსახლეზე;

2) ქალაქის ნაშენი ნაწილის რა წილია დაფარული სარეკრეაციო სივრცეებით;

3) საცხოვრებლის რა წილია დაფარული სარეკრეაციო სივრცეებით;

4) ნაშენ ნაწილში არსებული სარეკრეაციო სივრცეების ფართობი ერთ სულ მოსახლეზე (რეალურად ეს ძალიან მცირე ციფრია.)

გამოყენებული ინდიკატორები ასე გამოიყურება:

- 0.5 ჰა-ზე დიდ 500 მ
- 2 ჰა-ზე დიდ 500 მ
- 2 ჰა-ზე დიდ 300 მ
- 20-60 ჰა 1200 მ
- 60 + 3200 მ

ყველა ურბანული მწვანე სივრცე ერთ სულ მოსახლეზე უბნების მიხედვით:

ყველა მწვანე სივრცე 1 სულ მოსახლეზე კვადრატულ მეტრში სულ თბილისში არის 7.19 კვ.მ/კაცზე. ყველაზე კარგი შედეგი არის ჩუღურეთში (ზემო ჩუღურეთში) 108.38 კვ.მ/კაცზე, ასევე კრწანისში (კალა, ორთაჭალა 53.67კვ.მ/კაცზე) ვაკე, ბაგებში 22.42 კვ.მ/კაცზე, ასევე ნაძალდევში 17.56კვ.მ/კაცზე, თუმცა ამ მხრივ დაბალი მონაცემებით გამოირჩევა ნავთლუღი და ლილო, სადაც საერთოდ არ იკვეთება UGS 1 სულზე. ეს რიცხვი ძალიან დაბალია ნუცუბიძის მიკრორაიონებში (0.26), ქვედა სამგორში (0.41), მუხიანში (0.53 კვ.მ/კაცზე) ფონიჭალაში (0.65 კვ.მ/კაცზე), ძველი ნაძალადევისა და ლოტკინის ტერიტორიაზე (0.73 კვ.მ/კაცზე), ავჭალასა და გლდანისხევში (0.75 კვ.მ/კაცზე) და ორხევის და აეროპორტის ტერიტორიაზე (0.8 კვ.მ/კაცზე). დანარჩენი ყველა უბნის მონაცემი აღემატება 9 კვ.მ/კაცზე. **(ცხრილი 5)**

რაც შეეხება ნაშენ ნაწილში არსებულ UGS-ს ერთ სულ მოსახლეზე, მთლიანად თბილისის მასშტაბით ვიღებთ 1.51 კვ.მ/კაცზე. უბნების მიხედვით ამ კუთხით ყველაზე კარგი შედეგი დიღმის მასივში გვაქვს (6.89 კვ.მ/კაცზე), მას მოჰყვება ვაკე, ბაგები (3.76კვ.მ/კაცზე), თემქა (3.44 კვ.მ/კაცზე), მთაწმინდა და სოლოლაკი (3.44 კვ.მ/კაცზე) და დიდუბე (3.36 კვ.მ/კაცზე). ხოლო დაბალი მაჩვენებლებით მხოლოდ ნაშენ ნაწილში არსებული UGS-ს სიმცირით ერთ სულ მოსახლეზე, გამოირჩევა ნუცუბიძის მიკრორაიონები (0.26 კვ.მ/კაცზე), ავჭალა, გლდანის ხევი (0.35 კვ.მ/კაცზე), სანზონა (0.36 კვ.მ/კაცზე). **(ცხრილი 6)**

ყველა ურბანული მწვანე სივრცე, რომლის ფართობიც 0.5 ჰექტარზე მეტია. თბილისის მასშტაბით, ანუ უბნების მიხედვით საერთო მონაცემები 2341.52 ჰექტარია. ყველაზე დიდი მაჩვენებელი დიღომსა და ვაშლიჯვარში გვაქვს 156.42 ჰა, მას მოსდევს გლდანის ლუწი მიკრორაიონები (131.79 ჰა) , თემქა (130.18 ჰა), ზემო ჩუღურეთი (127.05 ჰა), ქვედა ჩუღურეთი (126.19 ჰა), გლდანის კენტი მიკრორაიონები (121.91 ჰა), ვაკე და ბაგები (108.85 ჰა), ვაზისუბანი და მე-8 ლეგიონი (106.97 ჰა), სამგორი (მესამე მასივი) 105.79 ჰა.

ყველაზე დაბალი მაჩვენებლები კი გვხვდება ნავთლუღში (3.53 ჰა), ორხევსა და აერპორტის მიმდებარედ (11.68 ჰა) ავჭალასა და გლდანის ხევში (36.98 ჰა), ვერე (38.59 ჰა), ფონიჭალა

(41.75 ჰა), ნაძალადევი (46.15 ჰა), ნუცუბიძის მიკრორაიოები (46.42 ჰა), ზემო ავლაბარსა და მეტრომშენში (50.93 ჰა). **(ცხრილი 7)**

იმისთვის, რომ შეფასდეს რამდენადაა მიწვდომადი 1 სულ მოსახლეზე ქვეითისთვის სავალ მანძილზე სარეკრეაციო სივრცეები, ანალიზი უნდა გაკეთდეს როგორც ყველა სარეკრეაციო სივრცის ჩათვლით, ასევე მხოლოდ ნაშენ ნაწილში არსებული სივრცეებით.

იმის მიხედვით თუ საცხოვრებლის რა % არის მოქცეული 0.5 ჰექტარზე დიდ UGS-თან 500მ-ში, თბილისის ერთიანი მონაცემი არის 39.3 ჰექტარი. ამ მხრივ საუკეთესო მონაცემებით გამოირჩევა ვაჟა-ფშაველას კვარტლები (88.54 ჰა), ვარკეთილი (87.13 ჰა), დიღმის მასივი(87 ჰა), ქვედა ჩუღურეთი (87 ჰა), ვაზისუბანი და მე-8 ლეგიონი (85.7 ჰა), კოსტავა, ბახტრიონი და დოლიძე (83.33 ჰა), დიდუბე (8.76 ჰა) და თემქა (82.16 ჰა).

დაბალი მონაცემები გვაქვს ნავთლუღში (2.62 ჰა), ორხევსა და აეროპორტის მიმდებარედ (5.94 ჰა) ავჭალასა და გლდანის ხევში (7.86 ჰა), ფონიჭალაში (15.27 ჰა), დიღომსა და ვაშლიჯვარში (18.5 ჰა), ზემო ავლაბარსა და მეტრომშენში (19.2 ჰა). **(ცხრილი 8)**

საცხოვრებლის რა %-ია 2 ჰექტარზე დიდ UGS-სთან 500 მეტრში.

ერთიანი თბილისის მონაცემი 18.3 %. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ვარკეთილშია (70.06 %), მთაწმინდასა და სოლოლაკში (62.19 %), ვაკე და ბაგებში (57.09 %), კოსტავაზე, ბახტრიონსა და დოლიძეზე (55.87 %), ვერე (50.41 %), ზემო ჩუღურეთში (47.66 %), მესამე მასივში (47.17 %) და დიღმის მასივში (46.52 %).

ამ მხრივ ცუდი შედეგები გვაქვს ნუცუბიძის მიკრორაიონებში, ფონიჭალაში, ნავთლუღში, ორხევსა და აეროპორტში, ლილოში, ქვემო სამგორსა და მუხიანში ეს ციფრი 0-ის ტოლია. ასევე დაბალი მაჩვენებელია ავჭალასა და გლდანის ხევში (0.77 %), დიღომსა და ვაშლიჯვარში (0.372 %), ვაჟა-ფშაველას კვარტლებში (6.12 %), გლდანის ლუწი მიკრორაიონები (6.22 %). **(ცხრილი 9)**

რაც შეეხება იმას, თუ საცხოვრებლის რა %-ია 2 ჰექტარზე დიდ ურბანულ მწვანე სივრცესთან 300 მეტრში: თბილისის ერთიანი მონაცემი 13.13%- ია. ამ მხრივ ყველაზე

კარგი შედეგი ვარკეთილში გვაქვს (53.74 %). მას მოჰყვება ვერე (30.59 %), ვაკე და ბაგები (26.56 %), დიდუბე (25.81 %), ზემო ჩუღურეთი (25.76 %), დიღმის მასივი (25.38 %), კალასა და ორთაჭალაში (25.38 %), სამგორში (მესამე მასივში- 25.03 %).

ცუდი შედეგები გვაქვს ნუცუბიძის მიკრორაიონებში, ფონიჭალაში, ნავთლუღში, ორხევსა და აეროპორტის მიმდებარედ, ლილოში, ქვემო სამგორსა და მუხიანში. დიღომსა და ვაშლიჯვარში (0.06 %), ავჭალასა და გლდანის ხევში (0.077 %), ვაჟა-ფშაველას კვარტლებში (0.39 %), ქვედა ჩუღურეთში (1.22 %) და გლდანის ლუწ მიკრორაიონებში (2.56 %). **(ცხრილი 10)**

საცხოვრებლის რა %-ია 20-60-მდე ჰექტარ ურბანულ მწვანე სივრცესთან 1200 მეტრში.

თბილის ერთიანი მონაცემი 13.13 %-ია. ყველაზე კარგი შედეგი თემქაზეა (79.71 %), შემდეგ მოდის ვეძისი, ყაზბეგი, გოთუა და საბურთალოს ქუჩა (70.64 %), ვაკესა და ბაგებში (58.76 %) და სანზონის მოსახლეობის 54.18 % აქვს წვდომადობა 20-60 ჰექტარის ურბანულ მწვანე სივრცესთან 1200 მეტრში.

დაბალი მაჩვენებლები გვაქვს შემდეგ უბნებში: მთაწმინდა, სოლოლაკი, ვერე, დიღომი, ვაშლიჯვარი, კალა, ორთაჭალა, ფონიჭალა, ზემო ავლაბარი, მეტრომშენი, ნავთლუღი, ვაზისუბანი, მე-8 ლეგიონი, ვარკეთილი, სამგორის მესამე მასივი, ორხევი, აეროპორტის მიმდებარე ტერიტორია, ლილო, ქვემო სამგორი, ქვედა ჩუღურეთი, დიდუბე, დიღმის მასივი, ნაძალადევი, ავჭალა, გლდანის ხევი, გლდანის ლუწი მიკრორაიონები და მუხიანი. **(ცხრილი 11)**

60 ჰექტარზე მეტი UGS-თან 3200 მ-მდე ბუფერში მოქცეული საცხოვრებლის %.

თბილისის ერთიანი მონაცემია 30.1 %. მაღალი მონაცემი გვაქვს ზემო ჩუღურეთში 100 %, მთაწმინდასა და სოლოლაკში 100 %. ძველი ნაძალადევი და ლოტნიკი 100%. ქვედა ჩუღურეთი 99.99 %. ვერე 99.99 %, ზემო ავლაბარი და მეტრომშენი 93.84 %, კალა და ორთაჭალა 98.52.

ცუდი მდგომარეობაა მთლიანად გლდანში, თემქასა და სანზონაში, ასევე ვაჟა-ფშაველას კვარტლებში, ნუცუბიძის მიკრორაიონებში, დიღომში, ვაშლიჯვარში, ფონიჭალაში, ლილოში, ქვემო სამგორსა და დიღმის მასივში. **(ცხრილი 12)**

ნაშენი ნაწილის უბნების დაფარვის %, 0.5 ჰექტარზე მეტ ყველა მწვანე სივრცის 500 მ-იან ბუფერში

თბილისის ერთიანი მონაცემით არის 35.12 %. ქვედა ჩუღურეთი 88.76 %, ვაზისუბანი და მე-8 ლეგიონი 85.67 %, თემქა 82.52 %, გლდანის კენტი მიკრორაიონები 82.02 %, კოსტავა, ბახტრიონი, დოლიძე, ხილიანი 80.1 %.

ცუდი მონაცემები გვაქვს ლილოში, ორხევსა და აეროპორტის მიმდბარედ 6.28 %, ძველ ნაძალადევსა და ლოტკინზე 10.15 %, ნავთლუღში 10.53 % და ავჭალასა და გლდანში 13.69 %. **(ცხრილი 13)**

ნაშენი ნაწილის უბნების დაფარვა %, 2 ჰექტარზე მეტი ყველა მწვანე სივრცის 500 მ-იან ბუფერში - თბილისის ერთიანი მონაცემია 16.36 %, მთაწმინდა და სოლოლაკი 67.74%, ვაკე და ბაგები 67.25 %, ვერე 62.44 %, კოსტავა, ბახტრიონი, დოლიძე და ხილიანი 61.72 %, ვარკეთილი 60.26%.

რაც შეეხება დაბალ მონაცემებს, ამ მხრივ ცუდი მდგომარეობაა ფონიჭალაში, ნავთლუღში, ორხევისა და აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე, ლილოში, ქვემო სამგორსა და მუხიანში. ნუცუბიძის მიკრორაიონებში 0.0001 %, ავჭალა, გლდანის ხევშ 0.064 %, დიღომი, ვაშლიჯვარი 2.96 %, გლდანის ლუწი მიკრორაიონები 4.54 %, ვაჟა-ფშაველას კვარტლებში 5.97 %. **(ცხრილი 14)**

ზემოთმოყვანილი მონაცემების დაჯგუფების საფუძველზე შეგვიძლია თბილისის 33 უბნიდან გამოვყოთ ის უბნები, სადაც მისაწვდომობა მეტ-ნაკლებად კარგია. პირველ რიგში ეს არის ვაკე (ვაკე, ბაგები) უმაღლესი მაჩვენებლებით. მას მოჰყვება ჩუღურეთი (ზემო ჩუღურეთი), ნაძალადევი (თემქა), ჩუღურეთი (ქვედა ჩუღურეთი), სამგორი (ვარკეთილი),

მთაწმინდა (მთაწმინდა, სოლოლაკი), მთაწმინდა (ვერე) საბურთალო (კოსტავა, ბახტრიონი, დოლიძე, ხილიანი). **(ცხრილი 15)**

რაც შეეხება იმ უბნებს, სადაც ურბანულ მწვანე სივრცეებთან მისაწვდომობა პრობლემურია: ასეთი მონაცემების მქონე უბნებს მიეკუთვნება გლდანი (ავჭალა, გლდანის ხევი) და სამგორი (ლილოში), ისანი (ნავთლუღი), სამგორი (ორხევი, აეროპორტი), კრწანისი (ფონიჭალა), ვაკე (ნუცუბიძის მიკრორაიონები), სამგორი (ქვემო სამგორი), გლდანი (მუხიანი), საბურთალო (დიღომი, ვაშლიჯვარი). **(ცხრილი 16)**

ყველაზე კარგი მდგომარეობა დაფიქსირდა ვაკე, ბაგებში, ზემო ჩუღურეთში, თემქასა და ქვედა ჩუღურეთში. ასევე გამოვლინდა ერთ სულ მოსახლეზე სარეკრეაციო სივრცეების ფართობი, როგორც მთლიანი თბილისის, ასევე ცალკეული უბნების მასშტაბით.

2.3 კვლევის შედეგები: მონაცემთა შეფასება და სისტემატიზაცია

ამრიგად, კომპლექსურმა შეფასებამ ტერიტორიების ეკოლოგიური ხარისხის მაჩვენებლის მიხედვით გვიჩვენა, ცუდი და კარგი მიწვდომობის მქონე უბნები. კვლევამ ცხადყო, რომ თბილისში ნაკლებადაა გამწვანებული ტერიტორიები, რადგან 33 უბნიდან მხოლოდ 9 უბანში არის ნორმალური მიწვდომადობა.

ყველა სახის საერთო გამწვანებული ტერიტორიების ფართობმა ერთ სულ მოსახლეზე შეადგინა 7.2 $მ^2$, თუმცა სასურველი მაჩვენებელი 11 $მ^2$-ია. აღნიშნული ციფრი ძირითადად მიღებულია არა თბილისის ცენტრში არსებული უბნების, არამედ გარეთ არსებული უბნების წყალობით.

დღესდღეისობით, გამწვანებული ტერიტორიებიდან ქალაქის განაშენიანებულ ნაწილში მხოლოდ ვაკის პარკია, ხოლო დანარჩენი პარკები მაგალითად მთაწმინდის პარკი, კუს ტბა, ლისის ტბა, თბილისის ზღვა გარეუბნებში მდებარეობენ. ისინი მოშორებულები არიან დასახლებული ტერიტორიებისგან და სწორედ ამიტომ რთულად არიან ხელმისაწვდომი. რაც შეეხება მცირე ფართობის მქონე პარკებს, ისინი როგორც ზემოთ ვიხილეთ, არათანაბრად არიან განაწილებულნი მთელს ქალაქში.

საინტერესოა, რომ სარეკრეაციო სივრცეების ფართობის უდიდესი ნაწილი რელიეფს გარეთაა ან ძალიან შორს - დენდროპარკი, ხუდადოვის ტყე და ბოტანიკური ბაღი ყველაზე ფართო მასივებია, თუმცა პირველი ორი პერიფერიაშია და დიდ სიმაღლეზეა (ძალიან დაბალი წვდომადობით), ხოლო ბოტანიკური ბაღი კანიონშია მოქცეული და ასევე ბუნებრივი ბარიერითაა ქალაქიდან გამოყოფილი. მთაწმინდის პარკი, ლისისა და კუს ტბა - ძალიან მოწყვეტილია ქალაქიდან - ერთი მთაზეა, დანარჩენი ორი ცალკე ქვაბულებში, ასევე მთებზე და ფეხით მოსიარულისთვის (ყველა ტიპის ქვეითის გათვალისწინებით - შშმ პირების, ბავშვიანების, მოხუცებისთვის - განსაკუთრებით) რთულად არის ხელმისაწვდომი. რეალურად როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი UGS-ების საერთო ფართობის უდიდესი ნაწილი ზუსტად ამ რელიეფს მოწყვეტილ სარეკრეაციო სივრცეებზე მოდის

(დენდროპარკი, ლისი, კუს ტბა, მთაწმინდის პარკი, ბოტანიკური ეთნოგრაფიული და ა.შ) - ხოლო ნაშენ ნაწილში მსხვილი სარეკრეაციო სივრცეები საერთოდ არ გვაქვს.

ვაკის პარკი და იპოდრომი ნაშენის საზღვარზეა, თუმცა ადვილი წვდომადობის გამო შეიძლება შიგნითაც ჩავთვალოთ. აქვე უნდა დავსძინოთ, კერძო ან შეზღუდული წვდომის მწვანე სივრცეებზე: იპოდრომი, ლისის ტბა და წერეთელზე არსებული ექსპო ჯორჯიას ტერიტორია, არის კერძო საკუთრებაში, თუმცა ხალხის მიერ ხშირად მონახულებადი ტერიტორიაა.

უნდა აღინიშნოს, რომ უბნების კვლევისას არ გაგვითვალისწინებია კიკეთის, კოჯორის, ტაბახმელასა და წყნეთის მონცემები, რადგან ისინი არიან სოფლის ტიპის დასახლებები და არ წარმოადგენდნენ ურბანულ განაშენიანებას. აქ ურბანული მწვანე სივრცეების დაბალი ინტენსივობაა და იმ კრიტერიუმების მისადაგება, რაც ქალაქში გვაქვს, არ იქნება მართებული. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მხოლოდ წყნეთის დასახლებაში არის ურბანული ტიპის საპარკო ტერიტორიები, იმიტომ რომ აქ შედარებით მაღალი სიმჭიდროვეა. სხვა ფაქტობრივად არცერთ სასოფლო-სააგარაკო ტიპის დასახლებას არ აქვს ურბანული სივრცეები. ეს ტერიტორიები გაშემორტყმულია ბუნებრივი ლანდშაფტით და არის ნაწილობრივ სასოფლო, ნაწილობრივ საკურორტო და სააგარაკო ტიპის დასახლებები. მათი ურბანულ სარეკრეაციო სივრცეებთან ამ ტერიტორიების განხილვა მცდარ დასკვნებს გამოგვატანინებს განსხვავებული სპეციფიკის გამო. ამ ეტაპზე კი ჩვენი მიზანი იყო ურბანული სარეკრეაციო სივრცეების კვლევა.

ამრიგად, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეკოლოგიური კუთხით ურბანული განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ქალაქზე მეტად მოქმედებს რეკრეაციული ტერიტორიების მწვავე დეფიციტი. აუცილებელია არა მხოლოდ ქალაქში არსებული გამწვანებული ტერიტორიების შეარჩუნება, არამედ მათი ოპტიმიზაციაც. გამწვანებული ტერიტორია ძალიან მნიშვნელოვანია გეგმარებითი ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის.

თავი 3. თბილისის ატმოსფერული ჰაერის კვლევა, შეფასება და ანალიზი

3.1 ჰაერის დაბინძურების ხარისხის კვლევა

თბილისის ტერიტორიაზე ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება განხორციელდა ჰაერის მგომარეობის, ხმაურის დონისა და სარეკრეციო სივრცეების ხარისხის შეფასების სააფუძველზე. აღნიშნული მონაცემები ქმნიან ერთიან სურათს ქალაქის საცხოვრებელი გარემოს ეკოლოგიური ხარისხის შესახებ.

უპირველეს ყოვლისა, რადგან თბილისისთვის ჰაერის დაბინძურების ძირითად წყაროს ავტომობილების გამონაბოლქვი წარმოადგენს, ლეგიტიმურია დაშვება, რომ თბილისში ყველაზე დაბინძურებული არეალები გზის მიმდებარედ არის განთავსებული. ამასთან, რაც უფრო მაღალია ერთ კვადრატულ კილომეტრზე გზათაქსელის სიხშირე, მით უფრო მაღალი იქნება დაბინძურების ხარისხი როგორც ხმაურის, ასევე ჰაერის დაბინძურების ნაწილში.

მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ თბილისის ქვაბულში გაბატონებული ჩრდილო-დასავლეთის ქარების ფაქტორი, რომლებმაც შესაძლოა გარკვეული გავლენა იქონიოს კონკრეტულ არეალებში ჰაერის დაბინძურების დონეზე.

გარდა ზემოთ აღნიშნული დაშვებებისა, სავარაუდოა, რომ კვლევის შემდეგ მივიღებთ მსგავს სურათს: ე.წ პრესტიჟულ უბნებში, როგორიცაა ვაკე, საბურთალო და ა.შ. არასახარბიელო ეკოლოგიური მდგომარეობა დაგხვდება, რადგან გარდა დიდი რაოდენობით ავტროტრანსპორტის მოძრაობისა, ეს ადგილები არის ყველაზე მჭიდროდ დასახლებული და შესაბამისად გამწვანების ხარისხით დიდად არ გამოირჩევიან. ასევე ამ ადგილებში მეტია მშენებლობა, რაც მშენებლობის პროცესში ჰაერში მტვრის გაფრქვევას იწვევს და მისი გავრცელების მინიმიზაციის მიზნით არ ხორციელდება გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი არანაირი ღონისძიება, შესაბამისად, სავარაუდოა, რომ ეკოლოგიური დგომარეობა ცუდი იქნება.

როგორც ცნობილია, დღესდღეისობით მრეწველობა დიდ გავლენა არ ახდენს ჰაერის ხარისხზე, თუმცა მაინც საინტერესო იქნებოდა ამაზე დაკვირვება. პირველ რიგში იმის გამო, რომ საწარმოებში ფილტრები არ არსებობს ან გაუმართავია შესაბამისად გარემოში მოხვდება სწარმოო პროცესში წარმოქმნილი სხვადასხვა დამაბინძურებლები, როგორიცაა SO_2, NO_x, CO და ნახშირწყალბადები.

ამ ვარაუდების სისწორის დასადგენად საჭიროა ანალიზის გაკეთება ქვემოთ ჩამოთვლილი, თბილისიზე არსებული მონაცემების დახმარებით:

- დეტალური მონაცემები ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შესახებ (ჰაერში არსებული, ადამიანზე უარყოფითი გავლენის მქონე ნივთიერებები);
- ხმაურით დაბინძურების დონე;
- სატრანსპრტო ქსელის სივრცით-ტერიტორიული განაწილება;
- მოსახლეობის სიმჭიდროვე უბნების მიხედვით;
- საზოგადოებრივი სივრცეების განაწილება (და ნახევრად საზოგადოებრივი სივრცეების- რესტორნების, ბარების, მარკეტების);

ჰაერის მდგომარეობის შეფასება მოხდა შემდეგი არსებული მასალების საფუძველზე:

1) გარემოს ეროვნული სააგენტოს გარემოს დაბინძურების მონიტორინგის საინფორმაციო მასალები. (ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების 2015 წლის წელიწდეული);
2) თბილისის გარემოსდაცვითი სტრატეგია (2015-2020 წწ.);
3) თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საეტაპო მასალები;
4) სხვადასხვა ინდიკატორული გაზომვების მასალები;

როგორც ცნობილია, განვითარებული სამყაროს უმნიშვნელოვანეს გარემოსდაცვით პრობლემად აღიარებულია ჰაერის დაბინძურება, რომელიც ადრეული სიკვდილიანობის გამომწვევ ძირითად გარემოსდაცვით ფაქტორად განიხილება. მტვრის შეწონილი ნაწილაკები და მიწისპირა ოზონის მავნე ზემოქმედებას ახდენს ევროკავშირში მცხოვრებ

მოსახლეობის 95%-ზე, ხოლო ჰაერის დაბინძურებასთან დაკავშირებულმა სიკვდილიანობამ კი, 2016 წელს, 400 000-ს მიაღწია. [15]

განსაკუთრებით მძიმე ზემოქმედება აქვს ჰაერის დაბინძურებას ორსულებზე, ბავშვებსა და მოხუცებზე. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ონკოლოგიურ დაავადებათა ცენტრის თანახმად, ჰაერის დაბინძურება ფილტვის კიბოს ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია. საცხოვრებელ გარემოში ჰაერის დაბალი ხარისხი, ასევე ძლიერ ზრდის სასუნთქი გზებსა და გულსისხძარღვთა სისტემების დაავადებებთან დაკავშირებულ რისკებს მოსახლეობაში, ასევე პირდაპირ კავშირშია დიაბეტთან და ტვინისა და ნერვული სისტემის პათოლოგიებთან, განსაკუთრებით ბავშვებში.

ქვემოთ მოცემულია ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა დასაშვები კონცენტრაციები როგორც ეროვნულ კანონმდებლობაში ასევე მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციასა და ევროკავშირში.

ცხრილი 17: ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები

მავნე ნივთიერების დასახელება	ეროვნული კანონმდებლობა	ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია	ევროკავშირი	**კონცენტრაციის გასაშუალოების პერიოდი**
2.5 მიკრონზე მცირე მყარი ნაწილაკები		- 0,01	0,025	წელიწადი
		0,25		დღე-ღამე
10 მიკრონზე მცირე მყარი ნაწილაკები		0,02	0,04	წელიწადი
		0,05	0,05	დღე-ღამე
მყარი ნაწილაკები (მტვერი)	0,5			30 წთ
	0,15	0,12		დღე-ღამე
აზოტის დიოქსიდი		0,2	0,2	1 სთ
		0,04	0,04	წელიწადი
	0,04			დღე ღამე
	0,2			30 წუთი

[15] Eur-Lex

გოგირდის დიოქსიდი		0,5		10 წუთი
			0,35	1 საათი
		0,5		წელიწადი
	0,05	0,02	0,125	დღე-ღამე
	0,5			30 წთ.
ნახშირბადის მონოქსიდი		100		10 წთ
		10	10	8 სთ
		30		1 სთ
	5	60		30 წთ
	3			დღე-ღამე
ტყვიის ნაერთები		0,0005	0,0005	წელიწადი
	0,0003			დღე-ღამე
	0,001			30 წთ
მიწისზედა ოზონი		0,12	0,12	8 სთ
	0,03			დღე-ღამე
	0,16			30 წთ

ჰაერის დაბინძურების დონე

გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ შედგენილ წელიწდეულში შეტანილია საქართველოს ტერიტორიაზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაზე დაკვირვების 16599 სინჯის ანალიზი და გაზომვები. ამ ანალიზში განზოგადებულია ჰაერის 9 მავნე ნივთიერების დაბინძურების მასალები. დაკვირვებები წარმოებდა დღეში სამჯერ.

გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 2015 წელს ქალაქ თბილისში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მონიტორინგი ჩატარდა ქალაქის ოთხ წერტილში. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი დაკვირვება წარმოებდა იმ სამ პუნქტში, სადაც განისაზღვრებოდა შემდეგი მაჩვენებლები:

- მოსკოვის გამზირზე - ისაზღვრება აზოტის დიოქსიდისა და ნახშირჟანგის კონცენტრაციები;

- წერეთლის გამზირზე - ნახშირჟანგის, აზოტის დიოქსიდისა და მტვრის კონცენტრაციები; და

- კვინიტაძის ქუჩაზე (თამარ მეფისა და დავით აღმაშენებლის გამზირების კვეთაზე) კი ნახშირჟანგის, მტვრის, აზოტისა და გოგირდის დიოქსიდები, ასევე ოზონისა და ტყვიის კონცენტრაციები.

ქვემოთ მიმოხილული იქნება თბილისში 2016 წელს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული ცალკეული ნივთიერებების კონცენტრაციების შესაბამისობა გარემოს დაცვის ნორმებთან. ასევე აღნიშნული ნივთიერებების წარმომავლობაც.

გარდა ამისა, ვაშლიჯვრის მეტეოროლოგიური სადგურის ტერიტორიაზე დგას ქალაქის ფონური ავტომატური სადგური, რომელიც 24 საათის განმავლობაში აწარმოებს ჰაერის ხარისხის მონიტორინგს და მონაცემებს ავტომატურ რეჟიმში გადასცემს გარემოს ეროვნულ სააგენტოს, სადაც სპეციალისტების მიერ ხდება მათი დამუშავება. აქ მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით განისაზღვრება შემდეგი დამაბინძურებელი ინგრედიენტები: PM2,5 და PM10, ნახშირჟანგი, გოგირდის დიოქსიდი, ოზონი და აზოტის ოქსიდები.

ყველაზე მეტად გავრცელებული დამაბინძურებელი ნივთიერებების - მტვრის, გოგირდის დიოქსიდის, აზოტის ოქსიდისა და დიოქსიდის, ნახშირჟანგის და სხვათა კონცენტრაციების განსაზღვრა ხდება სანკტ-პეტერბურგის მთავარი გეოფიზიკური ობსერვატორიის მიერ შედგენილ მეთოდურ სახელმძღვანელოში (Руководство по контролю загрязнения атмосферы) აღწერილი მეთოდიკით. (წყარო: გარემოს ეროვნული სააგენტო). მტვრის კონცენტრაცია იზომება წონითი მეთოდით, ხოლო ნახშირჟანგის კონცენტრაცია - ისაზღვრებოდა ელექტროქიმიური მეთოდით აირანალიზატორ "პალადი-3"-ის გამოყენებით. ჰაერის სინჯებს იღებდნენ ФПП-15 ტიპის ფილტრების საშუალებით, აზოტის ოქსიდის, ასევე გოგირდისა და აზოტის დიოქსიდის განსაზღვრა კი წარმოებდა ფოტოკოლორიმეტრული მეთოდით.

ქვემოთ მოცემულია ჰაერის დამაბინძურებელი ინგრედიენტების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები (ზდკ). ატმოსფერულ ჰაერში დროის გარკვეული გასაშუალოებული პერიოდისათვის მავნე ნივთიერებათა ისეთ მაქსიმალური კონცენტრაციას, რომელიც პერიოდული ზემოქმედებისას ან ადამიანის მთელი ცხოვრების მანძილზე არ ახდენს მასზე და საერთოდ გარემოზე მავნე ზემოქმედებას ეწოდება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის ნორმა. (სადაც ტერმინში ''მავნე'' იგულისხმება კანონით აღიარებული სტანდარტი) (საქართველოს გარემოსა და ბუნერივი რესურსების დაცვის სამინისტრო, ბრძანება №56, 2013 წლის 8 აგვისტო)

ცხრილი 18: ჰაერის დამაბინძურებელი ინგრედიენტების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები

ინგრედიენტი	საშუალო სადღეღამისო, მგ/მ³	მაქსიმალური ერთჯერადი მგ/მ³
მტვერი	0.15	0.5

გოგირდის დიოქსიდი	0.05	0.5
ნახშიროჟანგი	3	5
აზოტის დიოქსიდი	0.04	0.2
აზოტის ოქსიდი	0.06	0.4
ოზონი	0.03	0.16
მანგანუმის დიოქსიდი	0.001	0.01
ტყვია (თვიური)	0.0003	

ცხრილ 3-ში მოცემულია ის ნივთიერებები, რომლებიც ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის სხვადასხვა დაკვირვების პუნქტებზე განისაზღვრება.

ცხრილი 19 : ატმოსფერულ ჰაერში განსაზღვრული დამაბინძურებელი ნივთიერებები პუნქტების მიხედვით (გარემოს ეროვნული სააგენტო, 2015 წელი:)

დაკვირვების პუნქტი	მტვერი	აზოტის დიოქსიდი	გოგირდის დიოქსიდი	ნახშირჟანგი	ოზონი	მანგანუმის დიოქსიდი	აზოტის ოქსიდი	ტყვია
თბილისი								
კვინიტაძის ქუჩა	x	x	x	x				x
მოსკოვის გამზირი		x		x				
წერეთლის გამზირი	x	x		x				x
ვაშლიჯვრის მეტეოროლოგიური სადგური	PM_{10} $PM_{2.5}$	x	x	x	x		x	

ცხრილი 20: ქ. თბილისის ჰაერის დაბინძურების მახასიათებლები, წლიური მონაცემები(წელი წყარო)

ინგრედიენტი	საგუშაგოს მისამართი	ანალიზების რაოდენობა	საშუალო კონცენტრაცია (მგ/მ³)	მაქსიმალური კონცენტრაცია (მგ/მ³)	ზდკ-ს გადაჭარბების შემთხვევათა რაოდენობა

მტვერი	კვინიტაძის ქ. წერეთლის გამზ.	713 389	0.70 0.79	1.5 2.1	591 317
გოგირდის დიოქსიდი	კვინიტაძის ქ.	716	0.138	0.20	0
ნახშირჟანგი	კვინიტაძის ქ. მოსკოვის გამზ. წერეთლის გამზ.	716 621 459	4.87 2.25 1.76	22.0 4.6 7.87	169 0 12
აზოტის დიოქსიდი	კვინიტაძის ქ. მოსკოვის გამზ. წერეთლის გამზ	716 621 459	0.095 0.080 0.070	0.200 0.195 0.332	0 0 15
ოზონი	კვინიტაძის ქ.	338	0.0469	0.398	15
ტყვია	კვინიტაძის ქ. წერეთლის გამზ.	12 9	0.00017 0.000023		

ამავე პერიოდის ავტომატური სადგურის მონაცემების მიხედვით ყველა განსაზღვრული ინგრედიენტის საშუალო წლიური კონცენტრაცია ნორმის ფარგლებში იყო, გამონაკლისს წარმოადგენს ოზონი, რომლის საშუალო წლიური კონცენტრაცია უმნიშვნელოდ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ მნიშვნელობას.

2010-2015 წლებში ქ. თბილისის ატმოსფერულ ჰაერში გაიზარდა გოგირდის დიოქსიდის, მტვრისა და ოზონის საშუალო წლიური კონცენტრაციები, აგრეთვე უმნიშვნელოდ გაიზარდა ნახშირჟანგის კონცენტრაცია, ხოლო აზოტის დიოქსიდის კონცენტრაცია უმნიშვნელოდ შემცირდა.

ცხრილი 21: ქ. თბილისი დაბინძურების საშუალო წლიური კონცენტრაციების (მგ/მ3) ცვლილება (2011–2015 წლების წყარო მონაცემების მიხედვით)

ინგრედიენტი	წლები				
	2011	2012	2013	2014	2015
მტვერი	0.5	0.5	0.7	0.9	0.77
გოგირდის დიოქსიდი	0.09	0.12	0.12	0.13	0.14
ნახშირჟანგი	2.8	3.1	3.4	2.96	3.1
აზოტის დიოქსიდი	0.088	0.09	0.10	0.09	0.084
ოზონი	0.0136	0.034	0.013	0.021	0.0469
ტყვია	0.00020	0.00021	0.00013	0.00012	0.0002

როგორც ზემოთმოყვანილი ცხრილიდან ჩანს, ოზონის, მტვრისა და გოგირდის დიოქსიდის კოეციფიენტებმა იმატა 2011 დან 2015 წლამდე პერიოდში. ნახშირჟანგისა და აზოტის დიოქსიდის რაოდენობა შემცირებულია 2014-2015 წლებში. რაც შეეხება ტყვიის კონცენტრაცია წინა ორ წელთან შედარებით გაზრდილია.

ევროკომისიის ფინანსური მხარდაჭერით 2014 წელს, საქართველოში გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) თანამშრომლობით, განხორციელდა პროექტი ,,ჰაერის ხარისხის მართვა“. პროექტის ფარგლებში შემუშავდა ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სისტემის ევროსტანდარტების შესაბამისი განვითარების პროგრამა. გაზომვები ჩატარდა მთელი წლის განმავლობაში, სხვადასხვა დასახლებულ პუნქტებში, წინასწარ შერჩეულ წერტილებში ინდიკატორული მილაკების განთავსების საშუალებით. მოგვიანებით მილაკები ანალიზისათვის გაერთიანებული სამეფოს ლაბორატორიაში გადაიგზავნა. მიღებული კონცენტრაციების შეფასება მოხდა ევროკავშირის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ინდექსთან მიმართებაში. [16]თითოეული დამაბინძურებელი ნივთიერებისთვის განსაზღვრულია დაბინძურების 10 დონე: 1-3 არის დაბალი დაბინძურების მაჩვენებელი, 4-6 - საშუალო დაბინძურების მაჩვენებელი, 7-9 - მაღალი, ხოლო 10 - ძალიან მაღალი დაბინძურების მაჩვენებელი.

ატმოსფერული ჰაერის ხარისხის უკეთ შეფასების, მონიტორინგის გაძლიერებისა და ქსელის გაფართოების მიზნით, 2015 წელს ასევე ჩატარდა **ინდიკატორული გაზომვები**

[1616]გარემოს ეროვნული სააგენტო

მთელი საქართველოს მასშტაბით. ინდიკატორული გაზომვები თბილისის 26 წერტილზე განხორციელდა. გაიზომა აზოტისა და გოგირდის დიოქსიდების, ოზონისა და ბენზოლის კონცენტრაციები. ყველა წერტილზე დაფიქსირდა გორგირდის დიოქსიდის, ოზონის და ბენზოლის დაბალი ინდექსები, ასევე ყველა წერტილზე გარდა ერთისა (ტოვსტონოგოვის ქუჩა - დაბალი ინდექსი) საშუალო იყო აზოტის დიოქსიდის ინდექსი ტოვსტონოგოვის ქუჩაზე.

ცხრილი 22: პირველი ინდიკატორული გაზომვების შედეგები (2015წ. გარემოს ეროვნული სააგენტო)

NN	მისამართი	კოორდინატები		NO_2			SO_2			O_3			VOC		
				კონცენ ტრაცია	ჰაერის ხარისხის ინდექსი		კონცენ ტრაცია			კონცენ ტრაცია			კონცენ ტრაცია		
1	დ.გულიას ქ. რესტორან "ასტორიასთან"	4167657	4483887	64.87	საშუალო	5									
2	მეტროს სადგურ "ისანთან"	4168608	4484074	80.55	საშუალო	6									
3	წერეთლის გამზ. 47	4172956	4478674	67.25	საშუალო	5									
4	რკინიგზის დეპარტამენტთან	4171848	4479424	66.19	საშუალო	5									
5	დადიანისა და ქსოფრელის ქუჩების კვეთაზე	4174958	4479107	56.65	საშუალო	5									
6	სტანისლავსკის ქ.– წერეთლის გამზ. კვეთაზე	4173941	4478110	65.66	საშუალო	5									
7	ბუდაპეშტისა და კანდელაკის ქუჩების კვეთაზე	4172989	4475990	52.47	საშუალო	4									
8	ბახტრიონის ქუჩისა და გამსახურდიას გამზირის კვეთაზე	4172143	4477411	66.85	საშუალო	5									
9	ვაჟა-ფშაველას გამზ. მეტროს სადგურ "დელისთან"	4172516	4474398	66.47	საშუალო	5									
10	აღმაშენებლის გამზ. მეტროს სადგურ "მარჯანიშვილთან"	4170998	4479762	61.25	საშუალო	5	<2.32	დაბალი	1				3.16	დაბალი	2
11	ტოვსტონოგოვის ქუჩა 2	4171352	4479517	34.50	დაბალი	3									
12	ელდანის I მიკრორაიონი, 79-ე საჯარო სკოლასთან	4179391	4482580	49.40	საშუალო	4									
13	ჩარგლისა და მატილის ქუჩების კვეთაზე ვისოლის ავტოგასამართ სადგურთან	4177723	4480612	60.85	საშუალო	5									
14	ჩარგლის ქ. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან	4177042	4480169												
15	თავისუფლების მოედანი	4169300	4480169	62.62	საშუალო	5	<2.02	დაბალი	1	21.39	დაბალი	1	2.14	დაბალი	2
16	პირველი სკოლასთან	4169813	4479826	77.03	საშუალო	6									
17	რუსთაველის გამზ. საქართველოს ფოსტასთან	4170338	4479377	69.68	საშუალო	6									
18	ლეო ქიაჩელისა ნ.ნიკოლაძის ქუჩების კვეთაზე	4170717	4478928	51.59	საშუალო	4									
19	კოსტავას ქ. მეტროს სადგურ "ტექნიკური უნივერსიტეტთან"	4171916	4477892	54.58	საშუალო	4	<2.44	დაბალი	1						
20	აბაშიძის ქ. მრეგვალ ბაღთან	4170742	4477505	51.09	საშუალო	4									
21	არაგვაშვილისა და აბაშიძის ქუჩების კვეთაზე	4170765	4476649	61.61	საშუალო	5									
22	მზიურის პარკის ტერიტ. ცენტრალურ შესასვლელთან	4170956	4476879	71.86	საშუალო	6									
23	მელიქიშვილის ქ. საკონცერტო დარბაზთან	4170694	4478605	79.93	საშუალო	6	<2.44	დაბალი	1	24.12	დაბალი	1	2.54	დაბალი	2
24	დიმიტრი უზნაძის ქუჩა	4169325	4485450	63.62	საშუალო	5									
25	თეოფანე დავითიანის ქუჩა ვაზისუბნის პოლიციასთან	4170344	4484946	50.22	საშუალო	4									
26	კუს ტბა	4170148	4475427							57.04	დაბალი	2			

შემდგომ გაზომვებში ყველგან დაფიქსირდა გოგირდის დიოქსიდისა და ოზონის დაბალი ინდექსები. აზოტის დიოქსიდის ინდექსები იყო როგორც დაბალი, ასევე საშუალო. აზოტის დიოქსიდის საშუალო ინდექსები დაფიქსირდა ექვს წერტილში. ბენზოლის ინდექსი ყველგან დაბალია გარდა ერთი წერტილისა - ტაშკენტის ქუჩაზე, სადაც დაფიქსიდა საშუალო ინდექსი.

ცხრილი 23: მეორე ინდიკატორული გაზომვების შედეგები (2015წ. გარემოს ეროვნული სააგენტო)

NN	მისამართი	კოორდინატები		NO_2			SO_2			O_3			VOC		
				კონცენ ტრაცია	ჰაერის ხარისხის ინდექსი		კონცენ ტრაცია			კონცენ ტრაცია			კონცენ ტრაცია		
1	ტაშკენტის ქუჩა	480243	46200344	64.71	საშუალო	5	<1.92	დაბალი	1	14.83	დაბალი	1	5.04	საშუალო	4
2	სანდრო ეულის ქუჩა	476484	4618937	29.17	დაბალი	3									
3	ნუცუბიძე IV მკ/რ	477143	4620244	21.85	დაბალი	2									
4	ლუბლიანას ქუჩა	481286	4625066	40.03	დაბალი	3									
5	ლილო მოლის ტერიტორია	499282	4615447	28.08	დაბალი	3									
6	თეწვის ჩანტლაძის ქუჩა	493931	4615757	17.49	დაბალი	2									
7	მ.ვახოკიძეს ქუჩა	499116	4615229	43.22	საშუალო	4									
8	ხახულის ქუჩა	881098	4628490	50.25	საშუალო	4									
9	ვაჟა-ფშაველას ქუჩა	484048	4630322	10.7	დაბალი	1									
10	ი. უჩანაშვილის ქუჩა	477500	4617520	15.79	დაბალი	2	<1.92	დაბალი	1						
11	მ.წინამძღვრიშვილის ქუჩა	493565	4617279	50.94	საშუალო	4									
12	გურამიშვილის გამზირი	482575	4623878	31.99	დაბალი	3									
13	ბერძენის ქუჩა	481642	4616618	11.69	დაბალი	1									
14	ორთაჭალას ქუჩა	484738	4613865	25.86	დაბალი	2									
15	ყვარელის ქუჩა	456650	4616364	23.80	დაბალი	2									
16	ს.თაყაიშვილის ქუჩა	489703	4617429	26.26	დაბალი	2									
17	ა.ისაკიაზის ქუჩა	485466	4625440	28.19	დაბალი	3									
18	ნორიოს ქუჩა	484684	461841	21.98	დაბალი	2									
19	ღრმაღელის ქუჩა	483080	4622208	23.85	დაბალი	2	<1.92	დაბალი	1	42.94	დაბალი	2	3.20	დაბალი	2
20	დ. აღმაშენებლის ქუჩა	478282	4624435	24.01	დაბალი	2									
21	სამრეკლოს ქუჩა	484548	4616399	46.03	საშუალო	4	<1.92	დაბალი	1	19.07	დაბალი	1	5.00	დაბალი	3
22	სახალხოს ქუჩა	487525	4614150	28.36	დაბალი	3									
23	მოსკოვის გამზირი	489206	4614259	46.5	საშუალო	4									
24	ნაკადულის ქუჩა	491234	4612389	34.49	დაბალი	3									
25	მიცკევიჩის ქუჩა	480273	4619202							17.69	დაბალი	1			

დაბინძურების წყაროები

ძირითადი დაბინძურების წყაროდ ავტოსატრანსპორტო საშუალებები განიხილება, რომელთა გამონაბოლქვზეც ჰაერში გაფრქვეული საერთო დაბინძურების 90%-ზე მეტი მოდის. ქვეყნის მასშტაბით დღეს მილიონამდე ავტომობილია, აქედან 40% დედაქალაქშია თავმოყრილი - უახლესი მონაცემებით ქ. თბილისში რეგისტრირებულია 382,285 ავტომობილი.[17]გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული მონაცემები სტაციონარული და მობილური წყაროებიდან ემისიის შესახებ, მოწმობს, რომ ჰაერის დაბინძურება თბილისში თითქმის მთლიანად დაკავშირებულია ტრანსპორტთან. ამასთან აღსანიშნავია, რომ ქალაქში ავტომობილების რიცხვი კი მუდმივად იზრდება.

ამავდროულად, მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ კერძო მფლობელებს ავტომობილების ტექნიკური მდგომარეობის კონტროლისა თუ გაფრქვევების ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებთან შესაბამისობაში მოყვანის ვალდებულება არ გააჩნიათ. ხშირ შემთხვევაში, სტანდარტებს მუნიციპალური და კერძო საზოგადოებრივი სატრანსპორტო საშუალებებიც ვერ აკმაყოფილებს. თბილისის უზომოდ გაზრდილი ავტოპარკის ძირითადი ნაწილი მოძველებულია და არ შეესაბამება საერთაშორისო ტექნიკურ და გარემოსდაცვით მოთხოვნებს. რეგისტრირებული ავტომობილების მნიშვნელოვანი ნაწილი 2002 წლამდეა წარმოებული. 2013 წლის ინფორმაციით ავტოპარკის 57 პროცენტს

[1717]თბილისის გარემოსდაცვითი სტრატეგია 2015-2020 წწ.)

20 წელს გადაცილებული მანქანები შეადგენენ, 17 პროცენტს - 15 წელს გადაცილებული, 11 პროცენტს - 10-დან 15 წლამდე ასაკის მანქანებია და მხოლოდ 3 პროცენტია 5 წლამდე ასაკის. (თბილისის გარემოსდაცვითი სტრატეგია 2015-2020 წწ.) ამ ყველაფერს თან ერთვის თბილისში ყოველდღიურად დიდი რაოდენობით შემომავალი და გამავალი სატრანსპორტო საშუალებები, ასევე გზის დაზიანებული საფარი და საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარების დაბალი დონე.

დაბინძურების მნიშვნელობით მეორე წყაროა სტაციონარული სამრეწველო დაწესებულებები. ასფალტის (20.5%) წარმოება, სამშენებლო მასალების წარმოება (16.6%) კვების მრეწველობა (10.5%) წარმოადგენენ იმ წამყვან დამაბინძურებელ სექტორებს, რომელთა შესახებაც, სტატისტიკა ნებაყოფლობითი ანკეტების შევსების შედეგად, ჰაერის კონტროლის სამსახურმა შეადგინა. დღესდღეისობით, თბილისში აღარ დგას ჰაერის მსხვილი დამაბინძურებელი ობიექტები. ისინი ან აღარ ფუნქციონირებენ, ან საკმაოდ მცირე დატვირთვით მუშაობენ.

ჰაერის დამაბინძურებელ მესამე წყაროს წარმოადგენს საყოფაცხოვრებო ნარჩენების განთავსების შედეგად გამოწვეული ჰაერის დაბინძურება, როგორც ძველი, დახურული ნაგავსაყრელებიდან (გლდანი, იაღლუჯა) ასევე ახალი მოქმედი ნაგავსაყრელიდან (ლილო). ეს ადგილები ჰაერის დაბინძურების მაღალი რისკის მატარებელ ტერიტორიებს წარმოადგენენ, რადგან ნარჩენების ხრწნის შედეგად გამოყოფილი აირები მნიშვნელოვანი დაბინძურების წყაროა. ჰაერის ხარისხზე აღნიშნული წყაროების ზეგავლენის შეფასება შემდგომ კვლევას საჭიროებს. (თბილისის გარემოს დაცვის სტრატეგია 2015-2020).

ჰაერის დაბინძურების მნიშვნელოვან მეოთხე წყაროს წარმოადგენს სამშენებლო სექტორის მიერ გამოყოფილი მტვერი. არ ხდება მშენებლობის პროცესში მტვრის ნაწილაკების გაფრქვევების გაზომვა - კონტროლი. სავარაუდოდ, სწორედ კონტროლის არარსებობის გამო, სამშენებლო კომპანიები არ სწევენ დამატებით ხარჯებს მშენებლობის პროცესში გარემოს დაბინძურების თავიდან ასაცილებლად.

თბილისში ძირითადი დამაბინძურებელი წყაროები განლაგებულია ქალაქის ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილებში, სადაც ჩრდილო-დასავლეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულების ქარებია გაბატონებული. ზემოთხსენებულ ქარებს ქალაქში შემოაქვთ სამრეწველო ობიექტების მიერ დაბინძურებული ჰაერი. სამხრეთ-აღმოსავლეთ ქარების მიერ მოდენილი ჰაერი, გარდა სამრეწველო გამონაბოლქვებით დაბინძურებისა, შეიცავს აგრეთვე მტვრის დიდ რაოდენობას (ამ ქარების ნაკადები გაჯერებულია ნიადაგის წვრილი ნაწილაკებით).

უნდა აღინიშნოს, რომ თბილისში ჰაერის დამაბინძურებელ წყაროთა დაბინძურების ზუსტი წილობრივი შეფასება რთულია, რადგან ჰაერის დაცვის სამსახურის მიერ, მონაცემების შეგროვება, სამრეწველო ობიექტების მიერ დაბინძურებასთან დაკავშირებით ნებაყოფლობით ხასიათს ატარებს. ცალკეულ შემთხვევებში (მაგალითად მშენებლობა) ნაწილაკების გაფრქვევის აღწერა-ფიქსირება არ ხდება - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ატმოსფერული ჰაერის დაცვის სამსახურის 2014 წლის ინფორმაციით, თბილისში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების სახელმწიფო აღრიცხვის ფორმა წარმოდგენილ იქნა ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელი 385 სტაციონარული ობიექტის მიერ. ამ ობიექტებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების რაოდენობა ქვეყნის მთლიან გაფრქვევებში შეადგენს 4,2%-ს.

თბილისში არსებული სტაციონარული ობიექტებიდან გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა 86,5% ნახშირწყალბადებზე (63,4%) და მყარ ნივთიერებებზე (23,1%) მოდის. ნახშირწყალბადების ასეთი რაოდენობით გაფრქვევა ძირითადად საწვავის შენახვა-რეალიზაციის ობიექტების (საცავი, ავტოგასამართი სადგური) ფუნქციონირების შედეგია. მყარი ნივთიერებების გაფრქვევა უმეტესწილად გამოწვეულია სამშენებლო მასალებისა და ასფალტის წარმოებით. მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების ადამიანზე ზემოქმედების ხარისხის გათვალისწინებით შეფასებისას ჩანს, რომ მყარი ნივთიერებების გაფრქვევები მთლიანი გაფრქვევების ნახევარზე მეტს - 51%-ს, აზოტის დიოქსიდის - 26%-ს, ხოლო ნახშირწყალბადებისთვის 19%-ს შეადგენს.[18] 2014 წლის მონაცემებით, თბილისში, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების რაოდენობის მიხედვით ძირითადი საქმიანობებია საწვავის რეალიზაცია (37%), ასფალტის (20,5%) და სამშენებლო მასალების წარმოება (16,6%), კვების მრეწველობა (10,5%), რომლებზეც მოდის მთლიანი გაფრქვევების დაახლოებით 85%. გაფრქვევების მავნეობის ზემოქმედების ხარისხის გათვალისწინებითაც ზემოაღნიშნულ საქმიანობებს ჯამურად გააჩნიათ ყველაზე დიდი პროცენტული მაჩვენებელი (83%), რომლებიც ცალკეული საქმიანობის მიხედვით ასე ნაწილდება: ასფალტის წარმოება (33%), სამშენებლო მასალების წარმოება (27%), კვების მრეწველობა (13%), ხოლო საწვავის რეალიზაცია (10%).

[18] სითი ინსტიტუტი საქართველო)

ცხრილი 24: თბილისში მავნე ნივთიერებათა განაწილება გაფრქვევების რაოდენობისა და მავნეობის მიხედვით % (2015 წ.)





2015 წლის მონაცემებზე დაფუძნებით, ვაშლიჯვრის ტერიტორიაზე ფონური ავტომატური სადგურის მიერ გაზომილი პრაქტიკულად ყველა მავნე ნივთიერების საშუალო თვიური კონცენტრაციები ნორმის ფარგლებშია. მტვრის და NO_2-ის კონცენტრაციები ეროვნული სტანდარტების მიხედვით მაღალი იყო წერეთლის გამზირზე, სადაც ინტენსიური სატრანსპორტო მოძრაობაა. ეროვნული სტანდარტებით განსაზღვრულ ნორმატიულ დონეს აჭარბებს ოზონის მაქსიმალური ერთჯერადი კონცენტრაციებიც.

აღმაშენებლის გამზირზე, რომელიც თბილისის ცენტრალურ ნაწილშია განლაგებული და სადაც სატრანსპორტო მოძრაობა საკმაოდ ინტენსიურია, CO-ს, SO_2-ის, NO_2-ის და მყარი ნაწილაკები აჭარბებს ეროვნული სტანდარტების დონეს. რაც შეეხება მოსკოვის გამზირს, რომელიც ცენტრიდან ძლიერ დაშორებულია, CO-ს კონცენტრაცია ძირითადად ეროვნული სტანდარტები გათვალისწინებულ ფარგლებშია, თუმცა NO_2-ის დონეები გადაჭარბებულია.

2014 წლის დაკვირვების ავტომატური სადგურის მონაცემები თბილისის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაზე ცხადყოფს, რომ ნახშირჟანგის, აზოტის ორჟანგის, გოგირდის ორჟანგის და მყარი ნაწილაკების (ანუ მტვრის) დონე აჭარბებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ მაჩვენებლებს. თუმცა აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ინდიკატორული კვლევების საფუძველზე ჰაერის დაბინძურების ხარისხი სამინისტროს მიერ შეფასდა საშუალო დაბინძურებად. სამინისტროს განცხადებით ეს არ იძლევა განგაშის საფუძველს, რადგან მაჩვენებელი არ აღემატება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში არსებულ დაბინძურების დონეებს.[19]

[19] გიგლა აგულაშვილი: თბილისში ჰაერის ხარისხი ევროსტანდარტის შესაბამისად საშუალო დონისაა, 3 დეკემბერი, 2015

არსებული მონაცემების განვრცობა მთელს ქალაქზე და მათი მეშვეობით, დაბინძურების პირდაპირი დაკავშირება საავტომობილო დაბინძურებასთან ან რაიმე სხვა წყაროსთან, ქალაქში ჰაერის დაბინძურების ან/და ხმაურით გარემოს დაბინძურების ზუსტი რუკების შექმნა, არსებული მონაცემებით, შეუძლებელია რადგან:

1) ჰაერის ხარისხზე ამჟამად არსებული მონაცემები ძალიან მცირე რაოდენობისაა. ასევე მცირეა სტაციონარული სადგურების ოდენობა და მათი მონაცემი საერთო სურათის შექმნის საშუალებას არ იძლევა.

2) ჰაერის ინდიკატორული გაზომვები ხდება ცალკეული წერტილებიდან - ჰაერის ხარისხის შემოწმება ერთჯერადად სხვადასხვა მავნე ნივთიერებებზე (გოგირდის, აზოტის დიოქსიდები, ნახშირჟანგი, ოზონი, და მცირე ნაწილაკები) და როგორც წესი, აღნიშნული გაზომვებისთვი შერჩეულია ხალხმრავალი, დატვირთული ადგილები ძირითადად უშუალოდ გზის პირას. ანუ გაზომვის წერტილები არ არის შემთხვევითი და ქალაქის მასშტაბით თანაბრად გადანაწილებული. ასევე არ არის ფონური გაზომვები.

3) ამინდის (განსაკუთრებით კი ქარიანობის) გათვალისწინების გარეშე, სხვადასხვა დროს აღებული მონაცემების გასაშუალოება არ მოგვცემს სასურველ სურათს ხანგრძლივად განმეორებადი მონაცემების არსებობობის გამო.

იმისათვის, რომ უკეთესი წარმოდგენა შეგვექმნას თბილისში არსებული ატმოსფერული ჰარის მდგომარეობაზე, აუცილებელია გავეცნოთ არსებულ ინფორმაციას ყოველთვიური მაქსიმალური და ერთჯერადი საშუალოთვიური კონცენტრაციების შესახებ. (იხ. დანართი)

ჰაერის დაბინძურების ხარისხის შეფასება და სისტემატიზაცია

ნათელია, რომ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება წამყვან როლს თამაშობს მრავალი ქრონიკული ავადმყოფობის ჩამოყალიბებაში, რომელიც მძიმე ტვირთად აწვება როგორც უშუალოდ დაზარალებულებს, ასევე ჯანდაცვის სფეროსა და ქვეყნის ეკონომიკას. კვლევების შედეგები ცხადყოფს, რომ ქ. თბილისის ატმოსფერული ჰაერის ყველაზე საშიშ დამაბინძურებლებად შეიძლება ჩაითვალოს: მყარი ნაწილაკები, ნახშირჟანგი, აზოტის ორჟანგი და ერთჟანგი და მიწისპირა ოზონი.

დღესდღეობით თბილისის ჰაერის მდგომარეობის შესახებ სრული ინფორმაცია არ არსებობს. სამი სადამკვირვებლო სადგური საკმარისი არაა თბილისის ჰაერის მდგომარეობის შესახებ სრული სურათის შესაქმნელად - ამჟამად ავტომატური სადგურების განთავსების ტემპი არ არის დამაკმაყოფილებელი, თუმცა როგორც

ცნობილია, სააგენტო ცდილობს გააუმჯობესოს ჰაერის ხარისხის მონიტორინგის დონე. გარემოს ეროვნული სააგენტოს ცნობით 2015 წელს თბილისის ატმოსფერული ჰაერის ხარისხი ქალაქის მრავალ ადგილზე არ შეესაბამება ეროვნულ სტანდარტებს. სადამკვირვებლო სადგურების მონაცემების მიხედვით, ჰაერი უმეტესწილად ქალაქის ცენტრალურ უბნებშია დაბინძურებული. ადრეული თუ დღევანდელი კვლევებიც ადასტურებენ იმ გარემოებას, რომ ქალაქის ცენტრალური რაიონების: ძველი თბილისის, ვაკე-საბურთალოს, დიდუბე-ჩუღურეთის, ისანი-სამგორის მნიშვნელოვანი მონაკვეთები განიცდიან აქტიურ უარყოფით ანთროპოგენულ ზემოქმედებას, რისი უმთავრესი მიზეზი და წყარო ქალაქში ინტენსიურად მოძრავი სატრანსპორტო საშუალებებია. თუმცა აღნიშნულია ისიც, რომ ქ. თბილისის ატმოსფერულ ჰაერში მაღალი დაბინძურება არ გვაქვს.

არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რეკომენდაციის სახით შეიძლება ითქვას, რომ უნდა მოხდეს პირველ რიგში საავტომობილო გაფრქვევების ეტაპობრივი შემცირება სხვადასხვა მექანიზმების განხორციელების საშუალებით. ასევე მოხდეს სამრეწველო გაფრქვევების შემცირება საწარმოთათვის თანამედროვე ფილტრების გამოყენებით.

ხშირ შემთხვევაში ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი ზდკ-ები ეფუძნება საბჭოთა ნორმატივებს და ზოგიერთი ნივთიერებისთვის თანხვედრაში არ მოდის ევროკავშირისა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდირებულ ხარისხობრივ ნორმებთან, ამიტომ დღევანდელი კანონმდებლობა საჭიროებს განახლებას ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების გათვალისწინებით.

3.2 ხმაურით დაბინძურების ხარისხის კვლევა

ხმაურით დაბინძურება მოიაზრება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ერთ-ერთ სახედ. იგი უარყოფითად აისახება ადამიანის ჯანმრთელობაზე და აუარესებს გარემოს ხარისხს, გამაღიზიანებლად მოქმედებს ადამიანზე. მისი გავლენა დამოკიდებულია ინტენსივობაზე, სპექტრალურ შედგენილობასა და მოქმედების ხანგრძლივობაზე. უნდა აღინიშნოს, როგორც ჰაერის შემთხვევაში, ხმაურის, როგორც გარემოს ერთ-ერთი დამაბინძურებლის მონაცემები ქალაქის მხოლოდ რამდენიმე წერტილისთვის აისახება, შესაბამისად, იგი სუსტად არის აღრიცხული და არ ასახავს მთელი თბილისის მდგომარეობას.

2016 წლამდე არსებული უკანასკნელი მონაცემები ხმაურის 2005 წლის მდგომარეობას ასახავს. დაბინძურების ერთ-ერთი უმაღლესი მაჩვენებელი ვარაზისხევში დაფიქსირდა. ხმაურით დაბინძურებული სხვა უბნები მოიცავს ვაჟა-ფშაველას გამზირს, მელიქიშვილის ქუჩას, რუსთაველის, წერეთლის გამზირს, კოსტავას ქუჩას და თბილისის სხვა ცენტრალურ ტერიტორიას.

2016 წელს, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაზე მუშაობის პროცესში, „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ დაკვეთით, გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განახორციელა ხმაურის კვლევა თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში. კვლევა ჩატარდა 20 წერტილზე დაკვირვებით 2016 წლის 28 მარტიდან 1 აპრილის დილისა და საღამოს საათებში ავტომანქანების სავალი ნაწილის მიმდებარედ. სულ ჩატარდა 40 გაზომვა ხელსაწყო - Casella CEL–633B-ს საშუალებით. მოხდა ხმაურის დონის მინიმალური, მაქსიმალური და ექვივალენტური მნიშვნელობების გაზომვა. დილის გაზომვები მიმდინარეობდა 09:30 საათიდან 11:30 საათამდე, ხოლო საღამოს კი - 16:30 საათიდან 18:30 საათამდე.

აღნიშნული კვლევის მიზანს წარმოადგენდა ქ. თბილისის ტერიტორიაზე ურბანულ ნაწილში ხმაურით დაბინძურების პიკების ასახვა და შემდგომი დეტალური კვლევის აუცილებლობის დასაბუთება. ყველა წერტილში, ხმაურის ექვივალენტური დონე აღემატებოდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმას და ხმაურის მაქსიმალური დონე 20 დან 19 შემთხვევაში აჭარბებდა. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ გაზომვის წერტილებად სპეციალურად შეირჩა ხალხმრავალი საზოგადოებრივ-საქმიანი ტერიტორიები და საცხოვრებელი ზონები, ანუ ის ადგილები, რომლებიც აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მოქალაქეებისათვის, სხვადასხვა მიზნით. აღნიშნული ტერიტორიების დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხმაურის ნეგატიური გავლენისაგან.

გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ ხმაურით დაბინძურების ძირითად წყაროდ დასახელებულია საავტომობილო ტრანსპორტის ინტენსიური ნაკადების გადაადგილების თანმდევი ხმაური. აღსანიშნავია, რომ განხორციელებული გაზომვების მასშტაბი და გაზომვათა რაოდენობა არ იძლევა საშუალებას, გამოვავლინოთ სხვა, მეორადი დამაბინძურებელი ფაქტორები, რომლებმაც შესაძლოა გარკვეულწილად განაპირობონ ხმაურის დონე ცალკეული უბნების მიხედვით. (მაგალითად, ხმაური აეროპორტის აფრენის ზოლში ან სარკინიგზო და სამატარებლო ხაზების მიმდებარედ და ა.შ).

ხმაურის ძირითადი გამომწვევი მიზეზი, ავტოტრანპორტის რაოდენობა და ავტომანქანების ასაკიცაა. ხმაურის ინტენსივობის ზრდა ასევე მათ ტექნიკურ გაუმართაობას უკავშირდება.

ავტომობილების ხმაურის მახასიათებლების შემოწმება ადრე ყოველწლიურად ეკო-დიაგნოსტიკურ პუნქტებში ხდებოდა. პუნქტები ამჟამად არ ფუნქციონირებენ და ავტომობილების ხმაურის მახასიათებლების შემოწმებაც არ ხდება.

ხმაურის წყაროა სამრეწველო ობიექტებიც. მსხვილი სამრეწველო ობიექტები, ჩვეულებრივ, გარემოზე ზემოქმედების ნებართვას საჭიროებს. შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში უნდა მოხდეს ხმაურის ნორმების გათვალისწინება და შემარბილებელი ღონისძიებების დაგეგმვა. თუმცა არ არსებობს ამ ნორმების აღსრულების კონკრეტული, ეფექტური მექანიზმები. ასევე, ხშირად მცირე საწარმოები, რომლებიც არ საჭიროებენ გარემოზე ზემოქმედების ნებართვას, მაგალითად ბენზინგასამართი სადგურები, ხისა და ქვის საჭრელი ჩარხები, კომპრესორები და სხვა დანადგარები მუშაობის დროს გარემოში ინტენსიურ ხმაურს წარმოქმნიან. ამ საწარმოების დაგეგმარების პროცესში ხმაურისაგან დაცვის საკითხების გათვალისწინება პრაქტიკულად არ ხდება.

სითი ინსტიტუტი საქართველოს მიერ გამოქვეეყნებული ხმაურის მაქსიმალური დონის გაზომვის შედეგები ასეთია: დილის საათებში ხმაურის მაქსიმალური დონე მერყეობდა 61,7 დბ - 97,4 დბ-ის ფარგლებში. მისი ყველაზე დაბალი მნიშვნელობა 61,7 დბ დაფიქსირდა კახეთის გზატკეცილზე ვარკეთილის მე-3 მასივში 28 მარტს. ხმაურის მაქსიმალური დონე კი აღინიშნა 29 მარტს დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-14 კილომეტრზე თავისუფალი უნივერსიტეტის წინ და მან შეადგინა 97,4 დბ. დილის საათებში ასევე საკმაოდ მაღალი იყო ხმაურის მაქსიმალური დონეები 30 მარტს მარჯანიშვილის მოედანსა (95,8 დბ) და თავართქილაძის უნივერსიტეტთან სამღერეთის ქუჩის მიმდებარედ (94,4 დბ), პირველ აპრილს კი ვაჟა-ფშაველას გამზირზე, მე-6 კვარტალში (91,5 დბ).

რაც შეეხება საღამოს საათებს, ამ დროს ხმაურის მაქსიმალური დონეები მერყეობდა 75,7 დბ - 98,6 დბ-ის ფარგლებში. მისი ყველაზე დაბალი მნიშვნელობა 75,7 დბ დაფიქსირდა თავართქილაძის უნივერსიტეტთან სამღერეთის ქუჩის მიმდებარედ 30 მარტს. მაქსიმალური დონე კი აღინიშნა 31 მარტს ვარაზის ხევში უნივერსიტეტთან და მან შეადგინა 98,6 დბ. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაზომვის პერიოდში ვარაზის ხევში გაიარა სახანძრო მანქანამ ჩართული ხმოვანი სიგნალით. საღამოს საათებში ასევე საკმაოდ მაღალი ხმაურის დონე აღინიშნა 29 მარტს დ. აღმაშენებლის ხეივნის მე-14 კილომეტრზე თავისუფალ უნივერსიტეტთან (90,9 დბ), ლისის ტბის დასახლებაში გზის პირას (91,6 დბ), 30 მარტს მარჯანიშვილის მოედანზე (93,7 დბ), ხოლო პირველ აპრილს ვაჟა-ფშაველას გამზირზე არქივის წინ (96,1 დბ).

ხმაურის ექვივალენტური დონის გაზომვის შედეგები

სითი ინსტიტუტის მონაცემების მიხედვით დილის საათებში ხმაურის ექვივალენტური დონეები მერყეობდა 57,4 დბ-79,6 დბ-ის ფარგლებში. მისი ყველაზე დაბალი მნიშვნელობა 57,4 დბ დაფიქსირდა კახეთის გზატკეცილზე ვარკეთილის მე-3 მასივში 28 მარტს. ყველაზე მაღალი კი 79,6 დბ აღინიშნა 29 მარტს დავით აღმაშენებლის ხეივანში, თავისუფალ უნივერსიტეტთან. დილის საათებში ხმაურის ექვივალენტური დონეები ასევე მაღალი იყო 30 მარტს ცოტნე დადიანის და ქართველიშვილის ქუჩების კვეთაზე (77,3 დბ) და პირველ აპრილს ვაჟა-ფშაველას გამზირზე არქივთან (75,4 დბ).

საღამოს საათებში ხმაურის ექვივალენტური დონეები იცვლებოდა 51,6 დბ-82,4 დბ-ის ფარგლებში. მისი ყველაზე დაბალი მნიშვნელობა 51,6 დბ დაფიქსირდა კახეთის გზატკეცილზე ვარკეთილის მე-3 მასივში 28 მარტს. ყველაზე მაღალი ექვივალენტური დონე 82,4 დბ კი დაფიქსირდა 31 მარტს ვარაზის ხევში უნივერსიტეტთან. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაზომვის პერიოდში ვარაზის ხევში გაიარა სახანძრო მანქანამ ჩართული ხმოვანი სიგნალით (სირენით). მაღალი იყო ასევე ხმაურის ექვივალენტური დონეები 29 მარტს მეტროს სადგურ „ახმეტელთან“ (79,9 დბ) და დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-14 კმ-ზე თავისუფალ უნივესიტეტთან (79,0 დბ).

როგორც აღვნიშნეთ, 2005 წლის შემდეგ გაზომვები არ ჩატარებულა. გენ-გეგმის მიერ დაკვეთილი გარემოს ეროვნული სააგენტოს ჩატარებული კვლევა კი მხოლოდ 20 წერტილზე, დღის და საღამოს ხმაურის დაბინძურებაზე, ასევე უშუალოდ გზისპირებზე ჩატარდა, შესაბამისად, ზუსტად თქმა იმის, თუ რამდენადაა დამოკიდებული გზასთან სიახლოვეზე ხმაურით გარემოს დაბინძურება, შეუძლებელია. ვითვალისწინებთ რა გაზომვების სიმცირესა და საკონტროლო მონაცემების არარსებობას, ვხვდებით რომ სარწმუნო დასკვნის გამოტანის საშუალება არ გვაქვს.

დასკვნა:

ნაშრომში ნაჩვენებია ეკოლოგიური დაგეგმარების როლი ურბანულ განვითარებაში. გაანალიზებულია თანამედროვე ურბანული მიდგომები და ქალაქ თბილისზე არსებული მასალები, რათა ადექვატურად შეფასებულიყო არსებული მდგომარეობა.

ნაშრომი მოიცავს ინფორმაციას საკვლევ ტერიტორიაზე (ქალაქი თბილისი) არსებული 33 ადმინისტრაციულ-ტერიტორიულის ერთეულის შესახებ. მოცემულ უბნებში ჩატარდა არსებული რეკრეციული ზონების, მათთან მიწვდომადობის, ჰაერისა და ხმაურის დაბინძურების მონაცემების კვლევა. შედეგების მიხედვით გამოვლინდა თბილისში ეკოლოგიური კუთხით არსებული სენსიტიური არეალები.

ამრიგად, თბილისის კომპლექსურმა შეფასებამ ეკოლოგიური ხარისხის მაჩვენებლის მიხედვით გამოავლინა ცუდი და კარგი ეკოლოგიური მდგომარეობის მქონე უბნები. დედაქალაქში შეინიშნება გამწვანებული ტერიტორიების ნაკლებობა, რადგან 33 უბნიდან მხოლოდ 9 უბანში არის სარეკრეაციო სივრცეებთან ნორმალური მიწვდომადობა. აქ ყველა სახის საერთო გამწვანებული ტერიტორიების ფართობმა ერთ სულ მოსახლეზე შეადგინა 7.2 $მ^2$-მა, თუმცა სასურველი მაჩვენებელი 11 $მ^2$-ია. აღნიშნული ციფრიც ძირითადად მიღებულია არა თბილისის ცენტრში, არამედ გარეუბნების წყალობით.

რეკრეაციული ადგილების დეფიციტი მნიშვნელოვნად მოქმედებს ქალაქზე. თბილისში გამწვანებული ტერიტორიებიდან ქალაქის განაშენიანებულ ნაწილში მხოლოდ ვაკის პარკია, ხოლო დანარჩენი პარკები მაგალითად მთაწმინდის პარკი, კუს ტბა, ლისის ტბა, თბილისის ზღვა გარეუბნებში მდებარეობენ. ისინი მოშორებულნი არიან დასახლებული პუნქტებისგან და სწორედ ამიტომ რთულად არიან ხელმისაწვდომი. რაც შეეხება მცირე ფართობის მქონე პარკებს, ისინი როგორც ზემოთ ვიხილეთ, არათანაბრად არიან განაწილებულნი მთელს ქალაქში. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უბნების კვლევისას არ მოხდა კიკეთის, კოჯორის, ტაბახმელასა და წყნეთის მონცემების გათვალისწინება, რადგან ისინი არიან სოფლის ტიპის დასახლებები და არ წარმოადგენდნენ ურბანულ განაშენიანებას. აქ ურბანული მწვანე სივრცეების დაბალი ინტენსივობაა და იმ კრიტერიუმების მისადაგება, რაც ქალაქში გვაქვს, არ იქნება მართებული.

ანალიზის შედეგები ასევე მოწმობს ქალაქის ცენტრში კვლავ არსებულ უარყოფით ეკოლოგიურ მდგომარეობას. ცენტრალური რაიონები: ძველი თბილისის, ვაკე-საბურთალოს, დიდუბე-ჩუღურეთის, ისანი-სამგორის მნიშვნელოვანი მონაკვეთები განიცდიან აქტიურ უარყოფით ანთროპოგენულ ზემოქმედებას, რისი უმთავრესი მიზეზი და წყაროც ქალაქში ინტენსიურად მოძრავი სატრანსპორტო საშუალებებია. შეიძლება ითქვას, რომ ქ. თბილისის ატმოსფერული ჰაერის ყველაზე საშიშ დამაბინძურებლებად

შეიძლება ჩაითვალოს: მყარი ნაწილაკები, ნახშირჟანგი, აზოტის ორჟანგი და ერთჟანგი და მიწისპირა ოზონი. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ქ. თბილისის ატმოსფერულ ჰაერში მაღალი დაბინძურება არ გვაქვს.

კვლევის საყურადღებო მიგნებებია:

- 2015 წლის მონაცემების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ თბილისის ატმოსფერული ჰაერის ხარისხი ქალაქის მრავალ ადგილზე, არ შეესაბამება ეროვნულ სტანდარტებს. სადამკვირვებლო სადგურების მონაცემების მიხედვით, ჰაერი უმეტესწილად ქალაქის ცენტრალურ უბნებშია დაბინძურებული;

- დღესდღეობით თბილისის ჰაერის მდგომარეობის შესახებ სრული ინფორმაცია არ არსებობს. ასევე არ გვაქვს ზუსტი ინფორმაცია თბილისში სამრეწველო და სამშენებლო ობიექტების მიერ გამოწვეული ხმაურის შესახებ;

- არსებული სამი სადამკვირვებლო სადგური საკმარისი არ არის თბილისის ჰაერის მდგომარეობის შესახებ სრული სურათის შესაქმნელად;

- შენობების დაპროექტებისას არ არის გათვალისწინებული ხმაურის შემარბილებელი ღონისძიებები; ხმაურის შემარბილებელი ნორმების აღსრულებისა და კონტროლის მექანიზმები არასრულყოფილია და არ არსებობს მისი ზეგავლენის შემცირების ერთიანი, კომპლექსური გეგმა; აგრეთვე სახელმწიფო ან მუნიციპალურ დონეზე არ არსებობს ხმაურის პრობლემისადმი და მისი შემცირების ღონისძიებების შემუშავებისადმი ერთიანი მიდგომები.

არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით გამოკვეთილი პრობლემების მოგვარების ხელშეწყობის მიზნით ნაშრომში წარმოდგენილია რამდენიმე საბაზისო რეკომენდაცია:

- აუცილებელია მეტი პარკებისა და სკვერების შექმნა, განსაკუთრებით ცენტრალურ უბნებში, სადაც დიდია ჰაერისა და ხმაურით დაბინძურების ხარისხი;

- აუცილებელია ჰაერის მდგომარეობის მუდმივი მონიტორიგი, რათა მუდმივად ვფლობდეთ ინფორმაციას ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შესახებ. და აგრეთვე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ეს სადგურები უნდა მოეწყოს არა მხოლოდ დედაქალაქის ერთ წერტილში, არამედ სხვადასხვა უბნებში.

- დღესდღეისობით არსებული ეროვნული კანონმდებლობა საჭიროებს განახლებას, რადგან ხშირ შემთხვევაში მასში დადგენილი ზდკ-ები ეფუძნება საბჭოთა ნორმატივებს და

ზოგიერთი ნივთიერებისთვის თანხვედრაში არ მოდის ევროკავშირისა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდირებულ ხარისხობრივ ნორმებთან.

- უნდა მოხდეს საავტომობილო გაფრქვევების ეტაპობრივი შემცირება სხვადასხვა მექანიზმების განხორციელების საშუალებით. ასევე მოხდეს სამრეწველო გაფრქვევების შემცირება საწარმოთათვის თანამედროვე ფილტრების საშუალებით.

- გატარდეს პოლიტიკა ავტოტრანსპორტიდან ნაკლები გამონაბოლქვის მისაღებად (შემცირდეს საცობები, მოხდეს საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, წახალისდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტის, არსებული ტრანსორტის ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტით ჩანაცვლება, დაწესდეს კონტროლი გაუმართავ ავტოტრანსპორტზე);

კვლევებმა ცხადყო, რომ აუცილებელია ქალაქგეგმარებისას როგორც არქიტექტორთა და ქალაქმგემარებელთა, ასევე ურბანეკოლოგთა ჩართვაც. ქალაქის განვითარების გენერალური გეგმაში სხვა პრიორიტეტებთან ერთად აუცილებელია ეკოლოგიური მდგომარებისა და გარემოს დაცვის გათვალისწინებაც. იმისათვის, რომ თბილისის გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობა გაუმჯობესდეს, საჭიროა სისტემური მიდგომა. აუცილებელია პასუხისმგებელმა პირებმა და ორგანოებმა გადახედონ არსებულ მასალებს და შეიმუშაონ განვითარების სტრატეგია.

თბილისის სტრატეგიის განხორციელებით საბოლოო ჯამში უნდა მიიღწეს თბილისის განვითარების ერთ-ერთი მთავარი მიზანი - „თბილისი მწვანე ქალაქი“, რაშიც იგულისხმება თბილისის ეკოლოგიურად სუფთა ქალაქად გადაქცევა, მიმზიდველი და ჯანსაღი გარემოს, ქალაქში უკეთესი ცხოვრების, დასვენებისა და სამუშაო პირობების შექმნა. თბილისის გამწვანება-განაშენიანება უნდა იქცეს პრიორიტეტად.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა:

- Giddens, Anthony. Socilas Theory and Modern Sociology. Stanford; Stanford University Press. Inc., Jun 1, 1987, 310 p.
- The BerlinStrategy Urban Development Concept Berlin 2030. Senate Department for Urban Development and the Environment Am Köllnischen Park 3 10179 Berlin გვ 42-43;
- Green Surge, A TYPOLOGY OF URBAN GREEN SPACES, ECOSYSTEM SERVICES PROVISIONING SERVICES AND DEMANDS. UBER, Germany, 2015. გვ 18-44;
- Open Space & Recreation Needs Study City of Sydney, Stratcorp Consulting 2006. გვ 13-15, 87;
- Best Open Space Strategies. Mayor of London. Commission for Architecture and the Built Environment, 2009. გვ. 22-25;
- Towards a national indicator for urban green space provision and environmental inequalities in Germany: Method and findings, Henry Wu¨stemann, Dennis Kalisch, Jens Kolbe 2016. გვ 2-5.
- Гутнов А, Глазычев В. „Мир Архитектуры. Лицо Города“. Молодая Гвардия. М.: 1990, http://www.glazychev.ru/books/mir_architectury/archit.htm - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 24.07.2011.
- Гутнов А, Глазычев В. „Мир Архитектуры. Лицо Города“. Молодая Гвардия. М.: 1990, http://www.glazychev.ru/books/mir_architectury/archit.htm - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 24.07.2011.
- სულუხია თ. „დასავლეთის ქვეყნების ურბანსოციოლოგია“. თბილისი.: გამომც. „მერიდიანი“., 2001, გვ. 58.
- თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლება, ეტაპი 4, თბილისის მიწათსარგებლობის კონცეფცია, თავი მწვანე ქალაქი;
- სალუქვაძე გ. „ქალაქთმშენებლობითი ეკოლოგია“. გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2007, 143 გვ.
- მამუკა სალუქვაძე, მსხვილი ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის კომპლექსური კვლევის თანამედროვე ასპექტები ქალაქგეგმარებითი რეგულირების მიზნით, 2012წ.
- http://www.ipress.ge/new/18831-gigla-agulashvili-tbilisshi-haeris-khariskhi-evrostandartis-shesabamisad-sashualo-donisaa)

დანართი:

ჰაერის ხარისხის კვლევის ყოველთვიური შედეგები

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციაზე დაყრდნობით 2015 წელს, თვეების მიხედვით შემდეგი სურათი იკვეთება:

2015 წლის იანვარში:

- ზდკ-ს არ აღემატებოდა:

o ნახშირჟანგის, ოზონის და აზოტისა და გოგირდის დიოქსიდებისა დაფიქსირებული მაქსიმალური ერთჯერადი კონცენტრაცია .მოსკოვისა და წერეთლის გამზირებზე.

- ზდკ-ს აღემატებოდა:

o ნახშირჟანგისა და მტვრის მაქსიმალური ერთჯერადი კონცენტრაცია კვინიტაძის ქ–ზე და (2,0 ზდკ-სა და 3,0 ზდკ-ს შესაბამისად).

2015 წლის თებერვალში:

- ზდკ-ს არ აღემატებოდა:

o ნახშირჟანგის, აზოტისა და გოგირდის დიოქსიდების დაფიქსირებული მაქსიმალური ერთჯერადი კონცენტრაცია მოსკოვისა და წერეთლის გამზირებზე.

- ზდკ-ს აღემატებოდა:

o ნახშირჟანგის, მტვრისა და ოზონის მაქსიმალური ერთჯერადი კონცენტრაცია კვინიტაძის ქ–ზე (2,8 ზდკ-ს, 2.8 ზდკ-სა და 1,2 ზდკ-ს შესაბამისად).

2015 წლის მარტში:

- ზდკ-ს არ აღემატებოდა:

o აზოტისა და გოგირდის დიოქსიდების დაფიქსირებული მაქსიმალური ერთჯერადი კონცენტრაცია კვინიტაძის ქუჩასა და მოსკოვის გამზირზე;

o ნახშირჟანგის ერთჯერადი კონცენტრაცია მოსკოვის გამზირზე;

o ოზონის გარდა ყველა დამაბინძურებელი ნივთიერებების საშუალოთვიური და ერთჯერადი მაქსიმალური კონცენტრაცია ვაშლიჯვრის სადგურზე.

- ზდკ-ს აღემატებოდა:

o ნახშირჟანგის, მტვრისა და ოზონის მაქსიმალური ერთჯერადი კონცენტრაცია კვინიტაძის ქ–ზე (4,4 ზდკ-ს, 2.4 ზდკ- სა და 2,5 ზდკ-ს შესაბამისად);

o მტვრის, ნახშირჟანგისა და აზოტის დიოქსიდის კონცენტრაცია წერეთლის გამზ-ზე (2.4 ზდკ-ს, 1.4 ზდკ-სა და 1.2 ზდკ-ს შესაბამისად);

o ოზონის საშუალოთვიურმა კონცენტრაცია ვაშლიჯვრის სადგურზე (1.2 ზდკ).

2015 წლის აპრილში:

- ზდკ-ს არ აღემატებოდა:

o აზოტისა და გოგირდის დიოქსიდების დაფიქსირებული მაქსიმალური ერთჯერადი კონცენტრაცია კვინიტაძის ქ-ზე;

o აზოტის დიოქსიდის მაქსიმალური ერთჯერადი კონცენტრაცია მოსკოვისა და წერეთლის გამზირებზე;

o და ნახშირჟანგის ერთჯერადი კონცენტრაცია მოსკოვის გამზირზე.

- ზდკ-ს აღემატებოდა:

o ნახშირჟანგის, მტვრისა და ოზონის მაქსიმალური ერთჯერადი კონცენტრაცია კვინიტაძის ქ–ზე (3 ზდკ-ს, 2 ზდკ-სა და 1,1 ზდკ-ს შესაბამისად);

o მტვრისა და ნახშირჟანგის კონცენტრაცია წერეთლის გამზ-ზე (2.6 ზდკ-სა და 1.6 ზდკ-ს შესაბამისად).

2015 წლის მაისში:

- ზდკ-ს არ აღემატებოდა:

o აზოტისა და გოგირდის დიოქსიდების ფიქსირებული მაქსიმალური ერთჯერადი კონცენტრაცია კვინიტაძის ქუჩაზე;

o აზოტის დიოქსიდის მაქსიმალური ერთჯერადი კონცენტრაცია მოსკოვის გამზირზე;

o ნახშირჟანგის ერთჯერადი კონცენტრაცია წერეთლისა და მოსკოვის გამზირებზე.

- ზდკ-ს აღემატებოდა:

o მტვრისა და ოზონის მაქსიმალური ერთჯერადი კონცენტრაცია კვინიტაძის ქ–ზე (3,8 ზდკ-ს, 2,2 ზდკ- სა და 1,2 ზდკ-ს შესაბამისად);

o მტვრისა და აზოტის დიოქსიდის მაქსიმალური კონცენტრაცია წერეთლის გამზ-ზე (2.6 ზდკ-სა და 1.4 ზდკ-ს შესაბამისად).

2015 წლის ივნისში:

- ზდკ-ს არ აღემატებოდა:

o აზოტისა და გოგირდის დიოქსიდების დაფიქსირებული მაქსიმალური ერთჯერადი კონცენტრაცია კვინიტაძის ქ-ზე;

o აზოტის დიოქსიდისა და ნახშირჟანგის მაქსიმალური ერთჯერადი კონცენტრაციები მოსკოვის გამზირზე.

- ზდკ-ს აღემატებოდა:

o ნახშირჟანგის, მტვრისა და ოზონის მაქსიმალური ერთჯერადი კონცენტრაცია კვინიტაძის ქ–ზე (2,0 ზდკ-ს, 2,4 ზდკ- სა და 1,6 ზდკ-ს შესაბამისად);

o მტვრის, ნახშირჟანგისა და აზოტის დიოქსიდის მაქსიმალური კონცენტრაცია წერეთლის გამზ-ზე (2.8 ზდკ-ს, 1.8 ზდკ-სა და 1.7 ზდკ-ს შესაბამიად).

2015 წლის ივლისში:

- ზდკ-ს არ აღემატებოდა:

o აზოტისა და გოგირდის დიოქსიდების დაფიქსირებული მაქსიმალური ერთჯერადი კონცენტრაცია კვინიტაძის ქ-ზე;

o აზოტის დიოქსიდისა და ნახშირჟანგის მაქსიმალური ერთჯერადი კონცენტრაცია მოსკოვისა და წერეთლის გამზირებზე.

- ზდკ-ს აღემატებოდა:

o ნახშირჟანგისა და მტვრის მაქსიმალური ერთჯერადი კონცენტრაცია კვინიტაძის ქ-ზე (2,8 ზდკ-სა და 2,6 ზდკ-ს შესაბამისად);

o მტვრისა და აზოტის დიოქსიდის მაქსიმალური კონცენტრაცია წერეთლის გამზ-ზე (4.2 ზდკ-სა და 1.4 ზდკ-ს შესაბამისად).

2015 წლის აგვისტოში:

- ზდკ-ს არ აღემატებოდა:

o გოგირდის დიოქსიდის დაფიქსირებული მაქსიმალური ერთჯერადი კონცენტრაცია კვინიტაძის ქ-ზე

o აზოტის დიოქსიდისა და ნახშირჟანგის მაქსიმალური ერთჯერადი კონცენტრაცია მოსკოვის გამზირზე

- ზდკ-ს აღემატებოდა:

o მტვრის, ნახშირჟანგისა და აზოტის დიოქსიდის მაქსიმალური ერთჯერადი კონცენტრაცია კვინიტაძის ქ–ზე (2,8-ჯერ, 1.5-ჯერ და 1.1-ჯერ შესაბამისად);

o მტვრის და აზოტის დიოქსიდის მაქსიმალური ერთჯერადი კონცენტრაცია წერეთლის გამზირზე (3-ჯერ, 1.3-ჯერ შესაბამისად). ასევვე უმნიშვნელოდ ნახშირჟანგის კონცენტრაცია.

2015 წლის სექტემბერში:

- ზდკ-ს არ აღემატებოდა:

o გოგირდისა და აზოტის დიოქსიდების დაფიქსირებული მაქსიმალური ერთჯერადი კონცენტრაციები კვინიტაძის ქ-ზე;

o აზოტის დიოქსიდისა და ნახშირჟანგის მაქსიმალური ერთჯერადი კონცენტრაცია მოსკოვის გამზირზე;

o ნახშირჟანგის მაქსიმალური ერთჯერადი კონცენტრაცია წერეთლის გამზ-ზე.

- ზდკ-ს აღემატებოდა:

o მტვრისა და ნახშირჟანგის მაქსიმალური ერთჯერადი კონცენტრაცია კვინიტაძის ქ–ზე (- 2,2-ჯერ და 1.6- ჯერ შესაბამისად);

o მტვრის და აზოტის დიოქსიდის მაქსიმალური ერთჯერადი კონცენტრაცია წერეთლის გამზირზე (2,4-ჯერ და 1.3-ჯერ შესაბამისად).

2015 წლის ოქტომბერში:

- ზდკ-ს არ აღემატებოდა:

o გოგირდისა და აზოტის დიოქსიდების დაფიქსირებული მაქსიმალური ერთჯერადი კონცენტრაციები კვინიტაძის ქ-ზე

o აზოტის დიოქსიდის მაქსიმალური ერთჯერადი კონცენტრაცია წერეთლის გამზ.-ზე.

o აზოტის დიოქსიდისა და ნახშირჟანგის მაქსიმალური ერთჯერადი კონცენტრაცია მოსკოვის გამზირზე.

- ზდკ-ს აღემატებოდა:

o მტვრისა და ნახშირჟანგის მაქსიმალური ერთჯერადი კონცენტრაცია კვინიტაძის ქ-ზე (3-ჯერ და 1,6-ჯერ შესაბამისად)

o მტვრისა და ნახშირჟანგის მაქსიმალური ერთჯერადი კონცენტრაცია წერეთლის გამზირზე (3-ჯერ და 1,3-ჯერ შესაბამიად)

გაზომვების პერიოდში კონკრეტული თვეების მონაცემების დინამიკა იხილეთ გრაფიკებში.

მტვრის მაქსიმალური ერთჯერადი კონცენტრაციები თვეების მიხედვით

მტვრის მაქსიმალური ერთჯერადი კონცენტრ. მგ/მ³										
თვე	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
კვინიტაძის ქუჩა	1.5	1.4	1.2	1	1.1	1.2	1.3	1.4	1.1	1.5
მოსკოვის გამზირი										
წერეთლის გამზირი	0	0	1.2	1.3	1.3	1.4	2.1	1.5	1.2	1.5



მტვრის საშუალოთვიური კონცენტრაციები თვეების მიხედვით

მტვრის საშუალო თვიური კონცენტრ. მგ/მ3										
თვე	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
კვინიტაძის ქუჩა	0.88	0.85	0.7	0.6	0.68	0.8	0.8	0.9	0.8	0.4
მოსკოვის გამზირი										
წერეთლის გამზირი	0	0	0.7	0.76	0.7	0.78	0.8	0.98	0.92	0.86



აზოტის დიოქსიდის მაქსიმალური ერთჯერადი კონცენტრაციები თვეების მიხედვით

აზოტის დიოქსიდის მაქსიმალური ერთჯერადი კონცენტრ. მგ/მ³										
თვე	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
კვინიტაძის ქუჩა	0.17	0.17	0.17	0.15	0.15	0.15	0.17	0.21	0.13	0.15
მოსკოვის გამზირი	0.12	0.18	0.175	0.195	0.17	0.16	0.08	0.11	0.185	0.12
წერეთლის გამზირი	0.072	0.149	0.234	0.188	0.282	0.333	0.273	0.25	0.258	0.085



აზოტის დიოქსიდის საშუალო თვიური კონცენტრაციები თვეების მიხედვით

აზოტის დიოქსიდის საშუალო თვიური კონცენტრ. მგ/მ³										
თვე	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
კვინიტაძის ქუჩა	0.11	0.09	0.09	0.08	0.09	0.096	0.1	0.107	0.099	0.1
მოსკოვის გამზირი	0.085	0.11		0.09	0.07	0.07	0.125	0.07	0.077	0.07
წერეთლის გამზირი	0.033	0.064		0.06	0.108	0.09	0.11	0.075	0.08	0.039



გოგირდის დიოქსიდის მაქსიმალური ერთჯერადი კონცენტრაციები თვეების მიხედვით

გოგირდის დიოქსიდის მაქსიმალური ერთჯერადი კონცენტრ. მგ/მ³										
თვე	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
კვინიტაძის ქუჩა	0.22	0.2	0.19	0.21	0.2	0.21	0.21	0.21	0.2	0.2
მოსკოვის გამზირი										
წერეთლის გამზირი										



გოგირდის დიოქსიდის საშუალო თვიური კონცენტრაცია თვეების მიხედვით

გოგირდის დიოქსიდის საშუალო თვიური კონცენტრ. მგ/მ³										
თვე	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
კვინიტაძის ქუჩა	0.14	0.137	0.12	0.13	0.137	0.15	0.15	0.15	0.15	0.13
მოსკოვის გამზირი										
წერეთლის გამზირი										



ნახშირჟანგის მაქსიმალური ერთჯერადი კონცენტრაციები თვეების მიხედვით

ნახშირჟანგის მაქსიმალური ერთჯერადი კონცენტრ. მგ/მ³										
თვე	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
კვინიტაძის ქუჩა	10	14	22	15	19	10	14	7.7	8	8
მოსკოვის გამზირი	3.35	4.6	3.8	4.1	3.95	4.4	4.6	4	3.95	3.8
წერეთლის გამზირი	3.16	3.02	7.18	7.87	2.9	7.21	3.72	5.1	3.27	6.62



ნახშირჟანგის საშუალო თვიური კონცენტრაცია თვეების მიხედვით

ნახშირჟანგის საშუალო თვიური კონცენტრ. მგ/მ³										
თვე	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
კვინიტაძის ქუჩა	5.4	6.6	6.9	4.7	4.5	4.3	4.6	4.2	4.5	4.3
მოსკოვის გამზირი	2.3	2.3	2.2	2.1	2.2	2.2	2.7	2.6	2.2	2.1
წერეთლის გამზირი	1.4	1.4	1.43	1.1	1.2	2.5	1.8	1.6	1.5	2.4



ოზონის მაქსიმალური ერთჯერადი კონცენტრაციები თვეების მიხედვით

ოზონის მაქსიმალური ერთჯერადი კონცენტრ. მგ/მ³										
თვე	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
კვინიტაძის ქუჩა	0.096	0.018	0.398	0.17	0.196	0.262				
მოსკოვის გამზირი										
წერეთლის გამზირი										



ოზონის საშუალოთვიური კონცენტრაციები თვეების მიხედვით

ოზონის საშუალო თვიური კონცენტრ. მგ/მ³										
თვე	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
კვინიტაძის ქუჩა	0.022	0.023	0.0538	0.054	0.0576					
მოსკოვის გამზირი										
წერეთლის										

გამზირი										



ტყვიის საშუალოთვიური კონცენტრაციები თვეების მიხედვით

ტყვიის საშუალო თვიური კონცენტრ. მგ/მ³										
თვე	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
კვინიტაძის ქუჩა	0.00012	0.0009	0.00011					0.00024	0.00019	0.00029
მოსკოვის გამზირი										
წერეთლის გამზირი								0.00027	0.0003	0.00028


ტყვიის საშუალო თვიური კონცენტრ. მგ/მ3
0.001
0.0008
0.0006
0.0004
0.0002
0
1
2
3
4
5
6
7
8
9
10
კვინიტაძის ქუჩა
მოსკოვის გამზირი
წერეთლის გამზირი

რუკების ჩამონათვალი:

რუკა 1. სარეკრეაციო სივრცეების ტიპები (2017 წ.)



წყარო: სითი ინსტიტუტი საქართველო

შენიშვნა: რუკა შესრულებულია ნაშრომის ავტორის მიერ

რუკა 2: ურბანული მწვანე სივრცეების დაფარვა. იერარქიის მიხედვით (2017 წ.)



წყარო: სითი ინსტიტუტი საქართველო

შენიშვნა: რუკა შესრულებულია ნაშრომის ავტორის მიერ

რუკა 3: უბნების მიწვდომადობა 2 ჰექტარი ფართობის მქონე მწვანე სივრცეებთან 500 მეტრის მანძილზე (2017 წ)



წყარო: სითი ინსტიტუტი საქართველო

შენიშვნა: რუკა შესრულებულია ნაშრომის ავტორის მიერ

რუკა 4: საცხოვრებლის განაშენებული ნაწილის მიწვდომადობა 2 ჰექტარზე დიდ მწვანე სივრცეებთან 500 მეტრის მანძილზე (2017 წ)



წყარო: სითი ინსტიტუტი საქართველო

შენიშვნა: რუკა შესრულებულია ნაშრომის ავტორის მიერ

რუკა 5: საცხოვრებლის განაშენებულ ნაწილში 2 ჰა ფართობის მქონე მწვანე სივრცეებთან 300 მეტრის მანძილზე მიწვდომადობა. (2017 წ)



წყარო: სითი ინსტიტუტი საქართველო

შენიშვნა: რუკა შესრულებულია ნაშრომის ავტორის მიერ

ცხრილების ჩამონათვალი:

ცხრილი 1: უცხოეთის სხვადასხვა ქალაქის/ორგანიზაციის მიერ დაწესებული სტანდარტები

ქალაქი/ორგანიზაცია	მიწვდომადობა ურბანულ მწვანე სივრცესთან
ვანკუვერი - (Top Liveable city)	5 წუთის სავალ გზაზე
''Natural England''	5 წუთის სავალ გზაზე
ევროკავშირის ინდიკატორი	15 წუთის სავალ გზაზე
''US Environmental Protection Agancy''	5 მეტრის მანძილზ

ცხრილი 2: ერთ სულ მოსახლეზე არსებული ურბანული მწვანე სივრცეები უცხოეთის სხვადასხვა ქალაქებში

ქალაქი	ერთ სულ მოსახლეზე UGS
ბუენოს აირესი	1.9 მ^2
ტოკიო	3 მ^2
სტამბული	6.4 მ^2
WHO	9 მ^2
სინგაპური	66 მ^2
ვენა	120 მ^2
ლონდონი	27 მ^2
ამსტერდამი	45.5 მ^2

სტოკჰოლმი	87.5 მ^2

ცხრილი 3: ევროპის ურბანული მწვანე სივრცეების მონაცემები

Land use/ land cover area and per capita				
indicator	Western Europe	Southern Europe	Eastern Europe	Northen Europe
Total area (ha)	29625.04	25595.24	18958.96	48816.15
Total residential area	4936.69	2489.48	2665.92	5661.93
Forest	4168.85	2487.7	3035.86	16700.32
Green urban areas	853.24	399.2	462.06	1288.32
Per capita green space (m2 per inh.)	27.25	10.97	13.71	32.95
per capita green + forest (m2 per inh.)	233.97	137.39	157.52	1277.95

ცხრილი 4: უცხოეთის სხვადასხვა ქალაქის/ორგანიზაციის მიერ დაწესებული სტანდარტები

	ფართობი	მანძილი
ბერლინის ურბანული კეთილდღეობისა და გარეოს დეპარტამენტი	0.5 ჰა	500 მ
ბრიტანეთი	2 ჰა	300 მ
თელავივი	0.5 ჰა	300 მ
იტალიის კვლევითი ინსტიტუტი 2003	0.5 ჰა	300 მ
ღია სივრცის სტრატეგია	400 ჰა	3.2 - 8 კმ
	60 ჰა	3.2 კმ
	20 ჰა	1.2 კმ
	2 ჰა	400 კმ
	2 ჰა-მდე	400 მ მცირე

ცხრილი 5: ყველა ურბანული მწვანე სივრცის ფართობი ერთ სულ მოსახლეზე

ყველა UGS 1 მოსახლეზე (კვ.მ/კაცზე)		
თბილისის ერთიანი მონაცემი		**7.189426695**
კარგი შედეგები		
ჩუღურეთი	ზემო ჩუღურეთი	108.3746836
კრწანისი	კალა, ორთაჭალა	53.66636123
ვაკე	ვაკე, ბაგები	22.42137263
ნაძალადევი	ნაძალადევი	17.56577692
ცუდი შედეგები		
ისანი	ნავთლუღი	0
სამგორი	ლილო	0
ვაკე	ნუცუბიძის მიკრორაიონები	0.257154131
სამგორი	ქვემო სამგორი	0.410010272
გლდანი	მუხიანი	0.537172588
კრწანისი	ფონიჭალა	0.648652283
ნაძალადევი	ძველი ნაძალადევი, ლოტკინი	0.733296408
გლდანი	ავჭალა, გლდანის ხევი	0.751352795
სამგორი	ორხევი, აეროპორტი	0.796245877

ცხრილი 6: მხოლოდ ნაშენ ნახილში არსებული ურბანული მწვანე სივრცე ერთ სულ მოსახლეზე

მხოლოდ ნაშენ ნაწილში არსებული UGS 1 მოსახლეზე (კვ.მ - კაცზე)

თბილისის ერთიანი მონაცემი		**1.514125523**
კარგი მონაცემები		
დიდუბე	დიღმის მასივი	6.881949273
ვაკე	ვაკე, ბაგები	3.755978048
ნაძალადევი	თემქა	3.443691767
მთაწმინდა	მთაწმინდა, სოლოლაკი	3.396909328
დიდუბე	დიდუბე	3.367360013
ცუდი შედეგები		
ისანი	ნავთლუღი	0
სამგორი	ლილო	0
ჩუღურეთი	ზემო ჩუღურეთი	0
ნაძალადევი	ძველი ნაძალადევი, ლოტკინი	0
ვაკე	ნუცუბიძის მიკრორაიონები	0.257154131
გლდანი	ავჭალა, გლდანის ხევი	0.351132607
ნაძალადევი	სანზონა	0.358717051

ცხრილი 7: ყველა 0.5 ჰექტარზე დიდი ურბანული მწვანე სივრცე

ყველა UGS - 0.5ჰა მეტი სივრცით (ჰა)		
თბილისის ერთიანი მონაცემები		**2341.524222**
კარგი მონაცემები		
საბურთალო	დიღომი, ვაშლიჯვარი	156.4228132
გლდანი	გლდანის ლუწი მიკრორაიონები	131.7887934
ნაძალადევი	თემქა	130.181521
ჩუღურეთი	ზემო ჩუღურეთი	127.0480523
ჩუღურეთი	ქვედა ჩუღურეთი	126.1871972
გლდანი	გლდანის კენტი მიკრორაიონები	121.9102951
ვაკე	ვაკე, ბაგები	108.8522253
ისანი	ვაზისუბანი, მე-8 ლეგიონი	106.9723121
სამგორი	მესამე მასივი	105.7912319
ცუდი შედეგები		
ისანი	ნავთლუღი	3.534937274
სამგორი	ორხევი, აეროპორტი	11.67775022
გლდანი	ავჭალა, გლდანის ხევი	36.97444263
მთაწმინდა	ვერე	38.58721286
კრწანისი	ფონიჭალა	41.74961806
ნაძალადევი	ნაძალადევი	46.1534676

ვაკე	ნუცუბიძის მიკრორაიონები	46.42272566
ისანი	ზემო ავლაბარი, მეტრომშენი	50.9340118

ცხრილი 8: საცხოვრებელი ბინების წვდომადობა UGS-სთან ფართობისა და მანძილის მიხედვით (დაფარვა %) (0.5 ჰა-ზე დიდ UGS-თან 500 მ-ში)

საცხოვრებლის რა % არის მოქცეული 0.5ჰა ზე დიდ UGS -თან 5**00 მ-ში:**		
თბილისის ერთიანი მონაცემი		**39.29805969**
კარგი შედეგები		
ვაკე	ვაჟა-ფშაველას კვარტლები	88.25437755
სამგორი	ვარკეთილი	87.13313496
დიდუბე	დიღმის მასივი	86.99548128
ჩუღურეთი	ქვედა ჩუღურეთი	86.97758732
ისანი	ვაზისუბანი, მე-8 ლეგიონი	85.69761592
საბურთალო	კოსტავა, ბახტრიონი, დოლიძე, ხილიანი	83.33449558
დიდუბე	დიდუბე	82.75697118
ნაძალადევი	თემქა	82.16107084
ცუდი შედგები		
სამგორი	ლილო	0

ისანი	ნავთლუღი	2.623033945
სამგორი	ორხევი, აეროპორტი	5.939936665
გლდანი	ავჭალა, გლდანის ხევი	7.857609724
კრწანისი	ფონიჭალა	15.26830391
საბურთალო	დიღომი, ვაშლიჯვარი	18.50645527
ისანი	ზემო ავლაბარი, მეტრომშენი	19.2070211

ცხრილი 9: საცხოვრებელი ბინების წვდომადობა UGS-სთან ფართობისა და მანძილის მიხედვით (დაფარვა %) (2ჰა-ზე დიდ UGS-თან 500 მ-ში)

საცხოვრებლის რა % 2 ჰა ზე დიდ UGS -თან 500 **მ-ში**		
თბილისის ერთიანი მონაცემი		**18.30671778**
კარგი შედეგები		
სამგორი	ვარკეთილი	70.06164317
მთაწმინდა	მთაწმინდა, სოლოლაკი	62.19022437
ვაკე	ვაკე, ბაგები	57.08976821
საბურთალო	კოსტავა, ბახტრიონი, დოლიძე, ხილიანი	55.8366545
მთაწმინდა	ვერე	50.41067722
ჩუღურეთი	ზემო ჩუღურეთი	47.66467941
სამგორი	მესამე მასივი	47.17483786

დიდუბე	დიღმის მასივი	46.52436084
ცუდი შედეგები		
ვაკე	ნუცუბიძის მიკრორაიონები	0
კრწანისი	ფონიჭალა	0
ისანი	ნავთლუღი	0
სამგორი	ორხევი, აეროპორტი	0
სამგორი	ლილო	0
სამგორი	ქვემო სამგორი	0
გლდანი	მუხიანი	0
გლდანი	ავჭალა, გლდანის ხევი	0.077396609
საბურთალო	დიღომი, ვაშლიჯვარი	0.374398792
ვაკე	ვაჟა-ფშაველას კვარტლები	6.119467387
გლდანი	გლდანის ლუწი მიკრორაიონები	6.216564567

ცხრილი 10: საცხოვრებელი ბინების წვდომადობა UGS-სთან ფართობისა და მანძილის მიხედვით (დაფარვა %) (2 ჰა ზე დიდ UGS -თან 300 მ-ში)

საცხოვრებლის %, 2 ჰა ზე დიდ UGS -თან **300 მ-ში**		
თბილისის ერთიანი მონაცემი		**13.1294504**
სამგორი	ვარკეთილი	53.74151537

მთაწმინდა	ვერე	30.59432109
ვაკე	ვაკე, ბაგები	26.55853064
დიდუბე	დიდუბე	25.80999064
ჩუღურეთი	ზემო ჩუღურეთი	25.76376182
დიდუბე	დიღმის მასივი	25.38421393
კრწანისი	კალა, ორთაჭალა	25.3799867
სამგორი	მესამე მასივი	25.02608831
ცუდი შედეგები		
ვაკე	ნუცუბიძის მიკრორაიონები	0
კრწანისი	ფონიჭალა	0
ისანი	ნავთლუღი	0
სამგორი	ორხევი, აეროპორტი	0
სამგორი	ლილო	0
სამგორი	ქვემო სამგორი	0
გლდანი	მუხიანი	0
საბურთალო	დიღომი, ვაშლიჯვარი	0.061791916
გლდანი	ავჭალა, გლდანის ხევი	0.077396609
ვაკე	ვაჟა-ფშაველას კვარტლები	0.386904248
ჩუღურეთი	ქვედა ჩუღურეთი	1.222984649
გლდანი	გლდანის ლუწი მიკრორაიონები	2.560356139

ცხრილი 11: საცხოვრებელი ბინების წვდომადობა UGS-სთან დართობისა და მანძილის მიხედვით (დაფარვა %) (20-60 ჰა UGS-თან 1200 მ-ში)

საცხოვრებლის რა % 20-60 ჰა UGS-თან 1200 მ-ში		
თბილისის ერთიანი მონაცემი		**13.1294504**
ნაძალადევი	თემქა	79.70941332
საბურთალო	ვეძისი, ყაზბეგი, გოთუა, საბურთალო	70.63657442
ვაკე	ვაკე, ბაგები	58.76398804
ნაძალადევი	სანზონა	54.18419477
ცუდი შედეგები		
მთაწმინდა	მთაწმინდა, სოლოლაკი	0
მთაწმინდა	ვერე	0
საბურთალო	დიღომი, ვაშლიჯვარი	0
კრწანისი	კალა, ორთაჭალა	0
კრწანისი	ფონიჭალა	0
ისანი	ზემო ავლაბარი, მეტრომშენი	0
ისანი	ნავთლუღი	0
ისანი	ვაზისუბანი, მე-8 ლეგიონი	0
სამგორი	ვარკეთილი	0
სამგორი	მესამე მასივი	0
სამგორი	ორხევი, აეროპორტი	0

სამგორი	ლილო	0
სამგორი	ქვემო სამგორი	0
ჩუღურეთი	ქვედა ჩუღურეთი	0
დიდუბე	დიდუბე	0
დიდუბე	დიღმის მასივი	0
ნაძალადევი	ნაძალადევი	0
გლდანი	ავჭალა, გლდანის ხევი	0
გლდანი	გლდანის ლუწი მიკრორაიონები	0
გლდანი	მუხიანი	0

ცხრილი 12: საცხოვრებელი ბინების წვდომადობა UGS-სთან, ფართობის და მანძილის მიხედვით (დაფარვა %)60+ ჰა UGS-თან 3200 მ მდე ბუფერში

60+ ჰა UGS-თან 3200 მ მდე ბუფერში მოქცეული საცხოვრებლის %		
თბილისის ერთიანი მონაცემი		**30.09611971**
ჩუღურეთი	ზემო ჩუღურეთი	100.0000002
მთაწმინდა	მთაწმინდა, სოლოლაკი	100.0000001
ნაძალადევი	ძველი ნაძალადევი, ლოტკინი	100.0000001
ჩუღურეთი	ქვედა ჩუღურეთი	99.99999997
მთაწმინდა	ვერე	99.99999996

ისანი	ზემო ავლაბარი, მეტრომშენი	93.84436469
კრწანისი	კალა, ორთაჭალა	98.51761314
ცუდი შედეგები		
ვაკე	ვაჟა-ფშაველას კვარტლები	0
ვაკე	ნუცუბიძის მიკრორაიონები	0
საბურთალო	დიღომი, ვაშლიჯვარი	0
კრწანისი	ფონიჭალა	0
სამგორი	ლილო	0
სამგორი	ქვემო სამგორი	0
დიდუბე	დიღმის მასივი	0
ნაძალადევი	სანზონა	0
ნაძალადევი	თემქა	0
გლდანი	ავჭალა, გლდანის ხევი	0
გლდანი	გლდანის ლუწი მიკრორაიონები	0
გლდანი	გლდანის კენტი მიკრორაიონები	0
გლდანი	მუხიანი	0

ცხრილი 13: ნაშენ ნაწილში უბნის დაფარვა უბანული მწვანე სივრცით.

ნაშენი ნაწილის უბნების დაფარვის % , 0.5ჰა + ყველა მწვანე სივრცის, 500 მ ბუფერში

თბილისის ერთიანი მონაცემები		**35.11842864**
ჩუღურეთი	ქვედა ჩუღურეთი	88.76489324
ისანი	ვაზისუბანი, მე-8 ლეგიონი	85.66687675
ნაძალადევი	თემქა	82.51501315
გლდანი	გლდანის კენტი მიკრორაიონები	82.02017841
საბურთალო	კოსტავა, ბახტრიონი, დოლიძე, ხილიანი	80.10031789
ცუდი მონაცემები		
სამგორი	ლილო	0
სამგორი	ორხევი, აეროპორტი	6.283722681
ნაძალადევი	ძველი ნაძალადევი, ლოტკინი	10.14891869
ისანი	ნავთლუღი	10.52811245
გლდანი	ავჭალა, გლდანის ხევი	13.69029396

ცხრილი 14: ნაშენი ნაწილის უბნების დაფარვის % , 2 ჰა + ყველა მწვანე სივრცის, 500 მ ბუფერში

ნაშენი ნაწილის უბნების დაფარვის % , 2 ჰა + ყველა მწვანე სივრცის, 500 მ ბუფერში

თბილისის ერთიანი მონაცემები		**16.35621592**
მთაწმინდა	მთაწმინდა, სოლოლაკი	67.74224191
ვაკე	ვაკე, ბაგები	67.24963923
მთაწმინდა	ვერე	62.44316572
საბურთალო	კოსტავა, ბახტრიონი, დოლიძე, ხილიანი	61.72177668
სამგორი	ვარკეთილი	60.26171158
ცუდი მონაცემები		
კრწანისი	ფონიჭალა	0
ისანი	ნავთლუღი	0
სამგორი	ორხევი, აეროპორტი	0
სამგორი	ლილო	0
სამგორი	ქვემო სამგორი	0
გლდანი	მუხიანი	0
ვაკე	ნუცუბიძის მიკრორაიონები	0.000103202
გლდანი	ავჭალა, გლდანის ხევი	0.064582081
საბურთალო	დიღომი, ვაშლიჯვარი	2.963038876
გლდანი	გლდანის ლუწი მიკრორაიონები	4.540977415
ვაკე	ვაჟა-ფშაველას კვარტლები	5.973054879

ცხრილი 15: კარგი მიწვდომადობის მქონე თბილისის უბნები

				ყველა UGS - 0.5ha მეტი სივრცით (ha)	ყველა UGS 1 მოსახლეზე (კვ.მ/კაცზე)	მხოლოდ ნაშენ ნაწილში არსებული UGS 1 მოსახლეზე (კვ.მ - კაცზე)	**საცხოვრებლის რა % არის მოქცეული 0.5ha ზე დიდ UGS -თან 500 მ-ში:**	**საცხოვრებლის რა % 2 ha ზე დიდ UGS -თან 500 მ-ში**	**საცხოვრებლის %, 2 ha ზე დიდ UGS -თან 300 მ-ში**	**საცხოვრებლის რა % 20-60 ha UGS-თან 1200 მ-ში**	**60+ ha UGS-თან 3200 მ მდე ბუფერში მოქცეული საცხოვრებლის %**	ნაშენი ნაწილის უბნების დაფარვის %, 0.5ha + ყველა მწვანე სივრცის, 500 მ ბუფერში	ნაშენი ნაწილის უბნების დაფარვის %, 2 ha + ყველა მწვანე სივრცის, 500 მ ბუფერში
5	ვაკე	5	ვაკე, ბაგები	108.852	22.4214	3.75598	57.0898	57.0898	26.5585	58.764	24.43	33.2846	67.2496
26	ჩუღურეთი	22	ზემო ჩუღურეთი	127.048	108.375			47.6647	25.7638		100		
17	ნაძალადევი	29	თემქა	130.182		3.44369	82.1611			79.7094		82.515	
29	დიდუბე	25	დიღმის მასივი			6.88195	86.9955	46.5244	25.3842				
27	ჩუღურეთი	23	ქვედა ჩუღურეთი	126.187			86.9776				100	88.7649	
21	სამგორი	17	ვარკეთილი				87.1331	70.0616	53.7415				60.2617
1	მთაწმინდა	1	მთაწმინდა, სოლოლაკი			3.39691		62.1902			100		67.7422
2	მთაწმინდა	2	ვერე					50.4107	30.5943		100		62.4432
10	საბურთალო	11	კოსტავა, ბახტრიონი, დოლიძე, ხილიანი				83.3345	55.8367				80.1003	61.7218

ცხრილი 16: ცუდი მიწვდომადობის მქონე თბილისის უბნები

				ყველა UGS - 0.5ha მეტი სივრცით (ha)	ყველა UGS 1 მოსახლეზე (კვ.მ/კაცზე)	მხოლოდ ნაშენ ნაწილში არსებული UGS 1 მოსახლეზე (კვ.მ - კაცზე)	**საცხოვრებლის რა % არის მოქცეული 0.5ha ზე დიდ UGS -თან 500 მ-ში:**	**საცხოვრებლის რა % 2 ha ზე დიდ UGS -თან 500 მ-ში**	**საცხოვრებლის %, 2 ha ზე დიდ UGS -თან 300 მ-ში**	**საცხოვრებლის რა % 20-60 ha UGS-თან 1200 მ-ში**	**60+ ha UGS-თან 3200 მ მდე ბუფერში მოქცეული საცხოვრებლის %**	ნაშენი ნაწილის უბნების დაფარვის %, 0.5ha + ყველა მწვანე სივრცის, 500 მ ბუფერში	ნაშენი ნაწილის უბნების დაფარვის %, 2 ha + ყველა მწვანე სივრცის, 500 მ ბუფერში
30	გლდანი	30	ავჭალა, გლდანის ხევი	36.9744426	0.7513528	0.35113261	7.85760972	0.077396609	0.07739661	0	0	13.690294	0.064582
24	სამგორი	20	ლილო		0	0	0	0	0	0	0	0	0
19	ისანი	15	წავთლუღი	3.53493727	0	0	2.62303395	0	0	0		10.5281125	0
23	სამგორი	19	ორხევი, აეროპორტი	11.6777502	0.79624588		5.93993667	0	0	0		6.28372268	0
13	კრწანისი	13	ფონიჭალა	41.7496181	0.64865228		15.2683039	0	0	0	0		0
7	ვაკე	7	ნუცუბიძის მიკრორაიონები	46.4227257	0.25715413	0.25715413		0	0		0		0.000103
25	სამგორი	21	ქვემო სამგორი		0.41001027			0	0	0	0		0
33	გლდანი	33	მუხიანი		0.53717259			0	0	0	0		0
11	საბურთალო	9	დიღომი, ვამლიოკვარი				18.5064553	0.374398792	0.06179192	0	0		2.963039

Ivane Javakhishvili Tbilisi State Unversity

Ekaterine Tsereteli

Evaluation of Ecological Situation of Tbilisi Environment Based on Parametric Analysis

Human geography

The work has been accomplished to obtain the Master's academic degree in Human Geography

Supervisor: Prof. Dr. Joseph Salukvadze

Tbilisi, 2016

ივ.ჯავახიშვილის სახელობის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თამრიკო ბენია

საქართველოს,1919 წლის დამფუძნებელი კრების არჩევნების გეოგრაფიული ასპექტები

საზოგადოებრივი გეოგრაფია

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საზოგადოებრივი გეოგრაფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: დავით სიჭინავა

ასისტენტ-პროფესორი

თბილისი

2017 წ.

ა ნ ო ტ ა ც ი ა

არჩევნების პროცესის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს გეოგრაფიული ასპექტი,ანუ სივრცე,რომელშიც ხდება ესა თუ ის მოქმედება.სივრცეა სწორედ ის,რაც აკავშირებს ადამიანებს ერთმანეთთან და სწორედ ეს ახდენს ზეგავლენას მათს ქცევაზეც არჩევნების პროცესში.საქართველოში არჩევნების ისტორია უხსოვარი დროიდან იწყება,თუმცა პირველ დემოკრატიულ არჩევნებად მიჩნეულია 1919 წლის დამფუძნებელი კრების არჩევნები. საკითხის ***აქტუალობას*** განაპირობებს ორი არსებითი გარემოება: პირველი,ის,რომ 1919 წლის არჩევნების პროცესი დემოკრატიულად წარიმართა და ეს მნიშვნელოვანია თუ გავითვალისწინებთ მაშინდელ მდგომარეობას ქვეყანაში; მეორე,სწორედ ამ დემოკრატიული პროცესიდან იღებს სათავეს საყოველთაო არჩევნები და მნიშვნელოვანი მომენტია ისიც,რომ ეს იყო პირველი პროცესი,სადაც ქალებმა მიიღეს მონაწილეობა. ნაშრომის ***მიზანია,*** წარმოაჩინოს 1919 წლის არჩევნების გეოგრაფიული ასპექტები,რაც წამოჭრის შემდეგი სახის ***ამოცანებს:*** როგორია დამფუძნებელი კრების არჩევნების შედეგების ძირითად გეოგრაფიული თავისებურებები და ასევე სოციალური ჯგუფების მიხედვით ხმის მიცემის თავისებურებები.საკითხის ***საკვლევ საგანს*** წარმოადგენს არჩევნების პროცესში მოსახლეობის ჩართულობა და მათი ქცევა; ხოლო ***კვლევის ობიექტს*** წარმოადგენს საქართველოს მაშინდელი მოსახლეობა მაზრებისა და ოლქების მიხედვით. ამ საკითხის შესწავლის შედეგად,ნაშრომი იმ ძირითადი მიგნების მტკიცება იქნება,თუ რა გავლენას ახდენს გეოგრაფიული ასპექტები მოსახლეობის ქცევაზე და ეს ქცევა მოქმედებს თუ არა მათ მიერ გაკეთებულ არჩევანზე.

Tamriko benia

Geographical aspects of the election of 1919 founding council of Georgia

A n n o t a t I o n

The geographic aspect of the election process and the development of process affects the function of which is the act. The source is what connects people with each other and that is what affects their behavior in the election process.The history of elections in Georgia starts from the moment of history, but the first democratic election is the election of the founding council of 1919. The actuality of the issue is due to the two essential circumstances: First, that the process of elections in 1919 was democratically and it is important to take into account the current situation in the country; Secondly, this democratic process takes the form of universal elections and it is important that it was the first process where women participated.The purpose of the work is to demonstrate "the geographical aspects of the 1919 election," by Tamriko benia (T.benia) which raises the following tasks: the main geographical features of the election foundation and the characteristics of voting according to social groups. The topic of the issue is the involvement of the population in the election process and their behavior; and the object of research is the population of Georgia according to the mashes and districts. As a result of studying this issue, the work will prove to be the source of the geographical aspects of the behavior of the population and this behavior affects their choice.

შინაარსი

შესავალი **5**

1 თავი.ლიტერატურის მიმოხილვა **7**

1.1.არჩევნების კვლევა და კონტექსტუალური ფაქტორები **7**

2 თავი. მეთოდოლოგია **123**

2.1.მონაცემთა ანალიზი **13**

2.2.სივრცითი ანალიზი არჩევნების კვლევაში **13**

3 თავი კონტექსტი: არჩევნები და პოლიტიკური პარტიები მეოცე საუკუნის დასაწყისის საქართველოში18

3.1 პოლიტიკური პარტიების ფორმირება საქართველოში **27**

4 თავი.საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნების მიმდინარეობა .....Error! Bookmark not defined.

4.1. მონაცემთა ანალიზის შედეგები **38**

5 **თავი. დისკუსია** **42**

დასკვნა **45**

ბიბლიოგრაფია **46**

დანართი #1 ..... **49**

დანართი #1.2 ..... **50**

დანართი #1.3. ..... **51**

დანართი #2 ..... **52**

დანართი #2.1 ..... **53**

დანართი #3 ..... **55**

დანართი 3.1 ..... **56**

შესავალი

„ადამიანები, რომლებიც ერთად საუბრობენ, ხმასაც ერთად აძლევენ.“

ჩარლზ პატი და რონ ჯონსტონი

ადამიანის ქცევაზე გავლენას ახდენს გარემო, სადაც ის ცხოვრობს. სწორედ ესაა ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც მოქმედებს მის არჩევანზე. ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ არა მარტო საგნების, არამედ ადამიანების ურთიერთობებზეც. ეს ყველაფერი საშუალებას გვაძლევს, განვსაზღვროთ რა კავშირშია ადამიანის ქცევა გარემოსთან, რომელშიც ის ცხოვრობს და არსებობს.

ჩვენი მიზანია, გამოვიკვლიოთ საქართველოს, 1919 წლის დამფუძნებელი კრების არჩევნების გეოგრაფიული ასპექტები, ანუ ის სივრცობრივი ფაქტორები, რომლებმაც მოახდინეს ადამიანების არჩევანზე ზეგავლენა. გეოგრაფიული ასპექტების გარდა, დიდი ყურადღება კონტექსტის მნიშვნელობას ენიჭება.

პოლიტიკურ-გეოგრაფიული კვლევებისათვის მნიშვნელოვანია კონტექსტის კვლევა. კონტექსტი არის იმ კონკრეტული სიტუაციისათვის დამახასიათებელი მოვლენები და პროცესები, რომლებიც გავლენას ახდენს ადამიანის ქცევაზე შესაბამისად, კონტექსტუალური პროცესის კვლევა იმის შესაძლებლობაა, რომ პიროვნებების სივრცობრივი თავმოყრა არაა დამოკიდებული სიდიდეებზე.

მკვლევარების აზრით კონტექსტი ორგვარია. მათივე მტკიცებით კონტექსტუალური ანალიზი დონეებს შორის დასკვნაა. მეცნიერები და მკვლევარები უკვე კარგა ხანია კამათობენ კონტექსტის უნივერსალურობისა და კონკრეტულობის თაობაზე.

სივრცე, დრო და ადამიანების ქცევა კონკრეტულ სიტუაციასა და დროში -ესაა სწორედ ის საკვლევი თემა,რომელსაც ვუთმობთ წინამდებარე ნაშრომს.

მეცნიერი ხ.მაიერი არჩევნების სამართლებრივ ბუნებას აღწერდა და ამბობდა, რომ მოქალაქეების თავისუფალი ნების გამოხატულება, სწორედ არჩევნების მეშვეობით გარდაისახებოდა ხელისუფლებაში. არჩევნები აკავშირებს მოსახლეობასა და ხელისუფლებას ერთმანეთთან და სწორედ მოსახლეობა წყვეტს, ვინ უნდა იყოს ქვეყნის სათავეში. [1]

ნაშრომში ასევე განვიხილავთ,პოლიტიკური პარტიების ფორმირებას საქართველოსა და რუსეთის მაგალითზე მეოცე საუკუნის დასაწყისში.როგორ ხდებოდა მათი ჩამოყალიბება,რა პროცესი გაიარეს და ასევე რომელი პატიები იყო ძირითადი იმ დროისათვის.

რუსეთის შემთხვევაში, განხილულია მე-19 საუკუნის ბოლო და მე-20 საუკუნის დასაწყისის პერიოდები, რომელიც მიჩნეულია ქვეყანაში პოლიტიკურ ასპარეზზე პარტიების წარმოქმნისა და მოღვაწეობის ხანად. ასევე აღწერილია რომელი სოციალური ჯგუფის გარშემო ხდებოდა პარტიების ფორმირება და რა ნიშნით.

რაც შეეხება საქართველოს, აქ რუსეთისაგან განსხვავებით პარტიების განვითარების ორი თავისებურებაა. ესენია: მეოცე საუკუნის დასაწყისის კოლონიური მდგომარეობა და 1917 წლიდან 1924 წლამდე აჯანყების ჩახშობის ხანა.

1919 წელს, საქართველოს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა-დამფუძნებელი კრების არჩევნები ჩატარდა. ეს იყო, რუსეთში თებერვლის რევოლუციის შემდეგ ჩატარებული არჩევნების ანალოგი, რომლის წესებიც უცვლელად გადმოიტანეს, მათ შორის

[1] https://blh.com.ge/%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9C-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%99%E1%83%90/

ხმის მიცემის საყოველთაობა. ისტორიაში პირველი შემთხვევა იყო, როდესაც შესაძლებელი გახდა ქალებსაც მიეღოთ მონაწილეობა. მიუხედავად მცირე დარღვევებისა, არჩევნების პროცესი დემოკრატიულად წარიმართა. ეს იყო მოვლენა, როდესაც მოსახლეობას, განურჩევლად სქესისა და რასისა, საშუალება მიეცა საკუთარი არჩევანი თავისუფლად დაეფიქსირებინა. მონაწილეობდა რამდენიმე პარტია , თუმცა უდიდესი გამარჯვება სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მოიპოვა.

თემის მთავარი საკვლევი კითხვებია:

- როგორია, 1919 წლის საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნების შედეგების ძირითადი გეოგრაფიული თავისებურებები;
- როგორი იყო ხმის მიცემის თვისებურებები, სხვადასხვა სოციალური და დემოგრაფიული ჯგუფების მიხედვით?

შემდეგ ნაწილში-ლიტერატურის მიმოხილვა,უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ შესავალში წამოჭრილ იმ თემებთან დაკავშირებით,რომელზეც აგებულია ნაშრომი.

1 თავი.ლიტერატურის მიმოხილვა

1.1.არჩევნების კვლევა და კონტექსტუალური ფაქტორები

არჩევნები-ეს არის რთული პროცესი, რომელიც, შექმნის დღიდან მნიშვნელოვანი იყო და რომელიც დღესაც აქტუალურია. ამ პროცესმა, ჩამოყალიბების დღიდან-დღემდე განვითარების ბევრი სტადია გაიარა. საინტერესოა, როგორ შეიქმნა ის, რამდენად მსგავსი ან განსხვავებული იყო ეს პროცესი ერთმანეთისაგან, სხვადასხვა დროსა და სივრცეში. ასევე საინტერესოა კონკრეტული ამომრჩევლის-ანუ სოციალური ჯგუფების ქცევა არჩევნების პროცესში. რეალურად იყო თუ არა არჩევნები დემოკრატიული და განაპირობებდა თუ არა კონკრეტული სიტუაცია ინდივიდის არჩევანს.

სხვადასხვა ავტორების დახმარებით, ვეცდებით ნათლად წარმოვაჩინოთ რა არის კონტექსტი და რა როლი აქვს მას არჩევნების გეოგრაფიაში. ვიდრე უშუალოდ თემაზე გადავიდოდეთ, კონტექსტის მნიშვნელობას შევეხებით.

კონტექსტი - ეს არის კონკრეტული სიტუაციისათვის დამახასიათებელი მოვლენები და პროცესები, რომლებიც გავლენას ახდენს ინდივიდის ქცევაზე.[2]

განმარტებიდან ჩანს, თუ რატომაა მნიშვნელოვანი კონტექსტი ჩემს შემთხვევაში, რადგან საარჩევნო გეოგრაფიის შესწავლისას, განსაკუთრებული მნიშვნელობა სწორედ მას ენიჭება.

კონტექსტუალური პროცესების კვლევა მოიცავს იმის შესაძლებლობას, რომ თუ ინდივიდების გეოგრაფიული თავმოყრა გეოგრაფიულ ერთეულებად, არ არის დამოკიდებული ცვლადის სიდიდეების მიმართ, ასეთ შემთხვევაში ის, რასაც კონტექსტუალური პროცესი წარმოადგენს, შეიძლება იყოს განპირობებული მხოლოდ შერჩევის ეფექტებით. მინესოტას უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა განყოფილების მკვლევართა ჯგუფი გვთავაზობს მეთოდს, იმის შესამოწმებლად, არის თუ არა არსებული კონტექსტუალური ეფექტები ნამდვილი.[3]

კონტექსტუალურმა ანალიზმა,გაამდიდრა პოლიტიკური თეორია ამომრჩევლის,როგორც უპირატესის,ვიდრე ცალკეული პირის შესწავლით,რომელიც ინდივიდუალურ გადაწყვეტილებას იღებს.გარემოებები,რომელშიც ადამიანები იღებენ გადაწყვეტილებას და სხვადასხვა მოვლენები,რომლებით ზემოქმედებენ მასზე,კონტექსტუალურ ანალიზშია სწორედ წინ წამოწეული.[4]

კონტექსტუალურ ანალიზს თან სდევს ორი პრობლემა: 1) კონტექსტის სათანადო გაზომვა; 2) თავმოყრის შერჩევის ტენდენციურობის პრობლემა, რამაც შეიძლება წარმოშვას ილუზიური კონტექსტუალური ეფექტი.

---

[2] http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=4824
[3] Huckfeldt and Sprague,1993; Achen and Shively, 1995; Books and Prysby, 1991
[4] http://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0261379401000191

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, კონტექსტი შეეხება გარემოს, რომელშიც გარკვეული ადამიანები ცხოვრობენ და მოქმედებენ. კონტექსტუალური ანალიზი ეკუთვნის იმას, თუ ეს გარემო მახასიათებლები, რა სახით განსაზღვრავენ ცვლილებებს, მოცემული ინტერესის ქცევაში.

მკვლევარები ძირითადად იყენებენ კონტექსტს ორგვარად. პირველი შეეხება სპეციფიკურ ინტერნაციონალურ სტრუქტურებს, წესებსა თუ პროცედურებს, რომლებიც ურთიერთობებს განსაზღვრავენ ცალკეულ ადამიანებს შორის და რა გავლენა აქვთ ადამიანის ქცევაზე. არჩევნების თეორია გვაწვდის განმარტებას წესების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენენ ამომრჩევლის არჩევანსა და გაკეთებული არჩევანის შედეგზე.

მეორე კონცეპტუალიზაცია კი, სოციალურ გარემოს ეხება, რომელშიც პირები ფუნქციონირებენ და ცხოვრობენ. აქედან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა აქვს გარემოს, სადაც მათ უწევთ ცხოვრება. მაგალითისათვის ავიღოთ ჩვენი ქვეყანა. არჩევნებისათვის დღევანდელი ვითარება მკვეთრად განსხვავდება საბჭოთა მდგომარეობისგან, სადაც ადამიანს საკუთარი აზრის ღიად გამოხატვის უფლებასაც არ აძლევდნენ. ჩემი აზრით, კი გარემო ბევრად მნიშვნელოვანი ფაქტორია, ვიდრე პროცედურები, რომლებიც გავლენას ახდენს ადამიანის ქცევაზე.

„კონტექსტუალური ანალიზი არის დასკვნა დონეებს შორის. ეს ნიშნავს იმას, რომ თუ ცალკეულ პირებს დავაკვირდებით და ასევე საერთო მახასიათებლებს იმ ნაკრებისა, სადაც ეს ცალკეული პირები არსებობენ, მივხვდებით, რომ კონკრეტული ინდივიდის შეხედულებას, გარემო პირობები და ადამიანები წარმოშობენ“. [5]

ეს ნიშნავს, რომ სწორედ გარემოა ის მთავარი მასახიათებელი, რითაც განისაზღვრება ადამიანის კონკრეტული ქცევა კონკრეტულ მომენტში. რა თქმა უნდა სოციუმთან ურთიერთობაც მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს სოციუმიც იმ კონკრეტულ გარემოში არსებობს, ამიტომაც მიმაჩნია გარემოს ფაქტორი უფრო მნიშვნელოვნად.

[5] Huckfeldt and Sprague, 1993, გვ. 284

მკვლევარებისა და მეცნიერების წრეებში, უკვე კარგა ხანია მიმდინარეობს კამათი უნივერსალურობისა და კონკრეტულის შესახებ, კონკრეტული ადგილისა თუ ადამიანთა ჯგუფების მახასიათებლების გათვალისწინებით. ამის საილუსტრაციოდ არსებობს, ორი ერთმანეთისაგან საპიროსპირო მოსაზრება:

პირველი მოსაზრებით, სადაც არ უნდა ვიყოთ ჩვენ, ვექვემდებარებით ერთნაირ გავლენას. მეორე მოსაზრებით, კი ხალხი და ადგილები ერთმანეთისაგან განსხვავდება. ამ განსხვავებას, კი განაპირობებს კულტურა და ეკონომიკური დაყოფა. ეს გამომდინარეობს სოციალური პროცესების ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ტრადიციისაგან. ასე, რომ უნივერსალური მოსაზრებები, დაკავშირებულია ფიზიკურ მეცნიერებებსა და სოციალურ მეცნიერებებთან. მეორე კი ისაა, რომ კონკრეტული მიზეზები და განსხვავებები დამახასიათებელია ადამიანური ბუნებისა და ინდივიდუალური ისტორიული და გეოგრაფიული კვლევებისათვის.

ჯონ აგნეუ თავის ნაშრომში: ,,კარტოგრაფიული პოლიტიკა - როგორ ითვლება კონტექსტი არჩევნების გეოგრაფიაში",[6] განიხილავს კონტექსტსა და პოლიტიკის მეცნიერებას. მისი განმარტებით, 1960 - იანი წლების პოლიტიკური გეოგრაფიის აღორძინება, იმაზე ყურადღების გამახვილებით დაიწყო, თუ როგორ გავლენას ახდენს მანძილი ან სივრცე, ადამიანის პოლიტიკურ ქცევაზე. მეთოდების გამოყენებით: თეორიული, ემპირიული თუ მეთოდოლოგიური, პოლიტიკურმა გეოგრაფიამ დიდი გზა განვლო. თუმცა ერთი ტენდენცია იკვეთება - „სერიოზული თეორეტიზირება ასეთი გეოგრაფიული კონცეფციების შესახებ, სივრცის, ადგილისა და არჩევნების კვლევასთან მიმართებით, შეწყვეტილია.[7]

შესაძლოა, ეს იმიტომ მოხდა, რომ ახალი მოსაზრება არჩევნებს განსაზღვრავს, როგორც გავარჯიშებას ბურჟუაზიულ პოლიტიკაში, რომელიც წარსულში უნდა დარჩეს. მაგრამ ჩემი აზრით, ეს ასევე მოყვა არჩევნების გეოგრაფიის შინაარსს.რუკაზე დავიტანოთ არჩევნების შედეგები, იმაზე ყურადღების გამახვილების გარეშე, თუ როგორ შეიძლება იყოს

[6] http://www .sciencedirect.com/science/article/pii/0962629895000763
[7] http://www.sciencedirect.com/science/article/pii/0962629895000763

დაკავშირებული შედეგების ანალიზები უფრო აბსტრაქტულ საკითხებთან, რომლებიც ეხება მოჩვენებით კავშირებს სივრცესა და პოლიტიკას შორის. ვფიქრობ, რომ ფრიდლანდი და ბოდენი (1994: 42) მართლები არიან, როცა წერენ: "სივრცესა და დროში აზროვნება მოითხოვს სოციალური თეორიის ძირითადი კონცეფციების, განსაკუთრებით ტერიტორიულად და დროებით გამიჯნული და დაკავშირებული საზოგადოების ხელახლა გააზრებას.“ მაგრამ, ეს სწორედ ის შემთხვევაა, რომელმაც დააწესა სივრცული ანალიზის ზოგადად მიღებული ნორმები და ბევრს ვერაფერს შემოგვთავაზებს. ამრიგად, გეოგრაფების „კარტოგრაფიის" კონცეფცია ასევე ხელახლა გააზრებას საჭიროებს.

ნაშრომში ,,ნაცისტური ხმების გეოგრაფია, აღმსარებლობა და კლასი, 1930 წლის რაიხსტაგის არჩევნებში“ - ავტორები ჯონ ო’ოლაფლანი კოლინ ფლინტი და ლუკ ანსელინი, კონტექსტურ თეორიებს განიხილავენ. ბოლოდროინდელი კვლევა, რომელშიც იყო გამოყენებული დაგროვილი მონაცემები და ეკოლოგიური რეგრესია, წარმოიშვა გარკვეული კონფიგურაცია იურგენ ფალტერის პოზიციის მიმართ, რომლის თანახმადაც, ნაციონალურ-სოციალისტური მუშათა პარტია, წარმოადგენდა ყოვლისმომცველ პარტიას კლასთა შორის და უფრო ნაკლებად რელიგიათშორის მოწოდებად. [8]

თეორიები ეხება სოციალისტური მუშათა პარტიის აღზევებას და ამასთან დაკავშირებით ავტორებმა ხუთი თეორიაც გამოყვეს: პირველის თანახმად -თითოეული სოციალური ფენა ქმნის გამოხატვის დემოკრატიულ და ექსტრემისტულ ფორმებს, რაც ნიშნავს, რომ სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები თავად ქმნიან გამოხატვის ფორმებს და ამ ფორმებს ამკვიდრებენ კონკრეტულ ფენაში. მეორე არის მასობრივი საზოგადოების შეხედულების თეორია, რომელიც ეხება ცალკეული პირების, ტრადიციული პოლიტიკური და სოციალური კავშირები, ტრადიციულიდან თანამედროვე საზოგადოებაში გადასვლისას. ეს არის ეტაპები, რომლებიც იწყება ცალკეული პირების საზოგადოებიდან - ანუ ინდივიდიდან, შემდეგ, კი გადადის ტრადიციულსა და თანამედროვე საზოგადოებაში.

[8] http://www.colorado.edu/geography/class_homepages/geog_4023_s10/JohnO_1994.pdf

მესამე შეხედულება წარმოიშვა, მასობრივი საზოგადოებისა და კლასის თეორიების კრიტიკისაგან . ეს თეორია, სხვა თეორიებისაგან განსხვავებით, ინსტიტუტების როლებსა და ტრადიციულ საარჩევნო ლოიალურობაზე, ხმების რაოდენობასა და მათ მიუკერძოებლობაზეა ორიენტირებული, რომლებიც პროლეტარებისა და კათოლიკეებისაგან ვერ მიიღეს.

რაც შეეხება მეოთხე შეხედულებას, ეხება ადრეული ნაშრომების კრიტიკას, რომელიც მოხსენებულია, როგორც „ყოვლისმომცველი საპროტესტო პარტია“. ეს ბლოკი ხმებს იზიდავდა სოციალური კლასის სპექტრიდან.

ბოლო ანუ მეხუთე შეხედულებაში, ბრუშტეინი ნაციონალურ-სოციალისტური პარტიის მხარდამჭერებს მიიჩნევს „რაციონალურ ფაშისტებად“. რაც ნიშნავს, რომ ისინი არჩევანს პირადი მოსაზრებით კი არ აკეთებენ, არამედ მატერიალურად აფასებენ პარტიაში გაწევრიანებას.

ამ საკითხთან დაკავშირებით მეცნიერების აზრი სხვადასხვაგვარად იყოფა,თუმცა ამოვარჩიეთ თემასთან უშუალო კავშირში მყოფი მოსაზრებები და შევეცადეთ გარემოსა და ადამიანის ქცევის დამაკავშირებელი მიზეზები აღმოგვეჩინა.

2 თავი. მეთოდოლოგია

მონაცემთა ანალიზი არსებობს ორი სახის: თვისებრივი და რაოდენობრივი.ამ შემთხვევაში ჩვენს ხელთ არის რაოდენობრივი მონაცემები,რომელიც მთლიანად საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული დოკუმენტების ხარჯზე მომზადდა.მასში მოცემულია საქართველოს 1919 წლის, დამფუძნებელი კრების არჩევნების კვლევის შედეგები.აღწერილია : მონაწილე მოსახლეობა ეთნიკურ დონეზე; განხილულია რეგიონები,მაზრები და უბნები,სადაც მიმდინარეობდა არჩევნების პროცესი. დოკუმენტები

გვაძლევს ინფორმაციას პოლიტიკური პარტიებთან დაკავშირებითაც, კონკრეტულად კი, რომელმა პარტიამ სად რამდენი ხმა მოიპოვა და რომელმა პარტიამ გაიმარჯვა.[9]

2.1 მონაცემთა ანალიზი.

საინტერესოა თავად არჩევნების მსვლელობის პროცესი,რამდენად სამართლიანად და დემოკრატიულად ჩატარდა და ვის მიერ იყო ორგანიზებული,რამდენად იყო მოსახლეობა ჩართული ამ პროცესში და რომელი ეთნოსის წარმომადგენლები ჭარბობდნენ.

რაც შეეხება დოკუმენტების მოპოვების პროცესს,იგი სამ ეტაპს მოიცავდა:

პირველ ეტაპზე საჭირო გახდა არქივში მისვლა და დოკუმენტების გამოწერა.მეორე ეტაპზე უფრო დაწვრილებით ინფორმაციის ამოწერა რიგის ნომრისა და დასახელების მიხედვით,მხოლოდ მესამე ეტაპზე არის შესაძლებელი გამოწერილი დოკუმენტის ადგილზე დამუშავება.

2.2 სივრცითი ანალიზი არჩევნების კვლევაში

სივრცითი ანალიზი დაკავებულია, არჩევნების რაოდენობრივი კვლევით, ისეთი თეორიული კონსტრუქციის დახმარებით, როგორებიცაა მაგალითად „სამეზობლოს ეფექტი“, დაპირისპირების თეორია და სხვანი. დემოკრატიის მესამე ტალღასთან ერთად, გაიზარდა სამეცნიერო ლიტერატურის მოცულობა, პარტიულ სტრუქტურების აღწერა პოსტ-საბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისა. როგორც ავტორი აღნიშნავს, ამ ტიპის ნაშრომები ძირითადად არ მიეკუთვნებოდა გეოგრაფიის დისციპლინას, თუმცა ზოგ ადგილას ხაზგასმით იყო აღნიშნული სივრცითი ფაქტორები.

[9] http://archives.gov.ge/ge/page/1919-wlis-saqartvelos-damfudznebeli-krebis-archevnebi

ჯონ აგნეუ თავის ნაშრომში „კარტოგრაფიული პოლიტიკა: როგორ ითვლება კონტექსტი არჩევნების გეოგრაფიაში“ განმარტავს გეოგრაფიული კონტექსტის და პოლიტიკის ურთიერთკავშირს. მისი განმარტებით, გეოფრაფიული კონტექსტის კონცეფცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადამიანური ქცევის სივრცულ ორიენტაციაზე ყურადღების მისაპყრობად, ადამიანების კატეგორიებად არასივრცული სორტირებისაგან განსხვავებით, აღწერის საფუძველზე და კლასიფიკაციის სხვა სქემებისაგან განსხვავებით,რომლებიც შთააგონებენ ყველაზე ტრადიციულ სოციალურ მეცნიერებებს. კატეგორიული მიდგომა განიცდის ერთგვარ „აგნოზიას“ან აღქმის აშლილობას, რომელშიც სივრცის წარმოდგენები მხოლოდ ადგენენ საზღვრებს არასივრცული პროცესებისათვის. სივრცე შემდგომში ჩამოცილდება თეორიული განხილვიდან (იხ.Agnew , 1987, 1993) .

ეს ყველაფერი უფრო მარტივად რომ იყოს გასაგები, დასკვნის სახით ვამბობთ, რომ კონტექსტი არ არის მხოლოდ ადგილობრივი კონტექსტი. ის გათვალისწინებულია ელექტორალურ გეოგრაფიაში მთელი რიგი საშუალებებით. ეს არის გზები, რისი მეშვეობითაც, სივრცე მთელ რიგ გეოგრაფიულ მასშტაბებში გამოიხატება.

არჩევნების გეოგრაფიული ასპექტების ახსნისათვის, არსებობს რამდენიმე თეორიული კონსტრუქცია. წინამდებარე ნაშრომისათვის მნიშვნელოვანია ავხსნათ დაპირისპირების თეორია.

როგორც ლიფსეტი და როკანი აღნიშნავენ, აღნიშნული კონცეფცია ხსნის საზოგადოებაში სოციალური დაპირისპირების გამომწვევ მიზეზებსა და მექანიზმებს, რომელთა მეშვეობითაც აღნიშნული დაპირისპირებები იქცევა პარტიულ სისტემებად.[10]

ავტორების აზრით, სხვადასხვა ჯგუფებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი, რომელთა გადმოცემა პოლიტიკური პარტიების მეშვეობით ხორციელდება და რომლებიც, არჩევნებზე მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების ინტერესების გამომხატველები არიან.
ავტორების მიერ შესწავლილი შემთხვევების უმეტესობა-ცალსახაა, რადგან დემოკრატიულ ქვეყნებს წარმოადგენს. ტიპოლოგიური თვალსაზრისით, კი მათი განხილული ანალიზი

[10] Lipset & Rokkan, 1967, გვ. 3

ტალკოტ პარსონსის სოციალური სისტემების ფუნქციების მოდელს ეფუძნება. ამ მოდელის თანახმად, ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერ სოციალურ წრეში, ოთხი ფუნქციური ქვესისტემა გამოიყოფა. ესენია: 1) ადაპტირებადი-ეკონომიკა; 2) მიზნის მიღწევის-პოლიტიკა; 3) ინტეგრაციული-საზოგადოება; 4) დამცავი- ოჯახები.

ლიფსეტმა და როკანმა ასევე პოლიტიკური დაპირისპირების ოთხი განზომილებაც გამოყვეს: 1)ცენტრი-პერიფერია ; 2) ეკლესია-სახელმწიფო 3) მიწათმოქმედება-სოფლის მეურნეობა;4)დამსაქმებელი-დასაქმებული. მათივე აზრით, განზომილებების ჩამოყალიბება, ოთხ რევოლუციას უკავშირდება. ესენია: მე-16-ე და მე17-ე საუკუნების რეფორმაციები, 1789 წელს ევროპაში მომხდარი ეროვნული რევოლუციები, ინდუსტრიული რევოლუცია და 1917 წლის რუსეთის რევოლუცია. მათი ცალ-ცალკე განხილვით ირკვევა, რომ ცენტრი-პერიფერიის ამომრჩევლებისათვის მნიშვნელოვანი დომინანტური კულტურაა,ეკლესიისა და სახელმწიფოს განხილვისას, კონფლიქტის მთავარი ფოკუსი საგანმანათლებლო სფეროა. საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ, საყოველთაო საგანმანათლებლო სისტემის შემოღებამ, ავტორების აზრით ეკლესიის როლი დააკნინა.[11] მიწათმოქმედება-სოფლის მეურნეობა და დამსაქმებელი/დასაქმებული განზომილებების დაპირისპირების მიზეზად ავტორები, ეკონომიკური განვითარების თავისებურებებს ასახელებენ. მიზეზი კი ისაა, რომ მოსახლეობას წვდომა გაუჩნდა ბაზარზე და ასევე მკვეთრად განვითარდა. ამ ყველაფერმა, კი სოფლისა და ქალაქის დაპირისპირება გამოიწვია. დამსაქმებელი-დასაქმებულის დაპირისპირების მიზეზი, მეთვრამეტე/მეცხრამეტე საუკუნის სამრეწველო რევოლუციას მიაწერეს ავტორებმა. პროდუქციის წარმოების ახალ მეთოდზე გადასვლამ, ამ რეგიონის სტრუქტურაში დიდი ცვლილებები მოიტანა. მოსახლეობა შემოსავალზე გახდა დამოკიდებული, რამაც საფუძველი ჩაუყარა პროლეტარული ფენის დამსაქმებლისადმი დაპირისპირებას.

ლიფსეტ-როკანის თეორიების მიმოხილვიდა ჩანს, რომ ამ განზომილებებიდან ორი სივრცული ხასიათისაა, დანარჩენები, კი კულტურულად განსხვავებულ პერიფერიერს შორის ყალიბდება. პირველი განზომილების თავისებურება-ერთგულებაში მდგომარეობს,

[11] Lipset & Rokkan, 1967, გვ. 15

მეორე-მესამე-მეოთხე განზომილებების თავისებურება, კი განვითარებაშია, რომელიც გამოიწვია საგანმანათლებლო და ეკონომიკურმა განვითარებამ. სხვადასხვა ავტორები განიხილავენ მსგავს საკითხებს, თუმცა ლიფსეტ-როკანის მოსაზრება ამ საკითხზე, ჩემი აზრით ყველაზე ახლოსაა არსებულ რეალობასთან, მიუხედავად იმისა რომ, როგორც უკვე აღვნიშნე ცალსახაა და მხოლოდ დემოკრატიულ ქვეყნებს ეხება. ეს მიდგომა მთლიანი მსოფლიოს განხილვისას არ გამოგვადგება. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პოლიტიკურმა დაპირისპირებებმა დასავლეთ ევროპის ქვეყნების(რომელთა უმეტესობა დემოკრატიულია)გეოგრაფიასა და საარჩევნო კუთვნილების ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინეს. სწორედ ეს განზომილებებია წარსული დღევანდელი დასავლეთევროპული პოლიტიკური პარტიებისა.

ზოგადად, დაპირისპირების თეორიებს უკვე გავეცანით, ახლა კონკრეტული მაგალითი ნაცისტური გერმანიის შესახებაც განვიხილოთ, რომელიც ეხება აღმსარებლობასა და კლასს 1930 წლის რაიხსტაგის არჩევნებში, ავტორების - კოლინ ფლინტის, ლუკ ანსელინისა და ჯონ ო'ლაფლანის მიხედვით.

გერმანიის ნაციონალურ-სოციალისტურმა მუშათა პარტიამ, ადოლფ ჰიტლერის ხელმძღვანელობით, მოღვაწეობა დაიწყო დაბალი პოპულარობით. მათ გარღვევა მოახდინეს 1930 წლის არჩევნებში, როდესაც ხმების 18,3% დააგროვეს. ჰიტლერი კანცლერი გახდა 1932 წელს ხმების 32%-ს მიღების შემდეგ (ჯონ ო,ლაფლანი, კოლინ ფლინტი და ლუკ ანსელინი.[12] ამომრჩევლის ქცევა ვაიმარის გერმანიაში, გახდა კვლევის საგანი. ვინ მისცა ხმა გერმანიის ნაციონალისტურ-სოციალისტურ მუშათა პარტიას; რომელმა სოციალურმა, ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა პრობლემებმა განაპირობა მათი გადაწყვეტილება არჩევნებზე. ვაიმარის გერმანიაში საარჩევნო ქცევის შესწავლა გვაძლევს ადგილობრივი და რეგიონული კონტექსტების ფართო სპექტრს, რომ მივიღოთ ახსნა, თუ როგორ მოიპოვა პარტიამ ასეთი დიდი მხარდაჭერა. ეროვნულ დონეზე პოლოკმა (1994) მოგვცა ნაცისტების მხარდამჭერების სივრცითი ცვლილებები, გერმანიის 35 საარჩევნო რეგიონის მიხედვით. რეგიონული შემთხვევების შესწავლისას, შემოწმდა ნაცისტებისა და მათი მხარდამჭერების

[12] http://www.colorado.edu/geography/class_homepages/geog_4023_s10/JohnO_1994.pdf

ზრდის ადგილობრივი მახასიათებლები და აღიარებული იქნა გერმანიის არაერთგვაროვანი სახე.

სივრცისა და ადგილის უგულებელყოფა ვაიმარის არჩევნების კვლევაში, პარალელს ავლებს უფრო ფართო ტენდენციებთან. დომინანტს წარმოადგენს ისეთი კონცეფციები, როგორიცაა კლასი და ეთნიკურობა, ხოლო ადგილს უფრო მოკრძალებული ყურადღება ეთმობა.

გეოგრაფები ყურადღებას შუალედურ პოზიციას აქცევენ, სადაც რეგიონები განიხილება, როგორც ადგილობრივ პასუხებსა და ზოგადად პროცესებს შორის არსებული შუამავლობის პროდუქტები. ვაიმარის რესპუბლიკის საარჩევნო მოზაიკა იყო სოციალურ-კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების ხანგრძლივი ისტორიის შედეგი, რომელიც ხდებოდა სხვადასხვა ფორმით, სხვადასხვა ადგილებში.

საარჩევნო გეოგრაფიაში კონტექსტი მოიცავს სამ ელემენტს: 1) შემთხვევის ადგილის სოციალური ურთიერთობის გარემოს; 2) მდებარეობას, ადგილის როლი მსოფლიო ეკონომიკაში 3) ადგილის მცნებას, სოციალიზაცია ხდება ცხოვრებასთან ერთად. საარჩევნო გეოგრაფები ამ კონტექსტს სერიოზულად ეკიდებიან. ადგილობრივი „ისტორიული მახსოვრობის გამოხატულებები, შეგვიძლია ვიხილოთ კონტექსტუალური ეფექტის კვლევებში იტალიაში, შოტლანდიასა და სამხრეთ აშშ.-ში.

მაკალისტერმა შეუტია გეოგრაფებს იმის გამო, რომ ისინი ემხრობოდნენ იდეას იმის შესახებ, თუ სად ცხოვრობს ადამიანი და რას წარმოადგენს. გერმანული პოლიტიკის ისტორიული ფორმა-ადგილობრივი ინტერესის ჯგუფის წარმომადგენლობაზე დაფუძნებული კოლექტიური ძალადობა, ხელს უწყობდა ავტორიტარულ-პატერნალისტურ მთავრობას, ვაიმარის პოლიტიკური სცენა წარმოადგენს ამ ორი სისტემის არამყარ ალიანსს. ადგილობრივი ინტერესის ჯგუფების მნიშვნელობამ გერმანულ პოლიტიკაში, კარი გაუღო ნაცისტური პარტიის შესაძლებლობებს, თავისი მიმართებები მოერგო ადგილობრივ საჭიროებებზე.

შემდეგ თავში განვიხილავთ არჩევნებსა და პოლიტიკურ პარტიებს მეოცე საუკუნის დასაწყისის საქართველოში, რომელი პარტიები იყო ძირითადი და რომელმა გაიმარჯვა არჩევნებში.

3 თავი. კონტექსტი: არჩევნები და პოლიტიკური პარტიები მეოცე საუკუნის დასაწყისის საქართველოში

ამ კონკრეტულ თავში საქართველოსა და რუსეთის პარტიების ფორმირებას განვიხილავთ,რადგან საქართველო იმ დროისათის რუსეთის ნაწილი იყო

კარლ კაუცკი თავის წიგნში წერდა, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები რუსული მენშევიკების „ ელიტარული ჯარები“ იყვნენ. ქართული ორგანიზაცია „რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტია“-სთან (რსდმპ) ფორმალურად 1906 წელს გაერთიანდა, რაც ავტომატურად გულისხმობდა ბოლშევიკთა კავკასიის კავშირის „ვირტუალურ“ არსებობას. მეოთხე ყრილობის ადგილობრივ არჩევნებზე ბოლშევიკები დამარცხდნენ. ერთ-ერთი ბოლშევიკი-იოსებ ჯუღაშვილი იყო, რომელიც მენშევიკების წინააღმდეგ აშკარად გამოვიდა. მათ უკან არ დაიხიეს და ის სიცრუეში დაადანაშაულეს, თუმცა ყრილობა მენშევიკების გამარჯვებით დამთავრდა, ხოლო ჟორდანია რუსეთის სოციალისტურ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში აირჩიეს.

ერთ-ერთი ყველაზე რთული მომენტი შეიქმნა მაშინ, როდესაც კავკასიელებს ერთმანეთთან შეტაკება ეროვნული საფრთხის გამო მოუხდათ. ქართველი სოციალ-დემოკრატები ხვდებოდნენ და იაზრებდნენ იმას, თუ რამხელა საფრთხეს წარმოადგენდა ეროვნულ ნიადაგზე წარმოქმნილი კონფლიქტი, რომელიც რუსი მენშევიკებისათვის საინტერესო იყო.

ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით ოთხი პოზიცია იკვეთებოდა. ნოე ჟორდანია თავისი თავდაპირველი მოსაზრებების ერთგული რჩებოდა და მახვილს მუდმივად სვამდა ეროვნული კულტურის განვითარებაზე.

ქართველი სოციალ-დემოკრატები რუსული მენშევიკების ძირითად ხერხემალს წარმოადგენდნენ. მსგავს მოსაზრებას აქსელროდი თავის ერთ-ერთ გაგზავნილ წერილშიც ადასტურებს. მათი შთაგონების წყარო მუდმივად ევროპული სოციალისტური პარტიები იყო და ისინი სოციალიზმის გაერთიანებას ევროპულ ღირებულებებთან, ადამიანის უფლებებთან და კერძო საკუთრებასთან ჰარმონიული შერწყმით ცდილობდნენ.

სტივენ ფ.ჯონსის წიგნი დეტალურად მოგვითხრობს ქართული სოციალ-დემოკრატიის მნიშვნელობაზე და ცდილობს ახსნას მისი წარმატების მიზეზები. ავტორი იმასაც ნათლად ხსნის, თუ რა მიზეზების გამო მოხდა სოციალ-დემოკრატების შრომისა და ამ შრომის შედეგების სათანადოდ არ დაფასება. იგი ასევე ენობრივ ბარიერებზე საუბრობს, გეოგრაფიულ პერიფერიულობასა და სხვა მსგავს პრობლემებზე, რაც პატარა ერებისათვის მუდმივ პრობლემას წარმოადგენდა.[13]

მეცხრამეტე საუკუნის 90-იან წლებისათვის, საბოლოოდ ჩამოყალიბდა კაპიტალისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ახალი სოციალური სტრუქტურა. საზოგადოება ბატონყმობიდან-კაპიტალიზმისაკენ მიმავალ გზაზე იდგა. საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ფენებს განსხვავებული ინტერესი ჰქონდათ. ბუნებრივია, ყველა მათგანს საკუთარი მისწრაფებები გაუჩნდა და ცდილობდა ისინი სხვადასხვა გზით დაეკმაყოფილებინა.[14]

რუსეთის დუმას ჩამოყალიბების დღიდან-დღემდე ბევრი არჩევნები ახსოვს. ამ არჩევნებიდან ყველაზე აღსანიშნავი 1917 წლის დუმის არჩევნები იყო, რომელიც ყველაზე დემოკრატიულ არჩევნებად ითვლება და რომელიც იმ დროს შემუშავებული ახალი მიდგომებით განხორციელდა. ვიდრე უშუალოდ 1917 წლის არჩევნებზე გადავიდოდეთ,

---

13 13 http://www.colorado.edu/geography/class_homepages/geog_4023_s10/JohnO_1994.pdf3%E1%83%9A_%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A8%E1%83%98_-_%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A8%E1%83%98.pdf

[14] http://www.bu.org.ge/x2254?lang=geo

მანამდე ზოგადად მიმოვიხილოთ დუმის სხვადასხვა არჩევნები 1917 წლამდე და მის შემდეგ.

სახელმწიფო დუმა - რუსეთის ფედერაციის ფედერალური კრების ქვედა პალატაა,ზედა პალატას, კი რუსეთის ფედერალური საბჭო წარმოადგენს. მის წევრებს დეპუტატებს უწოდებენ. სახელმწიფო დუმამ რუსეთის უმაღლესი კრება ჩაანაცვლა

სახელმწიფო დუმა 1906 წელს ჩამოყალიბდა და ის რუსეთის პირველი არჩეული პარლამენტი იყო. ნიკოლოზ მეორე ეცადა,რომ ის უფრო მეტად აქტიური გაეხადა, თუმცა ამაოდ. ამის შემდეგ დუმა შეკრებიდან რამდენიმე თვეში ისევ იშლებოდა. 1907 წლის საარჩევნო რეფორმის შემდეგ, 1906 წლის ნოემბერში მესამე დუმა აირჩიეს, რომლის შემადგენლობაშიც ძირითადად ზედა კლასის წევრები იყვნენ, ხოლო მათ, ვისაც რადიკალური შეხედულება ჰქონდათ, დუმაში ვერ მოხვდენ. ისტორიის ჩამოყალიბებაში, დუმამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, რადგან ის თებერვლის რევოლუციის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი აღმოჩნდა.[15]

სტივენ ჯონსის წიგნში „სოციალიზმი ქართულ ფერებში“ აღწერილია პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე დუმის არჩევნები, რომლებიც ნათლად დაგვანახებს დუმის როლს არჩევნების პროცესში.

1906 წელს ქართველ სოციალ-დემოკრატებს არჩევნებში მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილება თავიდანვე არ მიუღიათ,თუმცა ცხარე პოლემიკის შესახებ, გაზეთმა „განთიადმა“ განაცხადა. გაზეთი ასევე წერდა, რომ მათ სწორედ დუმა აძლევდა შესაძლებლობას აგიტაცია გაეწიათ, მუშები და გლეხები გარშემო შემოეკრიბათ და გაეაქტიურებინათ მოსახლეობაც.მათთვის დუმა დამატებით იარაღს წარმოადგენდა სოციალიზმის მიღწევის მიზნით. ნოე ჟორდანია გამარჯვებისათვის თანაპარტიელებს შრომისა და მუშაობისაკენ მოუწოდებდა. ადგილობრივი ბოლშევიკები და მათი ერთ-ერთი

---

15 https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%9D_%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%90

წარმომადგენელი-იოსებ ჯუღაშვილი ირწმუნებოდნენ, რომ არჩევნებში მონაწილეობა ხალხის სულს დაასუსტებდა.

ნიკოლოზ მეორე კავკასიისათვის წარმომადგენლობის მიცემას დუმაში არ აპირებდა, თუმცა ილია ჭავჭავაძე და ნიკო ნიკოლაძე სასწრაფოდ გააგზავნეს ნიკოლოზ მეორესთან, რათა აეხსნათ რა შედეგით დამთავრდებოდა მისი გადაწყვეტილება. საბოლოოდ, კი კავკასიისათვის 29 ადგილი, აქედან 8 ქართული რეგიონებისათვის გამოიყო. არაპირდაპირი და მრავალსაფეხურიანი იყო არჩევნები. მემამულეები, გლეხები და ქალაქელები ირჩევდნენ დუმის წარმომადგენლებს. საქართველოში მემამულეებმა-37 ხმა, გლეხებმა -51 , ხოლო ქალაქელებმა-102 ხმა აიღეს. განსხვავება იყო რუსეთისა და საქართველოს „მემამულეებს“ შორის. ქართველმა მემამულეებმა „დესიატინას“ მიხედვით აიღეს ხმები, რაც მათ გავლენას ამცირებდა, ხოლო ქართველ გლეხებს რუსებისაგან განსხვავებით გარანტირებული წარმომადგენლის ყოლის უფლება არ მისცეს. კომისიებში, თითქმის ყველგან მემამულეები და ადმინისტრაციის მოხელეები დანიშნეს, რაც მეფისნაცვლებს ხმების გაყალბების შანსს აძლევდა.

მას შემდეგ,რაც „დაშნაკცუტუნ“-მა ბოიკოტი გამოაცხადა, სოციალ-დემოკრატებს უამრავი მეტოქე გამოუჩნდა.

სოციალ-დემოკრატებმა, იმისათვის, რომ ხმები მოეპოვებინათ, ფრონტი გაშალეს, საარჩევნო კომისიაც გახსნეს თავისი ქვეკომისიებით. მათ ქუჩაში საზეიმო განწყობა შექმნეს და პარტიის თითოეულ წევრს განსაზღვრული რაოდენობის ამომრჩევლის მოძიება დაავალეს. ისინი საკმაოდ ბევრ დაბრკოლებას წააწყდნენ კონკურენტი პარტიებისაგან, თუმცა მიუხედავად ყველაფრისა მათ გაიმარჯვეს. მათი მონაცემები დარჩენილი პარტიების მონაცემებს ერთად აღემატებოდა. რუსეთის დუმაში ფრაქციის თავმჯდომარედ ნოე ჟორდანია დაინიშნა.

ფიოდრ დანი 1906 წელს წერდა, რომ კავკასიაში ყველაზე შთამბეჭდავი გამარჯვება სწორედ სოციალ-დემოკრატებმა მოიპოვეს.(ბ-იო და დანი РАБОЧИЕ ДЕПУТАТЫ 53)

როდესაც სოციალ-დემოკრატები სანკტ-პეტერბურგში ჩავიდნენ, უკვე აშკარა იყო, რომ ოფიციოზი და დეპუტატები არ ითანამშრომლებდნენ. ი.ლ. გორემინსკმა დუმის რეფორმის შესახებ წინადადება უარყო. სოციალ-დემოკრატებმა დუმის ტრიბუნა მთავრობისა და კადეტების წინაღმდეგ გამოიყენეს. დაპირისპირებებმა და განვითარებულმა მოვლენებმა განაპირობა ის, რომ საბოლოოდ დუმა დაიშალა, თუმცა 1906 წლის სოციალ-დემოკრატების მეოთხე ყრილობაზე, კვლავ გადაწყდა დუმის საჭიროების საკითხი.

როდესაც სოციალ-დემოკრატებმა შეწყვიტეს დუმის ბოიკოტი, ქართველებს იმედი მიეცათ, რომ დუმა რევოლუციის იარაღი გახდებოდა. გაზეთი „ლახვარი“ პოლიტიკოსებს მოუწოდებდა იმისაკენ, რომ ახალი კანონი დუმის გამოყენებით შეემუშავებინათ. 1907 წლის შეხვედრაზე, თბილისის კომიტეტმა სხვა პარტიებთან ერთად საერთო პროგრამით შესვლაზე უარი განაცხადა, თუმცა ტაქტიკა მოიწონა სხვა პარტიების გაერთიანებისა და ამით ხმების მოპოვება სურდა. სოციალ-დემოკრატიული პარტია იმდენად ძლიერი იყო, რომ მას კეთილგანწყობის მოპოვებაც არ სჭირდებოდა. მეორე დუმის არჩევნების დროს სიტუაცია საკმაოდ დაძაბული იყო. ბოლო წუთამდე არ ასახელებდნენ სოციალ-დემოკრატები მათ დასახელებულ კანდიდატებს. მიუხედავად იმისა, რომ „დაშნაკცუტუნი“ ერთ-ერთი სერიოზული კონკურენტი იყო, სოციალ-დემოკრატების წარმატებას ხელი მაინც ვერ შეუშალა. მეორე დუმა პირველივით წარუმატებელი აღმოჩნდა. ამის შემდეგ ფრაქცია, სადაც მენშევიკები ჭარბობდნენ, დუმას მხოლოდ რევოლუციის გაძლიერებისათვის მოიხსენიებდნენ. ამან საკმაოდ ცუდი ფონი შექმნა, დუმა დაშლის საფრთხის წინაშეც კი დააყენა. „რსდმპ“- ს მეხუთე ყრილობაზე წერეთელი დუმას სოციალ-დემოკრატების სააგიტაციო ტრიბუნასაც კი უწოდებდა, თუმცა აღნიშნავდა, რომ პარტიების ერთობლივი მუშაობით დუმაში მათ მუშაობას აზრი მიეცემოდა.

ამის შემდეგ მოვლენები დუმის საწინააღმდეგოდ განვითარდა.“ლახვარი“ აფრთხილებდა თანამემამულეებს, რომ მთავრობისათვის არ მიეცათ მიზეზი დუმა დაშლილიყო.

1907 წელს შემოღებულმა სტოლიპინის კანონმა დუმის შეადგენლობა შეცვალა.

რაც შეეხება მესამე დუმას,სოციალ-დემოკრატების დეპუტატთა რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა და მათში უკვე ხუთი ბოლშევიკი იყო, ხოლო მეოთხე დუმაში 7 მენშევიკი და 6 ბოლშევიკი. მიუხედავად ქართველების სიმცირისა მესამე და მეოთხე დუმაში, ისინი მაინც აწყობდნენ რეგულარულ გამოსვლებს, გმობდნენ მთავრობის მიერ ეთნიკური კულტურის წართმევასა და სხვა მსგავს საკითხებს. ხანდახან ამ ყველაფერს გადამეტებულ ხასიათს აძლევდნენ და იყო შემთხვევა, რომ მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეც კი აღძრეს.

1912 წელს კი გაიმართა მეოთხე დუმის არჩევნები, სადაც ქართველი სოციალ-დემოკრატებიის მოწინააღმდეგეები უკვე პროგრესისტები და სოციალ-ფედერალისტები იყვნენ. ჟორდანიამ სომხები დაარწმუნა, რომ სოციალისტ-ფედერალისტების წარმომადგენელი ნაციონალისტი იყო. ამგვარი ხრიკებით ცდილობდნენ ხალხის კეთილგანწყობა მოეპოვებინათ. კავკასიისათვის გამოყოფილი 10 ადგილიდან მათ მხოლოდ 3 აიღეს.

ქართველი სოციალ-დემოკრატები ორივე დუმას ხალხისათვის არ მუშაობაში ადანაშაულებდნენ. მათ მიერ დუმისათვის მხარდაჭერა, ახალ ვითარებასთან შეგუებას ნიშნავდა.[16]

რუსეთის ფედერაციაში, 1917 წლის რუსული რევოლუციის დროს მომხდარი მოვლენების შემდეგ, ამავე წელს 25 ნოემბერს ჩატარდა რუსეთის მიერ დამფუძნებელი კრების არჩევნები, თუმცა ზოგიერთ ოქლში კენჭისყრა ალტერნატიულ დღეს იყო დანიშნული. ეს მოვლენა ზოგადად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია რუსეთის ისტორიაში, რადგან პირველ თავისუფალ არჩევნებს წარმოადგენდა,

ბოლშევიკებს, რომელთაც ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ძალაუფლების ხელში ჩაგდება ჰქონდათ გადაწყვეტილი, სჯეროდათ, რომ ეს ძალაუფლების კონსოლიდაცია

16 https://iliauni.edu.ge/ge/ajax/downloadFile/18245/%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98_%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A_%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A8%E1%83%98_-_%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A8%E1%83%98.pdf

დაამტკიცებდა, რომ მათ ჰქონდათ საკმაოდ პოპულარული მანდატი. ამის ნაცვლად, დიდი გამარჯვება სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მოიპოვა, რომელიც ბოლშევიკების ხმების რაოდენობას ორჯერ აღემატებოდა.მიუხედავად იმისა,რომ მთავრობამ ბოლშევიკები მოიწვია, მათ მაინც ვერ მოახერხეს გამარჯვება, მხარეები ორად გაიყო. მარჯვნის მოექცნენ სოციალ-დემოკრატების მხარდამჭერები, მარცხნივ კი-ბოლშევიკების, თუმცა საბოლოოდ მხარეებმა უარი განაცხადეს ბოლშევიკური ლიდერის-ვლადიმერ ლენინისა და საბჭოთა იდეის მხარდაჭერაზე.

როგორც აღმოჩნდა, ეს იყო ბოლო ნაწილობრივ დემოკრატიული არჩევნები რუსეთში 1990 წლის არჩევნებამდე. ნაცვლად იმისა, რომ მენშევიკებსა და სოციალისტ-რევოლუციურ პარტიას მონაწილეობა მიიეღოთ 1918 წლის არჩევნებში, ბოლშევიკებმა არ მისცეს უფლება და ისინი გამოაძევეს და იძულებითი რევილუციები დაიწყეს მაჟორიტარების მიღებამდე. 1918 წელს უკვე ყველა ბოლშევიკების ოპოზიციური პარტია აკრძალეს, რაც დემოკრატიის დასასრული და ბოლშევიკური დიქტატურის დაწყების ნიშანი იყო.

ამ საკითხთან დაკავშირებული სხვადასხვა კვლევა ერთსა და იმავე შედეგს აჩვენებს. ყველა ცხადყოფს, რომ ურბანულ ცენტრებში ბოლშევიკების აშკარა გამარჯვება ნათელია.“დასავლეთის ფრონტზე“ მათ ჯარისკაცების ხმების ორი/მესამედი აიღეს.

ოლივერ ჰენრი რაკი მის მიერ ჩატარებულ კვლევაში აღნიშნავს, რომ სოციალისტური რევოლუციის მოღვაწეები არიან უკრაინელი სოციალისტები,ხოლო კადეტები „მემარჯვენეებად“მოიაზრებიან.[17]

ვიდრე საქართველოში არჩევნები ჩატარდებოდა, ამას წინ უძღვოდა გარკვეული მოვლენები.

სტივენ ფ.ჯონსი თავის წიგნში „ქართული სოციალიზმის შესახებ“, დეტალურად გააზრებულ აღწერას გვაძლევს იმდროინდელი მოვლენების თაობაზე. მისი თქმით, 1906 წლის დაძაბული მოვლენების შესახებ შირინკინი ვორონცოვ-დაშკოვს ანგარიშებს

[17] https://en.wikipedia.org/wiki/Russian_Constituent_Assembly_election,_1917

უგზავნიდა ამბოხის შესახებ. ვითარება არეული იყო მთლიანად ქართლ-კახეთით დაწყებული, ოზურგეთითა და ბათუმით დამთავრებული. სერიოზული ეჭვი არსებობდა იმის შესახებ, რომ სოციალ-დემოკრატები შემოდგომისათვის აჯანყებას აპირებდნენ, შესაბამისად, გაზრდილი იყო ტერორისტული აქტები. თუმცა, რუსული მენშევიკური ძალების დანაწევრებამ ქართული ფრთა მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ თავად უნდა მიეხედათ თავიანთი თავებისათვის. ქართველი სოციალ-დემოკრატების ინტელექტუალური და ტაქტიკური აზროვნების ნიჭი მათ ორგანიზებულობის შენარჩუნებაში ეხმარებოდა. თუმცა რუსი მენშევიკები ზედმეტად დაბნეულები აღმოჩნდნენ, რის გამოც ქართველებმა ევროპელებისაგან აიღეს მაგალითები, რომლებიც სოციალიზმის დამკვიდრებისათვის სხვადასხვა სახით იბრძოდნენ. მათ საბოლოოდ (1914წელს) ავსტრიული „ბოლდუნგის“ ტაქტიკა აირჩიეს, რომლებიც ქართველი სოციალ-დემოკრატების ხედვას ზუსტად მიესადაგებოდა. კარგა ხნის განმავლობაში ქართველი სოციალ-დემოკრატები ჯერ კიდევ „ქუჩას“ანიჭებდნენ უპირატესობას, თუმცა უმრავლესობის ხმით გადაწყდა,რომ მათ არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიეღოთ. “განთიადის“ განცხადებით, დუმა საუკეთესო შესაძლებლობას აძლევდა პარტიას ფართო აგიტაცია-პროპაგანდისათვის და მოსახლეობის გააქტიურებისათვის, თუმცა ბევრი იყო ისეთი, ვინც თვლიდა, რომ ადგილობრივი დუმა ვერასდროს გახდებოდა პროლეტარიატისათვის ინტერესების გამომხატველი. იმ დროისათვის სტალინიც არჩევნებში მონაწილეობის იდეას მხარს უჭერდა, რადგან თვლიდა, რომ ეს რევოლუციისათვის სარგებლობის მომტანი ვერ იქნებოდა. კომიტეტის შეთანხმებით მომდევნო ეტაპად ბურჟუაზიული რესპუბლიკა დაიგეგმა, თუმცა ნიკოლოზ 2 ნამდვილად არ აპირებდა კავკასიისათვის წარმომადგენლობის მიცემას დუმაში. მის დასარწმუნებლად დელეგაცია ილია ჭავჭავაძისა და ნიკო ნიკოლაძის ხელმძღვანელობით მას ეახლა და შეეცადა აეხსნა რა სირთულეები გაჩნდებოდა რეგიონში არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმის შემთხვევაში. რა თქმა უნდა, სწრაფად შემუშავდა საარჩევნო სისტემა და წესები, რომელთა ძირითადი მიზანი სოციალისტების დასუსტება და მათი გავლენის მინიმუმამდე დაყვანა იყო.

ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ხმების მოსაპოვებლად, თანამედროვე ტერმინით რომ ვთქვათ,“საარჩევნო კამპანია“ წამოიწყეს და სახალხო ფრონტი გაშალეს. მათ მხარი თბილისის ვაჭართა სხდომამაც დაუჭირა და ეს „ოფიციალურად“ გამოცხადდა. მათ პროპაგანდას გაზეთი „ლამპარი“ეწეოდა.

სოციალ-დემოკრატებმა საარჩევნო კომისიაც გახსნეს, რომელსაც ქალაქის თითქმის ყველა უბანში ქვეკომისია ჰქონდა-ამ და სხვა აქტივობების შესახებ გაზეთი „тифлический листок»იძლევა ცნობებს.

არჩევნების სისტემა რათქმაუნდა სრულყოფილად ჩამოყალიბებული არ იყო და ვერც იქნებოდა. სოციალ-დემოკრატები უამრავ პრობლემასა და დაპირისპირებას წააწყდნენ: მოპარული საარჩევნო ყუთებით დაწყებული, ამომრჩევლის უბანზე არ მიშვებით დამთავრებული.

საბოლოოდ, საქართველოს სოციალ-დემოკრატების ფრაქციის თავმჯდომარეებმა, რუსეთის დუმაში ჟორდანია აირჩიეს,თუმცა მდგომარეობა მალევე აირია და ჟორდანიას სანკტ-პეტერბურგში მოუწია დაბრუნება,სადაც მუშაობა არალეგალურად განაგრძო,დუმა დაიშალა.

ამას საქართველოს აღშფოთება მოჰყვა,რის გამოც სოციალ-დემოკრატები ამჯერად მთავრობის ბოიკოტის მოთხოვნით გამოვიდნენ.საბოლოოდ,კი ამიერკავკასიის მუშათა ორგანიზაციის ყრილობა (მეოთხე) იმ დასკვნამდე მივიდა,რომ საკანონმდებლო ორგანოსთან საბრძოლველად საჭირო იყო ახალი დუმა.

ქართველი სოციალ-დემოკრატები ბრძოლის სრულიად ახალ ეტაპზე გადავიდნენ. პოლიტიკური სიტუაცია ყველგან შეიცვალა და მათაც ახალი გზების ძიება დაიწყეს,რაც კონსპირაციული მუშაობიდან ლეგალურზე გადასვლას გულისხმობდა პოლიტიკური რეჟიმის ქვეყნებში,სადაც დაცვის არანაირი გარანტია არ იყო.შესაბამისად,მოხდა ის,რაც ასეთ დროს ხდება ხოლმე,გახშირდა დაპატიმრება,დევნა და გადასახლება.გაზეთ „ტალღის“ცნობით,პროფესიულ კავშირებში მუშაობა ახალი სამოქმედო კურსის უმთავრესი

ნაწილი გახდა,აზრთა სხვადასხვაობა პროფკავშირებთან ძირითადად იმაზე იყო,თუ როგორ ეხელმძღვანელათ მათი მუშაობისათვის.

ამ პერიოდისათვის, სოციალ-დემოკრატების ლეგალურ მუშაობას ეჭვის თვალით დაუწყეს ყურება და იმავე გაზეთის განცხადებით „ლეგალური მუშაობა მზადაა არალეგალურისათვის.“

1917 წელს საქართველოში ჩატარდა დამფუძნებელი კრების არჩევნები,როდესაც დუმაში დამფუძნებელი კომიტეტი საქართველოს დეპუტაციისაგან შედგებოდა. [18]

3.1 პოლიტიკური პარტიების ფორმირება საქართველოში

პარტიების წარმოშობა და განვითარება საქართველოში მკვეთრად განსხვავებული იყო დასავლური პარტიებისაგან.[19]

საქართველოში პარტიების განვითარების თავისებურებები,ორი ფაქტორით შეიძლება ავხსნათ.ესენია: მეოცე საუკუნის დასაწყისის კოლონიური მდგომარეობა და არჩევითი წარმომადგენლობით ინსტიტუტების არსებობა.

საქართველოში პოლიტიკური პარტიების არსებობის ორი ეტაპი გამოიყოფა.პირველი ეტაპი მეოცე საუკუნის პირველ წლებში ასპარეზზე პარტიათა გამოჩენასა და საქმიანობას უკავშირდება რუსეთში.მეორე ეტაპი,კი 1917 წლიდან 1924 წლამდე აჯანყენის ჩახშობას უკავშირდება,რამაც ორგანიზებული პოლიტიკური საქმიანობის დიდი ხნით გაქრობა განაპირობა.

[18] http://archives.gov.ge/ge/page/1919-wlis-saqartvelos-damfudznebeli-krebis-archevnebi
[19] http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&cl=CL2.20&d=HASH01857554f5adce2eb6ecf374.6&x=1

პარტიების წარმოშობას წინ უსწრებდა სხვადასხვა იდეური მიმართულების ჯგუფების არსებობა.შეიძლება ითქვას,რომ პარტიების წარმოშობაში ამანაც დიდი წვლილი შეიტანა.

ივანე ჯავახიშვილი თავის წიგნში საქართველოს ისტორიის შესახებ პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბებას განიხილავს.[20]

დემოკრატიულ საზოგადოებაში მოსახლეობის ინტერესებს პოლიტიკური პარტიები წარმოადგენენ,თუმცა მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეთა მიჯნაზე,რუსეთის იმპერიას საკუთარი დესპოტური მმართველობა ჰქონდა და გასაქანს არავის არ აძლევდა.ამ მიზეზის გამო,პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბება რუსეთსა და საქართველოში რამდენიმე ათწლეულ წელიწადს გაგრძელდა. ეს მხოლოდ 90-იანი წლებსა და მეოცე საუკუნის დამდეგს მოხერხდა.პარტიებისათვის ჯერ არალეგალური,მოგვიანებით,კი ლეგალური პირობები შეიქმნა მოღვაწეობისათვის.

პირველი პოლიტიკური ორგანიზაციები საქართველოში სოციალ-დემოკრატების წყალობით ჩამოყალიბდა.მეცხრამეტე საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში,საქართველოს სოციალ-დემოკრატიაში გამოიკვეთა ორი მიმდინარეობა.

1)დასავლეთევროპული სოციალ-დემოკრატიის იდეური გავლენის ქვეშ მყოფი „მესამე დასი“

2) რუსული სოციალ-დემოკრატიის ორიენტაციის მქონე ჯგუფები.

1898-1900 წლებში მიმდინარეობდა მესამედასელთა და მათი მეთაურის-ნოე ჟორდანიას გადასვლა რუსული სოციალ-დემოკრატიის პოზიციებზე და შედეგად 1901-1903 წლებში გაზეთი „კვალი“ და მესამედასელები მოექცნენ რუსული სოციალ-დემოკრატიული იდეის ქვეშ.ამ დროს ნოე ჟორდანია უკვე მათ პოზიციებზე იდგა. რუსულ პოზიციებზე გადასვლის მიუხედავას.“მესამე დასი“ ცდილობდა დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია შეენარჩუნებინა.

[20] bu.org.ge

საპირისპირო პოზიციაზე იყო ქართველი „სოციალ-დემოკრატების“ მეორე მიმდინარეობა- „რევოლუციონერ სოციალ-დემოკრატთა დასი“ (1901),რომელიც თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია წარმოადგინა.მასში შედიოდნენ:იოსებ ჯუღაშვილი და ვასილ ცაბაძე.

კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია გაერთიანების მომხრე იყო.შედეგად,კი გიორგი პლეხანოვმა და ვლადიმერ ლენინმა გადაწყვიტეს შეექმნათ „რუსული სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია“ (რსდმპ).მათი აზრით ეს პარტია გააერთიანებდა კავკასიურ ორგანიზაციებს და მოხდებოდა მათი შერწყმა.ნოე ჟორდანია და მისი თანამოაზრეები მართალია გაერთიანების წინააღმდეგნი იყვნენ,თუმცა ამ შემთხვევაში წინააღმდეგობას მათ პოზიციაზე გადასვლა ამჯობინეს,რადგან ამას საფუძვლად მყარი ეროვნული თვითშეგნება ედო.ამიტომ მათ მონაწილეობა მიიღეს „რსდმპ“-ს შექმნაში.

1903 წელს,არალეგალურად გაიმართა „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის“ პირველი ყრილობა თბილისში. ჟორდანია ლენინს დაუპირისპირდა და მოითხოვა „ფართო დემოკრატიული ცენტრალიზმის“პრინციპით შექმნილიყო ეს პარტია.,რადგან ეს ითვალისწინებდა ადგილობრივი ორგანიზაციების ავტონომიას. ლენინის მოთხოვნით „დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი“-თ უნდა შეექმნათ ეს პარტია.რა თქმა უნდა ლენინმა გაიმარჯვა და ყრილობამ ჟორდანიას წინადადება უარყო.აქედან ჩანს,რომ რუსეთი თანდათანობით იმაგრებდა პოზიციებს საქართველოში.

„რუსეთის სოციალისტურ-დემოკრატიული მუშათა პარტიის“ (რსდმპ) წყალობით,რუსულმა სოციალ-დემოკრატიამ საქართველოში მყარად მოიკიდა ფეხი.გართულებების გარეშე შეერწყნენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას.“მესამე დასმა“ -კი არსებობა შეწყვიტა,ქართულ-რუსული პარტიების საბოლოო ინტეგრაცია კი „რსდმპ“-ს მეორე ყრილობაზე შედგა.

საბოლოოდ ქართველმა დელეგატებმაც ლენინ-პლეხანოვის ცენტრალისტურ-ინტერნაციონალისტური პრინციპი გაიზიარეს.

მეორე ყრილობაზე მოხდა სწორედ ის,რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატია ორ ფრაქცია გაიყო:მენშევიკებად და ბოლშევიკებად.ისინი ერთ პარტიაში მაინც რჩებოდნენ ერთ პარტიაში.

მეორე ყრილობის შემდეგ,ბოლშევიკებმა გარკვეული პერიოდის განმავლობაში უპირატესობას მიაღწიეს.ასე მოხდა მესამე ყრილობაზეც.

სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის აღმავლობამ,ეროვნულ ინტელიგენციას ახალი პოლიზიკური ორგანიზაციის შექმნისაკენ უბიძგა.შედეგად,მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსათვის,უკვე სამი ძირითადი,ეროვნული მიმართულება იკვეთებოდა.ესენი იყო:გაზეთ „ივერიის ძველი თაობა“; „ახალგაზრდა ივერიელების ეროვნულ-რადიკალური მიმდინარეობა“; „ჟურნალ მოამბის ბურჟუაზიულ-ეროვნული მიმდინარეობა“. 1900 წელს მოამბისტებმა და ახალგაზრდა ივერიელებმა ძალები გააერთიანეს და „ცნობის ფურცლის“ გარშემო მოიყარეს თავი.მათი მიზანი სახელმწიფოებრიობის აღდგენა და პოლიტიკური ბრძოლა იყო.ისინი თვლიდნენ,რომ ბრძოლისათვის მათ პარტიის შექმნა დასჭირდებოდათ,თუმცა შექმნას არ ჩქარობდნენ.მათ საზღვარგარეთ ამჯობინეს შეემუშავებინათ პროგრამა და პროპაგანდის გაწევა.1903 წელს გამოვიდა გაზეთი სახელწოდებით „საქართველო“,რომელიც ეროვნულ-პოლიტიკური მიმართულების იყო.ის არალეგალურად ვრცელდებოდა საქართველოში და დიდი სარგებელი მოუტანა ეროვნულ-პოლიტიკურ ძალებს კონსოლიდაციისათვის.რედაქციამ გამართა კონფერენცია,იმისათვის,რომ გაეგო რას ფიქრობდნენ ქართული პოლიტიკური ძალები და იყო თუარა შესაძლებელი ამ ძალების გაერთიანება ეროვნული იდეის ქვეშ.პოლიტიკურ ძალებში ერთიანდებოდბენ: გაზეთ „საქართველოს წარმომადგენლები“; სოციალ-დემოკრატები; ეროვნულ-დემოკრატიული მიმდინარეობის ჯგუფები; ანარქისტები; სოციალიტ-რევოლუციონერები და ეროვნული მოღვაწეები,რომლებიც აპოლიტიკურები იყვნენ.

1904 წელს,აპრილში ჟენევაში კონფერენცია გაიმართა,რომელსაც ეწოდა: „ქართველ რევოლუციონერთა პირველი კონფერენცია“ კონფერენციის შედეგი,კი „საქართველოს

სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის“ შექმნა იყო.პარტიის მოღვაწეობაში უმთავრსი ეროვნული პრობლემატიკა იყო.ამავე დროს,ფედერალისტები სოციალისტურ პარტიას წარმოადგენდნენ. ქართველი სოციალისტ-ფედერალისტებისათვის უმთავრესი ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა იყო.ასე ჩამოყალიბდა ამხანად არსებული პარტიებიდან ერთ-ერთი, „საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია“.

1902 წელს,შეიქმნა რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია,რომელიც ცდილობდა იმპერიის განაპირა ქვეყნების ნეოხალხოსნური ჯგუფები გაეერთიანებინა და საერთო-სარუსეთო ცენტრალური პარტია შეექმნა.ამ პარტიაშიც ორი მიმართულება გამოიკვეთა:

1)ინტერნაციონალისტები,მათ უნდოდათ რუსულ პარტიასთან გაერთიანება

2) ნეოხალხოსნები,მათ დამოუკიდებელი პარტიის შექმნა სურდათ. ეს სწორედ ის ხალხი იყო,რომლებმაც დააარსეს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია.

ამ ორი წრის გაერთიანების შედეგად 1901 წელს საქართველოში „ესერთა“ ორგანიზაცია,სადაც ჩამოსახლებული ან ადგილობრივი ნეოხალხოსნური მოძრაობის მონაწილენი შედიოდნენ.მეოცე საუკუნისათვის რუსეთი ესერთა პარტიები უკვე აკონტროლებდნენ ქართველი ესერების ორგანიზაციას.მათი სისუსტის მიზეზი სოციალ-დემოკრატიის ,სოციალ-ფედერალიზმისა და ეროვნული ქართული მოძრაობის სიძლიერე იყო.სოციალ-ფედერალებმა და სოციალდ-დემოკრატებმა რუსეთის ესერთა პარტიას აჯობეს და დაამარცხეს. ეს იყო მესამე პარტია,რომელიც იმხანად ჩამოყალიბდა.

1885 წელს ვანში პარტია „არმენაკან“-ი შეიქმნა,სადაც დაიწყო სომხური ლიბერალურ-დემოკრატიული ბურჟუაზიული პარტიის საწყისი.

მეხუთე და ბოლო პარტია,რომელსაც ივანე ჯავახიშვილი აღწერს,არიან ეროვნულ-დემოკრატები,რომლებიც „ცნობის ფურცლის“ჯგუფში გაერთიანდნენ. პარტია „ცნობის ფურცელთა“ მემარჯვენე ფრთა იყო,ეროვნულ-დემოკრატები,სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში გაერთიანდნენ 1904 წელს და აქაც მემარჯვენეები იყვნენ.ეს ერთადერთი

მიმდინარეობა იყო,რომელიც ეროვნულ მიმართულებას განასახიერებდა.ეროვნულ-დემოკრატები იცავდნენ საკუთრების ხელშეუხებლობის პრინციპს და ისინი ილია ჭავჭავაძის ერთადერთ და ნამდვილ მიმდევრებად თვლიდნენ საკუთარ თავს და მოითხოვდნენ სახელმწიფოებრიობის აღდგენას.ილის მიმდევრებს მხარში ამოუდგა.ეროვნულ-დემოკრატები განსაკუთრებით 1905 წელს გააქტიურდნენ.ამავე წელს ინტელიგენციის კრება შედგა იმ ხალხისა,რომელმაც ილიას წინადადებით პარტია შექმნა.1906 წელს მათი პროგრამა და წესდება გავრცელდა.პარტიას ოფიციალურად „ ქართული დემოკრატიული პარტია“ეწოდა. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ფორმირება იმხანად აღარ გაგრძელდა.რევოლუციის დამარცხებამ,ბრძოლამ და ილიას აღსასრულმა პოლიტიკური საქმიანობა რამდენიმე წლით შეაფერხა.

ნიკიტა პიანიხი თავის სტატიაში ტამბოვის სოციალისტ-რევოლუციონერების შემადგენლობა პირველი რუსული რევოლუციის 1905-1907 წლების მიჯნაზე,განიხილავს წარმომადგენლობით ფენებსა და მათ შეხედულებებს.განხილულია:კულტურული,პროფესიონალური,სქესობრივი,ნაციონალური და რელიგიური შეხედულებები. (Эсер-ქართულად სოციალისტი)

პარტიების ფორმირება სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარად მიმდინარეობს.მათი დახასიათება შემადგენლობის შესწავლას გულისხმობს.[21]

ტამბოვის სოციალისტ-რევოლუციონერების ორგანიზაცია სოციალ-დემოკრატებად იწოდებოდა,მისი ლიდერები,კი კადეტებად და ექსდეკებად,ვიდრე დამთავრდებოდა პირველი რუსული რევოლუცია.იყო შემთხვევა,როდესაც ესერების წინამძღოლები ესდეკებად იყვნენ მოხსენებულნი.1905 წლამდე არ არსებობდა ესდეკებსა და ესერებს შორის აშკარა შეზღუდვები.

[21] http://cyberleninka.ru/article/n/sostav-sotsialistov-revolyutsionerov-tambovskoy-gubernii-nakanune-pervoy-russkoy-revolyutsii-1905-1907-gg

ტამბოვის სოციალისტ-რევოლუციინერების კონტინგენტის შემადგელობაში ყველა ფენა შედიოდა,თუმცა უმეტესობას გლეხთა დიდი ნაწილი შეადგენდა.ისინი სოფლად ცხოვრობდნენ და მათი ძირითადი საქმე მიწათმოქმედება და ხელსაქმე იყო.

საშუალო ფენას ის მოსახლეობა წარმოადგენდა,რომლებიც სოფლიდან-ქალაქად იყო გადასახლებული,თუმცა ტრადიციებს არ ღალატობდა.უნდა აღინიშნოს,რომ ზემოთ ხსენებული ავტორის-პილიპენკოს მიერ განხილული ყველა ფენა ერთად-არაა სწორი.

რევოლუციის დასაწყისად ითვლება მცირე შემოსავალი და მიწის დიდი გადასახადი.ღარიბი მოსახლეობის რიცხვმა გადააჭარბა მდიდარ მოსახლეობას.საშუალოდ მდიდარი მოსახლეობის შეფარდება 20%ს უტოლდებოდა,თუმცა მათი წვლილი მნიშვნელოვანი იყო.წარმომავლობის მიხედვით წარჩინებულთა უმეტესობა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი იყო.მსხვილი მიწათმოქმედები მხოლოდ ლუკანენკო და დიაკოვი იყვნენ. წარჩინებულების საქმიანობა ძირითადად გამომცემლობითი და აგიტატორულ-პროპაგანდისტული ხასიათისა იყო.მათ რიცხვში არ სედიოდნენ ბორისოგლებსკის ესერები.მცირე რაოდენობით იყვნენ კულტის მსახურთა შვილები,ვაჭრები,მოხელეები.ნაკლები ესერი იყო ბიუროკრატებსა და სასულიერო პირებში.ბიუროკრატები ავტორიტარული რეჟიმის საფუძველი იყო,ხოლო სასულიერო პირებს სოციალისტურ-რევოლუციურ პარტიასთან ჰქონდა მცირე კონფლიქტი.მნიშვნელოვანი ჯარისკაცი იყო კაზაკი ალექსანდროვი,რომელიც თავად მონაწილეობდა 1902 წელს რევოლუციურ-პოლიტიკური მოწოდების სააგიტაციო ფურცლების შედგენასა ადა გავრცელებაში.ამ დროისათვის აქტუალურ საქმიანობად მიწის დამუშავება ითლებოდა.სწორედ ამით შეიძლება აიხსნას ამდენი მიწათმოქმედის არსებობა იმ დროისათვის.

კლერკების დაწესებულებში მუშათა კონკრეტული წონა 15% იყო,მასწავლებელთა და მოსწავლეთა რაოდენობა შეფარდებით 10%/15% იყო.სტუდენტებისა და მოსწავლეების რაოდენობა მცირე იყო.განათლების დონის მიხედვით,ესერების უმეტესობა განათლებული იყო და მიღებული ჰქონდა როგორც უნაღლესი,ისე საშუალო და დაწყებითი

განათლება.ესერებში მხოლოდ მცირე რაოდენობა (10%) იყო ისეთი,რომელსაც არანაირი საფეხურის განათლება არ ჰქონდა მიღებული.სათავეში,მხოლოდ უმაღლესი განათლების მქონე ესერებს იღებდნენ.

გენდერული კუთხით რომ განვიხილოთ,მათი განაწილება არ იყო სამართლიანი,უმეტესობას მამაკაცები შეადგენდნენ.ავტორის მასალაზე დაყრდნობით, ესერი ქალები ძირითადად ესერ მამაკაცებს მიჰყვებოდნენ ცოლად,ზოგიერთნი შორდებოდნენ ქმრებს და პარტიას უძღვნიდნენ მთელს დროს.არსებობდა საპირისპირო სქესის ესერების ქორწინების შემთხვევაც.პარტიის წარმომადგენელი ესერი ქალები ეწეოდნენ იდეის პროპაგანდას სოფლის მოსახლეობაში.

ეთნიკური კუთხით პარტია ძირითადად მონოეთნიკური იყო,უცხოელების რიცხვი უმნიშვნელო იყო.[22]

4 თავი.საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნების მიმდინარეობა

„მარტის თორმეტს მზიანი დღე დადგა,თუმცა ცოტა ჰქროდა,მაგრამ დარი საერთოდ ნამდვილი გაზაფხულისა იყო.სწორედ,რომ ეს მეორე გაზაფხულია საქართველოსთვის,როგორც ბუნებისა,ისე პოლიტიკური,დღეს გაიხსნა სრულიად საქართველოს დამფუძნებელი კრება“

ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული მასალის მიხედვით,1919 წელს ქვეყნის სათათბირო ორგანოში ოთხი განსხვავებული პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი, 120 დეპუტატი აირჩიეს.ეს იყო პროცესი,როდესაც მოსახლეობას პირველად ჰქონდა შანსი საკუთარი ნება-სურვილით მიეღო გადაწყვეტილება და გაეკეთებინა არჩევანი. მოსახლეობამ კი საკანონმდებლო ორგანო - დამფუძნებელი კრება აირჩია.

[22] http://cyberleninka.ru/article/n/sostav-sotsialistov-revolyutsionerov-tambovskoy-gubernii-nakanune-pervoy-russkoy-revolyutsii-1905-1907-gg

დამფუძნებელი კრების არჩევამდე, არსებობდა ე.წ. ინტერპარტიული საბჭო და შემდგომში 1918 წელს,ის პარლამენტად გადაკეთდა. განვითარებული მოვლენების შედეგად,საქართველო პირველ არჩევნებს საკმაოდ მომზადებული შეხვდა.ასევე აღსანიშნავია,რომ არჩევნების თარიღად 1919 წლის გაზაფხული სახელდება,თუმცა შინაგან საქმეთა მინისტრმა-ნოე რამიშვილმა არჩევნების გადატანასთან დაკავშირებით გააკეთა მოხსენება და თარიღმა 1919 წლის 14 თებერვლამდე გადაიწია. ჩვენ ხელთ გვაქვს ინფორმაცია იმის შესახებ,თუ რამდენი პარტია იყო და რამდენ მაზრასა თუ ქალაქში ჩატარდა არჩევნები,ასევე ვინ გაიმარჯვა და რამდენი ხმით.

მონაცემების მიხედვით პირველი არჩევნები 13 მაზრასა და 17 ქალაქში ჩატარდა.არჩევნებში,კი მონაწილეობას 15 პარტია იღებდა.აქედან: პირველ ადგილზე-საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია(473638ხმით) გავიდა,ხოლო ბოლო ადგილზე - ესთეტიკური პატრიოტების ლიგა (66 ხმით).საბოლოოდ,კი პარლამენტში ხმების დიდი რაოდენობით საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია (102)მანდატით შევიდა.არსებულ დოკუმენტებში ასევე მოცემულია დაწვრილებითი სტატისტიკური ანალიზი,სადაც არის ძირითადი და დამატებითი არჩევნების სრული სტატისტიკა,ყველა საჭირო ინფორმაციით. დაწვრილებით ინფორმაციას ქვემოთ,თანდართულ ფაილთან ერთად შემოგთავაზებთ,სადაც უფრო დეტალურად იქნება სტატისტიკური ინფორმაცია პირველ არჩევნებთან დაკავშირებით.[23]

ეს მონაკვეთი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკადანაა“ ამოღებული,რომელიც იმ დღის აღწერას ამგვარი ინტერპრეტაციით გვთავაზობს.

---

23 https://civicuscela.wordpress.com/2016/03/12/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A4%E1%83%A3%E1%83%AB%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%9A/

ეს მართლაც ისტორიული მოვლენაა საქართველოსთვის,როდესაც ჩატარდა პირველი საყოველთაო არჩევნები.მიმდინარეობისა და ორგანიზებულობის პროცესი თავად არჩევნებისა,ასეთი იყო.

1918 წელს,საქართველოს ეროვნულმა საბჭომ დამოუკიდებელი აქტი მიიღო.მის შემადგენლობაში წამყვანი პოლიტიკური სუბიექტები შედიოდნენ.1917 წელს შექმნილი ეროვნული საბჭო,საქართველოს მთავარი პოლიტიკური ორგანო იყო.დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ,მას საქართველოს პარლამენტი ეწოდა.

პირველად აკაკი ჩხენკელმა გააჟღერა აზრი საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევის შესახებ 1917 წელს,თუმცა თავდაპირველად ეს წინადადება უარყოფილ იქნა.მხოლოდ 1918 წელს მიიღეს გადაწყვეტილება დამფუძნებელი კრების საარჩევნო კომისიის ჩამოყალიბების თაობაზე,ამავე წელს დამტკიცდა კრების საარჩევნო დებულება.

დამტკიცებული დებულების თანახმად კრება უნდა არჩეულიყო პირდაპირი და პროპორციული გზით.კრება 130 წევრისაგან შედგებოდა.არჩევნების პროცესში მონაწილეობის უფლება საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს ჰქონდა 20 წლის ზემოთ.

არჩევნების სავარაუდო თარიღი,თავდაპირველად 1919 წლის მარტის ბოლო იყო,რადგან ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების გათვალისწინებით ყველა რეგიონისათვის ალტერნატიული უნდა ყოფილიყო,თუმცა ნოე რამიშვილმა არჩევნების თარიღის გადაწევა პარიზის საზავო მოლაპარაკების უკვე ოფიციალურად არჩეული პარლამენტის დელეგაციის მივლინების მიზეზით.რამიშვილის წინადადება დააკმაყოფილეს და თარიღად 14,15 და 16 თებერვალი დადგინდა.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დაკომპლექტდა სამაზრო და საოლქო კომისიები,მათ,კი საუბნო კომისიები დააკომპლექტეს.ყველა დონის კომისიას გადაეგზავნა შესაბამისი ფინანსური სახსრები.პარტიების წარმომადგენლობით დაკომპლექტდა:სამაზრო,საოლქო,ცენტრალური და საუბნო კომისიები.მასში სხვადასხვა პარტიის სიებში წარმოდგენილი კანდიდატებიც შედიოდნენ.საარჩევნო კომისიამ

საშუალება მისცა მათ თავად დაებეჭდათ ბიულეტენები,თუმცა კომისიის გადაწყვეტილებით ბიულეტენები ქართულ,რუსულ,სომხურ და თათრულ ენაზე დაიბეჭდა.კომისია მოქალაქეებს იანვრის ბოლოდან აფრთხილებდა,რომ სიებში საკუთარი თავი გადაემოწმებინათ.ოფიციალურად 15 პოლიტიკური სუბიექტი გატარდა არჩევნებამდე.

30 იანვრისათვის კომისიას უკვე დაზუსტებული ჰქონდა ოლქების სია,სადაც არჩევნები გარემოებების გამო ვერ ჩატარდებოდა.ასეთები იყო:სოხუმის ოლქი,მიზეზი იყო სახალხო საბჭოები და ერობების არჩევნები,ასევე ახალციხე,ახალქალაქი და ბორჩალო,მიზეზი საომარი მოქმედებები იყო,ხოლო სვანეთისა და თიანეთის მაზრაში უამინდობის მიზეზით გადაიდო.

31 იანვარს პარლამენტის ბოლო სხდომა ჩატარდა და უფლებამოსილებაც შეუჩერდა.არჩევნების წინასაარჩევნო პროცესი მწვავე პოლიტიკური დაპირისპირების პერიოდში მიმდინარეობდა.ყველა პარტიისათვის კრიტიკის ობიექტს ,,დაშნაკციუტუნი“ წარმოადგენდა,რომელიც ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკის გზას ადგა.

14 თებერვალს,დილის 8 საათზე დაიწყო არჩევნების პროცესი,ხოლო საღამოს 8 საათზე უბნები იხურებოდა და ყუთებიც ილუქებოდა.16 თებერვალს 8-ზე არჩევნები დასრულდა.გაზეთების ცნობით ადგილი ჰქონდა დარღვევებს.არჩევნებში სოციალ-დემოკრატებმა გაიმარჯვეს.

1919 წლის 9 მარტს კიდევ ჩატარდა დამფუძნებელი კრების 2 დამატებითი არჩევნები,რომელიც ისევ სოციალ-დმოკრატების გამარჯვებით დამთავრდა.1919 წლის ბოლოსათვის,დამფუძნებელი კრება უკვე ექსპარტიული იყო.

ეს არჩევნები არა მხოლოდ დემოკრატიულობის თვალსაზრისით იყო გამორჩეული,არამედ იმითაც,რომ პირველად აირჩიეს 5 ქალი,მაშინ,როდესაც მსოფლიოს სხვა სახელმწიფოებში

მსგავსი შემთხვევა არ ფიქსირდებოდა. 1919 წელს,კი პირველად იქნა არჩეული ქალი სოციალ-დემოკრატი.[24]

4.1 მონაცემთა ანალიზის შედეგები

1918 წლის 22 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა, დაამტკიცა დამფუძნებელი კრების დებულება.იგი ითვალისწინებდა თანასწორ,საყოველთაო,პირდაპირ და არაპირდაპირ ხმის მიცემის პროცესს.უნდა არჩეულიყო დამფუძნებელი კრების 130 წევრი.არჩევნები 13 მაზრასა და 17 ქალაქში.

საარჩევნო უფლება 20 წლის ასაკიდან განისაზღვრა. პარლამენტს ირჩევდნენ 3 წლის ვადით.

არჩევნებში ხმის მიცემის უფლება ჰქონდა საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს განურჩევლად სქესისა და რასისა.

უმეტესობას ქართველები და სომხები წარმოადგენდნენ,უმცირესობას- ბერძნები,ოსები. კაცები ბევრად მეტნი იყვნენ,ვიდრე ქალები.ეს შეიძლება იმით ყოფილიყო განპირობებული,რომ იმ დროისათვის ქალებს არც ისე ბევრი უფლებები ჰქონდათ და შესაბამისად, მათი სოციალური აქტივობაც ნაკლები იყო.რეგიონების მიხედვით მოსახლეობის აქტივობაც ამგვარი იყო, მაგალითად:სამეგრელოში ჭარბობდნენ

24 https://civicuscela.wordpress.com/2016/03/12/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A4%E1%83%A3%E1%83%AB%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%9A/

მეგრელები,აჭარაში-აჭარლები,აფხაზეთში-აფხაზები და სხვა.რაც შეეხებათ სხვა ეთნოსის წარმომადგენლებს, გერმანელები ძირითადად აფხაზეთსა და თბილისში ჭარბობდნენ,ბერძნები-აფხაზეთში,თათრები-ლორეში,სომხები-ბორჩალოში, რუსები-თბილისში და ა.შ. სხვა ეთნოსის წარმომადგენლების აქტივობაარც თუ დიდი იყო ,რაც შესაძლებელია აიხსნას ეთნიკური დისკრიმინაციით. აქტივობის მიხედვით ქართველი მამაკაცები პირველ ადგილზე იყვნენ.

არჩევნებში სულ 15 პარტია იყო დარეგისტრირებული. უამინდობის, სამხედრო ვითარებისა და სხვადასხვა მიზეზების გამო, ზემო სვანეთში, ბორჩალოს მაზრაში, დუშეთის მაზრის რამდენიმე უბანზე, სოხუმის ოლქში, ახალქალაქსა და ახალციხეში არჩევნები ვერ გაიმართა, თუმცა, მცირე ხანში აქ დამატებითი არჩევნები ჩატარდა.

საკანონმდებლო ორგანოს დაკომპლექტების პროცესმა საბოლოოდ ასეთი სახე მიიღო:

ყველაზე მეტი 102 მანდატი „საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიამ“ მიიღო. ხოლო „საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიამ“ 9 მანდატი მოიპოვა. საქართველოს „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“ საკანომდებლო ორგანოში 8 მანდატით შევიდა. 6 მანადატი ერგო წილად „საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიას“. ხოლო 3 და 2 მანდატი „დაშნაკცუტუნსა“ და „საქართველოს ეროვნულ პარტიას“ შორის გადანაწილდა. მიუხედავად არჩევნებში გამოვლენილი მცირეოდენი დარღვევებისა საბოლოოდ ეს შედეგები საარჩევნო კომისიამ დემოკრატიულად მიიჩნია და დაამტკიცა.

მოცემული ინფორმაციით,არჩევნებში „საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ“ გაიმარჯვა და მანვე დააკომპლექტა მთავრობის ძირითადი ნაწილი. ეს პარტია თავდაპირველად ორ ნაწილად იყო გაყოფილი: „რუსეთის სოციალისტ-დემოკრატიული მუშათა პარტია“ (რსდმპ) და „საქართველოს სოციალისტ-დემოკრატიული მუშათა პარტია“ (სსდმპ) . ეს ორი პარტია შეერთდა და გამარჯვებაც მოიპოვა 1919 წლის არჩევნებზე. მათ ყველაფერი გააკეთეს გამარჯვებისათვის,აწყობდნენ საყოველთაო გამოსვლებს,ხალხს ალტერნატიულ საცხოვრებელ პირობებს სთავაზობდნენ.თუმცა,ჩემი აზრით მთავარი

როლი იმან ითამაშა,რომ ის რუსეთის „რსდმპ“-ს შეუერთდა და სწორედ ეს გახდა მიზეზი მისი ასეთი ტრიუმფალური გამარჯვებისა.იმ დროისათვის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ერთმანეთთან მჭიდროს იყო დაკავშირებული.

ხელთ გვაქვს დაწვრილებითი მონაცემები მაშინდელი მაზრების,ოკრუგებისა და ოლქების მიხედვით. მოცემულია 2 მაზრა ქალაქ-სოფლებით, სადაც განსაკუთრებით დიდი იყო აქტივობა ამომრჩევლებისა,გაიმარჯვა „საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ“

(იხი:დანართი 1) დანართ 1 -ში რუკის სახით წარმოდგენილია იმ დროისათვის არსებულ მაზრებში რომელმა პარტიამ გაიმარჯვა. სულ 17 მაზრა იყო: ახალსენაკის,ახალქალაქის,ახალციხის,ბორჩალო,გორის,დუშეთის,ზუგდიდის,თბილისის, თელავის,თიანეთის,ლეჩხუმის,ოზურგეთის,რაჭის,სიღნაღის,სოხუმის ოლქი,ქუთაისი,და შორაპანი.ჩამოთვლილი ოლქებიდან,ყველაზე მეტი ამომრჩეველი სოხუმის ოლქში იყო რეგისტრირებული რომელიც მეორედ აღმოჩნდა დამატებული არჩევნებზე სულ 144038.მიზეზად შესაძლებელია მისი გეოგრაფიული მდებარეობა დავასახელოთ,სოხუმი საზღვარს წარმოადგენს საქართელოსა და რუსეთს შორის.ეთნიკურად: აფხაზებისა და ქართველების გარდა სხვა ხალხიც ფიქსირდებოდა თუმცა არჩევანის დასაფიქსირებლად მხოლოდ 22354 ადამიანი მივიდა.ნაკლები რაოდენობით,კი თიანეთის ოლქი 12886 ამომრჩევლით,ასევე ნაკლები აქტიურობით გამოირჩეოდა,ამის მიზეზადაც მის გეოგრაფიული მდებარეობას დავასახელებთ.

ამომრჩევლების აქტიურობით გორის მაზრა გამოირჩეოდა 76590 ხმით, აქედან 76584 ხმა დაფიქსირდა. აღსანიშნავია,რომ გორის მაზრაში მხოლოდ 6 ბიულეტენი იქნა ცნობილი ბათილად.

ხმების ყველაზე მაღალი რაოდენობითაც გორის მაზრა იქნა გამორჩეული,76584ხმით ხოლოდ დაბალი რაოდენობით ისევ თიანეთის მაზრა 6890 ხმით.

რაც შეეხება „ საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას“,როგორც უკვე აღვნიშნე დიდი გამარჯვება სწორედ მათ ხვდათ წილად.

საერთო ანალიზის სურათი რომ წარმოვიდგინოთ ხმათა ყველაზე მეტი რაოდენობა 73822 ხმა გორის მაზრაში მიიღეს,ყველაზე ნაკლები კი თიანეთის მაზრასა და სოხუმის ოლქში.სულ 39 096 ხმა .დარჩენილი ხმათა რაოდენობა,კი თბილისის,თელავის,ლეჩხუმის,სიღნაღის,რაჭისა და სხვა ოლქების მიხედვით გადანაწილდა.

რაც შეეხება ქალაქებს: ახალქალაქს, ახალსენაკს, ახალციხეს, ჭიათურას, დუშეთს, გორს,ხაშურს,ხონს,ქუთაისს,ყვირილას,ლანჩხუთს,ოზურგეთს,ფოთს,სამტრედიას,სიღნაღს, სურამს,თბილისს,თელავსა და ზუგდიდს,აქტივობა აქაც საკმაოდ მაღალი იყო,თუმცა ყველაზე დიდი აქტივობით ქ.თბილისი 36566 ხმითა და ქ.ქუთაისი 12333 ხმით გამოირჩეოდნენ,თუმცა ქუთაისში სოციალ-დემოკრატებმა ხმათა დიდი რაოდენობა ვერ მიიღეს.თბილისში-პირიქით.

დაბალი ხმათა რაოდენობით გამოირჩეოდა ქალაქი ახალქალაქი.სოციალ-ემოკრატებმა კი ხმათა ყველაზე დაბალი რაოდენობა ახალქალაქსა და თიანეთში მიიღეს.

ჩვენ ხელთ გვაქვს 2 მაზრის მონაცემები ქალაქების მიხედვით.(იხი:დანართი 2 და დანართი 3)

დუშეთის მაზრაში სულ 12 ქალაქი გამოირჩეოდა მონაცემთა აქტივობით: საგურამო,მცხეთა,მუხრანი,ბაზალეთი,ჟინვალი,ახალგორი,მონასტერი,ლეხურა,ქვემო მთიულეთი,ყაზბეგი,კობი,ზემო მთიულეთი. დუშეთის მაზრაში რეგისტრირებული 27259 ამომრჩეველიდან მიცემულ ხმათა რაოდენობა იყო 15070. ამ არჩევნებში სოციალ-დემოკრატებმა 11529 ხმა მიიღეს.მოცემული ქალაქებიდან,ყველაზე დიდი აქტივობით საგურამო გამოირჩეოდა, ყველაზე ნაკლებით კი ქვემო მთიულეთი.

ოზურგეთის მაზრაში მოცემული იყო 32 ქალაქი და სოფელი: დვაბზუ,ბახვი,შემოქმედი,ლიხაური,ექატი,ხვარბეთი,გურიანთა,მიქელ-გაბრიელი,ჯუმათი,ძიმითი,აკეთი,აცანა,ლანჩხუთი,ნიგოითი,ჩიბათი,ჩოჩხათი,ჯურუყვეთი,სუფსა,ჩოხატაური,ნანეიშვილი,ამაღლება,ბასილეთი(სოფელი),ბუკნარი,ხიდისთავი,ზემო ხეთი,სურები,ჯვარცმა,ერკეთი1,ერკეთი2, ასკანა და ბასილეთი. მიცემული 38547 ხმიდან, უმეტესობა სოციალ-დემოკრატემა მიიღეს. აქტივობით გამოირჩეოდა ლიხაური.2030 ხმით,ხოლო ნაკლები აქტივობით ბასილეთი 32 ხმით.

პირველ დანართში მოცემულია გამარჯვებული პარტიების ჩამონათვალი საქართველოს მიხედვით.პირველი რუკა გვიჩვენებს,რომ „საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ“ ,მთლიანი ხმების რაოდენობიდან 462318 ხმა მიიღო საქართველოს მასშტაბით,ხოლო დანარჩენი ხმები გადანაწილდა დარჩენილ პარტიებზე.

5 თავი. დისკუსია

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავდა, 1919 წლის,საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებში, ძირითადი გეოგრაფიული თავისებურებების გამოვლენას და იმ

სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გარემო პირობების მიმოხილვას,რომლებიც იმ პერიოდის საქართველოში იყო. ამ პერიოდისთვის საქართველოს სოციალ -

დემოკრატიული პარტია წამყვანი პოლიტიკური ძალა იყო, 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ქართველი მენშევიკების მიერ შექმნილ დემოკრატიულ რესპუბლიკაში. 1919 წლის 14 თებერვალს ქვეყანაში ჩატარებული დამფუძნებელი კრების არჩევნებში, პარტიამ ხმათა უმრავლესობა მიიღო და გაიმარჯვა. პარტიის იდეოლოგები ნიკოლოზ ჩხეიძე, ევგენი გეგეჭკორი, გრიგოლ ლორთქიფანიძე, ისიდორე რამიშვილი, ნოე ჟორდანია, ირაკლი წერეთელი, აკაკი ჩხენკელი, სეით დევდარიანი, ბენია ჩხიკვიშვილი, კოტე ანდრონიკაშვილი და სხვანი. სხვა და სხვა დროს პარტიის თვალსაჩინო წევრები იყვნენ: ვიქტორ ნოზაძე, მიხეილ ხუნდაძე, ევგენ ღვალაძე, ისიდორე მანწკავა, აკაკი ანდღულაძე შემდგომ წლებში ანტიბოლშევიკურ საქმიანობასაც ეწოდნენ და რუსეთის წინააღმდეგ 1924 წლის აჯანყებაშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ. რეალური ძალაუფლება ნოე ჟორდანიას ქონდა. არსებობის ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში ქვეყნის ხელმძღვანელობამ მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა: დაადგინა რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრები, ქართული ენა გამოაცხადა სახელმწიფო ენად, განახორციელა სასამართლო რეფორმა, ჩამოაყალიბა ეროვნული გვარდია და რეგულარული არმია, ჩამოაყალიბა ადგილობრივი მართვის ორგანოები, პროფესიული კავშირები, მიიღო რესპუბლიკის კონსტიტუცია.

თუმცა, ძალიან მძიმე იყო ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობა, რასაც აქტიურად იყენებდნენ ოპოზიციური ძალები - ბოლშევიკები. მათი ხელშეწყობით მუშათა გაფიცვები და გლეხთა აჯანყებები ხშირი იყო. მიუხედავად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური ინსტიტუტების სტაბილურობისა, საბჭოთა რუსეთიც და დასავლეთის ქვეყნებიც თავს იკავებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიული აღიარებისაგან. ისინი ქართულ საკითხს რუსეთთან ურთიერთობების კონტექსტში განიხილავდნენ და თავს არიდებდნენ მასთან ურთიერთობების გაფუჭებას. მაგრამ საბოლოოდ ქვეყნის დამოუკიდებლობა აღიარეს და პოლიტიკურმა ტემპერატურამ თითქოს დაიწია.

ლიტერატურის მიმოხილვაში განხილულია,ვაიმარის გერმანიაში 1932 წელს ჩატარებული არჩევნები,ჰიტლერის სათავეში მოსვლისა და მისი მარტიის მოულოდნელი წარმატების

მიზეზები.ზემოთ მოხმობილი შემთხვევა საშუალებას გვაძლევს პარალელი გავავლოთ 1919 წელს ჩატარებულ არჩევნებთან და იმ გარემო ფაქტორებთან,რომლებმაც განაპირობა დაბალი რეიტინგის მქონე „ნაციონალისტურ-სოციალისტური მუშათა პარტიის“ რეიტინგის სათავეში მოხვედრა.იმდროინდელ შიდაპოლიტიკურ მდგომარეობას შეიძლება მივაწეროთ 1919 წელს საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ ყველაზე მეტი მანდატის მოპოვება.

ჟორდანია იზიარებდა როგორც მისი თანაპარტიელების, ასევე სხვა პარტიების რჩევებს, თუ ისინი მისაღებად მიაჩნდა. მისი წინადადებით მიიღეს საქართველოს სახელმწიფო გერბი. გამომდინარე იქიდან, რომ ჟორდანია ეწინააღმდეგებოდა ბოლშევიკურ და სეპარატისტულ ტენდენციებს, ეთნიკურ უმცირესობებს მიენიჭათ პოლიტიკური და კულტურული უფლებები.

საბოლოო ჯამში რუსეთის მონობისგან დაღლილი ხალხისთვის პარტია ,რომელიც დემოკრატიულობასა და ეროვნულობაზე აკეთებდა ძირითად და უმთავრეს აქცენტს ყველაზე მისაღები და სანატრელი იყო..ეს იყო მიზეზი მისი წარმატებისა და გამარჯვებისა, ამიტომ მოიგო არჩევნები თითქმის 85 პროცენტით და ფლობდა თითქმის ერთიან მხარდაჭერას, ბოლშევიკური წრეების შავი პიარისა და დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად.

დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომი, საქართველოში ჩატარებულ 1919 წლის არჩევნების შესახებ გარკვეულ წარმოდგენას ქმნის და იმ პერიოდის სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების შესახებ იძლევა ცნობებს. შესავალში საუბარია ადამიანის ნების გამოხატვაზე, მის მოტივაციისა და უნარზე გააკეთოს არჩევანი ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. ნაშრომში წვრილად მიმოხილულია არჩევნების ისტორიის ერთერთი კონკრეტული ეტაპი-დასაწყისი - უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად, მაგალითებად მოყვანილია შემდგომი საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო არჩევნების მოვლენები. თემა რომ მეტად გასაგები იყოს, საუბარი არის არა მარტო ქართულ, არამედ უცხოურ გამოცდილებაზე და ტექსტში მრავლადაა ჩართული

სხვადასხვა უცხოელი თუ ქართველი დამკვირვებლისა და პოლიტიკოსის აზრი. ერთმანეთთან დაკავშირებული წყაროების მოხმობით პრობლემატიკა , რომელიც ამ საკითხს ახასიათებს ბევრად მარტივი გასაგები ხდება წყაროების სიმრავლის გამო. შესავალ ნაწილშივეა განხილული კონტექსტის მნიშვნელობა და ის გარემოებები ,რაც მასზე ახდენს გავლენას. ტექსტი გრძელდება საქართველოსა და რუსეთის პოლიტიკური პარტიების წარმოშობა/განვითარების საკითხის მიმოხილვით,რომელიც ძალიან რთული პროცესი იყო და რომლის ფორმირებაც საკმაოდ ბევრჯერ მოხდა. თავში „ლიტერატურული მიმოხილვა" შეხვდებით ისტორიულ გადახვევას,რომელიც წარმოდგენას ქმნის იმდროინდელ სოციალურ და პოლიტიკურ ტემპერატურაზე, როგორც რუსეთში ასევე საქართველოსი. შემდეგ საუბარი გრძელდება ზოგადად არჩევნებზე,როგორც მოვლენაზე, მის წარმოშობაზე და პირველად გამოვლენის მაგალითებზე. ისტორიული ჩანართი კარგად გასაგებს ხდის იმ შედეგებს , რომლებიც ზემოთხსნებულ ორ ქვეყნაში თავიდან და შემდგომ მოხდა. ერთ-ერთ ნათელ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს, ნაცისტურ გერმანიაში

ჩატარებული არჩევნები და 1930- იანი წლების დასავლეთ ევროპაში მიმდინარე მოვლენების მიმოხილვა, რომელიც მეტნაკლებად პასუხს იძლევა ბევრ კითხვაზე. არჩევნები,როგორც საზოგადოებრივი,სოციალური თუ პოლიტიკური მოვლენა ბევრ ადამიანში ინტერესს იწვევდა,რაც მათ უბიძგებდა მისი შესწავლისკენ და რის შედეგადაც გაჩნდა ბევრი ნაშრომი და თვალსაზრისი. ლიტერატურულ მიმოხილვაში ასეთი ავტორების ბევრი თეზისია წარმოდგენილი და ისტორიული მიმოხილვიდან ნელნელა გადავდივართ მეცნიერულ/ფილოსოფიურ განხილვაზე. ლიფსეტი,როკანი,ფლინტი,ანსელინისი და ბევრი სხვა ავტორი საუბრობს პოლიტიკური დაპირისპირების განზომილებებზე და კონკრეტულ მაგალითად ადოლფ ჰიტლერისა და მისი პარტიის გამარჯვების მაგალითს ასახელებენ. კარლ კაუცი, კი საუბარს უკვე მეოცე საუკუნის რუსეთზე იწყებს და იქვე ჩნდება მოსაზრებები საქართველოს შესახებ. ამ ორ ქვეყანაში ჩატარებული არჩევნები,კაპიტალისტური საზოგადოების ჩამოყალიბება, დუმა თავისი მოწვევიბით და ბოლოს, საქართველო პირველი არჩევნების მოლოდინში საკმაოდ ჩახლართული და

რთული თემაა,თუმცა სტივენ ჯონსი წიგნში „სოცილიზმი ქართულ ფერებში“ მკაფიოდ და დეტალურადაა ახსნილი თითქმის ნებისმიერი დეტალი რაც ამ საკითხებს უკავშირდება.

ბიბლიოგრაფია

- არჩევნები და მასთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხები WWW.BLH.GE https://blh.com.ge/%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9C-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%99%E1%83%90/)
- WWW.NPLG.ORG.GE კონტექსტის რაობის შესახებ (http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=4824)
- (კონტექსტური მონაცემები, არჩევნების შესწავლა და კენჭისყრის ქცევა:დაკავშირებულ პირებს შორის გარემოში) Huckfeldt and Sprague,1993; Achen and Shively, 1995; Books and Prysby, 1991
- (კონტექსტური მონაცემები, არჩევნების შესწავლა და კენჭისყრის ქცევა:დაკავშირებულ პირებს შორის გარემოში)

  http://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0261379401000191)
- Huckfeldt and Sprague, 1993, გვ. 284
- რუკების პოლიტიკა,როგორ ითვლება კონტექსტი საარჩევნი გეოგრაფიაში (http://www .sciencedirect.com/science/article/pii/0962629895000763)
- (http://www .sciencedirect.com/science/article/pii/0962629895000763)
- ნაცისტური ხმების გეოგრაფია,კონტექსტი,აღმსარებლობა და კლასი 1930 წლის რაიხსტაგის

არჩევნებში
(http://www.colorado.edu/geography/class_homepages/geog_4023_s10/JohnO_1994.pdf)

- საქართველოს ეროვნული არქივი-მონაცემები

http://archives.gov.ge/ge/page/1919-wlis-saqartvelos-damfudznebeli-krebis-archevnebi

- ლიფსეტისა და როკანის დაპირისპირების თეორია Lipset & Rokkan, 1967, გვ. 3 [1] Lipset & Rokkan, 1967, გვ. 15

- ნაცისტური ხმების გეოგრაფია,კონტექსტი,აღმსარებლობა და კლასი 1930 წლის რაიხსტაგის არჩევნებში

(http://www.colorado.edu/geography/class_homepages/geog_4023_s10/JohnO_1994.pdf)

- http://www.colorado.edu/geography/class_homepages/geog_4023_s10/JohnO_1994.pdf3%E1%83%9A_%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A8%E1%83%98_-_%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A8%E1%83%98.pdf
- ივანე ჯავახიშვილი-საქართველოს ისტორია მეოცე საუკუნე
  (http://www.bu.org.ge/x2254?lang=geo)
- სახელმწიფო დუმა - განმარტება

https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%9D_%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%90
https://iliauni.edu.ge/ge/ajax/downloadFile/18245/%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98_%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A_%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A8%E1%83%98_-_%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A8%E1%83%98.pdf

- რუსეთის კონსტიტუციური ასამბლეის არჩევნები

(https://en.wikipedia.org/wiki/Russian_Constituent_Assembly_election,_1917)

- www.archives.gov.ge - საქართველოს ეროვნული არქივი

(http://archives.gov.ge/ge/page/1919-wlis-saqartvelos-damfudznebeli-krebis-archevnebi)

- საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი-პოლიტიკური პარტიების წარმოშობა და ფუნქციები

(http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&cl=CL2.20&d=HASH01857554f5adce2eb6ecf374.6&x=1)

- bu.org.ge

- ტამბოვის რევოლუცია 1905-1907 წლები

(http://cyberleninka.ru/article/n/sostav-sotsialistov-revolyutsionerov-tambovskoy-gubernii-nakanune-pervoy-russkoy-revolyutsii-1905-1907-gg)

- საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები

(https://civicuscela.wordpress.com/2016/03/12/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A4%E1%83%A3%E1%83%AB%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%9A)

- საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები

(https://civicuscela.wordpress.com/2016/03/12/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A4%E1%83%A3%E1%83%AB%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%9A/)

დანართი #1 „საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის“ გამარჯვება მაზრების მიხედვით



წყარო:საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 1832 აღწერა 2

დანართი #1.1 მონაცემები მაზრებისა და ქალაქების მიხედვით

მაზრები	*მიცემულ ხმათა რაოდენობა*	*ამომრჩევ ელთა რაოდენო ბა*	*სსდმპ*	*სედპ*	*სსრპ*	*დაშ*	*სოცფ*
ახალსენაკი	49839	62145	*34085*	*1126*	*6355*	-	*1163*
ახალქალაქი	21315	26764	12121	21	476	7758	216
ახალციხე	23383	26931	19000	53	58	1439	454
ბორჩალო	22572	41375	12800	153	799	1855	5511
გორი	76590	94143	73822	272	65	8	2126
ზუგდიდი	28028	60298	15149	2414	8070	0	2315
თბილისი	26695	37053	23029	207	1309	433	390
თელავი	21801	35113	19801	559	25	8	670
თიანეთი	6897	12886	4729	384	4	0	1728
ლეჩხუმი	13295	24686	10788	1010	33	1	1383
რაჭა	16114	28975	13603	756	208	2	1468
სიღნაღი	30332	55927	21576	454	205	109	5531
სოხუმის ოლქი	*22354*	*144038*	*7987*	*885*	*8271*	*58*	*2174*
ქუთაისი	*58269*	*99541*	*48052*	*5662*	*1598*	*0*	*2383*
შორაპანი	*51118*	*89670*	*39096*	*6086*	*1302*	*0*	*4052*

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივი.

დანართი 1.2 „სსდმპ“-ს გამარჯვება მაზრების მიხედვით

„სსდმპ“-ს გამარჯვება მაზრების,ოლქებისა და ოკრუგების მიხედვით				
სოხუმის ოლქი	<>	ზუგდიდის მაზრა	<>	ოზურგეთის მაზრა
ლეჩხუმის მაზრა	<>	ახალსენაკის მაზრა	<>	ბათუმის ოლქი
რაჭის მაზრა	<>	ქუთაისის მაზრა	<>	ახალციხის მაზრა
დუშეთის მაზრა	<>	შორაპნის მაზრა	<>	ახალქალაქის მაზრა
თიანეთის მაზრა	<>	გორის მაზრა	<>	ბორჩალოს მაზრა
თელავის მაზრა	<>	თბილისის მაზრა	<>	ართვინის ოკრუგი
ზაქათალას ოლქი	<>	სიღნაღის მაზრა	<>	

წყარო:საქართველოს ეროვნული არქივი



დანართი #2 დუშეთის მაზრა

წყარო:საქართველოს ეროვნული არქივი ფონდი 1832,აღწერა 2

დანართი #2.1. დუშეთის მაზრა.

მაზრა	*საარჩევნო უბანი*	*მიცემულ ხმათა რაოდენობა*	*ამომრჩეველთა რაოდენობა*	*სსდმპ*	*სედპ*	*სსრპ*	*დაშ*	*სოცფ*
დუშეთი	საგურამო	2965	3406	*2611*	*1*	*1*	-	*352*
დუშეთი	მცხეთა	1944	3031	1090	25	4	-	817
დუშეთი	მუხრანი	1947	2967	1760	2	37	3	139
დუშეთი	ბაზალეთი	1680	3388	1519	8	12	-	141
დუშეთი	ჟინვალი	2146	3162	1441	71	-	-	508
დუშეთი	ახალგორი	1857	3620	939	-	513	2	401
დუშეთი	მონასტერი	695	2034	517	-	-	-	175
დუშეთი	ლეხუა	1026	1937	946	-	62	-	17
დუშეთი	ქვემო მთიულეთი	810	3714	706	32	-	1	69

დუშეთი	ყაზბეგი	-	-	-	-	-	-	-
დუშეთი	კობი	-	-	-	-	-	-	-
დუშეთი	ზემო მთიულეთი	-	-	-	-	-	-	-
სულ:	-	***15070***	***27259***	***11529***	***139***	***629***	***6***	***2619***

წყარო:საქართველოს ეროვნული არქივი

დანართი #3 ოზურგეთის მაზრა



წყარო:საქართველოს ეროვნული არქივი.ფინდი 1832 აღწერა 2

დანართი # 3.1. ოზურგეთის მაზრა

მაზრა	საარჩევნო უბანი	მიცემულ ხმათა რაოდენობა	ამომრჩეველთა რაოდენობა	სსდმპ	სედპ	სსრპ	დაშ	სოცფ
ოზურგეთი	დვაბზუ	1980	2367	1729	60	181	-	9
ოზურგეთი	ბახვი	1596	2135	1543	3	16	-	34
ოზურგეთი	შემოქმედი	1430	2023	1127	99	191	-	5
ოზურგეთი	ლიხაური	2030	2373	1890	48	87	-	4
ოზურგეთი	ექატის	189	216	176	11	2	-	-
ოზურგეთი	ხვარბეთი	1562	1746	1516	9	35	1	1
ოზურგეთი	გურიანთა	955	1101	845	21	87	-	2
ოზურგეთი	მიქალ-გაბრიელი	1507	1970	1359	14	127	-	3
ოზურგეთი	ჯუმათი	738	1135	703	4	20	-	2
ოზურგეთი	ძიმითი	1133	1514	1101	3	21	-	6
ოზურგეთი	აკეთი	1687	2210	1662	1	12	-	11

ოზურგეთი	აცანა	933	955	931	-	-	-	2
ოზურგეთი	ლანჩხუთი	1391	1572	1383	1	1	-	6
ოზურგეთი	ნიგოითი	1281	1477	1247	2	3	-	28
ოზურგეთი	ჩიბათი	1670	2214	1510	131	12	-	13
ოზურგეთი	ჩოჩხათი ჯურუყვეთი	1620 1760	1741 2097	1614 1638	6 50	- 13	- -	13 56
ოზურგეთი	სუფსა	1570	1747	1501	13	52	-	4
ოზურგეთი	ჩოხატაური	1902	2528	1859	20	1	-	19
ოზურგეთი	ნანეიშვილი	768	880	766	-	-	-	1
ოზურგეთი	ამაღლება	1306	1701	1296	-	-	-	5
ოზურგეთი	ბასილეთი(სოფელი)	221	380	219	1	-	-	-
ოზურგეთი	ბუკნარი	272	337	247	-	25	-	-

ოზურგეთი	ხიდისთავი ,ჯოჯიეთი	1102	1384	1057	39	-	-	-
ოზურგეთი	ზემო ხეთი	1218	1646	1138	30	1	-	50
ოზურგეთი	სურები	1623	1676	1617	1	4	-	8
ოზურგეთი	ჯვარცმა	1189	1917	1107	34	9	-	14
ოზურგეთი	ერკეთი1	1444	1693	1418	3	2	-	11
ოზურგეთი	ერკეთი2	1031	1114	1012	18	1	-	-
ოზურგეთი	ასკანა	1409	1937	1283	1	26	-	83
ოზურგეთი	ბასილეთი	37	49	35	1	-	-	-
სულ:	**-**	**38547**	**47803**	**36529**	**634**	**922**	**2**	**401**

წყარო:საქართველოს ეროვნული არქივი

Tamriko benia

Geographical aspects of the election of the founding council of Georgia in 1919

Human Geography

Thesis submitted to the faculty of the Human Geography in partial fulfillment of the requirements for the degree of master of science

Supervisor:davit sichinava

Assistant-professor

Tbilisi 2017

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტუდენტი - სალომე გოგელია

საქართველოში ეთნიკური უმცირესობებისთვის უმაღლესი განათლების სახელმწიფო „საშეღავათო პოლიტიკის“ სოციალურ-გეოგრაფიული ასპექტები

საზოგადოებრივი გეოგრაფიის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საზოგადოებრივი გეოგრაფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი - გიორგი გოგსაძე, პროფესორი,
საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების
ხელმძღვანელი

თბილისი, 2016

ანოტაცია

საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციის პრობლემები დღემდე საკმაოდ აქტუალურია. ინტეგრაციის შემაფერხებელ უპირველეს მიზეზს კი სახელმწიფო ენის არცოდნის ბარიერი ქმნის. ნაშრომში სათაურით - „საქართველოში ეთნიკური უმცირესობებისთვის უმაღლესი განათლების სახელმწიფო „საშეღავათო პოლიტიკის“ სოციალურ-გეოგრაფიული ასპექტები“ განხილულია საქართველოში კომპაქტურად მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების პრობლემები სახელმწიფო ენის ცოდნისა და უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის კუთხით. „ეუთოს“ ეთნიკურ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის აპარატის მიერ გამოქვეყნებული გზამკვლევის საფუძველზე შეფასებულია ამ სფეროში მოქმედი საშეღავათო პოლიტიკის ეფექტურობა ინტეგრაციის სფეროში და გამოვლენილია საშეღავათო პოლიტიკის ძირითადი სოციალურ-გეოგრაფიული ასპექტები.

ამ მიზნის მისაღწევად ნაშრომში მოცემული კვლევა ჩატარდა თვისებრივი სოციალური კვლევის მეთოდების: სიღრმისეული ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების გამოყენებით და წარიმართა 2 მიმართულებით: ერთი მხრივ, ის ითვალისწინებს საშეღავათო პოლიტიკის განმახორციელებელი ინსტიტუტების წარმომადგენლებთან საექსპერტო გამოკითხვას, ხოლო კვლევის მეორე მიმართულება გულისხმობს განათლების პოლიტიკის ბენეფიციართა შორის ჯგუფური დისკუსიების გამართვას. საექსპერტო გამოკითხვის რესპონდენტები არიან სახელმწიფო, არასამთავრობო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები, ხოლო ფოკუს-

ჯგუფებისთვის შეირჩა ორი უმაღლესი სასწავლებლის - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საშეღავათო პოლიტიკის ბენეფიციარი სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტები.

სტატისტიკური ინფორმაციის მიმოხილვისა და თვისებრივი კვლევის შედეგად ნაშრომში გამოვლენილია უმაღლეს განათლებაში საშეღავათო პოლიტიკის ეფექტურობა უმცირესობათა ინტეგრაციისა და ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში მათი წარმომადგენლობის გაზრდის კუთხით, ხაზგასმულია ამ პოლიტიკის განსხვავებებული შედეგები უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ გეოგრაფიულ არეალებს შორის. ჯგუფური დისკუსიების შედეგად კი გამოვლენილია საშეღავათო პოლიტიკის განსხვავებული სოციალური ასპექტები ბენეფიციარი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ორი ჯგუფის ქართულ საზოგადოებასთან და ერთმანეთთან ინტეგრაციაში.

Abstract

The problems of integration into Georgian society are still very relevant for the ethnic minorities living in Georgia. The primary couse that impedes the integration precess is a language barrier.

The thesis - "Socio-Geographic Aspects of State Affirmative Action for Ethnic Minorities in Georgia" (author S. Gogelia) discusses the problems of compactly settled ethnic minorities in Georgia with regard to the knowledge of the official language and the accessibility of higher education and determines the efficiency of an affirmative action in the process of integration on the basis of a guideline published by the office of the OSCE High Commissioner on National Minorities (HCNM). Furthermore, it outlines principal socio-geographic aspects of an affirmative action.

In order to achieve above-mentioned objectives, the study was conducted using qualitative research methods, such as in-depth interviews and focus groups and was carried out in 2 phases: the first phase involved an expert interview with the representatives of an affirmative action executing institutions, while the second phase focused on the group discussions between the beneficiaries of educational policy. The representatives of state, non-governmental and higher education institutions were chosen as the respondents of the expert interview, while Armenian and Azeri students who are beneficiaries of the affirmative action carried out by two higher education institutions - Tbilisi State University and Ilia State University were selected to participate in focus groups.

By examining a statistical information and conducting a qualitative research, the paper shows an efficiency of the affirmative action in a higher education system with reference to the integration of minorities

and increase the number of their representatives in Georgian higher education institutions and highlights different outcomes of this policy among the geographical areas densely populated by minorities.

Various social aspects of the affirmative action anent the integration of two groups of beneficiary ethnic minorities into Georgian society and with each other have been determined by group discussions and are also introduced in the paper.

სარჩევი

შესავალი 7

ლიტერატურის მიმოხილვა 13

საშეღავათო პოლიტიკის არსი და საერთაშორისო
გამოცდილება..... 23

საშეღავათო პოლიტიკა საქართველოში 31

ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის შესახებ.....40

საშეღავათო პოლიტიკის სტატისტიკური მიმოხილვა 49

საშეღავათო პოლიტიკის თვისებრივი მხარეები 78

დასკვნა 105

გამოყენებული ლიტერატურა 110

დანართი 112

შესავალი

ქართული საზოგადოება ისტორიულად მრავალკულტურული და პოლილინგვისტური იყო. მასში ერთიანდებოდნენ განსხვავებული ეთნოსისა და რელიგიის წარმომადგენლები. უკანასკნელი 200 წლის მანძილზე ქვეყანაში უმცირესობათა მიმართ დამოკიდებულებას აყალიბებდა რუსეთის იმპერია და საბჭოთა პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავდა ერთაშორის დაპირისპირებას და სეპარატიზმის წახალისებას. სწორედ ამგვარი პოლიტიკის შედეგია ქართულ საზოგადოებაში უმცირესობებისადმი არსებული დამოკიდებულება, კერძოდ: საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას გაუძლიერდა იმის განცდა, რომ ეთნიკური უმცირესობები, რომლებიც ქვეყნის ორ რეგიონში - ქვემო ქართლსა და ჯავახეთში მოსახლეობის უმრავლესობას ქმნიან, წარმოადგენენ ქვეყნის უსაფრთხოებისა და ტერიტორიული მთლიანობის საფრთხეს. ამ მხრივ სიტუაცია საქართველოში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოვლენების შემდეგ განსაკუთრებით გაუარესდა (გოგსაძე, 2014).

ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ 2 რეგიონში: ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში დიდი ხნის მანძილზე სახელმწიფოს უმოქმედობას ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის კუთხით მოჰყვა ის, რომ აღნიშნულ გეოგრაფიულ არეალებში სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობა ქართული სახელმწიფოსადმი ინდიფერენტულ თემად ჩამოყალიბდა, რომელიც ან ემიგრაციაში მიდის, ან ჩაკეტილი, გაუცხოებული ცხოვრების წესით ცხოვრობს. ინტეგრაციას ობიექტური გარემოებები აფერხებს, როგორიცაა: უმცირესობებით დასახლებული რაიონების უმრავლესობის გეოგრაფიული სიშორე

ქვეყნის ცენტრიდან, რაც ზღუდავს კომუნიკაციას, რეგიონების მონოეთნიკურობა და ლინგვისტური პრობლემები, რომელიც უმცირესობების წარმომადგენელთა მიერ სახელმწიფო ენის არცოდნით გამოიხატება (იქვე). ეს უკანასკნელი აქტუალური გახდა მხოლოდ ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა მმართველობის დროს ენობრივი გაუცხოება პრობლემას არ წარმოადგენდა გამომდინარე იქედან, რომ ნებისმიერი სახის კომუნიკაცია თუ სახელმწიფო დონეზე ადმინისტრირება ხდებოდა რუსულ ენაზე, რომელიც ქართული, სომხური თუ აზერბაიჯანული ეთნოსის წარმომადგენლებისთვის საერთო იყო. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ გაჩნდა სახელმწიფო ენის არცოდნის დიდი ბარიერი, რომელიც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ქვეყნის სოციალურ-კულტურულ თუ ეკონომიკურ ცხოვრებაში ჩართვას მნიშვნელოვნად აფერხებს. 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების თანახმად, საქართველოში მცხოვრები ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობის 74%, ხოლო სომეხი მოსახლეობის 51,3% საერთოდ ვერ ან არასრულყოფილად ფლობს სახელმწიფო ენას (საქსტატი, 2016). ენობრივი ბარიერის პრობლემა გარდა უფროსი თაობისა, მნიშვნელოვნად დგას უმცირესობათა ახალგაზრდებშიც, რაც უკავშირდება მათი კომპაქტური განსახლების რეგიონებში არაქართულენოვანი სკოლების პრობლემას, უზრუნველყონ მოსწავლეები სახელმწიფო ენის შესაბამისი უნარების ცოდნით. ეს კი თავის მხრივ, გამოწვეულია ხსენებულ სკოლებში ზოგადი განათლების ხარისხისა და კვალიფიციური კადრების დეფიციტის მხრივ არსებული პრობლემებით. ამჟამად ქვეყანაში 400-მდე არაქართულენოვანი და 200-მდე 2 სექტორიანი საჯარო სკოლაა, რომლის

კურსდამთავრებულთა დიდ ნაწილს წვდომა უმაღლესი განათლების მიღებაზე ენობრივი ბარიერიდან გამომდინარე არ აქვს (ჯაყელი, 2017). ცხადია, თუ მოქალაქე ვერ ფლობს სახელმწიფო ენას და ქვეყანაშიც უმაღლესი განათლების ადმინისტრირება მხოლოდ ამ ენაზე ხდება, მაშინ მას ამ განათლების მისაღებად საზღვარგარეთ წასვლა ან მასზე საერთოდ უარის თქმა უწევს, რაც განაპირობებს მის ნაკლებ შესაძლებლობებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მისაღებად. სწორედ ასე ხდებოდა საქართველოში მცხოვრებ სომხურ და აზერბაიჯანულენოვან მოსახლეობაში.

სამოქალაქო ინტეგრაციაში სახელმწიფო ენის ცოდნისა და განათლებაზე ხელმისაწვდომობის მნიშვნელობა არის აღიარებული ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის („ეუთო“) ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის 2012 წელს გამოქვეყნებულ დოკუმენტში „მრავალფეროვანი საზოგადოების ინტეგრაციის შესახებ“, სადაც მითითებულია სახელმწიფოს ვალდებულებაც, უზრუნველყოს ყველა მოქალაქე თანასწორი უფლებებითა და შესაძლებლობებით (OSCE, 2012). საქართველოს სახელმწიფომ სულ რამდენიმე წლის წინ დაიწყო ამ საკითხზე აქტიური მუშაობა და ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ეროვნული უმცირესობების ჩარიცხვისა და სწავლის ხელშესაწყობად შეიმუშავა სტრატეგია, რომელიც „საშეღავათო პოლიტიკის“ სახელითაა ცნობილი. მოცემული ნაშრომის მთავარ მიზანს წარმოადგენს ამ პოლიტიკის ირგვლივ არსებული სოციალურ-გეოგრაფიული ასპექტების გამოვლენა, რისთვისაც საჭირო გახდა: 1. საშეღავათო პოლიტიკის განმახორციელებელ სახელმწიფო, არასამთავრობო და საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებისგან

არსებული პოლიტიკის დაგეგვმის, განხორციელებისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ ინფორმაციის მიღება; 2. საშეღავათო პოლიტიკის საერთაშორისო გამოცდილების გაცნობა; 3. ამ პოლიტიკის ფარგლებში არსებული სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზი და ძირითადი სივრცე-დროითი კანონზომიერებების დადგენა; 4. საშეღავათო პოლიტიკის ბენეფიციარი სტუდენტების აზრის დაფიქსირება პროგრამის ირგვლივ არსებულ სხვადასხვა საკითხზე.

რაც შეეხება მოცემული ამოცანების გადაჭრისთვის კვლევაში გამოყენებულ მეთოდებს, ისინი აერთიანებს: სალიტერატურო, სტატისტიკურ და სოციოლოგიური კვლევის მეთოდებს. საკვლევი კითხვა კი მდგომარეობს შემდეგში: რაში გამოიხატება საშეღავათო პოლიტიკის ძირითადი სოციალურ-გეოგრაფიული შედეგები და თავისებურებები?

ნაშრომში მოცემული სოციოლოგიური კვლევის მეთოდად გამოყენებულ იქნა თვისებრივი სოციოლოგიური კვლევა, რომელიც წარიმართა ორი მიმართულებით: პირველი, ეს იყო საექსპერტო გამოკითხვა სიღრმისეული ინტერვიუს ტექნიკის გამოყენებით, ხოლო კვლევის მეორე მიმართულება გულისხმობდა საშეღავათო პოლიტიკის ბენეფიციარ სტუდენტთა გამოკითხვას ფოკუს ჯგუფების მეშვეობით. რესპონდენტთა შერჩევის მეთოდად გამოყენებულ იქნა „თოვლის გუნდის“ მეთოდი, რომლის საშუალებითაც სამიზნე აუდიტორიასთან დაკავშირება მოხდა პირადი კონტაქტების დახმარებით.

საექსპერტო კვლევის რესპონდენტები იყვნენ: ეროვნული უმცირესობების განათლების სფეროში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მრჩეველი - ქ/ნ ქეთევან ჯაყელი,

„სამოქალაო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის თავმჯდომარე“ - ბ/ნ შალვა ტაბატაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის ხელმძღვანელი - ბ/ნ კახა გაბუნია და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის ხელმძღვანელი - ქ/ნ თინა კიღურაძე. აღნიშნულ რესპონდენტებთან ჩატარებული ინტერვიუს გზამკვლევი შეგიძლიათ იხილოთ დანართში N1 და N2.

რაც შეეხება კვლევის მეორე მიმართულებას, ის გულისხმობდა საშეღავათო პოლიტიკის სოციალური ასპექტების გამოვლენას ამ პოლიტიკის ბენეფიციარ სტუდენტთა შორის ერთობლივი დისკუსიების გამართვის გზით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის მაღალკურსელმა სომხურ და აზერბაიჯანულენოვანმა სტუდენტებმა, სულ 20-მა რესპონდენტმა, საიდანაც 11 სომხურენოვანი სტუდენტი იყო, ხოლო 9 - აზერბაიჯანულენოვანი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სომხურენოვან სტუდენტებს შორის კვლევაში მონაწილეობის სურვილი უფრო მეტად გამოთქვეს სტუდენტებმა ჯავახეთიდან, ვიდრე - თბილისიდან. გამოკითხული აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტების აბსოლუტური უმრავლესობაც რეგიონიდანაა. სტუდენტებთან ჩატარებული კვლევის სადისკუსიო გეგმა მოცემულია დანართში N3. მიღებული ემპირიული მონაცემების დამუშავებისთვის გამოყენებულ ანალიზის მეთოდებს წარმოადგენს კონტენტ ანალიზი და დისკურსის ანალიზი.

ნაშრომში მოცემული კვლევის ძირითადი მიგნება მდგომარეობს შემდეგში: საქართველოში მიმდინარე ეთნიკური უმცირესობებისთვის უმაღლესი განათლების სახელმწიფო

საშეღავათო პოლიტიკა სრულად შეესაბამება მოწინავე საერთაშორისო გამოცდილებასა და სტანდარტებს. აღსანიშნავია, რომ, ერთი მხრივ, იზრდება მისი მოქმედების მასშტაბი და გეოგრაფიული არეალი, მეორე მხრივ, კი ამ პოლიტიკისადმი ეთნიკური უმცირესობების დამოკიდებულებაში იკვეთება გარკვეული განსხვავებები, რაც განპირობებულია სოციალურ-გეოგრაფიული ფაქტორებით. აღნიშნულის შესახებ უფრო ვრცლად ტექსტის ძირითად ნაწილშია საუბარი.

ლიტერატურის მიმოხილვა

საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების შესახებ არსებული კვლევები მეტწილად ეთმობა ქართულ საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის საკითხებს. მოცემული კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, ამ თავში ვახსენებ რამდენიმე ნაშრომს, სადაც განხილულია ეთნიკური უმცირესობების წინაშე არსებული პრობლემები და ხაზგასმულია განათლების პოლიტიკისა და ენობრივი კუთხით არსებული მდგომარეობა.

ერთ-ერთ ასეთ კვლევას წარმოადგენს 2016 წლის დეკემბერში უტრეხტის უნივერსიტეტის საერთაშორისო განვითარების კვლევების მაგისტრის - გიჯს ტასის მიერ შესრულებული სამაგისტრო ნაშრომი სახელწოდებით „სამხრეთ საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა შორის სახელმწიფო ენის ცოდნის გზით სამოქალაქო ინტეგრაციის შესაძლებლობების შეფასება“. ნაშრომის დასაწყისში ავტორი ხაზს უსვამს საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების განსხვავებულ შესაძლებლობებს ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობისთვის და მიუთითებს ამ კუთხით მათი ინტეგრაციის სხვადასხვა დონეზე. აქვე აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობა სამოქალაქო ინტეგრაციის გაზრდის მიზნით და ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებით ცდილობს ყველა მოქალაქისთვის თანაბარი შესაძლებლობის შექმნას საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისთვის. როგორც ავტორი აღნიშნავს, მისი კვლევის მიზანს წარმოადგენს, განსაზღვროს სახელმწიფო ენის ცოდნის მნიშვნელობა მოსახლეობის სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში. ის ყურადღებას

ამახვილებს სამხრეთ საქართველოს, კერძოდ სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონის მოსახლეობის ინტეგრაციის პრობლემებზე და ამ რეგიონის მოსახლეობის სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში სახელმწიფო ენის ცოდნის საკითხს აფასებს, როგორც ინტეგრაციის უმნიშვნელოვანეს საფუძველს. ის აღნიშნავს, რომ ადამიანთა შესაძლებლობების გაფართოებისთვის ერთადერთი საშუალება შესაბამისი განათლების მიღებაა, რისთვისაც ენობრივი ცოდნის გაღრმავება აუცილებელია. ამ კუთხით, ავტორი რამდენიმე სიტყვით ახსენებს უმაღლესი განათლების სფეროში ეთნიკური უმცირესობებისთვის არსებულ საშეღავათო პოლიტიკას - ე.წ. „1+4 პროგრამას“ და ნაშრომის დასკვნით რეკომენდაციებში ხაზს უსვამს ამ პროგრამის მნიშვნელობას ენობრივი ცოდნის გაღრმავების და ეთნიკური უმცირესობების ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესში (Thus, 2016).

ეთნიკური უმცირესობების თემატიკას ეძღვნება ასევე 2014 წელს ლევან მიქელაძის სახელობის ფონდის მიერ ჯავახეთის მაგალითზე ჩატარებული კვლევა შემდეგი სახელწოდებით: „უმცირესობათა ინტეგრაცია საქართველოში: ძირითადი გამოწვევები და შესაძლებლობები“. აღნიშნული კვლევა მოიცავს სხვადასხვა სფეროში უმცირესობათა წინაშე არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებას და ანალიზს სამოქალაქო ინტეგრაციის კონტექსტში. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ჯავახეთის ეთნიკური სომხების ინტეგრაციის დონე საქართველოს სოციალურ-კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში დაბალია. ამ რეგიონის სომხური უმცირესობის ინტეგრაციას ქართულ სახელმწიფოსთან კი ძირითადად ქართული (სახელმწიფო) ენის არცოდნა აფერხებს, რაც ხელს უშლის უმცირესობათა

წარმომადგენლების განათლებას, დასაქმებას და სახელმწიფო სექტორში წარმომადგენლობას. კვლევის თანახმად, აღნიშნული პრობლემა უკავშირდება იმ ხარვეზებსაც, რომლებიც ეთნიკური უმცირესობების განათლების კუთხით არსებობს. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, ინტეგრაციის მთავარ ხელშემშლელ ფაქტორებს შორის რესპონდენტები ასახელებენ სახელმწიფო ენის არცოდნასა და უმაღლესი განათლების მიღების ხელმიუწვდომლობას (გოგსაძე, 2014).

კიდევ ერთი პუბლიკაცია, რომელიც უშუალოდ ეხმიანება მოცემული კვლევის თემატიკას, 2016 წელს გამოაქვეყნა „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრმა“. პუბლიკაცია ეხება საშეღავათო პოლიტიკის ნაწილის - „ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის ეფექტურობის კვლევას“. ნაშრომში ასევე ზოგადადაა განხილული საქართველოში არსებული საშეღავათო პოლიტიკა და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის საკითხი. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავი კვლევა საშეღავათო პოლიტიკის ამოქმედებიდან ყოველწიურად ქვეყნდება და მისი შედეგების გაცნობა მოცემული სამაგისტრო კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია. ამ პუბლიკაციაში მოცემულ ინფორმაციას უფრო დეტალურად ნაშრომის ძირითად ნაწილში ვახსენებ.

რაც შეეხება კვლევის თეორიულ საფუძველს, სამაგისტრო ნაშრომის თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებულია „ლიუბლიანას გზამკვლევი“, რომელიც წარმოადგენს ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთოს) ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის მიერ 2012 წელს გამოქვეყნებულ დოკუმენტს „მრავალფეროვანი საზოგადოების

ინტეგრაციის“ შესახებ. გზამკვლევში აღწერილია ინტეგრაციის ის ძირითადი პრინციპები, რომელზე დაყრდნობითაც უნდა მოხდეს ეროვნული უმცირესობების ინტეგრაცია საზოგადოებაში. მოცემული თემისთვის ამ დოკუმენტის თეორიულ ჩარჩოდ გამოყენება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც აღნიშნულ დოკუმენტში ხაზგასმულია იმ საკითხების როლი საზოგადოების ინტეგრაციის პროცესში, რაც მოცემული კვლევის საგანია. საინტერესოა, საერთაშორისო დონეზე როგორ არის წარმოდგენილი განათლების პოლიტიკა და ენობრივი საკითხი, როგორც ინტეგრაციის განმაპირობებელი, რა რეკომენდაციები არსებობს ამ მხრივ და რამდენად პასუხობს ეროვნული უმცირესობების სფეროში ქართული საგანმანათლებლო პოლიტიკა მოცემული დოკუმენტის პრინციპებს.

დასაწყისში, სანამ უშუალოდ განათლების პოლიტიკასა და ენობრივ საკითხებს განვიხილავდე, მოკლედ ვახსენებ ლიუბლიანას გზამკვლევში წარმოდგენილ, ინტეგრაციული საზოგადოების ჩამოყალიბების ძირითად პრინციპებს: დოკუმენტის თანახმად, საზოგადოების ინტეგრაციის პროცესში მნიშვნელოვანია სახელმწიფომ იხელმძღვანელოს შემდეგი პრინციპების დაცვით:

1. სუვერენიტეტი და პასუხისმგებლობა - ეს პრინციპი გულისხმობს იმას, რომ სუვერენული და ჯანსაღად ფუნქციონირებადი სახელმწიფო სტაბილური საზოგადოების ჩამოყალიბების წინაპირობაა. სუვერენიტეტში მოიაზრება ის უფლებები და პასუხისმგებლობები, რაც სახელმწიფოს გააჩნია საკუთარი მოსახლეობის და საერთაშორისო საზოგადოების წინაშე. ერთ-ერთი ასეთი კი ინტეგრაციის პოლიტიკის შემუშავება და მისი დანერგვაა ინსტიტუციონალურ დონეზე შესაბამისი საკანონმდებლო

საფუძვლით; 2. დემოკრატიული მმართველობა - მთავრობა უნდა ემსახურებოდეს ქვეყნის მთელი მოსახლეობის საჭიროებებსა და ინტერესებს. მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატია პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში უმრავლესობის მმართველობას გულისხმობს, იგი ასევე მოიცავს გარანტიებს უმრავლესობის ძალაუფლების ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად. ეს კი მიიღწევა უმცირესობების დაცვითა და მონაწილეობით გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ეს ხელს უწყობს ინკლუზიური პროცესების ჩამოყალიბებას და გულისხმობს მოსახლეობის ყველა წევრის ჩართულობას მართვის პროცესში; 3. ანტიდისკრიმინაცია, სრული და ეფექტური თანასწორობა - ეს პრინციპი გულისხმობს ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის შემუშავებას, მოქალაქეთა სრული თანასწორობისა და თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფას საკანონმდებლო სფეროში შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოს ჩამოყალიბებით. 4. ადამიანის უფლებებისა და მათ შორის, უმცირესობათა უფლებების დაცვის მექანიზმების ჩამოყალიბება; 5. მრავალფეროვნების აღიარება - თანამედროვე საზოგადოებები მრავალფეროვნებით ხასიათდებიან. ეს მრავალფეროვნება აღიარებული უნდა იყოს პოლიტიკურ დონეზეც. საკანონმდებლო ჩარჩო კი უნდა უშვებდეს, რომ ინდივიდუალური იდენტობა შესაძლოა იყოს მრავალმხრივი და დინამიური; 6. უმცირესობების საკითხებთან მიმართებაში არაიზოლაციონისტური მიდგომა; 7. საერთო, საზოგადოებრივი ინსტიტუტები და თანაზიარად ცხოვრების განცდა (OSCE, 2012);

8. ჩართულობა და ეფექტიანი მონაწილეობა - ინტეგრაციის პოლიტიკა ჩართულობის პრინციპს უნდა ეფუძნებოდეს, როცა საზოგადოების ყველა წევრი თავს სრულუფლებიან მოქალაქედ თვლის და ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომია ქვეყნის

კულტურულ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანამონაწილეობა; 9. უფლებები და მოვალეობები - საზოგადოების ყველა წევრს, უმცირესობათა წარმომადგენლების ჩათვლით ერთნაირად უნდა ჰქონდეს გააზრებული საკუთარი, როგორც მოქალაქის უფლებები და ამასთან სახელმწიფოს წინაშე ის პასუხისმგებლობა და მოვალეობები, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ინტეგრაციული საზოგადოების ჩამოყალიბებას (OSCE, 2012).

10. შიდა-საზოგადოებრივი ურთიერთობები - ინტეგრაციის პოლიტიკა გულისხმობს ტოლერანტობისა და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის დიალოგისა და ურთიერთობის ხელშეწყობას. ეს ხელშეწყობა კი მოიცავს ინიციატივების ფართო სპექტრს და ასევე გარკვეულ წახალისებასაც სხვადასხვა სფეროში, იქნება ეს მედია-პოლიტიკა, საგანმანათლებლო თუ ენობრივი პოლიტიკა (OSCE, 2012).

11. უმრავლესობისა და უმცირესობის წარმომადგენელთათვის საერთო, მიზანმიმართული პოლიტიკის შემუშავება - რაც ხაზს გაუსვამს იმას, რომ საზოგადოების ინტეგრაცია არის თანაცხოვრების, ურთიერთთანამშრომლობის პროცესი, რომელშიც აქიუტრად უნდა მონაწილეობდნენ როგორც ცალკეული პირები, ასევე საზოგადოებრივი ჯგუფები (OSCE, 2012).

როგორც დასაწყისში აღვნიშნე, ზემოთ ჩამოთვლილი ზოგადი პრინციპების გარდა, ეუთოს დოკუმენტში ასევე მოცემულია სახელმწიფო პოლიტიკის ის პრიორიტეტული მიმართულებები, რომელთა მეშვეობითაც ქვეყნებმა უნდა მოახდინონ ეროვნული უმცირესობების წევრთა ინტეგრაცია საზოგადოებაში. ეროვნული უმცირესობების უმაღლესი კომისრის აპარატის თანახმად, ერთ-

ერთი მათგანი სწორედ ენობრივი პოლიტიკაა. ლიუბლიანის გზამკვლევში ხაზგასმულია, რომ ენობრივი ფაქტორის დაბალანსება საზოგადოების ინტეგრაციის საფუძველია. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია ენობრივი მრავალფეროვნების და მათ შორის უმცირესობათა ენობრივი უფლებების დაცვა. ამასთან, მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ უმცირესობათათვის სახელმწიფო ენის შესწავლაზე ხელმისაწვდომობა (OSCE, 2012).

ლიუბლიანას გზამკვლევში ენა განხილულია, როგორც ინდივიდუალური და კოლექტიური იდენტობის არსებითი კომპონენტი. საერთაშორისოდ მიღებული სტანდარტების შესაბამისად, ერთი მხრივ, უმცირესობათა წარმომადგენლებს უნდა ჰქონდეთ საკუთარ, მშობლიურ ენაზე ინტერაქციის თავისუფლება კერძო თუ საჯარო სივრცეში, ზეპირად თუ წერილობით, თუმცა მეორე მხრივ, უნდა არსებობდეს ამ უფლების დამაბალანსებელი გარემოება გამაერთიანებელი ერთი ან მეტი ენის სახით, როგორც საზოგადოების ეფექტური ფუნქციონირებისა და ინტეგრაციის საფუძველი. ასეთი კი, როგორც წესი სახელმწიფო ენაა (OSCE, 2012).

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება, დაიცვან უმცირესობათა ენობრივი უფლებები, უმცირესობის წარმომადგენლებსაც გააჩნიათ პასუხისმგებლობა, ჩაერთონ ქვეყნის სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ ცხოვრებაში და შეძლონ საზოგადოების ფართო მასებთან ურთიერთობა, რაც მხოლოდ სახელმწიფო ენის ადეკვატურად ცოდნითაა შესაძლებელი (OSCE, 2012).

მრავალფეროვნების დაცვისა და ინტეგრაციის ხელშემწყობი ენობრივი პოლიტიკა ეუთოს დოკუმენტის თანახმად უნდა ემყარებოდეს შემდეგს: 1. სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს

სახელმწიფო ენა - ოფიციალური ენა, რომელიც სამთავრობო და საჯარო დაწესებულებებში იქნება გამოყენებული. იმ შემთხვევაში, თუ დაინერგება ენობრივი პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს ერთზე მეტი ოფიციალური ენის არსებობას თუნდაც გარკვეული ტერიტორიული საფუძვლით, მაშინ მკაფიოდ უნდა განისაზღვროს ოფიციალური ენების გამოყენების მასშტაბები და თანაბარი სტატუსი (OSCE, 2012);

2. როდესაც ლინგვისტურად მრავალფეროვანი სახელმწიფო ინტეგრაციის ინსტრუმენტად იყენებს სახელმწიფო ენას და ამასთან, გარკვეულწილად უშვებს საჯარო მომსახურებისა და ადმინისტრირების სფეროში, განათლებასა და მედიაში სხვა ენების გამოყენებასაც, ეს ხელს უწყობს უმცირესობების ჩართულობას საზოგადოებრივ საქმიანობაში. არაოფიციალური ენების გამოყენებამ ამათუიმ მომსახურების სფეროში, შესაძლოა განაპირობოს სხვადასხვა ენაზე ერთიდაიგივე ტიპის მომსახურების ხარისხს შორის სხვაობა და ხელმისაწვდომობა საზოგადოების ამათუიმ თემისთვის. 3. ენა ძლიერი ინსტრუმენტია, რომელიც ხელს შეუწყობს საზოგადოების ნებისმიერი წევრის ამათუიმ ქვეყნისადმი მიკუთვნებულობის გრძნობის გაზრდას. აქედან გამომდინარე, სავსებით ლეგიტიმურია, პოზიტიური სტიმულებით, სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამების მეშვეობით ხელი შეეწყოს სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლებასა და გავრცელებას ქვეყნის მოსახლეობაში (OSCE, 2012).

ლიუბლიანას გზამკვლევში ასევე ხაზგასმულია განათლების პოლიტიკის მნიშვნელობა საზოგადოების ინტეგრაციის პროცესში და აღნიშნულია, რომ განათლების პოლიტიკა უნდა ჩამოყალიბდეს, როგორც ინტეგრაციის პოლიტიკის ნაწილი. სწორედ ამგვარადაა შესაძლებელი საზოგადოების სხვადასხვა

ჯგუფებს შორის ურთიერთობის უზრუნველყოფა და ინტეგრაციის პროცესისთვის საფუძვლის ჩაყრა. განათლება საუკეთესო გზაა სოციალური ერთობის მისაღწევად და ინტეგრაციის გაღრმავებისთვის. ის აუცილებელია საზოგადოების ყველა წევრისთვის შესაბამისი უნარ-ჩვევების ასათვისებლად, რამაც შემდგომში უნდა უზრუნველყოს მათი თანაბარი კვალიფიკაცია და საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანაბარი მონაწილეობა. განათლება ძირითადი საშუალებაა საზოგადოების წევრთა შორის სამოქალაქო იდენტობის ელემენტების გადასაცემად და ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზა ინტერკულტურული ურთიერთობების ხელშეწყობისთვის (OSCE, 2012).

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს უმცირესობათა უფლება, მიიღონ განათლება საკუთარ ენაზე, მითუფრო მათი კომპაქტური განსახლების რეგიონებში, მაგრამ ამავდროულად უნდა იზრუნოს, რომ შექმნას ერთიანი საგანმანათლებლო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიანი განათლების მისაღებად თანაბარ შესაძლებლობებსა და ხელმისაწვდომობას როგორც უმრავლესობის, ასევე უმცირესობის წარმომადგენელთათვის. ამ ბალანსის მისაღწევად კი აუცილებელია განათლების პოლიტიკა განხორციელდეს ყველა დონეზე, დაწყებითიდან უმაღლესი განათლების ჩათვლით და ყველა მოსწავლესა თუ სტუდენტს საკუთარი უნარების, ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლების თანაბარი შესაძლებლობა მიეცეს. ამასთან, მნიშვნელოვანია სასწავლო პროგრამები მოიცავდეს ქვეყნის საზოგადოების მრავალფეროვნების შესახებ სწავლებას უმრავლესობისა და უმცირესობების ისტორიის, კულტურის, ტრადიციებისა და რელიგიის გაცნობის გზით, პლურალიზმისადმი პატივისცემის სწავლება ყველა საგნის კურიკულუმის შემადგენელი ნაწილი უნდა

იყოს. განათლების სისტემა უნდა გამორიცხავდეს სეგრეგაციას. მოსწავლეთა და სტუდენტთა წარმომადგენლობა ამათუიმ სასწავლებელში არ უნდა იყოს არაპროპორციული და გარკვეული სპეციფიკით განსაზღვრული, თუ ეს სათანადო მიზეზით არ არის განპირობებული. სხვა შემთხვევაში, მსგავსი ვითარება აღიქმება, როგორც დისკრიმინაცია (OSCE, 2012).

მოცემულ დოკუმენტზე დაყრდნობით, ნაშრომში განვიხილავ საქართველოში ეროვნული უმცირესობების უმაღლესი განათლების კუთხით არსებულ მდგომარეობას, ამ კუთხით შემუშავებულ პოლიტიკას და ამ პოლიტიკის სოციალურ-გეოგრაფიულ ასპექტებს.

საშეღავათო პოლიტიკის არსი და საერთაშორისო გამოცდილება

საშეღავათო პოლიტიკა შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც სახელმწიფოს მხრიდან ქვეყნის სოციო-კულტურული, დემოგრაფიული თუ პოლიტიკური მრავალფეროვნებისადმი გაცემული ერთგვარი პასუხი. აქედან გამომდინარე, ნებისმიერ ქვეყანაში ამგვარ პოლიტიკას სხვადასხვა საფუძველი და სამიზნე ჯგუფი ყავს (Gupta, 2006).

საერთაშორისო გამოცდილების თანახმად, საშეღავათო პოლიტიკა წარმოადგენს უმცირესობათა ჯგუფებისთვის დასაქმების და/ან განათლების ხელშესაწყობად განხორციელებულ ღონისძიებებს. ქვეყანათა უმრავლესობაში საშეღავათო პოლიტიკის მიზანი არის საზოგადოების გარკვეული ჯგუფისადმი წარსულში არსებული სოციალური თუ პოლიტიკური უსამართლობის აღმოფხვრა, რაც ვლინდებოდა რასობრივ, ეთნიკურ, რელიგიურ თუ გენდერულ საფუძველზე დისკრიმინაციით (Gupta, 2006).

გლობალიზაციის ეპოქაში თანდათან უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება მრავალფეროვნებისა და მულტიკულტურალიზმის დაცვას საზოგადოებაში. ამის უზრუნველსაყოფად საჭირო მექანიზმების ამოქმედება კი პირველ რიგში განათლების სფეროში შესაბამისი ღონისძიებების დანერგვითაა შესაძლებელი. 21-ე საუკუნემ ახალი შესაძლებლობები და გამოწვევები შექმნა უმაღლეს განათლებაში. ელიტურიდან მასობრივ განათლებაზე გადასვლის პერიოდში მთელი მსოფლიოს მასშტაბით უნივერსიტეტები დადგნენ ორმაგი გამოწვევის წინაშე: ერთი მხრივ, შექმნან უმაღლეს განათლებაზე უკეთესი ხელმისაწვდომობა და გაზარდონ ამ სფეროში სოციალური სამართლიანობა და მეორე მხრივ, შეინარჩუნონ

მაღალი სტანდარტები და უზრუნველყონ ხარისხიანი განათლება. განათლების კუთხით სამართლიანობის ცნება დღეს გულისხმობს არამხოლოდ უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდას, არამედ შესაძლებლობების შექმნასაც პროგრესისთვის. ეს საკითხები დღეს განსაკუთრებით აქტუალურია უმცირესობების კონტექსტში და ინტერვენციული ქმედებები (საშეღავათო პოლიტიკა) უმაღლეს განათლებაში დასაწყისიდან სწორედ რასობრივი, ეთნიკური თუ გენდერული ბალანსის უზრუნველყოფისკენ წარიმართა (Gupta, 2006).

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები გაცვლითი პროგრამებისა და კურიკულუმების ინტერნაციონალიზაციის გზით თანდათან უფრო მზარდ როლს ასრულებენ განსხვავებული სოციო-კულტურული, ეკონომიკური თუ სხვა მიკუთვნებულობის მქონე სტუდენტთა გასაერთიანებლად. ისინი ხელს უწყობენ სტუდენტების პიროვნულ განვითარებას და ამ გზით მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სამოქალაქო ინტეგრაციისა და ადამიანური რესურსების ჰარმონიზაციაში, ქმნიან სივრცეს, სადაც სტუდენტები სხვადასხვა წარმომავლობით ურთიერთობენ და თანამშრომლობენ სწავლის პროცესში (Gupta, 2006). კვლევები ადასტურებს, რომ საშეღავათო პოლიტიკა ხელს უწყობს ნებისმიერი სტუდენტის აკადემიურ და სოციალურ განვითარებას. ეთნიკური თუ რასობრივი თვალსაზრისით მრავალფეროვანი სასწავლო გარემო კი არ ზღუდავს სტუდენტთა ინტელექტუალურ უნარებს, არამედ პირიქით, ამდიდრებს მათ გამოცდილებას და აძლიერებს სწავლის პროცესიდან მიღებულ შედეგებს (F. Garrison-Wade, 2004).

უმაღლესი განათლების სფეროში საშეღავათო პოლიტიკა უმრავლეს შემთხვევაში არ წარმოადგენს სახელმწიფო სტრატეგიას,

ეს მეტწილად უნივერსიტეტების არჩევანია. ამ კუთხით, საშეღავათო პოლიტიკის მიზანი უმცირესობებისთვის უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდაა უმაღლეს სასწავლებლებში მათი ჩარიცხვის ხელშეწყობით (F. Garrison-Wade, 2004). საშეღავათო პოლიტიკა წარმოადგენს საზოგადოების ამათუიმ მიზეზით დისკრიმინირებული ჯგუფისთვის შეღავათიანი პირობების შექმნას უმაღლესში მათი ჩარიცხვის ხელშესაწობად. ის განკუთვნილია მათთვის, ვისაც ნაკლები რესურსი და ხელმისაწვდომობა გააჩნია საჯარო მომსახურებაზე, მათ შორის უმაღლეს განათლებაზე. შესაბამისად, სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფისთვის, იქნება ეს ეთნიკური უმცირესობები, სოციალურად დაუცველი ან დაბალშემოსავლიანი ოჯახები, საშეღავათო პოლიტიკა გულისხმობს სტუდენტთა წახალისებას, ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდით აიმაღლონ პოზიციები სოციალურ კიბეზე. ამ მიზნის მისაღწევად კი მათთვის იქნება სოციალური კაპიტალი იმ საჭირო კონტაქტებისა და ქსელების სახით, რაც მათ დაეხმარებათ, გაიფართოვონ კარიერული შესაძლებლობები, რასობრივი და ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად გაზარდონ სოციალურ ელიტაში მათი წარმომადგენლობა (Gupta, 2006).

როგორც ზემოთ აღინიშნა, საშეღავათო პოლიტიკას ცალკეულ ქვეყნებში გარკვეული, წინასწარ განსაზღვრული სამიზნე ჯგუფები ჰყავს, გამომდინარე ამ ქვეყნების საზოგადოების სპეციფიკიდან და მოთხოვნილებებიდან. თავის მხრივ, განსხვავდება საშეღავათო პოლიტიკის ის ფორმებიც, რომლებსაც საჭიროების მიხედვით ირჩევენ სხვადასხვა ქვეყნები. ამერიკაში მოღვაწე განათლების სფეროს წარმომადგენლები - პიტერ ლეჰმიულერი და დენის გრეგორი ასახელებენ საშეღავათო პოლიტიკის გოლმანის მიერ

ჩამოყალიბებულ 4 ტიპს: 1. წარსულზე ორიენტირებული, რომელიც აღიარებს უმცირესობათა მიმართ წარსულში არსებულ დისკრიმინაციას და მისი ნაწილობრივ აღმოფხვრის მიზნით უმცირესობის წარმომადგენლებს სთავაზობს შეღავათიან პირობებს მისაღები გამოცდებისას; 2. მომავალზე ორიენტირებული საშეღავათო პოლიტიკა ცნობს წარსულ დისკრიმინაციას, ხაზს უსვამს მრავალფეროვნების მნიშვნელობას როგორც უმცირესობის, ასევე უმრავლესობისთვის და ამ მრავალფეროვნების შესაქმნელად ხელს უწყობს უმაღლეს სასწავლებლებში უმცირესობათა წარმომადგენლების შეღავათიანი პირობებით ჩარიცხვას; 3. სუსტი უკუდისკრიმინაციის ფორმა წარმოადგენს იმგვარ საშეღავათო პოლიტიკას, რომლის ფარგლებშიც ერთნაირი კვალიფიკაციის მქონე უმრავლესობისა და უმცირესობის აბიტურიენტებს შორის უმაღლესში ჩარიცხვისას პრივილეგია ენიჭება უმცირესობის წარმომადგენელს, ხოლო 4. ძლიერი უკუდისკრიმინაციის შემთხვევაში ამგვარი პრივილეგიით სარგებლობს უმცირესობის კანდიდატი მაშინაც, თუ მისი კვალიფიკაცია ნაკლებია უმრავლესობის ჯგუფის აბიტურიენტის კვალიფიკაციაზე (ტაბატაძე, 2016).

რაც შეეხება საშეღავათო პოლიტიკის გატარების კუთხით ცალკეული ქვეყნების გამოცდილებას, ვახსენებ რამდენიმე მაგალითს:

აშშ-ში საშეღავათო პოლიტიკის ისტორია 45 წელს ითვლის. ისტორიულად, ის ასოცირდებოდა რასობრივ, გენდერულ და დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე საზოგადოებრივ ჯგუფებთან, მაგრამ 1960-იანი წლების დასაწყისში სამოქალაქო უფლებების დამცველმა მოძრაობამ მას ახალი მნიშვნელობა და მიზანი შესძინა. დღეს ის გულისხმობს

„პოზიტიურ დისკრიმინაციას“, რომელიც ეხება მუშათა კლასს, ქალებს, უმცირესობებს, იმიგრანტებს ან დაბალშემოსავლიან და სოციალურად დაუცველ მოსახლეობას. პარადიგმის ცვლილებამ უმცირესობიდან მრავალფეროვნებამდე გააფართოვა საშეღავათო პოლიტიკის ცნებაც და მოქმედებებიც სხვადასხვა ინტერეს-ჯგუფებისთვის, რომლებიც წარმოადგენენ სხვადასხვა ეთნოსს, რელიგიურ თუ გენდერულ ჯგუფს. სამოქალაქო მოძრაობის შედეგად საშეღავათო პოლიტიკის ფარგლებში უნივერსიტეტებმა ფართოდ გაუღეს კარი განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური სტატუსისა და კულტურული იდენტობის მქონე ახალგაზრდებს (Gupta, 2006).

ამგვარად, ეს პოლიტიკა აშშ-ში წარმოადგენდა სამოქალაქო მოძრაობისთვის გაცემულ ერთგვარ პასუხს. ის აღიარებდა ფერადკანიანთა, აფროამერიკელთა და ქალთა მიმართ დისკრიმინაციას და მიმართული იყო მათთვის უკეთესი საგანმანათლებლო და დასაქმების შესაძლებლობების შექმნისკენ. საშეღავათო პოლიტიკის, როგორც ტერმინის გამოყენება პირველად აშშ-ში 1961 წელს მოხდა, როდესაც დასაქმების პრაქტიკაში უკანონოდ იქნა მიჩნეული რასობრივ, რელიგიურ და ეროვნულ საფუძველზე დისკრიმინაცია. პრეზიდენტ ლინდონ ჯონსონის ბრძანებით აღმასრულებელ მთავრობას დაევალა შავკანიანების, ლათინოამერიკელების, აზიელი ამერიკელებისა და ქალებისთვის, როგორც უმცირესობებისთვის, სხვადასხვა ტიპის სამუშაოზე გამოეყოთ კვოტები მინიმუმ 50 ადგილით, რათა უზრუნველყოფილიყო ამ ჯგუფის წევრთა ადექვატური წარმომადგენლობა ქვეყნის სამუშაო ძალაში (Gupta, 2006).

დღეს საშეღავათო პოლიტიკა აშშ-ში მეტწილად აფროამერიკელებისთვის, ლათინოამერიკელებისა და

ქალებისთვის მუშაობს. უნივერსიტეტთა უმრავლესობაში აზიელი ამერიკელები არ მოისაზრებიან ამ პოლიტიკის ბენეფიციარებად, გამომდინარე იქედან რომ სხვა ზემოთ ჩამოთვლილი ჯგუფებისგან განსხვავებით, მათი დიდი რაოდენობა ისედაც წარმოდგენილია ამერიკულ უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში. საშეღავათო პოლიტიკა სამიზნე ჯგუფებისთვის ითვალისწინებს უმაღლესში მისაღებად გარკვეულ საბონუსე სისტემას, ასევე ის გულისხმობს ფინანსურ დახმარებას, თუნდაც სტიპენდიების სახით. თუმცა უნივერსიტეტების არჩევანიდან გამომდინარე, შესაძლოა ჩარიცხვისთვის საბონუსე სისტემას თან ახლდეს ფინანსური დახმარებაც და შეღავათი ამ ორივე ფორმით იყოს გაწეული. აშშ-ს სასამართლო სისტემა უმაღლეს განათლებაში კვოტების გამოყოფის წინააღმდეგ წავიდა, გამომდინარე იქედან, რომ რასობრივი ან ეთნიკური უმცირესობის ჯგუფისადმი კუთვნილება ჩაითვალა არა როგორც დომინანტური ფაქტორი უნივერსიტეტებში ამ უმცირესობის წარმომადგენელ სტუდენტთა ჩარიცხვისთვის, არამედ როგორც ერთ-ერთი განმაპირობებელი სამიზნე ჯგუფის კონკრეტული წევრის უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის ხელშესაწყობად (Gupta, 2006).

ბრაზილიაში საშეღავათო პოლიტიკა სახელმწიფო სტრატეგიაა და მოქმედებს შემდეგი პრინციპით: „ჩვენ უნდა გამოვასწოროთ ისტორიული უსამართლობა“. აქ ის წარმოდგენილია კვოტირების სისტემის სახით, კერძოდ, შეიქმნა კვოტირების კანონი რასობრივი ჯგუფებისთვის უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის უზრუნველსაყოფად. განათლების სფეროში საშეღავათო პოლიტიკის წარმართვას ბრაზილიაში ასევე ჰქონდა სოციალუ-ეკონომიკური საფუძველიც: ქვეყნის საზოგადოებაში სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი დონეა.

სახელმწიფო მოხელეებისა და ანალიტიკოსების აზრით, ეკონომიკურ კეთილდღეობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს უმაღლესი განათლების მიღება, რაც დაბალი შემოსავლის მქონე ბრაზილიელისთვის ხელმისაწვდომი არაა. განსაკუთრებით ეს ეხება აფრო-ბრაზილიელებს. ეს ჯგუფი ბრაზილიის ღარიბი მოსახლეობის 70 %-ს შეადგენს და მათგან მხოლოდ 2%-ს თუ აქვს ხელმისაწვდომობა უმაღლეს განათლებაზე. საშეღავათო პოლიტიკა აქ წარმოდგენილია, როგორც რასობრივი უმცირესობისთვის უმაღლესი განათლების მიღების გარანტი და ამავდროულად მათი სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების დამხმარე მექანიზმი (Kirakosyan, 2014).

წარსული დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად მოქმედებს საშეღავათო პოლიტიკა ინდოეთშიც. როგორც ცნობილია, ინდურ საზოგადოებას ღრმად გამჯდარი სოციალური სეგრეგაცია ახასიათებს, რაც გამოწვეულია გენდერულ და დაბალი კასტის კუთვნილებაზე დამყარებული დისკრიმინაციით და თავს იჩენს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში. თანამედროვე ინდოეთში სწორედ ამ დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად დაწესებულია გარკვეული შეღავათები, რომლის მისაღებად სხვადასხვა კასტის წარმომადგენლები ერთმანეთს მეტოქეობასაც კი უწევენ, „უმცირესობათა“ იმ კატეგორიაში მოსახვედრად, რომლისთვისაც ინდოეთის მთავრობას გამოყოფილი აქვს კვოტები სახელმწიფო სამსახურში დასასაქმებლად ან უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ჩასარიცხად (Gupta, 2006).

მოცემული მაგალითებიდან კარგად ჩანს, რომ საშეღავათო პოლიტიკის ფორმა და მისი ამოქმედების საფუძველი განსხვავებულია ამათუიმ ქვეყნის სპეციფიკიდან და

საზოგადოებრივი საჭიროებებიდან გამომდინარე. მომდევნო თავში განვიხილავ უმაღლესი განათლების სფეროში ეთნიკური უმცირესობებისთვის საქართველოში მოქმედ საშეღავათო პოლიტიკას, მისი ამოქმედების საფუძველსა და ფორმებს.

საშეღავათო პოლიტიკა საქართველოში

დასაწყისში, სანამ უშუალოდ საშეღავათო პოლიტიკის ქართული მოდელის განხილვას დავიწყებდე, საჭიროდ მიმაჩნია რამდენიმე სიტყვით ვახსენო ამ პოლიტიკის შემოღებამდე უმაღლესი განათლების მიღების კუთხით ეთნიკური უმცირესობების პრობლემატიკა და რეფორმამდე არსებული მდგომარეობა:

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2004 წელს წარმოდგენილი რეფორმა მიზნად ისახავდა ყველა აბიტურიენტისთვის თანაბარი პირობების შექმნას საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბარებისას. სწორედ ამ რეფორმის ფარგლებში დაინერგა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები ერთიანი ეროვნული გამოცდები. რეფორმამდე მისაღები გამოცდების ადმინისტრირებას მთლიანად უმაღლესი სასწავლებლები ახორციელებდნენ. 2005 წელს კი შემუშავდა ახალი, სტანდარტული და უნარ-ჩვევების ტესტირებაზე დაფუძნებული ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემა, რომლის ფარგლებშიც აბიტურიენტები აბარებდნენ ტესტს ქართულ ენაში, ზოგად უნარ-ჩვევებსა და უცხო ენაში. რეფორმიდან რამდენიმე წლის შემდეგ სავალდებულო ამ 3 საგანს დაემატა მეოთხე, არჩევითი საგანი. გამომდინარე იქედან, რომ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები დღემდე ვერ ფლობენ სრულყოფილად ქართულ ენას, არაქართულენოვანი სკოლების კურსდამთავრებულები ძალიან დაბალ შედეგებს აღწევდნენ, მაგალითად: 2005 წელს ახალქალაქიდან მხოლოდ 2 აბიტურიენტი გახდა სტუდენტი, ნინოწმინდიდან -1 და მარნეულიდან - 17. ეს მაჩვენებელი გაცილებით ნაკლები იყო ეროვნული გამოცდების შემოღებამდე გამოცდების შედეგად უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხულ

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა რაოდენობაზე. ამიტომ, საქართველოს მთავრობამ ერთიანი ეროვნული გამოცდების პირველივე წლიდან დაიწყო უმცირესობების აბიტურიენტებისთვის „საშეღავათო პოლიტიკის“ განხორციელება, თუმცა 2005-2010 წლებში ამ პოლიტიკის ფორმები და მიდგომები მუდმივად იცვლებოდა (ტაბატაძე, 2016).

თავდაპირველად, საშეღავათო პოლიტიკა წარიმართა დაფინანსების მიმართულებით. სოციალური პროგრამის ფარგლებში, რომელსაც ითვალისწინებს უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 43-ე მუხლი, 2005-2009 წლებში გათვალისწინებულ იქნა არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეთა დაფინანსებაც. სახელმწიფო აფინანსებდა 15 სტუდენტს ქვემო ქართლიდან, 15-ს - ჯავახეთიდან და 10-ს - თბილისიდან. მიუხედავად იმისა, ფინანსური პრობლემების მქონე სტუდენტები აიღებდნენ თუ არა სახელმწიფო გრანტს, დამატებით, როგორც საშეღავათო პოლიტიკის ნაწილი, ისინი მიიღებდნენ ამ დაფინანსებასაც. თუმცა, რეალურად პრობლემა ეთნიკური უმცირესობების განათლების საკითხში იყო არა იმდენად ფინანსური, არამედ აკადემიური მოსწრების კუთხით. 2005 წლიდან ქართული ენის ეროვნულ გამოცდაზე, მიუხედავად იმისა, რომ ჩასაბარებელი ტესტი ქართული და არაქართულენოვანი სკოლის კურსდამთავრებულთათვის სხვადასხვა იყო, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს კონკურენციაში შესვლა უწევდათ ქართველ აბიტურიენტებთან. თუ გავითვალისწინებთ არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენის და ზოგადად, სწავლების გაცილებით დაბალ დონეს, გამოდის, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდები ეთნიკური უმცირესობებისთვის წარმოადგენს არა ყველა აბიტურიენტის თანაბარ პირობებში

ჩაყენების ინსტრუმენტს, არამედ გარკვეულწილად განათლების კუთხით მათ დისკრიმინაციას (ტაბატაძე შ. , 2017). ამიტომ, სახელმწიფო, რომელიც დღემდე ვერ უზრუნველყოფს არაქართულენოვან სკოლებში შესაბამისი განათლების მიწოდებას მოსწავლეებისთვის, ამ ვითარების გამოსწორებამდე პასუხისმგებელია შექმნას დამატებითი შეღავათები იმისთვის, რომ უმაღლესი განათლება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვისაც იმდენად ხელმისაწვდომი იყოს, როგორც ქართულენოვანი აბიტურიენტებისთვის.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ეროვნული გამოცდების ნეგატიური შედეგების შესამცირებლად 2006 წელს მიმართა საშეღავათო პოლიტიკის სხვა ფორმას, კერძოდ აბიტურიენტებს ეძლეოდათ უფლება ზოგადი უნარების, უცხო ენისა და არჩევითი საგნების ტესტირება გაევლოთ რუსულ ენაზე. ამავე წელს საშეღავათო პოლიტიკის ნაწილს წარმოადგენდა ახალქალაქსა და ნინოწმინდაში ეროვნული გამოცდებისთვის მოსამზადებელი კურსების ორგანიზება, რაც ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ფინანსური მხარდაჭერით და განათლების სამინისტროს თანამონაწილეობით განხორციელდა. უფრო მეტად კი საშეღავათო პოლიტიკის ნაწილი იყო ის, რომ რუსული სკოლის კურსდამთავრებულებს შეეძლოთ რუსული ენა, რომელიც მათთვის ფაქტობრივად მშობლიური იყო, ჩაებარებინათ, როგორც უცხო ენა. ამ ცვლილებებმა გარკვეულწილად გაზარდა ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში ეთნიკური უმცირესობების აბიტურიენტთა რაოდენობა. ქვემო ქართლიდან 25 აბიტურიენტი გახდა სტუდენტი, ხოლო ჯავახეთიდან - 31. 2007 წელს, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯავახეთის ფილიალს აკრედიტაცია გაუუქმდა, კვლავ დღის წესრიგში დადგა საშეღავათო

პოლიტიკის მეტად ეფექტური მექანიზმების ამუშავება. 2008 წლიდან ეთნიკური უმცირესობების ხელშესაწყობად განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უფრო მკვეთრ ნაბიჯზე წავიდა. მათ მისცა უფლება ზოგადი უნარების გამოცდა ჩაებარებინათ სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზეც. ეს შეღავათი ასევე ეფექტური აღმოჩნდა ქართულ უნივერსიტეტებში ჩამბარებელთა რაოდენობის გასაზრდელად, თუმცა ვერ აღმოჩნდა გარდამტეხი მათთვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის მკვეთრად გასაზრდელად (ტაბატაძე შ. , 2017).

2005-2009 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ეთნიკური უმცირესობების პრობლემატიკის გათვალისწინებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გადაწყვიტა, „საშეღავათო პოლიტიკის“ ყველაზე რადიკალური ფორმისთვის - „კვოტირების სისტემის“ შემოღებისთვის მიემართა, რაც ქართული რეალობის გათვალისწინებით შეგვიძლია ჩავთვალოთ ზემოთ ხსენებულ „ძლიერ უკუდისკრიმინაციად“. შესაბამისი ცვლილებები უმაღლესი განათლების შესახებ კანონში 2009 წლის 19 ნოემბერს შევიდა (ტაბატაძე შ. გ., 2016). უნდა აღინიშნოს, რომ ამ ცვლილების განხორციელებას წინ უძღოდა ხანგრძლივი დებატები. არსებობდა რამდენიმე ვარიანტი, თუ რა ტიპის შეღავათი უნდა დაწესებულიყო. საშეღავათო პოლიტიკის ქართული მოდელის შექმნისას არ აღებულა რომელიმე სხვა ქვეყნის მაგალითი, გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ადგილობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე. 2005 წლიდან მოყოლებული საშეღავათო პოლიტიკის შესახებ ინიციატივებსა და რეკომენდაციებს აქტიურად აყენებდა „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი“ დონორ ორგანიზაციებთან და ომბუდსმენის აპარატთან ერთად, თუმცა

როგორც ცენტრის თავმჯდომარე - ბატონი შალვა ტაბატაძე აცხადებს, სანამ ამ საკითხით საქართველოს ექს-პრეზიდენტი - სააკაშვილი არ დაინტერესდა, ცვლილებების განხორციელება ვერ მოხერხდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ინიციატივას მხარდამჭერები ჰყავდა განათლების სამინისტროშიც და არასამთავრობო სექტორშიც. ტაბატაძე აცხადებს ასევე იმასაც, რომ ცვლილების დანერგვას ხელი შეუწყო უმცირესობათა თემატიკაზე მომუშავე საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერამაც, რომლებიც მაშინდელი ხელისუფლებისთვის საკმარისი ავტორიტეტით სარგებლობდნენ. დისკუსიების შედეგად, რომელიც განათლების სამინისტროს, შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრსა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა შორის მიმდინარეობდა, გადაწყდა, რომ უმაღლესში ჩარიცხვისას შეღავათი ეთნიკური უმცირესობებისთვის გამოხატულიყო კვოტირების სისტემით, დანერგილიყო ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამა და საშეღავათო პირობებით მოსარგებლე აბიტურიენტებს ჩაებარებინათ მხოლოდ ერთი - ზოგადი უნარების ეროვნული გამოცდა თავიანთ მშობლიურ ენაზე. განსაკუთრებით ცხარე დებატები მიდიოდა ერთი გამოცდის დატოვებასთან დაკავშირებით. შეღავათის ამ ფორმით გაწევის მთავარი მოწინააღმდეგე შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი იყო, რომელიც საკმაოდ ხისტ დამოკიდებულებას იჩენდა და არგუმენტად ასახელებდა ყველა აბიტურიენტის თანაბარ პირობებში ყოფნის აუცილებლობას სისტემის მდგრადობის შენარჩუნებისთვის. სწორედ მათი წინააღმდეგობის გამო, რამდენიმე წლის განმავლობაში ვერ ხერხდებოდა ამ რადიკალური ცვლილებების განხორციელება, არსებობდა მხოლოდ საშეღავათო

პოლიტიკის მცირე ფორმები. მას შემდეგ, რაც დაიწყო აქტიური დისკუსიები, არსებობდა შემოთავაზება, რომ უმცირესობათა წარმომადგენლებს ჩაებარებინათ ყველა გამოცდა, მაგრამ არ შესულიყვნენ კონკურენციაში ქართულენოვან აბიტურიენტებთან. ალტერნატივას წარმოადგენდა ასევე წინადადება, რომ ზოგადი უნარების გამოცდასთან ერთად, ყოფილიყო გამოცდა ქართულ ენაშიც, თუმცა ეს იქნებოდა კონკურსს გარეშე, გარკვეული სტანდარტის დამდგენი გამოცდა, რომელიც დაადგენდა აბიტურიენტთა მინიმალურ კომპეტენციას ქართულ ენაში და ამასთან, იქნებოდა ერთგვარი მოტივაციაც, რომ ეროვნული გამოცდისთვის აბიტურიენტები ამ კუთხითაც მომზადებულიყვნენ. საბოლოოდ გადაწყდა მხოლოდ ზოგადი უნარების გამოცდის დატოვება (ტაბატაძე შ. , 2017). საშეღავათო პოლიტიკას საქართველოში მნიშვნელოვანი სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტი აქვს. საქართველოს მოსახლეობა გამოირჩევა ეთნიკური მრავალფეროვნებით (მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის და მათი განსახლების რეგიონების შესახებ იხილეთ დანართი N4), თუმცა აღნიშნული საშეღავათო პოლიტიკა განისაზღვრა ერთი მხრივ ეთნიკური უმცირესობების კომპაქტური განსახლების არეალებისთვის და მეორე მხრივ, ქვეყნის კონფლიქტური რეგიონების წარმომადგენელთათვის. ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონები საქართველოში ინტეგრაციის მნიშვნელოვანი პრობლემებით ხასიათდებიან, ამიტომ საშეღავათო პოლიტიკის დაგეგმვის დროს აქცენტი გაკეთდა არა ზოგადად ეთნიკური/ეროვნული ჯგუფების კვოტირებაზე (რომელშიც ასევე შეიძლებოდა ყოფილიყო რუსულენოვანი მოსახლეობა), არამედ კონკრეტულად კომპაქტური განსახლების რეგიონებზე.

შესაბამისად, ამ პოლიტიკის ბენეფიციარებად იქცნენ ეთნიკური სომხები სამცხე-ჯავახეთიდან, რომლებიც 2014 წლის აღწერის მონაცემებით რეგიონის მოსახლეობის 51%-ს შეადგენენ, ეთნიკური აზერბაიჯანელები ქვემო ქართლიდან (რეგიონის მოსახლეობის 42% (საქსტატი, 2016), იხ. დანართი N5) აფხაზები და ოსები. ამ უკანასკნელთა შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ დღეს არსებული საშეღავათო პოლიტიკა მათთვის პრაქტიკაში არ მუშაობს. ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობა განათლებას ძირითადად რუსულად იღებს, ამიტომ ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის მსურველებს მიეცათ გამოცდების რუსულ ენაზე ჩაბარების უფლება. მათ სწავლას საქართველოში სახელმწიფო აფინანსებას, მაგრამ ჩარიცხვისას ამ კატეგორიას შეღავათები არ აქვს. აფხაზეთიდან, ძირითადად გალის რეგიონიდან საქართველოში სწავლობს დაახლოებით 90 სტუდენტი, რომელთა დიდი უმრავლესობის ერთ-ერთი მშობელი ეთნიკურად ქართველია. აფხაზი ან ოსი, რომელმაც ქართული არ იცის და ოკუპირებულ რეგიონში ცხოვრობს, არ სარგებლობს აღნიშნული პროგრამით. შეიძლება ითქვას, პოლიტიკის დამგეგმავთათვის ეს არც ყოფილა მოულოდნელი, მაგრამ ხელისუფლების მხრიდან უმცირესობათა ამ ჯგუფის გაერთიანება საშეღავათო პოლიტიკაში წარმოადგენდა ქვეყნის ხელისუფლების ერთგვარ პოლიტიკურ ჟესტს (ტაბატაძე შ. , 2017). რაც შეეხება საშეღავათო პოლიტიკის ქართული მოდელის ჩარჩოს, როგორც ზემოთ აღინიშნა 2009 წელს უმაღლესი განათლების შესახებ კანონში ცვლილებების თანახმად დადგინდა კვოტა საშეღავათო პოლიტიკის ბენეფიციარი აბიტურიენტებისთვის. საქართველოში აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებლებს დაევალათ, გამოეცხადებინათ ვაკანსიები მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტის

საფუძველზე ჩაბარებული სტუდენტებისთვის. თითოეული უნივერსიტეტის შემთხვევაში კვოტა შეადგენს ერთიანი ეროვნული გამოცდებით მისაღებ სტუდენტთა საერთო რაოდენობის 5-5%-ს სომხური და აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტებისთვის, ხოლო 1-1%-ს აფხაზური და ოსურენოვანი აბიტურიენტებისთვის. ამასთანავე დადგინდა, რომ კვოტირების სისტემით ჩასარიცხ აბიტურიენტთა რაოდენობა არ შევიდოდა აკადემიური უმაღლესი და დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრულ სტუდენტთა საერთო რაოდენობაში. ამასთან, განათლების სამინისტროს თანხმობის საფუძველზე და ცალკეული უნივერსიტეტის გადაწყვეტილების შესაბამისად, უმაღლეს სასწავლებლებს მიეცათ უფლება კვოტებით მისაღები სტუდენტების პროცენტული გადანაწილება შეეცვალათ მოცემული კვოტის პროცენტული ჯამის ფარგლებში. ეს ეხება სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტს, რომელიც მხოლოდ სომხურენოვან აბიტურიენტებს იღებს კვოტის საფუძველზე და რახან ამ ჯგუფის კვოტა 5%-ს შეადგენს, აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტებისთვის გამოყოფილი ადგილები კი აუთვისებელი რჩება, უნივერსიტეტს აქვს უფლება აუთვისებელი ადგილების ხარჯზე გაზარდოს სომხურენოვან აბიტურიენტთა კვოტა 10%-მდე (ტაბატაძე შ. , 2017). ახალი ინიციატივის თანახმად, დაინერგა ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი (60 კრედიტიანი) პროგრამა, რომლის მიზანია, სტუდენტთათვის უზრუნველყოს ქართულ ენაზე უმაღლესი განათლების მისაღებად აუცილებელი უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეძენა. ერთწლიანი პროგრამის გაკეთება ეფუძნებოდა გამოცდილებას, რომელიც საქართველოში არსებობდა, კერძოდ: 2005 წლამდე ეს პრაქტიკა მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალქალაქის ფილიალში, რომელიც სტუდენტებს

ძირითადად სამცხე-ჯავახეთიდან იღებდა. ვინაიდან ჩარიცხულ სტუდენტთა დიდი ნაწილი ვერ ფლობდა ქართულ ენას, შემუშავდა მოსამზადებელი პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ქართული ენის სწავლებისას აქცენტი კეთდებოდა იმ საბაკალავრო პროგრამის სპეციფიკაზე, რომელზედაც მომდევნო წლიდან გადადიოდნენ სტუდენტები. დღეს არსებული მოსამზადებელი კურსიც ითვალისწინებს ქართული ენის 60 კრედიტიანი პროგრამის სწავლებას, რომლის დასრულების შემდეგ, სტუდენტებს ეძლევათ კურსის დასრულების სერტიფიკატი და უფლება, სწავლა გააგრძელონ მათთვის სასურველ საბაკალავრო პროგრამაზე. რაც შეეხება უნივერსიტეტს, მის შესახებ არჩევანს აბიტურიენტები ზოგადი უნარების გამოცდის ჩაბარებამდე აკეთებენ და მინიმალური ზღვრის გადალახვისა და კონკურსის გავლის შემდეგ, ირიცხებიან შესაბამისი სასწავლებლის მიერ შემუშავებულ ქართულ ენაში მომზადების ერთწლიან კურსზე, რომლის აკრედიტაციასაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს (ტაბატაძე შ. , 2017). ზოგადი უნარების ეროვნულ გამოცდაზე კონკურსის შედეგად გამოვლენილ საუკეთესო შედეგის მქონე პირველი 100-100 სომხური და აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტისთვის მოქმედებს სახელმწიფო გრანტის პროგრამა, რომლის ფარგლებში სტუდენტებს სრულად უფინანსდებათ 5 წლიანი სწავლის პერიოდი მოსამზადებელი კურსიდან საბაკალავრო საფეხურის დამთავრებამდე (ტაბატაძე შ. გ., 2016). კვოტირების სისტემის სახით აღნიშნული საშეღავათო პოლიტიკა უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მიხედვით განისაზღვრა, როგორც დროებითი პოლიტიკა და მისი მოქმედების ვადად განისაზღვრა 2010 წლიდან 2018-2019 სასწავლო წელი (ტაბატაძე შ. გ., 2016).

ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის შესახებ

როგორც ზემოთ აღინიშნა, საშეღავათო პოლიტიკის ფარგლებში გარდა ცალკეული კვოტების საფუძველზე სტუდენტთა ჩარიცხვისა, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს დაევალათ ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის შემუშავება. ამ პროგრამის ზოგადი ჩარჩო ყველა უნივერსიტეტისთვის საერთო იყო, რაც ითვალისწინებდა მოთხოვნას, პროგრამა ჩატეულიყო 60 კრედიტში და ძირითადად გათვლილიყო ენობრივ კომპეტენციაზე. ვინაიდან ქართულ უმაღლეს სასწავლებლებს ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების გამოცდილება არ ჰქონდათ, პროგრამის შემუშავებაში მათ არაოფიციალური დახმარება გაუწია „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრმა“, რომელიც ერთადერთი ორგანიზაცია იყო, ვინც ამ კუთხით მუშაობდა და გარკვეული გამოცდილება ჯერ კიდევ 2001 წლიდან დაგროვილი ჰქონდა უცხოელ, ძირითადად ბალტიისპირელ, კანადელ და ამერიკელ კოლეგებთან თანამშრომლობის საფუძველზე. ეს გამოცდილება მეტწილად ეხებოდა ზრდასრულთა განათლებას. ამ კუთხით მოცემული ორგანიზაცია „ეუთოს“ ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი ოფისის დაფინანსებით ახორციელებდა პროექტებს ქვემო ქართლსა და ჯავახეთში. 2010 წელს „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრმა“ ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ დაფინანსებით განახორციელა პროექტი, რომელშიც პრაქტიკულად ყველა უმაღლესი სასწავლებელი იყო ჩართული. პროექტის ფარგლებში შემუშავდა მოსამზადებელი ერთწლიანი

პროგრამის ზოგადი ჩარჩო, სტრუქტურა, რომელიც 2010 წელსვე დანერგა თსუ-მა და სხვა უნივერსიტეტთა უმრავლესობამ. სასწავლებლების მიდგომა და სწავლების სპეციფიკა მეტნაკლებად ყველა უნივერსიტეტში განსხვავდება, თუმცა პროგრამის ძირითადი ჩარჩო საერთოა. ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელი, რომელმაც ზოგადი ჩარჩოდან ოდნავ განსხვავებული პროგრამა შეიმუშავა და დანერგა, იყო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (ტაბატაძე შ. , 2017).

ქვემოთ განვიხილავ მოსამზადებელი კურსის სპეციფიკას ორი უმაღლესი სასწავლებლის - თსუ-სა და ილიაუნის მაგალითზე:

როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ თავმჯდომარის მოადგილე - ბატონი კახა გაბუნია აღნიშნავს, ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების მეთოდიკაში მათი გამოცდილების მიუხედავად, პროგრამის საწყის ეტაპზე სირთულეს წარმოადგენდა ქართულენოვანი სასწავლო ლიტერატურის არქონა, რომელიც დღეს უკვე სხვადასხვა რიდერების სახით არსებობს და გარდა თსუ-სა მას რამდენიმე სხვა უნივერსიტეტიც იყენებს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მოსამზადებელი კურსი ძირითადად ენობრივ კომპეტენციაზეა გათვლილი. 60 კრედიტი საგნობრივად 2 სემესტრზე, შესაბამისად 15-15 ლექციაზეა განაწილებული, საიდანაც ყოველ ეტაპზე კონკრეტული ენობრივი უნარის განვითარებაა დაგეგმილი, იქნება ეს კითხვითი უნარები, წერითი, მოსმენითი და ა.შ. პროგრამის მონაწილე ლექტორები მეტწილად ფილოლოგები არიან, რომელთაც დროგამოშვებით უტარდებათ ტრენინგ-კურსები სწავლების

მეთოდიკაში. პედაგოგები საკითხავი თუ სხვა ტიპის მასალის არჩევაში თავისუფლები არიან, მთავარი მხოლოდ პროგრამის დასრულების შემდეგ შესაბამის, დაგეგმილ მიზანზე გასვლაა, რომელიც გულისხმობს სტუდენტისთვის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლისთვის საჭირო უნარ-ჩვევების მიწოდებას. გაბუნია აცხადებს, რომ არსებობდა ვალდებულება, მოსამზადებელ კურსს სტუდენტი გაეყვანა B1+ - ის შესაბამის ენობრივ კომპეტენციაზე, შესაბამისად სტუდენტი სერთიფიკატს იღებდა იმ შემთხვევაში, თუ ის მოცემულ მოთხოვნებს აკმაყოფილებდა. დღეს რომელიმე კონკრეტულ ენობრივ კომპეტენციაზე გასვლის ამგვარი მოთხოვნა განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებულ სტანდარტში არსად არის. თსუ-ს მოსამზადებელი კურსის ხელმძღვანელი ამას შემდეგი მიზეზით ხსნის: არაქართულენოვანი სკოლების კურსდამთავრებულებისთვის ეროვნულ სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია ქართული ენის ცოდნის კონკრეტული დონის მოთხოვნა და ეს არის B2. გამოდის, რომ როცა არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლე ატესტატს იღებს, მას უნდა ჰქონდეს B2-ის შესაბამისი უნარები ქართულში, მაგრამ ეს რეალურად ასე არ არის, მეტიც, უმრავლეს შემთხვევაში აბიტურიენტები ელემენტარულ დონეს თუ აკმაყოფილებენ. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, არ არსებობს გარანტია, რომ მოსამზადებელი კურსი ნულოვან დონეზე მყოფ სტუდენტს B2 დონეზე აიყვანს. ამ ვალდებულებას თსუ-ს ნულოვანი კურსის ხელმძღვანელის განცხადებით, ის საკუთარ თავზე ვერ იღებს. ეს მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუ მისაღებ გამოცდაზე დაწესდებოდა გარკვეული შეზღუდვა და აბიტურიენტებს მოეთხოვებოდათ მინიმუმ A1 დონის შესაბამისი კომპეტენცია ქართულში, რასაც განათლების სამინისტრო კატეგორიულად

ეწინააღმდეგება. საბოლოოდ, გაბუნიას განცხადებით სამინისტრო ნულოვანი კურსის გავლის შემდეგ სტანდარტში სავარაუდოდ ჩადებს კონკრეტული დონის მოთხოვნას და ეს აუცილებლად უნდა იყოს B2, რადგან სხვა შემთხვევაში სტუდენტებს გაუჭირდებათ საბაკალავრო დონეზე სწავლის გაგრძელება (გაბუნია, 2017).

რაც შეეხება ჯგუფების დაკომპლექტებას, მოსამზადებელ კურსზე ჩარიცხვისას სტუდენტები აბარებენ პრეტესტს ქართულ ენაში, რითიც დგინდება მათი ენობრივი უნარების არსებული დონე, რომლის მიხედვითაც ისინი ნაწილდებიან ჯგუფებში და სწავლობენ მათი ენობრივი კოპეტენციის შესაბამისი მეთოდიკით არსებულ პროგრამას. პირველ სემესტრში სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტები ცალ-ცალკე ჯგუფებში სხედან, მეორე სემესტრიდან კი იმისდა მიხედვით, თუ ვინ რომელ საბაკალავრო პროგრამას აგრძელებს, დგება შერეული ჯგუფები, სადაც სტუდენტები ეცნობიან ასევე მათთვის საჭირო დარგობრივ ლექსიკასაც, რათა საბაკალავრო პროგრამაზე გადასვლის შემდეგ გაუადვილდეთ ლექციების მოსმენა და გაგება. კახა გაბუნიას განცხადებით, უმჯობესი იქნებოდა, ყოფილიყო შესაძლებლობა პირველივე სემესტრიდან ესწავლებინათ შერეული ჯგუფებით, მაგრამ საამისოდ არსებობს ტექნიკური და იურიდიული პრობლემა, რომელიც გამოიხატება შემდეგში: უნივერსიტეტს სომხურ და აზერბაჯანულენოვანი სტუდენტებისთვის გამოცხადებული აქვს 2 სხვადასხვა პროგრამა ერთიდაიგივე კვოტით (175-175 ადგილი სომხურ და აზერბაიჯანულენოვანთათვის), ამიტომ ჩარიცხვა და სწავლება მიმდინარეობს ცალ-ცალკე თითოეულ პროგრამაზე, რაც ქმნის დაბრკოლებებს მოსამზადებელი კურსის პირველი სემესტრიდან 2

განსხვავებული პროგრამის სტუდენტთა ერთ ჯგუფში მოსათავსებლად (გაბუნია, 2017).

რაც შეეხება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს, მან საშეღავათო პოლიტიკის დანერგვის პირველივე წლიდან ჯგუფების დაკომპლექტების ეს საკითხი 2010 წელს შექმნილი გარემოებიდან გამომდინარე გადაჭრა. ვითარება მდგომარეობდა შემდეგში: ილიაუნის მოსამზადებელი კურსის ხელმძღვანელის - ქ/ნ თინა კიღურაძის განცხადებით, 2010 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს კვოტირების სისტემით ჩარიცხული მხოლოდ 6 სტუდენტი ყავდა, 2011 წელს კი - 4. ცხადია, მცირე რაოდენობის სტუდენტებისთვის ცალ-ცალკე ჯგუფების შესაქმნელად უნივერსიტეტს ფინანსები არ ჰქონდა და განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით, პირველივე წლიდან ილიაუნში საფუძველი ჩაეყარა მოსამზადებელ კურსზე შერეული ჯგუფების დაკომპლექტებას, რაც შემდგომში უნივერსიტეტის მეთოდიკის წამყვანი ხაზი გახდა. სასწავლო ჯგუფების დაკომპლექტების დროს, ისევე როგორც ყველა სხვა უნივერსიტეტში, ილიაუნშიც მოქმედებს სტუდენტის ენობრივი ცოდნის დონის შემოწმების მექანიზმი, რის შემდეგაც ისინი ნაწილდებიან შესაბამისი ენობრივი კომპეტენციის მიხედვით დაყოფილ ჯგუფებში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოსამზადებელი კურსი 15 კვირის ნაცვლად მოიცავს 17 კვირას და გაზრდილია კვირაში საათობრივი დატვირთვაც: პირველ სემესტრში ეს არის 24 საათი, მეორეში - 26. თინა კიღურაძის თქმით, ამგვარი ცვლილების აუცილებლობა დადგა გამომდინარე იქედან, რომ უნივერსიტეტს აქვს საკმაოდ მაღალი შიდა ბარიერი - მოსამზადებელი კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტს ევალდებულება B2 დონის შესაბამისი ტესტის ჩაბარება, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ აგრძელებს სწავლას

საბაკალავრო პროგრამაზე. ამ მოთხოვნიდან გამომდინარე, მოსამზადებელი კურსის ხელმძღვანელი აღნიშნავს, რომ სემესტრში 15 კვირიანი სასწავლო პროგრამა არ იყო საკმარისი, ერთი წლის შემდეგ სტუდენტებს მიეღწიათ ამ დონისთვის, განსკუთრებით მათ, ვინც ნულოვანი ცოდნით მოდიოდა მოსამზადებელ პროგრამაზე (კიღურაძე, 2017).

კიდევ ერთი, რაც ილიაუნის მოსამზადებელ კურსს განასხვავებს თსუ-სა და სხვა დანარჩენი სასწავლებლების კურსიდან, არის მოსამზადებელი პროგრამის მეთოდიკა და სასწავლო მასალები. თინა კიღურაძე აღნიშნავს, რომ საშეღავათო პოლიტიკის პირველ წლებში არსებობდა ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებელთა საკადრო პრობლემა და სასწავლ მასალასთან დაკავშირებული პრობლემები. თუმცა დღეს ეს საკითხი პრობლემური აღარ არის, იმდენად რამდენადაც ყოველწლიურად მიმდინარეობს ახალი სასწავლო, ადაპტირებული მასალების შემუშავება და ძველის განახლება. მნიშვნელოვან საკითხად რჩება ქართული ენის გრამატიკის დიდაქტიზირებული ვარიანტის შემუშავება, რაც მეტად გაამარტივებს ქართულის, როგორც უცხო და მეორე ენის შესწავლას და ათვისებას სტუდენტთა მხრიდან. თინა კიღურაძის განცხადებით, 2011 წლიდან მათ შექმნეს ქართულის, როგორც უცხო ენისა და მეორე ენის მასწავლებელთა მომზადების პროგრამა და ამ პროგრამის კურსდამთავრებულები დღეს ილიაუნის მოსამზადებელი კურსის ბირთვს წარმოადგენენ. ისინი ეთნიკური უმცირესობების სტუდენტებს მათთვის მეორე ენას - ქართულს ასწავლიან უცხო ენის სწავლების თანამედროვე მეთოდებით. სწავლების მეთოდიკა მოიცავს დიდაქტიზირებულ ტექსტებსა და ვიდეო-მასალებს ანიმაციური ფილმების სახით, რომელთა საშუალებით სწავლის პროცესი გაცილებით საინტერესო

და ადვილად ასათვისებელი ხდება. არსებობს ასევე დარგობრივი ენის კურსი, რომლის საშუალებითაც სტუდენტებს უხდებათ სხვადასხვა სფეროს დარგობრივი ლექსიკის გაცნობა-დამუშავება. ილიაუნის მოსამზადებელი პროგრამის კიდევ ერთ სპეციფიკას წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ გარდა ენობრივი კომპეტენციის შესაბამისი საგნებისა, პროგრამაში შედის ისეთ კურსები, როგორიცაა მედია-კურსი, მინი პროექტების კურსი, რომლის მიზანია თეორიულად ნასწავლი მასალის პრაქტიკაში გამოყენება, ინტერაქციის ხელშეწყობა. ასევე არსებობს კულტურის კურსი. ის ეყრდნობა საქართველოს ისტორიას და წარმოდგენილია ანიმაციური ვიდეო-მასალებით. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მოსამზადებელი პროგრამა ითვალისწინებს კომპიუტერის კურსებსა და საინფორმაციო წიგნიერების კურსს, რომლის გავლის შემდეგ სტუდენტებს გაცილებით უადვილდებათ საბაკალავრო დონეზე მოთხოვნილი დავალებების შესრულება და უნივერსიტეტში არსებული დისტანციური სწავლების პროცესში ეფექტურად ჩართვა (კიღურაძე, 2017).

გარდა უშუალოდ სასწავლო კომპონენტისა, ორივე უმაღლესი სასწავლებლის მოსამზადებელი კურსის ფარგლებში ეწყობა სხვადასხვა დამატებითი აქტივობები, ტრენინგ-კურსები, ექსკურსიები თუ სხვა, რაც ხელს უწყობს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტთა მომზადებას ახალი სოციალური და აკადემიური გარემოსთვის და წარმოადგენს დამხმარე მექანიზმს ეთნიკური უმცირესობის ამ ორი ჯგუფისთვის ინტეგრაციის ხელშესაწყობად არამარტო ქართველებთან, არამედ ერთმანეთთანაც. ამ კუთხით ხორციელდება რამდენიმე პროგრამა: ფუნქციონირებს ახალგაზრდული ცენტრი, რომლის ფარგლებშიც ეწყობა სხვადასხვა ღონისძიებები, ტრენინგ-კურსები აკადემიური

უნარების ასამაღლებლად. მოქმედებს ასევე ე.წ „ტუტორთა სკოლა“, რომლის ფარგლებშიც არამხოლოდ საშეღავათო პოლიტიკით მოსარგებლე, არამედ ქართველი მაღალკურსელი სტუდენტებიც მონაწილეობენ და მოსამზადებელი კურსის სტუდენტებს ეხმარებიან თავიანთი უნივერსიტეტის და სასურველი საბაკალავრო პროგრამის შესახებ მეტი ინფორმაცია მიიღონ. ხშირად ტუტორები ნულოვანი კურსის სტუდენტებს ასწრებენ მათთვის სასურველი საბაკალავრო პროგრამის ლექციებზე, მიჰყავთ შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებში და აჩვენებენ, როგორ ხდება კონკრეტულ სფეროში მუშაობა, რაც სტუდენტებს ეხმარება, გააკეთონ მეტად ინფორმირებული არჩევანი სამომავლო პროფესიის შესახებ (გაბუნია, 2017).

დამატებითი აქტივობების ფარგლებში უნივერსიტეტებში ეწყობა სხვადასხვა ღონისძიებებიც. მაგალითად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა 2016 წლის ნოემბერში გამართა „კავკასიური საღამო“, იანვარში მოეწყო ინტელექტუალური თამაში ენისა და კულტურის კურსის ფარგლებში სტუდენტების მიერ გავლილი პროგრამის შესახებ, რომელშიც საქართველოს ისტორიის გარდა შედიოდა შეკითხვები სომხეთისა და აზერბაიჯანის ისტორიის შესახებაც (კიღურაძე, 2017). თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოსამზადებელი კურსის ფარგლებში ეწყობა შეხვედრები ცნობილ ადამიანებთან. სტუმრების შერჩევა ხდება სტუდენტთა ინტერესიდან გამომდინარეც და მიმდინარეობს საკმაოდ საინტერესო დისკუსიები სხვადასხვა მწერლებთან, სომხეთისა და აზერბაიჯანის საელჩოების წარმომადგენლებთან. ამგვარ ღონისძიებებში მონაწილეობა სტუდენტთა სურვილზეა დამოკიდებული. ამ მხრივ კი, მათი დაინტერესება ნელ-ნელა იზრდება. თსუ-ს მოსამზადებელი კურსის ხელმძღვანელს ამ

ტენდენციის ხაზგასასმელად მოჰყავს წლევანდელი მაგალითი, როდესაც „ნოვრუზ ბაირამის“ დღესასწაულზე მათ მიერ ორგანიზებულ სტუდენტთა ექსკურსიას მარნეულში საკუთარი სურვილით შეუერთდა სამოცდაათამდე სომეხი სტუდენტი, რაც ცალსახად დადებითი მოვლენა და ინტეგრაციის კუთხით წინგადადგმული ნაბიჯია (გაბუნია, 2017).

საშეღავათო პოლიტიკის სტატისტიკური მიმოხილვა

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საშეღავათო პოლიტიკა უკვე მეშვიდე წელია ფუნქციონირებს. გარკვეული სტატისტიკური ინფორმაცია ამ პროგრამის ბენეფიციართა შესახებ, რათქმაუნდა არსეობს, თუმცა ცალკეული სტატისტიკა მხოლოდ ამ პოლიტიკით მოსარგებლეთა შესახებ არ დგება, ის გაერთიანებულია გამოცდების ეროვნული ცენტრის ყოველწლიურ ანგარიშებში. ამგვარი ვითარება გარკვეულწილად ართულებს ზოგადი მაჩვენებლებიდან საშეღავათო პოლიტიკის ბენეფიციართა სტატისტიკის გამოყოფას იმ პირობებში, როდესაც აბიტურიენტთა და სტუდენტთა პირადი მონაცემები დაცულია. თუმცა ზოგადი სურათის დადგენის მიზნით, ვიხელმძღვანელებ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაციით, სადაც აბიტურიენტთა და სტუდენტთა ზოგადი სტატისტიკიდან შეგვიძლია გამოვყოთ ის აბიტურიენტები, ვინც სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე აბარებენ სკოლის საატესტატო და ზოგადი უნარების ეროვნულ გამოცდას და რეგისტრირდებიან საშეღავათო პირობებით ჩარიცხვის მსურველებს შორის. სომხურენოვანი აბიტურიენტების საერთო რაოდენობის დადგენისას გარდა იმ აბიტურიენტებისა, ვინც სამცხე-ჯავახეთში სომხურ ენაზე აბარებს საატესტატო გამოცდას, გათვალისწინებულია ახალქალაქსა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში რუსული სკოლის კურსდამთავრებულთა რიცხვიც, გამომდინარე იქედან, რომ ამ ორ მუნიციპალიტეტში რუსული სკოლის მოსწავლეთა აბსოლუტური უმრავლესობა ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელია და

მაშასადამე, საშეღავათო პოლიტიკის პოტენციური ბენეფიციარი. გარდა ამისა, სომხურენოვან აბიტურიენტთა რიცხვში შესულია ქვემო ქართლში, სომხური სკოლების კურსდამთავრებულთა რაოდენობაც.

საშეღავათო პოლიტიკის პოზიტიური შედეგები 2010 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე აისახა დარეგისტრირებული აბიტურიენტების რაოდენობის თვალსაზრისით. 2008 წელთან შედარებით გამოცდაზე დარეგისტრირებულ აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტების რაოდენობა 250-335-მდე გაიზარდა (34%-ით), ხოლო სომხურენოვანი აბიტურიენტების რაოდენობა 113-დან 253-მდე (123,8%-ით) (ტაბატაძე შ. გ., 2016).

საშეღავათო პოლიტიკის შემოღებიდან დღემდე ყოველწლიურად იმატებს მასში მონაწილე აბიტურიენტთა რაოდენობა, მაგრამ ჩარიცხულ სტუდენტთა პროცენტული წილი მათთვის გამოყოფილი კვოტირებული ადგილების მხოლოდ მცირე ნაწილს შეადგენს. (იხ. დანართი N6) ზოგადად ეს მაჩვენებელი 2010-2015 წლებში გამოყოფილი ადგილების საერთო რაოდენობის მხოლოდ 19,1%-ია, ხოლო ამ 5 წლიან ინტერვალში ათვისებული ადგილების ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი 2012 წელს დაფიქსირდა (26,04%). ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ უმცირესობათა იმ ინტელექტუალური რესურსიდან, ვინც სწავლას ვერ/არ აგრძელებს ან სასწავლებლად გადის საქართველოს გარეთ, კიდევ დიდი ნაწილი რჩება ასათვისებელი (ტაბატაძე შ. გ., 2016).

განათლების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2010 წლიდან დღემდე ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა საერთო რაოდენობა შეადგენს 3625 სტუდენტს, საიდანაც დაახლოებით 70

%-ს შეადგენენ აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტები, ხოლო დარჩენილ 30%-ს სომხურენოვნები.



წყარო: შედგენილია განათლების სამინისტროს მიერ მოწოდებული მასალის საფუძველზე

ქვემოთ მოცემული დიაგრამები გამოხატავს 2010-2016 წლებში მოსამზადებელ კურსზე ჩარიცხული სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტების რაოდენობის ცვლილებას:



წყარო: შედგენილია განათლების სამინისტროს მიერ მოწოდებული მასალის საფუძველზე



წყარო: შედგენილია განათლების სამინისტროს მიერ მოწოდებული მასალის საფუძველზე

როგორც დიაგრამებიდან ჩანს, პროგრამის ამოქმედებიდან დღემდე ორივე შემთხვევაში სტუდენტთა რაოდენობა ყოველწლიურად იმატებს, თუმცა 2010 წელს მათი რიცხვი საკმაოდ მცირე იყო, თითქმის თანაბარი სომხურ და აზერბაიჯანულენოვან სტუდენტებში, ამასთან პროგრამაში ჩარიცხულ სომხურენოვანთა რიცხვი უფრო ნელა იზრდება, ვიდრე აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტების რაოდენობა.

საინტერესო და უფრო ზუსტი იქნება, განვიხილოთ ამ სტუდენტთა რაოდენობა სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტების საერთო რაოდენობის კონტექსტში და დავადგინოთ იმ აბიტურიენტების რაოდენობა და პროცენტული ზრდის მაჩვენებელი, ვინც პროგრამის ამოქმედების პირველი წლებიდან აბარებდა ეროვნულ გამოცდას მშობლიურ ენაზე. ამაში დაგვეხმარება ქვემოთ მოცემული დიაგრამა:



წყარო: შედგენილი გამოცდების ეროვნული ცენტრის სტატისტიკური მასალის მიხედვით

აქ ნაჩვენებია, თუ როგორ შეიცვალა სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტების საერთო რაოდენობიდან იმ აბიტურიენტთა პროცენტული მაჩვენებელი 2011-დან 2016 წელს, ვინც გავიდა ზოგადი უნარების ეროვნულ გამოცდაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სომხურენოვანი აბიტურიენტების რაოდენობა მხოლოდ მცირედით ჩამორჩება აზერბაიჯანულენოვნებს. მიუხედავად იმისა, რომ გენერალური ერთობლიობა აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტებისა მათი დემოგრაფიული მაჩვენებლებიდან გამომდინარე უფრო დიდია და გაცილებით მეტი აზერბაიჯანულენოვანი მოსწავლე ამთავრებს სკოლას, ვიდრე სომხურენოვანი, სტუდენტთა ამ ორ ჯგუფს შორის მცირედი სხვაობა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ აზერბაიჯანულენოვან მოსახლეობაში გაცილებით მეტია მათი რიცხვი, ვინც სწავლას არ აგრძელებს, ვიდრე სომხურენოვნებში. ამასთან,

აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტების დათვლისას გარკვეული ცდომილებების თავიდან აცილების მიზნით, მათ რაოდენობაში განსხვავებით სომხურენოვნებისა (ახალქალაქსა და ნინოწმინდაში) არ შესულა ქვემო ქართლში არსებული რუსულენოვანი სკოლების კურსდამთავრებულები, გამომდინარე იქედან, რომ მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაცია არ იძლეოდა საშუალებას, გარკვეულიყო რუსული სკოლის კურსდამთავრებულთა ეთნიკური წარმომავლობა. (მოსწავლეთა სტატისტიკას ამ კუთხით გამოცდების ცენტრი არ ფლობს, პირადი მონაცემების გაცნობა კი, როგორიც მაგალითად, სახელი და გვარია, აკრძალულია).

როგორც დიაგრამიდან ჩანს, 2011 წელს სომხურენოვანი აბიტურიენტების საერთო რაოდენობა შეადგენდა 1239-ს, საიდანაც 17%, ანუ სულ 210 აბიტურიენტი გავიდა ზოგადი უნარების გამოცდის მშობლიურ ენაზე ჩასაბარებლად, ხოლო 2016 წელს ეროვნულ გამოცდაზე გასულთა რაოდენობა გაიზარდა როგორც აბსოლუტური მაჩვენებლით და შეადგინა 392, ასევე პროცენტულადაც, რამაც შეადგინა 2016 წელს აბიტურიენტთა საერთო რაოდენობის თითქმის მესამედი (31%).

რაც შეეხება აზერბაიჯანულენოვან აბიტურიენტებს, მათ შორის ეროვნულ გამოცდაზე გასულთა რაოდენობა პროგრამის ამოქმედების პირველ წლებში აბსულუტური და პროცენტული მაჩვენებლებითაც აჭარბებდა სომხურენოვანი აბიტურიენტების რიცხვს, ხოლო იმ აზერბაიჯანულენოვან აბიტურიენტთა პროცენტული რაოდენობა, ვინც ეროვნულ გამოცდაზე გავიდა, ამ 5 წლიან პერიოდში გაცილებით მეტად გაიზარდა (26%-დან 67%-მდე), ვიდრე სომხურენოვანი აბიტურიენტებისა და აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტების საერთო რაოდენობის 2/3-ს გადააჭარბა.

რაც შეეხება მოსამზადებელ კურსზე სომხურ და აზერბაიჯანულენოვან სტუდენტებს შორის სქესობრივ თანაფარდობას, მის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის შემდეგი დიაგრამები:



წყარო: შედგენილია განათლების სამინისტროს მიერ მოწოდებული მასალის საფუძველზე



წყარო: შედგენილია განათლების სამინისტროს მიერ მოწოდებული მასალის საფუძველზე

მოცემული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ განსხვავებით აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტებიდან, სომხურენოვან სტუდენტებში სქესობრივი სტრუქტურა დაახლოებით თანაბარია და ამასთან, სტუდენტი გოგონების რაოდენობა 2010 წლის გარდა ყოველ შემდეგ წელს აჭარბებს ვაჟთა რიცხვს. რაც შეეხება აზერბაიჯანულენოვან სტუდენტებს, მათ შემთხვევაში, 2010 წლიდან მოყოლებული სტუდენტი ბიჭების რაოდენობა ყოველ წელს აჭარბებს გოგონათა რიცხვს და ამას გარდა ეს სხვაობა გაცილებით მეტია, ვიდრე სომხურენოვან სტუდენტებში. საინტერესო იქნებოდა სქესობრივი თანაფარდობის დადგენა სომხურ და აზერბაიჯანულოენოვან აბიტურიენტებს შორის, რის შემდეგაც ამ სხვაობებზე უკეთ საუბრის საშუალება გვექნებოდა, მაგრამ გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაცია ამის საშუალებას არ იძლევა.

მნიშვნელოვანია საშეღავათო პოლიტიკის გეოგრაფიული ასპექტების გამოყოფაც, რისთვისაც საინტერესო იქნება განვიხილოთ აბიტურიენტთა და სტუდენტთა რაოდენობა რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით. დავიწყებ თბილისის განხილვით. ქვემოთ მოცემული დიაგრამები ასახავს 2011-2016 წლებში თბილისში სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტების საერთო და მათგან ზოგადი უნარების ეროვნულ გამოცდაზე დარეგისტრირებულთა რაოდენობას:



წყარო: შედგენილია გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული სტატისტიკური მასალის საფუძველზე



წყარო: შედგენილია გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული სტატისტიკური მასალის საფუძველზე

დიაგრამებიდან ჩანს, რომ 2014 წლამდე და 2016 წელს სომხურენოვან აბიტურიენტთა საერთო რაოდენობა აჭარბებს ეროვნულ გამოცდაზე დარეგისტრირებულთა რიცხვს, რაც ლოგიკურია, თუმცა 2014-2015 წლებში სომხურენოვან აბიტურიენტთა რიცხვი, ისევე როგორც 2016 წელს

აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტების რაოდენობა ეროვნულ გამოცდაზე დარეგისტრირებულთა რიცხვზე ნაკლებია, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს იმ აბიტურიენტთა რაოდენობით, ვინც ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელია, თუმცა რუსულენოვანი სკოლა დაამთავრა და გადაწყვიტა საშეღავათო პოლიტიკით ესარგებლა.

რაც შეეხება 2014 წლამდე არსებულ მდგომარეობას, დიაგრამებიდან ჩანს, რომ სომხურენოვან აბიტურიენტთა რიცხვი 2011 წელს გაცილებით მეტია, ვიდრე აზერბაჯანულენოვნების, თუმცა ზოგადი უნარების გამოცდაზე დარეგისტრირებულთა რაოდენობას თუ გავითვალისწინებთ, აბსოლუტური ციფრებით იმავე წელს ორივე ჯგუფში მათი რიცხვი დაახლოებით თანაბარია, 15 და 14 შესაბამისად სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტებიდან, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ პროცენტულ წილს აბიტურიენტთა საერთო რაოდენობიდან, აღმოჩნდება რომ აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტების თითქმის ნახევარი დარეგისტრირდა ზოგადი უნარების გამოცდაზე, მაშინ როცა სომხურენოვნებიდან ეროვნულ გამოცდაზე დარეგისტრირებულთა წილი აბიტურიენტთა საერთო რაოდენობის მესამედია. 2012-2013 წლებში კი ეს თანაფარდობა სომხურენოვნების შემთხვევაში მეტია. ზოგადად კი, 2011-2016 წლებში აბიტურიენტთა საერთო რაოდენობიდან ეროვნულ გამოცდაზე დარეგისტრირებულთა რიცხვი იზრდება თბილისის როგორც სომხურენოვან, ასევე აზერბაიჯანულენოვან აბიტურიენტებში.

რაც შეეხება რეგიონების მაჩვენებლებს, დავიწყებ სომხურენოვანი მოსახლეობით. ქვემოთ მოცემული დიაგრამა გვიჩვენებს 2011-2016 წლებში როგორ იცვლებოდა აბიტურიენტებისა და ზოგადი უნარების მშობლიურ ენაზე ჩამბარებელთა რიცხვი სამცხე-

ჯავახეთში, კერძოდ კი ახალქალაქის, ნინოწმინდისა და ახალციხის მუნიციპალიტეტებში:



წყარო: შედგენილია გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული სტატისტიკური მასალის საფუძველზე

მოცემული ინფორმაციიდან კარგად ჩანს სხვაობა მუნიციპალიტეტების მაგალითზე. 2011 წელს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სომხურენოვანი აბიტურიენტების საერთო რაოდენობის მხოლოდ 14% დარეგისტრირდა ეროვნულ გამოცდაზე, მაშინ როცა ნინოწმინდისა და ახალციხის მუნიციპალიტეტების იგივე მაჩვენებლები აღნიშნულზე გაცილებით მეტია და შეადგენს შესაბამისად 26% და 20%-ს. აღსანიშნავია ისიც, რომ სამივე მუნიციპალიტეტის შემთხვევაში 2011-დან 2016 წლამდე ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბარების მსურველთა რაოდენობა ყოველწლიურად იმატებს როგორც აბსოლუტური ციფრებით, ასევე პროცენტულადაც, თუმცა ეს ზრდა გაცილებით თვალსაჩინოა ნინოწმინდის და კიდევ უფრო მეტად ახალციხის სომხურენოვან აბიტურიენტებში, სადაც პროცენტულად უფრო მეტმა აბიტურიენტმა გამოხატა სურვილი

საშეღავათო პირობებით ჩაბარების, ვიდრე ახალქალაქის შემთხვევაში. საშეღავათო პირობებით ჩაბარების მსურველთა მაქსიმალური პროცენტული რაოდენობა ახალქალაქში დაფიქსირდა 2016 წელს და შეადგინა აბიტურიენტთა საერთო რაოდენობის 31%, ნინოწმინდაში ეს მაჩვენებელი 39%-ია, ხოლო ახალციხის შემთხვევაში - 59%. ეს სტატისტიკა მიუთითებს გარკვეულ კულტურულ-პოლიტიკურ ორიენტაციაზეც. ნინოწმინდა და ახალციხე მეტად ინტეგრირებულია დანარჩენ საქართველოსთან, ვიდრე ახალქალაქი. ამ უკანასკნელში ბევრი რუსულენოვანი სკოლაა, რომლის კურსდამთავრებულების მნიშვნელოვანი ნაწილი სწავლას ძირითადად სომხეთში ან რუსეთში აგრძელებს. აქედან გამომდინარე, ამ მუნიციპალიტეტის სოციალურ-კულტურული ორიენტაცია სომხეთი და რუსეთი მეტადაა, ვიდრე საქართველო.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში სომხურენოვან აბიტურიენტთა რაოდენობა ძალიან მცირეა ასპინძისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტში, თუმცა ქვემოთ მოცემული დიაგრამა ადასტურებს, რომ ამ აბიტურიენტთა საერთო რაოდენობიდან ბოლო წლებში პროცენტულად გაცილებით მეტი რეგისტრირდება ეროვნულ გამოცდაზე, ვიდრე მაგალითად ახალქალაქიდან. ბორჯომის მუნიციპალიტეტში ამ აბიტურიენტთა შედარებითი სიმცირე შესაძლოა გამოწვეული იყოს იმით, რომ ამ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები სახელმწიფო ენას უკეთ ფლობენ, შესაძლოა მათი ნაწილი განათლებას ქართულ სკოლებშიც იღებდნენ და შესაბამისად, საშეღავათო პირობებით ჩარიცხვის მსურველი უფრო ნაკლები იყოს.



წყარო: შედგენილია გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული სტატისტიკური მასალის საფუძველზე

რაც შეეხება სომხურენოვან აბიტურიენტებს ქვემო ქართლის რეგიონიდან, მათი სტატისტიკური მაჩვენებლები მუნიციპალიტეტების მიხედვით შემდეგნაირია:



წყარო: შედგენილია გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული სტატისტიკური მასალის საფუძველზე

როგორც დიაგრამა გვიჩვენებს, საშეღავათო პოლიტიკის ამოქმედების პირველ წლებში აბიტურიენტთა საერთო რაოდენობიდან ეროვნულ გამოცდაზე დარეგისტრირებულთა რიცხვი საკმაოდ მცირე იყო ბოლნისსა და მარნეულში, პროცენტულადაც მათი რაოდენობა შედარებით ნელა იზრდებოდა. რაც შეეხება წალკის მუნიციპალიტეტს, განსხვავებით ბოლნისისა და მარნეულისგან, პირველივე წელს პროცენტულად გაცილებით მეტი აბიტურიენტი (30%) დარეგისტრირდა ზოგადი უნარების გამოცდაზე, შემდგომ წლებშიც მათი წილი კიდევ უფრო გაიზარდა და მაქსიმუმს 2014-2015 წლებში მიაღწია, როდესაც აბიტურიენტთა საერთო რაოდენობის 48% შეადგინა. მსგავსი პროცენტული მაჩვენებელი ბოლნისშიც დაფიქსირდა 2015 წელს (47%), ხოლო მარნეულში ყოველწლიურად თანდათანობითი ზრდის საფუძველზე, ეროვნულ გამოცდაზე დარეგისტრირებულ აბიტურიენტთა მაქსიმალურმა მაჩვენებელმა 2016 წელს მიაღწია 38%-ს. თუ შევადარებთ ჯავახეთისა და ქვემო ქართლის სომხურენოვან აბიტურიენტთა სტატისტიკას, აღმოჩნდება, რომ ჯავახეთიდან, კერძოდ ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებიდან პროცენტულად უფრო ნაკლები აბიტურიენტი გამოთქვამს საქართველოში ჩაბარების სურვილს, ვიდრე ქვემო ქართლის სომხურენოვანი აბიტურიენტებიდან.

ახლა განვიხილოთ გეოგრაფიული სხვაობები აზერბაიჯანულენოვან სტუდენტებში. ქვემოთ მოცემული დიაგრამა გვიჩვენებს 2011-2016 წლებში მათ აბსოლუტურ და პროცენტულ მაჩვენებლებს მუნიციპალიტეტების მიხედვით:



წყარო: შედგენილია გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული სტატისტიკური მასალის საფუძველზე

როგორც დიაგრამა გვიჩვენებს, აზერბაიჯანულენოვან აბიტურიენტებში ეროვნულ გამოცდაზე დარეგისტრირებულთა პროცენტული მაჩვენებლით 2011 წელს ლიდერობს გარდაბნის მუნიციპალიტეტი, თუმცა ყველა სხვა დანარჩენშიც მსგავსად გარდაბნისა ყოველწლიურად მნიშვნელოვნად იმატებს ამ აბიტურიენტთა რიცხობრივი და პროცენტული მაჩვენებელი. უკვე 2013 წლიდან ყველა მუნიციპალიტეტში აბიტურიენტთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი აბარებს ეროვნულ გამოცდას. ბოლო წლებში კი მათი რაოდენობა კიდევ უფრო იზრდება და მაქსიმუმს აღწევს დმანისის შემთხვევაში 2016 წელს (71%), გარდაბანში - 2014 წელს და შეადგენს 66%-ს, ბოლნისში იგივე მაქსიმალური მაჩვენებელი ფიქსირდება 2016 წელს (69%), ხოლო მარნეულის

მაჩვენებელი აჭარბებს ყველა სხვა დანარჩენს და 2016 წელს შეადგენს აბიტურიენტთა საერთო რაოდენობის მაქსიმუმს - 80%-ს.

თუ 2011-2016 წლებში ზოგადად სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან აბიტურიენტებს შევადარებთ, ვნახავთ რომ იმ აბიტურიენტების პროცენტული წილი, ვინც საშეღავათო პოლიტიკის პირობებით სარგებლობს, გაცილებით მეტია აზერბაიჯანულენოვან მოსახლეობას შორის, ვიდრე სომხურენოვნებში (იხ. დანართი N7 და N8), თუმცა ზემოთ ნაჩვენები დიაგრამებით ცხადია, რომ ორივე შემთხვევაში ბოლო 5 წლის მანძილზე ეროვნულ გამოცდაზე დარეგისტრირებულთა რაოდენობა სომხურენოვნებში შედარებით ნელა, ხოლო აზერბაიჯანულენოვან აბიტურიენტებში სწრაფად იმატებს. ამ მოვლენის ახსნა შესაძლებელია გეოგრაფიული, კონკრეტულად კი თბილისთან სიახლოვის ფაქტორიდან. ქვემო ქართლის მოსახლეობას მეტად აქვს ურთიერთობა თბილისთან და აქედან გამომდინარე ქართულ საზოგადოებასთან. ამ რეგიონის მოსახლეობის ინტეგრაციის დონეც ჯავახეთთან შედარებით, მაღალია, რაც თავისთავად დადებითად მოქმედებს აბიტურიენტთა არჩევანზე. აქვე შეიძლება ვახსენოთ სოციალურ-პოლიტიკური ორიენტაცია, რომელიც აზერბაიჯანულენოვან მოსახლეობას მეტად განაწყობს საქართველოში სწავლის გაგრძელებისკენ, ვიდრე სომხურენოვნებს.

განვიხილოთ საკუთრივ ზოგადი უნარების ეროვნულ გამოცდაზე საშეღავათო პირობებით მოსარგებლე აბიტურიენტთა შედეგებიც 2010-2016 წლებში. აქ საინტერესო იქნება გეოგრაფიული ასპექტის გამოყოფა, ამიტომ აბიტურიენტების მაჩვენებლებს წარმოვადგენ ისევ მუნიციპალიტეტების მიხედვით. დასაწყისში განვიხილავ აბიტურიენტებს თბილისიდან:



წყარო: შედგენილია გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული სტატისტიკური მასალის საფუძველზე



წყარო: შედგენილია გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული სტატისტიკური მასალის საფუძველზე

მოცემული დიაგრამებიდან ჩანს, რომ სომხურენოვანი აბიტურიენტების მაჩვენებლები თითქმის უცვლელია, სხვაობა 6 წლის განმავლობაში გამოცდაზე ჩარიცხულ, გამოცდა ჩაბარებულ და გრანტოსან აბიტურიენტებში მინიმალურია, რასაც ვერ ვიტყვით

აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტების შემთხვევაში. ზოგადი უნარების გამოცდაზე გასულთა რაოდენობა 2010 წლიდან 2016 წლამდე 3-ჯერ გაიზარდა, თუმცა იმ აბიტურიენტთა პროცენტული წილი, ვინც მოიპოვა სწავლის გაგრძელება და მიიღო სახელმწიფო დაფინანსება, აზერბაიჯანულენოვან სტუდენტებში გაცილებით მცირეა: გამოცდაზე გასულთა თითქმის მხოლოდ მესამედმა მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება 2010 წელს, მაშინ როცა სომხურენოვან აბიტურიენტებში გამოცდაზე გასულთა და ჩაბარებულთა შორის სხვაობა მხოლოდ 6 აბიტურიენტია. 2016 წელს ეროვნულ გამოცდაზე გასულ სომხურენოვან აბიტურენტთა რიცხვი თითქმის იგივე დარჩა, ხოლო გამოცდა 18 აბიტურიენტიდან უმრავლესობამ - 15-მა ჩააბარა. რაც შეეხება აზერბაიჯანულენოვან აბიტურიენტებს, 2016 წელს მათი რაოდენობა 3-ჯერ გაიზარდა, საერთო რაოდენობიდან კი მხოლოდ ნახევარმა შეძლო სწავლის გაგრძელება. რაც შეეხება დაფინანსებას, ორივე წელს სომხურ და აზერბაიჯანულენოვან აბიტურიენტებში გრანტოსანთა რაოდენობა თითქმის თანაბარია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ჩარიცხულ სტუდენტთა შორის სხვაობას, 2016 წელს პროცენტულად უფრო მეტმა სომხურენოვანმა აბიტურიენტმა მიიღო გრანტი (15-დან 5-მა, ანუ მესამედმა), ვიდრე აზერბაიჯანულენოვნებმა (34-დან 6-მა), რაც დაახლოებით ჩარიცხულთა საერთო რაოდენობის 18%-ია.

რაც შეეხება სომხურენოვან აბიტურიენტებს სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებიდან, მათი შედეგების შესახებ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ქვემოთ მოტანილი დიაგრამიდან:



წყარო: შედგენილია გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული სტატისტიკური მასალის საფუძველზე

მოცემული დიაგრამიდან ჩანს, რომ ეროვნულ გამოცდაზე გასული აბიტურიენტების საერთო რაოდენობიდან სწავლის გაგრძელების უფლების მქონე სტუდენტების რაოდენობით 2010 წელს საუკეთესო მაჩვენებელი აქვს ახალქალაქის მუნიციპალიტეტს (51 სტუდენტი), მაგრამ თუ მუნიციპალიტეტებს შევადარებთ გამოცდაჩაბარებული სტუდენტების პროცენტული რაოდენობით აბიტურიენტთა საერთო რიცხვიდან, ამ მხრივ 2010 წელს საუკეთესო მაჩვენებლი აქვს ახალციხესა და წალკას, ორივე შემთხვევაში 18 აბიტურიენტიდან 11 (61%) გახდა სტუდენტი. რაც შეეხება გრანტოსან სტუდენტთა რაოდენობას 2010 წელს, ამ მხრივ საუკეთესო მაჩვენებელი აქვს ახალციხეს, სადაც სწავლის გაგრძელების უფლების მქონე ყველა სტუდენტი ამავდროულად გრანტოსანი იყო. თითქმის იგივე მაჩვენებელი აქვს ახალქალაქსა და ნინოწმინდას, სადაც შესაბამისად 51 და 24 ჩარიცხული აბიტურიენტიდან 50-მა და 23-მმა მოიპოვა დაფინანსება. წალკაში ჩარიცხულ და დაფინანსებულ სტუდენტთა შორის სხვაობა კი იმავე წელს მხოლოდ 2 იყო.

რაც შეეხება 2016 წლის მონაცემებს, ოთხივე მუნიციპალიტეტის შემთხვევაში გამოცდაზე გასულ და გამოცდაჩაბარებულ აბიტურიენტთა რაოდენობა აბსოლუტური მაჩვენებლებით მნიშვნელოვნად გაიზარდა, თუმცა აბიტურიენტთა რაოდენობის გაზრდის პირობებში 2010 წელთან შედარებით შეიცვალა სწავლის გაგრძელების უფლების მქონე აბიტურიენტთა პროცენტული რაოდენობა, კონკრეტულად მათმა წილმა იკლო ახალქალაქისა და ახალციხის მუნიციპალიტეტებში, ხოლო ნინოწმინდასა და წალკაში - მოიმატა. რაც შეეხება დაფინანსებულ სტუდენტთა წილს, კონკურენციის გაზრდის პირობებში, 2016 წელს ოთხივე მუნიციპალიტეტში გრანტოსან სტუდენტთა პროცენტულმა რაოდენობამ გამოცდაზე გასულთა საერთო რაოდენობიდან მნიშვნელოვნად იკლო, კერძოდ: ახალქალაქში დაფინანსებული სტუდენტების წილმა შეადგინა 35%, ნინოწმინდაში - 23%, ახალციხეში - 47%, ხოლო წალკაში - 22%.

აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტების ეროვნულ გამოცდაზე დაფიქსირებული შედეგების შესახებ წარმოდგენას გვიქმნის შემდეგი დიაგრამა:



წყარო: შედგენილია გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული სტატისტიკური მასალის საფუძველზე

დიაგრამიდან ჩანს, თუ როგორ გაიზარდა 2010-დან 2016 წლამდე ეროვნულ გამოცდაზე გასული აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტების საერთო რაოდენობა ოთხივე მუნიციპალიტეტში, შესაბამისად გაიზარდა სწავლის გაგრძელების უფლების მქონეთა რიცხვიც. 2010 წლიდან 2016 წლამდე ეროვნულ გამოცდაზე გასულთა რაოდენობა მარნეულში გაიზარდა 3,5-ჯერ, ბოლნისში - 2,5-ჯერ, გარდაბანში - 3-ჯერ, ხოლო დმანისში - 5-ჯერ. რაც შეეხება გამოცდაჩაბარებულთა პროცენტულ რაოდენობას, ეს მაჩვენებელი გამოცდაზე გასული აბიტურიენტების რიცხვის ზრდასთან ერთად ოთხივე მუნიციპალიტეტში შემცირდა. კერძოდ მარნეულში, გარდაბანსა და დმანისში 3 %-ით, ხოლო ბოლნისში - 6%-ით. მოცემულ 6 წელიწადში მნიშვნელოვნად იკლო გამოცდაჩაბარებულ აბიტურიენტთა შორის გრანტოსან სტუდენტთა წილმაც. კლების მაჩვენებლები თითოეული მუნიციპალიტეტისთვის მოცემულია შემდეგ ცხრილში:

გრანტოსანთა წილის ცვლილება აზერბაიჯანულენოვან სტუდენტებში				
წელი/მუნიციპალიტეტი	მარნეული	ბოლნისი	გარდაბანი	დმანისი
2010	58%	48%	63%	33%
2016	16%	11%	15%	7%
კლება	42%	37%	48%	26%

(შედგენილია გამოცდების ეროვნული ცენტრის მასალის მიხედვით)

ცხრილიდან ჩანს, რომ გრანტოსანთა პროცენტული რაოდენობა ყველაზე მეტად შემცირდა გარდაბნის მუნიციპალიტეტში, ხოლო შედარებით ნაკლებად - დმანისში. დაფინანსების მქონე სტუდენტთა წილის ამგვარი კლება მიგვანიშნებს ბოლო წლებში კონკურენციის მნიშვნელოვან ზრდაზე.

ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი კურსის გავლის შემდეგ სტუდენტები შესაბამისი უნივერსიტეტის მათთვის სასურველ საბაკალავრო პროგრამაზე აგრძელებენ სწავლას. ქვემოთ მოცემულია დიაგრამა, რომელიც ასახავს იმ სომხურ და აზერბაიჯანულენოვან სტუდენტთა რაოდენობასა და სქესობრივ თანაფარდობას, ვინც 2011-2016 წლებში სწავლა გააგრძელა ბაკალავრიატში:

წყარო: შედგენილია განათლების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე

დიაგრამაში მოცემული ინფორმაციიდან ჩანს, რომ 2011-2016 წელს საბაკალავრო დონეზე სასწავლებლად სულ გადავიდა 2455 სტუდენტი, მათგან ნახევარზე მეტნი არიან აზერბაჯანულენოვანი სტუდენტები, ხოლო სომხურენოვანთა რიცხვი მხოლოდ 757-ს შეადგენს. ამასთან, თუ სქესობრივ თანაფარდობას დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ სომხურენოვან სტუდენტებში ვაჟებისა და გოგონების რაოდენობა ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად არ განსხვავდება, სტუდენტი გოგონები ვაჟებს მხოლოდ 71 ერთეულით აჭარბებენ, მაშინ როცა აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტებიდან გოგონებსა და ბიჭებს შორის სხვაობა 384-ს შეადგენს ბიჭების სასარგებლოდ.

რაც შეეხება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომლებზეც ვრცელდება კვოტირების სისტემა და საშეღავათო პოლიტიკის ფარგლებში ჩარიცხულ სტუდენტებს შეუძლიათ მოსამზადებელი კურსის გავლასთან ერთად საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება, მათი რაოდენობა სულ 30-ია, (იხ. დანართი N9) მათ შორისაა სახელმწიფო და კერძო

უნივერსიტეტები როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში. თუმცა თუ თვალს გადავავლებთ სტატისტიკას, გამოჩნდება, რომ საშეღავათო პოლიტიკის ბენეფიციარი სტუდენტები მხოლოდ 15 მათგანში სწავლობენ და უნივერსიტეტებს შორის მათი რაოდენობა საკმაოდ არათანაბარია.

სტუდენტები მეტწილად უპირატესობას ანიჭებენ თბილისსა და მათ მშობლიურ რეგიონში კონცენტრირებულ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებს, ხოლო თბილისის გარეთ სხვა რეგიონებში არსებულ უნივერსიტეტებში (მაგ: ბათუმსა და ქუთაისში) სტუდენტთა რაოდენობა მიზერულია. ამ ტენდენციას კარგად გამოხატავს ქვემოთ მოცემული დიაგრამა, სადაც სტუდენტთა რაოდენობით უმაღლესი სასწავლებლების პირველი ხუთეულია მოცემული:



წყარო: შედგენილია განათლების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე

დიაგრამა გვიჩვენებს, რომ საშეღავათო პირობებით ჩარიცხული სტუდენტების უმრავლესობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობს. სტუდენტთა რაოდენობით უმაღლესი

სასწავლებლების პირველ ხუთეულში მეორე ადგილს იკავებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, შემდეგ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. ხუთეულშია ასევე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი. აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ თსუ სტუდენტთა რაოდენობით ბევრად აღემატება დანარჩენ ოთხეულს, სადაც მეტნაკლებად თანაბარია მათი რიცხვი. თსუ-ს სტუდენტთა რაოდენობა კი საშუალოდ დაახლოებით 900-1000 სტუდენტით აჭარბებს ხუთეულის დანარჩენ უმაღლეს სასწავლებლებს. სტუდენტთა მიერ 2014-2015 წლებში გაკეთებულ არჩევანს უმაღლესი სასწავლებლის შესახებ გამოხატავს ასევე შემდეგი ცხრილი:

--	ჩარიცხვა(გამოცდ.ცენტრ) 2014	ჩარიცხვა(გამოცდ.ცენტრ) 2015	რეგისტრაცია ერთწლიან პროგრამაზე 2014	რეგისტრაცია ერთწლიან პროგრამაზე 2015
თსუ	314	309	264	247
საქ.ტექნ.უნი	123	172	94	129
ბათუმი	3	0	3	0
გორი	0	0	0	0
სამცხე-ჯავახეთი	52	55	44	41
სამედიცინო	52	52	46	44
ილიაუნი	114	140	114	140
სხვა უნივერსიტეტები	40	72	40	72
სულ:	698	800	605	667

წყარო: „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი“

ამ ცხრილიდან დასტურდება უნივერსიტეტების არჩევის ზემოთ ხსენებული ტენდენცია, მაგრამ გამომდინარე იქედან, რომ ცხრილში ასევე აღწერილია ერთწლიან პროგრამაზე მოცემულ წლებში დარეგისტრირებულ სტუდენტთა რაოდენობაც, გვაქვს საშუალება შევნიშნოთ კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი: ერთიანი

ეროვნული გამოცდების შედეგად ცარიცხული სტუდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი აღარ აგრძელებს სწავლას ქართული ენის პროგრამაზე. კერძოდ, 2014 წ. ჩარიცხული სტუდენტების დაახლოებით 14%-მა აღარ გააგრძელა სწავლა ერთწლიან პროგრამაზე, 2015 წელს კი ეს მაჩვენებელი 17% გახდა. ეს მოვლენა აიხსნება იმით, რომ ეროვნულ გამოცდაზე დაფინანსების მოსაპოვებლად რეგისტრირდებიან მოქმედი სტუდენტებიც. გამოცდის ჩაბარების შემდეგ, მიიღებენ თუ ვერ მიიღებენ გრანტს, აგრძელებენ სწავლას პირდაპირ საბაკალავრო პროგრამაზე. შესაბამისად, ისინი ფორმალურად იკავებენ უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილ ადგილებს, რომელიც შემდეგ ვეღარ ივსება. მაგ: 2014 და 2015 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მიიღო შესაბამისად 314 და 309 სტუდენტი, თუმცა მოსამზადებელ პროგრამაზე წლების შესაბამისად დარეგისტრირდა 264 და 247 სტუდენტი. შედეგად, ერთი მხრივ უნივერსიტეტმა ვერ შეავსო ადგილები, ხოლო მეორე მხრივ, სტუდენტები, ვისაც სურდათ ამ უნივერსიტეტში მოხვედრა, გადანაწილდნენ სხვა სასწავლებლებში. (ტაბატაძე შ. გ., 2016)

საინტერესოა განვიხილოთ ის ფაკულტეტები, რომლებიც ყველაზე მეტად პოპულარული და მოთხოვნადია პროგრამის სტუდენტებს შორის. ქვემოთ მოცემულია მოთხოვნადი უნივერსიტეტების მიხედვით საბაკალავრო პროგრამათა პირველული სამეული, სადაც საშეღავათო პირობებით ჩარიცხული ყველაზე მეტი სტუდენტი სწავლობს, როგორც სომხურ ასევე აზერბაიჯანულენოვანი:



წყარო: შედგენილია განათლების სამინისტროს მიერ მოწოდებული მონაცემების საფუძველზე

დიაგრამიდან ჩანს, რომ განსაკუთრებით მოთხოვნადი საბაკალავრო პროგრამა, რომელიც უნივერსიტეტების პირველული ხუთეულიდან ოთხი უნივერსიტეტის სამეულში შედის, არის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი. იურიდიული და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი მოთხოვნადია თსუ-სა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტებში. ასევე სტუდენტთა დიდი ნაწილი სწავლობს ინფორმატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამებზე საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და ილიაუნში. რაც შეეხება სამედიცინო უნივერსიტეტს, აქ ცხადია სტუდენტთა რაოდენობით ლიდერობს მედიცინის მიმართულება. უნდა ითქვას ისიც, რომ საშეღავათო პოლიტიკით მოსარგებლე სტუდენტთა ორივე ჯგუფში საკმაოდ ხშირად გვხვდება დიპლომირებული მედიკოსის საბაკალავრო პროგრამა.

განათლების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, აზერბაიჯანულენოვან და სომხურენოვან სტუდენტებში მათ მიერ არჩეული ფაკულტეტებს შორის დიდი სხვაობა არ არის, ორივე ჯგუფისთვის ერთნაირად მოთხოვნადია ზემოთ ხსენებული ეკონომიკისა და ბიზნესის, სამართლის, ინფორმატიკის და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საბაკალავრო პროგრამები, სხვაობა მეტწილად არის ამ ორ ჯგუფში სტუდენტ გოგონებსა და ბიჭებს შორის. გოგონებში პოპულარულ ფაკულტეტთა ამ ჩამონათვალს როგორც სომხურ ასევე აზერბაიჯანულენოვან სტუდენტებში ემატება ფილოლოგიის ფაკულტეტი. რაც შეეხება შედარებით ახალ საბაკალავრო პროგრამებს, როგორიცაა მაგ: საერთაშორისო ურთიერთობები, პოპულარული ხდება ბოლო წლებში, განსაკუთრებით სომხურენოვან სტუდენტებში, თუმცა მათი რაოდენობა სხვა ფაკულტეტების სტუდენტებთან შედარებით ძალიან მცირეა. აქ უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ამ პროგრამაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად სტუდენტებს შიდა კონკურენციის გადალახვაც უწევთ, მაშინ როცა ყველა სხვა საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელებას მოსამზადებელი კურსის შემდეგ ჩვეულებრივ, შიდა გამოცდის გარეშე აგრძელებენ. შესაძლოა ეს მიმართულება უფრო მეტი პოპულარობითაც სარგებლობდეს, მაგრამ შიდა კონკურენციის გადალახვას ბევრი სტუდენტი ვერ ახერხებს.

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩაბარების მონაცემებთან შედარებით, დიდია სტუდენტთა მიერ სწავლის მიტოვების მაჩვენებლები. 2010 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 156 სტუდენტი ჩაირიცხა, ხოლო საბაკალავრო პროგრამის დასრულება 2015 წელს მათგან მხოლოდ 23-მა, ანუ 14,8%-მა შეძლო (ტაბატაძე შ. გ., 2016). ამ პრობლემას 2 ძირითადი

მიზეზი აქვს: პირველი ის, რომ სწავლის მიტოვების შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება უკავშირდებოდეს სტუდენტთა ოჯახების პრობლემურ ფინანსურ მდგომარეობას, განსაკუთრებით მათ შემთხვევაში, ვისაც სახელმწიფო გრანტი არ აქვს და მეორე, ამ გადაწყვეტილების უფრო მეტად განმაპირობებელი მიზეზი არის ის, რომ სტუდენტთა უმრავლესობას მიუხედავად ერთწლიანი მოსამზადებელი კურსისა, უჭირს საბაკალავრო პროგრამების დაძლევა, რის გამოც იძულებულნი არიან სწავლა შეწყვიტონ. ეს ფაქტი მიუთითებს პროგრამის გარკვეულ თვისობრივ ნაკლზე, რაზეც უფრო ვრცლად ქვემოთ, კვლევის შედეგების ანალიზისას ვისაუბრებ.

საშეღავათო პოლიტიკის თვისებრივი მხარეები

როგორც ნაშრომის შესავალში იქნა აღნიშნული, საშეღავათო პოლიტიკის სოციალურ-გეოგრაფიული ასპექტების გამოსავლენად გარდა სალიტერატურო და სტატისტიკური მეთოდებისა, გამოყენებულ იქნა თვისებრივი სოციოლოგიური კვლევაც.

ქვემოთ წარმოვადგენ კვლევის ფარგლებში განხილულ საკითხებსა და დისკუსიების შედეგად მათ ირგვლივ გამოვლენილ ასპექტებს:

ჯგუფური დისკუსიების შედეგად ირკვევა, რომ შეღავათიანი პირობებით ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის შესაძლებლობის შესახებ ინფორმაციას სტუდენტები იღებენ ამ პოლიტიკით უკვე მოსარგებლე მათი ოჯახის წევრებისგან (და ან ძმა), ნათესავებისგან, მათი სკოლის კურსდამთავრებულებისგან და მეგობრებისგან. ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს ასევე წარმოადგენენ სკოლის მასწავლებლები, მეტწილად თბილისიდან დამხმარე/მოხალისე მასწავლებლებად ჩასული ქართული ენის სპეციალისტები, რომლებიც აბიტურიენტებს საშეღავათო პოლიტიკის პირობებში გარკვევასა და ჩარიცხვისთვის საჭირო საბუთების მომზადებაშიც ეხმარებიან. საშეღავათო პოლიტიკის შემოღებამდე მნიშვნელოვანი ენობრივი ბარიერის გამო ერთადერთ ალტერნატივას ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთათვის წარმოადგენდა სწავლის გაგრძელება ერევანსა და ბაქოში, ხოლო იმ აბიტურიენტებს, ვის ოჯახსაც ამისთვის შესაბამისი ფინანსური რესურსი არ გააჩნდა, არჩევანი არ ჰქონდა, მათ უარი უნდა ეთქვათ უმაღლესი განათლების მიღებაზე. როგორც სტუდენტები აღნიშნავენ, ერევანსა და ბაქოში სწავლის გაგრძელება მათთვის წარმოადგენდა არა იმდენად სასურველ ალტერნატივას, არამედ არსებული სიტუაციიდან ერთადერთ

გამოსავალს უმაღლესი განათლების მისაღებად იმის მიუხედავად, რომ ამ ქალაქებში სწავლა გაცილებით მეტ ფინანსურ რესურსს მოითხოვს და ამასთან, ჩარიცხვისა და სწავლის პროცესში არსებობს მექრთამეობის სერიოზული პრობლემები. გამოკითხულ სტუდენტთაგან ბევრი აღნიშნავს, რომ 1+4 პროგრამის შექმნის შემდეგ მათთვის ერევანსა და ბაქოში სწავლა „ვარიანტებიდან ამოვარდა“, ხშირად მეორდება შემდეგი ფრაზა: „რატომ წავიდე სხვაგან, როცა ჩემს ქვეყანაში სწავლა უკვე შემიძლია“. სტუდენტებისთვის ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბარების მთავარ მოტივაციად დასახელდა პროგრამის ფარგლებში არსებული დაფინანსების მიღების შესაძლებლობა. ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს: „გრანტი რომ ავიღე, სხვაგან სწავლის გაგრძელებაზე აღარც მიფიქრია“. დაფინანსების არსებობა გახდა მნიშვნელოვანი ფაქტორი იმ აბიტურიენტებისთვის, ვისაც სწავლის გასაგრძელებლად შესაბამის ფინანსებზე ხელი არ მიუწვდებოდათ. დისკუსიებში ხშირად აღინიშნა შემდეგი: „გრანტი რომ არ ამეღო, სწავლას ვერ გავაგრძელებდი, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მინდოდა. ჩვენი სოფლებიდან ასეთი ბევრია.“

როგორც სომხურ, ასევე აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტების უდიდესი ნაწილი ყურადღებას ამახვილებს საქართველოს გარეთ სწავლის მნიშვნელოვან უარყოფით ასპექტზე, კერძოდ ისინი ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ სომხეთსა და აზერბაიჯანში სწავლა მათთვის სულაც არ არის პერსპექტული, გამომდინარე იქედან, რომ საქართველოში დაბრუნების შემდეგ ისევ პრობლემად რჩება ენობრივი ბარიერი, რაც დასაქმებაში ხელს უშლით. სომხეთსა და აზერბაიჯანში დასაქმება და მოქალაქეობის მიღება კი საქართველოს მოქალაქე სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობისთვის ფაქტობრივად გამორიცხულია. ამ საკითხზე

მსჯელობის დროს ერთ-ერთი ახალქალაქელი რესპონდენტი აღნიშნავს: „კლასში სულ 27 ვიყავით, აქედან მხოლოდ ორნი ვართ თბილისში. დანარჩენი სომხეთში წავიდა. მერე ბრუნდებიან, ქართული ისევ არ იციან და სახელმწიფოს ადანაშაულებენ, სომხებს სამსახურს არ გვაძლევენო“. ეს სტუდენტი კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემაზე მიუთითებს: საშეღავათო პოლიტიკის ამოქმედების მიუხედავად სხვა მუნიციპალიტეტებისგან განსხვავებით, აქ მოსახლეობის დამოკიდებულება რთულად იცვლება. რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ვითარება განსაკუთრებით შეიცვალა მაშინ, როდესაც არაქართულენოვან სკოლებში განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა ქართულ ენაზე, კერძოდ გაიზარდა ქართულის სწავლების საათები და დაიწყო ადმინისტრაციული დოკუმენტების შემუშავება სახელმწიფო ენაზე. ეს ყველაფერი ადგილობრივმა მოსახლეობამ აღიქვა, როგორც სომხური სკოლებისა და ენისადმი მტრული დამოკიდებულება და განეწყვნენ აგრესიულად ქართულის სწავლისადმი. რესპონდენტი აღნიშნავს: „ეს ყველაფერი იმის მაგივრად, რომ გარკვეულწილად მადლობლები ვიყოთ საქართველოში სომხურად სწავლა რომ შეგვიძლია“. ამგვარი ვითარება ცხადია, უარყოფითად მოქმედებს მოქალაქეთა დამოკიდებულებაზე სახელმწიფოს მიმართ, იწვევს გაუცხოებასა და პრობლემებს ინტეგრაციის კუთხით. ეს ფაქტი კი კიდევ უფრო ამყარებს იმის აუცილებლობას, რომ ახალაქალაქში ინტეგრაციის ხელშეწყობის კუთხით სერიოზული მუშაობაა საჭირო.

რამდენიმე სტუდენტი დისკუსიის ფარგლებში ახსენებს იმასაც, რომ საშეღავათო პოლიტიკის შემოღების მიუხედავად, ის მაინც ეცდებოდა 4 გამოცდით ქართულ უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრას. ამას ხაზს უსვამს გამოკითხულ სტუდენტთა ის

უმნიშვნელო ნაწილი, ვინც სკოლაში სწავლის პერიოდშიც ნორმალურად ფლობდა ქართულ ენას და ჰქონდა ქართულ საზოგადოებასთან ურთიერთობის გამოცდილება სხვადასხვა სასკოლო გაცვლითი პროგრამისა თუ პროექტის მეშვეობით. ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს: „როცა მოსწავლე ვიყავი, სკოლების გაცვლითი პროგრამით წავედი ბათუმში. იქ გატარებული 3 თვე დამეხმარა საუბრის გაუმჯობესებაში და თუ მანამდე სწავლის გაგრძელებას ერევანში ვაპირებდი, მერე გადავწყვიტე თბილისში ჩამებარებინა ამ პროგრამით“. საშეღავათო პოლიტიკის შემოღება აღმოჩნდა გარდამტეხი გამოკითხულ სტუდენტთა არჩევანის გაკეთების დროს. როგორც დისკუსიებიდან ჩანს, გადაწყვეტილების მიღებას აბიტურიენტებს ერთგვარად უიოლებენ მშობლები, რომლებიც მათ ნებისმიერ არჩევანს განათლების მიღების კუთხით, მხარს უჭერენ. ერთ-ერთი რესპონდენტი ხაზს უსვამს მშობლების დამოკიდებულებას: „სადაც გინდა იქ ისწავლე, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, ოღონდ ისწავლე და განათლება გქონდეს“. რიგ შემთხვევებში გამოიკვეთა მშობელთა ის კატეგორიაც, ვინც ურჩევდა შვილს, თბილისში მიეღო განათლება. ამგვარი მიდგომის საფუძველი კი იყო ის, რომ თავად მშობელსაც ქართული განათლება ჰქონდა, ან დასაქმების მომავალი პერსპექტივისთვის აცნობიერებდა თბილისში განათლების მიღების მნიშვნელობას. მშობელთა ეს მიდგომა გამოიკვეთა უნივერსიტეტებისა და ფაკულტეტების არჩევის დროსაც. აღმოჩნდა, რომ განსაკუთრებით დიდი ცნობადობით აბიტურიენტებსა და მათი მშობლების თაობაში სარგებლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. იყო შემთხვევა, როდესაც მშობელმა შვილისგან დამოუკიდებლადაც მიიღო გადაწყვეტილება თსუ-ს არჩევის შესახებ. რაც შეეხება ილიას სახელმწიფო

უნივერსიტეტს, საშეღავათო პოლიტიკის ამოქმედების პირველ წლებში მის შესახებ ინფორმირებული აბიტურიენტთა მხოლოდ მცირე ნაწილი იყო, რაც გამოვლინდა ილიას უნივერსიტეტის მოსამზადებელი კურსის ხელმძღვანელთან საუბრისას. ქ/ნ თინა კიღურაძე აღნიშნავს, რომ პირველ 2 წელს ჯამში მხოლოდ 10 სტუდენტი ჩაირიცხა საშეღავათო პირობებით, რის შემდეგაც უნივერსიტეტის წარმომადგენლობამ ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში დაიწყო უნივერსიტეტის შესახებ საინფორმაციო კამპანია, რამაც თანდათან გაზარდა საშეღავათო პოლიტიკით ილიაუნში ჩარიცხულთა კონტიგენტი. ერთ-ერთი რესპონდენტი სწორედ ამ ფაქტს აღნიშნავს მისი არჩევანის განმაპირობებლად: „ჩვენთან, სადახლოს სკოლაში მოსული იყო პიროვნება ილიაუნიდან, ვინც გაგვაცნო 1+4 პროგრამა და მეც ამის შემდეგ მივიღე გადაწყვეტილება“.

ფაკულტეტების არჩევის შესახებ დისკუსიის შედეგები ადასტურებს ამ მხრივ არსებულ სტატისტიკას და ვლინდება, რომ სტუდენტებში მედიცინის, ბიზნესის, ეკონომიკისა და ქართული ფილოლოგიის სასწავლო პროგრამები განსაკუთრებით მოთხოვნადია. ამ მოთხოვნას ამყარებს მშობელთა შეხედულებებიც. მედიცინის მიმართულება უფროს თაობაში დიდი მოწონებით სარგებლობს (რაც შესაძლოა ერთგვარად საბჭოთა მემკვიდრეობის ბრალიც იყოს), რაც შეეხება ბიზნესის, ეკონომიკისა და ქართული ფილოლოგიის სასწავლო პროგრამებს, მშობლები ამ მიმართულებებს მეტად უჭერენ მხარს, ვიდრე სხვა დანარჩენს ძირითადად იმ მიზეზით, რომ დასაქმების თვალსაზრისით მეტად მომგებიანად თვლიან. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მშობელთა შეხედულება არჩევანის გაკეთების დროს გადამწყვეტი არ არის. ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს: „ბოლო დღეს ავირჩიე

საერთაშორისო ურთიერთობები, მშობლებმა იცოდნენ, რომ ბიზნეს-ეკონომიკაზე ვაბარებდი ან ქართულ ფილოლოგიაზე, მათ ეს ორი ფაკულტეტი უნდოდათ“. აბიტურიენტთა დიდი ნაწილის მშობელთა თაობის მსგავსი დამოკიდებულება ზემოთ ჩამოთვლილ ფაკულტეტებთან მიმართებაში, მათი სოციალური გარემოდან მიღებული იმპულსების შედეგია.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი, რაც უმაღლესი სასწავლებლების შესახებ აბიტურიენტთა არჩევანის გაკეთების დროს უნდა აღინიშნოს, არის ის, რომ არჩევანი სასწავლებლის შესახებ ემყარებოდა წარმოდგენას ამ უნივერსიტეტის მოსამზადებელი კურსის შესახებაც. ეს ტენდენცია ილიაუნის სტუდენტებში გამოიკვეთა. მათი დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ მეგობრებისგან იცოდა ილიაუნის მოსამზადებელი კურსის თსუ-თან შედარებით ეფექტურობის შესახებ, რის გამოც არჩევანი გააკეთა ამ უკანასკნელის სასარგებლოდ. სტუდენტებში გაბატონებულია ასევე სუბიექტური აზრი იმის შესახებ, რომ ილიას უნივერსიტეტში მოსამზადებელი კურსის გავლა თსუ-სთან შედარებით უფრო რთული, მაგრამ ეფექტურია, თუმცა საბაკალავრო პროგრამებზე სწავლა თსუ-ში გაცილებით მეტ შრომას მოითხოვს, ვიდრე ილიაუნში. ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს: „მე თსუ-ზე ვფიქრობდი, მაგრამ ილიაუნში მეგობრები მყავს, ვინც მითხრა, რომ თსუ-ში სწავლა ჩემთვის გაცილებით რთული იქნებოდა რახან ვზარმაცობ და მირჩია, ილიაუნი ამერჩია“.

როგორც კვლევიდან გამოიკვეთა, თბილისში სწავლის დაწყებამდე სტუდენტთა მოლოდინი მეტწილად ეხებოდა ქართული ენის შესწავლას და უკეთ დაუფლებას, შემდეგ კი ხარისხიანი განათლების მიღებას. გამოკითხულთა დიდი ნაწილი სკოლის დამთავრების დროს ქართულ ენას მათი შეფასებით ელემენტარულ

დონეზე ან საერთოდ ვერ ფლობდა. ასეთი სტუდენტები ერთწლიანი მოსამზადებელი კურსის შეფასებისას მეტწილად კმაყოფილები არიან და აღნიშნავენ, რომ მათი ენობრივი უნარები ამ კურსის გავლის შემდეგ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. რაც შეეხება სტუდენტებს, ვინც ქართულ ენაში მოსამზადებელ კურსზე ენის ცოდნის შედარებით მაღალი დონით მივიდა, მათთვის ნულოვანი კურსი არაეფექტური აღმოჩნდა. ერთ-ერთი რესპონდენტი მოსამზადებელი კურსის შეფასებისას აღნიშნავს: „წარმოიდგინეთ, ელოდებით დიდ ტორტს და რაღაც პატარა ნაჭერს მოგიტანენ“. ამგვარი შეფასება ეფუძნება იმას, რომ მაღალი ენობრივი კომპეტენციის მქონე სტუდენტებს გაცილებით მეტი მოთხოვნები ჰქონდათ მოსამზადებელი კურსისადმი და სურდათ უფრო რთული პროგრამით ესწავლებინათ მათთვის, ვიდრე ეს ხდებოდა მათ ჯგუფში. სტუდენტები ხაზს უსვამენ იმასაც, რომ მიუხედავად სასწავლო ჯგუფების ენობრივი დონეების მიხედვით დაკომპლექტებისა, სასწავლო პროგრამა ყველასთვის ერთიდაიგივე იყო, რაც ნულოვანი ცოდნის მქონეთათვის იძლეოდა დადებით შედეგს, მათთვის კი მხოლოდ ერთიდაიგივეს გამეორება იყო. ეს განსაკუთრებით ეხება თბილისელ სტუდენტებს, ვისაც ქართულად კომუნიკაციის მეტი გამოცდილება ჰქონდათ. ერთ-ერთის განცხადებით: „იმდენად ელემენტარულ დონეზე იყო ყველაფერი, არ ვიცი რეალურად პროგრესი განვიცადე თუ რეგრესი“.

საინტერესოა ისიც, რომ მოსამზადებელი კურსის შეფასებისას გამოიკვეთა მნიშვნელოვანი სხვაობა თსუ-სა და ილიაუნის სტუდენტების შეფასებებს შორის. კვლევაში მონაწილე ილიაუნის ყველა სტუდენტი დადებითად აფასებს მოსამზადებელ კურსს და ხაზს უსვამს მის ეფექტურობას. რაც შეეხება თსუ-ს სტუდენტებს, ისინიც, მეგობრებისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე

აღნიშნავენ ილიაუნის პროგრამის უპირატესობას. მათი მნიშვნელოვანი ნაწილისთვის თსუ-ს მოსამზადებელი კურსი არ აღმოჩნდა საკმარისად ეფექტური. მან განაპირობა გარკვეულ დონეზე ენობრივი უნარების გაუმჯობესება, მაგრამ არა იმდენად, რაც საბაკალავრო პროგრამის დაძლევისთვის იყო საჭირო. ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს: „ჩემთვის ეს იყო მე-13 კლასი, უბრალოდ ქართული ენის მეტი გაკვეთილით კვირაში“. ამგვარ შედარებას ისიც უდევს საფუძვლად, რომ არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენის სწავლების კუთხით მნიშვნელოვანი პრობლემებია. სტუდენტები მიუთითებენ თავიანთ სკოლებში არსებულ იმგვარ ფაქტებზე, როდესაც ქართული ენის მასწავლებლად მუშაობს შესაბამისი კომპეტენციის არმქონე პირი, რომელსაც შესაძლოა ქართული განათლებაც კი არ ჰქონდეს. ერთ-ერთ რესპონდენტს სკოლებში არსებული ამ პრობლემატიკის აღწერისას მოჰყავს შემდეგი მაგალითი: „ჩემს სკოლაში ქართულის მასწავლებლად მოიყვანეს ქალი, რომელმაც ერევანში დაამთავრა უნივერსიტეტი და იმის მიუხედავად, რომ ქართულის არაფერი იცის, ბავშვებს მაინც ასწავლის. სანამ მოსწავლე ვიყავი, მაშინაც მასზე უკეთ ვიცოდი ქართული.“ ზოგადად, არაქართულენოვან სკოლებში სწავლების განსხვავებულ და ქართულის შემთხვევაში ნაკლებ ხარისხზე მიუთითებს კვლევის ყველა მონაწილე. ერთ-ერთი იმასაც აღნიშნავს, რომ სწავლების პროგრამა ქართულენოვანი სკოლებისგან ძალიან განსხვავებულია და ენობრივი ბარიერის უგულებელყოფის შემთხვევაში, 4 გამოცდის ჩაბარებაზე რომ იფიქრონ, არამარტო ქართულში, არამედ სხვა საგნებშიც ვერ იქნებიან კონკურენტუნარიანნი. ეს აქტუალური პრობლემაა: არაქართულენოვან სკოლებში დღემდე 2005 წლის ეროვნული სასწავლო გეგმით შემუშავებული სახელმძღვანელოებით

ასწავლიან. უფრო ახალი სახელმძღვანელოები თარგმნას საჭიროებს სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

ენობრივი უნარების გაუმჯობესების კუთხით წარმატების მიღწევაში ორივე უნივერსიტეტის სტუდენტები აღნიშნავენ დამოუკიდებლად, ინტენსიური მუშაობის საჭიროებას და ქართველებთან ურთიერთობის, კომუნიკაციის მნიშვნელობას, რისი შესაძლებლობაც მოსამზადებელ კურსზე მეტად საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შემდეგ ჰქონდათ. ამიტომ საკუთარი ენობრივი უნარების გაუმჯობესებაში უფრო დიდ მნიშვნელობას საბაკალავრო საფეხურს ანიჭებენ, სადაც მთლიანად ქართულ გარემოში უწევთ ყოფნა. ილიაუნისა და თსუ-ს სტუდენტების შეფასებები მოსამზადებელი კურსის შესახებ განსხვავებულია ასევე ჯგუფების დაკომპლექტების მიხედვითაც. თსუ-ს სტუდენტები აცხადებენ, რომ უმჯობესი იქნება პირველივე სემესტრიდან ჰქონდეთ შერეული ჯგუფები, რათა სომხურ და აზერბაიჯანულენოვან სტუდენტებს ერთმანეთში საუბარი მაინც მოუწიოთ ქართულად, რაც მათ საკომუნიკაციო უნარებს ნულოვანი კურსიდანვე გააუმჯობესებს და ასევე ხელს შეუწყობს ამ ორი ჯგუფის წარმომადგენლებს შორის ურთიერთობას. თსუ-ს ერთ-ერთი სტუდენტი ამბობს: „მოსამზადებელზე აზერბაიჯანელებთან კომუნიკაცია მხოლოდ მაშინ იყო, როცა ფეხბურთის თამაში გვინდოდა, სხვა დროს ჩვენ პირველ სართულზე ვიყავით, ისინი - მესამეზე“. ილიაუნის მოსამზადებელი კურსის ხელმძღვანელი კი აღნიშნავს, რომ ნულოვან კურსზე შერეულმა ჯგუფებმა განაპირობა ის, რომ „წლის ბოლოს სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი ბიჭები უფრო უახლოვდებოდნენ ერთმანეთს, ვიდრე სომეხურენოვანი გოგო და ბიჭი“.

რაც შეეხება ბაკალავრიატში წარმოქმნილ სირთულეებს, სტუდენტთა განცხადებით, პირველ რიგში ეს იყო სრულიად ქართულ გარემოსთან ადაპტაციის საკითხი. მათი განცხადებით, რეალურად ქართულ საზოგადოებასთან ურთიერთობა მათ სწორედ ამ დროს მოუწიათ. პირველ ლექციას ყველა მათგანი გარკვეულ სტრესს უკავშირებს, რაც გამოიხატებოდა დაბნეულობით, შიშით, უცხო გარემოსადმი კომპლექსით. ამის საფუძველი კი ისევდაისევ ენობრივი ბარიერი და ქართველებთან კომუნიკაციის ნაკლები გამოცდილება იყო. სირთულეები ცხადია, უკავშირებოდა ლექციების გაგებას, ასათვისებელი მასალის შესწავლას, რაც დროთა განმავლობაში სტუდენტებმა საკუთარ თავზე ხანგრძლივი და მძიმე მუშაობის ხარჯზე დაძლიეს.

ჯგუფური დისკუსიებიდან ირკვევა, რომ საშეღავათო პოლიტიკით მოსარგებლე სტუდენტები საუნივერსიტეტო თუ საფაკულტეტო აქტივობებში ნაკლებად მონაწილეობენ. ამ მხრივ გამოკითხულთა შორის მეტად აქტიურნი აღმოჩნდნენ თსუ-ს სტუდენტები. კონფერენციებსა თუ მსგავს სასწავლო აქტივობებში მონაწილეობის შესახებ მეტწილად საერთაშორისო ურთიერთობისა და მედიცინის მიმართულების სტუდენტები აღნიშნავენ, რომლებიც ასევე აქტიურნი არიან უნივერსიტეტს გარეთ, სხვადასხვა დაწესებულებების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში. სტუდენტთა დიდი ნაწილი ჩართულია საშეღავათო პოლიტიკის ფარგლებში „ახალგაზრდული ცენტრის“ მიერ დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებაში ან კიდევ თბილისში კონცენტრირებულ ეროვნული უმცირესობების თემატიკაზე მომუშავე ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ აქტივობებში. უნივერსიტეტის ფარგლებში მათი კლასგარეშე აქტივობა მეტწილად სხვადასხვა შეხვედრებსა თუ საჯარო ლექციებზე დასწრებით გამოიხატება. რაც

შეეხება გასართობ ღონისძიებებს, მაგალითად ფაკულტეტის ან ჯგუფის მიერ ორგანიზებულ ექსკურსიებს, სტუდენტები აღნიშნავენ რომ მსგავსში მონაწილეობას ნაკლებად იღებენ. ზოგი ამის მიზეზად მოუცლელობას ასახელებს, ზოგი პირდაპირ მიუთითებს ინტეგრაციის ნაკლებობაზე და ამბობს: „ჩვენი ჯგუფელები ახლა დასავლეთ საქართველოში მიდიან, მაგრამ მე არ მივდივარ. ვფიქრობ, რომ ინტეგრაციის იმ დონეზე ჯერ არ ვარ.“ ამ დამოკიდებულებას რესპონდენტი ხსნის იმით, რომ ჯგუფში არ ყავს ბევრი ახლო მეგობარი, რის გამოც მისთვის ექსკურსია არც ისე საინტერესო იქნება. რესპონდენტთა უმრავლესობაშიც ასეა. ისინი აღნიშნავენ, რომ მსგავსი საკითხების განხილვისას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოისურვებენ თუ არა მათი მეგობრებიც მშობლიური რეგიონებიდან ექსკურსიაზე წასვლას. თუ ასეთი დაინტერესება არ არსებობს, მარტო ან 2-3 ერთად ჯგუფურ ექსკურსიებში მონაწილეობას არ იღებს: „ურთიერთობა ძალიან კარგი გვაქვს ქართველებთან, ძალიან კარგები არიან გოგონებიც და ბიჭებიც, მაგრამ ექსკურსიის საკითხი რომ დგება, ერთი მეორეს უყურებს, თუ ის არ წავიდა, არც ეს მიდის.“ უფრო ხშირად სტუდენტები მხოლოდ მათ მიერ ორგანიზებულ ქალაქ გარეთ გასვლებში მონაწილეობენ.

რაც შეეხება სწავლის პერიოდში შეძენილ მეგობრებს, როგორც სომხურ, ასევე აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტები აღნიშნავენ, რომ ბაკალავრიატში სწავლის განმავლობაში ბევრი ქართველი მეგობარი შეიძინეს. დისკუსიების შედეგად იკვეთება, რომ უმეტეს შემთხვევაში ეს მეგობრობა გამოიხატება ერთმანეთისადმი კეთილგანწყობით, საინტერესო კომუნიკაციით, სწავლის პროცესში გაწეული დახმარებით. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში

სცდება ის უნივერსიტეტის ფარგლებს და ვლინდება უფრო ხშირი და ახლო ურთიერთობით.

ამ საკითხის განხილვისას გამოიკვეთა საინტერესო ტენდენცია: 1. შეძენილი მეგობრების შესახებ შეკითხვაზე სომხურ და აზერბაიჯანულენოვან სტუდენტთა ორივე ჯგუფი პირველ რიგში ასახელებს ქართველებთან დამეგობრებას, შემდეგ ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ მათივე რეგიონის წარმომადგენლებთან ისედაც ჰქონდათ ურთიერთობა მოსამზადებელ კურსზე, სადაც ბევრი მათგანს დაუმეგობრდნენ; 2. სომხურენოვანი სტუდენტები მეგობრებზე საუბრისას ახსენებენ კარგ ურთიერთობას აზერბაიჯანულენოვნებთან, რიგ შემთხვევაში დამეგობრების ფაქტსაც, მაგრამ ასეთი საკმაოდ მცირეა. ერთ-ერთი სტუდენტი აღნიშნავს: „ძალიან ბევრი ქართველი მეგობარი მყავს, თუმცა ახლო ურთიერთობა მხოლოდ ერთ ბიჭთან მაქვს. ასევე ძალიან დავუმეგობრდი აზერბაიჯანულენოვან ჯგუფელს, რომელთანაც შეიძლება ითქვას, ყველაზე ახლო მეგობრობა მაკავშირებს.“ 3. აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტები სწავლის განმავლობაში შეძენილ მეგობრებზე საუბრისას მხოლოდ ქართველებს ახსენებენ, დამატებითი კითხვის შემთხვევაში თუ უსვამენ ხაზს სომხურენოვნებთან „ნორმალურ“ ურთიერთობას. 4. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ რეგიონის სომხურენოვან სტუდენტებში იშვიათად სახელდება თბილისელ სომხურენოვნებთან დამეგობრების შემთხვევები, ისიც ამას მეტწილად გოგონები უფრო ახსენებენ, ვიდრე ვაჟები. მეტიც, მათდამი საკმაოდ გულგრილი დამოკიდებულებაა. ერთ-ერთი რესპონდენტი ჯავახეთიდან თბილისელ სომხურენოვნებთან დაკავშირებით აღნიშნავს: „არ მომწონს მაინცდამაინც ეგ ხალხი. არც ქართველები არიან, არც სომხები, არც რუსები, არ ვიცი...“. ამგვარი შეხედულების

საფუძველს კვლევის მონაწილეები არ აკონკრეტებენ, თუმცა ერთმა აღნიშნა: „ცოტა სხვანაირები არიან, აი აზროვნებაც... რავიცი, ჩვენნაირები არ არიან.“ ერთ-ერთი სომხურენოვანი სტუდენტი ჯავახეთიდან საცხოვრებელ გარემოსთან შეგუების შესახებ აღნიშნავს იმას, რომ ცხოვრობს ავლაბარში, სადაც ადგილობრივი ეთნიკური სომეხი ბევრია, მაგრამ „ცოტა სხვანაირად განწყობილნი ჯავახეთის სომხებისადმი.“ თბილისელი სომხურენოვანი სტუდენტებიც მიანიშნებენ რეგიონის მოსახლეობის ამგვარ დამოკიდებულებაზე და გარკვეულწილად არსებულ გაუცხოებაზე. ამგვარი დამოკიდებულების ერთ-ერთ საფუძვლად მოყავთ მოსამზადებელ კურსზე არსებული ვითარება, რომელიც უკავშირდებოდა თბილისელ და ჯავახელ სტუდენტებს შორის ენობრივი უნარების კუთხით მკაფიო განსხვავებას და აქედან წამოსულ უსიამოვნებებს. ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს: „ჩვენ, თბილისელი სომხები 3-4 გოგო ვიყავით, ვინც ერთად ვიჯექით ხოლმე ერთ მხარეს, სამცხე-ჯავახეთის სომხები - მეორე მხარეს. ჩვენ უფრო მეტი ვიცოდით და იმათ ძალიან „უტყდებოდათ“ როდესაც მათ შეცდომებზე სიცილს ვერ ვიკავებდით ლექციების დროს. ამის გამო ძალიან გაღიზიანებულები იყვნენ“. თბილისელი რესპონდენტები აღნიშნავენ ასევე სხვაობას მათი და რეგიონის მოსახლეობის ენობრივ ელემენტებს შორის: „ისინი ცოტა სხვანაირი სომხურით საუბრობენ და დიალექტი უნდა გესმოდეს, რომ გაიგო“, „მოსამზადებელ კურსზე მე 2 ენა ვისწავლე: ქართული და სომხურის დიალექტი“.

ჯგუფური დისკუსიების ფარგლებში განხილულ იქნა სასწავლო და ყოფით გარემოში ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციული შემთხვევების არსებობაც. უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა საკმაოდ თავშეკავებული იყო ამ საკითხის

განხილვისას, მაგრამ საკმარისი იყო ჯგუფის ერთ-ერთ მონაწილეს ეხსენებინა მსგავსი ფაქტის შესახებ და დანარჩენი წევრებიც შემდეგ უფრო იოლად საუბრობდნენ. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მათ დიდ ნაწილს უშუალოდ არ უგრძვნია ამგვარი დამოკიდებულება, თუმცა სხვადასხვა სოციალურ ქსელში ძირითადად ქართველებისგან წამოსულ არაკეთილგანწყობილ დამოკიდებულებაზე გაუგიათ. აღნიშნავენ ისეთ გამოთქმებს, როგორიცაა: „ქართული უნდა ისწავლო, თუ არ გინდა წადი სომხეთში“ ან „არ გინდა ისე სწავლა როგორც ქართველ სტუდენტს, თუ არ მოგწონს ჩვენი ქვეყანა, წადი სომხეთში“, ან კიდევ ისეთ შეურაცხმყოფელ დამოკდიებულებას, როგორიცაა - „სომხების სუნია“. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დისკრიმინაციულ მომენტებს ხაზს უსვამენ თბილისელი სომხურენოვანი სტუდენტებიც. ერთ-ერთი აღნიშნავს იმას, რომ ეთნიკურ ქართველებზე მეტად, აგრესიას იჩენს ის, ვინც ეთნიკურად სომეხია, მაგრამ გადაკეთებული, ქართული გვარით. რესპონდენტები მიუთითებენ სოციალურ ქსელებში პოლიტიკურ თემებზე არსებულ აზრთა სხვადასხვაობაზეც და აქედან წარმოშობილ კონფლიქტურ სიტუაციებზე, თუმცა ამბობენ, რომ ამგვარის არსებობა მათთვის გასაკვირი არ არის, ეს პიროვნებებზე უფროა დამოკიდებული. აქვე ხაზს უსვამენ იმას, რომ მსგავს საკითხებზე უნივერსიტეტში, მათ თანატოლებთან არასდროს ჰქონიათ კონფლიქტი. არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულება მეტწილად მოდის უფროსი თაობიდან, ვიდრე თანაკურსელებიდან. კვლევის მონაწილე როგორც სომხურ, ასევე აზერბაიჯანულენოვან სტუდენტთა უმრავლესობა აღნიშნავს იმის შესახებაც, რომ ქართველი სტუდენტები ნაკლებად არიან ინფორმირებულნი მათ შესახებ. პირველ კურსზე უმრავლესობას ჰგონია, რომ ისინი

სომხეთიდან ან აზერბაიჯანიდან უნდა იყვნენ ჩამოსულები. ერთ-ერთი სომხურენოვანი რესპონდენტი აღნიშნავს: „ჰგონიათ, რომ სომხეთიდან ვართ, ან ჯავახეთი სომხეთისაა.“ ამგვარი დამოკიდებულება რესპონდენტებისთვის ერთი მხრივ გასაკვირი და მეორე მხრივ, საწყენიცაა, რადგან ისინი საქართველოს მოქალაქეებად თვლიან თავს და სურთ ამის აღიარება ქართულენოვანი მოსახლეობისგანაც. ამ საკითხზე დისკუსიისას ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს: „ინტეგრაცია უნდა იყოს ორმხრივი. როცა ქართული იცი, ამ საზოგადოების წევრი ხარ, საზოგადოებამ კი არ იცის, რომ ამ ქვეყნის მოქალაქე ხარ, დასანანია.“ აქვე რესპონდენტი მიუთითებს არაქართულენოვან სკოლებშიც, ისტორიის სახელმძღვანელოებში საქართველოში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობაზე. რესპონდენტი აღნიშნავს: „ჩვენი სკოლის წიგნებში მხოლოდ 3 წინადადება წერია, ის რომ შაჰ-აბასმა ჩამოგვასახლა. მე არ ვიცი ეს რამდენად სწორია. აზერბაიჯანულენოვან წყაროებში სხვაგვარადაა. სასურველია მეტი ინფორმაცია გვქონდეს, იმიტომ რომ გვექნება დისკრიმინაციული პრობლემები.“ კვლევის აზერბაიჯანულენოვანი მონაწილეები მიუთითებენ ისეთ ფაქტებზეც, როდესაც საცხოვრებელ გარემოში შემხვედრი, უფროსი თაობის ადამიანები მათ ქართულის მაგივრად რუსულად ეკონტაქტებიან მას შემდეგაც, რაც მათ ქართულად ესალმებიან. რესპონდენტებისთვის ეს გასაკვირი და არასასიამოვნო ფაქტია და აღნიშნავენ: „მათ ალბათ ჰგონიათ ქართული არ ვიცით, არადა საქართველოს მოქალაქეები ვართ, მერე რა რომ ეთნიკურად აზერბაიჯანელი.“ აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტებისთვის განსაკუთრებულად შეურაცხმყოფელია მათ შესახებ საუბრისას გამოყენებული ტერმინი „თათარი“. კვლევის მონაწილენი ამბობენ,

რომ ამგვარი შემთხვევები უკვე საკმაოდ მცირეა, მაგრამ მაინც გულდასაწყვეტი, გამომდინარე იქედან, რომ ეს სიტყვა ხაზს უსვამს „ურჯულოებას“, ამგვარი ეპითეტი კი მათთვის მიუღებელია. ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს: „ალბათ არ იციან რასაც ნიშნავს, თორემ არ იტყოდნენ.“

რაც შეეხება სასწავლო გარემოში დისკრიმინაციული მომენტების არსებობას, უმრავლეს შემთხვევაში კვლევის მონაწილეები ლექტორებისა და სტუდენტებისგან მსგავს დამოკიდებულებებს უარყოფენ, პირიქით, მიუთითებენ მათი მხრიდან დახმარების სურვილსა და კეთილგანწყობაზე. ამის მიუხედავად სახელდება ისეთი შემთხვევები, როგორიცაა საუნივერსიტეტო აქტივობასა და სასტიპენდიო კონკურსთან დაკავშირებული ინფორმაციული ვაკუუმი საშეღავათო პოლიტიკის სტუდენტებში ან მსგავს ინფორმაციაზე დაგვიანებული ხელმისაწვდომობა. ამგვარი პრობლემები მეტწილად საბაკალავრო პროგრამის პირველ კურსზე სწავლისას აღინიშნება, როდესაც ზოგადად სწავლის პროცესის შესახებ ნაკლები ინფორმაცია აქვთ. ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს: „სტიპენდიის აღება ახლა, მეოთხე კურსზე შევძელი, წინა წლებში მსგავსის არსებობის შესახებ რომ გამეგო, აკადემიური მოსწრებიდან გამომდინარე მქონდა შესაძლებლობა მე-2, მე-3 კურსზეც ამეღო.“

დისკუსიების დროს სახელდება გულგრილობის შემთხვევებიც უნივერსიტეტის ადმინისტრაციიდან. ამას მეტწილად თსუ-ს სტუდენტები უსვამენ ხაზს. საერთაშორისო ურთიერთობების სტუდენტი აღნიშნავს: „ერთმა ქალმა, როცა გაიგო ამ მიმართულებაზე ვაპირებდი ჩაბარებას, მითხრა, რომ ჩემთვის ძალიან ძნელი იქნებოდა და სხვა პროგრამაზე გამეგრძელებინა სწავლა. ეს შეურაცხმყოფელი იყო, რადგან ის არ იცნობდა ჩემს

შესაძლებლობებს. ეს შემთხვევა გარკვეული სტიმულიც იყო, რომ კარგად მესწავლა.“

რაც შეეხება სტუდენტთა სამომავლო გეგმებს, მათი უმეტესობა თბილისში სასწავლებლად და სამუშაოდ დარჩენას გეგმავს. სწავლის გაგრძელება მეტწილად სტუდენტებს იმ სასწავლებლებში სურთ, რომელსაც ამთავრებენ, მაგრამ არიან საზღვარგარეთ სწავლის მსურველებიც. სტუდენტთა ამ კონტიგენტში იკვეთება საინტერესო განსხვავება სომხურ და აზერბაიჯანულენოვნებს შორის, რაც გარკვეულწილად პოლიტიკურ-გეოგრაფიული ფაქტორით აიხსნება: სომხურენოვანი სტუდენტები საქართველოს ფარგლებ გარეთ სწავლას არჩევენ ყოფილ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, როგორიცაა რუსეთი, უკრაინა, იგივე სომხეთი, ხოლო აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტებისთვის ერთადერთ გამოკვეთილ ორიენტირს თურქეთი წარმოადგენს, სადაც ასევე დიდი სიამოვნებით წავიდოდნენ სამუშაოდ. კვლევის მონაწილეთა შორის მცირეა მათი რიცხვი, ვინც სწავლის დასრულების შემდეგ მშობლიურ რეგიონში აპირებს დაბრუნებას, თუმცა რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ დასაქმების შესაძლებლობის შემთხვევაში ამაზე უარს არ იტყვიან.

დასაქმების კუთხით სტუდენტები ძალიან დადებითად აფასებენ საშეღავათო პოლიტიკის ფარგლებში ახლახანს დაწყებულ სტაჟირების პროგრამას, რომელსაც შერიგების სამინისტრო ახორციელებს. რესპონდენტთა ნაწილი ამ პროგრამის მონაწილეცაა და თვლის, რომ სტაჟირება 1+4-ის სტუდენტებისთვის დამატებითი შესაძლებლობაა კარიერული წინსვლისა და დასაქმების კუთხით. ამ მიმართულებით არსებობს ასევე „მასწავლებლის სახლის“ პროექტი ორენოვანი მოხალისე მასწავლებლების შესახებ, რომელიც საშეღავათო პოლიტიკის სტუდენტებს აძლევს

საშუალებას, ბაკალავრიატის დასრულების შემდეგ დასაქმდნენ მშობლიური მხარის სკოლებში დამხმარე მასწავლებლად. 2 წლის განმავლობაში მიიღონ ანაზღაურება და დაიფინანსონ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლა. ამ ინიციატივასაც დადებითად ხვდებიან კვლევის მონაწილეები, თუმცა აღნიშნავენ, რომ ეს მეტად საინტერესო იქნება მათთვის, ვინც პედაგოგიურს ან შესაბამის საბაკალავრო პროგრამას ამთავრებს, სხვებს ურჩევნიათ, მათი სპეციალობის შესაბამისი სამუშაო იპოვონ.

ზოგადად საშეღავათო პოლიტიკის შეფასებისას რესპონდენტები ერთსულოვანნი არიან და ერთხმად აღნიშნავენ, რომ ეს საუკეთესო პროგრამაა, რაც ეთნიკური უმცირესობებისთვის განხორციელებულა. ამ პოლიტიკის ამოქმედებამ გააღვივა საქართველოს მოქალაქეობის შეგრძნება მის ბენეფიციართა შორის. ერთ-ერთი სტუდენტი აღნიშნავს: „ამ პროგრამის არსებობა ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნის მთავრობა დაინტერესდა ჩვენით“. კვლევის ყველა მონაწილე აცნობიერებს იმას, რომ საშეღავათო პოლიტიკა მათ რეგიონებში ენობრივი ბარიერის და სასკოლო განათლებაში არსებული ბევრი ხარვეზის შედეგია. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ საშეღავათო პირობები ყოველთვის ვერ იარსებებს და ის მაშინ უნდა შეწყდეს, როცა სკოლა შესაბამის ცოდნას მისცემს აბიტურიენტს. ამასთან დაკავშირებით მიუთითებენ საშუალო განათლებაში არსებულ განსაკუთრებით ქართული ენის სწავლებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე და აღნიშნავენ იმას, რომ ცალკეული პროექტები, თუნდაც მოხალისე მასწავლებლების შესახებ, საკმარისი არაა, რადგან ის ვერ ფარავს რეგიონებში არსებულ ყველა სკოლას. საჭიროა ქართულ საზოგადოებასთან აქტიური კომუნიკაციის ხელშეწყობა, კომპეტენტური მასწავლებლების არსებობა სკოლებში. კვლევის მონაწილეები

აცნობიერებენ სახელმწიფო ენის ცოდნის აუცილებლობას და აღნიშნავენ: „როცა საშუალება გაქვს მშობლიურ ენაზე მიიღო განათლება სკოლაში, მაშინ ვალდებული ხარ, იცოდე სახელმწიფო ენაც, იმიტომ რომ ის ისწავლება სკოლებში.“ გამომდინარე იქედან, რომ ყველა აბიტურიენტი ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი ქართული ენის შესაბამისი უნარებით, კვლევის მონაწილენი გამოთქვამენ მზაობას, ყველა მეგობარსა თუ ნათესავს ურჩიონ საშეღავათო პირობებით საქართველოში ჩაბარება. ერთ-ერთი მათგანი აღნიშნავს: „ძალიან მინდა ეთნიკური უმცირესობების რეგიონებიდან, მაგ: მარნეულიდან ან ნინოწმინდიდან ახალგაზრდებმა აქეთ ისწავლონ, სხვა თუ არაფერი, სახელმწიფო ენას ისწავლიან, რისი დიდი დანაკლისიცაა ჩვენთან. თუ ამ ქვეყნის მოქალაქე ხარ და არსებობს ძალიან კარგი პირობები სწავლისთვის, აქ უნდა ისწავლო.“

პროგრამაში სასურველი ცვლილებების შესახებ საუბრისას, დისკუსიის მონაწილე თსუ-ს სტუდენტები აღნიშნავენ მოსამზადებელი კურსის ეფექტურობის გაზრდას, უნივერსიტეტის, სასწავლო კორპუსებისა და ზოგადად სასწავლო პროგრამების შესახებ მეტ ინფორმირებულობას, რათა პირველ კურსს მეტად მომზადებულნი შეხვდნენ. მათი უმრავლესობა ამბობს, რომ მისამართიც კი არ იცოდნენ, სად უნდა დასწრებოდნენ ლექციებს. მოსამზადებელ კურსზე თსუ-ს მხოლოდ მე-7 კორპუსში სწავლობდნენ, რომელიც ვაკიდან მოშორებით, ავლაბარში მდებარეობს. ასევე პრობლემა ჰქონდათ საგნების არჩევასთან დაკავშირებითაც. არ ჰქონდათ ინფორმაცია, როგორ მიმდინარეობდა ეს პროცესი, რამაც გარკვეული სირთულეები შექმნა ჯერ კიდევ სწავლის დაწყებამდე. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ამგვარი პრობლემები ახლა ნაკლებადაა, რაც

მოსამზადებელი კურსის ფარგლებში „ტუტორთა სკოლის“ დაარსების დამსახურებაა. მსგავს სირთულეებზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები არ მიუთითებენ, მათ მოსამზადებელი კურსიდანვე ჰქონდათ საშუალება დაესწავლათ და გარკვეულიყვნენ სასწავლო პროცესში საჭირო კომპიუტერულ უნარებში.

მნიშვნელოვანია, რომ თვისებრივი კვლევის შედეგებიც ადასტურებს საშეღავათო პოლიტიკის ეფექტურობას ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხული ეთნიკური უმცირესობების რაოდენობის გაზრდის კუთხით. ბევრი რესპონდენტი აღნიშნავს: „პირველი ვიყავი ჩემი სოფლიდან, ვინც ამ პროგრამით ჩააბარა“. ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ ფართოვდება საშეღავათო პოლიტიკის გეოგრაფიული არეალი. კვლევის მონაწილეები აღნიშნავენ იმასაც, რომ ეთნიკური უმცირესობების აბიტურიენტებში მკვეთრად გაიზარდა საშეღავათო პირობებით ჩარიცხვის მსურველთა რიცხვი, მაშინ როცა აქამდე ყველა სომხეთსა ან აზერბაიჯანში მიდიოდა, ან საერთოდ ვერ აგრძელებდა სწავლას. კვლევის მონაწილეები მიუთითებენ, რომ ამ პროგრამის შედეგად იზრდება კომუნიკაცია ქართულ საზოგადოებასთან და „რაც მეტი 1+4-ის კურსდამთავრებული იქნება, მეტი ქართულად მოსაუბრე ეყოლება ამ რეგიონებს.“

საშეღავათო პოლიტიკის კვლევის პროცესში გამოვლინდა გარკვეული ხარვეზები და რიგი ცვლილებები, რომლებიც ამ პოლიტიკის ფარგლებში სამომავლოდ იგეგმება. ქვემოთ სწორედ ამ ხარვეზებსა და პერსპექტივებზე ვისაუბრებ:

უმაღლესი განათლების კუთხით ეროვნული უმცირესობებისთვის მოქმედი საშეღავათო პოლიტიკა არსებული ფორმით უკვე მეშვიდე

წელია ფუნქციონირებს. წლების განმავლობაში გამოიკვეთა რიგი პრობლემები, რომლებიც მეტ ყურადღებას და მოგვარებას საჭიროებენ. მათ შორისაა ე.წ. უფასო ფაკულტეტების საკითხი. სახელმწიფოს მიერ 2013 წელს უფასო სასწავლო პროგრამებად აღიარებული მიმართულებები საშეღავათო პოლიტიკის ბენეფიციარი სტუდენტებისთვის ფასიანია, ანუ კვოტირების სისტემით ჩარიცხული სტუდენტი, ვინც აბარებს ნებისმიერ ამ უფასო მიმართულებაზე და ვერ იღებს სახელმწიფო გრანტს, იხდის სწავლის საფასურს (ტაბატაძე შ. , 2017). „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ თავმჯდომარე - შალვა ტაბატაძე აცხადებს, რომ უფასო ფაკულტეტების შესახებ ინიციატივის წარდგენისთანავე მათ დააყენეს საკითხი ამ პროგრამების იგივე წესით ხელმისაწვდომობაზე კვოტირებული სტუდენტებისთვის. განსაკუთრებით აქცენტი კეთდებოდა იმ მიმართულებებზე, რომელ სფეროშიც კვალიფიციური და ორენოვანი კადრების მნიშვნელოვანი დეფიციტია ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში. ასეთი კი პირველ რიგში არის მასწავლებელთა და განათლების პროგრამები. როგორც ცენტრის ხელმძღვანელი აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ ამ რეკომენდაციას მოწინააღმდეგე არავინ გასჩენია, უკვე მეოთხე წელია, რაც შესაბამისი ცვლილება ვერ განხორციელდა (ტაბატაძე შ. , 2017).

შემდეგი პრობლემა ეხება ქართულ ენაში მოსამზადებელ ერთწლიან კურსს: როგორც კვლევიდან ჩანს, მოსამზადებელი პროგრამა ხარისხის თვალსაზრისით მნიშვნელოვან ნაკლს შეიცავს. შედარებით მაღალი ენობრივი კომპეტენციის მქონე სტუდენტებისთვის ის არაეფექტურია, ხოლო ნულოვანი დონით ჩარიცხულთათვის არასაკმარისი საბაკალავრო დონის

დასაძლევად. აქედან გამომდინარე, ზოგიერთი სტუდენტისთვის 1 წელი შეიძლება ითქვას, დაკარგულია და სახელმწიფოსაც ეკარგება ამ 1 წლისთვის გადახდილი თანხა, ზოგისთვის კი 60 კრედიტიანი პროგრამა ვერ უზურნველყოფს შესაბამისი აკადემიური უნარების დაუფლებას. აქ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ გარდა საკომუნიკაციო უნარებისა, რომელსაც მოსამზადებელი კურსის შემდეგ მეტნაკლებად კარგად ფლობენ სტუდენტები, საბაკალავრო პროგრამებზე სწავლა მოითხოვს დარგობრივი ლექსიკის განვითარებასაც. მოსამზადებელ კურსზე საუბრისას ამ პრობლემას უსვამს ხაზს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მრჩეველი ეროვნული უმცირესობების განათლების საკითხში - ქეთევან ჯაყელი. ის აღნიშნავს, რომ სამინისტროში არსებული მოსაზრების თანახმად, იგეგმება დაინერგოს ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის არა ზოგადი კურსის სწავლება, არამედ იმ პროფესიის მიხედვით დარგობრივი ტერმინოლოგიით გაჯერებული პროგრამით, რა პროფესიის დაუფლებასაც სტუდენტი ფიქრობს. მინისტრის მრჩეველი აღნიშნავს, რომ „ჟვანიას სკოლას“ უკვე შემუშავებული აქვს 3 თვიანი დარგობრივი ენის პროგრამები მენეჯმენტში, სამართალში, ინფრასტრუქტურასა და ფინანსებში, რომლებიც აპრობირებულია და შეიძლება უნივერსიტეტებს შესთავაზონ რეკომენდაციის სახით. ქეთევან ჯაყელის განცხადებით, მსოფლიოში არსებობს პრაქტიკა, თუ როგორ მოხდეს სხვადასხვა სასტარტო მონაცემის მქონე სტუდენტის ერთიდაიგივე შედეგზე გაყვანა დროის კონკრეტულ ინტერვალში. ამასთან ის მიუთითებს, რომ სასტარტო მონაცემი განსხვავდება არამხოლოდ ქართული ენის ცოდნის დონით, არამედ ზოგადი განათლების კუთხითაც და სტუდენტის ათვისების უნარითაც. ამიტომ როდესაც 60 კრედიტიანი პროგრამის ხარისხის ნაკლოვანებებზე საუბრობს,

სამინისტროს წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ ამ პროგრამის დალაგება თავად უნივერსიტეტებმა უნდა მოახდინონ ისე, რომ ნებისმიერი ცოდნით შემოსულმა აბიტურიენტმა 1 წელში მოახერხოს სახელმწიფო ენის იმ დონეზე შესწავლა, რაც საბაკალავრო პროგრამის დაძლევაში დაეხმარება. ცხადია, ეს თითოეული სტუდენტის მონდომებასაც უკავშირდება, მაგრამ პროგრამა ზოგადად ამის საშუალებას უნდა იძლეოდეს. ჯაყელი მიუთითებს იმაზეც, რომ ამ მოთხოვნის დაყენების დროს უნივერსიტეტებიდან იქნა წამოსული მოსაზრება, კვოტირებით ჩარიცხული სტუდენტებისთვის მოსამზადებელ კურსზე მოსახვედრად დაეწესებინათ ენობრივი ბარიერი (მაგ: A 1), მაგრამ სამინისტრო ამის წინააღმდეგ წავიდა. მინისტრის მრჩეველის თქმით: „1+4-ის მთელი ფილოსოფია ისაა, რომ ნული დონით მივიღო ადამიანი და დავეხმარო, ინტეგრირდეს ქართულ საზოგადოებაში“. ქეთევან ჯაყელი საუბრობს ასევე რეკომენდაციაზე, რომელიც ითვალისწინებს ამერიკული და ევროპული უნივერსიტეტების გამოცდილებას და გულისხმობს უცხოენოვანი სტუდენტებისთვის საბაკალავრო პროგრამის პირველი კურსიდან „ენის დამხმარე კურსების“ (language support service) დანერგვას. მინისტრის მრჩეველის აზრით, ეს კიდევ უფრო გაუადვილებს სტუდენტებს სასწავლო მასალების ათვისებას (ჯაყელი, 2017).

ქეთევან ჯაყელი ხაზს უსვამს იმ საკანონმდებლო ხარვეზსაც, რომელიც ამჟამინდელ სამართლებრივ დოკუმენტში არსებობს. მის თანახმად, საშეღავათო პოლიტიკით სარგებლობა დღეს არსებული კანონმდებლობით ეთნიკური ნიშნითაა განპირობებული და განსაზღვრავს საშეღავათო პირობებით ჩარიცხვის უფლებას ეთნიკურად სომეხი და ეთნიკურად აზერბაიჯანელი

აბიტურიენტისთვის. ამგვარი მიდგომა მინისტრის მრჩეველის აზრით, ორი მიზეზითაა არასწორი: პირველი ის, რომ თუ საქართველოს ყველა მოქალაქე თანასწორუფლებიანია, საკანონმდებლო დოკუმენტში ეთნიკურ მიკუთვნებულობაზე ხაზგასმა დიკრიმინაციული მომენტია. მეორე მხრივ კი ამგვარი ფორმულირებით საშეღავათო პირობებით ვერ სარგებლობენ სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები, რომლებიც არა სომხურ და აზერბაიჯანულ, მაგრამ რუსულენოვან სკოლებში სწავლობენ. ამიტომ, საშეღავათო პოლიტიკის სისტემის გამოსწორება ამ მხრივ დაგეგმილია. ქეთევან ჯაყელის თქმით, საშეღავათო პროგრამაზე ხელმისაწვდომობა განპირობებული უნდა იყოს არაქართულენოვანი სკოლის ატესტატის ქონით და არა ეთნიკური კუთვნილებით (ჯაყელი, 2017). თუმცა ამგვარმა მიდგომამ შესაძლოა დემოტივაცია გააკეთოს იმ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთათვის, ვინც ქართულენოვან სკოლებში სწავლობენ.

სამინისტროს წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ საშეღავათო პოლიტიკა თავიდანვე დაიგეგმა, როგორც დროებითი ინსტრუმენტი. მისივე შეფასებით, ამ პროგრამის შემუშავება გამართლებული იყო იმ მოცემულობიდან გამომდინარე, რაც მაშინ იდგა სახელმწიფოს წინაშე, თუმცა დღეს განათლების კუთხით გამოწვევები შეიცვალა, რის გამოც საჭიროა ეს პროგრამაც მოერგოს ამ გამოწვევებს. საშეღავათო პოლიტიკის არსებობა არ ცვლის იმ გარემობას, რომ სახელმწიფოს სჭირდება კვალიფიციური კადრები. მინისტრის მრჩეველი აღნიშნავს: „ქვეყანას არ სჭირდება არაკვალიფიციური სპეციალისტი, ქართველია ის თუ არაქართველი, ამას მნიშვნელობა არ აქვს.“ ამიტომ

საგანმანათლებლო ცვლილებებმა ერთი მხრივ უნდა შეუწყოს ხელი ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლობის გაზრდას ქართულ სასწავლებლებში და მეორე მხრივ, უნდა უზრუნველყოს მათი კონკურენტუნარიანობა შრომის ბაზარზე. მინისტრის მრჩეველის განცხადებით ამ კუთხით პრობლემა არსებობს არამხოლოდ სახელმწიფო ენის არცოდნის ბარიერში, არამედ ევროპული ენის არცოდნაშიც. აქედან გამომდინარე, სამინისტრო განიხილავს, როგორ მოახდინოს ევროპული ენის სწავლების ინტეგრირება ამ პროგრამაში იმ მიზნით, რომ საშეღავათო პოლიტიკის ბენეფიციარებს ჰქონდეთ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობა და იყვნენ დასაქმებადი პირები (ჯაყელი, 2017).

დასაქმების შესაძლებლობების შესახებ ქეთევან ჯაყელი აღნიშნავს, რომ ამ კუთხით ოფიციალური ხელშემწყობი ინსტრუმენტი საშეღავათო პოლიტიკის სტუდენტებისთვის არ არსებობს, მხოლოდ ცალკეული პროექტებია, სადაც 1+4 პროგრამის კურსდამთავრებულები მოიაზრებიან პოტენციურ დასაქმებად პირებად. ასეთია „მასწავლებლის სახლის“ თუ „ჟვანიას სკოლის“ სხვადასხვა პროექტი. გამომდინარე იმ რეალობიდან, რომ ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში დიდი სიმძაფრით დგას საკადრო პრობლემები სხვადასხვა სფეროში, მინისტრის მრჩეველი აღნიშნავს, რომ კვოტირებული სტუდენტებიდან იმ შეღავათის სანაცვლოდ, რასაც მათ სახელმწიფო უკეთებს, ქვეყანამ უნდა ნახოს სარგებელი ამ საკადრო პრობლემების გადაჭრაში. ამისთვის კი ბევრი ინსტრუმენტი არსებობს, თუნდაც ასეთი: საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ, სტუდენტებს ჰქონდეთ ვალდებულება 1 ან 2 წლით იმუშაონ თავიანთ მშობლიურ რეგიონებში, ხოლო

სახელმწიფო თავის მხრივ საკუთარ თავზე აიღებს მათ დასაქმებას (ჯაყელი, 2017).

საშეღავათო პოლიტიკის შეფასებისას, ქეთევან ჯაყელი ამბობს: „ამ პროგრამამ გააკეთა ის, რომ მთლიანად აღარ ხდება აბიტურიენტების გადინება ერევანში, ბაქოში, რუსეთში. ამ ადამიანებს გაუძლიერდათ იმის აღქმა, რომ საქართველო მათი სამშობლოა.“ აქვე ხაზს უსვამს იმასაც, რომ შეღავათების ამოქმედება ემყარებოდა არაქართულენოვან სკოლებში არსებულ პრობლემებს, რომლებიც სამწუხაროდ დღემდე მოუგვარებელია. აქ საუბარია არამხოლოდ ქართული ენის ცოდნის ბარიერზე, არამედ ზოგადად სასკოლო განათლების დაბალ ხარისხზე ამ სკოლებში, სადაც ვერ ხერხდება სწავლების ხარისხის მონიტორინგი, მასწავლებელთა გადამზადება ენობრივი ბარიერის გამო და შედეგიც სახეზეა. სახელმწიფო ვალდებულია ნებისმიერი სატრენინგო თუ ადმინისტრაციული პროგრამა სახელმწიფო ენაზე შეასრულოს, რაშიც ქართულის არმცოდნე არაქართულენოვანი სკოლების პედაგოგები ვერ ერთვებიან, სატრენინგო მასალების სომხურად და აზერბაიჯანულად თარგმნა კი დამატებით ფინანსებს, დროსა და კორექტირებას მოითხოვს. ასეთ ვითარებაში ქეთევან ჯაყელი დადებითად აფასებს „მასწავლის სახლის“ მიერ ორგანიზებულ დამხმარე მასწავლებელთა პროგრამას, რომლის ფარგლებშიც ქართველი კვალიფიცური პედაგოგები ასწავლიან არაქართულენოვან სკოლებში, თუმცა ესეც დროებითი ინსტრუმენტია ვითარების გასაუმჯობესებლად. გამოსავლად მინისტრის მრჩეველი მიიჩნევს ხარისხიანი ბილინგვური განათლების დანერგვას, რომლის მოდელიც დაეფუძნება შემდეგ პრინციპს: იდენტობის შენარჩუნება პლუს სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბება, საქართველოს მოქალაქეებად

ეროვნული უმცირესობების აღზრდა. ბილინგვური განათლების ახალი მოდელი შესაძლოა 2018-2019 წლებში დაინერგოს დაწყებით და სკოლამდელ განათლებაში და თუ ის იმუშავებს, შესაძლებელი იქნება ათ წელიწადში განათლების სისტემას 1+4-ის პროგრამა აღარ დასჭირდეს. საშეღავათო პირობების გაუქმება შესაძლებელი იქნება მაშინ, როდესაც ეროვნული უმცირესობებისთვის სასკოლო განათლება უზრუნველყოფს სახელმწიფო ენის ცოდნასა და ფლობას სამუშაო ენის დონეზე. მანამდე კი საშეღავათო პოლიტიკა ბენეფიციართა ჩარიცხვის იგივე წესით აუცილებლად იარსებებს, მასში შესაძლოა მხოლოდ იმ ტიპის ცვლილებებზე საუბარი, რაც ზემოთ აღინიშნა. მეტიც, ეს ინსტრუმენტი მისი ეფექტურობდან გამომდინარე სამინისტრომ გადაიტანა პროფესიულ განათლებაშიც. თუკი მოსწავლეს ენობრივი ბარიერი აქვს და სურს ისარგებლოს ამ ტიპის განათლებით, ჩააბაროს კოლეჯში სახელმწიფო დაფინანსებით, მას აქვს შესაძლებლობა ნაცვლად დარგობრივი ტესტებისა, ჩააბაროს ერთი გამოცდა თავის მშობლიურ ენაზე, 8 თვის განმავლობაში ისწავლოს სახელმწიფო ენა და შემდეგ დაეუფლოს პროფესიას (ჯაყელი, 2017).

ყოველივე ზემოთქმულიდან ვლინდება, რომ სამინისტრო გეგმავს გარკვეულ ცვლილებებს საშეღავათო პოლიტიკაში, რომელიც მიმართულია ამ პოლიტიკის ეფექტურობის გაზრდისკენ ქვეყნისა და სამიზნე რეგიონებისთვის.

დასკვნა

საშეღავათო პოლიტიკას შესაძლოა ჰყავდეს ბევრი კრიტიკოსი, ვინც თვლის, რომ ამგვარი სისტემა არათანაბარ პირობებში ამყოფებს უმრავლესობის წარმომადგენლებს, რაც გარკვეულწილად სიმართლესაც შეესაბამება, მაგრამ ამ რადიკალურ ნაბიჯზე წასვლა სახელმწიფოს მხრიდან განაპირობა იმ სოციალურ-პოლიტიკურმა ფონმა, რაც ეთნიკური უმცირესობების ორი დიდი ჯგუფის - სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობის კომპაქტურად განსახლებულ რეგიონებში - სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში არსებობს. საშეღავათო პოლიტიკის მეშვეობით, საგანმანათლებლო სფეროს დაეკისრა მნიშვნელოვანი სოციალური და პოლიტიკური პასუხისმგებლობა, რომელიც გულისხმობდა ეთნიკურ უმცირესობებში საქართველოს სახელმწიფოსადმი ლოიალობის ჩამოყალიბებას და უმცირესობათა წარმომადგენლების აღზრდას საქართველოს მოქალაქეებად. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ საშეღავათო პოლიტიკა ამ პასუხისმგებლობას ეფექტურად ართმევს თავს, თუმცა ის შეიცავს რიგ თვისებრივ და ხარისხობრივ ნაკლს, რაც მდგომარეობს შემდეგში:

- უნდა მოხდეს ე.წ. „უფასო ფაკულტეტების“ წესის ინტეგრირება საშეღავათო პოლიტიკაში;
- დასახვეწი და გასაუმჯობესებელია ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამა, რომელიც მეტად უნდა მოერგოს სტუდენტთა საჭიროებებს და აქედან გამომდინარე, აიმაღლოს ეფექტურობის ხარისხი. ამ მხრივ, იკვეთება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამის უპირატესობა.

მოცემული კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ასევე დავასკვნათ შემდეგი:

- ფართოვდება საშეღავათო პოლიტიკის გეოგრაფიული არეალი;
- მისი შედეგები ხასიათდება გეოგრაფიული სხვაობებით, კერძოდ სამიზნე რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებს შორის;
- 2010 წლიდან მოყოლებული საშეღავათო პოლიტიკას პროცენტულად გაცილებით მეტი ბენეფიციარი ჰყავს ქვემო ქართლის რეგიონიდან, ვიდრე სამცხე-ჯავახეთიდან. განსხვავებულია მისი ეფექტურობა მუნიციპალიტეტების მიხედვითაც: ჯავახეთის მაგალითზე ნაკლებად აქტიური რჩება ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, რომელიც სტატისტიკური მაჩვენებლებით არამხოლოდ აზერბაიჯანულენოვან მუნიციპალიტეტებს, არამედ სამცხე-ჯავახეთის სხვა დანარჩენ მუნიციპალიტეტსაც ჩამორჩება. ამ ფაქტის ახსნა გამოჩნდა თვისებრივ კვლევაში, სადაც ხაზი გაესვა ახალქალაქში ადგილობრივი მოსახლეობის გულგრილ და რიგ შემთხვევებში წინააღმდეგობრივ დამოკიდებულებას ზოგადად ქვეყნის ხელისუფლების მიმართ და სახელმწიფო ენის სწავლის კუთხით. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ ამ გეოგრაფიულ არეალში არსებობს ინტეგრაციის ხელშეწყობის დამატებითი ღონისძიებების განხორციელების საჭიროება.
- უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობა იზრდება დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე ეთნიკური უმცირესობებისთვის;
- საშეღავათო პოლიტიკა ეროვნულ უმცირესობებში ზრდის სახელმწიფოსადმი ლოიალობასა და საქართველოს მოქალაქეობის განცდას, აქედან გამომდინარე ის წარმოადგენს

უმცირესობების ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს;

- ვლინდება გარკვეული ტიპის გაუცხოება საშეღავათო პოლიტიკის ბენეფიციარ არამხოლოდ სომხურ და აზერბაიჯანულენოვან სტუდენტებს შორის, არამედ თავად სომხურენოვნებს შიგნითაც;
- სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტები გაცილებით მარტივად ამყარებენ ურთიერთობას და უმეგობრდებიან ეთნიკურ ქართველებს, ვიდრე ეს ამ ორ ჯგუფს შორის ან სომხურენოვან თბილისელ და რეგიონის სტუდენტებში ხდება. ეთნიკურ უმცირესობათა ორ განსხვავებულ ჯგუფს შორის გაუცხოება მათ მშობლიურ ქვეყნებს შორის არსებული პოლიტიკური კონფლიქტით აიხსნება (ყარაბაღის პრობლემა), ქართული მხარე კი ისტორიულად მათ შუამავალს ყოველთვის წარმოადგენდა. რაც შეეხება გაუცხოებას რეგიონისა და თბილისელ სომხურენოვნებს შორის, ეს ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციის განსხვავებული დონეებით და შესაბამისად სხვადასხვა, სოციალურ-კულტურული განწყობებით შეიძლება ავხსნათ.
- გამოიკვეთა „ორმხრივი ინტეგრაციის“ საჭიროება, კერძოდ, ქართულ საზოგადოებასა და უმცირესობათა ჯგუფებშიც საქართველოს მოქალაქე ეროვნული უმცირესობების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის აუცილებლობა.
- ქართული საზოგადოების ნაწილში, მეტწილად კი უფროს თაობაში შეინიშნება საქართველოს მოქალაქე არაქართველების მიმართ განსხვავებული, მეტწილად დამამცირებელი ან უპირატესის პოზიციიდან განპირობებული დამოკიდებულება და „განსხვავებულობაზე“ ხაზგასმა. ეს სოციალური ასპექტი

საჭიროებს უკეთ შესწავლას და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას.

საშეღავათო პოლიტიკა მისი ამოქმედების პირველივე წლიდან განისაზღვრა, როგორც დროებითი პოლიტიკა, მისი მოქმედების ბოლო ვადად კი გამოცხადდა 2018-2019 წლები. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გეგმავს განათლების სისტემის რეფორმას არაქართულენოვან სკოლებში ბილინგვური განათლების შეტანის გზით, რამაც დროთა განმავლობაში საშეღავათო პოლიტიკის არსებობის საჭიროება უნდა გააქროს. მანამდე, კი იგეგმება საშეღავათო პოლიტიკის არსებული ფორმით გაგრძელება, მასში იმგვარი დამატებითი ცვლილებების შეტანით, რაზეც საუბარი ნაშრომის ბოლო თავში იყო და რამაც კიდევ უფრო უნდა შეუწყოს ხელი ამ პოლიტიკის მნიშვნელოვანი სოციალური ასპექტის მოგვარებას - უმცირესობების წარმომადგენელთა ჩამოყალიბებას საქართველოს მოქალაქე, კვალიფიციურ და კონკურენტუნარიან დასაქმებად პირებად, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სამოქალაქო ინტეგრაციას და უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფოსთვის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემის - სახელმწიფო ენის მცოდნე, კვალიფიციური საკადრო რესურსის დეფიციტის აღმოფხვრას.

„ეუთოს“ ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის აპარატის მიერ შემუშავებული პრინციპების თანახმად შეგვიძლია ვთქვათ, რომ უმაღლესი განათლების კუთხით ეთნიკური უმცირესობებისთვის სახელმწიფოს მიერ საშეღავათო პოლიტიკის განხორციელება მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყანა აცნობიერებს პასუხისმგებლობას მისი მოქალაქე ეთნიკური უმცირესობების წინაშე და სამოქალაქო ინტეგრაციის იმ გამოწვევებს, რომელთა წინაშეც დღეს ის დგას. ქვეყნის მიერ განათლების პოლიტიკის

შემუშავება, როგორც ინტეგრაციის პოლიტიკის ნაწილი ამ გამოწვევების საპასუხოდ გადადგმული ეფექტური ნაბიჯია, რომელმაც საგანმანათლებლო სფეროში დაგეგმილ სხვა ცვლილებებთან ერთად კიდევ უფრო მეტი შედეგი უნდა მოიტანოს როგორც ეთნიკური უმცირესობების განსახლების არეალების, ასევე მთლიანად ქვეყნის განვითარებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

გაბუნია, კ. - თსუ-ს ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის ხელმძღვანელი, ინტერვიუერი - ს. გოგელია, 2017 წლის 26 ივნისი;

გოგსაძე, გ. კაჭკაჭიშვილი, ი. ბაშელეიშვილი, ლ. "უმცირესობათა ინტეგრაცია საქართველოში: ძირითადი გამოწვევები და შესაძლებლობები (ჯავახეთის მაგალითი)", ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი, თბილისი, 2014;

კიღურაძე, თ - ილიას უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის ხელმძღვანელი, ინტერვიუერი - ს.გოგელია, 2017 წლის 2 ივნისი;

საქსტატი, მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები, ზოგადი ინფორმაცია. მოპოვებული geostat.ge: http://census.ge/ge/results/census-დან;

სტატისტიკური ინფორმაცია, გამოთხოვილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისგან;

ტაბატაძე, შ - „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ თავმჯდომარე, ინტერვიუერი - ს.გოგელია, 2017 წლის 8 ივნისი;

ტაბატაძე, შ. გორგაძე, ნ. "ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის ეფექტურობის კვლევა", „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი“, თბილისი, 2016;

ჯაყელი, ქ - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მრჩეველი ეროვნული უმცირესობების განათლების საკითხში, ინტერვიუერი - ს. გოგელია, 2017 წლის 15 ივნისი;

F. Garrison-Wade, D. C. "Affirmative Action: History and Analysis". University of California (The Journal of College admission), 2004;

Gupta, A. "Affirmative Action in Higher Education in India and The US". University of California, Berkeley, 2006;

Kirakosyan, L. "Affirmative Action Quotas in Brazilian Higher Education", Virginia Tech, Blackburg, USA, 2014;

OSCE, "The Lyublyana Guidelines on Integration of Diverse Societies & Explanatory Note", 2012;

Thus, G. "Capabilities, language proficiency and civic integration". Utrecht University, Faculty of Geoscience, 2016.

დანართი N1

ინტერვიუს გზამკვლევი ექსპერტებისთვის

1. გვიამბეთ, რამ განაპირობა საშეღავათო პოლიტიკის დანერგვა საქართველოში? რა მიზანს ემსახურება არსებული პოლიტიკა?
2. რა საერთაშორისო გამოცდილება არსებობს ამ კუთხით და იქნა თუ არა ის გათვალისწინებული პოლიტიკის ჩარჩოს ჩამოყალიბებისას?
3. რაში გამოიხატება საშეღავათო პოლიტიკა საქართველოში? რა ფორმით ხორციელდება ის?
4. გარდა სასწავლო კომპონენტისა მოიცავს თუ არა საშეღავათო პოლიტიკა სხვა ასპექტებს?
5. გვიამბეთ ქართულ ენაში მოსამზადებელი კურსის შესახებ
6. რამდენად აუმჯობესდებენ პროგრამის სტუდენტები ქართული ენის უნარებს?
7. საშეღავათო პოლიტიკის თქვენეული ხედვა; რა მიღწევებსა და ხარვეზებს გამოყოფდით?
8. აქვს თუ არა სამინისტროს ან სხვა დაწესებულებებს რამე ფორმით ურთიერთობა კურსდამთავრებულებთან?
9. არსებობს თუ არა ხელშეწყობა სამინისტროს ან ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მხრიდან ამ სტუდენტების დასასაქმებლად?
10. მომავალში გაგრძელდება თუ არა ეს პოლიტიკა, ან რა ცვლილებებია მოსალოდნელი?

დანართი N2

ინტერვიუს გზამკვლევი მოსამზადებელი კურსის ხელმძღვანელთათვის

1. გვიამბეთ უნივერსიტეტის ქართულ ენაში მოსამზადებელი კურსის შესახებ; როგორ დაიგეგმა და რა პრიორიტეტები განისაზღვრა?
2. რას მოიცავს სასწავლო პროგრამა?
3. როგორ ხდება ჯგუფების დაკომპლექტება?
4. რამდენად აუმჯობესებენ სტუდენტები ქართული ენის უნარებს კურსის დასრულების შემდეგ?
5. სასწავლო კომპონენტის გარდა მოიცავს თუ არა მოსამზადებელი კურსი დამატებით აქტივობებს, რომლებიც სტუდენტებს ხელს შეუწყობს ახალი სოციალური თუ აკადემიური გარემოს ათვისებისთვის?
6. რა პრობლემებსა და საჭიროებებს ხედავთ მოსამზადებელი კურსის ფარგლებში?
7. რა ცვლილებებია მოსალოდნელი?

დანართი N3

სადისკუსიო გეგმა ფოკუს-ჯგუფისთვის

1. როგორ გაიგეთ 1+4 პროგრამის შესახებ?
2. როგორ მიიღეთ გადაწყვეტილება ამ პროგრამით ჩაბარების თაობაზე? რა მიზეზები იყო გადამწყვეტი არჩევანის გაკეთების დროს?
3. როგორ შეხვდენენ მშობლები თქვენს არჩევანს?
4. როგორ მიიღეთ გადაწყვეტილება სასწავლებლისა და ფაკულტეტის არჩევის შესახებ?
5. რა მოლოდინი და მიზანი გქონდათ სწავლის დაწყებამდე?
6. რამდენად კარგად ფლობდით ქართული ენის უნარებს მოსამზადებელი კურსის გავლამდე? შემდეგ?
7. რა სირთულეებს გამოყოფდით სწავლის განმავლობაში? (იგულისხმება მოსამზადებელი კურსი და ბაკალავრიატის საფეხური)
8. მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა სწავლის პერიოდში სხვადასხვა საუნივერსიტეტო აქტივობასა და ღონისძიებაში? როგორ აფასებთ მათ?
9. სწავლის განმავლობაში შეიძინეთ თუ არა მეგობრები? (ქართველი და სხვა)

სომხურენოვანი სტუდენტებისთვის: გაქვთ თუ არა თბილისელ სომხურენოვან სტუდენტებთან ურთიერთობა? დაუმეგობრდით თუ არა მათ?

10. თბილისში ყოფნის განმავლობაში გიგრძვნიათ თუ არა რაიმე სახის დისკრიმინაცია უნივერსიტეტში/საცხოვრებელ გარემოსა და ყოფაში?

11. გსურთ თბილისში დარჩენა?

აპირებთ სწავლის გაგრძელებას? სად?

12. გსმენიათ თუ არა სტაჟირების პროგრამის შესახებ? როგორ აფასებთ ამ ინიციატივას და მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა შესარჩევ კონკურსში?

13. როგორ აფასებთ 1+4 პროგრამას? ისურვებდით თუ არა რამის შეცვლას მოსამზადებელ კურსსა და მთლიანად ამ პროგრამაში?

ურჩევდით თუ არა მეგობარს ამ პროგრამით სარგებლობას? რატომ?

14. თქვენი აზრით, ეს პროგრამა ყოველთვის უნდა არსებობდეს არაქართულენოვანი აბიტურიენტებისთვის თუ შესაძლოა მხოლოდ გარკვეული ვადით განისაზღვროს? რატომ ფიქრობთ ასე?

15. სამსახურის არსებობის შემთხვევაში დაბრუნდებით თუ არა მშობლიურ მხარეში?

დანართი N4

რუკა შედგენილია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემების საფუძველზე



დანართი N5

საქართველოს რეგიონები მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის მიხედვით

(ცხრილი შედგენილია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემების საფუძველზე, http://census.ge/ge/results/census)

	ქართველი	აზერბაიჯანელი	სომეხი	სხვა
ქ. თბილისი	90%	1%	5%	4%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	96%	0%	2%	2%
გურია	98%	0%	1%	1%
იმერეთი	99%	0%	0%	1%
კახეთი	85%	10%	1%	4%
მცხეთა-მთიანეთი	94%	2%	0%	4%
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	100%	...	...	0%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	99%	0%	0%	1%
სამცხე-ჯავახეთი	48%	0%	51%	1%
ქვემო ქართლი	51%	42%	5%	2%
შიდა ქართლი	95%	2%	1%	2%

დანართი N6

კვოტირების ფარგლებში გამოყოფილი ადგილები და ათვისების მაჩვენებელი

წელი	გამოყოფილი ადგილების რაოდენობა	ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა	ათვისებული ადგილების %
2010	2602	301	11,56%
2011	2100	431	20,52 %
2012	2242	584	26.04%
2013	3900	928	23.79%
2014	4500	698	15,5%
2015	4200	800	19,04 %
სულ	19544	3742	19,1%

ინფორმაცია მოწოდებულია „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ მიერ

დანართი N7

რუკა შედგენილია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული მასალის საფუძველზე



დანართი N8

რუკა შედგენილია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული მასალის საფუძველზე



დანართი N9

ქართულ ენაში მოსამზადებელი პროგრამების განმახორციელებელი უსდ-ები
ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია
სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია
სსიპ ქ. ქუთაისის სამუსიკო კოლეჯი
შპს - ევროპის უნივერსიტეტი
შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი
შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი XXI საუკუნე
შპს - სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი
შპს ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტი
შპს თბილისის საერთაშორისო აკადემია
შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი
შპს უმაღლესი სასწავლებელი განათლების აკადემია
შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია მოწოდებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Student – Salome Gogelia

Socio-Geographic Aspects of State Affirmative Action for Ethnic Minorities in Georgia

Human Geography MA Program

MA Thesis is submitted for Human Geography Master Degree

Supervisor: George Gogsadze, Professor
Head of Human Geography Unit

Tbilisi, 2016

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

თამარა ქუქიშვილი

თრუსოს ხეობის ეთნოპოლიტიკა: კრიტიკულ-გეოგრაფიული ანალიზი

საზოგადოებრივი გეოგრაფიის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საზოგადოებრივი გეოგრაფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: დავით სიჭინავა

ასისტენტ-პროფესორი

თბილისი

2017

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომი ეხება თრუსოს ხეობის ეთნოპოლიტიკის კრიტიკულ-გეოგრაფიულ ანალიზს. თრუსოს ხეობის შემთხვევა საინტერესოა იმ კუთხით, რომ წარმოადგენს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულს, რომელიც გარკვეული დროის განმავლობაში ეთნიკური ოსებით იყო დასახლებული და ესაზღვრება ცხინვალის რეგიონს, ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკას და მდებარეობს საქართველოს სამხედრო გზაზე. აღნიშნული გარემოებები განაპირობებს თრუსოს ხეობის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას. მის მიმართ განსაკუთრებით სენსიტიურ დამოკიდებულებას ავლენენ ეთნიკური ოსები, რომელთაც ისტორიული წარსული აკავშირებთ თრუსოსა და კობის თემის სოფლებთან. იქედან გამომდინარე, რომ აღნიშნული პირები რუსეთის მოქალაქეები არიან, არ აღიარებენ საქართველოს მთლიანობას და ღიად საუბრობენ თრუსოზე-როგორც ჩრდილოეთ ოსეთის ისტორიულ ნაწილზე, საჭიროა შესწავლილ იქნეს თრუსოს ხეობასთან დაკავშირებული საკითხები და სამომავლოდ სწორი აქცენტები გაკეთდეს. ნაშრომის **მიზანია** თრუსოს ხეობის, როგორც ტერიტორიული ერთეულის ისტორიული და გეოგრაფიული რეალობის დანახვა და მასთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხის გაცემა. აღნიშნულის ფარგლებში განსახილველია შემდეგი სახის **ამოცანები:** რამდენად რეალურია თრუსოს ხეობის პოლიტიკურ სადავო ტერიტორიად ან ეთნიკური დაპირისპირების მიზეზად გადაქცევა; რამდენად სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენენ ჩრდილოეთ ოსეთში შექმნილი საზოგადოებრივი ორგანიზაციები და შესაძლებელია თუ არა მათ უკან სხვა ძალა იდგეს; ნაშრომის **კვლევის საგანი** თრუსოს ხეობის ეთნოპოლიტიკის შესწავლაა კრიტიკული გეოპოლიტიკის თვალსაზრისით, **კვლევის ობიექტს** კი ის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციები წარმოადგენენ, რომლებიც თრუსოს ხეობის ჩრდილოეთ ოსეთისთვის მიერთებაზე საუბრობენ. ასევე თრუსოდან წასული ოსების როლი და ჩართულობა ზემოთაღნიშნულ სამოქალაქო თუ პოლიტიკურ აქტივობებში.

საკითხის საფუძვლიანი შესწავლის შედეგად ნაშრომი ამტკიცებს, რომ თრუსოს ხეობის ქართული მოსახლეობით დასახლება, ინფრასტრუქტურული მოწყობა და ეკონომიკური განვითარება საბოლოოდ შეძლებს ამჟამად დაცლილი ხეობის შესახებ არსებული კითხვების გაქრობას.

Tamara Kukishvili

Trusos's Valley's ethnopolitical, critical- geographical annalase

Annotation

The present labour is about Trusos`s Valley`s ethnopolitical, critical- geographical annalase.Case of Truso`s Valley`s is an interesting in this side of that it presents Kazbegi`s municipalitical territorical unit, which was settle ethnic Ossetians and it board Tskhinvali reigion, thr north Ossetia is locate on Georgian military road. This case give us Truso`s Valley`s important meaning for that they make sensitive depends ethnic Ossetia whose had inion of ethnic past with Truso and Kobi`s theme villagers. And now they are Russian`s citizens, they don`t integrity Georgian and they speak on Truso as on north Ossetia `s istorical part. It is nessesary to study about Trusos`s Valley`s issues and must be done real aqcents. The labour`s aim is Truso`s Valley`s territorical units of istorical and geographical meanings and will do conclusions answers of the questions. Within the scope of this wil be discusse nexs task. How much is real Truso`s Valley`s political argue on territorical or ethnic aim prohibite, is it seriously controversy present on north ossetia created civil organizations and it is probably there must be different power. Labour`s reaserch`s subject is Truso`s Valley`s ethnopolitical study on critical geopolitical meanings. The reaserch`s object is human and political organizations whose are went from Ossetia their connect with civil or political activities. As a result of the thorough study of the issue, the work asserts that the settlement of Georgian population in Truso`s Valley`s, infrastructural arrangement and economic development will ultimately be able to disappear the current situation in the valley.

სარჩევი

ანოტაცია 2

Annotation 3

შესავალი 5

თავი I 9

1.1 კრიტიკული გეოპოლიტიკა 9

1.2 პრაქტიკული და პოპულარული გეოპოლიტიკა: გეოპოლიტიკური არგუმენტაცია სახელმწიფოს მართვის ხელოვნების პრაქტიკაში 11

თავი II - კონტექსტის აღწერა 17

2.1. თრუსოს ხეობის გეოგრაფიული მდებარეობა 17

2.2. თრუსოს ხეობის ისტორიული აღწერა 20

2.3 დემოგრაფიული დინამიკის აღწერა 25

თავი III 29

3.1 პოლიტიკური განცხადებები: 29

დასკვნა 37

ბიბლიოგრაფია 40

შესავალი

საქართველოს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა და გეოპოლიტიკური მნიშვნელობა მის საერთაშორისო პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ პროცესებში ჩართვას განაპირობებს. მისი ხელსაყრელი მდებარეობა კი იწვევს დიდ ინტერესს საქართველოს მიმართ როგორც ევროპის ისე აზიის ქვეყნების, განსაკუთრებით კი რუსეთის მხრიდან.

თანამედროვე პოლიტიკურ სამყაროში არ არსებობს არცერთი ეთნიკურად სტერილური ქვეყანა. თითოეულ სახელმწიფოში გარდა დომინანტი ერისა, არსებობენ ეთნიკური უმცირესობები, რომელთა მიმართ დამოკიდებულება ეპოქისა და სახელმწიფოს მიხედვით განსხვავებულია. მათ მიმართ არასწორმა დამოკიდებულებამ ან დროთა განმავლობაში ტერიტორიულმა ცვლილებამ შესაძლოა გააჩინოს ეთნოკონფლიქტი. სწორედ აღნიშნული პრობლემის თავის აცილების მიზნით და ეროვნული უმცირესობების მიმართ გატარებული პოლიტიკა არის ეთნოპოლიტიკა. ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მდებარე თრუსოს ხეობა საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ეთნიკური ოსებით იყო დასახლებული. რთული საცხოვრებელი პირობების გამო XX საუკუნის 90-იანი წლებიდან თრუსოს ხეობა ფაქტიურად დაიცალა და წლების განმავლობაში აქ ცხოვრების პრეტენზია არც ქართულ და არც ოსურ მოსახლეობას არ ქონია. 2008 წლის ცხინვალის ომის შემდეგ ოსურმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და პოლიტიკურმა მოღვაწეებმა პერიოდულად თრუსოს ოსებისთვის დაბრუნებისა და ჩრდილოეთ ოსეთთან მიერთების საკითხის გააქტიურება დაიწყეს. ერთის მხრივ ხეობის სტრატეგიული მდებარეობისა და მეორეს მხრივ მისი ეთნიკური სიჭრელის გამო შესაძლოა უახლოეს მომავალში თრუსოს ხეობა სამხედრო და პოლიტიკური უსაფრთხოების კუთხით ერთ-ერთ მნიშვნელოვან სადისკუსიო საკითხადაც კი იქცეს.

თრუსოს ხეობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა საინტერესოა კრიტიკული გეოპოლიტიკის თვალსაზრისით, რომელიც პირდაპირ ფოკუსირდება ისეთ დეტალებზე როგორიცაა ისტორიული და გეოგრაფიული წარსულის შესახებ დავა, ოფიციალური პირების პროპაგანდისტული განცხადებები, პოლიტიკურ იდეებსა და პრაქტიკებს შორის არსებული კავშირები, ტერტორიულ ექსპანსიონიზმის თავისებურებები და გეოგრაფიული რუკის ფორმირება. კრიტიკული გეოპოლიტიკა მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად მნიშნელოვანია გეოგრაფიული აღქმა უცხოური

პოლიტიკის კონცეპტუალიზაციასა და გადაწყვეტილების მიღებაში. მარტივად რომ ვთქვათ კრიტიკული გეოპოლიტიკის თვალსაზრისთ, გლობალური პოლიტიკის ყველა მოდელი გეოგრაფიული წარმდგენების გავლენის ქვეშ იმყოფება, ან უფრო მეტიც მის გარეშე არ ყალიბდება. საკვლევი თემის სპეციფიკიდან გამომდინარე ნაშრომში ძირითადი აქცენტი კრიტიკული გეოპოლიტიკის ერთ-ერთ სახეობაზე - პრაქტიკულ გეოპოლიტიკაზე კეთდება. პრაქტიკული გეოპოლიტიკა - გეოგრაფიულ და ისტორიულ კონტექსტებს შეისწავლის, რომლებშიც იკვეთება კონკრეტული პოლიტიკური, გეოგრაფიული და სტრატეგიული იდეები. კრიტიკული გეოპოლიტიკის ცნების ავტორის ჯერარდ ტოალის აზრით, საჭიროა ფორმალური გეოგრაფიული გარჩევებისა და პრაქტიკული დისკუსიების განსხვავება, რომლებიც გამოიყენება პასუხისმგებლობის მქონე პირების მიერ საერთაშორისო პოლიტიკურ პრაქტიკასა და ხდება მათი მასმედიით პოპულარიზაცია. (Tuathail G. O., 1996)

დასკვნაში გაანალიზებულია თითოეული საკითხი და შეფასებულია საკითხთან მიმართებაში არსებული ზოგადი ვითარება. ასევე შემუშავებულია რეკომენდაციები თუ მოიხსნას პრობლემა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ 2008 წლამდე თრუსოს ხეობის სადავოობაზე არავის უსაუბრია, ალბათ ამის ბრალიცაა, რომ მის შესახებ არ არსებოს მნიშვნელოვანი მეცნიერული ან ანალიტიკური კვლევები. საკმაოდ ნაკლებად ეხებიან პრობლემის განხილვას ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები და ექსპერტებიც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ნაშრომის **მიზანს** თრუსოს ხეობის ისტორიულ-გეოგრაფიულ კონტექსტში დეტალური შესწავლა და ტერიტორიული დავის აღმოფხვრის გზების ძიება წარმოადგენს.

ნაშრომის წერის დროს გამოკვეთილი **ამოცანები:** რამდენად რეალურია თრუსოს ხეობის პოლიტიკურ სადავო ტერიტორიად ან ეთნიკური დაპირისპირების მიზეზად გადაქცევა; რამდენად სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენენ ჩრდილოეთ ოსეთში შექმნილი საზოგადოებრივი ორგანიზაციები და შესაძლებელია თუ არა მათ უკან სხვა ძალა იდგეს;

საკითხის სიღრმისეული შესწავლისთვის საჭირო გახდა თრუსოს შესახებ არსებული როგორც ქართული ისე რუსულენოვანი წყაროების შესწავლა და შედარება;

ნაშრომში მოყვანილია საზოგადო მოღვაწეებისა და პოლიტიკოსების ოფიციალური განცხადებები, დემოგრაფიული და სტატისტიკური აღწერის შედეგები.

ნაშრომის წერისას გამოყენებული მეთოდებია: **დისკურსის ანალიზი**, ეს არის ანალიტიკური მეთოდი, რომელიც ფოკუსირებას ახდენს ყველა სახის ვერბალურ და ტექსტურ მასალაზე: წარმოთქმულ და დაწერილი ანგარიშებზე, წერილებზე, მეცნიერული ჟურნალებზე, გაზეთის სტატიებსა და ა.შ. მისი მიზანი იმ გზის აღწერაა, რომლითაც ეს დისკურსი განხორციელდა, ასევე დისკურსისას გამოყენებული სპეციფიკური კონსტრუქციების ფუნქციების კვლევა როგორც ინდივიდუალურ, ასევე საზოგადოების დონეზე. (Wooffitt, conversition Analysis & Discourse Analysis, 2005)

დისკურსის კრიტიკული ანალიზი (CDA) - არის ლინგვისტიკის განყოფილება, რომელიც ცდილობს იმის გაგებას თუ რატომ და როგორ ახდენს გარკვეული ტექსტები მკითხველსა და მსმენელზე გავლენას. გრამატიკის ანალიზის საშუალებით შესაძლოა „დაფარული იდეოლოგიის“ სწორი გაგება, რომელსაც შეუძლია მკითხველზე, მსმენელსა და მსოფლიოზე გავლენის მოხდენა. ანალიტიკოსები განიხილავენ დამწერლობითი თუ სხვა ტექსტების ფართო სპექტრს- პოლიტიკურ მანიფესტებს, რეკლამებს, წესებსა და მდგომარეობას - იმის მცდელობაში რომ დემონსტრირება შეძლონ თუ როგორ იყენებენ ტექსტის მწარმოებლები ენას ისეთი გაგებით, რომელიც შეძლებს იდეოლოგიურ აზრის შეძენას. დკა-ს ბევრი ინსტრუმენტი, ამოღებულია სტილისტიკიდან, რომელსაც განიხილავს იმას თუ როგორ ქმნიან ტექსტები პოეტურ ეფექტს. დკა იყენებს ანალოგიურ ანალიზს არალიტერატურული ტექსტების განხილვისთვის. არ არსებობს ინსტრუმენტების დადგენილი ჯგუფი და ტექსტის შეწავლა ყოველდღიურად შეიძლება დაიხვეწოს და გაუმჯობესდეს. თუმცა ტრადიციული ინსტრუმენტები ითვალისწინებს მოდალურობას, ტრანზიტულობასა და ნომინალიზაციას, იმის ფონზე რომ ბოლოდროინდელი დამატებები მოიცავს სახელის დარქმევას, ოპონირებასა და უარყოფას. (Evans, 2013)

მოცემულ კვლევაში ასევე გამოყენებულია თვისებრივი კვლევის ერთ-ერთ მეთოდი - **კონტენტ-ანალიზი**, რომელიც მოიცავს ინტერნეტ სტატიების, ოფიციალურ ანგარიშების, სხვადასხვა ოფიციალური პირების გამოსვლების, ოფიციალურ განცხადებებისა და დოკუმენტების ანალიზს.

ნაშრომის წერისას ასევე გამოყენებული იქნა შემდეგი მეთოდები: **სალიტერატურო მეთოდი** - სხვადასხვა სახის ლიტერატურული და ინტერნეტ წყაროების მოძიება. **სტატისტიკური მეთოდი** - სტატისტიკური ინფორმაციის მოძიება. **კარტოგრაფიული მეთოდი** - პროგრამა გის-ში შექმნილი თემატური რუკები.

თავი I

1.1 კრიტიკული გეოპოლიტიკა

სანამ უშუალოდ კვლევაზე გადავიდეთ ჯერ უნდა განიმარტოს რას ნიშნავს კრიტიკული გეოპოლიტიკა და რამდენად რელევანტურია ის თრუსოს ხეობის საკითხების კვლევისას.

კრიტიკული გეოპოლიტიკა 1980-იან წლებში განვითარდა და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ძალაუფლებისა და ცოდნის არსებული სტრუქტურები. იგი მოსახერხებელი იარლიყია ლიტერატურისა და ტენდენციების განსხვავებული ნაკრებითვის, რომელიც ცდილობდა გლობალური პოლიტიკური ცხოვრების სირთულეების დაძლევასა და ძალაუფლების გამოვლენას. იგი ასახავდა ცოდნას გეოპოლიტიკის შესახებ, რომელიც დაფარული იყო „ორთოდოქსალური გეოპოლიტიკის“ მიერ. გეოპოლიტიკა კრიტიკულია ისეთი ზედაპირული და თვითდაინტერესებული დამოკიდებულების მიმართ, როგორითაც საკუთარი კულტურული და პოლიტიკური მოსაზრებების პროპაგანდისას ორთოდოქსალური გეოპოლიტიკა „მსოფლიო პოლიტიკურ რუკას კითხულობს“.

კრიტიკული გეოპოლიტიკა ცდილობს საზოგადოებრივი დებატების გამოვლენას დემოკრატიული პოლიტიკის გაღრმავებით. კრიტიკული გეოპოლიტიკისთვის ცნება "არის" ყოველთვის არსებითად სადაო პერსპექტივაა. ცოდნა ყოველთვის არის სიტუაციური ცოდნა, გარკვეული კულტურისა და სუბიექტების პერსპექტივა სხვების მარგინალიზებისას. მისი "ჩვენ" არის სახელმწიფოსა და სამხედრო ბიუროკრატიებში კონცენტრირებული ძალაუფლების მიმართ სკეპტიკურად განწყობილი მოქალაქეების ტრანსნაციონალური საზოგადოება და გახსნილია დემოკრატიული დებატების "უსაფრთხოების" მნიშვნელობისა და პოლიტიკის მიმართ.

როგორც მიდგომა, კრიტიკული გეოპოლიტიკა იწყება კამათით იმის თაობაზე, რომ "გეოპოლიტიკა" უფრო ფართო და უფრო რთული პრობლემაა, ვიდრე აღიარებულია ამ კონცეფციის ორთოდოქსიულ გაგებაში. იმის მტკიცებამ, რომ გეოპოლიტიკა არის "გეოგრაფიის" გავლენის შესწავლა სახელმწიფოების მიერ საგარეო პოლიტიკაზე არ უნდა განსაზღვროს "გეოგრაფიის" ვიწრო გაგებად, რადგან მას აქვს მრავალი სხვადასხვა მნიშვნელობა. ყველა სახელმწიფო ტერიტორიული ერთეულია და ყველა საგარეო პოლიტიკის სტრატეგია და პრაქტიკა განპირობებულია ტერიტორიული გზით,

გეოგრაფიული ადგილმდებარეობით და ინფორმირებულია გარკვეული გეოგრაფიული გაგებით მსოფლიოს შესახებ. გეოგრაფია არ არის ფიქსირებული სუბსტრაქტი, როგორც ზოგიერთი აუცილებლობა, არამედ იგი წარმოადგენს დედამიწის შესახებ ცოდნის ისტორიულ და სოციალურ ფორმას. იმისათვის, რომ აღვიქვათ "გეოგრაფია" ისტორიულად, საკმარისი არ არის ფიზიკური ლანდშაფტის ან "ბუნების" ნახვა, არამედ საჭიროა წიგნის წაკითხვა. ამიტომ დღესდღეობით ხშირ შემთხვევაში მივიწყებული, "გეოგრაფია" არ არის "ბუნება". უფრო მეტიც, გეოგრაფია არის არაპირდაპირი სოციალური და პოლიტიკური „გეოგრაფიული გრაფიკა“.

90-იანი წლებიდან კრიტიკული გეოპოლიტიკა დისციპლინათშორისი კვლევების გეგმად გადაიქცა, რომლის ფარგლებშიც ოთხი მიმდინარეობა გამოიყო:

1. პრაქტიკული გეოპოლიტიკა- გეოგრაფიული და პოლიტიკური წარმოდგენების/ განხილვების და მათი პრაქტიკული რეალიზაციის (პოლიტიკური პრაქტიკის) შესწავლა.
2. ფორმალური გეოპოლიტიკა - გეოგრაფიული და ისტორიულიკონტექსტების შესწავლა, რომლებშიც იკვეთება კონკრეტული პოლიტიკური, გეოგრაფიული და სტრატეგიული იდეები.
3. პოპულარული გეოპოლიტიკა - გეოპოლიტიკური ხედვების გავლენა მასობრივ კულტურაზე, გეოპოლიტიკური სტერეოტიპების გაერთიანებების შესწავლა.
4. სტრუქტურული გეოპოლიტიკა - გლობალიზაციის, ინფორმატიულობისა და ეკონომიკური განვითარების გავლენა სახელმწიფო მმართველობაზე.

ცხრილი #1

გეოპოლიტიკის ტიპი	კვლევის ობიექტი	პრობლემატიკა
ფომალური გეოპოლიტიკა	გეოპოლიტიკური აზრი და ტრადიცია	მკვლევართა პერსონალი, ინსტიტუტები და მათი პოლიტიკური და კულტურული კონტექსტი
პრაქტიკული გეოპოლიტიკა	სახელმწიფოს მართვის პრაქტიკა	პრაქტიკულიაზროვნება გეოპოლიტიკის შესახებ საერთაშორისო პოლიტიკის განხორციელებისას
პოპულარული გეოპოლიტიკა	მასობრივი კულტურა, საინფორმაციო საშუალებები და გეოგრაფიული წარმოდგენები	ნაციონალური კუთვნილება და სხვა ხალხებისა და ადგილების შექმნა
სტრუქტურული გეოპოლიტიკა	გეოპოლიტიკის თანამედროვე მდგომარეობა	გლობალური პროცესები, ტენდენციები და წინააღმდეგობები

ნაშრომის თემატიკას კარგად გამოხატავს პრაქტიკული და პოპულარული გეოპოლიტიკა, მისი საშუალებით კიდევ უფრო მარტივი ხდება არსებული რეალობის გააზრება და პოლიტიკოსების განცხადებებისა თუ გადადგმული პოლიტიკური ნაბიჯების შინაარსობრივი დანახვა.

1.2 პრაქტიკული და პოპულარული გეოპოლიტიკა: გეოპოლიტიკური არგუმენტაცია სახელმწიფოს მართვის ხელოვნების პრაქტიკაში

პრაქტიკული გეოპოლიტიკური მსჯელობა წარმოადგენს ჩვეულებრივ და არაფორმალურ მსჯელობას. იგი ისწავლება საგანმანათლებლო დაწესებულებებში და არის ცალკეული პირების სოციალიზაციის ნაწილი გარკვეულ „ეროვნულ“ იდენტობებში, აგრეთვე გეოგრაფიულ ან/და ისტორიულ ცნობიერებაში.

პოპულარულ პოლიტიკური კულტურა მასმედიის მიერ ფართოდ არის გავრცელებული, მას გააჩნია მნიშვნელოვანი თვისება იყოს არაფრით შესანიშნავი და შეიძლება იყოს აღწერილი როგორც „საღი აზრის“ გეოპოლიტიკა. ზოგიერთ შემთხვევაში იგი აგრეთვე არის სამყაროზე ეთნოცენტრული, სტერეოტიპული და სქემატური ცოდნის ფორმა, რომელიც ქმნის საგარეო პოლიტიკის ცუდ კონცეფციებს. „საღი აზრის“ გეოპოლიტიკა აუცილებლად არ ნიშნავს გონებრივ გეოპოლიტიკას. თრუსოს ხეობასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლისას, მაგალითისთვის შეგვიძლია გამოვიყენოთ ე.წ. „ბალკანიზმის“ მაგალითი, რომელიც კარგადაა განხილული პრაქტიკული გეოპოლიტიკის თვალსაზრისით.

არსებობს „ბალკანეთის დენთის კასრის“ არასტაბილურობის უამრავი ახსნა. ისტორიკოსები სხვადასხვაგვარად აბრალებენ დავებს რესურსებზე და ისტორიულ სიძულვილს დიდი და მძლავრი ქვეყნების ჩარევას, რომლებიც ცდილობენ რეგიონში არასტაბილურობის შენარჩუნებას. მაგრამ გეოგრაფიასაც გააჩნია დიდი მნიშვნელობა: მდინარე დუნაის სამხრეთით მდებარე ბალკანეთის რეგიონი, ავღანეთის მსგავსად, წარმოადგენს მაღალი მთებით გამიჯნულ რამდენიმე ნაყოფიერ ხეობას, ეს მთები ამავე დროს წარმოადგენს ადგილობრივი ეთნიკური ჯგუფების ბუნებრივ საზღვრებს,

მიუხედავად იმისა, რომ საზღვრების ორივე მხარეს მცხოვრებ მოსახლეობას გააჩნია მსგავსი ენა და წარმოშობა.

მსგავსო გეოგრაფიული საზღვარია გავლებული ჩრდილოეთ ოსეთოს რესპუბლიკასა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტს შორის. კავკასიონის მაღალი მთები შეუძლებელს ხდის ხეობაში მოხვედრას ყაზბეგის გავლის გარეშე, მთებით შემოსაზღვრული უღელტეხილის იქით სრულიად სხვა კულტურისა და ენის მატარებელი ხალხია. იმაზე დავა რომ მდ. თერგი ბუნებრივად აცალკევებს თრუსოს ყაზბეგისგან აბსურდული ხდება, მარტო იმ გარემოების გამო რომ თერგი თრუსოს კობის ქვაბულისგანაც აცალკევებს და ეს ნიშნავს, რომ მაშინ კობის თემის სოფლებზე პრეტენზიაც აბსტრაქტულია.

ეს აღწერილობა წარმოადგენს „ბალკანიზმის“ დისკურსის ნაწილს, რომელმაც ხელი შეუწყო ბოსნიური ომის აღქმას ამერიკულ პოპულარულ წარმოდგენაში. აღნიშნულ დისკურსში „ისტორია“ და „გეოგრაფია“ წარმოადგენენ ომის წარმოშობის ახსნას. ბოსნიური ომი მოხდა იმიტომ, რომ ეს ხდებოდა „ბალკანეთში“. იგი წარმოიშვა „ძველი სიძულვილის“ გამო. გეოგრაფიამ კი ხელი შეუწყო ამ კონფლიქტის გარდაუვალობას.

მარია თოდოროვა ბალკანისტური დისკურსის გამოკვლევის დროს „ბალკანეთს“ აღიქვამდა ედვარდ საიდის მიდგომით „აღმოსავლეთით“, ანუ ისტორიულ გეოგრაფიულ კონსტრუქციას, რომელიც ახსნას უძებნის „დასავლეთის“ გეოპოლიტიკური აღქმას, რადგანაც ეს ეხება მის მიერ აღწერილ რეგიონს. იმ დროიდან გემუსის მთის სინონიმი - სიმბოლო „ბალკანი“ გახდა ვენეციის ყურესა და შავ ზღვას შორის მდებარე ფართო რეგიონის დასახელებად „ბალკანეთის ნახევარკუნძულის“ კონსტრუქციაში, რომელიც პირველად გამოიყენა გერმანელმა გეოგრაფმა ავგუსტ ზეეუნმა 1808 წელს და შემდგომში ბრიტანელმა მოგზაურმა რობერტ უოლშმა 1827 წელს.

დასახელების გაფართოების მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ შენარჩუნებულიყო ძველი ბერძნული რწმენა იმის შესახებ, რომ ხეიმუსი წარმოადგენდა დიდებული მთის ქედს, რომელიც აკავშირებდა ადრიატიკას შავ ზღვასთან. აღნიშნული რწმენა აღმოჩნდა მცდარი, მაგრამ ეს ტერმინი შევიდა მოგზაურების და მეცნიერების ლექსიკონში, მიუხედავად იმისა რომ ცოტა ვინმეს ჰქონდა ზუსტი წარმოდგენა მისი ზუსტი მნიშვნელობის შესახებ.

ბალკანეთის ნახევარკუნძულის გადასვლა "ბალკანეთში" გახდა გეოგრაფიული კატეგორიების ზრდის მშვენიერი გამოვლინება, როგორც ზმნა ("ბალკანიზაცია"), იყო რეგიონში ოსმალეთის იმპერიის ნელი დაცემისა და ბალკანეთის ძალადობის შემცირების, ომებისა და პირველი მსოფლიო ომის შედეგი. თოდოროვა მე-19 საუკუნის დიდი ნაწილის შესახებ ამტკიცებს, რომ "არ არსებობდა ბალკანეთის საერთო დასავლური სტერეოტიპი", არა იმიტომ, რომ არ არსებობს საერთო სტერეოტიპები, არამედ იმიტომ, რომ "არ არსებობს საერთო დასავლეთი". ამის მიუხედავად ბალკანური ომები და I მსოფლიო ომი რეგიონის უარყოფითი იმიჯის საფუძველი გახდა. ბალკანეთი ძალადობისა და არასტაბილურობის აბსტრაქტულ სიმბოლოდ იქცა, რაც სავარაუდოდ ერთი რეგიონის ჰეტეროგენური ეროვნების ნარევითაა განპირობებული. სხვადასხვა დისკურსში აღინიშნა რასობრივი და/ან ცივილიზაციური ახსნა-განმარტებები ძალადობის სისასტიკეზე. "სამხრეთ სლავების", "რასობრივი ჰიბრიდულობისა" და "პრიმიტივიზმის" კონცეფციებით გამოწვეული დისკურსები, ისევე როგორც მთვარის ხალხთა "სისხლჩაქცევებზე" გეოგრაფიულად დეტერმინირებული ცნებები. "კომპლექსური ეთნიკური ნარევი პასუხისმგებელი იყო ნახევარკუნძულზე არასტაბილურობისა და არეულობის გამო, რომლის დიაგნოზიც იყო" ჰეტეროგენურობის უნარი ".

დომინანტური ბალკანეთის დისკურსებში, ბალკანეთი აღნიშნული იყო ადგილად, რომელიც მდებარეობდა ევროპული ტერიტორიის ბოლოში, მაგრამ თანამედროვე ევროპული სივრცისა და დროის ნაწილს არ წარმოადგენდა. ეს რეგიონი იყო არსებითი და პრიმიტიული ნაციონალისტური ვნების სამშობლო, ლიმინალის ზონა, სადაც სრულდებოდა ევროპის ცივილიზაცია და იწყებოდა "სხვა" არაევროპული ზონა. ამ დისკურსებიდან არც ერთი არ ასახელებდა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკურ სირთულეებს და დიდი ძალაუფლების გეოპოლიტიკური სტრატეგიის უმთავრეს როლს ძალადობაში. ბალკანეთი ევროპული ძალების პროექტორის ფუნქციას ასრულებდა, რეგიონი, რომელიც საშუალებას მისცემდა მათ თავიანთი თავი თანამედროვედ და მოწინავედ აღექვათ, ვიდრე ისინი მათ ნაციონალიზმსა და ძალადობას ახორციელებდნენ რეგიონში. როგორც "სხვა" ევროპა "ბალკანეთი" ირონიულად ევროპული იყო.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ბალკანეთის რეგიონი განიხილებოდა, როგორც "აღმოსავლეთ ევროპის" ნაწილი, რომელიც განისაზღვრა კომუნისტური პარტიის

დომინირებისა და კონტროლის გზით. იუგოსლავიის სახელმწიფოში არსებული ელემენტები ცდილობდნენ "ბალკანეთის" ისტორიული მემკვიდრეობის დარღვევას სურო-ეთნიკური სამოქალაქო ნაციონალისტური იდენტურობის "იუგოსლავიანის" მშენებლობით. მას ბზარი გაუჩნდა, რადგანაც დაკავშირებული იყო ტიტოს პიროვნებასთან, კომუნისტურ მითსა და მმართველობის ბრუნვის სისტემასთან, რომელიც ირონიულად იცავდა ეთნიკურ იდენტობას. იუგოსლავიური ფედერალური სახელმწიფო იჩენდა ისტორიულ ძალისხმევას, რომლის მიზანი გახლდათ "ბალკანეთის" შესახებ მითის უარყოფა. გეოგრაფია არ უნდა იყოს ისტორიული ბედი. შესაძლებელი იყო ალტერნატიული სამყაროს აშენება კუთვნილების და იდენტურობის მიხედვით. როდესაც კომუნისტური სტრუქტურების ძალაუფლება დაიმსხვრა "აღმოსავლეთ ევროპაში" და ამ ადრე გამოუსადეგარ ბლოკს გადაეცა გეოგრაფიული თავისუფლება, იუგოსლავიის მთავარ კითხვა იყო გადარჩებოდა თუ არა იუგოსლავიური იდენტურობა კომუნიზმის ლეგიტიმურობით, თუ ფედერალური სახელმწიფო დაიპყრობდა "ბალკანეთს".

"სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის" ცნება ბალკანეთის რეგიონისთვის ყოველთვის იყო ალტერნატიული გეოგრაფიული იდენტურობა, მას შემდეგ, რაც პირველად იქნა შემოღებული მეცხრამეტე საუკუნეში. თავდაპირველად შეთავაზებული იყო როგორც ნეიტრალური, არაპოლიტიკური და არა იდეოლოგიური გეოგრაფიული აღნიშვნა, ეს ტერმინი 1930-იან წლებში ნაცისტების გეოპოლიტიკურ ხედვას უკავშირდებოდა. თუმცა იგი არასდროს ყოფილა არსებითად ნაცისტური, რადგან ის სხვა ენობრივ ტრადიციებში დამოუკიდებლად წარმოიშვა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, "ბალკანეთის" კლასიფიკაციასთან ერთად წარმოშობილ "სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის" ტერმინს პოლიტიკური და სიმბოლური მნიშვნელობა არ აქვს. "ბალკანეთისგან" განსხვავებით, აღნიშვნა მყარად და ერთმნიშვნელოვნად აქცევს ამ რეგიონს "ევროპულ სივრცეში" და შესაბამისად, "ევროპული ცივილიზაციის" გეოგრაფიულ და მორალურ სამყაროში. ბალკანეთის ნაწილად მოხსენიებული ბოსნია ადვილად მოექცა დასავლეთის პასუხისმგებლობის მიღმა, როგორც მარგინალური სტრატეგიული მნიშვნელობის არა-ევროპული ზონა. მისი სტაბილურობის შენარჩუნება ბევრად უფრო აქტუალური და პრიორიტეტი იყო, რადგან იგი "ევროპის" ნაწილს წარმოადგენდა "ჩვენ" ნაწილისგან განსხვავებით.

კრიტიკული გეოპოლიტიკის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია "ბალკანეთისა" და "ევროპის" სოციალურად აშენებული ბუნება და ბოსნიის ომის გაგებაში ძალაუფლებაზე დაფუძნებული ურთიერთობები. შეიძლება ითქვას, რომ ბოსნიის ამბივალენტური პოზიცია "სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა" და "ბალკანეთის" დისკურსებს შორის 1995 წლის ზაფხულამდე დასავლეთს ომში ჩარევაში უშლიდა ხელს. ბევრ ევროპულ, განსაკუთრებით კი იმ გეოგრაფიულად „ყოფილ იუგოსლავიასთან“ ახლოს მდებარე ქვეყანებში "სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის" დისკურსს უფრო მეტი რეზონანსი ჰქონდა, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც რეგიონის პატარა ჭეშმარიტი გეოგრაფიული ცოდნით ბალკანეთის წარმოსახვითი გეოგრაფია უფრო დომინანტური იყო.

დისკუსიები, რომლებიც დაჟინებით მიმართული იყო ბალკანეთის ომის "უძველეს წარმომავლობასა" ან "ათასი წლის სიძულვილზე", რომლებიც ახასიათებდნენ ამ რეგიონს მიზანმიმართული იყო ბოსნიის ომის გაღრმავებისკენ. ბოსნიაში გენოციდი „გაბალკანიზმდა“, რამაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რეგიონისა და მისი ისტორიის ნაკლოვანებებისა და სტერეოტიპების ჩამოყალიბებაში. ამან საშუალება მისცა გარკვეულ პოლიტიკურ ანალიტიკოსებს, განსაკუთრებით კი პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს და სახელმწიფო მდივან ჯეიმს ბაკის გენერალურ მდივანს და გენერალ კოლინ პაუელს, რომ ომში მონაწილე მხარეები განეხილა ექვივალენტურად, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების პოტენციური "ქვაკუთხედი" და არა როგორც აშშ-თვის ევროპის კონტინენტის მნიშვნელოვანი რეგიონი, რასაც ნატო ითხოვს სტაბილიზაციისთვის. აშშ-ს საგარეო პოლიტიკა და ნატო-ს სანდოობა ოთხი წლის განმავლობაში განიცდიდა "ბალკანიზმის" ფარულ გავლენას, "საღი აზრის" გეოპოლიტიკურ არგუმენტაციას, რამაც გეოპოლიტიკის "კარგი აზროვნების" განვითარება უფრო გაართულა.

როგორც ვხედავთ, კრიტიკული გეოპოლიტიკა დამოკიდებულია პოლიტიკის შემუშავებაზე, რადგანაც მას შეუძლია სტერეოტიპული გეოპოლიტიკური კონცეფციებისა და ცნებების დადგენის ხელშეწყობა პოპულარულ და პოლიტიკურ კულტურაში. გეოგრაფიული განსხვავებებისა და ეთნოცენტრიზმის კრიტიკასთან ერთად, მის სტრატეგიულ აზროვნებას შეუძლია ეთნოცენტრული კულტურული ძეგლების ძალაუფლების აღიარებასა და მათში არსებული დრამების აღიარებაში ხელშეწყობა. კრიტიკული გეოპოლიტიკა იმასაც შეეხება, თუ როგორ გარდაქმნის გლობალური მედიის ქსელების მსგავსად დროის სივრცეში შეკუმშვის ტექნოლოგია

გლობალურ საინფორმაციო დროის სტრატეგიულ ღირებულებას. ბოსნიის მსგავსად გეოპოლიტიკური ადგილები შეიძლება გახდეს სიმბოლურად სტრატეგიული, თუ გენოციდისა და ქაოსის გამოსახულება დასავლეთის ტელევიზიებისა და მედიასაშუალებების მიერ დაჟინებით დაპროექტებულია. (Tuathail G. O., 2004)

მართალია თრუსოს შემთხვევაში საქმე ბოსნიის შემთხვევასავით არ გართულებულა, მაგრამ რუსული ტელევიზია და სხვა მასმედიის საშუალებები სწორედ მსგავს პროპაგანდას ეწევიან და თრუსოს ხეობაში ეთნიკური ოსების უფლებების დარღვევაზე საუბრობენ.

თავი II - კონტექსტის აღწერა

2.1. თრუსოს ხეობის გეოგრაფიული მდებარეობა



თრუსოს ხეობა მდებარეობს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის დასავლეთით მდინარე თერგის ხეობაში კავკასიონის ჩრდილოეთ კალთაზე, კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედსა და ხოხის ქედს შორის, უღელტეხილ თრუსოდან სოფელ კობამდე. მისი საერთო სიგრძე 25 კმ-ია. მას აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ბ(ა)იდარის ხეობა (სოფ. ალმასიანი და კობი) და საქართველოს სამხედრო გზა, სამხრეთიდან ღუდის ხეობა და გუდაურის თემი, დასავლეთით ზახას ხეობა - იგივე ნარა-მამისონის ქვაბული, ჩრდილოეთით კი ჩრდილო ოსეთის რესპუბლიკა - ალანია. მისი საერთო სიგრძე 25 კმ-ია. ის საქართველოს ჩრდილოეთ კარიბჭიდან დარიალის ხეობიდან 28 კილომეტრითაა დაშორებული. თრუსოს ხეობა მდიდარია მინერალური წყლებით, მოიპოვება მცირე რაოდენობით სამშენებლო მასალები. თრუსო ალპურ ზონას წარმოადგენს, ახასიათებს მკაცრი ზამთარი. ძირითადად წარმოდგენილია ალპური საძოვრები. თრუსოს სოფლებში

წარმოდგენილია უძველესი ციხე-კოშკები და ერთნავიანი ბაზილიკები. (თრუსოს ხეობა, 2017)

საქართველოსა და ჩრდილოეთი ოსეთის რესპუბლიკის საზღვრის ხაზის მონაკვეთზე განლაგებულია 12 უღელტეხილი. აქედან - ხუთი თვის განმავლობაში ინტენსიური სამანქანო მიმოსვლის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ მამისონის გადასასვლელზე (რაჭის ტერიტორიაზე, მდ. ჭანჭახის ხეობით). დანარჩენი გადასასვლელები გამოსადეგია ცხენით და ფეხით მოსიარულეთათვის. ამ თვალსაზრისით ხუთი თვის (V-X თვეები) განმავლობაში მოქმედებს გურძიევცეკის (3349 მ.), ბახფანდაგის (2925მ.), კუტხის (2681მ.), როკის (2995მ) და საბავის (2904მ) გადასასვლელები. მოქმედების მოკლე პერიოდით გამოირჩევა თრუსოსა (3132მ.) და ზეკარის (3270მ) გადასასვლელები. მოქმედების ყველაზე ხანგრძლივი პერიოდით ხასიათდება მხოლოდ ძედოს (2994მ) გადასასვლელი.

თრუსოში დღემდე არ არის ელექტროენერგია და ბუნებრივი აირი, ასევე კეთილმოუწყობია მისასვლელი გზები და შემოდგომიდან გვიან გაზაფხულამდე ფაქტიურად მიუდგომელია შიდა სოფლები. სოფ. ქეთრისიდან გზის გაგრძელება მდინარეების წყალუხვობის პერიოდშიც შეუძლებელია. ამიტომ ხეობის სიღრმეში მდებარე სოფლების ნახვა მხოლოდ აგვისტოდან ნოემბრის თვემდეა შესაძლებელი. სოფ. ალმასიანის გარდა არსად არ გვხვდება მუდმივი მოსახლეობა.

ხეობაში გადადგილება შეუძლებელია სპეციალური საშვის გარეშე, რადგან აქ განლაგებულია მესაზღვრეთა ორი ბაზა სოფ. მნასა და ოქროყანაში. მათი მთავარი მოვალეობაა საზღვრის დაცვა და იქ არსებულ ბილიკებზე არალეგალური მიმოსვლის აღკვეთა. მესაზღვრეებს პატრულირება უწევთ სოფ. დესშიც, სადაც გაზაფხულსა და შემოდგომაზე მაღალი გამავლობის მანქანებით, დანარჩენ დროს კი ვერტმფრენებით უწევთ შესვლა.

გეოგრაფიული მახასიათებლებიდან გამომდინარე შეიძლება თამამად ითქვას, რომ თრუსოსა და კობზე კონტროლის მოპოვების სურვილი მხოლოდ საქართველოს სამხედრო გზის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მონაკვეთის ხელში ჩაგდების ინტერესით შეიძლება იყოს გამოწვეული. მითუმეტეს, რომ ეს უკანასკნელი ერთადერთი ლეგალური სახმელეთო საზღვარია მეზობელ რუეთთან, რომლითაც ის თავის სამხედრო და სტრატეგიულ პარტნიორ სომხეთის რესპუბლიკას უკავშირდება.

საბჭოთა პერიოდში რუსეთი საქართველოს სამი ძირითადი სატრანსპორტო დერეფნით უკავშირდებოდა: მდ. ფსოუზე გადებული საავტომობილო და სარკინიგზო ხიდებით, როკის საავტომობილო გვირაბით და ლარსიდან - საქართველოს სამხედრო გზით. 2011 წლის ნოემბერში, ქ. ჟენევაში, შვეიცარიის მონაწილეობით, საქართველო და რუსეთის ფედერაცია შეთანხმდნენ, რომ ამ საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე ტვირთების მოძრაობას ნეიტრალური კომპანია გააკონტროლებდა. ამ ნეიტრალურ კერძო კომპანიას საქართველოსა და რუსეთის ფედერაციასთან კონსულტაციის საფუძველზე, შეარჩევდა შვეიცარიის კონფედერაცია.[1] შეთანხმების თანახმად, ჩამოყალიბდა სამი სავაჭრო დერეფანი: ადლერი - ზუგდიდი, სოფელი ნარი (ჩრდილოეთ ოსეთი) - გორი და ყაზბეგი - ზემო ლარსი. ამ დერეფნებში შემავალი და გამომავალი ტვირთის მონიტორინგი დაევალა ნეიტრალურ კერძო კომპანიას. მხარეები შეთანხმდნენ ამ სავაჭრო დერეფნებში სავაჭრო საქონლის საბაჟო ადმინისტრირებისა და მონიტორინგის მექანიზმის შექმნაზე, რომლის ფუნქციებშიც შევიდოდა ინფორმაციის შეგროვება და გაზიარება, გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, მონაცემთა ურთიერთგაცვლა, კრიმინალისა და კონტრაბანდის პრევენცია, საეჭვო ტვირთების განმეორებითი დათვალიერება. მექანიზმი მოიცავს როგორც ელექტრონულ მონაცემთა გაცვლის სისტემასა (EDES), ასევე საერთაშორისო ზედამხედველობის სისტემას (IMS) (ხატიაშვილი, 2016). თუმცა ეს შეთანხმება რუსეთმა არ შეასრულა და დღეს ერთადერთ ლეგალურ დერეფანი საქართველო-რუსეთის საზღვარზე ლარსია. ევრომაგისტრალი E117 კი გადის ყაზბეგის მუნიციპალიტეტზე (მათ შორის თრუსოს ხეობაზე). შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სამხედრო გზის ხელში ჩაგდებას რუსეთის ინტერესებშია, ისევე როგორც ოსეთის სამხედრო გზის. თრუსოს ხეობა კი ყაზბეგის ტერიტორიული ერთეულია, რომელიც საუკუნეების მანძილზე ეთნიკური ოსებით იყო დასახლებული.

თრუსოს ეთნოპოლიტიკის სტრატეგიული გამოყენებით კი შესაძლოა აღნიშნულ რეგიონში გარკვეული შიდა არეულობის შექმნა და შემდეგ უკვე მისი სრული კონტროლი.

[1] ხელშეკრულება არ ახსენებს არცერთ გეოგრაფიულ დასახელებას, ტექსტში მხოლოდ გეოგრაფიული კოორდინატებია მითითებული.

2.2. თრუსოს ხეობის ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათება

მართალია თრუსოს ხეობის საკითხი ამ ეტაპზე სერიოზული პოლიტიკური დავას საკითხი არაა, მაგრამ სავსებით შესაძლებელია ნებისმიერ დროს გამწვავდეს. ამის დასტური ისიცაა, რომ უკვე რამდენიმე წელია გააქტიურდა თრუსოს, როგორც ოსების ძველ სამოსახლოზე საუბარი. იმისთვის, რომ აღნიშნულ ხეობასთან დაკავშირებული კითხვები გაქრეს საჭიროა მისი ისტორიული და გეოგრაფიული რეალობის ცოდნა და სწორი შეფასებების გაკეთება. იმისთვის, რომ ნაშრომი არ იყოს მიკერძოებული და მხოლოდ ერთი მხრიდან დანახული, განხილულია, როგორც ქართული ისე ოსური და რუსული ისტორიული წყაროები.

ქართულ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით თრუსო ისტორიული წანარეთის ნაწილია, რომელიც მოგვიანებით ხევის დღეს კი ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სახელითაა ცნობილი. ხეობის პირველი მოსახლეები დვალები იყვნენ და ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში მიმდინარეობდა დვალთა მიგრაცია. დვალები პირველად ანტიკურ წყაროებში ახ.წ. I და II სს-ში არიან მოხსენიებული (პლინიუს უფროსი, პტოლემე) თალის, ვალის, უალის სახელწოდებით. ქართულ წყაროებში დვალებით დასახლებული ქვეყანა დვალეთი პირველად ნახსენებია III ს-ის შუა ხანებში მეფე ამაზასპის დროს. მეცნიერებაში დვალთა ეთნიკური წარმომავლობის შესახებ სხვადასხვა შეხედულება არსებობდა. ქართული წყაროებით ისინი ჩვეულებრივ ქართველი მთიელები იყვნენ, ისევე როგორიც ფხოველები, თუშები, წანარები, გუდამაყრელები, ხადელები... ოღონდ შენარჩუნებული ჰქონდათ მთიანეთისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი (სოციალური, რელიგიური) თავისთავადობა. ოსი მეცნიერები (ვ. აბაევისა და გ. თოგოშვილის გამოკლებით) დვალებს ირანულენოვან ტომად მიიჩნევენ. ნ. ვოლკოვს დვალები ერთ-ერთ იბერიულ-კავკასიურ ტომად წარმოედგინა. დვალების შესახებ ფუნდამენტურ გამოკვლევაში ვ. გამრეკელმა ისინი ნახურ სამყაროს დაუკავშირა, რომლებიც ადრეფეოდალური ეპოქიდანვე გაქართებული იყვნენ. თუმცა შემდგომი კვლევა-ძიებით მან თავისი შეხედულება უარყო და ქსე-ში დვალთა ენა ქართველურ (ზანურ) ენას დაუკავშირა. უკანასკნელი გამოკვლევებით, დვალები ზანებსა და სვანებს შორის მდგომნი ერთ-ერთი ქართველური ტომი იყო. საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე დვალები აქტიური მონაწილენი იყვნენ საერთო ქართული კულტურის შექმნისა და მათ ისეთივე წვლილი შეიტანეს საერთო

ქართულ კულტურაში, როგორც საქართველოს სხვა მხარეების წარმომადგენლებმა. აქედან შეგვიძლია ვთქვათ, რომ დვალებსა და ოსებს ხშირად არასწორად აიგივებენ ერთმანეთთან და იმ პერიოდში, როცა დვალები საქართველოს მთიანეთში სახლობდნენ ალანები კავკასიაში სწორედ მაშინ გამოჩნდნენ, როგორც ერთი ხალხი. (http://temurmur.blogspot.com, 2012)

თანამედროვე ოსები პირველ საუკუნეში გამოჩენილი ალანების მემკვიდრეებს წარმოადგენენ. ალანები ახ.წ. II სკ-ში სრულად დამკვიდრდნენ კავკასიაში. ისინი ჩრდილოეთ კავკასიის ნაყოფიერი მიწების ათვისებით იყვნენ დაკავებული VII-VIII საუკუნეებში. ამ პერიოდში მათი კვალი არ ჩანს საქართველოში, როგორც ისტორიული წყაროები გვამცნობს. როგორც ცნობილია ქართველებსა და ოსებს თავდაპირველად კეთილმეზობლური ურთიერთობა არ ქონიათ. მაგალითისთვის შეგვიძლია გავიხსენოთ V საუკუნეში ვახტანგ გორგასლის ბრძოლა ალანთა წინააღმდეგ, რომელთაც მეფის და ყავდათ ტყვედ წაყვანილი. ისტორიულ წყაროებში ნახსენებია, რომ მოხევენი ღირსეულად იცავდნენ ჩრდილოეთის კარიბჭეს „დარიალანს“, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს ოსთა კარიბჭეს. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ კარიბჭეს დარიალის ხეობა წარმოადგენდა, როგორც ცნობილია მაშინ ვახტანგმა დარიალის კარიბჭე დაკეტა და ამმხრივ ოსებს საკმაოდ გაუჭირდებოდათ ხეობაში შემოღწევა და მითუმეტეს აქ დასახლება. ადრეფეოდალური სახელმწიფო ალანია („ოვსეთი“) მე-9 მე-10 საუუნეების მიჯნაზე შეიქმნა და ამავე პერიოდში რელიგიად ქრისტიანობა მიიღეს. აღნიშნულმა შეამცირა საქართველოსა და ალანებს შორის არსებული დაძაბულობა, მომდევნო პერიოდში კი მე-12 მე-13 საუკუნეებში ოვსეთ-ალანეთი საქართველოს სამხედრო მოკავშირე და მძლავრი ქართული სამეფო ტახტის ყმადნაფიც ქვეყნად გადაიქცა. ამ პერიოდში არა თუ თრუსოს ხეობა არამედ დღევანდელი ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის ნაწილი თუალგომი საქართველოს საკუთრებას წარმოადგენდა და ასევე დარჩა 17 საუკუნეშიც.

თრუსოს ხეობაში ოსების შემოსვლის რამდენიმე ვერსია არსებობს, მაგრამ რეალური ისტორიული ფაქტები მხოლოდ მე-14, მე-17 და მე-19 საუკუნიდანაა შემორჩენილი.

XIII სკ-ს მეორე ნახევარში ჯერ მონღოლებისაგან დარბეული და შემდეგ უკვე ყაბარდოელებისგან შევიწროვებული ოსები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ თავისი სამოსახლო ნაყოფიერი ველები და ცენტრალური კავკასიონის მთიან ხეობებში

შეხიზნულიყვნენ, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა ნაკლებად იყო წარმოდგენილი და მათ მოსახლეობას ახალი წინააღმდეგობა არ შეხვდებოდა, ეს ხალხი მძიმე ბუნებრივი პირობების მიუხედავად ახერხებდა საკუთარი მეურნეობების განვითარებას, ძირითადად მისდევდნენ მეცხოველეობას. XII-XIII საუკუნეებში დამოუკიდებელი გზით ან ყმათა შოვნაში დაინტერესებული ქართველი ფეოდალების ხელშეწყობით ისინი საბოლოოდ დასახლდნენ თერგის, დიდი და პატარა ლიახვის, ქსნის, ჯეჯორისა და ყვირილას ხეობების სათავეებში. მაღალმთიან ხეობებში შეკეტილი ოსების წინაშე მუდმივად იდგა ეკონომიკური სიდუხჭირის პრობლემა, რაც მათ აიძულებდათ ან საცხოვრებელი ადგილის შეცვლას ან ქურდობასა და ავაზაკობას (ითონიშვილი, 1995).

ოსთა პირველი დასახლებები, დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ჩნდება თრუსოს ხეობასა და მაღრან-დვალეთში (კავკასიონის ქედს გადმოღმა, დიდი ლიახვის სათავეებთან, ასევე დვალებით დასახლებული ტერიტორია). ჩრდილოეთ კავკასიის ხეობებიდან ოსების ამ ტერიტორიებზე დასახლება, სპეციალისტების აზრით, XVII ს-ის I ნახევარში მოხდა. ყორნისი, ტბეთი, კუსირეთი, მაჩაბლები; პატარა ლიახვის ხეობაში – ღვდისი, პოტრისი და კიდევ რამდენიმე სოფელი; დვალეთში – ჭვრივი, მღრივი და რამდენიმე სხვა სოფელი, აგრეთვე, სათიხარი, ყულბითი; ქსნის ხეობაში – ხრომის წყარო, იკოთი, ჭურთის ხევი, ჟამურის ხევი, ცხრაძმის ხევი; არაგვის აუზში – თრუსოს ხეობა, კობი-აჩხოტი, გუდა-ოსნი. აქედან ზოგიერთი სოფელი ეკლესიის საკუთრება იყო, ზოგიერთი სათავადო სოფელს წარმოადგენდა, ზოგი საუფლისწულოს, ზოგიც კი სახელმწიფოსი. (ითონიშვილი, 1995)

თრუსოს ხეობასა და ყაზბეგში ოსების დამკვიდრებასთან დაკავშირებით არსებობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ისტორიული მომენტი. ხევის 1774 წლის სტატისტიკურ აღწერაში მოხსენიებული ოთხი მოურავიდან სტეფანწმინდის მოურავი ყაზიბეგ ჩოფიკასშვილი დაწინაურდა. მის სამოურავოში შედიოდა სტეფანწმინდა, გერგეტი და დარიალის ხეობა, ამგვარად ის ხელში აღმოჩნდა ჩრდილოეთის გზა და დარიალის კარიბჭეც. მე-18 საუკუნეში საქართველო-რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის გააქტიურებასთან ერთად ყაზიბეგის სამოურაოს მნიშვნელობაც გაიზარდა. საქართველოს მეფეების წყალობით მოხევე გლეხი ყაზიბეგმა მოურავობისკენ სწრაფვაც დაიწყო, რასაც მისმა მემკვიდრემ გაბრიელ ყაზბეგმა მიაღწია. გაბრიელი დიდი გავლენიტ სარგებლობდა და ვახტანგ ბატონიშვილი მას პირდაპირ ანდობდა დარიალის ხეობის დაცვას. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ

რუსეთის იმპერიას ჭირდებოდა ერთგული ადამიანი, რომელიც იმპერიალიზმის მიზნებს ერთგულად ემსახურებოდა, ეს მისია კი გაბრიელ ყაზბეგმა პირნათლად შეასრულა. გაბრიელი იმპერატორის ბრძანებებს დაუყოვნებლივ ასრულებდა და მისი მხედრობის უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა სავაჭრო გზებზე. რუსეთმა გაბრიელს მაიორობა და აზნაურობა უბოძა, რის მერეც გლეხური გვარი ჩოფიკაშვილი საბოლოოდ შეიცვალა ყაზბეგით, სტეფანწმინდას კი როგორც გაბრიელის სამბრძანებლოს ყაზბეგი ეწოდა. აღნიშნული 1804 წელს დაწყებული მთიელთა აჯანყების ჩახშობის თანმდევი პროცესი აღმოჩნდა. გაბრიელ ყაზბეგმა სტეფანწმინდის თემი შიგნიდან გატეხა, რუსული ჯარის დახმარებით კი აჯანყებულებს გაუსწორდა. (მაკალათია, ხევი, 1934)

ყაზბეგებს მარტო გლეხური გვარის გამოცვლა და აზნაურის წოდება არ უშველიდა, მათ ასევე ჭირდებოდა მამულისა და ყმების ყოლა. ამ მიზნით ყაზბეგებმა ჯერ სხვადასხვა ხრიკებით მიითვისეს და ხელში ჩაიგდეს სხვადასხვა სათემო მიწები, შემდეგ კი ყმების მოხვეჭას შეუდგნენ. მათ ხელში აღმოჩნდა უხათი, აჩხოტი, თოთი, ხდე და სხვა. მოხევეების დაყმევება არც ისე ადვილი აღმოჩნდა, ისინი ხშირადა აპროტესტებდნენ საბეგრო გადასახადების გადახდასაც. სწორედ ამიტომ ახალმა მოურავმა ხევში ოსები შეასახლა, რომლებიც ამუშავებდნენ მის მიწებს. სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება დღევანდელი თრუსოს ხეობისა და იმ დროინდელი უხათის ოსებით დასახლება. თრუსოს ხეობა სრულად ოსური მოსახლეობით შეივსო და მათ მალევე დაიწყეს ადგილობრივი კულტურული ძეგლების მითვისება. ოსური გვარები შემორჩა თავად ხევშიც, კერძო აჩხოტში დღემდე ცხოვრობენ ბედოშვილები, მირაქიშვილები, სალბიშვილები და სხვა გვარები, თუმცა ისინი ბოლომდე ასიმილირდნენ ადგილობრივ მოსახლეობასთან და ოსური იდენტობა საერთოდ არ გააჩნიათ. (მაკალათია, ხევი, 1934). თრუსოს ხეობაში კი გამომდინარე იქედან რომ დაშორებული იყვნენ ყაზბეგის დანარჩენ სოფლებს ბოლომდე ოსური იდენტობა შემორჩა და მათმა აბსოლუტურმა უმრავლესობა, ქართულად ლაპარაკიც კი არ იცოდა. აღნიშნულს საბჭოთა კავშირის პერიოდში რუსული ენის პოპულარიზაციამაც შეუწყო ხელი. მოგვიანებით სოფ. კობში სკოლის აშენებამ მათ გარუსულენოვნებასაც შეუწყო ხელი.

განსხვავებული მიდგომა აქვს ოს ისტორიკოსებსა და ხშირ შემთხვევაში მოსახლეობასაც. როგორც მედიასაშულებები წერენ თანამედროვე ოსი ხალხის ცნობიერებაში თრუსოს ხეობა ოსეთის ნაწილია. არსებობს ლეგენდა რომლის თანახმადაც ღმერთმა ალანებს საკუთარი ცრემლების ადგილას წარმოქმნილი

ალაგირის, ცელისა და თრუსოს ხეობები აჩუქა. თითოეულ მათგანს კი თავისი მფარველი წმინდანი დაუდგინა, მათ შორის თრუსოს ხეობის მფარველი „თარანჯელოზ“ ანუ მთავარანგელოზი მიქაელი იცავდა (დღემდეა შემორჩენილი მთავარანგელოზის სალოცავი ნიშა). აქ მცხოვრებ ირონებს, არინებსა და ოსებს „ალდაოს“ კანონები მართავდა რაც ტრადიციას, ადათსა და რიტუალებს მოიცავდა და ისინი არასდროს არვის ემორჩილებოდნენ მთავარანგელოზისა და გმირი წმინდანის „ვასტერჯის“ გარდა. ოსეთს ისტორიულ ქვეყნის „თირშიგომის“ მემკვიდრედ თვლიან, რომელსაც დაკარგული აქვს თრუსოს ხეობა თავისი ზეციური ხეობით (იგივე დარიალის ხეობა). საგულისხმოა, რომ მსგავსი ისტორია აქვს მოხევეებსაც, რომელნიც პირდაპირ მეფეს ემორჩილებოდნენ როგორც ჩრდილოეთ კარიბჭის მცველები და წმინდა სამების ყმებს წარმოადგენდნენ.

ოსი ისტორიკოსი პეტრე კაზაევი ამტკიცებს, რომ ოსების წინაპარი ხალხი ალანები თრუსოს ხეობაში 5 ათასი წლის წინაც ცხოვრობდნენ და ამიტომაც შემორჩა ასე მტკიცედ ოსური ტოპონიმიკა. კაზაევი ამტკიცებს რომ ყაზბეგის მთა მყინვარწვერსაც ოსური სახელი ქონდა თარშიგომი რაც შემდეგ ისევ ოსური სახელით „ყაზბეგის მთით“ შეიცვალა. კიდევ ერთ გეოგრაფიულ და ტოპონიმიკური მიზეზად თერგს იშველიებს, მისი თქმით მდინარე ყაზბეგის მთიდან მოდის და შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიისკენ მიედინება, სწორედ თერგის სანაპიროებზე იყო დასახლებული ოსური მოსახლეობა (ალანები), ისინი დარიალის ხეობის მცველებს წარმოადგენდნენ, რომელიც ითარგმნება, როგორც ზეციური ხეობა. აქედან გამომდინარე ოსი ისტორიკოსები ასაბუთებენ, რომ ქართლის კარიბჭე მხოლოდ მცხეთასთან იყო, დანარჩენი ნაწილი კი გუდის ხეობას ეკუთვნოდა, რომელიც დღევანდელ ჯვრის უღელტეხილსა და ლომისის მთას მოიცავს. ოსები დამოუკიდებელი იყვნენ და არავის არ ემორჩილებოდნენ შემდეგ კი ქართველმა მეფეებმა მათ ერისთავები დაუყენეს. კაზაევი იმასაც ამბობს, რომ თრუსოს ხეობაში არასდროს უცხოვრიათ ქართველებს და პირველად მოხევეები მხოლოდ XIX სკ-ს მეორე ნახევრიდან გამოჩნდნენ.

თრუსოს ხეობა ყველაზე ხალხმრავალი 1926 წელს იყო, შემდეგ კი თანდათანობით კლება დაიწყო და 1989 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის დროს ხეობა ფაქტიურად დაცლილი იყო, რაც რთულმა ბუნებრივმა პირობებმა და მძიმე სოციალურმა ყოფამ გამოიწვია. ზოგიერთი ოსი პოლიტიკოსის განცხადებით თრუსო

2006 წელს დატოვა მოსახლეობა, რაშიც საქართველოს მთავრობას ადანაშაულებს. აღნიშნული რა თქმა უნდა სიმართლეს არ შეესაბამება.

თრუსოს ხეობის სოფლები ყაზბეგის სოფლებიდან დაშორებულია, სავარაუდოდ სწორედ ესაა მიზეზი, რომ იქ მცხოვრებ ოსებს საკმაოდ გაუჭირდათ ადგილობრივ მოსახლეობასთან უფრო მჭიდრო კავშირის დამყარება, ენისა და კულტურის ათვისება.

2.3 დემოგრაფიული დინამიკის აღწერა

ჩრდილოეთ ოსეთში არსებული არასამთავობო ორგანიზაციების წევრები ხშირად ამბობენ[2], რომ თრუსოს ხეობა 2006 წლის შემდეგ დაიცალა, რაც ადგილობრივი ოსების უფლებების დარღვევამ გამოიწვია საქართველოს ხელისუფლების მხრიდან. (htt) ხეობის დაცლის მთავარი მიზეზი მის გეოგრაფიულ პირობებსა და ინფრასტრუქტურულ პრობლემებშიც კარგად ჩანს, თუმცა კიდევ უფრო

მნიშვნელოვანია თრუსოსა და კობის დემოგრაფიული დინამიკის ტენდენციები.

[2] მაგ. ორგანიზაცია :დარიალის“ ხელმძღვანელი გაირბეკ სალბიევი თრუსოს ხეობის დაცლის მიზეზად ყოველთვი ოსი მოსახლეობის შევიწროებას ასახელებს საქართველოს ხელისუფლების მხრიდან.


კობის თემში შემავალი სოფლები მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით (1926 წ)
ლეგენდა
მოსახლეობის რაოდენობა
16 - 52
53 - 91
92 - 129
130 - 186
187 - 214
მდინარე
გზა
0 2.75 5.5 11 16.5 22
კილომეტრი
კობის საბჭოში შემავალი სოფლები მოსახლეობის მიხედვით (1970 წ)
ლეგენდა
მოსახლეობის რაოდენობა
10 - 20
21 - 36
37 - 51
52 - 82
83 - 183
მდინარე
გზა
1:300,000
კობის სასოფლო საბჭოში შემავალი სოფლები მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით (1979 წ)
ლეგენდა
მოსახლეობის რაოდენობა
3 - 9
10 - 22
23 - 39
40 - 60
61 - 120
მდინარე
გზა
0 1.75 3.5 7 10.5 14
კილომეტრი
გუდაურის და კობის საბჭოებში შემავალი სოფლები მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით (1989 წ)
ლეგენდა
მოსახლეობის რაოდენობა
2 - 7
8 - 13
14 - 21
22 - 44
45 - 84
მდინარე
გზა
0 2.25 4.5 9 13.5 18
კილომეტრი



მოსახლეობის დინამიკა უფრო დეტალურად წარმოდგენილია რუკების სახით[3]. ჩვენს ხელთ არსებული 1926, 1970, 1979, 1989, 2002 და 2014[4] წლების მოსახლეობის საყოველთაო აღწერების შედეგები გვიჩვენებს, რომ თრუსოს ხეობის სოფლის მოსახლეობა აღწერებს შორის პერიოდში მინიმუმ ნახევრდებოდა, ასე მაგალითად 1926 წელს აქ 3115 ადამიანი ცხოვრობდა (მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერა 1926, 1929), რაც დღევანდელი ყაზბეგის მოსახლეობის ოდენობასაც კი გაუტოლდებოდა, 1970 წელს კი მხოლოდ 961 მოსახლე დარჩა. 1979 წელს მხოლოდ 8 წელში ადამიანთა რაოდენობა თითქმის განახევრდა და 558 გახდა, 1989 წლისთვის კი უკვე 344-მდე იკლო. 2002 წელს მოსახლეობა 55 ადამიანს შეადგენდა და ეს ხალხი ძირითადად ალმასიანის, კობისა და უხათის მოსახლეობა იყო აქედან შეგვიძლია ვთქვათ რომ უშუალოდ თრუსოს ხეობის სოფლები ფაქტიურად დაცლილია. 2014 წლამდე თრუსოს სულ 4 მკვიდრი მაცხოვრებელი ყავდა აქედან ეთნიკური ოსი მხოლოდ ერთი.

[3] იხ. დანართი #1

[4] აღწერის შედეგები მოწოდებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ.
იხ. დანართი #2

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გაურკვეველია ვინ იყო მუდმივი მოსახლე და ვინ სეზონური, განსაკუთრებით 70-იანი წლებიდან. ცნობილია, რომ ზამთრის პერიოდში მოსახლეობის ნახევარიც კი არ რჩებოდა თრუსოში, რაც არ ეხება მხოლოდ სოფ. კობს, ალმასიანს, მნასა და უხათს.

სამწუხაროდ არ მოიპოვება 1939 და 1949წლის აღწერის შედეგები[5], თუმცა ეს ზოგადი სურათის წარმოდგენას ხელს არ უშლის.

დღევანდელი მდგომარეობით, თრუსოს სოფლებში ზაფხულობით მოხევეები ცხოვრობენ, რომლებიც მესაქონლეობით არიან დაკავებული, მუდმივი მაცხოვრებელი კი ერთი ეროვნებით ქართველი რუსლან გუჯარაიძეა სოფ. ყარათსოფლის მაცხოვრებელი. შედარებით დასახლებულია სოფ. ალმასიანი, რომელიც საქართველოს სამხედრო გზასთან მდებარეობს და საშუალებას აძლევს მოსახლეობას მცირე მაღაზიები ან კვების ობიექტები გახსნან.

თრუსოში დღეს დედათა და მამათა ორი მონასტერი მოქმედებს. ორივე მონასტერს აქვს საკუთარი მეურნეობა[6], ასევე საქართველოს საპატრიარქო კერძოდ ხევისა და სტეფანწმინდის ეპარქია საკუთრებაში ფლობს სასოფლო-სამეურნეო მიწებს.

[5] იხ. დანართი #2

[6] სასულიერო პირები ძირითადად მეცხოველეობასა და მიწათმოქმედებას მისდევენ. ეწევიან სამშენებლო მასალების, ქვების დამუშავებას.

თავი III

3.1 პოლიტიკური განცხადებები:

მოსახლეობის საყოველთაო აღწერების შედეგებმა ნათლად გვანახებს თუ როგორ ხდებოდა აღწერიდან აღწერამდე ხეობაში მოსახლეობის შემცირება, მიზეზის გასაგებად კი მხოლოდ ხეობის დათვალიერებაც საკმარისი იქნება. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ოსებმა თრუსოს ხეობა დატოვეს, რაც 2006 წელს რუსეთ-საქართველოს ოფიციალური საზღვარი ლარსის გამშვები პუნქტი დაიკეტა და საცხოვრებლად ვლადიკავკაზში გადავიდნენ. აღნიშნულის შემდეგ ჩრდილოეთ ოსეთში დაიწყო თრუსოს ხეობის, როგორც მისი ტერიტორიული ნაწილის შესახებ საუბარი, რაშიც ლომის წვლილი ორგანიზაცია „დარიალმა“ შეიტანა. ორგანიზაცია 2008 წლის 21 დეკემბერს შეიქმნა რუსეთის ფედერაციის შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსნის გაირბეკ სალბიევის ხელმძღვანელობით. დარიალის აქტივისტები ძირითადად კობიდან და თრუსოს ხეობიდან წასული ეთნიკური ოსები იყვნენ, რომლებიც „საკუთარი მიწებისა და სახლების“ დაბრუნებას ითხოვდნენ. დაუდასტურებელი ინფორმაციით „დარიალი“ რუსული სპეცსამსახურების პროექტი იყო, რომლის მთავარი მიზანიც იმ აზრის დამკვიდრება იყო, რომ ყაზბეგის მუნიციპალიტეტში ისტორიულად ოსები ცხოვრობდნენ და რომ ოსებმა ეს “ძირძველი მიწა” უნდა დაიბრუნონ. 2009 წელს საზოგადოებრივმა ორგანიზაცია „დარიალმა“ საჯაროდ მოითხოვა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სტატუსის გადახედვა და აცხადებდნენ, რომ ყაზბეგის მუნიციპალიტეტი ძალიან დამოკიდებულია ჩრდილოეთ ოსეთზე, რასაც აქ მცხოვრები ქართველებიც აღიარებენ. მათ არაერთი აქცია გამართეს საკუთარი ტერიტორიების დაბრუნების მიზნით, შემდეგ კი 2010 წლის მაისში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ კიდევ ერთხელ მოუწოდეს ყაზბეგის მოსახლეობას ხმა იმ პოლიტიკური ძალისთვის მიეცა, რომელიც მათი ოსეთისგან იზოლირების მომხრე არ იქნებოდა და ასევე შეახსენეს რომ აუცილებელი იყო მათთვის ეკონომიკური ურთიერთობისა და მიმოსვლის აღდგენა ოსეთთან ისევე როგორც მათთვის თრუსოსა და კობში მიმოსვლის თავისუფლების აღდგენა.

ორგანიზაცია დარიალის წევრები მუდმივად ცდილობდნენ ისტორიული ფაქტების მოყვანას და იმის დამტკიცებას, რომ თრუსო ჩრდილოეთ ოსეთის ნაწილია, ზოგჯერ კი მაქ აღმოსავლეთ ოსეთად იხსენიებს. სალბიევის თქმით ყაზბეგის მუნიციპალიტეტი 80-მდე გვარის საცხოვრებელი ადგილი იყო. ის ამბობს რომ მარტო თრუსოს ხეობა კი

არა კობის აუზისა და გუდის ხეობაც - აქ მოიაზრება კურორტი გუდაურიც, ოსეთის ტერიტორიაა. სალბიევის მოსაზრებით ასევე ოსეთს ეკუთვნის მთლიანი დარიალის ხეობაც «Арвы ком» „ზეციური ხეობა“. ანალოგიური იდეოლოგიის მატარებელია ორგანიზაცია „ერთიანი ოსეთისთვის“ ხელმძღვანელი ალიხან ხუგაევი, რომელიც ამბობს, რომ მიუხედავად ქართველი ისტორიკოსების მიერ დამახინჯებული ფაქტებისა და ოსები არასოდეს არ შეწყვეტენ საკუთარი ტერიტორიებისთვის ბრძოლას და ქართულ მხარეს შეახსენებს რომ ყაზბეგში ქართველები მხოლოდ მე-19 საუკუნეში გამოჩნდნენ მანამდე კი აქ მხოლოდ ოსები ცხოვრობდნენ. ამის დასტური ისეცაა, რომ არცერთი ქართული არქეოლოგიური ძეგლი არაა 120 წელზე მეტის. ისინი იმასაც ამბობენ, რომ რომ არა მთავრობები მოხევეებთან და მთიულებთან მარტივად მოვრიგდებოდით, მე მაქვს მათთან კავშირი და ისინიც კი ვერ ბედავენ იმის თქმას, რომ თრუსო ოსეთის არაა. (Осетины никогда не смирятся с потерей своих земель, 2015)

2011 წელის 26 აგვისტოს ორგანიზაცია „დარიალი“ იურიდიულად გაუქმდა, თუმცა თრუსოს შესახებ საუბარი არ შეწყვეტილა და მსგავს იდეოლოგიის მატარებელი სხვა ორგანიზაციებიც გამოჩნდა. დღემდე ხდება პერიოდულად თემის აქტუალიზება, მაგ: 2017 წლის მარტში გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე „ისტორიული ოსეთის აღმოსავლეთ მთიანი ტერიტორიები“. მასში მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივი ორგანიზაცია „არვი კომ-მა“, ოსური სათვისტომოს ლიდერმა, ოსი ახალგაზრდობის ლიდერმა, სხვადასხვა საზოგადოებრივმა მოღვაწეებმა და სხვებმა მიიღეს მონაწილეობა. შეხვედრის წევრებმა განაცხადეს, რომ მათ არ უნდათ ომი, მაგრამ აღნიშნულ პრობლემას აუცილებლად გააჟღერებენ მსოფლიო დონეზე, მათ პროტესტი გამოთქვეს რომ ქართველები „თავხედურად“ ცვლიან მსოფლიო რუკაზე ოსური სოფლების დასახელებებს და ქართულ დაბოლოებებს უწერენ (მაგ: სოფ. უხათ - უხათი; განის - განისი; სოქურთიყაუ - სოქურიანი და ა.შ.), ოსური წყლები ქართული დასახლებების საჭიროებებისთვის გამოიყენება, უკანასკნელი წვეთი კი თრუსოელი ოსებისთვის ნატოს ხელმძღვანელობის განცხადება იყო, როცა რუსეთს მოუწოდეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისტვის პატივი ეცათ და გაეყვანათ საკუთარი სამხედრო ძალები მისი ტერიტორიიდან. „არვი კომის“ აქტივისტმა და საერთაშორისო სამართლის სპეციალისტმა სოსლან ტორჩინოვმა განაცხადა, რომ მას შეუძლია იურიდიულად დაადასტუროს ის ფაქტი, რომ თრუსოს ხეობა, გუდის ხეობა, კობის ქვაბული, მლეთა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტიც კი ოსეთს ეკუთვნოდა ისტორიულად და დღესაც

შეიძლება ამ ტერიტორიებზე დავა. (Круглый стол по теме: "Восточные - горные территории , исторической Осетии"., 2017)

ახალგაზრდული მოძრაობის ლიდერმა ბორის ბიგაევმა გამოთქვა მოსაზრება, რომ მცხეთამდე ტერიტორიები მთლიანად ეკუთვნის ოსეთს და მხოლოდ ტერიტორიის ნაწილზე არ უნდა დაობდნენ. გაჟღერდა მოსაზრებაც, რომ ტერიტორიების დაბრუნების შემდეგ ქართველებს აპატიებენ ოსების მიმართ ჩადენილ უსამართლობას და ყაზბეგისა და მლეთის ტერიტორიაზე ცხოვრებას არ შეუზღუდავენ. (თრუსოს ხეობა, 2017)

2016 წლის მარტის ჟენევის მოლაპარაკებებზე ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის დელეგაციის ხელმძღვანელმა მურატ ჯიოევმა კიდევ ერთხელ წამოსწია თრუსოს ხეობის თემა. მან განაცხადა, რომ აუცილებელი იყო საქარველოსტერიტორაზე დარჩენილი კულტურული ძეგლების შენარჩუნება, რისთვისაც საერთაშორისო კომისიას იწვევდა თრუსოს ხეობაში, რომელიც უკანონოდ მიაკუთვნა საბჭოთა კავშირმა საქართველოს. მან ასევე ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ოსეთის ტერიტორიების დაბრუნების საკითხი მუდმივად იდგება დღის წესრიგში სანამ ის ოსური მხარის სასარგებლოდ არ დაგაწყდება და არანაირი მნიშვნელობა არ ექნება ქართული მხარის ირონიულ მიდგომას. ჟენევაში ჯიოევმა განაცხადა, რომ თრუსო ამჟამად დაცლილია ოსი მოსახლეობისგან და ეს მხოლოდ იმის დამსახურებით რომ ქართულმა მხარემ ისინი აიძულა თავისი ისტორიული სამშობლო დაეტოვათ. მათ საერთაშორისო ასპარეზზე დახმარება ითხოვეს რათა დაეცვათ კულტურული ეგლები და ადამიანის უფლებები. (Круглый стол по теме: "Восточные - горные территории , исторической Осетии"., 2017)

მრგვალი მაგიდის შეკრებაზე, თემაზე „ისტორიული ოსეთის აღმოსავლეთ მთიანი ტერიტორიები“ მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივი ორგანიზაცია „არვი კომ“-მა, ოსური სათვისტომოს ლიდრემა, ოსი ახალგაზრდობის ლიდერმა, სხვადასხვა საზოგადოებრივმა მოღვაწეებმა და სხვებმა მიიღეს მონაწილეობა. შეხვედრის წევრებმა განაცხადეს, რომ მათ არ უნდათ ომი, მაგრამ აღნიშნულ პრობლემას აუცილებლად გააჟღერებენ მსოფლიო დონეზე, მათ პროტესტი გამოთქვეს რომ ქართველები „თავხედურად“ ცვლიან მსოფლიო რუკაზე ოსური სოფლების დასახელებებს და ქართულ დაბოლოებებს უწერენ (მაგ: სოფ. უხათ - უხათი; განის - განისი; სოქურთიყაუ - სოქურიანი და ა.შ.), ოსური წყლები ქართული დასახლებების საჭიროებებისთვის

გამოიყენება, უკანასკნელი წვეთი კი თრუსოელი ოსებისთვის ნატოს ხელმძღვანელობის განცხადება იყო, როცა რუსეთს მოუწოდეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთტვის პატივი ეცათ და გაეყვანათ საკუთარი სამხედრო ძალები მისი ტერიტორიიდან. „არვი კომის“ აქტივისტმა და საერთაშორისო სამართლის სპეციალისტმა სოსლან ტორჩინოვმა განაცხადა, რომ მას შეუძლია იურიდიულად დაადასტუროს ის ფაქტი, რომ თრუსოს ხეობა, გუდის ხეობა, კობის ქვაბული, მლეთა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტიც კი ოსეთს ეკუთვნოდა ისტორიულად და დღესაც შეიძლება ამ ტერიტორიებზე დავა. (Круглый стол по теме: "Восточные - горные территории , исторической Осетии"., 2017)

ახალგაზრდული მოძრაობის ლიდერმა ბორის ბიგაევმა გამოთქვა მოსაზრება, რომ მცხეთამდე ტერიტორიები მთლიანად ეკუთვნის ოსეთს და მხოლოდ ტერიტორიის ნაწილზე არ უნდა დაობდნენ. გაჟღერდა მოსაზრებაც, რომ ტერიტორიების დაბრუნების შემდეგ ქართველებს აპატიებენ ოსების მიმართ ჩადენილ უსამართლობას და ყაზბეგისა და მლეთის ტერიტორიაზე ცხოვრებას არ შეუზღუდავენ.

თუმცა უნდა ვთქვათ, რომ არც „დარიალი“ და არც „გაერთიანებული ოსეთისთვის“ საკუთარ საქმიანობაში არასოდეს არ გადასულან პრაგმატული და პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმის ეტაპზე. უფრო ძლიერ პროპგანდისტულ საქმიანობას ორგნიზაცია „ყაზბეგი“ ეწეოდა, 2013 წელს ორგანიზაციის წევრებს საქართველოში შემოსვლა აეკრძალათ. ორგანიზაციის წევრმა გიორგი კცოევმა საქართველოს მთლიანობა ღიადაც კი აღიარა. (თარხანოვა, Мы хотим нормального к себе отношения, 2015) საქართველოს ხელიუფლებასთან ბრძოლა სხვაგვარად სცადა ორგანიზაციის ლიდერმა სერგო თუათმა. 2015 წლის დასაწყისში მან წერილი გაუგზავნა საქართველოს სახალხო დამცველს და უკმაყოფილება იმის გამო რომ ქართველი მესაზღვრეები 2014 წლის ივნისიდან აღარ უშვებენ ოსებს თავიანთ ყოფილ სახლებში, სოფელ კობში. ის ამ ფაქტს ადამიანის გადაადგილების უფლების დარღვევად თვლის და ითხოვს რეაგირებას. თუათი მართალია, პერსონა ნონგრატად გამოცხადდა მაგრამ ის რუსეთის მოქალაქეობის პარალელურად ბელგიის მოქალაქეცაა, რაც მას საშუალებას აძლევს ევროპელი პოლიტიკოსების წინაშეც წამოჭრას ზემოთაღნიშნული საკითხი. (თარხანოვა, 2015)

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის მიზნით ზემოთხსენებული ორგანიზაციებისა და სახვა მსგავსი სამოქალაქო მოძღაობების ხელმძღვანელებსა და ხშირ შემთხვევაში წევრებსაც ქვეყანაში შემსვლა აკრძალული აქვთ.

საყურადღებო იყო ე.წ. სამხრეთ-ოსეთის ყოფილი დე-ფაქტო პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის 2014 წლის ოსი ხალხის მე-8 ყრილობაზე გაკეთებული განცხადება: „თრუსოს ხეობა ჩვენი მიწაა და ჩვენ მისთვის ვიბრძოლებთ“. 2013 წელს მან ინტერვიუში განაცხადა, რომ ჩემ სიტყვებს კიდევ ერთხელ ვადასტურებ. ეს არის ჩვენი მიწები და ეს აქტუალური საკითხია. ეს არის თრუსოს ხეობა, გუდის ხეობა, კობის ტაფობი. იქ განლაგებულია ოსური სოფლები, ოსური წმინდა ადგილი, ჩვენი წინაპირების საფლავები. ეს საკითხი უნდა გახდეს ქვაკუთხედი საქართველოსთან მოლაპარაკებების დროს, როდესაც ის დაიწყება. ჩვენი პრეტენზიები აბსოლუტურად საფუძვლიანია და ისტორიული დოკუმენტებითაა გამყარებული. იქ ამ დრომდე მრავალი ოსური სოფელია, დასახლებები მთელი რიგი ოსური გვარებით. სამწუხაროდ, სააკაშვილის რეჟიმმა ეს სოფლები საძოვრებად და სამხედრო პოლიგონებად აქცია. ოსებს, რომლებიც ამ მიწებზე საუკუნეების მანძილზე ცხოვრობდნენ, დღეს საკუთარ სახლებში, სამშობლოში მისვლა აღარ შეუძლიათ თრუსოს ხეობის სოფლებში, ისევე როგორც ყაზბეგის მუნიციპალიტეტის დანარჩენ დასახლებულ პუნქტებში. (armada.ge, 2013)

2014 წელს ქ. ვლადიკავკაზში ევრაზიული კავშირის ფორუმის ფარგლებში რუსეთის სტრატეგიული კვლევების კონფერენცია გაიმართა, რომელიც კავკასიის რეგიონში მიმდინარე პროცესების კვლევას ეძღვნებოდა. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყვნენ ოსი ისტორიკოსები, საზოგადო მოღვაწეები, მაღალჩინოსნები და თავად თრუსოს ხეობიდან წასული ოსები. ისინი აცხადებდნენ, რომ თრუსო ყოველთვის ოსეთის ნაწილი იყო და რომ ისინი ხეობიდან იძულებით იქნენ გასახლებული. მათ რუსეთის ფედერაციის მთავრობას დახმარების თხოვნით მიმართეს, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორმა რუსლან ბაზაროვმა კი ვრცლად ისაუბრა ადამიანის საკუთრების უფლების დარღვევაზე საქართველოს ხელისუფლების მხრიდან. მისი თქმით რუსეთისა და ოსეთის ხელისუფლებები დიდხანს ვერ დახუჭავენ თვალს საკუთარი მოქალაქეების უფლებების დარღვევაზე და თრუსოში საქართველოს მთავრობას მაინც მოუწევს ოსური საკუთრების აღიარება. იგივე ნარატივს ავითარებს რუსეთის ფედერაციის სტრატეგიული კონიუქტურის ცენტრის დირექტორის მოადგილე მიხაილ ჩერნოვი და

ამბობს, რომ შეუძლებელია იმ უკანონობისა და ადამინური უფლებების შელახვის ვერ შენიშვნა რაც თრუსოში ხდება. (ТЫРШЫГОМ - СВЯЩЕННАЯ РОДИНА ОСЕТИН, 2014)

3.2. თრუსოს ხეობა ქართულ და ოსურ საინფორმაციო წყაროებში კრიტიკული ანალიზის თვალსაზრისით:

ქართული და ოსური მედიის მიდგომა თრუსოს ხეობასთაბ აბსოლუტურად განსხვავებულია და ისინი არანაირად არ იკვეთებიან გარდა იმისა რომ ერთ ტერიტორიულ ნაწილზე საუბრობენ. ოსურ მედიასა და გაზეთებში თუ საუბარია თრუსოს ხეობაზე აუცილებლად ისიცაა ნათქვამი რომ ის ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიული ერთეულია, რომელიც გასაბჭოების პერიოდში ხელოვნურად მიაკუთვნეს საქართველოს და რომ მისი დაკარგვა დანაშაულია მომავალი თაობების წინაშე. საინტერესოა გადაცემათა ციკლი, რომელსაც მხატვრული-დოკუმენტური ხასიათი აქვს. ყოველი გადაცემა იწყება პაპისა და პატარა შვილიშვილის დიალოგით, სადაც მოხუცი კაცი პატარას ოსეთის შესახებ არსებულ მითებსა და თქმულებებზე ესაუბრება, შემდეგ კი ისტორიულ ნაწილზე საუბრისას გულდაწყვეტით უყვება, როგორ დაკარგეს თრუსოს ხეობა ძირძველი თირშიგომის ნაწილი, და პატარას იმასაც უხსნის რომ ეს დროებით მოვლენაა და ამ მიწაზე ფეხის დადგმას სულ მალე თავისუფლად შეძლებს. შემდე კი ფილმის დოკუმენტური ნაწილი გრძელდება სადაც დეტალურად ყვებიან როგორ წარმოიშვა თრუსოს ხეობა, როგორ იყო ის ოსეთის ნაწილი და როგორ დაკარგეს ის. ჩანს ვიდეოკადრები სადაც თრუსოში არსებული ეკლესიები და ძველი ციხეები ოსურ კულტურულ მემკვიდრეობადაა აღწერილი და საუბარია ოსურ ტრადიციებზე. ფილმში შეფარულად ჟღერდება რომ ოსეთს არამხოლოდ თრუსოს ხეობა არამედ გუდაური და ლომისის მთაც ეკუთვნის. (ТЫРШЫГОМ - СВЯЩЕННАЯ РОДИНА ОСЕТИН, 2014) (Фильм Жизнь осетинского села, 2014)

საინფორმაციო წყაროებში ყველგანაა საუბარი საქართველოს მთავრობის უსამართლო დამოკიდებულების შესახებ ოსების მიმართ, რომელმაც ისინი ჯერ აიძულა საკუთარი სახლები დაეტოვებინა შემდეგ კი საზღვარზე შემოსვლა აუკრძალა. კრიტიკული

დისკურსის ანალიზის თვალსაზრისით საინტერესოა ერთი მომენტი, აქცენტი ხშირად დასმულია საქართველოს მთავრობის მხრიდან თრუსოს მკვიდრი ოსების საკუთრების უფლების დარღვევაზე. ასევე ამბობენ, რომ ისინი ჩრდილოეთ ოსეთის ანუ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები არიან რაც ნიშნავს, რომ მათ უფლებებს უახლოეს მომავალში სწორეს ის დაიცავს. ეს შეიძლება პირდაპირ მოწოდებად გავიგოთ რუსეთსა და საქართველოს ურთიერთობაში ახალი დაძაბულობის შეტანისკენ.

საინტერესო აქცენტი კეთდება ადგილობრივი ქართველებისა და ოსების ურთიერთობასთან დაკავშირებითაც. განცხადებებში ხშირად ვაწყდებით, რომ მათ პრობლემა არ აქვთ ადგილობრივ მოხევეებთან და ისინი თავადაც კი აღიარებენ რომ კობი და თრუსო ოსების საკუთრებაა და რომ არა პოლიტიკა, დიდი ხნის წინ დასრულდებოდა ამ ორ ხალხს შორის არსებული დავა. (Отмена грузинских виз коснулась кавказцев выборочно. Интервью с осетинским общественником, 2010) ხშირად ესმევა ხაზი იმასაც, რომ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი ფლობს ორმაგ მოქალაქეობას ან მხოლოდ რუსეთოს მოქალაქეა. თრუსოს ხეობა და ამას დამატებული რუსეთის მოქალაქეობის მქონე ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლები მთლიანობაში ქმნიან კიდევ ერთ მიზეზს იმისა. რომ ყაზბეგში მაცხოვრებელი რუსეთის მოქალაქეების უფლებებზე საუბარ არ შეწყდეს.

ამის პარალელურად რომ ავიღოთ თრუსოს ხეობის საკითხების გაშუქება ქართული მედიის მხრიდან შემდეგ სურათს მივიღებთ, თრუსო კარგი ტურისტული პოტენციალის მქონე ტერიტორიაა, რომელსაც ათვისება ჭირდება. ბოლო წლების განმავლობაში ქართულ წამყვან არხებზე რამოდენიმე გადაცემა გაკეთდა, სადაც საუბარია თრუსოს ბუნებრივ სილამაზესა და აქ კარგი ტურისტული ბიზნესის გაკეთების პერპექტივაზე, ასევე იმაზე თუ როგორაა დაცლილი ულამაზესი ხეობა მოსახლეობისგან და არცერთ მათგანში არ მახვილდება მოსახლეობის ეროვნებაზე ყურადღება. ეს ერთის მხრივ სწორი მიდგომაცაა, რადგან კიდევ უფრო ნათელი ხდება რა უნდა იყოს რეალურად თრუსოსთან დაკავშირებით აქტუალური და რაც უფრო მეტად განვითარედება ხეობაში ტურიზმი მასზე პრეტენზიები სულ უფრო გაუქრებათ ოსებს რადგან თითოეული და მითუმეტეს სასაზღვრო ტერიტორიის შენარჩუნების მთავარი ბერკეტი მასზე მოსახლეობის არსებობაა. (P.S.-პოსტკრიპტუმი-თრუსოს ხეობა/TRUSOS XEOBA, 2017) (ზვიად თხელიძე - განდეგილები თრუსოს ხეობიდან /2030 (30.10.2015.)/, 2015) ტელევიზიები ხშირად ეწევიან უკანასკნელი ორი წლის თრუსოს ხეობის ერთადერთი

ბინადრის წარმოჩენასა, თითქმის ყველა წამყვან არხს აქვს გაკეთებული რეპორტაჟი ყარათსოფლის მაცხოვრებელ რუსლან გუჯარაიძეზე. (www.youtube.com, 2015)

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომი საშუალებას გვაძლევს თრუსოს ხეობაზე ხელოვნურად დაწყებული დავის საფუძველზე მნიშვნელოვანი დასკვნები გავაკეთოთ. პირველ რიგში უნდა ვთქვათ, რომ თრუსოთი უფრო რუსეთის ფედერაციაა დაინტერესებული ვიდრე ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა, რომელიც დამოუკიდებელ სახელმწიფოსაც კი არ წარმოადგენს. რუსეთისათვის „ამ რაიონის (თრუსოს ხეობის - კ.ლ) კონტროლი საქართველოს სამხედრო გზის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მონაკვეთის გაკონტროლების საშუალებას იძლევა რომელიც რუსეთიდან სომხეთში ყველაზე მოკლე გზას წარმოადგენს. საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის ხელში ჩაგდება არის ნაწილი იმ რბილი ძალის პოლიტიკისა რომლის გატარებაც აგვისტოს ომის შემდგომ რუსეთმა დაიწყო საქართველოს მიმართ. ასევე, რუსეთისთვის ეს არის საშუალება დაუახლოვდეს თავის უახლოეს მოკავშირეს სამხრეთ კავკასიაში - სომხეთს და ამავე დროს შეძლებისდაგვარად გააძლიეროს ეკონომიკური კავშირები საქართველოსთან რამაც უნდა მოახდინოს საქართველოს პოლიტიკური გეზის კორექტირება.

ამიტომ ოსური საინფორმაციო გზავნილები თრუსოს ხეობის თაობაზე იდეოლოგიური ომის ნაწილია და ემსახურება ნიადაგის მომზადებას მომავალი მოქმედებისათვის მაგრამ რაში შეიძლება გამოიხატოს ეს მოქმედება? ექსპერტმა კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძემ ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ დააანონსა რომ შესაძლოა რუსეთმა „სამხედრო გზა გადაჭრას გუდაურამდე და ყაზბეგი დაიკარგოს”48. თუმცაღა მოვლენების ასეთი განვითარება მხოლოდ უფრო მასშტაბური პოლიტიკური-სამხედრო მოვლენების ფონზეა შესაძლებელი.

ოსური მედიით გაჟღერებული კოკოითისა თუ სხვა პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეების განცხადებები თრუსოს ხეობის „დაბრუნებაზე” და ”ერთიანი ოსეთისთვის მიერთებაზე” უნდა განიხილებოდეს არა როგორც ოსი „პოლიტიკოსის“ პოპულისტური განცხადებები რომლებიც შიდა მოხმარებისთვისაა გამიზნული პოლიტიკური ქულების დასაწერად, არამედ როგორც პოლიტიკური გზავნილი ქართული მხარისათვის რომლის სარჩული შეიცავს შემდეგ მიზანს: მიუთითოს საქართველოს რომ მოსკოვს გააჩნია მასზე ზემოქმედების ბერკეტები. საქმე იმაში მდგომარეობს რომ ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მდებარე თრუსოს, კობის და გუდის ხეობები ძალზე სტრატეგიული მნიშვნელობისაა, ისინი საქართველოს სამხედრო გზაზე მდებარეობენ. ამასთან ერთად

ამ ხეობებს სტრატეგიული როკის გვირაბიდან მხოლოდ 11-15 კმ. აშორებთ. სამხედრო თვალსაზრისით, თეორიულად ქართულ მხარეს შეუძლია სამხედრო ამოცანის შესრულება და თრუსოს ხეობიდან სპეციალური საარტილერიო დანადგარების საშუალებით იერიშის მიტანა როკის გვირაბის სამხრეთი პორტალიდან გამომავალ გზაზე და უღელტეხილის ფერდობებზე. მათი ჩამოშლის შემდეგ ჯავისა და ცხინვალისკენ მომავალი გზა დროებით მაინც ჩაიკეტება

ჩვენ უკვე საუბარი გვქონდა, რომ თრუსოს სოფლებში წლის ნებისმიერ დროს ცხოვრება შეუძლებელი ზაფხულის პერიოდში კი საკმაოდ რთულია. აქ არ არის გზები, ბუნებრივი აირი, ელექტროენერგია. ჩნდება კითხვა რა მიზანი უდა ამოძრავებდეს დიდი ხნის წინ წასულ ოსებს და რეალურად დაბრუნდებიან თუ არა უკან. მაგრამ რამდენად შესაძლებელია მათი გაუკაცრიელებულ ხეობაში დაბრუნება ცალკე საკითხია, თუ არ ექნებთ გარკვეული ფინანსური ინტერესი. აქ შეიძლება ეკონომიკური ინტერესი იყოს. თრუსოში ბოლო წლების განმავლობაში კარგად ვითარდება ტურიზმის სფერო და თუ იქ ინფრასტრუქტურულად გამართული თუნდაც საოჯახო ტიპის სასტუმრო იფუნქციონირებს კარგ ეკონომიკურ მოგებას მოიტანს. 2018 წლიდან კი ალმასიანი კობის მონაკვეთზე ახალი 4 კმ. სიგრძის სათხილამურო გზა ამოქმედდება, რაც ახლო მდებარე სოფლების გაცოცხლების საწინდარია. საბაგირო გუდაურს დაუკავშირდება და გამომდინარე იქედან, რომ ჩრდილოეთ ფერდობზე თოვლი გვიან დნება, აღნიშნულ მონაკვეთზე სრიალი ივნისის თვეშიც იქნება შესაძლებელი. (bm.ge, 2016)

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საჯარო რეესტრში გახშირებულია ეთნიკური ოსების მიმართვა, რომელთაც თრუსოსა და კობში სახლების ან მიწების დაკანონება უნდათ. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში კი საკუთარი უფლებების დარღვევაზე საუბობენ და საჯარო მოხელეს სასამართლოში ჩივილით ემუქრებიან. პირად საუბრებში საჯარო რეესტრის თანამშრომლები EUMM-ის წევრების მისვლისა და ზემოთხსენებული საკითხით დაინტერესების ფაქტებსაც იხსენებენ.

სიახლე არაა, რომ ქვეყნის საზღვარი ყველაზე კარგად მაშინაა დაცული, როდესაც იქ ადგილობრივი მოსახლეობა ცხოვრობს. მართალია ბოლო წლებში თრუსოს ათვისება თანდათან ხდება და იქ სამოონასტრო ცხოვრების აღორძინების ერთ-ერთი მიზეზი საზღვრის დაცვაც შეიძლება იყოს, მაგრამ ხეობის ქართული მოსახლეობით დასახლება

აუცილებელია. ტუსიზმის განვითარება და ახალი სამთო-სათხილამური გზების მოწყობა სავარაუდოდ შეუწყობს კიდევაც ხელს ზემოთხსენებულს. მაგრამ აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ხეობაში 10 ეთნიკური ოსი დაბრუნდება თუ 100 ზუსტად ერთნაირი შედეგი იქნება, პირველ რიგში მიწებისა და სახლების დამტკიცება შეუქცევადი პროცესი გახდება, მეორეს მხრივ კი როგორც რუსული პოლიტიკის განხორციელების შემთხვევაში ხდება ხოლმე აღნიშნული პირების უფლებების დაცვის მიზნით სულ უფრო მეტი გავლენა შეიძლება მოიპოვოს რუსეთის ფედერაციამ.

ბიბლიოგრაფია

(n.d.).

(n.d.). Retrieved from http://osradio.ru/tags/%CA%E0%E7%E1%E5%E3%F1%EA%EE%E3%EE/page/1/%201.04.2017

(2012, 05 14). Retrieved from http://temurmur.blogspot.com: http://temurmur.blogspot.com/2012/05/blog-post_14.html

(2013, august 13). Retrieved from armada.ge: http://armada.ge/?p=37472

(2016, 10 07). Retrieved from bm.ge: http://www.bm.ge/ka/article/quotgudauri-kobis-axal-satxilamuro-trasaze-sriali-zafxulshic-iqneba-shesadzlebeliquot/6601

Evans, M. (2013, may 9). The author and the princess' – An example of Critical Discourse Analysis.

P.S.-პოსტკრიპტუმი-თრუსოს ხეობა/TRUSOS XEOBA. (2017, 04 16). Retrieved from www.youtube.com: https://www.youtube.com/watch?v=__wcazy5k3g

Tuathail, G. O. (1996). *Critical Geopolitics. The Politics of Global Space.* ლონდონი.

Tuathail, G. O. (2004). Undersetanding critical Geopolitics: Geopolitics and risk society. *JUrbal of Strategic Studies*, 111-123.

Wooffitt, R. (2005). *Conversation Analisis & Discourse Analysis.* London: SAGE Publications.

Wooffitt, R. (2005). *conversition Analysis & Discourse Analysis.* London: SAGE Publications.

www.youtube.com. (2015, 12 30). Retrieved from თრუსოს ხეობის დარაჯი: https://www.youtube.com/watch?v=sIIwWQnfiTY

Круглый стол по теме: "Восточные - горные территории , исторической Осетии". (2017, 03 21). Retrieved from osinform.org: http://osinform.org/60512-kruglyy-stol-po-teme-vostochnye-gornye-territorii-istoricheskoy-osetii.html

Осетины никогда не смирятся с потерей своих земель. (2015, 02 10). Retrieved from http://ossetia.su: http://ossetia.su/iron-akcent-ru-10-02-2015/

Отмена грузинских виз коснулась кавказцев выборочно. Интервью с осетинским общественником. (2010, 10 26). Retrieved from http://osinform.org: http://osinform.org/print:page,1,25890-otmena-gruzinskix-viz-kosnulas-kavkazcev.html

ТЫРШЫГОМ - СВЯЩЕННАЯ РОДИНА ОСЕТИН (2014). [Motion Picture]. Retrieved from https://www.youtube.com/watch?v=EXsMy8tVwoQ

Фильм Жизнь осетинского села (2014). [Motion Picture]. Retrieved from https://www.youtube.com/watch?v=IbJPTB8SAyg

ზვიად თხელიძე - განდეგილები თრუსოს ხეობიდან /2030 (30.10.2015.)/. (2015, 10 30). Retrieved from www.youtube.com: https://www.youtube.com/watch?v=wu8OZ19gmq4

თარხანოვა, ჟ. (2015, 02 20). Мы хотим нормального к себе отношения.

თარხანოვა, ჟ. (2015, 02 20). *Мы хотим нормального к себе отношения.* Retrieved from www.ekhokavkaza.com: https://www.ekhokavkaza.com/a/26860636.html

თრუსოს ხეობა. (2017, 06 15). Retrieved from ka.wikipedia.org: https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%97%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A1_%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90

ითონიშვილი, ვ. (1995). *ქართულ-ოსურ ურთიერთობათა ისტორიიდან*. თბილისი.

მაკალათია, ს. (1934). *ხევი.* ტფილისი.

მაკალათია, ს. (n.d.). *ხევი.* თბილისი.

მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერა 1926. (1929). თბილისი : ტიფლისი.

ხატიაშვილი, გ. (2016, 11 25). Retrieved from idfi.ge: https://idfi.ge/ge/georgia_russia_negotiations_on_wto_issues_five_years_ago

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
საქსტატი
National Statistics Office of Georgia
GEOSTAT

ქალბატონო თამარ,

თქვენი მიმდინარე წლის 2 ივნისის წერილის პასუხად გიგზავნით მოსახლეობის რიცხოვნობას და სოფლის ძირითად ეროვნებას ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით, 1970, 1979 და 1989 წლების მოსახლეობის აღწერების შედეგების საფუძველზე.

ამასთან გაცნობებთ, რომ მოსახლეობის რიცხოვნობა და ეროვნული შემადგენლობა სოფლის დონეზე 1939 და 1959 წლების მოსახლეობის აღწერების შედეგებით არ არის ხელმისაწვდომი.

პატივისცემით,

მერი დაუშვილი

აღმასრულებელი დირექტორი

თბილისი, ს. დადიანის №30, 0180
ტელ: +995 32 236 72 10
ფაქსი: +995 32 236 72 13
ელ-ფოსტა: info@geostat.ge
www.geostat.ge
საქსტატი
www.geostat.ge

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tamara Kukishvili

Trusos's Valley's ethnopolitical, critical- geographical annalase

Human Geography

Supervisor: **David Sichinava**

Assistent Professor

Tbilisi

2017

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

მამუკა ქობალია

„მაღალმთიანი რეგიონების შესახებ" კანონის გავლენა საქართველოს რეგიონულ განვითარებაზე

საზოგადოებრივი გეოგრაფიის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო შესრულებული საზოგადოებრივი გეოგრაფიის

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვლებლად

ხელმძღვანელი: ასისტენტი პროფესორი დავით სიჭინავა

თბილისი. 2017

,,მაღალმთიანი რეგიონების შესახებ'' კანონის გავლენა საქართველოს რეგიონულ განვითარებაზე

ანოტაცია

ნაშრომის მთავარი **მიზანია** საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის საფუძველზე „მთის კანონის“ შემოღების შემდეგ მოსახლეობის კეთილდღეობისთვის განხორციელებული პროექტებისა და სახელმწიფო პროგრამების კვლევა. თემა **აქტუალურია**, რადგან საქართველოს მაღალმთიანეთი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მძიმე რეგიონს სოციალურ-ეკონომიკური პარამეტრების გათვალისწინებით. ცხოვრების დონისა და დემოგრაფიული მაჩვენებლების გაუარესების შედეგად საფრთხის ქვეშ დადგა, როგორც მთაში არსებული კულტურული მემკვიდრეობა, ისე საზღვრების დაცვა. თანამედროვე გამოწვევებთან გასამკლავებლად, საჭიროა მეტი ჩართულობა, საზოგადოების რაც უფრო ფართო ფენა ჩაერთვება პროცესში, მით უფრო მეტი ნაბიჯი გადაიდგმება პრობლემების მოსაგვარებლად. სამაგისტრო ნაშრომის კვლევის **ობიექტია** საქართველოს მაღალმთიანი რეგიონები (დუშეთის მუნიციპალიტეტი). კვლევის **საგანია** ამ რეგიონებსა და მუნიციპალიტეტში სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პროექტების განხილვა და ანალიზი. დემოგრაფიული ცვილებების დინამიკა ბოლო 25 წლის განმავლობაში. ნაშრომის **ამოცანაა** გამოიკვეთოს სახელმწიფოს მიერ შემუშავებული და განხორციელებული პროექტების გავლენა მაღალმთიან რეგიონებში არსებული მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებზე, მათი დაძლევის გზებსა და მოსახლეობის ეკონომიკური განვითარებაზე.

The impact of the 'Law on high mountainous regions' on Georgia's regional development

Kobalia, M.

Annotation

The purpose of the following is to investigate population welfare projects and state-sponsored programs carried out after the implementation of the law on the development of high mountainous regions in Georgia.

The importance of the subject matter lies in the complexity of Georgia's high mountainous regions' socio-economic characteristics. As a result of the standard of living and the demographic indicators being on decline, cultural heritage and border protection of these regions have being put in danger.

In order to deal with modern-day challenges, involvement of the society in the process is essential, since it will help more steps be taken to solve the problems.

This work aims to discuss and analyze state-sponsored programs in mountainous regions and municipalities and demonstrate the dynamics of demographic changes in the last 25 years.

The research subjects are high mountainous regions of Georgia (Dusheti municipality).

The challenge of this work is to identify the impact of the programs developed and implemented by the state on the hard living conditions in mountainous regions, their role in finding ways to overcome the problems and the importance for economic empowerment and development of population.

სარჩევი

შესავალი 6

მეთოდოლოგია 8

თავი 1. საქართველოს რეგიონული განვითარების ასპექტები 11

1.1 საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობა გარემოსა და თვითმმართველობის განვითარებაში 13

1.2 მდგრადი განვითარების მიზნები (Sustainable Development Goals (SDGs) 14

1.3 მდგრადი განვითარების პრობლემები 16

1.4 მაღალმთიანი რეგიონები - მგრძნობიარე ეკოსისტემების მდგრადი განვითარება 17

1.5 SDC-ის საერთაშორისო დახმარების პროგრამები 18

თავი 2. ინვესტირება მთიანი რეგიონების მდგრადი განვითარებისათვის 20

2.1 მალოპოლსკას განვითარების მაგალითები 21

2.2 რა განაპირობებს პოლონეთის და ზოგადად მალოპოლსკას განვითარებას? 23

თავი 3. საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების პროგლემები 25

3.1 დემოგრაფიული მდგომარეობის ანალიზი 25

3.2 მიგრაციის მიზეზები 28

თავი 4. მაღალმთიანი დასახლებების განვითარებისთვის მიღებული კანონები 34

4.1 მაღალმთიანი დასახლებების განვითარებისთვის 2013-2015 წლებში სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პროექტები 34

4.2 მთის განვითარების ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტები 35

თავი 5. „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ კანონი 36

5.1 თეორიული ჩარჩო 36

5.2 სოფლები; გეოგრაფიული მახასიათებლები; მთის ქვეყნები; მდინარის აუზი; ცხოვრების წესი 36

5.3 „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ “ კანონი და მისი ანალიზი 40

5.4 მაღალმთიანი სტატუსის მინიჭების პრობლემა 41

5.5 რა სოციალურ და საშეღავათო გადასახადებს ითვალისწინებს კანონი? 43

5.5.1 სოციალური შეღავათები 43

5.5.2 საგადასახადო შეღავათები 44

5.6 რა ხარვეზებს შეიცავს „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ კანონი? 44

5.7 ექსპერიმენტული ინტერვიუები და მათი ანალიზი....47
5.8 მთის განვითარების ეროვნული საბჭო....51
5.9 მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი....52
5.10 მთის განვითარების მხარდამჭერი პროექტები....53
5.10.1 აწარმოე მთაში....53
5.10.2 დუშეთის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროექტები....54
დასკვნა....56
გამოყენებული ლიტერატურა....61
დანართი....63

შესავალი

„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ კანონი საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის 16 ივლისს მიიღო. კანონის მიზანი არის საქართველოს მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების უზრუნველყოფა. „მთის კანონის“ (როგორც მას შემოკლებით უწოდებენ) მიღება რეგიონული განვითარების პოლიტიკის ნაწილად განიხილება და მაღალმთიან რეგიონებში მოსახლეობის სოციალურ, ეკონომიკური და კულტრული პრობლემების გადაჭრას და ცხოვრების პირობების ამაღლებას ემსახურება. კანონი შეიმუშავა საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრომ სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის განვითარების ოფისის (SCO), ავსტრიის განვითარების სააგენტოს და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით. განისაზღვრა „მთის კანონით“ მინიჭებული კრიტეტრიმები და შეღავათები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებთა კეთილდღეობას, ცხოვრების ხარისხის ამაღლებას, მთაში ტრადიციული დარგების აღორძნებას, სამუშაო ადგილის შექმნას, ადგილიბრივი რესურსების გამოყენებით მეწარმეობის აღორძინებას, მთიანეთის ისტორიული მემკვიდრეობის შენარჩუნებას და ინფრასტრუქტურის განვითარებას. „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ კანონის შესაბამისად, 2015 წლის 19 ოქტომბერს შეიქმნა მთის განვითარების ეროვნული საბჭო, რომელსაც საქართველოს პრემიერ მინისტრი ხელმძღვანელობს, ხოლო საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება მთავრობისა და პარლამენტის წევრების, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისა და ექსპერტების შემადგელობით. მთის განვითარების ეროვნული საბჭოს მიზანია მაღალმთიანი დასახლებების განვითარების პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება. მაღალმთიან რეგიონებში ეკონომიკური აქტივობების წასახალისებლად საქართველოს კანონით განისაზღვრა მთის განვითარების ფონდი. ფონდის საქმიანობას განკარგავს საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო.

„მაღალმთიანი რეგიონების რეგიონების განვითარების შესახებ“ კანონი ძალაში 2016 წლის პირველ იანვარს შევიდა. 2015 წლის 30 დეკემბერს მთის განვითარების

ეროვნულმა საბჭომ კანონში აღწერილი კრიტერიუმების საფუძველზე 1582 დასახლებას მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიანიჭა. მაღალმთიანი დასახლების სტატუსი ზღვის დონიდან 1500 მეტრის სიმაღლეზე ან მის ზევით მდებარე დასახლებას ენიჭება, თუმცა საქართველოს მთავრობამ ეს სტატუსი ზღვის დონიდან 800 მეტრის სიმაღლეზე და მის ქვევით მდებარე დასახლებებსაც მიანიჭა. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი კანონი მიღებული იყო 1999 წელს საქართველოს მთავრობის მიერ, თუმცა „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“ კანონის რაიმე ქმედების ან განხორციელებული პროქტების შესახებ სტატისიკური მონაცემები არ მოიპოვება. ექსპერტები აღნიშნულ კანონს „სურვილების კრებულს“ უწოდებენ.

„მაღალმთიანი რეგიონების რეგიონების განვითარების შესახებ“ კანონის ამოქმედებიდან წელიწად ნახევარი გავიდა. ჩემი მიზანია, გამოვიკვლიო აღნიშნული კანონის გავლენა საქართველოს რეგიონულ განვითარებაზე. განხორციელებული პროექტებისა და მიმდინარე აქტივობების სტატისტიკური და ფაქტობრიბივი მონაცემების შეფასების საფუძველზე დავადგინო თუ რა გავლენა მოახდინა „მთის კანონმა“ მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ მდგომარეობაზე. კვლევაში შევეხები „მთის კანონის“ უცხოური ანალოგიების შედეგებს, მიმოვიხილავ აღნიშნულ საკითხზე გავრცელებულ მსოფლიო და ადგილობრივი ლიტერატურას. წარმოავადგენ ინტერვიუებს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ასევე მთის განვითარების ეროვნული საბჭოს წევრთან ექსპერტთან და მათ ანალიზს, რაოდენობრივი აღწერის შედეგებს, მთის განვითარების საკითხზე მიმდინარე პოლემიკის ძირითად ტენდენციებს, კვლევის მეთოდოლიგიასა და სტატისტიკურ მონაცემებს, რაც კვლევის საბოლოო მიზნის მიღწევაში დამეხმარება.

საკითხის აქტუალობას წარმოადგენს რეგიონულ განვითარებასა და თვითმმართველობაზე მიმდინარე დისკუსიები, საქართველოს რეგიონების განვითარების დაბალი დონე, მაღალმთიან დასახლებეში მცხოვრები მოსახლეობის მძიმე სოციალური, ეკონომიკური და კულტრული მდგომარეობა, მთიდან ხალხის მასობრივი მიგრაცია და საზღვრების დაცვა.

მეთოდოლიგია

ნაშრომში გამოყენებულია რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები, მეორადი მონაცემების და ექსპერტული ინტერვუიების სახით. თემის შინაარსისდან გამომდინარე აუცილებელი იყო საქართველოს თვითმმართველობის განვითარების ისტორიის, მისი ძირითადი მახასიათებლების გამოვლენა და ანალიზი, ძირითად ლიტერატურად გამოყენებული მაქვს საქართველოს კულტურის საინფორმაციო ცენტრის მიერ 2015 წელს გამოცემული წიგნი „ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში 1991-2014“. მასში დეტალურადაა გადმოცემული დამოუკიდებელი საქართველოს ბოლო 23 წლის თვითმმართველობის ისტორია. მკაფიოდ არის აღნიშნული საქართველოს ყველა მთავრობის მეტნაკლები ძალისხმევა ქვეყნის დეცენტრალიზაციის მიღწევისთვის. წიგნში მოყვანილმა ფაქტობრივმა გარემოებებმა, მომცა საშუალება გამეანალიზებინა საქართველოს დამოუკიდებოლობის შემდეგ თვითმმარველობის კუთხით განხორციელებული რეფორმები და შემეფასებინა, როგორც კონკრეტულ დროში, ისე 2014 წელს მიღებულ თვითმმართველობის ახალ კანონთან მიმართებაში. ასევე, ამ შედეგის მისაღწევად, მოვუსმინე თანამედროვე პოლიტიკოსებისა და ექსპერტების ინტერვიუებს, აღსანიშნავია, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის ყოფილი პრეზიდენტის დავით ზარდიაშვილის მოსაზრებები, რომელიც 2014 წლის თვითმმართველობის ახალი რედაქციის მკვეთრი კრიტიკით გამოდიოდა, დღესდღეობოთ კი, თვითმმართველობის ახალი, ჯერ კიდევ დამუშავების პროცესში მყოფი კოდექსის ერთ-ერთი თანაავტორია, ამან საშუალება მომცა გამეანლიზებინა, როგორც ძველ (2006), ისე ახალ (2014) და უახლეს (სავარაუდოდ პარლამენტის საშემოდგომა სესიაზე დაამტკიცებენ) რედაქციებს შორის არსებულები განსხვავებები და წინააღმდეგობები.

რეგიონული პრობლემის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა მაღალმთიანი დასახლებების კრიტიკული სოციალური, ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობა, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების ბოლოდან ინტესიური განხილვებისა და კონფერენციების რეჟიმში მინდინარეობს მაღალმთიანი რეგიონების ამგვარი პრობლემების გადაწყვეტის გზების ძიება.

განვიხილე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რიო დე ჟანეიროს (1992 წლის 3-14 ივნისი), ვენის ადამიანის უფლებათა დაცვის მსოფლიო (1993) და ადის აბაბას (2015 წლის 15 ივლისი) კონფერენციები, რომელშიც ხაზგასმით აღინიშნა ადამიანის უფლება, იცხოვროს ჯანსაღ გარემოში. ასევე შემუშავდა რეგულაციები, რომლებიც მასში მონაწილე ყველა ქვეყნისთვის გახდა რეკომენდირებული.

საერთაშორისო საზოგადოების ასეთმა ჩართულობამ მომცა საშუალება გამეაზრებინა მაღალმთიან რეგიონში არსებული პრობლემების მასშტაბურობა, რომლის აღმოფხვრაც გლობალურ დონეზეა აყვანილი. SDC-ს (შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო) არის ერთ-ერთი ძლიერი საერთაშორისო ინსტიტუტი, რომელიც ამ პრობლემებზე მსოფლიოს მასშტაბით მუშაობს, განვიხილე მის მიერ გაწეული სამუშაოების დინამიკა და მიღწეული პროგრესი, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო საქართველოშიც ახორციელებს პროექტებს, სწორედ ამ მხრივ იყო მნიშვნელოვანი მისი ნაშრომში ჩართვა, რადგან ცხადი წარმოდგენა შემექმნა არსებული მოლოდინების შესახებ.

სწორედ ამ მოლოდინებს უკავშირდება „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახ“ კანონის ამოქმედება, რამაც საქართველოს მაღალმთიანეთში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ფონი უნდა გააუმჯობესოს. საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების მდგომარეობის აღსაწერად გამოვიყენე საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) მონაცემები და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მიერ ჩატარებუბული 1989 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები, მომეცა საშუალება შემედარებინა მოსახლეობის დინამიკა მაღლმთიან და ბარის ტიპის დასახლებაში 1989-2002-2014 წლების საყოველთაო აღწერების მიხედვით, დავურთე გრაფიკები და ცხრილები. გავაანალიზე მოსახლეობის ზრდისა (იშვიათ შემთხვევაში) და კლების ტენდენციები, შევადარე ერთმანეთს და პროცენტულად გამოვყავი ძირითადი მახასითებლები.

განვიხილე „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახ“ კანონი თავისი აღსრულების მექანიზმებითა და საკანონმდელბო პაკეტით. მივმართე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, გამოვითხოვე ინფორმაცია ამავე

კანონის მიხედვით შესრულებული სამუშაოების შესახებ, მიღებული ინფორმაციის შედეგად შევქმენი გრაფიკული გამოსახულება, სადაც ნათლად ჩანს განხორციელებული სამუშაოების, როგორც ფინანსური, ასევე თვისებრივი და სივრცითი მონაცემები.

ჩავატარე ექსპერტული ინტერვიუები მთის განვითარების ეროვნული საბჭოს სამ მუდმივ წევრთან და კანონპროექტის ავტორთან: პარლამენტარ ზაქარია ქუცნაშვილთან, ექსპერტ თამარ ჩიბურდანიძესთან და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესრუსების მინისტრ გიგლა აგულაშვილთან. ინტერვიუების მიზანი იყო, დამედგინა კანონის ინიციატორებისა და მთავრობის წევრების პოზიცია, ასევე დამოუკიდებელი ექსპერტის მოსაზრება მაღალმთიან დასახლებებში პრობლემის გადაწყვეტის გზებთან დაკავშირებით. ინტერვიუებმა საშუალება მომცა, გამეგო თუ რა მოლოდინები აქვს მთავრობას და სამოქალაქო სექტორს, რას უნდა ველოდოთ უახლოესი წლების განმავლობაში.

თავი 1. საქართველოს რეგიონული განვითარების ასპექტები

ქვეყნის რეგიონული განვითარების პოლიტიკა, ფართო გაგებით, განიხილება, როგორც განვითარების პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი. შესაბამისად, რეგიონული განვითარების პოლიტიკა შეესაბამება სახელმწიფო ორგანოების პოლიტიკური დოკუმენტებით განსაზღვრულ სტრატეგიული განვითარების მიზნებს და ემსახურება მათ განხორციელებას. რეგიონული განვითარების პოლიტიკის შემუშავების უპირატესობებად განიხილება: ამა თუ იმ რეგიონის სტრუქტული სპეციფიკის ცოდნა გარდაქმნის შესაძლებლობები, აგეთვე, რეგიონის დიფერენცირება რესურვებისა და განვითარების შესაძლებლობების მიხედვით. ცალკეული რეგიონის სპეციფიკის ეფექტიანი გამოყენება არა მხოლოდ რეგიონის მცხოვრებთა, არამედ საერთო ეროვნულ ინტერესს და ეროვნულ დონეზე განხორციელებული რეგიონული განვითარების პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს მიზანს წამოადგენს.

1991 წელს საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ქვეყანა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, რაც გამოწვეული იყო პოლიტიკური კონფლიქტებითა და ეთნიკური დაპირისპირებებით. ეკონომიკური კრიზისის შედეგად 1995-2005 წლებში საქართველომ მოსახლეობის 20% დაკარგა. ყველაზე დიდი დანაკარგი 1993-1997 წლებში აღინიშნა, ამ პერიოდისთვის მოსახლეობა ერთი მილიონით შემცირდა. სრული დემოგრაფიული სურათისთვის უნდა აღვნიშნოთ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან გადააგდგილებულ პირთა რაოდენობა: ლტოლვითლა და განსახლების სამინისტროს 2014 წლის 8 აპრილი მონაცემებით რეგისტრირებული იყო 253 574 დევნილი, ანუ 85 177 ოჯახი.[1] 1990-იანი წლების კრიზისის შედეგად მკვეთად შეიცვალა საქართველოს რეგიონების დემოგრაფიული მდგომარეობა, ყველაზე დიდი ცვლილება ქვემო ქართლსა და სამეგრელოს რეგიონს შეეხო, ქვემო ქართლის მოსახლეობა 13%-ით შემცირდა, ხოლო სამეგრელოს მოსახლეობა 11%-ით გაიზარდა, რაც გამოწვეული იყო აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის დიდი ნაკადით. მარტო ზუგდიდის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 50 000 დევნილი ადგილობრივი მოსახლების მესამედს შეადგენს.

[1] < http://gov.ge/files/381_43285_728272_1215-1.pdf> საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინიტრო

ბოლო ათი წლის განმავლობაში მოსახლეობის ბუნებრივი ზრდა მხოლოდ სამ რეგიონში აღინიშნა (აჭარა, სამცხე- ჯავახეთი, ქვემო ქართლი), აქედან უდიდესი წილი ეროვნულ უმცრესობებზე მოდის, ხოლო საქართველოს 6 რეგიონში (იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, გუირია, კახეთი, მცხეთა, მთიანეთი, სამეგრელო ზემო სვანეთი) მოსახლების ბუნებრივი კლება მიმდინარეობს. ISET-ის 2013 წლის კვლევით, 15 წელს ზემოთ საქართველოს მოსახლეობის 66%-მა შეიცვალა საცხოვრებელი ქვეყნიდან გაუსვლელად,[2] რაც მოსახლეობის დიდ შიდა მიგრაციაზე მიუთითებს. ამ მხრივ, ყველაზე მეტად მაღალმთიანი რეგიონები დაზარალდა, მძიმე ეკონომიკური პირობების შედეგად დაიცალა მცირე და საშუალო დასახლებები.

2002 წლიდან დღემდე საქართველოს 162 სოფელი მთლიანად გაუკაცრილედა. ხოლო 151 სოფელში 10 და ნაკლები ადამიანი ცხოვრობს. აქედან ყველა სოფელი მოდის მთიან რეგიონზე და მაღალმთიან საზღვრისპირა ზოლზე, აქედან გამომდინარე მაღალმთიანი რეგიონების ყველაზე დიდი გამოწვევა არის დემოგრაფიული მდგომარეობა.

მაღალმთიანი რეგიონების განვითარება არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელს მსოფლიოში ზრუნვის საგანს წარმოადგენს, რადგან არსებობს, როგორც მოსახლეობაში სიღარიბის, ისე უნიკალური ეკოსისტემის პრობლემები. ამ დარგში სპეციალიზებული საერთაშორისო ორგანიზაციებისა და გაერთიანებების ძალისხმევა უფრო მეტად მიმართულია განვითარებადი ქვეყნებისკენ, რადგან უმტკივნეულოდ დაძლიოთ მათ წინაშე არსებული ამოცანები. შემდეგ თავში მიმოვიხილავთ საერთაშორისო ორგანიზაციების მიდგომებს მაღალმთიანი რეგიონების პრობლემებთნ მიმართებაში.

[2]http://enpard.ge/ge/iset-ის-კვლევითი-ინსტიტუტი

1.1 საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობა გარემოსა და თვითმმართველობის განვითარებაში

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენცია „გარემოსა და განვითარებაზე“ ჩატარდა ბრაზილიაში, ქალაქ რიო დე ჟანეიროში 1992 წლის 3-14 ივნისში.[3] სადაც მიიღეს გარემოს დაცვისა და განვითარების რიოს დეკლარაცია, კლიმატის ცვლილების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარჩო კონვენცია და ბიოლოგიური მრავალფეროვნების გაეროს კონვენცია. კონფერენციაში მონაწილეობდა 172 ქვეყნის მთავრობის წარმომადგენელი და 2400 არასამთავრობო ორგანიზააციის წევრი, სულ განხილვებში მონაწილეობა მიიღო 17000-ზე მეტმა ადამიანმა. შეიქმნა შემდეგი მექანიზმები: მდგრადი განვითარების კომისია, მდგრადი განვითარების უწყებათაშორისი კომიტეტი და მაღალი დონის მრჩეველთა საბჭო მდგრადი განვითარების შესახებ. რიოში გამართული კონფერენცია უპრეცენდენტო იყო თავისი მასშტაბითა და მიღებული გადაწყვეტილებებით, მრავალი ქვეყნის მთავრობა სამოქალაქო საზოგადოებისგან იძულებული გახდა კონფერენციაში მიეღო მონაწილეობა და დათანხმებოდა არც თუ ისე კომფორტულ მოთხოვნებს, რომელებიც ორიენტირებული იყო ბუნებრივი რესუსების დაცვასა და პლანეტის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად. კონფერენციას აშუქებდა 10 000- მდე ჟურნალისტი, მილიონობით ადამიანმა გაიგო მსოფლიოში არსებული მწვავე პრობლემების გადაჭრის გზებზე საერთაშორისო საზოგადოების მიდგომის შესახებ. (1992 წლის მეორე ნახევრის გაეროს მონაცემებით). დედამიწის სამიტზე გავლენა მოახდინა გაეროს ყველა კონფერენციამ, რომელმაც შეისწავლა ადამიანის უფლებები, მოსახლეობა, სოციალური განვითარება, ქალები, დასახლებები და გარემოსდაცვითი მდგრადი განვითარების საჭიროება. მაგალითად, ადამიანის უფლებათა დაცვის მსოფლიო კონფერენციაში, რომელიც 1993 წელს ვენაში ჩატარდა, ხაზგასმით აღინიშნა ხალხის უფლება იცხოვროს ჯანსაღ გარემოსა და განვითარებულ საზოგადოებაში.[4]

---

[3] http://www.un.org/geninfo/bp/enviro.html -UN nations fonferense on inviroment an development

[4] http://www.ohchr.org/EN/AboutUs/Pages/ViennaWC.aspx- World Conference on Human rights,

გაეროს მეორე მნიშნვნელოვანი ისტორიული შეთანხმება მოხდა ეთიოპიაში, ქალაქ ადის აბაბაში. კონფერენცია ჩატარდა 2015 წლის 15 ივლისს. საერთაშორისო საზოგადოება შეთანხმდა თამამი ზომები მიღებაზე ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი გამოწვევების მოგვარების მიზნით.

ქვეყნებს შორის რამდენიმე თვიანი მოლაპარაკებების შედეგად მიღებული შეთანხმება ითვალისწინებს გლობალური პარტნიორობის გაღრმავების ფარგლებში უნივერსალური, ინკლუზიური ეკონომიკური კეთილდღეობის ხელშეწყობას და მოსახლეების ყოფოთი პირობების გაუმჯობესებას გარემოს დაცვის სისტემაში. სამოქმედო გეგმა მოიცავს მნიშვნელოვან პოლიტიკურ ვალდებულებებს და ძირითად მიწოდებას- კრიტიკულ სფეროებში მდგრადი განვითარებისათვის, მათ შორის ინფრასტრუქტურის, სოციალური დაცვისა და ტექნოლოგიების სფეროებში. შედგა შეთანხმებები ისეთი საერთაშორისო თანამშრომლობისთვის კონკრეტული სფეროების დასაფინანსებლად, როგორიცაა ინფრასტრუქტურა ენერგეტიკის, ტრანსპორტის, წყლის და სანიტარიისა და სხვა სფეროებში, რათა დაეხმაროს მდგრადი განვითარების მიზნებს.[5]

ამ მიზნების მისაღწევად სახელმწიფოები შეთანხმდენ: ტექნოლოგიების, ინფრასტრუქტურის, სოციალური დაცვის, ჯანდაცვის, მცირე და საშუალო საწარმოების, უცხოური დახმარების, ღატაკი ქვეყნების დახმარების პროგრამემის, საგადასახადო სისტემის განვითარებასა და თანამშრომლობაზე, ასევე კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ დაგეგმილი ღონიძიებების ერთობილივად შესრულებაზე.

1.2 მდგრადი განვითარების მიზნები (Sustainable Development Goals (SDGs)

ადის აბაბას კონფერენციის შემდეგ, 2015 წლის 25 სექტემბერს მსოფლიოს 193 ქვეყნის გადაწყვეტილებით შეიქმნა მდგრადი განვითარების დღის წესრიგის დოკუმენტი: „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის“,

[5] http://www.un.org/sustainabledevelopment/blog -Sustainable Developmant Goals

რაც 17 მიზანს და 169 ამოცანას შეიცავს. მდგრადი განვითარების მიზნები და ამოცანები ორიენტირებულნი არიან სამი ურთიერთდაკავშირებულ სფეროზე: ეკონომიკური ზრდა, სოციალური ინკლუზია და გარემოსა დაცვა. ეს სამივე ელემენტი მჭიდროდ არის დაკავშირებული მთის რეგიონის პრობლემებთან. მდგრადი განვითარების მიზნებია:

1. სიღარიბის აღმოფხვრა
2. შიმშილი აღმოფხვრა
3. ჯანსაღი ცხოვრების წესის და კეთილღრეობის დამკვიდრება
4. ხარისხიანი განათლება
5. გენდერული თანასწორობა
6. წყლის მართვისა და სანიტარული ნორმების უზრუნველყოფა
7. სტაბილური ენერგიის საყოველთაო ხელმისაწვდომობა
8. ეკონომიკური ზრდისა და ღირსეული სამიშაოს ხელშეწყობა
9. ინდუსტრიის, ინოვაციის და ინფრასტრუქტურის განვითარება
10. უთანასწორობის შემცირება
11. ქალაქებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება
12. მოხმარებისა და წარმოების მდგრადობა
13. კლიმატის ცვილებების წინააღმდეგ ზომების მიღება
14. ოკეანისა და ზღვის რესურსების კონსერვაცია და განვითარება
15. დედამიწის დაცვა
16. მშვიდობის, სამართლიანობისა და ძლიერი ინსტიტუტების დამკვიდრება
17. თანამშრომლობა დასახული მიზნების შესასრულებლად

მდგრადი განვითარების მიზნები 15 წლის განმავლობაში გავლენას მოახდენენ საზოგადოებისა და მსოფლიოს ყველაზე პრობლემურ მიმართულებებზე, როგორიცაა, ადამიანები, პლანეტა, წარმატება, მშვიდობა და პარტნიორობა.

1.3 მდგრადი განვითარების პრობლემები

ამ გადასახედიდან მთის რეგიონების განვითარება კიდევ უფრო მეტ სირთულეებთან არის დაკავშირებული, ინვესტიციების მოზიდვას მთაში საქონლის, მომსახურებისა და ექსპერტიზის სიძვირე უშლის ხელს, აგრეთვე ბაზარზე განვითარებული საჭირო უნარ-ჩვევებისა და სატრანსპორტო კომუნიკაციის გაუმართაობა. ასევე მოსახლეობის ნაკლებობა, რაც ადგილობრივი ბაზრის მწირ პოლიტიკურ და ეკონომიკურ რესურსებზე მიუთითებს. მთავრობა ხშირად თავს იკავებს ისეთი პროექტების დაფინანსებისგან, რომელიც მოსახლეობის დიდ ფენას არ ეხება. ინვესტიციების ნაკლებობა კი ხელს უწყობსა მიგრაციის მაღალ დონეს და ძირს უთხრის საინვესტიციო პერსპექტივას. ასევე გამოწვევად რჩება პოლიტიკის არ ქონა ან უყურადღებობა, მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) მრავალდონიან ხელშეკრულებაში მთის პრობლემები მხოლოდ 4-ჯერ აღინიშნა. საერთაშორისო დონეზე და განვითარებად სამყაროში ნაკლები ყუდღება ექცევა მთის პრობლემებს, რაც არ არის საკმარისი არსებული გამოწვევებზე საპასუხოდ.

იმისათვის, რომ მთის რეგიონი განვითარდეს, მუდმივად საჭიროა შესაძლებლობისა და სარგებლობის მტკიცებულება, ამისათვის კი საჭიროა:

- რეგიონული ეკონომიკის გაძლიერება
- სოციალური განვითარების ხელშეწყობა
- მთის ეკოსისტემის დაცვა

აღსანიშნავია, რომ ამ უპრეცედენტო ჩართულობის დოკუმეტში გათვალისწინებულია ეროვნული სახელმწიფოები და მათი ინტერესები, რეგიონების სპეციფიკა, ხალხთა ყოფა და ნაციონალური ტრადიციები. დოკუმენტში ასახული მიზნებისა და ამოცანების შესრულება ცალკეული ქვეყნების მოსახლობის სრული ჩართულობით ხორციელდება, მთავრობა, პარლამენტთან, ხელისფულების სხვა შტოებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად სახავის მიზნებისა და ამოცანების შერულების ეროვნულ

სტრატეგიას, რაც შემდგომში ასევე საყოველთაო კონსენსუსით იქნება მიღებული და რეალობაში გატარებული.

1.4 მაღალმთიანი რეგიონები - მგრძნობიარე ეკოსისტემების მდგრადი განვითარება

დედამიწის მოსახლეობის მეხუთედი მთაში ცხოვრობს. მთიანი რეგიონების მდგრადი განვითარება მომავალი თაობებისათვის მთის ეკოსისტემის შენარჩუნებას გულიხმობს. 1992 წლის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოს განვითარების კონფერენციაზე დღის წესრიგით განსაზღვრული ოცდამეერთე საკითხი შეეხო მთიანი რეგიონების განვითარებას, მთა აღიარებულ იქნა, როგორც ყველაზე დაუცველი ეკოსისტემა სამყაროში და დაისახა მისი გლობალური განვითარების გზები. 2012 წლის გაეროს რიოს კონფერენციამ კიდევ ერთხელ დაადასტურა მთიანი რეგიონების განვითარების მნიშვნელობა და აღინშნა, რომ მკაცრი ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე მეტი ძალისხმევა უნდა იყოს მიმართული წარმატების მისაღწევად, რადგან მთიანი ეკოსისტემები ძალიან მრავალფეროვანია, ამავე დროს, მათზე დიდ გავლენას ახდენს: კლიმატის ცვლილება, ბუნებრივი კატასტროფები, სამრეწველო ექსპლუატაცია, მიგრაცია (განსაკუთრებით მაღალმთიანი რეგიონების) და მასობრივი ტურიზმი. ხშირად ეს მოვლენები მთელ მთიან რეგიონს ემუქრებიან, და რისკის ქვეშ აყენებენ მრავალი ადამიანის სიცოცხლეს. განსაკუთრებით ზარალდებიან მაღალმიანი რეგიონის მოსახლეობა, რომლებიც დამოკიდებულნი არიან ადგილობრივ ბუნებრივ რესურსებზე.

ამავე საკითხებზე მუშაობს შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო, რომელიც მჭიდროდა დაკავშირებული შვეიცარიელ და საერთაშორისო ექსპერტებთან კრიზისული მაღალმთიანი რეგიონების განვითარებისათვის.

SDC-ს (შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო) მიზნები.

შვეიცარიას, როგორც მაღალმთიან ქვეყანას, დიდი დადებითი და უარყოფითი გამოცდილება აქვს მთიანი რეგიონების გამოწვევებისა და განვითარების სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებაში. SDC ამ სფეროს განვითარებისთვის ყურადღებას ამახვილებს სამი მიმართულებით:

1. მხარი დაუჭიროს ინიციატივებსა და პროექტებს, რომლებიც მიმართულია მაღალმთიანი რეგიონების განვითარებასა და ადგილობრივი თემის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.
2. შეიმუშაოს პოლიტიკა მაღალმთიანი რეგიონების განვითარებასა და ადამიანისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სივრცისა - დაუცველი ეკოსისტემის აღორძინებისათვის.
3. ხელი შეუწყოს ცნობიერების ამაღლებას, აწამოოს დიალოგი და ინფორმაციის გაცვლა დაინტერესებულ მხარეებს შორის განვითარების ყველა საფეხურზე.

1.5 SDC-ის საერთაშორისო დახმარების პროგრამები

შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო 50 წლის განმავლობაში ეხმარებოდა ნეპალის მთიანი რეგიონის ღარიბ მოსახლეობას საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებასა და ინფრასტრუქტურის განვითარებაში, ამ დროის განმავლობაში დაიგო 500 კილომეტრის გზა და აიგო 5000-მდე ხიდი.

პერუში SDC ჩართულია პროექტში, რომელმაც უნდა შეამსუბუქოს კლიმატის ცვლილებების შედეგად ანდების მოსახლეობის წინაშე მდგარი ამოცანები. ადგილობრივი მოსახლეობა ძირითადად სოფლის მეურნეობით ირჩენს თავს, თუმცა

კლიმატის ცვლილების შემდეგ შემცირდა აგროკულტურის წილი და საფრთხის წინაშე დადგა აბორიგენების უმრავლესობა. SDC მხარს უჭერს ეფექტური ადაპტაციის მექანიზმებს, რათა შეამცირონ კლიმატის ცვლილების უარყოფითი ზემოქმედება ადგილობრივ მოსახლეობაზე.

გლობალური მთის პროგრამის მეშვეობით, SDC მხარს უჭერს მთის რეგიონულ ცენტრებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, მაგალითად, როგორებიცაა: ანდები, აფრიკა, ცენტრალური აზია და ჰიმალაის რეგიონი. რეგიონალური პროფესიული ცენტრები ხელს უწყობს პოლიტიკურ დიალოგს მთიანი რეგიონების განვითარებაში. ხელმისაწვდომი ცოდნა გამოიყენება ახალ პროექტების შემუშავებასა და მთიანი რეგიონების მდგრადი განვითარების ხელშეწყობაში.

თავი 2. ინვესტირება მთიანი რეგიონების მდგრადი განვითარებისათვის

მთის მდგრადი გლობალური განვითარება ინვესტიციებს მოითხოვს. მთიან რეგიონებში მცხოვრები ადამიანების კეთილდღეობაზე ფიქრი 30 წლის წინ დაიწყო. 90 მილონზე მეტი ადამიანისთვის მთიანი ადგილები მხოლოდ საცხოვრებელი ადგილი არ არის, არამედ ის უზრუნველყოფს ისეთი აუცილებელი საქონლით მომარაგებას, როგორიცაა: წყალი, ელექტროენერგია, ხე-ტყე, მინერალები, სამკურნალო მცენარეები. საერთაშორისო საზოგადოება სულ უფრო მეტად აღიარებს მთიანი რეგიონების უმნიშვნელოვანეს ფუნქციებს და ხაზს უსვამს მდგრადი განვითარებისთვის პირველადი მიზნების შესრულებას. სხვადასხვა მთიან რეგიონში მდგრადი განვითარება ასოცირებულია სიღარიბის დაძლევასთან, რადგან განვითარებად ქვეყნებში მოსახლეობის ერთი მესამედი საკვების ნაკლებობას განიცდის. მდგრადი განვითარებისთვის ინვესტირება და მთის ეკოსისტემის შენარჩუნება მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარზე მეტისთვის გრძელვადიანი სარგებლის მომტანია. ამდენად, მთაში კაპიტალდაბანდება მნიშვნელოვანია ინვესტორებისთვის, რადგან მიმზიდველი შესაძლებლობაა არა მხოლოდ მოკლევადიან პერსპექტივაში, არამედ, განსაკუთრებით გრძელვადიანი სარფიანი ურთიერთობისათვის.

ამავე დროს, მთაში ინვესტირება გარკვეულ რისკებთანაა დაკავშირებული, მთის რესურსები ხშირად მყიფეა და წარმატების მისაღწევად ინვესტორისგან მოითხოვს ძალიან ფრთხილ მიდგომას. როგორ წესი, მთის ეკოსისტემები არიან მგრძნობიარეები, გარკვეულმა დაუფიქრებელმა ნაბიჯებმა შეიძლება სამუდამოდ მოშალოს ბუნების უნიკალური წესრიგი, ეკოსისტემების დარღვევამ კი საფრთხე შეუქმნას მოსახლეობის სასიცოცხლო წყაროებს და გაზარდოს კატასტროფების რისკები, რომელიც ნეისმიერ დროს შეიძლება გამოიხატოს მეწყერით ან წყალდიდობით. გარდა ამისა, ინვესტიციების მოზიდვას ართულებს, გაუმართავი ინფრასტრუქტურის, სოციალური სერვისების, სოფლის მეურნეობისა და მოსახლეობისგან დაცლილი არეალების პრობლემები.

ამ გამოწვევებისა და რისკების შესამცირებლად საჭიროა, შემოქმედებითი საინვესტიციო მექანიზმებისა და სტრატეგიების შემუშავება, რომელიც რესურსების დაბალანსებით რისკის შემცირებას უზრუნველყოფს. ეს მიზნები მიიღწევა მხოლოდ ერთიანი ძალისხმევით, სახელმწიფო სექტორის, კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუციური და კოორდინირებული მუშაობით. 2015 წლის ივლისს, ეთიოპიის დედაქალაქ ადის აბაბაში გაეროს წევრმა ქვეყნებმა მიიღებს მდგრადი განვითარების დაფინანსების ჩარჩო ხელშეკრულება, სამოქმედი გეგმა, რომელიც მოუწოდებს დაინტერესებულ პირთა ფართო წრეს გაზარდონ ფინანსური ბაზა ინვესტიციების განხორციელებისა და თანამშრომლობისათვის.

აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი სოციალისტური ქვეყნებიდან ერთ-ერთმა პირველმა პოლონეთმა გაიზიარა საერთაშორისო გამოცდილება და შექმნა ისეთი განვითარების მოდელი, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვისაც საინტერესოა.

2.1 მალოპოლსკას განვითარების მაგალითები

მალოპოლსკა (Małopolska ორიგინალური სახელწოდება) ანუ მცირე პოლონეთი აღმოსავლეთ ევროპაში ინდუსტრიულად ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული რეგიონია, 90-იან წლებში საბჭოთა წარსულის გათვლისწინებით პოლონეთი ისეთივე გამოწვების წინაშე იდგა, როგორც საქართველო, თუმცა სახელმწიფოსა და კერძო ბიზნესის ერთობლივი მუშაობით დიდი წარმატება მოიპობა არამხოლოდ პოსტსაბჭოთა სივრცეში, არამედ კონტინენტის მასშტაბით.

მალოპოლსკა უკვე გახდა ევროპის სამეწარმეო არეალის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი რეგიონი. თუმცა, უზარმაზარი ადამიანური პოტენციალისა და ევროკავშირის ფონდების თანადგომით.

მალოპოლსკას ინოვაციური სტრატეგია განსაზღვრავს მეწარმეობის განვითარების ხაზებს, ინოვაციური გადაწყვეტილებების საფუძველზე წლების განმავლობაში მიდის მაღალტექნოლოგიური დარგების განვითარება.

ძირითადად, მინდინარეობს ისეთი სექტორების მხარდაჭერა, რომლებიც სტრატეგიულია კონკურენტუნარიანობისა და ინოვაციის განვითარებისათვის.

ესენია: სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები, მდგრადი ენერგია, საინფორმაციო ტექნოლოგიები, ქიმიკატები, ლითონებისა და ლითონების წარმოება, არალითონური მინერალური პროდუქტები, ელექტროტექნიკა და დანადგარები, შემოქმედებითი და დასასვენებელი მრეწველობის მხარდაჭერა.

მეწარმეობის რეგიონალური მოდელი ძირითადად ეყრდნობა:

1. მეწარმეობის ხელშეწყობა და ინტელექტუალური პარტნიორობის განვითარება, კერძოდ, სამმაგი სპირალის ფარგლებში, რაც გულისხმობს: ბიზნესი + მეცნიერება + ადმინისტრაცია. ინოვაციური რეგიონული განვითარებისთვის აგრეთვე მნიშვნელობაშია, მეოთხე, თანამშრომლობის კომპონენტი. სამეწარმოე პროცესში ყველა ძირითადი რგოლი მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული ამოცანების ეფექტურად გადასაჭრელად.
2. ეფექტური ბიზნეს წახალისების სისტემის დანერგვა.
3. სადაზღვევო ობიექტების ყოვლისმომცველი და ადვილად ხელმისაწვდომი შეთავაზება.
4. ბიზნეს ტექნოლოგიური პარკებისა და საწარმოო გარემოს ინსტიტუტების საქმიანობა, მათ შორის. მეწარმეების საჭიროებებზე რეაგირების ეფექტური ორგანოები.
5. რეგიონალური ბიზნესის ხელშეწყობა და დაჯილდოვება, რაც მალოპოლსკას განვითარების უმთავრესი წინაპირობაა.
6. ინვესტორების პროფესიული მომსახურების კოორდინირებული სისტემის დანერგვა
7. რეგიონალური ბიზნესის ხელშეწყობა უცხოელ ინვესტორებთან ურთიერთობაში.
8. სოციალური კაპიტალის შექმნა და სხვა საკითხებთან ერთად, ინვესტირების გზით რეგიონის მოსახლეობის უნარ-ჩვევების განვითარება და მათი ჩართვა რეგიონალური გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

მნიშვნელოვანია მეწარმეობის ხელშეწყობა ბიზნესის განვითარების სასიცოცხლო ციკლის ყოველ ეტაპზე:

1. სამეწარმეო დამოკიდებულების ხელშეწყობა და შექმნა.
2. დაწყებული ბიზნეს ფუნქციონირება.
3. ბიზნესის განვითარება, ძირითადად ინვესტიციების და ბიზნეს ოპერაციების ინტერნაციონალიზაციის გზით.

2.2 რა განაპირობებს პოლონეთის რეგიონულ და ზოგადად მალოპოლსკას განვითარებას?

კარგი ადამიანური პოტენციალი - სამეწარმეო, განათლებული მოსახლეობა,

მაღალიკვალიფიციური უნივერსიტეტების პოტენციალი- განათლებული თაობა, რომელიც განსაზღვრავს რეგიონის მომავალს.

ძალიან აქტიური "start-up" საზოგადოება, რომლის წყალობითაც მალოპოლსკა არის აღიარებული, როგორც თანამედროვე ტექნოლოგიების რეგიონის მაგალითად.

ინოვაციური გადაწყვეტილებების განსახორციელებლად აუცილებელი თანამედროვე ინფრასტრუქტურა.

ევროკავშირის სტრუქტურული ფონდების უდიდესი დაფინანსება - 2.9 მილიარდი ევრო. მაშინ, როცა მალოპოლსკას მოსახლეობა 2013 წლის მონაცემებით 3 360 581 ადამიანია.

ძლიერი პარტნიორობა

რეგიონალური თვითმმართველობა ღიაა თანამშრომლობისა და ახალი საქმიანობის შესაქმნელად

მალოპოლსკას რეიტინგები 2014-2015 წელს, ევროპისა და რეგიონების ქვეყნების მიხედვით.

Financial Times- ის მიერ:

- აღმოსავლეთ ევროპის რეგიონებში ინვესტორების მოზიდვის საუკეთესო სტრატეგია

- მეათე ადგილი საშუალო ზომის რეგიონებს შორის უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიხედვით.

-მეხუთე ადგილი აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში ყველაზე მიმზიდველი საინვესტიციო გარემოსთვის.

-პირველი ადგილი ევროპაში საუკეთესო ბიზნეს მომსახურებისათვის.

-კრაკოვი პოლონეთის ქალაქებში BPO / SSC / IT ინვესტიციების მიხედვით პირველ ადგილზე გავიდა.

პოლონეთისგან განსხვავებით საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების მდგომარეობა გაუარესდა, რაც გამოწვეულია მრავალი ფაქტორით, შემდეგ თავში რეგიონული განვითარების პრობლემებსა და მის გამომწვევ მიზეზებზე ვისაუბრებთ.

თავი 3. საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების პრობლემები

3.1 დემოგრაფიული მდგომარეობის ანალიზი

საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა განსაკუთრებით 1990-იანი წლებიდან დამძიმდა. სოციალური და ეკონომიკური პრობლემები, გაუმართავი ინფრასტრუქტურა, ეკოლოგიური საფრთხეები ეს ის ძირითადი გამოწვევებია, რამაც მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია გამოიწვია. 1989, 2002 და 2014 წლის საყოველთაო აღწერების მიხედვით, მთიან რეგიონებში მოსახლეების რაოდენობა კატასტროფულად მცირდება, გაუდაბურდა ასეულობით სოფელი. ხოლო რამდენიმე ასეული 1 და 5 კომლამდე მოსახლეს ითვლის. ჩვენ შეგვიძლია შევადაროთ სამივე საყოველთაო აღწერის მონაცემები. ნიმუშად ვიღებთ მთიანი რეგიონების მოსახლეობას, ანუ იმ მუნიციპალიტეტებსა და თემებს რომლებიც განსაზღვრულია კანონით „მაღლამთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“.



მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიენიჭა 40 მუნიციპალიტეტის (იხ. რუკა) 1582 დასახლებულ პუნქტს. ესენია: ქედა, ქობულეთი, შუახევი, ხელვაჩაური, ხულო, ჩოხატაური, საჩხერე, წყალტუბო, ჭიათური, ხარაგაული, ხონი, ახმეტი, გურჯაანი, თელავი, საგარეჯო, დუშეთი, თიანეთი, მცხეთი, ყაზბეგი, ამბროლაური, ლენტეხი, ონი, ცაგერი, მესტია, ადიგენი, ასპინძა, ახალქალაქი, ახალციხი, ბორჯომი, ნინოწმინდი, ბოლნისი, გარდაბანი, დმანისი, თეთრი წყარო, მარნეული, წალკა, გორი, კასპი, ქარელი და ხაშურის მუნიციპალიტეტები.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მიერ ჩატარებული 1989 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით, იმ 40 მუნიციპალიტეტში, რომელსაც „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ კანონი შეეხო, ცხოვრობდა 1 995 337 ადამიანი. 2002 წლის მონაცემებით მაღალმთიან რეგიონებში მოსახლეობა შემცრიდა 159 406 (8%)-ით და შეადგინა 1 835 931 ადამიანი, 2014 წელს მოსახლეობის რაოდენობა 1989 წელთან შედარებით შემცირდა 658 737 (33%!)-ით, ხოლო 2002 წელთან შედარებით 499 331 (27%!)-ით. იხ. დიაგრამა 5.

მოცემული დიაგრამებიდან (იხ. დიაგრამები 1-9). დემოგრაფიული მოძრაობის ზუსტი მონაცემები) ჩანს, რომ მაღალმთიან რეგიონებში 25 წლის განმავლობაში ყოველმა მესამე ადამიანმა დატოვა თავისი საცხოვრებელი ადგილი. შედარებისთვის ავიღოთ ის მუნიციპატილეტები (იხ დიგრამა 6 და 7), რომლებიც საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით არ ითვლება მაღლმთიან დასახლებებად.

დიაგრამებში 6 და 7 მუნიციპალიტეტები დავაჯგუფე ორ ნაწილად, რადგან აფხაზეთის კონფლიქტისპირა სამეგრელოს რეგიონში მოსახლეობის რაოდენობა განპირობებულია დევნილების დიდი ნაკადით, რაც მოცემულ სიტუაციაში მოსახლეობის დინამიკის აღწერის სრულ სურათს არ იძლევა. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ შევადაროთ 2002-2014 წლის ტენდენცია სხვა მუნიციპალიტეტებთან მიმართებაში. ამავე მიზეზით არაა განხილული ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, რომელშიც იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა 82 000 ადამიანს აღწევს.[6]

[6] შენიშვნა: საქსტატის მომაცემები ხელმისაწვდომია ოფიციალურ ვებგვერზე.

სამტრედიას, დედოფლისწყაროსა და ზესტაფონში 1989 წელს 177 342 ადამიანი ცხოვრობდა. 2002 წელს მოსახლეობის რაოდენობა 10 925 (6%)-ით შემცირდა. 2014 წელს- 1989 წელთან შედარებით 49 930 (28%)-ით, ხოლო 2002 წელთან 39 007 (21%)-ით შემცრიდა. აბაშას, სენაკსა და ხობში 1989-2002 წლის მონაცემები თითქმის იდენტურია, რადგან ამ პერიოდში საქართველოს მთელ ტერიოტორიაზე მიგრანტთა საშუალო მაჩვენებელი (6-8%) აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირებით გადაიფარა. რაც შეეხება, 2002-2014 წლების საყოველთაო აღწერის შედეგების, ის დაახლოებით ისეთივეა, როგორც დანარჩენ საქართველოში (26%).

საბოლოოდ რომ დავაჯამოთ, „მთის კანონით“ განსაზღვრულ და დანარჩენ მუნიციპალიტეტთა მაჩვენებელი არსებითად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, თუმცა არის რიგი მაჩვენებლები, რომელსაც ყურადღება უნდა მივაქციოთ:

1989 წლიდან 2014 წლამდე მაღლმთიანი და დანარჩენი (თბილისის და კონფლიქტისპირა ზოლის გამოკლებით) რეგიონების მიგრაციის სხვაობა შეადგენს 6%-ს (33%-27%), ხოლო 2002 წლიდან 2014 წლამდე სხვაობა 2%-ს (8%-6%).

ვინ არის ეს 6%?

1980-იანი წლების შემდეგ თანდათანობით დაიწყო მთიანი სოფლებისა და თემების დაცლა, რამაც 90-იანი წლებიდან მასიური ხასითი მიიღო, 2002 წლის მონაცემებით საქართველოში სულ 3668 სოფელი არსებობდა, საიდანაც 164 სოფელში არავინ ცხოვრობდა, 152 სოფელში კი 1-დან 10 კაცამდე, 169-ში - 11-დან 25 კაცამდე იყო დარჩენილი. 2014 წლის აღწერის მიხედვით გაუკაცრიელებული სოფლების რაოდებობა 233-ია. სრულად რომ წარმოვიდგონოთ სურათი, თვალსაჩინოებისთვის გთავაზობთ დუშეთის მუნიციპალიტეთის თემებისა მოსახლეობის დინამიკას 1989-2002-2014 და 2002-2014 წლებში (იხ. დიაგრამა 8 და 9).

ჟინვალის თემის მოსახლეობა 1989 წლის აღწერის მიხედვით 3910 ადამიანს შედაგენდა, 2002 წლისთვის კი 50.7%-ით შემცრიდა და 1929 შეადგინა, ხოლო 2014 წლისთვის 1989 წელთან შედარებით 53.4%-ით (1828 ადამიანი). ხოლო ფასანაურის თემის მოსახლეობა

1989 წლისან 2014 წლამდე 45%-ით შემცირდა, 2084 მოსახლიდან ბოლო (2014) აღწერის მიხედვით თემში დარჩა 1148 ადამიანი.

რაც შეეხება დუშეთის მუნიციპალიტეტის იმ თებებს რომელიც დიაგრამა 8-ში არის მოცემული. ყველაზე კრიტიკული მდგომარეობა გუდამაყრისა და უკანაფშავის (იხ. დიაგარამა 8) თემებშია სადაც 10 და 9 მოსახლე ცხოვრობს, სამწუხაროდ, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ ამ თემების მოსახლეობის ზუსტი რაოდენობა 1989 წლის აღწერაში. სამაგიეროდ, წარმოდიგდენთ, ამ 8 თემის სამუშალო მაჩვენებელსა და პროცენტულ სხვაობას 2002-2014 წლებში. სულ ამ თემებში 2002 წელს ცხოვრობდა 2792 ასამიანი, 2014 წლისთვის მათი რიცხვი 1947-მდე შემცირდა, რაც 30%-ს შეადგენს. შევადაროთ მიგრაციის სხვა მაჩვენებლებს, საქართველოს არც ერთ მუნიციპალიტეტში (2002 წლიდან 2014 წლამდე) არ დაფიქსირებულა 30%-იანი სხვაობა, მდგომარეობა მართლაც რომ კრტიკულია, წარმოვიდგინოთ, ამ თემებში როგორი იქნებოდა სხვაობა 1989 წელთან შედარებით.

3.2 მიგრაციის მიზეზები

ამ თავში შევეხებით მიგრაციის გამომწვევ ფაქტორებს და გამოვყოფთ რამდენიმე მიზეზს:

1. ურბანიზაცია
2. უმუშევრობა
3. გაუმართავი ინფრასტრუქტურა
4. მაღალმთიან დასახლებებში ელექტროენერგიასა და ბუნებრივ აირთან დაკავშირებული პრობლემები
5. მიწის სიმცირე
6. სოფლის მეურნეობაში ახალი ტექნოლოგიების არ არსებობა
7. სამედიცინო პუნქტებისა და მედიკამენტების სიმწირე
8. შობადობის დაბალი და სიკვდილიანობის მაღალი დონე
9. საკვებ პროდუქტებზე ხელმისაწვდომის სიმცირე

10. ტრანსპორტის არ არსებობა
11. ეკოლოგიური საფრთხეები
12. ტურისტული პოტენციალის გამოუყენებლობა
13. სახელმწიფო პოლიტიკის სისუსტეები

ურბანიზაცია.2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით, მოსახლეობის რაოდენობა სოფლად 7.1%-ით შემცირდა, 2002 წლის მონაცემებთან შედარებით მნიშვნე-ლოვნად შეიცვალა თანაფარდობა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას შორის, ქალაქის მოსახლეობის წილი 4.6%-ით გაიზარდა და 57.2% შეადგინა. ქვეყნის რეგიონებში მოსახლეობის ყველაზე მნიშვნელოვანი შემცირება, 2002 წლის აღწერასთან შედარებით, აღინიშნა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის (37.4%) და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში (29%), ყველაზე ნაკლები – აჭარაში (10.6%).[7] **უმუშევრობა.** 2016 წლის მონაცემებით, ბოლო 1 წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე 13.8%-სა და 11.8% შორის მერყეობს. დიაგრამა 10 ნათლად ასახავს ქალაქად და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის უმუშევრობის დონის განუხრელ მატებას (იხ. დიაგრამა 10).[8] **გაუმართავი ინფრასტრუქტურა.** 1990-იანი წლებიდან სამოქალაქო ომისა და ეკონომიკური კრიზისების ფონზე ინფრასტრუქტურული პროექტები არათუ მთიან დასახლებეში, არამედ რაიონულ ცენტრებსა და დედაქალაქშიც კი საკმაოდ ნელი ტემპით მიმდინარეობდა. საბჭოთა დრონიდელი ასფალტი მოიშალა, დაინგრა ხიდები, ჩაიხერგა გზები. თუშეთის გზა ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო გზაა საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ სოფელ ფშაველიდან ომალომდე 72 კილომეტრია, ავტომობილით მანძილის გავლას რამდენიმე საათი სჭირდება, გზა მეწყერსაშიშ ზონაში გადის, ისიც მაისიდან ოქტომბრამდე, დანარჩენი 6 თქვე დაკეტილია, ასევე გვიანი შემოდგომისა და მთლიანი ზამთრის განმავლობაში გარესამყაროს მოწყვეტილია სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის, ფშავ-ხევსურეთის დასახლებები.[9] **მაღალმთიან დასახლებებში ელექტროენერგიასა და ბუნებრივ აირთან დაკავშირებული პრობლემები.** მაღალმთიან სოფლებში მცხოვრების მოსახლეობისთვის ელექტროენერგიის საფასურზე შეღავათი 2017 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა, აბონენტს და მოხმარებული

[7] <http://topnews.com.ge/news/9960- ფაქტჩეკის კვლევის მიხედვით მომზადებული სტატია
[8] დასაქმება და უმუშევრობა - საქსტატის მონაცემები.
[9] კახეთის საინფორმაციო ცენტრის ახალი ამბების მიმოხილვა, ორშაბათი, 12 სექტემბერი 2016 11:55

ელექტროენერგიის 50% აუნაზღაურდება, თუ 100 კვტ. სთ-ზე მეტს არ დახარჯავს. თუმცა რიგ რეგიონებში ელექტროენერგიისა და გაზიფიცირების პრობლემა ჯერ კიდევ არაა მოგვარებული. ენეგეტიკის სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით გამრიცხველიანება მინდინარეობს აჭარაშის 172, გურიის 800, მცხეთა-მთიანეთის 970, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემოს სვანეთის 44, სამცხე ჯავახეთის 972 აბონენტის. ძირითადად ეს ის დასახლებია, რომლებიც მაღალმთიანი ზონაში მდებარეობს და წლების განმავლობაში არ განხორციელებულა ელექტროენერგიის სამუშაოები.[10] გაზიფიცირების პრობლემა კიდევ უფრო მწვავედ დგას მაღალმთიან რეგიონებში, ტრანსპორტირების სიძვირისა და მოსახლეობის მცირერიცხოვნობის გამო სახელწიფო და კერძო კომპანიები თავს იკავებენ წამგებიანი პროექტების განხორციელებისგან. **მიწის სიმცირე.** მაღალმიან რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობა გამოირჩევა მცირემიწიანობით, რაც გამოწვეულია, უმეტესწილად, ბუნებრივი პირობებით (მთის დაქანება, უხვი ნალექი, მკაცარი ამინდები), თავიდანვე მთაში მცხოვრები ადამიანის უპირველეს საქმიანობად მეცხოველეობა იყო მიჩნეული, საქართველოს მთიანეთში გავრცელებულია მეცხვარეობა, თუმცა სათანადო ბაზრის არ არსებობის გამო მეცხვარეებისთვის არც თუ ისე შემოსავლიანია ეს დარგი, ასევე მეცხვარეები ხშირად უჩივიან საძოვარი მიდვრების პრივატიზაციის შედეგად შემქნილ პრობლემებს. **სოფლის მეურნეობაში ახალი ტექნოლოგიების არ არსებობა.** მეცხვარეთა ასოციაციის მიერ გავრცელებული მონაცემებით, უკანასკნელად ცხვრის გამოყვანა მოხდა 1954 წელს, როცა (რამბლუსა და პრეკოსის) შეჯვარების შედეგათ მიიღეს წმინდამატყლიანი ცხიმკუდიანი ცხვარი, რომელიც დღეს გადაშენების პირასაა. ეს ფაქტი მიუთითებს ამ დარგში არსებულ მძიმე პრობლემებზე, არ არსებობს ლაბორატორია, კვალიფიციური კადრები. სოფლის მეურნეობაში საქმიანობა ჯერ კიდევ მამა-პაპური მეთოდებით მიმდინარეობს. არ არის გამართული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საშუალებები, ხოლო დაბიდან ამოსული მომსახურეობა ძვირია, ათასწლეულობით გამოცდილი მეთოდებით მოყვნაილი მოსავალი მცირეა და კონკურენტუუნარო. მთის თითქმის არც ერთც სოფელში არაა აგროსამრეწველო პუნქტები, სადაც მოსახლეობა სასუქებსა და

[10] <http://www.energy.gov.ge -ენერგეტიკის სამინისტრონ ოფიციალური მონაცემები.

მოსავალის მოწევისთვის აუცილებელ შხამქიმიკატებს შეიძენს.[11] **სამედიცინო პუნქტებისა და მედიკამენტების სიმწირე**. როგორ წინამდებარე თავში აღვნიშნეთ, საქართველოში დაცარიელებულ სოფელთა რაოდენობა 233-ს შეადგენს, 152 სოფელში 1-დან 10 კაცამდე, ხოლო 169-ში - 11-დან 25 კაცამდე ცხოვრობს, ამ მცირერიცხოვანი მოსახლეობის უმრავლესობაც ასაკოვანია, მათ გამუდმებით ესაჭიროებათ სამედიცინო დახმარება და მედიკამენტები, რაც მაღლამთიან სოფლებში თითქმის ხელმიუწვდომელია. 65 წელს გადაცილებულთა რიცხვი წლიდან წლამდე მცირდება, ეს იმას ნიშნავს, რომ მომდევნო წლების განმავლობაში კიდევ უფრო დაცარიელდება მთიანი სოფლები. **შობადობის დაბალი და სიკვდილიანობის მაღალი დონე.** ოფიციალური მონაცემების მიხედვით საქართველოში ყველაზე მეტი ბავშვი 1961 წელს დაიბადა -104 ათასი. 1960-1990 წლებში საშუალოდ ყოველწლიურად 93 ათასი ბავშვი იბადებოდა. შობადობის მკვეთრი შემცირება 1992 წლიდან დაიწყო. 2005 წელს საქართველოში 46 ათასი ბავშვი დაიბადა და შობადობა წინა წლებთან შედარებით 2-ჯერ შემცირდა. ძირითადად ამის შედეგად უკანასკნელ წლებში ასევე მნიშვნელოვნად შემცირდა მოსახელობის ბუნებრივი მატება. მე-2 მსოფლიო ომის პერიოდშიც კი, კერძოდ 1941-1945 წლებში ბუნებრივი მატება 135 ათას კაცს შეადგენდა, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი 2002- 2006 წლებში მხოლოდ 5,8 ათას კაცს უდრიდა. დიაგრამა 11-ში მოცემულია 2007-20016 წლის მონაცემები.

ამ დიაგრამით ვხედავთ მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტენდენციებს, თუმცა ეს მატება უმეტესწილად განპირობებულია იმ მუნიციპალიტეტების მახასიათებლებით, რომელსაც „მთის კანონი“ არ შეეხო. დიაგრამა 11 ეხება სწორედ კრიტიკულ ზღვარზე მყოფი მუნიციპალიტეტების უარყოფითი ბუნებრივი მატების ნიშნებს.[12]

2016 წლის I-VI თვის ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები (იხ. დიაგარამა 12). მოცემულ დროში სულ ცხრავე რეგიონში დაიბადა 10 884, ხოლო გარდაიცვალა 13 310 ადამიანი (უარყოფითი ბუნებრივი მატება 18.3%). **საკვებ პროდუქტებზე**

[11] <http://sheep.ge/- საქართველოს მეცხვარეთა ასოციაცია
[12] http://www.tabula.ge/ge/- ბუნებრივი მატება

ხელმისაწვდომის პრობლემა. შემოდგომასა და ზამთარში, მკაცრი კლიმატური პირობების დროს, როცა მაღალმთიან სოფლებში დიდთოვლობაა (ომალოდან მაღალმთიანი აჭარის ჩათვლით) გზები რამდენიმე თვით დაკეტილია, არსებობს დასახლებები, სადაც უხვი ნალექის მოსვლის შემდეგ თემი თუ მუნიციპალური ცენტრი რამდენიმე დღით მოწყვეტილია დანარჩენ საქართველოს, იქნება სურსათით მომარაგების პრობლემები, რადგან ადგილობრივ დასახლებებში არ არის სურსათით უზრუნველყოფის ისეთი დაწესებულებები, რომლებიც კრიტიკულ სიტუაციებში საჭირო დახმარებას აღმოუჩენენ მოსახლეობას. **ტრანსპორტის არ არსებობა.** მთიან დასახლებებში ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა ტრანსპორტის არ არსებობა, გაუმართავი ინფრასტრუქტურის გამო თემებსა და სასოფლო დასახლებეში მუდმივად არ მოძრაობს საქალაქთაშორისო ტრანსპორტი, ხოლო შემოდგომისა და ზამთრის პერიოდში ზოგან საერთოდ შეუძლებელია ავტომობილებითა და სამარშრუტო ტაქსებით გადაადგილება. წლების განმავლობაში გადაადგილების ერთადერთი საშუალება ვერტმფრენი იყო, ისიც დამოკიდებული იყო ცალკეული პიროვნებების განწყობასა და კეთილ ნებაზე. მხოლოდ 2017 წლის 30 მარტიდან მოხერხდა ომალოში ყოველკვირეული საჰაერო რეისების დანიშვნა. თუმცა მომავალი ზამთრისთვის რა იქნება, ჯერ ჯერობით უცნობია.[13] **ეკოლოგიური საფრთხეები.** 2006 წლის მონაცემებით საქართველოში 53 000 მეწყრული სხეულია, რომელთა ფართოფი 1.5 მილიონი ჰექტარია, მეწყერსაშიშ ზონაშია მოქცეული ურბანიზებული ტერიტორიების და სასოფლო-სამეურნეო მიწების 70%. ამავე არეალშია 3000-მდე დასახლებული პუნქტი და 400 000 ოჯახი. მეწყერსაშიში რეგიონების უდიდესი წილი მაღალთიან დასახლებებზე მოდის. არ არსებობს სატყეო რეინჯერის ძლიერი ინსტიტუტი, რაც უნიკალური მწვანე საფარის შენარჩუნებას საფრთხეს უქმნის. ასევე, დიდი ჰიდროელექტრო სადგურებისა და მაღალი ძაბვის ხაზების გაყვანა არღვევს ბუნებრივ ბალანსს და საფრთხის ქვეშ აყენებს უნიკალურ ეკოსისტემას.[14] **ტურისტული პოტენციალის გამოუყენებლობა.** საქართველოს მთიანეთი გამოირჩევა განსაკუთრებით მდიდარი ტურისტული პოტენციალით, თუმცა, ნაკლებად არის ათვისებული, ზემოთ

[13] http://mtisambebi.ge -მთის ამბების საინფორმაციო სააგენტოს მიერ მომზადებული ახალი ამბების სტატია

[14] http://garb.ge/news/stumari- მეწყერული ზონები საქართველოში

ჩამოთვლილი პრობლემის გამო ტურისტული კომპანიები თავს არიდებენ ისეთი მარშრუტების დადგენას, რომელიც უფრო დააინტერესებდა ადგილობრივ თუ უცხოელ ვიზიტორს. მთიან რეგიონში ტურისტული პოტენციალის ამაღლებას მიმზიდველ ბუნებრივ პირობებთან ერთად ხელს უწყობს ინფრასტრუქტურის განვითარება, ტრადიციული სოფლის მეურნეობა, სისუფთავე, წესრიგი, სპორტული ობიექტები, გამაჯანსაღებელი ცენტრები, მობილური სატრანსპორტო საშუალებები. სამწუხაროდ, ზემოთ ჩამოთვლილ აუცილებელ პირობებს მაღალმთიანი რეგიონების უმრავლესობა არ აკმაყოფილებს.[15]

[15] გაზეთი რეზონანსი, ტურიზმის განვიტარების პრობლემა საქართველოში, 11.07.2013

თავი 4. მაღალმთიანი რეგიონების დასახლებების განვითარებისთვის მიღებული კანონები

1999 წლის 8 ივნისს საქართველოს პარლამეტნმა მიიღო კანონი „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“. თუმცა, არსად არ მოიპოვება ამ კანონით გათვალისწინებული რამე აქტივობისა და ქმედების აღმნიშვნელი ინფორმაცია ან დოკუმენტი. მთის განვითარების პროგრამა შეუსრულებელი დარჩა, ექსპერტების თქმით, ეს კანონი უფრო კეთილი ნების სურვილები იყო, ვიდრე რეალური პრობლემების მომგვარებელი.[16] 2016 წელს ძალაში შევიდა კანონი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“. შეიქმნა ინსტიტუციები, ფონდები, განვითარების პროგრამა და დაიწყო პროექტების განხორციელება, თუმცა სრული ვითარების გასაანალიზებლად მიმოვიხილოთ „მთის კანონის“ მიღებამდე განხორციელებული აქტივობები.

4.1 მაღალმთიანი დასახლებების განვითარებისთვის 2013-2015 წლებში სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პროექტები

თვითმმართველობის არჩევნები ჩატრადა 2014 წელს, 2013 წლის მეორე ნახევრიდან მიმდინარეობდა თვითმმართველობის ახალი მოდელის შემუშავება, საჭიროდ ჩავთვალეთ, იმ პროექტების აღნიშვნა, რომელიც „ მთის კანონის“ მიღებამდე იქნა განხორციელებული. პროექტები დაფინანსებულია მუნიციპალური განვითარების ფონდის, საავტომობილო გზების დეპარტამენტის, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის და მყარი ნარჩენების კომპანიის მიერ, ზედამხედველობას უწევს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

[16] საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“ კანონი.

მუნიციპალური განვითარების ფონდი დაარსდა 1997 წელს, თანამშრომლობს საქართველოში მოქმედ ყველა მსხვილ საინვესტიციო ბანკთან და ორიენტირებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ინსტიტუციონალურ და ფინანსურ შესაძლებლობათა გაძლიერებაზე, ასევე საინვესტიციო, სოციალური, ეკონომიკური, ენერგეტიკული და ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარებაზე.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი არის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება.

გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია არის ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 11 იანვრის ბრძანებით შექმნილი შეზღუდული პასუხლისმგებლობის საზოგადოება, რომელიც ახორციელებს წყალმომარაგებისა და წყალარინების მომსახურეობას.

მყარი ნარჩენების კომპანია 2012 წელს, ახალ საკანონმდებლო ჩარჩოზე დაყრდნობით, შეიქმნა და მის მთავარ ამოცანად მომდევნო წლებში საქართველოში ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესება განისაზღვრა.

2013 წლიდან 2015 წლამდე სულ განხორციელდა 556 პროექტი. რომელთა ჯამური ღირებულება იყო 1 600 532 089,61 ლარი. (იხ. დიაგარამა 13). ბოლო წლებში სახელმწიფოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო ინფრასტრუქტურული პროექტები და მათი ღირებულება (იხ. დიაგარამა 14). ეს ფაქტობრივი მონაცემები საშუალებას გვაძლევს, გავიაზროთ გაწეული საქმიანობის მასშტაბები და შევადაროთ „მთის კანონის“ მიღების შემდეგ განხორციელებულ პროექტებს.

4.2 მთის განვითარების ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტები

მთის განვიტარების ფონდის მიერ სულ განხორციელდა 34 პროექტი, რომელთა ჯამური ღირებულებაა 9 999 792 ლარი (იხ. ცხრილი 1). 2016 წელს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადარიცხული თანხები (იხ. დიაგარამა 16) 12 თვის მონაცემებით შეადგენს 9 250 500 ლარს. მართალია, ორმოცივე მუნიციპალიტეტის ყველა თემი თუ სოფელი არ შედის „მთის კანონის" ზემოქმედების ზონაში, თუმცა მაინც თვალშისაცემია ფინანსების სიმცირე, ქვემდებარე ცხრილებში დეტალურადაა გადმოცემული თანხების ხარჯვისა და შესრულებული სამუშაოების შესახებ.[17]

თავი 5 „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ" კანონი.

5.1 თეორიული ჩარჩო

საქართველოს მაღალმთიანეთში არსებული პრობლემებისა და მათი მოგვარების შესახებ მიღებული კანონის გასაანალიზებლად გამოვიყენე პოტოსიანის, პოლიანის, ისაჩენკოს და ჯაოშვილის ნაშრომების მიხედვით Science direct-ის მიერ მომზადებული სტატია - „მთიანი ქვეყნების სოფლებისა და დასახლებების განაწილების გეოგრაფიული თავისებურებები და განვითარების კანონზომიერება".

5.2 სოფლები; გეოგრაფიული მახასიათებლები; მთის ქვეყნები; მდინარის აუზი; ცხოვრების წესი

მთიანი ზონების გამყოფი მდინარის აუზები და ხეობები ქმნის მთიანი ქვეყნების მოსახლეობისა და დასახლებების განაწილების საფუძველს. ამ მიმართულებით ფიზიკური გეოგრაფიული ფაქტორები ურთიერთდაკავშირებულია, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს მოსახლეობისა და დასახლებების განაწილებაზე. მთიანი რელიეფი ხელს უშლის ტერიტორიის კონსოლიდაციას და განსახლების ფუნდამენტური პროცესების განვითარებას. ამ უბნებისთვის ყველაზე მეტად დამახასიათებელია

[17] <mof.ge - სახელმწიფო ბიუჯეთის ასიგნებები.

ტბებისა და მდინარის კალაპოტის სისტემები. დასახლებების ეკონომიკური საქმიანობა მჭიდროდაა დაკავშირებული ბუნებრივ გარემოზე, ბუნებრივი გარემოს გავლენა სოფლის ტიპის დასახლებებში უფრო დიდია, ვიდრე ურბანულ დასახლებებში, კერძოდ, მაღალმთიან რაიონებში ბუნებრივი პირობების დიდი მრავალფეროვნებაა. ავტორისა და სხვა მკვლევარების კვლევის შედეგების ანალიზისა და განზოგადების საფუძველზე შემუშავებულია მთიანი ქვეყნების სოფლებისა და დასახლებების განაწილების გარკვეული გეოგრაფიული თავისებურებები და განვითარების კანონზომიერება.

მაღალმთიან ქვეყნებში მოსახლეობის და დასახლებების განაწილება დაკავშირებულია ხეობებისა და მდინარეების განლაგებაზე, რომლებიც გარშემორტყმულია გამყოფი სისტემებით. ეს არის ტერიტორია, სადაც ფიზიკური და გეოგრაფიული პროცესები ინტერაქტიული და ურთიერთდაკავშირებულია, განსხვავდება სხვა, მეზობელ ფიზიკურ-გეოგრაფიულ რეგიონებში მიმდინარე პროცესებისგან.

მდინარის აუზების ზედა ნაწილში მაღალმთიანი რელიეფის თვისებები (გამყოფი მთები, მთიანი ადგილები და სხვ.) ქმნის სპეციფიკურ ცხოვრების წესს, ენას, დიალექტს და სხვა ეთნიკური ჯგუფების მახასიათებლებს. კერძოდ, თითოეული მდინარის აუზში და საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიულ რეგიონებში ჩამოყალიბებულია ქართული ეთნიკური ჯგუფები, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისგან. მდინარის კალაპოტების ქვედა ნაწილში მცირდება აღნიშნული გეოგრაფიული შეზღუდვა, რომელიც იშვიათი ეთნიკური ჯგუფის (ქართლი, კახეთი, მესხეთი და სხვა) ფართო განაწილებაა. ასეთია სომხეთის მაღალმთიანი მოსახლეობის განაწილებაც, რაც განპირობებულია მუდმივი შემოსევებითა და მოსახლეობის ამა თუ იმ საცხოვრებელი ადგილის განადგურებით. ამ პროცესმა მნიშვნელოვნად დააზარალა დასახლებების განაწილების კანონზომიერებება, რამაც შექმნა ახალი ტიპის ბუნებრივი ისტორიული (სოციალური) დასახლებების არეალი.

ზღვის დონიდან სიმაღლის მიხედვით მოსახლეობისა და დასახლებების დიფერენცირებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მოსახლეობის განაწილება, დასახლებების სისტემის განვითარება და მთიანი სახელმწიფოების ურბანიზაციის

დონე, ისტორიული და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, ლანდშაფტის დიფერენცირების წესები. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ორივე- მთიან და დაბლობის სფეროებში პროდუქტიული ძალების განვითარების დონე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სოფლად დასახლებების შემდგომ განვითარებაზე. თუმცა, დასახლებების ეკონომიკური საქმიანობა მჭიდროდაა დაკავშირებული ბუნებრივ გარემოსთან, მთიან რაიონებში ბუნებრივი გარემოს გავლენა გაცილებით დიდია, ვიდრე ურბანულ დასახლებებში.

მაღალმთიან ქვეყნებში, როგორიცაა სომხეთის რესპუბლიკა (მ.ა) მთიანი და დაბლობის რაიონების თანაფარდობა, ასევე რელიეფური განლაგება მნიშვნელოვან როლს თამაშობს სასოფლო დასახლებებში. ამ ტერიტორიებზე ჰორიზონტალური და ვერტიკალური რელიეფის გაწყვეტა იწვევს დაბრკოლებებსა და სირთულეებს ტერიტორიის განსახლების და გამოყენების თვალსაზრისით. გეოგრაფიული განედის მიხედვით, კონკრეტული სიმაღლის კლიმატისაგან იწყება ასეთი სირთულეები (დაწყებული 2200-დან 2300 მ-მდე). მაღალ ადგილებში გამოიყენება სეზონური საძოვრები.

გასათვალისწინებელია, რომ მთიან რაიონებში არსებობს ფართო ხეობები, პლატოები, კანიონები, სადაც ათასობით წლის წინ შეიქმნილი სასოფლო დასახლებები დღესაც არსებობს. მაღალმთიან რაიონებში ფართო ხეობები და პლატოები ზედა ტერიტორიებზე, რომელთაც აქვთ ხელსაყრელი პირობები სოფლად განსახლებასა და შემდგომი განვითარებისათვის, ქმნიან დასახლებების განაწილების ფართო ტერიტორიებს. მთიანი და დაბლობის რაიონების თანაფარდობა გვიჩვენებს, რომ ტერიტორიის აბსოლუტური ზომების თანაფარდობის გარდა, მნიშვნელოვანია ასევე ტერიტორიის ხელსაყრელობის ხარისხი. გარდა ამისა, მთიანი და დაბლობი ტერიტორიების ყველა ნაწილი არ არის ხელსაყრელი მოსახლეობის განსახლებისა და განვითარებისთვის.

ქართველი მეცნიერის ჯაოშვილის განცხადებით, მთიანი რაიონების დასახლების კონტექსტში ტერიტორიების სარგებლობის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი ფაქტორები:

- მთიანი და დაბლობის ტერიტორიის ზედაპირების თანაფარდობა
- ქვედა სარტყელში მიწების არსებობა (მათ შორის უდაბნოები, ნახევრად უდაბნოები და ჭაობები)
- სასარგებლო მიწების არსებობა მთიან ქალაში

მთიან რაიონებში სასოფლო-სამეურნეო მიწების სტრუქტურა, სასოფლო-სამეურნეო მიწების ვერტიკალური განაწილება, ზედაპირული მრუდი, მიწის ზომები და სხვა ფაქტორები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სოფლის დასახლებებისა და დასახლებების განვითარების თვალსაზრისით. მიწის ზომები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან დიდი და პატარა მიწის ნაკვეთები სხვადასხვა გავლენას ახდენს სოფლის დასახლებებზე და მათი განაწილებაზე. მთიან რაიონებში დასახლებების განაწილებაზე გავლენას ახდენს ჰიდროგრაფიული და წყლის რესურსები, მიკროკლიმატი, ურთიერთდამოკიდებულების ხარიხი, დაშორება დასახლებებსა და სასოფლო-სამეურნეო მიწებზე.

ტერიტორიის გამოყენების და ეკონომიკური საქმიანობის ისტორიული მახასიათებლები, ეროვნული ფაქტორები, ცხოვრების წესი და ტრადიციები გავლენას ახდენს სოფლის ტერიტორიებზე. შედეგად, მდინარის აუზებით გამოყოფილი მთიანი რაიონებიდან კონკრეტული პერიოდის ფარგლებში ხდება გარკვეული ფართის სოფლების დასახლება.

ზემოაღნიშნული ავტორის კვლევის შედეგების ანალიზისა და შეჯამების, აგრეთვე, ჩვენი კვლევის შედეგების მიხედვით შეიძლება გამოიყოს სოფლად არსებული ტერიტორიების და დასახლებების განაშენიანების შემდეგი გეოგრაფიული თავისებურებები:

- დასახლებები ძირითადად თამოყრილია მთიან დაბლობებს, მდინარის ხეობებს, მაღალმთიანი ხეების ქვედა ნაწილებსა და პლატოებზე,
- მოსახლეობის და დასახლებების თანაბარი სივრცითი განაწილება,
- სოფლის დასახლებების რაოდენობის დიდი ვარიაცია,
- დემოგრაფიული პროცესების უნიკალურობა,

- დიდი განსხვავება ხალხის განთავსებასა და დასახლებების ეკონომიკურ ფუნქციებში,
- სოფლების მორფოლოგიის დიდი მრავალფეროვნება,
- დაბალ დონეზე კომუნიკაცია და კავშირები დასახლებებს შორის,
- დასახლებების ცვლილებების რეგულარულობა და სიმჭიდროვე,
- სოფლის დასახლებების ფორმებისა და ტიპების დიდი მრავალფეროვნება შედარებით მცირე ტერიტორიებზე განაწილებაზე.

მაღალმთიანი რეგიონების სასოფლო დასახლებებს აქვთ კონკრეტული მიგრაცია და დემოგრაფიული პროცესებიც. უკანასკნელი 100 წლის განმავლობაში მთიანი რეგიონის მოსახლეობა ძირითადად ქვედა ტერიტორიებზე გადადის. შედეგად, მთებში მდგარი ტერიტორია ვიწრო ხდება, ხოლო დაბლობში კი უფრო ფართოვდება. მაღალი ზონის დასახლებების მცირე ზომები, ტერიტორიებზე მასშტაბური განაწილება, სატრანსპორტო ქსელის დაბალი სიმჭიდროვე და სხვა ფაქტორები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მომსახურებას უფრო რთულს ხდის და მიგრაციას იწვევს. იმავდროულად, მაღალმთიანი სოფლების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები უფრო მკვეთრი და აქტუალურია.[18]

5.3 „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ “ კანონი და მისი ანალიზი.

რა განსხვავებაა 1999 და 20015 წელს მიღებულ კანონთა შორის?

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, 1999 წელს მიღებული კანონი სრულყოფილად ვერ ფუნქციონირებდა, აღნიშნული კანონის აღსრულება ვერ ხდებოდა, რადგან ის დასახლებები, რომელიც იმ კანონით იყო გათვალისწინებული უსამართლობის გრძნობას აჩნედა. აღნიშნულ ნუსხაში შედიოდნენ ისეთი დასახლებები,რომელბიც

[18] <https://doi.org/10.1016/j.aasci.2017.02.012- Open Access funded by Agricultural University of Georgia

რეალური კრიტერიუმებიდან გამომდინარე არ უნდა ყოფილიყვნენ მაღამთიან დასახლებათა ნუსხაში. მაგალითან იქ იყო ზღვის დონიდან 200 მეტრზე მდებარე დასახლებები, ამავე დროს ძალიან ბევრი დასახლება, რომელიც იმ ნისხაში იყო ჩამოთვლილი საერთოდ არ არსებობს, შესაბამისად დღის წესრიგში დადგა,ერთის მხრივ, საკითხი, რომ კონკრეტული კრიტერიუმები განსაზღვრულიყო დასახლებისთვის სტატუსის მისანიჭებლად და, მეორეს მხრივ, უფრო მეტად ეფექტური, როგორ სოციალური ასევე შეღავათები დაწესებულიყო აღნიშნული კანომნით, რაც რეალურად ხელს შეუწყობდა მაღალთნიანი დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობის გამუჯობესსებას,იქ სხვადასხვა ეკონომიკური აქტივობების წახალისებას და ხელშეწყობას.

5.4 მაღალმთიანი სტატუსის მინიჭების პრობლემა

კანონმა განსაზღვრა შემდეგი დასახლებებისთვის პირდაპირ სტატუსის მინიჭება, პირველი, მიუხედავად არსებული სოციალური თუ ეკონომიკური მდგომარეობა, ყველა დასახლება, რომელიც საქართველოში მდებარეობს 1500 მეტრს ზევით, კანონის მიერ მიენიჭათ პირდაპირ სტატუსი. ასეთ დასახლებათა რაოდენობა ამ ეტაპისთვის არის 1583 წარმოადგენს. გარდა ამისა კანონმა ასევე გასაზღვრა, რომ ისტორიულ-გეოგრაფიუსლ მხარეში შემავალი დასახლებებისთვისაც პირდაპირ ყოფილიყო მინიჭებული სტატუსი. ანუ, ფშავში, ხევსურეთში, გიდამაყარში, რაჭაში და ა.შ. იქ ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეში არსებულ დასახლებებს, მიუხედავად მისი ჰიფსომეტრიული სიმაღლლისა, პირდაპირ მიენიჭა სტატუსი. გარდა ამისა, კანონის მიხედვით, მაღალთიანი დასახლების სტატუსი შეიძლება მიენიჭოს იმ შემთხვევაში, თუ ის მდებაორებს 1500-დან 800 მეტრამდე, თუმცა, ამავე დროს ის უნდა აკმაყოფილებდეს კონკრეტულ კრიტერიუმებს. ამ კრიტერიუმების განსაზღვრა დაევალა კანონითვე შექმნილ მთის განვიტარების საბჭოს, რომელმაც განსაზღვრა სამი ძირითადი კრიტერიუმი.

1. დემოგრაფიული კრიტერიუმი, რომელიც მოიცავს ორ კომპონენტს, პირველი კომპონენტი: თუ მოსახლეობის რაოდენობა 2002 წლის საყოველთაო აღწერიდან 2014 წლის საყოველთაო აღწერამდე მცირდება 25%-ზე მეტით. მეორე კომპონენტი: თუ დასახლებაში მცხოვრები საშუალო ასაკი 40 წელზე მეტია, ანუ მინდინარეობს მოსახლეობის დაბერება, რომელიც ბუნებრივად იწვევს შობადობის კლებას და კრიტიკულ დემოგრაფიულ მდგომარეობას.
2. სასოფლო-სამეურნეო კრიტერიუმი. მაღალმთიან დასახლებებში ძირითადი საქმინობის სფერო არის სასოფლო სამეურნეო საქმინობა, შესაბამისად თუ ამ დასახლებების სასოფლო-სამეურნეო სავარგულების საერთო რაოდენობა, ან სახნავ სათესი მიწების 50%-ზე მეტის დამუშავება შეუძლებელია სტანდარტული ტექნიკით, რომელითაც ბარში ხდება აღნიშნული სამუშაოს წარმოება, ითვლება, რომ მაღამთიანი დასახლების სტატუსს აკმაყოფილებს.
3. პერიფერიულობის კრიტერიუმი, რომელიც გვიჩვენებს ხელმისაწვდომიბას საზოგადოებრივ მომსახურეობასა და სერვისებზე. დაშორების კოეფიციენტის მიხედვით, თუ კონკრეტული დასახლების მაჩვენებელი აღემატება მუნიციპალიტეტის ყველა დასახლების საერთო მაჩნენებლს, ითვლება რომ კანონით გათვალისწინებულ კრიტერიუმს აკმაყოფილებს.

ამავე დროს საბჭომ განსაზღვრა, რომ თუ დასახლება მდებაორეობს 1000-დან 1500 მეტრამდე ამ სამი კრიტერიუმიდან ერთ-ერთი მაინც უნდა დააკმაყოფილოს, რათა მას მიენიჭოს სტატუსი. და მეორე: თუ დასახლება მდებაორებს 800-დან 1000 მეტრამდე ამ სამი კრიტერიუმიდან მინიმუმ ორი უნდა იყოს დაკმაყოფილებული.

კანონის მიხედვით განსაზვრულია მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი, რომელიც ენიჭება ადამიანს გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შედეგად.

ა) არის საქართველოს მოქალაქე

ბ) რეგისტრირებულია მაღალმთიან დასახლებაში

გ) ყოველი კალენდარული წლის განმავლობაში საერთო ჯამში 9 თვის ან უფრო მეტი ვადით ფაქტობრივად ცხოვრობს მაღალმთიან დასახლებაში

5.5 რა სოციალურ და საშეღავათო გადასახადებს ითვალისწინებს კანონი?

5.5.1 სოციალური შეღავათები

კანონის შესაბამისად, მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირები ისარგებლებენ შემდეგი სოციალური შეღავათებით, რომელიც შეეხება ა) საპენსიო და სოციალური პაკეტის დანამატს 20%-ის ოდენობით; ბ) მაღლმთიან დასახლებებში მომუშავე სამედიცინო პერსონალისთვის პირობებისა და ანაზღაურების გაუმჯობესებას; გ) გათბობის უზრუნველყოფის ღონისძიებას; დ) კომუნალური გადასახებზე შეღავათების დაწესებას; ე) პირველი და მეორე დაბადებული ბავშვისთვის ყოველთვიურად 100 ლარის, ხოლო მესამე და ყოველი შემდგომი ბავშვისთვის 200 ლარით ფულად დახმარებას; ვ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებეში მომუშავე პერსონალითვის თანამდებობრივი სარგოს 35%-ით გაზრდას; ზ) საჯარო სკოლის მოსწავლეებს, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებს მიეცემათ ვაუჩერის გაზრდილი ოდენობა; თ) საქართველო განათლებისა და მეცნიერების სამინისთროს სისტემაში დასაქმებულ ადამიანებს, რომელსაც არ შეეხება „ვ“ ფუნქტით გასაზღვრული სოციალური შეღავათები, მიეცემათ დამატი შრომის ანაზღაურების არანალკლებ 50%-ის ოდენობით, ეს ეხება სპეციალურ პროგრამებში მონაწილე მასწავლებლბებს, რომელიც პროგრამის ფარგლებში საგანმათლებლო საქმიანობით არიან დაკავებულები.

შენიშვნა: **აღნიშნული სოციალური შეღავათების მიღება არ არის საარსებო შემწეობის გაუქმების საფუძველი და არ ჩაითვლება შეფასების სისტემით იდენტიფიცირებული ღატაკი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებად**

5.5.2 საგადასახადო შეღავათები

2016 წლის 1 იანვრიდან მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირები და მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის მქონე მეწარმე სუბიექტები ისარგებლებენ საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი საგადასახადო შეღავათებით. კერძოდ: ა) საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება; ბ) მოგების გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება; გ) ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებულია; თუმცა ეს თავისუფლებები შეუზღუდავი არ არის, კანონში მოცემულია კრიტერიუმები, რომლიც მიხედვითაც ხდება საგადასახადო ნორმების დადგენა და განხორცილება.

5.6 რა ხარვეზებს შეიცავს „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ კანონი?

როგორც მრავალგზის აღინიშნა, კანონი უპირველესად მთიან რეგიონებში დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსასწორებლად არის მიღებული, არსებობს სოფლები, სადაც 2-დან 15-მდე ადამიანი ცხოვრობს, ისიც 65 წელს გადაცილებული, ასეთ დასახლებეში ზემდეტია შობადობის წახალისებაზე საუბარი, ამ რამდენიმე მოსახლეს არ აქვს უნარი და შესაძლებლობა ისარგებლოს კანონის განსაზღვრული საგადასახადო პრივილეგიებით, რადგან ხანდაზმულობიდან და მთაში ტრადიციული ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე ნალლებია მათში ახალი ბიზნეს ინიციატივები, ამ წელიწანნახევრის განმავლობაში არ დაფიქსირებულა არც ერთი

ფაქტი, როცა 65 წელს გადაცილებულმა (მთაში მარტო მცხოვრბმა) ადამიანმა მიიღო რაიმე სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობა, შესაბამისად, გაუგებარია, როგორ უნდა მოხდეს ასეთ თემებში მოსახლეობის გამაგრება და ზრდა, როცა კანონში პირდაპირ წერია, მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრების პირის სტატუსს იღებს ის ადამიანი, რომელსაც კალენდარული წლის განმავლობაში ჯამურად 9 თვეზე ნაკლები არ უცხოვრია. სათუაო, რომ ადამიანი გადასახლდეს მთაში, 9 თვის განმავლობაში ელოდოს სოციალურ და საგადასახადო შეღავათებს და ამ პერიოდის განმავლობაში ფაქტიურად წამგებიან საქმიანობას ეწეოდეს. ჩემი აზრით, ისეთ დასახლებებს, რომელთა მოსახლეობა კრიტიკულად დაბალია, უნდა გააჩნდეთ გასაკუთრებიული სტატუსი, კანონში უნდა იყოს ჩადებული სპეციალური მუხლი, რომელიც ამ თემებში ცხოვრების მსურველებს მყისვე მიანიჭებდა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსს და ისარგებლებნდნე ყველა მოცემული შერავათით, მაგრამ იმ პირობით, თუ ისინი ერთი კალენდარული წლის განმავლობაში ჯამურად 9 თვე მუდმივად იცხოვრებდნენ აღნიშნულ ტერიტორიაზე. მოცემული პირობის დარღევის შემთხვევაში კი ჩამოერთმეოდათ სტატუსი და დაეკისრებოდათ ფულადი ჯარიმა.

ნაკლები პერსპექტივის განცდას აჩენს ინვესტიციებისა და ინევსტორებისადმი დამოკიდებულება. მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის მინიჭების, შეჩერებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება №633-ში ვკითხულობთ: „მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის მისაღებად დაინტერესებული პირი განცხადებით (წერილობითი ან ელექტრონული ფორმით) მიმართავს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – შემოსავლების სამსახურს (შემდგომში – შემოსავლების სამსახური).“ პირი სტატუსის მინიჭების შემდეგ საშემოსავლო გადასახადისგან 10 წლით თავისუფლდება და ამ საწარმოს საქმიანობით მიღებულ შემოსავალს სახელმწიფო არ დაუბეგრავს. ასევე მაღალმთიანი დასახლების საწარმო თავისუფლდება მოგების გადასახადისგან სტატუსის მინიჭებიდან 10 წლის მანძილზე.
ანუ პირი, რომელსც უნდა ზემოთხსენებული შეღავათებით ისარგებლოს, უნდა მიმართოს საქართველოს მთავრობას და, უხეშად რომ ვთქვათ, დაუმტკიცოს თავისი საქმიანობის მომგებიანობა, ჩემი აზრით, აქ სპეციალურად არის წარმოქმნილი

ბიუროკრატიული ბარიერები, შეზღუდულია ინვესტიციების თავისუფალი მოძრაობა, მთავრობა ცდილობს მაქსიმალურად გააკონტროლოს მაღალმთიან რეგიონში მიმდინარე ეკონომიკური აქტივობები, რადგან არსებობოს საფრთხე, პირმა თუ კომპანიამ ბოროტად გამოიყენის სახელმწიფოს მიერ შემოღებული საშეღავათო პირობები და უკანონოდ დაისაკუთროს ტერიტორიებისა და პრივილეგიების გარკვეული ნაწილი. მთავრობის ეს დებულება ეხმიანება ამჟამად (2017 წლის ივლისი) მინდინარე საკონსტიტუციო განხილვებს და უკვე შემუშავებულ რეგულაციებს, რომლის მიხედვითაც შეიზღუდება უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ საქარველოს ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთის შეძენა. ნათელია, რომ მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის მისაღებად შედარებით მეტი აქტიურობაა მოსალოდნელი საქართველოს საზღვაგარეთიდან ვიდრე ქვეყნის მოსახლეობისგან, რადგან საქართველოს მოქალაქეებს არსებული რთული ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე შეზღუდული აქვთ საინვესტიციო პოტენციალი. მით უმეტეს, მაღალმთიან რეგიონში საქმიანობა მეტ რისკს შეიცავს, მგონია, რომ ეს ენთუზიასტების საქმეა, ენთუზიასტებისა და პატრიოტების. როგორ ჩემთან ინტერვიუში ზაქარია ქუცნაშვილმა აღნიშნა, „მთის კანონის“ მიღების ერთ-ერთი მიზანი, მაღალმთიანეთში მცხოვრებთათვის მორალურ-ფსიქოლოგიური მხარდაჭერაა, თავისუფალი კაპიტალისა და თანამედროვე ინვესტორისთვის კი ენთუზიაზმი, პატრიოტოზმი და მორალურ-ფსიქოლოგირი ფაქტორი ყველაზე უიშვიათესი და უკიდურესი გამოვლინებაა. ასეთ შემთხვევაში გამოსავლად მიმაჩნია, დებულებში ჩაიწეროს მუხლი, რომლის მიხედვითაც, მხოლოდ საქრთველოს მოქალაქეს შეეძლება ბიზნესის თავისუფლად წარმოება საქართველოს მაღალმთიანეთში. გასაგებია, რომ ეს მუხლი საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით შესაძლოა დისკრიმინაციად ჩაითვალოს, თუმცა სჯობია, კანონში პირდაპირ იყოს მითითებული გარკვეული შეზღუდვები, ვიდრე სახელმწიფო აპარატის კონკრეტული მაღალჩინოსანი ერთპიროვნულად წყვეტდეს ვის როგორ ან რატომ მიანიჭოს ესა თუ ის სტატუსი.

გარდა ამისა, მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსი არ მიენიჭება ან ეს სტატუსი შეიძლება შეუწყდეს მეწარმე სუბიექტს თუ ის **ახორციელებს:**

ა) ლიცენზირებისადმი ან ნებართვის გაცემისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობას; ბ) მომსახურების გაწევას (გარდა საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეებისა);

გ) საქონლით ვაჭრობას (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხორციელდება საქონლის გადამუშავება და მიწოდება).

რჩება შთაბეჭდილება, რომ ამ კანონის მოქმედების არეალიდან სრულად ამოღებულია თანამედროვე ეკონომიკისთვის ისეთი სასიცოცხლო მნიშვნელობის დარგი, როგორიცაა მომსახურეობის სფერო, გაუგებარია, როგორ აპირებს სახელმწიფო მაღალმთიან რეგიონში თანამედროვე მომსახურეობის სტანდარტების დანერგვას, მაშინ როცა მათი განვითარებისთვის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობა ტურიზმის ხელშეწყობაა. როგორ ჩანს, სახელმწიფო მიმართულია განავითაროს სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის დარგები, თუმცა, მომსახურეობის სფეროს განვითარების გარეშე ნაკლებ სავარადოა ხელშესახები წარმატების მიღწევა, რადგან თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციური იდეების გარეშე რთულია კონკურენტუარიანი გარემოსა და პროდუქციის შემქნა.

5.7 ექსპერიმენტული ინტერვიუები და მათი ანალიზი

„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ შესახებ“ კანონის ინიციატორი არის ზააქარია ქუცნაშვილი, საქარველოს პარლამენტის მეხუთე, მეშვიდე და მერვე მოწვევის წევრი. ყაზბეგის მაჟორიტარი დეპუტატი. რადგან ჩემი კვლევა ეხებოდა „მთის კანონს“ გადავწყვიტე რამდენიმე შეკითხვით მიმემართა ბატონი ზაქარისთვის, კითხვები შეეხებოდა „მთის კანონის“ ამოქმედების ფაქტორებს, მიზნებს და მოლოდინებს. მისი თქმით დაგვიანდა პროცესი დაგვიანდა, „მთის კანონი“ უნდა ამოქმედებულიყო კონსტიტუციის მიღებისთანავე. დღევანდელ პირობებში კანონის მიღება გამოიწვია რამდენიმე კომპონენეტმა, პირველი- სოციალური შეღავათების კომპონენტი, მეორე- საგადასახადო კომპონენტი, მესამე- მორალურ ფსიქოლოგიური კომპონენტი.

მოსახლეობას უნდა ეგრძნო, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი აცნობიერებს აუცილებობას მაღალმთიანი რეგიონების განვითარებაზე. სწორედ ამიტომ, მე ამ მდგომარეობას განვიხილავ სამი ზემოთხსენებული გარემოების კონტექსტში. იმიტომ, რომ ჩვენი მთის მოსახლეობამ იგრძნოს დანარჩენი ნაწილის მხარდაჭერა. სამივე კონტექსტის ჯამში შეიძლება თვალშისაცემი შედეგის მოკლე ხანში დადგომა. ამ კანონმა დიდი ინტერესი გამოიწვია თვითონ მთის მოსახლეობაში, თქვენ უნდა გენახათ მოსახლეობის ჩართულობა ბენეფიციარად გახდომის პროცესში. დასძინა მან.

საუბარი ასევე შეეხო დაფინანსების სიმწირეს, მთის განვითარებისთვის 2016 წელს ათი, ხოლო 2017 წელს ოცი მილიონია გამოყოფილი. ზაქარია ქუცნაშვილის განმარტებით მთის განვითარების ფონდი არ არის ერთადერთი ფინასური უზრუნველყოფის წყარო მუნიციპალიტეტების მხარდასაჭერად. პირიქით, მთის განვითარების ფონდი არის ახალი ფინანსური დახმარების ინსტიტუტი მაღალმთიანი მუნიციპალიტეტებისათვის, თუმცა საქართველოში არსებული ეროვნული მასშტაბის პრობლემების დაძლევა მარტო მსგავსი პროგრამებით შეუძლებელია. მრავალი ღონისძიების გააქტიურებაა საჭირო, რომ უმუშევრობა და სიღარიბე, როგორც მცირე ეკონომიკის შედეგი, დაიძლიოს. ეკონომიკის გაზრდის, ახალი სამუშაო ადგილების გაჩენის და მნიშვნელოვანი ეკონომიკური წარმატების გარეშე ამ გამოწვევების გამკლავება შეუძლებელია. მისი განმართებით, კანონის ხარვეზებზე საუბარი ნაადრევია, თუმცა საგადასახადო შეღავათების თვალსაზრისით, შეიძლება კიდევ უფრო ლოალური ნაბიჯის გადადგმა. ინტერვიუდან შევიტვეთ, რომ მთის განვითარების საბჭოს სხდომა დიდი ხანია არ ჩატარებულა (ინტერვიუ ჩაწერილია 2017 წლის 31 მარტს მ.ქ.). ვინაიდან არის მთელი რიგი დასახლებები, რომელიც არ მოხვდა მაღალმთიანი დასახლებების ნუსხაში, აუცილებელია მათი დამატება არსებული, რეალური კრიტერმიუმების გათვალისწინებით.

ზაქარია ქუცნაშვილის ინტერვიუ პოლიტიკოსის ტიპიური განცხადებებისგან შედგება, თუმცა აღსანიშნავია სამი ფაქტი. პირველი: მან ვერ დაასახელა ამ წელიწადნახევრის განმავლობაში რამე ხელშესახები შედეგი, რაც მთის განვითარების პროგრამებმა მოიტანა, ზოგადად ინფრასტრუქტურული პროექტები მთელი ქვეყნის მასშტაბით ხორციელდება. მთიანი რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე რამე განსაკუთრებული

სტატისტიკის ან მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდის შესახებ არ გვსმენია, არც რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსგან, არც ზაქარია ქუცნაშვილისგან, ერთი კია, ბატონმა ზაქარიამ ინტერვიუს დროს, რამდენჯერმე ხაზი გაუსვა დროის უკმარისობას. მეორე: პარლამენტარმა დაადასტურა, რომ ქვეყანაში და, საკუთრივ, მთაში არსებული მძიმე გამოწვევების აღმოსაფხვრელად მთის განვითარების ფონდი მისი მწირი რესურსით საკმარისი არ არის, როგორც შევიტყვეთ, ეს პროგრამები დამხმარე საშუალებებს წარმოადგენენ სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის განვითარებიას გზაზე და მესამე: „მთის ამბების“ ბლოგერისგან მივიღე ინფორმაცია, რომ მთის განვითარების საბჭო ბოლო პერიოდში არ ფუნქციონირებდა, სწორედ ამან განაპირბა ჩემი შეკითხვა, რის პასუხადაც მივიღე ახალი დასახლებების შეტანის პრობლემა კანონის მიერ გათვალისწინებულ დასახლებათა ნუსხაში. გაუგებარია, რატომ ვერ ხერხდება ახალი მუნიციპალიტეტების, სოფლების და თემების კანონში შეტანა და ეს რატომ უშლის ხელს მთის განვითარების საბჭოს ნორმალურად ფუნქციონირებაში?!

ამავე საკითხთან დაკავშირებით მივმართე მთის განვითარების საბჭოს წევრ თამარ ჩიბურდანიძეს, რომლიც არის ექსპერტი საბჭოს შემადგენლობაში და ზაქარია ქუცნაშვილთან ერთად კანონის თანაავტორი.

თამარ ჩიბურდანიძის თქმით, „მთის კანონი არის საქართველოს მთის გადარჩენის საუკეთესო გარანტი. კანონი ამოქმედდა 2016 წლის იანვრიდან, ხოლო სრულად ამოქმედდა 2016 წლის სექტემბრიდან. ასევე მუშაობს მთის განვითარების 20 მილიონიანი ფონდი. 10 მილიონი იხარჯება ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, ხოლო 10 მილიონი გრანტებზე მთაში მცირე და საშუალო ბიზნესის დასაწყებად. 1 წლის მანძილზე გრანტის სახით დაფინანსებულია 1150 პროექტი, ხოლო 5000-ზე მეტს განაცხადი აქვს შემოტანილი. 2016 წლის მონაცემებით, მთიან რეგიონებში შობადობამ მკვეთრად იმატა. შეინიშნება უკუმიგრაციის ფაქტები. საქართველოს მთა იმდენად მძიმე ვითარებაშია, რომ 20 მილიონი ლარი წელიწადში ნამდვილად არ ყოფნის, მაგრამ ბიუჯეტის რეალობიდან გამომდინარე ის ნაწილდება ობიექტურად. კანონის ხარვეზებში რომ დავრწმუნდეთ, ჯერ კიდევ დროა გასავლელი. ეტაპობრივად ხდება ამის გამოვლენა. ჯერჯერობით სიტუაცია ნორმალურია და ვაკვირდებით მოვლენებს“.

ქალბატონის თამარის განცხადებაშიც გამოიკვეთა პრობლემა მაღალმთიანი დასახლებების სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებული ხარვეზების შესახებ. კანონის ორივე თანაავტორი თანმხდება, რომ წელიწადში 20 მილიონი ლარი არასაკმარისია ძირითადი პრობლემების გასადაჭრელად, მაშინ როცა „მთის კანონის“ მიერ განსახორციელებელ პროგრამებში ჩართვას კიდევ უფრო მეტი მუნიციპალიტეტი ითხოვს. თვალშისაცემია ორივე რესპონდენტის ემოციური კავშირი მთასთან, როგორც ბატონმა ზაქარიამ აღნიშნა, „მთის კანონის“ სამი კომპონენტიდან მესამე სწორედ მორალურ-ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას ეფუძნება.

მთის განვითარება შეიცავს ახალი ინფრასტრუქტურის მოწყობას, ტურიზმის განვითარებას, ასევე ახალი ენერგეტიკული ობიექტების მშენებლობის შედეგად წამორმოებული ელექტროენერგიის ექსპორტირებისთვის მაღალი ელექტოგამადამცემი ანძების მშენებლობას, რაც საფრთხეს უქმნის მთის უნიკალურ ეკოსისტემას. ამ საშიშორობების შესახბ მივმართე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრს და მთის განვითარების საბჭოს წევრ გიგლა აგულაშვილს. მინისტრის განცხადებით, ტყეების უკანონო გაჩეხვების აღმოსაფხვრელად გაძლიერებულია რეინჯერთა ინსტიტუტი, ენერგეტიკული ობიქეტებისა და მათი დამხმარე ნაგებობების მშენებლობა მიმდინარეობს კანონის სრული დაცვით და ჩართულია, როგორც საქართველოში მოღვაწე გარემოს დაცვის ექსპერტები, ისე უცხოეთიდან მოწვეული სპეციალისტები. მისივე მტკიცებით, მთაში ტურიზმის განვითარებას ახლავს შიშები, თუმცა გუდაურის, ბაკურიანის და სვანეთის განვითარების მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო ყველა ღონეს ხმარობს ბუნებრივი წესრიგის დასაცავად, ზედმიწევნით კარგად მუშაობენ დასუფთავებისა და გამწავანების მუნიციპალური სამსახურები. მთის განვითარების პროგრამებში ჩართული მოსახლეობის უმრავლესობამ აგრარულ სფეროში მიიღო დაფინანსება, რაც სასოფლო-სამეურნეო მიწების, ქარსაფარების და სარწყავი არხების განვითარებას შეუწყობს ხელს, ეს კი სასიცოხლოდ მნივნელოვანია გაუდაბურებეული სოფლებისა და ხეობების აღსადგენად.

და ბოლოს, ცვლილება განხორციელდა „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონშიც, რომლის თანახმადაც, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრთა მინიმალური რაოდენობა მაღალმთიანი რეგიონის სტატუსის მქონე დასახლებებში არ უნდა იყოს 3-ზე ნაკლები (საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე 5-ზე ნაკლები). არსებობს თემები სადაც 2, 3, 5 ადამიანი ცხოვრობს, კანონში ვერ ვნახე მუხლი, რომელიც მსგავსი ტიპის დასახლებებში მოსახლეობის ზრდასა და სოციალურ ეკონომიკურ განვითარებას შეუწყობდა ხელს, შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ასეთი თემები განწირულია გაუკაცრიელებისთვის.

მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ ეკონომიკური პრობლემების გადასაწყვეტად, როგორ აღინიშნა შექმნილია კანონითვე განსაზღვრული ინსტიტუციები და ფონდები, მათ საქმიანობას განსაზღვრას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტო, ასეთია, მთის განვითარების ეროვული საბჭო და მისი ფინანსური უზრუნველყოფის მექანიზმი მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი.

5.8 მთის განვითარების ეროვნული საბჭო

„მაღალმთიანი რეგიონების განვიტარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად 2015 წლის 19 ოქტომებრს დამტკიცდა მთის განვითარების ეროვნული საბჭო და მისი შემადგენლობა, რომელის მეთაურია საქართველოს პრემიერ მინისტრი, საბჭოს შემადგენლობაში შედიან რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების; ფინანსთა; იუსტიციის; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის; განათლებისა და მეცნიერების; გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის; სოფლის მეურნეობის; ენერგეტიკის მინისტრები, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე და პარლამეტის წევრები, მაჟორიტარი დეპუტატები; სახელმწიფო რწმუნებულები- გუბერნატორები და ექსპერტები. საბჭოს ჰყავს - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და

ინფრასტრუქტურის სამინისტროს თვითმმართველობის განვითარებისა და რეგიონული პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე- მდივანი.

საბჭოს ევალება მაღალმთიანი დასახლებების განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მისი განხორციელების მიზნით ვალდებულია შეასრულოს ყველა ის სამუშაო, რომელიც ეხება მის უფლება-მოვალეობებს. საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე ხდება მაღალმთიანი დასახლებებისთვის სტატუსის მინიჭება/შეჩერება/შეწყვეტა; განიხილავს და საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგენს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების პროგრამებს; უფლებამოსილია, საბჭოს კომპეტენციაში შემავალი საკითხების შესწავლისა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, შექმნას სამუშაო ჯგუფები შესაბამისი სამინისტროების, ადმინისტრაციული ორგანოების, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლების, ექსპერტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით; უფლებამოსილია, მოამზადოს შესაბამისი გადაწყვეტილებებისა და სამართლებრივი აქტების პროექტები; უფლებამოსილია შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოებიდან გამოითხოვოს ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მისაღებად ან/და საკითხის შესასწავლად; მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხების მომზადების მიზნით, უფლებამოსილია, შექმნას მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფი; საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგენს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის (შემდგომში - ფონდი) განკარგვის წესს.

5.9 მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი

შემდგომში ფონდი შექმნილია მთის განვითარების ეროვნული საბჭოს დებულებით და ემსახურება იმ პროექტების დაფინსებას, რომელიც განსაზღვრულია „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ კანონის მიხედვით. 2016 წელს ფონდის დაფინანსება შეადგენდა 10 მილიონს, 2017 წლისთვის 20 მილიონი არის

განთვალისწინებული. მივმართე საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ფონდის მიერ განხორციელებული პროექტების მოწოდების თაობაზე. სამინისტროს მიერ მოწოდებული ოფიციალური ინფორმაციით: სულ განხორციელდა 34 პროექტი, რომელთა ჯამური ღირებულებაა 9 999 792 ლარი. ცხრილში მოცემულია ყველა პროექტი თავისი ანაზღაურებით. დაფინასება შეეხო: გზების, შენონების, კულტურული ობიექტების, ნაპირსამაგრი სამუშაოების, საბავშვო ბაღების, წყალმომარაგებითი სამუშაოების და კანალიზაციის რეაბილიტაციასა და მშენებლობას [19] (იხ. ცხრილი 1).

5.10 მთის განვითარების მხარდამჭერი პროექტები

5.10.1 აწარმოე მთაში

20015 წელს მეწარმეების განვითარების სააგენტოს მიერ დაიწყო მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის განხორციელება, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან საქართველოს რეგიონებში 5000-დან 15000 ლარამდე თანადაფინანსების გაცემას და საკონსულტაციო მომსახურეობას გულისხმობს. 2015 წელს საქრთველოში დაფინანსდა 1134 ბიზნეს პროექტი. 2016 წლის 23 ივლისის მდგომარეობით, პროგრამის ფარგლებში ჯამში დაფინანსებულია 1137 ბიზნეს პროექტი და გადამზადებულია 3620 ბენეფიციარი.[20] 2015 წელს დუშეთის მუნიციპალიტეტში მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის ფარგლებში პირველ რაუნდში შევიდა 204 ბიზნეს იდეის განაცხადი, აქედან მომდევნო ეტაპზე ბიზნეს გეგმის კონკურსში მონაწილეობა მიიღო და სულ შემოტანილი იქნა 40 ბიზნეს გეგმა, საბოლოოდ დაფინანსდა 25 ბიზნეს პროექტი. 2016 წელს მეორე რაუნდში შემოსულია 298 ბიზნეს იდეის განაცხადი. ამ ეტაპზე მიმდინარეობის ბიზნეს გეგმების შერჩევა და მეორე რაუნდის გამარჯვებული

[19] წყარო ინტერნეტში არ არის ხელმისაწვდომი, ის გამოთხოვილია რეგიონალური განვითარების სამინისტროსგან ოფიციალური წერილის საფუძველზე.
[20] დუშეთის მუნიციპალიტეტი, პროგრამის - ,,მიკრო გრანტები მთის განვითარებისათვის“ პრეზენტაცია

ბენეფიციარების გამოვლენა. დაიწყო ახალი პროექტების განხორციელება, მიკრო გრანტები მთის განვითარებისათვის, რომელიც მეწარმეობის განვითარების სააგენტომ შეიმუშავა მთის განვითარების ეროვნულ საბჭოსთან თანამშრომლობით. პროექტი საშუალებას იძლება ბიზნესის განვითარებისთვის მაღალმთიან სოფლებში მოსახლეობამ სახელმწიფოს მხრიდან მიიღოს 5000-დან 15000 ლარამდე თანადაფინანსება და საკუთარ საცხოვრებელ ადგილზე წამოიწყოს ბიზნესი, რაც ზოგადად მთის შემდგომ განვითარებას შეუწყობს ხელს. პროგრამის ხანგრძლივობაა 14 თვე. ბიუჯეტი 20 მილიონი ლარი. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია 1600-მდე ბენეფიციარის დაფინანსება და 3000-მდე მეწამის დატრენინგება. 27 ივნისიდან 29 ივლისის ჩათვლით სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში მთის განვითარებისათვის მთის მაცხოვრებლებს შეუძლიათ წარმოადგინონ საკუთარი ბიზნეს იდეები (წყარო ვებ-გვერდზე WWW.qartuli.ge). საქართველო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მეწარმეობის განვითარების სააგენტოს დახმარებით წამოიწყონ საკუთარი ბიზნესი მთაში. ბიზნეს პროექტების დაფინანსებაში დახმარება შეუძლია მიიღოს საქართველოს მოქალაქემ, რომელიც არის სრულწლოვანი, არ უნდა იყოს საჯარო მოხელე, თუმცა საჯარო მოხელის ოჯახის წევრს შეუძლია პროექტში მონაწილეობა.

5.10.2 დუშეთის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროექტები

დუშეთის მუნიციპალიტეტში 2014 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის შედეგად განხორციელდა 341 პროექტი, რომელთა ჯამური ღირებულებაა 1 642 387,86 ლარი. აქედან 18 ჟინვალში, 24 ჭონქაძეში, 22 ბაზალეთში, 20 მჭადიჯვარში, 15 გრემისხევში, 9 ჭოპორტში. 14 ლაფანაანთკარში, 9 ხეობაში, 10 ანანურში, 11 ჭართალში, 30 ფასანაურში, 46 გუდამაყარში, 21 ქვეშეთში, 2 მაღაროსკარში, 22 უკანაფშავში, 46 ბარისახოში, 14 შატილში. პროგრამების შედეგად განხორციელდა შემდეგი ტიპის

აქტივობები: სამანქანე გზების მოხრეშვა, შიდა გზების რეაბილიტაცია სანიაღვრე არხების მშენებლობა, სათიბი მოწყობილობების შეძენა, ტრაქტორების შეძენა, სოფლებისთვის დენის ტრანსფორმატორების შესყიდვა, სასმელი წყლის გამოყვანა/რეაბილიტაცია, სარწყავი არხების გაწმენდა, სამედიცინო ამბულატორიების მშენებლობა, სარიტუალო სახლების რეაბილიტაცია, სპორტული მოედნების მშენებლობა, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია, საკანალიზაციო ქსელების აღდგენა, ხიდებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა, მცირე სასოფლო სამერუნეო ტექნიკის შეძენა, სასაფლაოების შემოღობვა, მზის ენერგიაზე მომუშავე გარე განათებისა და წყლის გამაცხელებელების სისტემების შესყიდვა. ეს ის ძირითადი პროგრამებია, რომელიც დუშეთის მუნიციპალიტეტში 2014 წელს, ანუ „მაღალმთიანი რეგიონების განვითარებისა შესახებ“ კანონი მიღებამდეა განხორციელებული.[21]

ახლა განვიხილოთ, 2015-2016 წლების სოფლის მხარდამჭერი პროგრამის მიერ შესრულებული პროექტები. ამ ორი წლის განმავლობაში ჯამურად განხორციელდა 312 პროექტი, 2015 წელს დაიხარჯა 81 038 ლარი (!), ხოლო 2016 წელს 1 381 586 ლარი. დუშეთის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდის ცნობით, 2015-2016 წლებშიც დაახლოებით იგივე ტიპის პროექტები იქნა შესრულებული, რაც წინა 2004 წელს, თუმცა ჯამურად დაიხარჯა გაცილებით ნალები- 1 462 625 ლარი. გასაკვირია, რომ „მთის კანონის“ ამოქმედების შემდეგ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დაფინანსება განახევრდა, შესაბამისად, დუშეთის თემებში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა დიდად არ გაუმჯობესებიულა.

როგორც წინამდებარე თავში აღვნიშნე, 2015 წელს დუშეთის მუნიციპალიტეტში პროექტის „არაწმოე მთაში“ ფარგლებში ადგილობრივი მოსახლეობს მიერ შემოტანილი 204 ბიზნეს იდეიდან დაფინანსდა 25 პროექტი. დაფინანსების ოდენობა განისაზღვა 5000-დან 1500 ლარამდე. აქედან შეგვიძლია გამოვთქვათ ვარაუდი, რომ 2015 წელს სოფლის განვითარების პროგრამის შეჩერება გამოწვეული იყო სხვა პროგრამების (მათ შორის “აწარმოე მთაში“) ამოქმედებით, ანუ მთვარობა, გარკვეულწილად, მიმართავს

[21] <http://dusheti.org.ge/?m=6&sm=0 - განხორციელებული პროგრამები

ერთი პროგრამიდან მეორეში სახსრების გადანაწილების პრინციპს, ეჭვი მაქვს, გარკვეული პოლიტიკური დივიდენდების მოსაპოვებლად.

დასკვნა

საქართველოს მაღალმთაიანი რეგიონების სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურული მდგომარეობის შეფასების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ გარემოებები, რომლებიც ხელს არ უწყობენ მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებასა და კეთილღეობას:

1. **პოლიტიკური არასტაბიულობა.** მთიანი დასახლებების განვითარებაზე ფიქრი 90-იან წლებში დაიწყო, თუმცა სამოქალაქო ომების, პოლიტიკური დაპირისპირების, რევოლუციისა და ხელისუფლების სათავეში ყოველ ჯერზე მკვეთრად განსხვავებული მსოფლმხედველობის ძალების მოსვლამ ხელი შეუშალა ისეთი დოკუმენტის შექმნას, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში სიკეთეს მოუტანდა მაღალმთიან რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობას.
2. **ეკონომიკური პრობლემები.** საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანამ დაიწყო ეკონომიკური სისტემის ცვლა. საქართველოში ეს პერიოდი განსაკუთრებით გაართულა შიდა ტერიტორიულმა კონფლიქტებმა 90-იან და 2008 წლებში. სახელმწიფო დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ კატასტროფულად დაეცა ინდუსტრიული წარმოება. 1994 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 72%-ით შემცირდა 1990 წელთან შედარებით. 1994 წლიდან დაიწყო ქვეყნის სტაბილიზაცია და ნელი ეკონომიკური ზრდა, რაც ოდნავ დააჩაქარა 2000-იან წლებში გატარებულმა მაკროეკონომიკურმა რეფორმებმა, თუმცა მიღწეულმა პროგრესმა ვერ შექმნა სამუშაო ადგილები. დასაქმებულთა ნახევარზე მეტი დაკავებულია სოფლის მეურნეობაში ისეთი

საქმიანობით, როგორიც არის საკუთარი საჭიროებისთვის აუცილებელი პროდუქციის მოყვანა. ყოველგვარი მომსახურეობის სფეროსა და ინდუსტრიული წარმოების გარეშე დარჩენილი მაღალმთიანი რეგიონებისთვის განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა ეს პერიოდი, მოსახლეობა მიწის დამუშავებასაც ვერ ახერხებდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის არ არსებობის გამო, დაიწყო მასობრივი მიგრაცია, დაცარილედა და გაუკაცრიელდა ათეულობით სოფელი, აღსანიშნავია, რომ ასეთი ტენდენცია დღესაც გრძელდება.

3. **სოციალური მდგომარეობა.** მთიან რეგიონებში ყველაზე მწვავედ დემოგრაფიული კრიზისი იგრძნობა, „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ კანონის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანიც მაღალმთიან დასახლებებში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებაა, თუმცა ძნელი სავარაუდოა, რამდენიმე წლის წინ მძიმე ეკონომიკურ პირობებს გამოქცეული ადამიანი, რომელმაც ბარში ყოფითი პირობები გაიუმჯობესა, უკან დაბრუნდეს. „მთის კანონში“-ვე დევს მოსახლეობის მთაში დაბრუნების შემაფერხებელი ფაქტორები, ასე მაგალითად, ამავე კანონის მესამე მუხლის მეხუთე ფარაგრაფში წერია: „ფიზიკურ პირს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი ენიჭება, თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) არის საქართველოს მოქალაქე;

ბ) რეგისტრირებულია მაღალმთიან დასახლებაში;

გ) ყოველი კალენდარული წლის განმავლობაში ჯამში 9 თვის ან 9 თვეზე მეტი ვადით ფაქტობრივად ცხოვრობს მაღალმთიან დასახლებაში“.[22]

მკაცრი ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით ყველა მაღალმთიან დასახლებაში წამოუდგენელია ადამიანმა წელიწადში ჯამურად 9 თვის განმავლობაში იცხოვროს, ამასთანავე, თუ ადამიანმა გადაწვიტა მთაში დაბრუნება და იმ სიკეთეებით სარგებლობა, რაც კანონითვეა განსაზღვრული, 9 თვე მოუწევს ლოდინი სტატუსის მისაღებად.

[22] „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ კანონი. მუხლი 3. პარაფრაფი 5

აგრეთვე, მაღალმთიანი რეგიონების განვითარებისთვის დაბრკოლებას წარმოადგენს თვითმმართველობის პრობლემები, თითქმის ყველა პროგრამა ხორციელდება ცენტრალური მთავრობის აპარატის მიერ. არ არსებობს ადგილზე გადაწყვეტილების მიმღები ქმედითი ორგანო, რომელიც ეფექტურ საქმიანობას გასწევდა თავისი მოქმედების არეალში. ერთის მხრივ, ეს განპირობებულია მოუქნელი სისტემით, ხოლო მეორეს მხრივ, კვალაფიციური კადრების არ არსებობით. არის მესამე უმნიშვნელოვანესი ფაქტორიც, მუნიციპალიტეტებს არ გააჩნიათ საკუთარი ფულადი სახსრები, ისინი თითქმის მთლიანად დამოკიდებულნი არიან სახელმწიფო ბიუჯეტზე, ამგვარი დამოკიდებულობის ხარისხი ვრცელდება გადაწყვეტილების მიღებაზეც, როგორც იტყივან, „ვინც იხდის, ის უკვეთავს“.

მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ ყოფაზე „მთის კანონის“ გავლენა მინიმალისტურია, მოკლევადიან პერსპექტივაში შეიძლება მოსახლეობის მდგომაროება გარკვეულწილად შეამსუბუქოს, თუმცა მიგრაციას და სოფლების გაუკაცრიელებას დიდად ხელს ვერ შეუშლის, რადგან:

1. სახელმწიფოს არ გააჩნია ფულადი სახსრები, რათა მთიანი დასახლებების პრობლემები გადაწყვიტოს, 2016 წელს გამოყოფილი 20 მილიონი ლარი, არ არის საკმარისი, როგორც ინფრასტრუქტურული პროექტების, ასევე ადამიანების საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების უზრუნველსაყოფად.
2. მთაში ინვესტიციების ჩადება რთულია და სარისკო, თანაც სახელმწიფო უახლოეს მომავალში უკვე კანონით აკრძალავს უცხოელებზე მიწის მიყიდვის წესს, რაც, გარკვეულწილად, კიდევ უფრო შეანელებს უცხოური ინვესტიციების რაოდენობას მაღალმთიან რეგიონში.
3. მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პენსიონერების, მრავალშვილიანი დედების, მასწავლებლების და სხვა სოციალური ფენისთვის სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულია გარკვეული ტიპის ფინანსური წახალისებები, თუმცა, რომ წარმოვიდგინოთ პენსიონერი, რომელსაც 200 ლარით მეტი ეძლევა პენსია, საჭიროების შემთხვევაში სად დახარჯავს ამ ფულს, როცა ზოგიერთ რეგიონში არ არსებობს არათუ საავამდყოფო, არამედ ამბულატორიაც. ინფრასტრუქტურა გაუმართავია, ზამთრის პერიოდში

ზოგიერთ მუნიციპალიტეტში საკვების პრობლემაც კია, რადგან დიდი ხნის განმავლობაში გზების ჩაკეტვის გამო ვერ ხერხდება სავაჭრო პუნქტების საჭირო სურსათით მომარაგება. მრჩება შტაბეჭდილება, რომ სახელმწიფო გამიზნულად უბიძგებს მთის მოსახლეობას მიეჯაჭვონ მამა-პაპურ გარემოს, რადგან გაუთავებელი ურბანიზაციის შედეგებს ვერ უმკლავდება. როგორც ჩემთან ინტერვიუში ზაქარია ქუცნაშვილმა აღნიშნა, „მთის კანონი“-ს მიღების ერთ-ერთი ფაქტორი მთაში მცხოვრები მოსახლეობისთვის მორალურ-ფსიქოლოგიური მხარდაჭერის აღმოჩენა იყო. სწორედ ამ ფაქტორის გამოყენებით ახდენს იგი „მთაში მოსახლეობის გამაგრებას“.

4. თუმცა თანამედროვე გლობალიზაციისა ტექნოლოგიური განვითარების ეპოქაში ძნელად თუ მოხერხდება ადამიანის ნების საწინააღმდეგოდ მორალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორის გამოყენება, მთელს მსოფლიოში არსებული ტენდენციით განუხრელად მიმდინარეობს ურბანიზაციის პროცესი, განსაკუთრებით განვითარებად სამყაროში, საქართველო კი განვითარებადი სამყაროს ნაწილია, ყველა სოციალურ-პოლიტიკურ-ეკონომიკური პარამეტრით. ადამიანებს აქვთ საშუალება მსოფლიოს ნებისმიერი წერტილის შესახებ მოიპოვონ ინფორმაცია, ასეთ შემთხვევაში მძიმე ყოფითი პირობები უფრო უბიძგებს ადამიანს ბედის საძებნელად უცხო მხარეს მიაშუროს. ჩემი ვარაუდით, მთიანი დასახლებების დაცლა ბუნებრივი პროცესია, რასაც მხოლოდ თუ შეანელებს სახელმწიფოს ძალისხმევა.

სახელმწიფოს მიზანი უნდა იყოს მაღალმთიანი რეგიონების ეკონომიკური გამოცოცხლება, რაც მოსახლეობას სამუდამოდ კი არ მიაჯაჭვებს რთულ ბენებრივ გარემოსთან, არამედ გაუჩენს დამატებით შემოსავალს, მისცემს ღირსეულად ცხოვრების და, შესაბამისად, გაცნობიერებული თავისუფალი არჩევანის საშუალებას,- დარჩეს თუ წავიდეს თავისი ისტორიული კუთხიდან. ამისათვის კი საჭიროა:

1. კანონმდებლობის დახვეწა და სიცოცხლისუნარიანი თვიმმართველობის სისტემის შექმნა
2. ინფრასტრუქტურის განვითარება

3. სახელმწიფოსა და ბიზნეს სექტორის თანამშრომლობის მაღალი დონე
4. ბიზნესის წახალისების ეფექტური სისტემა
5. მთიან რეგიონებში მეწარმეობის ხელშეწყობა და წახალისება
6. ინვესტორების პროფესული მომსახურების ძლიერი ინსტიტუტის დანერგვა
7. სოციალური კაპიტალის შექმნა, მოსახლეობის უნარ-ჩვევების განვითარება და მათი ჩართვა რეგიონალურ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.
8. ახალი ბიზნესის შექმნის, განმტკიცებისა და განვითარების ხელშეწყობა

ამრიგად, არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლეიდან გამომდინარე, „მთის კანონი“-ს გავლენა მაღალმთიანი რეგიონების განვითარებაზე მინიმალისტურია და, უმეტესწილად, სიმბოლურ ხასიათს ატარებს.

გამოყენებული ლიტერატურა

В., А. Б. (1990). *Итоги переписки населения СССР.* Москва: Финансы и статистика.

Conference, W. (14-25/06.1993). *World Conference on Human Rights.* viena: ohchr.org.

Direct, S. (12 თებერვალი 2017 г.). Получено из http://www.sciencedirect.com/science/article/pii/S1512188717300246#

GARB. (7 ოქტომბერი 2014 г.). *გადაცემა მრავალკუთეხი.* Получено из http://garb.ge/news/stumari-mravalkuthkhedshi-metsqhersashishi-zonebi-saqarthveloshi/

governance, T. H. (3-7/06/2017). *A local perspective to the Sustainable Development Goals.* New York: thehagueacademy.com/blog.

Investing in sustanable mountain development. (2016). bern: Centre for Development and Environment (CDE), University of Bern, with Bern Open Publishing (BOP).

Nations, U. (15/07/2015). *Countries reach historic agreement to generate financing for new sustainable development agenda.* Adis Ababa: un.org/.

Nations, U. (3-14/6/1992). *UN Conference on Environmant and Development.* Rio de Janeiro: un.org/geninfo.

დეპარტამენტი, ს. ს. (2014). *საქსტატი.* Получено из http://geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo

თაკო, მ. (11 ივლისი 2013 r.). *რეზონანსი.* Получено из http://resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_artc=16352

ინსტიტუტი, I.-ი. კ. (2013). თბილისი: პროგრამირება და ანალიზი საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროში.

კოლეგია, ს. (2015). *ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში 1991-2014.* თბილისი: საქმოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი.

(2016). *მილიონი ადამიანი სოფლებიდან ქალაქებში გადასახლდა.* თბილისი: Top News.

მინიციპალიტეტი, დ. (ბ.დ.). Получено из http://dusheti.org.ge/img/documents/A_1381416208332001.pdf

მუნიციპალიტეტი, დ. (25 ივნისი 2016 r.). Получено из http://dusheti.org.ge/?l=G&m=11&st=230&id=756

მუნიციპალიტეტი, დ. (ბ.დ.). *სოფლის მხარდაჭერის პროგრამა.* Получено из http://dusheti.org.ge/img/documents/A_1462260836763302.pdf

პარლამეტი, ს. (8 ივნისი 1999 r.). *საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.* Получено из https://matsne.gov.ge/ka/document/view/19210

პარმალენტი, ს. (16 ივლისი 2015 r.). *საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.* Получено из მთის კანონი: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2924386

სამინისტრი, ს. ე. (2016,2017). *სტატისტიკა.* Получено из http://www.energy.gov.ge/publicinformation.php?id_pages=29&lang=geo

სამინისტრო, ს. ფ. (2016). *სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები.* Получено из http://www.mof.ge/images/File/biuj2016_12tve/TAVI_III_e.pdf

ტაბულა. (31 03 2017 r.). *ახალი ამბები.* Получено из http://www.tabula.ge/ge/story/118842-2016-tsels-saqartveloshi-bunebrivi-mateba-bolo-10-tslis-mandzilze-kvelaze-mcire-iko

ცენტრი, კ. ს. (12 08 2016 r.). Получено из Ick.ge: http://ick.ge/articles/30652-i.html?format=html&Itemid=69&option=com_content&id=30652:i&view=article&month=8&year=2016&fontstyle=f-smaller

დანართი

დიაგარამებში 1-9. მოცემულია 1989-2002-2014 წლის საყოველთაო აღწერების მონაცემები მუნიციპალიტეტების მიხედვით. წყარო: http://www.geostat.ge/?action=page&p_id=52&lang=geo, В., А. Б. (1990). *Итоги переписки населения СССР.* Москва: Финансы и статистика.

დიაგრამა 1.



დიაგარამა 2.



დიაგარამა 3.



დიაგარამა 4.



დიაგრამა 5.



დიაგრამა 6.



დიაგარამა 7.



დიაგარამა 8.



დიაგრამა 9.



დიაგარამა 10. მოცემულია საქსტატის მონაცემები. წყარო: http://geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo



დიაგარამა 11. წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://www.geostat.ge/?action=page&p_id=151&lang=geo სტატისტიკურო მაჩვენებლები ეხება 11 და 12 დიაგრამებს.



დიაგრამა 12.



დიაგარამა 13. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ოფიციალური მონაცემები. წყარო: http://shidakartli.gov.ge/ge/projects/category/4 . მონაცემები ეხება 13 და 14 დიაგრამებს.



დიაგრამა 14.



დიაგარამა 15. მთის განვითარების ფონდის მიერ დაფინანსებული მუნიცუპალიტეტები. წყარო: http://shidakartli.gov.ge/ge/projects/category/4





მთის განვითარების ფონდის მიერ განხორციელებული სამუშაოებისა მათი ხარჯთაღრიცხვის დეტალური მონაცემები, ხელმისაწვდომი არაა ინტერნეტში, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ გამოგზავნილი ოციფიალური წერილობითი მიმართვის საფუძველზე.

მთის პროექტები

N	რეგიონი	მუნიციპალიტეტი	პროექტის დასახელება	კატეგორია	პროექტის განხორციელები სათვის გამოყოფილი თანხა
1	იმერეთი	საჩხერე	ჭალა-პერევის საავტომობილო	გზები	474 985

			გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი)		
					474 985
2	იმერეთი	ჭიათურა	მემორიალი-რგანი-ხრეითის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (მე-3 უბანი)	გზები	475 000
					475 000
3	კახეთი	ახმეტა	თუშეთში მდებარე სოფ.დართლო-ჩიღოს დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მშენებლობა	გზები	699 500
					699 500
4	მცხეთა მთიანეთი	ყაზბეგი	ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფ. ფხელშე-გორისციხის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია	გზები	411 737
					411 737
5	მცხეთა მთიანეთი	თიანეთი	სოფელ ჩეკურაანთგორის ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია	შენობა	125 642
6	მცხეთა მთიანეთი	თიანეთი	სოფელ ღულელების ადმინისტრაციულ	შენობა	127 642

			ი შენობის რეაბილიტაცია		
7	მცხეთა მთიანეთი	თიანეთი	დაბა სიონის ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია	შენობა	157 042
					410 326
8	მცხეთა მთიანეთი	დუშეთი	დუშეთის მუნიციპალიტეტის ოშპიტელი-გუდამაყრის საავტომობილო გზის მოასფალტება	გზები	570 000
					570 000
9	რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	ამბროლაური	სოფელ სადმელში შიდა გზების რეაბილიტაცია	გზები	148 283
10	რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	ამბროლაური	ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფ ველევის სოფლის სახლის რეაბილიტაცია	კულტურის ობიექტი	54 178
11	რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	ამბროლაური	ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფ ურავის სასოფლო კლუბის რეაბილიტაცია	კულტურის ობიექტი	176 276
					378 737
12	რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	ლენტეხი	ხოფურის თემის სოფლებში: ხოფური და ლამანაშური ნაპირსამაგრი	ნაპირსამაგრი	66 428

			ჯებირების მოწყობა		
13	რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	ლენტეხი	სოფ. ხელედში (მუღვარეშში) და ლექართის დასახლებაში ნაპირსამაგრი ჯებირების მოწყობა მდ. ხელედურაზე	ნაპირსამაგრი	104 365
14	რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	ლენტეხი	ჩოლურის თემის სოფლებში მამი და ლეუშერი ნაპირსამაგრი ჯებირების მოწყობა	ნაპირსამაგრი	90 655
15	რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	ლენტეხი	ჩოლურის თემის სოფლებში მამი და ლეუშერი ნაპირსამაგრი ჯებირების მოწყობა	ნაპირსამაგრი	51 769
16	რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	ლენტეხი	ჩოლურის თემის სოფლებში მამი, საყდარი, მუწდი, დურაში და ჭველიერი შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია და კაპ. სანიაღვრე არხების მოწყობა წყალგამტარებით	გზები	73 034
					386 251
17	რაჭა-ლეჩხუმი	ონი	ქ. ონში აღმაშენებლის ქ.	კულტურის ობიექტი	851 736

	ქვემო სვანეთი		N52-ში არსებული შენობის სარეკონსტრუქციო -სარეაბილიტაციო სამუშაოები		
					851 736
18	რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	ცაგერი	ქ. ცაგერში მწვანე თეატრის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოები	კულტურის ობიექტი	487 288
					487 288
19	სამეგრელო -ზემო სვანეთი	მესტია	მესტიის მუნიციპალიტეტის სოფ. ლენჯერისა და ფარის საბავშვო ბაღების მშენებლობა	საბავშვო ბაღები	575 725
					575 725
20	სამცხე-ჯავახეთი	ადიგენი	დიდი ზანავი - პატარა ზანავი - ჭულეს ადგილობრივი გზის მოასფალტება	გზები	274 721
21	სამცხე-ჯავახეთი	ადიგენი	ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფ.უდის სასმელი წყლის 1000 ტონიანი რეზერვუარის მოწყობა	წყალმომარაგება	237 151
					511 872
2	სამცხე-	ასპინძა	სოფლების:	გზები	570 329

2	ჯავახეთი		ორგორა, საყუდაბელი, ძველი, ჭობარეთში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია III ეტაპი		
					570 329
23	სამცხე-ჯავახეთი	ახალქალაქი	ქ. ახალქალაქის მ. სარქისიანის ქუჩის მოასფალტება (ჩარენცის ქუჩიდან რუსთაველის ქუჩამდე -160მ)	გზები	113 817
24	სამცხე-ჯავახეთი	ახალქალაქი	მალხასიანის შესახვევის მოასფალტება (მალხასიანის ქუჩიდან სანაპიროს ქუჩამდე - 170მ)	გზები	114 212
25	სამცხე-ჯავახეთი	ახალქალაქი	ქ. ახალქალაქის ვ.ფშაველას ქუჩის მოასფალტება (ჯავახიშვილის ქუჩიდან ჩარენცის ქუჩამდე - 112მ)	გზები	94 928
26	სამცხე-ჯავახეთი	ახალქალაქი	ქ.ახალქალაქის ნაზარეთიანის ქუჩის მოასფალტება (ბოლო მონაკვეთი - 93მ)	გზები	71 411
27	სამცხე-ჯავახეთი	ახალქალაქი	ქ. ახალქალაქის ჯავახეთის ქუჩის	გზები	96 704

			მოასფალტება (დარბინიანის ქუჩიდან ბოლომდე -146მ)		
					491 072
28	სამცხე-ჯავახეთი	ნინოწმინდა	ქ.ნინოწმინდაში შაჰუმიანის ქუჩის მოასფალტება	გზები	286 460
29	სამცხე-ჯავახეთი	ნინოწმინდა	ქ.ნინოწმინდაში ერზრუმის ქუჩის მოასფალტება	გზები	126 882
					413 342
30	ქვემო ქართლი	დმანისი	დმანისი-გომარეთის სახ. მნიშვნელობის გზიდან სოფ. კამარლო-შახმარლოს გზის მოასფალტება	გზები	494 000
					494 000
31	ქვემო ქართლი	თეთრიწყარო	დაბა მანგლისში თამარ მეფის ქ, სტალინის ქ, დემეტრაშვილის ქ. საკანალიზაციო სისტემის მოწყობის სამუშაოები	კანალიზაცია	570 000
					570 000
32	ქვემო ქართლი	წალკა	ქ. წალკის ქუჩებზე ასფალტობეტონის საფარის დაგება	გზები	380 000
					380 000
3	შიდა	ხაშური	ხაშურის	წყალმომარაგებ	247 892

3	ქართლი		მუნიციპალიტეტი ს სოფელ პატარა ფლევის ჭაბურღილისა და წყალმომარაგების ქსელის მოწყობა	ა	
					247 892
3 4	შიდა ქართლი	კასპი	კასპის მუნიციპალიტეტშ ი სოფლების გოსტიბე-ცხავერის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია	გზები	600 000
					600 000

Ivane Javakhishvili Tbilisi state university

Mamuka kobalia

The impact of the 'Law on high mountainous regions' on Georgia's regional development

Human geography

The work has been accomplished to obtain the Master's academic degree in Human Geography

Supervisor: Assistant professor david sichinava

Tbilisi. 2017

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

გიორგი გაბრიელიძე

ცხინვალის რეგიონიდან დევნილი მოსახლეობის სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობა (წეროვანის და კოდას დასახლებების მაგალითი)

საზოგადოებრივი გეოგრაფია

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საზოგადოებრივი გეოგრაფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: **გიორგი გოგსაძე**

პროფესორი

თბილისი, 2017

ანოტაცია

იძულებით გადაადგილებული პირები, საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოწყვლადი ჯგუფია, რომელიც სახელმწიფოს მაღალი ინტერესის საგანს წარმოადგენს. 90-იან წლებში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების შედეგად, ქვეყანაში გაჩნდა დევნილთა პირველი ნაკადი, ხოლო 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობამ იმატა და შესაბამისად მათი პრობლემების დაკმაყოფილებისათვის საჭირო ძალისხმევაც გაიზარდა.

ჩემი ნაშრომის მიზანია, იძულებით გადაადგილებულ პირთა უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლა წეროვანის და კოდას დასახლებების მაგალითზე. მათი შედარების საფუძველზე შევეცდებით გამოვავლინოთ ის გეოგრაფიული ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ დევნილთა ყოფაზე.

მოცემული ნაშრომის კვლევის მიზნიდან გამომდინარე, აუცილებელია, განვიხილოთ სახელმწიფოსა და საერთაშორისო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან გატარებული ღონისძიებების ეფექტურობა იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მიმართ.

აღნიშნული ნაშრომის კვლევის ერთ-ერთი მიმართულება იყო დაგვედგინა, რამდენად არის ინფორმირებული მოსახლეობა სოციალ-ეკონომიკური პროგრამებისა და მათი განხორციელების მექანიზმების შესახებ, რა შესაბამის პროგრამებს ახორციელებს ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლება, რამდენადაა ჩართული მოსახლეობა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებზე გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში.

მიზნის მისაღწევად საჭირო გახდა შემდეგი საკითხების შესწავლა: ა) დევნილებთან მიმართებაში არსებული თეორიულ წყაროების, ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტების და ანგარიშების მიმოხილვა; ბ) შესაბამისი სტატისტიკური მასალის, რომელიც ხელმისაწვდომია სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციათა ანგარიშებში, მოძიება და განზოგადება. გ) ფოკუს-ჯგუფების ორგანიზება კოდასა და წეროვანში მცხოვრებ დევნილების მონაწილეობით, სიღრმისეული ინტერვიუს ჩატარება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან

იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წამომადგენლებთან, კერძოდ ქურთის მუნიციპალიტეტის გამგეობის რწმუნებულებთან.

ნაშრომში მოცემულია კოდასა და წეროვანში მცხოვრებ დევნილების სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი მდგომარეობის ანალიზი. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმ განსხვავებების გამოვლენას, რაც არსებობს ზემოთ აღნიშნული ორი თემის მოსახლეობის ყოფასა და საქმიანობაში.

Annotation

Internally displaced persons are one of the most vulnerable groups in Georgia, which is the subject of high interest of the state. As a result of political developments in the 1990s, the first flow of IDPs appeared in the country and the number of internally displaced persons after the August war 2008 has increased and consequently the effort to meet their problems have been increased.

The purpose of my work is to study the most important social and economical situation of IDPs on the example of Tserovani and Koda settlements. On the basis of their comparison I will try to identify the geographical factors, which has influence on the lives of IDPs.

Depending on the research of this paper, it is necessary to review the effectiveness of the measures taken by the state and international or non-governmental organizations towards the socioeconomic problems of internally displaced persons.

One of the directions of this thesis is to determine how the population is informed about the socio-economic programs and their implementation mechanisms, what appropriate programs are implemented by the local or central government, how much the population is involved in the decision-making process on local issues.

For achieving the goals it was required to study the following issues: a) Review of the theoretical sources, national and international legal documents and reports on IDPs; b) Relevant statistical material available in the reports of governmental and non-governmental organizations, finding and generalization; c) Organize focus groups with participation of IDPs living in Koda and Tserovani, conducting in-depth interview with the representatives of the Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories of Georgia and the Ministry of Refugees and Local Self-Government Authorities, in particular Kurta Municipality Gamgeoba Representative.

The paper provides analysis of the socio-economic and legal situation of IDPs living in Koda and Tserovani. Particular attention was paid to identifying the differences that existed in the lives and activities of the population of abovementioned two communities.

სარჩევი

შესავალი 6

თავი I. საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა (დევნილთა) უფლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის უმნიშვნელოვანესი ასპექტები 11

თავი II.დევნილთა მდგომარეობის სოციალურ-გეოგრაფიული თავისებურებები (წეროვანისა და კოდას შედარებითი ანალიზი). 28

2.1 კოდასა და წეროვანის დევნილთა დასახლებებში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევა - მეთოდიკის ზოგადი აღწერა. 28

2.2 კოდასა და წეროვანში ჩასახლებული დევნილების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა (სიღრმისეული ინტერვიუ და ფოკუს-ჯგუფი) 30

2.3 კოდასა და წეროვანის დევნილთა დასახლების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა - შედარებითი ანალიზი. 45

დასკვნა 49

გამოყენებული ლიტერატურა: 53

დანართი 55

შესავალი

XX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მძიმე სოციალურ-პოლიტიკური პროცესები წარმოიშვა, რაც გამოვლინდა შეიარაღებული კონფლიქტებით აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში.კონფლიქტურ რეგიონებში სეპარატისტულმა ძალებმა რუსეთის მხარდაჭერით მოახერხეს პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვება. ცხინვალსა და აფხაზეთში მცხოვრები მოსახლეობა იძულებული გახდა დაეტოვებინა საკუთარი საცხოვრებელი ადგილი, რის შედეგადაც ქვეყნის ტერიტორიაზე იძულებით გადაადგილებულ პირთა პირველი დასახლებები გაჩნდა. დაპირისპირებები თავდაპირველად დაიწყო ცხინვალის (მაშინდელი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი) ტერიტორიაზე, ხოლო შემდეგ აფხაზეთში. 1992 წელს ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებებს. მას შემდეგ ორივე ტერიტორია დიდ წილად საქართველოს კონტროლისგარეთ რჩება. 1990-იან წლებში მომხდარი კონფლიქტების შედეგად დევნილთა რაოდენობამ 236 000 პირი შეადგინა.[1] 2008 წლის აგვისტოს თვეში რუსეთ-საქართველოს შორის ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე თავი იჩინა ახალმა შეიარაღებულმა კონფლიქტმა, რასაც მოჰყვა ქვეყანაში ოკუპირებული ტერიტორიების გაზრდა და დევნილთა ახალი ნაკადის წარმოქმნა, რომელთა რაოდენობამ შეადგინა 17 000 (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებითგადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ოფიციალური სტატისტიკა).[2] კონფლიქტების შედეგად, იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებები საქართველოს ყველა რეგიონში გაჩნდა, სადაც დღემდე მრავალი პრობლემაა.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ ცხინვალის რეგიონიდან დევნილ მოსახლეობასთან მიმართებაში ბევრი კვლევა ჩატარდა, მაგრამ მათი დასახლებების სოციალურ-გეოგრაფიული გარემოს შესწავლა არ

[1] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ოფიციალურის სტატისტიკა. იხ. დანართი 1;
[2] დევნილთა ოფიციალური სტატისტიკა. იხ. წყარო http://www.mra.gov.ge/geo/static/55;

განხორციელებულა, ამიტომ გადავწყვიტე ჩემს ნაშრომში აღნიშული პრობლემა მეცნიერული კუთხით შემესწავლა და გამეანალიზებინა.

ჩემი ნაშრომის მიზანია, ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლა წეროვანის და კოდას დასახლებების მაგალითზე. ორი დასახლების შედარების საფუძველზე შევეცდები გამოვავლინო ის სოციალურ, ეკონომიკურ, გეოგრაფიული ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ დევნილთა ყოფაზე.

მიზნის მისაღწევად საჭირო გახდა რამდენიმე ამოცანის გადაჭრა: ა) გავეცანი დევნილებთან მიმართებაში არსებულ თეორიულ წყაროებს, ეროვნულ და საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებს ბ) აქტიურად ვიხილავდი ეროვნულ, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებს.გ) მოვიძიე არსებული სტატისტიკური მასალა, რომელიც ხელმისაწვდომია სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციათა ანგარიშებში. დ) ჩავატარე ფოკუს-ჯგუფები კოდასა და წეროვანში მცხოვრებ დევნილებთან, ხოლო სიღრმისეული ინტერვიუ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წამომადგენლებთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსთან, კერძოდ ქურთის მუნიციპალიტეტის გამგეობის რწმუნებულებთან.

ნაშრომის თეორიულ ჩარჩოს წარმოადგენს 1. საქართველოს კანონი ,,საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“, რომლის რეგულირების სფეროს წარმოადგენს დევნილის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა, პირისათვის დევნილის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, ჩამორთმევისა და აღდგენის საფუძვლებსა და წესს, დევნილის სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ გარანტიებს, მის უფლებებსა და მოვალეობებს [3] . 2. საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიში - ,,იძულებით გადაადგილებულ პირთა -დევნილთა უფლებრივი მდომარეობა საქართველოში“, სადაც

[3]საკანონმდებლო მაცნე. 06.02.2014წ. საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ. იხ წყარო https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244506;

საუბარია დევნილთა სოციალური მდგომარეობის და მათი განსახლების შესახებ. ანგარიშში მოცემულია რეკომენდაციები დევნილებში ინფორმირებულობის გაზრდის შესახებ[4]. 3. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2016 წლის ანგარიში, სადაც განხილულია სამინისტროს სტრატეგიები დევნილთა დასახლებებში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ [5]. 4. ევროკავშირის გრანტის ფარგლებში ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშები, სადაც საუბარია დევნილთა დემოგრაფიულ მდგომარეობაზე, პოლიტიკურ აქტივობაზე და საზოგადოებაში ინტეგრაციაზე. 5. გაეროს 2009 წლის №1866 რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტში ჩართულ მხარეებს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შესრულებას და კონფლიქტურ რეგიონში მშვიდობის დამყარებას. რეზოლუციის მე-3 მუხლში ხაზგასმულია კონფლიქტში ჩართული მხარეების მიერ მოსახლეობის მიმართ დისკრიმინაციული ქმედებების განხორციელების აკრძალვა, კონფლიქტის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების , გამოხატვის თავისუფლების და საკუთრების დაცვა[6]. 6. საქართველოში გაეროს უმაღლესი კომისრის საქმიანობის პრიორიტეტული სფეროები, რომელშიც ყურადღება ეთმობა დევნილთა ინტეგრაციას და დევნილებთან მიმართებაში ეროვნული კანომდებლობის საერთაშორისო აქტებთან ჰარმონიზაციას.

ნაშრომში გამოყენებული სტატისტიკური მასალა ეფუძნება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ მოწოდებულ ოფიციალურ მონაცემებს, რომლის მიხედვითაც 2008 წლის აგვისტოს ომიდან დღემდე დევნილთა რაოდენობა შეადგენს 26536 პირს, მათგან 27% 18 წელს ქვემოთაა, ხოლო მოსახლეობის 13% სოციალურად გაჭირვებულია. (იხ. დანართი 1). ცხინვალის რეგიონიდან დევნილი მოსახლეობის დასახლებები უმეტესად აღმოსავლეთ საქართველოში შიდა ქართლში, მცხეთა-

[4]საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიში. იხ. წყარო http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3373.pdf;

[5]საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2016 წლის ანგარიში http://mra.gov.ge/res/docs/2017041019081859539.pdf;

[6]გაერთიანებული ერების ორგანიზაციის №1866 რეზოლუცია http://eng.expertclub.ge/_Expertclub/pdf/UN/Resolution%201866%20(2009).pdf;

მთიანეთსა და ქვემო ქართლში გვხვდება, აქედან ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამოდინარე წარმოვადგინეთ წეროვანის (490 ოჯახი), და კოდას (146 ოჯახი)- სტატისტიკური მონაცემები. უნდა აღინიშნოს, რომ ორივე დასახლება დევნილთა რაოდენობით აღმოსავლეთ საქართველოში სხვა დასახლებებს აღემატება. (იხ. დანართი 2).

კვლევის საგანია წეროვანის და კოდას დასახლებებში მყოფი დევნილთა სოციალ-ეკონომიკური მახასიათებლების შესწავლა. კვლევის მიზნიდან გამომდინარე ორივე დასახლებაში ჩავატარეთ ფოკუს-ჯგუფები, ხოლო სახელმწიფო დაწესებულებებში სიღრმისეული ინტერვიუ. კვლევის ინსტრუმენტად გამოვიყენეთ ,,სადისკუსიო გეგმა“ (იხ. დანართი 3). შერჩევა ფოკუს- ჯგუფებისათვის განვახორციელეთ ,,თოვლის გუნდის“ მეთოდის გამოყენებით წინასწარ განსაზღვრული სოციალურ-დემოგრაფიული მონაცემებით. სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა წეროვანისა და კოდას დასახლებების რწმუნებულებთან, ასევე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წარმომადგენლებთან.

ნაშრომის ძირითად მიგნებას წარმოადგენს ის, რომ განსახილველი ორივე დასახლების დევნილებისთვის საქმიანობის და ყოფის სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური მხარეები დაახლოებით ერთნაირია. თუმცა, არსებობს განსხვავებებიც, რაც განპირობებულია აღნიშნული დასახლებების სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობით და კულტურული ლანდშაფტით. კოდას დასახლება მდებარეობს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სადაც დევნილებს უხდებათ ადგილობრივ მოსახლეობასთან ყოველდღიური ურთიერთობა და ხშირ შემთხვევაში საერთო საკითხების ერთობლივად მოგვარება. წეროვანის დასახლება, ერთი მხრივ ახლოს არის თბილისთან, რაც მის მაცხოვრებლებს დასაქმების უკეთეს შესაძლებლობებს უქმნის, მაგრამ, მეორე მხრივ, ის იზოლირებულია, რის გამოც დევნილი მოსახლეობისთის რთულდება ყოფითი და სოციალურ-ეკონომიკური კომუნუნიკაციის დამყარება სხვა დასახლებების მოსახლეობასთან. საბოლოო ჯამში, ეს ხელს უშლის წეროვანის თემის დევნილთა ინტეგრაციას საზოგადოებაში.

ამრიგად, არსებობს მნიშვნელოვანი კითხვები, რომელსაც უნდა გაეცეს პასუხი:როგორ ხორციელდება სოციალური-ეკონომიკური სფეროს პოლიტიკა სახელმწიფოს მხრიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ, რამდენად სისტემურ ხასიათს ატარებს ის, რა გამოწვევების წინაშე დგას ადგილობრივი მთავრობა თუ სამოქალაქო სექტორი, როგორია სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების მიზნობრივი კატეგორიების მიერ პროგრამების ეფექტურობის, ხარისხისა და მიწოდებისადმი დამოკიდებულება და კმაყოფილება, რა დამატებითი საჭიროებები არსებობს ბენეფიციარებისათვის, რომელიც ჯერ არ არის დაკმაყოფილებული არცერთი სახელმწიფო ან ადგილობრივი სოციალური პროგრამების ფარგლებში.

თავი I. საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა (დევნილთა) უფლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის უმნიშვნელოვანესი ასპექტები

საქართველოში შეიარაღებული კონფლიქტების შემდეგ, სახელმწიფოს მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო იძულებით გადაადგილებულ პირთა სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა, მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაცია.

ამ გამოწვევებთან მიმართებაში ჩატარდა მრავალი საერთაშორისო კვლევა და მომზადდა რეკომენდაციები, მათ შორის მნიშვნელოვანია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) მიერ ჩატარებული კვლევა,[7] რომლის საფუძველზეც მომზადდა 2009 წლის ანგარიში,[8] სადაც წარმოდგენილი და გაანალიზებულია ის გამოწვევები, რომლიც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს ეხება. ნაშრომს დიდი გავლენა ჰქონდა სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების პროცესში.

უპირველესყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს პოლიტიკური ნება მიმართული იყო დევნილთა საჭიროებების და მათი პრიორიტეტულობის განსაზღვრისკენ, თუმცა არსებობდა გარკვეული სირთულეები:

- ყოვლისმომცველი და კვალიფიციური სტრატეგიული გეგმის საჭიროება;
- შემუშავებული სტრატეგიული გეგმის ეფექტური იმპლემენტაცია, რაც გულისხმობდა ვალდებულების და პასუხისმგებლობის ეფექტურ განაწილებას სხვადასხვა სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორებს შორის;
- პრობლემის ეფექტური მოგვარების გზების დასახვა, რაც დაკავშირებული იყო სიტუაციის შეფასებისას სანდო და რეპრეზენტატული მონაცემების შეგროვებასთან;

[7] http://www.unhcr.org/protection/convention/4ad827b12/idp-livelihoods-assessment-february-2009.html?query=statistic%20in%20Georgia

[8] UNHCR Global Report 2009.PP 263-267. იხ წყარო http://www.unhcr.org/4c08f22f9.pdf#zoom=95

- მიღებული მონაცემების გაზიარება პრობლემის მოგვარებაში ჩართულ სხვადასხვა მხარესთან;
- ეფექტური კომუნიკაციური სტრატეგიის შემუშავება, რომლის მიზანია საზოგადოების შეგნების ამაღლება პრობლემების მოგვარების პროცესში მათი ჩართულობის და დევნილი მოსახლეობის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის წინააღმდგ;
- სიღრმისეული გამოკვლევის ჩატარება დევნილ მოსახლეობასთან, რომლის მიზანია განისაზღვროს მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და საზოგადოებაში ინტეგრაციის საკითხი;

ნაშრომში წარმოდგენილია ძირითადი მიგნებები:

- 2008 წელს დევნილებთან მიმართებაში არსებული სახელმწიფო პოლიტიკა იყო არაეფექტური, მოვალეობები და პასუხისმგებლობები ბუნდოვნად იყო განაწილებული, რომელიც ხელს უშლიდა სტრატეგიული ხედვის ნათლად ჩამოყალიბებას;
- დევნილები ისევ ცხოვრობენ კომპაქტურ დასახლებებში, რის გამოც ისინი სოციალურად უფრო მოწყვლად ჯგუფებს განეკუთვნება, ვიდრე დანარჩენი მოსახლეობა;
- ,,დევნილთა ახალი დასახლებები“ მდებარეობს ეკონომიკურად განუვითარებელ სასოფლო ადგილებში, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს მოსახლეობის სოციალ-ეკონომიკურ მდგომარეობას;
- ამჟამინდელი მდომარეობით ნაკლები შესაძლებლობაა, ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებული პირები დაუბრუნდნენ საკუთარ სახლებს, ამიტომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მათი სოციალური პრობლემების მოგვარება გრძელვადიან სტრატეგიაში, რაც პირველ რიგში დევნილთა საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესებას გულისხმობს.
- გრძელვადიან სტრატეგიაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვებს, მოზარდებს, სპეციალური საჭიროების მქონე ადამიანებს და მოხუცებს, რომელთაც უნდა ჰქონდეს შესაბამისი საცხოვრებელი და სოციალური გარემო.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2009 წლის საერთაშორისო ანგარიშში საუბარია 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. ანგარიშში საუბარია საქართველოს სახელმწიფოს და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის კავკასის ოფისის მიერ გატარებულ ღონისძიებებზე, რაც დადებითად აისახა დევნილ მოსახლეობაზე.

სახელმწიფოს მნიშვნელოვანი მიღწევები:

- სახელმწიფომ 20 000-ზე მეტი იძულებით გადაადგილებული პირის ინტეგრაციის მიზნით გასცა ფულადი კომპენსაცია და უზრუნველყო საცოხვრებელი პირობებით საქართველოს სხვადასხვა დასახლებებში, რომელიც არ შექმნილა სპეციალურად დევნილებისათვის.
- გაეროს მხარდაჭერით სახელმწიფომ შეიმუშავა 3 წლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს 246 000 -ზე მეტი დევნილისათვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას.
- მომზადდა მნიშვნელოვანი სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც ხელს შეუწყობს დევნილთა სამართლებრივი უფლებების დაცვას.
- გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მხადაჭერით სახელმწიფო დევნილთა დასახლებებში აფუძნებს გაერთიანებებს, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდების ინტეგრაციას საზოგადოებაში.

გაერო იმედოვნებს, რომ მათი მხარდაჭერით განხორციელებულ პროექტებს დადებითი გავლენა ექნებათ დევნილი მოსახლეობისათვის შედგეომ წლებში.

სახელმწიფოს მხრიდან დროთა განმავლობაში ხდებოდა სამართლებრივი დოკუმენტების დახვეწა და მორგება იძულებით გაადგილებულ პირთა მიმართ.

იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ 2014 წლის 1 მარტამდე მოქმედებდა კანონი, რომლის მიხედვითაც „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად (შემდგომ – დევნილი) ჩაითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი

ადგილი იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მის ან მასთან მცხოვრები ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიისა და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო, ან ამ კანონის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში".[9]

ახალი კანონის ძალაში შესვლით შეიცვალა მრავალი მიდგომა, რომელიც სახელმწიფოს დევნილთა მიმართ წლების განმავლობაში ჰქონდა. მათ შორის უმთავრესია იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილის განმარტება, რომელიც აღარ არის შეზღუდული ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებით. აღსანიშნავია, რომ კანონის ძალაში შესვლამდე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა" შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლის (დევნილის ცნება) პირველი პუნქტის სიტყვები - „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან", საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან (ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა) მიმართებით[10]. დევნილის განმარტების მოქმედი კანონის ფორმულირებით, იძულებით გადაადგილებული პირის, დევნილის სტატუსის მიღება შეუძლია არა მხოლოდ ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირს, არამედ პირსაც, რომელიც იძულებით გადაადგილდა ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო. „იძულებით გადაადგილებულ პირად-დევნილად ითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იმ მიზეზით, რომ უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიის, შეიარაღებული კონფლიქტის, საყოველთაო ძალადობის ან/და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო

[9] ძალადაკარგულია-საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება № 1 / 3 / 534,14 .0 6 .201 3 წ.

[10]საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე- „მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

საფრთხე შეექმნა მის ან მისი ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას ან/და ზემოაღნიშნული მიზეზის გათვალისწინებით შეუძლებელია მისი მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება“[11] .

ჩემი აზრით, სტატუსზე მორგებული მიდგომა, რომელიც დღეს სახელმწიფოს გააჩნია, ვერ უზრუნველყოფს ყველაზე მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფი დევნილების პირობების გაუმჯობესებას. საჭიროებებზე მორგებულ მიდგომაზე გადასვლის პროცესი საკმაოდ ხანგრძლივი და რისკების შემცველი იქნება, ამიტომ აუცილებელია სახელმწიფომ დროულად დაიწყოს ამ საკითხზე მუშაობა და უზრუნველყოს ამ პროცესში, როგორც არასამთავრობო სექტორის, ასევე დევნილთა ჩართულობა.

გარდა აღნიშნული სიახლისა, ახალი კანონით გაუქუმდა კომპაქტური და კერძო ჩასახლებების ცნებები, რაც წლების განმვალობაში იყო დევნილთა ორი კატეგორიის მიმართ უთანასწორო დამოკიდებულების გამომწვევი. კანონმდებლობით ასევე განისაზღვრა დევნილთა ინტეგრაციის და გამოსახლებისგან დაცვის ვალდებულებები.

2014 წელს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ შეიმუშავა 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმა.

სამოქმედო გეგმა 3 ძირითად ნაწილად არის დაყოფილი: ა) დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, ალტერნატიული გრძელვადიანი განსახლების პროგრამებით უზრუნველყოფის გზით; ბ) დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება; გ) დევნილთა ინფორმირებულობის გაზრდა. თითოეული ამოცანის მისაღწევად სამოქმედო გეგმაში სხვადასხვა ღონისძიებებია გაწერილი, რომელთა ნაწილი სიახლეა დევნილთა სფეროში და აქამდე არ განხორციელებულა. მაგალითად სიახლეს წარმოადგენს გრძელვადიანი განსახლების მიზნით, სახელმწიფოს მიერ ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემა იმ დევნილ ოჯახებზე, რომლებმაც 2015 წლის პირველ იანვრამდე იპოთეკური სესხით შეიძინეს საცხოვრებელი სახლი/ბინები და

[11] საქართველოს კანონი „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“, ქუთაისი, 06.02.2014წ.

აღნიშნული საცხოვრებელი სახლი/ბინები არის მათი ერთადერთი ფაქტიური საცხოვრებელი.[12]

2014 წელს ცვლილებები შევიდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებაში.[13] აღნიშნული ცვლილებებით სულადობის მიხედვით დაწესდა შეზღუდვები იმ თანხის მაქსიმალურ ოდენობაზე, რომელიც გამოიყოფოდა დევნილთა კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის შესყიდვისთვის. ცვლილებების მიხედვით ნასყიდობის ოდენობის მაქსიმალური ღირებულება შემდეგნაირად განისაზღვრა:

ა) არაუმეტეს 17 000 ლარისა - ოჯახზე, რომელიც შედგება 1-2 წევრისაგან;

ბ) არაუმეტეს 21 000 ლარისა - ოჯახზე, რომელიც შედგება 3-4 წევრისგან;

გ) არაუმეტეს 26 000 ლარისა - ოჯახზე, რომელიც შედგება 5-7 წევრისაგან;

დ) არაუმეტეს 31 000 ლარისა- ოჯახზე, რომელიც შედგება 8 და მეტი წევრისგან.[14]

ვთვლი, რომ მსგავსი მიდგომა უფრო სამართლიანია და დევნილი ოჯახების საჭიროებებზე მეტად მორგებული, ვიდრე ცვლილებებამდე არსებული პრაქტიკა, როდესაც დევნილი ოჯახისთვის, მიუხედავად ოჯახის წევრების რაოდენობისა, არაუმეტეს 20 000 ლარისა გამოიყოფოდა.

რაც შეეხება სხვა ახალ მიმართულებებს, აღსანიშნავია „დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს“ შექმნა. სააგენტო 2013 წლის 31 მაისს შეიქმნა[15], თუმცა მუშაობა 2014 წლის ოქტომბერში დაიწყო. 2014 წელს შემუშავდა „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთათვის საარსებო წყაროების ხელმისაწვდომობის

[12] საქართველოს მთავრობის, 2015 წლის 4 თებერვლის განკარგულება №127, „ იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მიმართ 2015-2016 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ პუნ.2.1.7;
[13] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს ბრძანება №320.
[14] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2014 წლის 12 დეკემბრის ბრძანება №28886, მუხ.1. პუნ.2.
[15] საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 31 მაისის №367 ბრძანებულება.

მხარდაჭერის სტრატეგია“, რომელიც განსაზღვრავს დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის პრიორიტეტებს და მათი განხორციელების გზებს. აღნიშნული სტრატეგიისა და სააგენტოს შექმნის ძირითადი მიზანი გრძელვადიან ჭრილში დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაა. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის 2014 წლის 19 აგვისტოს მეოთხე პერიოდული ანგარიშის დასკვნითი ნაწილის მიხედვით, სახელმწიფომ გარდა განსახლებისა, მუშაობა უნდა გააძლიეროს დევნილთა ახალი განსახლების ადგილებში მათთვის საარსებო წყაროების შექმნის კუთხითაც.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 2005 წლის 28 ივნისს მიღებული დოკუმენტის, ე.წ. „პინეიროს პრინციპების“ თანახმად:

„ყველა ლტოლვილს და იძულებით გადაადგილებულ პირს აქვს უფლება დაუბრუნდეს სახლი, მიწა ან/და საკუთრება, რომელიც მათ სავალდებულო წესით ან უკანონოდ ჩამოერთვათ, ან მიიღოს იმ სახლის, მიწის ან/და საკუთრების სანაცვლო კომპენსაცია, რომელთა მისთვის დაბრუნდება შეუძლებელია“.[16]

იძულებით გადაადგილებული პირების განსახლების ვალდებულება უპირველესად აქვს სახელმწიფოს.[17] ზემოაღნიშნულ პრინციპებს არ გააჩნია კონვენციური ხასიათი და სახელმწიფოებისთვის სამართლებრივ ვალდებულებას არ წარმოადგენს. თუმცა, აღნიშნული პრინციპები დაფუძნებულია საერთაშორისო, რეგიონული და ეროვნული სამართლის წყაროებზე. პრინციპები შექმნილია გაეროს ექსპერტების მიერ და უნდა გაითვალისწინონ გაეროს წევრმა ორგანიზაციებმა.

ზემო აღნიშნულ საერთაშორისო პრინციპებს ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობაც. ყველა დევნილს აქვს უფლება ისარგებლოს სათანადო საცხოვრებლით საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში, ხოლო სახელმწიფოს აქვს

[16] გაეროს პრინციპები საცხოვრებლისა და საკუთრების რესტიტუციაზე ლტოლვილი და დვენილი პირებისათვის, მუხ.1.1;

[17] „საცხოვრებლისა და საკუთრების რესტიტუცია ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთათვის-პინეიროს პრინციპების იმპლემენტაცია“, 2007წ. ;

ვალდებულება ყოველი დევნილი უზრუნველყოს ასეთი საცხოვრებელით.[18] მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა დევნილთა სათანადო საცხოვრებლის უზრუნველყოფის მხრივ მეტწილად

გამართულია, დღემდე დევნილთა უდიდეს ნაწილს სახელმწიოფსგან საცხოვრებელი ფართი არ მიუღია.

გრძელვადიანი გადაწყვეტა მიღწეულად მიიჩნევა მაშინ, როდესაც იძულებით გადაადგილებულ პირებს აღარ სჭირდებათ იძულებით გადაადგილებასთან დაკავშირებული რაიმე კონკრეტული დახმარება და დაცვა, შეუძლიათ ისარგებლონ ადამიანის უფლებებით მათი დევნილობის ნიშნით ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. აღნიშნული მიიღწევა შემდეგი გზებით: მუდმივ საცხოვრებელ ადგილას მდგრადი რეინტეგრაციით (დაბრუნების უფლება), თავშესაფარ ადგილებში რეინტეგრაციით (ადგილობრივი ინტეგრაცია) ან ქვეყნის სხვა ნაწილში განსახლებით.[19]

იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემების გრძელვადიანი გადაწყვეტა ჩამოყალიბებულია გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებში იძულებით გადაადგილების შესახებ, რომელიც დევნილთა უფლებების განსაზღვრისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს.[20] საერთაშორისო პრინციპებს საქართველოს კანონმდებლობაც ითვალისწინებს. იძულებით გადაადგილებულ პირთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნებამდე, სახელმწიფოს პრიორიტეტებად კვლავ მათი გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფა და სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა რჩება.

მოქმედი კანონმდებლობით[21], დევნილთა გრძელვადიანი განსახლების 4 ძირითადი პროგრამა არსებობს:

---

[18] „ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ საქართველოს კანონი“ მუხლები12 და 14.

[19] უწყებათაშორისი მუდმივმოქმედი კომიტეტის სქემა იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემების გრძელვადიანი გადაწყვეტის შესახებ.

[20] გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები იძულებით გადაადგილების შესახებ, 28-ე და 30-ე პრინციპი.

[21] „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანება „ დევნილთა გრძელვადიანი

- ✓ რეაბილიტირებულ და ახალაშენებულ შენობებში დევნილთა განსახლება;
- ✓ დევნილი ოჯახებისთვის ინდივიდუალური სახლებისა და ბინების შეძენა („სოფლად სახლის“ პროექტის ფარგლებში);
- ✓ კერძო საკუთრებაში არსებული დევნილთა ჩასახლებების დევნილთათვის საკუთრებაში გადაცემა (პრივატიზების პროცესის გზით);
- ✓ იპოთეკური სესხის დაფარვის პროგრამა.

საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიშში მოხსენიებულია, რომ სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები აკვირდებოდნენ დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის (შემდგომში კომისია) მიერ ბინების განაწილების, ასევე კენჭისყრის პროცესს. 2016 წელს გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფილია 1552 დევნილი ოჯახი აქედან, საცხოვრებელი სახლის შესყიდვა („სოფლად სახლი“) განხორციელდა 608 ოჯახისათვის, იპოთეკური სესხის დაფარვის პროგრამის ფარგლებში დაკმაყოფილდა 44 ოჯახი, რეაბილიტირებულ და ახალაშენებულ შენობებში განსახლდა 900 ოჯახი. 52 886 დევნილი ოჯახი კვლავ საჭიროებს თავშესაფრით უზრუნველყოფას.[22]

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ წინა წლების მსგავსად, კომპაქტურად განსახლებულ ობიექტებში მცხოვრები დევნილების პრობლემები უცვლელია. კვლავ აქტუალურია ყოფილი კოლექტიური ცენტრების რეაბილიტაციის პროცესი და სარემონტო სამუშაოების დაბალი ხარისხი. ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებს საშუალება მისცა, ისარგებლონ მუნიციპალიტეტების ფინანსური მხარდაჭერით შენობების მოვლასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესის, კრიტერიუმებისა და დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის დებულება“;

[22] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2016 წლის 28 დეკემბრის№01-02/08/32576 წერილი http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4523.pdf;

იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებიც თავიანთი საცხოვრებელი ფართის მეპატრონენი ხდებიან, ავტომატურად ჩაითვლებიან ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრად. შესაბამისად, თუ აქამდე დევნილების საბინაო პრობლემების გადაჭრა დევნილთა სამინისტროს ნებაზე იყო დამოკიდებული, ამ შემთხვევაში დევნილებს შეუძლიათ მსგავსი პრობლემების მოსაგვარებლად ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს მიმართონ.

დევნილებს არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია ამხანაგობების სიტემის შესახებ. იმ კომპაქტურად განსახლების ობიექტებშიც კი, სადაც უკვე დააარსეს ამხანაგობები, მხოლოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ, თუ როგორ ფუნქციონირებს ეს სისტემა, ან რა სარგებლის მიღება შეუძლიათ. გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც კომპაქტურად განსახლების ობიექტებში დევნილები არ თვლიან თავს ამხანაგობებში გადაწყვეტილების მიღების პროცესის მონაწილედ. ამხანაგობების დაარსების პროცესს ხშირად დევნილთა საზოგადოების ყველაზე აქტიური ლიდერები წარმართავენ, რომლებიც თითქმის ავტომატურად ხდებიან ამხანაგობის თავმჯდომარეები. მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებმა დევნილებს მიაწოდონ სათანადო ინფორმაცია, რათა თავიდან იქნას აცილებული ერთი ან რამდენიმე პირის მიერ, სხვა მესაკუთრეთა თანხმობის გარეშე, გადაწყვეტილებების მიღება.

სახალხო დამცველი 2016 წლის ანგარიშში საუბრობს იმ ობიექტებზე, რომლებიც სათანადო საცხოვრებლის[23] მინიმალურ სტანდარტებსაც ვერ აკმაყოფილებს.

რეაბილიტაციის საჭიროებები ძირითადად საკანალიზაციო და წყალგაყვანილობის სისტემებს, სახურავის და მზიდი კედლების შეკეთების პრობლემებს მოიცავს. ეს ის მინიმალური საყოფაცხოვრებო პირობებია, რომლებიც შენობის დაკანონებამდე უნდა უზრუნველყოფილიყო სამინისტროს მიერ.

[23] „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სათანადო საცხოვრებელი გულისხმობს დევნილისათვის საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელს, სადაც უზრუნველყოფილია ღირსეული ცხოვრებისათვის აუცილებელი პირობები, მათ შორის უსაფრთხოებისა და სანიტარული თვალსაზრისით დამაკმაყოფილებელი პირობები.

მონიტორინგმა აჩვენა, რომ საქართველოს მასშტაბით პრივატიზებულ ობიექტებთან დაკავშირებით, დევნილთა საყოფაცხოვრებო პრობლემებზე მუშაობისას მუნიციპალიტეტები აქტიურობის დონით განსხვავდებიან. ობიექტის დაკანონების მიუხედავად, მუნიციპალიტეტებს არ აქვთ საკმარისი რესურსი იმისათვის, რომ დევნილთა პრობლემები აღმოფხვრან. შესაბამისად, მნიშვნელოვანია დევნილთა სამინისტროს და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების კოორდინირებული მუშაობა, რათა მსგავსი პრობლემები აღმოიფხვრას.

კვლავ პრობლემას წარმოადგენს ე.წ. ნახევრად დაკანონებული ობიექტები, სადაც არაერთხელ განხორციელდა აზომვითი სამუშაოები, თუმცა ამ დრომდე არ მომხდარა სრული პრივატიზაცია. ამ პრობლემის გამო, დევნილები ვერ ახერხებენ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შექმნას, ქონების საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგვას და სხვა სამოქალაქო უფლებების რეალიზაციას.

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს შენობა-ნაგებობებზე მიკუთვნებული მიწის ნაკვეთის წითელი ხაზების დადგენა, რომელიც საერთო სარგებლობის ფართებთან ერთად (სხვენი, სარდაფი, კიბის უჯრედი, დერეფანი და ა.შ.) დღემდე სახელმწიფოს საკუთრებაა. ამ გარემოების გამო, დევნილები ვერ სარგებლობენ ისეთი მუნიციპალური სერვისებით, როგორიცაა ეზოებისა და მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა და სხვა. პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია საერთო სარგებლობის ფართების ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის საერთო საკუთრებაში გადაცემის გზით.[24]

დადებით შეფასებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ 2016 წელს 1 552 დევნილი ოჯახი დაკმაყოფილდა გრძელვადიანი საცხოვრებლით. აქედან, ნგრევად და სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის მომეტებული საფრთხის შემცველ ობიექტებში მცხოვრებ 179 დევნილ ოჯახს გადაეცა სხვა საცხოვრებელი ფართი. თუმცა, კვლავ ერთ-ერთ მწვავე პრობლემად რჩება ავარიულ შენობებში იძულებით გადაადგილებულ პირთა ცხოვრება.

[24] სახალხო დამცველის ანგარიში, იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა უფლებრივი მდგომარეობა, 2016წ.

სახალხო დამცველის მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ გარკვეულ ობიექტებში საცხოვრებელი პირობები უკიდურესად მძიმეა.

აქედან გამომდინარე, აღსანიშნავი ფაქტია, რომ 2017 წლის ერთ-ერთი პრიორიტეტი სამინისტროსთვის ასეთი შენობებიდან დევნილთა განსახლება ან შენობების სრული რეაბილიტაცია უნდა იყოს. დანგრევის პირას მყოფი ობიექტების პრობლემის გადაჭრის გადავადებამ შეიძლება უმძიმეს შედეგებამდე მიგვიყვანოს. იქ მცხოვრები დევნილების ჯანმრთელობა და სიცოცხლე ყოველდღიურად საფრთხის ქვეშ არის.

დღეს დევნილთა სამინისტრო კომპაქტურ ჩასახლებებს ადმინისტრაციულად „ხურავს“ მაშინ, როდესაც იქ მცხოვრები ყველა დევნილი დაკმაყოფილებულია გრძელვადიანი საცხოვრებლით. ეს პროცესი სამი ძირითადი ფორმით ხორციელდება: [25]

1. პრივატიზება: კომპაქტური ჩასახლება, რომელიც სრულად არის პრივატიზებული და მისი მოვლა-პატრონობა უკვე იქ მცხოვრები მესაკუთრეების და ბინათამხანაგობის პასუხისმგებლობას წარმოადგენს;

2. დაცლა: დევნილები განასახლეს ან დროებით გაიყვანეს სხვაგან, კომპაქტური ჩასახლების შენობის პოტენციური ან ფაქტობრივი ნგრევის გამო. შენობაზე პასუხისმგებელია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ან მუნიციპალიტეტი;

3. დაცლა: დევნილები საკუთარი სურვილით ან დევნილთა სამინისტროს პროგრამის ნაწილის ფარგლებში გადაიყვანეს სხვაგან, მაგრამ კომპაქტური ჩასახლება არ ინგრევა. შენობაზე პასუხისმგებელია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ან მუნიციპალიტეტი.

მას შემდეგ, რაც კომპაქტური ჩასახლების ობიექტი ადმინისტრაციულად დაიხურება, შენობას იღებენ დევნილთა სამინისტროს მონაცემთა ბაზიდან, ხოლო პასუხისმგებლობა შენობაზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების

[25] სახალხო დამცველის ანგარიში, იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა უფლებრივი მდგომარეობა, 2016წ.

სამინისტროს ან მუნიციპალიტეტს უბრუნდება. დევნილთა სამინისტროს მიერ შენობის ზემოაღნიშნული სამი ფორმით ადმინისტრაციულად დახურვის შემთხვევაშიც, ხშირად დევნილები თუ სხვა უსახლკარო/სოციალურად დაუცველი ადამიანები იკავებენ და აგრძელებენ შენობაში ცხოვრებას, იმისდა მიუხედავად, რომ მათ (დევნილების შემთხვევაში) შესთავაზეს/ისინი დაკმაყოფილდნენ დროებითი ან გრძელვადიანი საცხოვრებლით. ამგვარი სიტუაციის აღსაწერად დევნილთა სამინისტრო იყენებს ტერმინს „ნაწილობრივ დახურვა“.

დღევანდელი მონაცემებით, იძულებით გადაადგილებულ პირთა მიერ თბილისში თვითნებურად დაკავებულია 23 ობიექტი.[26]ამიტომ რეკომენდებულია, რომ ტერმინი „დახურვა“ ნიშნავდეს, როგორც ადმინისტრაციულად, ასევე ფიზიკურად შენობის დახურვას. შენობაზე პასუხისმგებელმა უწყებამ უნდა უზრუნველყოს მისი დაცვა სხვადასხვა პირის მიერ თვითნებურად დაკავებისაგან, რადგან ამ შენობებში ისევ არსებობს მომეტებული საფრთხე ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.

ყველა ზემო აღნიშნულთან ერთად, ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას იძულებით გადადგილებულ პირებისთვის წარმოადგენს, დევნილთა სამინისტროს თუ ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მიერ განხორციელებულ პროგრამებსა და ინიციატივებზე ინფორმაციის ხელმიუწვდომლობა. ეს პრობლემა დევნილებთან საუბრისას მკაფიოდ გამოიკვეთა, რომელიც მეორე თავში ვრცლად მაქვს განხილული.

თუმცა ამის საპირისპიროდ დევნილთა სამინისტროს 2016 წლის ანგარიში სხვაგვარ პასუხს იძლევა.

დევნილთა სამინისტროს პარტნიორებთან, მათ შორის საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით შემუშავებულ იქნა კომუნიკაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცდა 2016 წლის 31 მარტის მინისტრის ბრძანებით.

[26] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2016 წლის 28 დეკემბრის №01-02/08/32583 წერილი.

კომუნიკაციის სტრატეგია მიზნად ისახავს განავითაროს სამინისტროს საჯარო მომსახურებაზე ფოკუსირებული კომუნიკაცია და უზრუნველყოს სამინისტროს გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება სამოქალაქო საზოგადოების წინაშე.

სამინისტრო მომსახურებას უწევს სხვადასხვა საჭიროებების მქონე ადამიანებს, მათ შორის დევნილებს, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და გადაადგილებას დაქვემდებარებულ ოჯახებს (ეკომიგრანტებს), რეპატრიანტებს, დაბრუნებულ მიგრანტებს, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს და თავშესაფრის მაძიებლებს . ბენეფიციარებისთვის გაწეული მოსახურება ითვალისწინებს მათ აღრიცხვას, კანონით დადგენილი დახმარებების მიწოდებას, თავშესაფრის, საცხოვრებლის, საარსებო წყაროების და ბენეფიციარების სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის მხარდამჭერი პროექტების განხორციელებას.

აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების დროს სამინისტრო მჭიდროდ თანამშრომლობს სხვადასხვა სამინისტროებთან, პარლამენტთან, სახალხო დამცველთან, მუნიციპალიტეტებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დონორებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მედიასთან და სხვადასხვა დაინტერესებულ პირებთან.

სამინისტრო ითვალისწინებს, რომ მის ბენეფიციარებში არიან სხვადასხვა მოწყვლადი ქვე-ჯგუფები, რომლებთანაც კომუნიკაციას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ასეთ ქვე-ჯგუფებში შედიან: ქალები, გოგონები, ბავშვები, ხანდაზმულები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებნი, ქართული ენის არ მცოდნენი და სხვა კატეგორიის ადამიანები, რომლებსაც დახმარება ჭირდებათ საზოგადოებაში ინტეგრაციისა და თავიანთი უფლებების განხორციელების დროს. სამინისტროს მისია კომუნიკაციის მიმართულებით შედგება შემდეგი ელემენტებისგან:

1. პროაქტიური კომუნიკაციის გაუმჯობესება და ეფექტური სტრატეგიული

კომუნიკაციის ინოვაციური მეთოდების დანერგვა;

2. სამინისტროს ბენეფიციარების დროული და სათანადო ინფორმირებულობა მათი უფლებების, ვალდებულებების და სახელმწიფო პროგრამების შესახებ;

3. გამჭვირვალობა და საზოგადოების ჩართულობა სამინისტროს ბენეფიციარებთან დაკავშირებულ საკითხებში.

4. ეფექტური და თანმიმდევრული კომუნიკაციით სამინისტროს იმიჯის გაძლიერება;

5. სამინისტროს შიდა კომუნიკაციის გაუმჯობესება. კომუნიკაციის სტრატეგიის მიზნებია:

- სამინისტროს ბენეფიციარების ინფორმირებულობა სამინისტროს მიერ მათ დაცვასთან და საზოგადოებაში მათ წარმატებულ ინტეგრაციასთან დაკავშირებით განხორციელებული ღონისძიებებისა და პოლიტიკის შესახებ. ბენეფიციარების ჩართულობის გაზრდა სამინისტროს პრიორიტეტებთან დაკავშირებულ დიალოგში;
- სამინისტროს გამჭვირვალე, მზრუნველი და ეფექტური მომსახურეობის მიმწოდებლის სახის მუდმივი გაუმჯობესება თავის ბენეფიციარებთან თანასწორი და არადისკრიმინაციული მოპყრობის პრინციპის შესაბამისად;
- ეფექტური კომუნიკაციის გზების დასახვა.

2016 წლის განმავლობაში სამინისტრო ახორციელებდა, კომუნიკაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში გაწერილ, ამოცანებსა და გასატარებელ ღონისძიებებს, როგორიც არის:

- სამინისტროს ბენეფიციარების ინფორმირება 2016 წელს მიმდინარე პროგრამების შესახებ:

- დევნილთა ინფორმირება საქართველოს მთავრობის მიერ 2015 წლის 18 დეკემბერს დამტკიცებული საარსებო წყაროების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პროგრამების და ღონისძიებების შესახებ;

- დევნილთა ინფორმირება საქართველოს მთავრობის მიერ 2015 წლის 4 თებერვალს დამტკიცებული დევნილთა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული გრძელვადიანი და დროებითი განსახლების პროგრამების, „სოფლად სახლის“ პროგრამის, დევნილთათვის უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის, ერთჯერადი ფულადი დახმარებების, ასევე სხვა დახმარებების და ღონისძიებების შესახებ;

- საინფორმაციო ბროშურების (არაბულ, ფრანგულ, სპარსულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე) გავრცელება სამიზნე ჯგუფში მათთვის ადმინისტრაციული პროცედურების, საქართველოში ცხოვრების და ადგილობრივ საზოგადოებაში ინტეგრაციის შესაძლებლობების შესახებ;

- არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ბეჭდვითი და ელექტრონული ინფორმაციის მიწოდება 2016 წელს სამინისტროების მიერ განსახორციელებელი პოგრამების შესახებ, მათი ჩართულობა სამინისტროს ბენეფიციარებისთვის ინფორმაციის მომზადებასა და საინფორმაციო კამპანიების განხორციელებაში, ასევე სამუშაო შეხვედრების და მრგვალი მაგიდების მეშვეობით მათი რეგულარული ინფორმირება მიმდინარე პროექტების შესახებ;
- ადგილობრივი სათემო და არასამთავრობო ორგანიზაციების, საგანმანათლებლო დაწესებულების და სხვა შუამავალი რგოლების ცნობიერების ამაღლება საქართველოში თავშესაფრის სისტემის და ინტეგრაციის პოლიტიკის მიზნების შესახებ;
- ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებებში საინფორმაციო შეხვედრების გამართვა რეპატრიაციის საკითხების შესახებ;
- მასპინძელი თემების ინფორმირება სამინისტროს ბენეფიციარებისა და მათთვის განხორციელებული პროგრამების შესახებ;

- სხვა სამინისტროების, სამინისტროს პარტნიორი ორგანიზაციებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშების მიწოდება;
- მედია ტურების, სამინისტროს ბენეფიციარებთან ერთობლივი საჯარო ღონიძიებების, მათი უფლებების, სახელმწიფო პროგრამების, მომსახურების და მათთან დაკავშირებულ პროცედურებზე ჟურნალისტების ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების განხორციელება.[27]

ამრიგად, სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ უფლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ეფექტურ შედეგს ვერ იძლევა, რაც ხელს უშლის დევნილი მოსახლეობის საზოგადოებაში სრულფასოვან ინტეგრაციას.

[27] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2016 წლის ანგარიში.

თავი II.დევნილთა მდგომარეობის სოციალურ-გეოგრაფიული თავისებურებები (წეროვანისა და კოდას შედარებითი ანალიზი).

2008 წლის ომის შედმეგ, ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მდგომარეობის შესწავლის მიზნით ჩატარებულ ნაშრომებში რეკომენდაციათა უმრავლესობა ეხებოდა ორ საკითხს: 1. სახელმწიფოს ერთიანი პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავებას დევნილებთან მიმართებაში და 2. საზოგადოებაში დევნილების ინტეგრაციის სტრატეგიის შემუშავებას. კვლევების ავტორების უმრავლესობა იმედვოვნებდა, რომ თანმიმდევრული სახელმწიფო პოლიტიკისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების შემთხვევაში არა მხოლოდ მოხდებოდა დევნილთა ინტეგრაცია, არამედ გაუმჯობესდებოდა მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაც. ნაშრომზე მუშაობის დროს საინტერესო იყო რამდენად მოხერხდა -ან თუ ვერ მოხერხდა რა მიზეზებს გამო-რეკომენდაციების გათვალისწინება და შესრულება? რას მიიჩნევს სახელმწიფო ინსტიტუტები მნიშვნელოვან მიღწევად დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მხრივ და რას თვლის ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევად? რა მდგომარეობაა დევნილთა დასახლებებში და რა განწყობები აქვთ დევნილებს? რამდენად თვლიან საკუთარ თავს საზოგადოებაში ინტეგრირებულად და აისახა თუ არა აღნიშნული მათ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე? ნაშრომის კვლევით ნაწილში წარმოდგენილია ინფორმაცია, რომელიც აღნიშნულ კითხვებზე პასუხებს იძლევა. კვლევითი მიმართულებით ჩვენი ინტერესი მიმართული იყო ხელისუფლების და დევნილი მოსახლეობის განწყობების შესწავლისკენ, რაშიც სამინისტროს წარმომადგენლებთან სიღრმისეული ინტერვიუ და დევნილთა დასახლებებში ჩატარებული ორი ფოკუს-ჯგუფი დაგვეხმარა.

2.1 კოდასა და წეროვანის დევნილთა დასახლებებში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევა - მეთოდიკის ზოგადი აღწერა.

ჩვენი კვლევის საგანია 2008 წლის აგვისტოში, რუსეთ-საქართველოს შორის შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ, ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებული პირების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი,

ხოლო ობიექტია კოდასა და წეროვანში არსებულ დევნილთა დასახლებაში მცხოვრები ადამიანები.

კვლევის ობიექტებად წეროვანის და კოდას დასახლებების არჩევა, განაპირობა მათ შორის არსებულმა გეოგრაფიულმა განსხვავებებმა. კოდას დასახლება მდებარეობს ქვემო ქართლის რეგიონში, ხოლო წეროვანის დასახლება მცხეთა-მთიანეთის რეგიონში. თუმცა ფიზიკურ-გეოგრაფიული მახასიათებლები ორივე დასახლების დევნილთა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე გავლენას ვერ ახდენს. ორივე დასახლება დედაქალაქიდან თითქმის თანაბარი მანძილითაა დაშორებული (წეროვანის დასახლება - თბილისი - 31კმ; კოდას დასახლება - თბილისი - 39 კმ.[28]ორივე დასახლება საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე საავტომობილო მაგისტრალებთან მდებარეობს (წეროვანი- საერთაშორისო მნიშვნელობის E-60 მაგისტრალი, ხოლო კოდა E-117 მაგისტრალი იხ. დანართი-4). თუმცა წეროვანის დასახლებასთან გამავალი მაგისტრალი უფრო ეკონომიკურად აქტიურია და საერთაშორისო თვალსაზრისით მნიშვნელოვანი. აქედან გამომდინარე, საგზაო ინფრასტრუქტურის კუთხით წეროვანი-თბილისის მონაკვეთი უფრო განვითარებულია, ვიდრე კოდა-თბილისის. აგრეთვე, ეს ორი დასახლება განსხვავებულია დაგეგმარებით და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით. კოდას დასახლებაში ვხვდებით კორპუსებს, ხოლო წეროვანში კოტეჯებს, მაგრამ ურბანული მოწყობის დონით წეროვანის დასახლება გაცილებით განვითარებულია, ვიდრე კოდა.

საკვლევი თემიდან გამომდინარე, კვლევის მეთოდად გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევა, კერძოდ ფოკუს-ჯგუფები და სიღრმისეული ინტერვიუები. წეროვანსა და კოდაში დევნილ მოსახლეობასთან აპრილი-მაისის პერიოდში, თითოეულ დასახლებაში ერთი ფოკუს-ჯგუფი ჩატარდა. ორივე დასახლებაში მონაწილეების შერჩევა ,,თოვლის გუნდის“ პრინციპით განხორციელდა, წეროვანში ფოკუს-ჯგუფში მონაწილეობდა 11, ხოლო კოდაში - 9 რესპონდენტი. მონაწილეთა ასაკი ძირითადად 3 კატეგორიაში შეიძლება გავაერთიანოთ: 15-30 წელი, 31-60 წელი და 60 წელს გადაცილებული. ფოკუს-ჯგუფი წინასწარ შედგენილი სადისკუსიო გეგმით წარიმართა

[28]Google Map-ორივე დასახლებისათვის მანძილი აღებულია თბილისის ცენტრალური სადგურიდან წეროვანი და კოდას დევნილთა დასახლებების ცენტრალურ სადგურებამდე.

დევნილთა სოციალ-ეკონომიკური პრობლემების[29] სრულყოფილად შესწავლის მიზნით ფოკუს-ჯგუფის გარდა ჩავატარე 5 სიღრმისეული ინტერვიუ, საიდანაც სამში მონაწილეობდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს თანამშრომლები: ლევან სიგუა - სოციალურ საკითხთა და განსახლების სამმართველოს უფროსი; თამარ ბასილია - საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი და ირაკლი უჯმაჯურიძე - სსიპ დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის დირექტორი. ორი სიღრმისეული ინტერვიუ კი ჩატარდა ქურთის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული კობა კახნიაშვილსა და ქემერტის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული ნუგზარ ყაულაშვილთან, რომლებიც წარმოადგენენ წეროვანსა და კოდაში ჩასახლებულ დევნილთა ოფიციალურ წარმომადგენლებს.

2.2 კოდასა და წეროვანში ჩასახლებული დევნილების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა (სიღრმისეული ინტერვიუ და ფოკუს-ჯგუფი)

ა) სიღრმისეული ინტერვიუ

ინტერვიუში მონაწილე სამივე რესპონდენტს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროდან ჰქონდათ ინფორმაცია სახელმწიფოს მიერ დევნილ მოსახლეობასთან მიმართებაში განხორციელებული პოლიტიკის შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამივე რესპონდენტი ინტერვიუს დროს არ შემოიფარგლა მხოლოდ მათი კომპეტენციის სფეროთი და გვაწვდიდა ინფორმაციას იმ განხორციელებული პროექტების შესახებ, რომელიც განათლების და მეცნიერების სამინისტროს, იუსტიციის ან სხვა სამინისტროების მიერ იყო განხორციელებული.

რესპონდენტები ინტერვიუს მსვლევლობისას მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის მეტი სანდოობის მიზნით, საკუთარ მოსაზრებებს ამყარებდნენ სხვადასხვა ავტორიტეტული კვლევების მონაცემებით. რესპონდენტები უშუალო დაქვემდებარებაში მყოფი სამსახურების მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ

[29] იხ. დანართი 5. დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა-ფოტო მასალა.

ინტერვიუს დროს არა მხოლოდ გვიყვებდოდნენ, ასევე გვაწვდინდენ იმ ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებს, რომელიც აღწერდა მათი სამსახურების მიერ გაწეული სამსახურის მასშტაბებს.

საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი თამარ ბასილაია იყო ის რესპონდენტი, რომელიც ყველაზე აქტიურად იმოწმებდა სხვადასხვა წყაროებს. მის მიერ მოწოდებული ინფორმაცია შეეხებოდა არა მხოლოდ მისი კომპეტენციის სფეროს, ასევე ინტეგრაციასთან დაკავშირებით მთავრობის მიერ გატარებულ ქმედებებს ინტეგრაციასთან დაკავშირებით, როგორიცაა მაგალითად ,,სოფლად სახლის“ პროექტი.

ქ.ნ თამარი ხშირად იმოწმებდა სტატისტიკურ ინფორმაციას, მაგრამ ამ მონაცემების გადამოწმების შემდეგ აღმოვაჩინეთ, რომ ნაწილი მათგანი არ შესაბამებოდა სიმართლეს. მაგალითად ინტეგრაციასთან დაკავშირებით კითხვაზე თუ რას აკეთებდა სამინისტრო და კერძოდ მისი დეპარტამენტი ქ.ნ თამარმა იმის დასამტკიცებლად, რომ სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკა ამ მიმართულებით ეფექტურია მოგვაწოდა შემდეგი სახის ინფორმაცია ,,დაახლოებით ორი წლის წინ ჩატარდა გამოკითხვა, გაეროს უმაღლესი კომისრის ოფისის მიერ, სადაც დევნილი მოსახლეობის 60% თავს თვლის ინტეგრირებულად, ხოლო 90 % ფიქრობს უკან დაბრუნებაზე“. ბუნებრივია ჩვენი ნაშრომიდან გამომდინარე დაგვაინტერესა კვლევამ. შევისწავლეთ გაეროს მიერ 2012-2015 წლებში საქართველოში ჩატარებული კვლევების ანგარიშები დევნილებთან მიმართებით და აღმოვაჩინეთ, რომ 2013 წლის სექტემბერ-აგვისტოში გაეროს ხელშეწყობით კვლევა ჩატარდა ქალთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა დედების ასოციაცია „დეას“ და საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტის მიერ, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და შიდა ქართლის რეგიონებში. კვლევის მიზნების შესაბამისად, გამოიკითხნენ დევნილი ქალები, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მათი მომვლელები, მარტოხელა, მოხუცი ქალები, ოჯახის მარჩენალი ქალები და ასევე მამაკაცები სამეგრელოსა და შიდა ქართლში[30]. კვლევაში გამოკითხული დევნილების უმრავლესობა თავს თვლის

[30]არასამთავრობო ორგანიზაცია ,,დეას“ მიერ და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის თბილისის ბიუროს ხელშეწყობით 2013 წელს ჩატარებული კვლევა. ,,დევნილდაკონფლიქტით დაზარალებულ ქალთა და გოგონათა საჭიროებები და პრიორიტეტები.“ -იხ. ქართული ვერსია

ინტეგრირებულად, თუმცა კონკრეტული რაოდენობა ვერ აღმოვაჩინეთ. აღნიშნული მაგალითი რამოდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთებისაკენ გვიბიძგებს:

- სამინისტროს წარმომადგენლებს დევნილებთან მიმართებით სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტურობაში ეჭვი არ შეაქვთ.
- სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სახელმწიფოს პოლიტიკას სრულფასოვნად აფასებენ.
- საკუთარი შეხედულების დაცვის მიზნით იმოწმებენ სხვადასხვა სტატისტიკურ მონაცემებს, რომლებიც ან ნაწილობრივ ამყარებს მათ არგუმენტს ან მცდარია.

სამინისტროს წარმომადგენლების მიერ საკუთარი არგუმენტაციის სტატისტიკური მასალით გამყარების მცდელობა მხოლოდ ქალბატონ თამარს არ ჰქონია. ირაკლი უჯმაჯურიძე კითხვაზე თუ რა ღონისძიებებს ანხორციელებდა სამინისტრო უშუალოდ დევნილი მოსახლეობის სოციალური ინეგრაციისთვის მაგალითად მოიყვანა განათლების და მეცნიერების სამინისტროს განხორციელებული პროექტი, რომლის მიზანი პროფესიული სწავლების ხელშეწყობა იყო. ბატონი ირაკლი აღნიშნავდა ,,ინტეგრაციისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია კვალიფიკაციის ამაღლება, რომელსაც განათლების და მეცნიერების სამინისტრო ანხორციელებს. მსურველებისთვის პროფესიულ პროგრამაში ჩართვას სრულად აფინანსებს სახელმწიფო, დევნილ მოსახლეობას კი დამატებით ან გზას ან საცხოვრებელს უფინანსებენ, ანუ გამოდის, რომ თუ ხარ ახალგაზრდა იძულებით გადაადგილებული პირი და გინდა პროფესიას დაეუფლო, სახელმწიფო გაძლევს შანსს სრულიად უფასოდ მოახერხო ეს“. ინტერვიუს მსვლელობის დროს ბატონ ირაკლის განვუმარტეთ, რომ პროფესიის დაუფლებასა და სამუშაო ადგილის პოვნას შორის რომ პირდაპირი კავშირი არ არის და შესაბამისად არც დევნილის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესბაზე ექნება გავლენა პროფესიულ პროგრამას, რესპონდენტის აზრით კი ჩვენი დასკვნები არასწორი იყო რადგან ,,თითოეულ პროფესიულ პროგრამას ჰყავს კარიერის მენეჯერი, რომელიც დამსაქმებელსა და კურსადმთავრებულს ერთმანეთთან აკავშირებს და განათლების სამინისტროს გამოკვლევით 55% უკვე დასაქმდა, მართალია ეს დროებითი

http://www2.unwomen.org//media/field%20office%20georgia/attachments/publications/2014/idp%20%20conflict-affected%20women_geo.pdf?vs=5129

სამსახურებია, მაგრამ მაღალი მაჩვენებელია“. ჩვენ შევეცადეთ დაგვეზუსტებინა 55% დასაქმებულებში იგულისხმებოდა მხოლოდ დევნილი ახალგაზრდები თუ ყველა, ვინც პროფესიულ პროგრამაში იყო ჩართული თუმცა ბატონ ირაკლი აღნიშნულ ინფორმაციას არ ფლობდა.

ჩვენ გადავამოწმეთ პროფესიული სასწავლებლის დასრულების შემდეგ თუ რამდენი ადამიანი დასაქმდა და აქედან რამდენი იყო დევნილები. ჩვენი მონაცემები ეყრდნობა განათლების და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განვითარების დეპარტამენტის მიერ 2015 წელს ჩატარებულ კლვევას ,,2015 წლის კურსდამთავრებულთა კვლევა (Tracer Study)ანგარიში“[31], სადაც ვკითხულობთ ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დასრულების შემდეგ, მუშაობა დაიწყო გამოკითხულ კურსდამთავრებულთა 34%-მა, ხოლო 22%-ს სწავლის დასრულებამდე უკვე ჰქონდა ანაზღაურებადი სამუშაო. შესაბამისად, პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამაზე სწავლის დასრულების მომენტისთვის გამოკითხულ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 56%-ს შეადგენდა. გამოკითხულ კურსდამთავრებულთა საშუალო ხელფასი, რომლებმაც სწავლის დასრულების შემდეგ დაიწყეს მუშაობა ან სწავლის დასრულების მომენტამდე უკვე ჰქონდათ ანაზღაურებადი სამუშაო 508 ლარს შეადგენს.“ სამინისტროს კვლევაში ცალკე არ აქვს გამოყოფილი დასაქმებულთაგან თუ რამდენია დევნილი მოსახლეობა. მნიშვნელოვანი მიღწევაა ისიც, რომ დასაქმებულთა მხოლოდ 16% აქვს უვადო ხელშეკრულება, მაგრამ არიან თუ არა დევნილი კურსდამთავრებულები მონაცემებში ამის შესახებ კვლევაში არაფერია ნათქვამი. სულ გამოკითხული 3767 კურსდამთავრებულიდან მხოლოდ 5% დევნილი. კვლევაში არაფერია ნათქვამი დასაქმეული 56 %-ში მოხდვა თუ არა კურსდამთავრებულთა 5%, რომელსაც დევნილი მოსახლეობა წარმოადგენს. შესაბამისად სამინისტროს წარმომადგენლის მიერ მოყვანილი სტატისტიკა არ ამყარებს

[31]საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო. პროფესიული განვითარების დეპარტამენტი. 2015 წლის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში (TracerStudy)http://mes.gov.ge/uploads/2015%20%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%97%E1%83%90%20%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90%20(Tracer%20Study).docx

მის არგუმენტს თუ როგორი ეფექტურია დევნილი მოსახლეობისათვის პროფესიული პროგრამის ხელმისაწვდომობა.

- დევნილთა სამინისტროს წარმომადგენლების მიერ მოყვანილი სტატისტიკური მასალა უშუალო კავშირში არ არის დევნილთა სოციალურ-ეკონომიკურ მდომარეობასთან.
- სახელმწიფოს მიერ განხორციელებული სხვადასხვა პროგრამა, რომელიც უშუალოდ არ ეხება დევნილ მოსახლეობას ვერ უზრუნველყოფს დევნილთა ინტეგრაციას.

დევნილებთან მიმართებაში სახელმწიფოს პოლიტიკა შეიძლება ორ ეტაპად დავყოთ 2008-2012 წელი და 2013 წლიდან დღემდე. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ბევრი პროგრამა, რომელიც 2008 წლის სექტემბრიდან ხორციელდებოდა, შეწყდა ან განსაზრვრული ვადის ამოწურვის შემდეგ აღარ გაგრძელდება. ერთ-ერთი განმსაზრვრელი ბიუჯეტის სიცირეა, რის გამოც დევნილებთან მიმართებაში ბევრი სახელმწიფო სერვისი გაუქმდა. ქ.ნ თამარი აღნიშნავს, რომ უცხოეთში სწავლის ერთ-ერთი დამაბრკოლებელი ფაქტორია ბიომეტრული პასპორტის არქონა ,,სამინისტროს არ აქვს თანხები ამ მიმართულებით, ზოგჯერ უცხოეთის პასპორტებს ვაკეთებთ, ძალიან ხშირად კი მომწვევი მხარე უგვარებს დევნილებს ყველაფერს“. განსახლების სამმართველოს უფროსი ირაკლი უჯმაჯურიძეის თქმით ,,ინფრასტუქტურასტან მიმართებაში არაფერი იგეგმება, შემწეობის გაზრდაზეც არაფერი იგეგმება“. მიზეზი ამ მიმართულებით თანხების არ არსებობაა.

დევნილი მოსახლეობა სხვა შემთხვევებშიც ვერ სარგებლობს განსაკუთრებული შეღავათებით. მაგალითად, როგორც ბ.ნ ლევანი აღნიშნავს, სპეციალური საჭიროები მქონე დევნილ პირებს დახმარება ერთჯერადად აქვთ ისევე როგორც საქართველოს სხვა მოქალაქეებს. დევნილი მოსახლეობა იღებს დევნილის შემწეობას 45 ლარის ოდენობით, მაგრამ თუ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროდან იღებს სოციალურ დახმარებას, მაშინ ეს დახმარება უწყდება.

სოციალური გარემოს გაუმჯობესებისათვის საცხოვრებელ გარემოს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. განსახლების სამმართველოს უფროსი ინტერვიუში აღნიშნავს, რომ

ბიუჯეტში თანხების სიმცირის გამო ამ მიმართულებით მხოლოდ იმ დევნილებს ეხმარებიან ,,რომლებსაც დაბალი სოციალური ქულა აქვთ და ამავე დროს ჩვენი შეფასებით საჭიროებაც აქვთ, რომ დავეხმაროთ“.

- ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკა ორ ეტაპად იყოფა: პირველი ეტაპია 2008 წლის სექტემდბრიდან-2012 წლამდე, ხოლო მეორე 2013 წლიდან დღემდე.
- ბევრი პროგრამა, რომელსაც სახელმწიფო ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ ატარებდა შეჩერდა, რისი მიზეზით ბიუჯეტში თანხების არ არსებობაა.
- სამინისტროს წარმომადგენლები პროექტების შეწყვეტის მიზეზად საერთაშორისო გრანტების შემცირებას ასახელებენ, რადგან სახელმწიფო ბიუჯეტში ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ გამოყოფილი თანხა წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად არ შემცირებულა.

დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე დღეს ზრუნავს, როგორც უშუალოდ იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტრო, ასევე სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციები. ლევან სიგუა მნიშვნელოვნად მიიჩნევს ერვოკავშირის მცირე გრანტების პროგრამას, გარეოს სოფილის მეურნეობის მიმართულებით განხორციელებულ პროგრამას. ასევე თანადაფინასების ფონდისა და სახელმწიფოს პროგრამა ,,აწარმოე საქართველოში“. ,,პროექტები თანადაფინასებით ხორციელდება 80% ფონდი აფინანსებს, მიდის მუშაობა თუ პროექტში დევნილი ჩაერთვება 20%-ს სამინისტრო დააფინანსებს.“ რესპოდენტთა აზრით მნიშვნელოვანია ევროკავშირის გრანტების პროგრამაც, რომელიც აფინანსებს მარტოხელა მშობლებს, სპეციალური საჭიროების მქონე პირებს, ისეთ ოჯახებს, სადაც ბებია და/ან ბაბუა ზრდის ობოლ შვილიშვილ(ებ)ს, ან იმ პირებს, რომლებიც 25 წლამდე ასაკის არიან და ზრუნავენ ობოლ ნათესავებზე.

საერთაშორისო ორგანიზაციების გრანტებიდან მნიშვნელოვანია მეურნეობის ან მცირე ბიზნესის განვითარების გრანტი, რომელიც გაიცემა ინდივიდუალურად ოჯახზე 2500

ლარის ოდენობით, ან ჯგუფზე სადაც მინიმუმ 3 ოჯახია თანხის მაქსიმალური რაოდენობა კი 5000 ლარია.

- დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდომარეობის გაუმჯობესებაზე მიმართულია ევროკავშირის და გაეროს საგრანტო პროგრამები.
- პროგრამების უმრავლესობა მიზნად ისახავს დევნილ მოსახლეობისათვის სასოფლო სამეურნეო სფეროში დახმარებას და მცირე მეწარმეობის განვითარებას.

წეროვანისა და კოდას დასახლებების რწმუნებულებთან სიღრმისეული ინტერვიუ მნიშვნელოვანი ინფორმაციის შეგროვების საშუალებას არ გვაძლევს, რადგან ორივე რესპონდენტმა აღნიშნა, რომ მათი ძირითადი საქმიანობაა დასახლებებში მცხოვრებთათვის დევნილის სტატუსტის დამადასტურებელი ცნობის გაცემა და განცხადებების მუნიციპალიტეტებში მიტანაა. ,,მე მეტს ვინ მკითხავს, ცნობას გავცემ როცა ვინმეს ჭირდება და განცხადებას ვაწერინებ“ აღნიშნა ნუგზარ ყაულაშვილმა. ,,მთავრობა რასაც აკეთებს ჩვენი ხალხისთვის ის უნდა გავაცნო ყველას“. კვლევისათვის საინტერესო იყო თუ რა საკითხებზე მიმართავდნენ ძირითადად დევნილები მუნიციპალიტეტს: კობა კახნიაშვილის თქმით დევნილები უმეტესად შემდეგი მოთხოვნებით მიმართავენ ,,სოციალური დახმარება, ვაუჩერი,სტატუსის დამადასტურებელი ცნობის გაცემა და განცხადებების მუნიციპალიტეტებში მიტანა, შემწეობა, პოლისი.“

- კოდასა და წეროვანში ჩასახლებული დევნილების მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ მათ მცირე კომპეტენციები აქვთ, რაც უმეტესად დევნილის ცნობის გაცემით შემოიფარგლება.
- რწმუნებულები კანონით გასაზღვრული ფუნქციების გარდა, არ ცდილობენ დამატებით დაეხმარონ დევნილ მოსახლეობას.
- რწმუნებულებს მიაჩნიათ, რომ მათი საქმიანობა ხელს უწყობს დევნილებს გაუადვილონ ოფიციალურ პირებთან საქმის წარმოება.

ბ) ფოკუს ჯგუფი კოდაში

ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლის მიზნით მნიშვნელოვანი იყო შეგვესწავლა არა მხოლოდ ხელისუფლების განწყობები, ასევე მოსახლეობის დამოკიდებულებები, რომელიც ეხება მათ მდგომარეობას. ამ მიზნით ორივე დასახლებაში ჩავატარეთ ფოკუს ჯგუფი. ჯგუფური დისკუსია წარიმართა სადისკუსიო გეგმის საფუძველზე, რესპონდენტები ღიად აფიქსირებდნენ საკუთარ აზრს.

პირველი ფოკუს-ჯგუფი ჩატარდა კოდაში, რომელშიც 9 რესპონდენტი მონაწილეობდა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 4 მამაკაცმა და 5 ქალმა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ფოკუს-ჯგუფში მონაწილეები შემოსავლის ძირითად წყაროდ ხელფასს და პენსიას ასახელებენ. მანანა 62 წლის - ,,ერთადერთი შემოსავალი შვილო ჩვენი პენსიაა, აბა მეტი რა გვაქვს“. დასაქმების ტიპის მიხედვით დასახლებაში ვხვდებით, როგორც კერძო ისე სახელმწიფო უწყებაში დასაქმებულებს. მათ შორის ერთ-ერთი მონაწილე ოთარი დასაქმებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულში.

ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ ხშირად რესპონდენტები შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციას არ მიიჩნევენ სახელმწიფო უწყებად. მაგალითად, გულო 47 წლის აცხადებს: ,,ჩემი მეუღლე მუშაობს დაცვაში, საჯარო სამსახურში არ ვართ დასაქმებული“. როგორც გაირკვა რესპონდენტის მეუღლე არ მუშაობდა კერძო დაცვის კომპანიაში. რაც შეეხება კერძო სამსახურებში მომუშავეებს ისინი საზოგადოების მომსახურების სფეროში მუშაობენ.

რესპონდენტები იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარებას შემოსავლად არ მიიჩნევენ. შემოსავლის ძირითად წყაროდ მხოლოდ პენსიას და ხელფასს ასახელებენ, მხოლოდ ერთმა რესპონდენტმა ოთარმა შეახსენა ფოკუს-ჯგუფში მონაწილეებს, ,,45 ლარს ვიღებთ დევნილთა შემწეობისთვის“. რესპონდენტებმა აღნიშნული არ უარყვეს, თუმცა თანხის სიცმირიდან გამომდინარე მიიჩნევენ, რომ ეს აღნიშვნის ღირსი არ არის.

დასახლებაში თვითდასაქმებულთა რაოდენობა თითქმის მინიმალურია. რესპონდენტების გაანცხადებით მხოლოდ ერთი ადამიანია, რომელმაც რამოდენიმე თვის წინ გახსნა მაღაზია და მისი ბიზნესის წარმატებაზე საუბარი ჯერ ნაადრევია. ფოკუს ჯგუფის აზრით, მეწარმეობის/მცირე ბიზნესის დაწყება დაკავშირებულია საწყისი კაპიტალის ფლობასა და გამოცდილებაზე. მათი აზრით პიროვნებამ, რომელმაც დასახლებაში მაღაზია გახსნა კონფლიქტამდე ცხოვრობდა პატარა ლიახვში, რომელიც ახლოსაა გორთან და მეწარმეობის შესაძლებლობას იძლევა, ასევე კონფლიქტის პერიოდში დიდი ლიახვის მხარისგან გასხვავებით, საიდანაც ჩვენი რესპონდენტები არიან, პატარა ლიახვში მცხოვრებლებმა მოახერხეს გარკვეული მატერიალური ნივთების წამოღება, ამიტომ ისინი უკეთეს პიროებებში აღმოჩნდნენ ვიდრე დანარჩენი იძულებით გადაადგილებული პირები.

- ფოკუს-ჯგუფში მონაწილეთა ძირითადი შემოსავალი სახელმწიფო დახმარებებია, რომელსაც თანხის სიმცირიდან გამოდმინარე არ აღნიშნავენ.
- მცირე ბიზნესის დასაწყებად რესპონდეტების აზრით საჭიროა საწყისი კაპიტალი და სოციალური გარემო, რაც კოდას დევნილთა დასახლებაში არ არსებობს.

განვითარებული სოციალური გარემო, დევნილთა აზრით, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, თუმცა მიიჩნევენ, რომ ინფასტრუქტურა ნაწილობრივაა გამართული. საცხოვრებელი ფართები, რომელიც მათ საკუთრებაში გადაეცათ, შესახლების მომენტში მხოლოდ გარეგნულად იყო მოწესრიგებული და ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი ნაწილი მალევე გამოვიდა მწყობრიდან, მათ შორის საკანალიზაციო სისტემა, რომლის ავარიული მდომარეობის გამო სხვადასხვა დაავადებების გავრცელების რისკია. რაც შეეხება ბუნებრივ აირს და ელექტრო ენერგიას იგი უწყვეტ რეჟიმში მიეწოდება დასახლებას, თუმცა იმასაც აღნიშნავენ, რომ გადასახადს ჩვეულებრივ იხდიან და სახელმწიფოს მხრიდან არანაირი დახმარება არ აქვთ. თამრიკო 56 წლის: ,,დენი და გაზი კი გვაქვს, მაგრამ ჩვენც ჩვეულებრივი მოსახლეობასავით ვიხდით, არაფერი შეღავათი არ გვაქვს“. რაც შეეხება წყალს იგი გრაფიკითაა კოდის დასახლებაში დღეში 4-ჯერ 1,5 საათის განმავლობაში.

ოთარი 59 წლის გვიყვება, რომ ადგილობრივმა თვითმმართველობის ორგანომ უკვე მოახდინა წყლის მილების პროექტირება და უახლოეს მომავალში პრობლემა გადაიჭრება, თუმცა რესპონდენტების უმრავლესობას დაპირების არ სჯერა. მანანა 62 წლის ,,ჯერ გააკეთონ მერე ვიტყვით". მოწესრიგებულია დასახლებამდე მიმავალი გზა, უზრუნველყოფილია გარეგანათება, თუმცა ეს არ ეხება დასახლების შიდა საგზაო ინფასტრუქტურას და რეკრეაციულ ზონას.

მძიმე სოციალური და ეკონომიკური პრობლემას რესპონდენტთა აზრით კიდევ უფრო ართულებს ის გარემოება, რომ საჯარო სკოლა დასახლებული პუნქტიდან 2 კილომენტრის მოშორებითაა. გიორგი 17 წლის აღნიშნავს, რომ პირადად მას უკვე პრობლება არ ექმნება შორი მანძილის გამო, თუმცა დაბალკლასელებისათვის მანძილი პრობლემაა, ასევე სკოლისკენ მიმავალი გზა არ არის უსაფრთხო და უმჯობესი იქნება იმ მონაკვეთში, სადაც საავტომობილო გზა უნდა გადაკვეთონ სკოლაში წამსვლელებმა შუქნიშანი დამონტაჟდეს.

- რესპონდეტთა აზრით მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა გავლენას ახდენს მათ სოციალურ ყოფაზე.
- კოდას დევნილთა დასახლებაში რესპონდენტები მთავარ პრობლემად სასმელი წყლის გრაფიკით მიწოდებას ასახელებენ.
- ფოკუს-ჯგუფში მონაწილე წევრი, რომელიც სახელმწიფო დაწესებულებაში მუშაობს აღნიშნავს, რომ ხელისუფლებამ სასმელი წლის 24 საათიან რეჟიმში მოწოდების მიზნით ინფრასტრუქტურული ღონისძიების განხორციელება დაიწყო.
- ფოკუს-ჯგუფში მონაწილე დანარჩენი რესპონდენტები არ ფლობენ ინფორმაციას აღნიშნულ საკითხზე და არც სანდოდ უყურებენ მოწოდებულ ინფორმაციას.
- სოციალური პრობლემებიდან, რესპონდეტები საჯარო სკოლის დასახლებიდან მოშორებით არსებობას ასახელებენ.

რესპონდენტთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ დასახლებაში გადმოსვლის პირველ პერიოდში მათ ხელისუფლება ჰპირდებოდა ადგილზე სკოლის მშენებლობას, თუმცა საბოლოოდ აღნიშნული არ განხორციელდა და იძულებით გადაადგილებულ პირებს

განუმარტეს, რომ სკოლის დასახლებისაგან მოშორებით გადატანას ადგილობრივ მოსახლეობასთან ინტეგრირების მიზანი წარმოადგენდა.

დევნილთა აზრით, სასურველი იქნებოდა ადგილზე სკოლის არსებობა, რადგან მოცემულ შემთხვევაში გაჩნდებოდა დასაქმების წყარო ადგილზე.

ფოკუს-ჯგუფში მონაწილე თამრიკო 56 წლის და მანანა 62 წლის პედაგოგები იყვნენ ლიახვის ხეობაში, 2008 წლის კონფლიქტის შემდეგ მუხათის საჯარო სკოლაში გადაიყვანეს, რომელიც ახლა დასახლებას ემსახურება, თუმცა მალევე შემცირებაში მოყვნენ. როგორც დევნილი პედაგოგები საუბრობენ, რამოდენიმე მცდელობის მიუხედავად მათ ვერ მოახერხეს სკოლაში მასწავლებლად დაბრუნება და ამაში ადანაშაულებენ ერთის მხრივ იმ დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას, რომელიც არსებობს ადგილობრივ და იძულებით გადაადგილებულ პირთა შორის, ხოლო მეორეს მხრივ საუბრობენ იძულებით გადაადგილებული პირის ,,ელისოს“ გავლენაზე, რომელიც ლიახვის ხეობაში განათლების სფეროს ბიუროკრატი იყო და რომელიც დღეს მუხათის სკოლაში აგრძელებს მოღვაწეობას.

- საჯარო სკოლის დასახლებიდან მოშორებით არსებობას, ხელისუფლების წარმომადგენლები ადგილობრივი და დევნილი მოსახლეობის ინტეგრაციის შესაძლებლობით ხსნიან.
- რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ დევნილი პედაგოგები კოდაში არსებულ საჯარო სკოლაში ჯერ მიიღეს პედაგოგებად, შემდეგ კი უსამართლოდ გაათავისუფლეს, რამაც ინტეგრაციის პროცესი კიდევ უფრო გაართულა.

გარესამყაროსთან ურთიერთობა და ინფორმაციის მიღება რესპონდენტთა აზრით პრობლემას არ წარმოადგენს. დასახლებაში არსებობს, როგორც საკაბელო ტელევიზია, ასევე ინტერნეტიც, თუმცა მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო აღნიშნული რესურსებით ბევრი ვერ სარგებლობს, ხოლო ორივე რესურსით ძალიან ცოტა სარგებლობს. გიორგის (17 წლის) თქმით ,,უმეტესად ის ოჯახები, სადაც ახალგაზრდები ვართ გვაქვს ტელევიზიაც და ინტერნეტიც“. რესპონდენტთა განცხადებით მათ გადაადგილების პრობლემა არ აქვთ, ამ მხრივ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა გამართულად მუშაობს, მაგრამ დანანებით აღნიშნავენ, რომ მიკრო ავტობუსები,

რომლებიც მათ ემსახურებათ არაკომფორტულია და მათი სურვილი იყო ე.წ. ,,ყვითელი მიკროავტობუსები“ ყოფილიყო.

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფომ უზუნველყო იძულებით გადაადგილებული პირებისათვის ნახევარი ჰექტარი მიწის გაცემა მეურნეობის მოწყობის მიზნით, რომელიც საკუთრებაშიც გადეცა თითოეულ ოჯახს, მაგრამ რესპონდენტებისთვის პრობლემაა, რომ აღნიშნული მიწები დასახლებიდან 7 კმ -თაა . დავითი 39 წლის: ,,წყალი იქ არ არის რომ მოვრწყათ, გზა კიდე დიდია“.

- რესპონდენთა აზრით, მნიშვნელოვანია სახელმწიფომ ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

ფოკუს-ჯგუფში მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ 2012 წლამდე ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დროს“, როცა ქვემო ქართლის გუბერნატორი იყო დავით კირკიტაძე მათ მეტი ყურადღება და მხარდაჭერა ჰქონდათ ხელისუფლებისგან. მარინა 34 წლის: ,,რაც ისინი წავიდნენ ყურადგება მოგვაკლდა“. რესპონდენტთა თქმით წინა მთავრობის პირობებში, რამდენჯერმე ხელისუფლებამ დაუმუშავა და დაუთესა (ხორბალი) მათ ნაკვეთები, თუმცა 2012 წლიდან აღნიშნული შეწყდა და მხოლოდ მიწის დამუშავებისთვის გადაეცემოდათ ვაუჩერები, რომელიც ისედაც საყოველთაო იყო და 2017 წლიდან გაუქმდა.

- რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ 2012 წლამდე მეტი ყურადღება ექცეოდათ სახელმწიფო ინსტიტუტებიდან და ქვემო ქართლის გუბერნატორიდან, ვიდრე ,,ქართული ოცნების“ ხელისუფლების მოსვლის შემდეგ“.
- რესპონდენტების აზრით, სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის მიზნით 2013 წლიდან გაცემული ვაუჩერები და დასამუშავებელი ნაკვეთების ფართობი არაპირდაპირპოპორციულია, რის გამოც ვაუჩერების სისტემა არაეფექტურია.
- კოდას დასახლების დევნილები ვაუჩერების გამოყენებას, მათი სხვა (ადგილობრივ მაცხოვრებლებზე) პირებზე რეალიზაციით ახდენდნენ.

ფოკუს ჯგუფის შეხვედრაზე მოპოვებული მასალის ანალიზი საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნა:

- მოსახლეობა ნაკლებადაა ინფორმირებული სახელმწიფოს მიერ წარმოებულ სოციალურ- ეკონომიკური პროგრამების შესახებ
- ნაკლები ინფორმაცია აქვთ სახელმწიფო ინსტიტუტების და მათი საქმიანობის შესახებ. სტუდენტთა დაფინანსებას, რომელიც უმაღლეს საგანმანათლებლო ერთეულებში სწავლობენ, მათი აზრით, ,,სანაკოევის მთავრობა" გასცემს და არა საქართველოს ხელისუფლება.
- მოსახლეობას ნაკლებად აქვს ინფორმაცია მათი უფლებების შესახებ, ჩაერთონ მათივე პრობლემების მოგვარების პროცესში, მოსახლეობას არ აქვს ინფორმაცია მათი უფლებების შესახებ, მიიღონ კვალიფიციური კონსულტაცია ბიზნესის დაწყებისა და მეურნეობის განვითარების მიმართულებით. მაგალითად სათემო განათლების ცენტრი, რომელიც ევროპელი დონორებისგან ფინანსდება მიმართულია ახალგაზრდების კულტურული, სპორტული და შემეცნებითი გაცვლითი პროგრამებისაკენ, როცა შესაძლებელია დაფინანსება წარმართოს მოსახლეობის გადამზადებაში, რომელიც ხელს შეუწყობს მათ ეკონომიკურ დამოუკიდებლობას და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობას არ აქვს აღნიშნული მოთხოვნა და სათემო განათლების ცენტრს უმეტესად კულტურული ღონისძიებების განხორციელების ადგილად განიხილავენ.
- ფოკუს ჯგუფიდან გამოიკვეთა, რომ დევნილებისთვის პრობლემაა: სახელმწიფო არ დგამს რეალურ ნაბიჯებს მათი მშობლიურ მხარეში დაბრუნებისთვის და დანანებით აღნიშნავენ, რომ უკანასკნელ წლებში ქვეყნის წინაშე იძულებით გადაადგილებული პირი და ტერიტორიები #1 პრიორიტეტი აღარ არის.
- ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა აზრით, სოციალურ პრობლემას კიდევ უფრო ამძაფრებს დემოგრაფიული ფაქტორი, მოსახლეობის უმრავლესობა 40 წელს ზემოთაა, ახალგარზდები კი მძიმე ეკონომიკური პირობების გამო არ ქმნიან ოჯახებს, რადგან სახელმწიფოს მიერ მათთვის გადაცემული საცხოვრებელი ადგილები პატარაა, ხოლო ახალგაზრდებს არ აქვთ შესაძლებლობა დამოუკიდებლად იცხოვრონ ან ჰქონდეთ შესაბამისი ფართი ოჯახის ახალი წევრვისათვის.
- მოსახლეობას არ აქვს ინფორმაცია სახელმწიფოს და საკუთარი მოვალეობების შესახებ და ხშირ შემთხვევაში ყოფითი პრობლების გადაუჭრელობას სახელმწიფოს მიაწერენ.

მაგალითად საცხოვრებელ ფართებში ორ სივრცეს შორის შიდა კარებით იზოლირება და ა.შ.

- მოსახლეობა ასევე რთულად აღიქვამს იმ საბანკო ვალდებულებებს, რომლებიც ჯერ კიდევ კონფლიქტის ზონაში ცხოვრების დროს ჰქონდათ ბაკნების წინაშე, მაგარმ 2008 წლის შემდეგ ეს ვალდებულებები ისევ ძალაში დარჩა.

გ) ფოკუს ჯგუფი წეროვანში

კოდას დასახლებაში ჩატარებული პირველი ფოკუს ჯგუფის შემდეგ გადავწყვიტეთ ანალოგიურის ჩატარება წეროვანში. იყო გარკვეული მსგავსება, თუმცა ჩვენ ძირითადად ყურადრებას იმ განსხვავებებზე გავამახვილებთ, რომელიც კოდას დევნილთა დასახლებასთან შედარებით წეროვანში დაგვხვდა. უნდა აღინიშნოს, რომ წეროვანის დასახლებაში ცხოვრობს როგორც ლიახვის ხეობიდან ისე ახალგორიდან იძულებით გადაადგილებული პირები, ეს გარემოება მნიშვნელოვნად აისახება დევნილთა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ჩვენი ნაშრომის მიზნიდან გამომდინარე ფოკუს-ჯგუფში მონაწილეობა მხოლოდ ლიახვის ხეობიდან იძულებით გადაადგილებულმა პირებმა მიიღეს.

ფოკუს-ჯგუფში, რომელიც წეროვანში ჩატარდა 11 რესპონდენტი იღებდა მონაწილეობას: 7 კაცი და 4 ქალი.

საცხოვრებელი ადგილის მდგომარეობას რესპონდენტთა უმრავლესობა დამაკმაყოფილებლად მიიჩნევს. განსაკუთრებული კრიტიკა და ნიჰილიზმი საყოფაცხოვრებო პირობების მიმართ 60 წელზე უფროს რესპონდენტებს აქვთ კარლო 69 წლის ,, თუ ამ ქოხსა სახლს ეძახით, მაშინ კი გვაქვს“. ციცო 43 წლის ,,კმაყოფილი ვარ პირობებით, ბევრი ჩვენ შევამატეთ, მაგრამ რაც დაგვხვდა საცხოვრებლად ისიც საკმარისი იყო“.

მოსახლეობის უმრავლესობა საყოფაცხოვრებო პირობებს საკუთარი ხარჯებით აუმჯობესებს და ეს პროცესი განსაკუთრებით გააქტიურდა მას შემდეგ, რაც სახელმწიფომ აღნიშნული ფართები საკუთრებაში დაუკანონა.

კოდას დასახლების მსგავსად, წეროვანშიც მიიჩნევენ, რომ ხელისუფლებამ მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინოს მათთან მიმართებაში. რესპონდენტთა უმრავლესობა, რომელთა ასაკი 40 წელს და ზემოთ მერყეობს, აქტიურად ადევნებს თვალს საინფორმაციო საშუალებებს და ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ასკვნიან, რომ უახლოეს მომავალში მათი დაბრუნება ვერ მოხდება მშობლიურ მხარეში, რადგან არა მხოლოდ საერთაშორისო დონეზე, არემედ ქყვეყანაში ხელისუფლებისა და მოსახლეობისთვის უპირველესი პრიორიტეტი აღარ არის იძულებით გადაადგილებული პირები და ოკუპირებული ტერიტორიები.

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ლიახვის ხეობისა და ახალგორის დევნილებს წეროვანში განსხვავებული ყურადღება ეთმობა, რაც ვიზუალურადაც შეიძლება შეამჩნიო. ზურა 48 წლის - ნუნუ 58 წლის: ,,ჩოჩელი მაგათი კაცია, როცა პარლამენტარი იყო ყველაფერი გაუკეთა, ახლა კიდე სულ ყველას ამუშავებს“. ყოფილი მაჟორიტარი და ბიზნესმენი ცეზარ ჩოჩელი, რომელიც წარმოშვებით ახალგორის რაიონიდანაა, მეტ ყურადღებას უთმობს დასახლების იმ ნაწილს, სადაც ახალგორიდან იძულებით ადგილმონაცვლე პირები ცხოვრობენ. ამ მხარეში შიდა საგზაო ინფასტრუქტურა გამართულია, მოწსერიგებულია სკვერები, აშენებულია კომფორტული სკოლა, სადაც არა მხოლოდ იძულებით გადაადგილებული პირები სწავლობენ, არამედ მცხეთის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებიდანაც მოდიან. აქვე შეხვდებით კეთილმოწყობილ საზოგადოების თავშეყრის ადგილებს, მაღაზიებს და ა.შ.(აქ დაავიწყდათ ფოკუს ჯგუფის მონაწილეებს, რომ ზემოაღნიშნულით თვითონაც სარგებლობენ). თენგო 67 წლის: ,,ადგილობრივი მაჟორიტარი ხუნდაძე მარტო არჩევნებზე მოვიდა და იმის შემდეგ არ მოსულა წეროვნში, მაშინ როცა ჩოჩელი თოთქმის ყოველ კვირა დადის დასახლების იმ ნაწილში, სადაც ახალგორელები ცხოვრობენ“

მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოგვაწოდა სათემო განათლების ცენტრის წარმომადგენელმაც; წეროვანში იძულებით გადაადგილებული პირებისათვის არსებობს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული Erasmus + -ის გაცვლითი პროგრამები, რომლითაც ბევრმა ახალგაზრდამ ისარგებლა.ციცო 43 წლის: ,,მათ (ხელისუფლების) საქმესაც ვაკეთებთ“. რადგან მისი პროექტების მიზანი იძულებით გადაადგილებულ პირთა

ინტეგრაციაა, ხელისუფლებასთან კი კოორდინირებული მუშაობა აქვს.სათემო გაერთიანებაში არსებობს ახალგაზრდული ცენტრი, გენდერის კლუბი, სოციალური საწარმოები, ხოლო უახლოესი პროექტი, რომელსაც ამუშავებენ რეგიონის ტურისტული პოტენციალის გაზრდას ემსახურება.წეროვანში ივანე მაჩაბელის სახლ-მუზეუმის დირექტორთან ინტერვიუს დროს კი მთავარ პრობლემად გამოვლინდა სხვადასხვა აქტივობების ნაკლებობა, ამიტომ გამოსავალს სტუდენტების მიერ მუზეუმთან ერთობლივი პროექტების განხორცილებაში ხედავს.

- რესპონდენტები საუბრობენ წეროვანში ლიახვის ხეობიდან და ახალგორიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ განსხვავებულ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებზე.
- რესპონდენტთა აზრით, ახალგორიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალ-ეკონომიკურ პირობებზე ბიზნესმენი ცეზარ ჩოჩელი ზრუნავს, მაშინ როცა მცხეთის მაჟორიტარი დიმიტრი ხუნდაძე მხოლოდ არჩევნების პერიოდში დაინტერესდა დევნილთა პირობებით.
- ახალგაზრდებს მიაჩნიათ, რომ მართალია ბევრი კულტურულ-შემეცნებითი და არაფორმალური ღონისძიება ეწყობა, თუმცა კარგი იქნება თუ სათემო გაერთიანება და მასში შექმნილი ახალგაზდრული ცენტრი უქმე დღეებშიც იმუშავებს.

2.3 კოდასა და წეროვანის დევნილთა დასახლების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა - შედარებითი ანალიზი.

ა) იდენტური პრობლემები:

- მოსახლეობას არ აქვს ინფორმაცია საკუთარი უფლებების და ვალდებულებების შესახებ.
- შუა ხნის და ზემოთ ასაკის მოსახლეობა მომავალს პესიმუსტურად უყრებს, ვიდრე ახალგაზრდები.

- სახელმწიფო ორგანოებმა უნდა გააძლიერონ იძულებით გადაადგილებულ პირებთან კომუნიკაცია.
- სახელმწიფომ უნდა უზუნველყოს იმ ტიპის საქმიანობების წახალისება, რომელიც ხელს შეუწყობს მოსახლეობაში კერძო ინიციატივების განვითარებას.

ორივე დასახლებაში მცხოვრები დევნილები ნაკლებად არიან გათვითცნობიერებული საკუთარ უფლებებში, რაც რამდენიმე ფაქტორით შეიძლება იყოს გამოწვეული: წეროვანსა და კოდაში მოსახლეობის უმრავლესობა 50 წელს გადაცილებულია. საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში ადამიანის უფლებების შესახებ მსჯელობა აზრს მოკლებულია, 90-იანი წლებიდან მოყოლებული კი მათ უხდებოდათ ცხოვრება ომის პირობებში, სადაც ადამიანის უფლებების შელახვის არაერთი შემთხვევაა, ამიტომ ბუნებრივია წარსული გამოცდილება ზურგს არ უმაგრებს მოსახლეობას გააცნობიეროს რისი უფლება და შესაბამისად პასუხისმგებლობა აქვთ, რისი შედეგიცაა ხელისუფლების შტოების ერთმანეთში არევა, საყოფაცხოვრებო პრობლემის მთავრობის დონეზე გადაჭრის აუცილებლობის მოხოვნა და ა.შ. ძალიან დიდია დასახლებიდან ახალგაზრდების გადინება დედაქალაქისკენ, რაც ხელს უშლის სამოქალაქო აქტივიზმის განვითარებას დევნილთა დასახლებებში.

ინტეგრაციას ხელს უშლის დევნილთა პესიმიზი, რომელიც შუა ხნის ასაკის ადამიანებში უფრო არის გამოვლენილი, ეს ბუნებრივია იმ წარსულით, რომელიც ამ ასაკის ხალხმა გამოიარა და იმ გამოცდილებით, რომელიც წარსულიდან მიიღეს. ახალგაზდების უმრავლესობა, რომელიც დამოუკიდებელ საქრთველოში დაიბადა ოპტიმისტურად უყურებს მომავალს და პირველ რიგში ოპტიმიზმში გულისხმობს არა მშობლიურ მხარეში დაბრუნებას, არამედ მათ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მნიშნველოვან გამოწვევად რჩება სახელმწიფო სამსახურების კომუნიკაციის პრობლემა დევნილ მოსახლეობასთან. სრულიად ახალი სტრატეგიაა საჭირო დევნილთა წარმომადგენლებთან გამგეობებში, მათ შესაძლოა ჰქონდეთ ომბუდსმენის ფუნქცია, რომელიც უფრო სიღრმისეულად შეისწავლის დევნილთა საკითხებს და დააკავშირებს სახელმწიფოს და დევნილ მოსახლეობას ერთმანეთთან. ეფექტურ კომუნიკაციას

ართულებს დევნლებთან მიმართებაში თანმიმდევრული პოლიტიკის არ არსებობა. საქართველოში ნებისმიერი საკითხი დამოკიდებულია პოლიტიკურ ნებასთან, რაც გამოკითხვებაც აჩვენა, რომ 2008 წლის შემდეგ 2-ჯერ შეიცვალა.

სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება მნიშნელოვნად არის დამოკიდებული ისეთი ტიპის საქმიანობის წახალისებასთან, რომელიც დევნილთა სამიზნე ჯგუფზეა ორიენტირებული. სახელმწიფო უწყებების მიერ მოწოდებული, თუ ჩვენ მიერ მოპოვებული სტატისტიკური ინფორმაციით დასტურდება, რომ სახელმწიფოს არ აქვს ინფორმაცია დევნილი მოსახლეობის რამდენი პროცენტია შრომისუნარიანი (იხ. დანართი 2). ხოლო სხადასხვა პროექტებში ჩართული დევნილი მოსახლეობის რაოდენობა არ აღემატება 5-7%, რომელიც ძირეულად ვერ შეცვლის მათ სოციალ-ეკონომიკურ მდგომარეობას. სახელმწიფო ინსტიტუტებმა უნდა წაახალისონ იმ სახის ეკონომიკური აქტივობა ან ინვესტირება, რომელიც მიმართულია დევნილებთან მიმართებაში, მოიძიონ ამ მიმართულებით ინვესტორები. კერძო ინიციატივის წახალისების ხელისშემშლელი ფაქტორია, როგორც წარსული გამოცდილების არ არსებობა, ასევე თანამედროვე რეალობაში მსგავსი ღონისძიებების რაოდენობისა და გამოყოფილი რესურსების სიმცირე.

ბ) განსხვავებული პრობლემები:

- კოდას დასახლებისგან განსხვავებით წყალი წეროვანში 24 საათიანია, თუმცა ისევე როგორც კოდაში მოსახლეობა უარყოფითად აღიქვამს მათ მიერ კომუნალური გადასახადების გადახდას და ამ მიმართულებით გარკვეულ შეღავათებს ითხოვენ.
- წეროვანში მოსახლეობა გარემოსგან მოყენებული ზიანის შესამცირებლად აუცილებელ ღონისძიებად მოითხოვს ქარსაცავი ზოლის გაშენებას და დახმარებას სახელმწიფოსგან ითხოვს.
- რესპონდენტთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ბოლო წლებში (იგულისხმება 2012 წლის შემდეგ) სახელმწიფოს მხრიდან შეწყდა ან განახევრდა ბევრი სოციალური პროგრამა, რამაც კიდევ უფრო დაამძიმა სოციალური და ეკონომიკური პირობები.

- წეროვანში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირები კოდასთან შედარებით მეტნაკლებად ინფორმირებული არიან ადგილობრივი თვითმართველობის საქმიანობით, თუმცა პრობლემად ხალხთან ნაკლებ კომუნიკაციას მიიჩნევენ.
- კოდასგან განსხვავებით, წეროვანში ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია, დასახლება აღჭურვილია გარე განათებით, აქვს რეკრეაციული ზონა; სკოლა, საბავშვო ბაღი, სუპერმარკეტები,სამედიცინო პუნქტი დასახლების ცენტრშია თავმოყრილი, რაც აადვილებს ადგილობრივი დევნილების ყოველდღიურ ყოფას.
- კოდასგან განსხვავებით წეროვანში რესპონდენტები კმაყოფილები არიან საჯარო სკოლის მდებარეობით და ინფრასტუქტურით. ასევე წეროვანის ახალგაზრდები, კოდის ახალგაზრდებთან შედარებით, აქტიურად არიან ჩართულები სხვადასხვა არაფორმალურ აქტივობებში, რომელსაც ადგილობრივი სათემო განათლების ცენტრი ატარებს და მომავალს იმედით უყურებენ.

როგორც შედარებითმა ანალიზმა გვიჩვენა, წეროვანსა და კოდას დევნილთა დასახლებებს შორის, არსებობს რამდენიმე ყოფითი სახის, მნიშვნელოვანი განსხვავება, თუმცა ეს განსხვავებები იძულებით გადაადგილებულ პირთა ძირითად სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე გავლენას ვერ ახდენს.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, რაზეც მეტყველებს წეროვანსა და კოდაში ჩატარებული კვლევის შედეგები. მიუხედავად იმისა, რომ ყოველ კონკრეტულ ოჯახს ინდივიდუალური და განსხვავებული პრობლემები შეიძლება ჰქონდეს, ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოიკვეთა ძირითადი მიმართულებები, რომლებიც საჭიროებენ ეფექტურ რეაგირებას, რათა იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემები სწრაფად აღმოიფხვრას.

- პოზიტიურად შეიძლება შევაფასოთ სახელმწიფოს მიერ კანონმდებლობის მიღება, რომელმაც საბოლოოდ განსაზღვრა იძულებით გადაადგილებულ პირთა სამართლებრივი სტატუსი. კანონდმებლობამ ხელი შეუწყო დევნილის უფლებრივი მდომარეობის გაუმჯობესებას.
- დევნილთა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე დადებითად აისახა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ განხორციელებული ,,სოფლად სახლის“ პროექტი, რომელმაც ხელი შეუწყო იძულებით გადაადგილებულ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესს. პროექტის ფარგლებში დევნილი მოსახლეობის მიერ საოჯახო მეურნეობის განვითარებამ უზრუნველყო მათი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.
- პოზიტიურია, სახელმწიფოს ძალისხმევა უზრუნველყოს დევნილი მოსახლეობა სოციალური გარემოთი და მინიმალური საცხოვრებელი პირობებით, რაც დევნილებისათვის საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემით და საარსებოდ აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნით გამოიხატა.

ნეგატიურად შეიძლება შეფასდეს ის, რომ 2017 წელი, წინა წლებთან შედარებით დევნილთა უფლებრივი მდგომარეობის მხრივ, მნიშვნელოვნად არ განსხვავდება.

უპირველესყოვლისა, ეს არის დევნილთა გრძელვადიანი განსახლების საკითხი, 52 886[32] ოჯახი კვლავ საჭიროებს თავშესაფრით უზრუნველყოფას. საქართველოში დევნილ მოსახლეობას ეს პრობლემა იძულებით გადაადგილების დაწყების დღიდან აწუხებს. განსახლების საკითხს ებმის იმ დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტების მდგომარეობა, რომლებშიც დევნილებს უმძიმეს პირობებში უწევთ ცხოვრება. ასევე საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემის პროცესი, რომელიც თავისთავად მისასალმებელი ინიციატივაა, თუმცა 2009 წლიდან დღემდე შეფერხებით და ნელი ტემპით მიმდინარეობს.

მიუხედავად იმისა, რომ 2016 წელს სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტი იყო ნგრევადი და სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველ ყოფილ დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტებში მცხოვრები ოჯახების განსახლება, ან შენობების რეაბილიტაცია, ეს პრობლემა კვლავ აქტუალურია 2017 წლისთვისაც. დანგრევის პირას მყოფი ობიექტების პრობლემის გადაჭრის გადავადებამ, შეიძლება უმძიმეს შედეგებამდე მიგვიყვანოს.

ჩვენი კვლევის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დევნილთა დასახლებებში გაცილებით მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები არსებობს. წეროვანსა და კოდაში იძლებით გადაადგილებულ პირთა მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს განსხვავებული ფაქტორები განაპირობებს:

- წეროვანის დასახლებაში ინფრასტრუქტურა გაცილებით უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე კოდას დასახლებაში, მიუხედავად იმისა, რომ კოდა ნახევრად ურბანული დახალებაა, წეროვანი კი რურალური.
- წეროვანის დასახლებაში რეკრეციული ინფრასტრუქტურა უფრო განვითარებულია და კეთილმოწყობილი, ვიდრე კოდას დასახლებაში.
- ორივე დასახლება საერთაშორისო სატრანსპორტო კვანძებთან მდებარეობს, თუმცა ეკონომიკური პოტენციალის თვალსაზრისით წეროვანთან გამავალი საერთაშორისო მაგისტრალი გაცილებით პერსპექტიულია ამ დასახლების ეკონომიკური განვითარებისთვის, ვიდრე კოდას დასახლების.

[32] სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიში.

- ორივე დასახლება დედაქალაქიდან თითქმის თანაბარი მანძილითაა დაშორებული. კოდაც და წეროვანიც თბილისთან დაკავშირებულია რეგულარული სამარშუტო ტაქსებით, თუმცა წეროვანის დასახლებიდან საჭიროების შემთხვევაში დედაქალაქში მოხვედრა დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში გაცილებით ადვილია .
- კოდას დასახლებაში მცხოვრებ დევნილებს სახელმწიფოსგან გადაეცათ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისათვის განკუთვნილი მიწები, ხოლო წეროვანის მოსახლეობას არა, თუმცა ეს ნაკვეთები კოდაში მცხოვრები დევნილი მოსახლეობისათვის სიშორის და საირიგაციო სისტემის არქონის გამო გამოუსადეგარია.
- წეროვანის დასახლებაში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება და საჯარო სკოლა დასახლებაშივე მდებარეობს, რაც ხელს უწყობს დევნილი ახალგაზრდებისთვის სკოლამდელი და საშუალო განათლების ხელმისაწვდომობას, ხოლო კოდაში კოდაში ორივე დაწესებულება დიდი მანძილითაა დაშორებული დასახლებას, რის გამოც იძულებით გადაადგილებულ პირებს განათლების მიღების პროცესში სირთულეები ექმნებათ.
- წეროვანის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებასა და საჯარო სკოლაში მუშაობას განაგრძობენ ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებული პედაგოგები, მაშინ როდესაც სოფელ კოდაში არსებულ ორივე დაწესებულებაში მასწავლებლები , ყოველგვარი ახსნა-განმარტებების გარეშე გაათავისუფლეს.
- კოდის დევნილთა დასახლება მდებარეობს სოფელ კოდაში, ხოლო წეროვანის დასახლება სპეციალურად დევნილი მოსახლეობისათვის შეიქმნა, რის გამოც ამ ორ დასახლებაში საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესი განსხვავებულად მიმდინარეობს. კოდის დევნილ მოსახლეობას სოფლის ადგილობრივ მაცხოვრებლებთან ერთად უხდებათ საერთო პრობლემების მოგვარება, რაც ხელს უწყობს მათ სოციალურ ინტეგრაციას, მაშინ როცა, წეროვანის დევნილთა დასახლება ადგილობრივი მცხოვრებლებისგან იზოლირებულია საერთაშორისო მაგისტრალით, რაც ინტეგრაციის პროცესს ხელს უშლის.

ამრიგად, ნაშრომიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სახელმწიფოს მიერ დევნილებთან მიმართებაში გატარებული პოლიტიკა ხელს უწყობს იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებით არსებობისთვის აუცილებელ პირობების შექმნას, რაც არ არის საკმარისი იმისთვის, რომ დევნილმა მოქალაქემ საზოგადოების სრულფასოვან წევრად იგრძნოს თავი, ამიტომ სახელმწიფო პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს დევნილთა დასახლებებში არსებული განსხვავებული გამოწვევების მოგვარებისკენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არასამთავრობო ორგანიზაცია ,,დეას“ მიერ და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის თბილისის ბიუროს ხელშეწყობით 2013 წელს ჩატარებული კვლევა. ,,დევნილდაკონფლიქტითდაზარალებულქალთადაგოგონათასაჭიროებებიდაპრ იორიტეტები.“ -იხ. ქართული ვერსია
2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის №1866 რეზოლუცია http://eng.expertclub.ge
3. თარხან.მოურავი გ. (2009) იძულებით გადაადილებულ პირთა საცხოვრებელი პირობების განსაზრვრა საქართველოშო: ფაქტები და პოლიტიკა. დოკუმენტი მომზადდა ევრო გაერთიანების ფინანსური მხადაჭერით.
4. რეაგირება იძულებით გადაადგილებულებზე: ეროვნული პასუხისმგებლობის ჩარჩო. (2005). ბრუკინგსის ინსტიტუტი. ბერნის უნივერსიტეტი. მთარგმნ. ნანა ჯაფარიძე- ჭყოიძე
5. საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 31 მაისის №367 ბრძანებულება.
6. საკანონმდებლო მაცნე. 06.02.2014წ. საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ. იხ წყარო https://matsne.gov.ge
7. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშები იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ. იხ. წყარო http://www.ombudsman.ge
8. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ანგარიშიები http://mra.gov.ge
9. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე-„მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
10. საქართველოს მთავრობის, 2015 წლის 4 თებერვლის განკარგულება №127, „ იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მიმართ 2015-2016 წლებში

სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“

11. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს ბრძანება №320.
12. საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო. 2015 წლის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში (TracerStudy). http://www.mes.gov.ge/
13. Unated Nation - UNHCR Global Report 2009. http://www.unhcr.org

დანართი

დანართი #1

2008 წლის აგვისტოს ომიდან დღემდე დევნილთა რაოდენობა. სტატისიკური მონაცემები

	დევნ. რაოდენობა	შემწეობა	სოციალურად დაუცველი	0-18	18+	ქალი	კაცი
სამაჩაბლო	26536	22142	3482	7176	19360	13372	13164
აფხაზეთი	249140	198246	25428	70342	178798	133627	115513

წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სტატისტიკა

დანართი # 2

წეროვანისა და ქურთის დევნილთა დასახლებების სტატისტიკური მონაცემები.

ქურთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მონაცემთა
ბაზა ჩასახლებების მიხედვით

№	ჩასახლებების დასახელება	ოჯახის რაოდენობა	2017წ.
1	თბილისი დასაკმაყოფილებელი	161	
2	გორი დასაკმაყოფილებელი	47	
3	თბილისი	469	
4	გორი	284	
5	წეროვანი	490	
6	გორი ბაღი # 18	6	
7	გორი ბაღი # 7	16	
8	გორი ბაღი # 2	2	
9	გორი ბაღი # 3	8	
10	კარალეთი	334	
11	ბაზალეთი	72	
12	ბერბუკი	62	
13	გარდაბანი	64	
14	ვერხვები	165	
15	თელავი	10	
16	თელიანი	14	

17	კოდა	146	
18	ლაგოდეხი	15	
19	მეტეხი	7	
20	საგარეჯო	25	
21	საგურამო პროფი	27	
22	საგურამო ინტერნატი	13	
23	საქაშეთი	32	
24	სკრა	54	
25	ფრეზეთი	7	
26	შავშვები	52	
27	შაუმიანი	77	
28	წილკანი	18	
29	წინამძღვრიაანთ კარი	19	
30	ხურვალეთი	21	
31	ნარკოლოგიური	28	
32	მუსიკალური	24	
33	კვერნაკი	6	
34	სულ:	2775	

წყარო: ქურთის მუნიციპალიტეტის გამგეობა

დანართი # 3

სადისკუსიო გეგმა

კოდასა და წეროვანში ფოკუს-ჯგუფის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წარმომადგენლებთან და კოდასა და წეროვანის წარმომადგენლებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუს სადისკუსიო გეგმა.

შეკითხვები გაერთიანებულია 3 კატეგორიაში, რომელიც მოიცავს დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის აღწერას.

მატერიალური მდგომარეობა:

1. რა ტიპის საქმიანობა წარმოადგენს შემოსავლის ძირითადი წყაროს?
2. რამდენი წევრია დასაქმებულთა ოჯახში და რა ტიპის სამსახურებში? (კითხვა განკუთვნილია ფოკუს-ჯგუფში მონაწილეებისთვის)
3. რამდენია დასაქმებულთა საშუალო შემოსავალი ?

4. არსებობს თუ არა მონაცემები თვითდასაქმებულთა რაოდენობის შესახებ? (კითხვა განკუთვნილია სამინისტროს და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან)
5. მე-4 კითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში რამდენია თვითდასაქმებულთა საშუალო შემოსავალი?

ყოფითი პირობები:

1. თქვენი აზრით რამდენად კეთილმოწყობილია საცხოვრებელი კოტეჯები?
2. თქვენი აზრით რამდენად ვარგსია კოტეჯი საცხოვრებლად, არის თუ არა გამძლე?
3. რა განრიგით მიეწოდება დევნილებს სიცოცხლისთვის აუცილებელი ბუნებრივი რესურსები ? (წყალი, ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი)
4. არსებობს თუ არა დასახლებაში რეკრეაციული სივრცეები და სკვერი?
5. მოწესრიგებულია თუ არა დასახლებებში ძირითადი ინფრასტრუქტურა და გარე განათება?
6. როგორია სანიტარული მდგომარეობა დასახლებაში?
7. არსებობს თუ არა საბავშვო ბაღი უშუალოდ დევნილთა დასახლებებში?
8. დევნილთა დასახლებებში არსებობს თუ არა სტიქიური მოვლენებისგან თავდაცვითი საშუალებები? (სადრენაჟო სისტემა; ქარსაცავი)
9. რა პირობებში უხდებათ არასრულწლოვნებს საშუალო განათლების მიღება? (სკოლის სიახლოვე დასახლებასთან)

გარე სამყაროსთან ურთიერთობა:

1. ემსახურებათ თუ არა დევნილთა დასახლებას რეგულარული საზოგადოებრივი ტრანსპორტი?
2. რა სახის და რა ინტენსივობით ემსახურება ტრანსპორტი?
3. არსებობს თუ არა მგზავრებისთვის განკუთვნილი გაჩერება დასახლებაში ?(რამდენად არის კეთილმოწყობილი)

4. როგორ მდგომარეობაშია ტრანსპორტისთვის განკუთვნილი სავალი გზები?
5. უზრუნველყოფილია თუ თუ არა დევნილთა დასახლება ინტერნეტით და საკაბელო ტელევიზით?

დანართი #4

საავტომობილო მაგისტრალები, რომლებიც კოდასა და წეროვანის დასახლებებთან გვხვდება.

საერთაშორისო მნიშვნელობის საგზაო ქსელიდან განსაკუთრებით მაღალი ინტენსივობით გამოირჩევა E-60 (ფოთი-თბილისი-წითელი ხიდი) და E-70 (ფოთი-ბათუმი-სარფი) სატრანზიტო მაგისტრალებზე. ეს ორი გზა ერთმანეთს საპორტო ქალაქ ფოთთან უკავშირდება და მთლიანად, 450 კილომეტრიან, მთავარ სატრანზიტო ავტომაგისტრალს წარმოადგენს.

E 60- საერთაშორისო მაგისტრალი

E 117 საერთაშორისო მაგისტრალი

საქართველოში გამავალი საერთაშორისო მაგისტრალები

წყარო: საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საგზაო დეპარტამენტი

დანართი # 5

იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

ფოტოები



No.	Region	District	Settlements	Individuals
1	Kakheti	Kakheti	Lagodekhi	54
2	Kakheti	Kakheti	Sagarejo	70
3	Kakheti	Kakheti	Telavi	80
4	Kvemo Kartli	Bolnisi	Kvemo Bolnisi	79
5	Kvemo Kartli	Gardabani	Gardabani	321
6	Kvemo Kartli	Marneuli	Shaumiani	450
7	Kvemo Kartli	Tetritskaro	Koda	1259
8	Mtskheta-Mtianeti	Dusheti	Bazaleti	311
9	Mtskheta-Mtianeti	Mtskheta	Prezeti	761
10	Mtskheta-Mtianeti	Mtskheta	Saguramo	75
11	Mtskheta-Mtianeti	Mtskheta	Saguramo	136
12	Mtskheta-Mtianeti	Mtskheta	Saguramo	35
13	Mtskheta-Mtianeti	Mtskheta	Tserovani	6385
14	Mtskheta-Mtianeti	Mtskheta	Tsilkani	1287
15	Mtskheta-Mtianeti	Mtskheta	Tsinandzgvriantkari	127
16	Mtskheta-Mtianeti	Mtskheta	Tsinandzgvriantkari	72
17	Shida Kartli	Gori	Berbuki	454
18	Shida Kartli	Gori	Gori	78
19	Shida Kartli	Gori	Gori	67
20	Shida Kartli	Gori	Gori/Kvernati	14
21	Shida Kartli	Gori	Karaleti	1482
22	Shida Kartli	Gori	Karaleti/Tsmindatskali	1607
23	Shida Kartli	Gori	Shavshvebi	587
24	Shida Kartli	Gori	Skra	296
25	Shida Kartli	Kareli	Akhalsopeli	333
26	Shida Kartli	Kareli	Kareli	265
27	Shida Kartli	Kareli	Kareli	204
28	Shida Kartli	Kareli	Mokhisi	215
29	Shida Kartli	Kaspi	Didi Khurvaleti	440
30	Shida Kartli	Kaspi	Metekhi	128
31	Shida Kartli	Kaspi	Teliani	170
32	Shida Kartli	Khashuri	Chumateleti	81
33	Shida Kartli	Khashuri	Khashuri	64
34	Shida Kartli	Khashuri	Surami	88
35	Shida Kartli	Khashuri	Surami	51
36	Shida Kartli	Khashuri	Surami	22
			Total	*18128*

დევნილთა დასახლებები 2008 წლის ომის შემდეგ

რუკაზე დატანილია შემდეგი დასახლებები:

- შიდა ქართლი: სურამი, ხაშური, ახალსოფელი, მოხისი, სკრა, კარალეთი, წმინდაწყალი, ბერბუთი, გორი, კვერნათი, თელიანი, მეტეხი, შავშები
- მცხეთა-მთიანეთი: წეროვანი, წილკანი, საგურამო, წინამძღვრიანთკარი, ფრეზეთი, ბაზალეთი.
- ქვემო ქართლი: კოდა, გარდაბანი, შაუმიანი, ქვემო ბოლნისი
- კახეთი: საგარეჯო, თელავი.

1. წეროვანის დევნილთა დასახლება

2. დევნილთა დასახლებები გორის მუნიციპალიტეტი

3. **გორის კარვების ქალალი 2008 წლის სექტემბერი**
http://www.civil.ge/geo/category.php?id=87&gallery=33&phot

წყარო: სურათები აღებულია ნაშრომიდან -თარხან.მოურავი გ. (2009) იძულებით გადაადილებულ პირთა საცხოვრებელი პირობების განსაზრვრა საქართველოში: ფაქტები და პოლიტიკა. დოკუმენტი მომზადდა ევრო გაერთიანების ფინანსური მხადაჭერით. გვ.22

4. **დევნილი ოჯახი გორის დასახლებაში**

წყარო: სურათი აღებულია ნაშრომიდან UNHCR Global Report 2009. Georgia. Pp 264

5. კოდას დევნილთა დასახლება

წყარო: ფოტო აღებულია ქრისტინა მარაბიანის სტატიიდან - ახალი დასახლება და "იქაური" ცხოვრების წვრილმანები. http://samtskhe-javakheti.blogspot.com/2010/12/blog-post_3792.html

დანართი #6

დევნითა (რაოდენობით) დიდი დასახლებები საქართველოში



დანართი #7

რუკა 2


ოხი
ჯაბეგი
ჯავა
ლეგეხი
ადმინისტრაციული
ადმინისტრაციული
ხანხერე
ქიათურა
ქურთა–ურუდვი
ახალგორი
ლეგეხი
ადმინისტრაციული
ადმინისტრაციული
ადმინისტრაციული

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Giorgi Gabrielidze

Socio-Economic Conditions of IDP Population (Case of Tserovani and Koda)

Human Geography

Thesis submitted to the faculty of the Human Geography in partial fulfillment of the requirements for the degree of master of science

Supervisor: Giorgi Gogsadze

Professor

Tbilisi, 2017